ნელი იოსავა

# ქართული ენა
## პრაქტიკუმი სინტაქსში

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2003

უაკ (UDC) 809.463.1
ი 722

*წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს პრაქტიკულ კურსს ქართული ენის სინტაქსის შესასწავლად. მისი მიზანია სტუდენტებს გაუადვილოს ტექსტებზე მუშაობა და დაეხმაროს ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალის დაუფლებაში.*

*გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. იგი შეიძლება გამოიყენოს ქართული ენის სინტაქსით დაინტერესებულმა ყველა პირმა.*

რედაქტორი ფილ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ელ. ბაბუნაშვილი

რეცენზენტები: ფილ. მეცნ. დოქტორი, პროფ. თ. უთურგაიძე

ფილ. მეცნ. კანდიდატი, დოც. მ. ნიკოლაიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

ი $\frac{4602020000}{608(06)-03}$

ISBN 99940-13-11-4

# წინათქმა

წიგნში მასალა აგებულების მიხედვით წინადადების ტიპების შესაბამისადაა წარმოდგენილი და, ამდენად, სამი ნაწილისაგან შედგება: მარტივი წინადადება, შერწყმული წინადადება და რთული წინადადება. მოცემულია თითოეული სახის წინადადების ყველა შესაძლო ვარიანტი და წინადადების ყველა მთავარი და არამთავარი წევრი.

დამხმარე სახელმძღვანელო შეიცავს თორმეტ ათას წინადადებას, რომლებიც ამოკრებილია ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა, თანამედროვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პროზაული, პოეტური და პუბლიცისტური ნაწარმოებებიდან (წიგნს ერთვის გამოყენებული მხატვრული ლიტერატურის სია სათანადო შემოკლებების მითითებით).

ნაშრომში წარმოდგენილი ყველა წინადადება ტექსტებიდან ამოწერილია უცვლელად, დაცულია ამა თუ იმ მწერლის ენის გრამატიკულ-სტილისტიკური და ლექსიკური თავისებურებები.

*ნელი იოსავა*
*თბილისი, 2003*

# წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით

*§ 1. მარტივი.* 1. ტოროლები დამშვიდებით ოქროს ტბაში ბანაობენ (მ.ლებ., 524). 2. მზემ ჯუნგლებს გახადა თოვლის ზეწარი (მ. ლებ., 423). 3. სამანძიანი თეთრი ხომალდი ჩვეული სწრაფვით ქართა ქროლვაზე გამოფხიზლდება (ა. კალანდ., 362). 4. ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი (ა. კალანდ., 280). 5. მზით ამეწამებულ ტევრის ქოჩორზე ჭიჭინობელა სიცხის მაყრულს აბამს (გ. რობაქ., 137). 6. ურმები ლორთქა თიკებით გზას ახარებენ აჭრიალებით (პ. იაშვ., 138). 7. ათი წელია იხევდა უკან დღეს განწირული მათი ხელობა (პ. იაშე., 147). 8. გარეთ წვიმით სველი აბრები აშიშინებენ შერჩენილ სიცხეს (ო. ჭილ., I, 558). 9. მე მისი რისხვა ძლიეს ავიცილე (ო. ჭილ., I, 559). 10. მარინემ ნახატებს შორის რამდენიმე ცნობილი თბილისელი ქალიშვილის პორტრეტიც შეამჩნია (გ. ფანჯ., 392). 11. ისინი ქორისაგან დამფრთხალი ქათმებივით მორბოდნენ (გ. ფანჯ., 77). 12. ლეკიშვილს სახელოსნოში პატარა ბუხარი ჰქონდა გაკეთებული (გ. ფანჯ., 391). 13. ლოყებზე დაცურებული ცხელი ცრემლები ყურებთან უკვე ცივად ჩადიოდა (ნ. ონაშ., 119). 14. მეწამულ ფერებად ილვრებოდა უკვე მიწურული ზაფხული (ნ. ონაშ., 12). 15. ცხენები ქვებში ამომძვრალ ბალახს წიწკნიდნენ (ო. იოს., 41). 16. მთვარის სინათლემ კედლიდან ძირს ჩამოინაცვლა (ო. იოს., 90). 17. დიდი აღტაცებით მღეროდა ამ ლექსს ახალგაზრდა მგოსანი (კ. ყმა, 61). 18. გმირს მჭმუნვარებით მიაცილებდნენ მისი საყვარელი გმირები (კ. ყმა, 31). 19. ჰაერი აყვავილდა წითელ ფარშევანგებით (პ. იაშვ., 78). 20. ჭვარტლიან ბაღში აღტაცება არ გეძნელება (პ. იაშვ., 81). 21. მეორე ხელში ბიისფერი ალამი ფეთქავს (მ. ლებ., 297). 22. მე ჩემი პირმშო ორ ბორცვთან მიმყავს (მ. ლებ., 327). 23. დაობლდა ბაღი მზის ფოთლებით ჩამოთოვლილი (ა. კალანდ., 211). 24. მუქ ლურჯ ცაზე მტრედისფერი ნისლი ცურავს (ა. კალანდ., 349). 25. ტყეშიც ისევ გახშირდა სოკო (ო. ჭილ., I, 546). 26. ცა ვარსკვლავებით გაივსო უცებ (ო. ჭილ., I, 543). 27. მყუდროებას მხოლოდ გემის უზარმაზარი რეპროდუქტორები არღვევდნენ (გ. ფანჯ., 54). 28. მალე

ნიკიფორეს ეზოში თმაგაშლილი ქალები გამოჩნდნენ (გ. ფანჯ., 77). 29. უცებ დამკვიდრებულ სამარისებულ დუმილში მკვეთრად გაისმა ლადოს ხმა (ნ. ონაშ., 188). 30. ოთახს კედლის ნათურის მკრთალი შუქი ანათებდა (ნ. ონაშ., 164). 31. თაჯი გვირაბიდან გარეთ გამოვიდა (ო. იოს., 109). 32. ბაწრის ჩაწყვეტისთანავე კაპრალმა დესანტებს საჭმელი ჩამოართვა (ო. იოს., 99). 33. ჩვენი სახლისაკენ მომავალ გზაზე გამოჩნდა მამაჩემი (კ. ყმა, 304). 34. ხმიადს შუაგულში მრგვალად გამოჭრილი პატარა ქაღალდი აკრავს (კ. ყმა, 290). 35. ერთი მსუნაგი ცხრათვალა ამ სოფელს ჩასაფრებია (პ. იაშვ., 229). 36. ბათუმის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს (პ. იაშვ., 95). 37. ჩამირბინეს ჭყივილით გარეულმა ტახებმა (მ. ლებ., 216). 38. ალუჩის ტოტზე დაფრინდნენ ფერადფერადი ჩიტები (მ. ლებ., 554). 39. ჩრდილი წოვდა გაჭყლეტილ ყურძენს (ო. ჭილ., II, 463). 40. ღამე კოცონთან სველ ფეხებს ითბობს (ო. ჭილ., I, 541). 41. ისინი ხუთი დღის შემდეგ კელავ შეხვდნენ ერთმანეთს (გ. ფანჯ., 401). 42. გაბმული ზარით შეეგება მართა მეზობლის ქალებს (გ. ფანჯ., 77). 43. სწორედ ამ დროს მოსწვდა ჩემს გულისყურს თემოს ნაბიჯის ხმა (ნ. ონაშ., 52). 44. შენ მაგ აკვიატებული იდეებით ცხოვრობ (ნ. ონაშ., 131). 45. დიდი ყურადღებით შეხვდა საზოგადოება ახალგაზრდა პოეტს (პ. იაშვ., 272). 46. ძვირფასი ქვები ჩემს საწოლში დაიფანტება (პ. იაშვ., 129). 47. ირგვლივ ცხოვრების ჩარხი აზრიალებდა ქანგიან ქალაქს (მ. ლებ., 26). 48. ფრთები დაკეცა იმ არწივმა მოწყენით (მ. ლებ., 28). 49. მაღლა წავიდა რძისფერი ნისლი (ო. ჭილ., I, 545). 50. ორაზროვანს ეჭრიდი სტრიქონებს სამსხვერპლო ცეცხლზე დამწვარ თითებით (ო. ჭილ., I, 560). 51. იმათ ჩქარა გაანათეს ცეცხლი მოგროვებული ფიჩხით (ა. ყაზბ., 173). 52. პირქუშ კლდეებზე სხლტებიან ზღვის ზედაპირიდან არეკლილი მზით მოციაგე სხივები (ნ. ონაშ., 15). 53. რექტორი მედიდურად გადააწვა სკამის ზურგს (ნ. ონაშ., 138). 54. ყოველ წუთში იცვლებოდა შუბლზე ცივი ტილო (პ. იაშვ., 259). 55. უცბად თითქოს გადიხაზა ცა შვიდფერი ცისარტყელით (პ. იაშვ., 243). 56. მე შემოვლიეარ შენს ტყეში ფრთხილად (მ. ლებ., 334). 57. რიყე-რიყე დაყრილან ხავსიანი ტინები (მ. ლებ., 523). 58. ფიქრებმა ფარნაოზს ძილი გაუტეხა (ო. ჭილ., I, 325). 59. ილვიძებს ხნულში გა-

მთბარი თესლი (ო. ჭილ., I, 542). 60. ტრამვაის ვაგონში ფუტკრის ზუზუნივით იდგა დასიცხული მგზავრების უნიათო ბუბუნი (ნ. ონაშ., 21). 61. მანქანის ღია ფანჯრებში ვერხვების საამო შრიალი შემოდიოდა (ნ. ონაშ., 143). 62. ნიკო წყლიანი თვალებით ნახევრად ავსილ საწნეხელს გადახედავს (გ. რობაქ., 139). 63. ქალს მოშავო თმები მხრებზე გადმოეშვა (გ. რობაქ., 165). 64. ეს შრიალი მიამბობს ჯერ წაუკითხავ შაირს (პ. იაშვ., 166). 65. მგზავრის ძონძებში ცივ ღამეში გათბება ყვავი (პ. იაშვ., 73). 66. ქალიშვილის მხარზე მიყრდნობილი თაჯის თვალები მოუშორებლად შესცქეროდნენ შემოსასვლელში ჩამდგარ გერმანელს (ო. იოს., 125). 67. ქალმა სანოვაგით დატენილი მსუბუქი მანქანების წინ გადაიარა (ო. იოს., 174). 68. მარტო ამ ტანჯვის საძირკველზე შენდება მხატვრული ქმნილება (ნ. ონაშ., 170). 69. გულის სიღრმეში გაღვივებული ეჭვის ნაპერწკალი უმალ ჩააქრო პროფესორის თბილმა ხმამ (ნ. ონაშ., 60). 70. დუსამ იმასაც ჩამოუტანა სკამი (ო. ჭილ., II, 369). 71. კაკლის რტოები ჩრდილსა ყრიდნენ ღობის ნაპირას (ნ. სამად., 165). 72. ყველასათვის შიგ შესასვლელად მათ გაუღიათ მისი კარი (აკაკი, 78). 73. თქვენ გითენდებათ დღე ბედნიერი (პ. იაშვ., 88). 74. ყოველთვის მელის მშვენიერი ქალთა კრებული (პ. იაშვ., 87). 75. ოთარ ნიჟარაძემ პირთან მიტანილი ლუკმა შეუმჩნევლად დადო თეფშზე (გ. ფანჯ., 567). 76. ისინი თავიანთი გონების ფირფიტაზე ზეპირადატარებდნენ მთელი საუკუნის გონებრივ საუნჯეს (ი. გრიშ., 68). 77. ჩვენმა დიდმა მგოსანმა განიზრახა ფოლკლორული მასალების შეგროვება (მოგ. აკ., 206). 78. რაფიელ ერისთავის იუბილე დიდი ზეიმით გადაიხადა ქართველმა საზოგადოებამ (მოგ. აკ., 208). 79. მოხუცნი მოწიწებითა დასთელიან გმირთა გვარებსა (ვაჟა, 175). 80. შავმა დრომ შავი ნაყოფი ჩამოგვეაბერტყა თავზედა (ვაჟა, 89). 81. ცაზე ვერცხლის მერცხლები სხედან ლურჯ ბუდეებში (პ. იაშვ., 142). 82. შენი რაში სფინქსის ყურებით დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვარულს (პ. იაშვ., 125). 83. შუაღამისას დუმილით გაყუჩებულ დერეფანში ყრუდ გახმიანდა მისი სწრაფი ნაბიჯები (ნ. ონაშ., 162). 84. ისევ ამოტივტივდა მთელი დღევანდელი უსიამოვნება (ნ. ონაშ., 9). 85. მოულოდნელად მოპირდაპირე ოთახში სარკეს მოჰკრა თვალი (გ. ფანჯ.,

181). 86. ფარნაოზმა არწივი დაინახა (ო. ჭილ., I, 354). 87. შენი ფიქრები თეთრ ნისკარტებით ერის სიხარულს ეზიდებოდნენ (ნ. სამად., 132). 88. შუადღე მდინარის პირას გაშლილ ხეობაში წამოგვეწია (თ. ბიბ., 30). 89. დიდხანს ხმაამოუღებლივ ჩავყუ-რებდი იმის ორმოსავით ჩაღრმავებულ შავ თვალებს (ილია, 414). 90. მაქსი კაპრალს ნდობას უცხადებდა (ო. იოს., 52). 91. ამ წამს საშინელი ყეფით დოგი მოვარდება (გ. რობაქ., 74). 92. ერთი-მეორეზე გადაჭდობილ ტოტებს თავის მხრივ ტოტები აუყრიათ მაღლა (გ. რობაქ., 137). 93. თავის არჩეულს თვალს არ მო-აცილებს (პ. იაშვ., 163). 94. საღამოს გზაზე მოდის ნახირი (პ. იაშვ., 114). 95. მე მაინც განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყ-რობოდი იეთიმ გურჯის ნიჭს (ი. გრიშ., 156). 96. მზიური ნის-ლით დაბურული ნარიყალას ციხის ისტორიული ნაშთი ღრმა საიდუმლოებასავით იყო ჩემს წინაშე ამართული (ი. გრიშ., 5). 97. ხალხმა ჭაბუკს ზურგი შეაქცია (თ. ბიბ., 286). 98. მზე უკანასკნელ სხივებს ესროდა გახრიოკებულ კვირაცხოვლის მთას (ა. ყაზბ., 238). 99. ისინი ახლაც საომრად ამზადებდნენ ხომალდებს (ო. ჭილ., I, 161). 100. მამა-შვილის გაუთავებელი კა-მათი ვერხვის ფოთოლივით ათრთოლებდა პოპინას (ო. ჭილ., I, 275). 101. არჩიბალდ მეკეშს ხვლიკისფერ თვალებიანი დედო-ფალი ელანდება (გ. რობაქ., 37). 102. ქარავანი მუხლუხის ზოზ-ვით მიიზლაზნება ხვეულ ხევებში (გ. რობაქ., 125). 103. იეთიმ გურჯი გულდაჯერებით ელოლიავება რუსთველის მაღალს სახელს (ი. გრიშ., 152). 104. ალბათ, არა ერთხელ გინახავთ საფლავის ქვაზე ამოჭრილი ეპიტაფია (ი. გრიშ., 116). 105. დღეს ქართველები შენი სარდლობით ფიქრობენ მტერზე გამარჯვე-ბასა (აკაკი, 53). 106. ქალაქელი ვაჭრები დღესაც კიდევ სი-ცილით ამბობენ (აკაკი, 157). 107. ცრემლები ყელში მომადგა (მოგ. აკ., 150). 108. მეორე დღეს, მართლაც, სადილად მობრძანდა (მოგ. აკ., 149). 109. მის გვერდით მჯდომმა მენიჩ-ბემ ხელი გაიშვირა (ო. ჭილ., I, 353). 110. ფარნაოზმა არწივს თვალი გააყოლა (ო. ჭილ., I, 354). 111. ღამეში დაფარფატებს უბედური ღამურა (პ. იაშვ., 142). 112. იმდენი წელი ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას (პ. იაშვ., 141). 113. გაოცებული სოფელი ახლა ამ უმადურ ცოლ-ქმარს შემოეხვია (თ. ბიბ., 124). 114. ჯოგს საბაზროდ მაშინ ჩამორეკავდნენ (ო. იოს., 263). 115. თქვენთან

მეტალურგიის ინსტიტუტში მოსვლას არ ვაპირებ (გ. ფანჯ., 205). 116. პავილიონში წვიმის იდუმალი შრიალივით იდგა შადრევანის მუსიკა (ნ. ონაშ., 7). 117. ქორწილებში მაშინდელი პოეტების ლექსებს ამღერებდნენ (ი. გრიშ., 148). 118. ალბათ, ყველაფერს მოედო ხავსი (ო. ჭილ., I, 580). 119. სახლს ჭერი აეხადა (ო. ჭილ., II, 167). 120. დამსწრე საზოგადოება გულთბილად დაემშვიდობა საქართველოს სათაყვანებელ მგოსანს (მოგ. აკ., 164). 121. დღეს ქალაქის ცენტრალურ ადგილას აღმართულია დიდი მწერლის ძეგლი (შ. ძიძ., 21). 122. მე ვკითხავ ვინმეს (პ. იაშვ., 99). 123. აკაკიმ გამართა წვეულება (მოგ. აკ., 370). 124. წყალუხვი მდინარის ლერწმოვანებში უკვე იდგა ბერძნული თორმეტნიჩბიანი ხომალდი (ო. ჭილ., I, 94). 125. შეშინებული ლეკვის წკმუტუნმა მთელი ქვეყანა ააფორიაქა (ო. ჭილ., I, 225). 126. ერთ ცოდვილ დღეს ბერიკაცს თურმე მეზობლის თხუთმეტი წლის გოგო შუქია გამოეცხადა (თ. ბიბ., 12). 127. ვაჟამ უბიდან ამოიღო ძველი დავთრიდან ამონახევ ქაღალდზე ნაწერი ლექსები (კ. ყმა, 140). 128. მეორე დღეს მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ ვაჟას ქუთაისში ყოფნის სამახსოვროდ გადაიღო სურათი (კ. ყმა., 137). 129. იდგნენ ხელჩართულ ბრძოლაში ნაალაფარი დროშები (ლ. ასათ., 97). 130. მაშინ უკეთ გემახსოვრება ზანტად გავლილი დღეების შემდეგ ერთი მართალი კაცის ცხოვრება (ლ. ასათ., 33).

*§ 2. შერწყმული.* 1. ისინი ანთებდნენ სანთლებს, ლოცულობდნენ და მხიარულად შეექცეოდნენ ფშავურ ლუდს (კ. ყმა, 156). 2. ვაჟა თავისი ძმის, თედოს, ფარჩის ახალუხს ჩაიცვამდა, მიხას ნაბადს წამოიღებდა და თედოს ქალიშვილს, გულქანს, თანამგზავრად წამოიყვანდა (კ. ყმა, 357). 3. უნდა თვალი გამედევნებინა ჩემი ჩრდილისათვის, ხან წინ რომ მიმიძღოდა გრძელ და აწოწილ ორეულად, ხან გვერდით მომდევდა მოკლე და ჯუჯა ლანდად, ხან უკან მომყვებოდა (ნ. ონაშ., 123). 4. მძიმედ მოვაბრუნე თავი, დახრილი წამწამების ჩერიდან უინტერესოდ გავხედე და უმალ გამოვფხიზლდი (ნ. ონაშ., 15). 5. ძლივს დავუძვერი მკლავებიდან და მისი სურნელით გაჟღენთილი ჰაერი ნეტარებით ჩავისუნთქე (ნ. ონაშ., 11). 6. მოატარებს მთებს

და გორებს, ცოდვილ მიწას არ აშორებს (პ. იაშვ., 69). 7. ჩვენ სუყველას დავცილდებით, ველის ვარდებს მივაშურებთ, ჩვენ ამ ნადიმს რას დავეძებთ, სხვების ლხენას რას ვუყურებთ (პ. იაშვ., 67.). 8. სახურავებზე, სახელურებზე, საფეხურებზე, ქვაფენილებზე დაფენილია თოვლი და მთვარე (ო. ჭილ., I, 567). 9. როგორც ჩიტი, გალიაში გამომწყვდეული, წრიალებს ფიქრი სიცოცხლეზე და სიყვარულზე (ო. ჭილ., I, 594). 10. და ვაფათურ-ებ სიცხიან ლექსებს შენ თმებზე, მხრებზე, მუხლებზე, სულში (ო. ჭილ., I, 558). 11. მისი სტუმარიც სიკეთის, სიწმინდის, სიმ-შვიდისა და სილამაზის ქვეყნიდან იყო (ო. ჭილ., II, 137). 12. ის რამდენიმე ხნით მოაშორეს ტყემლისა და ალუბლის ყვავ-ილით გადაპენტილ ქუთაისს (ო. ჭილ., II, 382). 13. ვის ემდურე-ბით, თქვე კარგებო, ჩუმი სევდით და ჩუმი ოხვრით (მ. ლებ., 133). 14. მწიფე ზღმარტლებს არხევენ, მწიფე პანტებს ბერტ-ყავენ, ნიგოზს ღრჯოლით ამტვრევენ, სკდებიან და ხეთქავენ (მ. ლებ., 160). 15. ყველა თავის ნავში სხდება, ყველამ სადღაც გაცურა (მ. ლებ., 338). 16. ჩიტუნა გამოფრინდა წალმიდან, დასკუპდა შტოზე და გალობს (მ. ლებ., 265). 17. მოგივა ცოლი ერთ დღეს ბაზრიდან და იასამნის გალუმპულ ტოტით ამოგირეცხავს ზამთარს აზრიდან (მ. ლებ., 475). 18. პირიდან ლუკმას იღებდა და იმას აჭმევდა (თ. სახ., 490). 19. უცბად ქან-დაკება შენიშნა, ელდანაკრავივით შედგა და ჯიბეებიდან ხელები ამოიღო (ნ. ონაშ., 31). 20. ღია ფანჯრიდან შემოჭ-რილმა ცხელმა ჰაერმა გამაბრუა და თელემა მომგვარა (ნ. ონაშ., 21). 21. დამიჭირეს, ბევრი მირტყეს, ავჭალიდან მომა-ბრუნეს (მ. ლებ., 515). 22. მამა სურათიდან ჩამოდის, ჩემს სულში სახლდება და კარგი მსაჯულივით მასამართლებს (ნ. ონაშ., 4). 23. აკაკის ვარდებს ესროდნენ და ცოცხალ ყვავ-ილებს ფიანდაზად უგებდნენ მას (მოგ. აკ., 403). 24. ლევანი მწერლებსაც იცნობდა და ფეხბურთელებსაც, მსახიობებსაც და მეცნიერებსაც (გ. ფანჯ., 196). 25. ოთარმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, კოლოფს ქვემოდან ცერი ამოარტყა და სიგარეტს პირით დასწვდა (გ. ფანჯ., 17). 26. ის ვერც კლდეებზე დაცო-ცავს, ვერც ხიდან ხტება მდინარეში (გ. ფანჯ., 90). 27. ბალახში, ტყეში ხმა ძვირფასი სიომ დაბანდა (პ. იაშვ., 175). 28. ცხენე-ბიდან ხურჯინები ჩამოხსნეს, უნაგირები მოხადეს (კ. ყმა, 17).

29. სუფრიდან პირველი ადგებოდა, გაივლ-გამოივლიდა, მეორე ოთახში გავიდოდა და თავის საქმეს ჩაუჯდებოდა ხოლმე (კ. ყმა, 248). 30. ის ჯიბიდან წიგნაკს და ფანქარს ამოიღებდა ხოლმე (კ. ყმა, 302). 31. თუთარს ბევრი არ უფიქრია, თოფი მხრიდან ჩამოიღო, ჩახმახი შეაყენა და ფეხით ბილიკს განი მოუსინჯა (ო. იოს., 14). 32. მაღლიდან კენჭი ჩამოვარდა და ახლოს დაეცა (ო. იოს., 79). 33. ჩანთიდან უშველებელი ოქროსფერი გასაღები ამოიღო, საკეტს მოარგო, გადაატრიალა, უხმაუროდ გააღო რკინის მძიმე კარი (ნ. ონაშ., 38). 34. ეაქა ცხენიდან ჩამომხტარიყო, მისულიყო ბიძაჩემთან, მოებოდიშა, წამოეყენებინა, შეესვა ცხენზე და თვითონ გზის იქით გადასულიყო (კ. ყმა, 16). 35. უჯრიდან შოკოლადის შრიალა ქაღალდი ამოვიღე, დავჭმუჭნე და კუთხეში მივაგდე (ნ. ონაშ., 35). 36. შევბრუნდი, ჩქარი ნაბიჯით წავედი, მთავარი ქუჩიდან გადავუხვიე (ნ. ონაშ., 19). 37. სულ ბოლოს, სადღაც გადასაკარგავში, ფრჩხილით და კბილით უნდა აცოცებულიყვნენ იმ მწვერვალზე (ო. იოს., 19). 38. აყეირდეს უკვე ქართულად მრისხანე თოფი და ზარბაზანი (პ. იაშვ., 96). 39. იცხოვროს ყველამ სიხალისით და სიყვარულით (პ. იაშვ., 75). 40. ნიკო ნელა დაიძრა თავისი ადგილიდან, მოსულს მიუახლოვდა, საყელოში ჩაავლო ხელი და დააჯანჯღარა (ნ. ონაშ., 90). 41. წამოდგა, მაგიდიდან ასანთი აიღო, ისევ დააგდო, მერე გულცივად და აგდებულად დაუსტვინა (ნ. ონაშ., 148). 42. მოაკივლებენ სარკმელს ქარები, მოახეთქებენ ბრაზით დარაბებს (ო. ჭილ., I, 552). 43. თოვლი თანდათან დაბლდებოდა, ჭუჭყიანდებოდა, დნებოდა და წყლად მიდიოდა (ო. ჭილ., II, 263). 44. ხეს უკაკუნებს, ხეს უვლის ირგვლივ ჭრელი კოდალა (ა. კალანდ., 385). 45. ხეებიც სვამენ ღვინოს ფოთლებით და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან (ა. კალანდ., 55). 46. სადღაც გაქრა შაში, ჭადრაკი და ყავის ფინჯნები (ნ. ონაშ., 65). 47. ზის და დუმს რუხი კურდღელი (პ. იაშე., 218). 48. შვილები გაიზარდნენ და ყოველ დილას თავის ტოტებით ეხებოდნენ საყვარელ დედას (პ. იაშვ., 262). 49. ავტოკალმებმა ხელჩანთები და გულისჯიბეები დატოვეს (ნ. ონაშ., 85). 50. სიცილი, ბილწსიტყვაობა, სიმღერა, ჭიქების ჭახაჭუხი, თეფშზე დანის მბრძანებლური კაკუნი და პათეტიკური სადღეგრძელოები ერთმანეთში ირეოდა (გ.

ფანჯ., 466). 51. ხმელი ყვავილები ლბილ მინდვრებს მაგონებენ, კიდევაც მახარებენ და კიდევაც მაღონებენ (მ. ლებ., 361). 52. მუშარადი და ჩაჩქანი ეყარა რიყის ქვასავით (ლ. ასათ., 97). 53. უნდა ვხნა, ვთესო, ვიშრომო და გამოვკვებო ქვეყანა (ვაჟა, 20). 54. შინ ჩაკეტილები ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ (თ. ბიბ., 121). 55. გეგონებათ, მართლაც, დაძრულან მთელი ქვეყნის დევები, შემოსევიან იქაურობას და სურთ ქვეყნის წალეკვა (კ. ყმა, 240). 56. რაღაცას გვსაყვედურობდა, გვიჯავრდებოდა, გვტუქსავდა, გვაფრთხილებდა, ჭკუას გვარიგებდა (ნ. ონაშ., 185). 57. სარკმელში ისევ თოვლი ირევა და ჰყვება თავის უბრალო ამბავს (ო. ჭილ., I, 564). 58. მოგძებნის, გამოგარჩევს, არ დააყოვნებს, დაგახატავს მაგ შუბლზე ნიკორს (მ. ლებ., 314). 59. და ხარბად მიმაქვს შენი დუქნიდან შუშა კიტრი და ქორფა მწვანილი (ლ. ასათ., 63). 60. ამ ძახილში, ბღავილში, კივილსა და ყიყინში, ამ უფერო და უფორმო ხმაურში ერთბაშად წამოვიდა წვრილი წვიმა (თ. ბიბ., 151). 61. იქ აღარც გამვლელი იყო ვინმე, აღარც გამომვლელი, არც მონადირე, არც მგზავრი (თ. ბიბ., 404). 62. ხალხი ერთმანეთში ურევდა მართალსა და ტყუილს, გაგონილსა და გამონაგონს (ო. ჭილ., I, 104). 63. უცინის ქალებს, ხელს ართმევს მუშას, ყველაფერს ასწრებს ყოჩაღი ბიჭი (ო. ჭილ., I, 587). 64. მგზავრებს თვალწინ გამოუჩნდათ პატარა მინდორი და ეკლესია (ა. ყაზბ., 238). 65. ბრწყინავს, ციმციმებს, ზარ-ზეიმობს მისი კარავი (ა. კალანდ., 158). 66. თითქოს ლოცულობს სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი (გ. რობაქ., 43). 67. უეცრად ის წამოხტება პეტრიძეს თუ პეტრიწის გაგონებაზე (გ. რობაქ., 67). 68. თანამშრომლები შეიშმუშნენ, ჯერ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ თავები დახარეს (ნ. ონაშ., 84). 69. იონა აღარ მოუსმენდა, ხმაურით გაიჯახუნებდა კარს, მოკლე ნაბიჯით გაჰყვებოდა დერეფანს (ნ. ონაშ., 77). 70. მთელი ღამე ვბოდავდი, ცეცხლის ალში ვკვნესოდი, მთელი ღამე ვშფოთავდი, მაჯლაჯუნას ვებრძოდი (მ. ლებ., 225). 71. ხვნეშის ჭაობი შხამით, დურბელით, უემურითა და ციებით სავსე (ლ. ასათ., 105). 72. გვიყვარდა გულით ფიროსმანი და თბილისის ღამე (ლ. ასათ., 30). 73. იდგა ქალაქი სილიან ტბორში, მისჩერებოდა ზეცას ავდრიანს (პ. იაშვ., 209). 74. თორმეტნიჩბიან ხომალდს მარტო ცხვირი და ანძა გამოე-

ყო გაგლეჯილი ბურუსიდან (ო. ჭილ., I, 99). 75. ხმამაღლა ქშუტუნებდა, ქანგისფერი გრძელი ცხვირით წარამარა ისრუტავდა დაგუდულ ჰაერს (ნ. ონაშ., 83). 76. ყველაფერს აქვს საზღვარი და ქართველის ვაჟკაცობასა და მხედრობას არც ჰქონია საზღვარი და არც ექნება (აკაკი, 161). 77. ვაჟა მხოლოდ შემდეგ გამოერკვა, ჯიბიდან ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ამოიღო, შევიდა სცენის გვერდით სამსახიობო ოთახში, მაგიდას მიუჯდა, უცბად ლექსი შეთხზა (მოგ. აკ., 73). 78. ჭირი და ლხინი უიმისოდ წარმოუდგენელი იყო (ი. გრიშ., 175). 79. სვამდნენ და თვრებოდნენ და ასე ჰყვებოდნენ (ლ. ასათ., 53). 80. ზღვის სივრცეებს გადაჰყურებს და უგზაენის ქვეყნის სალამს შორს მიმავალ მეზღვაურებს (პ. იაშვ., 216). 81. ირგვლივ ჩრდილები მძიმედ იძვრიან და ჩურჩულებენ იდუმალ ენით (ო. ჭილ., I, 579). 82. მე სუყველაფერი წამართვეს, გამქურდეს, გამძარცვეს (ა. ყაზბ., 107). 83. არაგვი იცვლის კალაპოტს, ტყისაკენ გაუწევია... კლდეებისაგან წასულა, ახლა მურყნიანს სწევია (ა. კალანდ., 411). 84. კარგად სვამდნენ, კარგად სჭამდნენ, კარგად ეცვათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენებს აჭენებდნენ (აკაკი, 160). 85. ბავშვივით გაეიქეცი მისკენ, მოწყვეტით ჩავიჩოქე, მკერდზე შუბლით მივეყრდენი (ნ. ონაშ., 68). 86. მან თავის მიზანს შესწირა მეგობრები და თავმოყვარეობა, სიამაყე და სიყვარული (გ. ფანჯ., 405). 87. მთელი მისი სილამაზე მაინც სველი თვალები, სქელი ტუჩები და საღი, თეთრი კბილები იყო (გ. ფანჯ., 510). 88. მერე მკერდზე ვუბიძგე, გზიდან ჩამოვიშორე, ტახტზე დავემხე, უხმოდ ავტირდი (ნ. ონაშ., 149). 89. წვიმა მოვიდა უბრალოდ, ჩურჩულით, მორიდებით და საკუთარი ღირსების გრძნობით (თ. ბიბ., 151). 90. გადინადირებ უახლეს დროებს, გადაბარგდები არსენას დროში, გადავარდები დაეითის ომში, მოითარეშებ წარსულის ტყეში, კვლავ დაბრუნდები დღევანდელ დღეში (მ. ლებ., 482). 91. მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველ დილით ეხვდები ნიკალას (ლ. ასათ., 33). 92. შეკრბა სრულიად სამეფო სპა იმერთა და ამერთა (ლ. ასათ., 94). 93. შემომეჩვიენენ ჩუმი მტრედები, თმებს მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით (პ. იაშვ., 131). 94. მიუხვდნენ სარდალს გულისპასუხსა მხედრები, სიტყვა აღარ აცალეს, იშიშვლეს მათაც ბასრი მახვილი და მზის სხივებზე ააპრიალეს (აკაკი,

63). 95. ვიღაც უჩინარი ადამიანი დაჰყვებოდა და უთვალთვალებდა (გ. ფანჯ., 40). 96. ხალხი კი შუა ქუჩაში მწყობრად ვიდოდა და ვიდოდა... გალობდა და გალობდა... იცრემლებოდა და იცრემლებოდა (მოგ. აკ., 90). 97. ბეჩარას არავითარი წარმოდგენა არა აქვს წიგნზე და კალამზე (ი. გრიშ., 159). 98. ჩეხოემა ალერსიანად გადახედა მანდილოსნებს და ღიმილით უპასუხა (ი. გრიშ., 179). 99. თვალი ზომავდა ნადირის ბასრი მზერით გზატკეცილის მიხვეულს თუ მოხვეულს, ოღროს თუ ჩოღროს (გ. რობაქ., 350). 100. სოფელი ერთ მუჭად შეკრული და დაპატარავებული ქვეყნიერებაა თავისი ხალხით და ჯამაათნით, ერით და ბერით, მეფით და კარისკაცით (თ. ბიბ., 11). 101. ხეჩინა სენაკებს, საოსტიგნებსა და ბნელ დერეფნებს გადაქექავდა (თ. ბიბ., 53). 102. მე დედის სურვილზე და მცდელობაზე მოგახსენებ (ო. იოს., 286). 103. უნახავს იგი, სახენათელი, სატევარით და შავი ჩოხითა (ლ. ასათ., 100). 104. მის თვალებში ამოვიკითხე მოულოდნელი სტუმრობით გამოწვეული გაკვირვებაც და მადლიერებაც (შ. ძიძ., 26). 105. ხეივანს მოსდევს მაღალი ქალი და მოჰყავს ჩემსკენ შრიალი თოვლის (მ. ლებ., 212). 106. ერთ დღეს აღარ იცოცხლებდა თავს, ან ზღვაში გადავარდებოდა, ან ძელზე ჩამოეკიდებოდა, ან მამიდის დამზადებულ შხამს დალევდა (ო. ჭილ., I, 122). 107. ის ჭროლა, მოუსვენარი თვალებით ხან ზღვას გადახედავდა, ხან გადაკაშკაშებულ ნაპირს (ო. ჭილ., I, 18). 108. ვაჟასთან ხან წყაროს წყალი მიმქონდა, ხან ხილი მიმქონდა, სადილი, მინდვრის ყვავილები, ხანაც უბრალო მწვანე ბალახი (კ. ყმა, 29). 109. თუ ვინმე აირჩევს ხან ერთსა და ხან მეორეს, ეს არც პირველის ბრალია და არც მეორესი (მოგ. აკ., 373). 110. ან ბუხარი სად ავუნთო, ან ნამდვილი ღვინო სად ვუშოვო (ო. იოს., 315). 111. აქ ან ჩაცმა-დახურვას რა აზრი აქვს, ან გაველაგამოვლას (ო. იოს., 398). 112. გაჩერება ისევ ბიჭებითა და გოგონებით აივსო (გ. ფანჯ., 327). 113. მეჯინიბე თავლაში შესვლას ვერ ბედავდა, გარედან ეძახდა, ეფერებოდა და ევედრებოდა გაგიჟებულ ცხენებს (ო. ჭილ., I, 203). 114. ამ ხნის განმავლობაში, ალბათ, ბიჭიც გაიზრდებოდა, შეიცვლებოდა და იმ მამაკაცებს დაემსგავსებოდა (ო. ჭილ., I, 441). 115. მე ვფიქრობდი მარტო გოგოზე და წყაროზე (თ. ბიბ., 66). 116. მე

დღენი უნდა დავლიო ოხვრით, ტანჯვით და წვალებით (ვაჟა, 90). 117. ჩურჩულობს თავისთვის სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი (გ. რობაქ., 77). 118. თაზიკა ბაბუა სარიდანს ეთამაშება, ხან მუხლებზე დაუვარდება, ხან წვერებზე წვდება, ხან ჩიბუხის ტარს ეცემა, ხან ხელს არტყამს ლოყაზე, ხან ყურში ამოსულ ბალანს ეხება თეთრს და იძახის (გ. რობაქ., 299). 119. შემოვიყვანოთ ბალღებივით ღიღილოები, ყაყაჩონი, ოქროღილები, ნამიკრეფია, ცის-ფოლიო, ბაბუაწვერა (ი. ჯოლბ., 37). 120. გადაგიკოცნი ყველა ქვას და ყველა ჩუქურთმას (ი. ჯოლბ., 39). 121. დილიდან საღამომდე იწნეხებოდა, იჭრებოდა და იტვიფრებოდა ოქროს ლასტები, დილიდან საღამომდე წკრიალებდა, კისკისებდა და ფერხორცით ივსებოდა კეთილშობილი ლითონი (ო. ჭილ., I, 13). 122. ყაყაჩოსავით სახეაბრიალებული უცხოელიც ხელებს შლიდა, ტრიალებდა, ილიმებოდა და ითმენდა (ო. ჭილ., I, 133). 123. ან დაემზადნენ სალაშქროდ, ან ისეირნონ ცხენითა (ვაჟა, 57). 124. ველებს, ჯურღმულებს ანათებს მზის სხივი გადმონთხეული (ვაჟა, 54). 125. უნგარმა დაუკვეთა ყვავილები,ნაირნაირი ხილი, რჩეული ხმიადი, უცხო სასმელები (გ. რობაქ., 363). 126. მე მაგონდება ნოემბერი, საღამო, ჭაღი და უეცარი გაცინება შენი, ბავშვური (ი. ჯოლბ., 29). 127. ჯერ წმინდა სანთლებს, წმინდა სანთლებს დაეინთებ მკერდზე, ხელისგულებზე, მთელ სხეულზე, ორივე თვალში (ი. ჯოლბ., 39). 128. მოვლენ ძმები, ნათესავები, თანასოფლელები, ნაცნობ-მეგობრები, ნახავენ მის გაწყობილ ოჯახს და მოკრძალებით განიმსჭვალებიან (გ. ფანჯ., 653). 129. ურუქამდე სული არ მოუთქვამთ ცხენებს, არაფერი დაუნახავთ, არაფერს მორიდებიან, გრიგალივით ბრმად, თავგადადებულად მიქროდნენ კრიახით, სისინით, ჭყივილით (ო. ჭილ., II, 210). 130. ის ხან მთაში იალაღების მოწესრიგებაზე დარბოდა, ხან შირაქის ველებზე ფშაველებისა და მოხევეების ჩამოსახლების საქმეებში იძირებოდა, ხან საკუთარი სოფლის მცხოვრებთა ინტერესების დაცვაზე ხარჯაედა დროს, ფულსა და ენერგიას, ხან თავისი ნაწერების გამოცემაზე წვალობდა (კ. ყმა, 363).

*§ 3. რთული.* 1. ალვა იხრება შიშით, ჩუმად ხითხითებს ვერხვი... ქსანზე გავარდა მეხი, გადიგრიალა რისხვით (ა. კალანდ., 293). 2. დამცხრალა ომების ხანძარი, იშუშებ ომების იარებს (ა. კალანდ., 71). 3. გარინდებულა დედა ბუნება, მდუმარებს ყანა, მდუმარებს არხი (მ. ლებ., 502). 4. და უცებ ამჩნევ სადგურის კივილს, ჩნდება ქალაქი მძიმე ხიდებით (ო. ჭილ., I, 568). 5. მწვერთნელმა ლაპარაკი დაამთავრა, ფეხბურთელები წამოიშალნენ (გ. ფანჯ., 135). 6. საკვამურებში სისინებს ქარი, იხურება და იღება კარი (ო. ჭილ., II, 428). 7. სიჩუმე არავის დაურღვევია, ყველამ აქეთ-იქით მიმოვიხედეთ, ფეხზე არავინ წამომდგარა (გ. ფანჯ., 219). 8. ნაბიჯს ავუჩქარე, გული ყელში მომებჯინა, სუნთქვა გამიხშირდა (ნ. ონაშ., 68). 9. წყალზე იხრება შენი აჩრდილი, სვამ და ვერასდროს ვერ იკლავ წყურვილს (ა. კალანდ., 288). 10. პარაშუტის ყურს ხევში მონაბერი ნიავი ბერავდა, ბაწარზე კაცი კონწიალობდა (ო. იოს., 44). 11. დაჭრილი გადაიყვანეს, თავქვეშ ქვა დაუმატეს, რომ სისხლი პირში არ წამოსვლოდა (ო. იოს., 39). 12. აკაკი, როგორც დიდი ნიჭის პატრონი, ხშირად ისეთ რამეს ამჩნევდა, რასაც უბრალო მომაკვდავი იოლად ვერ წარმოიდგენდა (მოგ. აკ., 147). 13. ანონსმა იმდენი ხალხი მოიზიდა ქართულ თეატრში, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა (მოგ. აკ., 54). 14. ჯერ ბრძანებით დამნიშნეს, მერე კი მე კონკურსით გავალ (ნ. ონაშ., 147). 15. არ კაკანებენ კაკბები, მელაც თვლემს დიდიხანია, უკანასკნელი საკვები სოროში შეუტანია (პ. იაშვ., 217). 16. მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი, რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით რაღაც ახალი, სულმთლად ახალი (ო. ჭილ., I, 581). 17. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ძალით მაგდებდნენ ცივ შხაპში (ნ. ონაშ., 152). 18. ის კი ერთხელ დასჭირდათ აქვე, ალბათ, ნახევარი დღის სავალზე, რომ რამდენიმე სიტყვა თარგმნოს გერმანულიდან (ო. იოს., 74). 19. ციემა ქარმა წამოუბერა, ლოდებში უძრავად ჩაწოლილს შეაჟრჟოლა (ო. იოს., 46). 20. მამა და დედა მივიდნენ ძროხასთან, თავს დასტრიალებდნენ, ეწეოდნენ ასაყენებლად, მაგრამ ძროხა ფეხზე ველარ დგებოდა (კ. ყმა, 234). 21. თმაში თეთრი ზამთარია, თოფს ძველებურ ველარ ვხმარობ (მ. ლებ., 117). 22. ლულებზე ელავს ცივი მზე დილის, გააქვთ ჩხრიალი ქვაბებს, მათარებს (მ. ლებ., 66). 23. თავი საშინლად მიბრუ-

ოდა, ძლივს ვიცავდი წონასწორობას (ნ. ონაშ., 111). 24. ვიწრო ბილიკებს ბილიკი ჩასდევს, გზას თვალს არ ვაცლენთ არც ერთი წუთით (ა. კალანდ., 285). 25. ხმაში თანდათან შემერია ცრემლი, გული ყელში მომებჯინა (ნ. ონაშ., 116). 26. ლალიმ ტაში შემოკრა, მირიანმა მორცხვად რაღაც ჩაილაპარაკა (ნ. ონაშ., 179). 27. ცვლა დაიწყო, რაშიდამ ღილაკს ხელი დააჭირა, მანქანა ამუშავდა (გ. ფანჯ., 60). 28. თავი დავუქნიე, იმანაც დამიქნია (ნ. ონაშ., 61). 29. შენ თვალები დასუჭე, მე სუნთქვა შემიგუბდა (ნ. ონაშ., 119). 30. ჩემი ხეობის ცა მხურაეს, სულს დაღლილს ზავი სწყურია (მ. ლებ., 376). 31. ის კედელიც თავზე წამოადგათ, სადაც თუთარის ვარაუდით პარაშუტისტი ეკიდა (ო. იოს., 70). 32. ამას რომ წერდა, ზამთარი იყო, ავდარი იყო სითბორეული (მ. ლებ., 94). 33. გავხედავ ბაღში, წვიმა ცვივა კრიალა ბრინჯად (პ. იაშვ., 162). 34. დღეები გადის, თვეები გადის, წლები გადის (მ. ლებ., 299). 35. როგორც კი ადგილზე მიიჭრა, ცხენის გაჩერებას არ დაელოდა, ჩამოცურდა (ო. იოს., 15). 36. მე აქედან ცოცხალი არ გავალ, სანამ ჩემთანვე თქვენ მიერ დაბეჭდილის უარყოფას არ დასწერთ (კ. ყმა, 392). 37. ზოგი პირველ გამოთქმას ემხრობოდა, სხვები გაცხარებით იცავდნენ მეორეს (მოგ. აკ., 333). 38. ჩაშლილა თვალი და ჯაჭვი ჩარღვეულა, იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა (მ. ლებ., 295). 39. კლდეებში ჯიხვი დაფრთხება, გორში იტირებს ატამი (ა. კალანდ., 28). 40. ის მაწუხებდა, რომ წელან ვაწყენინე (ნ. ონაშ., 127). 41. დაუბრუნდებით შეჩვეულ ბინებს, წამოგიძღვებათ დროშა გაშლილი (პ. იაშვ., 198). 42. მადლობა ყველას, ვინც მიდგა მხარში (მ. ლებ., 437). 43. ჩემი კაბაა, რომ საუბრობს სამხრეთის ქართან (ა. კალანდ., 149). 44. შარშან ჯოკიამ რომ თავისი კარაბინი მასროლინა, სამი ტყვიიდან სამივე გავაძვრინე ბოთლის ყელში (გ. ფანჯ., 85). 45. ზურგს უკან ყველა ჭორავდა, პირში თქმას კი ვერავინ უბედავდა (ნ. ონაშ., 78). 46. ადგილზე დასობილმა ცხენმა ფეხი განზე გადგა, რომ წონასწორობა დაეცვა (ო. იოს., 11). 47. ახლა კვამლი ცაში ადის, ღუღუნებენ ბუხრები (მ. ლებ., 500). 48. იმ დროს ახლად ჰქონდა შეპარული ჭაღარა, რაც ძალიან უხდებოდა (მოგ. აკ., 74). 49. დამთავრდა ფუჭი წკრიალი ბროლის, წინ ცხოვრებაა უცხო და მკაცრი (ო. ჭილ., I, 562). 50. ეს იყო სულიერი ტრაგე-

დია ადამიანისა, რომელიც აღსასრულამდე, სიკვდილამდე, ვე-
ღარ გაარკვევს საკუთარ თავს (გ. ფანჯ., 36). 51. მე მაქვს კი-
დევ რამდენიმე ნივთი, რომელიც ჩემი ქმრის გაუმაძღრობას
გადავარჩინე (ა. ყაზბ., 82). 52. გაგხდიან სისხლიან ჩოხას, გა-
დააგდებენ, წაიღებს მტკვარი (ა. კალანდ., 274). 53. ვერაფრით
გაეხსენებინა, თვითონ გადმოხტა აივნიდან, თუ იმათ გადმო-
აგდეს (ო. ჭილ., II, 62). 54. ამ ლაპარაკმა ორნივ იმ თავდავიწ-
ყებამდე მიიყვანა, რომ უმთავრეს გზას ასცდნენ და ბილიკ-ბი-
ლიკ წასულნი ხშირ ტყეში შესულიყვნენ (ა. ყაზბ., 49). 55. ეცემა
თოვლი და ყველაფერი, ზღაპრად ქცეული, თოვლში მიცურავს
(ო. ჭილ., I, 565). 56. ბაზრიდან იმ წნულებს რამე გამოჰყვება
და ფრთხილად გარეცხავს მას თეთრი თითები (მ. ლებ., 423).
57. ლევანს ყველაფერში ეტყობოდა, რომ რესტორანი მისთვის
ახალი ხილი არ იყო (გ. ფანჯ., 11). 58. ისეთი გულდაჯერებით
ეპასუხა სვიმონმა, თითქოს ყოვლად შეუძლებელია საეჭვოდ
მიიჩნიოს ვინმემ მისი სიტყვა (ა. ყაზბ., 79). 59. ახლა წინ წამო-
ვედი, ისიც წამოვიდა (ნ. ონაშ., 126). 60. ის პერიოდი უკვე გა-
ვიარე, როცა კრიტიკოსებისაგან უბრალო მოხსენიებაც კი
გსიამოვნებს ხოლმე (გ. ფანჯ., 46). 61. მე გამეხარდა გაღიმება
ბავშვური ზანგის, ნილოსის პირად რომ ვაჭრობდა მკრთალ
ბანანებით (პ. იაშვ., 127). 62. ქვევრებს ელიან გრძელი ყანწე-
ბი, კედლებს შეენიან ქორბუდას რქები (მ. ლებ., 501). 63. ელა-
ვენ კლდეთაკბილები, ესუნთქავ ნაპრალთა ნასუნთქარს (ო.
ჭილ., I, 541). 64. მოხსნა ვაჟამაც ცხენს ის თავისი ნაბადი და მო-
იხვია, მაგრამ ნაბადმა წვიმა ვერ დაიჭირა (კ. ყმა, 324). 65. რო-
ცა ქვევით ჩამოდიოდა, ხევგალმა, მწვერვალებში, ვიღაც მო-
ეჩვენა (ო. იოს., 70). 66. მინდვრებში ქარიც ისევ გუგუნებს,
ისევ დაქრიან მატარებლებიც (ო. ჭილ., II, 498). 67. დაუკრეჭია
კბილები ყინვას, ქარი ყველაფერს და ყველას ერჩის (ო. ჭილ.,
I, 545). 68. სანამ ბიჭები სიცილით გულს არ იჯერებდნენ, ვერ-
სად გაიქცეოდა (გ. ფანჯ., 14). 69. ღუმელში ისეთი სიცხეა, რომ
შეჩვეული კაცი ათ ნაბიჯზე ახლოს ვერ მივა (გ. ფანჯ., 354).
70. იწივლა ტყვიამ და მის გვერდით კლდეს ნაფხვენები ჩამო-
ცვივდა (ო. იოს., 44). 71. ვინც ის ამბავი მიამბო, იმან მითხრა
ესეც (მოგ. აკ., 115). 72. მატარებელი ნელა წავიდა, ხელშეკ-
რულება გავშალე ნდობით (პ. იაშვ., 174). 73. ჟანდარმერია გა-

ფაციცებით ეძებდა და იჭერდა ყველას, ვისზედაც კი ოდნავი ეჭვი ჰქონდა (კ. ყმა, 238). 74. ამიტომაც ჯობს ვუსმინო ნაჯახს, სადღაც ასე უხეშად რომ მღერის (ო. ჭილ., I, 554). 75. ყურში ყოველ წუთს უწივი, რომ ქვეყნად გაჩნდა ახალი კაცი (პ. იაშვ., 153). 76. მომეჩვენა, რომ თითქოს მე ვიდექი იმ სვეტთან ოცნებადამსხვრეული და ცრემლმოძალებული (ნ. ონაშ., 144). 77. შემთხვევით მუჭაში თიხა რომ გაჭყლიტოს, გენიალურ ნამუშევრად ჩაუთვლიან (ნ. ონაშ., 21). 78. დედის თვალებს ცრემლი ნამავს, ნიკო-ბიჭსაც ვერავინ ართობს (მ. ლებ., 558). 79. ჭალაში დავკარგეთ ხოხობი, ქედნებმა დაგვეაფრთხეს ზვინთან (მ. ლებ., 506). 80. დაბადებულა მეზობლის ძაღლი, ეზოში ვიღაც სარეცხსა ჰკიდებს (მ. ლებ., 537). 81. და დიდი თევზი ფრთას მახურავდა, რომ ავცდენოდი გზასა და ნაპირს (ო. ჭილ., II, 455). 82. ერთ ხანს სამაღლოდ პურს გვაჭმევდნენ, სანამ არ მოგვივიდა ამბავი გორიდან (კ. ყმა, 238). 83. და დღეები გადის ზანტად, ღამეები გროვდება, ვიღაც უსაშველო ლანდად მწუხრში მიახლოვდება (მ. ლებ., 338). 84. სვეტლიცკი მივიდა ქალის ოთახთან, შედგა, ყური დაუგდო, მაგრამ ხმაურობა არ გამოდიოდა (ა. ყაზბ., 12). 85. ჩქარობენ ცხენები, მთვარე ამოცურდა, მდინარე მთებისა მთის ამბავს მღერის (პ. იაშვ., 122). 86. კარგა ხანს მოუხდა ლოდინი ამ საზოგადოებას, ვიდრე კლუბის ეზოში რამდენიმე ეკიპაჟი გამოჩნდებოდა (მოგ. აკ., 403). 87. მაგრამ იონა ისეთი სიხარულით მომეგება, თითქოს მთელი სიცოცხლე მხოლოდ ამ შეხვედრაზე ოცნებობდა (ნ. ონაშ., 59). 88. მშობლების სიკვდილის შემდეგ ვაჟა-ფშაველას პირველ ხანში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა, რადგან შემომტანი აღარავინ ჰყავდა (კ. ყმა., 323). 89. დაგინთო ჩემსიგრძე სანთელი მისთვის, რომ ჩემს გულში დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი (პ. იაშვ., 86). 90. და ქალაქს დაღლილ გემივით აბამს, რომ არ დაიმსხვრას ქვებზე ქალაქი (ო. ჭილ., II, 456). 91. ტაშტში კენჭივით ეცემა წვეთი, გაჰყურებს ბავშვი წკვარამში სარკმელს (მ. ლებ., 540). 92. კაცს თვალები ეშმაკურად გაუბრწყინდა, სასოებით სავსე გამომეტყველება მიიღო ქალმა (ნ. ონაშ., 53). 93. ამ იფნს მამაჩემმა თავისი ხელით შემოავლო ქვის ყორე საქონლის ბაკისათვის, სადაც ზაფხულში ღამით საქონელი გვეყენა (კ. ყმა, 269). 94. დახურეს გზები, მო-

ვეფანტეთ ყაერიან ქოხებს (პ. იაშვ., 105). 95. შენ შემიძულებ., მაგრამ მე მაინც უნდა გითხრა (ნ. ონაშ., 107). 96. მე ხელი ჰაერში გაშეერილი შემრჩა, ხოლო ვაჟამ ორივე ხელით გაიოგი გულს მიიხუტა (კ. ყმა, 130). 97. გუშინ სიები დავბეჭდე, პირველი შენ წერიხარ (ნ. ონაშ., 101). 98. მე გავიწუწე, მთვარე ზღვაში რომ ჩადიოდა, ზღვის სიყვარული დამასხურეს მეზღვაურებმა (ნ. სამად., 66). 99. მეც სუმბულივით დავიგოლვები და მეც გამახმობს უცხო ზმანება, თუ საქართველოს ლურჯი გორები დროზე არ ნახა ჩემმა თვალებმა (ლ. ასათ., 39). 100. თურმე დღემდე იმ ხმას კი არა, დანას ემალავდი, რომელიც მკვლელობის შემდეგ შემომაჩეჩეს ხელში ძალით (ო. ჭილ., II, 501). 101. ვინც ჩაფიქრდება ან აუკანკალდება ხელი ასრულების დროს, ის მაშინვე ჩემი ბიჭებისაგან მოიკვლება (დ. ჭონქ., 72). 102. ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმან ლათინურად უნდა ისწავლოსო, ხოლო ვისაც მხოლოდ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან სჯულის კანონი შეისწავლოსო (აკაკი, 149). 103. ვინც თავისას მიატოვებს, ჩვენი ეზოს პატრონად არ გამოდგება (ო. იოს., 590). 104. აწ იქმნას ის, რაც სწადიან განგებას უფლისასა (ილია, 165). 105. სულ მთლად იქ მოგროვილიყვნენ, ვინც კი იყვნენ თან ხლებულნი (ილია, 172). 106. მისდერის ბოლოში ბრწყინავს მდინარე, მდინარის გალმა ბრწყინავს კრამიტი (ო. ჭილ., II, 521). 107. შენ და შენს ტოლ-ამხანაგებს ამ კრებაზე წრფელ მადლობას გიცხადებთ იმ ღვაწლისათვის, რომელიც ჩემს წინაშე მიგიძღვით (კ. ყმა, 72). 108. მითხარ ის ტკბილი სიმღერა მალე, რომ აელვარებს მთათა მწვერვალებს (ლ. ასათ., 103). 109. იმან მისცა დურმიშხანს ნახევარი თავის ქონება იმ აზრით, რომ ერთსაც მოიგონებდა იმას და აუნთებდა ღმერთს სანთელს იმის ცოდვების შესამსუბუქებლად (დ. ჭონქ., 47). 110. ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქედზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო (ილია, აზრ., 32). 111. ყოველ ორიანზე ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს სასიკვდილო განაჩენი გამომქონდა უდანაშაულო ადამიანისათვის (ნ. ონაშ., 159). 112. არ არსებობდა თითქოს აქამდე არც გზა, რომელიც გვირაბში შედის, არც ხე, რომელიც უნდა აყვავდეს (ო. ჭილ., II, 487). 113. მე, ვინც ნიადაგ ტკივილითა და მწუხარების ბუ-

ნანითა ვარ მოცული, ვარიგებ თითო მუჭა ნუგეშს (ი. ჯოლბ., 180). 114. ჩვენ ვცდებით, ვერ ვსაზღვრავთ ჩვენის ტვინითა იმას, რაც წარმოსდინდება სიწმინდის ჭურჭლის პირითა (ვაჟა, 64). 115. კოდალა ხის ძირს მიეკრა, მამალმა თავისუფლად ბოლთას დაუწყო ცემა ბალახით და ხმელ მოლეწილ ხეებით მოფენილს დედამიწაზე (ვაჟა, 302). 116. უკან გაბრუნდა იმ გზით, საიდანაც გადმოვიდნენ (ო. იოს., 157). 117. როცა მეთაური ბრეზენტს შიგნით შემოიყვანეს, ფეხზე წამოყენება დაუპირეს (ო. იოს., 63). 118. ხალხი, წეღან რომ ზღვასავით შფოთავდა, დუმდა (თ. ბიბ., 143). 119. მოხუცი ბასხაჯაური იმ მოხურულ კარს უყურებდა, სადაც ახლა გოგო შევიდა თავისი ანთებული ჭრაქით (თ. ბიბ., 429). 120. ამ მოწაფის გაცნობა დიდი ხანია მინდოდა, რადგან მის შესახებ ბევრი რამ კარგი გაგონილი მქონდა (კ. ყმა, 52). 121. ვანელები ამბობდნენ, ვინც დარიაჩანგის ბაღში თავის ხელით მოწყვეტილ ვაშლს შეჭამს, ოქროსთმიანი ვაჟი გაუჩნდებაო (ო. ჭილ., I, 12). 122. მეღეას რწმენით ფრიქსე ქარისას ღვთაება იყო, ქარისას კერპი, რომელიც ერთმანეთზე უკეთესი ვაჟებით ასაჩუქრებდა თავის ერთგულსა და მშვენიერ მხევალს (ო. ჭილ., I, 70.). 123. აკაკის წინადადებით ჩვენ გადავწყვიტეთ და იქ დამსწრესაც ყველას ვთხოვეთ, რომ ეს ამბავი საიდუმლოდ დაცულიყო (მოგ. აკ., 314). 124. ხომ გაგახსენდა, რომ მოგეახლა ჩაძინებულს ადგილის დედა (ი. ჯოლბ., 26). 125. რაც ენა ავიდგი, რაც ნათელს ვიხილავ, ვიცი ქვეყანაზე ამისთვის მოვედი (ი. ჯოლბ., 27). 126. მერე მარტო იყო კარავში, სკივრზე იჯდა და მოუთმენლად ელოდებოდა, როდის დაიფრუტუნებდა ცხენი სიბნელეში (ო. ჭილ., II, 80). 127. დასაცვენი ფოთლები გამჭკნარა და დაცვენილა, გარბენილა ბავშვობა და წლებს იქით დარჩენილა (მ. ლებ., 542). 128. ფოცხვერეს გადმოდგა ვარსკვლავი, ორღობეებში ბინდია, ჩუ, გალავანში ცხვარს ჰკლავენ, ჯაჭვს თუჯის ქვაბი ჰკიდია (მ. ლებ., 375). 129. ჭრელ თუთასავით მოფათქუნებს წვიმა ხითხითა, მზე ცისარტყელას მშვილდთა შორის ცეკვავს შარაზე (ი. ჯოლბ., 144). 130. ოქროს ფოთლები ცეკვავდა ქარში, ჩვენ ვაგროვებდით კბილანა ფოთოლთ, შენ ატარებდი ჩემს წიგნებს ჩანთით, მე სიყვარული დამქონდა თოთო (ი. ჯოლბ., 28).

# მარტივი წინადადება
# წინადადების მთავარი წევრები
# შემასმენელი

## მარტივი შემასმენელი

*§ 4. ერთპირიანი ზმნა შემასმენლად.* 1. წაიქცა ბოთლი და მშვენიერ თეთრ სუფრაზე გადაიღვარა პირისფერი სითხე (ა. ყაზბ., 132). 2. განქრა ვარსკვლავი, ქალიც შეკრთა, წატორტმანდა (ა. ყაზბ., 153). 3. ფიქრი ირევა ჩემს თავში (პ. იაშვ., 145). 4. აივსო მთელი ქვეყნიერება (პ. იაშვ., 114). 5. ისინი უთუოდ ომამდეც მეგობრობდნენ, სადესანტო ჯგუფშიც ერთად მოვიდნენ (ო. იოს., 62). 6. ნიავი შეწყდა, ნისლი თითქოს მოძრაობაში მოვიდა, შეთხელდა და გაშუქდა (ა. ყაზბ., 160). 7. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა ის (ა. ყაზბ., 132). 8. ბნელში ცად აჭრილი მყინვარები ილანდებოდა (ო. იოს., 14). 9. ცხოველთა უმრავლესობა ტყვეობაში კვდება (ო. იოს., 74). 10. ერთ დღეს გაჩენილეარ, ერთ დღეს მოკვდები (თ. სახ., 178). 11. დღე ღამდებოდა და ღამე თენდებოდა (თ. სახ., 163). 12. მადნებით გამჯდარ მიწაში ცივი წერაქვი დაიორთქლა (პ. იაშვ., 151). 13. კატაც ვერ გაძღება მის ოჯახში (თ. სახ., 318). 14. იმის ხნის ქვაც არა გორავს (თ. სახ., 290). 15. ცა იფუტკრება სკად (მ. ლებ., 114). 16. დაბერდნენ, დაწყდნენ, დაიხოცნენ იმ ალპურ კორდზე (მ. ლებ., 152). 17. წვანან ჩაძირულ გემის ფიცრები, წვანან ჩაძირულ გემის აფრები (ო. ჭილ., II, 483). 18. და გუბეებში ირეკლებოდნენ უზარმაზარი მატარებლები (ო. ჭილ., II, 427). 19. ბექას ეარაუდი ძალიან მალე გამართლდა (ნ. ონაშ., 158). 20. ქუჩიდან მანქანის საყვირის ხმა მოისმა (ნ. ონაშ., 91). 21. გურამი ცოტა დამშვიდდა (გ. ფანჯ., 116). 22. უზარმაზარი რეაქტიული თვითმფრინავის კიბესთან მგზავრები ირეოდნენ (გ. ფანჯ., 165). 23. მოშხუის ფშავის არაგვი, არ დაიღლება დენითა (ა. კალანდ., 425). 24. დგანან ირგვლივ ჩუმი ლანდები (ა. კალანდ., 309). 25. პროცესის მსვლელობის დროს ხალხში მრავლად იყიდებოდა ვაჟას ლექსები (კ. ყმა, 133). 26. რაღაცა ხმა მოისმა ამავე დროს და ერთი ქვის სათაურიდგან დაძაგრული შეილდისარი გამოჩნდა (ა. ყაზბ., 160). 27. ნატაშა სიბრალულით

გაიქცა ნაჩვენებ მხრისაკენ (ა. ყაზბ., 107). 28. ლეონტიევი სულ მთლად გაფითრდა (ა. ყაზბ., 106). 29. ყოველი მისი ახირებული კაპრიზი სრულდებოდა (მოგ. აკ., 40). 30. ბილიკის თავში რაღაც გაილანდა (ო. იოს., 47). 31. ვარსკვლავებიც კრთოდნენ და ციახცახებდნენ (ო. იოს., 73). 32. ჰაერი ნოტიო ნისლით იჟღინთებოდა (ო. იოს., 57). 33. აინთნენ სახლები ალმურის მოდებით (პ. იაშვ., 78). 34. მაინც იფეთქებს თქვენი კვირტები (პ. იაშვ., 155). 35. გერმანელები დიდ გამოქვაბულში დაბანაკდნენ (ო. იოს., 53). 36. მამალი ინდაურივით იბერება (თ. სახ., 368). 37. ქვეყანა ღერძზე ტრიალებს (თ. სახ., 680). 38. მეწამულ ზღვაში ფლოტები დგანან (მ. ლებ., 373). 39. ძეწნებში შავი ბარტყივით შეფერებულა წისქვილი (მ. ლებ., 375). 40. გარდაიქმნა ქვეყანაც უმალ, ისიც ჩვენსავით გარდაიქმნება (ო. ჭილ., I, 564). 41. პირზე ხელაფარებული მივფარფატებდი ნაწვიმარ ქუჩაზე (ნ. ონაშ., 200). 42. მანქანა დაიძრა, ფანჯარაში მტვერი შემოიჭრა (გ. ფანჯ., 178). 43. ცა ირხევა, ვით ერეკლეს ბაირაღი (ა. კალანდ., 350). 44. აინთებიან ვარსკვლავების ჩუმი თვალები (ა. კალანდ., 212). 45. შალვა წამოხტა და ხევდახევ გაიქცა (კ. ყმა, 281). 46. ხიდიან ველის ძირს, მართლაც, მჟავე წყალი ამოდიოდა (კ. ყმა, 232). 47. მოვიდა ზოიაც და დადგა მასთან (ა. ყაზბ., 133). 48. მამა მიეიდა ტახტთან და ჩამოჯდა (ა. ყაზბ., 13). 49. ის უკან აღარ დაბრუნდებოდა, იმ წუთშივე გადაიმალებოდა (მოგ. აკ., 62). 50. ნისლი ჩამოწვა მწვერვალებში (ო. იოს., 86). 51. გამოქვაბულში ნისლი რძესავით იდგა (ო. იოს., 87). 52. ქალი წყნარად შევიდა და დადგა (ა. ყაზბ., 39). 53. ჩექმის ხმა მოისმა (ო. იოს., 98). 54. თაჯი მის ფეხებთან გაწვა და მოიკუნტა (ო. იოს., 99). 55. კლდეში ქარივით დატრიალდა ავსილი თეფში (პ. იაშვ., 176). 56. შენც ხალხში დაინერგები დაუმარცხებელ ქანდაკად (პ. იაშვ., 183). 57. ჩემ თავზე კალოდა არ გალეწილა (თ. სახ., 775). 58. ფეხზე აღარ იდგა სიხარულისგან (თ. სახ., 651). 59. პოეტის აზრი ხალხში ბრწყინდება (მ. ლებ., 359). 60. და მთელი ღამე გრგვინავდა ქარი (მ. ლებ., 77). 61. და იკლაკნება ბუსარში ბოლი (ო. ჭილ., I, 550). 62. ისევ უკან მიდგა და წელანდელ მდგომარეობაში გაირინდა (ნ. ონაშ., 204). 63. თოვლის დიდი ფანტელები ლამპიონების შუქზე ალმასებივით ბრწყინავდა (გ. ფანჯ., 135). 64. იმათ თვალებში, დახეთ, ინთება ცეცხლი ფარული (ა. კა-

ლანდ., 270). 65. ქალი შეკრთა და გაფითრდა, გაქრქოლდა და მოიკუნტა (ა. ყაზბ., 93). 66. ქალი მთლად გაბრწყინდა და გახარებული გავარდა (ა. ყაზბ., 95). 67. ქვევით, ქუჩის ვიწროში, მიწა გუგუნებდა... მალე სულ აირია მწყობრი და რიგი... ახლა ყველა საზღვარი წაიშალა (მოგ. აკ., 90). 68. ფიცხი ჩალა ნაფუზარში აიშალა (პ. იაშვ., 192). 69. სხვის დაუხმარებლად იგი აქ პირველ დღესაც ვერ ამოვიდა (ო. იოს., 128). 70. იგი მაინც მიდის ბილიკზე, სადაც ადამიანები ფორთხვით და მკლავის კიდებით ჩამოდიან (ო. იოს., 131). 71. ანკარა, ჩუხჩუხა წყალი ამოდის აგერ და მიდის, მიედინება უქმად (ო. იოს., 132). 72. მაგრამ ყველგან გაისმოდა ერთი დიდი საყვედური (პ. იაშვ., 186). 73. დაგრიალდა ჯარა (თ. სახ., 139). 74. ჯოჯოხეთის ალი ტრიალებს (თ. სახ., 958). 75. თავაწეული და ამაყი მოაბიჯებდა (მ. ლებ., 328). 76. და მათი ხმებით აივსება ეს დიდი სახლი (ა. კალანდ., 176). 77. მოულოდნელად ხევიდან ცხენის ხმა მოისმა, მერე მიჩუმდა, მალე ისევ განმეორდა (ო. იოს., 158). 78. წინ მიმავალი ბიჭი ჩერდებოდა (ო. იოს., 159). 79. მათი აკვანი სისხლის მორევში ატორტმანდება (პ. იაშვ., 197). 80. გაბრწყინდებიან შორეული ზღაპრული მთები (ა. კალანდ., 165). 81. გამხიარულდა ბუხარი (თ. სახ., 75). 82. სულ ახლოს მოისმა ნალების ჭახანი (ო. იოს., 168). 83. შორს ქვემეხებით პორტი ნათდება (მ. ლებ., 33). 84. ისმოდა ქათმების კრიახი და გოჭების ჭყვიტინი (გ. ფანჯ., 10). 85. დიდი მადლობა შვილო! — სულ ჩაშაქრდა მორიგე (გ. ფანჯ., 43). 86. მოვიდა თოვლი, ჩამოწვა ფიფქი ტირიფის რტოით (ა. კალანდ., 211). 87. მერე ნაბადზე მიძინებული ქალიშვილიც ნელა წამოიწია, გარეთ გაიხედა და ამ დროს სტვენა ისევ გამეორდა (ო. იოს., 86). 88. უცხოდ დგას შენი შარავანდედის მეფური ბრწყინვა... მიუკარების მისგან გულისაც გალხვება ყინვა... (ა. კალანდ., 136). 89. ისვენებს ხალხი, პოეტი მარტო ფიქრობს და იწვის ლექსის მშვენებით (ლ. ასათ., 21). 90. ოთახი ივსება მოსულებით (პ. იაშვ., 278). 91. ერში განთავისუფლების იდეა მომწიფდა (ი. გრიშ., 118). 92. დგას ფიროსმანის მოხატული თბილის-ქალაქი (ლ. ასათ., 67). 93. შემდეგ მოსხლეტით ლოგინისკენ გაიქცევა (გ. რობაქ., 106). 94. ტფილისი გოგირდის აბანოთი იწყება და გოგირდის აბანოთი თავდება (გ. რობაქ., 208). 95. დარბაზი ინგრევა ტაშის გრიალით

(გ. რობაქ., 251). 96. ისმის დარბაზში მოხარული ხალხის სიმღერა (პ. იაშვ., 72). 97. ფოთლისა გვარად ცახცახებდა ფურცელი ძველი (ლ. ასათ., 68). 98. აქ ისვენებდა მუზების ღმერთი და შუბლმაღალი ოლიმპიელი (ლ. ასათ., 18). 99. მათ შორის იმართებოდა ასეთი დიალოგი (ი. გრიშ., 70). 100. ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება (ილია, 379).

*§ 5. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა შემასმენლად.* 1. მორეულ მთათა შემოეხვევა ნისლი გრძნეული (ა. კალანდ., 132). 2. ეთხოვებოდა მზეს ნაძვის წვერი (ა. კალანდ., 48). 3. სიჩუმე ქვიმას ეფინება გამთიბარ წუთებად (პ. იაშვ., 175). 4. ის ეალერსება მუხლებზე დამჯდარ შვილიშვილს (პ. იაშვ., 254). 5. ესიზმრებოდა სოფლური ეზო (პ. იაშვ., 153). 6. კისერზე მოეხვია უენო პირუტყვს და თავის უმწეობაზე შესჩივლა (ო. იოს., 128). 7. ისინი გამოსასვლელს მიადგნენ (ო. იოს., 98). 8. ის სასწრაფოდ ბილიკის დასაწყისს მიუახლოვდა (ო. იოს., 130). 9. მეორე ადგილას ახალგაზრდები სროლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს (კ. ყმა, 242). 10. მოხუცი კაცი საქართველოს ტყეებს უფრთხილდება (მ. ლებ., 332). 11. ჩემი დღეების შავი მდინარე ისევ და ისევ შენს დღეებს ერთვის (მ. ლებ., 299). 12. აკაკი ესტუმრა პეტერბურგს მოსკოვში გადახდილი ზეიმის შემდეგ (მოგ. აკ., 33). 13. ორი დიდი ქართველი ერთმანეთს გადაეხვია (მოგ. აკ., 67). 14. მას სხეულში სითბო ჩაეღვარა (გ. ფანჯ., 129). 15. გზაში პატარა ბავშვები აედევნენ (გ. ფანჯ., 105). 16. ოთარი დერეფანში შეეჩეხა მწვრთნელის ოთახიდან გამოსულ ფეხბურთელებს (გ. ფანჯ., 158). 17. ისინი დინჯად გაუყვნენ დაცარიელებულ ქუჩას (გ. ფანჯ., 161). 18. ვაკეზედაც ურემი გადაუბრუნდება (თ. სახ., 196). 19. თავისი ქორი ყველას გამოუჩნდება (თ. სახ., 233). 20. თითქოს სექტემბრის ფერადი ცეცხლიც სილამაზისათვის ედება მუხებს (ო. ჭილ., II, 520). 21. ადამიანი იყო პოეტიც, ბევრჯერ წაექცა მასაც სხეული (ო. ჭილ., II, 534). 22. თოფს აეკიდა კაჟიანს, გამოცდილივით დაკვესა (პ. იაშვ., 230). 23. ჩაემეგობრა, ჩაეკრა ძმასავით სანდობ მკერდშია (პ. იაშვ., 236). 24. დღეს მისი სული ზამთარს ეჩვევა (მ. ლებ., 533). 25. ყვითელ აზიას ეფინება წითელი ფერი (მ. ლებ.,

367). 26. ტბორებად ეხვეოდა ბინდი ნასახლარებს (მ. ლებ., 463). 27. იგი ახლა არავის არ ებრძოდა, გარდა სიკვდილისა (ო. იოს., 83). 28. იძულებით გამორეკილი ტყვეები გზას თავდაღუნული დაადგებოდნენ (ო. იოს., 50). 29. კაპრალი იქაურობას გაეცალა (ო. იოს., 62). 30. შიო შეუწყვეტლად ვაჟას ეჯიბრებოდა (კ. ყმა, 92). 31. აკაკი ხშირად ემდურებოდა მაშინდელ ცენზორს (მოგ. აკ., 54). 32. მაგრამ უშვილოდ დარჩენილ დედას ქარიც სხვა ხმაზე ეჩურჩულება (ო. ჭილ., II, 498). 33. ზოგს ელანდება თევზის ბრჭყვიალი (ო. ჭილ., II, 478). 34. მიწას შენგანაც ეცემა ჩრდილი (ო. ჭილ., I, 585). 35. თვითმფრინავი თბილისს უახლოვდებოდა და ნელ-ნელა ეშვებოდა (გ. ფანჯ., 172). 36. სინათლე და სიბნელე ერთმანეთს რიტმულად ენაცვლებოდა (გ. ფანჯ., 207). 37. იგი პირველად ამოეფარა მოწინააღმდეგის მცველს (გ. ფანჯ., 133). 38. წამოიძახა იმან და ახლად შემოსულს გადაეხვია (ა. ყაზბ., 83). 39. ცას ეშურებიან ვით ცეცხლის ენები (პ. იაშე., 77). 40. გაუხმა ქერქი ძველ სამგორის მიწას იშვიათს (პ. იაშე., 179). 41. ეს ცრემლი მარგალიტის მძივებად ეკიდებოდა მწვანედ მოხასხასე ბალახსაც (ნ. ონაშ., 157). 42. ის უხეშად ექცეოდა თანამშრომლებს (ნ. ონაშ., 84). 43. ისევ ტოვებენ ახალ სამკვიდროს და მარადიულს უერთდებიან (ა. კალანდ., 42). 44. ლაშქარს მიუძღვის ხმალჩაუგები ერეკლე მეფე (ა. კალანდ., 272). 45. მას ფეხქვეშ ბევრჯერ ჩაუტყდა ხიდი (ო. ჭილ., I, 585). 46. ნაზი ბინდი ედება თვალებს (ო. ჭილ., I, 583). 47. მოწყენილი სველი კვამლი ცას ეტმასნება (ო. ჭილ., I, 555). 48. დღეს ახალ ზეცას ეხსნება რიდე (ო. ჭილ., I, 549). 49. თავპირი ჩამოსტირის მას (თ. სახ., 242). 50. თვალი უმრავლდება (თ. სახ., 264). 51. სიციეე კაციკით დაეტაკა მას (გ. ფანჯ., 75). 52. ბებერი ხარჯიხვი როგორ გადაევლება თავზე უფსკრულებს (გ. ფანჯ., 91). 53. მუშები ერთმანეთს ხელებით ელაპარაკებოდნენ (გ. ფანჯ., 245). 54. მაინც ვერსად გაეექეცი სიყვარულის სამებას (მ. ლებ., 439). 55. კაცს სახე და ტანისამოსი უსველდებოდა (ა. ყაზბ., 159). 56. და სალხის ზღვაში შეეეფარე ტაძრის წინ გრილოს (მ. ლებ., 297). 57. მსუყე მიწაზე სევდა ერევათ (ი. ჯოლბ., 149). 58. ტალღები ახლა ტინის კედელს ეხეთქებოდა და წალეკვით ემუქრებოდა (ო. იოს., 61). 59. ისინი ერთმანეთს ებღაუჭებოდნენ, კლდეს ეპოტინებოდნენ (ო. იოს., 17). 60. მას

სხეულში ვიღაც სხვა შეუსახლდა (ო. იოს., 66). 61. ბაჩანა არ დაემორჩილა ამ ადათს (კ. ყმა, 243). 62. ეს ზღვა ხალხი მგოსნის გამოჩენას ტაშით ეგებებოდა (მოგ., აკ., 72). 63. ამ ვიწრო ხიდთან თავის მამის აჩრდილს დაელოდება დანიის პრინცი (ა. კალანდ., 364). 64. თოფი რომ გავარდა, ვალტერი კლდეს მიასკდა შუბლით (ო. იოს., 117). 65. ზოგჯერ მათ ვაჭრებიც უერთდებოდნენ (ი. გრიშ., 27). 66. თოვლით გადათეთრებულ სასაფლაოს შავებში გამოწყობილი ხალხი ყვავებივით შეესია (გ. ფანჯ., 82). 67. მზე მოეფარა დახუნძლული ვაზით დაბურულ ფანჩატურს (ნ. ონაშ., 142). 68. ის მსხვილი მუხლისთავებს უშველებელი ხელისგულებით ეყრდნობოდა (ნ. ონაშ., 53). 69. ჩვენ დაგვაეიწყდა თამაშობა და გავედევნეთ დიდიან-პატარიანად იმ კურდღელს (აკაკი, 131). 70. ნოხთა ყვავილებს გადაესხა ოქროს სასხური (პ. იაშვ., 83). 71. მეფე და მთავრებიც ხელზე ეამბორნენ მღვდელს (აკაკი, 117). 72. უერთდებოდა ფოთლის შრიალით ცას სილამაზე მიწის ეგეთი (ა. კალანდ., 330). 73. ქალი ხალხს ეფერებოდა და ისე გამორბოდა (ო. იოს., 116). 74. შემდეგ ეს ჭაბუკები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს (ი. გრიშ., 26). 75. ის თურმე ოცდახუთი წლის მანძილზე ეფერებოდა, ეალერსებოდა საკუთარი მშობლების მკვლელს (გ. ფანჯ., 35). 76. ამ ქალს აედევნა ორი ყმაწვილი კაცი ძალიან კოხტათ ჩაცმულები (ა. ყაზბ., 243). 77. თვალშეუდგამ ჭერზე დატანებული ფანჯრიდან ვეება დარბაზს თანაბრად გაფანტული სინათლე ეფინებოდა (ნ. ონაშ., 172). 78. ღრუდოებიდან გამოსული თევზები ქარავნად აყვებოდნენ დიდ მდინარეებს (აკაკი, 129). 79. სიკო წერეთელს ერთი გლეხი გადაუშენდა (აკაკი, 120). 80. კვიპაროსის ამაყი ჩრდილი კვლავ მძიმე რხევით დაეფინება ვარდ-ყვავილებით მოხატულ კედელს (ა. კალანდ., 358). 81. ის მოულოდნელად ფრჩხილებით მოეჭიდა კლდის იატაკს (ო. იოს., 103). 82. ეს ლეგენდა ნარიყალას ეკუთვნის (ი. გრიშ., 3). 83. მოედანს ირგვლივ გარს ერტყმოდა ხალხი (შ. ძიძ., 23). 84. მაშინ მოესმა მას აფრანიკეს ხმა (აკაკი, 64). 85. თეთრჩანთიანი დედაკაცები თეთრად მოედენენ ქუჩას (ილია, 377). 86. რუსთაველზე მოჰყვებოდა ცოლი საქართველოს პოეტების მეფეს (მ. ლებ., 347). 87. მშვენიერებას მოევლინა დღე ნისლიანი (პ. იაშვ., 82). 88. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და

რიგს (აკაკი, 89). 89. ამქრის წევრები დაობლებულ ოჯახს მუდამ მზრუნველობით ეკიდებოდნენ (ი. გრიშ., 46). 90. ძლიერი ქარისაგან ისინი ეხეთქებოდნენ ერთმანეთს (ნ. ონაშ., 108). 91. ამავე მიზეზით ბევრი მწერალი ფსევდონიმს ამოეფარა (ი. გრიშ., 140). 92. გასაოცარი ძალ-ღონით ებრძვის მყინვარებს (ო. იოს., 160). 93. ბაბუა სარიდან მზეს ეფიცხება (გ. რობაქ., 168). 94. გადაეხვევოდნენ ერთმანეთს დამძიმებული ტოტები (ლ. ასათ., 113). 95. საყვარელ მსახიობს შემოჰხვეოდნენ მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი (ი. გრიშ., 163). 96. სულგანაბულ ყურადღებით ვაკვირდები ყოველ საგანს (პ. იაშვ., 213). 97. უაზროდ მისჩერებოდა რომელიღაც წერტილს (ნ. ონაშ., 160). 98. ხშირად ეს თეატრი ბიბლიურ თემასაც ეხებოდა (ი. გრიშ., 69). 99. ჩემი პოემის ლომკაცი გმირი ეთხოვება მომაკვდავ მშობლებს (ლ. ასათ., 101). 100. ისინი ძმაბიჭურად შეეგებებოდნენ მოსულს (ი. გრიშ., 63).

*§ 6. ორპირიანი გარდამავალი ზმნა შემასმენლად.* 1. მტვერში ამოგანგლული შარვალი დაიბერტყა, მერე ცხვირსახოცი ამოიღო და კისერი შეიმშრალა (გ. ფანჯ., 11). 2. მერე საათი მოიხსნა, ისრები თბილისის დროზე გადაიყვანა (გ. ფანჯ., 179). 3. ლევანი სააბაზანოში შევიდა, ცივი წყალი მოუშვა, ტანი სწრაფად დაიბანა (გ. ფანჯ., 186). 4. სადაც კაცმა თავის თავი ჭეშმარიტი სახით ნახოს (პ. იაშვ., 216). 5. გულის ძგერით იმეორებს რუსთაველის დამწველ შაირს (პ. იაშვ., 187). 6. გადაიხსნის მწვანე მანდილს ნერგი გულმკერდღია (პ. იაშვ., 208). 7. უცხო ხილვები გამოიხმო საყვარელ ბაღში (მ. ლებ., 351). 8. პირდაპირ წყაროსთან გზას ვერ გააგრძელებდა (ო. იოს., 132). 9. ბიჭმა თვალები გაახილა და უცებ ფეთიანივით გადაატრიალა (ო. იოს., 94). 10. გუცამ ნაბადი აიტაცა და სახეზე აიფარა (ო. იოს., 98). 11. ამ დღიდან სვიმონმა დაიწყო სამსახური (ა. ყაზბ., 73). 12. იმან ნელა აიღო თავი, გაახილა თვალები და წყნარად წარმოთქვა (ა. ყაზბ., 106). 13. შენი მთებიც ნისლს ფიქრად იხვევენ (ნ. ონაშ., 157). 14. დიდი სურვილის მიუხედავად, მათთან კეთილგანწყობილება ვერ შევინარჩუნე (ნ. ონაშ., 158). 15. შარვლის ტოტებიდან გულმოდგინედ ჩა-

მოვიბერტყე მარმარილოს მტვერი (ნ. ონაშ., 52). 16. ლამის ჩამოიღონ ზეცა წეროებმა (ო. ჭილ., II, 551). 17. სუფთავდებოდა სივრცე ყოველდღე, აჩენდა თავის უნაკვთო სახეს (ო. ჭილ., II, 522). 18. იმ სამახსოვრო ღამეს საშინელმა რაღაცამ დაგვაფრთხო (კ. ყმა, 240). 19. კურდღელი მაშინვე დავითრიე, ჩამოვიტანე ხევში (კ. ყმა, 268). 20. ორივე მხარე შეურყევლად ასრულებდა თავის მოვალეობას (აკაკი, 117). 21. შეარხევს ბალახს ნიავი წყნარად (ა. კალანდ., 190). 22. ნაზ ყვავილებით ქანაანისა გვირგვინებს ვიწნავ და შენთვის ვირთვი (ა. კალანდ., 335). 23. შორსა გაჰფანტა თრთოლით ხმა მისმა რახტისა ქღერამა (ილია, 67). 24. თვით აკაკი ყოველთვის უარყოფდა ხოლმე ამ ფაქტს (მოგ. აკ., 40). 25. ღვინო ისეთია, რომ კაჭკაჭს დააჩხავლებს (თ. სახ., 705). 26. თენგიზმა დრო იხელთა და თავისი ოთახის კარი შეაღო (გ. ფანჯ., 158). 27. ერთხელ აკაკიმ მოისმინა ჩემს მიერ წაკითხული მონოლოგი (მოგ. აკ., 57). 28. მიხეილმა ლაპარაკი დაამთავრა, ყურმილი დაკიდა და ზარს თითი დააჭირა (გ. ფანჯ., 190). 29. როცა ხარჯიხეს ჩამოვიტან, ბაბუა ქელეშპი ყველაფერს მაპატიებს (გ. ფანჯ., 88). 30. გიორგიმ ლოგინში შეანჯღრია შვილი (გ. ფანჯ., 84). 31. პანგებით იანგარიშე ცხოვრების აყალმაყალი (პ. იაშვ., 181). 32. და ჩვენი ქვეყნის დიდებას ვწერდით (პ. იაშვ., 199). 33. მე ხალხის სიხარულს ვითვლი (პ. იაშვ., 201). 34. მე ორ-სამ ნამსხვრევს ნაღმისას ვგრძნობდი ძვალ-რბილში გავლილს (მ. ლებ., 75). 35. მერე მოულოდნელად ბრეზენტი გადასწიეს (ო. იოს., 98). 36. ამ თვალებმა ერთბაშად ჩაისუნთქეს ყველა სინესტე და გამოქვაბული თონესავით გაახურეს (ო. იოს., 101). 37. ხელმა თავისთავად მოძებნა ქვაბუნა (ო. იოს., 83). 38. მამომ მის დანახვაზე არ შეწყვიტა დაკვრა (ა. ყაზბ., 133). 39. ახლა ირჩევდნენ მოთავეებს და ბელადებს (ა. ყაზბ., 170). 40. ვიღაცამ სასწრაფოდ ქუჩა გადმოჭრა (ნ. ონაშ., 204). 41.ის ბაღის ბილიკზე მოულოდნელმა ყვირილმა შეაჩერა (ნ. ონაშ., 205). 42. მაინც რა ნახე იმისთანა, შენ რომ გაგიკვირდა (ნ. ონაშ., 191). 43. შემდეგ გამოიღო ყურიდან კალამი (კ. ყმა, 178). 44. ერთადერთი უკან დასახევი გზა თავისივე ხელით მოიკვეთა (ო. ჭილ., II, 359). 45. სველი ხელი მკერდზე შეიმშრალა (ო. ჭილ., II, 361). 46. ამ სიმღერამ ძლიერი ტაშისცემა გამოიწვია (კ. ყმა, 61). 47. ყველიერის

დაურწყებას ჩამოვიდოდა სასახლეში, სამზარეულოში შეწვავდა კვერცხს, გაფცქვნიდა და მერე გაყოფდა ძუით შუაზე (აკაკი, 118). 48. და გაზაფხულის მზე დიდებული ვარდებისათვის აღეიძებს ზეფირთ (ა. კალანდ., 287). 49. შენ დამიფარე, ვით წალკოტში ყვავილს იფარავ (ა. კალანდ., 88). 50. საზეიმო სხდომა აკაკიმ გახსნა (მოგ. აკ., 67). 51. თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს (თ. სახ. 216). 52. თქვენი მოსატყუარი კბილები დიდი ხანია დავიცვალე (თ. სახ., 281). 53. ამისთანა კაცმა ჩვენს ოჯახში მოსვლა იკადრა (გ. ფანჯ., 261). 54. მან გზა დინჯად გააგრძელა (გ. ფანჯ., 12). 55. იწყო ზანზარი ძველმა ხიდებმა (პ. იაშვ., 152). 56. ამ მეხრეებში ავირჩიე ერთი (პ. იაშვ., 154). 57. ჩუმი ოდიშური კილოთი დაიწყო ჩემთან მსჯელობა (პ. იაშვ., 171). 58. შემოიწყობდა ზურგს უკან ხელებს (მ. ლებ., 539). 59. ჩემ დანახვაზე ქალმა თავი მიაბრუნა (ო. იოს., 22). 60. თუთარმა სახელოთი ცრემლები მოიწმინდა (ო. იოს., 28). 61. მამაკაცებმა თავში ხელი შემოიკრეს (ო. იოს., 60). 62. თითონ ამოირჩიეს მყუდრო ადგილი (ა. ყაზბ., 160). 63. ამ ამბავმა ძალიან შემაშინა, უნებლიედ თვალები დავხუჭე (ნ. ონაშ., 127). 64. თითი საზეიმოდ გამოიშვირა ჩემსკენ (ნ. ონაშ., 89). 65. ბარისახოში იძულებით დასახლებას ის ტრაგიკულად განიცდიდა (კ. ყმა 243). 66. აკაკიმ შეაკერინა ტანსაცმელი და მშვენიერი წარმოდგენა დადგა (მოგ. აკ., 77). 67. თითონაც ბევრჯერ დახუჭა თვალი, ბევრჯერ დაიდგა მკერდზე სანთელი (ო. ჭილ., II, 528). 68. კვერნაძემ სათვალე ისევ დინჯად გაიკეთა, ჟურნალში რაღაც ჩანიშნა და სიის ამოკითხვა განაგრძო (გ. ფანჯ., 220). 69. ლევანმა მოულოდნელად აუდიტორია გამომწვევად დატოვა (გ. ფანჯ., 225). 70. ალფრედმა მუნდირის სახელოები აიკაპიწა და ამოიღრინა (ო. იოს., 63). 71. პანსმა დიდ გამოქვაბულზე აფარებული ბრეზენტი გამოგლიჯა (ო. იოს., 81). 72. მთვარე კი თეთრი ბატივით ცაში ვარსკვლავებს კენკავდა (პ. იაშვ., 172). 73. ქართულად ვთარგმნი პუშკინის ამბავს (პ. იაშვ., 157). 74. აქ ერთი ზუსტად ნასროლი ტყვია მეტს გააკეთებს, ვიდრე მთელი სატანკო დივიზია (ო. იოს., 41). 75. ბიჭებმა უსიტყვოდ დააპირეს გაბრუნება (ო. იოს., 10). 76. სათითაოდ იღებდა და გულმოდგინედ ათვალიერებდა (ნ. ონაშ., 154). 77. ხელები გულზე დაიკრიფა და თავი მორჩილად და-

ხარა (ნ. ონაშ., 102). 78. თითონ სასწრაფოდ წამოიკეცეს კალთები (ა. ყაზბ., 173). 79. გრიგოლი პირდაპირ აღმერთებდა აკაკის (მოგ. აკ., 13). 80. სტუმარმა აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი და პოლონეთი გაიხსენა (აკაკი, 151). 81. აბრუნებს კორდს საეენახედ ქართველი გლეხი (მ. ლებ., 369). 82. ნაწყვეტ-ნაწყვეტ იგონებს წარსულს (გ. ფანჯ., 122). 83. ამგვარი ციეი ნუგეშებით გაგვისტუმრებდნენ ხოლმე (აკაკი, 130). 84. მე უკვე შევარჩიე ჩემი კუთხე, მოლბერტი გავშალე, პალიტრა მოვამზადე (ნ. ონაშ., 95). 85. მე გადავწიე-გადმოვწიე ბარდები და დავინახე ერთი მწიფე ნესვი (აკაკი, 127). 86. მზე ზამთრისა ყვავილს ვერ ამოიყვანს (ილია, 396). 87. ქერა ქალიშვილმა დავარდნილი გორგალი აიღო, აბურდული ძაფი აახვია (ნ. ონაშ., 39). 88. მისი მოხელენი იჭერდნენ გამელელ-გამომვლელებს (ი. გრიშ., 21). 89. ენა არ დავკარგეთ, სჯული არ დავთმეთ, ერი არ მოვსპეთ (ნ. ონაშ., 111). 90. მერე შეკრთება, ვით მთვარეული და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს (ლ. ასათ., 33). 91. და ვარსკვლავებიც იფშვნეტდნენ თვალებს (ლ. ასათ., 18). 92. ჩემს ლექსს ბალიშქვეშ ვინ ამოიღებს (პ. იაშვ., 134). 93. მდინარის ლოდზე ისინი დაშნებს ლესავდნენ (ო. ჭილ., I, 544). 94. მან უნდა განსაჯოს, ვარგა თუ არა ჩემი ნამუშევარი (ნ. ონაშ., 112). 95. გადავიარე სინათლის ზღვარი და უცნაური ვნახე ხატება (ლ. ასათ., 22). 96. მატარებელმა დატოვა ბოლი გადაყრუებულ ტყეების ზემოთ (ო. ჭილ., I, 561). 97. იუზბაშის წვრილი თვალები სინჯავენ არჩილბალდის ღიმილს (გ. რობაქ., 197). 98. კოხტა წაფორთხიალებულ ცხენს ველარ აკავებს (გ. რობაქ., 239). 99. მაღალი საზოგადოება კერძო სახლებში მართავდა წარმოდგენებს (ი. გრიშ., 72). 100. ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელნი (ლ. ასათ., 78).

*§ 7. სამპირიანი ზმნა შემასმენლად.* 1. ამ გაჭირვების დროს სვიმონმა თავის უფროსს რაღაცა განსაკუთრებული სამსახური გაუწია (ა. ყაზბ., 74). 2. აპოლონი მოუსვენრად წერდა თავის მეგობარს, როდესაც კარი გაიღო (ა. ყაზბ., 83). 3. საყვედურის კილოთი უთხრა ქალმა და დაუმატა (ა. ყაზბ., 47). 4. შეაფრქვიეთ კარიბჭეს მეგობრული ალერსი (პ. იაშვ., 205). 5. შე-

მოუნგრიონ თამამად ღობე შემოქმედების პატარა ბოსტანს (პ.იაშვ., 154). 6. მეფემ დედოფალს მიაწოდა მეფური თასი (პ. იაშვ., 71). 7. ნიავმა ფოთლებს შრიალი დააწყებინა (ა. ყაზბ., 49). 8. ის დიდხანს, დიდხანს მბანდა ჭრილობას, მიხვევდა ფრთხილად (მ. ლებ., 76). 9. ხეიბრის ძახილს ყურადღებას არავინ აქცევდა (მოგ. აკ., 89). 10. ჩემი ქანდაკება საშემოდგომო გამოფენისათვის წააღებინა (ნ. ონაშ., 180). 11. ახლა ყველაფერი თქვენს თავს დააბრალეთ (ნ. ონაშ., 164). 12. თედოც ეაქას მხარს უჭერდა (კ. ყმა, 248). 13. მთვარეც მაძლევდა რაღაცის იმედს, მორიდებული, როგორც სტუმარი (ო. ჭილ., II, 487). 14. დალი უბნეეს გზას უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილს (ო. იოს., 160). 15. მათ დაჭრილს მოახურეს შავი მოსასხამი (ო. იოს., 158). 16. პატრონმა ნისლას მუხლზე ხელი შემოჰკრა (ო. იოს., 158). 17. თვალთაგან წამოსული ცხელი ცრემლი უშლიდა, გზა გაერჩია (ო. იოს., 128). 18. ახლა მე გავშლი ჩემს ლამაზ ყვავილს და შევუერთებ წყლის უხმო ლიცლივს (ა. კალანდ., 76). 19. მიჯნურმა ჩემმა ჩემს მტერს ბაღის კარი გაუღო (ა. კალანდ., 120). 20. გიორგაძემ რაღაც ქაღალდებს ხელი წამოავლო და გარეთ გავიდა (გ. ფანჯ., 191). 21. მას ინსტიტუტის გაზეთის ფოტორეპორტიორმა გადაუღო სტადიონის გასახდელში (გ. ფანჯ., 179). 22. ლევანმა იცოდა, რომ მისი მეზობელი ახლავე ლაპარაკს გაუბამდა (გ. ფანჯ., 166). 23. ჩემთვის ძალიან ძნელია, ოთარს ასეთი განაჩენი გამოვუტანო (გ. ფანჯ., 157). 24. ძაღლს ვაჭმევ ჩემს ხორცს (თ. სახ., 837). 25. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა (თ. სახ., 724). 26. საწყალ მოხუცებულსაც ერთს ორს გროშს, საყდარში ასანთებელის სანთლის ფულს მაშოვნინებდა (ა. ყაზბ., 39). 27. ის დიდი ხანია ერთი ბოთლს უმიზნებდა ჩანგალს (ა. ყაზბ., 132). 28. განა არ შეუძლიათ გამომიგზავნონ ცხენები (ა. ყაზბ., 107). 29. მზემ მოგაფინა ოქროს ფარჩები (პ. იაშე., 108). 30. მე სოფლის ამბებს შენ მოგიყვები (პ. იაშვ., 131). 31. გუშინ ყარანას ჩვენ დავუგეთ მახე (პ. იაშვ., 163). 32. გაბარებთ, მოუარე ისე, როგორც შვილს (პ. იაშვ., 274). 33. ისინი დიდი სიყვარულით ეგებებოდნენ და პატივისცემით სალამს აძლევდნენ პოეტს (მოგ. აკ., 74). 34. ვერ გამიჩუმებ სურვილს ზღაპრებით (ო. ჭილ., I, 565). 35. მადლობის ნიშნად მე შეგისრულებ ყველაზე დიდ და სანუკვარ სურ-

ვილს (ნ. ონაშ., 102). 36. მომავალ ავტორს გულწრფელი წარმატება უსურვეს (კ. ყმა, 354). 37. მან მოანათვლინა უფროსი ვაჟი ვახტანგი (კ. ყმა, 179). 38. შტუტემ ჯიბის ფარანი დაანათა ბაუმანს (ო. იოს., 82). 39. ამ გზაზე ორი ცხენოსანი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევს (ო. იოს., 33). 40. კაპრალს უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემდა (ო. იოს., 63). 41. ორი ჯარისკაცის დაღუპვამ მტერს განზრახვაზე ხელი ააღებინა (ო. იოს., 51). 42. შენს წყნარ ოთახში შემოვა ჩანდრი და შემოგიტანს ვარდისფერ ლოტოსს (ა. კალანდ., 248). 43. ვუგროვებ მინდვრის ველურ ყვავილებს, ჩემს სამადლობელს ვაუწყებ იმას (ა. კალანდ., 319). 44. და იმ სიმღერას ჩემს წყურვილს ვანდობ (ილია, 70). 45. მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს (ილია, 68). 46. მეფე და მთავრებიც შენდობას სთხოვდნენ მღვდელს (აკაკი, 17). 47. ის გლეხი ნახევარ კვერცხს მიართმევდა ბატონს, როგორც ბეგარას (აკაკი, 118). 48. გლეხებმა შეუყარეს კეტები ხის სახლს და სულ ჭრიჭინ-ჭრიჭინი დააწყებინეს (აკაკი, 120). 49. მასწავლებელს ნიშანი რატომ ჩააწერინე? (გ. ფანჯ., 203). 50. ბიძინა დაიბნა და გაუბედავად ჰკითხა (გ. ფანჯ., 205). 51. ბოლოს ის დაცხრა, გაიცინა და ჭიქას ხელი წამოავლო (გ. ფანჯ., 215). 52. მანქანა ჭიშკრისაგან მოშორებით შეაჩერებინა და ბიჭებს დაემშვიდობა (გ. ფანჯ., 147). 53. წამოიძახა ყმაწვილმა და გაფითრებულმა ხელი დაუჭირა ქალს (ა. ყაზბ., 51). 54. ნატაშას მეტისმეტი შიშისაგან გულმა კანკალი დაუწყო (ა. ყაზბ., 104). 55. მან დაგავალა შენ მესტების ფეხზე მორგება (პ. იაშვ., 104). 56. ზოგი შემოსავლიან ადგილზე ფულსართმევდა სხვას (პ. იაშვ., 250). 57. მან არქივებს ჩააბარა წარსულის რომანტიკა და დიდი ხელოვნება (ნ. ონაშ., 114). 58. უფროსი მწვრთნელი ოთარს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა (გ. ფანჯ., 144). 59. როცა ოთარი დაინახა, ხმამაღლა უთხრა (გ. ფანჯ., 139). 60. სუფრა მაინც ჩახუთულ ოთახში გააშლევინეს (გ. ფანჯ., 23). 61. თანამგზავრმა ნატაშას ხელი დაადო (ა. ყაზბ., 104). 62. ცივ ნიავს არ აკარებდნენ (თ. სახ., 807). 63. ქვასაც კი წყალს გამოადენს (თ. სახ., 677). 64. ყვავილმა დიდი დღე მაჩუქა (ი. ჯოლბ., 85). 65. მე მოგახსენებ ალსარებას, გაგიჩირაღდნებ ჩემს სამყოფელს (ი. ჯოლბ., 96). 66. გავუშალე კარტივით ჩემი მწარე წარსული (მ.

ლებ., 225). 67. ჩხრიალებს წვიმა და კოცონს მიქრობს (მ. ლებ., 327). 68. მე შენ მაგონებ ბერიკაცს გამწყრალს (მ. ლებ., 336). 69. ისინი თავის მადლს ცას და მიწას უხვად სწირავენ (ა. კალანდ., 297). 70. მოძრაობამ ჰანსს გაბედულება დაუბრუნა (ო. იოს., 80). 71. მან დილით გადმოგვცა ვაჟას პოემა (კ. ყმა, 178). 72. მამამ ფანჯარა, მართლაც, გააკეთებინა (კ. ყმა, 182). 73. მომსელელებსაც სიამოვნებით აძლევდა რჩევა-დარიგებებს (ნ. ონაშ., 77). 74. მიაშვირა გემმა მკერდი შავი ზღეიდან მოსულ ნიავს (პ. იაშვ., 214). 75. ღარიბებს არც ქუდს უხდის, არც ულიმის (პ. იაშვ., 247). 76. სულ მოკლე ხანში ჩაიც მოგვართვეს (მოგ. აკ., 151). 77. ირემს გადააბრალა თავისი კარგი კაცობა (ო. ჭილ., II, 264). 78. გადავაყარე ტოტები ნუშის, როგორც ნახშირი ჩაფერფლილ ღუმელს (ო. ჭილ., II, 452). 79. კინაღამ ხმამაღლა იყვირა და ჩანთას ხელი წამოავლო (გ. ფანჯ., 11). 80. ლევანმა ისტატის ბიჭს ნამდვილი ფეხბურთის ბურთი მოუტანა (გ. ფანჯ., 261). 81. მე მხოლოდ გაჩვენებთ კარგ სანახავ ალაგს (ა. ყაზბ., 104). 82. ტლანქად ხელი არ შეახოს (პ. იაშვ., 187). 83. ხალხი გელის და ფარულად გაძლევს გაკვეთილს ვადიანს (პ. იაშვ., 182). 84. ლევანმა ქაღალდის ხელსახოცზე ტელეფონის ნომერი დაუწერა (გ. ფანჯ., 264). 85. დროდადრო ისინი იცინოდნენ და მოწიწების ნიშნად ლევანს თავს უქნევდნენ (გ. ფანჯ., 212). 86. თავდამსხმელებმა ერთი წუთით ხელი უშვეს ტყვეებს (ო.იოს., 12). 87. ახლა ის თავის მსხვერპლს არავის დაანებებდა (ო. იოს., 60). 88. ნატვრის სუფრა გაუშალეს (თ. სახ., 456). 89. კბილებში ოფლი ადინა (თ. სახ., 321). 90. კონდახებით დაუხეთქეს თავები საგანგებოდ გაწვრთნილ მებრძოლებს (ო. იოს., 95). 91. სამთო მსროლელმა დივიზიამ და ალპურმა რაზმებმა ზემო სვანეთის ციცაბო მწვერვალზე გაგვაშლევინეს ბანაკი (ო. იოს., 19). 92. ამ ლექსმა მას ძლიერ გაუთქვა სახელი ხალხში (ი. გრიშ., 100). 93. მზე იყურება ბავშვის თვალებით და დედამიწას უგზავნის ალერსს (ლ. ასათ., 113). 94. ის ჭორფლიან ნაყვავილებ სახეს მთვარეს არ აცილებს (გ. რობაქ., 43). 95. იმ დღეს ღვინის ფულს ვთხოვდი მათხოვარს და ვუკითხავდი ლექსებს ტირილით (ნ. სამად., 56). 96. ყეენის ამალა გამვლელ-გამომვლელებს გზას ულობავდა (ი. გრიშ., 22). 97. მან ხელის კანკალით დაუწყო გაშლა გახვეულ ქაღალდს

(ო. იოს., 115). 98. მთვარემ მძინარე სახეებს ბნელი ბურუსი გადახსნა (ლ. ასათ., 90). 99. ქარაგმებით წერას ქართველი პოეტები იმდროინდელმა ცენზურამ შეაჩვია (ი. გრიშ., 140). 100. აქ ყვითელ ტოტებს მიუშვერენ ზღვას მიმოზები (პ. იაშვ., 219).

## შედგენილი შემასმენელი

*§ 8. შედგენილი შემასმენელი.* 1. ხელში ცისფერი წიგნი ეჭირა და აწეული ჰქონდა საყელო (მ. ლებ., 459). 2. დილით ორივენი მოშხამულები იყვნენ (ო. ჭილ., I, 533). 3. და თუმცა გრემი არის ბებერი, არის დაღლილი და დანგრეული (ო. ჭილ., I, 581). 4. სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი (პ. იაშვ., 85). 5. ამართულია სოფელ ქვიშიდან ცამდე კრიალა შუშის კედელი (პ. იაშვ., 159). 6. ამ სიცხეში ყელი თბილი შალით ჰქონდა შეფუთული (ნ. ონაშ., 91). 7. ჯემალი სერიოზული ახალგაზრდა იყო (ნ. ონაშ., 78). 8. ჩვენ სულ სუთნილა დავრჩით (ო. იოს., 142). 9. გზები უკვე ხალხით გაჭედილი აღმოჩნდა (მოგ. აკ., 89). 10. გაბრწყინებული იყო ტაძარი, ცეცხლმა აავსო და თვალთა სხივმან (ა. კალანდ., 135). 11. როცა დედა დაგვეღუპა, მე და მარიამი ჯერ ისევ პატარები ვიყავით (კ. ყმა, 228). 12. ხარაზების დროშაზე გამოხატული იყო ილია წინასწარმეტყველი (ი. გრიშ., 36). 13. ცხენებს ყელზე ზანგალაკები ჰქონდათ ასხმული (ი. გრიშ., 69). 14. სევდა იგი უკვდავი და მარადია, სევდა იგი პოეტების ტალანტია (მ. ლებ., 282). 15. მას ხალხის წინაშე სიტყვის თქმა ჰქონდა დავალებული (ო. ჭილ., I, 353). 16. კრეტელები მიჩვეულნი იყვნენ თავიანთი უძლეველი ფლოტის ასეთ უეცარ აფუსფუსებას (ო. ჭილ., I, 160). 17. მას ჯერ არც ერთი გაზეთი გადათვალიერებულიც არ ჰქონდა (გ. ფანჯ., 639). 18. დანარჩენი კედლები წიგნის თაროებით იყო დაფარული (გ. ფანჯ., 425). 19. ერთ კუთხეში ფიცრის სკამზე გამართულია ლოგინი პატარა ბავშვისათვის (პ. იაშვ., 254). 20. მაღალ კისერზე კოხტად ჰქონდა მომდგარი თეთრი პერანგის გადაკეცილი საყელო (ნ. ონაშ., 53). 21. აქაურობა ფოთლების მოძრავი ჩრდილებით იყო აჭრელებული (ნ. ონაშ., 7). 22. ჩვენ ადამიანები ვართ და ქვაბუნა წყალში არ გავიყიდებით (ო. იოს., 142). 23. შენი

დიდების მომღერალია ოშკი და ზარზმა (ა. კალანდ., 57). 24. მას ოთხად მოკეცილ ქაღალდზე ლექსი ჰქონდა ფანქრით დაწყებული, რამდენიმე სტრიქონი წაშლილი იყო (კ. ყმა, 357). 25. კუდი კუდსა აქეთ გადაბმული (თ. სახ., 347). 26. შემოდგომის დღეები მიწურული იყო (ა. ყაზბ., 208). 27. იქ სასტუმროები ექვსი-შვიდი თვით ადრე არის დაკავებული (შ. ძიძ., 21). 28. ბასკონიაში მუხის კულტია გავრცელებული (შ. ძიძ., 41). 29. შეგირდად მიბარების ასაკი მტკიცედ არ იყო განსაზღვრული (ი. გრიშ., 36). 30. აბანოში ქეიფი უძველესი ჩვეულება იყო (ი. გრიშ., 63). 31. და პეიზაჟიც, პეიზაჟიც ორიოდ შტრიხით, იყო შეცვლილი ტელეგრაფის ბოძების რიგით (მ. ლებ., 287). 32. ის სუნთქვაშეკრული იჯდა ხოლმე და აღტაცებული იყო ამ ქალით (ო. ჭილ., I, 321). 33. მას გამარჯვებაც წინასწარ ჰქონდა განაღდებული (ო. ჭილ., I, 169). 34. ქუჩა ბლვაზე გაშავებული გოგო-ბიჭებით იყო სავსე (გ. ფანჯ., 27). 35. ძველებურ ხის კარადაში მხატვრული ლიტერატურა იყო ჩამწკრივებული (გ. ფანჯ., 180). 36. ღია წაბლისფერი, ზემოდან ოქროსფრად გადახუნებული თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი (ნ. ონაშ., 3). 37. ჩვენ თითქოს ჰაერში ვიყავით გამოკიდებულნი (ნ. ონაშ., 150). 38. ვახო კერპია, მაგრამ ჩქარია (ო. იოს., 50). 39. ნათლობა საღამოს რვა საათზე იყო დანიშნული (კ. ყმა, 88). 40. თვალებზე ლიბრი აქვს გადაკრული (თ. სახ., 253). 41. ცა და დედამიწა უსიამოვნო ბურუსით იყო მოფენილი (ა. ყაზბ., 239). 42. მოზეიმენი სან ფერმინისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი (შ. ძიძ., 21). 43. მისი კაპიტანი ერთი სახელგანთქმული ბასკი მეზღვაური ყოფილა (შ. ძიძ., 18). 44. ამ სალხურ სანახაობისათვის ეს ისტორიული სარჩული იყო (ი. გრიშ., 23). 45. ეს ერთი ბეწო კაცის გამარჯვება იყო (თ. ბიბ., 109). 46. რა კარგია ტფილისი სამიკიტნოს კარებთან (გ. რობაქ., 213). 47. სხვადასხვა სოფლის გლეხები სხვადასხვაგვარად იყვნენ დაბეგრილი (აკაკი, 117). 48. შენი კოლხიდა, დიდი კოლხიდა დღეს აღარ არის დავიწყებული (ლ. ასათ., 110). 49. დასაშაულისაკენ პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო (ო. ჭილ., I, 23). 50. ისინი ორნი იყვნენ (ო. ჭილ., I, 532). 51. უზარმაზარი სტადიონი თითქმის სავსე იყო (გ. ფანჯ., 132). 52. ბუდიდან ამოვარდნილი ერთი ლილვი ზედა ორ ლილვს შორის

იყო გაჭედილი (გ. ფანჯ., 72). 53. დედამთვილური ალერსით ქალია აღტაცებული (პ. იაშვ., 233). 54. პოეტი ამაყი კაცია (პ. იაშვ., 170). 55. გზა მაღალი ხეების მუქმწვანე თაღებით იყო დაბურული (ნ. ონაშ., 143). 56. სალომე ბიბლიოთეკარი იყო (ნ. ონაშ., 77). 57. მზეერავი ზევით იყო ჩასაფრებული (ო. იოს., 46). 58. მამის საწოლზე დათვის ტყავი იყო გადაფარებული (კ. ყმა, 300). 59. იქ გამოფენილი არის შესანიშნავი სურათები და სკულპტურული ნამუშევრები (შ. ძიძ., 26). 60. პირენეის თვალ-შეუდგამი მთა-კლდეები ზვიადია (შ. ძიძ., 27). 61. ყველა მო-ვაჭრე ვალდებული იყო ეს გადაელახა (ი. გრიშ., 22). 62. შენც ფრთები უკვე გაშლილი გქონდა (ო. ჭილ., I, 548). 63. მას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ტახტზე ასულიყო (ო. ჭილ., I, 165). 64. ყველა აქ ჩამოთვლილ ავტორს დაბეჭდილი აქვს სა-კუთარი ლექსების წიგნი (ი. გრიშ., 109). 65. ჭალაში ბიჭებს პა-ტარა მოედანი ჰქონდათ გაკეთებული (გ. ფანჯ., 137). 66. მაშინ ელიზბარი ოსტატი იყო (გ. ფანჯ., 241). 67. მე მაინც ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ (ნ. ონაშ., 100). 68. ჩვენ თერთმეტნი ვართ, სად არიან დანარჩენი ქალები? (ო. იოს., 35). 69. ისე გადაბელილია სიყმაწვილის ტყეები, ისე გადათიბულია შენი მწვანე დღეები (მ. ლებ., 542). 70. ეს ტყე დაბურული იყო (ა. ყაზბ., 49). 71. ქუჩაზე ჩაყოლებული მრავალსართულიანი სახ-ლების აივნები სავსეა მაყურებლებით (შ. ძიძ., 25). 72. გვერ-დზე თოფების მაგიერ კოვზები ჰქონდათ შემოწყობილი (ი. გრიშ., 60). 73. ვარდი ყვავილთა დედოფალია (ლ. ასათ., 112). 74. ისიც დავადგინე, რომ ისინი იონას გაყიდული იყო (ნ. ონაშ., 105). 75. შენ მოცლილი, უსაქმური და ყბედი ხარ (ნ. ონაშ., 116). 76. საზოგადოდ ქართველნი დიდად დარცხვენილ-ები იყვნენ (აკაკი, 158). 77. ძველ დროში ქართველები გან-თქმულნი იყვნენ ცხენოსნობით ყველგან (აკაკი, 161). 78. ქვე-მოთ მოჩხრიალე მთის მდინარე ჩემი მშობლიური სუფსა არის (შ. ძიძ., 27). 79. მზე მაღლა იყო წამოსული (ო. იოს., 23). 80. სარ-ტყელში გამაგრებული ჰქონდათ თავიანთი ხელსაწყო იარაღი (ი. გრიშ., 52). 81. სასტუმროს ზედა სართული თითქმის მთლიანად ფეხბურთელებს ჰქონდათ დაკავებული (გ. ფანჯ., 156). 82. მთელ ღამეს კედელზე ყური მქონდა მიდებული (ნ. ონაშ., 122). 83. ავტობუსების სადგომები თითქმის ცარიელი

იყო (ნ. ლნაშ., 125). 84. ქარისა ლაღად იყო გაზრდილი (ო. ჭილ., I, 33). 85. ჩვენ ამავე დროს ვართ მეომარნი, ომში ხალიბურ ხმალს ვახელებდით (ლ. ასათ., 85). 86. შეხიზნული ვართ საქართველოს თვალტანად მთებში (პ. იაშვ., 176). 87. ამ ეკლესიების გალავანში მუდმივად ბინებიც ჰქონდა აშენებული (ი. გრიშ., 69). 88. დღის წესრიგი ამოწურული იყო (ნ. ლნაშ., 197). 89. ფანჯრის რაფაზე წიგნები იყო დახვავებული (ნ. ლნაშ., 165). 90. ბაბუა ბესლანს ხელები გულზე ჯვარედინად ჰქონდა დაწყობილი (ო. იოს., 60). 91. ლექტორმა ფურცლებს გადახედა, ყველაფერი ზუსტად იყო გაკეთებული (გ. ფანჯ., 203). 92. დიდი ქვის სახლი ორსართულიანი ბაღითაა გარემოცული (გ. რობაქ., 96). 93. გზატკეცილი ალაგ-ალაგ პირდაპირ კლდეშია გაჭრილი (გ. რობაქ., 191). 94. დედას მათი მეოხებით შესწავლილი ჰქონდა, სხვათა შორის, ექიმობა და მეურნეობა (აკაკი, 105). 95. ორივე ნაწერი წითლად არის გადაჭრელებული (ნ. ლნაშ., 163). 96. ისინი მეგობრები არიან (ნ. ლნაშ., 162). 97. ხეები ჩუმად თავდახრილია (პ. იაშვ., 166). 98. წმინდაა ზეცა, მიწა გრილია (პ. იაშვ., 166). 99. ესპანეთში მოპოვებულია იბერიული ასოებით შესრულებული ასზე მეტი წარწერა (შ. ძიძ., 7). 100. ისინი უფრო ძლიერებიც ჩანდნენ, თანაც ხუთნი იყვნენ (ო. ჭილ., I, 42). 101. ტალავერში მაღლა ყურძნის მტევნები იყო ჩამოკიდებული (აკაკი, 128). 102. წირვა-ლოცვა გაუწყვეტელი იყო და ადრე მღვდლებსაც უფრო პატივს სცემდნენ (აკაკი, 177). 103. ხეობა მოცულია ზეთისხილის ტყეებით (გ. რობაქ., 193). 104. დედოფლის ალერსი გრძელია, ბნელია (პ. იაშვ., 90). 105. შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგია (პ. იაშვ., 108). 106. ყველაფერი გათავებული იყო (ნ. ლნაშ., 153). 107. შენც დაინტერესებული ხარ ვაჟა-ფშაველას თემით (ნ. ლნაშ., 155). 108. ის მოლოდინი ტანჯვით იყო სავსე (თ. ბიბ., 211). 109. შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია (პ. იაშვ., 106). 110. ბატონის მხლებლებიც უმეტეს ნაწილად უსაქმურად ბრძანდებოდნენ და სიზარმაცით დათენთილი იყვნენ (აკაკი, 116).

## ქვემდებარე

*§ 9. არსებითი სახელი ქვემდებარედ.* 1. აივანს ბეღურები ეხვეოდნენ (ო. ჭილ., II, 263). 2. აქა-იქ უკვე მოჩანდა მიწა (ო. ჭილ., II. 262). 3. ხანჯლის პირივით ბასრი ჩრდილები აფათურებდნენ ჩემს სულში ხელებს (ო. ჭილ., II, 447). 4. ასამარებდა ხმელ ფოთლებს ქარი, ვით უსახელოდ წამხდარ მეომრებს (ო. ჭილ., II, 522). 5. შემოიჭრა ოთახში ქაიხოსროს შეშფოთებული ხმა (ო. ჭილ., II, 262). 6. მაგრამ სხვებისათვის ისევ გმინავდა სამარესავით გრილი მიწური (ო. ჭილ., II, 496). 7. ამ დროს ზევიდან გამოჩნდა ცხენით მომავალი მღვდელი (კ. ყმა, 299). 8. სოფლიდან მოშორებით ერთ ფერდობზე ძველი ნანგრევები იყო (კ. ყმა, 155). 9. სემინარიის მახლობლად ბაღში ჩასასვლელი ბილიკი ჩადიოდა (კ. ყმა, 91). 10. მის სახეს ის საშინელი დაღი არ ემჩნეოდა (კ. ყმა, 89). 11. მამადავითის ეკლესიასთან კლდეში წყარო გამოდის (კ. ყმა, 188). 12. სხვისგან იზეპირებდა ძველ წირვას მღვდელ-დიაკვანი (პ. იაშვ., 230). 13. ერთი მათხოვარი ქუდს ისე მიხდის, როგორც ძველი ნაცნობი (პ. იაშვ., 247). 14. მაგრამ ართვინის მტვერიან გზაზე ახალი ურდო მოდის სიფრთხილით (პ. იაშვ., 95). 15. დროა გადიქცნენ ოქროს ზარებად აცრემლებული ჩვენი ლექსები (პ. იაშვ., 147). 16. ანათებს დარბაზს ქალწულების ტანსაცმელები (პ. იაშვ., 71). 17. გონების თვალწინ წუხანდელი ღამე როკავდა მთვრალ ფერიასავით (ნ. ონაშ., 123). 18. ლოლა უხერხულად იყურებოდა აქეთ-იქით (ნ. ონაშ., 95). 19. ტუმბოზე მიქელანჯელოს „დავითის" ოსტატურად შესრულებული პატარა ასლი იდგა (ნ. ონაშ., 164). 20. ჩუმად შრიალებს ალვა (ა. კალანდ., 68). 21. ჩაქრა მსოფლიო ხანძარი, მიწაზე შავ კვალს რომ ტოვებდა (ა. კალანდ., 396). 22. ამ ძველ ტაძარში ბეღურები ისადგურებენ (ა. კალანდ., 148). 23. ამ ხმის გაგონებაზე მოხუცი რატომღაც არ განძრეულა (ო. იოს., 9). 24. ჩვენთვის მოულოდნელად ბილიკი უკვე მთავრდებოდა (ო. იოს., 132). 25. რკინიგზა ბევრ გზასა და ბილიკს მოშლიდა (ო. ჭილ., II, 268). 26. ქვეყანა თავიდან იწყებდა ცხოვრებას (ო. ჭილ., II, 269). 27. ჩიხტაკოპის ლეჩაქს ნიავი უფრიალებდა (ო. ჭილ., II, 326). 28. როგორც დანგრეულ ტაძრის სვეტები, დგანან მუხები (ო. ჭილ., II,

520). 29. სიგარეტის წითელი თვალი ბნელ დერეფანში მიცურავს ნელა, წყალქვეშა ნავის ნათურის მსგავსად (ო. ჭილ., II, 524). 30. ლოგინზე მთვარე გადააფენს ცივ ტილოს საბანს (პ. იაშვ., 162). 31. გაზაფხულის სეტყვასავით ხომ დააყრის ხალხი სიცილს (პ. იაშვ., 216). 32. საცა შარშანწინ გადარგული ევკალიპტები დამძიმებულან მოქრიალე ზღვისფერ ჩიტებით (პ. იაშვ., 219). 33. მტკვარს მოყვებიან ფიჭვის ტივები, ვით მოცურავე თეთრი ქალები (პ. იაშვ., 138). 34. ნიავი ნელი როგორც ბულბული შეფრინდა ქუდზე (პ. იაშვ., 166). 35. სოფელი დაცლილია გაბრაზებულ სტუმრისათვის (მ. ლებ., 160). 36. ლექსები გვკლავენ და ლექსები გაგვასვენებენ (მ. ლებ., 215). 37. იქ, წინაპრებთან, ჩემი დროის შვილებიც ჩანან (მ. ლებ., 263). 38. აქ დაიბადა საქართველოს დიდი პოეტი (კ. ყმა, 83). 39. ბაღს შუაში განიერი რუ ჩაუდიოდა (კ. ყმა, 190). 40. სუფთა ჰაერს მიჩვეული ადამიანი თბილისის სიცხე-პაპანაქებას ვერ უძლებდა (კ. ყმა, 184). 41. მივიდნენ „ივერიის“ ყოფილი თანამშრომლები (კ. ყმა, 89). 42. შენი თავი მთხოვოს ღმერთმა (თ. სახ., 748). 43. ეს აქლემი ხვალ თქვენ წინაც დაიჩოქებს (თ. სახ. 185). 44. საღამოს სიცივემ უფრო აიტანა ქალი (ო. ჭილ., II, 289). 45. თოფის გასროლის ხმა დილით მთელმა სოფელმა გაიგო (ო. ჭილ., II, 263). 46. თითქოს ზოსიმე მღვდელს ენამ უყივლა (ო. ჭილ., II, 328). 47. და იზმორება აგვისტოს დილა მხურვალე, როგორც მთიბავის პეშვი (ო. ჭილ., II, 461). 48. იმ დილით არწივებიც კი უფრო დაბლა ფრენდნენ (ო. იოს., 61). 49. თოფის გასროლის ხმაზე ჯარისკაცი უცებ მიტრიალდა (ო. იოს., 10). 50. ეს ამბავი ქალებისათვის კი ერთგვარი ნუგეში იყო (ო. იოს., 69). 51. ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა ამ ლექსმა (მოგ. აკ., 54). 52. გულზე ლოდივით მაწვა მისი სიტყვა (მოგ. აკ., 151). 53. მზე დაიმალა, როგორც ყაჩაღი (პ. იაშვ., 93). 54. იქ დარჩა ვით ნაკვალევი ყოფილ სიონის გამშრალი ბუდე (პ. იაშვ., 210). 55. დრო, როგორც გული შეყვარებულ დედოფლისა, ისე ფარავდა ჩვენ ნათელს იდუმალებას (პ. იაშვ., 281). 56. მზისაგან ალანძული ბალახი ოქროს ხალიჩასავით ეფინა მდინარის მაღლობ ნაპირზე (ნ. ონაშ., 94). 57. მომღერალი რომელიღაც ზანგურ სიმღერას გაჰკიოდა (ნ. ონაშ., 108). 58. შუაღამის დუმილით გაყუჩებულ დერეფანში ყრუდ გახმიანდა მისი სწრაფი

ნაბიჯები (ნ. ონაშ., 162). 59. ცალ ხელში ჩვილით მიწაყრილზე გოგონა შედგა (მ. ლებ., 297). 60. და თქვენთვის ჩქარობს ოცნება წმინდა (მ. ლებ., 291). 61. დედის ცრემლები შენგან დარგულ ყვავილებს ნამავს (მ. ლებ., 521). 62. სად მიფრინავენ ეს ვარსკვლავები (მ. ლებ., 114). 63. და დაბერებულ კედლების ჩრდილში კაცივით იდგა დაღლილი მთვარე (ო. ჭილ., II, 530). 64. სიტყვა ჩამოართვა ზაქარია ჩაფარს სტეფანე მჭედელმა (ო. ჭილ., II, 264). 65. პეტრემ ირემი ადამიანივით დაამარხვინა იქვე, სამჭედლოს წინ, ბებერი ჭადრის ძირას (ო. ჭილ., II, 284). 66. გულუხვად არიგებდა მღვრიე წვეთებს ისედაც გასაქრობად განწირული ლოლუა (ო. ჭილ., II, 262). 67. ისევ მოაწყდა ხალხი ღობეებს (ო. ჭილ., II, 282). 68. მისი ხმა მოწოდებასავით გაისმოდა (კ. ყმა, 243). 69. სადღეგრძელო სცვლიდა სადღეგრძელოს (კ. ყმა, 92). 70. იქ მშვენიერი მწვანე ბალახი ბიბინებდა (კ. ყმა, 92). 71. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით (მოგ. აკ., 79). 72. სახლის კარი ყოველთვის ღიაა კარგი კაცისათვის (თ. სახ., 566). 73. მათი სულიერი სამყარო ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა (გ. ფანჯ., 196). 74. ზღვის ნაპირთან ტივტივებდნენ ტალღებისაგან გამორიყული უზარმაზარი მედუზები (გ. ფანჯ., 127). 75. თვით ვაჟასთვის ჩვენს სახლში გამოყოფილი იყო ერთი ოთახი (კ. ყმა, 248). 76. ეზოში ცაცხვები შრიალებდნენ (ო. ჭილ., II, 393). 77. ანეტას დანახვაზე სტუმარი წამოდგა (ო. ჭილ., II, 260). 78. მანქანა ნელა მიყვებოდა პატარა ქალაქის მყუდრო ქუჩებს (ნ. ონაშ., 143). 79. და შენს კაბაში ირხევა ქალი (ო. ჭილ., I, 583). 80. შინაური ტურები უფრო მეტს ჩადიან, ვიდრე გარეული მგლები (კ. ყმა, 294). 81. ჭრიჭინები ორღობეებთან უძახდნენ ხნიერ გამოქვაბულებს (ნ. სამად., 26). 82. ეს წინამძღოლი დუქნებშიაც შედიოდა (ი. გრიშ., 22). 83. მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს (ილია, 68). 84. ჩამიქროლეს დღეებმა ფოთლებივით ჭრელებმა (მ. ლებ., 216). 85. შეახალეთ თოფი ზეცას, გაიგონონ არწივებმა (პ. იაშვ., 244). 86. კრივი იმართებოდა სხვადასხვა ადგილას (ი. გრიშ., 25). 87. წვიმას ჩამოურეცხავს ოდესღაც ყვითლად შეღებილი კედლები (ა. ყაზბ., 203). 88. შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა (ილია, 65). 89. მთელი პამპლონა დაუსრულებელ გუგუნს მოუცავს (მ.

ძიძ., 21). 90. ძალიან მალე იცლება ჭიქა, ძალიან მალე იღლება თვალი (ო. ჭილ., I, 539). 91. ვარსკვლავის შუქში კრთის საკ-მეველი (ნ. სამად., 21). 92. ეს ზეიმი გრძელდებოდა ორ-სამ დღეს (ი. გრიშ., 38). 93. თბილისის ერთ მივარდნილ ქუჩაზე არის ერთი ძველი შენობა (ა. ყაზბ., 202). 94. ღამის სივრცეში ათას ადგილას ცეცხლი შუქობდა (ა. ყაზბ., 239). 95. ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს (ნ. სამად., 17). 96. წყალმა სიცოცხლის ნაპერწკალი და-აბრუნა გამოქვაბულში (ო. იოს., 132). 97. გემი ზღვაში დინჯად შედის და კოლხიდის სითბო მოაქვს (პ. იაშვ, 214). 98. მისი ბე-დის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იჭედება (აკაკი, 90). 99. ზღვის ნაპირი ცხელი მთენთავს (ო. ჭილ., I, 546). 100. ტანს უმშვე-ნებდნენ წყლულები ერთგულ მამულის შვილებსა (ვაჟა, 74).

*§ 10. ზედსართავი სახელი ქვემდებარედ.* 1. ბრწყინავს, ციმციმებს უცხო გვირგვინი, ადგას ნათელი სამეფო კარვებს (ა. კალანდ., 102). 2. ლურჯად დაბინდდა, ლურჯი ედო აჩალულ ყანებს (ა. კალანდ., 39). 3. ძვირფასმა მაჩუქა პატარა ცინდალი (პ. იაშვ., 128). 4. მაღლობიდან მწვანე მორბის, მწვანე ჩარბის ფე-რად ბაღში (პ. იაშვ., 227). 5. მოდიოდა შავსილიანი (პ. იაშვ., 209). 6. აქაურებმა ჩაიგდეს ხელში (ო. იოს., 40). 7. მათ წინ მდგომმა ნაბდიანმა ამის შესახებ არ იცოდა (ო. იოს., 10). 8. იკითხა ისევ კარტოფილიანმა, რომლის ლანდიც ჯერ არსად ჩანდა (ო. იოს., 17). 9. მღვრიე ლურჯი ჯაბნიდა ცის კიდეზე შერჩენილ მეწამულს (ნ. ონაშ., 146). 10. ნადირს მოდენიდა პატარა, დაისი ბაირაღს შლიდა (მ. ლებ., 506). 11. და არ არცხვენდნენ სახელს მშვენიერნი და ზრდილნი (მ. ლებ., 121). 12. გაჩერდა თვალტა-ნადი (პ. იაშვ., 213). 13. ფარნიანმა ტყვეს ხელებზე მიანათა (ო. იოს., 16). 14. იქნებ ჩემიანებმა მომისწრონ (ო. იოს., 50). 15. დი-დი და პატარა, როგორც ერთი კაცი და ჭირისუფალი, გამო-ცვივდნენ სახლებიდან (ო. იოს., 59). 16. მე თვალი მომჭრა მისმა ნათელმა (მოგ. აკ., 89). 17. ეს უკანასკნელნი კვირაში ორ-სამჯერ მიმოჰყვებიან ხალხით გაჭედილ მატარებლებს (ნ. ონაშ., 10). 18. გამოძახებაზე კი ამის მაგიერ მუდამ ვილაც კუზიანი მოდიოდა (ნ. ონაშ., 90). 19. სად ხნიერ ბაღში დადიან

დიდნი, დაბაასობენ ხიდგალმა მშვიდნი (მ. ლებ., 189). 20. გზად გამოეფინა დიდი და პატარა (მ. ლებ., 551). 21. და თბილი თესლით სავსე კალათას ხნულებში ცლიდა მშვიდი და გამრჯე (ო. ჭილ., II, 532). 22. ქვეყნად არსებობს კიდევ თეთრი და შავი, ტკბილი და მწარე, სუსტი და მძლავრი, მცირე და დიდი (ო. ჭილ., II, 457). 23. ამოდენა თოვლში აქაურებს ეშლებათ გზა (ო. ჭილ., II, 260). 24. ახლა დიდი და პატარა ქვევით დაეშვა (ო. იოს., 60). 25. გულში ნათელი ჩაუდგა (თ. სახ., 121). 26. მოზრდილები სკამებზე იჯდნენ და ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვნენ (აკაკი, 134). 27. ამ უბედურმა უცებ გაირბინა თავისი ცხოვრება (ო. იოს., 137). 28. ხმალს შეხებია შენი მარჯვენა (ა. კალანდ., 270). 29. დაბალმა, ზევით რომ იდგა დაღვრემილი და ყურებჩამოყრილი, ამოსვლა გაახსენა (ო. იოს., 138). 30. და უკუღმართად ნუ მოვმკით იმას, რაც ძველებს წაღმა დაუთესია (აკაკი, 58). 31. მთაში მიყუჟულ ჩაბნელებულ სოფელს უცებ მოეფინა ნათელი (ნ. ონაშ., 116). 32. ხელჯოხიანი წინ გადაუდგებოდა ქუჩაში გამვლელ კაცს (ი. გრიშ., 22). 33. გარეთ ქონავს ჭრაქის ნათელი (ნ. სამად., 10). 34. საბრალომ თვალებში შეხედა ქალიშვილს, ხოლო წყალი არ მოუსვამს (ო. იოს., 137). 35. ბოლოს მაღალმა ისევ ბავშვივით აიყვანა ხელში მაზარაში გახვეული (ო. იოს., 138). 36. თოვლიან მთების შორეულ კალთებს ყოველდღიურად მზის ჩასვლის შემდეგ ნათელი ადგას მარადიული (ა. კალანდ., 272). 37. ამაზე ქვემოურებმა ასე უპასუხეს (აკაკი, 121). 38. მაგრამ ახლა სხვა ხმაზე ადუღდუღდა უსინათლო (მოგ. აკ., 91). 39. გაჩნდება სითლაც ნათელი, გულს ჩამიდგება სვეტადა (ვაჟა, 78). 40. ბეჩავმა მკვდარს პირჯვარი გადასწერა და მიწის მიყრა დააპირა (ო. იოს., 138). 41. ზემოურებმა ეს რომ გაიგონეს, იმათაც ზურგი უჩვენეს ათვალისწინებულ ვაჟბატონს (აკაკი, 12). 42. ნუ იზამთ მისთანა უსამართლობას, რომელიც არც თქვენს ძველებს და არც ჩვენს ძეელებს არ ჩაუდენიათ (აკაკი, 120). 43. მოვა ვინმე უბედური და თავზე ცეცხლს გადაგვაყრის (ნ. ონაშ., 78). 44. ღია კარიდან შემოღწეული მკრთალი ნათელი მხოლოდ მამაჩემის სურათს ეფინებოდა (ნ. ონაშ., 36). 45. იქვე მომკვდარიყო, სადაც მისიანები ცხოვრობდნენ (აკაკი, 114). 46. გვერდით მოუსხდნენ მსაჯულად მოხუცჭაღარათმი-

ანნი (აკაკი, 38). 47. ზემოურებს თურმე გაუკვირდათ ეს და ჰკითხეს ქვემოურებს (აკაკი, 121). 48. მათი შარავანდის ნათელი ფარავდა ამდენ უსაქმურსა (ნ. ლონაშ., 65). 49. დაბალმა წასვლისას ისევ გადასწერა პირჯვარი საფლავს (ო. იოს., 139). 50. მის აგურით ნაგებ ფარღალალა კედლებს ნარინჯისფერი დაედო (ნ. ლონაშ., 142). 51. გართხმულან მწვანე ბალახში მაღალნი, მსხვილბარკლიანნი (ლ. ასათ., 90). 52. კვლავ გაიმარჯვა ნათელთან ბნელმა და კელავ კოშმარი გამეფდა ირგვლივ (ლ. ასათ., 104). 53. პატარა კითხულობს (გ. რობაქ., 228). 54. ჩაცინება სცადა ერთმა დაბალმა (გ. ფანჯ., 516). 55. უმალ აეკვიატა სიკვდილის ბნელი ანთებულ თვალებს (ლ. ასათ., 102). 56. მყიდველს შეეხნენ ახოვანი ნაბდიანები (ლ. ასათ., 49). 57. ულვაშიანი და ჯიშიანი მათ წინ მიუძღვის (ლ. ასათ., 111). 58. უბედური იქირავებდა ღვინით ბნელ ფიქრებს (ნ. სამად., 167). 59. განათდა ბნელი (ლ. ასათ., 102). 60. ნათელი წყვდიადს უღონოდ შეხედა (ლ. ასათ., 103). 61. ჩალმიანმა თითქო გაუგო გულის თქმა და მოახსენა (გ. რობაქ., 35). 62. მარტო ჩემს ირგვლივ იდგა ნათელი (ლ. ასათ., 65). 63. ღამეში თვალების გადაბრიალებით ნადავლთან მოგროვდნენ შავნაბდიანები (ლ. ასათ., 52). 64. შუა მოედანზე თავს იყრიდა დიდ-პატარა (თ. ბიბ., 139). 65. მაგრამ იქით და აქედან გადმოხტნენ აბჯრიანები (ვაჟა, 179). 66. ნახირს მოდენიდა პატარა (მ. ლებ., 506). 67. უცხომ უფრო უმატა სიცილს (თ. ბიბ., 84). 68. ამ მღვრიე მდინარის ნაპირ-ნაპირ სოფლის დიდ-პატარა დაძრულიყო (თ. ბიბ., 134). 69. ზოგჯერ აქა-იქ მაინც გაკრთებოდა მკრთალი ნათელი (ნ. ლონაშ., 224). 70. უცხო, რომელსაც გიორგი ბალიაური ერქვა, ქვემოთ ხეობაში მიჰქროდა (თ. ბიბ., 86). 71. პატარები ჰკოცნიან უფროსებს რაღაც დანაშაულის პატიების ნიშნად (რ. ინან., 85). 72. უბედურს, მორჩილს და საწყალს აღარ შეეძლო სოფლის საქმეთა მართვა (თ. ბიბ., 15). 73. ლიპიანი მაშინვე დაფაცურდა (თ. ბიბ., 36). 74. ლევანმა ხელით ანიშნა და სათვალიანმა ასანთიც ესროლა (გ. ფანჯ., 401). 75. უდაბნოს განთიადის ნისლისფერი ნათელი ადგებოდა (თ. ბიბ., 82). 76. ეგ მართალია, ბოლან სამ აქ ცოფიანი დარბოდა (ვაჟა, 164). 77. მერაბს ჭკვიანი გაჰყვებოდა ვინმე? (რ. ინან., 76). 78. პატარები არიან კარგები, ბარტყებივით პირდაღებული რომ შემოგყ-

ურებენ (რ. ინან., 97). 79. თმახუჭუჭამ თამაზსაც ჩამოართვა ხელი (გ. ფანჯ., 648). 80. კუზიანმა ანგარიში გაასწორა და მებუფეტემ ოთხი ბოთლი შამპანური მოიტანა (გ. ფანჯ., 649). 81. ყმაწვილები წამოდგებიან, ესალმებიან და ჩალმიანი აცნობს (გ. რობაქ., 36). 82. მაღალმა მხარზე მოიდო, ნაბადზე შემოატარა და ისევ ბეჭზე მოიხვია (ო. იოს., 157). 83. ამის გაგონებაზე მწყემსებს შორის ყველაზე ხნიერი უცებ წამოდგა (თ. ბიბ., 431). 84. ნაბდიანი ახლაც ჩემ წინ მიდის ნელა, აუჩქარებლად და თვითონაც ყველას სალმით პასუხობს (კ. ყმა, 202). 85. აქაურები აქ იბადებოდნენ და აქვე კვდებოდნენ (თ. ბიბ., 368). 86. ნათელი წყვდიადს უღონოდ შეხვდა (ლ. ასათ., 103). 87. დიდმა თუ პატარამ უნდა დაიხსომოს თაეისი სახელოვანი კაცი (ილია, აზრ., 28). 88. თოვლიან მთებზე ნათელი დგება მარადიული (ა. კალანდ., 272). 89. და ცახცახებდნენ პატარები, როგორც ფურცლები აპრილისა (ი. ჯოლბ., 168). 90. ბნელს ნათელი ლახვრავს მარად, ნათელს მარად ახლავს ბნელი (მ. ლებ., 188).

*§ 11. რიცხვითი სახელი ქვემდებარედ.* 1. ტანგაუხდელნი და უჭურჭლოდ ხუთასნი წვანან (მ. ლებ., 139). 2. იწყებდა ერთი, ბანს აძლევდნენ თვისტომნი ღრენით (მ. ლებ., 288). 3. ოთხიეეს საბრალო ლექსები უწერია (მ. ლებ., 295). 4. ერთი გაგინებს, მეორე გაქებს, მესამე რატომლაც გარიდებს სახეს (მ. ლებ., 331). 5. შეშლილივით აყვირებულა გალაკტიონი და ორთავე ატირებულა (მ. ლებ., 353). 6. ორივე არადამაკმაყოფილებელი ნიშნით იყო შეფასებული (ნ. ონაშ., 160). 7. გუშინ ერთი თავჯამოდებით მთხოვდა, კინოში წამოდიო (ნ. ონაშ., 92). 8. სამთავენი ჩუმად ისხდნენ და მოცეკვავე წყვილებს აკვირდებოდნენ (გ. ფანჯ., 160). 9. წამოიწყო ერთმა და იკითხა მეორემ (გ. ფანჯ., 157). 10. ორთავენი უკან დაბრუნდნენ (გ. ფანჯ., 125). 11. ორივენი ხელსაწყოების ჯიხურში შევიდნენ (გ. ფანჯ., 144). 12. იმ მდუღარების მოდებით ჩემთან მოვიდა პირველი (პ. იაშვ., 238). 13. ერთი ყოველთვის ტირის (პ. იაშვ., 247). 14. და ორთავე შეხვდნენ სტუმარს (პ. იაშვ., 229). 15. ამას ბევრი ხედავს (პ. იაშვ., 251). 16. მეორემ მეზობელ გვირაბში განუტევა სული (ო. იოს., 94). 17. ერთი ალფრედს მოხვდა,

მეორე კლაუსს (ო. იოს., 83). 18. ქვევით მეორე ჩამხობილიყო, კარგად შეკრეჭილი ქერა თავი უჩანდა (ო. იოს., 70). 19. ორივეს უნდოდა დაეკივლა, მაგრამ ხმა არც ერთს არ ჰქონდა (ო. იოს., 98). 20. ვაცას ხუთი შვილი ჰყავდა, სკოლაში კი მარტო ერთი სწავლობდა (კ. ყმა, 248). 21. ორივე ჩვენზე ღარიბები იყვნენ (კ. ყმა, 230). 22. სამივენი ფშაველებზე გათხოვდნენ (კ. ყმა, 323). 23. ორნი მიდიან მთვარიან გზაზე (ა. კალანდ., 332). 24. ერთმა კი ჯიქურ ხერხი იღონა (მოგ. აკ., 89). 25. ახლა მეორემ ჩააჩხრიალა ჯამში ჩემი კაპიკი (მოგ. აკ., 90). 26. თათარყანის მოსვლაზედ იმ ჯგუფიდან ერთმა დაიძახა (ა. ყაზბ., 170). 27. ორნივე ხმაგაკმენდილნი მიდიოდნენ (ა. ყაზბ., 49). 28. ორთავენი მოცურებულ მანქანასთან მივიდნენ (გ. ფანჯ., 114). 29. იტყოდა ერთი, ამხანაგის სიცილში დაუმატებდა მეორე (გ. ფანჯ., 222). 30. ახლა სამთავენი წალვერში არიან (გ. ფანჯ., 107). 31. გააფთრებით იყვირა ერთმა (მ. ლებ., 484). 32. მეოთხე ხშირად გირეკავს სახლში, მეხუთე გჭორავს, მეექვსე გთათხავს (მ. ლებ., 331). 33. ბევრმა არც კი იცის ეს (ნ. ონაშ., 52). 34. ამ სიტყვაზე ორივემ გაიცინა (ნ. ონაშ., 133). 35. ორივემ თავისი ადგილი დაიკავა (ნ. ონაშ., 41). 36. მეორე მოადგა ბილიკის თავს (ო. იოს., 57). 37. ჩემს პირდაპირ ორნი ისხდნენ (ნ. ონაშ., 21). 38. პირველი მას ამშვენიერებს, მეორე ფასს აძლევს ამაღლებას (პ. იაშ., 272). 39. ორივენი წაეიდნენ (პ. იაშვ., 253). 40. ხუთიათასი უსახლოდ დარჩა (პ. იაშვ., 147). 41. ორთავეს მოვალეობად მიაჩნდათ ანგარიში მიეცათ ერთმანეთისათვის (ა. ყაზბ., 53). 42. ამ სიტყვების შემდეგ ორნივ გაჩუმდნენ (ა. ყაზბ., 48). 43. მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი, მოვიდა, ფრთხილად დამალო ლოყა (მ. ლებ., 444). 44. ამ სამთაგან ორნი დავრჩით (მ. ლებ., 146). 45. ერთი ან ორი ახლავე ამოიღებდნენ ნიშანში დანარჩენებს (ო. იოს., 11). 46. მესამე გამოილანდა ბნელში და ახლოს მივიდა (ო. იოს., 16). 47. სოფლიდან ტყეში ორი გაიქცა (ო. იოს., 35). 48. ხსნა არ იყო, ხუთივე განწირული იყო (ო. იოს., 11). 49. ამ სიტყვებზე ორივე გაფითრდა (ნ. ონაშ., 89). 50. ორთავენი დასხდნენ (გ. ფანჯ., 50). 51. იკითხა ერთმა, უპასუხა მეორემ (გ. ფანჯ., 81). 52. ორივენი იქით გაემართნენ (გ. ფანჯ., 50). 53. ჩაილაპარაკა ორთავემ ერთდროულად (გ. ფანჯ., 21). 54. ზეცად აეპყრათ სამთავეს თვა-

ლნი, საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა (აკაკი, 80). 55. მოს-წყინდათ ფარი და უკუაგდეს, დაადგნენ ორნივ მარტო შიშველ ხმალს (აკაკი, 64). 56. ერთმა მოიტანა ნაფოტი და სხვები უკან მისდევდნენ (აკაკი, 101). 57. ბევრი თავისი ცხვირის იქით არ იხედება, ხელს არაფერში გაგიმართავს, შენი გულისათვის ზედმეტ ნაბიჯს არ გადადგამს (ნ. ონაშ., 144). 58. მეორე იყო სრულიად მოპირდაპირე შეხედულებისა (ა. ყაზბ., 217). 59. მე-სამე ხელცარიელი დარჩა (ილია, 393). 60. და ზოგან ერთი მიდის მის სწორზე (აკაკი, 63). 61. აწ სასიკვდილოდ უნდა შე-ვებათ, ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს (აკაკი, 65). 62. ხან ერთი, ხან მეორე იმეორებდა ზემო სიტყვებს (აკაკი, 124). 63. ორ-ნი საბძლიდან მორბიან, იქ წოლილიყვნენ ბზეშია (ვაჟა, 30). 64. ორივემ დიდხანს თხარეს ორმო (ო. იოს., 138). 65. ამასო-ბაში მეორეც მოჩანჩალდა (ო. იოს., 139). 66. ზეცას შეჰხედეს სამთავემ ნელა (აკაკი, 80). 67. მაგრამ ორივემ სწორის სი-მარდით მას მიაგებეს მათ-მათი ფარი (აკაკი, 64). 68. ერთი იყო შუა ხნისა, გამხდარი და, როგორც ეტყობოდა, ცხოვრება გამოვლილი (ა. ყაზბ., 217). 69. გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე და ყველას ცალკე იგივე დღე დააყენა თა-თარმა (ილია, 264). 70. ორთავ დალიეს ერთადა, ორივემ ყანწი დაცალა (ვაჟა, 113). 71. სადაც სხვა ყველა ქეიფობს, იქ ერთი რას გააწყობს (აკაკი, 162). 72. ლომკაცურად შეებმოდა ერთი ასსა (აკაკი, 40). 73. თქვა უცებ ერთმა, მოულოდნელად უპასუხა მეორემ (ა. ყაზბ., 243). 74. ყოველ წუთს შეიძლებოდა ის ან ერთს მოეკლა, ან მეორეს (ო. იოს., 148). 75. მას აცვი-ფრებს მხოლოდ ერთი (ა. კალანდ., 65). 76. ჩემს მაგიერ მეო-რემ მიუგო (აკაკი, 124). 77. ერთი მიუჩოქებდა, ორი იქით-აქეთ ხელს მოჰკიდებდა (აკაკი, 108). 78. მან შემაყვარა სამშობლო ჩემი, რომლისთვისაც ბევრმა სისხლი დაღვარა (ლ. ასათ., 55). 79. ბალღებში ყველას გაუსწრებს ერთი (ლ. ასათ., 38). 80. მან-ქანაში ოთხნი ისხდნენ (გ. ფანჯ., 545). 81. მერე პირველმა წე-სისამებრ გატეხა ლუკმა (ლ. ასათ., 86). 82. აგერ შეიბნენ ორ-ორნი, ურთერთს ახეთქეს ჰოროლი (ლ. ასათ., 96). 83. ორივე-ნი ხალხის საყვარელ მგოსნად ითვლებოდნენ (ი. გრიშ., 96). 84. ერთილა დადის ბანაკში (ლ. ასათ., 90). 85. სამი გაჩერების შემდეგ ორივენი ჩამოვიდნენ (გ. ფანჯ., 522). 86. მან საათს

დახედა, უკვე ათი სრულდებოდა (გ. ფანჯ., 602). 87. სამივენი მასპინძლის პირდაპირ ჩამოსხდნენ (ი. გრიშ., 179). 88. იფიცებს ერთი (ლ. ასათ., 48). 89. ერთმა ხელი ჩაიქნია, მეორემ კი მომუჭული ხელი ყურთან მიიტანა (გ. ფანჯ., 336). 90. ულვაშებზე სალოკი გადაისვა ერთ-ერთმა (ლ. ასათ., 52). 91. საუბარში მესამეს მეოთხეც ემატება, მეოთხეს მეხუთე მოსდევს (გ. რობაქ., 292). 92. ამბობს ერთი, მიუგებს მეორე, გამოდის მესამე (გ. რობაქ., 250). 93. კვერს უკრავს მეორე (გ. რობაქ., 250). 94. ორთავენი ტალღის გადავლას დაელოდნენ (გ. ფანჯ., 125). 95. შესაძლოა პირველი იყოს მართალი, შესაძლოა მეორე, შესაძლოა ორივე (გ. რობაქ., 213). 96. უეცრად მესამე წამოხტება (გ. რობაქ., 67). 97. ამ დროს მეორე ეხმარება (გ. რობაქ., 229). 98. წაუჩურჩულებს მეორეს მესამე (გ. რობაქ., 68). 99. მესამემ ტუჩზე ხელი მიაფარა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ქალი შინ შეიყვანა (თ. ბიბ., 115). 100. ბოლოს ერთი სხვებს გამოეყო, კართან აიარა და კარებზე დააკაკუნა (თ. ბიბ., 121). 101. ერთი ლოგინს ამზეურებდა, მეორეს ბავშვები მიჰყავდა სკოლაში, მესამე სარეცხს ჰფენდა (გ. ფანჯ., 413). 102. კუთხიდან ორნი გამოვიდნენ (რ. ინან., 74). 103. ერთი მაღალი იყო და გამხდარი, მეორე პატარა, მაგრამ ღიპიანი (თ. ბიბ., 35). 104. ორივენი იმ უცხო გზაზე ვფიქრობდით (თ. ბიბ., 26). 105. ამ ამბის გამო ოთხივენი აღგზნებულნი იყვნენ (ო. ჭილ., II, 62). 106. ერთი ამბობს (მ. ლებ., 160). 107. ხოლო ის მეხუთე სცამდა, ხოლო ის მეხუთე სდუმდა (მ. ლებ., 17). 108. ერთმა მოუხურა სახლის კარი და ქალი სახტად დარჩა (თ. ბიბ., 115). 109. მეორემ მარტო ის უთხრა, რომ სხვას ვინმეს ჰკითხეო (თ. ბიბ., 115). 110. თქვა პირველმა ხუთში ასე (მ. ლებ., 16). 111. მეორემ გამეტებით დაუქნია ბასრი ხმალი პირველს (თ. ბიბ., 175). 112. მერე სამივენი ჩუმდებოდნენ, მერე სამივენი ისევ იწყებდნენ ძახილს (თ. ბიბ., 446). 113. ერთი იბრძვის და ის მეორე უბრალოდ ჩსუბობს (მ. ლებ., 62). 114. ოთხივენი, ცოცხლები და უვნებელნი, თავისი ფეხით დაბრუნდნენ შინ (ო. ჭილ., I, 89). 115. მესამე ახალთახალ უნაგირს ადგამს ჯილაურის ცხენს (თ. ბიბ., 434). 116. ორივენი გაჩუმდნენ (თ. ბიბ., 471). 117. ერთმა გრაფინს მოავლო ხელი, მეორემ ჭიქას, მესამემ მაგიდა გაუნთავისუფლა, მეოთხემ აწკრიალებული ტელეფონი მღივნის ოთახში

გადაიყვანა, მეხუთემ ფანჯარა გამოაღო (გ. ფანჯ., 541). 118. ორივენი მტვერში იყვნენ ამოგანგლულნი (ო. ჭილ., II, 51). 119. სამივენი მართლები იყვნენ, ან სამივენი ტყუოდნენ (ო. ჭილ., II, 23). 120. მერე ორივე ერთად მისდევდნენ ცხენებს (ო. იოს., 20). 121. მეორე ამას ჯერ ვერ მიმხვდარა (ო. იოს., 118). 122. სამივენი, ბუხრის წინ ჩამომსხდარნი, ცეცხლზე გავითბობდით ხელებს (თ. ბიბ., 204). 123. ორივენი მუხლებზე წამოიმართნენ, დაბნეულნი მიაჩერდნენ პაპას და ორივემ ერთდროულად შეჰყვირა (ო. ჭილ., II, 162). 124. ორივენი გაჩუმდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ სახეში (ო. ჭილ., II, 112). 125. ჩვენ სამივენი ვიწექით ქვეშაგებში და ვკითხულობდით (კ. ყმა, 157). 126. ორნივ ერთს განსაცდელში ვიყავით და ორნივ ერთმანეთს ვაგრძნობინებდით ჩვენს სიხარულს (ა. ყაზბ., 226). 127. ბულვარზედ დარჩენილი სვიმონ კი ხან ერთმა გაიყენა, ხან მეორემ (ა. ყაზბ., 75). 128. ოთხივენი აღგზნებულნი იყვნენ, თითქოს უცებ, მოულოდნელად გადაუდებელი საქმე გასჩენოდათ (ო. ჭილ., I, 62). 129. ორივემ საგულდაგულოდ გაახვია პაპიროსი (თ. ბიბ., 381). 130. მეორე ტიროდა, მესამე ამაყად იდგა, მეოთხე იღიმებოდა (თ. ბიბ., 232). 131. ერთმაც არ დაგგმო, ღვთის მადლმა, არ მოგიხსენა ავადა (ვაჟა, 50). 132. ერთი ამბობს: „მე მოვკალი, ჩემი მოხვდა ნასროლიო"... მესამემ სთქვა: „მე გასწავლეთ, კაცნო, დაითვის საწოლიო" (ვაჟა, 83). 133. ვიდექით ერთმანეთის პირისპირ ორნი (ი. ჯოლბ., 100). 134. ცისფერ კაფეში შევდივართ ორნი (ლ. ასათ., 59).

*§ 12. ნაცვალსახელი ქვემდებარედ.* 1. ის დაეშვება ვარსკვლავების ბრწყინვალე ეტლით (ა. კალანდ., 311). 2. შენ კვლავ მოხვედი ჩემს ტაძართან ამ საღამოსაც (ა. კალანდ., 321). 3. გემი პორტიდან მიდის, რეიდზე დგება ზოგი (ა. კალანდ., 338). 4. დაბალი ხმით დაიწყო მან (ნ. ონაშ., 83). 5. ყოველგვარი საზრუნავი მოეიშორე და სხვამ იზრუნოს შენს კეთილდღეობაზე (ნ. ონაშ., 99). 6. თითონ ოთახში მიმოიხედა, სკამს ეძებდა (ნ. ონაშ., 83). 7. თქვენ კი პირდაპირ უკიდურეს ზომას მიმართეთ (ნ. ონაშ., 86). 8. ამან ფაკულტეტი საკმაოდ რომანტიკულ ბურუსში გაახვია (გ. ფანჯ., 208). 9. შენ უფრო

მეცნიერული და თეორიული მუშაობა გიტაცებდა (გ. ფანჯ., 212). 10. მე მოსკოვში ვცხოვრობ და ძალიან ცუდად ვიცნობ ახალგაზრდა ქართველ მწერლებს (გ. ფანჯ., 46). 11. ყველა თავისი გზით ივლის (ნ. ონაშ., 70). 12. უკან მდგომთაგან არავინ ისროდა (ო. იოს., 11). 13. მან განგებ შორი, უხიფათო გზა აირჩია (ო. იოს., 10). 14. ამ კლდეებში გამომწყვდევას თვითონ ვერ დაიბრალებდა (ო. იოს., 40). 15. შენ ხომ წამოხვალ ჩემთან, თაჯი? (ო. იოს., 74). 16. ჩვენ უკან ვერ დავბრუნდებით (ო. იოს., 28). 17. და სულში ვიღაც ჩურჩულებს (ო. ჭილ., I, 583). 18. ზოგი უდროოდ ივსება მიწით, მარად წყალუხვნი რჩებიან სხვანი (ო. ჭილ., I, 477). 19. მათ კი იცოდნენ და მიფრინავდნენ, დაბნეულები ცით და სიჩუმით (ო. ჭილ., II, 496). 20. ყველა ვიღაცას წყევლიდა მაშინ (ო. ჭილ., II, 497). 21. ძვირფასი იყო ის ქუჩა ჩვენთვის, ჩვენ ამ ქუჩაზე თამამად ვწერდით (ო. ჭილ., II, 537). 22. მე გულმოდგინედ ვუკაკუნებდი მარმარილოს (ნ. ონაშ., 91). 23. მოითმინე, ჯერ სხვებმა თქვან (ნ. ონაშ., 84). 24. და ახლა თითქოს რაღაც მბოჭავს, რაღაც მამუხრუჭებს (ნ. ონაშ., 130). 25. სხვებმა ეს არ იციან (ნ. ონაშ., 131). 26. ერთი-ორჯერ ვიღაცამ დამირეკა (ნ. ონაშ., 169). 27. ყველანი გავიდნენ ბაღში (ა. ყაზბ., 132). 28. შენ გინდოდა მოულოდნელის გამოჩენით სიამოვნება მოგემატებინა ჩემთვის (ა. ყაზბ., 133). 29. პირველი მისალმების შემდეგ იმათ გამოსწიეს სევისაკენ (ა. ყაზბ., 160). 30. ღამით ბუტბუტებდნენ ბნელში ვიღაცეები (მ. ლებ., 428). 31. ის წავა, სიტყვას არ იტყვის ზედმეტს, ის წავა, როგორც წასულა ხშირად (მ. ლებ., 540). 32. აკაკი ბევრჯერ გამახსხარავებია ანას, თუ შენ ვერ მონახე საქმრო, მე მაინც მოგიძებნიო (მოგ. აკ., 62). 33. ჩვენც მოვახსენეთ დარბაზში მოსულს (მოგ. აკ., 74). 34. ისევე ვივლი, როგორც სხვები დადიან (ნ. ონაშ., 10). 35. ყველამ როდი გაიარა ია-ვარდით მოფენილი გზა (ნ. ონაშ., 38). 36. ვიღაცა ბოხი ხმით მღეროდა (ნ. ონაშ., 54). 37. მე მაინც არავინ მკოცნის (ნ. ონაშ., 55). 38. ზოგს კარტოფილი მოჰქონდა, ზოგს — პური, ზოგს — პამიდორი (ნ. ონაშ., 195). 39. შენ მორწმუნე კაცი ხარ (ო. იოს., 23). 40. ეს ყველამ კარგად იცოდა (ო. იოს., 34). 41. მერე ვიღაცამ იქვე წამოიყვირა გაზეპირებული ორი რუსული სიტყვა (ო. იოს., 12). 42. იგი მიწაზე ეგდო (ო. იოს., 61). 43. ყველა თავჩა-

ღუნული აედევნა (ო. იოს., 159). 44. მე ფეხბურთელი მინდა გამოვიდე, – თქვა ოთარმა (გ. ფანჯ., 137). 45. საცაეიდან ყველა ერთდროულად გამოვიდა (ნ. ონაშ., 82). 46. მე მეტალურგი ვარ, მე ხომ ვიცი, ხუთიანი მეკუთენის (გ. ფანჯ., 204). 47. სარეცხს თვითონ რეცხავდა, ოთახებსაც თვითონ ჰგვიდა, ბაზარშიც თვითონ დადიოდა (გ. ფანჯ., 183). 48. კარგი, შეილო, წადი, მე ხელს არ შეგიშლი (გ. ფანჯ., 140). 49. ისინი ჩვენსკენ შემობრუნდნენ (ნ. ონაშ., 82). 50. ჩვენ ერთად დავამთავრეთ სამხატვრო აკადემია (ნ. ონაშ., 3). 51. ყველამ მისკენ მიიხედა (ნ. ონაშ., 186). 52. მე მეგობრობას ეალად არავის ვდებ (ნ. ონაშ., 154). 53. როცა ისინი მოსახვევთან მივიდნენ, მერე იმათაც თავი ჩაჰკიდეს (ო. იოს., 159). 54. იქნებ შენ უარს ამბობ შენს ტყავზე (ო. იოს., 143). 55. მე ამისათვის მოგანიჭე ჩემი ტალანტი (ა. კალანდ., 219). 56. მიგვატოვონ მარად მათ, სამხრეთის ქართა (ა. კალანდ., 285). 57. ამიტომ მე მათ მოეიხილავ მთვარიან ღამით (ა. კალანდ., 20). 58. შენ დღე და ღამე ფრთხილობ მასთან (ა. კალანდ., 401). 59. ის კი მღეროდა თხოვნის გარეშე (ო. ჭილ., II, 486). 60. თაებრუს გვახვევდა ყველას ცოტა ხნით და შიშის მაგვარს ვგრძნობდით ყველანი (ო. ჭილ., I, 537). 61. შენც თითქოს მხოლოდ ამას უცდიდი (ო. ჭილ., II, 429). 62. ყველა თავისს ცეცხლს უკიდებს (თ. სახ., 721). 63. ქარისა და მზის მეტი არავინ მივიდეს (თ. სახ., 674). 64. ზოგი ალთას იძახდა, ზოგი – ბალთას (თ. სახ., 211). 65. შენ საკმაოდ გონიერი ხარ და ურიგოდ არ მოიქცევი (ა. ყაზბ., 52). 66. ჩვენ კიდევ მოვასწრებთ შინ მისვლას (ა. ყაზბ., 103). 67. მე დანაშაულს არ ვგრძნობ (ა. ყაზბ., 91). 68. უბატონოდ ხმას არავინ გასცემს (ნ. ონაშ., 142). 69. ჩვენებს ძალიან შეეშინდებათ, მათ ხომ არ იციან, სადა ვართ (ნ. ონაშ., 136). 70. თქვენ რა იცით, მე როგორ ვცხოვრობ (ნ. ონაშ., 100). 71. ზოგნი სკოლაში უნდა წასულიყვნენ, ზოგნი აოხრებულ სახლ-კარს მაინც მიხედავდნენ (კ. ყმა, 244). 72. ვიღაცა სამშობლოზე სწუხს (მ. ლებ., 457). 73. მე ვერაფერი ვერ ვთქვი, ისე გაველი სცენიდან (მოგ. აკ., 13). 74. შენ ამოდიხარ ზღვიდან მზესავით (ო. ჭილ., I, 575). 75. მე გავიზარდე, როგორც სივრცე მზიან ამინდში (ო. ჭილ., I, 588). 76. შენ ისევ ისე მიხდი მადლობას (ო. ჭილ., I, 556). 77. ეს თვითონ იგრძნეს და თვითონვე შეგმოსეს (ნ. ონაშ., 157). 78. რა-

ღაცა მაწუხებდა, რაღაცა მაშფოთებდა, რაღაცა მტანჯავდა (ნ. ონაშ., 65). 79. შენ ქართულ აკვანს უზიხარ და პაწაწინას ღუღუნს შეპხარი (ა. კალანდ., 73). 80. ვერავინ ამჩნევს შენსა მშვენებას, უცხო სიტურფეს ვერავინ ამჩნევს (ა. კალანდ., 354). 81. ისინი ხშირად მეთევზეების ნავებზე სხედან (ა. კალანდ., 361). 82. არვინ მაბრუნებს, არავინ მხმობს, — წალკოტს შემოდი (ა. კალანდ., 341). 83. ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი (პ. იაშვ., 87). 84. შენ შეხაროდი ბავშვების სიცილს (პ. იაშვ., 199). 85. მთქნარების დროს ნურავინ დაიტრაბახებს (პ. იაშვ., 99). 86. მათ იცოდნენ, რომ ორჯერ გაისროლეს (ო. იოს., 83). 87. მე, ალბათ, ასე კარგად ვერ მოვარტყამ (ო. იოს., 44). 88. შენსავით ციეად, შენსავით მკაცრად მიმიღებს ყველა (ო. ჭილ., I, 559). 89. შენ კი ტირი, მშიშარა მაინც იყო (ო. იოს., 28). 90. ადგილიდან არავინ იძვრის (პ. იაშვ., 351). 91. ჩვენც მშვიდობას ვეძახით ამას (პ. იაშვ., 206). 92. მე თითქოს ვუსმენ ბავშვობის წუთებს (პ. იაშვ., 166). 93. შენ თვითონ მითხარი ამის შესახებ (ნ. ონაშ., 148). 94. განა თვითონ არ იციან ყოველივე (ნ. ონაშ., 105). 95. მე შემოვდივარ ამ ოთახში, ვით აკლდამაში (ნ. ონაშ., 179). 96. აგერ ვიღაცამ გამოაძრო ურემს ბორბალი (ლ. ასათ., 49). 97. მან რამდენიმე წლის ნაგროვები ოქრო-ვერცხლი ბაზარში წაიღო (ო. იოს., 263). 98. ზოგი ფეხში ეცემა, ზოგი ხელში, ზოგი ზურგში (გ. რობაქ., 142). 99. მის გულიანად ნათქვამ ამბავს ყველა ყურს უგდებდა (აკაკი, 158). 100. სხვა დასტკბეს, სხვამ იქეიფოს განწყობით ამაზრზენითა (ვაჟა, 68).

*§ 13. საწყისი ქვემდებარედ.* 1. სასადილო ჩვენი მეგობრებით იყო სავსე და მათხოვრების დანახვამ ალტაცება გამოიწვია (პ. იაშვ., 253). 2. გალობამ შეარხია უცბად ბუნება (პ. იაშვ., 175). 3. ფრინველების აფეთქება არ ისმის არსად (პ. იაშვ., 175). 4. ქალის ერთი უბრალო გაღიმებაც კი რატომღაც ათამაშებს კაცს (გ. ფანჯ., 46). 5. ეხლა ხამსას ჭამა აღარ შეიძლება (გ. ფანჯ., 128). 6. ქალის შემოხედვამ მისი არსება რაღაც შეუცნობელი იმედით აღავსო (გ. ფანჯ., 42). 7. მოედანზე უფროსების გამოჩენამ მეზობლებს კაი ხნის სალაპარაკო

მისცა (გ. ფანჯ., 64). 8. უფრო ბექას ჩასაფრებამ შეშომინთო ცეცხლი (ნ. ონაშ., 112). 9. საჭიროა ყოველდღიური ერთფეროვნების დარღვევა და დარდის დავიწყება (ნ. ონაშ., 122). 10. ჩემს ხმასაც შეეპარა თრთოლვა (ნ. ონაშ., 146). 11. მისი სახელის ამოკითხვამ ახლაც ისევ გამახარა (ნ. ონაშ., 45). 12. გარეთ კი ბებერ ფოთლების ცვენა იყო ლამაზი და უჩუმარი (ო. ჭილ., I, 577). 13. აქედან კარგად ჩანდა მამისეული სახლის დაშლა და გადმოზიდვა (ო. ჭილ., II, 88). 14. მტრის ასეთ შემოხედვას შეეძლო ჭკუიდან შეეშალა ადამიანი (ო. იოს., 98). 15. გუცა შეზარა ამ უცაბედმა შეხებამ კაცისა (ო. იოს., 83). 16. თეიმურაზის ლაპარაკზე ლიდია მთლად ქრჟოლამ აიტანა (ა. ყაზბ., 49). 17. უზარმაზარი ვერცხლისფერი სხეული თითქოს თრთოლვამ აიტანა, მერე ერთიანად აზრიალდა და დაიძრა (გ. ფანჯ., 167). 18. მისი მორჩენა უკვე ზღაპარი იყო (გ. ფანჯ., 75). 19. ადრე გაზაფხულზე დაიწყო მოსამზადებელი წვრთნა (გ. ფანჯ., 153). 20. მაგრამ სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ვაჟა-ფშაველაზე ქუთაისში მიწევამ (კ. ყმა, 255). 21. ბიძაჩემის მოსვლა ჩვენს ოჯახში დღესასწაულს უდრიდა (კ. ყმა, 247). 22. ამ მოედანზე ოდესღაც იდგა გრიალი საზარი (პ. იაშვ., 215). 23. მისმა სიმღერით კითხვამ ხალხი აღფრთოვანებაში მოიყვანა (პ. იაშვ., 272). 24. ალიონზე ყეინჩილების ყივილმა გამოაღვიძა ჯონდო (გ. ფანჯ., 90). 25. მისი ჩამოსვლა ყველასათვის მოულოდნელი იყო (გ. ფანჯ., 206). 26. ხმაში უცნაური თრთოლვა ისმოდა (ნ. ონაშ., 10). 27. ამის გაფიქრებამ გული მატკინა (ნ. ონაშ., 18). 28. უცბად ტირილი შემომესმა წყალგალმა მგლების (მ. ლებ., 288). 29. მე გამაღვიძა ანაზდად მშვიდმა ზამთრის თენებამ, ჩადგომამ ქარის, სიჩუმემ დიდმა (მ. ლებ., 77). 30. ნალების ჭახანთან ერთად ზედიზედ გასროლაც გაისმა (ო. იოს., 11). 31. ტკივილმა თავგზა აუბნია, წონასწორობა დაკარგა, წაიქცა (ო. იოს., 25). 32. ცხენიდან ძირს ჩამოხტომა იყო საჭირო (ო. იოს., 10). 33. თქვენს სულს აანთებს მიწა მშობელი და ზედ მოსავლის აღმოცენება (პ. იაშვ., 211). 34. ნუთუ პოეტებს გვეპატიება აზნაურული გაზარმაცება (პ. იაშვ., 146). 35. მიტაცებდა ზღვის რაინდის ვაჟკაცური გამოჩენა (პ. იაშვ., 214). 36. მიწის სუნთქვა აქ ფრთას ვერ შლის (პ. იაშვ., 91). 37. შეკამათება შორს წამიყვანდა (ნ. ონაშ., 127). 38. დიდი ხნის მონატრებული

მოკეთის ნახვა გაახარებს კაცს (ნ. ონაშ., 45). 39. ორღობეში საქონლის ზმუილი და ძაღლების ყეფა ისმოდა (გ. ფანჯ., 90). 40. ნათიას შემოსვლამ რაღაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა (გ. ფანჯ., 271). 41. ქალიშვილების გამოჩენამ გაგვახალისა, დაღლილობა ვისღა ახსოვდა (გ. ფანჯ., 65). 42. არის ქროლა და ჭენება, მაგ ქროლაშია მშვენება (მ. ლებ., 226). 43. დროდადრო ოაზისივით იელვებს ტურფა ჩვენება (მ. ლებ., 226). 44. ასაკით გიორგის უფრო ეკუთვნოდა ცოლის შერთვა (ო. ჭილ., II, 140). 45. ნათესავის აღმოჩენამ ქაიხოსრო ძალიან დააბნია (ო. ჭილ., II, 74). 46. სემინარიის ეზოში ვაჟა-ფშაველას შემოსვლამ ყველა იქ მყოფი ახალგაზრდა მოსწავლე გააკვირვა (კ. ყმა, 81). 47. და ცის ოდნავი შერხევაც ისმის (ო. ჭილ., I, 543). 48. ქართულ ლექსის გაგონებამ იოანე ააჩქარა (აკაკი, 44). 49. პეტერბურგში პირდაპირ მიმავლისათვის, რასაკვირველია, ხმელეთით წასვლა უფრო მოხერხებული იყო (აკაკი, 152). 50. დაბნევა და უმოქმედობა გამარჯვებას არ მოგიტანს (ო. იოს., 94). 51. ამავე დღეს ხდებოდა ახალგაზრდა ხელოსნების დალოცვა (ი. გრიშ., 37). 52. ამ გარემოებისათვის ისტორიული ახსნა მოიპოვება (შ. ძიძ., 22). 53. დაჭრილის მზერა შეეგება ქვაბულში შესულ თაჯის (ო. იოს., 110). 54. იმათი გამოსვლა ჩემთვის მხოლოდ სასეირო და სათამაშო იყო (აკაკი, 97). 55. ისე ქართლისა ხსენებამ გამოაფხიზლა კრებული (აკაკი, 46). 56. აგრეთვე აკრძალული იყო საქარგლო თუ საოსტატო შეგირდის გადაბარება (ი. გრიშ., 36). 57. ყოველი მდინარის გაცნობა სათავიდან იწყება (ი. გრიშ., 6). 58. ძიძაობა და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში (აკაკი, 91). 59. თავისი ქვეყნის კიდევ ნახვამ მხედრებს გული აუძგერა (აკაკი, 73). 60. არწივის რჩოლა და ქროლვა მეხად ტყვრებოდა ცაზედა (ვაჟა, 93). 61. ტყვეები დატანჯა ამ ჯურღმულებში ყოფნამ (ო. იოს., 155). 62. მთელი ამქრის თანდასწრებით ხდებოდა ახალგაზრდა ქარგლის ხელოსნად დალოცვა (ი. გრიშ., 38). 63. ამგვარივე იყო იმ დღეს ზომიერი ჭამა და სმა (აკაკი, 36). 64. უკვე ჩათავდა სოფლად რთველი და ყურძნის კრეფა (ლ. ასათ., 86). 65. ცირკის ვარსკვლავის ბრწყინვამ წყვდიადი გარიყა (ლ. ასათ., 91). 66. მაგრამ ამ წამს ცხენის თქარათქური წყდება (გ. რობაქ.,

296). 67. ხანდახან ჭურის მრეცხელის გუგუნი მოისმის მიწის გულბოყვიდან (გ. რობაქ., 166). 68. გერიტების სტვენა მოსწყდება ჭალას (ნ. სამად., 158). 69. ყუმბარის აფეთქებას სროლა მოყვებოდა (ო. იოს., 148). 70. მხოლოდ ქალების კივილი ისმოდა (ო. იოს., 150). 71. ისევ შეიქნა მტრის თავზე ფხიანი ხმლების ჯახება (ლ. ასათ., 97). 72. სვეტთა სიღრმით მოისმის ისევ რომელიღაც ჩიტის ძახილი (ა. კალანდ., 369). 73. და ამ ზეირთებში სულ კარგად მოჩანს რაბინდრატის ზარების გლოვა (ნ. სამად., 158). 74. ლამის გამალენჩოს ამ თვალთა შეხედვამ (ლ. ასათ., 52). 75. პამპლონის დღესასწაულზე დასწრებამ ბევრი რამ მოგვცა (შ. ძიძ., 26). 76. ისმის ვენახში უზარმაზარი საწნახლის ქშენა (ლ. ასათ., 38). 77. მერე ჩაის სმა იწყებოდა (ი. გრიშ., 60). 78. ისმის კალოების ზუილი (გ. რობაქ., 256). 79. იყო ერთი წრიალი, ტელეფონების რეკვა და ნაცნობების ძებნა (ნ. ონაშ., 79). 80. თვალი ვერ მოჰკრეს, ისე შესწყდა ფიქრების წარღვნა (ნ. სამად., 149). 81. დიდი გვირაბიდან დროდადრო ისევ მოისმოდა განწირული გმინვა (ო. იოს., 148). 82. და ერგო რისხვა დაღუპულისა (ლ. ასათ., 102). 83. ამჯერად საშინელი გრგვინვა ქვევიდან მოისმა (ო. იოს., 147). 84. აქ არ იყო არც აჩქარება, ან განცვიფრება (მოგ. აკ., 23). 85. მესმის უხილავთ ჩუმი ფეხისხმა, შეწყდება ღამის კვნესა და ოხვრა (ა. კალანდ., 231). 86. ფოლადის დნობა სხვადასხვანაირი გზებით ხდებოდა (გ. ფანჯ., 169). 87. შეწყდა მშრომელთა ცრემლი და ოხვრა (ლ. ასათ., 101). 88. ხმიანი ხვრინვა გაისმის (ლ. ასათ., 90). 89. ჩიტების ტკბილი გალობა ისმოდა ყოველ მხარესა (ვაჟა, 75). 90. ღვთისმშობლის ქოხში აკვნის რწევა ისმის (ნ. სამად., 148). 91. მეც მათრთოლებდა წინაპართა ძეგლების სუნთქვა (ნ. სამად., 149). 92. რა დიდებული მოსასმენია კოლხიდის ბაღში ბულბულთა სტვენა (ლ. ასათ., 108). 93. ხანდისხან ერთი საშინელი ტკივილი გულისფიცრის ტეხას დამიწყებდა ხოლმე (ილია, 415). 94. მნათეს ძახილი შემოსწვდება ციხის ქონგურებს (ნ. სამად., 144). 95. და ღვთისმშობელის შემოხედვამ დამაფრქვევინა ცხელი ცრემლები (ლ. ასათ., 78). 96. წეროს ყვირილი ცის ტატნობში დაიფერფლება (ნ. სამად., 144). 97. ქალაქში დიდი შეშფოთება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფრიქსეს ვაჟების გაპარვამ (ო.

ჭილ., I, 83). 98. ჭაბუკი მცველის დაკარგვა სოფელს თვალში არ მოხვედრია (თ. ბიბ., 112). 99. ამგვარი დანაშაულის არსებობა ტახტსაც აყენებდა ჩრდილს (ო. ჭილ., I, 530). 100. მალე ჯუჯა კოშკის გამოჩენა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ეანის ქუჩებისათვის (ო. ჭილ., I, 113). 101. იმის დანახვამ გააოცა და ოდნავ დაამშვიდა (გ. ფანჯ., 547). 102. ჩვენმა შესვლამ იქ მყოფთა ყურადღება მიიპყრო (მოგ. აკ., 244). 103. მაშინ პირველად გაისმა დაჭრილის კვნესა (თ. ბიბ., 405). 104. ქვემოდან ძახილი მოისმა (თ. ბიბ., 377). 105. იწყება სანთლების ბრიალი (ა. კალანდ., 43). 106. ნიკოს გამგზავრებამ ალექსანდრეს უბედურება ყველას დაავიწყა (ო. ჭილ., II, 183). 107. შვილიშვილების გაპარვამ აიეტსაც გაახსენა თავისი ფიქრის სიმწარე (ო. ჭილ., I, 84). 108. დიდმა წვალებამ თავისი ნაყოფი გამოიღო (გ. ფანჯ., 362). 109. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ძახილი ერთმანეთში აირია (თ. ბიბ., 400). 110. ანჯიქოს მეორედ გაქრობამ გამოუცნობ შიშში ჩააგდო სოფელი (თ. ბიბ., 369).

*§ 14. მიმღეობა ქვემდებარედ.* 1. გაბრაზებულმა ძლივს გადააბიჯა ჭიშკრის ზღურბლს (ნ. ონაშ., 117). 2. იქიდან ჩამოსულებმა ფრიალ-ფრიალით მოიტანეს დანიშვნის ბრძანება (ნ. ონაშ., 154). 3. მარჯვენა საწოლზე მწოლიარემ მაშინვე გადაიძრო თავიდან საბანი (ნ. ონაშ., 162). 4. მომტანი თავისი გაბარიტისათვის შეუფერებელი სიმარდით გატრიალდა (ნ. ონაშ., 104). 5. მოსულმა გულმოდგინედ მოათვალიერა იქაურობა, ყველას სათითაოდ დააკვირდა (ნ. ონაშ., 89). 6. გაბრაზებული ბუზღუნით აუყვა მონტინის ქუჩას (გ. ფანჯ., 101). 7. წაქცეული ფეხზე წამოდგა (გ. ფანჯ., 117). 8. იყვირა ახალმოსულმა და მოპირდაპირე მხარეს მდგარ ავტომობილს მივარდა (გ. ფანჯ., 114). 9. სკოლიდან მომავალმა სოფლის სტადიონზე ხალხი შენიშნა (გ. ფანჯ., 135). 10. ძველი მთიბავი ძველ სათიბს თიბავს (მ. ლებ., 320). 11. და მშობლის კვალზე მავალმა, ჩხრიკო მამულის ნაცრები (მ. ლებ., 431). 12. სასახლის ბაღში მჯდომარემ ერთ ხანს სათვალე ამშრალა (მ. ლებ., 348). 13. გაშლილ შარასთან შემომხვდა შეფითრებული (პ. იაშვ., 238). 14. თბებოდნენ დაყრდომილები წყალტუბოს აბაზანიდან (პ. იაშვ.,

173). 15. მოახლოებულმა ხმა არ გამცა და გზის გაგრძელება დააპირა (კ. ყმა, 304). 16. უმწვერვალესი მღელვარების ბურანში მყოფმა ეს ვიგრძენი (მოგ. აკ., 13). 17. ქვეყით თვალამღერეულმა ჩაიხედა (ო. იოს., 97). 18. გვირაბებიდან წამოსულნი მოსახვევამდე მოვიდნენ (ო. იოს., 158). 19. ქაიხოსრო ზოსიმე მღვდლის ნათქვამმა შეაკრთო (ო. ჭილ., II, 74). 20. რამდენჯერმე გაიმეორა გაგულისებულმა (ო. ჭილ., II, 261). 21. ამოილუღლუღა დაბნეულმა (ო. ჭილ., II, 326). 22. მარჯვენა საწოლზე ვიღაც თავზესაბანწახურულს ეძინა (ნ. ონაშ., 164). 23. სიცხისაგან გაბრუებულმა შორიახლოს ბექა რაზმაძე დაულანდე (ნ. ონაშ., 17). 24. თქვა შეურაცხყოფილმა (ნ. ონაშ., 162). 25. მოსულმა თავი მოიქექა, ქუდისაგან დატკეპნილი თმა აიჩეჩა და ნელა დაიწყო (ნ. ონაშ., 88). 26. და მწარე თვალცრემლიანმა ჯერ უთხრა, რაც კი ეტკინა (პ. იაშვ., 243). 27. ფოცხები და ფიწლები მიატოვეს მთიბელებმა (მ. ლებ., 527). 28. გამოდიოდნენ სხვა ქოხებიდან სხვა დაჭრილები (მ. ლებ., 78). 29. უკვე დამშვიდებულმა გვიან ღამე დაიძინა (გ. ფანჯ., 240). 30. ჭინჭის ბურთს შეჩვეულები პირველად ნამდვილ ბურთს ვერც კი იმორჩილებდნენ (გ. ფანჯ., 137). 31. მერე გაბრაზებულმა ყანწი დააპირქვავა (გ. ფანჯ., 24). 32. ეს გულაჩუყებულმა გადაწყვიტა უცებ და წინ ოდნავ შესამჩნევი ბანცალით წავიდა (გ. ფანჯ., 26). 33. აქოშინებულმა იქამდე სირბილით მიაღწია (გ. ფანჯ., 35). 34. პირველსავე სალმის შემდეგ ახალმოსულმა დაიწყო (ა. ყაზბ., 83). 35. გონდაბნეულმა ვერ მოისაზრა, რომელი მხარე დაინახა (ო. იოს., 86). 36. ქვევიდან მომავალნიც მოახლოვდნენ (ო. იოს., 25). 37. სარკმლის მინაზე შუბლმიბჯენილი უცქერდა ქუჩას (ო. ჭილ., I, 551). 38. თვალმოჭუტულმა ერთხანს გამომცდელად მიყურა (ნ. ონაშ., 31). 39. ხელგაშლილნი და გულგაშლილნი მე მეპატიჟებოდნენ (ნ. ონაშ., 61). 40. ბეჭებზე ნაზად მომითათუნა ხმელი თითები და გულაჩვილებულმა მითხრა (ნ. ონაშ., 62). 41. ხმა აუთრთოლდა ძია სერგოს და ფერდაკარგულმა გადმომხედა (ნ. ონაშ., 156). 42. ყურმილი გულმოსულმა დააგდო (გ. ფანჯ., 42). 43. დარცხვენილმა ქალიშვილებს ჩუმად გადახედა (გ. ფანჯ., 66). 44. მერე მოღლილმა რაშიდას ასანთი მიაწოდა და თვითონ იქვე, მანქანის ახლოს, ჩამოჯდა (გ. ფანჯ., 71). 45. მკერდდაფატრულ-

მა ტყვიების ეკლით მიიღოს ჩემგან ბრინჯაოს ნაცვლად სიტყვების პწკარით დადგმული ძეგლი (პ. იაშვ., 154). 46. გააფთრებულნი, გაავებულნი ტოტს სცემდნენ მიწას (ა. კალანდ., 346). 47. მზეზე ნაგდები გასიებულიყო და სიცოცხლეში მორგებულ საყელოს ზევიდან გადმოჯდომოდა გალურჯებული სქელი კისერი (ო. იოს., 70). 48. ვიღაც მოძალადე მიმათრევდა ბოროტ საქმეზე (ნ. ონაშ., 150). 49. ჰკითხა შეცბუნებულმა ჩემს გვერდით მჯდომ ქალიშვილს (ნ. ონაშ., 73). 50. დაბღვერილმა აიხედა ზევით (ნ. ონაშ., 80). 51. შეშფოთებულმა მოულოდნელად შემაჩერა (ნ. ონაშ., 70). 52. გაოცებულმა მხრები აიჩეჩა და ღია კარისაკენ წავიდა (ნ. ონაშ., 80). 53. ვერ ნახა ამშენებელმა ვერც ლოცვა, ვერც ნეტარება (პ. იაშვ., 215). 54. არ ჩანს ფერმაში თივის ჩამტანი (მ. ლებ., 88). 55. ფიქრში წასულმა კენჭი აიღო და ბუჩქს ესროლა (გ. ფანჯ., 87). 56. იკითხა აღელვებულმა და ოთახიდან სასწრაფოდ გავიდა (ო. იოს., 74). 57. კიდევ დაუძახა ახალმოსულმა იქვე მყოფთ (ა. ყაზბ., 106). 58. მითხრა გაჯავრებულმა და მაგიდას ხელი დაარტყა (ნ. ონაშ., 110). 59. ხელჩაკიდებულები დაუყენენ პატარა დაღმართს (ნ. ონაშ., 72). 60. გულმოსულმა შემაჩერა და წერილი გადმომცა (ნ. ონაშ., 117). 61. გაოცებულმა წაიბორძიკა და მე ხელი შევაშველე (ნ. ონაშ., 49). 62. თავედახრილმა არც კი შემომხედა და მუშაობა გააგრძელა (ნ. ონაშ., 78). 63. როცა ახლადმოსულმა ამ ორი ადამიანის უდარდელ სახეებს შეხედა, სათქმელი პირზე შერჩა (გ. ფანჯ., 120). 64. ძილს მივეც თავი წუთით დაღლილმა, უცებ დამზაფრა შენმა სახელმა (მ. ლებ., 179). 65. მერე დიდი ხნის ჯდომისაგან დაღლილმა გაიარგამოიარა (ო. იოს., 77). 66. დაჭრილი უნაგირს გადაეკიდა (ო. იოს., 12). 67. ნასვამს შემთხვევით კომში უნახავს (მ. ლებ., 218). 68. შეშფოთებულებმა დაიწყეს გაცხარებული ლაპარაკი (გ. ფანჯ., 142). 69. ტოკავდა, ბორგავდა, ტორტმანებდა, ქანაობდა ეს საშინელი განსაწმენდელი (ნ. ონაშ., 108). 70. დირექტორი! — მკვეთრად დამარცვლა მოსულმა (ნ. ონაშ., 88). 71. გაკვირვებულმა შემომხედა და ცოტა ხნის შემდეგ თბილად გამიღიმა (ნ. ონაშ., 124). 72. მუხლებაკანკალებულმა აათავა კიბე (ო. ჭილ., II, 133). 73. პეტრე დააინტერესა ქალის ნათქვამმა (ო. ჭილ., II, 297). 74. ასე ამბობდა მოხუცებული, აწყობდა რაზმებს, ჯარს

აფრთხილებდა (აკაკი, 58). 75. იმ შეჩვენებულებმა ქართველებს სახელი გაგვიტეხეს (აკაკი, 158). 76. თვალები გაახილა დაჭრილმა და ქუთუთოების დაუხამხამებლად ჭერს მიაჩერდა (ო. იოს., 109). 77. წყალზე მიმაეალმა იცოდა, რომ მას შიგნიდან ქალებიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს (ო. იოს., 116). 78. საკინძგასხსნილმა შუბლის ფიცარზე ვის არ უყურე, ვის არ ეხვეწე (ნ. სამად., 105). 79. მოხუცებულმა დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი (ა. ყაზბ., 55). 80. გაბრაზებულნი გაბრუნდნენ, რაღაც სამდურავს მეტყვიან (ვაჟა, 60). 81. ბედმა ჩემკენ მოიხედა, კიდევ გული მომეცა და გახალისებულმა ვუთხარი (ილია, 411). 82. როცა გუცამ გერმანელისაკენ მოიხედა, დაჭრილმა ქუთუთოები დახუჭა (ო. იოს., 110). 83. ვწყდებით გულდამშვიდებულნი და თანაც ვმღერით ამას (ვაჟა, 69). 84. უფრო დასუსტებით წაილუღლუღა და ბურანში წასულმა დაიწყო ბოდვა (ა. ყაზბ., 215). 85. კბილებს ილესავს ბრაზმორეული (აკაკი, 55). 86. სასახლიდან დაბრუნებულმა მთელი დღე ოდესის დათვალიერებას მოანდომა (აკაკი, 153). 87. მეზობელ გვირაბში ისევ ებრძოდა სიკვდილს განწირული (ო. იოს., 149). 88. დაჭრილმა სისხლიან პირთან მიიტანა ხელები (ო. იოს., 103). 89. მაინც ვერ გაძლა ბრძოლითა მარჯვენაწარბგახლეჩილი (ლ. ასათ., 97). 90. დარცხვენილმა მანქანის უკანა კარი გამოაღო (გ. ფანჯ., 303). 91. გულმკერდგახურებულნი მტერს მიეახლნენ მხარდამხარ (ლ. ასათ., 96). 92. შეშინებულმა უცებ თვალი გაახილა (გ. ფანჯ., 383). 93. შორით მოსულებს ეშინიათ გაავდრების (ლ. ასათ., 48). 94. გაოცებულმა ამირანს შეხედა, მერე ზესადგრები ისევ გადათვალა (გ. ფანჯ., 307). 95. ისევ იკითხა გამომძიებელმა (გ. ფანჯ., 516). 96. სახეგაბრწყინებულმა როკვა დაიწყო (თ. ბიბ., 33). 97. დამფრთხალმა ფაცხა-ფუცხით გადაჭრა დაღმართიანი, მოასფალტებული შარა (ო. იოს., 167). 98. დაბნეულმა მიმოიხედა და კარს ყური მიადო (ო. ჭილ., I, 121). 99. უპასუხა საუბრის დამწყებმა (ო. ჭილ., II, 327). 100. გაოცებულმა საათს შეხედა (გ. ფანჯ., 558). 101. ქვეყნისაგან განდგომილმა, განმარტოებულმა, ამა სოფლის ვნებათაგან დაცლილმა ნამდვილი ბერის ცხოვრებით იცხოვრა (თ. ბიბ., 275). 102. იმ ოჯახდაქცეულმა ჩემი გულწრფელი სურვილი თავის გამოჩენისა შეურაცხყოფად მიიღო (მოგ. აკ., 192). 103. ჩაი-

ლაპარაკა გაოცებულმა, ხის სკამი კედელთან მიიტანა და საათი მომართა (გ. ფანჯ., 425). 104. უკანგადაწეულმა გააყოლა თვალი და გაუხარდა (რ. ინან., 106). 105. იგი გააოცა და შეაძრწუნა ლევან ხიდაშელის ნაამბობმა (გ. ფანჯ., 362). 106. დაწუხებულმა შენსკენ კბილით კლდეები ეარღვიე (ვაჟა, 90). 107. მაშინ ახლადმოსულმა უმალ მარცხენა ხელზე ჩოხა დაახია (კ. ყმა, 344). 108. დამშვიდებულმა და დაიმედებულმა მოუხუჭა თვალი ამქვეყნიურ სიავკარგეს, სიმკაცრესა და ვერაგობას (ო. ჭილ., I, 164). 109. გაბოროტებულმა ერთ დღეს ცეცხლი წაუკიდა ძეძვის ღობეს (ო. ჭილ., I, 140). 110. შემკრთალმა და გაოცებულმა მოათვალიერა ოჯახი (ო. ჭილ., II, 106).

# ქვემდებარის ბრუნვები

§ 15. *ქვემდებარე სახელობითში.* 1. ოცდაჩვიდმეტი წელიწადი ისე გაცურდა, როგორც მხატვრის მეგობრობა საყვარელ ფერთან (პ. იაშვ., 163). 2. და უსმენს სივრცე საყვარელი სტუმრის ნადიმს (პ. იაშვ., 176). 3. ვხედავ მიწას არხებიანს აღარც ხავსი ფარავს (პ. იაშვ., 204). 4. ელავს საწოლი თეთრი, როგორც ძვალი სპილოსი (პ. იაშვ., 72). 5. შენ გერხეოდა ყურზე საყურე (ო. ჭილ., I, 557). 6. და ამომშრალ ხევში ყრია მკვდარი ვარსკვლავები (ო. ჭილ., I, 553). 7. ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით (ო. ჭილ., II, 540). 8. სტეფანე მჭედელი უცებ გაჩუმდა (ო. ჭილ., II, 264). 9. ათასნაირად გადაპენტილი ხეები თითქოს ბზრიალ-ბზრიალით გამოდიოდნენ ბუნების წიაღიდან (ო. ჭილ., II, 284). 10. ფიალა მოთმინებისა აივსო (თ. სახ., 660). 11. მიწა გაირღვა და თან ჩაიტანა (თ. სახ., 404). 12. ტანკერის ნაკვალევს ჭყივილით მოსდევდნენ თოლიები (გ. ფანჯ., 128). 13. რაღაცა მაწუხებდა, რაღაცა მაშფოთებდა, რაღაცა საშინლად მიშლიდა ნერვებს (ნ. ონაშ., 106). 14. იქ თავგამოდებით მღეროდა ერთადერთი ჭრიჭინობელა (ნ. ონაშ., 95). 15. მთელ ჭალაში აქა-იქ შეჯგუფდა ხალხი (კ. ყმა, 242). 16. მხოლოდ ლერწამი თბილი შრიალით გამოაფხიზლებს შენს შემოგარეთ (ა. კალანდ., 345). 17. მთვარე მიწაზე გადმოაფენს მილეულ სხივსა (ა. კალანდ., 238). 18. მყინვარს გადაღმა თვითმფრინავები გამოჩნდნენ (ო. იოს., 46). 19. მოულოდნელად სადღაც დაიგრუხუნა და ჯარისკაცები ფეხზე წამოცვივდნენ (ო. იოს., 56). 20. და სდუმან უტყვი მოწამენი — ყირიმის მთები (მ. ლებ., 535). 21. მაგრამ სიმღერა ლურჯი და ურჩი ისევ და ისევ წკრიალებს ყურში (მ. ლებ., 351), 22. ზაფხული პირქუშ მთა-ბარს აჭრელებს (მ. ლებ., 391). 23. ვხედავ მოკლე გაზაფხულებს სცვლიან შემოდგომანი (მ. ლებ., 227). 24. მგლოვიარე გუნდს ყვავებისას დასცილდა ყვავი (პ. იაშვ., 73). 25. და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება იქ შაბიამანი, ვით თვალის უპე (პ. იაშვ., 85). 26. შენი აჩრდილი იმართება, ვით სისხლიანი და საშინელი ქანდაკება ქალაქის თავზე (პ. იაშვ., 82). 27. ქვაბის სიღრმეში წვეთავს ყინული (ა. კალანდ., 206). 28. აქ წმინდათაწმინდა სანთელი კრთება (ა. კალანდ., 171). 29. უზარმაზარი

კაკლის ხის ტოტებში კოღალა დახტოდა (ო. ჭილ., II, 133). 30. ორ საათში მთელ თელავს მოიელიდა კაცი (ო. ჭილ., II, 289). 31. აიენის სვეტებს ჭყივილით ეხვეოდნენ გულთეთრა და კუდმაკრატელა მერცხლები (ო. ჭილ., II, 393). 32. მაკაბელების ნამოსახლარზე სიცოცხლე მთელი ძალით ფეთქავს (ო. ჭილ., II, 73). 33. ოთახში ხმას არავინ იღებდა (ნ. ონაშ., 85). 34. უეცრად წამოქროლილი ქარი დროდადრო ძლიერი ბიძგით არღვევდა მათ მყუდროებას (ნ. ონაშ., 204). 35. ის მიკიტანი ათი წელია პეტრესგან ყიდულობს ღვინოს (ო. ჭილ., II, 288). 36. ჩვენც გვწამს, რომ ჩვენ ბიძა ვაჟა-ფშაველას ყველაფერი ემორჩილება (კ. ყმა, 240). 37. თანამშრომლები გაოცებული დარჩნენ ასეთი საქციელით (კ. ყმა, 178). 38. ილია ვაჟას მზეს ეძახდა (კ. ყმა, 177). 39. ეგ ანგარიში დიდი ხანია გათავებული არის (ა. ყაზბ., 84). 40. პგვის მეყვზოვე საყვარელ ფოთლებს (მ. ლებ., 285). 41. არ დასტრიალებს ბერ ნიგვზებს ქარი (მ. ლებ., 327). 42. თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდნენ ცხოვრებას დიდი ოქროს ჩიტები (პ. იაშე., 97). 43. გვთხოვდნენ სიმინდს და უსიმინდოდ დარჩნენ ღორები (პ. იაშვ., 113). 44. დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით (პ. იაშვ., 133). 45. ძლივს ჩანდა ფარა, ძლივს ჩანდა მტვერი, რომელიც ზანტად მისდევდა ფარას (ო. ჭილ., II, 428). 46. ახლა ყველანი სარდიონს უთვალთვალებდნენ (ო. ჭილ., II, 328). 47. კიდევ ერთი საოცარი ამბავი მოხდა მაკაბელების სასლში (ო. ჭილ., II, 328). 48. მხიარულ ფერებს ოციოდ წუთით გვაჩუქებს მზე და ხელახლა ჩავა (მ. ლებ., 88). 49. მთელი ღამე ძრწოდა სოფელი რაღაც უბედურების მოლოდინში (ო. იოს., 59). 50. ქაფიან სიითხეში თავბრუდამხვეეად ტორტმანებდა შანდლის შუქის მოგრძო ანარეკლი (ნ. ონაშ., 116). 51. ენა წინ უსწრებს (თ. სახ., 173). 52. დედამიწა გაირღვას და თან ჩაიტანოს (თ. სახ., 150). 53. და მღელვარებით იღუნება ჩემი მუხლები (პ. იაშვ., 124). 54. და სილამაზის თავდებად დგას და ელვარებს მყინვარი (პ. იაშვ., 232). 55. მეისრე ორთქლმავლისაკენ იბრუნებს კისერს (მ. ლებ., 298). 56. პირველ გასროლაზე მხოლოდ ბოლო, მეხუთე ცხენი დაფრთხა (ო. იოს., 10). 57. ისევ აკოცებს ყვავილს პეპელა ჩუმად, მიპარვით (ა. კალანდ., 164). 58. ცხრა უღელი ხარიც ვეღარ დააყენებს (თ. სახ., 827). 59. შიგ ცხენი გაჭენდება (თ. სახ., 763). 60. ისმის

ტაში, როგორც ქარში ტალღის კლდეზე შეხეთქება (პ. იაშვ., 216). 61. და ეს სიჩუმე მე თავზე მადგას, როგორც აეადმყოფს მომვლელი ქალი (ო. ჭილ., I, 554). 62. გამოქვაბულში ჰაერი გამოშრა (ო. იოს., 98). 63. ხელნი შენნი ცის თაღს მზის სხივებით ჰკრავენ (ა. კალანდ., 359). 64. პოეტის მხურვალე სისხლი სამარადისოდ გადადის ხალხში (ო. ჭილ., II, 495). 65. ყვავები შავს ჩაიცვამენ (თ. სახ., 720). 66. გვერდი არ აექცევა მაგის სიტყვას (თ. სახ., 88). 67. ღამით წვიმა იმატებს, ნიაღვრად იქცევა და ჭიჭახევაც ახმაურდება (კ. ყმა, 239). 68. მზე ამოვიდა და ღამის ალიაქოთის ნიშანწყალიც აღარსად იყო (კ. ყმა, 240). 69. ბრეზენტთან ატუზული თაედახრილი ბიჭი უცებ გაწითლდა (ო. იოს., 37). 70. აბრჭყვიალდნენ ირგვლივ შხეფები, გაუმჭვირვალე შუშების მსგავსად (ო. ჭილ., II, 523). 71. და როგორც ხელი ნაცნობ კლავიშებს, შენ ნაფეხურებს გამოყვა თვალი (ო. ჭილ., II, 455). 72. შმაგი სინათლე თვალებს სჭრიდა მკერდზე ბრილიანტს და იაგუნდი ტიროდა თმაში (ა. კალანდ., 195). 73. ჩემს წინ წევს დაქანცულობით ბარათაშვილის მერანი (ვაჟა, 60). 74. კედელზე სანთლის შუქი იჭრება (ნ. სამად., 11). 75. ცხოვრებას აცისკროვნებს სული, საქმით მეტყველი (ილია, 70). 76. და მათხოვრები სენის ხიდებქვეშ მარსელიეზით ხვდებოდნენ დილას (პ. იაშვ., 115). 77. მაეზოლეუმის თაღქვეშ სუფევს დუმილი დიდი (მ. ლებ., 366). 78. თეთრ მარმარილოს კიბეებზე ყვაოდა დილა (ნ. სამად., 97). 79. შენთან მღეროდა ბედნიერი ვაჟა-ფშაველა (ნ. სამად., 128). 80. ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა, ქროდა ქარი (ა. კალანდ., 265). 81. და მოედანზე, როგორც ცხედარი, კვლავ ასვენია შენი წარსული (ო. ჭილ., II, 461). 82. სვეტიცხოველთან გაიხსნება მეფის კარები (ნ. სამად., 130). 83. მზე გამოჩნდა და საქონელი ბალახს ძოვდა (კ. ყმა, 303). 84. როგორც ლექსის დასაწყისი, ამოდის ქარი (პ. იაშვ., 162). 85. ჩემი მიტანილი ჯვარი სტუმრების ხელიდან ხელში გადადიოდა (აკაკი, 152). 86. თეითონ მსესხებელი კაცი აღარ იყო ცოცხალი (აკაკი, 157). 87. იდგნენ ხეები ამაყურად, ტოტის დარხევით (პ. იაშვ., 179). 88. თავზე გადგია, როგორც კანკელი, ცა მოელვარე და აჟღერილი (პ. იაშვ., 138). 89. ვერ დამათრობდა კარგი თამადაც, ერთი ღიმილით შენ რომ დამათვრე (ო. ჭილ., I, 539). 90. ეცემა

თოვლი, თეთრი ფრინველი (ო. ჭილ., I, 564). 91. ზამთარი იყო და თოვლით შელესილი აღმართ-დაღმართი ფრთხილად სიარულს მოითხოვდა (კ. ყმა, 238). 92. მალე ჩვენს საზოგადოებას ახალი სტუმრები მოემატნენ (კ. ყმა, 147). 93. სულთანის წერილს კითხულობს შუბლშეჭმუხვნილი თამარი (ლ. ასათ., 93). 94. ვით შეიკედლებს ქარიშხალს ფიცხელი ცხენის ფაფარი (ლ. ასათ., 90). 95. მთელი ქარავანი მიემგზავრებოდა აბანოში (ი. გრიშ., 59). 96. ასეთი ყურმოკრული ამბებით ავსებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს უცხოელი მოგზაურები (ი. გრიშ., 67). 97. ღამეა, ბუხრის ცეცხლი გუზგუზებს, გარეთ ტირიან ცივი მინდვრები (ნ. სამად., 24). 98. ნაირნაირი შადრევანები აფერადებდნენ კოლხიდის მხარეს (ლ. ასათ., 113). 99. შუბლში მახლიდნენ ლომები ბამბუკს (მ. ლებ., 193). 100. ბრწყინავს ზურმუხტის სხივდაფრქვეული ვარდის სურნელით სავსე ჰაერი (ლ. ასათ., 113).

*§ 16. ქვემდებარე მოთხრობითში.* 1. თავისთვის იჯდა ჩრდილში, არას იტყოდა ანა... ნიჭი, ძამიკო, ნიჭი, გალაკტიონმა ბრძანა (მ. ლებ., 357). 2. ვინ მოგვიტანა აქამომდე ეს საქართველო, თუ არა გლეხმა, ვინც საკუთრივ ჩაყარა ვაზი! თუ არა ხურომ, ვინც საკუთრივ გამოსწვა კირი! თუ არა კაცმა, ვინც საკუთრივ გასჭედა რკინა! (მ. ლებ., 479). 3. ყველამ გაიგოს შეყვარებულ მგოსნის ლექსი (პ. იაშვ., 67). 4. ფერმკრთალ დედოფალს მეფემ მოხსნა ფარჩის მანტია (პ. იაშვ., 72). 5. მთვარემ შუქი გააფინა ხევსურების ბაირაღზე (პ. იაშვ., 187). 6. და ყველაფერმა მზის აქ ყოფნა შემატყობინა (პ. იაშვ., 162). 7. დე, სხვისთვის იქროლოს ქარმა (ო. ჭილ., I, 550). 8. ამ უცნაურმა ეტლმა და უცხო ცხენმა შეაშფოთა რაღაცნაირად (ო. ჭილ., II, 133). 9. მოწყვეტილმა ძროხამ თხილიანები გადმოლახა (კ. ყმა, 233). 10. პატარა ბოხჩასავით შეკრულ ქალაქში მცხოვრებლებმა იცოდნენ ყველა მოწაფის ავ-კარგი (კ. ყმა, 172). 11. სწორედ ამ დროს მაღალი ხმით ჩვენმა მხიარულმა მასპინძელმა „ცანგალა და გოგონა“ შემოსძახა (კ. ყმა, 62). 12. ასე შთააგონა ვაჟამ ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორს საგალობლის შექმნა სიცოცხლისადმი (კ. ყმა, 354). 13. ერთ-ერთმა მანდილოსანმა

თავზე ხელი წაივლო (მოგ. აკ., 51). 14. ქუთაისის ინტელიგენციამ მას სადილი გაუმართა (მოგ. აკ., 110). 15. თანამშრომელთა დიდმა უმრავლესობამ ნიკოს ზურგი აქცია (ნ. ონაშ., 78). 16. სახელდახელო თათბირი კომისიის თავმჯდომარემ გახსნა (ნ. ონაშ., 83). 17. ყველაფერმა დაკარგა ნათელი და ბრწყინვალება (ნ. ონაშ., 129). 18. თვალი მომჭრა მაღალი სახლების სითეთრემ (ნ. ონაშ., 17). 19. ქალმა საჩქაროდ მოიტანა სკამი და მასწავლებლისაგან წაქეზებით რამდენადმე გათამამებული დაჯდა (ა. ყაზბ., 92). 20. ბიჭმა ცხენები ალვირით გადააბა (ო. იოს., 158). 21. ციცაბო უღელტეხილზე პირველად მისმა მებრძოლებმა შედგეს ფეხი (ო. იოს., 23). 22. მან ქერის პურის ნატეხი გალეჭა (ო. იოს., 73). 23. ცეცხლმა დასწვა ცა მწვერვალზე დანაფერდი, მზე რომ გადაიწვერა (ა. კალანდ., 65). 24. რაღაც მეწყინა, შენგან შრომანავ, უსიამოვნოდ რაღაცამ გამკრა (ა. კალანდ., 286). 25. მეზობლებმა სიმონ ყანჩაველის რეპერტუარი ზეპირად იცოდნენ (გ. ფანჯ., 184). 26. მოხუცს ცივმა ოფლმა დაასხა (გ. ფანჯ., 240). 27. მდუმარების ანგელოზმა ჩამოიარა (თ. სახ., 384). 28. პეტრემ დუსა თელავში გაიცნო (ო. ჭილ., II, 288). 29. როცა ქარს სტკიეა, რაღაც თქვას კაცმა, ხომ არ იკივლოს კაცმაც ქარივით (ო. ჭილ., II, 534). 30. წაკითხვა კი, მართლაც, განსაკუთრებული იცოდნენ ძმებმა (კ. ყმა, 243). 31. ამ ჩემმა დასკვნამ ცხარე კამათი გამოიწვია (კ. ყმა, 64). 32. მართლაც, სულ მოკლე ხნის შემდეგ დიდებულმა მგოსანმა სამუდამოდ თვალები დახუჭა (კ. ყმა, 170). 33. სიხარულმაც იცის ცრემლი (მოგ. აკ., 67). 34. მან გამოზარდა მრავალი მეხრე (პ. იაშვ., 153). 35. გამარჯვების სხივმა გაჰკრა საქართველოს გახსნილ ზეცას (პ. იაშვ., 187). 36. ქორმა დაგვიწყო ჩვენ წიწილების მოტაცება (პ. იაშვ., 113). 37. მაინც რამ შეაშფოთა ისინი ასე? (ნ. ონაშ., 81). 38. ჩემი საბუთები ნიკომ და ბექამ წაიღეს ინსტიტუტში (ნ. ონაშ., 154). 39. სეედის მსუბუქმა ჩრდილმა გადაუარა (ნ. ონაშ., 10). 40. მგოსანს სხვებმაც მიმართეს სიტყვით (მოგ. აკ., 152). 41. რომელიღაც სტუდენტმა პირველი რიგის კიდეზე დადგა სკამი (ნ. ონაშ., 184). 42. იმან მაგრად მოავლო ხელი და გასწია ჩქარი სიარულით მინდორზე (ა. ყაზბ., 104). 43. ფლოქვების თქარათქური კვლავ აიტაცა ხევმა (ო. იოს., 13). 44. შტუტემ გაფართოებული თვალე-

ბით გადახედა ბიჭს, რომელიც სროლის ხმამ გამოაღვიძა (ო. იოს., 98). 45. ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი აკენკეს და გაიტაცეს ბეღურებმა (ა. კალანდ., 207). 46. გაოცებისაგან პირი დააღო მარინემ (გ. ფანჯ., 200). 47. ეს სამი წელი ხიდაშელმა სულ მთლიანად სწავლისათვის გადადო (გ. ფანჯ., 169). 48. წვიმამ ყველაფერი, ყველაფერი გალუმპა (მ. ლებ., 528). 49. ყველამ თავის დრო იცოდეს! ყველა თავისას ჩასწვდეს (მ. ლებ., 280). 50. ერთმა ღმერთმა იცის (თ. სახ., 183). 51. დედამიწამ პირი უყო (თ. სახ., 150). 52. მეგობრის ახალმა და მოულოდნელმა თავგადასავალმა ის ძალიან გაახალისა (ო. ჭილ., II, 328). 53. ქალმა გარკვევით დაინახა მისკენ მობრუნებული კაცის სახე (ო. ჭილ., II, 358). 54. ასე მოაშორა გიორგიმ ვაჟას ის თავისი ძველი ნაბადი (კ. ყმა, 325). 55. მისმა ასეთმა დუმილმა დამსწრეთა უმრავლესობა გააკვირვა (კ. ყმა, 60). 56. ამ გმირებმა აათრთოლეს პირველად ჩემი გული (მოგ. აკ., 69). 57. მწარე ფიქრებმა წამიღეს (მოგ. აკ., 151). 58. ნეტა კაცმა როგორ იცნოს ეს შენობა ახლანდელი (პ. იაშვ., 215). 59. ველარ გიშველა ცისკრის ლოცვებმა (პ. იაშვ., 212) 60. სამგორის ხმამ არ მომასვენა (პ. იაშვ., 179). 61. მაგრამ დღესვე დავადგენ რომელმა ღმერთმა მოავლინა (ნ. ონაშ., 16). 62. დოდოს ნათქვამი იმ დღესვე სხვებმა დაადასტურეს (ნ. ონაშ., 85). 63. ვიღაცამ ფრთხილად, უხმაუროდ შემოაღო დირექტორის კარი (ნ. ონაშ., 47). 64. როცა აღმოსავლეთით ოდნავ, სულ ოდნავ ინათა, ერთბაშად სიცივემ აიტანა ორივე (ო. იოს., 14). 65. შტუტე იმან დაამშვიდა, რომ ბაუმანი ოდნავ მაინც სუნთქავდა (ო. იოს., 86). 66. ფიჭვის ხეებმა, ფიჭვის ხეებმა თვალთ აიფარეს მწვანე ხელები (ა. კალანდ., 298). 67. ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა, მან ხმლის ხმარება აკვანში იცის (ა. კალანდ., 263). 68. მამლებმა ის იყო იყივლეს, მართამ თვალი რომ გაახილა (გ. ფანჯ., 75). 69. მანძილი, მათ შორის წელანდელმა სიცილმა რომ შეამოკლა, თითქოს ისევ გაიზარდა (გ. ფანჯ., 46). 70. ბასკებმა მაინც თავი დახარეს და ჩააკვნესეს გიტარის სიმი (მ. ლებ., 516). 71. კაცმა ღიმილით გზა დამილოცა (მ. ლებ., 103). 72. შეშამ მოიღხინა ბუხარში (თ. სახ., 760). 73. ცამ პირი მოიხსნა (თ. სახ. 796). 74. და როცა ქარმა სივრცეს მოგლიჯა ოთხივე კარი, ერთი კაცივით დაეცა ჯარი ხმელი ფოთ-

ლების (ო. ჭილ., II, 539). 75. უნდა ბალახი დილამ დათრთვილ-ოს (პ. იაშვ., 134). 76. აკაკიმ ამოიღო უბის ჯიბიდან თავისი ხელნაწერი (მოგ. აკ., 55). 77. ამ ღიმილის შუქმა მათი მოღუშული სახეებიდან თანდათან განდევნა უგუნებობის ჩრდილი (ნ. ონაშ., 109). 78. ამან კიდევ უფრო დააფრთხო გამოქვაბულთან მდგომი ოფიცერი (ო. იოს., 40). 79. ამის დანახვაზე სასოწარკვეთილებამ შემიპყრო (ნ. ონაშ., 113). 80. ამხანაგებმა ნამდვილი ამხანაგობა იცოდნენ (ი. გრიშ., 47). 81. ბრძოლა გაგრძელდა თითქმის ერთ საათს და ქვემო უბნელებმა მოახერხეს ნახევარი მთის დაკავება (ი. გრიშ., 30). 82. აქაურმა მზემ აღარ უნდა გამათბოს, აქაურმა მთვარემ შუქი აღარ უნდა მომფინოს (ილია, 433). 83. მოუსვენრობა ვერაფერმა ვეღარ გაახარა (პ. იაშვ., 165). 84. კარგა ხანმა გაიარა, დღის ადგილი ღამემ დაიჭირა (ა. ყაზბ., 239). 85. ფურმა ხმა მისცა თავის შვილს, ეზოში ჟრიამულია (ვაჟა, 71). 86. ჩვენდა სასიხარულოდ სრულიად მოულოდნელად დილით წვიმამ გადაიღო (კ. ყმა, 303). 87. შუა კლასებშიც ზოგიერთებმა გვარიანად მიუგეს (აკაკი, 139). 88. დანიელმა თავისი ხელით გამოიყვანა ეს წარწერა (ო. იოს., 120). 89. სამთავროს მაშენებლის ხუროთმოძღვრის მოწაფემ მცხეთა ააშენა (ი. გრიშ., 41). 90. რამ გამოფიტა ადამიანები, რამ გამოაცალა გულისგული? (ნ. ონაშ., 157). 91. უკვე დაქროლეს ზამთრის ქარებმა, რა გაანათებს ამსელა ღამეს (მ. ლებ., 292). 92. მწევრებმა ყურები დაცქვიტეს (აკაკი, 131). 93. ჩვენებმა ჩუმად შუაღამისას გაგზავნეს ერთი რაზმი (ი. გრიშ., 28). 94. ყეენმა დაიდგა ტახტი სეიდაბანის მაღალ ღობეზე (ი. გრიშ., 21). 95. და გაითხარეს სამარე ისე, რომ შორს მშობლებმაც ვერ დაიტირეს (აკაკი, 77). 96. ძლივს წარმოსთქვა ბავშვმა და კაბაზედ მოავლო ხელი (ა. ყაზბ., 215). 97. ელექტრონისებურმა ნაპერწკალმა მათ გაურბინა ძარღვებში (ი. გრიშ., 30). 98. ცრემლმა დახეთქა კოლხიდის მიწა და დაიარა ცრემლმა ტევრები (ლ. ასათ., 101). 99. ქალმა დაუწყო ყურება ამ ყმაწვილკაცს, ცოტა ხნის შემდეგ გაექანა ტირილით და გადაეხვია (ა. ყაზბ., 143). 100. ამ აბანოს ლხინებმა პოეზიაშიც ჰპოვა გამოხმაურება (ი. გრიშ., 65).

*§ 17. ქვემდებარე მიცემითში.* 1. კაპიტანს არ გაუგონია მისი ყვირილი (გ. ფანჯ., 125). 2. ბერძენს გიტარა გვერდზე გადაედო (გ. ფანჯ., 124). 3. გურამს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თაეისდა უნებურად გადაწყვეტილება შეცვალა (გ. ფანჯ., 117). 4. მგზავრებს ადგილები უკვე დაეკავებინათ (გ. ფანჯ., 166). 5. მხარეს დაუწყია ცახცახი (ო. ჭილ., II, 434). 6. ბერს კი ტუჩებზე მიედო თითი და თავს იღწევდა ღმერთის ჩეროდან (ო. ჭილ., II, 532). 7. ტყეს შეუნახავს დილის სურნელი (ო. ჭილ., I, 543). 8. უცხო ყვავილის გამხმარ ღეროებს ქვის ხეობაში მარტოდღა შთენილთ, რად ჩაუქინდრავთ თავი მწუხარედ (ა. კალანდ., 124). 9. ბიძაჩემს ვაჟას ცხენისთვის აღვირში ხელი ჩაევლო (კ. ყმა, 16). 10. ცალი თვალის ქვემო ქუთუთო რაღაც სნეულებას ამოეჭამა, მაგრამ ეს გარემოება ვაჟას სახეს არ ამახინჯებდა (კ. ყმა, 378). 11. ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის (ა. კალანდ., 64). 12. ხნიერ ქალებს სასაფლაოს ქვებზე გაუშლიათ მკვდრების ტანსაცმელი (კ. ყმა, 242). 13. სილამაზისა და მიმზიდველობის ადგილი ფერმკრთალობას დაეჭირა (ა. ყაზბ., 59). 14. ქალს ამოსუნთქვაც ველარ მოეხერხებინა (ა. ყაზბ., 92). 15. ჩვენთვის ლხენა გაუმართავს ყვავილებით ნაქარგ მდელოს (პ. იაშვ., 67). 16. თითქოს ქოხები დაეხრა ხანძარს, ისე ეყარა უბანი თქვენი (პ. იაშვ., 212). 17. კუკიის ტაძარს გაუშლია ცისაკენ ფრთენი (გ. ლებ., 512). 18. თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები (მ. ლებ., 295). 19. მთელი ღამე შუბლი არ გაუხსნიათ მთებს (ო. იოს., 73). 20. ტყვიას მენჯის ძვალი ჩაემტვრია და მარჯვენა გვერდში ნეკნებთან გასულიყო (ო. იოს., 63). 21. მთელი ღამე არ ჩაუქრია ქორა მახვშს ყალიონი (ო. იოს., 59). 22. ულაყისათვის ტყვიას ყური გაეხვრიტა (ო. იოს., 13). 23. ჰანსს ხელი კლდისათვის უნდა მიეშველებინა (ო. იოს., 131). 24. აკაკისათვის მეტად დიდი ნივთიერი დახმარება გაუწევია ქართველ საზოგადოებას (მოგ. აკ., 40). 25. ჩვენს ოჯახს ნათესაური კავშირი არ გაუწყვეტია მასთან (მოგ. აკ., 22). 26. მუშებს უშველებელი მარმარილოს ლოდი ამოეტანათ (ნ. ონაშ., 169). 27. ჩვენს მამალს იმათ ეზოში გადაუვლია (თ. სახ., 785). 28. ცხენს დაუწყია ჭიხვინი (ო. ჭილ., II, 433). 29. წყალს ჩამოეტანა სილა და ხრეში, ეკარგებოდა ქალაქს იერი (ო. ჭილ., II, 522). 30. ხალხს ჩაეცვა

თბილად და ერთფეროვნად და შეჩვეული იყო ყველაფერს (ო. ჭილ., II, 523). 31. დაუკრეჭია კბილები ყინვას (ო. ჭილ., I, 545). 32. შოფერს მანქანა ახლოს მიეყენებინა (გ. ფანჯ., 114). 33. ორმოც წელს გადაცილებული ვაჟკაცის ბრინჯაოსფერი სახე ოფლს დაენამა (გ. ფანჯ., 112). 34. ისედაც ცუდი გზა წვიმის შემდეგ წყალს სულ ჩამოერეცხა (გ. ფანჯ., 112). 35. ჩვენს უკან ვიღაც ხანშიშესულ კაცებს ორი მაგიდა გაეერთიანებინათ (გ. ფანჯ., 212). 36. და კიდევ თვისი მაღალი მცნება უთქვამს ბერიკაცს მეორე სახით (მ. ლებ., 539). 37. ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ, სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ (მ. ლებ., 295). 38. მახვშს ეს არ შეუმჩნევია (ო. იოს., 9). 39. მას არ უფიქრია, ქალს უნდა მოეწოდებინა ქვაბუნა თუ არა (ო. იოს., 83). 40. მეეტლეს ცხენები უნდა გაეჭენებინა (მოგ. აკ., 146). 41. ასეთი შეხვედრის დროს არა ერთი და ორი მეტად საინტერესო ამბავი გადმოუცია ჩვენთვის აკაკის (მოგ. აკ., 23). 42. ჩვენი ეზოს ბავშვებს უმალ კარადა გაუხსნიათ (ნ. ონაშ., 27). 43. მას ჩემთვის ცუდი არაფერი უკადრებია (ნ. ონაშ., 151). 44. ერთ დღეს შალვას ამოუელია ჩვენი სახლის გადაღმა (კ. ყმა, 281). 45. უსროლია ლუკას თოფი და მოუკლავს კურდღელი (კ. ყმა, 280). 46. თითქოს ოცნებას შორს წაეღო მისი ფიქრები (ა. ყაზბ., 175). 47. მჭედელს მსხვილი, ცეცხლზე დაშაშრული მკლავები დაეკაპიწებინა (ო. ჭილ., II, 264). 48. ერთ მშვენიერ დღეს მათი კიბის საფეხურზე შეიძლება თოვლიანი ფეხები დაებერტყა საგზაო ინჟინერს (ო. ჭილ., II, 267). 49. ზოსიმე მღვდელს იის კონა და ლოცვანი გულზე მიეხუტებინა (ო. ჭილ., II, 269). 50. ადმინისტრაციას არაფერი გაუგია იმ ამბისა (ო. ჭილ., II, 267). 51. საერთოდ, ბროლეული კერამიკას შეეცვალა, ძველებური რეპროდუქციებიც ჩამოეხსნათ (გ. ფანჯ., 185). 52. ვაჟს ქერა ქალიშვილისთვის ხელი მოეხვია (გ. ფანჯ., 172). 53. ნოდარს ცელა ლევანისათვის უნდა გადაებარებინა (გ. ფანჯ., 246). 54. მართლაც, მიგრიაულთიდან ხალხს მოეყარა თავი და დასცემოდა მჟავე წყალზე ავადმყოფებს (კ. ყმა, 295). 55. მამას ჭიჭახევზე მჟავე და გოგირდოვანი წყაროები აღმოეჩინა (კ. ყმა, 232). 56. ადიდებული მდინარის გაღმა ბეჭგანიერი ვაჟკაცის ოდენა ლოდისათვის წყალს შავი ნაბადი მოეხვია (ო. იოს., 59). 57. ფუნთუშა ლოყებს დაუგზნიათ

ჭიაკოკონა (ა. კალანდ., 30). 58. ამ დედაკაცისათვის შიშს სახე დაეპრანჭა (ა. ყაზბ., 90). 59. თბილისში ვიღაც რეჟისორს ცოცხალი ჯიხვი უჩუქებია მამისათვის (გ. ფანჯ., 89). 60. ყველას უნდოდა ხელში დაეჭირა და დაეთვალიერებინა ნამდვილი ბურთი (გ. ფანჯ., 137). 61. ამ მარკის ფოლადი მას არასდროს გამოედნო (გ. ფანჯ., 244). 62. სულ ჩაერეცხა და დაეღარა წვიმას ვიწრო ორღობეები (ო. იოს., 59). 63. მათ სიკვდილით ბევრი რამ უნდა გამოესყიდათ (ო. იოს., 30). 64. ანას არც კაკლის ხე დაუნახავს მაშინ (ო. ჭილ., II, 133). 65. ცოდნას თანდაყოლილი სიფრთხილის და შიშის გრძნობა წაერთმია მისთვის (ო. ჭილ., II, 263). 66. მიგრიაულებს იმ ღამესვე დაენგრიათ ჩარდახი (კ. ყმა, 296). 67. ასეთი საღამო ჭიათურაში გაუმართავს მოწინავე საზოგადოებას (კ. ყმა, 170). 68. მაშინაც კიდევ მამაჩემს სოფელში კაცი გაუგზავნია და შეუთვლია (აკაკი, 91). 69. გლეხებს ბეგარად ყოველ წელიწადს, ნაშობევს, თითო ბურაკი უნდა გამოეტანათ სასახლეში (აკაკი, 118). 70. ეს ჩემი პირველი ნაწარმოები დედაჩემს თურმე შეენახა (აკაკი, 134). 71. წამოელო ბატის გუნდი ჩვენსკენ დარუბანდის ქარებს (მ. ლებ., 22). 72. თბილისის ვიწრო ქუჩებს არაერთი მოგზაური უნახავს (ი. გრიშ., 4). 73. დედაჩემს ჩვენთვის კარგი სადილი დაემზადებინა (კ. ყმა, 308). 74. ჩვენი წინაპრის გონებას ადრე გადაუწყვეტია ეს (აკაკი, 38). 75. ჩემი გალახვის ამბავი გაეგო დირექტორს (აკაკი, 138). 76. ნაწნავები გაუშლიათ ქარში კარისწყალას ძეწნებს, ქარავნები დაუწყვიათ ინდოეთისაკენ მერცხლებს (მ. ლებ., 87). 77. ოქროყანიდან დაწყებული ამ რაზმს უნდა დაეყენებინა საუკეთესო მეშურდულენი (ი. გრიშ., 30). 78. დავითს დის ტანისამოსი ჩაეცვა და ისე წასულიყო ყურძნის მოსაპარავად (აკაკი, 128). 79. მოურავს მაინც მოუყვანია მუშები, დაუნგრევია სახლი და გადაუტანია (აკაკი, 106). 80. მასპინძლის ქალს ინსტიტუტში კურსი გაეთავებინა (ა. ყაზბ., 222). 81. მხოლოდ ორი წლის მერე უპოვიათ მშობლებს რომელიღაც ბაზრობაზე (ო. ჭილ., II, 112). 82. კუტ ხვარამზეს თავი მოაჯირზე გადმოეკიდა (ო. იოს., 60). 83. პატრონს, რასაკვირველია, შორს დაუჭერია ეს ამბავი (აკაკი, 106). 84. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია (აკაკი, 137). 85. ეჰ, აყვავდები, სამშობლოვ, როდის? — მთვარესთან ღამით

უთქვამს ილიას (ლ. ასათ., 18). 86. თვით ამ მიწას, კლდეს და წყალს უნდა ეთხოვა ცისთვის ნებართვა (ო. იოს., 109). 87. სოფლიდან მოსული საქონელი ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ (ი. გრიშ., 7). 88. რამდენი მთა და ხრიოკი ველი მოურწყავს მათი ცრემლების მორევს (ლ. ასათ., 100). 89. თუ აქაც აღარავინ აღმოჩნდებოდა, მასწავლებელს უნდა აეხსნა (აკაკი, 139). 90. ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ერთმანეთისთვის ხელი ჩაეჭიდათ (გ. ფანჯ., 327). 91. ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა (ი. გრიშ., 60). 92. სვანის ასულებს მოუხურავთ წითელი ფარჩა (ლ. ასათ., 48). 93. ქალებს საშუალება ეძლეოდათ გამოეფინათ თავიანთი ტუალეტი და ძვირფასი სამკაულები (ი. გრიშ., 60). 94. რამდენი გაზაფხული გაუვლია მოხუცს (გ. რობაქ., 268). 95. ჯარისკაცებს სადღაც ფურგონი უშოვიათ (გ. რობაქ., 193). 96. ზოგს მანქანის კარი გამოეღო და ზედ იდაყვით იყო ჩამოკიდებული (გ. ფანჯ., 12). 97. დედაკაცებს ბალღები პირდაპირ ხურჯინის თვლებში ჩაესვათ (თ. ბიბ., 280). 98. ერთი დღის ობლობას ოთხივე გაეცრიცა და დაეპატარავებინა (ო. ჭილ., I, 62). 99. ქუჩები და მოედნები უზრუნველად მოსეირნე გოგო-ბიჭებს აევსო (ო. ჭილ., I, 67). 100. სოფელს შეეძლო დიდი ხნის მერე მოეთხრო შვილიშვილებისათვის გალავნის ამბავი (თ. ბიბ., 226). 101. გიშრის საათი სპეციალურად ანიჩკასათვის შეუკვეთია პოეტს (მოგ. აკ., 360). 102. კახელებს შესაფერისი პატივი არ დაუკლიათ მისთვის (მოგ. აკ., 206). 103. არც ლადოს არ მიუქცევია ამისათვის ყურადღება (ო. ჭილ., II, 394). 104. პეტრეს არასდროს აღარ გაუხსენებია მისთვის ეს ღამე (ო. ჭილ., II, 120). 105. მთას შუბლი მოუჭმუხვნია, უფრო გულგრილად დამდგარა (ვაჟა, 39).

# დამატებანი

## პირდაპირი დამატება

*§ 18. პირდაპირი დამატება მიცემითში.* 1. მზე ჩასვლის წინ ღრუბლებს ფარავს (მ. ლებ., 247). 2. ხშირად ვიგონებ ცისფერ სავარცხელს, განგებ, ყასიდად დაკარგულს ტყეში (მ. ლებ., 510). 3. უსათუოდ სამადლობელს ღაღადებდა კავკასიის მადლიანი მიწა (ა. კალანდ., 66). 4. წახვალ ცისაკენ და თან წაიღებ ნუსხახუცურით დაწერილ გრაგნილს (ა. კალანდ., 400). 5. ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს (თ. სახ., 890). 6. ძაღლი პატრონს ველარ სცნობს (თ. სახ., 834). 7. ვიღაც ჭირვეულად აკაკუნებდა ბოთლზე დანას (ნ. ონაშ., 104). 8. ქართველი საზოგადოება აკაკის ანებივრებდა (მოგ. აკ., 40). 9. ის იისფერი ტაძრის გუმბათზე მოკიაფე ოქროს ვარსკვლავებს მესროდა (ნ. ონაშ., 72). 10. პეტრე ფეხის წვერით ამოვარდნილ ფილაქანს ასწორებდა (ო. ჭილ., II, 263). 11. თვითონ იკისრებდა ამ უსაძირკვლო ოჯახის დიასახლისობას (ო. ჭილ., II, 267). 12. დაიღონებდი ტირილით თვალებს (პ. იაშვ., 211). 13. ქართველნი ქალნი სამგლოვიარო მკერდსაკრავებით ცხედარს გზად ვარდყვავილებს უფენდნენ (კ. ყმა, 133). 14. ყველანი ერთმანეთს ვათვალიერებდით (გ. ფანჯ., 219). 15. მეზობლის ქალი ხალიჩას ისევ ბერტყავდა (გ. ფანჯ., 386). 16. ბურუსით თავშეხვეული მთები გულისწყრომას ველარ ფარავენ (ო. იოს., 74). 17. ახლა ყველა ერთნაირად დადებდა თავს მომავალი ცხოვრების სიწმინდესა და კაცთმოყვარეობაზე (ო. იოს., 84). 18. ნატაშა ჩუმად იხდიდა ტანსაცმელს (ა. ყაზბ., 138). 19. ჩემთვის ვაჩხაკუნებ ფანდურს, სანატრელო (მ. ლებ., 154). 20. უწვრთნელი თვალი კვალს ომისას აქ ვერ შენიშნავს (მ. ლებ., 126). 21. ნიავი ფრთხილად შეარხევს ნაძვებს (ა. კალანდ., 354). 22. გამოიღებენ კვლავ ახალ ფოთლებს და თვის გვირგვინებს დაიბრუნებენ (ა. კალანდ., 124). 23. დანა პირს ვერ უხსნის (თ. სახ., 136). 24. ქვაზედაც საზრდოს იშოვის (თ. სახ., 677). 25. ხალხის სიხარული ვაჟასაც ახარებდა (მოგ. აკ., 73). 26. ამას ყველა თანამშრომელი დაადასტურებს (ნ. ონაშ., 83). 27. ახლა შაბათობას მოვაწყობთ (ნ. ონაშ., 72). 28. მე ყველაფერს ვხედავდი

(პ. იაშვ., 257). 29. სად ბუნების ბატონობას კაცის ხელი ატრიალებს (პ. იაშვ., 216). 30. ახლა უფრო ხალისიანად მიაპობს უჩინარი მტკვარი მტვრით გასქელებულ წყვდიადს (ო. ჭილ., II, 140). 31. ჩუმად ვადევნებდი თვალს მამაჩემის წერას (კ. ყმა, 301). 32. იქიდან ბილიკზე სულიერი ფეხს ველარ ჩამოადგამდა (ო. იოს., 60). 33. გამოქვაბულის პირზე გაჭიმული ბრეზენტი მთლიანად ვერ ფარავდა შესასვლელს (ო. იოს., 89). 34. სამშობლო შენი ძალ-ღონეს იკრებს (მ. ლებ., 66). 35. და საოცარ ღვინით ხელში ვსვამთ ერთურთის სადღეგრძელოს (მ. ლებ., 427). 36. ერთიმეორის მოყოლებით აქრობენ სანთლებს (მ. ლებ., 460). 37. და შესძრავს მიწას პატარა ჩიტი ვარდის ქებითა (ა. კალანდ., 23). 38. მაღალ მთებსა ისევ ნისლი ფარავდა (ა. კალანდ., 262). 39. მმაგი სინათლე თვალებს სჭრიდა მკერდზე ბრილიანტს (ა. კალანდ., 195). 40. უერთმანეთოდ წყალს აღარ აქცევდნენ (თ. სახ., 624). 41. ისეთი კარგია, თვალს ვერ მოაშორებს კაცი (თ. სახ., 294). 42. თავზე მამალ ბუზს არ ისვამს (თ. სახ., 291). 43. თავის დღეში მოწყვეტილ ყვავილს ხელში არ იჭერდა (მოგ. აკ., 146). 44. ვიდრე ადგებით და ხელპირს დაიბანთ, მე საუზმეს მოვამზადებ (ნ. ონაშ., 168). 45. დროდადრო ავტოკალამს ხელში ლაღად შეათამაშებდა (ნ. ონაშ., 32). 46. მე კი ვიზოგავ შენს ფერმკრთალ ღიმილს, ვით ბოლო სანთელს და ბოლო იმედს (ო. ჭილ., II, 446). 47. შენ ამ ფირფიტას, ვით უცხო ფრინველს, ყველაფრის მცოდნეს და გულთამხილველს, კალთაში ისვამ და ჩუმად ზიხარ (ო. ჭილ., II, 481). 48. გულში ვგრძნობ იმათ ნისკარტს წვეტიანს (პ. იაშვ., 157). 49. გედების დასტა მიაპობს ოქროს ზეთიან ჰაერს (პ. იაშვ., 166). 50. მაგ სიმღერით იშუშებენ ნატყვიარ ჭრილობებს (კ. ყმა, 186). 51. ასეთ ამინდში მტერი ვერ გაბედავდა გვირაბისპირა ბილიკზე ჩამოსვლას (ო. იოს., 73). 52. მხოლოდ ერთადერთი გარემოება აბრკოლებდა საქმეს (ა. ყაზბ., 73). 53. უცბად გული, ბავშვის გულიც იწყებდა ყვირილს (მ. ლებ., 310). 54. და გავიხსენებთ ჩვენ სიყმაწვილეს (მ. ლებ., 299). 55. მალე დაატკბობს შრიალი ხეთა მიწას გვალვიანს (ა. კალანდ., 53). 56. და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს, სერებს თოვლიანს (ა. კალანდ., 34). 57. ცოდოს ვერ დავიდებ (თ. სახ., 814). 58. ჩიტი ვერ ასწრებს ადგომას (თ. სახ., 787). 59. გონებაში ამუშავებდა მო-

მავალ თხზულებას (მოგ. აკ., 129). 60. თავისი მხატვრული ჩანაფიქრის სრულყოფისათვის უხვად იყენებს კონკრეტულ მასალას (ნ. ლონაშ., 47). 61. გაბურძგნული თმით დაფარულ უშველებელ თავს კედელზე საათის ქანქარასავით ამოძრავებდა მარცხნიდან მარჯვნივ (ნ. ლონაშ., 79). 62. ვწოვ ყურძენს, როგორც მტკივანა ბზიკი (პ. იაშვ., 131). 63. და სხეულები, როგორც ღრუბლები, იპყრობდნენ სივრცის უდიდეს ნაწილს (ო. ჭილ., II, 523). 64. რამდენადაც შემეძლო ვანუგეშებდი ჩვენს დიდ მგოსანს (კ. ყმა, 170). 65. მსაჯული კი დინჯად წერს განაჩენს (ო. იოს., 86). 66. მაგრამ მოხვალ შენ, გასდებ ფიქრის ხიდებს (მ. ლებ., 418). 67. იფრინე, შვილო, მამაშენის მსუბუქი ფრთებით, ის ქართულ მიწას არ ამძიმებდა (მ. ლებ., 459). 68. ისინი სულში ქვიშას ტოვებენ და ხშირად მძიმე ლოდებსაც ყრიან (ა. კალანდ., 334). 69. მე არასოდეს არ ჩავაქრობ შენს წმინდა სანთელს (ა. კალანდ., 88). 70. ბუზსაც არ აიფრენს თავზე (თ. სახ., 62). 71. ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს (თ. სახ., 192). 72. უსულო საგანზეც ვერ ითმენდა ძალმომრეობას (მოგ. აკ., 146). 73. მაგ სადღეგრძელოს ჩვენც დავლევთ (ნ. ლონაშ., 106). 74. მე კი ასეთ ბრძანებას არ ვასრულებ (ნ. ლონაშ., 163). 75. და როგორც ღენით გატენილ კასრებს, მოაგორებდნენ ჩრდილები ფიქრებს (ო. ჭილ., II, 530). 76. მეტიჩრობაში ვამტყუნებდი ჩემს თავს ადვილად (პ. იაშვ., 179). 77. ვთვლიდი ვარსკვლავებს, ჩემთვის წყნარად ველიდი ღრეებით (მ.ლებ., 109). 78. მე შენ დაგხურავ ლამაზ გვირგვინს (ა. კალანდ., 304). 79. რომელი ჩიტი იშენებს ბუდეს ძეძვის რტოებზე? (ა. კალანდ., 123). 80. კაჭკაჭს დააჩხავლებს (თ. სახ., 320). 81. ამ საკითხს გულდასმით შევისწავლი (ნ. ლონაშ., 195). 82. ცხოვრებას ყველა თავიდან იწყებს (ო. ჭილ., II, 476). 83. უცბად რაღაცა შეაშფოთებს კოპიტის ტოტებს (პ. იაშვ., 162). 84. იქ არავინ ანთებს სანთლებს (ნ. ლონაშ., 197). 85. ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას (აკაკი, 92). 86. ამ დროს ნარიყალას მომხრენიც საიდუმლოდ ამზადებდნენ თავიანთ ჯარებს (ი. გრიშ., 21). 87. თბილისის ძველი თაობა მხოლოდ ხელნაწერებს კითხულობდა (ი. გრიშ., 75). 88. ხალიბის ფოლადს აღნობენ მამაცი ხალიბელები (ლ. ასათ., 78). 89. მარჯვნივ აყენებს ბაგრატ თართნელს (აკაკი, 62). 90. ძლივს ვამშვიდებდი მოქანცულ ჩიტებს (ნ.

სამად., 15). 91. ანგელოზები დაფნისას გვირგვინს ადგამდნენ გმირებსა (ვაჟა, 74). 92. ისინი გრძნობით გამთბარი სიტყვებით ამკობდნენ ხელოვანს (ი. გრიშ., 163). 93. იქ თავს იყრიდა მთელი ფშავ-ხევსურეთი (კ. ყმა., 242). 94. სარდლებს სხვადასხვა მხრით აგზავნიდა (აკაკი, 58). 95. მაღლა ეღარ სწევ ჩაქნეულ ხელებს (ნ. სამად., 57). 96. ერთი მათგანი დაჭრილი უბეში დროშას მალავდა (ლ. ასათ., 82). 97. ბაღში გამართულ ლხინზე პირველი სადღეგრძელოთი გარდაცვლილ ოსტატებს იგონებდნენ (ი. გრიშ., 38). 98. დღეს შედარებით ბევრი მჯობია, სახალხოდ ვამბობ ამ აღსარებას (აკაკი, 53). 99. გაუხარელი ამინდებია, წვიმები ბუხარს ისევ აქრობენ (ნ. სამად., 29). 100. ხშირად იგი მთელი კვირის შემოსავალს ერთ დღეში ფლანგავს (ი. გრიშ., 57).

*§ 19. პირდაპირი დამატება სახელობითში.* 1. მან ათრთოლებული ხელებით თავსაფარი მოიხვია, კაბის კალთა გადაიბერტყა, პირზე გადაისვა ხელი (ო. ჭილ., II, 32). 2. ისევ დაუჭირეს საყელოები ტყიურის სუნით გაღიზიანებულსა და პატრონების საქციელით გაკვირვებულ ძაღლებს (ო. ჭილ., II, 263). 3. ჩვენს სახლს ზარბაზნები დაუშინეს, მერე ცეცხლი წაუკიდეს და მთლად გადაბუგეს (კ. ყმა, 238). 4. ლიტერატურულ საღამოებზე ვაჟას მიწვევა-მიპატიჟება ქართველმა ინტელიგენციამ წესად შემოიღო (კ. ყმა, 170). 5. მამაჩემმა ეს სასურველი სტუმრები დაინახა (კ. ყმა, 17). 6. ღონიერი თითები ისეთი სისწრაფით აათამაშა, თითქოს კუნთები კლავიშები ყოფილიყოს (გ. ფანჯ., 156). 7. ვინ იცის, მერამდენედ გადაიკითხა ეს სტრიქონები, სადაც მის მიერ გატანილ ბურთზე იყო ლაპარაკი (გ. ფანჯ., 152). 8. გუშინ თქვენმა ბიჭებმა ჩემი ძაღლი დაიჭირეს (გ. ფანჯ., 104). 9. იქნებ ჩვენი თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ (პ. იაშვ., 85). 10. ძმობამ მოგვცა ჩვენ ეს გრძნობა, ეს უკვდავი ერთგულება (პ. იაშვ., 188). 11. ჩვენც მოვასწარით, ჩვენც ვნახეთ აქ სხვანაირი ბაზარი (პ. იაშვ., 215). 12. სად არის იგი, სად არის იგი, ვინაც გვირგვინი ჩემი იტვირთა (ა. კალანდ., 217). 13. მე გაეუშტერე ჩვენს ეახშამს ზღაპრულს მშიერი თვალი (მ. ლებ., 74). 14. ჯონდომ თვალები

მუშტებით მოიფშვნიტა (გ. ფანჯ., 84). 15. გაიმეორა თავისთვის რეზომ, როცა ყურმილი დადო და საბანი წაიფარა (გ. ფანჯ., 57). 16. მართამ კარი მიხურა, ბუხართან მივიდა, ნაცარში შეხვეული ნაკვერჩხალი გაჩხრიკა (გ. ფანჯ., 76). 17. ეს ამბავი ბეკურს უამბო ლუკამ (კ. ყმა, 280). 18. ხეებმა წყალში ჩაყარეს ჩრდილები, როგორც რტოები (პ. იაშე., 233). 19. ცხელი შანთი მოუტანა ბოლოს მკერდთან, ცხელი რკინა, საქართველოს გულს რომ ჰკვეთდა (ა. კალანდ., 265). 20. ერთხელ სუფრაზე შანშიაშვილმა ვაქას მოაგონა ის ამბავი (კ. ყმა, 196) 21. ძმისათვის ერთი სიტყვა არ უთქვამს (ო. იოს., 73). 22. ადამიანები ერთად უნდა იყვნენ, ყველაფერი იღონონ სიცოცხლისათვის და ერთმანეთს მიაწოდონ წყალი (ო. იოს., 83). 23. დევი ყურით არ დაუჭერია (თ. სახ., 154). 24. გარეთ თავი ვერ გამოუყვია (თ. სახ., 78). 25. მაგრამ ამან მოწინააღმდეგენი ვერ დააკმაყოფილა (მოგ. აკ., 111). 26. ერთხელ მე და ჩემმა მეზობელმა ტყეში შემთხვევით დავიჭირეთ ძალიან ლამაზი არჩვი (მოგ. აკ., 61). 27. დანარჩენებისთვისაც შემოიტანეს სკამები (ნ. ონაშ., 83). 28. უცნაურად დაღლილი მზერა მომაპყრო, თავი ჯიუტად გააქნია (ნ. ონაშ., 121). 29. ჩემს გვერდით ვერავინ რომ ვერ დაინახა, მხრები აიჩეჩა (ნ. ონაშ., 53). 30. ოთარმა მატარებელი რომ დაინახა, ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა (გ. ფანჯ., 142). 31. როცა მოედანზე ბურთები გამოიტანეს, ის ისევ დაიბნა (გ. ფანჯ., 143). 32. ეს იცოდნენ მხოლოდ ლუკასთან დაახლოვებულმა ამხანაგებმა (კ. ყმა, 83). 33. ახლა მღვდელმა ვაქას გადასცა ბავშვი ხელში (კ. ყმა, 90). 34. მე ცახცახი დავიწყე სიხარულით (პ. იაშე., 257). 35. მუზეუმის ყველა თანამშრომელი ახლოს გავიცანი (ნ. ონაშ., 76). 36. მე, რა თქმა უნდა, თავხედს საკადრისი პასუხი გავეცი (ნ. ონაშ., 196). 37. სვიმონი არც წასულა და არც ხმა ამოუღია (ა. ყაზბ., 85). 38. აკაკიმ ორი ჭიქა ჩვეულებრივად ტკბილი, რძენარევი ჩაი მიირთვა (მოგ. აკ., 151). 39. ეს საკენკი შენს ქათმებს დაუყარე (თ. სახ., 186). 40. კარლს ხელი არ უხლია ალფრედისათვის (ო. იოს., 83). 41. ათმა კაცმა ძლივს შემოიტანა ის საათი (ო. ჭილ., II, 90). 42. ანა შეაძრწუნა გიორგის ნაამბობმა (ო. ჭილ., II, 132). 43. თქვა პეტრემ და თვითონაც შეიყნოსა ჰაერი (ო. ჭილ., II, 325). 44. შეუწირია ტყეებისათვის თვისი

დღეები (მ. ლებ., 333). 45. შორიდან ნატომ გაარჩია მხოლოდ იმისი გაშლილი შავი თმები (ა. ყაზბ., 102). 46. მუშტი ისე ძლიერად დავკარი მაგიდას (ნ. ონაშ., 115). 47. პირველი ჭიქა ყველამ დაცალა (ნ. ონაშ., 138). 48. იმ ვიღაცამ სალამიც კი არ თქვა (ნ. ონაშ., 60). 49. თვითონ დინჯად შებრუნდა და კიტრით სავსე ჯამი მაცივარში შედგა (გ. ფანჯ., 15). 50. მან თოფი კედელზე ჩამოჰკიდა და ზანდუკს თავი ახადა (გ. ფანჯ., 92). 51. თვითონ თავშალი მოიხვია, გარეთ გავიდა, კართან მიყუდებული ხის ნიჩაბი აიღო (გ. ფანჯ., 76). 52. შემობრუნდა, მოშორებით დადგა და ჟურნალი გადაფურცლა (გ. ფანჯ., 13). 53. ქალაქიდან წითელ-წითელი ჩუსტებიც წამოგიღეთ (კ. ყმა, 241). 54. დავგმანე შენთვის ჩემი სენაკი, სიხარულისთვის გული დავხურე (ა. კალანდ., 100). 55. მე დავლიე მომღერალი ქალის სადღეგრძელო (მოგ. აკ., 114). 56. გულში ტყვია ჩაიდულა (თ. სახ., 122). 57. წყალი ყოველთვის კლაუსს მოჰქონდა მათთვის (ო. იოს., 83). 58. დეკანმა გაამხნევა მასთან შემოსული სტუდენტები (ნ. ონაშ., 191). 59. მან ამომწურავად დაგვიხატა გამოცდების მთელი სურათი (ნ. ონაშ., 186). 60. ჩვენ საგამოცდო ოთახში ტელევიზორი დავდგით (ნ. ონაშ., 186). 61. ვიღაცამ შუბლზე სველი ცხვირსახოცი დაადო (გ. ფანჯ., 118). 62. მან ჯერ ყველაფერი გულდასმით დაათვალიერა (გ. ფანჯ., 85). 63. თავი დაიზლვია პეტრემ (ო. ჭილ., II, 288). 64. გაშიშვლებული საფლავი თოვლმა უარესად გადაასწორა (ო. ჭილ., II, 74). 65. ოსტატმა ორი ლილვი ბუდიდან ამოაძრო და კოლოფს ერთხელ კიდევ შეხედა (გ. ფანჯ., 86). 66. უეცრად სუფრაზე მიიპატიჟეს მოძღვარი (კ. ყმა, 299). 67. მეზობელმა ცხენით ამოიტანა სათესლე მარცვალი (კ. ყმა, 84). 68. ჩვეულებრივი განწყობილება მაინც ვერ გამოვიწვიეთ (მოგ. აკ., 150). 69. მან უკან ჩამოიტოვა ორი მცველი და კარისაკენ ფრთიდან გაიჭრა (გ. ფანჯ., 133). 70. პეტრემ რიგრიგობით შეაბერტყა ღობეს ტალახიანი ფეხები (ო. ჭილ., II, 270). 71. შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი (თ. სახ., 742). 72. წყალიც კი არავის დაულევია იმის სახლში (თ. სახ., 881). 73. სტუდენტებმა მოიხადეს ქუდი და ღიმილი მგოსანს მიაგებეს (მ. ლებ., 347). 74. ქართველ თავადის მოვალეებმაც უარი სტკიცეს ფულის პატრონს (აკაკი, 157). 75. მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა (ილია, 68). 76. მას ჩუბინიშვილის ლექსიკონი

გადაეშალა და სინჯავდა (აკაკი, 162). 77. წარსულმა დადგა მისი გოლგოთა (ლ. ასათ., 19). 78. ხანშიშესულმა ჯარისკაცმა თავი გადააქნია და ცას ახედა (ო. იოს., 23). 79. ერთ რამეში ვერც იმან გამოიჩინა დიდი გამოცდილება (აკაკი, 159). 80. მამაჩემმა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა (ილია, 263). 81. იმან ამოიღო უბის ჯიბიდან პატარა ყდიანი რვეული (ა. ყაზბ., 209). 82. დანიელმა ხიდისყურის მათხოვარივით გაიშვირა ხელი (ო. იოს., 114). 83. შენ გადაუქროლე რომის ქარეასლებს და შეაშფოთე რომაელები (ლ. ასათ., 71). 84. თქვა მღვდელმთავარმა და გადასახა მადლმინიჭებით მოხუცსა ჯვარი (აკაკი, 54). 85. ლექსმა კი შეკრა ჭრილობა ცივი და გაანათა ჩემი კაცობა (ლ. ასათ., 57). 86. ისევ აიღო თავისი ჭიქა და უშველებელ თითებში მოიმწყვდია (ნ. ონაშ., 114). 87. მტრედებიც დასხდნენ და ნისკარტები ფრთებში დამალეს (ნ. სამად., 55). 88. ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი პღვარეს (ილია, 117). 89. გაშალეს ძუა-ფაფარი, კორიანტელი დაირხა (ლ. ასათ., 91). 90. გულის შორეულ სიღრმეში უეცრად გაჩენილმა ხინჯმა ჭიასავით დაიწყო ღრღნა (ნ. ონაშ., 63). 91. მარტოხელა ბაბუამ მთელი საცხოვრებლის საფასური ბაზარში წაიღო (ო. იოს., 263). 92. ამ კამათმა პროვინციაში ჰპოვა დიდი გამოხმაურება (ი. გრიშ., 108). 93. მოქნეულ ხმალს ორბელიძემ ქვემოდან აჰკრა თავისი ხმალი (აკაკი, 65). 94. იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღეს (ილია, 396). 95. რამდენიმე ძლიერი სიყვარულიც განვიცადე (ნ. ონაშ., 101). 96. ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბდღიალა? (ლ. ასათ., 45). 97. მან ფარ-ხმალი აიყარა მოურიდლად, თვისის ნებით (აკაკი, 41). 98. ხარაზს თავისი ვერცხლის ქამარი გაუყიდია (ი. გრიშ., 45). 99. მოხუცმა ამ სიტყვების დროს ცრემლები ღვარა მრავალი (აკაკი, 39). 100. მან დიდ მუხნარში მოჰკლა ტახები და მათი ხორცით მზრდიდა ნიადაგ (ლ. ასათ., 56).

## ირიბი დამატება

***§ 20. ირიბი დამატება.*** 1. სიცხით დახეთქილ კლდეთა ბილიკს მზე ჩამოჰყვება (ა. კალანდ., 367). 2. ზეცას მიაპყრობს

თეალებს მუდარით, მიესალმება მზეს მიმოზიდან (ა. კალანდ., 215). 3. ერთმანეთს მიტმასნოდნენ ღია წითელი, ლამის გამჭვირვალე, ჯერ კიდევ მიწიანი ფესვები (ო. ჭილ., II, 270). 4. გიორგი თბილისში მიმაეალ ურმის ქარავანს აჰკიდებია (ო. ჭილ., II, 128). 5. ლევანმა მარინეს ჭიქა შამპანურით შეუვსო (გ. ფანჯ., 206). 6. ოთარი გულმოდგინედ დააჩერდა ცხვირსახოცს (გ. ფანჯ., 11). 7. ნაბიჯები შეანელა და დაღონებული კარს მიეყრდნო (გ. ფანჯ., 54). 8. სანთლისფერ ლოცვით აჩქარებას მეფეს ჰპირდება (პ. იაშვ., 83). 9. მაგრამ ჩქარი მზე შორეულ ლანდს მიეფარა (პ. იაშვ., 84). 10. შენს ნაცვლად ვეტყვი ჩემს სიყვარულს მხიარულ ვარდებს (პ. იაშვ., 89). 11. ახლა „მხცოვანი მწერალი“ დიდ მთაწმინდელებს უერთდება (მოგ. აკ., 88). 12. ახალგაზრდობას თეატრში ის მუდამ გულისხმიერად ეპყრობოდა (მოგ. აკ., 116). 13. პოეტი კვარცხლბეკს დაუბრუნდება და ლურჯ სივრცეებს გააცქერდება (მ. ლებ., 359). 14. გარე ვუელი გალავანს, თოფი ფრთხილად მიჭირავს (მ. ლებ., 529). 15. დაბნეული დაჩერებოდი ცარიელ ფურცელს (ნ. ონაშ., 59). 16. შიო თავმჯდომარეს მიუბრუნდა (ნ. ონაშ., 87). 17. მხედრები ხშირად წყალდაწყალ მისდევდნენ ალმართს (ო. იოს., 70). 18. დანიელმა თავი დახარა და ცხენს გაუძღვა (ო. იოს., 23). 19. ორიევე ხელით ებღაუჭებოდა ნაბზარებს (ო. იოს., 44). 20. ნიორწყალივით გადაესხა ყველას (თ. სახ., 466). 21. ქვეყანას პირს ვერ გაუკერავ (თ. სახ., 680). 22. პირდაპირ დაბარებულივით მიადგა მაღალი კოშკის ძირას მიდგმული ფიქალის სახლს (ო. იოს., 8). 23. ერთსაც და მეორესაც მამა თავის ძველ ტანისამოსს აძლევდა (კ. ყმა, 231). 24. პროცესიას მიუძღოდა მგალობელთა რამდენიმე გუნდი (კ. ყმა, 133). 25. ბატონი გაუწყრა და ის ბურაკი იქვე დაბმულ დათვს გადაუგდო (აკაკი, 119). 26. თამადა და იროდი სადღეგრძელოს თქმაში ერთმანეთს აშკარად ეჯიბრებოდნენ (გ. ფანჯ., 82). 27. ყველანი გარემარბს შემოეხვივნენ (გ. ფანჯ., 134). 28. ვხვდებით ერთად დიდ მოსავლის დღესასწაულს (პ. იაშვ., 186). 29. მე შევეხები ნაზი კოცნით შენს ბროლის ხელებს (პ. იაშვ., 89). 30. მე მორიდებით მის ყვითელ თმებს სხივს დავაფენდი (პ. იაშვ., 81). 31. გამოიღვიძებს სადღაც ყაყაჩო და ჩუმ ბილიკებს ისიც გაჰყვება (ა. კალანდ., 180). 32. ჩვეულებრივად სიხარულით მივეგებეთ ძვირფას სტუმარს (მოგ. აკ., 149).

33. ჩურჩული მიჰყვებოდა ბაღის უფოთლო ხეებს (მოგ. აკ., 91). 34. ვუბრუნდებოდი კვლავ ვეება, ნაცრისფერ ქალაქს (მ. ლებ., 310). 35. მოღუშული გაჰყურებდა გზას (ნ. ონაშ., 129). 36. ჩვენ მაშინ შევხვდით ერთმანეთს (ნ. ონაშ., 158). 37. ტყემ პირსაბური ჩამოიცილა, გზას მიჰყვებიან ჩუმად არყები (ა. კალანდ., 180). 38. ჭენებით მისდევდნენ ბილიკს (ო. იოს., 158). 39. მოსახვევთან ზურგით აეკრა კედელს (ო. იოს., 160). 40. ვარსკვლავებს ეთამაშება (თ. სახ., 197). 41. ქვეყანას ვერავინ შეაბერდება (თ. სახ., 680). 42. სწორედ ამ დროს მოვიდა იგი და მოეფინა გარინდულ ქუჩებს (ო. ჭილ., II, 486). 43. მე კი იმ სიზმარს შიშით ველოდი და თუ შემეძლო, არ ვიძინებდი (ო. ჭილ., II, 497). 44. გვითხრა ეს ვაჟამ და ყველას ხელი ჩამოგვართვა (კ. ყმა, 93). 45. ვაჟას სურვილი მთაში წაყვანის შესახებ ქართულ რედაქციებს ვაცნობე (კ. ყმა, 132). 46. თბილი დღე მსუბუქი ნიავით ეალერსებოდა მოღიმარე გაზაფხულს (ა. ყაზბ., 102). 47. დაფიქრებული თათარყან ხალხს შეერია (ა. ყაზბ., 170). 48. ყველანი უცნობს მიაჩერდნენ (გ. ფანჯ., 12). 49. ისინი თავის ჯერ კიდევ აულაგებელ სუფრას მიუსხდნენ (გ. ფანჯ., 116). 50. შიშით გადავშლი, ერთმანეთს რომ წერილებს ვწერდით (ვ. იაშვ., 123). 51. კლდის ნაპრალები ამ განთიადს დინჯად ელიან (ვ. იაშვ., 175). 52. ასე მოვყვები ნაძვების ბილიკს, იგივ სიჩუმე და მიწაყრილი, თავჩაკიდულნი დგანან იანი (ა. კალანდ., 41). 53. ჩემს ცოლსაც რომ გამოეთხოვა, კიდევ მე გადამეხვია (მოგ. აკ., 151). 54. როგორც ხარ-ურემს, ჩაფლულს ტალახში, ჩემს განვლილ დღეებს ჩავაცქერდები (მ. ლებ., 451). 55. მზე მწვერვალებს ამოჰყვა, ცის ლაჟვარდი ღრმავდება (მ. ლებ., 186). 56. მათ იქვე, ჩვენს ახლოს, რამდენიმე მაგიდა მიადგეს ერთმანეთს (ნ. ონაშ., 107). 57. თქვენ კი უსიტყვოდ ემორჩილებით ამ თავნებობას (ნ. ონაშ., 42). 58. და სიხარულით თვალდანამული მივყვები ჩემს გზას... იხსნება ზეცა (ა. კალანდ., 103). 59. ბაუმანი უაზროდ მიაჩერდა ჰანსს (ო. იოს., 98). 60. ამჟამად ის მოწინააღმდეგეს მიემხრო (ო. იოს., 84). 61. დაჭრილს ნაბადი შემოაცალეს და ჩაჩოქილ ცხენზე გადაიყვანეს (ო. იოს., 158). 62. ისინი მიესალმნენ ერთმანეთს და ოთახში შევიდნენ (ა. ყაზბ., 79). 63. ოსტატი მერე ლილვების გადასართველ კოლოფს დააკვირდა (გ. ფანჯ., 85). 64. მზემ მთის ნისლები

გაჰბურა, სხივი სხივს გამოეკიდა (პ. იაშვ., 231). 65. ხმა ეზოებს გამოჰყვა, როგორც ქარი ბალახებს (პ. იაშვ., 206). 66. ცოტა სიარულის შემდეგ ისინი ჩქარა მიადგნენ ერთ ფლატოს (ა. ყაზბ., 104). 67. მოლუშული გაჰყურებდა სივრცეს (ნ. ონაშ., 121). 68. ის მიტოვებულ საყდარს ემსგავსება (ნ. ონაშ., 197). 69. ისინი ისედაც შორს შეჰყვნენ ამ ბილიკს (ო. იოს., 45). 70. თვითონაც ბუხარს მიუჯდა გასაშრობად, სველი ფეხები ცეცხლს მიუშვირა (კ. ყმა, 229). 71. იქ აღარავინ აუნთებს ქალს სანთლებს (ნ. ონაშ., 198). 72. მკვდარსაც კი ფეხებს გააქნევინებს (თ. სახ., 410). 73. ცისფერ მაგიდას შემოეუსხდებით (ლ. ასათ., 59). 74. ის დამსწრეებს მოქმედი პირების თავგადასავალს მოუთხრობდა (ი. გრიშ., 74). 75. ეს ეპიდემია დაბალ ფენებს უფრო მოედო (ი. გრიშ., 47). 76. ნაზამთრალ შტოებს დააჩნდა კვირტი, მამადავითი ირთვება მწვანედ (მ. ლებ., 475). 77. მუქი წერტილები ერთმანეთს გადაება და კიდევ უფრო დაგრძელდა (ო. იოს., 135). 78. სარკმელს გარედან აწყდება ბოლი და ბოლში ჩვენი ლანდები თრთიან (ო. ჭილ., I, 571). 79. პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი (პ. იაშვ., 111). 80. წინ ვეღარავინ უდგება მოჯანყის ძლიერებასა (აკაკი, 45). 81. სული იღლება, იშრიტება, იფიტება, მიტოვებულ სახლკარს ემსგავსება (ნ. ონაშ., 191). 82. ლურჯი ბაცით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა (ა. კალანდ., 265). 83. უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავგამეტებით აქეთ-იქით ეხლება (აკაკი, 89). 84. შემოეგება ვაჟას ბაჩანა ჩონგურით ბებერ მუხასთან მდგარი (ლ. ასათ., 27). 85. ჩვენი მოღვაწენი თავიანთ უკვე ცნობილ სახელებს ერიდებოდნენ (ი. გრიშ., 140). 86. ამ დროს ტყვეები კედელს მიეტმასნენ (ო. იოს., 103). 87. მოადგა მინდორ-ველს აპრილი ცხენდაცხენ (მ. ლებ., 51). 88. ხან წვრილი წვერი დაემსგავსა ანთებულ სანთელს (პ. იაშვ., 175). 89. მისგან მოხიბლული თევზიც გაჰყვებოდა საოცნებო მოჩვენებას (ა. ყაზბ., 219). 90. დაიგრიალა ცხენოსანთ ჯარმა და გამოუდგა სომეხ-სპარსელებს (აკაკი, 66). 91. უნებურად გათელილ პაწაწინა იებთან ჩაიმუხლებდა, სათუთად მოეფერებოდა ლურჯკაბიან კეკლუცებს (ნ. ონაშ., 157). 92. ცას შერევია თეთრი ღრუბელი (ა. კალანდ., 170). 93. აღდგომის კვერცხს დაემსგავსა ჭირნახული საქართველო (აკაკი, 40). 94. ერთხელ ჩეხოვს

სამი კარგად ჩაცმული მანდილოსანი ესტუმრა (ი. გრიშ., 179). 95. ეს თამარი ესალმება საქართველოს ლაშქარს (ლ. ასათ., 54). 96. ცას გადაედენენ შავნი ღრუბელნი (ილია, 120). 97. ისინი ათასგვარ უცნაურ ფსევდონიმებს ეფარებოდნენ (ი. გრიშ., 140). 98. ქუჩის ბავშვებს ეთამაშებოდა, იცინოდა, ამბობდა ყრუ ხმით რაღაცა სიტყვას (პ. იაშვ., 255). 99. სხვადასხვა რჩევას აძლევს სარდლებსა, მათ-მათ შესაფერს თვითოეულად (აკაკი, 57). 100. ხტიან რუები, შეპფენია ყაყაჩო ფერდობს (მ. ლებ., 54).

# წინადადების არამთავარი წევრები
# უბრალო დამატება

## უბრალო დამატება თანდებულიან მიცემითში

*§ 21. „ზე“ დართული.* 1. დღეს ქართველები შენი სარდლობით ფიქრობენ მტერზე გამარჯვებასა (აკაკი, 53). 2. იმის სიფიცხეზე და გულქეაობაზე ბევრ საარაკო რამეს ლაპარაკობენ (აკაკი, 139). 3. ფეხზე მაცვია ირმის ტყავით შეკრული ხამლი (ა. კალანდ., 206). 4. ო, არა, იგივ ყვავილია თმებზე ნათოვი (ა. კალანდ., 283). 5. თვითონ ოთარის ხელქვეითებმაც აიცრუეს მუშაობაზე გული (გ. ფანჯ., 250). 6. ინჟინერი უკვე სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა (გ. ფანჯ., 113). 7. ბიბლიოთეკაში დაცულია პერგამენტზე დაწერილი ხელნაწერები (შ. ძიძ., 18). 8. ოსტატი შეგირდს მხოლოდ პურს აჭმევდა და მის ჩაცმა-დახურვაზე ზრუნავდა (ი. გრიშ., 36). 9. ის აქ ისმენდა აზრებს კაცთმოყვარეობაზე, სიკეთეზე, პატიოსნებაზე, ერთობა-სიყვარულზე (ი. გრიშ., 72). 10. ის გარეგნობაზე და ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვით ძილგამფრთხალია (ო. იოს., 185). 11. ასეთ დროს გაქცევაზე უნდა იფიქრო (ო. იოს., 148). 12. დაძაბული ფიქრობდა რაღაცაზე (ნ. ონაშ., 129). 13. ლოლას ცა გაეხსნა — მას შვილზე უყვებოდნენ (ნ. ონაშ., 107). 14. მწარედ მოთქეამდნენ შვილების გმირობასა და ეაჟკაცობაზე (კ. ყმა, 242). 15. აქ კარგი სანადირო ადგილები იყო და მამასაც უყვარდა იქ კურდღლებზე ნადირობა (კ. ყმა, 268). 16. თმის ყალყზე დადგომაა (თ. სახ., 276). 17. ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზეც (ილია, 152). 18. ჩემზე საუბარს გზა ექნებოდა იქ დათმობილი (პ. იაშე., 99). 19. მათზე არვინ გაშლის ფიქრებს, თვალს ზრუნვით არ შეაჩერებს (მ. ლებ., 558). 20. წამიკითხე მგლისთავზე სახარება, დაიკარი მჯილი გულის ფიცარს (მ. ლებ., 337). 21. იმ მეხების-გან მისწავლია მე სხვაზე მეტი (მ. ლებ., 153). 22. და დაქანგებულ ბორკილზე სცვლიან თავის მამულის თავისუფლებას (ილია, 116). 23. ასეთ ღელვაზე საკვირეელს იტყოდნენ მამაპაპანი (ლ. ასათ., 91). 24. ჩემზე მეტიც შეუძლიათ, უკეთ გაპკვეთს მათი ხმალი (აკაკი, 41). 25. ხალხიც ამ აზრზე დამ-

დგარა, მასვე სთხოვს კურაპალატსა (აკაკი, 48). 26. შარდენის სიტყვა ხომ გახსოვთ ქართველთა სილამაზეზე (გ. რობაქ., 41). 27. იმ დღეს, სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა არაგვზე (კ. ყმა, 49). 28. შენზე ამბობენ, უგრძნობი და გულმშეიდიაო (ნ. ონაშ., 95). 29. თქვენზე უფრო შინაარსიანად ვცხოვრობ (ნ. ონაშ., 100). 30. ცხენზედ იგი დალოცვილი გამობრწყინდა მზე-სავითა (ილია, 166). 31. ესენი საეკლესიო ლოცვებზე იმდენს არ ფიქრობდნენ, რამდენსაც ქეიფზე (ი. გრიშ., 69). 32. თავის ქვე-ყნის საქმეს თვის ნებაზედ განაგებდა (ილია, 151). 33. კაპიტანს უყვარს ქალებზე ლაპარაკი (პ. იაშვ., 249). 34. რატომ ვწერ შენზე, თუ ვიცოდე — გამიხმეს ხელი (მ. ლებ., 173). 35. ალალი იყოს ჩემი გული შენზე, ალალი (ი. ჯოლბ., 112). 36. და შენც ამასვე, ჩემზე ზუსტად ამასვე ფიქრობ (მ. ლებ., 253). 37. მე დღენიადაგ ვფიქრობდი მასზე (ა. კალანდ., 223). 38. მაგრამ ქვე-ყნის სამსახურზე დღეიდან კი ხელს იღებსო (აკაკი, 37). 39. მარტო იმაზე ვფიქრობდი, რომ აი, აქ, ამ კედლის იქით, თემო მელოდა (ნ. ონაშ., 71). 40. არ მინდოდა ადამიანზე ამდენი ცუდის დაჯერება (ნ. ონაშ., 75). 41. ამ ამბავზე ბიჭები გულ-დამშვიდებულები იყვნენ (ო. იოს., 72). 42. ჩემი ყურადღება ამ შემთხვევაში დიდხანს არ გაჩერებულა რომელიმე ცალკეულ პიროვნებაზე (ი. გრიშ., 97). 43. ბიჭი მხოლოდ ცხენზე ფიქრო-ბდა ( თ. ბიბ., 384). 44. ჭოტის კივილზე ვერხვი კანკალებს (ნ. სამად., 101). 45. ის უკვე აღარ ფიქრობდა წუხანდელ შტორმზე (გ. ფანჯ., 129). 46. ყალყზე ამდგარმა ქარმა მოინახულა ჩემი სართული (ლ. ასათ., 65). 47. მას ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი (ნ. ონაშ., 154). 48. რამდენი პერანგი მაქვს შენზე მეტი გაცვეთილი (თ. სახ., 514). 49. იმ ყვავილებზე მოკრძალებულ სტრიქონებს ვთხზავდით (ი. ჯოლბ., 31). 50. ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან მდინარეებზედ ბაბილონისა (ილია, 95). 51. ადა-მიანზე წერდა შექსპირი, ადამიანზე წერდა გოეთე (ლ. ასათ., 99). 52. აბა, მე გეტყვი, რაზე ფიქრობ (ნ. ონაშ., 130). 53. მოუ-ლოდნელად ხელს იღებს საერთო სამსახურზედა (აკაკი, 38). 54. ლექტორებზეც ბევრ ყურმოკრულ ამბავს ჰყვებოდნენ (გ. ფანჯ., 221). 55. მე ვიმსახურებ და ბავშვზე ვიფიქრებ (პ. იაშვ., 257). 56. ყველაზე ცნობილი ის არის მათ შორის (პ. იაშვ., 250). 57. და იერიში მიიტანა წვრილ ჭინჭილაზე (ლ. ასათ., 86). 58. მე

შენზე წელან ბევრი კარგი ვიფიქრე (ნ. ონაშ., 132). 59. დანიელი ამაზე ფიქრს ვერ ბედავდა (ო. იოს., 66). 60. ისინი ამაზე ლაპარაკობდნენ ყველგან და ყოველთვის (ი. გრიშ., 59). 61. ხშირად დიდ ბაღში ფერად ზამბახებს შენზე ბაასი ჩამოუგდიათ (ნ. სამად., 104). 62. კაცის ჩაცმულობაზეც თავისი აზრი ჰქონდა (გ. ფანჯ., 188). 63. მე ნუ მომესწროს შენზე ტირილი (ლ. ასათ., 51). 64. ქვეყანა იმაზე ლაპარაკობს (თ. სახ., 680). 65. უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული (აკაკი, 126). 66. კრიტიკოსები მაშინ ამბობდნენ მაგაზე, რომ შენ უსაგნოს ნერგავ ლირიკას, ძმაო! (მ. ლებ., 105). 67. მისი ხანა უგრძელესია ყველა ხანაზე (გ. რობაქ., 26). 68. მე შენზე მეტი სულელი ვარ, თუ სიმართლე გინდა (ო. იოს., 28). 69. ზურაბი ყველგან და ყოველთვის თავის ფაკულტეტზე ზრუნავს (ნ. ონაშ., 141). 70. უყვარდა შვილი და შვილიშვილიც ამღერებული არწივის ხმაზე (ლ. ასათ., 28). 71. ჰქონდა თათბირი გალაშქრებაზე (ვაჟა, 322). 72. მე ვფიქრობ შენზე, როდესაც მიმძიმს (ა. კალანდ., 327). 73. ერთი საათი ილაპარაკა სულ ქართველებზე და საქართველოზე (აკაკი, 153). 74. ხიდაშელმა ასპირანტურაში შესვლაზე უარი თქვა (გ. ფანჯ., 202). 75. ამას ყველაზე უფრო ქართველი იგრძნობს ალბათ (გ. რობაქ., 55). 76. წერა-კითხვა ქაღალდის პარკებზე შეისწავლა (ი. გრიშ., 148). 77. ამ სიტყვებზე ჩემმა წახალისებულმა გულმა ჩამოჰყარა ფრთები (ილია, 375). 78. ხშირად მამა-პაპის სისხლზე თავისასაც ზედ ანთხევდა (აკაკი, 49). 79. და ეს შარბათზე უტკბესი ხანა რომ გაქრებოდა, რად არ ვიცოდით?! (ლ. ასათ., 31). 80. არჩიბალდ წერილსა სწერს ვამეხის სახელზე (გ. რობაქ., 295). 81. ცოდნა ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის (ილია, 921). 82. სხვაზეც იმას ფიქრობდა (თ. ბიბ., 307). 83. ფიჩხით ანთებულ ბუხრის შუქზე ქმნიდა თავის დიდებულ ნაწარმოებებს (კ. ყმა, 149). 84. ჩემზე ცხენის ყოველი ფეხის გადადგმა მოქმედებდა (ო. იოს., 43). 85. ასე იტყვიან ჩემზე ბიჭები (ლ. ასათ., 37). 86. ვის უხარია გაზაფხული შენზე უფრორე (ი. ჯოლბ., 25). 87. ცოდნა მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილისშვილზედ (ილია, 922). 88. შვილის ნათქვამზე ქვითინებდა ქართველი ქალი (ნ. სამად., 149). 89. შორეული მგზავრობით დაქანცული ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონზე (ო. ჭილ., I, 31). 90. მეორე დღეს მთელი ვანი აიეტის

უცხოელ სტუმარზე ლაპარაკობდა (ო. ჭილ., I, 104). 91. ისე თქვა ნინუცამ, თითქოს სიკვდილის მოციქულზე კი არა, უბრალოდ, რომელიმე გაველენიან ნაცნობზე ლაპარაკობდა (ნ. ონაშ., 221). 92. საქართველოში იბადებოდნენ და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე (ლ. ასათ., 42). 93. არ დაივიწყო მშობელი მიწა, საყვარელი და ტკბილი ყველაზე (ლ. ასათ., 103). 94. გასაპარად გამზადებული ბღვის ვერაგობაზე ფიქრით თვალები ამოთეთრებოდა (ო. ჭილ., I, 218). 95. ის თითის წვერებზე აწეული კოცნიდა მათ სურნელოვან ლოყებსა და შუბლებს (ო. ჭილ., I, 215). 96. ის სასწრაფოდ შეტევაზე გადადის (გ. რობაქ., 288). 97. მართალს იტყვიან, მწარე მართალს ჩემს ცხოვრებაზედ (ნ. სამად., 167). 98. ყველაზე ძნელი მაინც ისაა, რომ, რაც ხანში შედიხარ, მით უფრო მეტს ფიქრობ სიკვდილზე, — თქვა და სახე მოელუშა ნიკოს (ნ. ონაშ., 245). 99. ფარნაოზი მთელი ღამე მამაზე ფიქრობდა (ო. ჭილ., I, 353). 100. უკვე მთელი სასახლე ლაპარაკობდა თორმეტნიჩბიან ხომალდზე (ო. ჭილ., I, 101). 101. აკაკის მეტყველებას და გრძნეულ საუბარს რაღაც ჯადოსნური ზემოქმედება ჰქონდა მსმენელზე (მოგ. აკ., 214). 102. ერი თავის გასაჭირზე და დალხინებაზე უამბობდა თავის მამას და ყველაზე დიდ გულშემატკივარს (მოგ. აკ., 264). 103. გამარჯობაზე პასუხისმგებელი კაცი პირველად ნახა (თ. ბიბ., 115). 104. მთელი სოფელი მარტო ამაზე ფიქრობდა (თ. ბიბ., 119). 105. საერთოდ ეგენი ერთ თარგზე არიან გამოჭრილები (ნ. ონაშ., 9). 106. ქართველი ინჟინერ-მეტალურგები თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ (გ. ფანჯ., 214). 107. ღრუბლებზე ვფიქრობდი და არა გამიგია რა (ა. კალანდ., 294). 108. ჩვენ ამ დღეებზე გვიოცნებია ბევრი (მ. ლებ., 532). 109. სხვა დროს მას ამ საკითხზე ლაპარაკი აღარ ჰქონია (მოგ. აკ., 205). 110. რაღა აკაკიზე იყო ესეთი მითქმა-მოთქმა, რატომ სხვებზე არა ლაპარაკობდნენ ასე? — იკითხავს ვინმე (მოგ. აკ., 188). 111. თუ მიწის რისხვაც და ცის რისხვაც გადმოვა ჩემზე (ა. კალანდ., 82). 112. ან შენს სახელზე ბერდანის ტყვიით როგორ დავკოდე ნადირი მხარში (ლ. ასათ., 29). 113. ამ ლოცვაზე მოწვეული ჰყავდათ მღვდელიც (ი. გრიშ., 38). 114. ამის გაფიქრებაზე ქალი ცოტა გამხნევდა (თ. ბიბ., 117). 115. ყველაზე უფრო საინტერესო იყო მისი აზრი საქართველოზე (პ.

იაშვ., 272). 116. გაღიმებულნი და აღტაცებულნი შესცქეროდნენ მეთაურის ხუმრობაზე ახარხარებულ თანამემამულეებს (ო. ჭილ., I, 99). 117. გულს დამდო თვისი შავი ბეჭედი ჩემზე უფლებით და ხელმწიფებით (ა. კალანდ., 96). 118. მე დღენიადაგ ვფიქრობდი მასზე დასაფრთხობელად ღამეთა ბნელთა (ა. კალანდ., 223). 119. მე ვარ პოეტი, ჩავცქერი წიგნებს, მე ვარ მზვერავი პოეტზე მეტად (მ. ლებ., 36). 120. მე მაშინ თოფზე უფრო მეტად ეჭემა დამთოფა (მ. ლებ., 444).

*§ 22. „ში" დართული.* 1. ჭირში დაგიტკბები, ბევრს არ დაგპირდები (მ. ლებ., 154). 2. განთიადისას თავისი სახელი გაიგონა მომაკვდავის კვნესაში (ო. იოს., 149). 3. დადნები ლექსის კინძვაში (პ. იაშვ., 151). 4. მოსწრებული პასუხები ხალხში დიდ აღტაცებას იწვევდა (ი. გრიშ., 79). 5. მისი მოკლე ლექსები მერე აფორიზმებში გადადიოდა (ი. გრიშ., 145). 6. ვერცხლის ჭურჭელში შეიდი ფუთი მირონი დუღდა (მ. ლებ., 207). 7. შენში რაღაც არის ძალზე საინტერესო და ყველასაგან განსხვავებული (ნ. ონაშ., 82). 8. დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ (ლ. ასათ., 4). 9. ანგარიშმიუცემლად უპასუხა ფიქრებში წასულმა გრიგოლმა (გ. ფანჯ., 523). 10. ვიღაც ჭრაქით ხელში ტირის (მ. ლებ., 192). 11. მე უკვე დავრწმუნდი ამაში (ნ. ონაშ., 60). 12. კრივში მონაწილეობდნენ უმრავლესად ხელოსანთა წრიდან გამოსული ფალავნები (ი. გრიშ., 26). 13. გრძნობა და მღელვარება სჩანს თქვენს ნაფიქრალში, ნამღერში (ეაჟა, 106). 14. დღევანდელ ქართველებსაც სისხლში აქვთ მამაპაპური ღირსება (აკაკი, 161). 15. ხალხის ზრიალში მშობელ მამას ეძებდა თვალი (მ. ლებ., 310). 16. შენში გაცოცხლდა იმერეთი თავის მაჭრებით (პ. იაშვ., 103). 17. გლეხი კი მაინც არ მიდის არსად, სულში ჩასცქერის გადახნულ მინდორს (ო. ჭილ., II, 521). 18. შენში დარდობდა შენი ტატო ბარათაშვილი (ნ. სამად., 128). 19. მოზღვავებულმა სიხარულმა ჩემში უცებ დაფარა ყველა სხვა გრძნობა (ნ. ონაშ., 36). 20. შენში პოეტის მკვლელი ვიგრძენი (მ. ლებ., 228). 21. ის ვარჯიშობდა სიმარდეში, სისწრაფეში (ი. გრიშ., 28). 22. ცრემლი ჩადგა ყურძნის მტევნებში (ლ. ასათ., 101).

23. დამშრალა ლექსში ზეგარდმო სხივი (მ. ლებ., 228). 24. მის ნათქვამში ეს ხვეწნისმაგვარი კილო მაშინ არ ერია (ო. იოს., 9). 25. გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა (გ. ფანჯ., 134). 26. უხვი ცრემლი დააფრქვიეს ჯაფაში გალეულ, ნაგვალევ მიწასავით დამაშრულ ცვილისფერ ხელებზე (ნ. ონაშ., 222). 27. ამ უსაზღვრო სითეთრეში მხოლოდ ერთი შავი წერტილი იდგა გაუნძრევლად (ო. ჭილ., I, 446). 28. ვერც საკუთარ არსებაში მომხდარ ცვლილებებს ამჩნევდა (ო. ჭილ., I, 67). 29. ფიქრში წასული, შემოგარსული, მოვსწყდი სასთუმალს სხივივით ჩქარი (პ. იაშვ., 185). 30. ვიდრე სიკვდილი გამახვევდეს ბნელ მოსასხამში, უკანასკნელად დამაწვინეთ ჩემს ოდა სახლში (ლ. ასათ., 70). 31. როცა გიყურებ შავ სამოსელში, ვხედავ ჩაუცვამს ძაძა ბუნებას (ლ. ასათ., 51). 32. ის საბოლოოდ დაარწმუნე შენს დიდ უპირატესობაში... შენს დიდ გულსა და ადამიანობაში (ო. იოს., 282). 33. თალხი კაბის ნაოჭებში ჩაკარგული სიფრიფანა სხეული ფარფატებდა (ნ. ონაშ., 207). 34. ფრიქსეს სიკვდილი ბევრ რამეს შეცვლიდა ქარისას ცხოვრებაში (ო. ჭილ., I, 33). 35. ღამით დაუშრეტელი მდინარის ნაპირები ისევ ბურუსში გაეხვია (ო. ჭილ., I, 107). 36. ასე ბჭობდნენ და მსაჯულობდნენ საგონებელში ჩავარდნილი ქალები (ო. ჭილ., I, 414). 37. მეც ხომ ამ ლექსის ეშხმა მიშველა და პოეზიის ცეცხლში გამბანა (ლ. ასათ., 19). 38. საუბარში მესამეც ეჭრება (გ. რობაქ., 292). 39. გთხოვთ, ხელს ნუ უშლით მუშაობაში (ნ. ონაშ., 230). 40. ხალხი ჯერ კიდევ კარგად ვერ იყო გარკვეული საქმეში (ო. ჭილ., I, 104). 41. წელამდე შიშველი, მიწაში ამოგანგლული ფრიქსე ნავის კიდეზე ჩამომჯდარიყო (ო. ჭილ., I, 42). 42. ასეთ ფიქრებში იყო მეჯინიბე, როცა დაუძახეს (ო. ჭილ., I, 200). 43. ყვავები თავზე დაჩხაოდნენ სუდარაში გახვეულ სოფელს (ო. იოს., 207). 44. მის ბოდვაში ხშირია ნატეხები იმ ამბებისა (გ. რობაქ., 290). 45. რიონის პირად კი ქუხს ქალაქი ათას ჭირსა და ლხინში ნაგები (ლ. ასათ., 81). 46. შენ გაუცნობიერებლად ჩაები ამ თამაშში? (ო. იოს., 229). 47. საკუთარი ტყავის გადასარჩენად ის ყველაფერს იკისრებდა, ყველა ყუნწში გაძვრებოდა (ო. ჭილ., I, 162). 48. კუსამ ორთქლში გახვეულ დედალს მარილი მუჭით მოაყარა (ო. ჭილ., I, 467). 49. რკინის მაღალ კიბეს მძიმე ნაბიჯით მიჰყვე-

ბოდნენ ძეირფას სამკაულებში ჩაკარგული ფაშფაშა ნათესავები (ნ. ონაშ., 232). 50. მოვმკვდარიყავ და ქართულ ლეჩაქში მენახა შენი ქართველი დედა (ლ. ასათ., 50). 51. ზოგი წარსულის ამბებს მოყვება, როგორ იწვოდნენ ცეცხლში, ღადარში (ლ. ასათ., 29). 52. მის უძრავ მზერაში კითხულობს ნივთის სიავკარგეს (გ. რობაქ., 63). 53. ნაბადში გახვეული მცველები თვითონაც მალულად ამტვრევდნენ ამ ლოლუებს (ო. ჭილ., I, 215). 54. ნინუცაც თავის ფიქრებში იყო წასული (ნ. ონაშ., 221). 55. ყველა მათგანში დაუვიწყარ ნიკალას ვხედავ (ლ. ასათ., 67). 56. ძმის ნამალავად მოინდომა თაჯის გამოხსნაში მონაწილეობა მიეღო (ო. იოს., 127). 57. ის ბუნდოვანი მოგონებების ტკბილ ბურანში იძირებოდა (ნ. ონაშ., 209). 58. მათ ყოველ მოძრაობაში, დაბანილ სახეებსა და სადად გადავარცხნილ თმაშიც ჯერ კიდევ გამოსჭვიოდა მიტოვებული საწოლის სითბო (ო. ჭილ., I, 130). 59. ფიქრში წასულ თანამშრომელს მაშინვე ტკივილით ემანჭებოდა პირისახე (ნ. ონაშ., 228). 60. ასე მიდიოდა უძილობაში, ბორგნეულ ფიქრში გატარებული ღამეები (თ. ბიბ., 14). 61. მე ამ ამბავში საკუთარ ადგილს ვეძებდი (თ. ბიბ., 138). 62. სოფლის საქმეთა განსჯაში სასწორი მრუდედ ერთხელაც არ გადაუწონია (თ. ბიბ., 12). 63. უმწეო და პატიოსან კაცს ერთგული მეგობარი და მხარში ამომდგარი ადამიანი სჭირდებოდა (გ. ფანჯ., 625). 64. ჩაესმა ფიქრებში წასულ იაშვილს ლაბორანტი ქალის ხმა (გ. ფანჯ., 413). 65. სხეულში ცხელი სისხლი მიჰქროდა (ლ. ასათ., 76). 66. კაცი მუდამ თავის ტყავში უნდა იყოს ტანსაცმლითაც, ქცევითაც და სიტყვა-პასუხითაც (ნ. ონაშ., 240). 67. ერთ ხელში ხმლის მაგივრად ქაფქირი ეჭირა (ი. გრიშ., 21). 68. მე არ მჭირდებოდა უფრო და უფრო ღრმად ჩაწვდომა მის ბუნებაში (თ. ბიბ., 108). 69. ამ დაგვიანებაში მისი სიდიადე ჩანდა (თ. ბიბ., 105). 70. ოთარ ნიჟარაძეს აღარ უნდოდა, ეს ხუთი საათი წუხანდელივით ნერვიულობაში გაეტარებინა (გ. ფანჯ., 558). 71. ვერც გამოხედვაში, ვერც სხეულში ჯერ ვერაფერ ავისმომასწავებელ ნიშნებს ვერ ხედავდა (გ. ფანჯ., 632). 72. ქალმა მომმართა სევდით, რატომღაც ხმაში სილბოთი მეტით (მ. ლებ., 75). 73. ის გუნებაში ახლა ყველაფერს სწყევლიდა (რ. ინან., 49). 74. ფაქიზი, მზრუნველი ქალის ხელი იგრძნობოდა ყვე-

ლაფერში (ნ. ონაშ., 241). 75. ადამიანი აღარსად ჩანს, არც სინამდვილეში, არც ჩემს ფიქრში (თ. ბიბ., 264). 76. ამ სიცილში ისევ ყველაფერი დაგვავიწყდა (თ. ბიბ., 31). 77. ფრანგებმა მანამდე არაფერი გაუმხილეს პრესას, სანამ არ დარწმუნდნენ სრულ გამარჯვებაში (გ. ფანჯ., 641). 78. ჩემს არსებაში ვიღაც სხვა ადამიანი ხომ არ ალაპარაკდა? (გ. ფანჯ., 638). 79. ყარაჩოღელები თავიანთ ჯანსაღ ბუნებაში დიდ ენერგიას ატარებდნენ (ი. გრიშ., 58). 80. ღედის ფიქრში ეს ღირსებას და პატივს მატებდა ჭაბუკს (თ. ბიბ., 113). 81. მარტო მცველი იდგა გალავნის კართან, ისიც თელემაში წასული თუ გაქვავებული (თ. ბიბ., 127). 82. ნანა და გივი მიხვდნენ, განცხადებაში რაც ეწერა (გ. ფანჯ., 639). 83. ერთმანეთის ფოფინსა და ალერსში გაატარეს მთელი სიცოცხლე (ნ. ონაშ., 243). 84. სამივე ვიყავით ჩასახლებული ერთმანეთის სულში (ნ. ონაშ., 110). 85. თქვენში სიცოცხლე ლივლივებს მძაფრად (ლ. ასათ., 109). 86. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ბავშვები აკაკის ცხედრის გზას ვარდყვავილებით უფენდნენ (მოგ. აკ., 244). 87. ლერწამთა შორის მოფუსფუსენი მთვარის ნათელში რაღაც იდუმალ ძალას უსმენდნენ (ა. კალანდ., 361). 88. დიდ სიხარულში ჩემს დაეჭვებას წარხოცავს წვიმა და ქარი ანქრევს (ა. კალანდ., 320). 89. იმის კაბა და ფეხსაცმელი იყო დასველებული და მოსვრილი ტალახში (ა. ყაზბ., 107). 90. ის წმინდა და მართალია ყველაფერში (ნ. ონაშ., 131). 91. მასში ნატიფი ფერებით შესრულებული მშვენიერი ღამეული პეიზაჟი იყო ჩასმული (ნ. ონაშ., 156). 92. ამ ფიქრში ისევ გადიოდა წელიწადი (თ. ბიბ., 410). 93. ყოველ საქმეში ადამიანს შეუძლია აღმოაჩინოს სიდიადე ღვაწლისა (ილია, აზრ., 19). 94. ბევრს ეს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ლხინში (ილია, აზრ., 26). 95. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო, რამაც უფრო დაარწმუნა თავისი გეგმის სისწორეში (ო. ჭილ., II, 77). 96. მან ისიც იგრძნო, ხელს რომ ვერ შეუშლიდა მაიორს ამ განზრახვის აღსრულებაში (ო. ჭილ., II, 103). 97. თოფით ხელში მშვიდად იჯექ (მ. ლებ., 22). 98. რამდენი კაცი ისე მოკვდება, ვერ გამოარჩევს ას ხმაში შოპენს (მ. ლებ., 24). 99. ჩემს წარმოსახვაში აღვადგენდი მომხდარი ამბის სურათს (თ. ბიბ., 302). 100. მე ჯიუტი რწმენით ვგრძნობდი ჩემს თვალთუხილავ ცხოვრებას ამ ამბავში (თ. ბიბ., 98). 101. ადამი-

ანს ბედისა სჯერა და ყოველთვის მის მოლოდინში იყო (ო. ჭილ., II, 99). 102. ეს არსებაც ნაზსა და მტკივნეულ ქსოვილში იყო გამოხვეული (ო. ჭილ., II, 116). 103. თვით უდიდესი ნვრევის დროსაც კი ის ქვეყნისათვის საჭირო საქმიანობაში იყო ჩაბმული (კ. ყმა, 45). 104. ხელნაწერების შეფასების დროს მონაწილეობას იღებდა მსჯელობაში (კ. ყმა, 165). 105. შრომაში და შეძენის უნარში ის ყველა ძმისაგან განირჩეოდა (კ. ყმა, 183). 106. არც თვითონ ერეოდა საუბარში და ცალი ყურით უსმენდა (ო. ჭილ., II, 164). 107. ახლა ეს მითხარით, ჩემს თანხმობაში რამდენს იძლევით? (გ. ფანჯ., 599). 108. ის ჯერ საქმეში არ ერეოდა (ო. ჭილ., I, 27). 109. წიგნის სიტკბოსიმწარეში, სითბო-სიცივეში მედეაც თანდათან იზრდებოდა (ო. ჭილ., I, 43). 110. ხალხი ჯერ კიდევ კარგად ვერ იყო გარკვეული საქმეში და ერთმანეთში ურევდა მართალსა და ტყუილს (ო. ჭილ., I, 104).

*§ 23. „თან" დართული.* 1. იქ ხევისბერმა ხმალი დროშასთან ერთად მოათავსა და ხალხს გამოუცხადა (ვაჟა, 321). 2. ჩამოვედი საქმის კაცებთან და მათთან ძმური გავწიეთ ჯაფა (პ. იაშვ., 149). 3. მანამდე ჩანთას თქვენთან დავტოვებ (გ. ფანჯ., 40). 4. ხომ არ წამოხვალ შენ ჩვენთან ომში? (მ. ლებ., 108). 5. მე არ მესმის გოგოსთან ასეთი მეგობრობა (ნ. ონაშ., 80). 6. ჩვენთან შემოვიდა თქვენი თანამშრომლის საჩივარი (ნ. ონაშ., 83). 7. მაგასთან გასვრა არა ღირს (მ. ლებ., 254). 8. მეტალურგის მკაცრ ცხოვრებას მიჩვეულ კაცს ქარხანასთან გამოთხოვება ეძნელებოდა (გ. ფანჯ., 188). 9. მაგრამ ყოველდღე ჩემთან მოდიან (პ. იაშვ., 145). 10. მას ბოროტთან, სიძულვილთან და ორგულობასთან აქვს საქმე (ო. იოს., 247). 11. სხვა დროს უფრო გულახდილი ყოფილხარ ჩემთან (ნ. ონაშ., 199). 12. ნეტავი მიგილონ და მაგათთან რა საქმე გექნება (ნ. ონაშ., 9). 13. ახლა ჰხედავთ, თუ რას ნიშნავდა ბერძნებთან შუღლი და მოშორება (აკაკი, 57). 14. როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია! (ა. კალანდ., 284). 15. დედაჩემს დაენახა და სასწრაფოდ ვენახში გაგვგზავნა წითელრაზმელებთან (კ. ყმა, 237). 16. მყოფნიდა შენი სუსტი სანთელიც და მარტო შენთან

მოსვლას ეჩქარობდი (ო. ჭილ., II, 454). 17. ასეთი სახით აგიტაციას დღეს მწყემსებთანაც კი აღარ ატარებენ (ნ. ონაშ., 86). 18. კაკო ყაჩაღთან ერთადა მოსთქვამდნენ გლეხის შვილები (ვაჟა, 79). 19. ვინც მე მიყვარდა ჩემთან არის და ჩემთან სძინავს (პ. იაშვ., 129). 20. იგი ქუთაისში გაემგზავრა თავის ცოლშვილთან ერთად (მოგ. აკ., 153). 21. წისქვილიდან მამიდაშენთან გადადი (გ. ფანჯ., 84). 22. ხარებთან შერკინება ყოველდღიურად იმართება (შ. ძიძ., 22). 23. თქვენთან ერთად ჩვენც გვიხარია (პ. იაშვ., 88). 24. ორი საათი იყო ნაშუადღევის, რომ დაბრუნდა და წამიყვანა ბაგრატიონთან (აკაკი, 160). 25. გუშინდელ ამბავზე სიტყვა არ დამცდენია მასთან (ნ. ონაშ., 91). 26. მგონია, ვდგავარ ერთდროულად ძმებთან და მტრებთან (მ. ლებ., 262). 27. იცი სწორედ ამ დროს მივიდა მათთან (გ. ფანჯ., 274). 28. ბავშვები უმეტესად მოხუცთან რჩებოდნენ (ო. იოს., 30). 29. თვითონ სარდლებიც მოსულან იმასთან მეფის თანხმობით (აკაკი, 48). 30. დედამ უხსოვარ გმირებთან ერთად დაარწო აკვანი (პ. იაშვ., 230). 31. ხომ არ გეწყინებათ, მე ამათთან რომ დავჯდე? (ნ. ონაშ., 110). 32. მერცხლებთან ერთად, მერცხლებთან ერთად ჭრელი ფოთლებიც მიჰქრიან ქარში (მ. ლებ., 501). 33. იმასთან ყველა სტკუის (თ. სახ., 287). 34. დაერჩეთ, თქვენთან ახლავე დავარეკინებ (ნ. ონაშ., 142). 35. მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები (აკაკი, 163). 36. ცოტა ხნის შემდეგ ბიძაჩემ ბაჩანასთან გადავედით აფხუშოში (კ. ყმა, 241). 37. აგერ მოაქვს შენთან მერცხალს იმ მდინარის შხეფის გემო (პ. იაშვ., 228). 38. მისი ორი ახლობელი ნათესავი აბარებს ჩვენთან (ნ. ონაშ., 162). 39. ბევრი ოცნება მე დავმარხე მამასთან ერთად (მ. ლებ., 521). 40. ისინი ერთმანეთთან გაუთავებლად საუბრობდნენ (ო. იოს., 54). 41. არა, მაგასთან ხუმრობა არ გამოდგება (ა. ყაზბ., 59). 42. პირველ შესვლაზე ვერ დაინახა კრძალვით მისული მასთან სტუმარი (აკაკი, 52). 43. ცხოვრობდა მათთან სიყვარულით, თანხმობით, ძმობით (მ. ლებ., 256). 44. ამიერიდან სოფლის წინამძღოლთან ვერავინ შეეიდოდა (თ. ბიბ., 112). 45. ხირჩლამ ცხენს მათრახი გადაჰკრა და ქალთან მივიდა (თ. ბიბ., 123). 46. ქალაქგარეთ საქეიფოდ გასულ თანამეინახეებთან ერთად ათასგვარი გეგმა დასახა (გ. ფანჯ., 636). 47. პროფესორი მარტო არ იყო, მასთან

ერთად მაგიდას ორი დოცენტი უსხდა (გ. ფანჯ., 413). 48. ახლა მხოლოდ ეს ეტლი აკავშირებდა მედეას ძველ ქვეყანასთან (ო. ჭილ., I, 130). 49. მოლარეს იმ ქალთან ლაპარაკი არ შეუწყვეტია (ნ. ონაშ., 230). 50. დამნაშავის მოსპობასთან ერთად დანაშაულიც ისპობოდა (ო. ჭილ., I, 530). 51. მელოდებოდი ფოთლებთან ერთად, თხელ სიყრცეებში ხედავდი ბილიკს (ნ. სამად., 41). 52. თვითონ გულბაათ ჭავჭავაძის შენთან ხსენება უფერულად მომეჩვენება (მ. ლებ., 438). 53. ორი დღის მერე კითხული დაბრუნდა თავის მხლებლებთან ერთად (თ. ბიბ., 114). 54. ეკლესიის ეზოში ბავშვებთან ერთად მხიარულად დაკუნტრუშობდნენ თოვლივით თეთრი ბატკნები (გ. ფანჯ., 621). 55. ამასობაში მათთან ის მანქანაც მოვიდა (გ. ფანჯ., 409). 56. მოვიდა მონადირესთან და გაუწოდა ხელია (ვაჟა, 165). 57. ფშავში თათრებთან ბრძოლაში თითქმის სულ გაჟლეტილიყვნენ მამაკაცები (ვაჟა, 358). 58. ნეტავი ამ დროს მოსწრებოდა მის ნაცნობებთან (ლ. ასათ., 67). 59. იმ მდუღარების მოდებით ჩემთან მოვიდა პირველი (პ. იაშვ., 238). 60. მასთან ბრძოლას აზრი არა აქვს (ო. ჭილ., I, 121). 61. უფრო ახლოს მიველდი ჩემს მეგობართან, ღამეში რომ უელავდა თვალები (თ. ბიბ., 27). 62. ჩემი მეგობარი ხანჯალთან ერთად წვებოდა და ხანჯალთან ერთად იძინებდა (თ. ბიბ., 20). 63. თამაზი უთენია მიიჭრა ოთარ ნიკარაძესთან (გ. ფანჯ., 624). 64. იგი სასწრაფოდ ბიჭებთან მიეიდა (გ. ფანჯ., 403). 65. ქალთან კი ამ დროს იმანა სიტყვა არ დაძრა გმობითა (ვაჟა, 174). 66. შეგატყვე, რადა ღირს შენთან სიცოცხლე (ვაჟა, 295). 67. კოლხეთიდან იასონი დაბრუნდა აიეტის ქალიშვილთან ერთად (ო. ჭილ., I, 162). 68. ის სიმარტოვეს ეძებდა კიდეც, მშობლებთან ცხოვრებაც უჭირდა (გ. ფანჯ., 404). 69. ამაყი იყო, ჩვენ მორჩილად ვიდექით მასთან (ლ. ასათ., 67). 70. ამითი როდი გათავდა ამ ცეცხლის ზღვასთან ომია (ვაჟა, 182). 71. იყავი ჩემთან, გამტანელთან და ვაჟკაცურთან (პ. იაშვ., 167). 72. აქ ზეფირია წყნარი ვარდებთან მოუბარი (ა. კალანდ., 337). 73. და ყვავილნი, მათ გულმკერდზე დაფანტულნი, მოვლენ შენთან (ა. კალანდ., 349). 74. ჩემთან ადამიანები მხოლოდ მაშინ მოდიოდნენ, როცა ბედნიერები არ იყვნენ (თ. ბიბ., 202). 75. ის მუდამ მართალი იყო სოფელთან (თ. ბიბ., 307). 76. რამდენიმე ხნის განმავლობაში

მოუშორებლივ მასთან დავრჩი (მოგ. აკ., 247). 77. სხვა თავადებთან ის სტუმრად იშვიათად დადიოდა (მოგ. აკ., 256). 78. მოვდივარ შენთან, მოვდივარ ნატვრით, რაც გულში დამაქვს დიდი ხანია (პ. იაშვ., 201). 79. ნელი შერხევა იწყეს ვერხვებმა, შუქს ეხერხება მათთან თამაში (პ. იაშვ., 34). 80. მათთან ერთად კიდევ ორი მუშა იყო ჩასაფრებული (გ. ფანჯ., 309). 81. ისტორიის დაეიწყებასთან ერთად ყოველივე ეს ნელდება და თანდათან ჰქრება (ილია, აზრ., 27). 82. ჩემი კაბაა, რომ საუბრობს სამხრეთის ქართან (ა. კალანდ., 149). 83. სამასი თასით რა მოაქეთ ჩვენთან კრწანისის მხედრებს (ა. კალანდ., 270). 84. ორივე თერგდალეული მეგობარი პირველივე დაბრუნებისას ჰპოვებენ ასეთ მეგობრობას იმ დროს საუკეთესო ქალებთან (მოგ. აკ., 357). 85. შენ ცასავით კრიალა ხარ, მაგრამ მტრებთან მკაცრი ხარ (მ. ლებ., 194). 86. ამ ხმასთან ერთად კაცის უკან ხირჩლას აჩრდილი აღიმართა (თ. ბიბ., 271). 87. დედაკაცს მარტო იმ უცხო კაცთან ჰქონდა ამქვეყნად საქმე (თ. ბიბ., 409). 88. ზღვის ამ ნაპირთან იდგა ნეპტუნი, ძლიერ ქარებთან შმაგი მოდავე (ა. კალანდ., 329). 89. მაგრამ გულით კი სულ შენთან, სულ შენთან ყოფნა სწადია (ა. კალანდ., 418). 90. ოჰ, მართალი ვარ, მართალი ვარ კაცთან და ღმერთთან! (მ. ლებ., 31). 91. მოვიდნენ გერმანელი ქალები ყვავილზე გერმანელ გლეხთან (მ. ლებ., 118). 92. უბედური მამა შეიყვანს ბავშვს დედასთან (პ. იაშვ., 254). 93. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ჩამევლოს მასთან და მისთვის არაფერი დამეტოვებინოს (პ. იაშვ., 255). 94. მე მინდა... სულ ვიყო შენთან (ა. კალანდ., 230). 95. შენ ხომ წამოხვალ, ხომ წამოხვალ, ძვირფასო, ჩემთან? (მ. ლებ., 31). 96. ერთხელ ვერის უბანში, რომელიღაც პატარა სახლში, წავესწარი აკაკის ბაასს ბავშვებთან (მოგ. აკ., 369). 97. შენთან ნარნარებს ტოლად კუნელი (ა. კალანდ., 132). 98. ამოშლის ქარი აჩრდილთა შენთა, ათრთოლებს ვაშლის ყვავილთან ერთად (ა. კალანდ., 44). 99. ან რატომ არის, რომ ყოველ ქალთან გამიჯნურება მჩვევია ლექსად (ლ. ასათ., 56). 100. გლეხები მოვიდნენ მასთან და სთხოვეს თავი დაგვეახსნევინეო (მოგ. აკ., 157). 101. აკაკის ქალებთან მეგობრობა უყვარდა (მოგ. აკ., 158). 102. მოხუცმა პროფესორმა ოთარს მოჰკრა თუ არა თვალი, პირდაპირ

მასთან მიეიდა (გ. ფანჯ., 567). 103. არჩილი ვიღაცასთან საუბრით იყო გართული (გ. ფანჯ., 505). 104. არავითარი ღონე არ გააჩნია ადამიანებთან შესვედრისა (ო. იოს., 167). 105. ეამაყებოდა კიდეც, ასეთ მრისხანე და ძალგულოვან კაცთან რომ მოუწევდა შეხვედრა (ო. ჭილ., I, 97). 106. თითქოს ცეცხლი წაჰკიდებია და ძმასთან საშველად მოვარდნილაო (ო. ჭილ., I, 137). 107. დანაშაულთან შეგუება იყო ძნელი (ო. ჭილ., I, 253). 108. საკუთარ თავს კი გამოუტყდა, რომ უხილავი ძალა ეზიდებოდა მათთან მისასვლელად (გ. ფანჯ., 507). 109. ამ კაცს ნუ მოიშორებ თავიდან, თუ შენთან იქნება, კაცი ხელს ვერ ახლებს (მოგ. აკ., 321). 110. ჩემს ძმას ნიკოს მასთან საუბარი ძალიან უყვარდა (მოგ. აკ., 338).

## უბრალო დამატება თანდებულიან ნათესაობითში

***§ 24. „თვის" დართულო.*** 1. ნახე, ვარსკვლავთა რჩეული უფსკრულებისათვის შობილა (ა. კალანდ., 426). 2. ისევ გასხენი გული ჩემი სიყვარულისთვის (ა. კალანდ., 88). 3. მეც პირდაპირ თვალებში შევხედე და შეტევისათვის მოვემზადე (ნ. ონაშ., 43). 4. მთელი დღე თავგანწირვით ვიბრძოდი მიმართვისათვის (ნ. ონაშ., 6). 5. ეს, რა თქმა უნდა, სიტყვით არ მითქვამს, ჩემთვის, ქართულად, გულში (მ. ლებ., 103). 6. აწ მესამე თაობისათვის ათას ჭინჭა-ბუნჭას ჰქარგავ (მ. ლებ., 119). 7. ეს მეურმე კაცისათვის დღესასწაული იყო (ო. იოს., 263). 8. დღეს არავის დაუძახია ზევიდან ტყვეებისათვის (ო. იოს., 148). 9. ისე მიმღერის ჩემი ქვეყანა, როგორც უნაზეს მეგრელი ძიძის შვილობილისთვის ნათქვამი ნანა (პ. იაშვ., 202). 10. საუბრის დროს მას საქალალდეებისათვის თვალი არ მოუცილებია (გ. ფანჯ., 603). 11. თამაზ იაშვილის აკანკალებული ყბისათვის თვალი არ მოუშორებია (გ. ფანჯ., 533). 12. ქარის ამოღება მუხლებისა ან ხელფეხისათვის (თ. სახ., 674). 13. აბანო ზოგჯერ სოფლიდან ჩამოსულ გლეხებისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა (ი. გრიშ., 58). 14. მე ვიღაცისათვის თვალის ახვევის საშუალება ვიყავი მხოლოდ (ნ. ონაშ., 11). 15. ის მისთვის ამ პაკარა ოთახის ოთხი კედლით სულაც არ შემოიფარგლებოდა

(ნ. ონაშ., 122). 16. რა მოაქვს ჩემთვის, რა მოაქვს შენთვის (ა. კალანდ., 300). 17. რაც მე მიკეთებია მისთვის, ზღვაში წვეთია (მ. ლებ., 191). 18. დიდხანს ხმა არავის გაუღია, ამდენი დუმილი ბიჭისათვის ძნელი იყო (ო. იოს., 69). 19. თოკისათვის ხელი არ გაუშვია (ო. იოს., 79). 20. მისი ჯარისკაცებისათვის, თუ ამის საშუალება იქნებოდა, გზა უნდა დაელოცა (ო. იოს., 63). 21. და ჩვენც ვიძახით ბუნებისათვის (პ. იაშვ., 220). 22. მე კი მეგონა, რომ შენთვის მხოლოდ სიკეთე მსურდა (ო. ჭილ., II, 504). 23. გრიგოლს არ შეუხედავს დავითისათვის (გ. ფანჯ., 522). 24. ექიმებისათვის იგი ჩვეულებრივი ავადმყოფი იყო (გ. ფანჯ., 227). 25. განა მშობლებმა შვილისათვის უნდა რამ დაიშუროსა (ვაჟა, 49). 26. თითქოს უნდოდა მით მოეტანა ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა ზენა (აკაკი, 60). 27. თავადაღებას მამულისთვის ერთმანეთის ომში ეცილებოდნენ (ილია, 119). 28. ქართველ მეფეებს ხშირად მიუმართავთ ამქრებისათვის (ი. გრიშ., 42). 29. ამას შენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს (ნ. ონაშ., 97). 30. მე უკვე აღარ ვარსებობდი მათთვის (ნ. ონაშ., 65). 31. ისინი მამულისათვის მარაბდის ველზე დაეცნენ (ლ. ასათ., 82). 32. შენთვის, მამულო, და შენს გამო სასწორზე მდგარან (მ. ლებ., 139). 33. შეეძლოთ ცხენებისათვის მიეხედათ და მორიგეობით თვალი მოეტყუებინათ (ო. იოს., 70). 34. ვერავის გაებედა მოხუცისათვის ნუგეშისცემა (ო. იოს., 59). 35. ასეთი მინდა სტრიქონი ზოგი შენთვის გამართულ ლექსებში ვწერო (პ. იაშვ., 189). 36. ეს კაცი მათთვის რაღაც ამოუხსნელი ამოცანა იყო (გ. ფანჯ., 205). 37. მას შემდეგ მანქანისათვის ხელი არავის უხლია (გ. ფანჯ., 191). 38. ბოლოს გმირებს იგონებდნენ მამულისათვის ომებში მკვდარს (აკაკი, 36). 39. თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა (ილია, 409). 40. ის ადგილი ბექასათვის იყო გამიზნული (ნ. ონაშ., 61). 41. მამაკაცის თვალში ეგ დიდი განძი არ უნდა იყოს ქალისათვის (ნ. ონაშ., 82). 42. მე გამიწვდია განსაცდელში კაცისთვის ხელი (მ. ლებ., 301). 43. მაგრამ აქ ვისთვის აგროვებ იებს? (ა. კალანდ., 354). 44. ბედი ბრმაა, მისთვის რაიმე კანონი და წესი არ არსებობს (ო. იოს., 65). 45. სიონის კაშხალს შენთვის წყალი არ ეზოგება (პ. იაშვ., 180). 46. ჯონდოს არც ამისათვის მიუქცევია ყურადღება (გ. ფანჯ., 93). 47. ძლიერო ღმერთო! შენთვის

ბრძოდნენ ქართველისა ძენი (ილია, 121). 48. მე აქ თქვენ განგებ მოგიყვანეთ, რომ ვერავის ეთვალყურა ჩვენთვის (ა. ყაზბ., 104). 49. თქვენთვის ცნობილია ამ საჩივრის შინაარსი (ნ. ონაშ., 83). 50. ჩემთვის ცხოვრება დღევანდელი დღით არ თავდება (ნ. ონაშ., 58). 51. მას მოთმინებით მტრისათვის უნდა ეჯობნა (ო. იოს., 46). 52. მე მინდა თქვენთვის, მე მინდა თქვენთვის, ეს მდელოები მალე ამწვანდნენ (მ. ლებ., 291). 53. და ჩვენს დღეებში არასდროს ერთი დღეც არ ჩაივლის ხალხისთვის უქმად (პ. იაშვ., 151). 54. მას მერე ჩემთვის ყველგან ღამეა (ო. ჭილ., I, 540). 55. სტუმარს ვინ დაეძებს, თავისთვის არ ემეტებოდა საჭმელი (გ. ფანჯ., 24). 56. მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა (ილია, 433). 57. მეტად სასიამოვნო გასაგონი იყო ეს სიტყვა თეიმურაზისათვის (ა. ყაზბ., 48). 58. ჩემთვის სავსებით უცნობი ადამიანების ცოდვით ვიტანჯებოდი (ნ. ონაშ., 159). 59. მე სიკეთე მინდოდა თქვენთვის (ნ. ონაშ., 164). 60. იმაზე მეტს მე არ ვინატრი სიკეთეს ჩემთვის, ვიდრე ძმაო, მე შენთვის მინდა (მ. ლებ., 460). 61. ამისათვის მაშინვე უნდა გვესროლა (ო. იოს., 57). 62. და თქვენს ზეიმში ჩვენი ხმაც არის თქვენთვის დიდებით აღელვებული (პ. იაშვ., 88). 63. ნუქარდინს გამოეგზავნა თამარისათვის წერილი (ლ. ასათ., 92). 64. ელიზბარი გულმოსული თავისთვის ბუტბუტებდა (გ. ფანჯ., 241). 65. წვერის წატეხა პურისათვის (თ. სახ., 861). 66. სტუმრისათვის ლავაშებით დახურეს სეფა (ლ. ასათ., 86). 67. სამშობლოსათვის სიცოცხლეს ისე ვწვავთ, როგორც ჩალებსა (ვაჟა, 69). 68. ეშმაკისათვის სულის მიყიდვა (თ. სახ., 189). 69. ჩვენთან დაახლოება ურიგო საქმე არ არის, განსაკუთრებით თქვენთვის (ნ. ონაშ., 136). 70. დღეს პორტრეტისათვის ვერ იმუშავებს (გ. რობაქ., 96). 71. ჩვენ მოგვათავსეს ქალაქის საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილ აივანზე (შ. ძიძ., 25). 72. მხოლოდ შენთვის ავაფერადე ჩემი სიმღერა და მუხამბაზი (ლ. ასათ., 29). 73. გადაურაზავს ქარისთვის კარი (ო. ჭილ., I, 544). 74. მან ერთი შეცდომა დაუშვა, ყოვლად გაუთვალისწინებელი და ყოვლად მიუტევებელი ისეთი მეფისათვის, როგორიც თვითონ იყო (ო. ჭილ., I, 162). 75. კუსასაც საშუალება მიეცემოდა სამაგიერო სამსახური გაეწია თავისი პატრონისათვის (ო. ჭილ., I, 530). 76. ეს სჭირდება, მაგრამ მისი

შვილებისათვის კი არა, თავისთვის (ო. იოხ., 143). 77. ჩემი მეგობრისათვის ყველაფერი შეიძლებოდა, მისთვის აკრძალული ხილი არ არსებობდა (თ. ბიბ., 20). 78. იქნებ ადამიანებისათვის ერთადერთი კანონზომიერება ისაა, რომ იბადებიან და მერე აუცილებლად კვდებიან (გ. ფანჯ., 635). 79. თითქოს ამ მეეზოვეს ებრძანებინოს ქარისათვის და ქარიც ჰგვის გაჩქარებით (რ. ინან., 61). 80. შეიძლებოდა თუ არა ეთქვა მისთვის ეს პატარა, ორმარცვლიანი სიტყვა (ო. ჭილ., I, 162). 81. მას მხოლოდ იმ ერთი სიტყვისთვისაც უნდა დაეგდო ყური (ო. ჭილ., I, 162). 82. მე თუ გაემდიდრდი, გავმდიდრდები შენი გულისთვის (მ. ლებ., 489). 83. შენთვის მსხვერპლისა შეწირვით ქალ-ვაჟი ვერა ძლებაო (ვაჟა, 105). 84. უნდოდა სათვალიანისათვის ეთქვა, მაღლა აიხედეო, მაგრამ ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა (გ. ფანჯ., 401). 85. შენთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი ვიქნებოდი (გ. ფანჯ., 622). 86. მათ ფეხი არ უნდა დაებიჯებინათ თოფის ჭრელი ბოლოებისათვის (ო. ჭილ., I, 218). 87. ალაგებდა იასონი აიეტისათვის სათქმელს სიტყვას (ო. ჭილ., I, 98). 88. ვისთვისაც ვაკეთებდი ამას, ის ხომ ყველაფერს ხედავდა (ო. იოხ. 229). 89. ერთმანეთისთვის თვალი აღარ მოგვიკრავს (თ. ბიბ., 43). 90. ის იმ საქმისათვის იქნებ საკმარისი გამოდგეს (გ. ფანჯ., 635). 91. მეგობარს მისთვის რაღაც მნიშვნელოვანი საიდუმლო უნდა გაემხილა (გ. ფანჯ., 624). 92. მოხუცი იმ წუთს ჩემთვის წმინდა სანთელი იყო (თ. ბიბ., 61). 93. ახლა ყველასთვის ცხადზე ცსადია: არც ვაჭარი ხარ, არც ბედოველათი (ლ. ასათ., 63). 94. სიცოცხლე ჩვენი მისთვის გავწირეთ (ლ. ასათ., 84). 95. ერთი ხელადიდან დალეულ წყალს ისინი უაღრესად დაემსგავსებინა ერთმანეთისათვის (ო. ჭილ., I, 42). 96. უნდოდა მეგობრისათვის დაწვრილებით მოეყოლა, მედეა როგორ შეხვდა ქუჩაში (გ. ფანჯ., 625). 97. მას ბავშვებისათვის რამდენიმე რჩევა-დარიგება უნდა მიეცა (გ. ფანჯ., 634). 98. ის მათთვის არ არსებობდა (ო. ჭილ., I, 30). 99. ის ცდილობდა თვალი აერიდებინა დედაბრის დაკრუნჩხულ თითებზე აკრული ცომისათვის (ო. ჭილ., I, 359). 100. მღეროდნენ თავისთვის, საკუთარი გულის ბუხარის გასანელებლად (ი. გრიშ., 64).

*§ 25. „გან“ დართული.* 1. იგი თავისი ახოვანი ტანით ყველასაგან გამოირჩეოდა (ვ. ფანჯ., 247). 2. შენი ნაფოტისგან გამოთლილი ეს ჩანგიც ჯიუტად ენამწარობს (მ. ლებ., 165). 3. ძმობის, სიკეთის ამდენ ნერგისგან იხარა გულმა და გამახარა (გ ლებ., 103). 4. ეკლესიისგან შეკრული თვით ვერ ავიხსნი თავსაო (აკაკი, 48). 5. ტახტს ასველებდა დედოფლისაგან ჩამონათხევი ცრემლისა ღვარი (აკაკი, 50). 6. პირველ ხანებში ყოველივე მაქსისაგან იყო ნაბრძანები (ო. იოს., 77). 7. მომეცი ბინა, მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან (ილია, 179). 8. უნდა დავეხმაროთ შეძლებისამებრ ღარიბ მგოსანს და ვიხსნათ იგი გაჭირვებისაგან (კ. ყმა, 63). 9. მეზობლისაგან ისესხა ბეჩავმა ლელამ პურია (ვაჟა, 16). 10. ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე, ქარებს აჰყოლია და წასულა შენგან, გაფრენილა შენგან, მიწას დაკონვია (ა. კალანდ., 284). 11. ჩემგან დარგული შტო მებურება (მ. ლებ., 111). 12. ეს სახლი სულ მუხის მასალისაგან იყო აშენებული (კ. ყმა, 295). 13. ამ ბოლო დროს ჩვენ ბევრი საერთო ნაცნობი აღმოგვაჩნდა და იმათგან ვიცი (ნ. ონაშ., 100). 14. მღელვარებისაგან ერთბაშად ვერ გამოერკვა (ვ. ფანჯ., 87). 15. მითხარით, რა გინდოდათ ჩემგან (ო. იოს., 150). 16. თანამედროვეობის ბარბაროსებმა სცადეს საბოლოოდ ამოეძირკვათ ისტორიაში სისხლისაგან დაწრეტილი უძველესი მცირერიცხოვანი ერი (შ. ძიძ., 4). 17. ძალიან გაქექილი ჩანდა დაუნდობელი ცხოვრებისაგან (ილია, 366). 18. დრომ მოითხოვა აწ ჩემგან სხვაგვარი სამსახური (აკაკი, 39). 19. იმ მუხებისგან მისწავლია მე სხვაზე მეტი (მ. ლებ., 153). 20. ეს ფილოსოფია მემკვიდრეობით გაქვს მიღებული მამაშენისაგან (ნ. ონაშ., 116). 21. ამა ქვეყნის ძნელბედობისაგან და გაუტანლობისაგან თავი უნდა დაეცვა (ო. იოს., 165). 22. სწორედ აქვს რაიმე მიზეზი თქვენგან არდასაფარავი (აკაკი, 38). 23. ჩემმა მგზავრმა გამომკითხა და ჩემგანაც პასუხი რომ გაიგო, სიცილით კინაღამ მოკვდა (აკაკი, 159). 24. ცოცხალს ცოცხლისგან ბევრი მეწყინა (მ. ლებ., 181). 25. ამ კაცს თავზე ეხურა შაქრის ქაღალდისაგან გაკეთებული წოწოლა ქუდი (ი. გრიშ., 21). 26. მე შენგან ველი ზიარებას (პ. იაშვ., 105). 27. მკერდში ჩაეკრათ მზისაგან გაბრწყინებული ოდები (ლ. ასათ., 113). 28. სხვისგან ნასესხებ მარგალიტს როგორც საკუთარს აბნევდით

(ვაჟა, 106). 29. გამოიხსენ განსაცდელისაგან ქრისტეს მმოსავი ბერძენთა ერი (აკაკი, 54). 30. ჯვარი ვაზის ნასხლავისაგან არის გამოჭრილი (გ. რობაქ., 79). 31. სარიდან ხელით თვალებს იფარავს მზისაგან (გ. რობაქ., 268). 32. მაგით დამიხსნით შიმშილით სიკვდილისაგან (ა. ყაზბ., 82). 33. ხარის რქისაგან ამზადებდნენ ღვინისა და წყლის სასმისებს (შ. ძიძ., 24). 34. სიმინდის ხვავი რიყესავით მიჰყრია შქერის წნელისაგან მოწნულ ნალიას (გ. რობაქ., 159). 35. ეს სხვათა თვალისაგან დაფარულად ხდებოდა (თ. ბიბ., 100). 36. მარტოობისაგან დამფრთხალს ვინმეს ძებნა უნდა დაეწყო (თ. ბიბ., 165). 37. ხმარებისგან ცვდებოდა, ილეოდა, ფერს იცვლიდა ავეჯიცა და ჭურჭელიც (ო. ჭილ., I, 66). 38. არც ეისგან საჩუქარს ველი, არც მდომელი ვარ შვებისა (ვაჟა, 178). 39. ცხადად ერჩევა საჯიხვე ქმნილი კლდისაგან სალისა (ვაჟა, 114). 40. მე მიყვარს შენი ლომური ქედი, შენგან მოწედილი ღვინო და პური (მ. ლებ., 438). 41. ყველაფერი ცნობილი იყო ადრევე დაწერილი ბედისწერის მწერლისგან (თ. ბიბ., 98). 42. თავისი სულელური სიტყვებისაგან ბოლმასავით მოაწვება სირცხვილი (თ. ბიბ., 162). 43. მე იგი სიკვდილისაგან უნდა მეხსნა (ო. იოს., 226). 44. ბრტყელი ხელი ქარისაგან მოწყვეტილი ფოთოლივით დაიქნია ბაბალემ (ნ. ონაშ., 218). 45. სამეცნიერო მუშაობისათვის ეგზომ საჭირო და აუცილებელ დროს მორიდებით, მორცხვად ითხოვდა ოჯახისაგან (ნ. ონაშ., 232). 46. ათი წლის ბიჭმა უკეთ გაიგო, რასაც მოითხოვდნენ მისგან (ო. ჭილ., I, 161). 47. აქ არავის ვჭირდებოდი და სხვებისგანაც არაფერი მჭირდებოდა (თ. ბიბ., 98). 48. უდაბნოს ქარისაგან მოტანილი მტვრის ბუღი სოფლის ფეხქვეშ ავარდნილ მტვერს ნისლივით უერთდებოდა (თ. ბიბ., 141). 49. ყველასგან განრიდებული თავის კოშკში არ ჩაიკეტება (თ. ბიბ., 17). 50. გთხოვთ, მოკითხვა გადაეცით ჩემგან (რ. ინან., 76). 51. იყავ დღეგრძელი — ბევრ სადღეგრძელოს შენგან მოველი (მ. ლებ., 436). 52. იაშვილის სახლი ერთი ოთახისაგან, სამზარეულოსა და ხის აივნისაგან შედგებოდა (გ. ფანჯ., 425). 53. მას დაფასებაც მეტი ელოდა მადლიერი კითხულისაგან (თ. ბიბ., 113). 54. ეს იყო უაზრო, დაუნდობელი და ფიქრისგან დევნილი თვალები (თ. ბიბ., 137). 55. მე, რაც ნატას სიკვდილისაგან დაიხსნიდა, ყველაფერს ვაკეთებდი (ო. იოს., 231). 56. ქვეყნის-

გან დავიწყებულ და დაკარგულ მონასტერში შეუძლებელი იყო მარტოობა (თ. ბიბ., 55). 57. ეს ყოველივე უამრავი პატარა ნაიურისაგან შედგებოდა (გ. ფანჯ., 633). 58. პოპინა მეგობრებისაგან ათვალწუნებული ბავშვის სიჯიუტით ცდილობდა თავისი გაეტანა (ო. ჭილ., I, 194). 59. ყელში მოწოლილი ბოღმისაგან გავთავისუფლდით (თ. ბიბ., 40). 60. მას ქამისგან დამფრთხალი სოფელიც ელოდება და თან შიშით აქეთ-იქით იყურება (თ. ბიბ., 45). 61. ყველაფრისაგან განრიდებულ კაცს მხოლოდ ახირებული და ამაო სურვილი მოძალებია (თ. ბიბ., 71). 62. კაცი კაცისგან ძლივს იცნობოდა მაშინა (ვაჟა, 175). 63. ეწყინა კოდალასაგან ამგვარი კითხვა (ვაჟა, 295). 64. თქვენ, კაცნო, ყველასაგანა თითო კონა ფიჩხს მოველი (ვაჟა, 180). 65. წუხანდელი აღთქმისაგან აღარაფერი რჩებოდა (თ. ბიბ., 15). 66. მე ცალკე ვდგავარ თქვენგან (გ. ფანჯ., 637). 67. ოყაჯადომ დედისგან იცოდა, რომ დავიწყება მეფეთა თვისება იყო (ო. ჭილ., I, 165). 68. მას ყოველდღიური წვრილმანებისაგან განრიდებულს ცოტა ზემოდან უნდა გადმოეხედა (თ. ბიბ., 11). 69. ეს რჩევა ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგებოდა (გ. ფანჯ., 634). 70. ორი სიკვდილით რომ არ მომკვდარიყო, ერთისგან მაინც უნდა გადამერჩინა (ო. იოს., 227). 71. ყოველივე ეს ტყუილად არ არის ნათქვამი ერთი მეცნიერისაგან (ილია, აზრ., 19). 72. ის ისე ჩუმად წავიდა ჩემგან, ო, ისე უხმოდ (ა. კალანდ., 150). 73. სულიერთაგან ვერ გაიგო ჩემი ვერავინ (ი. ჯოლბ., 143). 74. უფეხო სალდათისაგან ეყიდულობდი გობელენს (მ. ლებ., 168). 75. მაგრამ ზვავობდა რიონი ავი, ფშანზე გაზრდილი და მისგან შავი (მ. ლებ., 180). 76. ამ ახალს აღთქმას შეუერთდა ძველისგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ძველისგან (ილია, აზრ., 13). 77. მას არაფერი სურდა სოფლისგან, გარდა მორჩილებისა (თ. ბიბ., 304). 78. მისი ფიქრიც ბიჭის კვალს მიჰყვებოდა გუთნისგან გაელებული ხნულივით (თ. ბიბ., 361). 79. მას ქალი ფანტელებისგან უნდა დაეფარა (თ. ბიბ., 203). 80. სენაკი ჩემი მიტოვებული გრძნეულ სხივთაგან აივსო კვალად (ა. კალანდ., 316). 81. სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან (ილია, აზრ., 25). 82. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო (ილია,

ამრ., 26). 83. იმ საზარელი ღამის შემდეგ ქაიხოსრო ურუქის გმირი გახდა, მაგრამ სინამდვილეში გმირობისაგან შორს იყო (ო. ჭილ., II, 82). 84. ამდენ დროს ტყუილუბრალოდ ჰკარგავდა და პირნათლად დამსახურებულ ჯილდოს არ თხოულობდა ქვრივისაგან (ო. ჭილ., II, 87). 85. არც მათ იციან შვილიშვილთაგან დასადაფნავი შალვას, ბიძინას და ელიზბარის წმინდა საფლავი? (ა. კალანდ., 278). 86. კლდეს შეფარვიან ანგელოსები, ამ ხვატისაგან დაეწვათ ფრთანი (ა. კალანდ., 344). 87. გისურვებ ლახვრას ბოროტის, დიაცისაგან მოლოდინს (გ. ლებ., 19). 88. მე შემიძლია გაბედულად წავიდე შენგან (ი. ჯოლბ., 68). 89. ჩემგან რა გინდა, მე რას მერჩი (თ. ბიბ., 471). 90. იმ დროს ქალი კაცისაგან და ქვეყნიერებისაგან იყო მოშორებული (თ. ბიბ., 211). 91. განსაცდელი განუწყვეტლივ არსებობდა და არავინ იყო დაზღვეული განსაცდელისაგან (ო. ჭილ., II, 115). 92. დიდი საქმე ზოგჯერ ბედისაგან წილად ხდომილია და ადამიანი მარტო ფარხმალია ბედისაგან არჩეული (ილია, ამრ., 20). 93. ყველასაგან განრიდებული ძრწოლვით იგონებდა დაცარიელებულ თავის სახლ-კარს (თ. ბიბ., 167). 94. აჰა, გვირგვინი ვარდის რტოთაგან დავირქვი თავსა, გავხსენი გული (ა. კალანდ., 113). 95. ქარებისაგან გაძარცულ და ყინვებისაგან დამზრალ ხეს მაინც გამოჰქონდა ყვავილიცა და ნაყოფიც (ო. ჭილ., II, 94). 96. ერთი სული ჰქონდა ეხილა, რა გამოდნებოდა ამ მადნისაგან (ო. ჭილ., II, 77). 97. პორტრეტი წელს ვიპოვე და ვიყიდე ერთი კახელი გლეხისაგან (მოგ. აკ., 213). 98. პოეტი მალე მომჯობინდა და მნახველებისაგან მოსვენებაც აღარ ჰქონდა (მოგ. აკ., 218). 99. ასეთი მარცხისაგან ახალგაზრდა მწერლის დაცვა შეეძლო სალ კრიტიკოსს (მოგ. აკ., 19). 100. ისიც ვიცოდი მამი-ჩემისგან, რომ მონასტერში ვიღაც ბერია (ილია, 184). 101. ყველასაგან განშორებული მათი წინამძღოლი ამა სოფლის არარაობაზე ფიქრით ღამეებს ათენებდა (თ. ბიბ., 165). 102. შენ იფარავდი და იფარავ კაცს კაცისაგან, კეთილს ბოროტისაგან, ჩაგრულს მჩაგვრელისაგან, ცხვარს მგლისაგან (ო. იოს., 165). 103. ფშაველთა ხატებს კახეთში ქართველი მეფეებისგან ჰქონია შეწირული საკუთარი ზვრები (კ. ყმა, 109). 104. როგორ განსხვავდებოდა მაშინდელი გიორგაძე დღევანდელისაგან (გ. ფანჯ., 493). 105. მედეამ მამიდისაგან იცოდა,

ამგვარი ფიქრი დანაშაული რომ იყო (ო. ჭილ., I, 44). 106. განა ადამიანი ბევრით განსხვავდება ჩიტისაგან, ან სხვა, რომელიც გნებავთ, ცხოველისაგან (ო. ჭილ., I, 92). 107. კუსა მათ თვალწინ გაზრდილიყო, მაგრამ მაინც გამოირჩეოდა ყველასაგან (ო. ჭილ., I, 291). 108. თავისი გარეგნობით არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩვეულებრივი მკვიდრისაგან (კ. ყმა, 147). 109. ტანს ჩაიცვა და გავიდა, მანტო არშობილ სხოს ტყავისაგან იყო ნამზადი (გ. რობაქ., 345). 110. ტანი თითქოს ფლორენციის ბრინჯაოსაგან არის ჩამოსხმული, რომელსაც ოდენ სიმწვანე გადაჰკრავს (გ. რობაქ., 370).

*§ 26. „შესახებ" დართული.* 1. მან წაიკითხა მოხსენება ხალხური ზეპირსიტყვაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ (მოგ. აკ., 15). 2. ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა საქართველოს ციხესიმაგრეების და სიძველეთა შესახებ (მოგ. აკ., 23). 3. ის მოვიდა თავისუფალ მსმენელად უნივერსიტეტში და ესწრებოდა ქართველი სტუდენტების სხდომას სათვისტომო საკითხების შესახებ (კ. ყმა, 105). 4. ვაჟა-ფშაველას შესახებ მამის ნაამბობიდან განსაკუთრებით კიდევ ერთი ამბავი დამამახსოვრდა (კ. ყმა, 78). 5. მე მქონდა შემთხვევა გამომეცადა ხალხის აზრი ამ სიმღერის შესახებ (ი. გრიშ., 95). 6. მაგონდება ერთი ლეგენდა ოსტატისა და შეგირდის შესახებ (ი. გრიშ., 40). 7. ავტორმა ზომით პატარა წერილში მოათავსა ყველაფერი, რაც დღემდე ცნობილია ფიროსმანის ცხოვრების შესახებ (პ. იაშვ., 300). 8. განსაკუთრებული გულისტკივილით ხშირად მოიგონებდა ცილისწამებას მისი სიზარმაცის შესახებ (მოგ. აკ., 148). 9. აკაკის უყვარდა თანამედროვე ქართველ და უცხო მწერლებზე ლაპარაკი, მათი შემოქმედების შესახებ აზრის გამოთქმა (მოგ. აკ., 27). 10. პოეტი გულწრფელად ქადაგებდა ნათელი მომავლის შესახებ (კ. ყმა, 45). 11. მოვისმინე ჩემი ძვირფასი ვაჟას შესანიშნავი რეფერატი ბარათაშვილის შესახებ (კ. ყმა, 70). 12. მისი პოეზიის შესახებ მინდა რამდენიმე თბილი სიტყვა ვთქვა (ი. გრიშ., 103). 13. მან თბილისის ჟურნალში წერილი მოათავსა თბილისის აბულების შესახებ (ი. გრიშ., 97). 14. პირველ გაცნობისას ბალმონტს არაფერი არ

უთქვამს ჩემთვის „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნის შესახებ (პ. იაშვ., 275). 15. ზოგიერთი მისი მოსწრებული სიტყვა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენათა შესახებ არ იყო მოკლებული თავისებურ მნიშვნელობას (მოგ. აკ., 36). 16. აბა, ჩემო კიკოლა, შენი ნადირობის შესახებ ერთი რამე გვიამბე (მოგ. აკ., 155). 17. ვაჟა მამაჩემის შესახებ მკითხავდა ხოლმე, როდის ჩამოვაო (კ. ყმა, 29). 18. ალნიაშვილმა განგვიმარტა თავისი განზრახვა ქართულ ენაზე ხელნაწერი ჟურნალის დაარსების შესახებ (კ. ყმა, 200). 19. მიიღეს დადგენილება მანანა საბაურის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ (ნ. ონაშ., 194). 20. ხალხში ამ ანაბაჯის შესახებ ერთი ხალხური მუხამბაზი არსებობს (ი. გრიშ., 149). 21. ამ ყაფანის ბაირაღის შესახებ ის თავის მოგონებაში მოგვითხრობს (ი. გრიშ., 8). 22. ინტერესმოკლებული არ არის აგრეთვე აკაკის შეხედულება ადამიანის მატერიალური მდგომარეობის, ნივთიერი კეთილდღეობის შესახებ (მოგ. აკ., 39). 23. როდესაც შინ დაბრუნდნენ ჩემი დედ-მამა და მახლობელი ნათესავები, მათ დაიწყეს საუბარი ბარათაშვილის შესახებ (მოგ. აკ., 489). 24. ამის შემდეგ დამიწყო ლაპარაკი საერთოდ განათლების მნიშვნელობის შესახებ (კ. ყმა, 51). 25. ლამაზი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე გლეხი მგოსნის შესახებ (კ. ყმა, 62). 26. თბილისის განსაკუთრებული კილოს შესახებ წერდა პეტრე მირიანაშვილი ილიას „ივერიაში“ (ი. გრიშ., 9). 27. საგუბერნიო სამმართველოში შეიტანეს განცხადება ამქრობის მოსპობის შესახებ (ი. გრიშ., 43). 28. მას ეცოდინება ყველაფერი დაწვრილებით მისი ბავშვობის შესახებ (პ. იაშვ., 279). 29. უმრავლესობას წაუკითხავს აკაკი წერეთლის არაპირდაპირი, მაგრამ მეტად მაღალოსტატური მიდგომის შესახებ (მოგ. აკ., 163). 30. მაშინდელ რუსულ გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობები ამ მშენებლობის შესახებ (მოგ. აკ., 447). 31. ვაჟას სურვილი მთაში წაყვანის შესახებ ქართულ რედაქციებს ვაცნობე (კ. ყმა, 132). 32. ეს იმ დაწყებული ლექსის შესახებ იყო ლაპარაკი (კ. ყმა, 358). 33. სკანდარნოვას ამ ლექსების შესახებ უკვე წერდა „მნათობი“ (ი. გრიშ., 94). 34. ყარაგიოზას შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს (ი. გრიშ., 73). 35. მოგწერეთ ამ საადრეო მსხლის შესახებ (ო. იოს., 309). 36. იმ დღეებში ჟურნალ-გაზეთები გავსებული იყო

წერილებით სულ აკაკის შესახებ (მოგ. აკ., 439). 37. ამ შემთხვევაშიც მოვუყევი იმ დიდი შთაბეჭდილების შესახებ (მოგ. აკ., 426). 38. ვაჟა-ფშაველამ მთავრობის წინაშე რამდენ-ჯერმე დააყენა საკითხი ფშავ-ხევსურეთში გზის გაყვანის შესახებ (კ. ყმა, 108). 39. თვით ლერმონტოვის იქ ყოფნის შესახებ უნდა მოიპოვებოდეს ერთი ვერსია (კ. ყმა, 368). 40. ქალების შესახებ რუსეთის დიდებული პოეტი მოგვითხრობს (ი. გრიშ., 66). 41. მე თითქმის ყველაფერი გიამბეთ თბილისის აბანოების შესახებ (ი. გრიშ., 67). 42. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმ პირობების შესახებ (ილია, 898). 43. ყოველი ცნობა, რაც ახლად აღმოჩნდება დაკარგული მხატვრის შესახებ, მხოლოდ დამატება იქნება ტიციან ტაბიძის მიერ დამუშავებული მასალებისა (პ. იაშვ., 300). 44. აკაკის აზრ-შეხედულებას ამა თუ იმ მოვლენის თუ პიროვნების შესახებ განსაკუთრებული ფასი ეძლევა (მოგ. აკ., 375). 45. სულ ამას უმეორებდა აკაკი მამას ფოთის ფაზისის შესახებ (მოგ. აკ., 343). 46. აქ ვაჟამ ბიძაჩემისა და მისი შვილის იასონის თანდასწრებით მიამბო ბესოს შესახებ შემდეგი (კ. ყმა, 370). 47. კაფეში ამორძალთა საიდუმლოს შესახებ ვბაასობდით (გ. რობაქ., 321). 48. ახლა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მდგომარეობის შესახებ ვილაპარაკოთ (ნ. ონაშ., 170). 49. ის მისაღები გამოცდების შესახებ გვიამბობდა (ნ. ონაშ., 185). 50. ლამაზი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე გლეხი მგოსნის შესახებ ვაჟამ (კ. ყმა, 62). 51. არც უფროსები გვეკითხებოდნენ ამ ამბის შესახებ (აკაკი, 129). 52. უზომოდ უყვარდა ლაპარაკი მეთორმეტე საუკუნის შესახებ (მოგ. აკ., 23). 53. გვესმის მათი გრძნობიერი საუბარი პოეტის შესახებ (პ. იაშვ., 280). 54. ყოველგვარი მასალა ბაირონიზმის შესახებ ავტორს მასწავლებელმა მიაწოდა (კ. ყმა, 71). 55. პოემის გამოცემის შესახებ აზრი ჩემს ამხანაგსაც გავუზიარე (კ. ყმა, 112). 56. ჰაზირა აკაკის სასიმღერო მუხამბაზების შესახებ ასე წერდა (ი. გრიშ., 171). 57. მან ქართული კარგად იცოდა და წიგნიც ჰქონდა დაბეჭდილი საქართველოს შეერთების შესახებ რუსეთთან (მოგ. აკ., 458). 58. მამას უფლება ჰქონდა გარეშე კაცისაგან ამ შემთხვევის შესახებ ანგარიში მოეთხოვა (ა. ყაზბ., 53). 59. ხელმოკლეობის შესახებ არასდროს სიტყვა არ წამოსცდენია (კ. ყმა, 80). 60. ხევსურების შესახებ ასეთი

მოთხრობის დაწერა, საუბედუროდ, მას აღარ დასცალდა (კ. ყმა, 106). 61. ქუთაისიდან მასთან აფრინეს წერილი ჩემი დანაშაულის შესახებ (მოგ. აკ., 459). 62. ყმაწვილი კაცის იმედებსა და ანგარიშებს გენერლობის მიღების შესახებ ამით მოეღო ბოლო (ა. ყაზბ., 70). 63. მაშინვე შევეკითხე მისი სამსახურის შესახებ (კ. ყმა, 81). 64. მე მისი პოემის ხალხურობისა და ორიგინალობის შესახებ საკითხი დავსვი (კ. ყმა, 94). 65. ამ დღეს ბევრი რამ გავიგე ჩემი მომავალი პროფესიის შესახებ (მოგ. აკ., 392). 66. თეატრში აშუღების მოწვევის შესახებ პაზირა თავის ავტობიოგრაფიაშიც წერდა (ი. გრიშ., 167). 67. სვიმონთანაც კი ერთი სიტყვა არა თქვა წასვლის შესახებ (ა. ყაზბ., 79). 68. მაშინ ზოგი რამ მითხრეს თქვენს შესახებ (კ. ყმა, 89). 69. ამ გამოცემის შესახებ ტფილისის რუსულმა გაზეთმა გულთბილი ცნობა მოათავსა (მოგ. აკ., 114). 70. დიდი ეფექტი გამოიწვია მწერლის მიერ ჩვენთვის მთლიანად წაკითხულმა მისმა „მესტვირულმა“ გორის შესახებ (მოგ. აკ., 355). 71. ბასკი ლინგვისტები ამზადებდნენ საკითხს ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ (შ. ძიძ., 47). 72. ქართულ-ბასკური სიმღერების ნათესაობის პრობლემა უკავშირდება ვარაუდს ქართული პოლიფონიის ნათესაობის შესახებ ძველ ევროპულ პოლიფონიასთან (შ. ძიძ., 28). 73. ამ შფოთსა და არეულობაში იზრდებიან შვილები, უფუჭდებათ ხასიათი და თავიანთი მოვალეობის შესახებ შეხედულება უმახინჯდებათ (ა. ყაზბ., 28). 74. ჩემი რეფერატის წინ ვაჟამ წაიკითხა მოხსენება დავითაშვილის შესახებ (კ. ყმა, 67). 75. ძმების დაუსრულებელი დავა გაცხარდა „ბახტრიონის“ ზოგიერთი თავის შესახებ (კ. ყმა, 139). 76. რაიმე შესაფერისი ლექსის თქმა იყო საჭირო არჩეულ ასოზე დასახელებული ადგილის შესახებ (მოგ. აკ., 355). 77. აკაკიმ წაიკითხა საჯაროდ სამი ლექცია „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (მოგ. აკ., 225). 78. გავიხსენეთ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების შეხედულებანი კავკასიელი და ევროპელი იბერების მოძრაობის შესახებ ისტორიულ წარსულში (შ. ძიძ., 15). 79. ის ფიქრობს, რომ ბიბლიოთეკაში შეიძლება მივაკვლიოთ მასალები საქართველოს შესახებ (შ. ძიძ., 19). 80. უთუოდ გეცოდინებათ ილიას შეხედულება და აზრი ჩემი პოეზიის შესახებ (კ. ყმა, 167). 81. სკოლის შესახებ ვუთხარი, რომ ბავშვებს

მშვენიერი ბინა ვუშოვნე (კ. ყმა, 258). 82. ოყაჯადომ არც კი იცოდა მისი არსებობის შესახებ (ო. ჭილ., I, 374). 83. ბევრი რამ უამბნია აკაკის ჩემთვის პეტერბურგში ცხოვრების დროიდან ლიტერატურული წიგნების შესახებ (მოგ. აკ., 137). 84. როცა მარტონი ვიყავით, მეკამათებოდა წამლების შესახებ (მოგ. აკ., 139). 85. პირველი ცნობა დასავლეთის იბერების შესახებ აქ მოიპოვება (შ. ძიძ., 10). 86. კარგად სცოდნია ძველად შემუშავებული აზრი ქართველ-ესპანელთა ნათესაობის შესახებ (შ. ძიძ., 12). 87. კრივის შესახებ ცნობების მისაწოდებლად მივმართეთ ჩვენს უხუცესს მოღვაწეს (ი. გრიშ., 28). 88. მაგალითისათვის ვუამბე იმ ბრძოლის შესახებ (მოგ. აკ., 44). 89. მის წინადადებას ანდერძის შესახებ შევხედი სიცილით (მოგ. აკ., 205). 90. ის ყურადღებით ისმენდა ჩვენი ჭკვიანი მეთაურისაგან ცნობებს გიმნაზიის მდგომარეობის შესახებ (მოგ. აკ., 270).

*§ 27. „ნაცვლად“ დართული.* 1. დღისით თვის გემბანს ვიკინგთა ნაცვლად ტურისტებს უთმობს (ა. კალანდ., 362). 2. მიფრინავენ, მაგრამ სიამოვნების ნაცვლად სული შიშით ელეოდათ (ო. ჭილ., I, 24). 3. ახლა ოქროსვარაყიან სარკეში საკუთარი სახის ნაცვლად იმას ხედავდა, რაც კედელს იქით ხდებოდა (ო. ჭილ., I, 130). 4. თავს დაეცნენ სოფელს და სოფლის ნაცვლად მხოლოდ სახლები დახვდათ (თ. ბიბ., 173). 5. რაღაც წინასწარი ჭვრეტა ამბისა კითხულს არ აჩერებდა და უკან მობრუნების ნაცვლად ბანიდან ბანზე, შუკა-შუკა დაატარებდა (თ. ბიბ., 168). 6. უცხო გაზეთების ჩხრეკის ნაცვლად ლექსებს წერდა (კ. ყმა, 110). 7. გრიალებს ჯაჭვი, მოაქვთ სუკი ნახერხის ნაცვლად (მ. ლებ., 214). 8. პატარა ჭორფლიანი გოგოს ნაცვლად მის წინ ქალი იჯდა (ო. ჭილ., I, 81). 9. სიკეთის ნაცვლად ბოროტებას სჩადიოდა (ო. ჭილ., I, 155). 10. სისხლისმსმელის ნაცვლად გოგოს წინ კეთილი ბიჭი იდგა (თ. ბიბ., 182). 11. აქ უნდა მჯდარიყო, ვიდრე დედაკაცის ნაცვლად სხვა უცხო ვინმე ამბავს არ ამოიტანდა (თ. ბიბ., 468). 12. ლეონტის ნაცვლად დამხვდა უცნობი მათხოვარი და გამაჩერა (პ. იაშვ., 260). 13. იასონის სისხლიანი ტუნიკის ნაცვლად, რომლის დაკიდებასაც აპირებდა მინოსი მეწინავე ხომალდის ცხვირზე, თავად ია-

სონი გამოეცხადა (ო. ჭილ., I, 161). 14. ის თავისი ლეკვების ნაცვლად ბატკნებს აწოვებდა ძუძუს (ო. ჭილ., I, 167). 15. შორიდან რომ ვინმეს შემოეხედა, ჩვენს ნაცვლად, გზაზე დამდგარი ორი ბიჭის ნაცვლად, თვალში ორი ფეხადგმული ხანჯალი ეცემოდა (თ. ბიბ., 28). 16. მან გიორგის ნაცვლად მიუშვირა მკერდი ტყვიას (თ. ბიბ., 106). 17. ეცვა ჩეხური ბათინკები ქალამნის ნაცვლად (მ. ლებ., 286). 18. მივდრკები მისგან მე... მზეთა ნაცვლად (ა. კალანდ., 310). 19. ის მოღუშული ნიღაბის ნაცვლად ჩვეულებრივი მოკვდავის სახეს აჩენდა (ო. ჭილ., I, 195). 20. ახლა ერთის ნაცვლად ორი დამნაშავე არსებობდა (ო. ჭილ., I, 528). 21. ყოველთვის მადლობის ნაცვლად შენიშვნას ვიღებდი აკაკისაგან (მოგ. აკ., 30). 22. საკუთარი შვილი წარმოიდგინა სოფლის საზღვრიდან გასული კითხულის ნაცვლად (თ. ბიბ., 114). 23. სიბრალულის ნაცვლად უმიზეზოდ და უაზროდ ამოწვდილმა ხმალმა კითხულის გულს მქისე ზიზღი მოჰკვარა (თ. ბიბ., 129). 24. ხალხი იცინოდა, ფეხდაფეხ მისდევდა და ახლა იმ ბიჭის ნაცვლად ეხვეწებოდა (თ. ბიბ., 136). 25. დირექტორის ნაცვლად ნიკო შემრჩა (ნ. ონაშ., 47). 26. ამ დურგლის ნაცვლად ამავე ხელობის ამქრის წევრი საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა (ი. გრიშ., 36). 27. სუფრაზე ჭიქების ნაცვლად თიხის ფიალები იყო ჩამწკრივებული (ი. გრიშ., 38). 28. მე შემრჩა ხელთ მეკობრის ნაცვლად ვიღაცა კაცი (თ. ბიბ., 86). 29. მის თვალებში გუშინდელი ბიჭური სიფიცხის ნაცვლად ნაღველი, ზიზღი და უნდობლობა ჩაღვრილიყო (თ. ბიბ., 40). 30. ბოჩია რომ არ პასუხობდა, თვითონვე მირბოდა მისკენ და ბოჩიას ნაცვლად ჩაკეტილ კარს აწყდებოდა (ო. ჭილ., I, 513). 31. გაუნძრევლად იჯდა და შიშის ნაცვლად მოუთმენელი, სულსწრაფი და ამაფორიაქებელი მოლოდინი დაუფლებოდა (ო. ჭილ., I, 477). 32. ისევ ავიღე ფანქარი და ლოლას ნაცვლად ხელმა თემოს სახის ოვალი მოხაზა (ნ. ონაშ., 98). 33. აგარაკზე გამგზავრების ნაცვლად ზედმეტი სისხლის გამოსაშვებად აბანოში მიდიოდა (ი. გრიშ., 58). 34. იმ ლოთებს წიგნის ნაცვლად გაწუწული ხელადა ეჭირათ ხელში (ი. გრიშ., 63). 35. ვაქაცების ნაცვლად ამ დაცარიელებულ სახლებში ხარბი მგლები დაძუნძულებდნენ (თ. ბიბ., 175). 36. ქალის ნაცვლად ბიჭის წინ ჯილაური იდგა (თ. ბიბ., 389). 37. ოყაჯადო ცხვირის

ნაცვლად ქეჩოს იფხანდა, ანდა შუბლის ნაცვლად მუცელზე იდებდა ხელს (ო. ჭილ., I, 500). 38. ამ გაუვალი და აშმორებული ჭაობის ნაცვლად თვალუწვდენელი მდელო ლივლივებდა (ო. ჭილ., I, 491). 39. თარგმანის ნაცვლად ეს ლექსი დავწერე (კ. ყმა, 153). 40. ამქრის წევრი მომავალზე არ ზრუნავდა, მოკვდებოდა და დოვლათის ნაცვლად ოჯახს უტოვებდა ან სამუშაო იარაღებს, ან შვილს, რომლის მარჯვენაც პატარაობიდანვე მუშაობას იყო შეჩვეული (ი. გრიშ., 44). 41. ისინი ბაიათების ნაცვლად იადონის სტვენას ისმენდნენ (ი. გრიშ., 65). 42. უნდა მობრუნებულიყო და ამათ ნაცვლად ის ქალი დაენახა, ვისაც ორმოცი წელიწადი გამუდმებით ხედავდა (თ. ბიბ., 433). 43. თუ ასე მოხდებოდა, შიშის ნაცვლად მხოლოდ შეეცოდებოდა სოფელი (თ. ბიბ., 370). 44. ყოფილი მეთევზეების ცოლები და ქალიშვილები ბადეების ნაცვლად ლერწმის ჭილოფებსა და კალათებს წნავდნენ (ო. ჭილ., I, 491). 45. მადლობის ნაცვლად ამას ეტყოდა (ო. ჭილ., II, 66). 46. სიხარულის ნაცვლად უცნაურ სიცარიელესა და დაღლილობას ვგრძნობდით (ნ. ონაშ., 75). 47. აკაკიმ ეს ლექსი ფოთში დაბეჭდა და ქვეშ თავისი გვარის ნაცვლად ლუკა ისარლოვი მიაწერა (ი. გრიშ., 142). 48. ქათქათა ქალის ნაცვლად ბანზე გადმომდგარიყო მიუკარებელი, ყვავივით შავი დედაბერი (თ. ბიბ., 433). 49. იმ ადგილზე, ნახშირსა და ნაცარში, განგმირული გვამის ნაცვლად ერთი ნაბდისძველი ეგდო (თ. ბიბ., 331). 50. ყოფილი მეთევზე ნიჩბის ნაცვლად გრძელ ჭოკს დაიჭერდა (ო. ჭილ., I, 491). 51. მაშინ სიკეთის ნაცვლად ისევ ბოროტება გამოუვიდოდა ალექსანდრეს (ო. ჭილ., II, 413). 52. გადარჩენის ნაცვლად უარესად დაღუპავდა ბავშვს (ო. ჭილ., II, 414). 53. იმათთან წასვლის ნაცვლად ვაჟამ ჩარგლისაკენ მოუსვა (კ. ყმა, 180). 54. მამამ პატარა დავითი სასწავლებლის ნაცვლად შეგირდად ბაზაზ შახნაზაროვს მიაბარა (ი. გრიშ., 92). 55. ის ურჩევდა რედაქტორს, რომ თარგმნების ნაცვლად „ყარამანიანი“ და სხვა ჩვენი ძველი მწერლების ნიმუშები დაებეჭდა (ი. გრიშ., 81). 56. კუნძივით ჩადგმული ჯიღაურის ნაცვლად სახედაღარულ, წელში მოხრილ ბერიკაცს შესვდა (თ. ბიბ., 412). 57. ახლა მის წინ იმ კოხტა ულაყის ნაცვლად მართლა ბებერი ჯაგლაგი იდგა (თ. ბიბ., 432). 58. სურათზე სამი თუ

ოთხი დათეის ნაცელად ორ იმდენს ხაჭავდნენ (ნ. ონაშ., 46). 59. აკაკიმ მგონი სამი დღე იხარხარა ამის შემდეგ, ეს „პაელაბარი“ რამ გათქმევინა, ჩვენი ძველი ისნის ნაცვლად (მოგ. აკ., 355). 60. აღფრთოვანების ნაცვლად უსაზომო წყენა დაეტყო (მოგ. აკ., 121). 61. სახეების ნაცვლად ანეტა ორ თეთრ ლაქას ხედავდა მხოლოდ (ო. ჭილ., II, 321). 62. წიოკობის ნაცვლად ისინი იცინოდნენ (ო. ჭილ., I, 449). 63. საჭევარის ნაცვლად ხელში სანთელი აიღო (თ. ბიბ., 250). 64. ტანჯვის ნაცვლად კითხულს ესმოდა ქალის ტკბილი ფშვინვა (თ. ბიბ., 251). 65. ამ სოფლების ნაცვლად დღეს არის წინა ფშავი და უკანა ფშავი (კ. ყმა, 373). 66. ბუხრის ნაცვლად ღუმელი, ჭალებში — სისველეა (მ. ლებ., 12). 67. ჩემი უხეირო შედარების ნაცვლად უფრო მართებული იქნებოდა მაგალითი მომეყვანა (მოგ. აკ., 169). 68. ოთარმა პასუხის ნაცვლად სიგარეტის კოლოფი მონახა (გ. ფანჯ., 617). 69. სიკვდილის ნაცვლად ჭაბუკი შემოვიდა და ბედნიერება მოუტანა (თ. ბიბ., 244). 70. ავი ამბის ნაცვლად გალავნის მძიმედ გაღებული კარიდან დედაკაცი გამოვიდა (თ. ბიბ., 226). 71. ის ივერიის ნაცვლად სხვა ტერმინს ხმარობს (შ. ძიძ., 13). 72. ჩირაღდნის ნაცვლად თუთიყუშიანი გალია შეატოვა ხელში (ო. ჭილ., I, 361). 73. ფესების ნაცვლად ცივი და დაბუჟებული სიცარიელე გამობმოდა წელსქვევით (ო. ჭილ., I, 478). 74. ჩადექ დამტვერილ მტერთა ბანაკში, სიმღერის ნაცვლად ლაზღანდარობა (პ. იაშვ., 200). 75. შინისკენ გაბრუნების ნაცვლად რაღაც ძალა კვლავ ატარებდა და კვლავ მიჰყვებოდა გზას (თ. ბიბ., 169). 76. მესტვირის ნაცვლად კარდაკარ ივლის შაირი (მ. ლებ., 548). 77. გადასწევ ფარდას და სცენის ნაცვლად თავს ამოჰყოფენ არაგვის ქვები (მ. ლებ., 133). 78. მურგჩანთას დავწვდი პასუხის ნაცვლად (მ. ლებ., 73). 79. ფარნაოზის ნაცვლად, ერთადერთი მხსნელისა და პატრონის ნაცელად, მისი დისშვილი გამოეცხადებოდა ხოლმე (ო. ჭილ., I, 378). 80. ღმერთმა პქნას, მომავალმა დრომ სიბრალულის ნაცელად სიყვარული გაამეფოს (ვაჟა, 333).

*§ 28. „მიმართ“ ან „მიერ“ დართული.* 1. რა კარგი იქნება იწვე ამ წამს ბალახზე და ბალახში, თავი მაღლა

ქონდეს ვარსკვლავებით ათვალულ ცის მიმართ (გ. რობაქ., 356). 2. ყველას ახსოვს ამ მაესტროს მიერ გამართული „კარნავალი" საოპერო თეატრში (გ. რობაქ., 340). 3. აი, რისთვის მიეცება ის ბუნებას აღტაცებით და მტრების მიმართაც კი მტრობას აღარ ჰგრძნობდა (ვაჟა, 312). 4. მცირეოდენი ყურადღებაც საკმარისია ერთის მიმართ, ორივენი მაშინვე კალთაში რომ ჩაგისხდნენ (ო. ჭილ., I, 487). 5. ცდილობდა, რაც შეიძლება ყურადღებიანი და თაედაჭერილი ყოფილიყო ქალის მიმართ (ო. ჭილ., I, 476). 6. ფრანგი ექიმების მიერ იუგოსლაველი ფიზიკოსების განკურნვის ამბავი ჩვენ მთელი ორი კვირით ადრე ვიცოდით (გ. ფანჯ., 641). 7. ყველა ჩვენთაგანმა დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს მეგობრების მიმართ (გ. ფანჯ., 322). 8. იმ სიტყვით აფეთქებულ შიშს ახლა მთელი სოფელი დაეთრგუნა და თან წარეტანა თვით შიშიც კითხულის მიმართ (თ. ბიბ., 8). 9. უეცრად ქალმა მოიხედა უკან, ვაჟის მიმართ (გ. რობაქ., 314). 10. შეცდომის მიმართ ადამიანი უმთავრესად ბრმაა (ო. ჭილ., I, 87). 11. ისიც დაუნდობელი იქნებოდა ყველას მიმართ (ო. ჭილ., I, 478). 12. ეს ლექსი ისევე შესანიშნავია, როგორც დიდებული რაფაელის მიერ დახატული მადონა (მოგ. აკ., 15). 13. მას ეჭვმიუტანლად ჰქონდა ათვისებული ყველა საისტორიო წყარო და ჭეშმარიტად მიაჩნდა ამ წყაროების მიერ გადმონაცემი ამბავი (მოგ. აკ., 192). 14. ვაჟას მიერ განზრახული პოემის შესახებ მეტი არაფერი გამიგონია შემდეგში (კ. ყმა, 367). 15. რედაქტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ან დებულებას არასდროს არ აკლდა იუმორი და ქვეტექსტი (გ. ფანჯ., 499). 16. როგორ უნდოდა, რომელიმე მათგანის თვალში ზიზღი წაეკითხა გიორგაძის მიმართ (გ. ფანჯ., 495). 17. ის ყურადღება და მზრუნველობა თავის დროზე ერთგული ძაღლის, კიკინებაპრეხილი გოგოსა და კუტი ბავშვის მიმართ ვერ გამოემჟღავნებინა (ო. ჭილ., I, 475). 18. ამ წუთას არავის არ ჰქონდა უფლება რაიმე ყურადღება გამოეჩინა ფარნაოზის მიმართ (ო. ჭილ., I, 465). 19. გადაიხილა მთელი სისტემა ღოლების და დაირების და მათი საოცარი მომარჯვება ერთი დამკვრელის მიერ (გ. რობაქ., 365). 20. ის ჩამოსხმულია თითქო მითოლოგიური როდენის მიერ (გ. რობაქ., 370). 21. ჩემს დროს ახალგაზრდობას აკლდა დი-

დი ავტორიტეტების მიმართ ეს გამბედაობა (მოგ. აკ., 11). 22. იხატებოდა ის გულწრფელი, ღრმა სიყვარული, რომელსაც ხალხი ატარებდა საყვარელი მგოსნის მიმართ თავის გულში (მოგ. აკ., 259). 23. ბევრჯერ გამიგონია აკაკისაგან გელათის გაძარცვაზე ლევაშოვის მიერ (მოგ. აკ., 490). 24. მათ დაიწყეს საუბარი ამ დღეს აკაკის, ილიას და სხვა მწერლების მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე (მოგ. აკ., 489). 25. უერო ხელგაშლილი და ლმობიერი ხარ ხიზანის მიმართ (ო. ჭილ., I, 155). 26. მაშინ თქვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტი უკვე აღარ იქნება მხოლოდ თეორიულად შესაძლებელი (გ. ფანჯ., 591). 27. ყველამ დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს (ილია, 613). 28. ეს კოშკი ზემომაჩხაანელი ისტორიული გმირის ბოსტაშვილის მიერ მეფე ერეკლეს თვალწინ გამოჩენილი ვაჟკაცობის აღსანიშნავად აგებულია თვით ერეკლეს მიერ (კ. ყმა, 365). 29. მას მოსწონდა დიდი ქალაქების ხმაური, მრავალსართულიანი შენობები, უბოლოო ქუჩები, დაქსელილი მითოლოგიური ობობას მიერ (გ. რობაქ., 332). 30. შეზარხოშებულნი დრო-გამოშვებით „ფარშევანგის ჰიმნის" მღერასაც იწყებდნენ, რომელიც სახელდახელოდ იყო ერთი მუსიკოსის მიერ შეთხზული (გ. რობაქ., 340). 31. ეს ღალატი იყო არა მეგობრის, ნაცნობის, კოლეგის ან ნათესავის მიმართ, არამედ ღალატი, საერთოდ, მამაკაცისა და მამაკაცობის მიმართ (გ. ფანჯ., 557). 32. პროფესორ ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი აღარ იშოვება (მოგ. აკ., 446). 33. ეს კონცერტები ჩვეულებრივად იმართებოდა მედუქნეების, ხელოსნების და სხვა მუშაკთა მიერ (ი. გრიშ., 68). 34. მე ჩამოვუთვალე ყველა ჩემს მიერ წაკითხული წიგნი (ი. გრიშ., 120). 35. ხანგრძლივმა, მოურჩენელმა სენმა თანდათან ყველას გული გაუგრილა ავადმყოფის ბედის მიმართ (ო. ჭილ., I, 35). 36. მე ვიუკადრისე შენობით უცნობის მიერ ჩემთან ლაპარაკი (მოგ. აკ., 386). 37. ეს ქართველების მიერ გიმნაზიის დამთავრების დიდი შემფერხებელი იყო (მოგ. აკ., 363). 38. არც ერთი ამქრის წევრი ხელს არ ახლებდა თავისი ამხანაგის მიერ დაწყებულ სამუშაოს (ი. გრიშ., 36). 39. ზოგიერთი მოკრივე ხალხის მიერ დარქმეულ ზედმეტ სახელს ატარებდა (ი. გრიშ., 27). 40. ილიას მიერ ვაჟას

აღიარება და წაქეზება ორივეგან დასტურდება (კ. ყმა, 111). 41. ის დიდსულოვნებას იჩენდა ლაზარეთის მუშაკთა და მნახველთა მიმართ (კ. ყმა, 95). 42. ვისაც რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი ამ გზას დაადგნენ (ილია, 671). 43. თუ ჩემს მიერ დასახელებული თანხა ჭკუაში დაგიჯდებათ, თორმეტ საათამდე დამირეკეთ (გ. ფანჯ., 600). 44. ის ნათარგმნია ერეკლე მეორის დროს, სახლთუხუცესის და სარდლის დავით ორბელიანის მიერ (ი. გრიშ., 80). 45. ისინი ამ მწერლების მიერ იყვნენ გაწვრთნილნი (ი. გრიშ., 121). 46. აკაკის მიერ ამ ლექსების გადაწერა ჩემს ერთ ლიტერატურულ სალამოსთან არის დაკავშირებული (მოგ. აკ., 97). 47. საჭირო იყო რეჟისორის მიერ ჩვენება ყოველი ნაბიჯისა (მოგ. აკ., 468). 48. ქალების მიმართაც ლმობიერება და თავაზიანობა გამოიჩინა (ო. იოს., 41). 49. ის მწერლები კრიტიკის მიერ აბუჩად იყვნენ აგდებულნი (ი. გრიშ., 87). 50. სიბერის დროს სარგებლობდა ქალაქის გამგეობის მიერ მიცემული პენსიით (ი. გრიშ., 92). 51. აღამაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აოხრების ასის წლისთავის პარაკლისზე ვაჟამ აბჯარჩაჩქანოსანი თუშ-ფშავ-ხევსურნი ჩამოიყვანა (კ. ყმა, 112). 52. წიგნს წავუმძღვარეთ ყიფშიძის მიერ ჩემის თხოვნით ვაჟაზე დაწერილი წერილი (კ. ყმა, 114). 53. უმრავლესობას სრულებითაც არ ენაღვლებოდა არც მისი ნიჭი და არც მის მიერ შესრულებული ნაწარმოები (გ. ფანჯ., 634). 54. ოთარი არასოდეს არ გრძნობდა ზიზღს მის მიმართ (გ. ფანჯ., 633). 55. თვით მგოსანი უზომოდ იყო ნასიამოვნები პარიზის ქართველობის მიერ მისდამი გულწრფელი პატივისცემით (მოგ. აკ., 398). 56. ზოგჯერ მომღერლებს მის მიერ საჩხერესა და, საერთოდ, იმერეთში ბავშვობიდან გაგონილ კილოს უსწორებდა (მოგ. აკ., 470). 57. ცხადი ჩემს მიმართ სასტიკია და ულმობელი (ი. ჯოლბ., 103). 58. ვინძლო აყეაედეს ხე-კეთილი შვილო, შენს მიერ (ი. ჯოლბ., 172). 59. მიკიტნის დუქნებში მაშინდელი მუშების მიერ ბევრი საიდუმლო საკითხი გარჩეულა (ი. გრიშ., 132). 60. ეს ჰანგი ხშირად პოეტების მიერ გადასხვაფერებულია (ი. გრიშ., 156). 61. ერთბაშად ამ აბორგებული სოფლის მიმართ ავი ფიქრი მომეძალა (თ. ბიბ., 296). 62. ყველაზე დიდ ყურადღებას იმათ მიმართ იჩენდა (ნ.

ონაშ., 76). 63. ის ცოტაოდენ ყურადღებას გამოიჩენდა მათ მიმართ (მოგ. აკ., 356). 64. აკაკის მიერ ასე იყო მონათლული ჩვენი პანსიონი (მოგ. აკ., 339). 65. ერთადერთი გრძნობა მაიორის მიმართ გასჩენოდა (ო. ჭილ., II, 97). 66. ის მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა პირველად საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ (ო. ჭილ., II, 225). 67. მან ტერორისტული აქტი განახორციელა ორიევეს მიმართ სასწავლებელში გამართულ საღამოზე (მოგ. აკ., 363). 68. ილია თავისი კრიტიკისათვის ხელმძღვანელობდა ლექციების შინაარსის სხვათა მიერ გადმოცემით (მოგ. აკ., 183). 69. მან წაიკითხა მისი პედაგოგიური სტატიები და გადასინჯა სემიონოვის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები (კ. ყმა, 56). 70. მასში ხედავდა ბუნებრიობის ორიგინალურ სიდიადეს, ყოვლისშემძლე ბუნების მიერ გრძნობით დაჯილდოებულს (კ. ყმა, 147). 71. იგი ხან უნგარს უცქერდა, ხან კი კავალდას, ან უკეთ, უნგარის მზერას კავალდას მიმართ (გ. რობაქ., 375). 72. მისტერ ლეიკის წინადადება პოეტის მიმართ არ იყო უკანასკნელისათვის კომერცია (გ. რობაქ., 365). 73. ეს ოფიციანტის მიერ იყო მოტანილი (გ. ფანჯ., 465). 74. მათ ჩახედეს ალმწერლის მიერ ჟურნალში ჩანიშნულ შეფასებებს (გ. ფანჯ., 321). 75. აკაკიმ კი ჩემს მიმართ ეს რიდი გააქარწყლა (მოგ. აკ., 232). 76. ამას ამოწმებს მაკოს მიერ არაერთხელ ნათქვამი სიტყვები (მოგ. აკ., 187). 77. ის მაინც უგრძნობელი, ყრუ და ბრმა რჩებოდა ყველაფრის მიმართ (ო. ჭილ., II, 207). 78. მას არავითარი გრძნობა არ ჰქონდა მის მიმართ არც იქამდე და არც იმის მერე (ო. ჭილ., II, 224). 79. ჩემს მიერ აღწერილ გლეხურ საღამოებზე, როგორც ვთქვით, ხშირად იმართებოდა გაშაირება (კ. ყმა, 342). 80. ეაეას მიერ დასახელებული ადგილი ოდესღაც ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის სადგომს შეადგენდა (კ. ყმა, 368). 81. ეს დღეს ჩემს მიერ იყო აღმოჩენილი და ყოველმხრივ შეცნობილი (რ. ინან., 67). 82. დელეგაციის მუშაობის ერცელი პროგრამა ძირითადად ეყრდნობოდა მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებულ გეგმას (შ. ძიძ., 16). 83. ამის შემდეგ აკაკი ეხება ილიას მიერ გამოთქმულ დებულებებს (მოგ. აკ., 184). 84. რედაქციის მიერ უყურადღებოდ არ ვყოფილვარ და ჩემ მიერ მიწოდებული მასალა თითქმის

უკლებლივ იბეჭდებოდა (მოგ. აკ., 215). 85. ყოველ შემთხვევაში ვიქტორ ჰიუგოს მიერ ნაგულისხმევი „ერთი სტრიქონი" მაინც ხომ გამოიძებნება ამდენ ჩემს ნაწერებში (კ. ყმა, 167). 86. პოპინას უნდოდა, რომ ამ სახლში ყველას ერთმანეთი ჰყვარებოდა, ყველა მშვიდი და ლმობიერი ყოფილიყო დანარჩენების მიმართ (ო. ჭილ., I, 275). 87. ეს უკვე შეეძლო გამოემჟღავნებინა დედისა და ბებიის მიმართ (ო. ჭილ., I, 257). 88. სხვის მიმართ წლობით ნაზარდ მორიდებას, შიშსა და სიყვარულს ერთბაშად ჩაუქრობდა (თ. ბიბ., 304). 89. მის მიერ შესრულებული ბასკური სიმღერა პირველად გავიგონე (შ. ძიძ., 28). 90. აქ მონადირეების მიერ ამოტანილ ფიჩხის კონას თუ გადაეყრები და ცეცხლის ნაშთებს (ო. იოს., 160). 91. მრავალჯერ უთქვამს აკაკის, კერძოდ ჩემთვის, ძვირი ქართულ დაწესებულებათა მიმართ (მოგ. აკ., 41). 92. ზოგი წერილი ჟანდარმერიის მიერ ჩხრეკის დროს გაქრა (მოგ. აკ., 230). 93. მათ სძულდათ ძალმომრეობა, ადამიანისა ადამიანის მიერ ჩაგვრა, მონობა და ზნეობრივად დაცემა, საერთოდ (ვაჟა, 342). 94. ეს ორი საყმაწვილო კრებული გამოიცა მხოლოდ ერთხელ რამდენიმე ცალად ანთიმოზ ჯუღელის მიერ (კ. ყმა, 180). 95. საელჩო დიდ გულისხმიერებას იჩენდა დელეგაციის მიმართ (შ. ძიძ., 16). 96. ეს პატარა გოგუცას მიერ ლექსის წარმოთქმისა და მგოსნისათვის ყვავილების მირთმევის სცენაა (მოგ. აკ., 275). 97. დედის მიმართ კუსას ასეთი გრძნობა ჰქონდა (ო. ჭილ., I, 306). 98. იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა მარტო ქარიღა დადის და ქშუის (ილია, 192).

*§ 29. „მაგივრად" ან „მაგიერ" დართული.* 1. და უმარცხებელ სულის მაგიერ აჟღერდებიან ვერცხლის ზარები (ი. ჯოლბ., 64). 2. არჩიბალდ პასუხის მაგიერ სარიდანს ეხვევა (გ. რობაქ., 295). 3. ჯილდოს მაგიერ ჩვენვე გვდევნიან, სამსახურიდან გვყრიან (ილია, 558). 4. ვინ იკისკისებდა მის მაგივრად, ვინ ჩაიმაგრებდა თმაში ყველაზე ფართოფურცლიან ყვავილს (ო. ჭილ., I, 33). 5. მათ მაგივრად მედეა ფიქრობდა და ლაპარაკობდა ასე (ო. ჭილ., I, 128). 6. წინანდელის უბრალო

ჩაცმულობის მაგიერ ეხლა მთელის აღლიანს ბოლოიანს კაბებს აკერვინებდა (ა. ყაზბ., 87). 7. საჩუქრის მაგივრად ჩვეულებრივ მოჰყვებოდა წუწუნს (ა. ყაზბ., 69). 8. ჩემი ჯახრაკი ცხენის მაგიერ დიდებული ბედაური მომიყვანეს (მოგ. აკ., 429). 9. მან გვირჩია წარმოდგენის მაგიერ გაგვემართა სადილი იმ სახლში, სადაც ჩვენი წარმოდგენები იმართებოდა (კ. ყმა, 60) 10. ჟურნალი „კლდე“ დაიხურა და მის მაგივრად გამოვიდა დიდფორმატიანი გაზეთი „საქართველო“ (კ. ყმა, 27). 11. შემოგხვდებიან ჩემი ფიქრები და ჩემს მაგივრად გაგაჩერებენ (ლ. ასათ., 24). 12. კნეინა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი მისცა ქართველ ქალების მაგივრად საზოგადოდ (აკაკი, 158). 13. მადლობის მაგივრად საწყალი ანჯიქო მოიკვეთა და სადღაც გადაიხვეწა (თ. ბიბ., 369). 14. როცა გაუჭირდათ, მაინც მას მიადგნენ დანიელის მაგივრად (ო. იოს., 105). 15. ის ქალი აქ დედათქვენის მაგიერ დაპარპაშობს (ო. იოს., 575). 16. მაშინ მიხვდებოდნენ, რომ მის მაგივრად სხვა გაეგზავნათ (ო. ჭილ., I, 327). 17. ისტორიული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთ ფურცლებს შემთხვევით წავაწყდი ბაზარზე ერთ მოვაჭრესთან, რომელიც მათ უბრალო შესახვევი ქაღალდის მაგივრად ხმარობდა (მოგ. აკ., 450). 18. ცხოველი სურათების მაგივრად ნაწყვეტ-ნაწყვეტი უთავბოლო სანახავი ელანდებოდა (ა. ყაზბ., 63). 19. ეს ქალი სრულიად გამოიცვალა და დარბაისელის მაგივრად გიჟმაჟ მოუსვენარ ფანტავად გადაიქცა (ა. ყაზბ., 87). 20. ფიცხლად წამოხტა, ჩემს მაგივრად მართლა ვინმე არ გააგზავნოსო (გ. ფანჯ., 84). 21. რვა საათის მაგივრად თორმეტ საათს მუშაობს, წელებზე ფეხს იდგამს (გ. ფანჯ., 507). 22. ამ ფშაველს საგაზეთო მუშაობა მივანდეთ, ის კი ამის მაგიერ შაირებს მიჰყოლია (კ. ყმა, 111). 23. მათ მაგივრად სულ სხვა ქალი დახვდებოდათ (ო. ჭილ., II, 414). 24. მიხვდა, როგორ იტანჯებოდა იგი შვილის მაგივრად (ო. ჭილ., II, 225). 25. მე განა სისხლის მაგივრად ძარღვებში წყალი მიდგა და გულის მაგივრად მკერდში ქვა მიძევს? (ეკა, 230). 26. ის ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებითაა დამყარებული (ილია, 543). 27. ოსმალეთის მაგიერ უფრო ძლიერის ყოფნა მეტისმეტად შეჰხუთავდა ზღვაზე თავისუფალს სიარულს (ილია, 916). 28. ნეტავ მე ამ სასმისის მა-

გიერად ხელში ბავშვის საგები მჭეროდა (ო. იოს., 373). 29. რამდენჯერ შემრჩენია ხელში ტაროს მაგივრად ფუჩეჩი (ო. ჭილ., I, 517). 30. წადი და შენ ჩაიბარე გამოცდა მაგის მაგივრად (გ. ფანჯ., 497). 31. „წყალევარდნილის“ მაგიერ აღმოჩნდა რამდენიმე სიტყვა, რომელიც გაფანტული ყოფილა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში (მოგ. აკ., 447). 32. მაგის მაგიერ ჩემზე, შვილებზე და ოჯახზე იფიქრე (ო. იოს. 511). 33. ამ სიმღერის მაგიერ ვაჟამ რუსულად დაამღერა რევოლუციური შინაარსის რომანსი (კ. ყმა, 61). 34. მიწას ვერ ხედავდა, მიწის მაგიერ აქ ასფალტი იყო და ქვა (გ. რობაქ., 345). 35. ბუხრის მაგიერ სანთელი გენთო (პ. იაშვ., 211). 36. პატარა უხეირომ მის მაგივრად ყველაფერი თქვა და გააკეთა კიდეც (ო. ჭილ., I, 518). 37. დედამისი იმათ მაგივრად მას ეჩხუბებოდა (ო. ჭილ., I, 405). 38. ნარდს ეთამაშებოდა და მისი მოგვარე ხშირად სიყალბეს კადრულობდა, ერთის მაგივრად მეორეს გაითამაშებდა (მოგ. აკ., 139). 39. ჩვენ სხვის მაგიერ ბოდიშს ვიხდიდით (კ. ყმა, 382). 40. ამ სახელის მაგივრად მან „რექტორი“ დამიძახა (კ. ყმა, 200). 41. ლაპარაკის მაგიერ მოისმოდა რაღაცა გრიალი (ა. ყაზბ., 192). 42. დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავ კნეინასთან და მათ მაგივრად მოკითხვა გადამეცა (აკაკი, 152). 43. საწყალთ საწყლობა რო მესმის, იმათ მაგივრად ვწუწუნებ (ვაჟა, 45). 44. რა შემეშალა? ღვინის მაგივრად ძმარი დაგისხი, თუ ბუხრის მაგივრად შენს ლოგინს შევუკეთე ცეცხლი? (ო. ჭილ., II, 96). 45. მამამისმა იმის მაგივრად გამოგზავნა მშობლიურ სოფელში (ო. ჭილ., II, 349). 46. ლაპარაკში მუდამ ამ სიტყვის მაგივრად სხვას ხმარობდა (მოგ. აკ., 194). 47. ჩემს მაგიერ პასუხი გასცა ვაჟამ (კ. ყმა, 67). 48. ყველას მაგივრად თქვენ რატომ მპასუხობთ? (გ. ფანჯ., 416). 49. ნიავის მაგიერ გაკაშკაშებულიყო მთვარე (ა. ყაზბ., 152). 50. ჭაში ჩაშვების მაგივრად იმან მიწაზედ დადგა ჭურჭელი (ა. ყაზბ., 167). 51. მას დღეს აღარავის მიღება არ შეუძლია და მის მაგიერ მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდეთ სადილად (აკაკი, 153). 52. რკინის ღარში წყლის მაგივრად ფერფლის ნაკადი მოდგაფუნობდა (ო. ჭილ., II, 252). 53. ჩემს მაგიერ სხვები აწერდნენ ხელს (მოგ. აკ., 207). 54. ყურძნის მაგივრად კრიკინას ვჭამდით, გულაბი მსხლის მაგივრად — პანტას (ვაჟა, 365). 55. გარეთ ბინდია

ქარის მაგიერად და ზარი კივის საბედისწეროდ (ნ. სამად., 57). 56. ჩემ მაგიერ არ დაეღუპავ ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა (ილია, 171). 57. ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს (ილია, 922). 58. ნაცნობი და საყვარელი სახლის მაგივრად შავი, ჩახუთული სიცარიელე დაეძგერა სახეში (ო. ჭილ., II, 226). 59. და რასაც ჩემთვის ვფიქრობდი გულში, ყველას მაგივრად ვფიქრობდი თურმე (ო. ჭილ., II, 452). 60. ბუხრის მაგიერ სანთელი გენთო და ლოცვების წინ თითებს ითბობდი (პ. იაშვ., 211).

## უბრალო დამატება მოქმედებითში

*§ 30. უბრალო დამატება მოქმედებითში.* 1. ჩვენ ვსტკბებით ტკბილეულობით, მცენარეები გლოვობენ (ვაჟა, 84). 2. თავს იწონებდა ამინდით ზაფხული ნამნაპკურები (ლ. ასათ., 113). 3. მტრედის ნისკარტით დაწერ ბარათებს, შეიშრიალებს შორს ხეივანი (ნ. სამად., 70). 4. და უცებ, თითქოს გრგვინვით და დაფით გაეღვიძაო ქარიშხალს მძინარს (მ. ლებ., 513). 5. ახალი ხორცით, ახალი ტყავით, ახალი ჯაგრით მე ვიმოსები (მ. ლებ., 443). 6. მე ჩემს თავს უფლებას მაინც არ ვაძლევ თქვენი კეთილშობილებით ვისარგებლო (გ. ფანჯ., 198). 7. ეზო თანდათან ივსებოდა ხალხით (გ. ფანჯ., 81). 8. კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა (ი. გრიშ., 26). 9. განგებ ირთულებთ ცხოვრებას რაღაც იდეებით (ნ. ონაშ., 100). 10. ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა (ა. კალანდ., 265). 11. ჩამოგატარეთ სამშობლო მხარე ლხინით, დიდებით, გმირობით სავსე (პ. იაშვ., 199). 12. ქალაქების გარეუბნები მოფენილია კარევებითა და საცხოვრებელი ავტომანქანებით (შ. ძიძ., 21). 13. აქ სალამურით ატირდება პატარა მწყემსი (ა. კალანდ., 238). 14. და ვარსკვლავებით მორთული ღამე იპყრობდა ქალაქს, უხმოდ და უცებ (ო. ჭილ., II, 463). 15. ჭიხვინ-ჭიხვინით, ტორების ცემით, ძუაფაფარშლით აცქვეტენ ყურებს (აკაკი, 60). 16. ერთმა ასმახმა შორიდან ისრით გაუპო გმირს წარბი (ლ. ასათ., 96). 17. დოქით ქალები მიდიან ხევ-ხევ (ნ. სამად., 109). 18. ისინი დღიური ლუკმის შოვნით და თხოვნით ირჩენდნენ თავს (ა.

ყაზბ., 203). 19. მსხვილი ვერცხლის ჯაჭვით უზარმაზარი მე-დალიონი ეკიდა (გ. ფანჯ., 199). 20. უკეთესის იმედებით დიან ჩემი დღეები (მ. ლებ., 242). 21. სიჭაბუკის ხმებით გული დაგვილხინდება! სიჭაბუკის გზებით ლაჟვარდები ბრწყინდება (მ. ლებ., 380). 22. ათიათასზე მეტი კაცი შეიარაღდა ქვებით (ი. გრიშ., 41). 23. ცას შეაფრქვიეთ თქვენი ფერები, ხალხს სიხა-რულით გული აუვსეთ (ა. კალანდ., 60). 24. დაბერდება ირემა ხარი და შავტარა დანით დაიკვლება (მ. ლებ., 372). 25. ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი (მ. ლებ., 295). 26. მე თითქოს თვალით ბავშვობას ვხედავ (პ. იაშვ., 166). 27. ძვირფას ტყავშია ჩასმული შესანიშნავი მინიატურებით შემკობილი ხელნაწერები (შ. ძიძ., 19). 28. ერთხელ ბაქოში ჩემთან ყოფნის დროს აკაკიმ გამაკვირვა თავისი მეხსიერებით (მოგ. აკ., 147). 29. ცხვირით წყალს არ დავლევ (თ. სახ., 821). 30. ვწერდით „დროის" დაკვეთით, ერთმანეთის წახედვით, ტემლაკების დახვეტით (მ. ლებ., 290). 31. დედაბრები ურდულით ქოხებს გამოჰკეტავდნენ (მ. ლებ. 161). 32. ხელოსნებს პური მოჰქონ-დათ ხელკალათებით, მზარეულებს კი ქოთნებით და ქვაბებით სხვადასხვა საჭმელები (აკაკი, 100). 33. ამოიხაფრა ჰაერი ნამ-სხვრევი შუბის ტარებით (ლ. ასათ., 96). 34. ბავშვები ქვებით დაღრეცავენ ძეგლზე წარწერებს (ნ. სამად., 44). 35. ქალაქი ჩირაღდნებით იყო გაჩაღებული (ა. ყაზბ., 220). 36. ისინი ნა-ბდებით თავს იფარავდნენ შურდულის ქვებისგან (ი. გრიშ., 30). 37. შტუტე გულზე მიკრული ბიჭით ქალებს მიუახლოედა (ო. იოს., 83). 38. ათასცვარი ნაჭრებით დაკერებულ საბანს კარგად ამოუგებდა (გ. ფანჯ., 19). 39. გზა იჭირხლება ყინვით, ცა ელვის შუბებს გვიღებს (მ. ლებ., 186). 40. თავს არ შეგაწყენ ფიცით და მტკიცით (მ. ლებ., 190). 41. მას ძვირფასი ქვებით მოოჭვილი თასით შეუსვამს მისი სადღეგრძელო (შ. ძიძ., 12). 42. თავს მოვიკაზმავ სირაქლემას ლამაზი ფრთებით (ა. კალანდ., 165). 43. აჰა, შეხედეთ, თქვენი ყურით მოისმინეთ (ნ. ონაშ., 87). 44. ფირუზის თასი ქარვისფერი ღვინით აივსო (პ. იაშვ., 71). 45. შენი ჭირი და ლხინი კალთით მიტარებია (თ. სახ., 752). 46. ყეფით, ყეფით გაფხიზლებენ, ყეფით გეხმარებიან (მ. ლებ., 193). 47. და ხორცის ნაჭრით მიფრინავს ძერა (მ. ლებ. 193). 48. და მღვდელთმთავრის კურთხევითა სვამდნენ იმათ შესანდობარს

(აკაკი, 36). 49. ამ ფერად წყლებით გორგასლანი სამოთხეს რწყავდა (ნ. სამად., 127). 50. სამოერის ირგვლივ ჩაის ჭიქები ლამბაქებითურთ ჯარისკაცებივით იყვნენ გამწკრივებულნი (ი. გრიშ., 60). 51. მთელი მკერდი ცრემლით დაეუსველე (ნ. ონაშ., 55). 52. მადლი გადმოდის ცისფერ მთებზე უხილავ გზებით (ა. კალანდ., 94). 53. ცხელ ნატყვიარს ვიფევდი, პერანგს სისხლით ვალბობდი (მ. ლებ., 150). 54. ჩიტის აფრენით შექანებული, სულში ახლაც ჟღერს ნაცნობი ტოტი (მ. ლებ., 131). 55. თეიმურაზი და მისი მემკვიდრეები ამაყობდნენ კიდევაც ამ ნათესაობით (შ. ძიძ., 12). 56. ღვინით გასვრილა მისი საყელო (პ. იაშვ., 130). 57. ცხენის კუდით თრევინება (თ. სახ., 819). 58. აკაკი ორი-სამი საათის განმავლობაში მართობდა თავისი ტკბილი საუბრით (მოგ. აკ., 147). 59. და დინამიტით დახოცილ თევზებს ჰგაედნენ ფოთლები სიჩუმის წრეში (ო. ჭილ., II, 522). 60. აგერ ირინე მეწვრილმანეს აცდენს ვაჭრობით (პ. იაშვ., 103). 61. გაუდისთ თოფებს დგაფადგუფი — ვფეთქდები ნაღმით (მ. ლებ., 113). 62. აქ ოდესმე ვხოცდით ტახებს, პოეტები თოფით ვვლიდით (მ. ლებ., 116). 63. წამოიშალა სულთანის ბანაკი ციებ-ცხელებით (ლ. ასათ., 96). 64. მათი ერთგულებით და სიყვარულით უნდა ველოდო აღსასრულს (ო. იოს., 175). 65. თბილისში აშუღები საზანდრების მღერებით და ზეპირსიტყვაობით ავრცელებდნენ თავიანთ პოეზიას (ი. გრიშ., 67). 66. ის თავს დაგვეტრიალებს და აღფრთოვანებულია ჩვენი სტუმრობით (შ. ძიძ., 40). 67. მე მაგ ტკბილი იავნანით ვერ დამაძინებ (ნ. ონაშ., 33). 68. ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული (თ. სახ., 681). 69. მეც ამ შფოთვით და ცახცახით ვცხოვრობ (ო. ჭილ., I, 546). 70. ჯერ კიდევ სძინავს სულთანსა თავისი დარბაისლებით (ლ. ასათ., 94). 71. მისი თვალები ჩუმ მოკრძალებით კრთიან და ბრწყინვენ (ა. კალანდ., 295). 72. ხარებს გამაყრუებელი ყიჟინით და ქრიამულით მოსდევენ ახალგაზრდები (შ. ძიძ., 25). 73. მე ახლა მხოლოდ ამ თოვლით ვცხოვრობ (ო. ჭილ, I, 576). 74. კუდით ქვა ასროლინა (თ. სახ., 347). 75. ის ხელობით თუნუქით სახურავების დამხურავი იყო (ი. გრიშ., 142). 76. დავფარე ღამე ბნელ ნაწნავებით (პ. იაშვ., 121). 77. შენი გმირობით ვართ ავსებული (პ. იაშვ., 108). 78. მთის წყალი დამალევინე შენი ლამაზი ფოთლითა (ა. კალანდ., 421). 79. ის მთელ ბას-

კონიაში დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს (შ. ძიძ., 25). 80. თითქოს ცოცხალი პეპელა ნემსით მიუმაგრებიათ კედელზე (ო. ჭილ., II, 240). 81. ჭრელი თივები ვთიბეთ, თივით ფერმები ვტენეთ (მ. ლებ., 98). 82. კაცთა ენაზე გულქვა კლდეეები მათ დაიცავენ ავი ქარებით (ა. კალანდ., 124). 83. ლურჯი ცის თაღით ხარ დაფარული (პ. იაშვ., 108). 84. ღამისფერ ფარჩით შეიმოსა ფირუზის ტახტი (პ. იაშვ., 83). 85. და სიხარულის ზათქით და ზარით ღამეს უტევდნენ ღამისმთეველები (ლ. ასათ., 27). 86. გასუდრულ ტრამალს არ დაჰბრუნაეს ყორანი ყეფით (მ. ლებ., 126). 87. ნაღმებით სავსე მოხსნეს საპალნე (მ. ლებ., 328). 88. გადაგვაშენებს ჩვენ ბოდვები მომდგარი ჯარით (პ. იაშვ., 105). 89. ბატონკაცური დუმილით დუმდა დიადი დარბაზი (ლ. ასათ., 105). 90. გარეჯიბეში სავარცხელი მოჩხრიკა ცერით (მ. ლებ., 351). 91. მათ საგანგებო დანიშნულების ტყავების ფრიალით უნდა მოეგერიებინათ გაშმაგებული ხარები (შ. ძიძ., 25). 92. მთელი ზამთარი იმედებით ვიკვებებოდი (მ. ლებ., 443). 93. გაოფლილი თავ-კისერი მუჭაში ჩაჭმუჭნული ცვირსახოცით შეიმშრალა (ნ. ონაშ., 83). 94. და გაეხვია ნახნავ მიწაში საყვარლის ტრფობით გახელებული (ლ. ასათ., 28). 95. დაფარულა ჩუქურთმებით, ქვეშ გაშლია მწვანე ბაღი (პ. იაშვ., 216). 96. და მესხურ მიწას ჩაეცქეროდით ფიქრის თვალებით (მ. ლებ., 463). 97. მოგონება იალებს უცბად ოქროს ბრჭყალებით, ჩიხტიკოპში მსხდომარე დახვეწილი ქალებით (მ. ლებ., 269). 98. გადაეხვია, დაღალა კოცნით და წყაროს წყალი პეშვებით ასვა (ლ. ასათ., 97). 99. წინა რიგებში მიგელავს პატარა კასი ცხენითა (ლ. ასათ., 91). 100. შეაღო ჩარგალის კარი მამაპაპური სიმღერის ძალით (ლ. ასათ., 27).

## უბრალო დამატება ვითარებითში

*§ 31. უბრალო დამატება ვითარებითში.* 1. ეს ცრემლები შევბულ მიწას ვარსკვლავებად დაეყაროს (პ. იაშვ., 188). 2. გაცოცხლდა შენი უცნაურობა გადაქცეული მარჯნების ხვავად (პ. იაშვ., 188). 3. წამოიშალნენ ტალღებად მძვინვარე სისხლის ღვარები (ლ. ასათ., 96). 4. თავზე გვირგვინად დასდგომოდა

ნაირფერად შეღებილი აივნიანი სახლები (ნ. ლონაშ., 12). 5. გიორგი მარტენის ღუმელების საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა (გ. ფანჯ., 247). 6. სავალი ჩემი აწ უდაბნოს ქვიშად ჩავთვალე (ა. კალანდ., 341). 7. დღეს ერი გირჩევს ერთხმად წინამძღვრად (აკაკი, 53). 8. ვინმე ოსმალოს დავუდგები მსახურად გემზე და დავბრუნდები სამშობლოში (მ. ლებ., 128). 9. მყის ბუნების მშვიდი დუმილი ბნელ ჯოჯოხეთად გადიქცეოდა (ილია, 120). 10. თვითონ კი იქ დარჩა სულ მარტოდ მლოცველად ღვთისა და მადიდებლად (აკაკი, 59). 11. ჩემს შრომის მაგიდას დღეს დარჩა ნამტვრევად დაყრილი პწკარები (პ. იაშვ., 163). 12. ნედლი მიწა გადმოგორდა ფართო ბელტებად (პ. იაშვ., 175). 13. ლურჯ ლანქერებით გახერხილ ტინებს ისევ ჰკიდიხარ არწივის ბუდედ (მ. ლებ., 388). 14. ყოველი ტილო დამოუკიდებელ სამყაროდ გაცოცხლდა (ნ. ლონაშ., 36). 15. მის ხუთასტონიან მერხევ ღუმელებთან ჩვენი მარტენის ღუმელები სათამაშოდ მოგვეჩვენება (გ. ფანჯ., 189). 16. ერთბაშად მოუვიდა ფიქრად, რომ მდიდარი ცოლი შეერთო (ა. ყაზბ., 73). 17. მე შენ დაგკარგე და ეგ საყურე ვარსკვლავად მექცა (ო. ჭილ., II, 502). 18. სადაც ლექსი რუსთაველის იფანტება მარგალიტად (პ. იაშვ., 216). 19. სიცივე ჩადგა ყინვის ტბორებად (პ. იაშვ., 157). 20. მთელი ქალაქი გაყოფილი იყო ორ უბნად (ი. გრიშ., 20). 21. იგი დროთა ვითარებაში საერთო-სახალხო ეროვნულ დღესასწაულად გადაქცეულა (შ. ძიძ., 20). 22. მონად აღზრდილმა მოლექსემ სალამი გამიბედაო (ვაჟა, 105). 23. მადლი მატლად გადამიქცია (თ. სახ., 365). 24. სიამაყე და საკუთარი ღირსების შეგნება საიმედო ჯაჭვად გეცვა ტანზე (ნ. ლონაშ., 158). 25. სამუდამო ციხის საკანი მათ გადააქცევს მშიერ ლანდებად (პ. იაშვ., 198). 26. მორთმეულია სამყარო გობით, მხოლოდ აკლია ოქროდ დადნობა (პ. იაშვ., 159). 27. ჭავჭავაძე გულბაათი დასვეს თამადად (ლ. ასათ., 86). 28. ცრემლი ყვავილად გადაქცეული მოგროვდებოდა ხელში თავისით (ო. ჭილ., II, 497). 29. მერე იქიდანაც გაეგდოთ და ჩვენში გადმოიყვანეს მათემატიკის მასწავლებლად (აკაკი, 149). 30. ამ დღიდან მთელი სიცოცხლე ბავშვს ჯოჯოხეთად გადაუქცია (ა. ყაზბ., 202). 31. ბრწყინავდა იგი უზადო ბრწყინვით, მშვენიერების დიდებულ სატად (ა. კალანდ., 7). 32. და გრგვინვით მეხად დაეცით ზარი! (აკაკი,

58). 33. ციდან მოსმენილ შუადღის ძღერის მონად გამხდარა ლექსების ზომა (პ. იაშვ., 161). 34. მერმე უეცრად მოწამედ გახდი (პ. იაშვ., 94). 35. ხელოსნად დალოცვა გარკვეული წესით ხდებოდა (ი. გრიშ., 38). 36. ამიერიდან ჭაღარაც შავ ფერად გარდაიქმნება (ვაჟა, 70). 37. გულში ეკლად ესობა (თ. სახ., 121). 38. ოდესმე იყვნენ ვარსკვლავთ ჯგუფები, ახლა ქცეულნი მტვრად (მ. ლებ., 114). 39. და იგი დედაქალაქი ვრცელი აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა (ილია, 116). 40. მეუდაბნოედ მიდიან საქრისტიანოს ყოველ მხრით (აკაკი, 43). 41. ჩადგება, ალბათ, გულის წიაღში კმაყოფილება ოქროს ტბორებად (პ. იაშვ., 151). 42. იშლება ჩერო ფოთლებად (პ. იაშვ., 151). 43. შემოდგომის მზე გალიებში კვლავ შემოცვივდა ოქროს ფოთლებად (ო. ჭილ., II, 473). 44. როსმე სეტყვად აქ ქლიავი დააყარეს პატარა კასს (მ. ლებ., 116). 45. ერთადერთ იმედად რჩებოდა მხოლოდ სასამართლო (ნ. ონაშ., 79). 46. ჰა, საქორწინო გაქრა გვირგვინი, მიმოიფანტა ვარდის ტოტებად (ა. კალანდ., 119). 47. ჩემს შვილს საშუალებას მისცემთ კაცად გამოვიდეს (ა. ყაზბ., 82). 48. იმ ხანებში მამაჩემი დეპუტატად დაინიშნა ქუთაისში სათავადაზნაურო კომისიაში (აკაკი, 128). 49. და სისხლი, აზრი, სული იქცნენ იმის მონებად (პ. იაშვ., 140). 50. ზვინები ჩამწკრივდებიან ოქროს არჩვებად (პ. იაშვ., 150). 51. კვლავ საუკუნედ იქცევა წამი (ო. ჭილ., I, 552). 52. ამ დიად ბუნების კართან მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად (ლ. ასათ., 57). 53. ეს უსუსური ნამუშევარი არ ჩაითვლება ხელოვნების ნიმუშად (ნ. ონაშ., 49). 54. ხიდაშელი ინსტიტუტის ფესბურთელთა გუნდში ცენტრალურ თავდამსხმელად ჩაეწერა (გ. ფანჯ., 205). 55. ხვალ ერთად გავალთ პირნათლად ხალხში, ვრჩები რაინდად! ვრჩები ქართველად! (მ. ლებ., 217). 56. და სული მეფედ მხოლოდ შენ ერთს დაგასახელებს (პ. იაშვ., 89). 57. მფარველად ჰყავდეს მეფე თამარი და მთავარსარდლად მეფე ირაკლი (პ. იაშვ., 98). 58. ასე იქცევა ნახატი ხატად, ლერწამი — სტვირად და ორთქლი — წვიმად (ო. ჭილ., I, 562). 59. მას არ მოსვლია აზრად კაპრალისათვის მოეხსენებინა (ო. იოს., 83). 60. პირველი დღის ქეიფი განსაკუთრებულ, დალოცვის დღედ ითვლებოდა (ი. გრიშ., 38). 61. თითის ფრჩხილადაც არა ღირხარ (თ. სახ., 273). 62. ჩვენი

მანქანა კახეთში მიჰქრის, მყავს ამხანაგად კახეთის გზაზე ჭავჭავაძიანთ პატარა ქალი (მ. ლებ., 498). 63. ევროპის ზურგზე შენი ჩქარი გადაჭენება დარჩება ცაზე განთებული ირმის ნახტომად (პ. იაშვ., 107). 64. ამ დროს კოცნით ლაწვს დაგიწვავ, გადაგაქცევ მზიან ვნებად (პ. იაშვ., 68). 65. სადაც მწიფე ნარინჯები იღვრებიან ყვითელ თაფლად (პ. იაშვ., 216). 66. ის ცხელ ნაკადად ჩაიღვრება სულში, ააფორიაქებს, მოსვენებას დაუკარგავს მას (ნ. ონაშ., 53). 67. მტვრის ბუქი დადგა სვეტებად (ლ. ასათ., 97). 68. მეც მოგონებად ვიქცევი შენთვის (ო. ჭილ., I, 555). 69. მთებს დასდგომია ჯილად დისკო კახეთის მთვარის (მ. ლებ., 499). 70. გზად და ხიდად გადება (თ. სახ., 93). 71. შენთვის საჩუქრად მაქვს დაირა და ოქროს გედი (პ. იაშვ., 132). 72. ამ კლდეებს გადაღმა კაცისაგან ფეხდაუდგმელი თეთრი მყინვარჯები იდგა საიმედო დარაჯად (ო. იოს., 19). 73. მან უთვალავი ლომი და სპილო შესწირა მსხვერპლად (ო. ჭილ., II, 478). 74. ჩემი დაბადების დღით იწყება შემოდგომა, რომელიც ზოგს ცივი ზამთრის მოახლოებად ესახება (ნ. ონაშ., 178). 75. დაეკიდება ზოგჯერ ლექსი მოცისფრო ბაღად (მ. ლებ., 215). 76. და იცლებიან ოხშივრებად შენს გარშემო მთები თუჯების (პ. იაშვ., 138). 77. უცებ დავპატარავდი, დავმცირდი, დავკნინდი, არარაობად ვიქეც (ნ. ონაშ., 129). 78. ნეტავ არვინ დაჰფანტოს ხმები იდუმალების ქცეული სალამურად (პ. იაშვ., 142). 79. ის ბარათებიც, ის ზღვაც, ის მზეც გადამექცა შხამად (მ. ლებ., 512). 80. მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება (ილია, 118). 81. აბრძანდა მეფე ბრალმდებლად, ამას კანონი ითხოვდა (აკაკი, 37). 82. ბუზები აქლემებად გვეჩვენებიან და აქლემები ბუზებად (თ. სახ., 61). 83. სიჭაბუკის ხილვებიდან ყველაფერი თითქოს აცხადდა, სინამდვილედ იქცა (თ. ბიბ., 163). 84. ის მხოლოდ ჯადოსნურ სითხედ მეჩვენებოდა (თ. ბიბ., 36). 85. ყველაფერს ათასგვარ მეცნიერულ და ლიტერატურულ კატეგორიებად დაალაგებდა (გ. ფანჯ., 633). 86. და იფანტება ველზე გიშრებად ლექსი, ქცეული ხალხის ანბანად (ლ. ასათ., 19). 87. მართალია, ფრიქსე წამოდგა, მაგრამ მაინც ავადმყოფად დარჩა (ო. ჭილ., I, 36). 88. სიხემიდან თხემზე გადასატანი თოვლი ხეობაში ლანქერებად ცვიოდა (ო. იოს., 207). 89. ვგრძნობდი, როგორ ვცახცახებდი და მხსნელად და იმედად ჩემს მეგობარ-

სლა ვთელიდი (თ. ბიბ., 26). 90. სოფლის ასიოდე მხედარი ლაშქრად იქცა (თ. ბიბ., 11). 91. წუხილს წაიღებს ქნარი და სტრიქონებად დაქსოვს (ლ. ასათ., 32). 92. ხიდაშელს ქუჩები საპყრობილედ ეჩვენებოდა (გ. ფანჯ., 407). 93. სასიამოვნო მოგონებად დამრჩება ეს შეხვედრა (რ. ინან., 95). 94. მანგია ბალიაური მამაჩემს თურმე დიდ მეგობრად თვლიდა (თ. ბიბ., 17). 95. სოფლის კითხული ძლევამოსილ მეფედ და წინამძღოლად იქცა, სოფლის კოშკები სრასასახლეებად (თ. ბიბ., 11). 96. ვისაც სახელი შორს გაუვარდა, ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა (ლ. ასათ., 61). 97. მეტალურგიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად გადავიდა (გ. ფანჯ., 189). 98. ბინდი უკვე უკუნ ღამედ იქცა (თ. ბიბ., 38). 99. ვიწრო შუკები მდინარეებად ქცეულიყო (თ. ბიბ., 139). 100. სასიმამროს დიდად მიღებული პროვიზორი პროკოფი შუაკაცად მიუგზავნა (ნ. ონაშ., 241). 101. უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიაჩნდათ (ილია, აზრ., 13). 102. ყოველ გაზაფხულზე ღორღოღორო ქვების ეს გაშეშებული ნაკადი ნამდვილ მდინარედ იქცეოდა ხოლმე (ო. ჭილ., II, 95). 103. თქვენ ტიციანის ძმა ხართ უმცროსი, გალაკტიონი თავის ძმად გთვლიდათ (მ. ლებ., 178). 104. ცაში ღრუბლები იყრებოდნენ ბოლქვად და ბოლქვად (ი. ჯოლბ., 57). 105. აკაკის არ მიაჩნდა იგი უკეთეს მონარდედ და მუდამ ექიშპებოდა (მოგ. აკ., 140). 106. უცებ ისევ იმ წლებისწინანდელ პატარა გოგოდ გადაიქცევა (თ. ბიბ., 243). 107. უცებ ის ღრუბელი კაცად იქცა (ო. ჭილ., II, 252). 108. გაჭენებული შენი ოცნება, დაჯერებული შენი ნაბიჯი, ცა ქუდად და მიწა ქალამნად მიყვარს (მ. ლებ., 319). 109. ვინც გაიტაცა ახალ ძიებამ, გადაქცეულან რკინის კაცებად (პ. იაშვ., 146). 110. მდინარეების ყოველი წვეთი გადაიქცევა წკრიალა შუქად (პ. იაშვ., 150). 111. მაინც კლდეს ეალერსება, გადიქცა კატის კნუტადა (ვაჟა, 53). 112. სიტყვის მარცვლებად გადაიქცეს ჩემი ცრემლები (ი. ჯოლბ., 110). 113. სხეული შენი მზედ მოიქცეს, ქვეყნის მფლობელად (ი. ჯოლბ., 114). 114. ჩემგნით იხსენებით და რჩებით ხალხის გმირებად (მ. ლებ., 269). 115. მინდა ეს ლელო ლერწმად გავთალო (მ. ლებ., 296).

# გარემოება

## ადგილის გარემოება

*§ 32. მმნიშვნელა ადგილის გარემოებად.* 1. ბალახ-ყვავილი აშლილა ხშირად, მიდის ბილიკი ზევით და ზევით (ა. კალანდ., 439). 2. სადმე, ახლოს, ყვავილს გაშლის აკაცია, ყვავილს გაშლის და გულ-მკერდზე გადაიყრის (ა. კალანდ., 350). 3. ო, ბრწყინავს რაღაც შიგნით და გარეთ, ვიცნობ ამ ქარებს (ა. კალანდ., 334). 4. აღმა შევყვები ცისფერ ნაპირებს, კვლავ ვინახულებ ენგურის ჩრდილებს (მ. ლებ., 392). 5. შენ თვალწინ გიდგას ტანმორჩილი მისი ხარები (მ. ლებ., 504). 6. დარჩა აგვისტო უკან — თიევებს ვიგონებ ალპურს (მ. ლებ., 98). 7. იქ ვშობილვართ, იქ ვწრთობილვართ, იქ ილტვიან ფრთები (მ. ლებ., 417). 8. ამ დროს ერთი ჩასუქებული ბიჭი ანგიას უკნიდან წამოეპარა (გ. ფანჯ., 13). 9. ჯართი ალაგ-ალაგ გამდნარიყო (გ. ფანჯ., 246). 10. მე ახლაც თვალწინ მიდგას ბათუმი (ო. ჭილ., I, 553). 11. ჩვენ ვბრუნდებით უკან, თახთახებენ მანქანები (ო. ჭილ., I, 553). 12. ზოგან ყვაოდა, ზოგან მწიფობდა, ზოგან ფოთლები ცვიოდა უკვე (ო. ჭილ., II, 452). 13. ჰანსმა უკან წაიყვანა დაჭრილი (ო. იოს., 83). 14. ბაუმანი გაოფლიანებულ ცხენებთან ახლოს მივიდა (ო. იოს., 22). 15. მაღლა-მაღლა მიფრინავდი ვარდისფერი ბრჭყვიალა ნისლით პირმობურულ ზეცაში (ნ. ონაშ., 72). 16. იქით დერეფანი მარჯვნივ უხვევდა (ნ. ონაშ., 68). 17. გაფაციცებული მშვრა სწრაფად მოატარა ირგვლივ (ნ. ონაშ., 84). 18. როგორც კრუხი წიწილას, ისე გარს დასტრიალებდა (თ. სახ., 524). 19. მაღლა ფრინველს არ გადაიფრენს და დაბლა ჭიანჭველას არ გაატარებს (თ. სახ., 378). 20. და ჩვენ მივდივართ მაღლა, სულ მაღლა, მივყვებით ცისკენ ამ მაღალ ხეებს (ა. კალანდ., 324). 21. შორს დედალს უხმობს მამალი შურთხი (ა. კალანდ., 285). 22. სადღაც არწივთა ხმა ისმის, სადღაცა — ტურის ჩხავილი (ა. კალანდ., 432). 23. ღამის დარაჯი დაუსტვენს სადღაც (ო. ჭილ., I, 554). 24. იქით შეყვარებული ჩრდილები წვანან (ო. ჭილ., II, 461). 25. დიდი ამბები ხდებოდა გარეთ, ერთი ამინდი ცვლიდა მეორეს (ო. ჭილ., II, 522). 26. მხოლოდ აქა-იქ მოჩანს კლდის ვეებერთელა

ნამტვრევები (კ. ყმა, 240). 27. ჭიჭახევასთან აქეთ და იქით გაწოლილია ფესვებიანად მოგლეჯილი და წყლისაგან ჩამოტანილი უშველებელი ხე (კ. ყმა, 240). 28. ქოჩორა თავს მაღლა ასწევდა (კ. ყმა, 243). 29. აქედან ბექასთან გავიაროთ (ნ. ონაშ., 100). 30. საღლაც თავეგამოდებით გაიარა მატარებელმა (ნ. ონაშ., 95). 31. შუბლზე ჩამოფანტული თმა თავის გადაქნევით გადავიყარე უკან (ნ. ონაშ., 93). 32. გარეთ ქარი ყაჩაღობს (მ. ლებ., 50). 33. ვკითხულობ შენს წიგნს, ღამეა ირგვლივ, ირგვლივ ღამეა და მეტირება (მ. ლებ., 364). 34. მეც ყველაფერი დამიდგა თვალწინ (მ. ლებ., 510). 35. ზემოთ მიიწევს, ღრუბლისაკენ, ქვე არ ჩამოდის, ჭალასა (ა. კალანდ., 413). 36. ის იდგა წინ – მონუსხული ვეფხვივით თრთოდა (ა. კალანდ., 339). 37. ბრწყინავდა ირგვლივ, ელავდა ირგვლივ მარადიული შარავანდედი (ა. კალანდ., 14). 38. კრუხივით შინ ჯდომა (თ. სახ., 343). 39. კლდემ ქვეშ მომიტანა (თ. სახ., 339). 40. შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველს (თ. სახ., 763). 41. ხოლო მამათა მონასტრის ახლოს, იქვე, სოფლელი გოგო კრეფდა ყვავილებს (ო. ჭილ., II, 532). 42. ირგვლივ უძრავად ისხდნენ სტუმრები (ო. ჭილ., II, 540). 43. საღლაც ზემოდან ცვივა და ცვივა ყვავილის თოვლი (ა. კალანდ., 146). 44. მე და ჩვენი მეზობლის გოგომ სალომემ ქვემოდან ამოვიარეთ (კ. ყმა, 231). 45. მე შორიდან ვუთვალთვალებდი (კ. ყმა, 280). 46. სარკმელი ისევ დამრჩება ღია, გამექცევიან ფიქრები გარეთ (ო. ჭილ., I, 549). 47. საღლაც იქვე წყალი წვეთავდა გამოზომილად (ო. იოს., 14). 48. უკან მდგომმა ორმა ახალგაზრდამ არ იცოდა ამ დროს როგორ მოქცეულიყო (ო. იოს., 10). 49. მეორე მხარეზე გადავიდა და ქვევით, საიდანაც წყლის ხმა ძლივს აღწევდა, გადაიხედა (ო. იოს., 44). 50. დერეფანში დადგმული ტელეფონით საღლაც დარეკავდნენ (ნ. ონაშ., 79). 51. მან გაფაციცებით მიმოიხედა აქეთ-იქით (ნ. ონაშ., 160). 52. თვალწინ იელვა მეტყევის ქოხმა (მ. ლებ., 334). 53. სოფლიონის მთას რომ გაივლის კაცი, იქიდან ჩვენს სოფელს გადაჰხედავს (კ. ყმა, 324). 54. აქ ზოგჯერ კიკლია მეზურნე დაგვზვერავდა ხოლმე შორიდან (კ. ყმა, 191). 55. იქ ტიციანის სახელიც ითქმის (მ. ლებ., 178). 56. იონამ გრძელ მისადგმელ მაგიდას შორიდან მოუარა (ნ. ონაშ., 44). 57. აღმართ-აღმართ მაღლდები და ჯერ

შორს არის დალმართები (მ. ლებ., 542). 58. გულდახურული მისი რტოები თავს ძირს იხრიდნენ (ა. კალანდ., 130). 59. ო, სული ჩემი შენ გეძებს ყველგან (ა. კალანდ., 84). 60. უკვე ნისლი მიდის ზევით (პ. იაშვ., 208). 61. აქ იომებენ ახალციხის კალატოზები (პ. იაშე., 219). 62. უღელტეხილზე ირგვლივ დაბინდდა (პ. იაშვ., 93). 63. ქვემოდან მწვანე თვალებით მიცქერდა ზურმუხტი ხმელეთი (ნ. ონაშ., 72). 64. წინ ორი პარასკევი არ უდევს (თ. სახ., 866). 65. მაღლა ცას წვდებოდა და ძირს დედამიწას აყრუებდა (თ. სახ., 378). 66. საზღვრების იქით, ნათელი გზა არ ისახება იქით (პ. იაშვ., 84). 67. მთვარის სინათლემ კედლიდან ძირს ჩამოინაცვლა (ო. იოს., 90). 68. ის ჯარისკაცი წინ იდგა (ო. იოს., 75). 69. მადლობელი ვარ და ამ კვამლივით მეც შეუმჩნევლად მივიწევ მაღლა (ო. ჭილ., II, 520). 70. მერე ნიჩაბი იქვე უგულოდ მიაგდო (გ. ფანჯ., 251). 71. სადღაც ტკბილად, გულში ჩამწვდომად მღეროდნენ (ნ. ონაშ., 104). 72. იქით იხედება მისი მხედარი (პ. იაშვ., 83). 73. ცუდად არის შენი შვილი ეთიმი, ვერ უნახავს ვერსად თავის ექიმი (პ. იაშე., 139). 74. მისი სწრაფი და მძლავრი დინება არსად ფერხდება, არსად ბრკოლდება (ა. კალანდ., 389). 75. შორს თოვლის მთები დგანან ოცნებით (პ. იაშვ., 170). 76. მარცხნივ ვუცქერთ ზღვას დიდებულს, მარჯვნივ ვუცქერთ მთიან სვანეთს (პ. იაშვ., 216). 77. მაღლა-მაღლა ადის ხალხი (პ. იაშვ., 217). 78. და თვალწინ ედგა უტკბილესი მიწის ნაჭერი (მ. ლებ., 240). 79. აქა ვტოვებ პატარას ჩემსას გადაშლილი, დიდი წიგნებით (ი. ჯოლბ., 166). 80. უკანასკნელ წლებში შინ თითქმის ყოველდღე სტუმრები ხვდებოდა (გ. ფანჯ., 193). 81. არ გამოჩნდება მაინც გარედან, მაგრამ ყოველთვის გემახსოვრება (ო. ჭილ., II, 503). 82. უზარმაზარი ლომისფეხებიანი მაგიდაც სადღაც გამქრალიყო (გ. ფანჯ., 185). 83. ირგვლივ ყოველს ბინდი ფარავს, ოთახშიც სევდა დადის (მ. ლებ., 558). 84. სადღაც მარტორქებზე ნადირობენ, სადღაც სადილობენ ბრინჯით, სადღაც გრიალებენ ტამტამები, სადღაც დაჰკვნესიან თარს (მ. ლებ., 457). 85. წინ ქალი იდგა (ო. იოს., 143). 86. იქნებ, სადმე სხვაგან შეხვდი ასეთ ქალიშვილს (ო. იოს., 95). 87. წამოიწყეს გაღმიდან მეგრული სიმღერები (პ. იაშვ., 207). 88. ბანზე გაშლილ თხილს მაღლიდან დავუშინეთ ქვები და სულ აქეთ-იქით მივფანტეთ (კ. ყმა, 231).

89. და ჩემი ფიქრი იქითკენ მიდის (პ. იაშვ., 168). 90. მაგრამ იქ სამი ან ოთხი დღე, დიდი დიდი ერთი კვირა დარჩენილიყო (კ. ყმა, 248). 91. ირგვლივ მზის ნათელი დასდგომია მთებსა (ა. კალანდ., 235). 92. ზურგზე მოგდებული ავტომატი წინ გადმოიტანა და კლდეს მიეყრდნო (ო. იოს., 22). 93. წინ უძევს ბაღი ხეხილის ხელოვნად შენაკაზმისა (აკაკი, 43). 94. დაბლა მიწაზე ვხედებოდი თავპირდაჩეხილ წეროთა (ვაჟა, 93). 95. გამოვალ გარეთ, გავიხურავ უიღბლო ჭიშკარს (ნ. სამად., 100). 96. რაც უნდა მოხდეს აქ, თქვენ მაინც იქ ჩუმად იყავით (აკაკი, 58). 97. დაბლა ეს გული მიმოწმებს და მაღლა ღმერთი ზენაო! (აკაკი, 39). 98. გრიგოლი მარჯვნივ წავიდა, დაკითი მარცხნივ (გ. ფანჯ., 522). 99. წარმართთა ძელებზე იდგა ტაძარი, ზევით ლეგენდა მიპქონდათ მთიებს (ნ. სამად., 17). 100. იმას ეძებდა და აქეთ-იქით სხვადასხვა რაზმში მიქრი-მოქროდა (აკაკი, 64). 101. ფოთოლცვენაა ირგვლივ... სიჩუმე დგას უჩვეულო მათი ყურისათვის (ა. კალანდ., 256). 102. აქ მიწიური დგას სიხარული მარადიული სამკვიდრო სულთა (ა. კალანდ., 305). 103. იქ მარტო ბავშვს თუ შეაკრთობდა ჭოტის უეცარი შეკივლება (ო. ჭილ., I, 107). 104. სიცოცხლე კი მხოლოდ ერთი საფეხურით ინაცვლებდა მაღლა და მედეასაც თან მიათრევდა (ო. ჭილ., I, 129). 105. ასწიე, სულ მაღლა ასწიე ალამი, სიცოცხლის ძახილი (ა. კალანდ., 71). 106. რასაც აქ ეძებ, ვისაც აქ ეძებ, დახუჭე თვალი, შენშია სულაც (ა. კალანდ., 257). 107. ისინი დანარჩენ დროს აქეთ-იქით საქეიფოდ ინახავდნენ (აკაკი, 160). 108. აქ დაწვრილებით გავუზიარე მას, რა იდუმალი განზრახვა მქონდა სამხედრო სამსახურში შესვლისა (აკაკი, 162). 109. და ჩვენ მივდივართ მაღლა, სულ მაღლა, მივყვებით ცისკენ ამ მაღალ ხეებს (ა. კალანდ., 324). 110. ქვემოთ არაგვი გუგუნებს დანაროულას ხევია (ა. კალანდ., 407).

*§ 33. სახელი ადგილის გარემოებად მიცემითში.* 1. ყანჩები კვლავ ცაში აფრინდნენ ტოლებთან (ა. კალანდ., 396). 2. ღამე ჩამოდის არაგვზე, ვარსკვლავი აციმციმდება (ა. კალანდ., 416). 3. ჭარ-ბელაქანს მთებმა მიცნეს, კახს და ქურმუხს გზებმა მიგრძნეს (მ. ლებ., 116). 4. ალაზნის ველზე ნათლის სვეტიეთ

დგას ალავერდი (ა. კალანდ., 385). 5. ეს ხმაწართმეული ქარი დროდადრო ზღაპრული იდუმალებით იჭრებოდა აივანზე (ნ. ონაშ., 103). 6. რესტორნის მაგიდებს შორის გზას ისე მივიკვლევდით, როგორც დახლართულ ლაბირინტში (ნ. ონაშ., 103). 7. გამოქვაბულშიც ტბორი იდგა (ო. იოს., 61). 8. დადევნებულმა ტყვიამ ვახოს ყურთან ახლოს უწივლა (ო. იოს., 12). 9. მინდა აევარდე მამადავითზე (პ. იაშვ., 138). 10. უკვე შეირხა ზღვასთან ლერწამი (პ. იაშვ., 95). 11. ქალაქში დაკარგულ შეილისთვის ღამე გაათიე (პ. იაშვ., 86). 12. მარტენის საამქროში დაბერებულ კაცს არ ეხერხებოდა ტყლარჭვით ლაპარაკი (გ. ფანჯ., 249). 13. თითქოს რკინა-ბეტონის გვირაბში გამოკეტილი ხმა კედლებს აწყდებოდა (გ. ფანჯ., 207). 14. მერე დაახლოებით ავიღებდი მანძილს ამ ორ ბოძს შორის და გამოვთვლიდი მატარებლის სიჩქარეს (გ. ფანჯ., 212). 15. გამთენიისას ზვარეთს მიცელილა მესტვირე (მ. ლებ., 547). 16. მეფის ჭალაში გავარდა თოფი, ექოდ მოვარდა ჯახანი რქების (მ. ლებ., 180). 17. თქვენ გამოგყაედათ ფერმკრთალი ბავშვი და მწუხრში დიდხანს იდექით ზღვასთან (მ. ლებ., 510). 18. ბაღშიც ხდებოდა დიდი ცვლილება, ყველა კუნჭულში მოჩანდა უკეთ (ო. ჭილ., II, 522). 19. მაგიდასა და ღუმელს შორის ვერავინ მოტრიალდებოდა (ო. ჭილ., II, 358). 20. უზარმაზარი მზე ბრიალებს პირამიდებთან (ა. კალანდ., 372). 21. შორეულ გზებზე მთვარის რამდენი სხივი იტვირთეთ (ა. კალანდ., 368). 22. დღეს ქორწილია შუაფხოს, ლუდი ქვაბით დგას მჩქეფარე (ა. კალანდ., 415). 23. მამაჩემის მამა რევოლუციის ბარიკადებზე დაეცა (ნ. ონაშ., 116). 24. პაპაჩემი სტალინგრადთან დაიღუპა გმირულად (ნ. ონაშ., 117). 25. ცაზე ღრუბლები აირია (ო. იოს., 57). 26. ორად გაყოფილ ქიმებს შორის მოზრდილი ქვა ჩაჭედილიყო (ო. იოს., 45). 27. ეშინოდა კაცს ამ ტყესთან წვიმიანში ჩავლა (პ. იაშვ., 203). 28. ღელავს ძმობის დღეობაზე ალავერდში შემოდგომა (პ. იაშვ., 187). 29. სკოლაში მოსწავლეებს არ ესაუბრებიან სხვადასხვა სპეციალობების თავისებურებებზე? (გ. ფანჯ., 207). 30. როცა საქმეს მორჩა, წამოდგა, გაიზმორა, მერე ადგილზე ხტუნაობა დაიწყო (გ. ფანჯ., 192). 31. თვალს და ხელს შუა მწიფდება თუთა, თვალს და ხელს შუა გადის ზაფხული (ო. ჭილ., I, 542). 32. ქვეყანაში თავი არ გამომეყოფა (თ. სახ., 680).

33. ჩემი ოჯახის ანგელოზიც ჭიშკართან გელის (მ. ლებ., 503). 34. გადაყვითლდა კახეთს ზერები, ლიხთ-იმერეთს კორდები (მ. ლებ., 500). 35. ბიძაჩემი დავითი შუაფხოდან ბახტრიონში გაამწესეს (კ. ყმა, 16). 36. მისი ვაჟი ლევანი თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა (კ. ყმა, 248). 37. არაგვზე ჩამოანათეს ყამირის შავმა თვალებმა (ა. კალანდ., 417). 38. კლდე-ლოდთა შორის გრგვინვით გსურს, დაივიწყო თავი (ა. კალანდ., 402). 39. დედამიწაზეც, დედამიწაზეც არეულია ყველა ფერები (ა. კალანდ., 299). 40. როცა თბილისში ვიყავი, მთაწმინდაზე ამოსვლა ფიქრადაც არ მომდიოდა (გ. ფანჯ., 201). 41. იმავე წუთში შინისაკენ გასწია, მანქანა სადარბაზო შესასვლელთან დააყენა (გ. ფანჯ., 191). 42. და უძველესი სამაჯურები ჯილდოებივით ჰკიდია კედლებს (ო. ჭილ., II, 484). 43. ფართო დარბაზიდან ღია აივანზე გავედით (ნ. ონაშ., 103). 44. ნიკო ბალის გასასვლელთან გვიცდიდა (ნ. ონაშ., 73). 45. ეს ჯარისკაცი ცხენზე ამხედრებული შემოვარდა კოშკებსა და მაჩუბებს შორის (ო. იოს., 8). 46. ცაზე ვარსკვლავები აინთო (ო. იოს., 73). 47. მომიხმო დაბალ ღობესთან ნელი ნაბიჯით (პ. იაშვ., 171). 48. ბუხართან კატაა ყოველთვის მდუმარი (პ. იაშვ., 121). 49. ახმეტას თითო ვაზზე ფუთს კრეფენ (მ. ლებ., 496). 50. მიდიოდა მეფე თუშეთს მამულების დასახედად (მ. ლებ., 432). 51. ჩვენს შორის ჯოხი გატყდა (თ. სახ., 785). 52. ცალი ფეხი სამარეში მიდგია (თ. სახ., 794). 53. გაწვიმდა ლამისყანას, აღარ ხითხითებს ვერხვი (ა. კალანდ., 293). 54. ასპინძას მიდის მეფე ერეკლე, თათარზე მიჰყავს ქართლის ლაშქარი (ა. კალანდ., 274). 55. გადაიარეს ბებერ ხერთვისთან, საათაბაგოს მტვერი აშალეს (ა. კალანდ., 274). 56. ლიდიას ოთახში ბნელოდა (ა. ყაზბ., 13). 57. კლდეებს შუა მოჩანს ზეცა, როგორც ვიწრო ლურჯი ხიდი (პ. იაშვ., 228). 58. და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი (ა. კალანდ., 251). 59. დიდი დავითის „სინანული" ისმოდა სიონს (ა. კალანდ., 250). 60. ჯონდო გარკვევით ხედავდა ოთახში მოფუსფუსე მოხუცს (გ. ფანჯ., 92). 61. და ტოტებს შორის დიდი ხნის მერე ისევ გამოჩნდა თეთრი ქალაქი (ო. ჭილ., II, 472). 62. გამოჩნდა აკაკი სცენაზე (მოგ. აკ., 54). 63. თემო მტკვარზე ჩავიდა (ნ. ონაშ., 95). 64. მოფარებულში ლოდებს შორის გულაღმა ესვენა დაჭრილი (ო. იოს., 38). 65. ჯერ კი

იმედის ქალაქს დავრჩები (მ. ლებ., 452). 66. ჰაერში იდგა უც-ნაური სიმწიფის ბანგი (მ. ლებ., 310). 67. ცაში გაფრენილან ნისლიანი მთები (ა. კალანდ., 235). 68. შენ მობრძანდები ჩემს სრას და სენაკს (ა. კალანდ., 12). 69. მარილზე გაგზავნა ალ-ზევანს (თ. სახ., 373). 70. შენს ქორწილში ცხრილით მოგიზიდავ წყალს (თ. სახ., 755). 71. დაახლოებით ასე, ოც წუთს ივარცხნა წვერი, მერე ადგა და კმაყოფილმა გასწია სახლში (მ. ლებ., 350). 72. ხალდეს ჭალაში ჯიხვებს აეაფრენ (მ. ლებ., 391). 73. კიბეს ეზოში შეჰყავდა ამსვლელი (კ. ყმა, 93). 74. ლუკა ჩარგალს ქორწილში წასულა (კ. ყმა, 281). 75. ვაჟა დარჩა ჩარგალში, ბაჩანა ხევსურეთში, გიორგი თიანეთში დასახლდა (კ. ყმა, 345). 76. მოულოდნელად კართან გავჩერდი (ნ. ონაშ., 56). 77. ცარი-ელ, ბნელ ტალანში ისე შევაბიჯე, როგორც საპატიმროში (ნ. ონაშ., 13). 78. კიბეზე ბაბუა ქელეშპი გამოჩნდა (გ. ფანჯ., 91). 79. გადმოდგებოდით წითელ-მწვანე ატლასის დროშით ნაზამ-თრალ მთაზე (მ. ლებ., 54). 80. თოფის ხმა როცა ხევიდან ხევში წავიდა და მიწყდა, ისევ დადგა ამაზრზენი სიჩუმე (ო. იოს., 98). 81. მწყემსმა გაშალა ფარა, ცეცხლი ჩაღდება რუსთავს (ა. კალანდ., 68). 82. მე ვთბები მზეზე, ვით უდაბნოს მწირი (ა. კა-ლანდ., 64). 83. შენს ალაყაფთან მსურს ლექსები, როგორც სისხლის წვეთები (პ. იაშვ., 138). 84. ზაზა სოფელში შევიდა, როგორც ეზოში მაყარი (პ. იაშვ., 235). 85. ცხრამუხის ტა-ლავერში სიმღერა გაისმის ქვესკნელის გუგუნით (გ. რობაქ., 137). 86. კონსტანტინეპოლის ერთ მუზეუმში ორი სარკოფაგია თითქმის ერთმანეთის გვერდით (გ. რობაქ., 101). 87. იქით დედაჩვენი ბუსარში თაფლს აღნობდა (ილია, 261). 88. ერთხელ დილას იოანე შემდგარიყო მაღალ სერზედ (აკაკი, 44). 89. ამ ბალის პატარა ამბავს შევიტან სახლში (პ. იაშვ., 162). 90. ნაო-მარ ქართველ მხედრობას ტრიალ მინდორში ეძინა (ლ. ასათ., 90). 91. მე ფანჯარასთან ვწვებოდი, საწოლი ახლოს იყო კედელთან (ო. იოს., 126). 92. მცხეთაში მეფემ ქორი ააფრინა (გ. რობაქ., 208). 93. ვიღაც მეზობელ სახლში ფანჯარას აღებს (გ. რობაქ., 218). 94. ეს ჯვარი ეხლაც ასვენია ტფილისის სიონში (გ. რობაქ., 79). 95. ახლა სოფლის მოედანზე ჯამბაზები გამოჩნდნენ (თ. ბიბ., 147). 96. კახეთს თოფები ტყვრებოდა (ვაჟა, 11). 97. ის ადამიანი ეხლა სახლში სანთელანთებული

გველოდება (ი. გრიშ., 62). 98. საყდარში არავის ელი (პ. იაშ., 100). 99. იმ ნაძქვამმა იმ დედაკაცს თავისი გულის ნაღველი იმ ოთახში დააგდებინა (ილია, 397). 100. თავად კი ლოცვა-კურთხევით ქალაქ ოძრახეს წავიდა (ლ. ასათ., 95). 101. ოლგა ვუშინ საღამოს პეტერბურგს გაემგზავრა (გ. რობაქ., 112). 102. მატასი გამორბის ვენახში (გ. რობაქ., 168). 103. სურდა ის ულაყი მოეგდო ხელში, მანგია ბალიაურის კართან რომება (თ. ბიბ., 20). 104. ჯერ ოთახში, შემდეგ ბაღში დადის, დადის კუდაბზეკით (პ. იაშვ., 221). 105. შენ ქოხის კართან თავსხმაში მხვდები (მ. ლებ., 334). 106. დედაქალაქში მოეიდა დესპანი გამოჩენილი (ლ. ასათ., 92). 107. იდგა ბუხართან ხელადა სველი (ლ. ასათ., 28). 108. ჩვენ პირველად საფიხვნოსთან შევხედით ერთმანეთს (თ. ბიბ., 106). 109. აიეტი დაბნეული დაალაჯებდა კარვებს შორის (ო. ჭილ., I, 32). 110. ამ კოშკებს შორის მხოლოდ ხსოვნა დაჩურჩულებს (თ. ბიბ., 44). 111. შვილებს ომში აგზავნიდნენ წარბშეკრული დედები (ლ. ასათ., 35). 112. რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა (ლ. ასათ., 71). 113. ამ სახლში ისევ უკრავენ შოპენს (ო. ჭილ., I, 584). 114. ასეთი ნაკვერჩხალი მხოლოდ უდაბნოში კიაფობს ხანდახან (გ. რობაქ., 104). 115. საჯალაბო სახლში ცეცხლი ანთია (გ. რობაქ., 278). 116. ცხენი თავდაღმართში შეშინებული მოპყვებოდა (თ. ბიბ., 400). 117. ჩვენ აქეთ ვრჩებით, შენი გზა კი ციდან ცას მიდის (მ. ლებ., 15). 118. და მზის ოქროსფერ, დიდ სალოცველში კოცონს დააგზნებს ქურუმი ცისა (ა. კალანდ., 216). 119. ლამისყანაში ცისკრის ვარსკვლავი შენი თვალებით თუ იხედება (ა. კალანდ., 284). 120. ქვესკნელში ეძებს საფარსა ღრუბელი გამოქცეული (ვაჟა, 82).

*§ 34. სახელი ადგილის გარემოებად ნათესაობითში.* 1. უშგულისკენ თავდავიწყებით მოჰქრის მხედარი, ზრიალებს ზარი, ხალხის ცრემლი იღვრება კოკით (მ. ლებ., 389). 2. აღმართ-აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა, იწვა გალაკტიონი, მოხუცს ბეჭი სტკიოდა (მ. ლებ., 342). 3. და შეყუჟულნი ქოლგის ქვეშ წყვილად, ფეხს აუქცევენ გუბეებს ფრთხილად (მ. ლებ., 540). 4. მიფრინავს ჩემი მეგობრის სული, მიაქვს ზე-

ცისკენ თეთრი ყვავილი (ა. კალანდ., 200). 5. და გოლიათურ მხრების შერხეეით, მგისკენ მიდიან ზლაპრული რაშით ჩემი ვერხვები (ა. კალანდ., 205). 6. შორს იყვნენ ალარ შეეძლოთ სამეგრელოსკენ მოხედვა (პ. იაშვ., 215). 7. ასეთი სიფრთხილ-ით ანთებდნენ სანთელს ხატის წინაშე (პ. იაშვ., 255). 8. თა-ვისუფლად იდგა, მაგრამ ტანსაცმლის ქვეშ მისი ჩამოსხმული სხეული იგრძნობოდა (გ. ფანჯ., 189). 9. ქურნალი გაკეცა, ტყავის ჩანთას დასწვდა და სასადილოსკენ გაემართა (გ. ფანჯ., 14). 10. თვითონ ტელეფონისკენ მობრუნდა, ნომრები აკრიფა, ვილაცას მოკლედ უთხრა (ნ. ონაშ., 59). 11. რაწამს სეიმონმა აპოლონი გაისტუმრა, მაშინვე ჩუღურეთისკენ გაემგზავრა (ა. ყაზბ., 79). 12. თოვლზე ფეხშიშველი ვიდექი ჩვენივე სახლის გვერდით აშენებულ ყორის თავზე (კ. ყმა, 229). 13. ხოლო იმ ბებერ კედლების შიგნით იწერებოდა ცხოვრების წიგნი (ო. ჭილ., II, 531). 14. ანას ერთმანეთზე ჩა-ფრენილი ხელები წინსაფრის ქვეშ დაემალა (ო. ჭილ., II, 133). 15. ხმამაღლა დაითვალა პეტრემ და თან საბნის ქვეშ მარ-ჯვენა ხელის თითებს ღუნავდა (ო. ჭილ., II, 299). 16. ცო-ცხალთვალება, მკვირცხლი ბიჭი წარსდგა მოხუცის წინაშე (ო. იოს., 10). 17. მაღლა რომ ავიდა, ხევისკენ ჩამოჰყვა და უფსკრულს ჩახედა (ო. იოს., 33). 18. ასეთ პირობებში მაინც თა-ვისუფლებისკენ უნდა მივისწრაფოდეთ (კ. ყმა, 130). 19. ჭრელი ქოლგის ქვეშ ქერა ევა თავდახრილია (მ. ლებ., 533). 20. სოფ-ლისკენ მივდენი თხებს და პირველ ლექსებზე ედარდობ (მ. ლებ., 421). 21. გავებუტები ამინდს და კედლისკენ გადავბრუნ-დები (მ. ლებ., 83). 22. ერთად დაკრძალეს მეტოქეები, ისინი ერთი ლოდის ქვეშ წვანან (ა. კალანდ., 389). 23. ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი, გზას წისქვილისკენ გავლეევდით (ა. კალანდ., 410). 24. ჭიშკრისკენ ბილიკი ელავს (პ. იაშვ., 205). 25. მო-ხუცი კაცი რუბენას გალიებისაკენ გაუძღვა (გ. ფანჯ., 104). 26. მე-ზღვაური დაურიდებლად გამოძვრა ხიდური ამწის ქვეშ, რომელსაც ჰაერში აეტანა წითელი კატერი (გ. ფანჯ., 120). 27. დალ-ლილი ნაბიჯით წამოვიდა ჩვენსკენ (ნ. ონაშ., 74). 28. რამდენ-იმე დღეში აქედან წავიდოდი მდინარისაკენ (ნ. ონაშ., 10). 29. ის გაბრუნდა პატარა მინდვრისაკენ (ა. ყაზბ., 173). 30. შემოვუარ-ეთ ველს გარშემო და დავუყევით შინისაკენ მიმავალ ბილიკს

(კ. ყმა, 268). 31. საღამოობით ფაიფურის დიდმუცლიანი ლამპის გარშემო იკრიბებოდნენ სახლის ბინადრები (ო. ჭილ., II, 393). 32. გული კისერში ჰქონდა მობჯენილი და ტირილით იხრჩობოდა, როცა ჩამოსვლის წინ გამოქვაბულისკენ გაიხედა (ო. იოს., 128). 33. ჩვენ თვალს ვაყოლებთ სამხრეთისაკენ გაფრენილ ჩიტებს (მ. ლებ., 501). 34. პირი იმ ქვეყნისაკენ აქვს მობრუნებული (თ. სახ., 491). 35. გაზაფხულზე ვაჟა-ფშაველა თბილისისაკენ გაეშურა ფერადზოლიანი ხურჯინით (კ. ყმა, 241). 36. კლდეებისაკენ წასულა, ახლა მურყნიანს სწვევია (ა. კალანდ., 411). 37. დასავლეთისაკენ უკვე დიდრონი ღრუბლები მიისწრაფოდნენ (გ. ფანჯ., 60). 38. თოფს ყოველთვის თავდაღმა ჰკიდებდა, ახლა კი ლულა პირდაპირ ჭერისკენ იყო მიმართული (გ. ფანჯ., 95). 39. იმისი თვალები უსაგნოდ მიიქცნენ სივრცისკენ (ა. ყაზბ., 104). 40. ძროხები ხეების ქვეშ, ყურეში, ერთად შეყრილიყვნენ (კ. ყმა, 303). 41. ანეტა სამჭედლოს წინ ირმის ცრემლჩამდგარ თვალებს გადააწყდა (ო. ჭილ., II, 264). 42. სარდიონი გალავნის გასწვრივ ნელა მიცოცავდა მიწაზე (ო. ჭილ., II, 328). 43. მდინარესთან მოფარებული ადგილი მოძებნეს და დაჭრილი წყლის პირას დაუშვეს (ო. იოს., 26). 44. მაქსი მოდუნდა, კედლისკენ გადაბრუნდა, თვალი გამოქვაბულის უსწორმასწორო კედელს გაუშტერა (ო. იოს., 64). 45. ბიჭები ნელა გაემართნენ მდინარისაკენ (გ. ფანჯ.,. 88). 46. ის თავის ცხენზე „ნიკორაზე" იჯდა და პირდაპირ ჩვენსკენ მოდიოდა (კ. ყმა, 304). 47. იქიდან გავწევთ ჩარგლისაკენ (კ. ყმა, 187). 48. სულ მთისაკენ მიუწევდა გული (კ. ყმა, 188). 49. დაჯდებოდა პანსიონის ბაღის ნიგვზის ხის ქვეშ წასაკითხად (კ. ყმა, 82). 50. იმ პატარა ბაღთან მერმეც არაერთგზის ამივლია და ჩამივლია, როდესაც დროდადრო დიდებულ ქართველთ მთაწმინდისაკენ მივასვენებდით (მოგ. აკ., 87). 51. მამაკაცური ტანსაცმლის ქვეშ თოვლით დაზელილი, ვარდისფერი, ცეცხლივით მოქნილი და ცეცხლიეით ღონიერი სხეული იმალებოდა (ო. ჭილ., II, 260). 52. მე თოვლს ველოდი ძალიან დიდხანს, ცისკენ გარბოდა თვალი თავისით (ო. ჭილ., II, 524). 53. მატარებლისკენ ბავშვიანი გამორბის ბავშვი (მ. ლებ., 297). 54. ბრუნდებიან დათვები კვლავ თამარის კლდისაკენ (მ. ლებ., 161). 55. თოვლის ქვეშ ზღაპარს იტყვის ენძელა (ნ. სამად., 25).

56. მიესალმები ჩემ ეზოს წინ ატუზულ ხეებს (ნ. სამად., 100). 57. შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ ჩრდილოეთ ესპანეთისკენ (შ. ძიძ., 19). 58. ერთიღა დამრჩა... შენს ცრემლების ქვეშ დავისვენო (ნ. სამად., 141). 59. და კედლის იქით გამოჩნდა ბაღი, როგორც სინათლე წყვდიადის შემდეგ (ო. ჭილ., II, 452). 60. ასე უპატრონოდ ამ დაქცეული ჩარდახის ქვეშ ამომდის სული (ილია, 367). 61. სუფრის გარშემო ლაპლაპებდნენ წმინდა სანთლები (ი. გრიშ., 38). 62. საავადმყოფოს წინ დიდი ბაღი იყო (გ. ფანჯ., 301). 63. გვირაბის ზემოთ რაღაცამ უეცრად გაიტკაცუნა (ო. იოს., 147). 64. თითქოს მე ვიყავ გამოქვაბული და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს (ნ. სამად., 35). 65. ბილიკის ქვევით შვეული ტინის მოწითალო, რუხი კედელი წამოიმართა (ო. იოს., 117). 66. სადილი მოწყობილი იყო ვენახის ბოლოს ერთ დიდ ხეივნის ქვეშ (კ. ყმა, 75). 67. დაემსგავსა შენი ბინა დილეგს, მთაწმინდისკენ ველარ ხედავ ბილიკს (მ. ლებ., 317). 68. ქანაობს ბუდე გარეჯის ცის ქვეშ... მას კატასავით ეპარვის ბინდი (ა. კალანდ., 123). 69. შევხტი ფანჯარაზე, გავამტვრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისაკენ (აკაკი, 136). 70. შუაღამის დროს ათასწლოვან მუხა-იფნების ქვეშ შემოეკრიბა თავისი ლაშქარი (ვაჟა, 322). 71. მამლების ძიძგილაობა უფრო დუქნების წინ იმართებოდა (ი. გრიშ., 25). 72. ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩეარებრ ჰქელვიდა (ილია, 117). 73. ძველი ხალხი, ვიდრე აბანოში არ განიბანებოდა, ოჯახის წინაშე ვერ წარსდგებოდა (ი. გრიშ., 64). 74. შენ კითხულობდი უიღბლო ლექსებს და თხელ მკერდის ქვეშ გტკიოდა გული (ნ. სამად., 26). 75. თქვა და უბრძანა ჯარს ამხედრება, საქართველოსკენ უკან გაბრუნდა (აკაკი, 65). 76. სახლის ქვეშ, ბანზე, ჩალათივა ინახება, რომელსაც საწოლად იყენებენ და საქონლის საკვებადაც (კ. ყმა, 239). 77. ზეცის ქვეშ ნელა მიიწევდა მთების ყევარი (ნ. სამად., 97). 78. და მეფის ირგვლივ მოგროვდნენ ვარძიის ციხე-ქალაქში (ლ. ასათ., 95). 79. შენ დადიხარ თბილისის ცის ქვეშ არხეინად (ლ. ასათ., 133). 80. წყაროს წინ თიხის უზარმაზარი გომბეშო დადგეს (ო. ჭილ., I, 218). 81. ღელეების ქვეშ დაბორკილი ცხენი ბალახს ახრამუნებდა (ო. ჭილ., I, 104). 82. პირდაპირ წყაროსაკენ გზას ვერ

გააგრძელებდა (ო. იოს., 132). 83. მე საჟიხვნოს წინ ვიდექი (თ. ბიბ., 109). 84. ჩრდილოეთისკენ ბუნება უფრო და უფრო წარმტაცია (შ. ძიძ., 27). 85. მთვარე ოდას გადასცილდა და ტყის უკან დაიმალა (ლ. ასათ., 115). 86. ყოველი მხრისკენ აფრინა სისხლით დამთვრალი ისრები (ლ. ასათ., 96). 87. დუქნების წინ შეკრებილი უსაქმურები ძლივს უძლებდნენ ცდუნებას (ო. ჭილ., I, 218). 88. აიეტმა ტახტის უკან კედელში განჯინა გამოაჭრევინა (ო. ჭილ., I, 66) 89. ტყვეები მწვერვალებისაკენ წაეყვანათ (ო. იოს., 33). 90. მოხუცმა წამოაყენა, მერე ზურგი შეაქცია და მონასტრისაკენ წავიდა (თ. ბიბ., 63). 91. უცბად დაინახა მისკენ მომრბინალი კურდღელი (ვაჟა, 294). 92. ღვთისმშობელს ცაცხვის ქვეშ დარჩება თეთრი ქოშები (ნ. სამად., 144). 93. შეშინებულმა მტრის ჯარმა პირი იბრუნა ხიდისკენ (ლ. ასათ., 91). 94. ბროლის ველისკენ ვაფრინოთ ჩვენი სამშობლოს ჯარები (ლ. ასათ., 93). 95. წმინდა მაცხოვარის ხატის წინ ფეხშიშველი ლოცულობდა თამარი (ლ. ასათ., 58). 96. მან შემთხვევით მედეას ოთახის წინ ჩაიარა (ო. ჭილ. I, 121). 97. ხალხი სიმღერით გროვდებოდა ძეწნებისა და ტირიფების ქვეშ (ო. ჭილ., I, 171). 98. ორივემ თვალი სუფრისაკენ გაეაპარეთ (თ. ბიბ., 35). 99. წინათ ამ მუხის ქვეშ ტრადიციულად იკრიბებოდნენ ბასკები (შ. ძიძ., 41). 100. და ხვამლის მთისაკენ მიფრინავს ძერა (ლ. ასათ., 38). 101. მოჰყავდათ ჩემსკენ ფასკუნჯებს ფრენით პირმშვენიერი მნათობი დღისა (ლ. ასათ., 22). 102. ახლა ბალიშის ქვეშ შეაცურა ხელი და შვებით ამოისუნთქა (ო. ჭილ., I, 120). 103. ვანელები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ სასახლისაკენ (ო. ჭილ., I, 42). 104. კოშკის თავზე ავარდნილი ცეცხლის ქვეშ ჯარისკაცები თაედახრილნი იდგნენ (თ. ბიბ., 177). 105. ნიშა ხარები დაფრთხებიან მონასტრის ზევით (ნ. სამად., 51). 106. ქალაქის ირგვლივ შემოჯარულ მთებზე ძველი ციხე-კოშკების ნანგრევები მოჩანდა (ნ. ონაშ., 143). 107. გულის შიგნით ჩაჯვიდგა რაღაც ნაღველის მსგავსი (ლ. ასათ., 86). 108. ფრიქსეს ვაჟები თაღის ქვეშ შეყუჟულიყვნენ (ო. ჭილ., I, 62). 109. ჩრდილოეთისაკენ გამოქანდაკებულია კაცის მოჭრილი ხელი (ი. გრიშ., 41). 110. არჩიბალდ მეკეში მიეშურება საქართველოსაკენ (გ. რობაქ., 136). 111. დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლეთისაკენ თუ აღმოსავლეთის ქარმა დასავლეთისაკენ

—, ტფილისმა არ იცის (გ. რობაქ., 219). 112. გაშლილი სუფრის გარშემო ჩონგურს უკრავდნენ ქალები (ლ. ასათ., 113). 113. სოსლანის გვერდით პირქუში მხარგრძელი განგაცვიფრებდათ (ლ. ასათ., 95). 114. და შენი დიდი გულის წყალობით გადაიყვანო მდინარის იქით (ო. ჭილ., II, 526). 115. ქერუბიმის ფრთის ქვეშ სიმშვიდეა მარად (ა. კალანდ., 348).

*§ 35. სახელი ადგილის გარემოებად მოქმედებითში.* 1. ჩემი ბავშვობის სარკმლიდან გხედავ და ვსვამ ტირილით შენს სადღეგრძელოს (მ. ლებ., 131). 2. და გადმოდგება ქალი აივნით (მ. ლებ., 64). 3. და დამცქერიან მონაცრისფრო დაკბილული ფოთლებიდან თვალდაჭყეტილი უნაბისფრად წვრილი მარცვლები (მ. ლებ., 462). 4. ჩამოდის იგი ძირს კვარცხლბეკიდან და ჭაბუკ ოსტატს შიგ შუბლში ჰკოცნის (მ. ლებ., 359). 5. ახლა კი ის ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევაზე კიდევ ფიქრობდა (ო. იოს., 63). 6. წელში მოხრილი ბაუმანი გვირაბიდან გამოძვრა (ო. იოს., 54). 7. ნიკო უნდა წასულიყო დაწესებულებიდან (ნ. ონაშ., 84). 8. სათვალის მინებში წამით გამკრთალი ნაპერწკალიეით ირეკლებოდა ღრუბლებიდან გამომკრთალი ჩამავალი მზე (ნ. ონაშ., 199). 9. როცა იმ ცხენიდან გადმოეარდა, ყველაფერი გათავდა (ო. იოს., 75). 10. დანარჩენებს გამოქვაბულიდან თავის გამოყოფა აუკრძალა (ო. იოს., 66). 11. სიმონ ყანჩაველის ბინიდან გააფთრებული კივილი ისმოდა (გ. ფანჯ., 191). 12. უკანასკნელ წუთზე მაღალი მცველი წონასწორობიდან გამოიყვანა (გ. ფანჯ., 139). 13. როცა ღობიდან ეზოში გადაიხედა, მოხუცი არსად ჩანდა (გ. ფანჯ., 90). 14. ისინი ვარდის მიწიდან ქრიან, წალკოტებიდან, ტყიდან, ხნულებით (ა. კალანდ., 334). 15. გახსოვს, ლერწმების სანაპიროდან ნიავეს მოჰქონდა ლერწმის ქვითინი (ა. კალანდ., 353). 16. გამოგვედევენა არაგვი მთიდან მოსული როკვითა (ა. კალანდ., 408). 17. მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი (ა. კალანდ., 251). 18. ლოდის აცლა გულიდან (თ. სახ., 361). 19. ქარქაშიდან ხმლის ამოღება (თ. სახ., 675). 20. და ჩვენს მხარეში გაგვიმამაცდა იმერეთიდან მოსული ხალხი (პ. იაშვ., 109). 21. მოდის ქარიშხლიანი ამინდი

ცის შავი უფსკრულებიდან (პ. იაშე., 143). 22. ერთ დღეს თიევის ქოხიდან მოეიდა კაცი დაბალი (პ. იაშე., 143). 23. ლივადიიდან დავყურებდით ცისფერ იალტას, სადაც გადაწყდა ბედ-იღბალი იმპერიათა (მ. ლებ., 534). 24. ბინდი მიცოცავს ხეობიდან და დინჯად ამოდის მთვარე (მ. ლებ., 456). 25. გაშვერილია ბავშვიანი ბავშვისაკენ თითი ყველა სარკმლიდან (მ. ლებ., 297). 26. გდის სიხარულის ცრემლები, ცით შვიდმა გუნდმა დარეკა (მ. ლებ., 450). 27. გამგე ნიკოს მაგიდას მეორე მხრიდან მიუჯდა (ნ. ონაშ., 83). 28. ისიც მორჩილად გადმოვიდა მისი მანქანიდან (ნ. ონაშ., 92). 29. მან მოაჯირიდან ძლიეს გადაყო უკისრო თავი (ნ. ონაშ., 91). 30. იმ მუზეუმიდან სადღაც გაქრა მინიატურები (ნ. ონაშ., 105). 31. აღარც ქუჩიდან მოისმოდა გამვლელების ფეხის ხმა (გ. ფანჯ., 29). 32. ის იყო ფანჯრიდან გადმოსვლას აპირებდა, რომ ურმის ჭრიალი გაიგონა (გ. ფანჯ., 93). 33. პატარა ბოთლიდან ჩვარს ზეთი დააწვეთა (გ. ფანჯ., 91). 34. ზამთარში ამოვყრიდით შეციებულ მაქოლოს ჩალიდან (კ. ყმა, 302). 35. გუბეებიდან კალმახები ამოგვყავდა, წყლიან ქვაბში ვყრიდით (კ. ყმა, 269). 36. სოფლებს ამ დროს თივა თრევით ჩამოაქვთ მთიდან (კ. ყმა, 302). 37. ცხვირიდან ძმარი ადინა (თ. სახ., 820). 38. ცოფსა პყრის პირიდან (თ. სახ., 814). 39. ანაზდად ციდან გაისმის რეკა (მ. ლებ., 359). 40. ამ პატარა კუნძულიდან წავალ, წავალ ქვეყანაში (მ. ლებ., 467). 41. კლდიდან ღრუბლის ნახირი ცაზე გამოეხატა (მ. ლებ., 526). 42. ის გამოვარდა გოგონების გუნდიდან უცებ (მ. ლებ., 459). 43. ისევ გაწვიმან მაღლით წვიმები (ა. კალანდ., 455). 44. მე სიხარულის მაღალ ტახტიდან გადმოვხედავდი თქვენს მწუხარ სენაკს (ა. კალანდ., 98). 45. მან დამშეულივით გამოსტაცა ხელიდან პურით სავსე თეფში (ნ. ონაშ., 104). 46. სწორედ ამ დროს მუზეუმის ტალანიდან გასაღების ჩხარაჩხურით გამოვიდა ბექა (ნ. ონაშ., 125). 47. მის მსუყე მჭევრმეტყველებას დარბაზიდან ვიღაცამ დაუნდობლად გადაასხა ცივი წყალი (ნ. ონაშ., 186). 48. შუშებიანი კარიდან მოჩანდა განმარტოებით მდგარი მოხუცი ქალი (ნ. ონაშ., 50). 49. თემური მოულოდნელად ჩამოსულა თბილისიდან (გ. ფანჯ., 91). 50. დედა შაშვი ჭახჭახით გამოფრინდა კუნელის ბუჩქიდან (გ. ფანჯ., 95). 51. წყაროდან წყლის ამოტანა ვერავინ გაბედა (ო. იოს., 94). 52. უკვე გა-

ჭირდებოდა ერთი გასროლით ბილიკიდან ცხენის გადაგდება (ო. იოს., 50). 53. ფანჯრიდან შემოსული დილის მზის სხივებზე მტერის კორიანტელი თეთრი ნისლივით ირეოდა (ნ. ონაშ., 36). 54. მზე ოკეანით ამოვა მძიმედ (ა. კალანდ., 165). 55. და დიდებული თვის ნაბიჯით ცით მიწისაკენ მოემართება (ა. კალანდ., 266). 56. დედამიწის ზურგიდან ალიგავა (თ. სახ., 151). 57. ხელიდან დამწველი ცეცხლი არ გაუეარდება (თ. სახ., 912). 58. ჩვენ გამოვედით დილით ქოხიდან (მ. ლებ., 77). 59. მატარებლიდან ეფერება თვალებით მგზავრი მშვენიერ სოფლებს (მ. ლებ., 313). 60. თვალს ადევნებს ქალაქიდან მოვარდნილ ვეშაპს (მ. ლებ., 297). 61. მიტომ დავტვირთე ლამაზ ქედიდან დიდი საპალნე სავსე ლექსებით (პ. იაშვ., 149). 62. სოფლებიდან ჩამოსული გლეხები უსმენდნენ მას (პ. იაშვ., 248). 63. ვთარგმნიდი პატარა წერილ ამბებს რუსული გაზეთებიდან (კ. ყმა, 153). 64. უნაგირიდან მძიმედ გადმოიღო ჭრელი ხურჯინი (კ. ყმა, 138). 65. აქ ჩვენ უეცრად ჩამოვხტით ეტლებიდან (კ. ყმა, 91). 66. გალიიდან ძაღლების გულისწამლები წკმუტუნი ისმოდა (გ. ფანჯ., 104). 67. მიცვალებულს რომ გაუვლიდა, ესროდნენ მთის ფერდობიდან (ო. იოს., 132). 68. თაჯის ზარივით წკრიალა და მჭახე ხმა გვირაბიდან გავარდა (ო. იოს., 89). 69. ვიწრო ფანჯრიდან ოთახში მზის ალმაცერი სხივი შემოდიოდა (ნ. ონაშ., 28). 70. სიწითლემ ამკრა ყელიდან ლოყებზე, ლოყებიდან ტუჩებსა და შუბლზე (ნ. ონაშ., 81). 71. ქარი მოსკდება, მწვერვალებიდან იწყება ღორღთა და ლოდთა ცვენა (ა. კალანდ., 446). 72. ერთხელ ლუკას თიანეთიდან ექიმი ეწვია (კ. ყმა, 297). 73. კლდიდან ნაჟონი წყალი მაინც სულ სხვა არის (კ. ყმა, 188). 74. როდესაც სადილიდგან ადგნენ, მაშომ ჩუმად ხელი დაუჭირა ნატაშას (ა. ყაზბ., 132). 75. გულმოკლული გამოვედი კაბინეტიდან (მოგ. აკ., 150). 76. უკვე ჭიშკრიდან ფეხაკრეფით წავედი ოთახისაკენ (პ. იაშვ., 258). 77. ვინმე მთვლემავი ვაჭარი ხელს გაიშვერდა ტახტიდან (პ. იაშვ., 215). 78. გოდლიდან ისრებს ისვრიან (მ. ლებ., 279). 79. მიაყვირებდა დიდუბიდან საყვირი თბილისს (მ. ლებ., 310). 80. არა, ხმა იგი მთვარიდან მოდის (ა. კალანდ., 323). 81. მობრუნებული მინდვრიდან ქარი მთვრალი კაცივით აწვება ლობეს (ო. ჭილ., I, 544). 82. გიორგი მაშინ ბავშვი აღარ იყო, მისი უმცროსი ძმა უკვე „აღუს" იძახდა და არტახებიდან

ამოძრომას ლამობდა (ო. ჭილ., II, 90). 83. კლდიდან კლდეზე ხელის მოსაკიდი რომ ვერ იპოვა, ისევ ამხედრდა (ო. იოს., 44). 84. საქაღალდიდან ხელის ნელი მოძრაობით ამოიღო ქვითრის წიგნაკი და უბრალო ავტოკალამი (ნ. ონაშ,. 23). 85. ზღვის წიაღიდან მზე რომ ამოვა, მიესალმება ჩემს ლამაზ ყვავილს (ა. კალანდ., 76). 86. ციდან ჩამოვარდა თუ მიწიდან გაჩნდა (თ. სახ., 807). 87. მასწავლებელმა გაათავა საუბარი და ამხანაგების ხმაურობამ გამოიყვანა იმ ტკბილი ოცნებიდან (მოგ. აკ., 69). 88. მოაღწია საღამომ, სანთლები აანთეს, მაგრამ ლიდია თავის ოთახიდგან არ გამოდიოდა (ა. ყაზბ., 13). 89. ხინკალი რომ ამოყარა ქვაბიდან, სუფრაც მაშინ გაშალეს (კ. ყმა, 17). 90. დედაჩემის სიკვდილი რომ გაეგოთ, ისინი ყვარლიდან წამოსულიყვნენ (კ. ყმა, 229). 91. ამ დროს თვალებიდან ღაპაღუპით ცრემლები წამომსკდა (მოგ. აკ., 69). 92. როგორც აფრის ტკაცუნი მოვარდნილი ზღვიდან, ისეთი ვაჟკაცური გაქროლება მინდა (პ. იაშვ., 159). 93. შენ ხსოვნიდან იმ ტკივილებს ამიშლი (პ. იაშვ., 106). 94. მხრებიდან სახლისტოლა ზვინი გადმოიღო (მ. ლებ., 165). 95. თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია (მ. ლებ., 233). 96. ზმუილით, ზლაზვნით გამოდიოდა ბაგაბოსლებიდან გამოზამთრებული პირუტყვი (ო. ჭილ., II, 262). 97. ქალაქიდან მოჰქონდათ წიგნები და გაზეთები (კ. ყმა, 249). 98. ჯაფარიძის ბოსტნიდან მესხებისას ჩადიან (მ. ლებ., 160). 99. მაგიდიდან სასწრაფოდ აალაგეს ყველაფერი (ნ. ონაშ., 145). 100. ისინი გულისფანცქალით მოელოდნენ ვაჟას თბილისიდან დაბრუნებას (კ. ყმა, 248).

*§ 36. სახელი ადგილის გარემოებად ვითარებითში.* 1. საჯავახოდან ბერძნის წყარომდე და იმის იქით თითქმის მთელ გზაზე აყვავდა ნუში და ფურისულა (ა. კალანდ., 41). 2. სამარადისოს ჩურჩულებს ვიღაც გორიდან თითქმის უფლისციხემდე (ა. კალანდ., 167). 3. შემოიკრიბნენ ტაძრად გლეხკაცნი, კუთხეში ჩუმად, თავისთვის მიდგნენ (ა. კალანდ., 232). 4. ჩამონგრეული შენი კედლები აშლილან ცამდე (ა. კალანდ., 345). 5. მდინარე შარახეულიდან ბორბალოს მთამდე დააწესა მინდვრებისა და ტყეების დაცვა (კ. ყმა, 85). 6. გზად თელავიდან

მომავალი ვაჟა წამოეწია (კ. ყმა, 16). 7. ათასი კილომეტრი თოვლში შენ გაგივლია მარუხიდან კრასნოდარამდე (მ. ლებ., 340). 8. წყალი მუხლამდე რომ მომწვდა, მთელ სხეულში უცნაურად სასიამოვნო გრძნობა ჩამეღვარა (ნ. ონაშ., 22). 9. თხილის ბუჩქებიდან მოხუცის ოთახამდე სულ ერთი გადარბენაა (გ. ფანჯ., 90). 10. უბრალო ნაცრისფერი ქსოვილის სპორტული პერანგი ეცვა, სახელოები იდაყვებამდე ჰქონდა წამოწეული (გ. ფანჯ., 189). 11. მე ვიღლებოდი და ყოველ ღამე სიზმრად ვხედავდი ზღვებსა და მინდვრებს (ო. ჭილ., II, 496). 12. ჩალისფერი, ბირკით გადაპენტილი ფაფარი ცხენებს ლამის კოჭებამდე დასთრევდა (ო. ჭილ., II, 65). 13. მოდიან მათთან ანგელოსები და ჯრუჭის ტაძრად ისადგურებენ (ა. კალანდ., 163). 14. ზღვად დავინახე ისევ იგივე (ა. კალანდ., 343). 15. მიხა მცხეთამდე წაგვიყვანდა მატარებლით, იქ კი ვაჟა გვიცდიდა ცხენებით (კ. ყმა, 238). 16. ვაჟამ საერთოდ წელიწადში ორჯერ იცოდა მთიდან ბარად ჩამოსვლა (კ. ყმა, 181). 17. მე შვილივით დაგიტკბები, სახლს დავტოვებ, წამოგყვები ტყე-ველად (მ. ლებ., 337). 18. ჩვენამდე ზოგჯერ ფრინველიც ვერ ამოდის (ნ. ონაშ., 5). 19. წყაროდან გამოქვაბულამდე თოკს გავჭიმავ (ო. იოს., 53). 20. დალეული და ჩამომხმარი სიმონი ლევანს მხრებამდეც ვერ სწვდებოდა (გ. ფანჯ., 237). 21. ეს ამბავი სიკვდილამდე ესიზმრებოდა და სიმწრის ოფლში გაღვრილს წამოაგდებდა ხოლმე საწოლიდან (ო. ჭილ., II, 74). 22. არაყი ერთბაშად გადაჰკრა და ხელი მოისვა ყანყრატოდან ჭიპამდე (ო. ჭილ., II, 261). 23. ქარი მარხვეს და ყვავილებს მაცლის, ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად (ა. კალანდ., 32). 24. და იშვიათად ველებზე გაქლით მეზობელ სოფლად გადავა მგზავრი (ა. კალანდ., 132). 25. კარებამდე ვერ ენდობი (თ. სახ., 313). 26. იდგა თედო მუხლამდის წყალში (კ. ყმა, 183). 27. იყო თოვლის უდაბნო ზღვიდან ზღვამდე გაშლილი (მ. ლებ., 39). 28. ხალხი ხიდის საძირკვლამდე ამოტოტინებულ მდინარეზე გაცვივდა (ო. იოს., 59). 29. ორივე ხელზე იდაყვებამდე შავი ხელთათმანები ჰქონდა წამოცმული (გ. ფანჯ., 199). 30. ამბარები და ქვევრები ფსკერამდე დაეყვანა ზამთარს (ო. ჭილ., II, 265). 31. ძირამდე ჩამწვარი სანთლის ალი სუსტად ფეთქავდა (ო. ჭილ., II, 240). 32. სიზმრადაც ვერ გიხილავ მხიარულს

(ი. ჯოლბ., 79). 33. ვეძებ სასანთლეს მცირე ტაძრად გლოვის სანთლისთვის (ა. კალანდ., 155). 34. ბარად შრიალებს ჭადარი, მზეს უმღერიან ჩიტები (ა. კალანდ., 27). 35. ცამდე მაღალი ძეგლი რად გინდა? (ა. კალანდ., 67). 36. ყოველი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ლადო ხელით აყვანილი ეტლამდე ან სასტუმრომდე უნდა მიგვეყვანა (მოგ. აკ., 67). 37. ყელამდე სავსე ვარ შენდამი ზრუნვით, როგორც ზღვა თევზით და ტყე ფრინველით (ო. ჭილ., II, 455). 38. ამ საინტერესო საკითხებმა ბევრად უფრო გვიან მოაღწია ჩემს ცნობიერებამდე (მოგ. აკ., 353). 39. იმ ხანებში სოფლად არავინ იყო სურათის გადამღები (კ. ყმა, 300). 40. დაინამება მინდვრად შროშანი ციურ ცრემლითა (ა. კალანდ., 23). 41. ცად აიშლება გუნდი ყორანთა, ლეშის საძებრად წაეა ყორანი (ა. კალანდ., 202). 42. ქალიშვილს ტბის უხრეშო ნაპირზე ტალახი წვივებამდე მიწვდებოდა (ო. იოს., 256). 43. იცოდა გზა ზვინიდან ბოსლამდე, საქონლის ბოგამდე და საპირემდე (ო. იოს., 263). 44. ის დადიოდა დაბად და სოფლად, ხალხის ჭირს და ლხინს შუა იყოფდა (აკაკი, 52). 45. დაუშენს წვიმა, წვივებამდე გაიწუწება (ნ. სამად., 143). 46. ეს დაუშრეტელი მასალა სიმღერის ფორმით მოდიოდა ჩვენამდე (ი. გრიშ., 68). 47. კედლამდე მისვლა არ დასჭირვებია (ო.იოს., 71). 48. იცოდე, ცამდე მართალი ხარ (ო. იოს., 221). 49. ამ ამბავს მიუღწევია ვაქბატონამდისაც და ჩამოვარდნილა ორ ოჯახს შორის დიდი უსიამოვნება (აკაკი, 91). 50. ცხედარი შუქზედ ახელდა თვალებს, მინდვრად, მუხის ქვეშ, ტიროდა ქარი (ნ. სამად., 125). 51. სადარბაზოს შესასვლელამდე ხუთი ნაბიჯიღა რჩებოდა (გ. ფანჯ., 520). 52. ეს „ტკბილად მოუბარნი“ იყვნენ ჩვენი აშუღები, რომლებიც დადიოდნენ სოფლად თუ დაბაქალაქად (ი. გრიშ., 68). 53. ცივ ლითონს მუცელი რომ არ მიდებოდა, ხერხემლამდე აიტანა (ო. იოს., 147). 54. ვახო მთლიანად მთამდე ცხენებს დასდევდა (ო. იოს., 144). 55. და შეუმცდარი ამ ქვეყნად მეფეცა ნუ გეგონებათ (აკაკი, 38). 56. შენ არ დაეძებ დროთა მწვერვალებს, ყელამდე შფოთავ, რაღაცას ნანობ (ნ. სამად., 48). 57. ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარებამდინ მივიტან (ილია, 367). 58. ჯარისკაცმა შევაკებამდე კენესით და ოხვრით მიაღწია (ო. იოს., 138). 59. ზურნა მიაცილებდა მას აბანოს ბჭემდე (ი. გრიშ., 61). 60. და გზად არავინ არ ჭაჭანე-

ბდა, ალბათ მთვლემარე გუშაგის შიშით (ო. ჭილ., II, 452). 61. ახლა წყარომდე აღარ მოკლავენ, იქნებ ჭურჭლების ავსება აცალონ (ო. იოს., 132). 62. ფოთამდე ორ დღეს მოვუნდი სიარულს (აკაკი, 151). 63. ცად გადმოსულა არწივი ბუმბერაზადა ტრიალებს (ვაჟა, 163). 64. ბილიკის დასაწყისამდე შეეძლო ასე მოფარებულს ეელო (ო. იოს., 116). 65. ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო (ლ. ასათ., 56). 66. კამეჩიც რქენით გაიჭრა ველად (ლ. ასათ., 104). 67. ზევიდან ხელისგულივით ხედავს ბილიკს ბიჭების სამალავამდე (ო. იოს., 60). 68. საყარაულოდ გასული ჯარისკაცი თავიდან ფეხებამდე გასაწური ხდებოდა (ო. იოს., 61). 69. ჩააღწევს კი თბილისამდე? — იკითხა სახენაჭრილობეემა კაცმა (გ. ფანჯ., 410). 70. იქნებ სამოთხე იყოს ქვეყნად მოსული ციდანა (ვაჟა, 170). 71. ცუცამ ტახტამდე მიაცილა შეილი (ო. ჭილ., I, 197). 72. ბაზრამდე ფეხით დაადგა კარგა გრძელ გზას (ნ. ონაშ., 224). 73. კაცმა სიბერემდე უნდა მიაღწიოს (ნ. ონაშ., 219). 74. მას ხელები იდაყვებამდე მიწაში ჩაეფლო (ო. ჭილ., I, 356). 75. ირემი წყალში შევა მუხლამდე, ლამაზი, სახეგაუქირდავი (ნ. სამად., 158). 76. აყაყანებული სოფლის ხმა მის ყურამდე აღწევდა (თ. ბიბ., 7). 77. მოედივარ შენთან, ჩემო ძმაკაცო, სხვა მეგობარი ქვეყნად ნუ გინდა (ლ. ასათ., 63). 78. და ეს ქვეყანა აივსო ცამდე შხამით და გესლით მორიელისა (ლ. ასათ., 65). 79. ოთარ ნიჟარაძემ მეგობარი ქუჩამდე ჩააცილა (გ. ფანჯ., 615). 80. ვერცხლის გალია ჰკიდია ცაზე და ცად მიგიძღეის ლურჯა ცხენებით (მ. ლებ., 66). 81. აქამდის ყველა აქებდით, ყველას აგყავედით ცამდისა (ვაჟა, 171). 82. ადამიანს გმირობისათვის ისევ ადამიანი აქეზებს და თავგანწირვამდე მიჰყავს (ო. იოს., 230). 83. წყაროსაკენ მიმავალი ბილიკი მოსახვევამდე მივიდა (ო. იოს., 127). 84. ჭიშკრამდეც ძლივს აღწევდა ძაღლების ყეფა (ო. ჭილ., I, 446). 85. ფარნაოზმა ისევ გაიარა მთელი გზა ქალაქის გალავნამდე (ო. ჭილ., I, 357). 86. ძლივს გააღწია მახარაანთ კალომდე (ნ. ონაშ., 208). 87. სამოგზაუროდ მიდის მთაბარად (ლ. ასათ., 19). 88. მეც შენსავით ერთ დროს ამ ქვეყნად კაცი ვიყავი (ლ. ასათ., 76). 89. ხელი უფრო და უფრო თამამდებოდა და კარს ყურთამდე აღებდა (თ. ბიბ., 109). 90. ლაშქრად არავის მივ-

ყავდი (თ. ბიბ., 138). 91. მან ძლივს მიატანა ჭიშკრამდე (ნ. ონაშ., 207). 92. მურთხები ქვეყნად არ იარსებებენ (ო. იოს., 285). 93. აგანთებ, აგაბრიალებ ცამდე თავ-ფეხებიანადა (ვაჟა, 179). 94. რად გინდა მეგობარო, სოფლად დაბრუნება (ვაჟა, 198). 95. და ეტყვის ახლა ქვეყნად გმირს გმირი (ლ. ასათ., 19). 96. კალთამდე შემოაფხრიწეს შალვას ავაზის ტყავ-კაბა (ლ. ასათ., 96). 97. მან თაემოტეხილ ტომარაში იდლიამდე ჩაჰყო მკლავი (ო. ჭილ., I, 467). 98. დედა ნიკაპამდეც ვერ სწვდებოდა (რ. ინან., 80). 99. წლეულს ავიდა ვენახად მხრებზე თმა გადაწყობილი (პ. იაშვ., 238). 100. ამ კაცმა, ღამეში რომ ლანდივით დასდევდა, ამ ქვეყნად ყველაფერი იცოდა (თ. ბიბ., 132). 101. იმ წამს წარსული დიდების ძალით შეუჩერებლივ ავფრინდი ცამდე (ლ. ასათ., 65). 102. ყელამდე წყალში ცდილობდი დადგომას და ფსკერის სლიკინა თხლაპო ფეხებიდან გეცლებოდა (ო. იოს., 258). 103. ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები (რ. ინან., 23). 104. ჭაობი ჭიშკრამდე მოსულიყო (ო. ჭილ., I, 534). 105. პატარა სახლიდან შარაგზის პირამდე უეცრად იფეთქებს ნაძვნარი (ლ. ასათ., 70). 106. იყო კი მართლა თავისუფლება ამ ქვეყნად (თ. ბიბ., 40). 107. ჭრელი ჩითის კაბა მას სწვდებოდა კოჭებამდე (თ. ბიბ., 64). 108. ბაზრის ბოლოდან სახელგანთქმულ მუხის ხიდამდე გამწკრივდებიან სვანები და ლეჩხუმელები (ლ. ასათ., 48). 109. ჩვენ ვცხოვრობდით ვაჟას მეზობლად (ვ. რაზიკ., 115). 110. და საუკუნო ისმის გუგუნი როშკის ხორხამდე — გულთა გამპობი (ა. კალანდ., 438). 111. გარდამოეიდა ჩემზე ნათელი და მე ემაღლდები ზეცის კარამდე (ა. კალანდ., 19). 112. როდისღა ენახო, თუშო, ალვანი, თქვენი ცხვარ-ძროხა, მინდვრად — შავრანი (ა. კალანდ., 276). 113. ერთ მშვენიერ დღეს მღვრიე, დაუწმენდავი წყალი მოთვინიერებული ურჩხულივით წამოჰყვა თხრილს ნისლით გაბაცებული მთებიდან ქალაქამდე (ო. ჭილ., I, 42). 114. ქარის გუგუნში ქალის ხმის საბრალო ნაგლეჯებიღა აღწევდა ქოხამდე (ო. ჭილ., I, 219). 115. მათ, შვიდთა ძმათა, ტაძრად შვიდი სანთელი ანთეს (მ. ლებ., 148). 116. რკინის ქალაქები დავთმე, სოფლად ტალახები ვზილე (მ. ლებ., 164). 117. არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ წელამდეა სათიბები (ა. კალანდ., 405). 118. გზად დაცემული ჩრდილია ხეთა (ა. კა-

ლანდ., 332). 119. და შემოვიდა ტაძრად დავითი ებრაელების უსწორო მეფე (ა. კალანდ., 357). 120. ერთ მუხას მიწით ზეცამდე გაბარდნილი აქვს ტოტები (პ. იაშვ., 232). 121. ყელამდე მოყრილი სიხარულით ვაამბობინო ტკბილი ბავშვობის მოგონებები (ი. ჯოლბ., 38). 122. უკვე გქონდა ვებერთელა იმპერია გადაშლილი, დავით, ზღვიდან ზღვამდე (მ. ლებ., 282). 123. ისევ თუ წახვალთ, კიდევ თუ წახვალთ ცად (ი. ჯოლბ., 99). 124. ამ ქვეყნად რაი გაანელებს მტანჯველ სინანულს (ა. კალანდ., 250). 125. მინდვრად გელოდება ლელი მკრთომარეო (ა. კალანდ., 235).

## დროის გარემოება

*§ 37. ზმნიზედა დროის გარემოებად.* 1. ახლა სხვანაირი მზე იკბინება (ო. ჭილ., I, 549). 2. ზოგჯერ ვარსკვლავი დაიბადება, ზოგჯერ ვარსკვლავიც შეიბოლება (ო. ჭილ., II, 446). 3. ფოთლის მაგივრად თითქოს წელან შენ მოწყდი ხიდან (ო. ჭილ., I, 551). 4. იგი უსიტყვოდ მხვდებოდა ხშირად (მ. ლებ., 538). 5. გუშინ პირველი მერცხალი ვნახე (მ. ლებ., 475). 6. შვიდი სასმური წინ მიდგას და დავცლი ამაღამ (მ. ლებ., 454). 7. აწ ცხვირს საკერავში ჩარგავ, აწ სათვალეს ხშირად ჰკარგავ (მ. ლებ., 119). 8. ჯერ შეიძინეს, შემდეგ კი ჩამოწერეს (ნ. ონაშ., 49). 9. თავს მარტო მაშინ ვარიდებ, ჩემს საქმეზე რომ გავდივარ (ნ. ონაშ., 6). 10. მიწას სწყდებიან ვერხვებიც მაშინ (ა. კალანდ., 205). 11. იქ, ლურჯ ნაპირზე, სად მაღლა ლერწამი ხარობს, გვიან, გვიან ამოდის მთვარე (ა. კალანდ., 139). 12. ნაპირიდან ვნახე გუშინ შურდულივით მომავალი (პ. იაშვ., 213). 13. ვაჟის კოცნას სულ ერთწამიანს ვარდისფერ დილით აელვარებს ცის ლურჯი ფარჩა (პ. იაშვ., 126). 14. შემდეგ გაკვირვებულმა თოფის ლულას გახედა (გ. ფანჯ., 91). 15. მანამდე იგი ასპირანტურაში შესვლაზე ვერც იოცნებებდა (გ.ფანჯ., 202). 16. სამუშაოდან ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა (გ. ფანჯ., 103). 17. აბა იცი, ვინ არიან, ვისთანაც წუხელის იყავი (ა. ყაზბ., 91). 18. თევზივით ბოლოს შევრჩები რიყეს (ო. ჭილ., I, 547). 19. სხვა დრო იყო მაშინ (ო. ჭილ., I, 542). 20. ხანდახან წუთი სიცოცხლეს უდრის

(ო. ჭილ., I, 580). 21. და მერე დიდხანს ვამშეიდებ თითებს (ო. ჭილ., II, 456). 22. დავხურე წიგნი და ვდუმდი დიდხანს (მ. ლებ., 228). 23. დაღმართ-დაღმართ ვეშურებით ახლა (მ. ლებ., 325). 24. წვრილი წვიმები სწუხან აწ განსვენებულ ზაფხულს (მ. ლებ., 98). 25. ახლა დღე-დღეზე ელოდნენ კომისიას (ნ. ონაშ., 79). 26. ახლა რაღაცა სისულელეს წამოროშავს და ხვალ ინანებს (ნ. ონაშ., 106). 27. მაშინ ჩემს სულში მარგალიტი ციმციმებს ცივი (ა. კალანდ., 90). 28. უცხოდ ანთებულ მშვენიერს რტოსა ანებივრებდა ოდესღაც ქარი (ა. კალანდ., 249). 29. აღარ ვიქნები მაშინ შენთვის ბავშვი (პ. იაშვ., 89). 30. ბალახი ხვალ დილით მზის სხივს გაუცინებს (პ. იაშვ., 69). 31. იგი თავის ფიქრს არასდროს სხვას არ უზიარებდა (გ. ფანჯ., 204). 32. როცა ასანთი ბოლომდე დაიწვა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა (გ. ფანჯ., 214). 33. ახლა შვილები სულ ეგეთები არიან (ა. ყაზბ., 91). 34. ვაკას დილ-დილით თავის ბოსტანში უყვარდა ხოლმე გასვლა (კ. ყმა, 326). 35. ხანდახან ქერის პურზე მარილს დავაყრიდით და იმას ვჭამდით (კ. ყმა, 234). 36. მანამ გვერდები ნუ აგიდგება (თ. სახ., 370). 37. ეს ყველაფერი შევნიშნე მერე (მოგ. აკ., 10). 38. ჩემო სხივებო, ახლა ყოველთვის და ყველგან გქონდეთ ჩემი იმედი (ო. ჭილ., II, 525). 39. და სწორედ მაშინ ტყეს შეშფოთება დაეტყო ხმაში (ო. ჭილ., II, 539). 40. ველოდი გუშინ, დღესაც, ხვალაც განსაცდელს ველი (მ. ლებ., 302). 41. თქვენ გაგახსენდათ სამხრეთის დღენი, ოდეს საჩემოდ ამ ბარათს წერდით (მ. ლებ., 510). 42. შენ სიმართლეს არასოდეს მეუბნები (ნ. ონაშ., 97). 43. ლაშარის ჩუმი ზარები ქარით დროდადრო კრთებიან (ა. კალანდ., 416). 44. დიდხანს ვისმენდი ბრძნულად თქმულ სამხიარულო ნაკვესებს (პ. იაშვ., 280). 45. ბიჭო, ქარხანაში გამომყევი, შოფრობას ყოველთვის მოასწრებ (გ. ფანჯ., 249). 46. ჯონდოს ახლაც წარმოუდგა კლდის თავზე გაქვავებული ხარჯიხვი (გ. ფანჯ., 91). 47. მისი შხუილი დღედაღამ არ გვაძინებდა (კ. ყმა, 242). 48. მერე ღიმილით ჩამივლის გვერდით (ო. ჭილ., I, 552). 49. მე კი ყოველთვის მემახსოვრება, რაც ახლა მინდა (ო. ჭილ., I, 565). 50. დათვმა დათვებს გაპბღავლა რისხვით და მერე დიდხანს ტირილით მლოკა (მ. ლებ., 444). 51. ის ჩაიყვანეს კოდორზე გუშინ (მ. ლებ., 328). 52. შემოდგომის ერთ ავდრიან

საღამოს მამა შინ საკაცით მოიყვანეს (ნ. ონაშ., 5). 53. ყვავილი წყაროს თავთან დახრილი მერე არასდროს ჩასულა წყალზე (ა. კალანდ., 288). 54. აქ ორ დეკემბერს მუდამ მათი ხსენების დღეა (ა. კალანდ., 394). 55. მე ყოველთვის სხვისი იარაღი ვიყავი (ო. იოს., 85). 56. მე შენთან სტუმრად მოვსულვარ ახლაც (ო. ჭილ., I, 556). 57. და ამჟამადაც დავრჩი უცვლელი (ო. ჭილ., I, 558). 58. ათას ფიქრით და ათას ჯანაბით ეს შემოდგომაც ჩაიარს მალე (მ. ლებ., 452). 59. რატომ არ დარეკეს დილას? (ნ. ონაშ., 129). 60. ყოველთვის მოგძებნი შენ, როგორც პეპელა (ა. კალანდ., 129). 61. ამ დიდ დღეებში ყოველ წამს ვიაროთ ერთად (პ. იაშვ., 165). 62. მთავარია, ხვალ სოფელს ისე გავცდე, რომ არავინ დამინახოს (გ. ფანჯ., 92). 63. ვის შეუძლია თავდებობა, რომ ხვალ, ზეგ, მაზეგ არ მოვლენ (ა. ყაზბ., 94). 64. ქეიფი ყოველთვის მხიარულად გრძელდებოდა (კ. ყმა, 90). 65. თამბაქოს არასოდეს არ ეწეოდა (მოგ. აკ., 128). 66. დღისით გუგულის ხმა ისმის, ღამით ბუს გვზარავს კივილი (ვაჟა, 73). 67. ხვალ და ზეგ ვერავინ გაპბედავს შინ შამოგვეჭრას ძალადა (ვაჟა, 69). 68. ეს ქალები ღამით მარტო დასეირნობდნენ ბილიკებზე (ო. იოს., 34). 69. ისინი წინადღით მიდიოდნენ დაქირავებული ეტლით (ი. გრიშ., 69). 70. მეც თვითონ მივხვდი, მივხვდი და ვყვები, რომ დღევანდელი დასრულდეს დღესვე (ო. ჭილ., II, 488). 71. იცი, სიცოცხლეს ყოველი დილით ვშანთავდი ჩემი ცხელი თითებით (ნ. სამად., 106). 72. ზოგჯერ, ბინდისას ჩაიფრენდნენ ტყის ღამურები (ნ. სამად., 97). 73. ღამით იქ, ზემოთ, ვარსკვლავს აანთებს ვიღაცის ხელი (ა. კალანდ., 144). 74. ეგონებ, რომ ველარ გაგვიმაგრდენ ხვალ ამ გაშლილ ველზე დაღალულები (აკაკი, 57). 75. შარშან თათრებმა ჩაატარეს მოედანში, ძლივს მიიფხორებოდნენ (აკაკი, 140). 76. ოღონდ ახლა მომეშვი, ხვალ დავამთავრებ და გაჩუქებ (ნ. ონაშ., 102). 77. შეკრთა მაშინ მეფე თამარ, შეკრთნენ მაშინ ვაჟნი (მ. ლებ., 433). 78. დღეს შენ დაგჭირდი, ხვალ თუ ზეგ შენ მე დამჭირდები (ილია, 387). 79. ღამით დარდები აწუხებს, დღისით ჩიტების ჟივილი (ვაჟა, 73). 80. იმ დილით ვახო ციცაბოს რომ აუყვა, გუამ მიაძახა (ო. იოს., 145). 81. მათი სადღეგრძელოები ყოველთვის კაფიად იყო თქმული (ი. გრიშ., 62). 82. წუხელის შენი სიზმარი ვნახე (ნ. სამად., 55).

83. გუშინ რომ გული მილხენდა, თქვენც ლხინად მყაედით წვეული, და დღეს კი გიწვევთ სამსჯავროდ, გულზედა სისხლ-მორეული (აკაკი, 38). 84. აღარ ვარ, რაც ვიყავი აღრე, ძველად (აკაკი, 41). 85. ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ლო-მიეით ბრდღვინავდა, მერე უცებ გაჩუმდა და უმწეოდ დახარა თავი (ნ. ონაშ., 150). 86. ჩემი ვარსკვლავი წიფელთან ბჟუტავს, ხვალ დაარქმევენ მაგ ვარსკვლავს სახელს (მ. ლებ., 96). 87. მა-შინ მიმინოსაც თავის ნებაზე გააფრენს ხოლმე მონადირე (ილია, 405). 88. გუშინ მეგონა, დავმუნჯდი, დღეს ისევ ვიდგამ ენასა (ვაჟა, 49). 89. მე კი ხვალ ღამით ჩავუხვევ (ნ. სამად., 18). 90. ზოგჯერ ყეენს ზურგშებრუნებითაც დასვამდნენ სახედარზე (ი. გრიშ.) 91. არ დავიჯერებთ, რომ ახლა თვითონ ჩაეარდეს ის ბნელსა (აკაკი, 46). 92. ნაშუადღევს მიცვალებულების დამარხვის ნება მაინც მისცეს (ო. იოს., 133). 93. მალე კარი გაიღო, შავგვრემანი ქალი შემოვიდა (ნ. ონაშ., 39). 94. გუშინ-წინ ვნახე, გუშინაც, გველი სწამლავდა იასა (ვაჟა, 73). 95. ხში-რად შეგირდი მდიდრული ოჯახიდანაც გამოდიოდა (ი. გრიშ., 34). 96. წინათ აბანო მსურველთათვის ყოველთვის ღია იყო (ი. გრიშ., 58). 97. ადრევეც მითქვამს და ეხლაც ვამბობ, რომ მე თვითონ ვგრძნობ ჩემ უძლურებას (აკაკი, 53). 98. გუშინწინ, სანამ ცოლს სიმამრთან გაისტუმრებდა, თავჩაღუნული ცერად უბღვეროდა (ო. იოს., 185). 99. მაშინ დავეკითხებოდით და მშვენიერადაც აგვიხსნიდა (აკაკი, 149). 100. ტყე ქინქლს მო-იმცერევს დილაადრიან (ნ. სამად., 19). 101. მუდამ მთქმელი ვარ ამისა (ვაჟა, 100). 102. ხანდახან ქარისა მიუკაკუნებდა ხოლმე (ო. ჭილ., I, 74). 103. მალე ანძაზე აცოცებული კაციც გაარჩიეს (ო. ჭილ., I, 159). 104. მერე ნელ-ნელა ერევიან წუთები ზამთარს (ი. ჯოლბ., 58). 105. მან ერთხელ განგებ დამ-კოდა მხარში და უცოდველი სისხლი მადინა (ლ. ასათ., 56).

*§ 38. სახელი დროის გარემოებად მიცემითში.* 1. ისინი შემოდგომაზე ჩამორეკავდნენ ხოლმე ჯოგებს (ო. იოს., 263). 2. შე-ბინდებისას გუამაც აიღო სიოშისეული კარაბინი (ო. იოს., 73). 3. იმ მურთხმა შუაგულ ზამთარში მთაში პირველად ამო-გაკითხა (ო. იოს., 294). 4. იმავე ზაფხულს ერწოდან დედისეულ სოფელ მატანში მინდოდა წასვლა (კ. ყმა, 34). 5. დიდი ილია

დუშეთში მუშაობისას კარგად გაეცნო ფშავ-ხევსურეთსაც (კ. ყმა, 100). 6. სურათის გადაღებისას თავის გვერდით დამისვა (კ. ყმა, 94). 7. იმ გაზაფხულზე დავაქდა ერთი ფეხმარდი მთიელი (პ. იაშვ., 230). 8. ქვის კრივს მართავდნენ ზამთარში (ი. გრიშ., 28). 9. თვითონაც გამოსულა თურმე სცენაზე ახალგაზრდობისას (მოგ. აკ., 116). 10. ყოველ გაზაფხულს ძროხებს მოხარშული სვიისა და ანწლის წვენს ვასმევდით (ვ. რაზიკ., 31). 11. ზამთარში თევზს ვყიდი, ზაფხულში — მწვანილს (ი. გრიშ., 159). 12. როს მიმწუხრისას მთვარე ცაზე მოირკალება (ა. კალანდ., 212). 13. ძირს მივყვებით მზის ჩასვლისას ქუჩებს (მ. ლებ., 325). 14. გამგზავრებისას სამგზავრო ეტლს ხალხი შემოეხვია (მოგ. აკ., 153). 15. იმ წუთში მე თითქოს სხვა ადამიანს ვთამაშობდი, სხვა ბიჭი ვიყავი (გ. ფანჯ., 211). 16. გათენებისას, გარიჟრაჟისას ბრუნდება სტოკჰოლმს (ა. კალანდ., 362). 17. აი, ხუთი წელიწადი უნდა შესრულდეს ამ შემოდგომაზედ (ილია, 368). 18. ზამთარს და ზაფხულს ბეჩავის ერთი და იგივ ჩივილი (ვაჟა, 73). 19. კაცი კი არა, ღმერთიც არ უნდა აჩქარდეს მსჯავრის დადებისას (ო. იოს., 86). 20. გათენებისას კოკისპირული წვიმა დაუშვა (ო. იოს., 73). 21. ზაფხულში პანტიდან ტკბილ სასმელს აკეთებდა (კ. ყმა, 302). 22. მათ ჩვენს ბაღში თუ შეხვდებოდით ზოგჯერ სადილის ჩატანისას (კ. ყმა, 237). 23. მე ამ ზაფხულზე დავინიშნები და მივატოვებ ჩემს საქართველოს (პ. იაშვ., 134). 24. განთიადისას გავხედე სივრცეს (ა. კალანდ., 342). 25. ზამთარში კახეთის, ყვარლის ტყეში, დაპყავდა საქონელი (ვ. რაზიკ., 103). 26. ყველიერის ორშაბათს თბილისის თვითეულ უბანს თავისი უბნის ყეენი გამოჰყავდა (ი. გრიშ., 21). 27. დამშვიდობებისას იცი რა გითხრა? (ო. იოს., 95). 28. გაზაფხულზე ძროხები ნაკლებად იწველებოდნენ (კ. ყმა, 234). 29. ნაშუადღევს წაიყვანდნენ ყეენს და პირდაპირ მტკვარში გადაისვრიდნენ (ი. გრიშ., 23). 30. ნასადილევს აკაკი გამოსულიყო თავისი სახლის წინ და დასეირნობდა (მოგ. აკ., 61). 31. დღეს დილაზე ტკივილები ისევ აეშალნენ (ილია, 394). 32. გამთენიისას აქა-იქ თუ ნახავთ ქვაფენილებზე ერთი-ორი საათით მიძინებულ ახალგაზრდებს (შ. ძიძ., 21). 33. ცვლაში გასვლისას ლევანი ქარხანაში შუაღამისას მიეიდა (გ. ფანჯ., 244). 34. იმ საბედისწერო ზაფხულს თუთარს თექვსმეტი წელი

შეუსრულდა (ო. იოს., 30). 35. პანს, ისე ძალიან არ მწყურია, ნაშუაღამევს ხომ დაელიე (ო. იოს., 94). 36. დაბრუნებისას ცოტა უგემურად გრძნობდა თავს (კ. ყმა, 184), 37. ნუთუ გიხდება შუაღამისას ალაზანში თევზის ჭერა (კ. ყმა, 191). 38. მუშტის კრივს მართავდნენ ზაფხულში (ი. გრიშ., 27). 39. ვაჟა კარგად თამაშობდა ახალგაზრდობისას ბილიარდსაც (კ. ყმა, 193). 40. მიმწუხრისას მზე დაცხრა (ა. კალანდ., 262). 41. ზაფხულს მეტწილად ნადირობასა და თევზაობაში ატარებდა დროს (ვ. რაზიკ., 90). 42. ქარავნობის დროს თიბათვეში მურწაზე და ფიჩხულებზედაც დავდიოდით არაგვზე (ვ. რაზიკ., 90). 43. ტფილისში დაბრუნებისას ერთხელ კიდევ გადავიკითხე ეს მოთხრობა (კ. ყმა, 151). 44. გამთენიისას უღელტეხილზე სამკვდრო-სასიცოცხლო შეტევა უნდა დაეწყოთ (ო. იოს., 8). 45. ერთხელ თურმე შუაღამისას ოთხი ჩაჭრილი სტუდენტი ჩაუსაფრდა ქუჩაში (გ. ფანჯ., 222). 46. ნასადილევს ერთი-ორი საათით უყვარდა მოსვენება (მოგ. აკ., 129). 47. თაჯიმ დაცემისას ხელის მტევანი ქვას დაარტყა და მაჯა იღრძო (ო. იოს., 25). 48. აბანოში წამსვლელი ქალები სისხამზე მიდიოდნენ (ი. გრიშ., 58). 49. გამთენიისას წვიმამ ერთიორად იმატა (ო. იოს., 59). 50. ზაფხულში ძმები გიორგი და კოტე დედასთან ერთად სოფლად წავიდნენ (მოგ. აკ., 252). 51. გუთან-უღლის დამზადებას ლუკა ზამთარშივე იწყებდა (ვ. რაზიკ., 31). 52. ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე (ა. კალანდ., 251). 53. შუაღამისას დაეცნენ ჩარდახს დასანგრევად (კ. ყმა, 296). 54. ზაფხულში აყვავდებიან მკერდნიც კი სალის კლდისანი (ვაჟა, 13). 55. ის აღავლენდა ლოცვებს ბინდისას (ნ. სამად., 50). 56. ერთ დღეს სადილობისას ოლღამ მაგიდიდან აიღო გაზეთის ახალი ნომერი (კ. ყმა, 88). 57. გამოთხოვებისას ლევანმა თინათინს ხელზე აკოცა (გ. ფანჯ., 200). 58. მკლავი, ალბათ, გადმოვარდნისას ჰქონდა მომსხვრეული (ო. იოს., 26). 59. შემოდგომაზე მწყერი ილევა (ილია, 405). 60. გუა გუშინ ნაშუადღევს გაუდგა გზას (ო. იოს., 97). 61. გამოსვლისას ვაჟამ ჯოხი მოითხოვა (კ. ყმა, 193). 62. სიჭაბუკეში მოკლული კაცი ნათელი სახით დღეს გესახება (ა. იაშვ., 212). 63. ისინი ბინდისას ბრუნდებოდნენ სახლში (ი. გრიშ., 58). 64. მისალმებისას აკაკი რაღაც თავისებურად თავს დახრიდა ხოლმე (მოგ. აკ., 129). 65. ნასადილევ-

საც ბევრი რამ გამომკითხა (აკაკი, 163). 66. ბაუმანმა გათენებისას გონება დაკარგა (ო. იოს., 128). 67. ვერაფერი დაგტყუა იმ დიდთოელობისას (ო. იოს., 295). 68. ახალგაზრდა ქალის მიტოვება შუაღამისას უცხო ქალაქში მას არავაჟკაცურ საქციელად მიაჩნდა (ნ. ონაშ., 161). 69. მოსვლისას ზოგჯერ წითელი ბოლოკი და მწვანილი მოჰქონდათ (კ. ყმა, 173). 70. საახალწლოდ ჩამოსვლისას ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა (კ. ყმა, 177). 71. შუაღამისას რა უნდოდათ ქალებს ამ ჯანდაბის გზაზე? — ფიქრობდა ის (ო. იოს., 40). 72. წასვლისას ცალკე გაიხმო ორივე შვილიშვილი (ო. იოს., 10). 73. იმ დროს ნასადილევს ძილი ყველასათვის აუცილებელი საჭირო იყო (აკაკი, 103). 74. შუაღამისას შინ მივუხტი გლეხკაცს ძახილით (მ. ლებ., 313). 75. ჩემს ბავშვობაში მაღაროსკარის სკოლაში ვსწავლობდი (კ. ყმა, 84). 76. შუაღამისას მოვიხილე წმინდა სავანე (ა. კალანდ., 95). 77. გათენებისას ვიღაც დაადგა თავზე (თ. ბიბ., 120). 78. გაზაფხულზე კი ეს მორჩილი მოლოდინი მდინარესავით ადიდდებოდა (თ. ბიბ., 127). 79. ახლახან გაახსენდა, რომ შემოსვლისას კარი ჩაუკეტავი დარჩა (გ. ფანჯ., 623). 80. ვახო საღამოს დაბრუნდა (ო. იოს., 145). 81. ის შემოდგომაზე ქვევრს გახეთქავს (ლ. ასათ., 60). 82. შუაღამისას შენს მოვლენას თრთოლით ელიან (ი. ჯოლბ., 123). 83. პატარაობისას მამა კურდღლის ლექსს მასწავლიდა (ვ. რაზიკ., 77). 84. ალაყაფის კარი ღიაა შუაღამისას (თ. ბიბ., 74). 85. ისევ გამართლდა, როგორც ბევრჯერ გამართლებულა ყმაწვილობისას (თ. ბიბ., 86). 86. შემოდგომაზე კაკლის ხეს ფოთლები გაუყვითლდება (რ. ინან., 13). 87. მუზეუმის დათვალიერებისას ჩვენ გარკვევით შევნიშნეთ ანალოგიები (შ. ძიძ., 33). 88. სეირნობისას უცებ სახედარივით გარინდდებოდა (ო. ჭილ., I, 36). 89. ბიჭი იმ ზაფხულს აქ ამოსულმა უცხო კაცმა წაიყვანა (თ. ბიბ., 409). 90. დაღამებისას ყველაფერს მძიმე წყვდიადი გადაეფარა (ო. იოს., 120). 91. რა სევდა ვიგრძენი ვაჟას ამ სტრიქონების წაკითხვისას (ლ. ასათ., 126). 92. მხედრებმა ალბათ ხეობა ჩაიარეს, შებინდებისას დაბრუნდებიან (თ. ბიბ., 87). 93. ეს გავიფიქრე განთიადისას (თ. ბიბ., 89). 94. ამას მხოლოდ ახლა უცნობის ხილვისას მიეცა გარკვეული აზრი და მნიშვნელობა (ო. ჭილ., I, 101). 95. ამ ზამთარს მოსკოვს მივდივარ (გ. ფანჯ.,

649). 96. წინამხარეს ეზო აკრავს, სადაც გაზაფხულზე იასამნები ჰყვავიან (გ. ფანჯ., 411). 97. ერთ შემოდგომას ჯილაურის ცოლისძმა სადღაც დაიკარგა (თ. ბიბ., 352). 98. ზამთარში მტერი აქაურობას არასოდეს დასცემია (თ. ბიბ., 220). 99. ბიძაჩემი ვაჟა-ფშაველა ჯეილობისას კარგი მოკრივე ყოფილა (ვ. რაზიკ., 114). 100. ჩემი ბავშვის ავადმყოფობისას ხშირად მითხოვია მისთვის ჩაი, შაქარი და წამალი (ვ. რაზიკ., 123).

*§ 39. სახელი დროის გარემოებად ნათესაობითში.* 1. ძმის მემკვიდრეობის მიღების შემდეგ პლატონმა სული მოითქვა (გ. ფანჯ., 193). 2. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მაგნიტოგორსკში გაანაწილეს (გ. ფანჯ., 169). 3. ლევან ხიდაშელი პირველი შეხედვისთანავე მოეწონა (გ. ფანჯ., 189). 4. მარინემ უცხო ენების ინსტიტუტი ერთი წლის წინათ დაამთავრა (გ. ფანჯ., 194). 5. ერთი წლის ციხეში ჯდომის შემდეგ მამაჩემი პატიმრობიდან დაბრუნდა (კ. ყმა, 237). 6. მელანიამ შინ მოსვლისთანავე დიდი ალიაქოთი ატეხა (კ. ყმა, 231). 7. ერთი კვირის შემდეგ მე და მამამ ჩარგლულას ტოტი დავწყვიტეთ (კ. ყმა, 269). 8. სკოლის დამთავრებისთანავე ცხოვრებაში დამოუკიდებლად ჩაება (კ. ყმა, 244). 9. ავდრის შემდეგ უფრო ლამაზი იყო ქვეყანა (ო. ჭილ., II, 491). 10. ანეტას ინჟინერი პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა (ო. ჭილ., II, 267). 11. ამ ხმამ პირველად თოვლის გადნობისთანავე შემოაღწია ურუქში (ო. ჭილ., II, 269). 12. კარის შეღებისთანავე ვიღაცა მოხუცებული, ტანჯული სახის ქალი მიეგება (ა. ყაზბ., 79). 13. კარგა შრომის შემდეგ თათარყანმა ზევით აიხედა (ა. ყაზბ., 173). 14. ერთერთი ავადმყოფობის შემდეგ საჩხერეში დაბრუნებულ აკაკის მისმა მოგვარეებმა სადილი გაუმართეს (მოგ. აკ., 114). 15. ლექსის დაწერის დროს აკაკის უყვარდა ოთახში სიარული (მოგ. აკ., 129). 16. ორიოდე თვის შემდეგ ბიჭები ერთმანეთში წაკინკლავებულან (ო. იოს., 28). 17. გათენებისთანავე სოფლის თავში ქალი აკივლდა (ო. იოს., 59). 18. ო, შენ ილოცებ მზის ამოსვლის წინ (ა. კალანდ., 367). 19. ყოველი ორი კვირის შემდეგ ხელფასი უნდა იყოს (ნ. ონაშ., 75). 20. გვირაბის გავლის შემდეგ დიდხანს უხმოდ იჯდა ფანჯარასთან (კ. ყმა, 357). 21. რა-

ფიელ ერისთავის სადღეგრძელოს შემდეგ ვაჟამ მოულოდნელად გიტარას ხელი სტაცა (კ. ყმა, 60). 22. შეხვედრისთანავე ვაჟამ ნიშნები მოგვთხოვა (კ. ყმა, 86). 23. ის ჯერ არაფრის იმედს არ კარგავს ამდენი ქარის და წვიმის შემდეგ (ო. ჭილ., II, 519). 24. ამის გაფიქრებისთანავე ის აიტანა საშინელმა მღელვარებამ (ო. ჭილ., II, 325). 25. პეტრემ ეს თვალის გახელისთანავე იგრძნო (ო. ჭილ., II, 299). 26. მართლაც, სულ ორი თვის შემდეგ ელდარ სიხარულიძემ ქარხანა მიატოვა (გ. ფანჯ., 189). 27. ერთხელ პრაქტიკის შემდეგ დონეცკიდან თბილისში ვბრუნდებოდით (გ. ფანჯ., 228). 28. ის წყლის ზედაპირზე ამოსვლის შემდეგ შვებით ამოისუნთქავს ხოლმე (გ. ფანჯ., 207). 29. ქალმა შეისვენა და ეს შესვენება ეჭირვებოდა იმ მთრთოლვარე ცხოვრების შემდეგ (ა. ყაზბ., 95). 30. ნახევარი საათის შემდეგ აკაკის ფეხის ხმა შემოესმა (მოგ. აკ., 150). 31. პირველი შეკივლების შემდეგ გუცას ერთხანს შიშიც გაუქრა (ო. იოს., 74). 32. მზის ჩასვლის შემდეგ ვარდისფერ ნისლში სწრაფად დაქრიან სერაფიმები (ა. კალანდ., 398). 33. თემო საღამოს შვიდი საათისათვის მოვიდა (ნ. ონაშ., 70). 34. სამსახურის დამთავრების შემდეგ შინ წავიდოდა, ისადილებდა, ცოტას დაისვენებდა (გ. ფანჯ., 241). 35. მეორე დღეს ნემსის გაკეთების შემდეგ რუბენამ მუცლის არეში მწვავე ტკივილი იგრძნო (გ. ფანჯ., 101). 36. თუჯის ჩასხმის შემდეგ ქიმიური რეაქციები მძაფრად მიდის (გ. ფანჯ., 246). 37. გაზეთებს ვკითხულობდი მხოლოდ სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ (კ. ყმა, 88). 38. დიდი ხვეწნის და მუდარის შემდეგ შეიყვანეს პეტრე სახლში (კ. ყმა, 190). 39. გავიდა რამდენიმე თვე ამ ლაპარაკის შემდეგ (კ. ყმა, 81). 40. ცსენის წაყვანის შემდეგ ეზო უსაშველოდ გამოცარიელებული იყო (ო. ჭილ., II, 89). 41. მაშომ დაადევნა თვალი და გამობრუნების დროს ოხერით წამოიძახა (ა. ყაზბ., 38). 42. ყოველივე კონსილიუმის შემდეგ გადაწყვიტეს ექიმებმა (კ. ყმა, 184). 43. ორი დღის წინ აკაკისთან შევიარე (მოგ. აკ., 149). 44. იმლამინდელი ორი გასროლის შემდეგ გარეთ ცხვირს აღარაეინ ჰყოფდა (ო. იოს., 97). 45. შაბათს სწავლის შემდეგ წასულები კვირა საღამოს ბრუნდებოდნენ (კ. ყმა, 173). 46. ჩარგალში ჩასვლიდან ორი დღის შემდეგ პავლემ ვაჟასთან წამიყვანა (კ. ყმა, 155). 47. და შეეიცვალე, როგორც მიწა

მიწისძვრის შემდეგ (ო. ჭილ., I, 588). 48. რამდენიმე დღის შემდეგ ქარი ჩადგა და თოვლი წამოვიდა (გ. ფანჯ., 131). 49. რეზოს კარგად ახსოვდა ლევანის საუბარი ინსტიტუტში შესვლის წინ (გ. ფანჯ., 237). 50. ჭექა-ქუხილის შემდეგ ბუნებას თითქოს შებრალებოდა ისეც საკმაოდ ტანჯული ხალხი (ა. ყაზბ., 152). 51. შებინდებისთანავე შეწყდა თვითმფრინავების ზუზუნი (ო. იოს., 89). 52. შემკრთალ დროშებს ძლეულ ქალაქის მოქალაქენი ალყის შემდეგ აივნებზე გადმოჰკიდებდნენ (მ. ლებ., 308). 53. ლუკა მეორედ თუ მესამედ უფრო ახლო ენახე სემინარიის ეზოში დასვენების დროს (კ. ყმა, 171). 54. მისი შემოსვლისთანავე მაგნიტოფონს გამორთავდნენ ხოლმე (გ. ფანჯ., 194). 55. ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ მან პირველი ღუმელის მეფოლადეს დაუძახა (გ. ფანჯ., 258). 56. ორი სადღეგრძელოს შემდეგ ლევანმა ბოდიში მოიხადა, სუფრა ადღეგრძელა და წავიდა (გ. ფანჯ., 264). 57. ქართულ ენაზე ბაასის დროს არ სწამდა რუსული სიტყვების ან ფრაზების ჩარევა (მოგ. აკ., 147). 58. ორმოცი წელი იმ დღის შემდეგ გადამილახავს (მ. ლებ., 153). 59. მისვლისთანავე მე გავეშურე საოსტატო სემინარიისაკენ (კ. ყმა, 51). 60. შუა სადილის დროს მასპინძელმა მოატანინა ჭიანური (კ. ყმა, 75). 61. ვაჟას სიკვდილის შემდეგ მან რამდენჯერმე ინახულა ვაჟას მეუღლე (კ. ყმა, 79). 62. ამის გამოკითხვის შემდეგ ჩვენც მაშინვე „ბატონობიას" თამაშს დავიწყებდით ხოლმე (აკაკი, 97). 63. შინ დაბრუნების დროს თითქმის ყველას მეტი შთაბეჭდილება რჩება (ი. გრიშ., 4). 64. მათ მოგებებისთანავე ჩვეულებრივი განუწყვეტელი ტიტინი დაიწყეს (ა. ყაზბ., 217). 65. სიკვდილის წინ თავზე გადგას მწყემსი, გეწერება შენ მტკივანი ლექსი (მ. ლებ., 318). 66. კრების დამთავრების შემდეგ ისინი ერთად წავიდნენ შინ (გ. ფანჯ., 323). 67. ქმარი ავარიაში დაღუპვია ოთხი წლის წინ (გ. ფანჯ., 43). 68. კონსილიუმის შემდეგ მათ გადაწყვიტეს ვაჟა დაეწვინათ ვერაზე ქართული გიმნაზიის საავადმყოფოში (კ. ყმა, 184). 69. დანიელის სიკვდილის შემდეგ დიდ გამოქვაბულში ყველანი ერთნაირნი იყვნენ (ო. იოს., 155). 70. ქარხნიდან წასვლის შემდეგ გადასახლებულა მოსკოვში მშობლებთან (გ. ფანჯ., 43). 71. მეც იმ პირველი ნახვისთანავე ძალიან შემაყვარა თავი (აკაკი, 158). 72. და ხვალისათვის

დაიბარა სადარბაზოდ ვინც იქ ჰყავდა (აკაკი, 37). 73. ცოტა სიჩუმის შემდეგ უფრო დამშვიდებით დაუმატა ავადმყოფმა (ა. ყაზბ., 215). 74. ის პირველი გამოსვლისთანავე პოპულარული გახდა (ი. გრიშ., 145). 75. ბაგრატიონმა მეორე დღისათვის დამიბარა (აკაკი, 162). 76. თერთმეტი თვის შემდეგ ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს (გ. ფანჯ., 522). 77. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ანდრიევსკის მეუღლემ ბოდიში მოიხადა ვარანცოვის კნეინას მაგიერ (აკაკი, 154). 78. ცოტა ხნის შემდეგ გარეთ მყოფი დედაკაცები გამოემშვიდობნენ ერთმანეთს (ა. ყაზბ., 208). 79. ოთარს იმ წვეულების შემდეგ მანანას სახე უცნაურად ჩაებეჭდა გულში (გ. ფანჯ., 510). 80. ქალების გამოსვლისთანავე ყმაწვილმა კაცმა წყნარად გადაისვა ხელი ულვაშებზე (ა. ყაზბ., 219). 81. მეორედ სამი წლის შემდეგ შეხვდნენ მოულოდნელად ქუჩაში (გ. ფანჯ., 520). 82. რა იყო ის პირველი გრძნობა, რაც მონასტერში ფეხის შემოდგმისთანავე დამეუფლა (თ. ბიბ., 46). 83. სასაფლაოზე მზემ გაგიღიმა და ავდრის შემდეგ დარი ბრწყინდება (მ. ლებ., 541). 84. ბიძის სიკვდილის მერე ის მაინც ავიდოდა ტახტზე (ო. ჭილ., I, 109). 85. ნახევარი საათის შემდეგ დარბაზი ისევ შეივსო (გ. ფანჯ., 406). 86. ქარაშოტი გამოჩენისთანავე ყველაფერს ღვლერჭდა და წეწავდა (ო. იოს. 19). 87. დილისკენ თეთრი ნისლი იშლება (ლ. ასათ., 19). 88. ტროლეიბუსში ასვლისთანავე მას ლენჩივით მიაჩერდა ვილაც მამაკაცი (რ. ინან., 93). 89. იქნებ ეს იყო პირველი გამოღვიძება ხანგრძლივი ძილის შემდეგ (თ. ბიბ., 309). 90. დიდი გასაღების გადაბრუნებისთანავე საკეტი მელოდიურად გაიჟღარუნებს (გ. ფანჯ., 411). 91. ძალიან ნიჭიერი მათემატიკოსი ყოფილა და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე კათედრაზე დაუტოვებიათ (გ. ფანჯ., 412). 92. ორმოცი წელი იმ დღის შემდეგ გადამინახავს (მ. ლებ., 153). 93. გაზეთებში გამოქვეყნდა იმ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში დღესასწაულის დროს დაღუპული ახალგაზრდობის პორტრეტები (შ. ძიძ., 25). 94. ერთი საათის შემდეგ მატასი ხედავს მოსხვეულში კაცის ფიგურას (გ. რობაქ., 296). 95. მასპინძელმა შემოსვლისთანავე შენიშნა ისინი (ნ. ონაშ., 242). 96. ისინი ხუთი დღის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს (გ. ფანჯ., 401). 97. მისვლისთანავე მან შემოგვჩივლა, რომ ნაწ-

ერებიანი ტყავის ჩანთა შემგლეჯია მხარზეითო (ვ. რაზიკ., 133). 98. საღამოს გათავების შემდეგ დიდხანს მქონდა საუბარი მასთან (პ. იაშვ., 272). 99. ორი დღის მერე, დილაადრიანად, ჩურჩულმა გააღვიძა (თ. ბიბ., 431). 100. მზის ამოსვლის მერე ბიჭის კარს შეუცდომლად მოადგება (თ. ბიბ., 279). 101. საღამოს დაწყების წინ გორის თეატრში მოვიდა ერთი უცნობი სტუმარი (კ. ყმა, 356). 102. ვაჟას ავადმყოფობის დროს იგი ძლიერ ცუდად მოიქცა (კ. ყმა, 160). 103. ერთ უქმე დღეს აკაკიმ შემოსვლისთანავე ღიმილით მომმართა (მოგ. აკ., 228). 104. სიზმრის ხილვის შემდეგ მედეა მთელი ღამე ფრიქსეზე ფიქრობდა (ო. ჭილ., I, 73). 105. მარილის ჭამის შემდეგ აიეტს გუნება დაუმძიმდა (ო. ჭილ., I, 79). 106. გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ ვაჟამ სოფლის მასწავლებლობა დაიწყო (კ. ყმა, 110). 107. მოსვენებას აღარ აძლევდა, ერთი წამითაც აღარ ეშვებოდა იმ საზარელი ღამის შემდეგ (ო. ჭილ., II, 83). 108. თათრის გაძევების შემდეგ გიორგის ველარც წარმოედგინა უმაიოროდ ცხოვრება (ო. ჭილ., II, 51). 109. ამაღამ ხერხი ვიხმაროთ, ხვალისთვის ხმალი ვინებოთ (ლ. ასათ., 90). 110. ნეტა მას, ვისაც გაუღიმია თავდადებული ბრძოლების შემდეგ (პ. იაშვ., 201).

*§ 40. სახელი დროის გარემოებად მოქმედებითში.* 1. ჩვენი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი, ყოველ ზაფხულობით სულ იქ დადიოდა (კ. ყმა, 185). 2. უხილავ ხელმა მთაზე ნოხები დილით გაჰკიდა (პ. იაშვ., 194). 3. აქ ზღვის ნანინას მოუსმენდნენ ღამით ბალღები (პ. იაშვ., 220). 4. მამა ზამთრობით ბარში მიდიოდა ბარზე სამუშაოდ (ო. იოს., 30). 5. ამ დილით გუას მარტო უნდა დაეტოვებინა ვახო (ო. იოს., 60). 6. მუშაობა ვაჟაფშაველამ საღამოობით იცოდა (კ. ყმა, 241). 7. მამაჩემს ზამთრობით ხშირად ჩამოჰყავდა ჩვენთან ვაჟას უფროსი ქალიშვილი თამარი (კ. ყმა, 248). 8. იმ დილით რომ ჩამოიარა, გავაჩერე (პ. იაშვ., 257). 9. ღამით პატარა სანავთე დუქანს გადააქცევდი დილამდე ბინად (პ. იაშვ., 211). 10. დღისით აქედან გასვლა უჩინმაჩინის ქუდითაც არ მოხერხდებოდა (ო. იოს., 76). 11. ხვალ დილით, უთენია, წავალ მთაში (გ. ფანჯ., 93).

12. მეორე დილითვე ეაქამ შემომიტანა მის მიერ ხელმოწერილი რწმუნების ქაღალდი (კ. ყმა, 166). 13. მე შენ ყოველთვის იმედად მყავედი იმ დღიდან, როცა ვიგრძენი თავი (ო. ჭილ., I, 577). 14. იმ დღეს დილიდანვე ვერ იყო კარგ გუნებაზე, გული აწუხებდა (გ. ფანჯ., 280). 15. ვასოს კი დილითვე გული მოფხანა ახალმა ცვლის უფროსმა (გ. ფანჯ., 251). 16. ფრინველი თუ პატარაობიდანვე გალიაში არ გაზარდე, უეჭველად დაიღუპება (ო. იოს., 74). 17. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში თუ ტყეებში (აკაკი, 92). 18. საღამ-საღამოობით ბოსტნის ბოლოში ვიცდიდი ხოლმე (აკაკი, 131). 19. იეთიმ გურჯსაც აქვს ბინა ავლაბარში, სადაც მთელი თვეობით არ დაიარება (ი. გრიშ., 148). 20. მიხა ზაფხულობით ხშირად დადიოდა ფშავში ლუკასთან და ბაჩანასთან (ვ. რაზიკ., 45). 21. კრივი იმართებოდა კვირაობით (ი. გრიშ., 26). 22. ისინი თავიანთ მცირეწლოვან შვილებს ბალღობიდანვე მიაბარებდნენ ხოლმე შეგირდად რომელიმე ოსტატს (ი. გრიშ., 34). 23. საღამოობით ხან ნიკოს აუწევდა სიცხე და ხან ლიზიკოს (ო. ჭილ., II, 389). 24. „ნაღლი" — ეს მოძრავი თეატრი — მხოლოდ ზაფხულობით არსებობდა (ი. გრიშ., 72). 25. ზამთრით ბუხარში გააჩენს ხანძარს (ლ. ასათ., 38). 26. კვირა-უქმობით თავისუფალ დროს სანადიროდ დადიოდა (ვ. რაზიკ., 168). 27. ერთხელ შემოდგომით მთაში თოვლი ადრე მოვიდა (ეაქა, 292). 28. მაგრამ სტუმრობა წარმტაცი მეტად მე ვინახულე დილით (ლ. ასათ., 113). 29. კვირაობით იცლებოდა ხოლმე ნადაელით მუცელგამოტენილი ხომალდები (ო. ჭილ., I, 160). 30. ახსოვდა ცოლის თვეობით ბუტიაობა (რ. ინან., 59). 31. ქალები იქ მთელი დღით რჩებოდნენ (ი. გრიშ., 59). 32. ზაფხულობით ისინი ქალაქიდან საკოლნიკში გადადიოდნენ (ა. ყაზბ., 41). 33. მაგრამ ამ ღამით ისევ შეება ბოროტსა კეთილი (ლ. ასათ., 105). 34. წინა ღამითვე მან საიდუმლოდ აიღო ჩუმად მტრისა საფარი (აკაკი, 61). 35. ესე ნადირობენ უფრო ზაფხულობით, როდესაც წყალი ნაკლებად არის და ნადირიც მეტს სასმელს მოითხოვს (კ. ყმა, 305). 36. ის იტანჯებოდა ღამღამობით, ჭვარტლის სუნით და პეპლების მტვრით სულშეხუთული (ო. ჭილ., II, 82). 37. ახლა საღამოობით ყველანი თეთრი ფაიფურის მუცლიანი ლამპით განათებულ ოჯახში იკრიბებოდნენ (ო.

ჭილ., II, 150). 38. ზაფხულობით თუმცა ციდან მრავალი ვაება ატყდებოდა თავზე ვერხვს, მაგრამ მაინც ცოტა მხიარულად იყო (ვაჟა, 291). 39. სახალხო ღრეობა ღამითაც არ ცხრება (შ. ძიძ., 21). 40. ხალხმა დღისითვე დაიწყო დენა (ო. ჭილ., II, 327). 41. ზაფხულობით თითონაც ფოთლებით იმოსებოდა (ვაჟა, 291). 42. მამაჩემი საღამოობით ხშირად დადიოდა ილიკოსთან (კ. ყმა, 24). 43. მისი ცოლ-შვილი ზაფხულობით ჩამოდიოდა სხვიტორში (მოგ. აკ., 158). 44. საღამოობით, რვა საათისათვის, ვიჯექი ჩემს ოჯახში და ჯიუტად მივჩერებოდი დადუმებულ ტელეფონს (ნ. ონაშ., 25). 45. ის ზაფხულობით ხშირი სტუმარი იყო ვანო მაჩაბლისა და ნიკო დიასამიძისა (მოგ. აკ., 300). 46. ის ხშირად შემოივლიდა ხოლმე რედაქციაში და თითქმის საათობით ვმუსაიფობდით (კ. ყმა, 126). 47. ქედის თავზე მოქცევის სურვილი მხოლოდ საღამოობით, საუბრისას, ერთმანეთში ითქმოდა (თ. ბიბ., 24). 48. დღისით უცხო თვალიც უფრო ფხიზელია (თ. ბიბ., 242). 49. წნორში კვირაობით დიდი ბაზრობა იცის, კვირაობით ხალხიც მეტი ჩამოჰყავს მატარებელს (ო. ჭილ., II, 402). 50. ასე ხუმრობდნენ ხოლმე საღამოობით ღუმელთან შეკრებილნი (ო. ჭილ., II, 384). 51. ასე მეორდებოდა ყოველთვის დილით (გ. ფანჯ., 560). 52. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ დილაობით თუ წაივარჯიშებდა ხუთი წუთი (გ. ფანჯ., 564). 53. როგორც ზევით ვთქვი, აკაკი ყოველთვის დილაობით წერდა (მოგ. აკ., 419). 54. ის ზაფხულობით მოდიოდა სხვიტორში (მოგ. აკ., 418). 55. მე დღე და ღამე მიწას ვებრძოდი, თვეობით აჯამეთის და ჭალადიდის ტყეებში ვეგდე (ო. იოს., 328). 56. ბიჭს ზაფხულობით აქაც ჩამოეიყვანთ (ო. იოს., 361). 57. ის ფიჩვები დილით ცარიელი ხვდებოდათ (ო. ჭილ., II, 63). 58. და შემოდგომით აფერადებულ უგუნურ კვირტებს არ უწერიათ აყვავილება (ი. ჯოლბ., 77). 59. ღამით მუშაობდა, დილით დიდხანს ეძინა (გ. ფანჯ., 565). 60. ჩემი ცრემლებით ღამეს ხატაედი და ბეთანიას მაისის დილით (ნ. სამად., 183). 61. არავის უნახავს, როგორ წავიდა და დილით ლოგინი ცარიელი დახვდათ (თ. ბიბ., 350). 62. შენს გვერდით თვეობით ფიქრობდა, აწყობდა და გეგმავდა შენს ორგულობას (ო. იოს., 203). 63. ის სასწაული, შენ რომ იმ ღამით ელოდი, უნდა მომხდარიყო (ო. იოს., 234). 64. მეორე დილით სამ-

სახურში წასასვლელ ქმარს ძილი და მოსვენება აღარ ჰქონდა (ო. იოს., 239). 65. დილით როგორ გეწვიათ მზის ციაგი მწვანეში (ი. ჯოლბ., 21). 66. ზაფხულობით ასწავლიდა გიორგი ამილახვარს ოთარშენში (კ. ყმა, 12). 67. ხელს დილით მოაწერთ? — ჰკითხა თინათინმა (გ. ფანჯ., 377). 68. საღამოობით მეზობლები გარეთ გამოეფინებოდნენ ხოლმე სალაპარაკოდ (გ. ფანჯ., 412). 69. ღამ-ღამობით ათასში ერთხელ ხმელს წიფელზე ბუ შეჯდება (ვაჟა, 268). 70. ზამთრობით ძლიერ დაჩაგრული იყო (ვაჟა, 291). 71. ხალხსაც დაეკარგა საუკუნოობით გამომუშავებული უნარი დროის შეგრძნებისა (ო. ჭილ., II, 131). 72. მთელი საათობით იჯდა ჩვენთან აივანზე და პოემა „ბახტრიონს“ წერდა (კ. ყმა, 77). 73. ჩვენ იმ დღისით ტყიდან ნანადირევით სავსე დავბრუნდით (კ. ყმა, 79). 74. ძნელია ერთბაშად დაადგინო ამ დილით ვინ ვის უღალატა და უერთგულა (ო. იოს., 242). 75. დილით გამოჩნდება იმ ნიჩბისფრად გამჭვარტლულ-გამურული (ო. იოს., 287). 76. ამგვარად, ბავშვობიდანვე აკაკიმ ძალიან შემაჩვია თავის თავს (მოგ. აკ., 108). 77. კაცებს დილით გასაკეთებელ საქმეს ახსენებდა (ო. ჭილ., II, 151). 78. ზაფხულობით იგი მუდამ მთაში იყო (კ. ყმა, 104). 79. ჩემდა სამწუხაროდ, რთველი გადასდეს რამდენიმე კვირით (კ. ყმა, 51). 80. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს (ვაჟა, 268). 81. მაშინვე მოჰხადა ორჩაფიან ქოცოს, ზედაშეს და იმ დილითვე შეაყოლეს (ვაჟა, 310). 82. ლევანმა პირველი წუთებიდანვე შეატყო ეს (გ. ფანჯ., 329). 83. ის დილით ადრე შესულიყო სამგლოვიარო ვაგონში (მოგ. აკ., 445). 84. ნოეს უდგას სახლის წინ დილა-საღამოთი მანქანა და საათობით ყურყუტებს და თვლემს საჭეზე მძღოლი (ო. იოს., 287). 85. მეორე დღეს დილით ადრე ამდგარა ვაჟა ცხენის მისახედავად (კ. ყმა, 19). 86. უკვე დილითვე ყველაფრის თქმა მოვასწარი სკოლის ამხანაგებთან (კ. ყმა, 23). 87. დილაუთენია შინიდან გასული ალექსანდრე გვიან ღამით ბრუნდებოდა (ო. ჭილ., II, 185). 88. დილით კი ჯერ ისევ პირდაუბანელი, თმადაუვარცხნელი ღამის პერანგის ამარა, მაგიდასთან იჯდა და კალამს აწრიპინებდა (ო. ჭილ., II, 184). 89. ამ მშვიდობიან დილით მთის გადმოღმა ლაშქარი ემზადებოდა (თ. ბიბ., 133). 90. ბევრჯერ უნახაეთ ღამით, როცა ყველას ღრმა ძილით ეძ-

ინა, ხმალი თავისთავად ამოწვდილა ქარქაშიდან (ვაჟა, 320). 91. ბუ ხომ ღამღამობით დაფრინავს (ვაჟა, 256). 92. ზამთრობით შირაქში დამიდიოდა ფარა (კ. ყმა, 99). 93. ზაფხულობით ყოველთვის სოფელში მიდიოდა (კ. ყმა, 101). 94. მოეხვეოდნენ ყმაწვილი ქალები და კაცები და მთელი საათობით აღარა შორდებოდნენ (ა. ყაზბ., 65). 95. ამ დღიდან სვიმონმა დაიწყო სამსახური (ა. ყაზბ., 73). 96. ერთი დილით მაქსის დაცვის ზოლში ისევ შემოიპარნენ აქაური ჯარისკაცები (ო. იოს., 23). 97. ღამით ყოვლად შეუძლებელი იყო მათი შემჩნევა (ო. იოს., 76). 98. დღისით ლექციების შუალედებშიც კარგად დაისვენებთ (ნ. ონაშ., 161). 99. დილით კი ოთახში მზემ კედელზე ფანჯრის ჩარჩო გამოსახა (ნ. ონაშ., 166). 100. მუდამ შაბათ-კვირაობით, უქმეებში, კრივი იმართებოდა (ვაჟა, 328). 101. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ის დილით თავის ბოსტანში იყო (კ. ყმა, 326). 102. მე წამითაც არ მოგშორებივარ, ყოველდღე გხედავდი (ნ. ონაშ., 205). 103. დღისით, მზისით, ბელელში ჩაკეტა (ნ. ონაშ., 214). 104. დღისით, მზისით ტახტის კიდეზე ჩამომჯდარი ანა იცრემლებოდა (ო. ჭილ., II, 88). 105. ღამღამობით აქ წვრილი თოკით შეიძლებოდა წყლის ამოტანა (ო. იოს., 78). 106. ღამღამობით ყოველთვის შეუძლიათ ცივი, ახალი წყლის დალევა (ო. იოს., 78). 107. წამით, სულ ერთი წამით უცნაურად განათდა გონება (ნ. ონაშ., 210). 108. საჩხერეში ზაფხულობით ბევრი ახალგაზრდა ყმაწვილი იყრიდა თავს (მოგ. აკ., 25). 109. აქ ვცხოვრობდი მხოლოდ ზამთრობით, ზაფხულობით კი ისევ მშობლებთან ვბრუნდებოდი (მოგ. აკ., 48). 110. უკვე დილითვე ყველაფრის თქმა მოვასწარი სკოლის ამხანაგებთან (კ. ყმა, 23). 111. ძალიან ხშირად შევიკრიბებოდით ხოლმე სანდროსთან საღამოობით (კ. ყმა, 50). 112. მთელი თვეობით ემზადებოდა ჩვენი მწერალი ქალი ვაჟას ტფილისში ჩამოსვლისთვის (კ. ყმა, 165). 113. ღამღამობით შურისძიებაზეც ფიქრობდა (ო. ჭილ., II, 237). 114. ანეტა საღამოობით ელაპარაკებოდა ხოლმე (ო. ჭილ., II, 281). 115. ის ქუჩები დილიდანვე გაჭედილი იყო ხალხით (მოგ. აკ., 259).

*§ 41. სახელი დროის გარემოებად ვითარებით ში.* 1. დილამდე იჯდა მეთაური და დამძიმებული თაეი ორივე ხელით ეჭირა (ო. იოს., 61). 2. გაკვეთილების დამთავრებამდე სამსახურიდან გამორბოდა (ო. იოს., 77). 3. იმ ღამეს თითქმის ხუთ საათამდე გასტანა ვახშამმა (კ. ყმა, 180). 4. ვინ იცის, იქნებ საღამომდე არც კი შეიხედოს თავის ოთახში (გ. ფანჯ., 93). 5. დაბადებამდე მიყვარდა მე ხეები ალვის, სიკვდილის მერეც არ დავუთმობ ამ ალვებს არვის (მ. ლებ., 458). 6. ზაქარია ჩაფარი ანეტას დანახვამდე შეშინებულიყო, ანეტას გამოჩენამდე მიხვედრილიყო ყველაფერს (ო. ჭილ., II, 264). 7. ექვს წლამდე ვაჟა-ფშაველა თითქმის სულ არ მახსოვს (კ. ყმა, 230). 8. ერთ ღამეს გვიანობამდე არ დამეძინა (კ. ყმა, 301). 9. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა (გ. ფანჯ., 134). 10. მარინე თორმეტ საათამდე ელოდებოდა ლევანს (გ. ფანჯ., 276). 11. ჩვენ შეღამებამდე მივედით (ო. იოს., 57). 12. მეტალურგიული ტექნიკუმი ჯერ კიდევ რუსთავის ქარხნის ამუშავებამდე დაამთავრა (გ. ფანჯ., 249). 13. თუთარმა დაჭრილი, მომაკვდავი ჯიხვი პირველად მაშინ ნახა (ო. იოს., 61). 14. შემდეგ ამ წვიმას საღამომდე სიჩუმე მოსდევს (პ. იაშვ., 162). 15. წიგნს კითხულობდა თითქმის გათენებამდე (მოგ. აკ., 129). 16. იგი პირველად სიცოცხლეში მალავდა ცრემლებს (ი. ჯოლბ., 57). 17. მაგრამ იმ ქროლვას დღემდე ვიგონებ (ო. ჭილ., I, 547). 18. რას იტყვის ხალხი, როდესაც შუაღამიდგან გათენებამდის ვიღაც საეჭვო ხალხთან ზიხარ (ა. ყაზბ., 91). 19. დილიდან საღამომდე აივანზე ხარ გამოკიდული (ნ. ონაშ., 10). 20. შუაღამემდე ის მშიერმწყურვალია (ო. იოს., 185). 21. ის მისთვის მხოლოდ ამ დილამდე არსებობდა (ო. იოს., 188). 22. შუაღამემდე აქა ზის, ტკბილად დამღერის არესა (ვაჟა, 27). 23. დილიდან საღამომდე ვმეცადინეობ და შენზე ვფიქრობ (გ. ფანჯ., 616). 24. შემოდგომის დამდეგამდე აღარ იქნება-რა (აკაკი, 163). 25. პირენეის ნახევარკუნძულზე რომაელების გაბატონებამდე ხარის კულტის ასეთი ძველი ფორმები იყო ნიშანდობლივი (შ. ძიძ., 24). 26. თვალის გახელამდე იცოდა, რომ მარტო არ იყო ოთახში (ო. ჭილ., II, 170). 27. ზოგიერთების აზრით, უსტაბაშს არ სცვლიდნენ და იგი ამ თანამდებობაზე სიკვდილამდე რჩებოდა (ი. გრიშ., 36). 28. წამოსვლამდე თითქოს დაიჯერა, რომ მას

არ მოკლავდნენ (ო. იოს., 116). 29. ვახო საღამომდე მშიერ-მწყურვალი პატარა მწყემს ბიჭებში თამაშობდა (ო. იოს., 144). 30. გაზაფხულამდე ეკიდოსთ, რაც ტვირთი ადევსთ კისრადა (ვაჟა, 84). 31. მის ჩამოსვლამდე ძალიან ცოტა დრო მრჩებოდა (გ. ფანჯ., 542). 32. სადილი და სამხარიც იქ მიუდით და და-ლამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში (აკაკი, 92). 33. ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა (ი. გრიშ., 58). 34. სწავლა საღამომდე რომ გაგრძელებულიყო, მერხიდან ფეხს არ მოიცვლიდა (ო. იოს., 145). 35. დღემდის ჩემს ვალს ვასრულე-ბდი, ავად იყოს ის თუ კარგად (აკაკი, 41). 36. ვახომ ბიჭები შუადღემდე ძლივს შეაჩერა (ო. იოს., 132). 37. წასვლამდე ჯერ თითო ჩარექით იჩარექებდნენ (ი. გრიშ., 69). 38. ან გამოცანებს ვამბობდი და ან სხვებრ როგორმე ვიქცევდით თავს ვახშმო-ბამდე (აკაკი, 123). 39. შემოდგომიდან ახალწლამდე დავრჩი ამ სასწავლებელში (ვ. რაზიკ., 11). 40. იმ დღიდან დაწყებული ქუ-თაისს წასვლამდე თითქმის წელიწადნახევარს უჩექმოდ აღარ გამივლია (აკაკი, 133). 41. მე ახლა მესმის ბიჭის ჭიხვინი დილიდან შუაღამემდე რომ ისმოდა იმ ციხე კოშკში (თ. ბიბ., 19). 42. დილამდე ერთმანეთს ვუთხრათ ის, რაც ამ ხნის მანძილზე აღარ გვითქვამს (თ. ბიბ., 89). 43. ორთავეს გვქონდა ნავსაყუ-დარი და ჩვენ დილამდე ვწერდით (მ. ლებ., 517). 44. ზღვის პი-რას დილიდან საღამომდე სილაში ეგდო (ო. იოს., 236). 45. კაც-მა სიბერემდე უნდა მიაღწიოს (ნ. ონაშ., 219). 46. დღემდე მეც ძვირფას ოცნებად მახლავს ჩაის ვარდები და ჩაის ბოლი (ლ. ასათ., 59). 47. პაპას, ლულა ბალიაურს, ას წლამდე უცოცხლია (თ. ბიბ., 12). 48. ის დილამდე იმსჯელებს ასე (რ. ინან., 95). 49. იმ ცისფერ კაფეს ვიგონებ ახლაც, დღემდე იმგვარად დარჩა ის (ლ. ასათ., 59). 50. ბავშეს ჩაძინებამდე ორივე ხელით ჩაე-ბღუჯა დედის უბე და თავშალი (ო. ჭილ., I, 100). 51. მათ შენს დაღუპვას მოახსენებენ და იყმუვლებენ შუაღამემდე (ნ. სამად., 146). 52. მაგრამ წარსული ისე მძიმეა, რომ მისი კვალი გემჩნევა დღემდე (პ. იაშვ., 201). 53. დილიდან სამხრობამდე თავი არ აუღია (თ. ბიბ., 364). 54. მეც დამელოდე გაზაფხუ-ლამდე (ნ. სამად., 158). 55. მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა (ლ. ასათ., 89). 56. შენს ჩამოსვლამდე დავამთავრებ, მერე კი დავსხდეთ და ერთად წავიკითხოთ (ო. ჭილ., I, 328).

57. ფიროსმანმა ნაშუადღევამდე ვერ იმყოფინა ვერც ღვინო, ვერც იეთიმ გურჯის ლექსი (რ. ინან., 23). 58. დილიდან საღამომდე ეჭიდებოდნენ ისინი ქვის სიჯიუტეს (ო. ჭილ., I, 331). 59. სან ფერმინის დღესასწაულზე დასასწრებად პამპლონაში ყოველწლიურად ჩადიოდა ჰემინგუეი (შ. ძიძ., 21). 60. ზამთრის გრძელ დღეებში ბუხართან თავმოყრილებს დილიდან შუადღემდე შეეძლოთ ვილაც არარსებულ ვაჟკაცებზე ლაპარაკი (თ. ბიბ., 175). 61. დაბინდებამდე თავს ადგია გრძელი ფარდული ამდენ მოსავალს (ლ. ასათ., 49). 62. დაკონკილი კარვებიდან დილიდან საღამომდე ისმოდა მათი ბუტბუტი (ო. ჭილ., I, 32). 63. გაზაფხულიდან შემოდგომამდე შემომიჩნდება სიტყვის კრაზანა (პ. იაშვ., 155). 64. ის  იმ ქალის გარდაცვალებამდე არავის უნახავს (მოგ. აკ., 359). 65. თითქმის სიკვდილამდე ისეთი მაგარი კბილები ჰქონდა (მოგ. აკ., 192). 66. უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა (ლ. ასათ., 89). 67. იოსები დილიდან საღამომდე გარეგინას დუქნის წინაა ჩამომჯდარი (ო. ჭილ., II, 177). 68. მერე მომავალ გაზაფხულამდე ადგილი უნდა დაენარჩუნებინა (ო. ჭილ., II, 95). 69. შემოდგომამდე ჩამოვაო, ხომ მითხარი? (თ. ბიბ., 439). 70. იმ დღეს მზის ამოსელიდან მზის ჩასელამდე უჩვეულო არაფერი მომხდარა (თ. ბიბ., 366). 71. ჯერ კიდევ დიდი დროა გათენებამდე (ო. ჭილ., II, 401). 72. თეითონ ათ საათამდე ვერ ილვიძებდა (გ. ფანჯ., 559). 73. დაღამებამდე ლუკმას არ ჩაიდებდა პირში (გ. ფანჯ., 565). 74. მაგრამ სახლიდან გასვლამდე აუცილებლად რაღაცას წამოედებოდა ხოლმე (ო. ჭილ., II, 43). 75. დავტრიალდეთ, იქნებ ბიჭების ადგომამდე რაიმეს ვეწიოთ (ო. იოს., 318). 76. დღემდე არ ყოფილა დედამიწაზე იმისთანა ქვეყანა, სადაც კაციშვილს თავის გუნებისად გაევლო წუთისოფელი (ო. იოს., 207). 77. იმ დღემდე სულ არ გასულა რამდენიმე წელიწადი (ილია, 723). 78. საშემოდგომოდ, ალბათ, სამეურნეო განყოფილების გამგის ადგილი განთავისუფლდება (გ. ფანჯ., 507). 79. გაახსენდა, ღამის პირველ საათამდე რამდენი ინერვიულა (გ. ფანჯ., 556). 80. მეორე დღეს საღამომდე დავდიოდი ქალაქში (ო. იოს., 338). 81. ნოე ჩემ გაჩენამდე ორი წლით ადრე გაუჩნდა დედამისს (ო. იოს., 285). 82. შემოდგომამდე კიდევ უნდა მოითმინო (გ. ფანჯ., 507). 83. ხუთ საათამდის გაგრძელდა ჩვენი ქეიფი ბაღში

(კ. ყმა, 92). 84. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შევხვდი ვაჟას მის გარდაცვალებამდი (კ. ყმა, 93). 85. შუაღამემდე იდგნენ კაცები ბნელში და ლაპარაკობდნენ (თ. ბიბ., 428). 86. ჩემი დურმიშხანი შუადღემდე არ მიდის სამსახურში (ო. იოს., 320). 87. მაისში აყვავდებოდნენ და თიბათვის ორ კვირამდე ძლივძლივობით სძლებდნენ (ვაჟა, 291). 88. განხილვის დაწყებამდე ორივე ტელევიზორი ჩაერთო (გ. ფანჯ., 497). 89. ამას სიკვდილამდე არ დავივიწყებთ და ჩემი ამხანაგების სახელით გიძღვნით წრფელ მადლობას (კ. ყმა, 72). 90. ამ სახლში დაიბადა ლუკა და მისი და-ძმანი, სადაც ის რვა წლამდის იზრდებოდა (კ. ყმა, 101). 91. აღათა თითისტოლა გოგო ყოფილა, პირველად რომ მოუყვანიათ მიქელაძეებთან (ო. ჭილ., II, 143). 92. პირველად ნახა, ადამიანს ცხვირ-პირიდან ბოლი რომ გამოსდიოდა (ო. ჭილ., II, 182). 93. მათი შემწეობით დღემდე დატანჯულს კუხიანსაც ეპატია დანაშაული (ა. ყაზბ., 71). 94. დღეს საღამომდის ვერ მოეედი და ვერ განახეთ (ა. ყაზბ., 19). 95. სიკვდილამდის ვაჟა კელავ ამ სახლში ცხოვრობდა (კ. ყმა, 101). 96. წყალში ვჭყუმპალაობდი დილიდან საღამომდის (კ. ყმა, 162). 97. მისი შვილიშვილები თამაშობდნენ დილიდან საღამომდე (ო. ჭილ., II, 154). 98. ასე იყო გაზაფხულამდე (ო. ჭილ., II, 313). 99. მართლაც, დილამდე ყველაფერი მიწყნარდა (კ. ყმა, 240). 100. თითქმის გათენებამდის იპაექრეს ლიტერატურისა და ხალხური მეტყველების საკითხებზე (კ. ყმა, 139). 101. ხვალ შუადღემდის პასუხს ველი (ა. ყაზბ., 24). 102. დღემდის ის შეჩვენებულები ნამდვილ ეშმაკებად მეჩვენებიან (ა. ყაზბ., 96). 103. უკანასკნელად იგი ზღვაზე ბარათებს გვწერდა (მ. ლებ., 521). 104. ჩვენ შეღამებამდე მოვედით (ო. იოს., 57). 105. ბილიკზე ჩასვლა საღამომდე არ მოხერხდებოდა (ო. იოს., 49). 106. ამ ხნის მანძილზე დილიდან საღამომდე მუზეუმში ვიჯექი (ნ. ონაშ., 168). 107. სიკვდილამდი არ დამავიწყდება ამ სამი ბუმბერაზის სცენაზე გამოჩენა (მოგ. აკ., 467). 108. ძილგატეხილებს დილამდე იმედის ძაფი არ გაუწყდებოდათ (ო. იოს., 72). 109. ჰანსმა პირველად ასე მოიმოქმედა (ო. იოს., 81). 110. აქ შეიძლება პირველად იხილა მზე მომავალმა მგოსანმა (მოგ. აკ., 441). 111. გუშინ გათენებამდე არ შერხეულა კარვის გამოხუნებულ კედელზე ლამპის შუქით მოხატული მისი ვეება

ლანდი (ო. ჭილ., II, 11). 112. არასოდეს დამავიწყდება ის დღე, პირველად რომ ეს გოგო დავინახე (თ. ბიბ., 197). 113. მე პირველად ვხედავდი ამ ქალის სევდიან თვალებს (თ. ბიბ., 201). 114. ქორწილი საშემოდგომოდ ჰქონდა განზრახული (გ. ფანჯ., 69). 115. მეუღლის სარეცელთან ჩამომჯდარი გათენებამდე ეჩურჩულებოდა ძილგამკრთალ ქმარს (ო. ჭილ., I, 38).

## ვითარების გარემოება

*§ 42. ზმნიზედა ვითარების გარემოებად.* 1. ნისლი სახლებს დაჰფენია, ქუჩებს მისდევს ნელა (პ. იაშ., 207). 2. თანდათან შებოჭეს რკინების თასმებმა (პ. იაშვ., 163). 3. გამხდარ თითებს დასერილი ფოთლის სევდა ასდის ნელა, ნელა-ნელა, ნელა-ნელა (ი. ჯოლბ., 74). 4. რეზოსთან კი რამდენჯერმე გაუმხელია თავისი მიზნები (გ. ფანჯ., 204). 5. ის ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე მწარედ ჩაიცინა და ლოგინზე წამოწვა (გ. ფანჯ., 158). 6. ის ნელ-ნელა შეუდგა ხელსაწყოების შეგროვებას (გ. ფანჯ., 92). 7. ძლივს ვიპოვეთ თავისუფალი ადგილი (ნ. ონაშ., 103). 8. ასჯერ დავთვლი სახელს შენსას (მ. ლებ., 23). 9. ორჯერ საზღვარგარეთაც ვიყავი (ნ. ონაშ., 105). 10. მე პირდაპირ ვუცქერდი თემოს (ნ. ონაშ., 96). 11. ასე შფოთავენ წყვდიადში ტბები (ო. ჭილ., I, 546). 12. ჩემი მზისა და სიზმრების მხარე მე მიბრუნდება ჩუმად და ნელა (ო. ჭილ., I, 570). 13. მერე კი მთებზე მოთოეა ოდნავ (ო. ჭილ., I, 548). 14. შარშან ტოტი ჩამოხმა, წელს ხელახლა მძლავრდება (მ. ლებ., 186). 15. მთის წლებში ფშავის წისქვილნი იბრუნვენ შეუსვენებლივ (ა. კალანდ., 424). 16. და ყველაფერი გაქრა ჩემს ირგვლივ, ო, ყველაფერი, უცრად (ა. კალანდ., 286). 17. ჩაასხა ღვინო კულაში და სამჯერ დაცლაც გაბედა (პ. იაშვ., 230). 18. ნერგიც ასე ელავს რხევით (პ. იაშე., 208). 19. იზრდება სიცხე და მაგარ თითებს თანდათან უფრო თამამად უჭერს (ო. ჭილ., II, 476). 20. ძლივს ავარიდე ხმელ კომბალს კეფა (ო. ჭილ., I, 558). 21. იმან რამდენჯერმე ამოიოხრა, რამდენჯერმე გადატრიალდა (ა. ყაზბ., 174). 22. ამ ორ კვირაში ნიკოს მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა (ნ. ონაშ., 78). 23. ჩემი მეზობლის ამ სიტყვებზე ხმამაღლა გამე-

ცინა (ნ. ონაშ., 33). 24. ჩარხი უკუღმა დატრიალდა (თ. სახ., 772). 25. მისი ყოველი სიტყვა ათასჯერ მინდოდა მომესმინა (მოგ. აკ., 18). 26. მე გონს მოვდივარ და ნელ-ნელა ვათვალიერებ მის ნატიფ სახეს (მ. ლებ., 459). 27. მძიმედ იღება და იხურება საყდრის კარები (ა. კალანდ., 278). 28. კაპრალის ყურებში ერთბაშად მოასკდა სისხლი (ო. იოს., 79). 29. დუქანში ხალხი თანდათან ახმაურდა (გ. ფანჯ., 116). 30. თავისი ვეება ტყავის ჩანთიანად ძლივს შევიდა შიგ (გ. ფანჯ., 9). 31. წელში მოხრილიყო და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა (ნ. ონაშ., 137). 32. როგორც ბუზები თაფლს, ისე მისევიან (თ. სახ., 523). 33. მაგრამ თანდათან ეს ხმაც მიწყდება (ო. ჭილ., I, 550). 34. მდუმარე ვარ ისე, თითქოს წარღვნას გადაერჩი (ო. ჭილ., I, 546). 35. გამიადვილდა უეცრად შრომა (პ. იაშვ., 161). 36. ლევანი რამდენჯერაც გაექცა, იმდენჯერ უკანიდან ფეხებში ჩაუვარდა (გ. ფანჯ., 225). 37. გადიშლება უცბად ნერგი (პ. იაშვ., 208). 38. როგორც ძაღლს კატა, ისე ეჯაერებოდა (თ. სახ., 524). 39. ასე დასცინის ყველა თანამშრომელს (ნ. ონაშ., 87). 40. და უცბად ვიგრძნობ ჩასვლის უმალ მზე აქ ყოფილა (პ. იაშვ., 162). 41. ნაჩუმათევად თავის თავს ხშირად ეკითხებოდა (ო. იოს., 66). 42. მთვარის ნათელი ნელა, ნელა აღვიძებს სულებს (ა. კალანდ., 139). 43. თვალთ დაიფენს ტუნგოს ფოთოლს, ზღვაში ისე შეცურდება (ა. კალანდ., 46). 44. და ჩვენ პირისპირ პირველად დავრჩით (მ. ლებ., 75). 45. ერთი-ორჯერ ღრმად ამოისუნთქა (ნ. ონაშ., 47). 46. შენ უკვე გაიგე, რა არის ძილის წინ უეცრად შეხტომა (პ. იაშვ., 163). 47. სახლში პირდაპირ, დაუკითხავად შევიდა (ა. ყაზბ., 79). 48. ურემი ნელ-ნელა გაუსწორდა ფანჯარას, ასევე ნელ-ნელა გაშორდა და ორღობეში მიიმალა (გ. ფანჯ., 93). 49. მე უეცრად შემაშფოთებს სურნელება ტკბილი (პ. იაშვ., 208). 50. შენს შესანიშნავ ხავერდის ბალახს ათასჯერ მეტი შრიალი ესმის (პ. იაშვ., 190). 51. მზის ცეცხლოვანი კევრი ნელა სერავდა ზეცის მხურვალე კალოს (ნ. ონაშ., 8). 52. სატეხის წვერიც რამდენჯერმე ახალბედასავით ამისხლტა (ნ. ონაშ., 27). 53. ნელა, კატის ნაბიჯით, გამოემართა ჩემკენ (ნ. ონაშ., 31). 54. ასე ყაყანებს, ასე ბორგავს მთელი ბაზარი (ლ. ასათ., 49). 55. მე მხოლოდ მისი სახელი მიყვარს, ვისაც სიცოცხლე ამგვარად მიჰყავს (ლ. ასათ., 23). 56. თვალები კი თან-

დათან აუბრჭყვიალდა და ღიმილით მთელ სახეზე გაეფოთლა (ო. ჭილ., I, 169). 57. ნელა მიცურავს მდინარე, მიწაც მიცურავს ნელა (პ. იაშვ., 166). 58. იგი ძალიან შეუთავდა (მოგ. აკ., 249). 59. ღრუბლიდან ხანდახან ასე გამოანათებს მთვარე (გ. რობაქ., 106). 60. მან მთელი ახლომახლო ციხე-კოშკები ისე დაარბია, დამარცხება არ უგემია (თ. ბიბ., 184). 61. ნიადაგ ცრემლით სველი აქვს ღაწვი, ნიადაგ ასე ამშვიდებს ნაძვი (ა. კალანდ., 178). 62. ლამაზ კულულებს შეგირხევს ოდნავ (ა. კალანდ., 255). 63. აკაკის ძალიან უყვარდა ასეთი შეკრებები (მოგ. აკ., 356). 64. ეს ჭაბუკი ძალიან მომეწონა (კ. ყმა., 51). 65. მამამ ასე დამიბარა, დედამ ასე დამიბარა: კერია არ გააციო და ზედ ცეცხლი გენთოს მარად (ლ. ასათ., 115). 66. მაგრამ უეცრად იქუხა ისევ მეტ გახელებით და გამძაფრებით (ლ. ასათ., 64). 67. აგერ უეცრად რაღაცამ ჰაერში გაიკრიალა (ილია, 68). 68. და იმდენივე მომაკლდა უცებ (ო. ჭილ., I, 559). 69. მე დავითვალე მზის ამოსვლა ათიათასჯერ (ი. ჯოლბ., 89). 70. ნეტა ჩემს გარდა ვინ არი, რომ ასე ჩუმად ღელავს (პ. იაშვ., 166). 71. ბექან წერეთელთან ძალიან უყვარდა სიარული (მოგ. აკ., 256). 72. ასე თუ ირხევა მთვარეში ასკილი, ღვია და ბალბა (ა. კალანდ., 198). 73. დაუღალავად ასე იფრენენ და დიდებულსა მზესა აქებენ (ა. კალანდ., 208). 74. ერთი ხელადა, მარტო ერთი ხელადა დარჩა, ჩქარა იყიდეთ ოჯალეში შარშანწინდელი (ლ. ასათ., 48). 75. და მხოლოდ მისი ცეცხლი მედება, ვისაც ასე სწამს შემოქმედება (ლ. ასათ., 23). 76. სალომე ძალიან ჰკვიანია (ნ. ონაშ., 99). 77. პირობითი ნიშნებით ხმადაბლა იტყოდნენ რამდენიმე სიტყვას (ნ. ონაშ., 79). 78. ის ნელა, მორჩილად გაცურდა ნაპირისაკენ (ო. ჭილ., I, 139). 79. ნელა, ორორზე მიდიოდნენ პატრონებს ადევნებული ცხენები (ო. იოს., 159). 80. შენი სევდის მიზეზსაც თანდათან ვხვდები (ი. ჯოლბ., 148). 81. გულწრფელს ჩამოაგვირისტებს უცებ, რაც მოუვა თავში (მ. ლებ., 57). 82. ნუ დაიჯერებთ, ბრძენ ჰიპოკრატეს სადღაც, ოდესღაც რომ უთქვამს ასე (ლ. ასათ. 112). 83. უეცრად მოსწყდა ბედაურს მგოსნის ტანი (ლ. ასათ., 27). 84. მერე უცებ ვიღაცის უხილავმა ხელმა თითქოს გაასწორა ეს უზარმაზარი ეკრანი (გ. ფანჯ., 622). 85. ეს ჩრდილები თანდათან გარკვეულ სახეს იღებდა (ი. გრიშ., 74). 86. ცას ნელა ეპარებოდა გვიანი

შემოდგომის მძიმე ღრუბელი (ნ. ონაშ., 221). 87. ძლიერ შეც-დება, თუ ვინმე მომაწერს ამას (კ. ყმა, 127). 88. ძალიან ძნე-ლად დააძინეს (კ. ყმა, 179). 89. დ:უსამ ცოტა ხანს უყურა და მერე ნელა წამოდგა (ო. ჭილ., II, 327). 90. ასე ჩქარა ყველგან როგორ მიივლ-მოივლიან (აკაკი, 140). 91. მერე უცებ გამო-ერკვა, ბაბალეს მოხედა და ჩუმად თქვა (ნ. ონაშ., 221). 92. ერთ-ხანს ჩუმად იჯდა, ღრმად და ხშირად სუნთქავდა (ნ. ონაშ., 250). 93. ჰყვებიან ასე ფიროსმანის დროს ქადაგნი (ლ. ასათ., 66). 94. ისე გავიდა ეს გაზაფხული (ლ. ასათ., 24). 95. ნელა, წვალებით თენდებოდა (ო. ჭილ., I, 99). 96. ის ჩუმად წერდა, თითქმის მალულად (ნ. სამად., 174). 97. ქუჩას მიჰყვება ნაპო-ლეონი, გამხდარი ჩანს და დაღლილი მეტად (ა. კალანდ., 256). 98. განა ოდესმე მოვიფიქრებდი, რომ ქართველი საზოგა-დოება ასე დამივიწყებდა (კ. ყმა, 168). 99. ეს ნაცნობი ქალი ნელა გადმოვიდა ლობეზე (ა. ყაზბ., 102). 100. მოედანი ნელ-ნელა დაცარიელდა (თ. ბიბ., 300). 101. ერთბაშად აბრიალე-ბული ცეცხლი სოფლისა ერთბაშადვე ჩაქრა (თ. ბიბ., 301). 102. ნი-ნუცამ და ბაბალემ ხელნაკრავებივით უცებ გაახილეს მილუ-ლული თვალები (ნ. ონაშ., 216). 103. მე სწორედ ეგრე ვცხოვ-რობ (ნ.ონაშ., 100). 104. დაჯდა თამარი და სულთანს ასე მი-სწერა პასუხად (ლ. ასათ., 94). 105. უცაბედად მატლი არეულა, ბორბალი უკუღმა დატრიალებულა (მ. ლებ., 294). 106. მან თვალები ნახევრად მოჭუტა და ღვინო ნელ-ნელა მოწრუპა (გ. ფანჯ., 368). 107. უცბად შავმოვლებული შეჩოჩქოლდნენ დრო-შები, უცბად მამადავითის ბჭესთან შედგნენ მგოსნები (მ. ლებ., 343). 108. ღულა ბალიაური მრისხანეც ბევრჯერ ყოფილა (თ. ბიბ., 12). 109. ჩვენ დავესწარით კორიდის სანახაობას სამჯერ (შ. ძიძ., 25). 110. რაც ამ ტიალს დავსდიე, ორჯელ თუ სამჯერ გამექცა (ვაჟა, 166).

*§ 43. სახელი ვითარების გარემოებად.* 1. დავიწყებოდათ დედამიწა და ცას შესცქეროდნენ გაფაციცებით ასტრონომები (მ. ლებ., 464). 2. და გალიის ფრინველივით შინ სამშობლოს ფიქრი ბუდობს (მ. ლებ., 50). 3. ეს ფიქრი ცოცხალივით ამეს-ვეტა თვალწინ (თ. ბიბ., 55). 4. ქსანზე ყელამდე იდგა შალიფა

და ოქროსფერად ჰყაოდა ძეძეი (ა. კალანდ., 288). 5. განა ერთგვარად შეგიცნო ჩემმა გულმა და სხვისამა (ა. კალანდ., 301). 6. თავგამოდებით გალობდა შაშვი (ა. კალანდ., 48). 7. თუ ბიჭია, ჩემსავით გადაეშვას კლდიდან მორევში (გ. ფანჯ., 90). 8. სიბნელე შეუმჩნევლად გაიპარა (გ. ფანჯ., 95). 9. ლევანმა მანქანა მოულოდნელად დაამუხრუჭა, მარინე კინაღამ წინა მინას შეასკდა თავით (გ. ფანჯ., 200). 10. ჭიანჭველასავით გამოჩნდა მისი ტანკერი ფოლადის გიგანტებს შორის (გ. ფანჯ., 129). 11. მეტიჩარა კოვზივით ეჩრება ( თ. სახ., 389). 12. ისინი ჭიანჭველასავით ირეოდნენ (თ. სახ., 890). 13. დაუფიქრებლად წაყევი ქარებს (ო. ჭილ., I, 580). 14. მომაკვდავივით ვაცეცებ თვალებს (ო. ჭილ.,I, 576). 15. გარეთ კი თვითონ ბუნების ნებით თავგანწირულად დნებოდა თოვლი (ო. ჭილ., II, 540). 16. შეუმჩნევლად გადავიარე ვიწრო ეზო (ნ. ონაშ., 23). 17. დაბალ აივანზე უნებართვოდ ამოვიდა (ნ. ონაშ., 31). 18. ქარხნიდან ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ მუშები (ნ. ონაშ., 73). 19. მან ზანტად დაიწყო ფურცვლა (ნ. ონაშ., 32). 20. მამალს მოსდის ღვარღვარად ცრემლი შეუშრობელი (პ. იაშვ., 225). 21. მას ღვთისმშობელი შეუყვარდა ობოლ დასავით (პ. იაშე., 102). 22. მყინთავებიყით ფერდობებზე მუხები ჩანან (პ. იაშე., 175). 23. უხმოდ და მოკრძალებით შევედივართ ახლად მოსულები დადუმებულ ოთახში (პ. იაშვ., 278). 24. ახლა მისი ნაბიჯიც თოფის გასროლასავით ისმოდა (ო. იოს., 81). 25. თქვა უცებ ბიჭმა ნიშნისმოგებით (მ. ლებ., 75). 26. სუროში შაშვი გალობდა, რაღა თქმა უნდა, ფრთხილად (მ. ლებ., 355). 27. ზათქით, შხივილით და გადარევით დაპბერა ქარმა (მ. ლებ., 76). 28. დიდი სიმღერა მთებზე გადადის, მდინარესავით იღვრება ხალხში (მ. ლებ., 353). 29. ის შემოუძღვა ჩემს წალკოტში მონურად, მდაბლად (ა. კალანდ., 120). 30. ო, ამ კლდეებში... უგზო-უკვლოდ ვიაროთ კიდევ (ა. კალანდ., 303). 31. ჭკვიანად, ფრთხილად აბიჯებს ცხენი (ა. კალანდ., 446). 32. ის სწრაფად ფეხზე წამოხტა (გ. ფანჯ., 90). 33. დაზეთილი საკეტი ფრთხილად დადო თეთრ ნაჭერზე (გ. ფანჯ., 91). 34. ის დინჯად ჩამოჯდა სამფეხა სკამზე (გ. ფანჯ., 91). 35. თოფის წამალივით იფეთქებს (თ. სახ., 278). 36. გატეხილი კოვზივით ჩარევა (თ. სახ., 80). 37. ფეხაკრეფილი გადარბის წვიმა და ძლივს ტაატით მიფრინავს კვამლი (ო.

ჭილ., I, 544). 38. მეფეებივით ფიქრობენ მთები (ო. ჭილ., I, 541). 39. მოხეტიალე პიერო ბავშვივით აცვიტირდება (პ. იაშვ., 112). 40. შემომახურებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი (პ. იაშვ., 140). 41. მოვა ეს ხე და მკერდში ძმასავით მე ჩამიხუტებს (პ. იაშვ., 167). 42. სად ზღვასავით ღრმაა გრძნობა ამ სიტყვების გაგონებით (პ. იაშვ., 216). 43. დირექტორის კაბინეტიდან თხუნელასავით სწრაფად გავიდა (ნ. ონაშ., 44). 44. ეს სურეილი ჯერ ნაპერწკალივით გაიელვებს გონებაში (ნ. ონაშ., 54). 45. მე ხელთ მიპყრია ნაზად უღალატო და წრფელი, შენი დაღლილი მაჯა, შენი დაღლილი ხელი (მ. ლებ., 120). 46. ურარტუს ნამთებს გაკვირვებით შევახე ხელი (მ. ლებ., 307). 47. ეს დღეც თენდება თეთრად განმქარვებელი ჭირთა (მ. ლებ., 121). 48. ჭიჩოზე ნისლის კოტორნი მძიმედ, ნელინელ ქანავსა (ა. კალანდ., 413). 49. ბელურას სძინავს და ყოველ დილით იგი ქივქივით შეხვდება მზესა (ა. კალანდ., 358). 50. თოფს მეც გავწმენდავ გულდასმით ყოველ დილით (გ. ფანჯ., 92). 51. აუდიტორიაში ჭაღარა, კოჭლი კაცი შემოვიდა, იგი წყნარად მოგვესალმა (გ. ფანჯ., 219). 52. ბზობის ყვავივით გაქრა (თ. სახ., 55). 53. ფოსტის ცხენივით დარბოდა (თ. სახ., 664). 54. იმ დღესაც ჩუმად იდგა კედელი და ჩრდილიც ჩუმად იწვა კედელთან (ო. ჭილ., II, 489). 55. წელიწადივით გრძელდება წუთი და სიკვდილივით ფეხს ითრევს ძილი (ო. ჭილ., I, 573). 56. ბილიკის გადმოსასვლელი ვარსკვლავებით მოჭედილ ფონზე კარგად ჩანდა (ო. იოს., 51). 57. აწ შენი გზები სხვაგვარად მიდის (მ. ლებ., 108). 58. მე უნდა გავხდე შენებრ ქვაწვია, არ მოგვიტეხონ ჩვენს ტყეში წკირი (მ. ლებ., 336). 59. ბიჭსავით დაგატარებდი, ბიჭსავით ცხენზე გსვამდი (მ. ლებ., 306). 60. ფარნაოზს მწარედ გაეღიმა (ო. ჭილ., I, 248). 61. ძველ კუნძულებზე კელავინდებურად თვალმშვენიერი ტბათა ასულები გარინდებულან (ა. კალანდ., 361). 62. ქალიშვილს ესიამოვნა, ვაქმა რომ მისი ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა (გ. ფანჯ., 171). 63. ის მამალივით იბღინძება (თ. სახ., 368). 64. წყლიდან მშრალად ამოსელა (თ. სახ., 884). 65. გზა სპირალივით ზედიზედ უხვევს (ო. ჭილ., II, 520). 66. აქ არ პყვაოდა ყვითლად ზაფრანა მწვანე მორევში (პ. იაშვ., 194). 67. კავკასიის მომღერლები ფარდაგებზე დინჯად სხედან (პ. იაშვ., 186). 68. ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და

ოქრომკერდი (პ. იაშვ., 71). 69. მშენებლობის ნარჩენებს ულმერთოდ შეელახა ამ ლამაზი კუთხის მშვენება (ნ. ონაშ., 72). 70. მათ ჩუმჩუმად „წმინდა სამების“ მფარველ ანგელოზებს ეძახდნენ (ნ. ონაშ., 78). 71. აქ ბედნიერად ვატარებთ დროს (ნ. ონაშ., 78). 72. ბატონკაცურად საწოვარას ბიჭუნა ღეჭავს (მ. ლებ., 297). 73. გადახვევია სხვის კომშს ძმასავით, გადარეულა კაცი რაჭველი (მ. ლებ., 218). 74. ბარე მეოცედ ავუვლ-ჩავუვლი მე ამ ხეივანს (მ. ლებ., 458). 75. ფშვენით, რქენით, ძუნძულით ჩამირბინეს ირმებმა (მ. ლებ., 216). 76. მე შევფრფვეინავდი ყოველ გამვლელს ატმის ხესავით (ა. კალანდ., 318). 77. ვერცხლისფერი თვითმფრინავის ვიწრო შესასვლელში მგზავრები ფუტკრებივით ფუსფუსებდნენ (გ. ფანჯ., 165). 78. ის შამფურივით ტრიალებს (თ. სახ., 739). 79. რატომ დუმს ასე ჯიუტად, რაზე ფიქრობს? (ნ. ონაშ., 129). 80. თავი შეშინებული სირაქლემასავით დავმალე (ნ. ონაშ., 122). 81. ჩემს გარშემო ლურჯად ბნელოდა (პ. იაშვ., 124). 82. ყოველ მხრიდან თეთრად მოჩანს, ვით მაღალი ზღვის კედელი (პ. იაშვ., 215). 83. გამოიტანა ველოსიპედი, დაჯდა, გახედა ყაზბეგის ქუჩას და დასძრა შემდგომ ბატონკაცურად (მ. ლებ., 546). 84. მშობელს კიბეზე მივდევდი ფრთხილად (მ. ლებ., 538). 85. პურში წითლად ღვივის ყაყაჩო (მ. ლებ., 526). 86. კაცი მოუსვენრად ქშინავდა (ა. ყაზბ., 92). 87. და აი, თითქმის ოცი წლის მერე ჩვეულებრივად თენდება დილა (ო. ჭილ., II, 498). 88. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლზე, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა (კ. ყმა, 232). 89. გერმანელები ფაციფუცით მიყვებოდნენ ბილიკს (ო. იოს., 17). 90. ამას ის ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მკვეთრად და დაბეჯითებით ამბობდა (ნ. ონაშ., 89). 91. ნიკომ სულმოუთქმელად გამოცალა ჭიქა (ნ. ონაშ., 106). 92. მთვარე ცივად ეცემა (პ. იაშვ., 142). 93. დაცოცავს ნაზად მსუქანი მტრედი (პ. იაშვ., 109). 94. მე შემოვედიეარ შენს ტყეში ფრთხილად (მ. ლებ., 384). 95. და იძულებით აძინებენ ავადმყოფ ქალაქს (მ. ლებ., 460). 96. გაკეცილი კონვერტი მომაჩეჩა და სხაპასხუპით დამაყარა (ნ. ონაშ., 124). 97. ტაძრის კარი მძიმედ ილება (ნ. სამად., 148). 98. გულში ფარულად ლესავდნენ მახვილს (ა. კალანდ., 280). 99. საათმა თორმეტჯერ დარეკა, თამაზი გაოცდა, ასე სწრაფად როგორ გავიდა სამი საათი (გ. ფანჯ., 621). 100. მეც შე-

ნებრ ვემონებოდი თბილისის ცას და ღამეებს ზღაპრულს (ლ. ასათ., 76). 101. კოლხიდაში ყოველ მხრიდან შემოვიდნენ ლაღად (ლ. ასათ., 108). 102. მას თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა (ი. გრიშ., 175). 103. გულდასმით ვათვალიერებთ ბასკების კარმიდამოებს (შ. ძიძ., 28). 104. კარგად ვერ გაარჩია, რა ხმა ისმოდა ოთახიდან (ო. ჭილ., I, 121). 105. ზოგან იბრძვიან ერთად, ჯგუფ-ჯგუფად (აკაკი, 62). 106. კვლავ გაიძახის ლეჩხუმელი თავდავიწყებით (ლ. ასათ., 49). 107. იმისი ასული მტრედივით ცაში გაფრინდა ლაღადა (ლ. ასათ., 82). 108. მუშა მწერლების შრომამ უქმად არ ჩაიარა ხალხში (ი. გრიშ., 135). 109. ჭრილობაში ზღვის მლაშე წყალმა შეაღწია და საშინლად ეწვოდა საფეთქელი (გ. ფანჯ., 127). 110. სახლი ღამურასავით არის მიმალული (გ. რობაქ., 218). 111. სოფლის გოგო გარინდულია კუთხეში გუგულივით (გ. რობაქ., 245). 112. შეჩერდნენ, წყნარად შეაღეს პირველი ოდის კარები (ლ. ასათ., 113). 113. კარგახანს იდგა უხმოდ, ისე ღრმად სუნთქავდა, თითქოს ჩუმად ტირისო (ნ. ონაშ., 205). 114. დღეს უფრო დაბლა, უფრო ზანტად ფრინავს თოლია (ო. ჭილ., I, 556). 115. ჰაზირა ზეპირად იგონებდა თავის ლექსებს (ი. გრიშ., 165). 116. სწრაფად გადაიკითხა გაკრული, ლამაზი ხელით დაწერილი სტრიქონები (გ. ფანჯ., 613). 117. ის წყნარ-წყნარად წაიღო ფიქრებმა (ა. ყაზბ., 214). 118. მკერდში ძმასავით მე ჩამიხუტებს (პ. იაშვ., 167). 119. ეს მზე მეც შენებრ მიხვევდა თავბრუს (ლ. ასათ., 76). 120. ყოველთვის ტკბილად გამახსენდება მისი უბადლო თვალისჩეირი (ლ. ასათ., 21). 121. მრუდედ დადგმული მეჩვენა თავლა, დავიწყე თავლის გადაკეთება (პ. იაშვ., 114). 122. ამენთო გრძნობა მაღლითა ცეცხლებრ, ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა (ილია, 121). 123. წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ ცრემლი-ცრემლზე ეკიდება (აკაკი, 39). 124. ჩამჩურჩულებდა ნაზად წერილი და მომაგონდა ჩვენი ბავშვობა (ლ. ასათ., 20). 125. თუ ეს ერთხელაც არ განგიცდია, სიტყვის უთქმელად დაიღუპები (ლ. ასათ., 23). 126. ხელჩართულ ომში შეერთებულად უნდა იბრძოლოთ (აკაკი, 59). 127. მან მერე ამაყად გამოხედა ბიჭებს (ო. ჭილ., I, 100). 128. მე ვიყავ ბედით გაოგნებული და ძელებში მწარედ მიელიდა ქარი (ნ. სამად., 122). 129. ფრთხილად აგროვებს

ზურმუხტის ცვრებს იისფერ თასით (პ. იაშვ., 83). 130. შურთ, მაგრამ მაინც მოდიან დინჯად (ლ. ასათ., 29).

## მიზნის გარემოება

*§ 44. მიზნის გარემოება.* 1. ქართულთა ხატთა შესამკობელად ჩქარობდნენ გელათს ბეშქენ და ბექა (ა. კალანდ., 253). 2. ბავშვებს მოაქვთ ყვავილები ცხედრის შესამკობად (პ. იაშ., 280). 3. ტყეების დასანგრევად ცხელ ზაფხულში ჩვენკენ ილტვის (პ. იაშვ., 91). 4. გამეხარდა დაპირება და წაველი თხების სამწყემსავად (კ. ყმა, 230). 5. მელანიას თხილი გაეშალა ბანზე გასაშრობად (კ. ყმა, 231). 6. მასპინძლის მამამ ეაქას თავის გამოსასყიდლად ლექსის დაწერა სთხოვა (კ. ყმა, 249). 7. გუა მერე გამოჩნდა, ცხენები ჩაეყვანა ფლატის პირას ოღროჩოღრო მდელოზე და საბალახოდ დაეტოვებინა (ო. იოს., 73). 8. ორი კაცი გაუშვეს ბილიკზე გზის დასაზვერად (ო. იოს., 76). 9. ბიჭი ეზოში სათამაშოდ რომ ჩადიოდა, დედას ფანჯრები ღია ჰქონდა (ო. იოს., 77). 10. იგი ბაღჩისარაიში დედას გაჰყვა დასასვენებლად (გ. ფანჯ., 123). 11. მას ხშირად სხვა ქარხნებშიც კი იწვევდნენ ღუმელების შესაკეთებლად (გ. ფანჯ., 248). 12. რუსეთში კარიერისათვის არ წავსულვარ, სწავლა მაინტერესებდა (გ. ფანჯ., 189). 13. დირექტორმა თქვა, რომ ხელოვანია და ფართი სჭირდება სამუშაოდ (ნ. ონაშ., 101). 14. ძალიან ხმამაღლა, მთელი მათი ჯგუფის გასაგონად დავიწყე (ნ. ონაშ., 112). 15. მას ამ სილამაზის შესანარჩუნებლად ყველაფერი მიაქვს მსხვერპლად (ნ. ონაშ., 116). 16. გამოდიოდა მისაშველებლად, ვით გოლიათი კურდღლის სოროდან (ო. ჭილ., II, 536). 17. როდემდე უნდა უცადოს კიდევ სალაშქროდ გასულ ხალხსა და პატრონს (ო. ჭილ., II, 460). 18. ენის შესასწავლად და წიგნის სათარგმნელად იგი შემდეგ ჩამობრუნდება (პ. იაშვ., 276). 19. შენ მოდიოდი ხატების ლეწვად, ჩვენ აღსაგველად პირისგან მიწის (ა. კალანდ., 263). 20. ამასთანავე თავმოყვარე იყო და არავისთან არ მიეიდოდა სათხოვნელად (კ. ყმა, 323). 21. დედაჩემმა მაშინვე იცნო თავისი ძმის ხმა და გახარებული გავარდა მისაგებებლად (კ. ყმა, 17). 22. თქვა ლუ-

კამ, აიღო თოფი და გაემართა თხებისკენ სასროლად (კ. ყმა, 280). 23. სამასი კაცი კმაროდა გვირაბის გასათავებლად (პ. იაშვ., 172). 24. დასაწერად არ მაქვს სუფთა ქაღალდი (პ. იაშვ., 139). 25. ახლად ჩამოყალიბებული ნაწილები და შენაერთები სასწრაფოდ გადაისროლეს კავკასიონის უღელტეხილის დასაცავად (ო. იოს., 19). 26. ერთმანეთზე სამტროდ წამოსული ორი კაციდან უკან ერთი უნდა დაბრუნდეს (ო. იოს., 33). 27. გუშინ თუთარმა ვახო აიყვანა მაღლა გზის ჩასაკეტად (ო. იოს., 70). 28. წვერი გაიპარსა, მერე ისევ სააბაზანოში შევარდა, ცივი წყალი გადაივლო და წასასვლელად მოემზადა (გ. ფანჯ., 192). 29. მისი ლექციების მოსასმენად თურმე სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც კი შედიოდნენ აუდიტორიაში (გ. ფანჯ., 226). 30. თვითმფრინავი დასაჯდომად ეშვება, გთხოვთ შემოირტყათ ქამრები (გ. ფანჯ., 171). 31. არ გეცალა მიწიერი დიდებით ტკბობისათვის (ნ. ონაშ., 158). 32. ნიშნის დასაწერად ხელს ძლივს ვიმორჩილებდი (ნ. ონაშ., 159). 33. ეს დარჩენილი დრო კი ლექციების მოსამზადებლად გამოიყენეთ (ნ. ონაშ., 169). 34. ქარისში წახვიდოდი სამუშაოდ? (ნ. ონაშ., 10). 35. და რა უბრალოდ ტყდებოდა პური კაცის და მხეცის დასაპურებლად (ო. ჭილ., II, 491). 36. ორთავეს ჩაგვძინებოდა, ვერ გაგვეგო დაღამება და მამა წამოსულა ჩვენს საძებნელად (კ. ყმა, 303). 37. თვეში ერთხელ იატაკების მოსარეცხად დადიოდა მაკაბელებთან (ო. ჭილ., II, 159). 38. სმა-ჭამა რომ მოათავეს, უკან ეზოში გადავიდნენ საჭიდაოდ (კ. ყმა, 17). 39. და ძმობის კვალი, შენგან ნათელი საასპარეზოდ შემოგთავაზე (პ. იაშვ., 119). 40. თუთარი ბიძაშვილის მოსაყვანად გაუშვა (ო. იოს., 10). 41. ბიჭები წინასწარი ვარჯიშის ჩასატარებლად მოედანზე გავიდნენ (გ. ფანჯ., 149). 42. გახარებული დასაძინებლად წავიდა (გ. ფანჯ., 141). 43. ახლა მე შენ სარეცენზიოდ მოგცემ ამას (ნ. ონაშ., 44). 44 დეიდა ელენე ჭიშკართან მოგვეგება, მკლავები ფართოდ გაშალა, მოსალოცად გამოემართა (ნ. ონაშ., 69). 45. საკითხი შესასწავლად და განსახილველად ისევ სამინისტროს გადმოსცეს (ნ. ონაშ., 78). 46. დასახვრეტად მე მივყავდი მთელ პოლკს ავტომატებით (მ. ლებ., 439). 47. აპურებს მტრედს სამშვიდობოდ ქართველი დედა (მ. ლებ., 369). 48. უფრო გულის დასამშვიდებლად იძახდნენ ამას დუქანში თავშეყრილი გლეხ-

ები (ო. ჭილ., II, 268). 49. მოძმეთა მისაშველებლად ველზე ქარივით მიგაფრენს ცხენი (ა. კალანდ., 271). 50. მამაჩემს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა და ჩვენს შესახვედრად წამოსულიყო (კ. ყმა, 238). 51. ერთ დილას მე და მამაჩემი სახლის ბოლოდან საჭით შევყევით მდინარეს სათევზაოდ (კ. ყმა, 268). 52. გვაზიდვინებდა ბალღებს მაჟალოს ჩალა-ბზეში ჩასაყრელად და მწნილისათვის (კ. ყმა, 302). 53. უკრაინის პოეტია ჩამოსული ჩვენთან ერთად, თავის ერთგულ მეგობარით კახელებთან შესახვედრად (პ. იაშ., 187). 54. უხმოდ წავალთ წყლის ნაპირას მყუდრო ბინის მისაგნებად (პ. იაშვ., 68). 55. ბაუმანი მივარდა და წელზე ხელის მოელება დაუპირა ჩამოსაყვანად (ო. იოს., 26). 56. ჯიხვები დილით ჩამოვლენ დაბლა მარილის ასალოკად (გ. ფანჯ., 84). 57. სიმინდები ისე შრიალებდნენ, თითქოს უკან ვიღაც მოსდევდა დასაჭერად (გ. ფანჯ., 93). 58. გაელენიანი ნაცნობ-მეგობრების წრეც შეიპირა იონას პოზიციის გასამაგრებლად (ნ. ონაშ., 79). 59. ამისათვის ტუჩის მოკვნეტა და რამდენჯერმე ღრმად ჩასუნთქვა დამჭირდა (ნ. ონაშ., 110). 60. რა რუდუნებით, რა სასოებით მონასტრისათვის არჩეედით ალაგს (მ. ლებ., 185). 61. კაცს დასარგავად ნერგი მიჰქონდა, თოთო ბალღსავით მკერდით მიჰკვროდა (მ. ლებ., 111). 62. მე დღენიადაგ ვფიქრობდი მასზე – დასაფრთხობელად ღამეთა ბნელთა (ა. კალანდ., 223). 63. ის დილით ხეების გადასარჩენად წავიდა (ო. ჭილ., II, 361). 64. მამაჩემი კი იმ დროს პურის საშოვნელად ყოფილა წასული კახეთს (კ. ყმა, 229). 65. მიჰქონდა ქვაბი და მარილი თევზის მოსახარშად (კ. ყმა, 173). 66. ამ დროს შიოსთან დაიარებოდნენ საბაასოდ (კ. ყმა, 172). 67. თუ მოიწვიე კაფეში სავახშმოდ, მოითხოვეს მაინცდამაინც ძვირფას საჭმელს (პ. იაშვ., 284). 68. კაპრალმა კნოპსი და კარლი გაგზავნა ალფრედის შემოსაყვანად (ო. იოს., 83). 69. უთხრა მზარეულმა პატარა ბიჭს, ასაქნელად დაკიდებულ ცხვრებს რომ შესჩერებოდა (გ. ფანჯ., 80). 70. მეორე დღეს სახლის დასაჭერად წავიდა (ა. ყაზბ., 84). 71. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ რამდენიმე წინადადების დაწერა (ნ. ონაშ., 60). 72. ისწრაფის სხივი მისი შენს სახილველად (ა. კალანდ., 135). 73. თქვენ შესახვედრად გამოვრბოდი უგონოდ მთვრალი (მ. ლებ., 54). 74. ვაჟამ რედაქტორს მიუტანა ქურ-

ნალში დასაბეჭდად პატარა მოთხრობა (კ. ყმა, 80). 75. ბილეთებს ხელზე ვყიდდით შემოსავლის გულისათვის (კ. ყმა, 180). 76. ასე გადიან სამუშაოდ, როცა სთესავენ (პ. იაშვ., 179). 77. წელში ბაწარჩაბმული ბიჭი წყალში ნაბადის ამოსატანად ჩაუშვეს (ო. იოს., 60). 78. მე მაინც მჯერა, წყლის დასალევად სულები ისევ შუაფხოს მოელენ (ა. კალანდ., 427). 79. ჩამწკრივებულან ალვის ხეები, დასასვრეტად რომ დგებიან, ისე (ა. კალანდ., 74). 80. ვიღაცა კოპწია ქალი გაჩერებულიყო კონკაში ჩასაჯდომად (კ. ყმა, 194). 81. მისი ოცნება იყო ენახა საჯიხვეები, სადაც სისხამ დილით ჯიხვები მარილის ასალოკად ჩამოდიან (გ. ფანჯ., 84). 82. შიგ ისხდნენ ჯულია, ლიდია და პოლოსკო, რომელნიც სამაზრო ქალაქში ფულის ასაღებად მიდიოდნენ (ა. ყაზბ., 95). 83. თემომ სახატავად მოხერხებული ადგილის ძებნა დაიწყო (ნ. ონაშ., 95). 84. თოვლი რომ მოვიდოდა, უყვარდა სანადიროდ წასვლა (კ. ყმა, 302). 85. თავის საწერ მაგიდასთან არ მიშვებდა დასალაგებლად (კ. ყმა, 300). 86. შენთან მარილის სათხოვნელად არავინ მოვა (თ. სახ., 746). 87. მაგრამ ისინი სხვის დასანახად და მოსახიბლად კვდებიან (ო. ჭილ., II, 495). 88. მისართმევადაც ერთი დიდი გიშრის ჯვარი, ზედ ჯვარცმაგამოსახული გამატანეს (აკაკი, 152). 89. და სახვალიოდ ჯარებს ამზადებს მტრის შესაბმელად, ჯერ კი ფარულად (აკაკი, 57). 90. ციური ნიჭის მისაღებელად ვარდმა კოკობმა თავი ახარა (აკაკი, 60). 91. ყოველი მოქალაქე ადგილის დასაჭერად ადრევე მოდიოდა მოედანზე (ი. გრიშ., 72). 92. ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად ეს ოთხი ცოცხალი მაგალითიც საკმარისია (ი. გრიშ., 121). 93. აქამდე არ მოსელია აზრად ამ თეორემის დასამტკიცებლად გამოეყენებინა მაქსიმუმის პრინციპი (გ. ფანჯ., 622). 94. ბავშვები პირის გასაგრილებლად ჭიგოებით ყრიდნენ ლოლუებს (ო. ჭილ., I, 215). 95. ისიც მალე გაჩნდა დროშით ხმლის წასასვენებლად (ვაჟა, 321). 96. მაგრამ მის მტრების მოსაგერებლად ხშირად გვჭირდება ხმალი და ფარი (აკაკი, 53). 97. ეს თქვა თორნიკემ და გაისტუმრა სარდლები ჯარის მოსამზადებლად (აკაკი, 59). 98. ყოველი ყარაჩოღელი ქეიფის შემდეგ გამოსაფხიზლებლად უეჭველად აბანოში უნდა წასულიყო (ი. გრიშ., 61). 99. ახალგაზრდა პოეტმა ლექსი დაწერა და გადასცა ერენბურგს რუსულად სა-

თარგმნელად (პ. იაშვ., 253). 100. იგი ახლა მხოლოდ ზრდილობის გულისთვის უსმენდა თავზიშვილს (გ. ფანჯ., 413). 101. მედეა ამ დროს ჯერ კიდევ თავის ოთახში იყო და ქარისასთან წასასვლელად ემზადებოდა (ო. ჭილ., I, 400). 102. თბილისის ქუჩებს დავედევნე, ვიხმე ამქარი დავიწყებული ფიროსმანის მოსაგონებლად (ლ. ასათ., 66). 103. მერე გადიგდეს მშვილდები მხარზე და ხმლებს მოავლეს საომრად ხელი (აკაკი, 64). 104. და საკენწლავად გუნდად და გუნდად წასატყუებლად აგზავნის ჯარებს (აკაკი, 55). 105. მათი პოეზია მოუწოდებდა მთელ მშრომელ ხალხს ბრძოლისაკენ უკეთესი მერმისის დასამყარებლად (ი. გრიშ., 128). 106. კამეჩები ზღვაში ცხოვრობდნენ და მიწაზე მარტო წყლის დასალევად ამოდიოდნენ (ო. ჭილ., I, 217). 107. გულმოლბობილი პეტრე მივარდა ხელზე საკოცნელად (ილია, 382). 108. შენს სადიდებლად მომართა ბევრმა ჩონგურის სიმები (ვაჟა, 60). 109. და განზრახულად თვითონვე აღებს მტრის შესასვლელად ბანაკის კარებს (აკაკი, 55). 110. ზედმეტი სისხლის გამოსაშვებად აბანოში მიდიოდა და კოხტად მოპარსულ კისერზე კოტოშს იკიდებდა (ი. გრიშ., 58). 111. მათ სასიძო უნდა მოსვლოდათ ქალის სანახავად (ო. ჭილ., I, 139). 112. ის სამჭედლოში შეიტანა შესაკეთებლად (ლ. ასათ., 49). 113. ჭაბუკთ რაზმი შენს მოწვევაზედ მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა (ილია, 119). 114. დაპსხმიან ასაკლებად ზურაბის ოჯახს თათრები (ვაჟა, 61). 115. ქორი მოდიოდა წიწილების მოსატაცებლად (აკაკი, 97). 116. საქეიფოდ ყოველ ამქარს წელიწადში გაზაფხულის ერთი დღე ჰქონდა არჩეული (ი. გრიშ., 36). 117. მას მოსანანიებლად ბევრი დრო ჰქონდა (ო. ჭილ., I, 360). 118. ფარნაოზმა ტახტთან დაიჩოქა და მამის ხელს მისწვდა საკოცნელად (ო. ჭილ., I, 328). 119. თავი მოიყარეს ქართველებმა მტრის დასახვედრად (ილია, 264). 120. იდგა და გასალაშქრებლად ემზადებოდა დილისთვის (ლ. ასათ., 95). 121. და სარდლებს გვერდში დაუდგნენ რიგების გასაკაჟებლად (ლ. ასათ., 97). 122. ბეჩავი დანიელი წაიყვანა საფლავის გასაჭრელად (ო. იოს., 139). 123. მტრის დასახვედრად ამხედრებს დიდ ჯარს (აკაკი, 61). 124. მაშინ ბერძნებმაც ფარ-ხმალს მოჰკიდეს საომრად ხელი (აკაკი, 56). 125. მყის თავის-თავად ლაღი, უბრალო სიმღერა მორბის ნუგეშსაცემად (ილია, 70).

126. სთხოვდნენ გაეშვა ისინი ბერიკაცის შვილის გადასარჩენად (თ. ბიბ., 177). 127. ხანჯლით მიდიოდა წყაროზე პირის დასაბანად (თ. ბიბ., 20). 128. ძმის მისაშველებლად ცხენ-კაცთა ტევრი გაკაფა (ლ. ასათ., 96). 129. ლექსის სათქმელად რომ ვემზადები, ვარ ოჯალეშით გულდასისხლული (ლ. ასათ., 23). 130. ისინი წავიდნენ მეორე ოთახში წარსულის დასატირებლად (პ. იაშვ., 253).

## მიზეზის გარემოება

*§ 45. მიზეზის გარემოება.* 1. ეზოებში თოვლისაგან თავდაღწეული, სისველისგან გაშავებული ზვინები აბოლდნენ (ო. ჭილ., II, 262). 2. ახლო გაიცნო ისინი გაჭირვების გამო (ო. ჭილ., I, 265). 3. თუნგის ჟღრიალის გამო დამფრთხალი ფარა გადამწვარ ველზე მიდის კანკალით (ო. ჭილ., II, 428). 4. მას ნერვიულობისაგან ტუჩები აუკანკალდა (ნ. ონაშ., 85). 5. მოუმზადებლობის გამო ყოველთვის უხერხულად დაძაბული ვიყავი (ნ. ონაშ., 71). 6. ძალიან გაუხარდა მამამისის ავადმყოფობის გამო სხვაც რომ შეწუხდა (გ. ფანჯ., 71). 7. დილით, როცა ექიმმა მუცელში ნემსი გაუკეთა, რუბენი სიმწრისაგან დაიღრიჯა (გ. ფანჯ., 98). 8. იქ დიდხანს არ დარჩენილა ხელმოკლეობის გამო (კ. ყმა, 175). 9. სიგამხდრისაგან მილეულ ტუჩებზე ოდნავ ღიმილი შეუთამაშდა (კ. ყმა, 185). 10. სიცხისაგან ფოთლები დახრუკულიყო (გ. ფანჯ., 10). 11. გაუგებრობის გამო ერთმანეთში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ (ო. ჭილ., II, 288). 12. ჯერ კიდევ ვერ დაეძლია სიგამძლრისგან მოგვრილი მოთენთილობა და სიზარმაცე (ო. ჭილ., II, 325). 13. პეტრე სისუსტისაგან ღონემიხდილი იყო (ო. ჭილ., II, 299). 14. მთვარის ყვავილი ნელა ირწევა წყლის ქარისაგან ყოველ რხევაზე (ა. კალანდ., 431). 15. სამიჯნურო თაეგადასავლების ტრფიალ ბექას ახლა რატომღაც შორს ეჭირა თავი (ნ. ონაშ., 77). 16. ვაზის ბრტყელი ფოთლები უცებ წამოქროლილი ნიავის გამო ამოძრავებულ ჩრდილებად იქცნენ (ნ. ონაშ., 142). 17. ვასომ სიამოვნებისაგან ლოყა მოიფხანა (გ. ფანჯ., 253). 18. სიღარიბის გამო ძალიან იჩაგრებოდა (კ. ყმა, 154). 19. ერთ ზამთარს ვაჟა

თვალის გამო ექიმებისა და მეგობრების რჩევით ნავთლუღის სამხედრო საავადმყოფოში დაწვა (კ. ყმა, 179). 20. რატომღაც ცრემლი მომაწვა ყელში ბურთივით და უცებ შემეკრა სუნთქვა (ო. ჭილ., I, 512). 21. სიცხისაგან ოდნავ დანამეოდა მკერივი და ხორბლისფერი ყვრიმალები (ო. ჭილ., II, 326). 22. მაშინვე სიცხისა და სივიწროვისგან თავბრუ დაეხვა ( ო. ჭილ., II, 359). 23. სიცხიანები, ტკივილისაგან აღმუვლებულნი, იწვნენ ლოგინში (ო. ჭილ., II, 174). 24. რატომღაც ფრანგულად მოუხადა ბოდიში შვეიცარმა (გ. ფანჯ., 50). 25. რამდენჯერ შემკვრია სუნთქვა მოძალებული ცრემლებისაგან (ნ. ონაშ., 3). 26. ახლა ეს თოვლივით თეთრი ქვა რატომღაც გამიჯიქდა, გამიკერპდა, გამიურჩდა (ნ. ონაშ., 26). 27. ამან უფროსების დაუდევრობის წყალობით მის არსებაშიც შეაღწია (ო. ჭილ., II, 266). 28. ჭორების მეშვეობით რკინიგზა იკიდებდა ფეხს ხალხის შეგნებაში (ო. ჭილ., II, 268). 29. დედის სურათი ამიტომაც არ დაგვრჩენია (კ. ყმა, 300). 30. იქნება ცხვირპირიც დაამტვრიოს სხვას ამ ამბის გამო (ო. ჭილ., II, 261). 31. ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან უსახსრობის გამო (მოგ. აკ., 319). 32. ნიავი რაა, ისიც არ იძვრის, მივყვები პროსპექტს, სიცხისაგან რომელიც იწვის (მ. ლებ., 470). 33. ის ამიტომ შეყოყმანდა (ნ. ონაშ., 191). 34. დასველებული და სიცხისაგან გაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო (აკაკი, 126). 35. ვაჟა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო თბილისში ჩამოვიდა (კ. ყმა, 379). 36. ქვეყანა სიცხისაგან იწვოდა (გ. ფანჯ., 184). 37. შვილების სხვაგან წაყვანა მას არ შეეძლო უსახსრობის გამო (კ. ყმა, 248). 38. ჩემი განცხადება გამეტებით დაჭმუჭნა და რატომღაც ჯიბეში ჩაიდო (ნ. ონაშ., 68). 39. ნელ-ნელა უმშვიდდებოდა ჩქარი სიარულის გამო დარღვეული სუნთქვა (ო. ჭილ., II, 328). 40. ერთი დალაქი სიღარიბის გამო წვრილმან ქურდობას ეწეოდა (ი. გრიშ., 146). 41. ჩემდა სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო აკაკის დაკრძალვას ვერ დაეესწარი (მოგ. აკ., 45). 42. უნდა მოვიბოდიშო, რომ მოხუცებულობის გამო ბევრი რამ დამავიწყდა და ახლა ძალიან ვნანობ (მოგ. აკ., 51). 43. პოპინა სიმსუქნისაგან გაზანტებულ ფუტკრებს მუსრს ავლებდა (ო. ჭილ., I, 194). 44. მოსლუკუნებდნენ ტირილისაგან ფერგაცრეცილი, წიწილებივით აბუზული გოგო-ბიჭები (ო. ჭილ., I, 160). 45. ბი-

ჭებს წყურვილისაგან ხახა უშრებოდათ, სიცხისაგან დაოსებულნი ფეხზე ძლივსღა იდგნენ (გ. ფანჯ., 400). 46. სიხარულისაგან კინაღამ შეუყვირა, მაგრამ, თავი მალე შეიკავა (გ. ფანჯ., 337). 47. უშეშობის გამო დიდი თათბირი შეექნათ (ვაჟა, 292). 48. მეორე მხრით მოურჩა ხოხბების მიერ უშეცრების გამო გულზე დაჩნეული წყლული (ვაჟა, 295). 49. გული კვნესის რაღაც სხვანაირი მწუხარებისაგან (ილია, 141). 50. გახშირებული სუნთქვისაგან ვეება მკერდი უთამთამებდა (ნ. ონაშ., 230). 51. შიშისაგან გასუსული სოფელი კოშკებში უფრო შეიყუჟა (თ. ბიბ., 21). 52. მზის პირისპირ დგომისაგან ერთნაირად დანაოჭებოდათ პატარა ქოჩრების ქვეშ შეყუჟული შუბლები (ო. ჭილ., II, 327). 53. დაძაბულობისაგან ქვედა ტუჩი კბილებში მოექცა (ო. ჭილ., I, 159). 54. თავზიშვილს სიმსუქნეშეპარული გრძელი თითები ნერვიულობისაგან უთრთოდა (გ. ფანჯ., 418). 55. სწორედ სიმხდალის გამო ვერ უთხრა უარი კათედრის გამგეს (გ. ფანჯ., 419). 56. დედის სიკვდილის გამო გამოუთქმელ მწუხარებაში ჩავარდა (მოგ. აკ., 204). 57. ჰო, ახსოვს თურმე პატარა ყვავილს შენი სიცხისგან დამწვარი ხელი (ა. კალანდ., 377). 58. ოთახში ბუხარს ერთი ამბავი გაჰქონდა აბრიალებულს ცეცხლისაგან (ილია, 263). 59. მე მეორედ დავიბადე ამ წიგნთა გამო (თ. ბიბ., 47). 60. ის მხარში გავლილი ტყვიის გამო მეფის ჯარიდან დაითხოვეს (თ. ბიბ., 101). 61. ისეთი სახეები ედოთ, თითქოს თუ ვერ იპოვიდნენ, წუხილისაგან გულები დაუსკდებოდათ (ო. ჭილ., I, 159). 62. ფართო, ნაფოტა კბილები სისხლისაგან დასწითლებოდა (ო. ჭილ., I, 160). 63. მან ისიც შენიშნა, ერთმა თანაგუნდელმა სიბრაზისაგან შუბლზე ხელი როგორ შემოირტყა (გ. ფანჯ., 132). 64. მართალია, ჩემის ერთგულების გამო ბევრს შეეძულდი (ილია, 408). 65. ნერვიულობისაგან მთელი სხეული დაძაბული მქონდა (ნ. ონაშ., 159). 66. გვხედებიან ყოველ ნაბიჯზე მზისგან ცხვირგადატყავებული წიკვინა ქალები (რ. ინან., 90). 67. შიშისაგან გაბედულმა ახალგაზრდა წინამძღოლმა ირგვლივ მიიხედ-მოიხედა (თ. ბიბ., 103). 68. და ჩემსავით სიბერითა არ უმტყუნებსთ ომში თვალი (აკაკი, 42). 69. ისიც თითქოს ალტაცებისგან თრთოდა (ო. ჭილ., II, 82). 70. სიცივისგან აძაგძაგებული, ბუხრის წინ ჩაკუნტული, ძლივს ერეოდა თელემას (ო. ჭილ., II, 102). 71. ტკი-

ვილისაგან აღგზნებული თავს ვერ იკავებდა (ო. ჭილ., II, 103). 72. მსუქანი მებუფეტე სიცილისგან ჩაბჟირდა (გ. ფანჯ., 637). 73. სულ გალურჯებული იყო, სიცივისაგან კბილით კბილსა სცემდა (ილია, 399). 74. წყლის სიუხვის გამო არ მწიფდება არასოდეს (ლ. ასათ., 112). 75. შენთვის, შენს გამო უღალატოდ კვლავ ფეხზე დგომა (მ. ლებ., 154). 76. დაჩოქილი მატადორი ღმერთს მადლობას სწირავდა მშვიდობით გადარჩენისათვის (შ. ძიძ., 25). 77. ფარნაოზს შიშისაგან გული გადაუბრუნდა (ო. ჭილ., I, 356). 78. გულს ასკდებოდა სიციეისაგან აწკავწკავებული იასონი (ო. ჭილ., I, 109). 79. ეზოში მთლად გაოფლილი, დაღლილობისაგან სუნთქვაშეკრული ანგია შემოვარდა (გ. ფანჯ., 11). 80. ვიღაც მოხუცებული დედაკაცი ხშირხშირად გამოჰყოფდა თავს, გამოაჩენდა სიცხისაგან გაწითლებულ სახეს (ა. ყაზბ., 239). 81. აქ მეტის გულის ამოჯდომისაგან საწყალს ხმა ჩაუწყდა (ილია, 419). 82. ის ქარისაგან აცრემლებულ თვალებს წარამარა იხოცავდა (ო. ჭილ., I, 354). 83. ოყაჯადოს მღელვარებისგან სახე უხურდა (ო. ჭილ., I, 197). 84. ამირანს მღელვარებისაგან გული შეეკუმშა (გ. ფანჯ., 309). 85. ტკივილისაგან გამწარებულმა კაპრალმა ყრუდ ამოიგმინა (ო. იოს., 103). 86. ვაქამ წერილი გახსნა, წაიკითხა და სიხარულისგან აღელვება დაეტყო (კ. ყმა, 357). 87. მუშაობა დამთავრებულიყო და სამსახურის ხასიათის გამო მხოლოდ მე დავუხვდი მათ ადგილზე (კ. ყმა, 348). 88. მუზარადში ჩარჩენილ წყალს ოფლისაგან გადაგლესილ თავზე ისხამდნენ (ო. ჭილ., I, 113). 89. მას სიბერისგან დაუძლურებული ტანი უნდა შეეკავებინა (ო. ჭილ., I, 357). 90. თვალებს ხუჭავენ შიშისგან მათდა უნებურ (ა. კალანდ., 148). 91. ჯილაურის ტანი ყუმბარისაგან გათხრილ სამარეში ჩარჩენილიყო (თ. ბიბ., 354). 92. სწორედ ამ სიმდიდრის გამო მიუთხოვებიათ მშობლებს ლამაზი ახალგაზრდა ქალი თავისი სურვილის წინააღმდეგ სტენელისათვის (მოგ. აკ., 328). 93. ისიც გაიხსენა ლადომ თავისი უთვალავი დიდედების, დეიდებისა და მამიდების წყალობით (ო. ჭილ., II, 386). 94. ეს ხდებოდა ზღვის განუწყვეტელი სიახლოვის გამო (ო. ჭილ., II, 141). 95. ამაოდ მისჩერებოდა წვიმისგან ჩამონგრეულ ჭერს (გ. ფანჯ., 557). 96. არჩილ გავაშელის წყალობით იყო, რომ ოთარი ჯერ კიდევ არ გაეგდოთ სამსახურიდან (გ. ფანჯ., 504).

97. როგორც კერძო კაცს, ისე ხალხს, მთელ ერს, მწარე ხვედრისაგან დაბეჩავებულს, ბედჩაბნელებულს იმედის შუქი მოეფინება ხოლმე ( მოგ. აკ., 296). 98. მღელვარებისაგან ხმაწართმეული, ქალიშვილიეით სახეშეფაკლული ბაბუცა წერილს რომ ჩაათავებდა, თავიდან იწყებდა კითხვას (ო. ჭილ., II, 194). 99. მოხუცები დასამარხ ფულს აგროვებენ კაპიკკაპიკ, ნელ-ნელა ყულაბაში და ყულაბის წყალობით დაუმარხავები არ დარჩებიან (ო. ჭილ., II, 393). 100. მე ჯარში გაწვევის გამო მაინც უნდა გამოვცხადებულიყავი საქართველოში (მოგ. აკ., 417). 101. მხოლოდ ერთი რამის გამო არიდებდა თავს უფროსს (გ. ფანჯ., 504). 102. მოწყენილობისაგან ზოგიერთები ამთქნარებდნენ კიდეც (გ. ფანჯ., 330). 103. ის შენატრის თავის ბედს ამგვარი ხვედრის გამო (თ. ბიბ., 249). 104. მარტო ერთი საქმის სიყვარულის გამო თავისი დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა (ილია, 923). 105. ოდესიდან დაბრუნებულმა მიტომ მღელვარებისაგან ათრთოლებული ხელით გახსნა მამის უჯრა (ო. ჭილ., II, 372). 106. განუწყვეტელი ყურადღებითაა გარემოცული დედის წყალობით (ო. ჭილ., II, 141). 107. მას რაღაცა სიბერით მკვდარი ეპოვა და გაეტყავებინა (ო. იოს., 223). 108. დაეტაკა სიყვარულით გაგიჟებული მგლის მმუსვრელი ადამი ავაზას (ო. იოს., 224). 109. დაძაბული ჯდომისაგან ზურგი დაეღალა (ო. ჭილ., II, 198). 110. გაუბედავად დაიძახა ჭრილობისაგან დაშინებულმა ქაიხოსრომ (ო. ჭილ., II, 244). 111. ვაჟას გარდაცვალების გამო სამოქალაქო პანაშვიდი გადავიხადეთ (კ. ყმა, 107). 112. რამდენადაც ბედნიერი იყო ეს ოჯახი ამ ხმლის წყალობით, იმდენადვე უბედურნი (ვაჟა, 320). 113. მაგით დამიხსნით სიმშილით სიკვდილისაგან (ა. ყაზბ., 82). 114. ის ზამთრის ყინვისაგან დახეთქილ მიწაზე ერთ დროს თამაშობდა (პ. იაშვ., 279). 115. მერე უსამართლობისაგან გულმოკლული და გაკვირვებული კაცის სახე დაედო (ო. ჭილ., II, 16). 116. უეცარი სიბრაზისაგან გამოთიშულმა გლეხმა ხელმეორედ შეამჩნია მაიორი (ო. ჭილ., II, 17). 117. მამალი შიშით იწურებოდა (ვაჟა, 300). 118. ჩემი ქრესტომათიების — „ქართველი მწერლების" — მეოხებით დიდ ვაჟას კარგად ვიცნობდი (კ. ყმა, 79). 119. ამ ძლიერი და მკაცრი, ყოველგვარ სისუსტეებისგან დაზღვეული მფარველის

წყალობით შესძლებდა დაკარგული დროისა და ღობემორყეული ეზო-ყურის დაბრუნებას (ო. ჭილ., I, 90). 120. უცნაური და საშიში მამის წყალობით მისთვის კაცები საერთოდ უცნაურნი და საშიშნი გახდნენ (ო. ჭილ., I, 482). 121. პოეტის მეოხებით ის გიმნაზიიდან გამორიცხვას გადარჩა (მოგ. აკ., 367). 122. ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა (ილია, 605). 123. ანამ ეს თავისი ბუნების, თანდაყოლილი ქალური სიბრძნის წყალობით იცოდა (ო. ჭილ., II, 122). 124. ბიძამისის, ამ ცალხელა ახმახის წყალობით სამუდამოდ გადარჩენილა (ო. ჭილ., II, 424). 125. ოლივერ უორდროპის მეოხებით მას წაუკითხავს ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხის ტყაოსანი“ (პ. იაშვ., 275). 126. ლოპიანას და მისი ამხანაგების მეოხებით ზემო უბანი დიდად გაიმარჯვებდა (ი. გრიშ., 29). 127. ამ მასწავლებლის მეოხებით წერა-კითხვა ვისწავლე (ი. გრიშ., 120). 128. ამ სიტყვების გამოისობით იმან წყნარად წარმოსთქვა (ა. ყაზბ., 147). 129. მტუტეს წყალობით ისეთ ბუნებრივ სიმაგრეს მიაგნეს, რომ მტერს იოლად გაუმკლავდებოდნენ (ო. იოს., 20). 130. მას ხელები აუკანკალდა ამ ამბის გამო (ნ. ონაშ., 87).

## განსაზღვრება

§ 46. *შეთანხმებული განსაზღვრება.* 1. იყალთოს კედლებს ადგას ნათელი, აქ მოღვაწეობდნენ დიდნი ქართველნი (ა. კალანდ., 386). 2. უსმენთ კახურ სიმღერას და თქვენს წინაშე აღიმართებიან შვიდნი ძმანი გურჯანელნი (მოგ. აკ., 32). 3. დიდი ხნის შეგუბებულმა გრძნობამ გადმოხეთქა და მისი შეყენება ვერაფერმა ვერ შესძლო (ა. ყაზბ., 50). 4. მომხიბლავმა ღიმილმა ქალს დაუმშვენა ტუჩების ნაპირი (ა. ყაზბ., 175). 5. მავკვრემანმა წვერმოშვებულმა მძღოლმა მარჯვნივ გადმოიწია (ნ. ლონაშ., 126). 6. ჩემი მეზობლები პირდაღებული და თვალებგაფართოებული მისმენდნენ (ნ. ლონაშ., 112). 7. შეზარხოშებულმა ფრანგმა დიდი რევოლუცია მოიგონა და აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი (აკაკი, 151). 8. ერთხელ ერთმა თამამმა მოწაფემ ჰკითხა მასწავლებელს (აკაკი, 148). 9. ჩვენმა მეზობლებმა მაგიდები დაიკავეს ( ნ. ლონაშ., 108). 10. სულს გვიწეწს მარტოობის ცივი სიმძიმე (ნ. ლონაშ., 95). 11. და მიპასუხა გაცინებულად ყმაწვილმა ქვრივმა ოდნავის წყენით (მ. ლებ., 508). 12. მისმა საუბარმა გამაოცა, თავბრუ დამახვია, დამაბნია კიდეც (გ. ფანჯ., 216). 13. მსუქანმა კაცმა სკამი ისევ შესთავაზა, დაბრძანდიო (გ. ფანჯ., 212). 14. გაცეცხლებულმა პოლიციელმა ყვირილი ატეხა (კ. ყმა, 236). 15. ერთხელ ნაბადში გახვეულმა ქალმა და გოგონამ მოიხედეს (ო. იოს., 159). 16. მშვენიერმა მუზამ პირველად აქ დაკოცნა კლდე-ხეობების მომავალი მომღერალი (კ. ყმა, 83). 17. აგერ რაზმიდან ისკუპა ყარაბაღულმა მერანმა (ილია, 67). 18. ამ ევროპულად განათლებულმა და გონებაგანვითარებულმა მეცნიერებმა დედაჩემზედაც დიდი გავლენა იქონიეს (აკაკი, 105). 19. შეშინებულმა ქალმა კაცს კისერზე ხელები შემოაჭდო (ა. ყაზბ., 50). 20. მის ძირში იდგა დაგუბებული ტალახიანი წყალი (ა. ყაზბ., 104). 21. ჩვენი პოეტები იცნობდნენ ხალხურ შემოქმედებას (მოგ. აკ., 17). 22. ხალხის მთავარმა ტალღამ ჩემს ხემდე მოაღწია (მოგ. აკ., 91). 23. მათოვს და მათოვს თეთრი ვარდები (ო. ჭილ., I, 576). 24. დაფანტულა ფიქრი მრავალი (პ. იაშვ., 83). 25. შენმა იებმაც კი სიყვარული იციან (ნ. ლონაშ., 157). 26. გზის ორივე მხარეს ზღაპრულ ხალიჩად იფინებოდა ათასფრად აელვებული, ყვავილე-

ბის მოქარგული მინდვრები (ნ. ონაშ., 22). 27. ერთმა მოხუცებულმა სოფლელმა სიკვდილის წინათ აღიარა საჯაროდ ყოველივე (აკაკი, 119). 28. წაქეზებულმა მეძებრებმა ვითომ სუნი იცეს და კვალი აიტეხეს, ასტეხეს ყეფა (აკაკი, 131). 29. ეს იქ მსხდომმა თანამშრომლებმა ღიმილითა და თავის დაკვრით მანიშნეს (ნ. ონაშ., 66). 30. მან ცრემლი მოიწმინდა და შუბლზე ცხელი ტუჩები დამადო (ნ. ონაშ., 55). 31. ბოლოს, ჩასუქებულმა კაცმა ჭიქა მიაწოდა და ლეეანმა საკმაოდ მოზრდილი სადღეგრძელო თქვა (გ. ფანჯ., 212). 32. მეორესავით შეაშველა ხმა მაღალმა, ჩიყვიანმა კაცმა (გ. ფანჯ., 10). 33. ერთმა ჩვენმა ნათლიმამამ იგი დაპატიჟა (კ. ყმა, 248). 34. ამათი სიყვარული ყველაზე მეტად მაშინ გამოჩნდა (ო. იოს., 93). 35. გააგრძელა ლაპარაკი ამ უცნაურმა ქალმა (ა. ყაზბ., 103). 36. ყოველმა თაობამ უნდა ეძებოს გმირები (მოგ. აკ., 91). 37. დამწუხრებულმა მამამ მეც „უფროსივით" გამიზიარა ყველაფერი (მოგ. აკ., 88). 38. უპასუხა გახარებულმა დედაკაცმა (ა. ყაზბ., 92). 39. გარეთ კი ხმელი ფოთოლი ცვივა (ო. ჭილ., I, 559). 40. ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება (პ. იაშვ., 128). 41. მაშ, როგორ გავიგო შენი ნათქვამი (ნ. ონაშ., 97). 42. მტვრიანი ხელები შარვალზე შევიწმინდე (ნ. ონაშ., 91). 43. ჩუმად ჩაილაპარაკა კუთხეში მიმჯდარმა ჯემალ ქიქოძემ (ნ. ონაშ., 84). 44. ჭკვიანმა კაცმა იცის, რომ ყური უნდა დაგიგდოს (ო. იოს., 94). 45. ამ მეტისმეტად ძუნწმა კაცმა აიღო ძველი ქოხმახები (კ. ყმა, 177). 46. მაცოცხლებელმა დიდმა სულმა მიპოვა ცისმან ამ ხეობაში (ა. კალანდ., 221). 47. დამსახურებულმა არტისტებმა საყვედურით მიმართეს აკაკის (მოგ. აკ., 75). 48. და მაინც მიყვარს ეს ჩუმი სახლი, ეს ძველისძველი დიდი ბუხარი (ო. ჭილ., I, 556). 49. ჩემი წუხილი, სიხარულიც ტრფობის ბრალია (პ. იაშვ., 124). 50. ძია სერგომ მაცივრიდან გამოღებული დაორთქლილი პამიდორი კიტრთან ერთად დააწყო მაგიდაზე (ნ. ონაშ., 51). 51. ლამის წამლეკა ტალღასავით მოვარდნილმა სიხარულმა (ნ. ონაშ., 7). 52. დედამ გვიან გადმომცა მისი დანატოვარი ბარათი (ნ. ონაშ., 5). 53. მერე ხარჯიხეს რომ მოვკლავ, იქნებ გახარებულმა ბაბუა ქელეშპიმ მაჩუქოს კიდეც თოფი (გ. ფანჯ., 87). 54. ცივმა ნიავმა გამოაფხიზლა (გ. ფანჯ., 147). 55. უხმოდ შეიძურწნენ გამოქვაბულში და თავიანთი ადგილები მონახეს (ო. იოს., 84).

56. იმის გულისთვის ისეთი კაცი დაითხოვა სახლიდან, რომელსაც ძალა ჰქონდა (ა. ყაზბ., 48). 57. მე თავის დღეში არ დამავიწყდება თქვენი სიტყვები (ა. ყაზბ., 47). 58. რაღა თქმა უნდა, ძველმა მსახიობებმა როლები ჩვენსავით არ იცოდნენ (მოგ. აკ., 79). 59. როგორ გრძნობს თავს თქვენი ავადმყოფი? (ნ. ონაშ., 156). 60. ვთქვი წყენით და ცრემლით დასველებული სახე მოვიწმინდე (ნ. ონაშ., 119). 61. ეს ბარათი ამ დილას მომიტანა მისმა მძღოლმა (ნ. ონაშ., 124). 62. იქნებ ჩემმა ქალმა ყველაფერი არ შეგატყობინა (ა. ყაზბ., 55). 63. კუთხეში მიმჯდარმა დანიელმა ცარიელ ქვაბუნაში ჩაიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა (ო. იოს., 63). 64. ოთახიდან გამოსულმა სინათლემ მოულოდნელად გამოაჩინა მისი სილამაზე (გ. ფანჯ., 42). 65. და აი, ისევ დგას შენი სვეტი (ო. ჭილ., I, 585). 66. კითხვა ჩემმა შვილიშვილმაც კი იცის (ნ. ონაშ., 88). 67. აღფრთოვანებულმა აკაკიმ მაშინ დაწერა ლექსი „პატარა ცემს“ (მოგ. აკ., 470). 68. გამხდარი, ძარღვიანი ხელი უხერხულად დამადო თავზე (ნ. ონაშ., 68). 69. განცვიფრებით წამოიძახა ერთმა ყმაწვილმა კაცმა გვერდიდან (ა. ყაზბ., 243). 70. იქაურმა ჩიტებმაც კი ჩააგდეს საგონებელში ჩემი მსახური (აკაკი, 158). 71. გონიერმა ადამიანმა დანაშაული ყოველთვის სხვაში არ უნდა ეძიოს (ო. იოს., 188). 72. გახევებულმა ჯარისკაცმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა გასასვლელისაკენ (ო. იოს., 149). 73. შენმა ღრუბელმა ცრემლზე მსხვილი წინწკლები იცის (ნ. სამად., 127). 74. ყოველმა სტუდენტმა იცის ორი საცეკვაო ილეთი (შ. ძიძ., 21). 75. ამას წინათ ერთმა ვაჭარმა ასეთი ამბავი მიამბო (ი. გრიშ., 11). 76. ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყმაწვილკაცმა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგდო ყიზილბაშსა (ილია, 264). 77. მაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს ვერ გაატანა თვალმა უძლურმა (ილია, 120). 78. მასში ძველმა, მიძინებულმა გრძნობამ ერთბაშად იფეთქა (გ. ფანჯ., 510). 79. აქ ჩემმა ძმამ გადასცა ყოველიფერი ჩემი გულისპასუხი (აკაკი, 162). 80. ჩემი ზვრები გადახმა, სხვისმა ძეძვმაც იხარა (მ. ლებ., 267). 81. ორმა შემთხვევამ გამიტეხა გული (აკაკი, 127). 82. თუთიარმა წამოსიებული ქუთუთოები მაგრად დახუჭა (ო. იოს., 133). 83. გაიგეს ქალაქელმა ვაჭრებმა, მივიდნენ და სთხოვეს, ხელი გაგვიმართეო (აკაკი, 156). 84. მზის ცხელი შუქები მთვარის დამყ-

ვაეებელმა სხივებმა შესცვალა (ა. ყაზბ., 239). 85. ჩემმა სიტყვებმა იმას გული ჩემკენ მოუბრუნეს (ილია, 418). 86. აქაურმა წყალმა წყურვილი აღარ უნდა მომიკლას (ილია, 434). 87. დაუძახა მაგიდის ორთავე მხარეს აკოკოლავებულ წიგნებს შორის ჩამჯდარმა აკადემიკოსმა (გ. ფანჯ., 542). 88. ორმა ჯარისკაცმა გამოასვენა მაზარაში გახვეული მიცვალებული (ო. იოს., 138). 89. სულ ჩვენს ალერსში არიან ხშირნი ვარსკვლავნი ცაზედა (ვაჟა, 49). 90. გახარებულმა ზეცამა უხვად დაყარა ცვარია (ვაჟა, 17). 91. დაე, ზღვა დუღდეს, არწიონ იგი ძველმა შტორმებმა (ა. კალანდ., 362). 92. თვალწინა მიდგა ის კირთების ბედშავენი დღენი (ილია, 117). 93. მათი დედა გადაბრუნებულმა თივიანმა მარხილმა დაიტანა (ო. იოს., 30). 94. წარსულმა საუკუნემ თავის მხრივ ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს (ილია, 713). 95. იმ დროს კარები შემოაღო გასუქებულმა და სახედაწითლებულმა გოგომ (ა. ყაზბ., 235). 96. ჩვენმა მასპინძლებმა მოგვატარეს ესპანეთის ძველი ქალაქები (შ. ძიძ., 17). 97. ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი (ილია, 116). 98. ამ დროს კარები შემოაღო მისმა გულკეთილმა მეზობელმა მარინემ (ა. ყაზბ., 214). 99. უფსკრულის გაღმა წარბგაუხსნელმა ბიჭმა ლოდებში გაყოფილი თოფი უკან წაიღო (ო. იოს., 159). 100. ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი სხვადასხვა ტოტად გადმოსულან (ილია, 119).

*§ 47. მართული განსაზღვრება.* 1. დათვის ტყავზე თეთრი ნაბდის ქეჩა ეფინა (კ. ყმა, 300). 2. მან ყოჩაღად აირბინა აგურის კიბე (კ. ყმა, 93). 3. მეორე ოთახში გაღებულ ფანჯრიდან დამბერა მთაწმინდის ნიავმა (კ. ყმა, 185). 4. გაონავრებულს მინდვრებზე მგლის ჯოგი დაძრწის მშიერა (ვაჟა, 84). 5. ყავრის ჭერში ოქროს დანა გაურჭვია დილის მზესა (პ. იაშ., 191). 6. აქ სურნელებას გამოსცემენ ფიჭვის სახლები (პ. იაშ., 220). 7. სადაც კაცი ნახავს მართალ დიდ კოლხიდის მატიანეს (პ. იაშვ., 216). 8. ქვეყნის ცოდვებს, ქვეყნის კენესას, ქვეყნის სირცხვილს, ქვეყნის ჭორებს ქარი ხელში ათამაშებს (პ. იაშვ., 69). 9. მზემ ჯუნგლებს გახადა თოვლის ზეწარი (მ. ლებ., 422). 10. ლუდხანაში ჩამოუსხეს ლუდი საქართველოს პოეტების მე-

ფეს (მ. ლებ., 347). 11. და აბრეშუმის ქსოვილი ლბილი სცილდება ფრთხილად გრანიტის ბეჭებს (მ. ლებ., 359). 12. ვარსკვლავის სხივებს გული დაუხშე და გაახმე ყველა ყვავილი (ა. კალანდ., 125). 13. მე გადმოვკიდე ზავის ალამი ჩემი ციხიდან (ა. კალანდ., 140). 14. ჯერ ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია (თ. სახ., 950). 15. წისქვილის ქვალა არ დატრიალებულა ჩემს თავზე (თ. სახ., 870). 16. წაბლების ჩრდილი იწვა ყანაზე (ო. ჭილ., I, 551). 17. ასე ცახცახებს ფრინველის ფრთები (ო. ჭილ., I, 546). 18. საწოლის თავთან კედელზე მიკრული იყო ირმის და ჯიხვის რქები, აგრეთვე არწივის მხრები და ბრჭყალები (კ. ყმა, 301). 19. მამამ ბუერის ფოთლით შეაგროვა წყალი ბოთლში (კ. ყმა, 233). 20. ბიბლიოთეკების, მუზეუმების და არქივების მტვერს ყლაპავდნენ (ნ. ონაშ., 65). 21. შავი ტყავის საქაღალდე ფრთხილად დადო მაგიდაზე (ნ. ონაშ., 89). 22. გარედან სტვენის ხმა შემოიჭრა (ო. იოს., 86). 23. ერთ ჩემს ნაცნობ ქართველ ინტელიგენტს ვუამბე ამ შეხვედრის ამბავი (მოგ. აკ., 60). 24. ყოველ მხრიდან კედელს მისდევს მარმარილოს თეთრი თაღი (პ. იაშვ., 216). 25. დაგიკოცნიან სახესა ნათელს არაგვის გმირები (ვაჟა, 79). 26. სასამართლო გაიმართა კოჭლი დედლის საქათმეში (პ. იაშვ., 226). 27. ციებით პოეტს ცრემლი აქვს თვალზე და შვილის აკვანს ავსებს იებით (პ. იაშვ., 109). 28. მიგაბარეთ შენ მთაწმინდის კალთას (მ. ლებ., 318). 29. მე შენი ლექსი ბროწეულის ყვავილს მაგონებს (მ. ლებ., 314). 30. ოთხ მეფეს სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია (მ. ლებ., 295). 31. არ მინდა ოქროს სამკაული ძვირფასი თვლებით (ა. კალანდ., 165). 32. ცივი სექტემბრის ქარები ქრიან (ა. კალანდ., 230). 33. ნოდარი წამოდგა, პერანგის საყელო გაისწორა და ჩაახველა (ნ. ონაშ., 83). 34. ფეხქვეშ მაცვითეთ საფლავის ლოდი ყურძნის მტევნებით (ა. კალანდ., 239). 35. მოთმინების ძაფის გაწყდომა (თ. სახ., 415). 36. კედელთან იდგა დარაჯის სკამი (ო. ჭილ., II, 463). 37. მართლაც, შორიდან ქუხილივით მოდიოდა ყრუ გრუხუნი და ყველას თავზარს სცემდა ზარბაზნების ხმა (კ. ყმა, 237). 38. იფნებზე ან რომელიმე ხის ტოტებზე შემომსხდარ მტრედებს ხედავდა ხოლმე (კ. ყმა, 300). 39. ვინ წაიკითხავს შენი ფიქრის წიგნს დაუწერელს (ნ. ონაშ., 95). 40. კოხტად გაკრეჭილ გაზონებსა და ხის ფოთლებს სქლად მოსდებოდა ცემენტის

ბლანტი მტვერი (ნ. ონაშ., 73). 41. ბედის ჩარხმა მოუსვენრად ბრუნეა დაიწყო (ა. ყაზბ., 73). 42. სეფე დარბაზში მზის სხივების ცეცხლი ანთია (პ. იაშვ., 72). 43. უკვე რაჭის მთებში ბნელა (პ. იაშვ., 192). 44. ოთარმა ვარდის ტოტი ამოილო და ყვითელ ფურცლებს დააშტერდა (გ. ფანჯ., 159). 45. ახლა ფარნის შუქი უკან მდგომ ცხენოსან ტყვეს თვალებში შეანათა (ო. იოს., 16). 46. ზეციდან მტრედების ჯოგი მიწაზე ჰფანტავს უნაზეს ჩეროს (პ. იაშვ., 157). 47. წერაქვმა ცხელი რკინის ზოდი დასრისა (პ. იაშვ., 179). 48. მგლებიც კი ერთად შეჰყმუიან ამ ზამთრის ღამეს (მ. ლებ., 288). 49. გადავშლი წიგნს და ყურს მივუგდებ სამოთხის ჩიტებს (მ. ლებ., 231). 50. გამოფენილა სასახლის ბაღში ქართულ მწერლობის ოჯახი ჭრელი (მ. ლებ., 255). 51. ჯვრის ფერდობზე დგას მშვენიერი სახლაკი მცირე (ა. კალანდ., 354). 52. გახსნია ბაგე ბრინჯაოს ნიღაბს, ბაგე გახსნია ჩუმი და ცივი (ა. კალანდ., 389). 53. კუს ნაბიჯით სიარული (თ. სახ., 350). 54. ჩემი ძმის სიკვდილი ვერ აიტანა (ო. ჭილ., II, 288). 55. ირმის ნაჩლიქარი მკვეთრად ეტყობოდა ქარის ჩამოყრილ ყვავილს (ო. ჭილ., II, 264). 56. იმ ადგილას გოგირდის სუნი დის (კ. ყმა, 232). 57. გეხვეწები, ბექას სახელოსნოში წაგვიყვანე (ნ. ონაშ., 102). 58. თითქოს სამგლოვიარო ზარის ხმა ისმოდა (მოგ. აკ., 90). 59. აგაფერადონ, გაგამდიდრონ ცხვართა ჯოგებმა (პ. იაშვ., 180). 60. დილის სხივებმა გაიხარეს მტრედისფერ ცაზე (პ. იაშვ., 72). 61. და მის გარშემო ჩარაზმდა შენი გრძნობების კრებული (პ. იაშვ., 238). 62. ჩამიფრინეს შხივილით წუთისოფლის ბაღებმა (მ. ლებ., 216). 63. ცის დარბაზებში ჟღერს საკრავები (მ. ლებ., 114). 64. ის დაივიწყებს ცეცხლმოდებულ უდაბნოს ქვიშას (ა. კალანდ., 63). 65. ბაგით ყვავილის მტვერს ამოზიდავს სუსტი ფუტკარი (ა. კალანდ., 215). 66. კაცის თვალი იმის უკეთეს ვერა ნახავს (თ. სახ., 320). 67. მის ურჩ და აწეწილ ქოჩორს „ამშვენებდა“ ზედ კეფაზე მიმჯდარი თუშურ-კახური, პაწია მრგვალი ნაბდის ქუდი (კ. ყმა, 82). 68. და მათ გარშემო ქალწულების გრძნეული დასი უმღერის მეფეს (პ. იაშვ., 71). 69. რა ლურჯია და რა საწყალი მეზობლის ბავშვი (პ. იაშვ., 193). 70. კედელს თრიმლის ტოტი ამკობს (მ. ლებ., 50). 71. გათენდება და მიწის ბურთი კვლავ სადღაც მიჰქრის (მ. ლებ., 71). 72. თოვლის უდაბნო წინ გვედო თეთრად (მ. ლებ., 77). 73. შორს ელვარებენ

თუშთა თირები და წარსულ დღეთა წყვდიადს ანთებენ (ა. კალანდ., 271). 74. სწრაფად გამომკრთალმა მთვარის შუქმა უფსკრული გაანათა (ა. ყაზბ., 160). 75. და გაჰყვა, როგორც ქარბუქი მზის სხივსა და მთების შარასა (პ. იაშვ., 231). 76. ახალ კოლხიდის მიწაზე ხარობ, ვით მოქალაქე და ბინადარი (პ. იაშვ., 197). 77. მხოლოდ უნდოდა დამშეიდებულ ღამის ჩეროდან მისი ლექსივით ატირებულ ხმის გაგონება (პ. იაშვ., 102). 78. ოთახი მაგიდის ნათურის მკრთალმა სინათლემ გაანათა (გ. ფანჯ., 134). 79. აკაკის სიტყვები ტაშმა დაფარა (მოგ. აკ., 67). 80. მის მარჯნისფერ კედლებში აქა-იქ კლდის ფენოვანი ფილების თაროები იყო დატანებული (ნ. ონაშ., 171). 81. შეხვედრის დღე ხომ ისევ დაგვიბრუნდა (პ. იაშვ., 75). 82. ის გამოვიდა ოქროს თივიდან (პ. იაშვ., 145). 83. ლამპის შუქზე თაჯის ცნობისმოყვარე თვალები აუციმციმდა (ო. იოს., 74). 84. ეს ლიტერატურული ნაბდის თექა მალე გადაივდო (ი. გრიშ., 145). 85. მადრიდში სანგინოს სახელოსნო ჩვენ ორჯერ მოვინახულეთ (შ. ძიძ., 20). 86. ზვირთივით თვალებს გარეთ მოაქვთ დარდის კენჭები (ნ. სამად., 110). 87. ნათურას თავზე ლითონის ქუდი ჰქონდა გადახურული (გ. ფანჯ., 519). 88. ახლა გამოსროლილი ტყვიის ალსაც ვერ დაინახავ (ო. იოს., 86). 89. გარს შემოერტყა დელფინას ქვრივის ოჯახი სრულია (ვაჟა, 71). 90. ნუთუ ჩვენი ქვეყნის ტაძრებს არ აქვს იგივ ძალ-დიდება (აკაკი, 430). 91. სპორტულ მაღაზიაში გრიგოლი ანკესებს ყიდულობდა და ბამბუკის ჯოხს ამოწმებდა (გ. ფანჯ., 522). 92. ყველა მეამბოხეს ჩოხის კალთები რიყის სიპი ქვებით ჰქონდა სავსე (ი. გრიშ., 41). 93. ცოლის თავისუფალ ხელზე ტყავის ლამაზი თასმა შემოახვეია (გ. ფანჯ., 325). 94. გულხელდაკრეფილ ძეგლებს ელვიძათ, წარწერებს შლიდა შადრევნის ცვარი (ნ. სამად., 55). 95. და დაღალულან დედოფლის თეთრი ხელები (პ. იაშვ., 710). 96. წიგნი თქვენის სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას — სოფელში (ილია, 375). 97. მიდი, აიღე მტრების საფარი (აკაკი, 58). 98. მარცხნივ ჭიჭახევაა, დასავლეთით ჩანს კოწახურის ქუჩები (კ. ყმა, 238). 99. ყველგან სიჩუმე გამეფდა, შენელდა ტალღის ტაშები (პ. იაშვ., 217). 100. ერთ-ერთი შუღლიანობის ნიმუში ოსტატსა და შეგირდს შორის გვაქვს მცხეთის ტაძრის კედელზედაც (ი. გრიშ., 41).

***§ 48. მეძსართავი სახელი განსაზღვრებად.*** 1. რტოა დაფნისა სიკეთის ხელში და ითესება კეთილი თესლი (ა. კალანდ., 229). 2. ლამაზი მხრები გაშალეს ლამაზმა მთებმა (ა. კალანდ., 230). 3. აცვია თეთრი, სპეტაკი კაბა, ხელში უჭირავს თეთრი ყვავილი (ა. კალანდ., 200). 4. მწვანე ბალახში წივილივით დაფაცურდება (პ. იაშვ., 175). 5. მესმის მისი ცრემლიანი ღაღადი (პ. იაშვ., 139). 6. მთაში დათვს დაძინებია თავის პატარა ბელებით (პ. იაშვ., 218). 7. შავ ჭაობიდან დახსნილ მიწაზე ვხედავ ბალახის წვეტიან ფირუზს (პ. იაშვ., 202). 8. ის შეიძლება დასაქმოს დედამ, ცხელი ვახშამი ჩაუსხას ქვაბში (მ. ლებ., 540). 9. მწვანე ყირიმი მას ქოლგებით შეხვედრას უწყობს (მ. ლებ., 533). 10. წითელი დისკო შავ მუხნარებს დასცქერის მაღლით (მ. ლებ., 443). 11. პაწაწინა ძაღლის თათებმა ვეება ბურთი ისროლეს მაღლა (ო. ჭილ., II, 504). 12. ყელზე ეკიდა ბრჭყვიალა ეშვი (ო. ჭილ., I, 560). 13. და გადაშლილი წიგნიც დროებით იფარებოდა მწვანე რტოებით (ო. ჭილ., II, 537). 14. გუამ თავისი ნისლისფერი ცხენი მოიყვანა (ო. იოს., 158). 15. თუთარმა ნახევრად სველი ნაბადი ლოდთან მიათრია (ო. იოს., 73). 16. ცივი წყალი გადაასხა (თ. სახ., 807). 17. ცოფიანმა ძაღლმა ხომ არ დაგგლიჯა? (თ. სახ., 814). 18. ვნებით დედოფალს ულამდება ბნელი თვალები (პ. იაშვ., 72). 19. ჭაბუკი მეფე გვირგვინოსან ცოლს მოეფერა (პ. იაშვ., 73). 20. დედოფლის ტახტზე ცისფერ ვარდებს შლიან მხევლები (პ. იაშვ., 71). 21. აღარ არიან თეთრ დარბაზში ტურფა ქალები (პ. იაშვ., 72). 22. პაწაწკინტელა კარის საყდარზე უძველესი ვარსკვლავი კრთოდა (ა. კალანდ., 177). 23. და ვარდიანი ჩემი კარავი წყვდიადისათვის დააგდო მზემან (ა. კალანდ., 101). 24. ერთი პაწია ჩიორა მუხიდან მომესალმა (ა. კალანდ., 35). 25. აკაკი ლამაზი ვაჟკაცი იყო (მოგ. აკ., 74). 26. შემოვიდოდა, ყველას მოგვესალმებოდა, ჩაჯდებოდა რბილ სავარძელში და მოჰყვებოდა ტკბილ საუბარს (მოგ. აკ., 13). 27. ხოლო საათი მძიმე შენობას კოპივით ეჯდა გაცრეცილ შუბლზე (ო. ჭილ., II, 530). 28. ბუტბუტებს აბასთუმნის ვეება მთვარე და ფიჭვის ტევრში ეპარება ხავსიან ნანკრევს (მ. ლებ., 460). 29. შენსავით მგლური სიარული მინდა ვისწავლო (მ. ლებ., 460). 30. მაგრამ დილა მზიანი ისევ ისე იღორძინებს (მ. ლებ., 530). 31. წყაროსთან,

შევაკებაზე, თაჯის ცხენი მწვანე ხავსს წიწკნიდა (ო. იოს., 60). 32. ცხელ წყალში ხელის ჩაყოფა (თ. სახ., 818). 33. შავი დედალივით გაკეთდა (თ. სახ., 735). 34. ცოცხალი ჯიხვი ვერ გაძლებს თბილისში (გ. ფანჯ., 89). 35. ავტობუსმა პატარა მოედანზე ქაქანით დაარტყა წრე (გ. ფანჯ., 10). 36. ეშმაკური ღიმილით მკითხა თემომ (ნ. ონაშ., 99). 37. ცივი, ოფლიანი მთრთოლვარე ხელით წარამარა შუბლს მისინჯავდა (ნ. ონაშ., 153). 38. მზიან ალაზანს სეზონი ასცდა (პ. იაშვ., 109). 39. ჭორფლიან ცხენით დადის ურია (პ. იაშვ., 114). 40. ჩამოვფრინდები შენს ლურჯ რტოებზე, ჩამოვფრინდები იასამანო! (ა. კალანდ., 170). 41. ალვის ხეებს აცვია სირმიანი ნაბდები (პ. იაშვ., 142). 42. მომაგონდება ყვირილას პირას მაღალი ბზისა ნათელი ტოტი (ა. კალანდ., 177). 43. შენს თეთრ ტაძარში სიწმინდეს ვპოვებ (ა. კალანდ., 80). 44. პროცესიას წინ მიუძღოდნენ შავჩოხიანი ცხენოსანი ვაჟკაცები შავი დროშებით (მოგ. აკ., 500). 45. აუხდენელი ოცნება შემრჩა, როგორც ძველ ბუდეს ბუმბული მერცხლის (ო. ჭილ., I, 549). 46. მზე ტივტივებდა სისხლისფერ ზღვაში (მ. ლებ., 510). 47. მხოლოდღა ცხელი ბუხრები ბურღავს საქართველოს ცის გაყინულ ჰაერს (მ. ლებ., 507). 48. შავი ღრუბლები გარეული კამეჩებივით გადიგამოდიან ათასობით წელიწადია (მ. ლებ., 397). 49. ყვითელი მზე მიცურავდა მაღალი ხეების გადაღმა (ნ. ონაშ., 94). 50. ისედაც ცოფიანი მდინარე საზღვრებიდან გადმოვიდა (ო. იოს., 59). 51. მწვანე კიტრივით თავი მოაქეს (თ. სახ., 440). 52. ყვავილთ სურნელი ასქელებდა ვარდისფერ ჰავას (პ. იაშვ., 179). 53. ხანჯლიან შუადღეს ვერ ვიხედები (პ. იაშვ., 97). 54. და ყოველდღე გაჩაღდება არღნიანი მცხეთობა (პ. იაშვ., 106). 55. დრო გადიოდა და მტვრიან გზაზე ქარს გადაპქონდა თეთრი ქაღალდი (ო. ჭილ., II, 438). 56. იფარებიან ლურჯი ბუჩქები რაღაცნაირი ყვავილის ფერფლით (ა. კალანდ., 287). 57. უმრავლესობაზე ვერ დატოვა მზიური აკაკის სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება (მოგ. აკ., 113). 58. მთელი ზამთარით დაავიწყდება ეს პაწაწინა სოფელი თბილისს (ო. ჭილ., I, 550). 59. პირდაღებული შესცქერიან მაღალ მწვერვალებს და მწვერვალების სითეთრე და სიმაღლე უკვირთ (მ. ლებ., 397). 60. სძინავს ბაღში კოჭლი მხედრის გვერდით საქართველოს პოეტების მეფეს (მ. ლებ., 347). 61. ფარ-

თო ფანჯრებიდან მომწვანო-მოყვითალო თვალებით იმზირებოდა ზაფხულის შუადღე (ნ. ონაშ., 67). 62. თავს ბნელ ვარსკვლავზე დაბადებულად თვლიდა (ო. იოს., 863). 63. წითელი კვერცხის გორება ვისთვისმე (თ. სახ., 863). 64. კრძალვით შეხვედრა ჩუმ დედოფალს მეტად უხდება (პ. იაშვ., 830). 65. ჩარდახიან ფერად ურმებს უსხდნენ ქისტის პატარძლები (პ. იაშვ., 187). 66. ცისფერ ფილებზე ისახვიან თეთრი ღრუბლები (ა. კალანდ., 178). 67. ორთქლმავალზე ფრიალებდა უზარმაზარი შავი დროშა (მოგ. აკ., 20). 68. თევზის პატარა ნაჭერი დაიდო საინზე (მოგ. აკ., 150). 69. მაგრამ ცხოვრებას მისთვის დიდი ნაბიჯით ევლო (მ. ლებ., 328). 70. მოაჭყაპუნებს ჭრელი ყურშა ღურბელს და ტალახს (მ. ლებ., 297). 71. ხშირ ჭაღარა თმაზე საქმიანად გადაისვა რბილი ხელი (ნ. ონაშ., 60). 72. წინ უკვე კლდოვანი აღმართი იყო (ო. იოს., 13). 73. მატარებელმა მიაკივლა პატარა სადგურს (მ. ლებ., 297). 74. მოჩანდა მხოლოდ მწვანე ზურმუხტოვანი დედამიწა და ლურჯი უღრუბლო ცა (ა. ყაზბ., 102). 75. ალბათ ეს არის ჭაბუკური სულისკვეთება (პ. იაშვ., 176). 76. თუში სიძე თუშურ ცხენსაც აგელვებდა გატაცებით (პ. იაშვ., 186). 77. ღმობიერების ნაზი ღიმილი განშორებია პაწია ბაგეს (ა. კალანდ., 400). 78. დღეს მარტოდმარტო მოვიხილე თეთრი ქაშვეთი (ა. კალანდ., 199). 79. შენ მარადმწვანე შტო დამაღირე (მ. ლებ., 189). 80. გააქვს ჩხრიალი ძველი ხაპიდან ლეჩხუმურ ყურძენს, რაჭაში ნაწურს (მ. ლებ., 93). 81. კეთილი ყურით გაიგონე (თ. სახ., 325). 82. თემომ ლოლა ჩამოიყვანა და ხის მომცრო კუნძზე მიუთითა (ნ. ონაშ., 60). 83. აბანოს აღმოსავლური ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მეტად დიდი ადგილი ეჭირა (ი. გრიშ., 64). 84. უახლოვდება თეთრი ნავი მივარდნილ ყურეს (ნ. სამად., 110). 85. ოთახის ერთ კუთხეში სათვალიანი ჭაღარა ქალი ხელნაწერს ჩაჰკირკიტებდა (ნ. ონაშ., 39). 86. ქართველმა ამოიღო პატარა ქაღალდი, ათასგვარად დაკუჭული და მაგიდაზე დადო (აკაკი, 157). 87. ამ მოქეიფეებში იყვნენ კარგი მომღერლებიც (ი. გრიშ., 64). 88. ჭკვიანი ცოლი ქმრის გაორგულებას კი არა, გვერდზე თვალის გაპარვას მაშინვე ხედავს (ო. იოს., 185). 89. ბნელში ბრწყინავდა ძველი ნათურა, ვით უმნიშვნელო ნამტვრევი მთვარის (ო. ჭილ., II, 530). 90. მხარზე მევრობრულად მომხვია განცხადებიანი ხელი (ნ. ონაშ., 66). 91. მე-

ორე ხელში ეჭირა ქანგიანი შამფური (ი. გრიშ., 21). 92. პატარა ბავშვი შეშინებული თვალებით უყურებდა თავის დედას (ა. ყაზბ., 243). 93. თმებში თეთრი თმა გამოერევა და თვალში სევდა ჩაუქრობელი (ნ. სამად., 70). 94. ფართო დერეფნის მიღმა მოჩანდა ღია მწვანედ შეღებილი კედლები (ნ. ონაშ., 130). 95. ხელში ტყემლის დიდი ტოტი უჭირავს (გ. რობაქ., 286). 96. ქალს ცივმა ოფლმა დაასხა (ო. იოს., 103). 97. ქვეყანას შავი ნისლი ბურავდა (ლ. ასათ., 100). 98. დიდი სიმღერა მთებზე გადადის, მდინარესავით ილვრება ხალხში (მ. ლებ., 353). 99. და ცრემლები ნეტარების ეცემოდა სპეტაკ წვერზედ (აკაკი, 61). 100. აქ კი ყმუოდნენ თეთრი ძაღლები და მოწყენილი იდგა სამრეკლო (ნ. სამად., 34). 101. მასპინძლის ჯალაბი სტუმარს ტკბილ სიტყვას არ აკლებდა (თ. ბიბ., 427). 102. ის შუა მოედანზე გაჩერდა, მიიხედ-მოიხედა, მოედანი გადაჭრა და კოშკებს შორის ვიწრო შუკაში გაუჩინარდა (თ. ბიბ., 119). 103. ხიდათ გორს ლურჯი ვარსკვლავი ციმციმებს, ქრება, ციმციმებს (ა. კალანდ., 422). 104. მე ვნახე შენი ფშაველი კაფიობს ტკბილი ენითა (ა. კალანდ., 425). 105. შენ გაგრიყავს ჩემი ნაპირით ყელმოღერებულ გვირილათა მსუბუქი ტალღა (ი. ჯოლბ., 97). 106. მე თქვენს ბაიებს წითელ-წითელ წინდებს მოვუქსოვ (ი. ჯოლბ., 116). 107. ის შეიძლება დასაქმოს დედამ, ცხელი ვახშამი ჩაუსხას ქვაბში (მ. ლებ., 540). 108. თეთრი ნისლი თქორაეს ჭალას (მ. ლებ., 164). 109. სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი ქალების ეშხი დაგვიფარავდა (ლ. ასათ., 51). 110. წვიმა კი რბოდა, როგორც აფთარი, ცას გაუშავა ნაზი ლაწვები (ლ. ასათ., 65). 111. მსუბუქ ნაჩრდილევს, ტოტებზე ნაწოლს თავბრუს დაახვევს სველი ხალები (ი. ჯოლბ., 121). 112. მოცურაეს ნელი, ნელი ტაატით ბაბუაწვერას მჩატე ბურთები (ი. ჯოლბ., 160). 113. მზე ჩადიოდა მაღალ მთებს იქით, თან ცხელი მიწა ყრუდ ნელდებოდა (ნ. სამად., 125). 114. გული იწვოდა და ლურჯი კვამლი მსხვილად მდიოდა ბნელ თვალებიდან (ნ. სამად., 179). 115. ცისფერ კაფეში შევდივართ ორნი, ცისფერ მაგიდას შემოვუსხედით (ლ. ასათ., 59). 116. ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში, რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში (ლ. ასათ., 89). 117. ჩემსკენ გამოიჩქაროდი, ვარდისფერ გზით ჩემსკენ ვლიდი (მ. ლებ., 119). 118. ააჭიატებს წითელი მზე და ლურჯი ოზონი კახამბლის

კენწეროს (მ. ლებ., 131). 119. ლურჯი წყდებოდა კვამლი ბებერ, ლურჯიან ისლებს (ა. კალანდ., 39). 120. პატარა გოგის პატარა მხრებით პატარა კონა მოჰქონდა ტყიდან (ი. ჯოლბ., 170).

§ 49. *რიცხვითი სახელი განსაზღვრებად.* 1. საუკუნეთა მანძილზე ათას უბედურებას გავუძელით, ათასი განსაცდელი გადავიტანეთ (ნ. ონაშ., 111). 2. ჩვენი ეროვნული ნიშანი პატიოსანი სიტყვა და ულეაშის ერთი ღერო იყო (ნ. ონაშ., 120). 3. სულ თხუთმეტიოდე წუთის წინ საერთოდ აღარ მქონდა სამსახურის შოვნის იმედი (ნ. ონაშ., 61). 4. და შეერთდნენ სიმღერები ხუთი გზიდან მომავალი (პ. იაშვ., 186). 5. თექვსმეტი წელი შენთვის გავიდა (პ. იაშვ., 212). 6. რა მისცა კაცობრიობას მეოცე საუკუნემ (ნ. ონაშ., 115). 7. ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა (პ. იაშვ., 140). 8. ბევრი ყორანი ჩაეშვა ხევში, გაანჩხლებული სისხლით და ლეშით (ო. ჭილ., II, 527). 9. თვალი გარბოდა ოთხივე მხარეს, სისხლი ხმამაღლა იწყებდა დუღილს (ო. ჭილ., II, 479). 10. დღისით თუ ერთი კაცი იყო ყარაულში, ღამით ორი თოფმომარჯვებული ჯარისკაცი დარაჯობდა გამოქვაბულის წინა მოედანს (ო. იოს., 760). 11. თერთმეტი კაცი თერთმეტ დივიზიას უდრის მისთვის და ობერ-ლეიტენანტიც თვითონაა და ფელდმარშალიც (ო. იოს., 24). 12. ცხრა თვალი უნდა მქონდეს და ცხრა ყური (თ. სახ., 826). 13. ბევრი კოკა წყალი ჩაივლის მანამდის (თ. სახ., 52). 14. კაცო, ორმოცდაოთხი ნემსი ხუმრობა ხომ არ არის (გ. ფანჯ., 254). 15. თითოეულ მუშაზე ოცდაექვსი ლიტრა მარილიანი წყალია გაანგარიშებული (გ. ფანჯ., 254). 16. მრავალი ლექსი და სხვა მასალა მიგვაწოდეს ქურნალისათვის ქართული გიმნაზიის მოწაფეებმა (მოგ. აკ., 72). 17. მე დაეინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი (მ. ლებ., 233). 18. ოთხმა კაცმა საკაცით ცოცხალმკვდარი წამიღო (მ. ლებ., 224). 19. გთხოვ, დააკვირდე შენ ბებერ კომშებს — შტოზე დანთებულ მილიონ სანთელს (მ. ლებ., 220). 20. ჩვენს ახლოს ორი კომლი ცხოვრობდა (კ. ყმა., 230). 21. სულ ოციოდე წელიწადი და უწყლობა და უქანებადობა დაღუპავს ყველას (ნ. ონაშ., 115). 22. მარტო ამ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი ფეხზე (ნ. ონაშ., 138). 23. სამასი თასით რა მოაქვთ ჩვენთან კრწანისის მხედრებს? (ა. კალანდ., 270).

24. ვაგონში მომცა ხუთი ფურცელი, ხელშეკრულების ხუთი პირობა (პ. იაშვ., 173). 25. ჩემთვის სამასი მუშა დღეს სამასი არაგველია (პ. იაშვ., 172). 26. ზაზამაც ბევრჯერ იძია შური, ბევრი თათარი აυირია ყურით (ო. ჭილ., II, 527). 27. ნადირობის წესით ახალბედა მონადირეს ჰქონდა პირველი გასროლის უფლება (ო. იოს., 67). 28. ას წელიწადს ვცხოვრობდი (მ. ლებ., 225). 29. თერთმეტი ბავშვი ზვარეთს მესამე კლასში! თორმეტი კაცი — კვაშხიეთს ოთხმოც კომლში (მ. ლებ., 236). 30. ოციოდე ყმაწვილი ბიჭი გასულიყო განზედ (ა. ყაზბ., 170). 31. და მეთორმეტე საოცარ ღამეს მესიზმრა იგი — მოსილი ნათლით (მ. ლებ., 181). 32. საღამოს ორივე სიხარული ერთად ვიზეიმოთ (ნ. ონაშ., 124). 33. ნიკომ მესამე ჭიქა დაცალა (ნ. ონაშ., 104). 34. ერთი სიგარეტი მაინც მომაწევინე (ნ. ონაშ., 147). 35. ცეცხლით დამწვარა სამასი სახლი (პ. იაშვ., 147). 36. ბილიკზე ძლივს ჩანდა ხუთი ცხენოსნის ლანდი (ო. იოს., 10). 37. დანარჩენ მაგიდებს სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი უსხდა (გ. ფანჯ., 116). 38. ორკესტრში შვიდი კაცი უკრავდა, დარბაზში სამი ჭაღი ეკიდა, თითოეულზე ოცდაათი ნათურა ენთო (გ. ფანჯ., 212). 39. თხელი კვამლი ამოდის ორიოდე ბუხრიდან (მ. ლებ., 161). 40. ვარ ღამეში და ასი წელი გაირბენს სწრაფად (მ. ლებ., 158). 41. როსტომსა და ეკას კვერეთის ეკლესიის გალავანში ორმოცდახუთი ძირი ნიგოზი დაურგავთ (მოგ. აკ., 62). 42. აწ ქვეყნის ბოლოს ცხრა ზღვას იქით შვილები ჰყვანან (მ. ლებ., 139). 43. მეშვიდე დილას ცაზე გადმოდგა ციერი (მ. ლებ., 547). 44. ორივე ხელით აჰყვა გზას, გაიმართა, მობრუნდა (ო. იოს., 158). 45. ვიცოდი, საწოლამდე სამი ნაბიჯი იყო... ორი ნაბიჯი... ერთი ნაბიჯი... (ნ. ონაშ., 118). 46. პირველი ნიშანი დააყწერე თუ არა, ეს მაშინვე მტკიცედ გადავწყვიტე (ნ. ონაშ., 136). 47. ორი სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს (ნ. ონაშ., 136). 48. კარს გამიღებს ერთი ბავშვი (პ. იაშვ., 207). 49. ბევრი მოსწრებული სიტყვა დაიხარჯა იმ საღამოს (მოგ. აკ., 26). 50. მე მომემატა დღეს ერთი წელი (ო. ჭილ., I, 559). 51. ორმოცდაათი ნაბიჯიღა დარჩა გასასვლელი ბაბუა ქელეშბის (გ. ფანჯ., 93). 52. თემო მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და ორივე მუშტი შუბლზე მიიბჯინა (ნ. ონაშ., 104). 53. ამ შემთხვევამ მრავალი მოხევე მოაშორა თავის მიწა-წყალს (ა. ყაზბ., 152). 54. როგორც თავის ორ თვალს, ისე

გაგიფრთხილდება (თ. სახ., 523). 55. ცხრა ყური და ცხრა თვალი მაქვს ადამისგან ქონებად (მ. ლებ., 135). 56. ის ორი ნამუშევარი აილო (ნ. ონაშ., 160). 57. ოცდამეერთე საუკუნიდან შორი ქღივილი მომეყურება (მ. ლებ., 115). 58. მას შემდეგ წყალმა იდინა ბევრმა (მ. ლებ., 104). 59. ხუთივე თითი მიგაჩნდეს ძმებად და არ დახედო არათითს მაღლით (მ. ლებ., 539). 60. ხატთან ანთია სანთელი ორი, ორივ პაწია და თანასწორი (ა. კალანდ., 187). 61. მეტეხის კლდეში სწერია ოთხი სტრიქონი ბრწყინვალე (მ. ლებ., 293). 62. ყოფილა, ჩემთვის ორი ხელი გამოუწვდიათ (მ. ლებ., 302). 63. უყარაულოს ბავშვობის ცისკარს, ოცდახუთ ზამთარს, ოცდახუთ ზაფხულს (მ. ლებ., 536). 64. ორიოდე ტკბილი სიტყვით უცებ მომილბო ნატკენი გული (ნ. ონაშ., 60). 65. ორმოცი ტურისტი ორმოც ტურისტს შეხვდა ბეჩოს უღელტეხილზე (მ. ლებ., 400). 66. გაავებული მე მოვამტვრევ ოცი წლის ჭადრებს (მ. ლებ., 445). 67. ნუთუ ორ კურდღელს დასდევს (ნ. ონაშ., 93). 68. წვიმამ ასი ჩანგური ყაჩაღურად მომართა (მ. ლებ., 527). 69. მრავალი ბერძენი, რომაელი, ბიზანტიელი მწერალი შეეხო ამ საკითხს (შ. ძიძ., 7). 70. მეორე დღეს მარტო უფროსები ქეიფობდნენ (ი. გრიშ., 38). 71. როდესაც ატყდეს პირველი ომი, გაიფანტენით (აკაკი, 59). 72. მზის ჩქერი ვერ სჭრის ცხრა მუხის ტევრს (გ. რობაქ., 137). 73. მესამე დღეს სოფლელები ისევ გიგოს დუქნის წინ შეყრილან (გ. რობაქ., 292). 74. მღეროდა ვიღაც და სამაიას ცეკვავდა სამი უცნობი (ლ. ასათ., 22). 75. ეხედავ დასახლდა პირველი გლეხი და ცას შეპხარის პირველი კვამლი (პ. იაშვ., 195). 76. შენისთანები წელიწადში ერთ გამოჩენას შეპყურებენ (ნ. ონაშ., 174). 77. ამ პატარა ქისამ ბევრი ადამიანი მოიყვანა აღტაცებაში (ი. გრიშ., 66). 78. მეორე დღეს მარტო დამიხვდა თავის კაბინეტში (აკაკი, 162). 79. შემდეგ კორიდისაკენ გავეშურეთ და ვნახეთ მატადორების ბრძოლა ექვს ხართან (შ. ძიძ., 25). 80. ოთხიათას კაცს, სულ ახალგაზრდებს, თავგამეტებულს წინ წაუძეხი (აკაკი, 59). 81. გახსნილია ზეცის შვიდივე თაღი (ლ. ასათ., 109). 82. ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია (ილია, 366). 83. სასადილოდან გარეთ რომ გამოვიდნენ, ოცი შოფრის ოცი წყვილი თვალი ისევ მიაჩერდა ოთარს (გ. ფანჯ., 18). 84. ახლადმიღებულ ბინაში

მხოლოდ დიეანი, მაციეარი, საწერი მაგიდა და ერთი პატარა ტაბლა იდგა (გ. ფანჯ., 356). 85. დღედაღამ ერთი ჯამიდან ჭამენ (ნ. ონაშ., 40). 86. ერთი ფოთოლიღა იბრძვის კენწეროზე (ო. ჭილ., I, 551). 87. მეც მიემართე ორიოდე სიტყვით სახელოვან მატადორს (შ. ძიძ., 25). 88. ის ამ ორ მტრედს ერთმანეთს შეახვედრებს (ი. გრიშ., 62). 89. თითოს სამ-სამი ათასი კაცი ახლავთ (აკაკი, 59). 90. ხურჯინიდან ერთი ხელყუმბარა ამოიღო (ო. იოს., 145). 91. ვახოს მეხუთე-მეექვსე გაკვეთილზე მერხზე ჯდომა ყოველთვის უჭირდა (ო. იოს., 144). 92. თვალებზე შეშრობია ორი დიდი ცრემლი (გ. რობაქ., 285). 93. აი, პირველი საძირკველის აღმოშენება (პ. იაშვ., 219). 94. მადრიდში ექვს დღეს დავყავით (შ. ძიძ., 19). 95. თვითონ მეორე მხრიდან მიუჯდა მაგიდას (ნ. ონაშ., 14). 96. შვიდ დღეს მირჩევდნენ წმინდა მამები და ვერ შესცვალეს ჩემი გულისთქმა (აკაკი, 50). 97. შემოეარდნილ ვერაგ სპარსელებს ექვსი ათასი საუკუნე შეეკითხება (ნ. სამად., 163). 98. ცამეტმა გოგომ ერთდროულად დაინახა მათკენ მომავალი უცხოელი (ო. ჭილ., I, 131). 99. სამი თვე თავგანწირულად იგერიებდა ავ წინათგრძნობას (ო. ჭილ., I, 41). 100. არა მეფურ ამალით, ორიოდე ფარეშით მიდიოდა თამარი ფხოვ გადაღმა მხარეში (მ. ლებ., 435). 101. ათასი ხელი დაიხრება მათ საფერებლად (ი. ჯოლბ., 95). 102. ახლა ამ ორი კაცის ბედნიერება მხოლოდ ეს ხმალი იყო (თ. ბიბ., 175). 103. თორმეტი მხევალი ხელით აჭმევდა შვრიას მედეას ეტლში შებმულ ჯორებს (ო. ჭილ., I, 130). 104. იქ მოუსვენრად ტრიალებდა ორი ყმაწვილი ქალი (ა. ყაზბ., 198). 105. ბუჩქი გადაიწია და ოთხი ცხენოსანი გამოეარდა (თ. ბიბ., 84). 106. დაბინდულ მოედანზე ერთი უმხედრო ცხენი გამოვიდა (თ. ბიბ., 118). 107. მესამე ტალღამ ორივე გადალეკა (თ. ბიბ., 140). 108. ორმა უღელმა კამეჩმა ძლივს მოათრია რკინის ვეება კარი და ოცმა კაცმა გმინვით და ხვნეშით შეაბა ის კარი გალავანს (ო. ჭილ., II, 105). 109. პირველი სიტყვა ეს მითხარი გამჭოლი მზერით (ი. ჯოლბ., 106). 110. ცამეტი დღეა გვირილები შემომცინიან (ი. ჯოლბ., 108). 111. ხომ შეგეძლო დგომა შვიდი ლომკაცის გვერდით?! (მ. ლებ., 147). 112. ვენახში ორი საფლავი მიყვარს (მ. ლებ., 327). 113. შვიდ დღეს ვიგერეთ თოფებით (ვაჟა, 50). 114. მეხუთე კვირა შესრულდა კლდის და მდინარის ბრძოლისა (ვაჟა, 54).

115. და მერე ტოვებს თავის საყოფელს და ცხრა მთას იქეთ მიფრინავს, მიდის (ა. კალანდ., 123).

*§ 50. ნაცვალსახელი განსაზღვრებად.* 1. ღმერთმა ბევრი შენისთანა კაცი გაუზარდოს საქართველოს (გ. ფანჯ., 25). 2. მაგდას გარკვევით ესმოდა თავისი გულის ბაგაბუგი (გ. ფანჯ., 54). 3. გაკვირვებულმა შოფერმა უცნობი სხეა თვალით გაზომა (გ. ფანჯ., 19). 4. მეფოლადეები ამ სიცხეს მიჩვეულნი არიან (გ. ფანჯ., 255). 5. ცადატყორცნილი მწვერვალების ძირში მიტმასნილ ბილიკზე ასეთი ტვირთით ცხენი ვერ გაივლიდა (ო. იოს., 158). 6. ჩვენ შენი ქათიბის საფერებლად აღარ გამოვდგებით (ო. იოს., 143). 7. ზოგი მოგონება ფრთხიალებს, ზოგი — დაჭრილებივით ბღავის (მ. ლებ., 265). 8. დღეს მისი სული აღარ მღელვარებს (მ. ლებ., 533). 9. მე შენს სიხარულს ვუსმენ და შენს სევდიან ბღავილს (ა. კალანდ., 402). 10. ველი სასწაულს ამ ქვეყანაზე, მე ამოვრბივარ ნაფიცარზე (ა. კალანდ., 41). 11. მწუხრი მოიცავს ჩემსა სასანთლეს (ა. კალანდ., 79). 12. რამდენი მწვერვალი გადაველეს უკლებლივ, კვლავ ფეხქვეშ რაოდენ მწვერვალებს ითვლიან (ა. კალანდ., 89). 13. რაღაცა დოკუმენტი გადამალა და იმავე კილოთი განაგრძო (ნ. ონაშ., 89). 14. თითქმის ყველა მამაკაცი ჩერდებოდა (ნ. ონაშ., 65). 15. არა მგონია, რომელიმე მოქანდაკე დამთავრებულად თვლიდეს თავის ქმნილებას (ნ. ონაშ., 58). 16. ვინ მოუყარა თავი აქ ამდენ უსაქმურს (ნ. ონაშ., 42). 17. რამდენი სიხარული, მოკრძალება, ბავშვური აღტაცება გვიგერძნია მის დანახვაზე (მოგ. აკ., 56). 18. ჩვენი კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წერილ-შვილნი (თ. სახ., 784). 19. სხვის წისქვილზე წყლის დასხმა (თ. სახ., 608). 20. იმისთანა ბედნიერი დრო დაგიდგათ, ბიძიებო, ოღონდ პატარა მოინდომე, ხელი გაანძრიე და კაცი გახდები ქვეყანაზე (გ. ფანჯ., 25). 21. ნესტორმა ისევ დაიწყო რაღაცა გაურკვეველი ფიგურების ხატვა (გ. ფანჯ., 158). 22. დედათქვენმა ისე დამიხატა თქვენი თავი, ალბათ, ქუჩაშიც კი გიცნობდით (გ. ფანჯ., 184). 23. რომელიღაც ბალახს უცბად ქალის სუნი ჰქონდა (მ. ლებ., 151). 24. ღუღღუღი გაჰქონდა ჩემს ღუმელს (მ. ლებ., 75). 25. აწ არანაკლებ საგულისხმო სხვა დრონი ჰქრიან (მ. ლებ., 535). 26. შე-

ხვდი იმ ქუჩაზე, სადაც შენ და დედაშენი ცხოვრობთ (ო. იოს., 95). 27. აქ სუნთქავს მიწა ეეება მკერდით, არვის უჩვენებს თავის იარებს (ა. კალანდ., 171). 28. ეს პეპლები, ეს ფუტკრები რაღას გადამკიდებიან (ა. კალანდ., 405). 29. ის დაესეოდა შენს სუსტ სხეულს (პ. იაშვ., 111). 30. ჩვენი მხარე ლურჯ ლოყებს აგინთებს (პ. იაშვ., 132). 31. ჩვენი წისქვილის ნახევარი წყალს წაუღია (პ. იაშვ., 113). 32. ვინ შეძლო მაგისთანა საქმის მოქმედება (ა. ყაზბ., 105). 33. რამდენიმე დღის შემდეგ ოდესაში ნატალია და სვიმონ ერთმანეთს გამოესალმნენ (ა. ყაზბ., 82). 34. გუამაც მიუშვა თავისი ცხენი და დაწინაურებულ მხედარს გამოუდგა (ო. იოს., 71). 35. ეს ჩემისთანა ადამიანის საქმე არ იყო (ნ. ონაშ., 159). 36. უცებ გამახსენდა რომელიღაც მილიონერი (ნ. ონაშ., 39). 37. ამაზე რამდენიმე კაცმა მწარედ წაიჩურჩულა (ნ. ონაშ., 150). 38. სხვა დროს ის მღელვარებით დაუცდიდა ჩემს პასუხს (ნ. ონაშ., 147). 39. მე ქარში შენი თმებით დაეები, შენი დუმილით, შენი სიცილით (ო. ჭილ., I, 565). 40. მე მათი ჩრდილი დავინახე თქვენს წყნარ თვალებში (ო. ჭილ., I, 592). 41. მაშინ შევკაზმე ცხენი, შევჯექი და იმავე დღეს ნაძალადევში ჩაველი (კ. ყმა, 304). 42. იმისი პატარა ბიჭი ვახტანგი იმ დროს ჩვენი სახლის გაღმა გორაზე ძროხებს აძოვებდა (კ. ყმა, 326). 43. ის თვითონ ცდილობს თქვენისთანა ხალხთან დაახლოებას (გ. ფანჯ., 199). 44. ჩემი ჭკუით არაფერი არ მიკეთებია (ო. იოს., 85). 45. შენ შენს ხრიოკს მოჰყვები კენტად (მ. ლებ., 288). 46. კურდღელმა თავქვე გამოუხვია და რამდენიმე ნაფრენის შემდეგ მიწაზე გაიშხლართა (კ. ყმა, 268). 47. ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა (თ. სახ., 775). 48. ამდენი ხალხი რა ძალამ მოიყვანა აქ? (მოგ. აკ., 91). 49. ამიტომ ფრთხილად და კეთილსინდისიერად უნდა მოვეკიდებოდით თითოეულ სიტყვას (ნ. ონაშ., 159). 50. ეიგრძენი, რა უსუსური იყო ჩემი სიმკაცრე (ნ. ონაშ., 81). 51. მაგ პორტრეტში მე ბევრს ამოეიკითხავ (ნ. ონაშ., 97). 52. შენთან დავლევდი ჩემს დღეებს, შენს გულში გავისარებდი (ა. კალანდ., 410). 53. ის მიკვირს, ამ ხეობაში წყლის ხმაურს როგორ უძლებენ (ა. კალანდ., 430). 54. ყველა თავის არჩეულ პროფესიას აქებდა, თავის ნაბიჯს ამართლებდა (გ. ფანჯ., 208). 55. აქ ირჩეოდა რომელიღაც პოეტის ბწკარი (მ. ლებ., 350). 56. ღამის ბინდში ვისმენდი ბავშვი იმ სა-

ხელგანთქმულ ძველისძველ სიმღერებს (მ. ლებ., 539). 57. კრამიტიანი შენი სახლები მე ველარ ვიცან (პ. იაშვ., 193). 58. შენი ცხენი რომ ენახეთ, წინ აღარ წავსულვართ (ო. იოს., 57). 59. წარმოიდგინეთ იმისთანა ქურდებიც გამოჩნდნენ ჩვენთან (ა. ყაზბ., 105). 60. მე უკვე ჩავკეტე კარი, სხვა კაცად ვიქეცი თითქოს (ო. ჭილ., I, 550). 61. ლობიო მოხარშულიყოს შენს სახლში აღდგომა დღეს (თ. სახ., 360). 62. თავისი ხელით ყელის გამოჭრა (თ. სახ., 233). 63. ამ კარიკატურამ საშინელი გულისწყრომა გამოიწვეია (მოგ. აკ., 50). 64. მაინც ზოგი რამ მისი სიტყვებიდან ჩამრჩა გულში (მოგ. აკ., 11). 65. თქვენი შესაძლებლობები რომ მქონდეს, მე ვიცი რას ვიზამ (ნ. ონაშ., 100). 66. სხვა მუზეუმში ჩვენი მინიატურები აღმოვაჩინე (ნ. ონაშ., 104). 67. ამისათვის რამდენი მუშაობაა საჭირო, რამდენი ძალა, რამდენი ფიქრი (ნ. ონაშ., 103). 68. იგი ბავარიის მთებშია გაზრდილი და ამისთანა მთამსვლელი გერმანიაში ბევრი არ მოიძებნება (ო. იოს., 41). 69. მზის მკრთალი სხივი ადგას მის სახეს (ა. კალანდ., 389). 70. და ყველა ზღვების ნაპირებზე თბება ნიჟარა (ა. კალანდ., 367). 71. ხალხის შვილობა ზედ ეწეროს შენს ყოველ ლექსს და შენს ყოველ სტრიქონს (მ. ლებ., 539). 72. რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო (პ. იაშვ., 140). 73. იქ მიგიყვანს სტუმრად, იმ ქუჩაზე ჩაგაქროლებს (მ. ლებ., 544). 74. ის ღიმილი, წყნარი და მკრთალი, სინათლეს ჰფენდა დროგასულ ფურცლებს (ო. ჭილ., II, 531). 75. ახლაღა გამახსენდა იმ რესტორანში რამდენი მაგიდა იდგა (გ. ფანჯ., 212). 76. რა სევდა გტანჯავს, როგორი ცეცხლი გწვავს, რა ცრემლი გახრჩობს (ნ. ონაშ., 95). 77. შენისთანა ქალბიჭას ამ კინოში ვინ დაპატიჟებდა (ნ. ონაშ., 92). 78. ეს სიცოცხლე არ ღირს ამდენ ფიქრად (ნ. ონაშ., 100). 79. ეგ იმას ნიშნავს, რომ ახლა შენს პორტრეტს კი არა, ჩემს სულს ვხატავ (ნ. ონაშ., 97). 80. რამდენიმე წუთმა მძიმე სიჩუმეში გაიარა (ა. ყაზბ., 92). 81. ერთხელ ბეკურის ის თხები ჩვენს ჯეჯილში შესულიყვნენ (კ. ყმა, 280). 82. სხვა ადგილას ცეკვა-თამაშია გაჩაღებული (კ. ყმა, 242). 83. შენს წერილებს ჩემი ნათესავი კითხულობდა (ნ. ონაშ., 60). 84. ეგ ზღაპრები სხვას უამბე (ნ. ონაშ., 33). 85. მე ჩაგწერ ჩემი ხელებით შენ საქორწინო დავთარში (პ. იაშვ., 237). 86. მისმა ცხენმა დიდხანს იტრიალა იმ ადგილებში (ა. ყაზბ., 49). 87. სიყვარული

მღელვარე მხატვრის, შენს მიწა-წყალზე მომიტანია (პ. იაშვ., 201). 88. მაგ როლსაც ჩვენს თეატრში კარგად ითამაშებ (მოგ. აკ., 57). 89. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს მშვენიერი სანახაობა თვალს მიეფარა (მოგ. აკ., 60). 90. ყოველ საქმეს თავისი ხელმძღვანელი სჭირდება (ნ. ონაშ., 137) 91. თვითეულ ამქარს თავისი მფარველი წმინდა ჰყავდა (ი. გრიშ., 35). 92. შორეულ გზაზე დასეელდება ის მოგზაური (ნ. სამად., 30). 93. რა გაბედულად ეუბნებოდი შენს დიდ სათქმელს თანაგრძნობამოწყურებულ მრევლს (ნ. ონაშ., 158). 94. ჩემი ძმა პეტერბურგში არ დამხვდა (აკაკი, 159). 95. ასეთმა ლექსებმა ხალხში კითხვის სურვილი დაბადა (ი. გრიშ., 109). 96. აქ ყოფნის ყოველი წამი რაღაცას გამოუსწორებლად აფუჭებდა ჩემს ცხოვრებაში (ნ. ონაშ., 142). 97. პირველ ხანებში ვინ მოიფიქრებდა, რომ ქართველები მაგისთანა ცხენოსნები გამოდგებოდნენ (აკაკი, 161). 98. ის ოცნება დაინგრა, ის კოშკები მტერად არი (მ. ლებ., 284). 99. მათ ორივე შემთხვევაში ჩემი შეცდომა თვალდათვალ დამიმტკიცეს (აკაკი, 128). 100. ერთი მისხალ ვარდის ზეთისათვის საჭიროა რამოდენიმე ათასი ვარდი (გ. რობაქ., 57).

*§ 51. მიმღეობა განსაზღვრებად.* 1. დრო ჩამოსაყრელს ფოთოლს ჩამოჰყრის (მ. ლებ., 255). 2. ხოლო ჩამოელილი ღრუბლები პირამიდებივით სდუმან (მ. ლებ., 458). 3. გრძნებით მონუსხულ მთელემარ ტალღებზე კვალად ბრწყინავდა ნათლის გვირგვინი (ა. კალანდ., 343). 4. მომიახლოვდა მე ბნელთაბნელი აურაცხელი მწუხარე გზებით (ა. კალანდ., 313). 5. არ ჰქონდათ შემონახული პირდალესილი დანები (პ. იაშვ., 215). 6. დაღალული მეოცნებე კვლავ ატირდება (პ. იაშვ., 83). 7. საბავშვო ნავებს ჰგავს იხვების მცურავი ფარა (პ. იაშვ., 175). 8. მოთიბული ბალახისა და გზის პირებში ჩარიგებული ყვავილების სურნელი გვაბრუებდა (ნ. ონაშ., 94). 9. კარი ხმაურით გაიღო და უშველებელი წიგნებით დატვირთული სალომე შემოვიდა (ნ. ონაშ., 82). 10. მას ერთბაშად გაახსენდა მოცურებული მანქანის შორიახლოს მდგარი თეთრპერანგიანი ახალგაზრდა (გ. ფანჯ., 115). 11. ბიძინა ართმელაძეს მხოლოდ მაშინ გაუღვივდა

გულში დიდი ხნის ჩამქრალი ნაპერწკალი (გ. ფანჯ., 202). 12. და გაწეწილი ჩემი თმა-წვერი აფრთხობდა ტყეში ჩათელემილ ჩიტებს (ო. ჭილ., I, 560). 13. და მშვიდად სძინავს დაქანცულ სოფელს (ო. ჭილ., I., 544). 14. ახუნის გორაზე ერთი გვერდ-გამომწვარი ხმელი წიფელი იდგა (კ. ყმა, 303). 15. მეც გავიზ-არდე და მერე ვიგრძენ შეშფოთებული თვალები მამის (ო. ჭილ., I, 546). 16. კაცი არა ჩანს, რამე რომ ვკითხო, გარინდულ კლდეებს ვესაუბრები (ო. ჭილ., I, 541). 17. ბოჩოლასავით მოათრევდა წარბშეკრულ ბიჭს (მ. ლებ., 328). 18. გაუხეშებულ სახეს ქალისას აჩნდა ნაოჭი არა ერთი და არა ორი (მ. ლებ., 328). 19. იგი შავმა სათვალემ და ახალგაზრდა კაცის მთვლემარე სახემ მოატყუა (გ. ფანჯ., 169). 20. აკანკალებული მაყურებლები ადგილზე ხტოდნენ და ფეხბურთელებს გამაყ-რუებელი ყიჟინით ამხნევებდნენ (გ. ფანჯ., 132). 21. და მგლოვიარე დებსა და დედებს ხალხში დაჰქონდათ მისი მახ-ვილი (ო. ჭილ., II, 528). 22. თვითმფრინავის მწუხარე ჩრდილმა გადაიარა ქალაქის თავზე (ო. ჭილ., II, 486). 23. მე ვუყურებდი დაღლილ მეგობარს, ხმა კი მესმოდა უფრო ზემოდან (ო. ჭილ., II, 490). 24. და პურის სუნით მთვრალი ხაბაზი იმშრალებს ოფლით გახეითქულ კისერს (ო. ჭილ., II, 456). 25. სამი დღის მწყურვალ დაჭრილს ენა გაუხმა (ო. იოს., 99). 26. მიდიოდნენ ნელა, ძალიან დაღლილი, ქანცგაწყვეტილი კაცის ნაბიჯებით (ო. იოს., 159). 27. ჯერ დაბურული ტყის წიაღი არ გამომიბარა (პ. იაშვ., 175). 28. იგი მდინარის გაშლილ სარკეს ეწკარუნება (პ. იაშვ., 178). 29. და ქართველურმა მხურვალე კოცნამ გადაგვაჭედა ერთიმეორეს (პ. იაშვ., 178). 30. გაღიზიანებული სალომე თვალს არ აშორებდა (ნ. ონაშ., 80). 31. მდუმარე ბინდში მკვეთრად გაისმა ტელეფონის ზარის წკრიალი (ნ. ონაშ., 36). 32. შუბლზე ჩამოფანტული მუქი თმა წარბებს უფარავდა (ნ. ონაშ., 21). 33. მზეზე გარუჯული ხელ-პირი დაი-ბანა, მერე პირში ჩაგუბებული წყალი ყვინჩილას მიასხა, გაწუწული ყვინჩილა კი კრიახით გაიქცა ქათმებისაკენ (გ. ფანჯ., 85). 34. ნაწვიმარ ასფალტს ჰქონდა გაჭრილი საზამ-თროს სუნი (მ. ლებ., 311). 35. კვლავ ჩამოგხედავს დილა-საღამო ზეცით ნაკურთხი ალმას-მძივებით (ა. კალანდ., 455). 36. და ავტო-ბუსის მოთენთილ მგზავრებს მუხლებზე ეწყოთ მზის

ნამტვრევები (ო. ჭილ., II, 453). 37. და ტაძრის ჩრდილში ანთებულ კოცონს გაურბის ბოლი (ო. ჭილ., I, 585). 38. გაშლილი აფრებით მოსულა ვილაც (ო. ჭილ., I, 583). 39. თვრამეტი მარტი, თვრამეტი მარტი, თვრამეტი უკვე გასული წელი (ო. ჭილ., I, 582). 40. გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვუშვათ (თ. სახ., 72). 41. ერთხანს ხევში ჩაგორებული ქვის ხმა ისმოდა (ო. იოს., 10). 42. მთრთოლვარე ხელს მადიდებლისა შეუმკვია მისი განსვენების საწოლი (პ. იაშვ., 278). 43. მწუხარე ბავშვი შველას ითხოვდა (პ. იაშვ., 259). 44. იქ დგას ძველი დანგრეული ტახტი (პ. იაშვ., 254). 45. ვეება სხეულზე ცოცხლად აჩნდათ მთრთოლვარე კუნთები (ნ. ონაშ., 7). 46. ეუსმენთ ქარაფებზე დაცურებული ლოდების გრიალს (ნ. ონაშ., 5). 47. დაღლილი ნაბიჯებით ჩამოვათავე მარმარილოს განიერი კიბე (ნ. ონაშ., 6). 48. მანქანა ძლივს მოდიოდა დანგრეულ გზაზე (გ. ფანჯ., 19). 49. მდინარეში მტირალი საღამო იცქირება (მ. ლებ., 267). 50. მთებს თუ ესმოდათ შენი ძახილი, რაღაც მდუმარე ნაღველით სავსე (ა. კალანდ., 288). 51. ფრთებშეტრუსული მიფრინავს ქარი (ო. ჭილ., I, 578). 52. დღეს ვგრძნობ დაკარგული მეგობრის სითბოს (ო. ჭილ., I, 576). 53. ხალხით გაჭედილი თეატრი ოვაციით შეეგება მგოსნის გამოჩენას (მოგ. აკ., 120). 54. გახვრეტილი ფული არა აქვს (თ. სახ., 87). 55. წყალი აქამდე არ მოჰგონებია, როგორც არ მოჰგონებია ჩანთაში შენახული სახვევი (ო. იოს., 82). 56. მისი დამჭკნარი ხელებით გჯეროდეს, დაილოცები (პ. იაშვ., 238). 57. დახვდებოდეს მძიმე ზამთარს მოტკაცუნე ბუხარით (პ. იაშვ., 229). 58. გარდაცვლილი მშობლებისაგან მემკვიდრეობით დამრჩა საერთო აივნის კუთხეში მიყუჟული ერთი პატარა, უფანჯრო ოთახი (ნ. ონაშ., 4). 59. დასიცხულ ქათმებს პირი დაეღოთ და ძლივს სუნთქავდნენ (გ. ფანჯ., 10). 60. დამსგავსებიხართ, საყვარლებო, დატუქსულ და გაბუტულ ბავშვებს (მ. ლებ., 132). 61. გზაზე შემომხვდნენ მე ასულნი მწუხარე ღიმილით (ა. კალანდ., 183). 62. ოფლგადამსკდარი ლითონი ბრწყინავს (ო. ჭილ., I., 569). 63. აცვივა წიწვი გადაშლილ წიგნებს (ო. ჭილ., I, 570). 64. ტარმოტეხილი კოვზიეთ ვარდება (თ. სახ., 611). 65. ვიღაც დედაკაცი ღობეზე გადმოყუდებული უყურებდა მიმავალ ქალს (ა. ყაზბ., 102). 66. მან მიგრიაულებს ურჩია დაენგრიათ ლუკას აშენებული ჩარდახი (კ. ყმა., 295).

67. ხელზე მაგრად მომიჭირა და აკანკალებული ხმით მითხრა (მოგ. აკ., 60). 68. ფართო ფანჯარასთან უკვე სიგრილეშეპარული ღამე მომდგარიყო (ნ. ონაშ., 179). 69. თითქმის სირბილით წავედი სადგურისაკენ, რომ თბილისში მიმავალი უახლოესი მატარებლისათვის მიმესწრო (ნ. ონაშ., 141). 70. მზე დაადგება ამ დარჩეულ და წმინდა სილას (პ. იაშვ., 219). 71. გადავიდნენ კახელები გახურებულ დაირაზე (პ. იაშვ., 187). 72. გაბეზრებული თოვლით და ჩვენით ისევ გარდასულ დღეებს იხსენებ (ო. ჭილ., I, 552). 73. გადამავიწყებს წუხანდელ ღამეს, როგორც ღალაქის მონაყოლ ამბავს (ო. ჭილ., I, 552). 74. ჩამავალი მზის ზოლი გაწვა სალამოს ზღვაზე (ა. კალანდ., 91). 75. მისი მთრთოლვარე თითები ლოყაზე შემეხო (ნ. ონაშ., 110). 76. ავტობუსის მომლოდინე ხალხი პატარა ხის ძირას იყო შეყუჟებული (გ. ფანჯ., 10). 77. და ისტორიის საშინელი უბედურება შენს გამხმარ მკერდში განაჩენად ჩაგიკონია (პ. იაშვ., 180). 78. შეშინებულმა სულთანმა იკადრა უკან დახევა (ლ. ასათ., 97). 79. შენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ყოველ წვრილმანს თვალს ვერ მიატანს (ო. იოს., 243). 80. იმ ტივს ადიდებული წყალი დაშლილს ჩამოიტანს (ი. გრიშ., 62). 81. ხალხის თვალით ნადენმა ცრემლმა შექმნა ჭაობი — ძველი კოლხიდა (ლ. ასათ., 101). 82. მეფემ ფრთებგანათებული სამეფო დროშა გაშალა (ლ. ასათ., 95). 83. მარჯენივ ჩამჯდარ ჯარისკაცს შეასწრო თვალი (ო. იოს., 150). 84. წამოიძახა ხალხის ხმით გულგაკეთებულმა პეტრემ (ილია, 380). 85. და სიხარულის ლამაზი ღმერთი ისევ შემოიყვანს თავის მბრწყინავს ტაძარს (ა. კალანდ., 79). 86. სუნთქვა მძინარე რაინდთა აბიბინებდა ბალახსა (ლ. ასათ., 90). 87. წუთით გატრუნულ ქარიშხალს ცხენის ფაფარში ეძინა (ლ. ასათ., 90). 88. უთუოდ ჩამოჰყარეს ამ საღამოსათვის ჩამოსაყრელი ბომბები (ო. იოს., 89). 89. ნახევრად დანგრეული კედლები ნაამაგდარი ციხისა მთის მაღლობიდან ქვევით ეშვება (ი. გრიშ., 6). 90. საწერი მაგიდის კუთხეში მიყუჟულ პატარა ნიქარას გადავწედი (ნ. ონაშ., 55). 91. გახურებულ თონეში ჩაყენება (თ. სახ., 88). 92. რად ამითრთოლე მგზნებარე გული (ლ. ასათ., 24). 93. დაღლილდაქანცულ ლაქვარდებს მიათრევს მდინარე ლოდების ზანზარით (ლ. ასათ., 70). 94. მის უკან მდგომი კაციც იმავე ინ-

ფორმაციას კითხულობდა (გ. ფანჯ., 523). 95. წინ ჩაუქროლეს განელილმა, გაცივებულმა ომებმა (ლ. ასათ., 94). 96. მიუჯდებოდა ფიჩხით აგიზგიზებულ ბუხარს და წერდა თავაუღებლად (კ. ყმა, 241). 97. დამჭკნარ გონებაში პატრიოტიზმის უჯრედები გამოუცოცხლდა (გ. ფანჯ., 23). 98. აჩვავებული შემოდგომა ბელლებს ჩაბარდა (ლ. ასათ., 86). 99. დაჭრილი ფეხი ჩამილბო წყალში (მ. ლებ., 75). 100. სირცხვილნაჭამმა სულთანმა მოჰკურცხლა თავის ამალით (ლ. ასათ., 97).

***§ 52. განსაზღვრება და უბრალო დამატება ნათესაობითში.*** 1. პონტოს ზღვის ღელვას სხვა გმირი მოჰყვა (ლ. ასათ., 101). 2. სარეკელას მადლიან ენით წისქვილი ჰყვება მოსავლის ამბავს (ლ. ასათ., 38). 3. სახლის პატრონმა ქართულად მომიკითხა, მე გამიკვირდა და იმანაც სიცილით მითხრა (აკაკი, 160). 4. მე საქართველოს წყნარი სოფლები ძაღლების ყეფით გამაცილებენ (ნ. სამად., 88). 5. ძველად სიონის ტაძარი ქალაქის ორი მოკრივე ნაწილის საზღვრად ითვლებოდა (ი. გრიშ., 25). 6. არწივთა გუნდი აფრინდა არაქსის ნაპირებიდან (ლ. ასათ., 98). 7. და სალხმაც შესძლო მკლავების გაშლა (ლ. ასათ., 101). 8. წვიმაში ვარჩევ სიმინდის ტაროს (პ. იაშვ., 131). 9. ათონის მთაზე ააგეს ტაძარი ნათლისმცემლისა (აკაკი, 47). 10. პურის ნატეხი დაუგდო ყურშას (მ. ლებ., 546). 11. თავზე გადმოხურულ კლდის მუცელს შეაფარა თავი (ო. იოს., 116). 12. სიცხის ალმურით ალანძულ ცაზე გამოისახა ბოლნისის გუმბათის სილუეტი (ნ. ონაშ., 127). 13. ჩამტვრეულ ნათურას შუშებიც გულდასმით აკრიფეს (გ. ფანჯ., 516). 14. გაბმულ ყეფას აგებებს ძაღლი ორღობეებში ურმების ჭრიალს (ლ. ასათ., 38). 15. სისხლის მდინარემ წაიღო მათი ფარ-მუზარადები (ლ. ასათ., 96). 16. და მაშინათვე შეუდგნენ ამ საქმის შესრულებასა (აკაკი, 47). 17. სისხლის მორევში ქართლის რისხვა ამოინთხევა (ნ. სამად., 163). 18. ოჯახის უხუცესი წევრები მოფარდაგული ურმებით მიემგზავრებოდნენ (ი. გრიშ., 69). 19. რვეულები სწრაფად გადაემალეთ და კონსპექტების წერა დაეიწყეთ (გ. ფანჯ., 220). 20. მისი ნარინჯისფერი გუმბათის ყელი დიდებულად ისახებოდა ლურჯი ცის ფონზე (ნ. ონაშ., 94). 21. ახლა

თოფის აღება უკან დახევას ნიშნავდა (ო. იოს., 143). 22. ქალაქში მომცეს მე პურის ფული (მ. ლებ., 82). 23. მხიარული კოცონები მიაფენენ ოქროს ენებს (პ. იაშვ., 186). 24. გულის მობჯენა ყელში (თ. სახ., 114). 25. მე ქალის თმების სურნელის მსგავსად მათრობს სიმინდის ულვაშის სუნი (ლ. ასათ., 23). 26. გარეული კამეჩების დევნით დაიღალნენ (ლ. ასათ., 52). 27. ონავრულად გვესეოდა ყოველი მხრით მტრისა გუნდი (აკაკი, 40). 28. აქ თამადობდა ჯიხვის ყანწით თურმე მხარგრძელი (ნ. სამად., 128). 29. იმ წელს ქუთაისში გამოვიდა აკაკის სასიმღერო ლექსების კრებული (ი. გრიშ., 170). 30. კერიის სითბო მახვევდა თავბრუს (მ. ლებ., 74). 31. მას ხელიდან გაუვარდა ქაღალდის პატარა ნაგლეჯი (ო. იოს., 116). 32. უზარმაზარ ოდაში მუხის ცეცხლი გუგუნებს (ლ. ასათ., 80). 33. უყვარდა ლხინში ღამის გათევა (ლ. ასათ., 28). 34. სამოთხის სადგურს გვაგონებს მაღლობზე მდგარი ტაძარი (აკაკი, 43). 35. წყარო ანკარა აცისკროვნებდა ირმების ფერდობს (ნ. სამად., 17). 36. თვითონაც დაიწყო ლექსების წერა (ი. გრიშ., 148). 37. ასევე ყოველწლიურად ტარდებოდა ხარების ბრძოლა სვანეთში (შ. ძიძ., 23). 38. ასე არ მისტირიან ომში ჯარისკაცის დაღუპვას (ო. იოს., 139). 39. ჭირნახულის წახდენას ლუკა, საერთოდ, ვერ იტანდა (კ. ყმა, 280). 40. შენ უნდა გეცვას ოქროს ქოშები, დაგოგმანებდე რუსთაველზედა (ლ. ასათ., 50). 41. ნეტავი იმას, ვისაც ჰქონია კაცის შუბლი და მგოსნის სინდისი (ლ. ასათ., 99). 42. ის დამსწრეებს მთელი ორი-სამი საათის განმაელობაში შეუწყვეტლივ უამბობდა აღმოსავლეთის რომელიმე გმირის თავგადასავალს (ი. გრიშ., 73). 43. თამარის სალოცავშია მოსჩანს ფშაველების კრებაო (ვაჟა, 105). 44. ასფალტზე პატარა გუბეებში ლამპიონების შუქის ანარეკლი ციმციმებდა (გ. ფანჯ., 327). 45. სიგარეტის მოწევა ძალიან უნდოდა (გ. ფანჯ., 603). 46. მე კომისიის მოყვანაც ვერ მოვახერხე (ნ. ონაშ., 154). 47. მდინარეს ლოდებში გზის გაკვლევა უჭირდა (ო. იოს., 27). 48. ქვეშიდან ხალიჩის გამოცლა (თ. სახ., 683). 49. გადაიარა წინადღის ბრძოლების პაპანაქებამ (ლ. ასათ., 86). 50. საამო არის, ვით რთველი, მწიფე მტევნების ნაქური (ლ. ასათ., 17). 51. იეთიმის სიმღერები დაუახლოვდა ქალაქის ხალხის სალაპარაკო ენას (ი. გრიშ., 156). 52. თამაზი ლაპარაკის დაწყებას აგვიანებდა (გ.

ფანჯ., 542). 53. მასაც, უბრალოდ, სიკეთის გაკეთება უნდოდა ან მამამისის ცოდვის გამოსყიდვა (ნ. ონაშ., 151). 54. ციემა ქარმა ქვაბულში წვიმის წვეთები შემოიტანა (ო. იოს., 134). 55. და უკეთესი დღის გათენებას ეს ძველი ჩანგიც ახლისგან ელის (მ. ლებ., 320). 56. ყვავის დაჩხაელება თავზე (თ. სახ., 720). 57. მინდორში დარჩა ზვინები თივის, მდინარის პირას — ნახირის კვალი (ო. ჭილ., I, 544). 58. სულთანის გამოგზავნილი ხელში ეჭირა წერილი (ლ. ასათ., 93). 59. მხოლოდ ბაგრატის ტაძრის ნანგრევში გარინდებულან მკვდრულ მყუდროებით (ლ. ასათ., 81). 60. ქალწული ვაზის ნასხლავს თავის თმებით შეჰკრავს (გ. რობაქ., 79). 61. დარჩა ტყეებში ხარ-ირმებისა ნავალი (ვაჟა, 37). 62. მარჯვე ცხენოსან სპარსელების ჯარს სიტყვით ამხნევებს მოქის თავადი (აკაკი, 62). 63. სულ რამდენიმე თვე და ფოლადის დნობის ყველა პრაქტიკული საიდუმლოება იცოდნენ (გ. ფანჯ., 242). 64. ისევ გაჭირდა ოფლში გაწურული ცხენების დამორჩილება (ო. იოს., 13). 65. თავზე ნაცრის დაყრა (თ. სახ., 222). 66. ნება-ნებაზე მიქროდნენ ქართველი ჯარის ზვირთები (ლ. ასათ., 96). 67. ისმის რიონის შრიალი შორი (ლ. ასათ., 59). 68. მან შორიდანვე შენიშნა გამომძიებლის სადარბაზო შესასვლელი (გ. ფანჯ., 602). 69. ბანაკის აშლას მაინც კარგა ხანს მოუნდნენ (ო. იოს., 40). 70. უძველესი პიმნები ჟღერენ, აადვილებენ სიკვდილის განცდას (მ. ლებ., 271). 71. მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი (პ. იაშვ., 161). 72. ჩვენ ველოდებოდით კურდღლის გამოსვლას ჯეჯილში (კ. ყმა, 268). 73. ყველგან ისმოდა სიმღერის ხმა, ზურნის დამაყრუებელი ჭყვიტინი და უზარმაზარი დოლის ბრაგაბრუგი (ა. ყაზბ., 220). 74. თავს დაპნათოდა სულმნათსა მაისის ცა ვარსკვლავითა (ლ. ასათ., 95). 75. ხომ უსმენ ჩემი ძარღვების ცემას (ლ. ასათ., 102). 76. მაგიდის ნათურა ოთახს ოდნავ ანათებდა (გ. ფანჯ., 519). 77. დაიწყო ცისკრის ზარების რეკა (ა. კალანდ., 253). 78. თავისი ხელით საფლავის გათხრა (თ. სახ., 240). 79. კალატოზმა დაიწყო კედლის შელესვა (პ. იაშვ., 264). 80. მისმა უზომო სილურჯემ გამიღო ზეცის კარები (ლ. ასათ., 83). 81. მტერი ასპინძის სიმაგრეს შემოესია სერიდან (ლ. ასათ., 91). 82. დავით ბოცვაძის კაბინეტის კარი რომ შეაღო, საკუთარი გულისცემა ესმოდა (გ. ფანჯ., 542). 83. არ აღვნიშნოთ ამ კაცის ჩამოსვლა?

(გ. ფანჯ., 22). 84. მე, უბედურმა, კოვზით ზღვის ამოწურვა მოვინდომე (ილია, 406). 85. ტიროდა ხალხი და ხალხის ცრემლით იბერებოდა კოლხიდის მიწა (ლ. ასათ., 101). 86. თალხი ებურა კოლხიდის ველებს (ლ. ასათ., 100). 87. ბუზების თვლა ჭერში (თ. სახ., 61). 88. არზრუმის მმართველმა და მისმა მოსამსახურემ დაიწყეს პაწაწკუნა ფინჯნებიდან ყავის სმა (ა. ყაზბ., 222). 89. გარეთ კი ამტვრევს პროსპექტის ჭადრებს იანვრის ქარი (ო. ჭილ., I, 585). 90. გაზაფხული მოვა და მალე აყვავილდება კოლხიდის ველი (ლ. ასათ., 103). 91. ციდან სცვიოდა რიალით ოქროს სხივების შურდული (ლ. ასათ., 113). 92. ის მოუთმენლად მოელოდა ქალის ნახვას (ა. ყაზბ., 204). 93. შენც დაგეწყება ფოთოლთა ცვენა (ა. კალანდ., 333). 94. ძველებურ, უზარმაზარ ტყავის სავარძელში მოკალათებული ოთარი ხმას არ იღებდა (გ. ფანჯ., 603). 95. ამოდენა საქმის წამოწყება ხუმრობა არ გეგონოთ (გ. ფანჯ., 313). 96. პოპინამ გარკვეეით გაიგონა ფუტკრის ზუზუნიცა და ნაკადულის ჩხრიალიც (ო. ჭილ., I, 193). 97. ყველამ ყურადღება მიაქცია ჩიტის სტვენას (ო. ჭილ., I, 99). 98. ეს გახლდათ თელეთობის ღამის სათევად მოსული ხალხი (ა. ყაზბ., 239). 99. ჩვენი კოლხეთის ქალები, ელვარე გიშრის კავებით, მიჰყავდათ ჩარდახიანი ურმებით (პ. იაშვ., 215). 100. ყოველთვის შეგიძლია ქალების დასაჩუქრება, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების, ნაცნობების დაპატიჟება (ნ. ონაშ., 111). 101. მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს ქაშვეთის შემოხედვამ (ლ. ასათ., 71). 102. მე მიყვარს თქვენი ხის სასთუმალი, თქვენი ბორბლების მძლავრი გრიალი (ლ. ასათ., 74). 103. ვანის ქუჩებში მეფის მეჯინიბის გამოჩენამ დიდი ქრიამული გამოიწვეია (ო. ჭილ., I, 203). 104. რატომ უკრძალავდა შვილს შუბის აღებას? (ო. ჭილ., I, 353). 105. მე, ფიქრში წასული, ღმერთს სოფლის ხსნას შევთხოვდი (თ. ბიბ., 139). 106. დაეცა ზღაპრულ დევების ბუნაგს შავნაბდიანი ცალთვალა დევი (ლ. ასათ., 26). 107. წამოიშალა სულთანის ბანაკი ციებ-ცხელებით (ლ. ასათ., 96). 108. ქალაქში დიდი შეშფოთება და მითქმა-მოთქმა გამოიწვეია ფიქსეს ვაჟების გაპარვამ (ო. ჭილ., I, 83). 109. იმ ღამეს ცეცხლის ანთება ვერ გაბედეს, არც სანდლის თასმა შეუხსნია ვინმეს (ო. ჭილ., I, 97). 110. მეორედ რომ ჩამოვიდა, დამწვარი პანტის ჩირის ჩაი ჩამოიტანა (კ. ყმა,

33). 111. სკოლაში შაშხნის, ავტომატის და ხელყუმბარების დაშლა-აწყობა ასწავლეს (ო. იოს., 146). 112. მკლავს ჩემი ტკბილი ლეჩხუმის ჰავა, ახლად დაფქეილი ხორბლის სურნელი (ლ. ასათ., 75). 113. მე მეოცნებე თვალები მქონდა და გაეყურე-ბდი დილის ცის კარებს (ლ. ასათ., 76). 114. რამ მოგხიბლა, ჩემო გოგონავ, კურდღლის ბაჭიამ, თუ ჩიტების სტვენამ ვე-ნახში ( ა. კალანდ., 30). 115. შევარდენი დაინახავს ჩიტების გროვას (გ. რობაქ., 222). 116. ხომალდის მოაჯირს ლანდი ეყუ-დება (გ. რობაქ., 223). 117. და იმსჭვალება ცისარტყელას ფერით ქვეყანა ისე შეპარვით, როგორც წყლისგან მიწის ღარები (ი. ჯოლბ., 58). 118. ქვემოთ მდინარე ალუბლის ყვავილს მიაცურე-ბდა (ი. ჯოლბ., 102). 119. მთვარემ დადგა ვერცხლის ტახტი, მზემ აიღო დილით (ლ. ასათ., 107). 120. ტაძრის ფსკერები ჟამთა სვლაში დაქვრივდებიან, არმაზის კერპი კვლავ აღიდ-გენს დანგრეულ ბინას (ნ. სამად., 130).

## მარტივი წინადადების ტიპები

§ 53. *სრული.* 1. ქართულ აგურის იატაკზე დამხობილ პოეტს ორტოტა ცეცხლი ეკიდება (ნ. სამად., 149). 2. უეცრად ხალხის სიმღერამ გააღო კარი ოდისა (ლ. ასათ., 115). 3. ამ თავდასხმამ მტერს ორი ჯარისკაცი წაართვა (ო. იოს., 81). 4. ჩემს არსებას ძველი ალი მოეკიდება (პ. იაშვ., 123). 5. გუშინ თქვენს შემდეგ აქ პროფესორი დიმიტრი რაზმაძე იყო თავისი ვაჟიშვილით (ნ. ონაშ., 42). 6. მან ნელა დამარცვლულ სიტყვებს მაგიდაზე კაკუნით ააყოლა თითები (ნ. ონაშ., 43). 7. რომის იმპერატორმა კლავდიუსმა გამართა გრანდიოზული სპექტაკლი (შ. ძიძ., 25). 8. შაშვის ბარტყივით აღებენ მწვანე ნისკარტებს კვირტები (მ. ლებ., 554). 9. მე კვლავ გამეხსნა ძველი ჭრილობა (ო. ჭილ., I, 548). 10. ვაჟამ ტკბილი ტენორის ხმით დაამღერა ევროპულ კილოზე დაწერილი რომანსი (კ. ყმა, 60). 11. ტყის მცველმა შეამჩნია ორი ლამაზი (პ. იაშვ., 262). 12. მზემ თავისი ოქროს სხივები ჩემს ქვეყანას მოფინოს (პ. იაშვ., 274). 13. ნახევარ საათში ეერტმფრენი პატარა მოედანზე დაფრინდა (გ. ფანჯ., 111). 14. მათ იპოვეს ამოფუღრული დაბერებული მუხის ხე (ა. ყაზბ., 173). 15. ათრთოლებული მისი ხელი მოშორდა ჩემს თმებს (ა. კალანდ., 283). 16. დადგა ბებერ მუხასთან, ზევით, შავ ჩაბალახით პირშებურვილი შავნაბადიანი ცალთვალა დევი (ლ. ასათ., 27). 17. ჩემს ოთახს ავსებს შენი ლანდები (პ. იაშვ., 120). 18. გამოქვაბული შეიბუდებს დაღერემილ ირემს (ნ. სამად., 160). 19. ის სასოებით დაეცემა სქელ საკმეველთან (ნ. სამად., 160). 20. წყალმა შინმოუსვლელების კვალი დალმა წაიღო (ო. იოს., 60). 21. ოთახს მოსაწყენი მონოტონური კაკუნი აყრუებდა (ნ. ონაშ., 66). 22. თემომ მაგიდის ნათურის ჩამრთველს თითი დააჭირა (ნ. ონაშ., 56). 23. აჩერებენ თავის გემებს მეზღვაურები (პ. იაშვ., 136). 24. თესალიელი მხედრები ერკინებოდნენ ხარებს (შ. ძიძ., 25). 25. ათასნაირი ლურჯით წელს მთებს საზღვრავდნენ მთები (მ. ლებ., 98). 26. მე დღეს სურვილებს გრიგალს ვატოლებ (ო. ჭილ., I, 557). 27. მთის მდინარე რეცხავს კლდის ნაპირებს სოფლის ქვემოთ (პ.იაშვ., 228). 28. პატარა დაძმა საშინელმა სტიქიამ შთანთქა (პ. იაშვ., 269). 29. მიუჩვეველი სხეული სასმელმა მალე დაიმორჩილა (გ. ფანჯ., 160). 30. ლურჯ

მწვერვალებს ქარი რძირფერ ნისლში ჰხვევდა (ა. კალანდ., 251). 31. მზეზე ელავდნენ ლომკაცთა ფოლადის ჩაბალახები (ლ. ასათ., 98). 32. ზღვა აღარ ჩანს ოქროს მტვერში (პ.იაშვ., 91). 33. ზღვის ტალღებზე ნებივრად ირწეოდა თეთრიალქნიანი ნავი (ნ. ონაშ., 22). 34. ცოდვაადიდებულმა მდინარემ დამხრჩვალი ჯარისკაცი ჩამოატარა (ო. იოს., 60). 35. ბექამ წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია (ნ. ონაშ., 20). 36. ეს ნანგრევები მეც მომბერენ ათასგვარ ქარებს (მ. ლებ., 301). 37. როიალი თეთრი კბილებით შეჭმას უპირებს შენს ლამაზ თითებს (ო. ჭილ., I, 549). 38. მე დღეს ბუხარი ვერაფერს მეტყვის (ო. ჭილ., II, 557). 39. წვიმაში ხმელი თივა ინამება ღერო-ღეროდ (პ. იაშვ., 243). 40. ჩვენმა მხედარმა გაჰკვეთა გაუთელავი კალთები (პ. იაშვ., 235). 41. ჯეჯილში ჩაიშრიალა თვალგახელილმა ყანამა (ა. კალანდ., 35). 42. შენი ჭაღარა ძველებურად ისევ კაშკაშებს (ლ. ასათ., 68). 43. ასწლოვან მუხას მე თავს ვაფარებ (ნ. სამად., 155). 44. ცივი ღამე ჩამოწვა (ო. იოს., 51). 45. დაბლა წყლის გამჭვირვალე მორევი ბრუნავდა (ნ. ონაშ., 12). 46. ქალები გალობით ალიონს ელიან (პ. იაშვ., 90). 47. ქვის კედლებში ყრუდ გაისმა ჩემი ფეხის ხმა (ნ. ონაშ., 12). 48. ისინი უსმოდ ასრულებდნენ ჩემს ყველა სურვილს (ო. ჭილ., I, 588). 49. მავთულები ნაცრისფერ ცაში იჭიმებიან (ო. ჭილ., I, 584). 50. ახლა შხეფმა მოიტაცა ეს პატარა ოქრომკერდი (პ. იაშვ., 234). 51. მთამ ცა შუბებით დასერა (პ. იაშვ., 230). 52. თრთოდენ ქარწვიმის ხმაში ქუჩები ბევრჯერ გადანათელი (ლ. ასათ., 65). 53. ერთხელ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე (ო. იოს., 244). 54. ქარი აფთარივით ჯიჯგნის ღამის გასავათებულ სხეულს (ნ. ონაშ., 3). 55. ლევანმა ხელისგულები სიამოვნებით გაუსვა ერთმანეთს (ნ. ონაშ., 137). 56. გადახვეწეია ჩვენი ვაზი დღეს უცხო ჭიგოს (მ. ლებ., 314). 57. ღამე შუბლით აწვება კარებს (ო. ჭილ., I, 584). 58. მიირწევა ცხენების მწკრივი აღრჭიალებულ მანქანებს შორის (ო. ჭილ., II, 432). 59. ამ სამკუთხეში მოქცეულია „წითელი ჯვარის“ საავტომობილო ნაწილი (გ. რობაქ., 111). 60. ატორტმანდა ჩვენი ბათომი (პ. იაშვ., 95). 61. პატარა ჩერო ადგია ეზოს (პ. იაშვ., 166). 62. ერთი კლდის წვერზე გაცალკევებით იდგა კოშკი (ა. ყაზბ., 165). 63. ლექსმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია (მოგ. აკ., 114). 64. ძველი მხატვარი ძველ ხატებს ხატავს (მ.

ლებ., 321). 65. მაგით მამაჩემმა არაფერი დაკარგა (ნ. ონაშ., 131). 66. სიყვარულით დაწერილი ყოველი პორტრეტი თვით მხატვრის სულია (ნ. ონაშ., 97). 67. ქალწული ჯვარს ვაზის ნასხლავისაგან გამოსჭრის (გ. რობაქ., 79). 68. ქარი არხევდა ყვითელ ნათურას (ო. ჭილ., I, 583). 69. მუზეუმის გრილ დარბაზებში ცნობისმოყვარე ხალხი გროვდება (ო. ჭილ., II, 483). 70. შენ პოეზიის სამსახური აიღე ვალად (პ. იაშვ., 74). 71. ხარის ლანდი გაჩნდა ტევრში (პ. იაშვ., 91). 72. ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას იმა მამულის ამაყმა შვილმა (ილია, 118). 73. გაცივდა ჩემი მღვიმის ნაცარიც (ო. ჭილ., I, 561). 74. ამ ნანგრევების გარშემო ფანტასტური ლეგენდები ტრიალებდა ხალხში (ვ. რაზიკ., 141). 75. მთაწმინდაზე ქარი ფურცლებს ფანტავს (მ. ლებ., 319). 76. ქალაქის გარეუბნიდან გამორბიან დაფეთებული ხარები (შ. ძიძ., 25). 77. საათები უჩინარ წუთებს ჯანსაღი გულის სიზუსტით თვლიან (ო. ჭილ., II, 476). 78. გარეთ შრიალებს იანვრის თოვლი (ო. ჭილ., I, 557). 79. ამ ლოდზე ვაჟამ ნახშირით დააწერა ორი სტრიქონი თავისი ლექსიდან (ვ. რაზიკ., 150). 80. წყარომ თავის მკერდზე ვერცხლი დაიფინა (პ. იაშვ., 70). 81. მეც ჩაებერავ ჩაღველფილ კოცონს (მ. ლებ., 334). 82. ძველ დროში პონტოს მარცხენა ნაპირს მიადგნენ მეზღვაურები (გ. რობაქ., 99). 83. ეს შემოდგომის დღეებიც წავლენ (ო. ჭილ., I, 555). 84. მტრის მაშველი ჯარები ვერ გამოვიდნენ ხიდზედა (ლ. ასათ., 54). 85. მის ბებერ საძირკველთან ქართველები დგანან (ლ. ასათ., 54). 86. კიბის თავს თორმეტი წლის ბიჭი მოადგება (გ. რობაქ., 195). 87. ტაქსის უკანა ფარების წყვილი წითელი შუქი მგლის ბრდღვიალა თვალებივით მიიკარგა სიბნელეში (ნ. ონაშ., 117). 88. ნარიყალის ძველი ბურჯები უამრავ ლეგენდებს ინახავს თავის დახავსებულ ნანგრევებში (ი. გრიშ., 4). 89. სადღაც მღვიმეში დაღმუოდა ბედს მთაწმინდელი (ნ. სამად., 128). 90. არჩიბალდ მეკეში სინჯავს ყოველ ნივთს (გ. რობაქ., 63). 91. უეცრად მოჩხუბართა მეორე წყვილი განზე გახტომილ ვამეხს ფეხებში მოექცევა (გ. რობაქ., 74). 92. მხოლოდღა ცხელი ბუხრები ბურღავს საქართველოს ცის გაყინულ ჰაერს (მ. ლებ., 507). 93. დამსწრე საზოგადოება გულთბილად დაემშვიდობა საქართველოს სათაყვანებელ მგოსანს (მოგ. აკ., 164). 94. სანთლების შუქი წინ მეფრქვევა დაღვრემილ პოეტს (ლ.

ასათ., 148). 95. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას (ილია, აზრ., 66). 96. მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს უმატებდა შეილი ფასსა (აკაკი, 40). 97. დაფენილა რბილი ტევრით გრძელი შარები (ი. ჯოლბ., 15). 98. ენამზეობდა თამადა დიადი სულისკვეთებით (ი. ჯოლბ., 19). 99. არჩიბალდ მეკეშის გულისცემა შეედრება არაბულ ცხენის გულის ფეთქას (გ. რობაქ., 112). 100. მოკაკული ცხვირის სიკაპასეს მცხრალი თვალები ანელებენ (გ. რობაქ., 61). 101. მთვარე ბულბულივით ხეზე შემომჯდარა (ი. ჯოლბ., 140). 102. ბავშვის თვალებით შენ დილამ მადლი ჩამოგაპკურა (პ. იაშვ., 119). 103. დღეს მთელი საქართველო შენი წმინდა ცხედრის წინაშე მუხლს იდრეკს (მოგ. აკ., 310). 104. მან ნამდვილი ხელოვნების უმძიმეს ტვირთს ვერ შეუშვირა მოხრილი ბეჭები (ნ. ონაშ., 30). 105. შენვე გაგზავნე ჩუმად კაცები (აკაკი, 59). 106. მაჭანკალი ქალები არც აბანოში ივიწყებდნენ თავიანთ პროფესიას (ი. გრიშ., 61). 107. მოხუცი წინამძღვრის წინაშე სოფელი ორად გაიყო (თ. ბიბ., 61). 108. სამხრეთ იტალიის საფლავებში ნახეს ოქროს ფირფიტები ორფიული ლექსებით (გ. რობაქ., 355). 109. გზის შეტრიალებულ ასახვევის თავში მოსჩანს პატარა დუქანი (გ. რობაქ., 195). 110. ტყეში ვნახულობ მე წითელ სოკოს (პ. იაშვ., 131). 111. მე ისევ შევალ ნაწვიმარ ბაღში (პ. იაშვ., 162). 112. დღეს ვუღებ ჩემს მკითხველებს ოქროს ბაღის კარებს (ლ. ასათ., 108). 113. მამულისთვის დაიღუპნენ ვაჟკაცობის მსახველნი (ლ. ასათ., 35). 114. მეორე დღეს თორნიკ-სარდალმა კიდეც შეჰყარა საომრად ჯარი (აკაკი, 54). 115. ბიჭის წაბლა ცხენი ყორესთან ამოწვერილ ბალახს წიწკნიდა (თ. ბიბ., 403). 116. თამაზი ხარბად დასცქეროდა ფურცელზე ჩამწკრივებულ მათემატიკურ გამოსახულებებს (გ. ფანჯ., 623). 117. მებაღეთა დაარხიეს ფოთლები ცოცხის ტარით (ი. ჯოლბ., 131). 118. იმ დროს ამ საპატიო პიროვნების გარდა საქართველოში თითქმის არავინ არ იპარსავდა ულვაშებს (მოგ. აკ., 118). 119. კოშკზე აეარდნილი ალი მთელ ეზოს ანათებდა (თ. ბიბ., 176). 120. გულს პოეზიის ცეცხლით ავსებს შენი სახელის გაგონება (ი. ჯოლბ., 38), 121. თეთრი ქოშები მშვიდ ლოკოკინებს ნუშების ძირას დაუტოვეიათ (ი. ჯოლბ., 47). 122. შარაგზის ფაფუკი მტვერი ხეების სიმაღლეზეააქვს ქარს (ო. ჭილ., II, 423). 123. ცრემლს

დაუწყებენ ფრქვევასა დღეს მოლხინარი ბაღღები (ვაჟა, 64). 124. ათასფრად ელავდა მარმარილოს მაღალ სვეტებზე მიმაგრებული ძვირფასი შანდლები (ნ. ონაშ., 104). 125. გზის ორივე მხარეს აუარებელი ხალხის შეუწყვეტელი ქვითინი ზარივით მოისმოდა (მოგ. აკ., 242). 126. ქარისამ თავისი ხელით ჩაულაგა ქმარ-შვილს საგზალი (ო. ჭილ., I, 41). 127. ცად გაჰყვა ჩიტსა შრომანას თქვენი ფუნჩულა თითები (მ. ლებ., 554). 128. დედაბერმა ფასკუნჯის კვერცხის ხელა ცომის გუნდა გაჩხრეკილ ნაღვერდალში ფრთხილად ჩადო (ო. ჭილ., I, 359). 129. მთელ იმ ბინდში ჩაძირულ მონასტერს ერთი სუსტი სანთელი ანათებს (თ. ბიბ., 47). 130. ბებერ მტოებზე დაფრინდნენ ფერადფერადი ჩიტები (მ. ლებ., 554).

*§ 54. უსრული.* 1. მოყვარეს გადაამტერებს, მტერსა გაუხდის მოყვარედ (აკაკი, 37). 2. ცხოვრების კანონს უდებდნენ სხვადასხვა ქვეყნის ერებსა (აკაკი, 45). 3. ქარმა სიცხეში თეთრი ტოგა შემომახია (პ. იაშვ., 118). 4. პოეზია უძვირფასესი გამომიტირებს ყველაზე მალე (პ. იაშვ., 97). 5. ნეტავ ასეთი მტკივნეული სიცხადით არ ვგრძნობდე ერთი დიდი მხატვრის ნათქვამის ჭეშმარიტებას (ნ. ონაშ., 3). 6. მამაჩემის შავჩარჩოიან სურათს შეცხედავდით, დედა — ცრემლით, მე — ღიმილით (ნ. ონაშ., 6). 7. შემოიყვანეს დილეგში ღამენათევი, უღმერთო (ლ. ასათ., 94). 8. სამშობლოსადმი ლოცვები ამ ცისფერ წიგნში ჩავწერე (ლ. ასათ., 73). 9. ამ სამ-ოთხ თვეში არც ერთხელ არ უნადირნია (ილია, 442). 10. კადნიერ მოწაფეს ხელი მოსჭრეს (ი. გრიშ., 41). 11. მერე ბრტყელი ლოდები ზევიდან ჩაათრია, ყველაზე უფრო განიერი ორმოს დააფარა (ო. იოს., 139). 12. ბანაკიდან ხუთ გაგზავნილ ჯარისკაცში ორი ცხენოსანიც შენიშნეს (ო. იოს., 23). 13. ვიბურებოდი ჩამოცვენილ მთვარის ფოთლებით (ნ. სამად., 66). 14. მიგვიწვიეს გამოჩენილი ბასკი მხატვრის ეშაურის სახელოსნოში (შ. ძიძ., 26). 15. ცოტა ხანს ბაქანზე შეჩერდა, აეროდრომი მოათვალიერა და მერე თვითმფრინავში შევიდა (გ. ფანჯ., 166). 16. ამ დილით ტელეფონით ელაპარაკა კიდევ უცნობ გამომძიებელს (გ. ფანჯ., 602). 17. ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაჰყოფს (თ. სახ., 798). 18. ცა

ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნად (თ. სახ., 799). 19. უნებურად დაიწყო თავისი თავგადასავალი (აკაკი, 39). 20. თქვენისვე ნებადართვით სხვას გადავცემ ამ ჩემს ხმალსა (აკაკი, 42). 21. მინდვრის ყვავილების ბლუჯას ზამთრის საზრდოდ ვიმარაგებ (მ. ლებ., 50). 22. კანაფები დაისროლა, გააჩალა გასანათი, თეთრი ანძა გაისწორა (პ. იაშვ., 213). 23. მდინარეს მორებს ესროდა, შეჰკრავდა ტივებს ბარისას (პ. იაშვ., 231). 24. ფრთხილად! — დამალე შიშიც და ზიზღიც და გატრიალდი, ან რაღას უცდი (ო. ჭილ., II, 538). 25. უბრუნდებოდა ქუჩას სინათლე, ჩრდილებს — ადგილი, საგნებს — სიმართლე (ო. ჭილ., II, 537). 26. ვეება ნოტიო ხელი გამომიწოდა და კარგახანს აღარ გამიშვა (ნ. ონაშ., 17). 27. ზოგს მორიდებით ველაპარაკე, ზოგს — რიხით, ზოგს — ტკბილად, ზოგს — მწარედ (ნ. ონაშ., 6). 28. იმედმა არსაიდამ მოგვიტანა ნუგეში (ილია, 435). 29. სამშობლოს ტრფობით გული დავსერე (ლ. ასათ., 57). 30. მოედივარ ჩემის ლაშქრითა, თუ ვაჟკაცი ხარ, დამიხვედი (ლ. ასათ., 94). 31. ისევ გაისროლეს და თავზე გადაუტარეს ტყვიები ნაბდიანებს (ო. იოს., 12). 32. საყელო შეუხსნეს და ჭრილობა მობანეს (ო. იოს., 26). 33. უკმაყოფილოდ გააწყვეტინა მოურავმა სიტყვა (ა. ყაზბ., 99). 34. უნებურად რკინის კასრს შეხედა (გ. ფანჯ., 129). 35. დროდადრო მაღაზიების გაკაშკაშებულ ვიტრინებს ათვალიერებდნენ (გ. ფანჯ., 161). 36. ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორა (აკაკი, 64). 37. მერე მთელ კლასს მოუბრუნდებოდა (აკაკი, 139). 38. ეგ ბუმბული ჩიტებს ქუდის საფენად, ეგ შენი ფრთა ქართველს — ისრის საფრენად (მ. ლებ., 304). 39. რა სიხარულით მიაშურეს ნაპირს ლოდიანს (პ. იაშვ., 219). 40. კბილები ამიკანკალდა ნეტარებით (პ. იაშვ., 257). 41. იმ დღიდან ველი შენს გამოჩენას (ო. ჭილ., I, 578). 42. მხარზე შინაურულად დამკრა ხელი (ნ. ონაშ., 15). 43. კომისიის შინ მოყვანა ვერ მოვახერხე (ნ. ონაშ., 17). 44. ტყვიას დაახლის ბეჭებში, უსულოდ დასცემს მიწაზე (ლ. ასათ., 91). 45. სამშობლოს ტრფობით გული დავსერე (ლ. ასათ., 57). 46. თვალის გახელა ვერ მოასწრო (ო. იოს., 47). 47. წყალში ჩაშვებული ბიჭები კინაღამ ღვთის ანაბარად მიატოვეს (ო. იოს., 60). 48. ენით აუწერელმა სიხარულმა შეიპყრო (გ. ფანჯ., 138). 49. აბაზს გასცემს და მანეთს მოიგებს (თ. სახ., 50). 50. რაც ხიდებია

სუყველა ერთად ქვეშიდან ისეთ გვარად დახერხონ (აკაკი, 58). 51. მოსძებნე ქვეყნის მართალი წყლული (მ. ლებ., 82). 52. აქ თქვენ იხილავთ თქვენი თვალებით (პ. იაშვ., 210). 53. თქვენ მოუხდით ზეიმით ქურდებს (პ. იაშვ., 210). 54. არ გაშინებდა ბილწი მონობა (პ. იაშვ., 108). 55. როგორც მებადურს უყვარს მდინარე, მდინარეს — ფიქრი, ფიქრს კი დუმილი, დუმილს ხმაური და ხმაურს სივრცე (ო. ჭილ., II, 473). 56. სერიოზული სახით დამეთანხმა და განაგრძო საუბარი (ნ. ონაშ., 53). 57. მტვრიანი შარვალი ხელისგულებით ჩამოვიბერტყე (ნ. ონაშ., 31). 58. უცხო სამოსით შემოსეს შავს მტვერში ამოგანგლული (ლ. ასათ., 94). 59. მზისა სხივით გაბრწყინებული კელავ დავინახე მოხუცებული (ილია, 121). 60. დამსაჯეთ, მაგრამ გებრალებოდეთ (ა. ყაზბ., 48). 61. სული შეუბერა, ჩააქრო და ნამწვავი საფერფლეზე დააგდო (გ. ფანჯ., 214). 62. ჩამოართვა ვარდები, დაყნოსა, გულს მოისვა, ხელი ჩამომართვა და მისაყვედურა (კ. ყმა, 130). 63. ღლევანდელს ლხენა-სიცილსა ხვალ გადაუქცევს ოხვრადა (აკაკი, 180). 64. ვნატრობ სუსხიან მწარე ამინდებს (პ. იაშვ., 131). 65. ჩემი ოცნების ნაპერწკლები ხალხს გადვუფანტე (პ. იაშვ., 76). 66. დუმილს და ყოყმანს გადაჩვეული დაუფიქრებლად მივქროდი ასე (ო. ჭილ., II, 500). 67. თავის ფიქრებს უღიმოდა თბილი ღიმილით (ნ. ონაშ., 53). 68. სიცილი ძლივს შევიკავე (ნ. ონაშ., 31). 69. ამის შემდეგ მისი სახელი არ უხსენებიათ (ო. იოს., 78). 70. ბოლოს, მთელი რემა ხევის პირას მიემწყვედიათ (ო. იოს., 28). 71. მას სახეზე იშვიათად შეამჩნევდით ღიმილს (ი. გრიშ., 107). 72. მან გამინათა ბილიკი ლაჟვარდებისკენ საეალი (ლ. ასათ., 83). 73. საქართველოს უძლეველ ჯარს დაულოცა გზა-შარა (ლ. ასათ., 95). 74. ფიცხლად მომიბრუნდა (გ. ფანჯ., 214). 75. თვალი საწყენს მეუბნება (თ. სახ., 258). 76. ხომ გახსოვს, როგორ ვარდებოდნენ ხოლმე წამდაუწუმ (აკაკი, 161). 77. ველარ ვუმღერი შუადღის შადრევანს (პ. იაშვ., 97). 78. ქვეყნიერება ადრე დავტოვე (პ. იაშვ., 98). 79. რატომ შემხედე ასე თამამად, თვალები რატომ შემომანათე (ო. ჭილ., I, 560). 80. ყოველი შემხვედრი თავისებურად მესალმებოდა: ქალები — მოწყალედ, მამაკაცები — თავაზიანი ღიმილით (ნ. ონაშ., 65). 81. თავში ქვა იხალე და მუცელში სამართებელი (თ. სახ., 245). 82. ჯამი სვენებ-სვენებით დალია (გ.

ფანჯ., 25). 83. ამიტომ წარმოუთქმელმა აღტაცებამ შეიპყრო (ა. ყაზბ., 48). 84. კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა (თ. სახ., 325). 85. დაიხმარებენ ნაცნობ-მეგობრებს, მეზობლებს და მთელი ღამე არჩევენ სიმინდს (ლ. ასათ., 38). 86. ბრძოლის ველზე მიდიოდნენ რაინდული ოცნებით (ლ. ასათ., 34). 87. საშინელი სიძულვილით შემომხედა (ნ. ონაშ., 82). 88. მაშინვე გამოვაღე კარი (ნ. ონაშ., 146). 89. ვწირავ ანთებულ ბრძოლის სტრიქონებს (პ. იაშვ., 154). 90. მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, მერე მწვრთნელმა გამოცვალა (გ. ფანჯ., 225). 91. და გაიტაცეს ცხენდაცხენ ივანე ციხისჯვარელი (ლ. ასათ., 96). 92. უნდა მიატოვოს დაჭრილი, გაიქცეს, დაედევნოს გერმანელებს (ო. იოს., 31). 93. კარგახანს ხმა არ ამოუღია (ნ. ონაშ., 119). 94. აწმყომ დაუწნა დაფნის გვირგვინი (ლ. ასათ., 19). 95. ერთ საკნის მსგავს ოთახში შეგვიყვანა (შ. ძიძ., 25). 96. ზარბაზნითაც ვერ გამოაღვიძებ (თ. სახ., 208). 97. ახალგაზრდა მხატვრის ამ შესანიშნავი ნამუშევრის თემა აქტუალურია, კომპოზიცია – რთული და საინტერესო, ოსტატობა — ნატიფი, გემოვნება – დახვეწილი (ნ. ონაშ., 46). 98. ძმების სტუმრობის დღეს ყველაზე უბედნიერეს დღედ თვლიდა (კ. ყმა, 245). 99. გადმოჰყვა ღამით ღრუბლების ბურანს უზარმაზარი მხარბეჭის რხევით (ლ. ასათ., 26). 100. დანარჩენ შემთხვევაში თითქმის დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს (ნ. ონაშ., 9). 101. დავატარებ პატარა სხეულს უმშვენიერეს ქვეყნის ზმანებით (ი. ჯოლბ., 15). 102. იმ ღამეს სიზმარს უსათუოდ ფერადს ვნახავდი (ი. ჯოლბ., 20). 103. ამაყად მიჰქონდათ თევზით ამოთეთრებული კალათები (ო. ჭილ., I, 18). 104. იქნებ სულაც აიეტის შვილიშვილებისგან გაეგო ოქროს ვერძის არსებობა (ო. ჭილ., I, 94). 105. რამდენიმე ფურცელი ამოვუხიე (კ. ყმა, 27). 106. ქორწილის გათავების შემდეგ ეწვია თავის ძმას (კ. ყმა, 183). 107. ორივე ხელისგულს მიწაზე მყარად დაბჯენილ წვივზე ისვამდა (ნ. ონაშ., 209). 108. ქარი ცრემლებს მიშრობს, თმებზე მიალერსებს ფარფატა თითებით (ი. ჯოლბ., 29). 109. ეჩურჩულება მარჯნის თვლებით შემკული რტოთი ბროლის ლარნაკში გამეფებულ ალისფერ ვარდებს (ი. ჯოლბ., 171). 110. გამისწორებდა ჩაძინებულს შენი ყვავილით მოჩითულ საბანს (ი. ჯოლბ., 26). 111. ვნახოთ მხარე, ერეკლეს ნატახტარი (პ. იაშვ., 106). 112. ამის გაფიქრებაზე წარსულიდან

მოხმობილ სიჭაბუკეში გადაეშვა დაუფიქრებლად (თ. ბიბ., 13). 113. თმაში ჭაღარა გამოგვერია (თ. სახ., 275). 114. დროის წყალობით თანდათან ტკბილდებოდა სიმწიფეში შესულ ხურმასავით (ო. ჭილ., II, 100). 115. მადლობელი ვარ მწარე კვამლისთვის (ო. ჭილ., II, 520). 116. ცხრა თვის განმაელობაში ქართული ისწავლა (გ. რობაქ., 295). 117. გაუნათდა თვალები მზისებრ (ი. ჯოლბ., 34). 118. სიყვარული გულს ჩამეწვეთა (ლ. ასათ., 76). 119. წიგნით მერცხლის ჭიკჭიკი გესმის (ა. კალანდ., 30). 120. დავდე შენს ფეხთით იის ყვავილი (ა. კალანდ., 314).

*§ 55. გაუვრცობელი.* 1. მოხუცი გააბოლებს ჩიბუხს (გ. რობაქ., 160). 2. ქარავანი განაგრძობს გზას (გ. რობაქ., 133). 3. ბავშვები ხელისგულებს უშვერდნენ ლოლუებს (ო. ჭილ., II, 262). 4. ტკივილმა ფარნაოზს გონება დაუბრუნა (ო. ჭილ., II, 533). 5. მეც მომიძებნეს მკვრდი ქორებმა (პ. იაშვ., 157). 6. ცხვარი ბალახს მოსწყდება (პ. იაშვ., 69). 7. ამირანმა მამას თვალი გააყოლა (გ. ფანჯ., 28). 8. ცრემლმა ქვეყანას ნაყოფი მისცა (ლ. ასათ., 101). 9. ქალმა თავი მოაბრუნა (ო. იოს., 22). 10. ბიჭმა ჩახმახს ფეხი გამოუშალა (ო. იოს., 73). 11. ლოლამ მხრები აიჩეჩა (ნ. ონაშ., 89). 12. თვითონვე ინუგეშა თავი (ნ. ონაშ., 18). 13. ჩვენ ვაჟას გაუმართეთ ვახშამი (კ. ყმა, 42). 14. მამა-პაპა მეცხვარეობას მისდევდა (კ. ყმა, 99). 15. არჩიბალდ ხედავს დამჭერს (გ. რობაქ., 182). 16. ქორი ხოხობს გაედევნა (გ. რობაქ., 208). 17. უხერხულობას მწყემსი არღვევს (გ. რობაქ., 276). 18. აკაკიმ იუბილარი შეიპატიჟა (მოგ. აკ., 67). 19. დარმა პირი იბრუნა, მზე ასპარეზს უბრუნდება (მ. ლებ., 529). 20. ბოლო მოიქნია ზამთარმა (თ. სახ., 58). 21. ყველამ ვიღაცას მივეცით ფიცი (ო. ჭილ., I, 572). 22. გზები ჩქარობდნენ, ზღვები ღელავდნენ (ო. ჭილ., I, 496). 23. მოასკდება კარს განთიადი (პ. იაშვ., 140). 24. მუშებმა დაუშინეს ყანებს თოხები (პ. იაშვ., 175). 25. ხარი ძროხას აედევნება (გ. რობაქ., 144). 26. არჩიბალდს ცრემლი აწვება (გ. რობაქ., 295). 27. შუადღე თავდება (გ. რობაქ., 137). 28. კაპიტანმა ბურთი ოთარს გაუგორა (გ. ფანჯ., 151). 29. ქალები მხედრებს საგზალს აწვდიდნენ (თ. ბიბ., 89). 30. მე თვალები დავხუჭე (თ. ბიბ., 93). 31. ვაჟამ მე წიგნი მაჩუქა (კ. ყმა,

37). 32. ჯაბუკმა წამოიწყო სიმღერა (კ. ყმა, 39). 33. გუცამ ხელი გადახვია გოგონას (ო. იოს., 129). 34. მუსიკამ აუჩუყა ანიკოს გული (ნ. ონაშ., 253). 35. ჯოგი ფარეხს მოადგება (გ. რობაქ., 144). 36. ქალს ცრემლები აწვებიან (გ. რობაქ., 48). 37. ბავშვებმაც იგრძნეს უხერხულობა (მოგ. აკ., 150). 38. გათენებამ მოატანა (ა. ყაზბ., 173). 39. პეტრემ გაამართლა სტუმარი (ო. ჭილ., II, 260). 40. ალათიმ ერბოკვერცხი შემოიტანა (ო. ჭილ., II, 261). 41. ჰაერს ფრთები აუკვნესდა (პ. იაშვ., 91). 42. ყეფა აღრმავებს სიჩუმეს (გ. რობაქ., 145). 43. ქალები თავსაფარს ისწორებენ (გ. რობაქ., 152). 44. დავითი ქადაღდებს ადებდა რევოლუციას (გ. ფანჯ., 542). 45. ამოანთხია ბოღმა ავსტრიელმა (ო. იოს., 142). 46. წყალმა წაიღო წყეული (ლ. ასათ., 91). 47. დედაკაცმა ჭრაქი აანთო (თ. ბიბ., 420). 48. წარბები შეკრა თამარმა (ლ. ასათ., 93). 49. ვახომ ძმას შიში შეატყო (ო. იოს., 29). 50. დედაკაცმა ნაკვერცხლებს ნაცარი გადააფარა (თ. ბიბ., 414). 51. მე ვასწაველი მაგას ჭკუას (ნ. ონაშ., 90). 52. აკაკიმ მოსწავლეებს წიგნები დაურიგა (მოგ. აკ., 153). 53. მან ყველას თავი დაუკრა (ო. ჭილ., II, 132). 54. პეტრემ პურს ლუკმა შეატეხა (ო. ჭილ., II, 261). 55. კამათი არ თავდებოდა (პ. იაშვ., 251). 56. თვითონ გამობრუნება დააპირა (ნ. ონაშ., 164). 57. ყმაწვილმა ასწია ხელი (გ. რობაქ., 169). 58. ბადე ლუკამ ისროლა (კ. ყმა, 299). 59. საქონელი ბალახს ძოვდა (კ. ყმა, 303). 60. გზა ვერავინ იპოვა (ო. იოს., 298). 61. ყველაფერს სიბნელე ფარავდა (ო. იოს., 148). 62. პირი დაალო მიკიტანმა (ო. ჭილ., II, 188). 63. ალათია საუზმეს აწყობდა (ო. ჭილ., II, 260). 64. ვარსკვლავებმა თვალები დახუჭეს (თ. ბიბ., 73). 65. მან დაამარცხა მტერი (თ. ბიბ., 29). 66. სოფელი თვალს მიეფარა (თ. ბიბ., 30). 67. ლუკამ საქმე იცოდა (კ. ყმა, 100). 68. მოძღვარმა ხალხს ასწავლოს ყველაფერი (კ. ყმა, 299). 69. ბიჭმა ბილიკს თვალი გააყოლა (ო. იოს., 33). 70. ხინველს თავი არ აუღია (ო. იოს., 256). 71. დანიელმა პირჯვარი გადაიწერა (ო. იოს., 115). 72. აკაკიმ წასვლა დააპირა (მოგ. აკ., 150). 73. მზე ძალას იკრებდა (ო. ჭილ., II, 262). 74. შუბლი შეჭმუხნა კაცმა (ო. ჭილ., II, 358). 75. ბაბალემ ცხვირი წაიგრძელა (ნ. ონაშ., 217). 76. კაცს სახლი გაუყიდია (გ. ფანჯ., 412). 77. ბავშვი თვალებს ხუჭავს (რ. ინან., 17). 78. ჩვენ თვალი გავუსწორეთ ერთმანეთს (თ. ბიბ., 109). 79. მოხუცი დაემშვიდობა

;გოგოს (თ. ბიბ., 109). 80. ჯგუფებმა შესწყვიტეს მუსაიფი (გ. ,რობაქ., 381). 81. მღეა გამავლა (გ. ფანჯ., 62). 82. ბაბალე აწრიალდა (ნ. ონაშ., 220). 83. ბიჭმა თეფში გარეცხა (ნ. ონაშ., 232). 84. ის არწივს ემსგავსებოდა (კ. ყმა, 101). 85. თედომ უარი უთხრა ძმას (კ. ყმა, 245). 86. მამა ყველაფერს პოლიტიკას უკავშირებდა (მოგ. აკ., 353). 87. ნატაშამ იმას თვალი ვეღარ მოაშორა (ა. ყაზბ., 132). 88. საღამოს წამოეპარა ღამე (ნ. ონაშ., 233). 89. ღვინომ სტუმარი აალაპარაკა (ო. ჭილ., II, 215). 90. მამამისს ნათესავებიც ამაღლიდნენ სალამს (ო. ჭილ., II, 372). 91. ბავშვმა წყალი მოიტანა (პ. იაშვ., 191). 92. მან ხალხს თავი დაანება (თ. ბიბ., 109). 93. ჯამბაზები ყველამ დაივიწყა (თ. ბიბ., 149). 94. მთვარე ღრუბლებს მოეფარა (თ. ბიბ., 73). 95. ქალებმა ლოყა ჩამოიხოკეს (ო. იოს., 60). 96. ვაჟამ იძრო ხანჯალი (კ. ყმა, 84). 97. დედაჩემმა ორივე მოიტანა (კ. ყმა, 85). 98. შეკითხვამ მამამისი შეაკრთო (ო. ჭილ., II, 372). 99. ყველამ რაღაცა ჩაიბურდღუნა (ო. ჭილ., II, 215). 100. მოხუცი მას თვალს ვერ აცილებს (გ. რობაქ., 151). 101. დედაკაცმა ტირილი დაიწყო (თ. ბიბ., 447). 102. ვაჟამ წაიკითხა ლექსი (კ. ყმა, 90). 103. დეკანმა იგივე გაიმეორა (ნ. ონაშ., 140). 104. კარი არავინ გააღო (ნ. ონაშ., 202). 105. ვაჟამ ღვინოს გემო გაუსინჯა (კ. ყმა, 178). 106. ორკესტრმა მარში დაუკრა (მოგ. აკ., 385). 107. კაცმა საყრდენს ძებნა დაუწყო (ო. ჭილ., II, 197). 108. ფოთლები შემოდგომას გაეყვითლებინა (რ. ინან., 30). 109. ლევანმა სიგარეტი გაუწოდა ზაზას (გ. ფანჯ., 404). 110. მარომ ბალახს დაუწყო ქექვა (ო. ჭილ., II, 201).

*§ 56. გავრცობილი.* 1. ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით დაუხვდება ჩვენი ქვეყნის მეგობარს (პ. იაშვ., 277). 2. მზის ქორწილის დროს მე დავიწვები მზისფერ სილაზე (პ. იაშვ., 125). 3. იისფერ ზღვაში მზე ჩამავალი ძველებურ ლხენით თვალს ვეღარ აღებს (პ. იაშ., 95). 4. ისინი დარეტიანებული ღამურებივით დაბორიალებდნენ ფხვიერი აგურით მოფენილ ბილიკებზე (ნ. ონაშ., 150). 5. მათ შუქს დროდადრო ჩრდილავდა უცებ ამოვარდნილი ქარით აშფოთებული ფოთლების იდუმალი ჩრდილები (ნ. ონაშ., 154). 6. ჩამა-

ვალი მზის ვარაყში აქაურობა ბუნების ფერწერული სიმდიდრის სასწაულად მოჩანდა (ნ. ონაშ., 12). 7. ნიკიფორეს თორმეტი წლის წინათ ჭალაში მუშაობისას ადიდებულმა რიონმა მოუსწრო (გ. ფანჯ., 75). 8. მან მოაჯირზე გადაფენილ საბანზე შესკუპულ ყვინჩილას ხელი აუქნია (გ. ფანჯ., 93). 9. წყალმა სიცოცხლის ნაპერწკალი დააბრუნა გამოქვაბულში (ო. იოს., 132). 10. უზარმაზარი კალიებივით კედლებზე ხტოდნენ ჩვენი ლანდები (ო. ჭილ., I, 583). 11. ღამით ციხის ნანგრევის თავზე შეყვარებულთა ლანდები თრთიან (ო. ჭილ., I, 585). 12. ღამის ბინდში გატრუნულ სახლებს აფხიზლებს ახალი ქარიშხლის ხმები (ო. ჭილ., I, 591). 13. პატარა ბექობზე არწივის ბუდესავით განმარტოებით გადმოდგმული ქვა-ტალახის პატარა სახლი ზევიდან გადმოჰყურებს კალმახებით სავსე ანკარაწყლიან ჩარგლულას (კ. ყმა, 238). 14. მოწამლული წუთისოფლის შხამით სული ზომავს მარადიულ მდინარეს (მ. ლებ., 97). 15. ქვაბში ჩურჩულით გადაიწერს პირჯვარს მოძღვარი (ა. კალანდ., 253). 16. მოატივტივებს ცეცხლისფერ ფოთლებს ხიდქვეშ ბუზღუნით პაწია ოცხე (მ. ლებ., 459). 17. სანატრელ მოყმის დაბრუნება მე თრთოლვით ვცადე (პ. იაშვ., 127). 18. იისფერ ნისლში მდუმარებით ჩანან ეელები (პ. იაშვ., 79). 19. მხურვალე ცახცახით დაპქრიან ცხენები (პ. იაშვ., 77). 20. მწვანედ მოხასხასე ეზოს კუთხეში მავზოლეუმივით აღმართულიყო წითელი აგურით ნაგები უზარმაზარი სახელოსნო (ნ. ონაშ., 171). 21. შენი ხმელი წიფელიც მომავალზე ფიქრით იტანჯება (ნ. ონაშ., 157). 22. ჩვენი კავშირი ახლა იწყებს დიდებული ბინის მშენებლობას თავისი სახელოსნოებით (ნ. ონაშ., 173). 23. პორტში გამოჩნდა მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი (გ. ფანჯ., 120). 24. პირუტყვმა ფლოქვებით ფეხებქვეშ ღორღი გაწმინდა (ო. იოს., 158). 25. შემოსულ სტუმარს მე წავუკითხავ მთვარიან ღამით ლექსებს (ო. ჭილ., I, 582). 26. დამტვერილი ჭადრების მწკრივიც თანაბრად იდგა ყველა კარებთან (ო. ჭილ., II, 453). 27. აგერ ერთბაშად მბრწყინავი ვარსკვლავი თითქოს შეინძრა (ა. ყაზბ., 175). 28. ზაფხულის ფრთებით მიწამ გაიძრო ზამთრის კონკები (მ. ლებ., 476). 29. ჩვენ ვესწრებოდით გერმანიაში იმ წელს ფეხბურთის მსოფლიო ფორუმს (მ. ლებ., 104). 30. იმ წუთს მე ვიდექი აკაკის წინ თავდახრილი

(მოგ. აკ., 12). 31. სახლის ირგვლივ შემომდგარ წყალზე ჭადრის ფოთლები მიმოფენილან (ა. კალანდ., 364). 32. შენს სასახლეში ყეფს ყვითელი საშინელება (პ. იაშვ., 81). 33. მწვანე ცხენისწყლის ციებ-ცხელება შენც დაგასუსტებს (პ. იაშვ., 110). 34. ჩვენს ოთახსაც კედლის ნათურის მკრთალი შუქი ავსებდა შთამბეჭდავი იდუმალებით (ნ. ონაშ., 180). 35. წამით ანთებული იმედი მლაშე ყინულად ჩანდა სულში (ნ. ონაშ., 10). 36. ამომავალი მზის სხივებზე ზარბაზნების ლულები ლაპლაპებდა (გ. ფანჯ., 142). 37. ამ ნისლმა ლოდებში გატრუნულ თუთარს ორი წლის წინ ამ გამოქვაბულში გათენებული ღამე გაახსენა (ო. იოს., 60). 38. იქნება ჩემმა ფეხის ხმამ ვინმეს მეგობარივით მიუსწროს ბნელში (ო. ჭილ., I, 545). 39. მე ვაგორებდი ხევებში ლოდებს (ო. ჭილ., I, 560). 40. ქალმა დროზე უკრას თავი ნახირს საბალახოში (პ. იაშვ., 229). 41. შავი ზღვის ქარმა ახვეტა დაბალი ღრუბლის ზეირთები (პ. იაშვ., 217). 42. აქა-იქ ბჟუტავდა მაღალ ბოძებზე დაკიდული პატარა ნათურები (ნ. ონაშ., 150). 43. ცხელი ასფალტი რეზინივით მორჩილად იდრიკებოდა ფეხქვეშ (ნ. ონაშ., 17). 44. იმ ბედნიერ დღეს თუთარმა ყველაზე უწინ შეამჩნია მწვერვალზე ჯიხვის რქები (ო. იოს., 61). 45. ციურ სხეულებს ვიღაც რომგით ეხება (მ. ლებ., 52). 46. ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს თავზე (თ. სახ., 182). 47. მე დავწვავ სურნელოვან ლექსთა თაბახებს (პ. იაშვ., 99). 48. ამაყად დადის ძროხებში ეს ფეხშიშველა სარდალი (პ. იაშვ., 232). 49. შტუტე ნახევრად ზურგით იდგა მომცრო გამოქვაბულის გამოსასვლელთან (ო. იოს., 67). 50. მზის გულზე ბღუჯა-ბღუჯა დაბორიალობდა ფუფუნა ქინქლა (ნ. ონაშ., 19). 51. მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა (ილია, 440). 52. ახალი წელიც მას მოჰყავს ოჯახის მოსალხინადა (ეაჟა, 84). 53. ეს უკანასკნელი სტრიქონები ნათლად მოწმობენ მაშინდელი მუშა-ხელოსნების შრომის აუტანელ პირობებს (ი. გრიშ., 128). 54. ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოდ ოთხ კლასამდე ასწავლიდა (აკაკი, 146). 55. ნიავის თეთრი ნაფეხურები სროლით მიჰქონდათ თვალუწვდენ ყანებს (ნ. სამად., 27). 56. მხოლოდ სიბნელეს მიჩვეული თვალი გაარჩევდა დანიელის ჩანთის წინ ნაგლეჯ ქაღალდს (ო. იოს., 120). 57. დათოვლილი მწვერვალების თავზე ელვარებდა ლურჯი ცა (გ.

ფანჯ., 92). 58. ქვეყნად ნუგეშად დამშთა მხოლოდ მე ცრემლი მწარე (ილია, 71). 59. ჩვენის სიკვდილის მსურველნი ყორნები ველარ ჩხაოდნენ (ვაჟა, 74). 60. თბილისის ყოველი შუკა სავსე არის ლეგენდარული სახეებით (ი. გრიშ., 180). 61. თავზე ჩაფხუტით თეთრ ცხენზე იჯდა ერთი მხედარი (აკაკი, 63). 62. მოხუცი ღმერთის აქ ნათქვამ ლოცვებს სამრეკლო ღამე იმეორებდა (ნ. სამად., 17). 63. ის ამ თუჯის კოლოფს ქვაბულის სიღრმეში შეაგდებდა (ო. იოს., 147). 64. ფანჯრის მახლობლად ხის ფართო საწოლზე ორ ბავშვს ეძინა (გ. ფანჯ., 519). 65. ვაქკაცნი შვილები შენნი გულდაგულ მტერსა წინ უდგებოდნენ (ილია, 119). 66. მან გააბრწყინა სხივებით ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი (ვაჟა, 78). 67. ამ ლექსებს მთელი საქართველო მღეროდა (ი. გრიშ., 97). 68. ორბელიძის საპირისპიროდ თვით აფრანიკე გამოსულია (აკაკი, 62). 69. ძლივს ამშვიდებდა შემკრთალ მაცხოვარს სჯულდაწყვეტილი ექვსი ქართველი (ნ. სამად., 10). 70. მეორე ოთახიდან მოისმოდა ჩქარი ნაბიჯით მომავალი კაცის ფეხის ხმა (ა. ყაზბ., 232). 71. პატარა გამოქვაბულში ელდანაცემი გოგონას ჩურჩული ისმოდა (ო. იოს., 149). 72. დავითმა მოულოდნელად მოჰკრა თვალი მეოთხე გვერდზე დაბეჭდილ სპორტულ ინფორმაციას (გ. ფანჯ., 523). 73. ფანჯრიდან არეკლილი ნათურის სხივები ჭერზე რაღაც ლამაზ ფიგურებად იყო გაშლილი (გ. ფანჯ., 383). 74. სკოლის მერხზე ვინმე ბიჭი გოგოს ამოიჩემებს (ო. იოს., 280). 75. ჩემი ბნელი ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკვლავი არ ამოსულა (ილია, 406). 76. ანტონმა თავისი შემოქმედების საგნად მაშინდელი ცხოვრების უარყოფითი მხარეები აირჩია (ი. გრიშ., 142). 77. ეს ილუსტრაციები რენესანსის ეპოქის უბრწყინვალესი ნიმუშია (შ. ძიძ., 19). 78. ამ ბამბისქულა ღრუბლებში თითქოს ღაღადებს ვილაც (ა. კალანდ., 167). 79. მე მუხის გამხმარ ფესვზეც ვეტევი (ო. ჭილ., II, 520). 80. მისი ქუქუნა თვალები რაღაცა გამოურკვეველი სურვილით ციმციმებდნენ (ი. გრიშ., 60). 81. მაინც ანათებს კოლხიდის ღამეს ცეცხლი საწყალი კაცის კერიის (ლ. ასათ., 104). 82. მე მოვიარე საავდრო ნისლში დედაქალაქის ყველა ქუჩები (ლ. ასათ., 64). 83. ეს ღუმილი დიდხანს არ გაგრძელდებოდა (ო. იოს., 148). 84. უპასუხა იოანეს მაშინ მწირმა ტკბილ-ქართულად (აკაკი, 44). 85. თბი-

ლმსელებს უყვართ აგრეთვე ასეთი საყოფაცხოვრებო თავისე-ბური გამოთქმები (ი. გრიშ., 63). 86. ხალხი დიდი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ამ წიგნში გმირთა ფათერაკიან თავგადასავალს (ი. გრიშ., 79). 87. ზევით ქარი ასისინებდა ცის ნანგრევებში ღრუბლების ჩალას (ნ. სამად., 47). 88. სვეტიცხო-ველი ზურგით ზიდავდა თუნგში ჩამოსხმულ ქოთქოთა არაგვს (ნ. სამად., 11). 89. უელვარებთ სავსე ტაროებს ნამით ნაფერი ოქროს კბილები (ლ. ასათ., 38). 90. ვარდისფრად ანათებს ბა-ზარს წვრილ-წვრილ ჭიქებში საჭაშნიკოდ ჩასხმული ღვინო (ლ. ასათ., 48). 91. ამ ბილიკზე წყლით სავსე ჭურჭლებით ვერ ამოვიდა ეს ქალიშვილი (ო. იოს., 129). 92. ამგვარმა მისმა სიტყვამ გულში ბევრი აატირა (აკაკი, 42). 93. ის ერთი კაცი ყველა პერსონაჟების ნაცვლად თვითონ ლაპარაკობდა (ი. გრიშ., 74). 94. მარტენის საამქროს უფროსმა ბევრი იფიქრა (გ. ფანჯ., 313). 95. აქ თავის თათით ითხრიდა საფლავს მწყემს-დაღუპული სოფლის ნახირი (ნ. სამად., 10). 96. ოქროსფერ სირ-მით მოსირმული ნაბდის ქუდები თავზე ახურავთ სვანის ქალებს (ლ. ასათ., 48). 97. დარდის ხვითქებში გაწურულ პერანგს თონესთან მიშრობს შეშლილი დედა (ნ. სამად., 91). 98. მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ას-ვენია (ლ. ასათ., 3). 99. თორნიკემაც ნაღველ-თაფლად გრძნობა გულში ჩაიყენა (აკაკი, 42). 100. თავდაყირა ხეები ცახ-ცახებდნენ (ი. ჯოლბ., 21). 101. მზემ ოქროს ხელებით ნაზამ-თრალ ტოტებზე გააღო კვირტების პატარა კარები (ი. ჯოლბ., 27). 102. ამ დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართვე-ლობას (ილია, აზრ., 30). 103. დანიელი ხელს არ აღმართავდა ტყვეების დასაქლეტად (ო. იოს., 118). 104. ჭიდაობის გათავების შემდეგ იმართებოდა მეგობრული ქეიფი (ი. გრიშ., 25). 105. მას ყოველდღე უნდა მიერბინა ავადმყოფის სარეცელთან (ო. ჭილ., I, 33). 106. შიშინით ჩამქრალმა ცეცხლმა ჰაერში კვარის სუნი დააყენა (ო. ჭილ., I, 99). 107. შეშინებულმა ქალმა ერთხელ კიდევ შეხედა იქვე მდგარ ოთარს (გ. ფანჯ., 62). 108. ხავსიან გალავანზე არწივები თვლემენ (ლ. ასათ., 55). 109. გალობდა ბაღში ბულბულთა კრებული (ლ. ასათ., 113). 110. ტაძრის გუმ-ბათზე ჩამოჯდება ცალფეხა ძერა (ნ. სამად., 160). 111. დიდი ჭადრები ძირს კანკალით დახრიან ტოტებს (ნ. სამად., 161). 112. ქარ-

მა ცხერიან ბალახს ველზე ჩაურბინა (პ. იაშვ., 69). 113. ნათლით მოსილს იმ ჩემს ძლიერ ხატს იმან შეახოს მხოლოდ ხელიო (აკაკი, 79). 114. სამი თვე სარკმელთან იდგა ქარისა (ო. ჭილ., I, 41). 115. ფრიქსემ პაერშივე დაჰკარგა გონება (ო. ჭილ., I, 146). 116. მას ბავშვის პირველსავე წამოტირებაზე ძალიან დაეთუთქა გულ-მუცელი (ო. ჭილ., I, 31). 117. ყველას გაუკვირდა ახალგაზრდა მაზრის უფროსის ასეთი გამოლაშქრება ქართული გიმნაზიის დაარსების წინააღმდეგ (მოგ. აკ., 301). 118. ბევრ ვაჟკაცს გადაეფარა წყვდიადი შავი სამარის (ლ. ასათ., 97). 119. ტკბილი ქართულით მოლაპარაკე ჰყვებოდა მშვიდად ბუხრის გუგუნში საბა-სულხანის იგავ-არაკებს (ლ. ასათ., 28). 120. ბილიკზე ნელი ნაბიჯით მოირხეოდნენ სტუმრები (ლ. ასათ., 113). 121. სოფლის თავზე ერთადერთი კამკამა ლურჯი ცის ნაგლეჯი ტყვიისფერი ღრუბლით დაიყურსა (ო. იოს., 207). 122. მან გზაჯვარედინზე დადგმულ უზარმაზარ მრგვალ სარკეში ახალგაზრდები შენიშნა (გ. ფანჯ., 326). 123. ბიბინა ფერდობს შემოაცვდა იების ქობა (ი. ჯოლბ., 70). 124. სარკმელიდან ურთხელის ტოტი მყუდრო ბინაში დამკვიდრებულ სიჩუმეს არღვევს (ი. ჯოლბ., 171). 125. არჩიბალდ მეკეში ამას იქვე მდგომ ქართველ ჯარისკაცს ეკითხება (გ. რობაქ., 113). 126. არაბული ცხენის გული ექვსს კილოს იწონის (გ. რობაქ., 112). 127. თათრის გაძევების შემდეგ ქაიხოსრო ხშირად დადიოდა ქვრივისას (ო. ჭილ., II, 85). 128. ბიჭს თავისი ცხენისთვის გადაეხვია ხელი (თ. ბიბ., 400). 129. ჩემი ტანი მზის ალმურში დაითენთება (პ. იაშვ., 129). 130. ესპანელებს ხელთ ჩაუგდიათ ხმელთაშუა ზღვაში იშვიათი წიგნებით დატვირთული მაროკოს სულთანის ორი გემი (შ. ძიძ., 18).

*§ 57. სახელდებითი წინადადება.* 1. მდინარეები ჩქარები, ცისფერი, ცისფერი ჭალაკები, ქალები ჩუმები და წყნარები, კაცები, ცოტა ამაყები! კოშკები წარსულზე გამწყრალი, ზრდილი და სალმიანი ბავშვები, კაი მოტირალი ქალ-რძალი, კაი მოქართულე მახვშები (მ. ლებ., 394). 2. აყვავებული კარტოფილი, ყვავილიანი სათიბები, სათოფურები დათოფილი, კოშკები, კოშკები ნატიფები, პაწია, პაწია კალოები, ვეება, ვეება

ხარები, სვიმები, სვიმები, წყაროები, ღვარები, ღარები, ყანები (მ. ლებ., 393). 3. უძრავი ტახტი, წალო, ზანდუკი, ფერისცვალობა, საფლავზე ხილი, ამბრიანთ ოჩას დუქნის დუდუკი და გალავანთან ჭრაქებით ლხინი (ნ. სამად., 31). 4. ირემი რქებგადახრილი მიმდგარი მლაშე წყალზედა, შველი ფეხკისერ-მაღალი ზურგზე სხივჩამომდინარი, მონადირისგან დალალვით ღვიძლი შვილივით მტირალი (პ. იაშვ., 231). 5. ცაცხვზე ხმაური შხაპუნა წვიმის, აკაციების სურნელი მძაფრი, ნაძვი და ტეია, სურო და დაფნა და ტირიფები მდინარის პირას (ა. კალანდ., 375). 6. შენი ვენახის ქოხი, გადახურული წალმით, და მატიტელა ჩუმი, მიწას გართხმული კრძალვით და მოკამკამე წყნარად ჩუმი ბაჯირას წყარო (ა. კალანდ., 290). 7. ეს მთები, უშენოდ გულგათანგული, სოფელი ჩარგალი, მდინარე ჩარგულა და შენი სახლი — ხეებში ჩარგული (ო. ჭილ., I, 540). 8. გაეღლურებული მაჟალო და პანტა! ასკილი შავი და ასკილი ჩვეულებრივი! დაბერებული ყორე და ქვითკირი და შიგ ყორეში ამოსული და წაფერდილი ჩემთვის საყვარელი კუნელი (მ. ლებ., 462). 9. ყაჩაღების ბუდობა, ღამე ყურძნის ქურდობა, ფშანში ფაცრის დაგება, გადარჩენა, განგება (ნ. სამად., 98). 10. ტოლებთან ერთად მარწყვზე შეხვედრა, ცივცივი წყარო, ჭალა, მინდორი, ბინდში ნახირის მუნჯი ვედრება, მდინარის გალმა ეეება ქორი (ნ. სამად., 59). 11. სტეპში ყარანა, ყანებში მწყერი, ხეები ბევრი, სერი და ამინდი, მძიმე გაფრენა შუადღეზე ძერის, მთები ნაჭედი მოოქრულ კრამიტით (პ. იაშვ., 161). 12. აქ ლილისფერი მთები, მწვანე ბალახი, ნაცრისფერი ლოდები, ლურჯი წყარო, ცხვრის თეთრი ფარა, ყელმოღერებული მელის ნუკრი, ხმელი წიფელი, შიშველი ფესვები, მთის მწვერვალზე მოფარფატე არწივი (ნ. ონაშ., 49). 13. აი, წითელი ჩილოს კლდეები, საფუტკრეები სონეხთან, ღრუბელთა ქვემოთ — კლდე, უფსკრულები (ა. კალანდ., 277). 14. სურათის მიხედვით მაღალი, მოსული, მხარბეჭიანი, მოღიმარი, ლამაზი სახე, განიერი შუბლი, ოდნავ ჭაღარანარევი თმა მაღლა ავარცხნილი, შავწვერულვაშიანი (მოგ. აკ., 316). 15. ქვიტკირის ღობე... სველი მაყთული... ლიტრიან ბოთლში ჭაჭის არაყი... ჩემი ბავშვობის წმინდა ქალაქი (ო. ჭილ., I, 553). 16. კბილები — დამცვდარი, ღილები — დამწყდარი, სახე — დაჭმუჭნილი, დაუძ-

ლურებული! ვაზნები – გახარჯული, სამიზნე ამცდარი, ოცნება, ოცნება – აუსრულებელი (მ. ლებ., 47). 17. თეთრი ღრუბლები ჩერქეზული თეთრი ხარებივით მზის ამოსვლისას, წითელი ღრუბლები ჩერქეზული წითელი ხარებივით – ეგ მზის ჩასვლისას (მ. ლებ., 396). 18. შექვავებული მთებზე ცხვრის ფარა, ჩვენი ზედა რუ და ეზო თქვენი, კაკლის რტოებში გაჭრილი შარა და დოესელი მესაფლავენი (ნ. სამად., 59). 19. მწვანე ფოთოლი, ფრინველის ხმა, წყაროს წკარუნი, ქალის წამწამი – ხომ სულ მცირე სანუკვარი (პ. იაშვ., 177). 20. თითქმის შიშველი ახალგაზრდა ქალის მშვენიერი სხეული, მისი ნატიფი და მოქნილი ნაკვთები, ლიანებივით ღონიერი და სწორი ფეხები, ოქროსფრად შეღებილი ხავსივით ხშირი თმა, წითლად მოხატული ტუჩები, შავი საღებავით დაგრძელებული წამწამები და დიდი თვალები (ნ. ონაშ., 96). 21. წყალზე ნისლი და ბოსფორის წყალზე ჟამი მწუხრის, მზის თანდათან დასვლის (ა. კალანდ., 378). 22. ახოვანი ტანი, მაღალი კეთილშობილური შუბლი, მშვენიერი მოზრდილი ჭაღარაშერეული წვერი, მშვენიერიეე გამომეტყველებით აღსავსე დიდრონი თვალები (მოგ. აკ., 74). 23. ზღვა, მაგნოლია და სექტემბერი, ჩვენი მეზობლის ძაღლი ბებერი (ო. ჭილ., I, 553). 24. გზები გაწყვეტილები, ბილიკები დახლართული, ხავსიანი ტინები ვიწროებში აღმართული (მ. ლებ., 432). 25. ქართული ცხვირი, ზედ პენსნე მკაცრი, მართალი შუბლი, წარბი მერცხლებად (მ. ლებ., 437). 26. ჭოტის ქოქოლა ჩვენ ცაცხვის თავზე, ჭრაქის კიაფი, საქონლის ფშვინვა, კერძით გასვრილი ჯამი ტაროზე და ძველი სახლი წისქვილის წინა (ნ. სამად., 32). 27. მწვანე და წითელი ქოლგების ტრიალი, სადღესასწაულო დროშების ფრიალი, ლურჯ ხავერდიან ხეების ლანდები, ოქროს და ძვირფასი ქვის შუშაბანდები (პ. იაშვ., 77). 28. ირგვლივ გაბადრული სახეები, მელოტი, პრიალა თავები, ყავისფრად მზემოკიდებული შიშველი მხრები, შეღებილი ტუჩები, გახვითქული კისრები, ბრჭყვიალა სამკაულები (ნ. ონაშ., 87). 29. ლურჯი ბალახი მხარამდი... თეთნულდზე – თოვლი მარადი, ვენახზე – მზე და ბადახში (ა. კალანდ., 28). 30. თაკო და ზაზა! გოგო და ბიჭი! ხატი და ფიცი! ხარკი და წველილი! თვითონ ბუნების მდიდარი ნიჭით და სიყვარულით შექმნილი წყვილი (ო. ჭილ., II, 525). 31. კბილები თეთრად ჩამწკრივე-

ბული, შეხედულება და მიხრა-მოხრა დიდებული, სიარული დინჯი და აუჩქარებელი (მოგ. აკ., 128). 32. ბეჭბრტყელი და ტანმორჩილი, საბანკეტოდ გაპარსული, ფართო მკერდი, გამოჩრილი, ორდენებით გაბაწრული (მ. ლებ., 425). 33. ჯიხვები, როგორც ძეგლები! ტყეებით, დათვით მდიდრები! ჩემი ალპური ზეგნები! ჩემი ალპური მინდვრები! (მ. ლებ., 430). 34. ქუჩებში ჭოჭი, ფანჯრებზე ქინქლი, ზევით ღრუბელი, ძირს ნოემბერი, ხევის სიყვითლე, შარა დაღლილი, მონასტრის ზღურბლთან შემცივნული ბერი (ნ. სამად., 29). 35. ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული, ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული, ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული (პ. იაშვ., 87). 36. თითქმის ჭერთან დატანებული გრძელი ფანჯრები, რკინაბეტონით ნაგები ფარღალალა კიბეები და იაფფასიანი პლაკატებით აჭრელებული კუთხეები (ნ. ონაშ., 131). 37. რომი, გენუა,პიზა, ვერონა, არნოს მინდვრებზე ფოთლების ცვენა (ა. კალანდ.,241). 38. და აი. გოგოც! გოგო და ზვინი, მაღალი გოგო და სიცხე, სიცხე (ო. ჭილ., II, 460). 39. ყველგან სახლებზე სუროს გირლიანდები, ხალიჩები და შავით მორთული აკაკის პორტრეტები, სამგლოვიარო თაღებთან მოწყობილი ტრიბუნები (მოგ. აკ., 500). 40. ჭადრები ნატიფები, გვირილები ნაზები, ჭრელკაბა სათიბები, დაგრეხილი ვაზები (მ. ლებ., 523). 41. ტებერდა, კლდეში ჯიხვრაჯი, ალპურ მდელოთა ეშხი (მ. ლებ., 449). 42. სირცხვილი ჩვენგნით არგასამხელი! სირცხვილი ჩვენი დამამხობელი! აღარც ვენახი! აღარც ნამყენი! აღარც მყნობელი! აღარც სოფელი! (მ. ლებ., 93). 43. აქ ბარბარუკა, იქ ნიშხა-ნიშხა, კვერნაქის ვაკე, რუხი მინდორი, მთებზე ზოზინი სოფლის ნახირის, მდინარის გაღმა ვეება ქორი (ნ. სამად., 32). 44. სახრჩობელები, კვამლი, სისხლი, სახე ქურდული, მშიერთა ურდო, რკინის კენესა, მზის დაბნელება (პ. იაშვ., 81). 45. ჩამოთოვლილი ქედები, მდელო ყაყაჩონარევი, ატირებული ედემი, ობოლი ყვავილნარები (ა. კალანდ., 194). 46. მზის ჭიატი ღრუბლიან ცაზე, ვარდის სურნელება შალტამით წაღებულ უდაბურებაში (მოგ. აკ., 100). 47. მუქი, ძალიან მუქი ჩრდილები მტვრითა და სიცხით დაღლილ მინდვრებზე, ცით აღტაცებულ ტაძრის გარშემო და გარინდებულ მდინარის გასწვრივ (ო. ჭილ., II, 442). 48. ომი, შიმშილი, ლპობა, ირგვლივ სარდაფის

ჯანღი, უმარტივესი ყოფა, უმარტივესი ხალხი (მ. ლებ., 244). 49. საღამო მშვიდი, ბინდი, ხიდი, ხიდებქვეშ ჭავლი (მ. ლებ., 313). 50. ცას მილურსმული კოშკები, ცით მოფრენილი ტაძრები (მ. ლებ., 431). 51. უღიმღამო დროება, სეედიანი რარიგი, არც ღამის მყუდროება, არც დილის თადარიგი (ი. ჯოლბ., 49). 52. თავ-ლა და კალო, გალესილი ჩქარი ნამგალი, და სოლომონი, გაცრეცილი მხნე მაჭანკალი (პ. იაშვ., 103). 53. აკაციის ტევრი, წნელის სუსტი ღობე, ქუდმოხდილი ქვევრი, ღვინიანი კოპე (ა. კალანდ., 37). 54. ჩემს ირგვლივ ისევ სოფლის მოწყენილობა, გლეხკაცობის გაჭირვებული ცხოვრება (მოგ. აკ., 503). 55. აი, ტალახიანი, წებოვანი, ძნელად სავალი, გამოშავებული, თოვ-ლის უშნო არშიებში ჩაწოლილი გზა, ზამთრის კლანჭებისგან თავდაღწეული, სამთვიანი მონობით დამახინჯებული, გადაგვა-რებული, გადასხვაფერებული, დაბინძურებული და დაუძლურე-ბული ქვეყანა (ო. ჭილ., II, 263). 56. ძირს, სველ ასფალტზე, ყურძნის ფოთლები, დეკემბერი და წვეთები წვიმის (მ. ლებ., 285). 57. ოჰ, ეს მყუდრო საევანე ცოლით, შვილით, ფლავებით, საზრუნავით მრავალით, უცხო საწამლავებით (მ. ლებ., 171). 58. შორს წვრილ-წვრილი, მჭვრინავი ვარსკვლავები, ახლოს ბევრად მსხვილები (მ. ლებ., 97). 59. ქვის მაღალი ხიდი, გაღმა დიდი სამწყესარი, საძოვარი დიდი (პ. იაშვ., 204). 60. სუფრაზე გრძელი და მოსაწყენი სადღეგრძელოები, ერთმანეთის უზომო ქება, ვიღაცის კილვა და დაცინვა, საქართველოს სიყვარულის ღაღადისი, მეგობრებისა და ერთგულების მტკიცება, ღვინის დაძალება და დანამუსება (ნ. ონაშ., 141). 61. კედელთან ჩაცუც-ქული მოხუცებული დედა, შემთხვევით შემოფრენილი და გზა-მოჭრილი ჩიტივით კედელზე ჩამოხოსიალებული; სისხლის გუ-ბეში მოქანავე აკვანი და აწეწილი არტახებიდან გამოყოფილი ხელი უმცროსი დისა; კარში პირქვე ჩაწოლილი მამა და მის ზურგზე ტალახიანი ტერფის ანაბეჭდი; თვალებდაჭყეტილი, მაგიდის ფეხს ჩაფრენილი ბებია (ო. ჭილ., II, 62). 62. ჩიტების როკვა საბძელთან, მკათათვის ფუნჯით ნახატი წყლები, ხან რუს ჩხრიალზე ღამე ნაძვებთან, ციცინათელას შუქის წვეთები (ნ. სამად., 32). 63. ცრემლივით ქალი, ჰანგების დაფნა, ბედ-გაცრეცილი ძმათა ბანაკი, ცისქვეშ უცნობი ქვეყნის გაფრენა და შთაგონების ყრუ აგარაკი (ნ. სამად., 83). 64. საყდრის

გადასწვრივ ერიალა ლხინი, ცეკვა, დავლური, ლეჩაქის ქროლა, გაღმა კლდეებთან მტკვარის ჭიხვინი, ღამე ჭალაში ჭინკას ქოქოლა (ნ. სამად., 89). 65. ჭერი არც თუ მაღალი, ტახტთან ბავარიული გობელენი ახალი, სახლი ავარიული (მ. ლებ., 168). 66. ფიქალი, მერქანივით დაფიცრული, კირი, თოვლისფრად გამომწვარი, საკლავი, მუშისათვის გასისხლული, პური, ნადისთვის გამომცხვარი, შენება, შენება გახელებით! ქვეყანა ლამაზი და ღარიბი, უმშვენიერესი სახელები, ულამაზესი გვარები (მ. ლებ., 393). 67. კორტოხზე პურის ძნა, ჭალის ყანაში მარტო ჩემი უფროსი ძმა, ჩემი ლადო (მ. ლებ., 421). 68. გერმანელები, წვალება, თრევა, გამოქეაბულში დაკითხვა (ო. იოს., 75). 69. ირგვლივ ტლანქი, უგრძნობელი ხროვა კრამიტისა, ფიცრისა და ქვისა (ო. ჭილ., II, 88). 70. ხეებს დიდი ჩრდილები, ღელეს — ჩქარი დინება, ბავშვებს — უბე ავსილი, რუებზე გადახტომა, სოფელს — შრომა, ნაყოფი, ლხინი, გულმოდგინება (პ. იაშვ., 206). 71. ხონჩა, ბედის ქადები, მუზმუზელა ქალები, ლხინი ხელებჩართული და სიმღერა ქართული (ნ. სამად., 98). 72. ცული და სატევარი, საძნე ურმის ყეფარი, ღამე, გრიგალის შობა, ვენახი და ბავშვობა (ნ. სამად., 99). 73. სადღაც — კიპლინგი! სადღაც — ბერნსი! სადღაც კანდელით გალაკტიონი — შორეული შენთვის ნათელი! ლადო, ტიციან — მშობლიური და მახლობელი! ბოლოს რუსთველი — ქვეყნად ყოვლის დამამხობელი! (მ. ლებ., 305). 74. არც ომი, არც ყორნის ჩხავილი, არც გრგვინვა-გრიალი მესთა (მ. ლებ., 118). 75. გობელენი — პერცოგით! გობელენი — ქურციკით! გობელენი — ძველ ქოხით. ციხე-კოშკით, ხნულს იქით (მ. ლებ., 170). 76. მუსნარი — შავი, კოტეჯი — თეთრი, ირგვლივ — კისრამდე ზაფხული ჭრელი (მ. ლებ., 487). 77. მაღალი, ჩასკვნილი ბიჭი, ნათელი, დაბალი შუბლით, ბრჭყვიალა, ოდნავ მოჭუტული თაფლისფერი თვალებით, უშიშარი, ენერგიული, ძალიან ყოჩაღი, ზედმეტად მოუსვენარი, მაგრამ ჭკვიანი და დაფიქრებული, ნათელი გონების, ენამახვილი და ფხიზელი (კ. ყმა, 101). 78. აკაციის ტევრი, წნელის სუსტი ღობე, ქუდმოხდილი ქვევრი, ღვინიანი კოპე... აქ — მზით დამწვარ ხელში ღვინიანი ჭიქა, იქ — ცარიელ ქვევრში დამწყვდეული ჭინკა (ა. კალანდ., 37). 79. ტანად — საშუალოზე მაღალი, ჩასკვნილი და დაქნილი,

ბრგე, ცხვირი ოდნავ გაღუნული, მაგრამ „ხასიათის“, ნიკაპი ფართო და მაგარი, შუბლი – მაღალი, თვალები – ფოლადრუხი, თავი გადახოტრილი, მარცხენა მაჯაზე რკინის სხვილრგოლიანი სამაჯური (გ. რობაქ., 313). 80. პირველი გალავანი თეთრი, მეორე შავი, მესამე მეწამული, მეოთხე ლურჯი, მეხუთე წითელი, მეექვსე და მეშვიდე წვეტები მოვერცხლილი და მოოქრული, მეშვიდე გალავანის შუაგულში მეფის სასახლე ნაშენი კედრისა და კიპარისისაგან, დამძიმებული ვერცხლით და ოქროთი, გადახურული ვერცხლის კრამიტით (გ. რობაქ., 8). 81. სოფელი, კარგად მოვლილი კარმიდამო, ქვითკირის პალატაზე წამოდგმული ხის ოდა, მაღალ ბოძებზე შემდგარი ნალია, გადაბელილ ხეზე მიყუდებული სარები, იქვე ვეება საჩეხ ჯირკზე დარჭობილი წალდი და ნაჯახი, ტრუშული ღობის გადმოღმა, მუხის ლაფათინებიან ჭიშკრის წინ, შარაგზის პირას, პალოებზე დაჭედებული ფიცარი ჩამოსაჯდომად (ო. იოს., 539). 82. აკაკი მკითხველი – უბრალო, სადა, ჩვეულებრივი მოსაუბრე, დინჯი, წყნარი მეხმაურე ტკბილ-მუსიკალურ ხმითა, არც ხმის უშნოდ აწევ-დაწევა, არც წარამარად ხელების შლა (მოგ. აკ., 324). 83. ქარბუქი, სარკმლის ჯაჯგური, მწუხრი, სენაკი ცალთვალი, შინ – შენი ბუნაგ-სადგური, ოთხ კედელს იქით – ზამთარი (მ. ლებ., 44). 84. შუა ტანისაზე უფრო მაღალი, წელში აშოლტილი, სახე გამხდარი, უფრო ხმელი, ბოლო ხანებში ციმბირის წყლულით ცალთვალატირებული, დინჯი, დარბაისელი, თავაზიანი (კ. ყმა, 109). 85. მზეი მოზეიმე, ცაი დიდებული, ტვირთით დაზნექილი ნაძვის ქონგურები, თითო ვერცხლის ფული ალვის თითო ღეროს, ვერხვის თითო ბღუჯა ბამბის ბეღურები (ი. ჯოლბ., 73). 86. მაყვლის ბარდნარი, ღიღილო ქობად, ჩხრიალა მდინარე ყვავილთა მკობად, მაყვლის კულულები, თვალნი – ღიღილოსი, ბაგემოხატული ჩემი ანგელოსი (ი. ჯოლბ., 136). 87. ძველისძველი კოშკ-მაჩუბი თუ ციხე-დარბაზი, უზარმაზარი მრგვალი ძელებით გაწყობილი თავანი და ფართო ქვაფიქალებით გადახურული; მარადიული მზითა და ჩუქურთმებით შემკობილი გამჭვარტლული დედაბოძით; საქონლის მოხარატებული საპირეებით, მოჩუქურთმებული, ტყავგადაგებული საკარცხულით, გრძელი ტახტითა და დაბალი, მძიმე მაგიდით;

კედლებზე ჯიხვისა და ირმის რქები (ო. იოს., 534). 88. კედლებზე — მცენარეული: რტო კოწახურის გამხმარი, ზაფრანა — მზეგარეული — თვალის სალბუნად სახმარი, და უცბად, თაბაშირისგან, სახე — გრანიტის ნამტვრევი — ხელმარჯვნივ მამაშენისგან ვაჟას ნიღაბი ნამკვდრევი (მ. ლებ., 44). 89. მინდვრები, ქართლის მინდვრები, ქედები მხარგაშლილები... მთაში — ტყე დანაბინდები, ტყეში — ქორბუდა ირმები... (ა. კალანდ., 27). 90. ცაცხვზე ხმაური შხაპუნა წვიმის... აკაციების სურნელი მძაფრი... ნაძვი და ტვია, სურო და დაფნა და ტირიფები მდინარის პირას... ბოჰემიის ტყის ჩუმი შრიალი, ბალახი დილის ცვარ-ნამით სველი (ა. კალანდ., 375).

*§ 58. უქვემდებარო.* 1. წვიმს, ღამდებოდა, როგორც ღამდება (მ. ლებ., 540). 2. სცრის... წვიმს (მ. ლებ., 88). 3. უკვე ბინდდებოდა (ო. ჭილ., I, 357). 4. გათენდა და დაღამდა კიდეც (ო. ჭილ., I, 380). 5. ჩამობნელდა (თ. ბიბ., 118). 6. გარეთ წვიმდა (თ. ბიბ., 152). 7. დაბნელდა ირგვლივ (ა. კალანდ., 454). 8. გათენდა უცბად... ამწვანდა არე, აგრილდა (ნ. სამად., 55). 9. წამოქინქლა (გ. ფანჯ., 304). 10. თოვდა, თოვდა... (რ. ინან., 43). 11. ადრე მოსაღამოვდა (ნ. ონაშ., 197). 12. წვიმს თუ თოვს (ნ. ონაშ., 3.) 13. იელვებდა ხოლმე (ა. ყაზბ., 53). 14. ირიჟრაჟა (ილია, 422). 15. სოფელში ჩამობინდდა (ილია, 433). 16. უკვე მალე დაღამდებოდა (ო. იოს., 73). 17. უკვე ბნელოდა და ციოდა (ო. იოს., 77). 18. ბინდდებოდა (ნ. ონაშ., 140). 19. თენდება (მ. ლებ., 27). 20. ღამდება წინანდლის გზაზე (მ. ლებ., 498). 21. უფრო ადრე ბნელდება (ო. ჭილ., I, 559). 22. ცხელა, ძალიან ცხელა (ო. ჭილ., II, 467). 23. სულ თოვდა და თოვდა (თ. ბიბ., 187). 24. ჩამობნელდება (ნ. სამად., 51). 25. უკვე ირიჟრაჟა (გ. ფანჯ., 76). 26. ბარდნიდა და ბარდნიდა (რ. ინან., 44). 27. ერთბაშად იელვა და იჭექა (ა. ყაზბ., 50). 28. კოკისპირულად წვიმდა (ო. იოს., 61). 29. ძალიან ჩამობნელდა (ო. იოს., 79). 30. გათენდა (რ. ინან., 23). 31. თოვს, მთებში თოვს (მ. ლებ., 316). 32. ოდეს ტყეში დაღამდება (მ. ლებ., 162). 33. გაწვიმდა (ო. ჭილ., II, 472). 34. ყოველ წუთას უფრო ღამდებოდა (ო. ჭილ., I, 540). 35. ტანში ცივად შეაჟრიალებს (ნ. სამად., 62). 36. კარგა გათენებულიყო (გ.

ფანჯ., 77). 37. აღარ თოვდა (რ. ინან., 46). 38. საშინლად ცხელოდა (ნ. ონაშ., 97). 39. უკვე თენდებოდა (ო. იოს., 86). 40. ღამით წაეთიოშა (ო. იოს., 96). 41. ღამდება (გ. რობაქ., 193). 42. უკვე გათენდა (გ. რობაქ., 206). 43. დაისიდანვე ქინქლავს (კ. ყმა, 239). 44. ღამდებოდა (მოგ. აკ., 484). 45. წვიმს... ელავს. (მ. ლებ., 83). 46. გარეთ კი თოვდა (მ. ლებ., 75). 47. ადრე ღამდება ზამთარში (ო. ჭილ., I, 584). 48. ბნელოდა, სდუმდნენ დიდი ჭადრები (ნ. სამად., 75). 49. ინათა (ო. იოს., 60). 50. ეზოშიც ბნელოდა (ნ. ონაშ., 117). 51. უცებ გააავდრდა (კ. ყმა, 303). 52. ცივა, ხეებს ჩქამი სცვივა (მ. ლებ., 164). 53. გარეთ კი თოვდა, თოვდა გულიანად (გ. ფანჯ., 82). 54. ქუჩებში წვიმდა (ო. ჭილ., II, 469). 55. ამოვა ქარი და დაბინდდება (ნ. სამად., 88). 56. ინათა, აჭოჭდნენ თეთრი ცხენები (ლ. ასათ., 91). 57. ღამდებოდა (ვაჟა, 273). 58. უკვე მალე დაღამდებოდა (ო. იოს., 73). 59. ციოდა (ო. იოს., 77). 60. ოთახში მაინც ცხელოდა (გ. ფანჯ., 179). 61. თოვს, მსუბუქად თოვს (ი. ჯოლბ., 15). 62. თენდებოდა (პ. იაშვ., 253). 63. წვიმს, სველია ფიჩხები, გირჩები შიშინებენ (მ. ლებ., 14). 64. იელვა, წვიმა გავარდა (მ. ლებ., 550). 65. გარეთ უკვე ციოდა (ო. ჭილ., I, 542). 66. მწარედ ჰყინავდა (მოგ. აკ., 360). 67. დაღამდა (პ. იაშვ., 281). 68. გარეთ ისევ ქინქლლავდა (ნ. ონაშ., 223). 69. თითქმის ჩამობნელდა (ნ. ონაშ., 231). 70. თოვლის უდაბნო წინ გვედო თეთრად – თოვდა და თოვდა (მ. ლებ., 77). 71. ცივა, ვეება ბუხარი ხვნეშის (მ. ლებ., 501). 72. გარეთ ისევ წვიმს და სულ იწვიმებს (ო. ჭილ., I, 558). 73. ერთ თვეს არ გაუვლია, რომ ჩამოთოვა (ო. იოს., 199). 74. მწვერვალებში დაიგრუხუნა (ო. იოს., 135). 75. ტანში გააჟრჟოლა (ვაჟა, 269). 76. ღამე ქინქლლავდა (ნ. ონაშ., 212). 77. ქალს გააჟრჟოლა (ნ. ონაშ., 236). 78. თოვს, საძილედ ესწორდებით – ღამდება (მ. ლებ., 29). 79. ირიჟრაჟა (კ. ყმა, 91). 80. გადაშუაღლდა (ო. იოს., 219).

# შერწყმული წინადადება

*§ 59. უკავშირო.* 1. თამრომ წამოსასხამი წამოისხა, პატარა ბოხჩა მისცა ძმას, მივიდა ბაეშვთან, აკოცა (ა. ყაზბ., 215). 2. სახლი, კარი ღვთის წყალობით აივსო (ილია, 405). 3. იმათი ქდავი-ქღუვი, ალიაქოთი კაცს დააყრუებდა (ილია, 398). 4. იმ მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა შენსას ზედ დაემატოს (ილია, 381). 5. თეთრი იალქანი შეირხა, წყალში არეკლილივით მიმოქანდა, გაიწერა, გაიბერა, ალაგ-ალაგ დაწყდა, მერე წაგრძელდა, გაქვავდა (ნ. ონაშ., 22). 6. ტანსაცმელი გამოვიცვალე, ისევ აივანზე გავედი, ყუთიდან სამუშაო იარაღები ამოვალაგე, მუშაობა დავიწყე (ნ. ონაშ., 26). 7. შეღებილ-დავარცხნილი ქალები სიცილ-კისკისით გადი-გამოდიოდნენ კაბინეტებში, ნაზად ეკეკლუცებოდნენ მამაკაცებს (ნ. ონაშ., 64). 8. ვარსკვლავებიც იმავ დროს დაფეთქენ, დასჭიკჭიკობენ (აკაკი, 43). 9. აქ გაუხსნია გული დედოფალს, თმებში ჩაუწნავს ბაფთის შაირი (ნ. სამად., 10). 10. კლდეს ფეხები მოაცილა, ჩაშვებული ბაწარი მოძებნა, ტერფსა და ტერფს შუა მოიქცია (ო. იოს., 147). 11. ნიაღვარი იქ მიგახეთქებს, იქ ჩაგითრევს, იქ გაგრიყავს (ო. იოს., 189). 12. დედაკაცი მოვიდა, გულში ჩამიკრა, ხელები მომხვია (კ. ყმა, 229). 13. ვასილ ტაბიძის ჭერქვეშ ვიცხოვრე, გალაკტიონის ტახტზე მეძინა (მ. ლებ., 181). 14. ცას შესდგომოდნენ კიბედ, ღვარებს ჰგზავნიდნენ სტვენით (მ. ლებ., 98). 15. მერე თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა, სადისპეტჩერო ზარს მივარდა, ღილაკს ხელი დააჭირა (გ. ფანჯ., 72). 16. ლამაზ მინდორზე თრთის, კანკალებს ჩრდილი ვაშლის ხის (ა. კალანდ., 121). 17. დილაზედ ჩავალაგეთ ბარგი, დავამზადეთ ცხენები (ილია, 407). 18. ამოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადვუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა (ილია, 379). 19. ავდექი, ჩემს ოთახში გამოვედი, კედელში დატანებული კარადა გამოვაღე, სარკეში სახელდახელოდ დავივარცხნე თმა, ტილოს სპორტული კაბა ჩავიცვი (ნ. ონაშ., 71). 20. კიბეზე აირბინა, სვეტებიანი აივნის მოაჯირთან გაჩერებულ ჭაღარა მამაკაცთან მივიდა, კარგასანს ხელების ქნევით ელაპარაკებოდა (ნ. ონაშ., 75). 21. საწერ მაგიდას სუფთად გადაწმენდდა, გაზეთს

გადააფარებდა, ზედ დაალაგებდა საგულდაგულოდ მომარაგებულ ჯამ-ჭურჭელს (ნ. ონაშ., 76). 22. დაიტანს მგზავრებს ზვავი, მეწყერი (ნ. სამად., 28). 23. ის არ აჩქარებულა, წამოდგა, იარაღი მოიცილა, ქამარი გაისწორა (ო. იოს., 129). 24. მალე შავი ღრუბელი გაჩნდა, ის ორიოდე ვარსკვლავიც დაფარა (ო. იოს., 120). 25. ის თავდაღმა დაემხო, კისერი ახლა ქალებისაკენ გაიწვდინა (ო. იოს., 103). 26. კვლავ სხდებოდნენ, თათბირობდნენ, გაჰყვიროდნენ ტატნობს გესლით (მ. ლებ., 213). 27. შორს ნისლები თქორავენ, ღლაბუცობენ, გორავენ (მ. ლებ., 161). 28. საფერფლე იატაკზე დადო დივანთან, თვითონ დივანზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო (გ. ფანჯ., 43). 29. ცალ ყურში შეუშვა, მეორეში გამოუშვა (თ. სახ., 796). 30. შუაში თავმოხდილი იჯდა ჩვენი მღვდელი, ზოგს აწერინებდა, ზოგს აკითხებდა (ილია, 382). 31. თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა (ილია, 68). 32. მოვა, დადგება ჩემს გვერდით, მუხლებს მჭიდროდ მიატყუპებს, ცალი ხელით მოაჯირს დაეყრდნობა, მეორეთი დოინჯს შემოიღებს (ნ. ონაშ., 50). 33. დეიდა ელენემ ყურთბალიშიანს სკამზე დამსვა სათავითაო ადგილზე, ყველაზე ლამაზი თეფში დამიდგა, ზედ თავისი ხელით დამიწყო ცხელი ხაჭაპურის ნაჭრები, თვითონ წინ დამიჯდა (ნ. ონაშ., 51). 34. ჩემი მოსაუბრე გაწითლდა, ხელები მოაშორა საულვაშეს (აკაკი, 155). 35. წელზე მოხვეულმა თაჯიმ შეაჩერა, უკან, თავის ადგილზე, დააბრუნა (ო. იოს., 103). 36. ძია სერგომ ხმაურით გახსნა შამპანური, ჭიქები თაფლისფერი ქაფიანი ღვინით აავსო, თავისი ჭიქა ჯერ ელენესას მიუჯახუნა, მერე ჩემსას (ნ. ონაშ., 70). 37. წამოვჯექი, გავუსწორე თოფი მდინარეებს ჩქარებს (მ. ლებ., 22). 38. თქვენ კითხულობთ წიგნებს უხვად, ხელნაწერებს ჩაჰყურებთ(მ. ლებ., 276). 39. ისიც მოეიდა, ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, ჯერ სხვებს მიაწოდა, მერე ერთი ცალი თვითონაც გაირჭო პირში (გ. ფანჯ., 82). 40. წამავლო ხელი, მომეხვია, ჩემს მკერდზედ ზედდაკდომით ქვითინი დაიწყო (ილია, 418). 41. ვწრიალებდი, ვშფოთავდი, ვბორგავდი, ამაოდ ვებრძოდი მტანჯველ ფიქრებს (ნ. ონაშ., 24). 42. ორივე ლოყაზე აკოცა, სახე დიდი ხელებით დაუჭირა, შუბლზე თეატრალური ჟესტით ემთხვია (ნ. ონაშ., 102). 43. უხალისოდ ჩამომართვა ნაწერი, ჩუმად ჩაიკითხა (ნ. ონაშ., 49).

44. ბრუნავს, ბზრიალებს ცხოვრების ჩარხი, მრუნავს, წრიალებს, ზრიალებს ხალხი (მ. ლებ., 331). 45. მან გამოაღო განჯინის კარი, შიგ მკლავი შეჰყო (მ. ლებ., 77). 46. ბაღები, კალო, საძნე ურმები ჩეილ მოგონებას მძიმედ ჩაუვლის (ნ. სამად., 88). 47. ერთ ლომთან მიველი, მოკრძალებით ვუცქირე ერთხანს, მერე ოქროსფრად გაპრიალებულ თათზე ცხელი ხელისგულით შეხება გავბედე (ნ. ონაშ., 7). 48. მუშაობით თავს არ მოიკლავს, მამის ნაჩუქარ დიდებულ სახელოსნოშიც ათასში ერთხელ შეივლის, გამოფენაზე მაინც გაიტანს ნამუშევარს, სარფიანადაც გაყიდის (ნ. ონაშ., 20). 49. მოჩქრიალობს, მოხტის, ხარობს, როგორც ნარდში კამათელი (პ. იაშვ., 227). 50. ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ მოიწურა ჩაწითლებული თვალები, შეისხა ცივი წყალი პირისახეზე (ა. ყაზბ., 214). 51. მადლიერი ღიმილით გამიღიმა, ტუმბოზე დადებულ რვეულს გადასწვდა, შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაიწია, სცენაზე გამოსული ბავშვივით მოემზადა (ნ. ონაშ., 168). 52. მე აღარა ვუთხარი-რა, მიველი, ლოცვა-კურთხევა ვთხოვე (ილია, 407). 53. გაქრა სახლი, კარი, სამყოფელი, სადგური (ო. იოს., 166). 54. ლოლამ კოლოფი აიღო, სიგარეტის ღერი მოსრისა, შეღებილი ტუჩებით დაიჭირა, მოუკიდა, მაღლა გააბოლა (ნ. ონაშ., 100). 55. წამოხტა თემო, ტაში შემოჰკრა, მერე ჩემსკენ გამოექანა, ხელი მტაცა, წამოიმაყენა, რამდენჯერმე შემომაბზრიალა (ნ. ონაშ., 102). 56. აყეფდნენ ნიაღვრები, ხევებში ღორღი ჩაიტანეს, მდინარე ააღრიალეს (ო. იოს., 74). 57. ქალმა სახე ნაუცბათევად აარიდა, წინ წამოვიდა, მოხუცის ახლოს დადგა (ო. იოს., 9). 58. დაჭრიალებდა, გმინავდა კარი (მ. ლებ., 77). 59. ერთად გამიქრა სამსახურის შოვნის სიხარულიც, თემოს მოლოდინის ტკივილიც, დღევანდელი მღელვარებაც (ნ. ონაშ., 148). 60. თვითონ წამოიწია, ერთი ნახტომით მეორე გვირაბის შესასვლელთან გაჩნდა, ბრეზენტს მიეფარა (ო. იოს., 68). 61. ქუთხის გორს შორი ვარსკვლავი ციმციმებს, ქრება, ციმციმებს (ა. კალანდ., 422). 62. გონების თვალით რიგრიგობით აღვადგინე მანანა, ლალი, ფატი, დათო, მირიანი (ნ. ონაშ., 196). 63. საშინლად ვცარიელდებოდი, ვიფიტებოდი, ვიშრიტებოდი ყოველგვარი გრძნობისაგან (ნ. ონაშ., 169). 64. იგი ახლა ღალატით, გაიძვერობით, ორგულობით, პირფერობით იყო ავსილი (ო.

იოს., 167). 65. ყოველივე ირგვლივ შავით, ბნელით შეისუდრა (ო. იოს., 165). 66. ყარაჩოღელი ყოველთვის პირველი გრძნობით, პირველი შთაბეჭდილებით ცხოვრობს (ი. გრიშ., 57). 67. ისინი ქალაქგარეთ იბრძოდნენ შურდულებით, ხის ხმლებით (ი. გრიშ., 28). 68. ისინი ამ ტანჯულ-წამებულ წუთისოფელს ათი ათასი ხრიკებით, ცბიერებით, ღალატით, ვერაგობით მიათრევენ (ო. იოს., 244). 69. დალევდა ღვინოს, სხვებსაც დაპატიჟებდა, კარგად შეზარხოშდებოდა (ი. გრიშ., 101). 70. ხალხი ხარობდა მათი სიხარულით, იტანჯებოდა მათი ტანჯვით (ი. გრიშ., 79). 71. ქალები შეჰკრავდნენ სარეცხს ბოღჩაში, აჰკიდებდნენ ზურგზე დუქნის შეგირდებს, წინ გაიგდებდნენ თავიანთ უჭულ-ბუჭულებს (ი. გრიშ., 59). 72. ჩვენ სადილს შევექცეოდით, უკვდავების წყალს ვისხამდით (ლ. ასათ., 83). 73. შედრკა, აკოცა ყვავილებს გაშლილს, ჩააგო ხმალი აღერებული (ლ. ასათ., 28). 74. შეაზანზარა კლდეთა კედელი, დაატრიალა გრიგალი ქართა (ლ. ასათ., 26). 75. შიმშილობდა მშვენიერი პატარა ქალი, მწყურვალობდა მშვენიერი პატარა ქალი (მ. ლებ., 309). 76. შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს (ილია, 68). 77. ეს ხალხი ლაპარაკობდა, ცეკვავდა, კომბლებს იქნევდა (ი. გრიშ., 74). 78. მერე პირში ჩიბუხს გაიყრიდნენ, ხალიან პერანგს გამოიჩენდნენ, ჩოხაში ცალ მკლავს გაუყრიდნენ (ი. გრიშ., 69). 79. რამდენი შვება მოჰქონდათ შენს გულს, შენს ფიქრებს, შენს მყუდროებას (ნ. სამად., 77). 80. მთვარემ დახია მწუხრის ზეწარი, უკან დატოვა შავი ღრუბლები (ლ. ასათ., 18). 81. უკან დაედევნენ ქართველნი კაფვით, ხანჯლების კისკასით (ლ. ასათ., 97). 82. შენ თვალთ სხივებმა ამაგზნო, დამათრო, ამაყბედაო (ეაქა, 105). 83. ხალხში არსებობს ლეგენდა წყნეთელ მაიაზე, წავკისელ თინაზე (ი. გრიშ., 151). 84. იგი მეტად სპეტაკი, ოხუნჯი იყო (ი. გრიშ., 178). 85. მას იმ დროს თავი უნდა დაეცვა, შეეფარებინა, შეკედლებოდა (ო. იოს., 165). 86. ყვავილი მწველი გრძელ ყლორტებს გაშლის, გაინავარდებს (ლ. ასათ., 39). 87. შარიშურობდა კაკლის ხის ტოტი, ნანას უმღერდა წალკოტს ჩრდილიანს (ლ. ასათ., 18). 88. მებაღე ვენახში გაივლის, დაწოლილ ვაზს შეამჩნევს, წამოაყენებს, ახეირებს, ნაყოფს გამოაღებინებს, დაჰკრეფს, დასწურავს (ი. გრიშ., 62). 89. ის სახის ნაკეთებს არასოდეს არ ათამა-

შებდა, თავი ამაყად ეჭირა (ი. გრიშ., 107). 90. გავაღებ ფანჯრებს, გავხედავ ქალაქს, შემოვბრუნდები, ფანჯრებს ავქოლავ (ნ. სამად., 108). 91. ამას უნდა პოვნა, აღმოჩენა, გამოაშკარავება, წახნაგვა (ი. გრიშ., 87). 92. გვზარდა სამშობლოს მთებმა, ველებმა (ლ. ასათ., 111). 93. ჩაიდგა გმირმა პოეტის გული, დაიძმობილა წყვდიადი ღამის (ლ. ასათ., 104). 94. შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს ზღვის სანაპირო, პატარ-პატარა ბასკური ქალაქები, საკურორტო ადგილები (შ. ძიძ., 39). 95. ისმოდა ქათმების კრიახი, კაკლების ჩახაჩუხი, ცეცხლზე შემდგარი ქონის შიშხინი, ჯამ-ჭურჭლის ჩხარუნი (რ. ინან., 35). 96. გარშემო აღარც მასპინძლები, აღარც ცხენები, აღარც წყარო, აღარც ჩემი მეგობარი გიორგი იყო (თ. ბიბ., 38). 97. ადგილებისათვის ატყდებოდა ჩხუბი, ჯიღჯიღი, დავიდარაბა (ი. გრიშ., 59). 98. ახლა ბალახებს დააშტერდებოდა, მერე რომელიმე მათგანს მოწყვეტდა, დაყნოსავდა, გაღეჭავდა (ო. ჭილ., I, 26). 99. დაბალი შუბლი, არწივისებური ცხვირი, დახვეწილი ყვრიმალები, სუსტად განვითარებული ყბები მიგვანიშნებენ იბერიულ რასას (შ. ძიძ., 31). 100. მე ვუმღერი მზიან ველებს, განახლების ქარებს (ლ. ასათ., 108).

*§ 60. მაჯგუფებელკავშირიანი.* 1. ამ დღესასწაულზე საქართველოს ყოველი კუთხიდან იკრიბებოდნენ საუკეთესო მომღერლები და სახალხო მგოსნები (ი. გრიშ., 68). 2. ამ დროს ამოვარდება ქარი და ხის ტოტებს ერთმანეთს მიაჯახუნებს (ი. გრიშ., 62). 3. მის საპირისპირო მხარეს ბაუმანი ჩაცუცქულიყო და ქვის ნატეხით თავისფეხებთან კლდის იატაკზე უსწორმასწორო ხაზებს ავლებდა (ო. იოს., 67). 4. აფეთქების ხმამ და დიდი გამოქვაბულიდან გამოტყორცნილმა ტალღამ ბურთივით აისროლა კაპრალი (ო. იოს., 148). 5. ძიძა გამწმენდდა, გამბანდა, მომრთავდა თითქოს სადღესასწაულოდ და აღარ გამიშვებდა გარეთ (აკაკი, 96). 6. ადგა, გამოაღო პატარა თახჩის კარი და გადმოიღო ერთი დაბეჭდილი წიგნი (ილია, 391). 7. მაშინვე გამოვტრიალდი, ვიპოვე ის სახლობა და იმისათვის გადადებული ორი მანეთი იმათ მიეართვი (ილია, 377). 8. ადის და ჩადის ცაში მთების ულელტეხილი (ნ. სამად., 16). 9. ისინი

სრულად ჩაცმულნი თავ-თაეის საწოლზე იწვნენ და წიგნებს კითხულობდნენ (ა. ყაზბ., 235). 10. კელავ ინავარდებს ირმებთან ერთად და ნიავს დაჰლევს მაღალს მთაზედა (ვაჟა, 53). 11. აქ დაცულია უნიკალური ნაბეჭდი წიგნები და ხელნაწერები (შ. ძიძ., 18). 12. ადგა, სკამი ხმაურით გასწია განზე, ხშირი ჭაღარა თმა თაეის აქნევით გადაიყარა უკან და თითქმის მიბრძანა (ნ. ონაშ., 42). 13. ზრიალებდა, გრიალებდა, გუგუნებდა და ცახცახებდა დაფეთებული სივრცე (ნ. ონაშ., 6). 14. ანგია ოთარს დააკვირდა, უცებ თვალები გაუბრწყინდა და სკამიდან წამოიჭრა (გ. ფანჯ., 16). 15. მაგიდაზე ჩამოვარდნილი ლამაზი ფოთოლი ავიღე, ყუნწით დავიჭირე და აქეთ-იქით დაეაბზრიალე (ნ. ონაშ., 11). 16. ლევანმა ბალიში და ზეწარი გამოიტანა (გ. ფანჯ., 239). 17. წვიმა კი მოდის, ხმამაღლა მოდის და ძირს ჩამოაქვს ხმელი ფოთლები (ო. ჭილ., II, 472). 18. კრთის და ფრთხიალებს უთეთრესი ყვაეილი ხსოვნის (მ. ლებ., 263). 19. მოგხვდება ჩქაფი ტალახის, გაგთხვრის და გაგატალახებს (მ. ლებ., 254). 20. მოგაგონდება მამაშენი, ღვინო და გედი, სოველი ჭინკა, ვარსკვლავები და საფრანგეთი (პ. იაშვ., 105). 21. მის ტოტებზე იმ დილას ბევრი ფრინველები ისხდნენ და გალობდნენ (პ. იაშვ., 262). 22. თვით სამოვარზედ ამხედრებული ჩაიდანი მთავარსარდალივით იბღვირებოდა და მრისხანების ნიშნად თავს ახტუნებდა და არაკუნებდა (ი. გრიშ., 60). 23. ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღებული (ი. გრიშ., 20). 24. ცხენებს მივხედავ, უფრო მოშორებით გადავიყვან და დავმალავ (ო. იოს., 58). 25. მზე გადაეიდა და ღრუბლების თეთრ ქულებში გაეხვია (ო. იოს., 46). 26. წამოდგა ზეზე, კლასს თავი დაანება და გასწია კანცელარიისაკენ (აკაკი, 145). 27. შემდეგ სწრაფად გადაისახა პირჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში (ილია, 398). 28. ჩვენი პატარა და გულდაღმა წამოუწვა მამას და იდაყვებზე დაებჯინა (ილია, 263). 29. წაიბუტბუტებს ათასჯერ ნათქვამს და ხელისგულზე დაბერტყავს ჩიბუხს (ნ. სამად., 19). 30. თავი ვაგონის ჩრდილს შევაფარე, მაშინვე შვებით ამოვისუნთქე, ფანჯარასთან დავჯექი და ქალაქს გავხედე (ნ. ონაშ., 19). 31. ფურცელი იონას მაგიდაზე დადო, გამხმარ ყბებზე ძლიერად ჩამოისვა ხელი და ხმადაბლა

მითხრა (ნ. ლობჟ., 49). 32. ამ სიტყვებით ქალი გადაეხვია კაცს და გულში ჩაეკრა მას (ა. ყაზბ., 51). 33. საბუღე ხარს საგანგებოდ უვლიდნენ და წვრთნიდნენ (შ. ძიძ., 29). 34. გლეხი კი ისევ მიწას ბარავდა და განუწყვეტლივ ლოცავდა გამჩენს (ო. ჭილ., II, 532). 35. შენც შეიმალე აივნის ჩრდილში და მომიქსიე ავი ძაღლები (ო. ჭილ., I, 558). 36. დედაჩემმა ათ წელიწადს იგლოვა ქმარი, ინაღვლა, იდარდა, სანთელივით ჩამოდნა და ჩაიფერფლა (ნ. ლობჟ., 6). 37. ავიდნენ, კარი შეაღეს, შეკრთნენ და შესდგნენ ერთხანად (პ. იაშვ., 239). 38. ჩხრიალებს წვიმა და კოცონს მიქრობს (მ. ლებ., 327). 39. ის მიატოვებს მაღალ მწვერვალებს და წვრილ, ხორციელ საქმეებში გადაეშვება (მ. ლებ., 533). 40. იგი ფეხმორთხმული იჯდა გოდორზე და ყალიონს სწევდა (ი. გრიშ., 22). 41. თითქმის ორმოცი დღის განმავლობაში ორთაჭალა და ქალაქის სხვა განაპირა მიდამოები ახმაურებული იყო ამქართა დღესასწაულით (ი. გრიშ., 37). 42. ის ზედ ეკეროდა, ეწებებოდა და მიბობლავდა (ო. იოს., 44). 43. მარჯვენა ხელის თითები წამოსწია და ფეხის ქუსლს მიუახლოვა (ო. იოს., 9). 44. ერთხელ, დღე და ღამის გაყრის დროს, გადავიპარე ბოსტანში და ნესვის მოპარვას ვაპირებდი (აკაკი, 127). 45. გადიოდნენ დღენი და ღამენი (ილია, 426). 46. თვალის დახამხამების უმალ გაიძრო ტანისამოსი და გადმოყარა ჩემკენ (ილია, 398). 47. თამარი საქმიანად ჩაჰკირკიტებდა ხელნაწერებს, ზოგჯერ სათვალის ზემოდან ამოისედავდა, ამოიოხრებდა და ისევ თავის საქმეს შეუდგებოდა (ნ. ლობჟ., 77). 48. ყოველი წლის ბოლოს სამსხვერპლო თხას დაიჭერდნენ, თავიანთ ცოდვებს დააბრალებდნენ და ტყეში გაუშვებდნენ (ნ. ლობჟ., 110). 49. ისინი დაადგნენ ერთს ბილიკს და უკან მიუხედავად შედიოდნენ ტყის სიღრმეში (ა. ყაზბ., 47). 50. მსუბუქი ფრთებით მოქროდა ბავშვი და სხეულს ველარ გრძნობდა სრულებით (ო. ჭილ., II, 540). 51. მაგრამ ეს ვითომ მყუდრო ოთახი აღარც მიზიდავს და აღარც მართობს (ო. ჭილ., I, 562). 52. ჩანთა წინ დადო, შოფრის გვერდით, მერე უკანა კარი დინჯად გამოაღო და ჯერ ანგია შეუშვა (გ. ფანჯ., 18). 53. ორივე გაატიტველა, გადახერხა და სხვა მეზობლებთან ერთად შეკრა ტივად (პ. იაშვ., 264). 54. იწივლებს რკინის ვეშაპი და წიფის გვირაბს გამოხრავს (მ. ლებ., 202). 55. ორივე მხრიდან გამოვიდნენ მე-

შურდულენი და სეტყვასავით მიაყარეს ქვები ერთმანეთს (ი. გრიშ., 30). 56. ერთი დარგის ხელოსნის წარმომადგენელნი შეიკრიბებოდნენ სახელოსნოებთან, აიღებდნენ დროშას და ზურნის დაკვრით გაემგზავრებოდნენ წინასწარ დანიშნულ რომელიმე ბაღში (ი. გრიშ., 37). 57. ის უკვე დაბანაკდა, გამაგრდა და სული მოითქვა (ო. იოს., 55). 58. მას ახლა აღარც მტერი ჰყავდა და აღარც მოკეთე, აღარც სამშობლო ჰქონდა და აღარც რაიმე ქონება (ო. იოს., 65). 59. შენგან ატყდება ომისა ცეცხლი და ბრძოლის ალი (აკაკი, 59). 60. წელიწადნახევარი თურმე ინახავდა დაგდებულ ქმარსა და ცოლსა (ილია, 397). 61. რამდენჯერმე ზედიზედ მოქაჩა, კვამლი ღრმად ჩაისუნთქა და სიგარეტი ნიჟარაში ჩაჭყლიტა (ნ. ონაშ., 55). 62. შენ არც ქელეხს აკლდები, არც ქორწილს, არც ბანკეტს, არც დაბადების დღეს (ნ. ონაშ., 111). 63. დარო ამ სიტყვებმა კიდეც ააღელვა და კიდეც გაახარა (ა. ყაზბ., 205). 64. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მოედინებიან, ძველ ბასკურ სიმღერებს ასრულებენ და გაუთავებლად ცეკვავენ (შ. ძიძ., 21). 65. მე მივდიოდი და ალტაცებით ვუთეალთვალებდი ჭადრების ალერსს (ო. ჭილ., II, 453). 66. დგანან, უცქერენ და აფასებენ გონებას, ქცეულს ოქროს ზოდებად (ო. ჭილ., II, 483). 67. მზემ მოგვაშეირა მილები და მდუღარებას გზავნიდა (პ. იაშვ., 173). 68. ყურში გესმოდეს ქართული და საქართველოს ხმაური (მ. ლებ., 431). 69. არც სიგარეტს ეწევი, არც კარტს თამაშობ, არც კონიაკს სვამ (ნ. ონაშ., 101). 70. ქარი ხიდებს არხევს და სეელი ფოთლებით ავსებს (ო. ჭილ., I, 584). 71. შეგირდის ნახელავს შეამოწმებდნენ და შესაფერ დასკვნას გამოიტანდნენ (ი. გრიშ., 37). 72. იგი არც ხნით და არც სიმაღლით ეასოზე უფროსი არ ჩანდა (ო. იოს., 38). 73. ასეთ დროს არც სიკვდილზე ფიქრობ, არც სიცოცხლეზე (ო. იოს., 45). 74. მაშინ მაინც დაგვიწყებოდა რამე, არც სამსახურზე გეფიქრა, არც ხელფასზე, არც სახელოსნოზე (ნ. ონაშ., 109). 75. ეს არც უმადურობა იყო და არც ქედმაღლობა (ნ. ონაშ., 75). 76. არც მოწყალება და არც სამშეელი არ ღირსებია ციდან არავის (ო. ჭილ., II, 485). 77. ის ვერ იტანდა ვერც სმას, ვერც ბევრ ხმაურს და აურზაურს (კ. ყმა, 248). 78. იგი ახლა აღარ ფიქრობდა არც წუხანდელ შტორმზე და არც ჭრილობაზე (გ. ფანჯ., 130). 79. ასე კოხტად შეხალისე-

ბულნი, დინჯი მხიარულებით და ღიღინით მიდიოდნენ აღთქმულ სალოცავში (ი.გრიშ., 69). 80. მის გაფართოებულ თვალებში არც მუდარა იყო, არც ტკივილი (ო. იოს., 61). 81. მტერი და მოყვარე ერთნაირად უსმენდა მწეერვალების გამოძახილს (ო. იოს., 109). 82. არც ცეცხლს და არც ავდარს ის არ მოუკლავს (ილია, 366). 83. ვიღაცის დიდი ხელი მისწვდა ლომის კლანჭებში ჩაჩურთულს ქაღალდს, ამოაძრო და გამომიწოდა (ნ. ონაშ., 7). 84. ხელები და ნიკაპი საცოდავად მიკანკალებდა (ნ. ონაშ., 150). 85. არც ქარი იყო, არც წვიმის თქეში (ო. ჭილ., I, 547). 86. დაჯდა, დაწერა, დახატა და მოკვდა, როგორც მშრომელი (პ. იაშვ., 183). 87. წყალზე წაიყვანს და უკან წყალდაულეველს წამოიყვანს (თ. სახ., 876). 88. ეს თავმჯდომარე მიყურებს ელმად, არც ხნავს და არც სხლავს, არც რამე მოჰყავს (მ. ლებ., 94). 89. მეორე გამოქვაბულიდან კვნესა და გოდება მოისმა (ო. იოს., 148). 90. ბატონო, არც ახალი და არც ძველი გაზეთები გვაქეს (გ. ფანჯ., 13). 91. ნიკოს საქმეები ისევ აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა, არც ჩემთვის ეცალა და არც თემოსთვის (ნ. ონაშ., 168). 92. თბილისს, პარიზს თუ ბერლინს ერთი ტკივილი შხამავს (მ. ლებ., 245). 93. ჯერ გაპკრეს, გაინავარდეს, მზის შუქში გაფერნაირდნენ და მერე მსხვილი ჭანგებით მხრებზე დაასხდნენ რაინდებს (ლ. ასათ., 98). 94. მთვარეულივით დავემხობი თბილისის მიწას და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი (ლ. ასათ., 67). 95. სიტყვა დაუგდო მეგობარს, ხვთისო თუ ხირჩლა იკითხა (ა. კალანდ., 452). 96. წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს ისროდნენ ცისკენ და ლაპლაპებდნენ, ვით სატეერები (ლ. ასათ., 40). 97. ლექსი თუ პროზა, დრამატურგია თუ სატირა, იუმორისტიკა თუ პუბლიცისტიკა მის ხელში მაღალხარისხოვან ნაწარმოებად გამოდიოდა (მოგ. აკ., 100). 98. ისინი ალბეჭდილია სალებავეებით თიხის ჭურჭელზე თუ კედლებზე (შ. ძიძ., 7). 99. ეს არის სახლი გაქონილი ქაღალდგადაკრული ფანჯრებით და ნახევრად ჩამონგრეული კედლებით (ა. ყაზბ., 202). 100. ამ მოთხრობებს თავისი აღწერილობის სიმძაფრით, სიუჟეტის მთლიანობით, შედარებათა ნაირფერობით და სიტყვის პლასტიური თანწყობით კარგახანს ჰყავდა დატყვევებული ქართველი ხალხის ლიტერატურული გემოვნება (ი. გრიშ., 81).

*§ 61. მაცალკევებელკავშირიანი.* 1. ხან ფანდურს შევაჟღარუნებ, ხან დავამღერებ თარზედა, ხან ვტირი, ხან ვლოცულობ, ხან ბრაზს, შხამს ვანთხევ შხამზედა (ვაჟა, 93). 2. ფორტეპიანოს გამოჰქონდა ხან აღზნებული მაღალი ხმები, ხან გულის ამადუღებელი, ნაზი და ჩუმი ხმები (ა. ყაზბ., 132). 3. მან აიღო თეიმურაზის სურათი და ხან წარმოუთქმელის გრძნობით შეჰყურებდა, ხან თავბრუსდამხვევი ალერსით ემუსაიფებოდა (ა. ყაზბ., 37). 4. ჭიმღის კლდეს ეშმა ბინადრობს, ტირის, დაეძებს გაბურებს, ხან დიყ-ქალტამში გორაობს, ხანაც წყალს შეაჩქაფუნებს (ა. კალანდ., 441). 5. ლამაზების მწვავს სიყვარული ან სიძულეილი (ლ. ასათ., 20). 6. ის წამომირეკავს, ან ჩამომიდენის ჰყვიტინა კოლტებს (მ. ლებ., 422). 7. ქარი ხან ქრქოლვასავით უვლიდა ფოთლებს, ხან შმაგად აწყდებოდა დაყურსულ ბუჩქებს (ნ. ონაშ., 152). 8. ქანცგაწყვეტილი ფართხალებდა, ხან ჩაიძირებოდა, ხან მაღლა ამოვარდებოდა ხოლმე (ილია, 399). 9. შენს ხერხემალს სალამურად გამოიყენებს არმაზის კერპი ან ქარების ტიალი დოლი (ნ. სამად., 14). 10. ამ გადაჭიმულ ტილოზე აჩვენებდნენ აქლემის ტყავიდან ან მუყაოსაგან გამოჭრილ მოძრავ ფიგურებს (ი. გრიშ., 74). 11. მტრები ქორებივით ესეოდნენ, იტაცებდნენ ხან ერთს მხარესა და ხან მეორეს (აკაკი, 98). 12. მომწვანო ქაღალდზე წითელი ფანქრით თუ საღებავით დაწერილი აფიშა მაშინდელივით მომხვდა თვალში (გ. ფანჯ., 10). 13. ნუთუ ცხოვრებაში ადგილი რომ იპოვო, ან იონასავით უტვინო უნდა იყო, ან ზოგიერთივით უსინდისო (ნ. ონაშ., 112). 14. ხან სალომე მივიჩნიე თემის რჩეულად, ხან იმის მეგობარი ლოლა, ხანაც იდუმალი სიხარულით ჩემი თავი ვივარაუდე (ნ. ონაშ., 59). 15. კავკასიონის თავზე ლეგა ღრუბლები სეირნობდნენ, ხან გაიწელებოდნენ, ხან შეიკუმშებოდნენ (გ. ფანჯ., 94). 16. ლევანი ხან წინ იყურებოდა, ხან ამხანაგს აკვირდებოდა (გ. ფანჯ., 178). 17. მე ან მის ჭენებას შევცქეროდი, ან შორიახლოს მივსდევდი (თ. ბიბ., 94). 18. ის ან მონასტრის ჭიშკარს ეცემოდა და გარეთ გავარდებოდა, ან გალავნის სათოფურს შეეყუდებოდა (თ. ბიბ., 51). 19. მას ხან ყალბად მომღიმარი მაიორი ელანდებოდა, ხან ძმის სახელის ხსენებაზე ყბამოქცეული პეტრე, ხან სიტყვის ბანზე ამგდები ზოსიმე მღვდელი, ხან წინსაფრის ქვეშ ხელებდამალული ანა

(ო. ჭილ., II, 140). 20. ის ხან წინ გამისწრებდა, ხან გვერდიდან მო-მიელიდა, ხან მორჩილად მომყვებოდა (ნ. ონაშ., 191). 21. სხვამ თუნდ დაიჯეროს, თუნდ არ დაიჯეროს და წავიდეს (ნ. ონაშ., 3). 22. კვიცი ჭიხვინებს და ხტის, ხან ტორებზე დგება, ხან წიხლს ისვრის (გ. რობაქ., 268). 23. ან ცხენს რაღა პკლავ, ან თავსა, რად იარები უკლოდა? (ვაჟა, 170). 24. ხან ერთმანეთს ტიროდნენ, ხან თურმე მიიურავს, ხან ხელოსნებს, მზარეულებს, ხან ვის და ხან ვის (აკაკი, 108). 25. ის ხან საწოლს დასჩერე-ბოდა, ხან კედელს ათვალიერებდა (გ. ფანჯ., 41). 26. გული ხან ძალზედ და აჩქარებით დაუწყებდა დაგიდუგს, ხან ერთბაშად შესდგებოდა (ა. ყაზბ., 214). 27. თოვლით გადათეთრებული უბ-ნის ხან ერთ მხარეს გამოჩნდებოდნენ ხოლმე სატირალში ჯგუფ-ჯგუფად მიმავალი შავებში გამოწყობილი ქალები და კაცები, ხან მეორე მხარეს (გ. ფანჯ., 78). 28. გზა ხან ლარივით სწორად გაიჭიმებოდა, ხან მწვანედ დაბურულ მოსახვევში გაუჩინარდებოდა (ნ. ონაშ., 94). 29. ის მალულ მზერას აპარე-ბდა ხან ჩემსკენ, ხან იმ ქალიშვილებისაკენ (ნ. ონაშ., 39). 30. შუა ძილშიც შეგაკრთობდა ან ფეხის ფრატუნით სენაკის წინ გავ-ლილი ვინმე, ან ჩურჩული, ან წუთის წინ ქურდულად გახუ-რული სენაკის კარი (თ. ბიბ., 53). 31. ან ახალს წერდა, ან დაწ-ერილ მასალას ათეთრებდა, ან რედაქციაში მიჰქონდა ხელ-ნაწერები (კ. ყმა, 177). 32. შამფურზე ვაშლი ან ხახვი იყო წა-მოგებული (ი. გრიშ., 21). 33. ჩვენ ხან მეტსაც ვჭამდით, ხან მშიერიც ვიყავით, ხან ასე და ხან ისე (აკაკი, 129). 34. აქა-იქ დასეირნობდნენ ქალები და ხან ერთ მაგიდას მიუსხდებოდნენ, ხან მეორეს, ხან რას მოითხოვდნენ, ხან რას (ა. ყაზბ., 198). 35. მი-დიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მძიმედ, ხველებ-ხველებ-ით, ხან ამას დაუძახებდა სიცოცხლესა და გამარჯვებას, ხან იმას (რ. ინან., 20). 36. საზიარო ძროხასავით ხან ერთთან იყო და ხან მეორესთან (გ. ფანჯ., 82). 37. ის ბიჭი თვალაუღებლივ კითხულობდა, ხან ჩაიცინებდა, ხან ისევ გაუცინებლივ დასც-ქეროდა მუხლებზე გადაშლილ ნაწერს (ილია, 373). 38. ისინი ხან შეიყრებოდნენ, ხან გაიყრებოდნენ, ხან ერთმანეთს დაედევნებოდნენ, ხან უმწეოდ ეკვროდნენ მიწას (ნ. ონაშ., 150). 39. ნათელი სიცხადით ცოცხლდებოდა ხან ერთი სურათი, ხან მეორე (ნ. ონაშ., 123). 40. მოგვიტანდა ხან ხავიწს, ხან

ხაჭო-ერბოს (კ. ყმა, 300). 41. ხან ღონდება ნაზ ქალსავით უიმედო სიყვარულით, ხან იფეთქებს ჭაბუკსავით და განდევნის სევდას გულით (ილია, 64). 42. იგი ხან გიორგაძეს მისჩერებოდა, ხან კაბინეტს ათვალიერებდა (გ. ფანჯ., 190). 43. ბიჭები ამბობდნენ ხან შაირებს, ხან ანდაზებს, ხან გამოცანებს (აკაკი, 129). 44. ხან ყმაწვილი ხარ, ხან ბერი, თავის ბედს არა სტირია (ვაჟა, 61). 45. იგი ერთს ადგილზე ვერ ისვენებდა, ხან სვეტს მიეყრდნობოდა, ხან მოაჯირს (ნ. ონაშ., 72). 46. სიყვარულიანი ღიმილით ვუცქერდით ხან მას, ხან ერთმანეთს (ნ. ონაშ., 170). 47. რა პირით პნახავთ ხევსურეთს, ან საიქიოს პაპებსა (ვაჟა, 74). 48. ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა (ილია, 119). 49. სტუმრებთან იშვიათად გადიოდა ხოლმე, თავის კაბინეტს მიაშურებდა, ან იძინებდა (გ. ფანჯ., II, 93). 50. ის ხან ლადო იყო, ხან სოლომონ მესამე, ხან უდანაშაულო კატორღელი, ხან ნაღალატევი, უგვირგვინოდ დარჩენილი მეფე (ო. ჭილ., II, 392). 51. ისინი ხან გუთანს გადმოდგამდნენ ბანზე, ხან კი ჯარას (ო. ჭილ., I, 30). 52. ჩაცმა-დახურვით ვაჟა უბრალოდ იცვამდა, ტანზე ჩოხა-ახალუხს იცვამდა, ფეხებზე ხან ყელიან ჩუსტებს, ხან ჩექმებს ატარებდა (კ. ყმა, 324). 53. ხან ერთ ტაქსს აუწევდა ხელს, ხან მეორეს (ნ. ონაშ., 124). 54. არჩიბალდ ხან მატასის უცქერს და ხან მტევნებს (გ. რობაქ., 158). 55. ეს გრძელწვერა ჭაღარა კაცი დატრიალდა სცენაზე, ხან ხტის, ხან ვითომ ნამგალს იქნევს და მკის ყანას (მოგ. აკ., 119). 56. ხან ლექსს წაგვიკითხავდა, ან ჩვენ გვათქმევინებდა, ხან სიცილით დაგვხოცავდა რისიმე მოყოლით, ხან, პირიქით, დაცინვით რომელიმე ჩვენგანს კიდეც აატირებდა ხოლმე, ხან რაიმე დაუვიწყარი მოგონებით გაგვიტაცებდა და თითონაც აგვყვებოდა ამ გატაცებაში (მოგ. აკ., 339). 57. ვისაც ჩვენი გაყოფა და გათიშვა სწყურია, ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე (მ. ლებ., 241). 58. ბილიკზე ჩამოვარდნილ ქვას ან ჩამონაშალ ღორღს ქვევით ჰყრიდა (ო. იოს., 158). 59. ვინც ამას არა სჭამს, ან დღე მოკვდება, ან ღამე (თ. სახ., 201). 60. ერთი ასეთი სხივი თემოს ხან თვალებში გაუელვებდა, ხან გამხდარ ყბებზე ეცემოდა, ხანაც მკერდში უძერებოდა (ნ. ონაშ., 8). 61. თამაზ იაშვილი პროფესორს ხან სახეში შესჩერებოდა, ხან მსუქან, კოტიტა თითებზე აკვირდებოდა (გ. ფანჯ., 526). 62. ამ

კოხტად მოხატული ასოებიდან მე ჩამესმის ხან ურვა კაცთა მოდგმის ცოდვათა გამო, ხან ნუგეში და სალმობა (თ. ბიბ., 47). 63. ის ან უფრო მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდა, ან ქვევით თავისიანებთან დაბრუნდა (ო. იოს., 46). 64. ადგებოდა, ხან ერთ კედელს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს (კ. ყმა, 301). 65. ან ჩუმად უნდა მეთქვა, ან დამეყვირა მისი სახელი (ო. ჭილ., II, 427). 66. აქ არ იყო ორატორული სიტყვის ამაღლების ან დადაბლების მომენტები (მოგ. აკ., 23). 67. ჩვენ გიყურებდით ხან მოკრძალებით და ხან გკოცნიდით ამხანაგურად (პ. იაშე., 10). 68. ხან სად გადასცა, ხან სად გადმოსცა (თ. სახ., 902). 69. თამაზი დაფიქრებული იჯდა,ხან ნატას მისჩერებოდა, ხან ოთარს (გ. ფანჯ., 483). 70. ის ხან მე მიყურებდა, ხან ნიკოს (ნ. ონაშ., 90). 71. ჩვენ ან წიგნებს ვუსხედით, ან სულგანაბული ვუსმენდით მამაჩემის მიერ წაკითხულ მოთხრობას (კ. ყმა, 247). 72. მოტოროლები მოსწყდება ვაკეს, მოტოროლები გასცდება ბაგებს, ან მიაშურებს წყნეთსა და კიკეთს, ან მიაშურებს ქოროღლის ციხეს (მ. ლებ., 481). 73. მოჰქონდათ ხან რძე, ხან წყალი და გვაყლაპებდნენ (კ. ყმა, 229). 74. თითქოს პირველად ვიგებ შენს სახელს, ან ვეთხოვები საყვარელ ცხედარს (ო. ჭილ., I, 578). 75. არ მახსოვს როდისმე გამეცდინოს გაკვეთილები ან დაგვიანებით მივსულიყავი სასწავლებელში (მოგ. აკ., 66). 76. ხან მღვრიე მაჭარს ვსვამ მრგვალი ჭიქით, ხან ვგავარ სოფლის მკერდსავსე გოგოს (პ. იაშვ., 131). 77. თანამშრომლები ხან მე მიცქერდნენ, ხან მას, ხან ერთმანეთს (ნ. ონაშ., 66). 78. ისინი ესროდნენ თოფს ნიშანში, ან ისხდნენ ფშაველებსა და ხევსურებთან ერთად (კ. ყმა, 242). 79. ვაჟი ტყვიას ჰკრავდეს ვაცებს, ან მგელს უჯდეს საფარში (პ. იაშვ., 228). 80. ზღვისა და მიწის და ცის მპყრობელი, უცნაურია სული ბინების, ხან თუ ბავშვივით გვედიდგულება, ხან გვეხმარება, როგორც მშობელი (ო. ჭილ., II, 507). 81. ანთებულ თვალებს ხან მე მომაპყრობდა, ხან თემოს (ნ. ონაშ., 110). 82. იჩქარა, უნდა გადაერბინა ის ხუთიოდე ნაბიჯი, ან ხოხვით წამოსულიყო (ო. იოს., 65). 83. და ვცხოვრობ ასე — ვნადირობ ღლისით ან ყვავილიან სათიბებს ვთიბავ (მ. ლებ., 96). 84. ის ხან მე მიცქერდა, ხან სავარძლის ზურგზე აყუდებულ ნახატს (ნ. ონაშ., 47). 85. მთელი სოფელი სერი-სერ გამწკრივებულა, კუბო ხან მოჩანს, ხან

ჭალაში ჩაიკარგება (მ. ლებ., 547). 86. სკამზე ან ავადმყოფები ან მათი მნახველები ისხდნენ (გ. ფანჯ., 301). 87. მე ხან პაპის წვერს ვუმზერ, ხან შენ გიმზერ, ჩიჩილაკს (ლ. ასათ., 80). 88. მოხუცი მამაკაცები ჩამომსხდარან დინჯად და ბჭობენ რაღაცაზე, ან იგონებენ აფხუშოზე დაცემული მტრების გაძევების ამბებს (კ. ყმა, 242). 89. ის თეძოებით ზვინს ეკვრის, ხან ერთით, ხან მეორით (გ. რობაქ., 294). 90. გაზეთს ართმევენ სტუდენტებს და ხან აღმა ატრიალებენ, ხან დაღმა (გ. რობაქ., 283). 91. ცა ხან ლურჯ, უსაზღვრო უდაბნოს ჰგავდა, ხან თოვლით დაფარულ მთებს, ხან საქარავნო გზად გადაიქცეოდა (თ. ბიბ., 397). 92. ბაბალე ხან სასაფლაოსკენ გააპარებდა მზერას, ხან თავს უმწეოდ ჩაჰკიდებდა (ნ. ონაშ., 220). 93. ფიქრის მორევიდან ხან გადამტვრეული ღობე ამოტივტივდებოდა, ხან უჭირისუფლო მკვდარი, ხან დიდი ხნის წინ წასული ქმრის მოღუშული სახე, ხან მეზობლის ქოქოლა (ნ. ონაშ., 221). 94. სოფელმა ვერ გაიგო სად წავიდა ან ჭაბუკი, ან მისი დედ-მამა (თ. ბიბ., 129). 95. ან ცვლის უფროსები ან მეფოლადეები დაუჭერდნენ ამ წინადადებას მხარს (გ. ფანჯ., 315). 96. ყოველივე წვრილმანს ისე განიცდიდა, თითქოს მომსწრე ან დამსწრე ყოფილიყოს ამ ზღაპრული ეპოპეის (ი. გრიშ., 80). 97. ხან ერთს აეტმასნებოდა აზლუქუნებული ფრიქსე და ხან მეორეს (ო. ჭილ., I, 139). 98. ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა (ილია, 680). 99. ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა, ხან შური, მტრობა, ერთიერთ ლალვა სთხრიდა კიდეთა (ილია, 119). 100. ქალი ხან ტიროდა, ხან იცინოდა, ხან ნაზად მოალერსე, ზედ შემღნობს ტკბილს შაქრად იქცეოდა, ხან გამძვინვარებულ, პირგამეხებულ ვეფხვად (ა. ყაზბ., 37). 101. იგი ყოველწლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთს კუთხეს საქართველოსა, ხან — მეორეს, ხან — მესამეს (მოგ. აკ., 308). 102. ან ნატასავით შეუპოვრად უნდა გვეცურა, ან უკან დაგვეხია (ო. იოს., 258). 103. იქნებ ეს წამლები მაქსიმალურად გაზრდის ორგანიზმის ბრძოლის უნარს და გააორმაგებს ან გაასამმაგებს კიდეც ავადმყოფის სიცოცხლის ხანგრძლივობას (გ. ფანჯ., 642). 104. მხოლოდ დროდადრო თუ ეტყოდა მეგობარს, ახლა ეს მდინარე ან ეს ქედი გამოჩნდებაო (გ. ფანჯ., 673). 105. ვამეხ ხან ერთს აიყვანს ხელში, ხან მეო-

რეს, ხან მესამეს (გ. რობაქ., 146). 106. იბორგე, ზღვაო, ხან დაწყნარდი, ხან ივაგლახე (ნ. სამად., 66). 107. არავის გამოუშვებდა ოთახიდან, თუ ან ზურგს არ აკერევინებდა იატაკზედ, ან მუშტს არ უთავაზებდა გვერდებში (კ. ყმა, 157). 108. ბიჭი კი ან იქვე უნდა მჯდარიყო და დიდი, გაყვითლებული წიგნი ეკითხა, ან სადმე მინდორში გასულიყო, მკლავები თავქვეშ ამოედო და ღრუბლებისთვის ეცქირა (თ. ბიბ., 466). 109. ქალი სურათს ხან წარმოუთქმელი გრძნობით შეჰყურებდა, ხან გამეღგრებულ ქარიშხალივით დაჰქროდა (ა. ყაზბ., 37). 110. ის თამაშობდა დოსტოევსკის მიშკინს, ან ლექსებს კითხულობდა რუსეთზე რუსი პოეტებისას (გ. რობაქ., 337).

§ 62. *მაპირისპირებელკავშირიანი.* 1. ბევრი დავკარგე, ბევრს ვკარგავ, მაგრამ ბნელ უფსკრულებში ცქერას ვეჩვევი (ო. ჭილ., I, 562). 2. იმავე თანასოფლელების მსგავსად ოხუნჯობის ხასიათზე კი არ უნდა დამდგარიყო მის დანახვაზე, არამედ მისი გულისთვის განსაცდელში თავის ჩაგდების სურვილი უნდა გასჩენოდა (ო. ჭილ., II, 47). 3. ერთბაშად ვერ გაიხსენა იმ მხატვრის გვარი, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრისათვის არ ეცალა (გ. ფანჯ., 271). 4. გაკრული ხელით დაწერილ სტრიქონებს მაინც დაჟინებით დასჩერებოდა, მაგრამ წერილს უკვე აღარ კითხულობდა (გ. ფანჯ., 616). 5. კარი მოხურა, მაგრამ მაშინვე ისევ გამოაღო, დიდი სათვალის მინებში არეკლილი ორი ციმციმა შუქი გამოანათა და ძალიან თბილად თქვა (ნ. ონაშ., 232). 6. გულდაწყვეტილი შემოვბრუნდი, ჩაქუჩი და საჭრეთელი ავიღე, მაგრამ ხელები ვერც ახლა დაეიმორჩილე (ნ. ონაშ., 36). 7. ხევში მობუბუნებდა მდინარე, მაგრამ მთების სათქმელს არ ამბობდა (ო. იოს., 159). 8. მარცხენა ხელით თავდაღმა დაიჭირა, მარჯვენათი კი უხმაუროდ დაუშვა შემართული ჩახმახი (ო. იოს., 159). 9. ვაჟა თუმცა ამაყი იყო, მაგრამ თავის გამოჩენა არ უყვარდა (კ. ყმა, 322). 10. ლუკა სხეას არ წაჰგლეჯდა, ხოლო თავისას არავის შეარჩენდა (კ. ყმა, 283). 11. გიორგი ერთი დღე კიდევ მიჰყვა ურმის ქარავანს, მაგრამ გამობრუნება ადრევე გადაეწყვიტა (ო. ჭილ., II, 132). 12. შვილი ამხანაგად კი არ წამოიყვანა, არამედ მოწმედ (ო.

ჭილ., II, 225). 13. გამომშვიდობების ნიშნად ასწია ხელი, თამაზს კი ვეღარ ხედავდა (გ. ფანჯ., 615). 14. ნათურები ისევ ენთო, მაგრამ დილის შუქზე უკვე გაფერმკრთალებულიყვნენ (გ. ფანჯ., 666). 15. ისინი ერთად იკრიბებიან, მხიარულობენ, ხმამაღლა იცინიან, ზოგჯერ ღვინოსაც კი სვამენ (ნ. ონაშ., 195). 16. წიგნს კი დასჩერებოდა, მაგრამ არ კითხულობდა (ნ. ონაშ., 79). 17. განთიადზე სიბნელე მოიცილეს, მაგრამ გულისწყრომა ვერ დაიცხრეს და პირქუში ჯანღი მოიხვიეს (ო. იოს., 73). 18. მერე დაავლეს ხელი და წამოყენება დაუპირეს, მაგრამ მოწყვეტილი ვაჟკაცი ვერ ზიდეს (ო. იოს., 15). 19. უცხო კაცმა გაზეთის ნაგლეჯში პაპიროსს დაუწყო მოხვევა, ხოლო ქისა ჯიღაურს გაუწოდა (თ. ბიბ., 381). 20. გულისყურით უსმენდა სტუმარს, მაგრამ კარგად ვერც გარკვეულიყო საქმის ვითარებაში (ო. ჭილ., II, 261). 21. მე ემალავ, მაგრამ ჯერ კიდევ ვღელავ, მე მტკივა, მაგრამ ვეჩვევი ტკივილს (ო. ჭილ., II, 448). 22. ეს ოთარმა კარგად იცოდა, მაგრამ ყოველ სართულზე ჩერდებოდა (გ. ფანჯ., 602). 23. ამხანაგები დასცინოდნენ, მაგრამ მის ენერგიას პატივს სცემდნენ (გ. ფანჯ., 175). 24. უნებურად დავჯექი, მისი მოწოდებული კალამი მოვიმარჯვე, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ დავწერე (ნ. ონაშ., 59). 25. თემომ ძია სერგოს ლოყაზე აკოცა, დეიდა ელენეს თავი დაუკრა, მე კი ხელის მოქნევით თმა შუბლზე ჩამომიფანტა (ნ. ონაშ., 71). 26. შტუტეს მუხლები აუკანკალდა, უხმაუროდ გადმოდგა ნაბიჯი, მაგრამ ჩაიკეცა (ო. იოს., 125). 27. ისევ ცხენებით უნდა გავბრუნდეთ, თორემ ვერც ერთს ცოცხალს ვერ მივუსწრებთ (ო. იოს., 13). 28. მამა ეხმარებოდა გაჭირვებულებს, ხოლო ზარმაცი, გაურჯელი ადამიანი ძალიან ეჯავრებოდა (კ. ყმა, 231). 29. მეც უნდა დროზე მეგრძნო ხიფათი, მაგრამ ხიფათზე სულ არ ვფიქრობდი (ო. ჭილ., II, 500). 30. ჩვენ მოვდიოდით, მაგრამ ხვალისთვის დასაბრუნებელ გზას ვიტოვებდით (ო. ჭილ., II, 536). 31. თითქმის ხუთი წუთი იტრიალა ეზოსთან, მაგრამ შორიდან ვერაფერი შეამჩნია (გ. ფანჯ., 103). 32. ბევრი ქვეყანა მომივლია, მაგრამ ქართველებისთანა ლამაზი და სიტყვაპასუხიანი ხალხი არსად მინახია (გ. ფანჯ., 24). 33. ამ დილას დიდხანს ვიყოყმანე, მაგრამ ბოლოს მაინც ავდექი და წავედი (ნ. ონაშ., 6). 34. მაგიდაზე გამოსახულ სინათლის წრეს

მისჩერებოდა, მაგრამ მგონი ვერც კი ამჩნევდა (ნ. ონაშ., 57). 35. ჩაილაპარაკა თუთარმა, უფრო მკაცრად კი უნდოდა ეთქვა (ო. იოს., 97). 36. ჯილაურს ფიქრისა ეშინოდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა (თ. ბიბ., 468). 37. ახმეტელმა ბილეთი ვერ იშოვა, მაგრამ ეს სანატრელი სურვილი მაინც შემისრულა (კ. ყმა, 28). 38. ის კი არ იწვა სამარის ფსკერზე, არამედ იდგა და მეზარადში პურის ნარჩენებს უფშხენიდა თევზებს (ო. ჭილ., II, 498). 39. მერე თანდათან შეგვეჩვივნენ, მაგრამ უმცროსების მხარეს იჭერდნენ (გ. ფანჯ., 64). 40. ელიზბარს ახალი ინჟინრის წარმატება მაინც უხაროდა, მაგრამ ამ სიხარულს სრულებით არ იმჩნევდა (გ. ფანჯ., 259). 41. რეცენზიას ხელი მოვაწერე, ავტოკალამი კი გულის ჯიბეში ჩავიდე (ნ. ონაშ., 48). 42. ღვინო შინ მაინც დალიე, თორემ აქ მოწმესავით იჯექი (ნ. ონაშ., 143). 43. ჯარისკაცი დაიხარა, მაგრამ უფროსის ნებართვას დაუცადა (ო. იოს., 8). 44. ხოხბები ყურს უგდებდნენ, მაგრამ ლაპარაკით არ ელაპარაკებოდნენ (ვაჟა, 294). 45. ბიჭი კი ცახცახებდა და გაუბედავად, მაგრამ შეუპოვრად ამოდიოდა გალავანზე (თ. ბიბ., 141). 46. მას ლევანის საქციელი არ მოსწონდა, მაგრამ გულის სიღრმეში სიამოვნებდა მისი სითამამე (გ. ფანჯ., 231). 47. ლექციას მაინც დავესწარით, მაგრამ პროფესორის ლაპარაკიდან ბევრი ვერაფერი გავიგეთ (გ. ფანჯ., 225). 48. მწვანე აბაჟურიანმა ნათურამ მაგიდაზე ნათელი წრე მოხაზა, ოთახს კი აბაჟურიდან გამომკრთალი მქრქალი შუქი მოჰფინა (ნ. ონაშ., 56). 49. სათითაოდ გავიხსენე ჩვენი ყველა საერთო ნაცნობი ქალი, მაგრამ გუმანი ვერცერთზე შევაჩერე (ნ. ონაშ., 59). 50. თოფის კონდახი ბეჭზე მაგრად მიიბჯინა, სუნთქვა შეიკრა, ქვად იქცა და ცხენს დაუმიზნა, მაგარმ არ უსვრია (ო. იოს., 47). 51. ჩვენ გვესმოდა არა მარტო სიტყვები, არამედ მკაფიოდ გამოთქმული მარცვალ-ბგერებიც (კ. ყმა, 62). 52. სიცილი გამოიწვია არა პიესის ვითარებამ ან მსახიობთა შესრულებამ, არამედ ჩვენმა დაუკვირვებლობამ (მოგ. აკ., 117). 53. ნოდარ ერგაძე მეგობრებს ნიჭით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ იგი მოწოდებით ნამდვილი ინჟინერი იყო (გ. ფანჯ., 204). 54. ეს არ ნიშნავდა მხოლოდ გამოსვლას, მხოლოდ და მხოლოდ ადგილის შეცვლას, არამედ ქარსაც და საღამოსაც და ნათურებში ჩამწყვდეულ ცეცხლსაც (ო. ჭილ., II, 535). 55. ნიკომ ქალიშ-

ვილებს ხმადაბლა, მაგრამ მკაცრად უსაყვედურა (ნ. ონაშ., 41). 56. ორი ნაბიჯით გადმოჭრა ეზო, ძია სერგოს აკოცა, მე კი მანქანის გასაღებები დამიჩხრიალა (ნ. ონაშ., 91). 57. თუთარი მაშინვე დაემხო, მაგრამ ახლა ვინმესი არ ეშინოდა (ო. იოს., 57). 58. კარგა ხანს ვისხედით, მაგრამ ამაოდ ველოდებოდით ნადირის გამოსვლას (კ. ყმა, 268). 59. მას შესანიშნავად ესმოდა საკუთარი ნიჭის ძალა, მაგრამ არასოდეს ყოყოჩურად არ გამოუხატავს ეს თვალსაზრისი (კ. ყმა, 354). 60. ჩვენი მეგზური თუმცა ესპანელია, მაგრამ კარგად იცის ბასკური სიმღერები (შ. ძიძ., 28). 61. კაცი ჯერ ისევ მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ უკვე მუხლებზე იდგა (ო. ჭილ., II, 360). 62. ოთარი მაგდას მისჩერებოდა, მაგრამ თითქოს ვერც კი ამჩნევდა (გ. ფანჯ., 616). 63. ლევანი ლუდის სმას ერიდებოდა, ღვინოს კი კარგად იტანდა (გ. ფანჯ., 260). 64. ახლავე უნდა გავცლოდი აქაურობას, მაგრამ შემეშინდა (ნ. ონაშ., 9). 65. ვეცადე, მაგრამ ვერ დავიოკე ლაპარაკის უჩვეულო სურვილი (ნ. ონაშ., 115). 66. თაჯიმ კარგად გაიგონა, მაგრამ ყურებს არ დაუჯერა (ო. იოს., 109). 67. მცირე ცოდვაზე თვალი დაუხუჭავს, მაგრამ დიდი ცოდვა არავისთვის უპატიებია (თ. ბიბ., 12). 68. მართალია, გორში მე არ ვსწავლობდი, მაგრამ არდადეგებზე და საერთოდ თავისუფალ დროს აქ მოვდიოდი (კ. ყმა, 52). 69. მხოლოდ მაშინ შეამჩნია პეტრეს ეს, მაგრამ სრულებითაც აღარ გაჰკვირვებია, არც სწყენია (ო. ჭილ., II, 362). 70. ოთარ ნიქარაძე ცაცია იყო, მაგრამ მარჯვენა ხელსაც კარგად ხმარობდა (გ. ფანჯ., 563). 71. ლევანს სიყვარულით არც დანარჩენები უყვარდა, მაგრამ მათ მეგობრულად პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა (გ. ფანჯ., 202). 72. წაიბუტბუტა, მაგრამ თავი მაინც არ აიღო (ნ. ონაშ., 132). 73. კარგახანს ვიჯახირე, მაგრამ აკანკალებული ხელებით გასაღები ვერ მოვარგე ბუდეს (ნ. ონაშ., 164). 74. მტერს შეეძლო წყაროდან ხევში ბაწრებით ჩასულიყო, მაგრამ ხევგალმა ღრმა კედელზე ასვლას კი ვერ მოახერხებდა (ო. იოს., 45). 75. მას მოვლილი ჰქონდა არათუ მთელი საქართველო, ამიერ-კავკასია, რუსეთი, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსაც კარგად იცნობდა (მოგ. აკ., 31). 76. აკაკი არა მარტო სილამაზისა და სიყვარულის მგოსანი იყო, არამედ დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყო-

ფილ ძმათა მეგობარი (მოგ. აკ., 279). 77. მათთვის მთავარი სა-ღორის აფეთქება კი არ იყო, არამედ გულისწყრომის გამო-ხატვა (ო. ჭილ., II, 166). 78. თეთრი პერანგი ჭირის დღესავით ეზარებოდა, ამ ბოლო დროს კი მაინც სულ თეთრ პერანგს იც-ვამდა (გ. ფანჯ., 188). 79. ოთარმა ყველა ფეხბურთელი მაშინვე იცნო, თბილისელთა სახელგანთქმულ კაპიტანს კი თვალი ვერ მოსწყვიტა (გ. ფანჯ., 143). 80. კისერზე მკლავი მომხვია, თავზე კი ნიკაპით დამეყრდნო (ნ. ონაშ., 55). 81. თემო შეკრთა, გაწითლდა, მაგრამ არ შეიმჩნია (ნ. ონაშ., 93). 82. ქალი კარ-გად შეიქნა, მაგრამ ჯერ კიდევ დასუსტებული იყო (ა. ყაზბ., 64). 83. ოთახშიც ვერ ვრჩებოდი მარტო, მერვე წელიწადში გადმომდგარი კი ვიყავი (აკაკი, 128). 84. პეტრეს უნდოდა ეს ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა (ო. ჭილ., I, 304). 85. სმა უყვარდა, მაგრამ ბოლოს იშვიათად სვამდა (გ. ფანჯ., 188). 86. სიბნელეს უკვე შეაჩვია თვალი, მაგრამ კართან მაინც ფრთხილად მი-ვიდა (გ. ფანჯ., 29). 87. საერთო ბინის წინ ასფალტი დავაგოთ, თორემ წარამარა კისერს ვიმტვრევთ (ნ. ონაშ., 196). 88. ეს თვით ვაჟას ოდნავ სევდიანი, მაგრამ მაინც სინათლით სავსე მზერა არის (ნ. ონაშ., 47). 89. მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა, ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა (ილია, 117). 90. ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ არც ერთ ბგერას არ ჰკარგავდა (გ. ფანჯ., 224). 91. იცოდე, არ აჰყვე და უკან არ გამოედევნო, თორემ მერე შენ მოგიწევს მისი დაჭერა (გ. ფანჯ., 149). 92. ჯერ გოგოსთვის არ მიკოცნია, მაგრამ შენ მაინც გაკოცებ (ნ. ონაშ., 102). 93. იქ საეჭვო ფურცლებს ეძებდნენ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს (კ. ყმა, 58). 94. ყოველ საკრავს თითქო თავისი მელოდია მიჰყავს, მაგრამ იმავე დროს ერთგულია საერთო გეზის (გ. რობაქ., 366). 95. ამქრო-ბამ ჩვენ დრომდე მაინც მიაღწია, მაგრამ თავისი პირვანდელი სახე დაჰკარგა (ი. გრიშ., 43). 96. მინდაძეების ხშირი სტუმრები იყვნენ მომღერლები, კალათბურთელები, უმეტესად კი უსაქმური, მოქეიფე ბიჭები (გ. ფანჯ., 194). 97. თავმჯდომარე ბევრს ეცადა, მაგრამ ვერავინ გააჩუმა (ნ. ონაშ., 88). 98. მაშინ ბუნებისგან დაკისრებული მოვალეობის ბრმად შემსრულებელ ჭიად კი არ დარჩება, არამედ პეპლად იქცევა (ო. ჭილ., II, 60). 99. ის შეტოკდა, მაგრამ არ ინდომა თავის მკლავისა ჩემი

ხელიდან გამოცლა (ილია, 412). 100. სვალინდელ დღეზე ვფიქრობდით, მაგრამ ერთმანეთს მაინც არაფერს ვეუბნებოდით (თ. ბიბ., 35).

*§ 63. ერთგვარშემასმენლიანი (გარდაუვალი ზმნით).* 1. ხალხი ყვიროდა, ხმაურობდა, ხარხარებდა, სრულიად თავშეუკავებლად ებღაუჭებოდა ხან ერთ გამვლელ ქალს, ხან მეორეს (ა. ყაზბ., 198). 2. ის ხან ლაშქარში შევარდებოდა, ხან ისევ გამოვარდებოდა (თ. ბიბ., 134). 3. ვაჟას აღტაცებით შეეგებნენ ქალები და გარს შემოეხვივნენ (კ. ყმა, 142). 4. ალბათ, საცაა, არხოტიონნი აიყრებიან, ხატობას წავლენ... (ა. კალანდ., 435). 5. ხან ცხენიდამა სტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა (ილია, 68). 6. თაზიკა ბაბუა სარიდანს ეთამაშება,ხან მუხლებზე დაუვარდება, ხან წვერებში წვდება, ხან ჩიბუხის ტარს ეცემა, ხან ყურში ამოსულ ბალანს ესება (გ. რობაქ., 299). 7. მაშინ კი აღრიალდა, აცხრიალდა, აზრიალდა და აყაყანდა ჭის ბნელი ფსკერი (ო. ჭილ., I, 85). 8. ჯიღაური ადგა და გარეთ გავიდა (თ. ბიბ., 431). 9. მწყემსი წამოდგა, მოხუცთან მივიდა და ცხენზე შეჯდა (თ. ბიბ., 431). 10. ამ მდინარეში გოგო ხან გამოჩნდებოდა, ხან დაიმალებოდა (თ. ბიბ., 58). 11. ის ხან მდინარეს შეერეოდა, ხან იმავე ნაპირზე ყიჟინით მირბოდა (თ. ბიბ., 134). 12. ლილი კი წითლდებოდა და ხან ზაზას მიუბრუნდებოდა, ხან ბუჩქის უკან იმალებოდა (რ. ინან., 9). 13. ის გამობრუნდა, ხან ნელა მოდიოდა, ხან მორბოდა (რ.ინან., 9). 14. ფარნაოზს კავკასიონი ხან წინ აესვეტებოდა, ხან კი ზურგს უკან ემალებოდა (ო. ჭილ., I, 354). 15. დეიდა ელენე ჯერ გაფითრდა და მერე წამოწითლდა (ნ. ონაშ., 69). 16. მაშინვე ატორტმანდა, აქანავდა, დატრიალდა ყველაფერი (ნ. ონაშ., 121). 17. მოსწყდნენ და გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ ფოთლები... ფოთლები... (ა. კალანდ., 209). 18. მე ცოცხალ პოეტს ვერ მოვესწარი და კაკლის რტოებს ვესაუბრები (ლ. ასათ., 18). 19. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, იცლებოდნენ და იტვირთებოდნენ ხომალდები (ო. ჭილ., I, 67). 20. დაილეწა, მოისრა, გაცამტვერდა ყველაფერი (ო. იოს., 165). 21. დედაბერი ხან გაუჩინარდებოდა ხალხის მდინარეში, ხან ისევ გამოჩნდებოდა (თ. ბიბ., 135). 22. ის დედა-

კაცი ხან ლაშქრისაკენ იხედებოდა, ხან გოგოს ეჩხუბებოდა (თ. ბიბ., 136). 23. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, განმარტოვდებოდნენ, შეჯგუფებოდნენ და ისევ დაიშლებოდნენ (თ. ბიბ., 126). 24. უცებ ყველა ახმაურდა, აყვირდა, აქოთქოთდა (ნ. ონაშ., 88). 25. ადუღდა, აჩქეფდა, აბობოქრდა ძარღვებში სისხლი (ნ. ონაშ., 108). 26. ამხელა ქვეყანას ჩვენ ვერ გავწვდებით, ამხელა ქვეყანას ჩვენ ვერ მოვედებით (მ. ლებ., 42). 27. ყველაფერი იზრდება და კვდება (მ. ლებ., 131). 28. უცებ ყველაფერი აქოთქოთდა და აწიოკდა (ო. ჭილ., I, 301). 29. ამ ამბის შემდეგ დამალული ტყუილი უარესად გაიზარდა, გაოთხმაგდა (ო. ჭილ., I, 151). 30. მის დამსხვრეულ ფეხებზე გადაფარებული აურისხელა ტილო კი დღითიდღე ჭრელდებოდა და ლამაზდებოდა (ო. ჭილ., I, 191). 31. ქართველი საზოგადოება შეშფოთდა და ამოძრავდა (კ. ყმა, 224). 32. ახლა ლექსები სულ სხვა ჰანგზე იწერებოდა და იმღერებოდა (ი. გრიშ., 128). 33. და თანდათან მისი სიტყვა შეუპოვრად ჭექავს და ქუხს (აკაკი, 38). 34. მე მივწვდი ბიჭის თავს და შუბლზე ვემთხვიე მას (თ. ბიბ., 277). 35. ბიჭი მაშინვე ბაკში შევიდა, ცხენზე შეჯდა და ეზოდან გავიდა (თ. ბიბ., 395). 36. შვილები მოუთმენლად ელოდებოდნენ დედის დაბრუნებას და დამწყვდეული მგლებივით აწყდებოდნენ კედლებს (ო. ჭილ., I, 196). 37. კეთილ ადამიანებთან ვიცხოვრებ, გახურებული თონის სურნელით დავთვრები, ფეხშიშველი ვივლი ნაწვიმარ ბილიკზე, ღია აივანზე დავიძინებ (ნ. ონაშ., 166). 38. ნისლები ყალყზე შემდგარან, მთათა წვერებზე მოდიან (ა. კალანდ., 414). 39. ხელის სითბოს ქვეშ ყვავილი გაიბურძგნა და გაიშალა (ო. ჭილ., I, 233). 40. კუსა დღედაღამ იღვწოდა, იწვრთნებოდა და ძლიერდებოდა (ო. ჭილ., I, 291). 41. გოგო მუნჯივით მირბოდა, ხან მიწაზე ჩაემხობოდა, ხან ისევ წამოხტებოდა და გარბოდა (თ. ბიბ., 57). 42. ჩამოკონკილი თოჯინა მდინარეში ხან დაიმალებოდა, ხან ჩაიძირებოდა (თ. ბიბ., 141). 43. მზე ჩადის და მდინარის სარკეში იძირება (მ. ლებ., 267). 44. აგერ ერთი ვარსკვლავი თრთის, ცახცახებს, კამკამებს (ა. ყაზბ., 152). 45. უხეიროს ტლანქი ხელით ამოკაწრული თავბრუდამხვევი ვნებისა და სიყვარულის მღაღადებელი წარწერები სატეხის ქვეშ თანდათან იფშხვნებოდნენ, იშლებოდნენ და ქრებოდნენ (ო. ჭილ., I, 247). 46. სოფელი ისევ კოშკებში

შეიხიზნა და გაჩერდა (თ. ბიბ., 395). 47. ჯილაური ადგა და ბარბაცით შინ შეეიდა (თ. ბიბ., 395). 48. მზე კი თანდათან ილეოდა, ქრებოდა, ცოტაეღდებოდა (ნ. ონაშ., 29). 49. აჭარის მთებში ითქორვენ ნისლები და ხიდისთავის მთებში წვებიან (ა. კალანდ., 42). 50. კედელს იქით მეზობლის ქალი შყოთავს, წიალებს დამფრთხალ ჩიტივით (ო. ჭილ., I, 549). 51. ჩემი მეგობარი ჩამოხტა ცსენიდან და სიცილით მოვიდა ჩემთან (თ. ბიბ., 90). 52. ჭიშკარი ხან გაიღებოდა და ხან დაიკეტებოდა (თ. ბიბ., 119). 53. მზე ჩადის და დაღლილი ეთხოვება მთა-ჭალაკებს (მ. ლებ., 530). 54. მიხვალ მაჩაბლის ქუჩით და მოგონებით კრთები (მ. ლებ., 98). 55. მე ველარ მივალ სოფლის წყაროსთან და ვერც თამაშით დავიღლები (პ. იაშვ., 135). 56. ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აყვაედება (აკაკი, 95). 57. ვაჟასადმი სიყვარული უფრო მეტად მიღვიედებოდა, მიასკეცდებოდა (კ. ყმა, 35). 58. მათგან მოშორებით მოიტუზებოდა, მოიპარებოდა მახარაანთ მზია (რ. ინან., 9). 59. მიყვარს გაზაფხული, როდესაც გარშემო ყველაფერი იფურჩქნება, იშლება, ხარობს (მოგ. აკ., 29). 60. ქრება, მიდის და თვალებს შორდება (ლ. ასათ.,). 61. ხალხის ზვირთი კი ამოგორდა მამადავითის მოედანზე, ამოგორდა და თითქოს მხრებში გაიშალა, მორევივით შეტბორდა (მოგ. აკ., 91). 62. ისინი ფეხაკრეფით დადიოდნენ და ერთმანეთს ღიმილით ესალმებოდნენ (გ. ფანჯ., 533). 63. ქალაქის ეს ნაწილი მშვიდად სუნთქავდა, მოძრაობდა, ბრუნავდა (რ. ინან., 70). 64. ბაბუცა მერე ოთახიდან გავიდა, მაგრამ თითქმის მაშინვე შემობრუნდა (ო. ჭილ., II, 192). 65. მარო თანდათან მოახლოვდა, თანდათან გამოიკვეთა, გაიზარდა და მოულოდნელად ზრდაშეწყვეტილი მის წინ გაჩერდა (ო. ჭილ., II, 199). 66. ეზოში ორთვლიანი ეტლი შემოვიდა და ცაცხვების ძირს გაჩერდა (ო. ჭილ., II, 233). 67. ანა ერთი წუთით იძაბებოდა, ერთი წუთით ფსიზლდებოდა, ან ეთიშებოდა მისივე წარმოდგენით შეკოწიწებულ სამყაროს (ო. ჭილ., II, 236). 68. თითქოს მის არსებაში ხელმეორედ იბადებოდა მამა, მის პატარა სხეულში იშლებოდა, იმართებოდა, ინაკვთებოდა მამის ვეება სხეული (ო. ჭილ., II, 60). 69. ყოველდღე იხოცებიან და ყოველდღე იჩეკებიან ახალი ფუტკრები (გ. ფანჯ., 636). 70. ისინი ჩაბნელებულ დერეფანში

შეეიდნენ, ცეცხლის ენებივით ჩუმად ჩაეხვივნენ ერთმანეთს (რ. ინან., 63). 71. დოგი წამოხტება და ყეფით გარეთ გავარდება (გ. რობაქ., 63). 72. მაგრამ ცეკვის შემდეგ კიდევ უფრო ინისლებოდა და კიდევ უფრო ილუშებოდა იგი (გ. რობაქ., 343). 73. გალხობილი ლითონი ისევ იკუმშება, იკვრივება და იბოჭება (გ. რობაქ., 312). 74. როგორ ირევიან ეს საცოდავი ადამიანები, ფუსფუსებენ, გარბიან, გამორბიან, ჩქარობენ (ო. იოს., 174). 75. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დრითა მიმავლობაში იმდენი იკარგება, ფუჭდება და ილუპება (ილია, 613). 76. დღეს ეს ბურჯი, ეს ციხე-სიმაგრე ჩვენის ოჯახისა, ჩვენის ქვეყნისა, მისუსტდა, დადნა, თითქმის გაუქმდა (ილია, 688). 77. ტფილისი დიდის ყოფით მოიკაზმა და მოირთო ჯარის დასახვედრად და მისაღებად (ილია, 709). 78. ის ხშირად მაგიდას დაეყრდნობოდა და ფიქრს მიეცემოდა (კ. ყმა, 379). 79. წაიბორძიკა, წაიფორხილ-წაიბანცა და აზრდაკარგული გაიშხვართა შუაღამეში (ლ. ასათ., 87). 80. როგორც მოსალოდნელი იყო ყველა ჩაკუმშულიყო, ჩაშავებულიყო, შეკუმშულიყო (ა. ყაზბ., 259). 81. დროშა ფრთასავით გაიშალა, აგუგუნდა, ატკაცუნდა (ო. ჭილ., II, 388). 82. გზა ჩქარა მოკლდებოდა და პატარავდებოდა (ო. იოს., 235). 83. ეს ამბავი ჩუმად, თვალთუხილავად ვითარდებოდა და იზრდებოდა (თ. ბიბ., 9). 84. ერთი სიტყვა უცებ გამრავლდა, საფანტივით დაიშალა და სოფელს მოეფინა (თ. ბიბ., 8). 85. წამლის სუნი მთელ სოფელში იდგა და კოშკებს ახრჩოლებული კვამლივით ეფინებოდა (თ. ბიბ., 9). 86. პროფესორი წამოდგა, გაიარ-გამოიარა და მერე ფანჯარასთან მივიდა (გ. ფანჯ., 568). 87. ის წელან თითქოს წამოდგა და გზასაც დაადგა (ო. იოს., 183). 88. ახლოს არ ვეკარები, დავყრუვდი და დავბრმავდი (ო. იოს., 269). 89. ახლა სოფელი უცებ წელში გაიმართა და გაამაყდა (თ. ბიბ., 286). 90. კაცი ნელა გაჰყვა დერეფანს და გამდელის სენაკს მიადგა (თ. ბიბ., 253). 91. ბილიკი ხეობაში ჩავიდა და თვალს მიეფარა (თ. ბიბ., 402). 92. ის ვენახიდან უხმოდ გადავიდა, პატარა, მარად დამშრალ ღელეში გაუჩინარდა, მერე ისევ გამოჩნდა (ო. ჭილ., II, 133). 93. მაშინ განათდა, ახმაურდა, აქოთქოთდა ყველაფერი (რ. ინან., 99). 94. სახმარი ისე იყო მომართული, რომ შიშინი თუ შუილი

საჭირო წამს ხან ამორჩილიყო, ხან კი დამცხრალიყო, ხან აშ-ვავებულიყო, ხან კი დანელებულიყო (გ. რობაქ., 368). 95. ცოტა ხნის შემდეგ ბაჩანა ადგა და მიიმალა სიბნელეში (კ. ყმა, 49). 96. ცხენი ყალყზე შედგა და შემდეგ გააფთრებული წინ გაიჭრა (კ. ყმა, 18). 97. ვერხვი მხოლოდ თავის თავს ელაპარაკებოდა, ესაუბრებოდა (ვაჟა, 290). 98. ქალი მთლად დაიბნა და გაფი-თრდა (ა. ყაზბ., 60). 99. მარტო ბექა დარჩა ადგილზე და თავდ-ახრილი იჯდა (ნ. ლონაშ., 107). 100. ის უმალ მოილუშა, აწრი-ალდა, აფორიაქდა, მოაჯირზე გადაწვა (ნ. ლონაშ., 91). 101. ის იყო პირველი აჩრდილიც გამოჩნდა და კლდეს აეკრა (ო. იოს., 50). 102. აუდიტორია ერთბაშად შეკრთა და გაიყინა (გ. ფანჯ., 496). 103. ლევანი ფეხზე წამოდგა და ოთახიდან გავიდა (გ. ფანჯ., 351). 104. გადმოფრინდა ქედანი, მივიდა ბულბულთან ახლო, ეხვეოდა (ვაჟა, 316). 105. ირემი მოვარდა გაჩქარებით და დაეწაფა ჩემს წმინდა წყალს (ვაჟა, 258). 106. ახლა სოფელი უცებ წელში გაიმართა და გაამაყდა (თ. ბიბ., 286). 107. ის კი გამოვიდა გალავნის თავზე და უმძრახად დაადგა სოფელს (თ. ბიბ., 313). 108. ხმლიან მტერს ჩვენ გავუძლებთ და გადავრჩე-ბით (ილია, აზრ., 17). 109. ის გაწითლდა, აპილპილდა, გაბრაზ-და, ადგა და ისევ დაჯდა (ნ. ლონაშ., 241). 110. ბერიკაცი მოტრი-ალდა და გზას დაადგა (თ. ბიბ., 332). 111. გუთანი ძლივს მიი-წევდა აღმართში, ქვებსა და კლერტა ბალახებს ედებოდა, ბორგავდა და ოფლად იღვრებოდა (თ. ბიბ., 363). 112. კოშკები უფრო რუხდებიან და ჩამოწოლილ ბინდში იძირებიან (თ. ბიბ., 157). 113. ყოველ წამს რაღაც ხდებოდა, იბადებოდა ან კვდე-ბოდა, ყვაოდა ან იხრწნებოდა, იკურნებოდა ან ავადდებოდა (ო. ჭილ.,II, 113). 114. დამწვარი ნავთის სუნით იქლინთებოდა, უარესად ითენთებოდა და იოფლებოდა კარავში ჩახუთული ჰაერი (ო. ჭილ., II, 90). 115. მიწაც აიბურძგნა, აიტალღა (ო. ჭილ., II, 119). 116. თამაზი ყოველ მათგანს ეალერსებოდა, ეფერე-ბოდა (გ. ფანჯ., 425). 117. ის ახლა კუპრის შხეფივით ჩამოწუწუ-ლიყო კედელზე, ჩამოღვენთილიყო, ჩამოთითხნილიყო (ო. ჭილ., II, 21). 118. ძაღლი უხალისოდ წამოიზლაზნა და ბუნძუ-ლით გაეცალა იქაურობას (ო. ჭილ., II, 85). 119. ამ დროს მიწა იძვროდა და უთანასწოროდ იბზარებოდა, იპობოდა (ო. ჭილ., II, 98). 120. ის აქ გაჩენილიყო, გაზრდილიყო და დაბერებულიყო

კიდეც (ო. ჭილ., I, 15). 121. დედაკაცი კამეჩებს წინ გადაუდგა და უღელს აეფარა (თ. ბიბ., 441). 122. აუდიტორია ერთბაშად შეკრთა და გაიყინა (გ. ფანჯ., 496). 123. ამ აზრს ისინი თანდათან შეეჩვეოდნენ და ბოლოს შეეგუებოდნენ (გ. ფანჯ., 527). 124. წუთნი იღვწიან, მწვერვალებზე ხვნეშით ადიან (ი. ჯოლბ., 58). 125. ღრუბელი კრთებოდა, წყდებოდა, იკუმშებოდა შეგროვილი ერთს ადგილს (ა. ყაზბ., 261).

*§ 64. ერთგვარ შემასმენლიანი (გარდამავალი ზმნით).* 1. სარდლის რჩევით მაშხალები აანთეს, აქლემ-სპილო ცეცხლის ალით დააფრთხეს (ა. კალანდ., 262). 2. სოფელმა გამოირეკა საქონელი, გაავსო ხურჯინი, გამოიტანა აკვანი, შეფუთნა ბალღები, შეკრა ლოგინი და დაახვია ხალიჩა (თ. ბიბ., 331). 3. ის ბერთა ულიმღამო ყოფნას აამღვრევდა და მდინარესავით ხან კალაპოტს შეუცვლიდა, ხან ისევ ძველში მიუშვებდა (თ. ბიბ., 49). 4. ქარისას ძაძა გაეხადა, თმა მაღლა აევარცხნა და კინკრიხოზე ზვინივით დაედგა (ო. ჭილ., I, 87). 5. ერთი სალეიბე ბალახი ქალუკამაც მოაგროვა, მზეზე გააღუნღულა და ზედ თავისი შვილიშვილი დააგორა (ო. ჭილ., I, 243). 6. თმაზე ხელი გადაისვა, პერანგი შეისწორა და ზარს ხელი დააჭირა (გ. ფანჯ., 602). 7. ლუკამ მომიწონა სიმარდე, თავზე ხელი გადამისვა, ხმალი გამომიწოდა და მითხრა (კ. ყმა, 161). 8. თამარმა სათვალე მოიხსნა, ბატისტის ქათქათა ცხვირსახოცით გაწმინდა, მერე ისევ გაიკეთა (ნ. ონაშ., 80). 9. აღვირი ლოდს მოახვია, ბაბუამისის სანადირო ლულახაზიანი ტახტზე ჩამოკიდა, კარაბინი მხარიღლივ მოიგდო (ო. იოს., 43). 10. მეფემ დარბაზი გამართა, შაჰ-აბაზის მოწერილი წიგნი წაიკითხა და რჩევა ჰკითხა დიდებულებს (აკაკი, 219). 11. ვაქა ბალახსა და ფოთლებს გარშემო იბურაედა და ყნოსავდა თურმე (კ. ყმა., 187). 12. ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი (ილია, აზრ., 17). 13. ის ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა (ილია, აზრ., 33). 14. ფხალს ჰკეპდნენ ვახშმად, ღვინოს სვამდნენ წყალსავით სუფთას (მ. ლებ., 87). 15. ლაზის ოჯახი არ გააწბილო და არ ჩააქრო ცეცხლი კერაზე (ლ. ასათ., 103). 16. ხან

ვთიბ, ხან ვმკი, ხან ვთოხნი მუშაკი დაუცხრომელი (ვაჟა, 81). 17. დედაკაცმა ზანდუკი გახსნა, მატყლის ფთილები ამოიღო, ბუხრის გვერდით კუთხეში მიგდებული საჩეჩელი მოძებნა და ჩეჩვა დაიწყო (თ. ბიბ., 421). 18. მექორწილენი მაყრიონს აქეზებდნენ, ამხნევებდნენ, ჩაცმულობას უქებდნენ (თ. ბიბ., 134). 19. თითებში ჩამჩრის ქანჯიან კალამს და წინ გაძენძილს დამიდებს ფურცელს (ო. ჭილ., I, 563). 20. მათ ქალაქებით დაამძიმეს მიწის სხეული და უამრავი „ჩუქურთმებით“ მორთეს კედლები (ო. ჭილ., I, 590). 21. თქეა უდარდელი ხმით და საშინაო ჭრელ ხალათში გამოწყობილ ქალს მანეთიანი გაუწოდა (გ. ფანჯ., 12). 22. ჭიქა ხმაურით დადგა მაგიდაზე, სათითაოდ შეგვათვალიერა, უხვად გადმოგვაფრქვია ბრძნული შეგონება (ნ. ონაშ., 113). 23. მასპინძელი ჩუმ-ჩუმად ათვალიერებდა, ხან ზევიდან ქვევით ჩააყოლებდა მზერას, ხან ქვევიდან ზევით ააყოლებდა (ნ. ონაშ., 241). 24. ცხენის აღვირს ერთი ბოლო მოხსნა, მეორე ზედ შეატოვა, უნაგირს მოსართავი აუშვა, ძირზე მიაჭირა, სადავეს გადაანასკვა, მერე ქამარი შემოიძრო, ისიც წააბა და ქვევით ჩააგდო (ო. იოს., 15). 25. არ დააგდებდნენ საფრებს და ბრძოლას არ დაგვიწყებდნენ ველზე გაშლილად (აკაკი, 57). 26. ვადმერთებ მზესა, ვანთებ ცეცხლსა და ვწირავ მსხვერპლს (ა. კალანდ., 206). 27. დავაყენე ცხენი, ჩამოვიყვანე ცხენიდამ პეპია, გავუშალე ქვეშ ფარაჯა, დავუდე თავით უნაგირის ბალიში და დავაწვინე (ილია, 437). 28. დრო ყველაფერს აბერებს, ცხელ პლანეტებს აცივებს (მ. ლებ., 250). 29. ის ფიქრებში ეძებდა მას, მეხსიერებას ჩხრეკდა, მაგრამ ველარ ისმენდა (თ. ბიბ., 282). 30. ქალმა მუხლი მოიკეცა, მანდილი გაშალა და თმა ჩამოიწეწა (თ. ბიბ., 288). 31. ისევ ამ აბრებს მურავს და მალავს სადგურის ბოლი (ო. ჭილ., I, 576). 32. ძველი ზანდუკი გახსნა, წითელ თავსაფარში გახვეული ფული ამოიღო, ნაწილი უბეში ჩაიდო, ნაწილი ისევ წითელ თავსაფარში გაახვია და ზანდუკში შეინახა (გ. ფანჯ., 76). 33. თბილისში ოთხსართულიანი ბინა აიშენა, წყნეთში უშველებელი აგარაკი იყიდა, ზღვაზე ბრწყინვალე ვილა შეიძინა (ნ. ონაშ., 145). 34. ბიჭმა თვალები სახელოთი მოიწმინდა და მოწოლილი ცრემლი მოიშორა (ო. იოს., 50). 35. ბალ-ბოსტნებში თოხნიან და ბარავენ (ა. კალანდ., 26). 36. დღეში ორჯერ გაახურებდნენ

თორნეს, გამოაცხობდნენ საცხობს და სხვა საქმეს ხელს არ მოჰკიდებდნენ (აკაკი, 116). 37. ეაჟი ხდიდეს, სვამდეს არაყს, მადას გაიმგელებდეს, უსინჯავდეს ფხას იარაღს, ცხენსაც ააგელვებდეს, მდინარეზე ხიდი გასდოს, თევზს ჩაუდგას ფაცერი (პ. იაშე., 229). 38. ნაბადი მოვიგდე, ბანდულები ამოვიკარი, მწყემსის ქუდი დავიხურე და კომბალი აეიღე (თ. ბიბ., 265). 39. მდინარე ჯერ დაუკაცებელ ბიჭს აქცეედა, ხან ლოდებს ახეთქებდა, ხან ნაპირზე რიყავდა (თ. ბიბ., 18). 40. ქარისამ მედეას კაბის კალთა ნამტირალევ თვალებში ამოისვა და ფრიქსე დაინასა (ო. ჭილ., I, 125). 41. ახალი და იდუმალი ყველაფერს შეარყევდა და შეცვლიდა თავისი სისხლითა და იდუმალებით (ო. ჭილ., I, 299). 42. ოთარმა ჩანთა ძირს დადო, ჯიბიდან სიგარეტი ღინჯად ამოიღო, კვესით მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა (გ. ფანჯ., 12). 43. იკითხა შიშითა და ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა (ნ. ონაშ., 69). 44. ის გამოქვაბულში გამოკეტეს და თოფიანი დარაჯი დაუყენეს (ო. იოს., 75). 45. ჩემი ბავშვობის სარკმლიდან გხედავ და ესვამ ტირილით შენს სადღეგრძელოს (მ. ლებ., 131). 46. ჯიღაურმა არაყი დაისხა და უთქმელად დალია, ისევ დაისხა და დალია, მესამედაც გაივსო ჭიქა და ბოლომდე გამოცალა (თ. ბიბ., 395). 47. ბიჭმა ცხენს თოკში ხელი წააელო, უკან გააბრუნა და ისევ მინდორზე აიყვანა (თ. ბიბ., 399). 48. მამა ხანდახან რეეულს გამისინჯავდა და დაწერილს შემისწორებდა (კ. ყმა, 255). 49. ინოს ნათქვამმა ფარნაოზი დააფრთხო და დააბნია (ო. ჭილ., I, 227). 50. ფუშიანი, მართლაც, ოსტატურად ჭრიდა და ახარისხებდა ხორცს (ო. ჭილ., I, 245). 51. კაპიტანმა რკინის კასრს მრგვალი ტროსი ირგვლივ შემოარტყა და მოაჯირს მოსდო (გ. ფანჯ., 125). 52. მან ღვინო დაისხა, ერთბაშად გადაჰკრა, ტუჩები მუშტით მოიწმინდა (ნ. ონაშ., 114). 53. დაჭრილს ნაბადი ჯერ შემოაცალეს, მერე ისევ მოახურეს შავი მოსასხამი (ო. იოს., 158). 54. მამამ მოიხადა შავი, გრძელბეწვიანი ქუდი, დაბერტყა, გაიხადა ძველი დაბანდული ქალამნები და ბუხრის წინ დადო (კ. ყმა, 229). 55. ჯამბაზი კაკალს ჯიბეში ჩაიდებს და მერე ცხვირიდან გამოიღებს (თ. ბიბ., 279). 56. ღედაკაცმა თვალები მოიწმინდა, მანდილი გაისწორა, მტვერი ჩამოიბერტყა (თ. ბიბ., 286). 57. უთხრა უხეირომ და სტრიქონის ბოლოს ამოქარგულ ყვავილს

ხელი გადაუსვა (ო. ჭილ., I, 233). 58. გასაპნული პოპინა ქალუკამ აბაზანიდან ჩვილივით ამოიყვანა და ტახტზე დასვა (ო. ჭილ., I, 234). 59. ქვაბი ჩამოხსნა, თბილი წყალი სარძევე ქვაბში გადაასხა, ბოსელში წაიღო და ძროხა გამოწველა (გ. ფანჯ., 76). 60. თემომ მანქანა სწრაფად დაძრა და ქვაფენილზე გააქანა (ნ. ონაშ., 92). 61. ცალი თვალით აცინებს და ცალით ატირებს (თ. სახ., 783). 62. ჯერ ვერ მოვულე ოცნებას ბოლო, ვერ მოვუშალე იმედს სათავე (ო. ჭილ., I, 539). 63. ისინი ხან ვაშლს ჩაუდებდნენ ხელში ძალათი, ხან თხილს ჩაუყრიდნენ კალთაში (ო. ჭილ., I, 396). 64. სული ამიწეწა, გული დამიმძიმა, ირგვლივ ყველაფერს ნაცრისფერი საბურველი გადააფარა (ნ. ონაშ., 9). 65. გათეთრებულა პატარა სხვენი, ობობა ქსელებს აბამს და ლამბავს (ლ. ასათ., 38). 66. ზურგს ვუფხან დღისით პატარა ხბოებს და საღამოზე ვიფერავ თითებს (პ. იაშვ., 131). 67. დედაკაცმა ბალახზე გაშვებული ძროხები ჩამორეკა, მერე ბაკში შერეკა, სახლიდან გობი გამოიტანა და წველა დაიწყო (თ. ბიბ., 420). 68. ჯარისკაცებმა ხმალი ერთად ნახეს, ერთად შეახეს ხელი (თ. ბიბ., 174). 69. ცოლი ან მეთვალყურე მსახური ხელს ოდნავ უბიძგებდა და გააჩერებდა (ო. ჭილ., I, 36). 70. სამალაბა მკლავებს გაშლის, გადააგდებს მტევანს ქარში და სიმღერას დაადევნებს (პ. იაშვ., 191). 71. ვარდებით მორთო ოჯახი და ააჟღერა ფანდური (ლ. ასათ., 115). 72. ბიჭმა ცხენი უკან გააბრუნა და მერე ისევ მინდორზე აიყვანა (თ. ბიბ., 399). 73. ინო შინ სადილს მოამზადებდა, დარეცხავდა და დაგვიდა (ო. ჭილ., I, 236). 74. მან გააყვითლა მნათობი ბადრი და აადიდა პონტოს ზღვის წყალი (ლ. ასათ., 101). 75. ახლა უკვე თვითონაც ჩაიცვამდა მაგარ ქალამნებს, პაჭიჭებზე შემოიხვევდა ბაწრის ტოლაღებს და დაიჭერდა ხელში იფნის ჯოხს (თ. ბიბ., 419). 76. დედაკაცს ძროხები უნდა ეწველა, ყველი ამოეღო, წინდები მოექსოვა, ნაბადი მოეთელა (თ. ბიბ., 466). 77. ბავშვის გაჩენამ ისინიც გაახალისა, აღაფრთოვანა და დაასევდიანა კიდეც (ო. ჭილ., I, 213). 78. მეთევზე ბედია ისევ ჩუმ-ჩუმად ზომავდა მანძილს ნავების სადგომიდან ზღვამდე და ისევ ჩუმ-ჩუმად აგრძელებდა თოკს (ო. ჭილ., I, 212). 79. ტყემ მალე დაფარა და მიმალა ორივენი (ა. ყაზბ., 48). 80. ჯილაურმა ცხენს უნაგირი მოხსნა და ანჯიქოს ფეხებთან დაუგდო (თ. ბიბ., 431).

81. თქეა მწყემსმა და მაშინვე ნაბადი მოისხა (თ. ბიბ., 431). 82. ჩვენც, როგორც მეზობელი გლეხები, ვხნავდით, ვმკიდით, ვთიბავდით, ვამუშავებდით ჩვენს მიწას (კ. ყმა, 254). 83. ივნისის შუა რიცხვებში ვაჟამ სემინარიის კურსი გაათავა და მიიღო სოფლის მასწავლებლის სახელწოდება (კ. ყმა, 74). 84. ბასამ ბოთლს ხელი წამოუსვა, წვერში თითებწაჭერილ რეზინის მილს თავი შიგ ჩააყოფინა და ჩამოასხა (რ. ინან., 33). 85. საწყობის ღობის იქიდან მახარაანთ მზიამ ამოყო თავი, ამოანათა დიდი შავი თვალები და მერე კბილებიც გამოაჩინა (რ. ინან., 7). 86. ახლა ჯულა გამოუშვეს, გომურში დააბეს, თივა დაუყარეს, რამდენიმე შეშა დაჭრეს. (რ. ინან., 53). 87. აკაკი მონაწილეობას იღებდა ამა თუ იმ სალიტერატურო საღამოში და კითხულობდა თავის მშვენიერ ლექსებს (მოგ. აკ., 195). 88. მაშინ კუდს მოიქნევს მორიელი და გესლიან წვეტს თავში ჩაისობს (გ. რობაქ., 57). 89. აკაკიმ გახსნა კონვერტი, მოიმარჯვა სათვალე და წაიკითხა ჩემი სახელი (მოგ. აკ., 12). 90. ჰქსოვდა, მწყემსავდა ბიისფერ ბავშვებს, ჩაიბერტყავდა დროდადრო კაბას (მ. ლებ., 26). 91. ჯუმბერმა ბოთლი შემოიტანა და კარადიდან ორი თხელი ჩაის ჭიქა გამოიღო (რ. ინან., 65). 92. მათ ღუმელს შეუკეთეს, სველი ფეხსაცმელები დაიხადეს, წინდები გამოიცვალეს (რ. ინან., 63). 93. ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია (ილია, 712). 94. რაშიდამ ასანთი გაჰკრა, ცეცხლი ჯერ მუშას მოაკიდებინა, მერე თვითონაც მოუკიდა, ასანთი უკან დაუბრუნა (გ. ფანჯ., 71). 95. მიწა ნაცრად ვერ აქციეს, ცა ვერ დაფერფლეს ხანძრითა (ა. კალანდ., 70). 96. ბებერ კითხულსაც ამ მზის შუქმა თითქოს ცა გადაუხსნა, სამუდამოდ სიჭაბუკეში დააბრუნა და ბიჭური გულუბრყვილობით ეს აფიქრებინა (თ. ბიბ., 13). 97. მერე ცოლმა აღარაფერი ჰკითხა, დაბალ ტაბლაზე გაუშალა ვახშამი და ბანზე ამოუტანა (თ. ბიბ., 377). 98. მან წამოიგრძელა კისერი და დაიკოცნა ხელის ზურგი (ო. იოს., 268). 99. იქიდან სევდიან ცრემლთაგან შეკინძული მარგალიტები ამოკრიფა, მძივად აკინძა, თაეისს ჩანგს სიმებად დაასხა და მადლიანი მარჯვენით ააჟღერა იგი (მოგ. აკ., 295). 100. მისმა შეილმა ყველაფერი გამოუგზავნოს, უქირავოს კაცი, მიწაც გადაუბრუნოს და ახალი

სახლიც აუგოს (ო. იოს., 331). 101. ბუდე ქორს დაესაკუთრებინა, გაეფართოვებინა, მსხვილის წიწკრებით გაესხვაფერებინა (ვაჟა, 281). 102. ვაქამ ყველა სიტყვას მიუწერა ახსნა-განმარტება და გამომიგზავნა პატარა წერილითურთ (კ. ყმა, 80). 103. ღმერთის საჩუქარიეით მიიღო, დაბანა, დააპურა და არა მარტო ადგილი მისცა მზეზე გამოხუნებულსა და წვიმებისაგან ჩალაქავებულ კარავში, არამედ გვარიც (ო. ჭილ., II, 67). 104. ამ სახლის კედლებს თავიანთ ჭკუაზე გამოეძერწათ, გამოეწრთოთ და გაეწვრთნათ მისი სული და ხორცი (ო. ჭილ., I, 15). 105. ეს ხმა ათრთოლებდა ფოთლებს, ასტუნავებდა კალიებს, აზუზუნებდა, ფუტკრებს (ო. ჭილ., I, 44). 106. დედა ტანსაცმელს გარეცხავდა, დაკემსავდა, დაბლანდავდა, დააკერებდა (ო. ჭილ., I, 139). 107. ხალხი უთქმელი სიტყვების აზრს გუმანით იგებს და ერთმანეთს გადასცემს (თ. ბიბ., 316). 108. მან ხელი ჯიბეში ჩაიყო, ამოიღო ოცმარკიანი და გადასცა ჩუმად ბრმას (გ. რობაქ., 349). 109. ბუდესა სდგამენ, კვერცხს სდებენ, შვილებს დაზრდიან ფრთიანსა (ვაჟა, 72). 110. პურს ზეზეურად ჭამდა, თავს მაღლა ასწევდა, კბილებს დაკრეჭავდა, ნესტოებს დაბერავდა (ო. ჭილ., I, 203). 111. აიეტმა ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, მერე თავი ასწია, ჰაერი ხმაურით დაყნოსა (ო. ჭილ., I, 95). 112. ჩავიცვამ შავებს, შევიკვეცავ პატარა ნაწნავს და ჩემს სუსტ ხელებს შენს კედლებზე რიალით დაეღლი (ი. ჯოლბ., 39). 113. მე ვერ გავბედავ, ვერ დავარქმევ ამ ჩემ ლექსს სახელს (ი. ჯოლბ., 39). 114. მერე კი ალბათ ქარი წაიღებს დაცვენილ ფურცლებს და ჩაისუტებს (ი. ჯოლბ., 143).

***§ 65. ერთგვარშემასმენლიანი (გარდამავალი და გარდაუვალი ზმნით).*** 1. ის ხან ნელა მოდიოდა, ხან მორბოდა, საქუსლეჩაკეცილი ფეხსაცმელები ეხდებოდა, იჩოქებდა, იცვამდა, ისწორებდა და ისევ მორბოდა (რ. ინან., 9). 2. ელენე ადგა, საწვიმრის საყელო და ქამარი შეისწორა, დაჭმუჭნილ კალთებზე რამდენჯერმე ჩამოისვა ხელი, ჩანთა აიღო და წავიდა (რ. ინან., 69). 3. ახარხარდებოდნენ, აყაყანდებოდნენ და ღვინოს ასხამდნენ სისხლიან თავებზე (ლ. ასათ., 53). 4. წრის შუაგულში თავდახრილი დგანან ხარები და საცრისხელა წითელ თვალებს

აბრიალებენ (ლ. ასათ., 49). 5. ჯონდო ლოგინიდან წამოდგა, დაკერებული შარვალი ჩაიცვა, ტოტები მუხლებამდე აიწია, მზისგან გახუნებული წითელი მაისურა შეიკრა (გ. ფანჯ., 85). 6. გუშინ ვილაცეები მოვიდნენ მანქანით, მარკიზა ბადეში გაახვიეს და წაიყვანეს (გ. ფანჯ., 104). 7. მეთულუხჩე ბიჭი საქმეს აკეთებს, წყალში აღებული ფულით ოჯახსაც ინახავს, ავადმყოფ მშობლებს ეხმარება, უმცროს და-ძმას ზრდის, ან თავისთვის შრომობს, მომავალზე ფიქრობს (ო. ჭილ., I, 310). 8. ვახომ ცხენი მიატოვა, ლოდებს გადაახტა, წყლის პირას მოფარებულში გაუჩინარდა (ო. იოს., 38). 9. მძიმე სამუშაოს ერიდებიან, თავს არ იწუხებენ, დაქირავებულ ოსტატებს ათლევინებენ (ნ. ონაშ., 50). 10. უხერხულობის დასაფარავად წამოვდექი, ხელი გავუწოდე, გამოვეთხოვე, თან მოვიბოდიშე (ნ. ონაშ., 17). 11. ის მთელი სოფლის დანაშაულს ერთის დანაშაულით დაჯაბნის და ან მოიკვეთება, ან ჩაქვავდება (თ. ბიბ., 220). 12. გავიქეცით და ხმელი წიფლის გამომწვარ გვერდში შევაფარეთ თავი (კ. ყმა, 303). 13. დიდხანს სდია მზიამ ასე შორიშორს, შეუმჩნევლად, მერე დაიწყო აქეთ-იქით ყურება, ბოლოს შედგა და მარჯვენა ხელი ტუჩებთან მიიტანა (რ. ინან., 9). 14. ღვედი რის ვაი-ვაგლახით გადააბეს, მეშა ხელახლა დაქანჩეს, დაიძრნენ, იჭყივლეს, იბღოტეს, მხრები გადაიყვლიფეს, ალმართზე ასე აჯიდნენ და ამოისუნთქეს (რ. ინან., 49). 15. ყარამან ცხენთან მივიდა, შეუშეა მოსართავები, ბაგა აუვსო თივითა, უმატა ქერის თაველი (პ. იაშვ., 236). 16. ადგა, დაიძრა შენი სოფელი, დასტოვა მწარე ბედის ხსენება (პ. იაშვ., 212). 17. ცოტახანს წყნარად ვიდოდნენ, მოკლედ იჭერდნენ ალვირთა (ლ. ასათ., 94). 18. დაივლის სახლებს, ჯდება მინდორზე და გააჩაღებს მხიარულებას (ლ. ასათ., 21). 19. უსიამოვნოდ შევიშმუშნე, ღილაკს თითი დავაჭირე და საათს ხმა ჩავუწყვიტე (გ. ფანჯ., 240). 20. ანზორმა ცხვირსახოცი მოიშორა, ფეხზე წამოდგა, ჩამოხეული ხალათი შეისწორა და დუქნიდან ხმის ამოუღებლად გავიდა (გ. ფანჯ., 118). 21. ის ღამით ფერხთით ეჯდა ქვეყანას და წიგნებს წერდა ქვეყნის კარნახით (ო. ჭილ., II, 528). 22. მთვარე გაცრეცილ ღრუბლებში გავიდა და მკრთალად გაანათა (ო. იოს., 78). 23. დაუკითხავად შევაღე კაბინეტის კარი, შევედი და დირექტორს გამომწვევად მივე-

სალმე (ნ. ონაშ., 59). 24. წამოდგა, ხშირი შავი თმა უკან გადაიყარა, ჩქარი ნაბიჯით ჩაგვიარა, მწყრალად გადმოგვხედა (ნ. ონაშ., 80). 25. აქ ორბელიძემ იშიშვლა ხმალი, ჯარს მიუბრუნდა და მხიარულად მათ გადააელო ნუგეშის თვალი (აკაკი, 62). 26. თეიმურაზი კარგ გუნებაზე დადგა და უამბობდა კავკასიის დიდებული სურათების ამბავს (ა. ყაზბ., 48). 27. ჩითის ჩვარივით კედელს გახევდა და იატაკზე გადავიდოდა (პ. იაშვ., 209). 28. დასტოვებს ალაზნის ლოგინს და ცაში კვნესით შესცურავს წერო (პ. იაშვ., 157). 29. შეირტყეს ისარკაპარჭი, შეათამაშეს ცხენები, შეუზახნეს და შეიბნენ (ლ. ასათ., 96). 30. ცვლაში ყოველთვის ადრე მიდიოდა, მანქანას შეამოწმებდა, გადაიბარებდა და მუშაობას შეუდგებოდა (გ. ფანჯ., 68). 31. მერე სიგარეტი ამოიღო, დიდხანს თითებით სრესა, არ ჩქარობდა, რაღაცას ფიქრობდა, ბოლოს ასანთი გაჰკრა, სიგარეტს მოუკიდა და წავიდა (გ. ფანჯ., 214). 32. ის ხან ოფოფის ბარტყს მოუყვანდა უბით ძმისშვილებს, ხან კი ცოცხალი ზღარბი ჰყავდა სილაბანდში გამოკრული (ო. ჭილ., II, 146). 33. ვიღებ კალამს, თვალებს ვხუჭავ, ჩემს სანგარში ეიბანაკებ (მ. ლებ., 50). 34. თვალანთებული ვარსკვლავები ჩაგვიქროლებენ და ჩვენს ხატებს წაიღებენ სამყაროს მიღმა (ა. კალანდ., 357). 35. ურმული გადადის ბოგირს და ოდნავ არჩევს ნაძვების წვერებს (პ. იაშვ., 157). 36. ის ისევ თავის მაგიდას მიუჯდა, ცხვირსახოცით სახე მოიწმინდა, ლიმონათი დაისხა (გ. ფანჯ., 118). 37. ახლა გვერდზე გაცოცება დააპირა და მორყეულ ლოდს მოეჭიდა (ო. იოს., 44). 38. სათითაოდ ჩამოვუარე და გულმოდგინედ დავათვალიერე, მერე დარბაზის შუაგულში გავჩერდი (ნ. ონაშ., 172). 39. მაშინ ჩემი მეგობარი მოვარდა, მხარზე ხელი გადამხვია და კვლავ განაგრძო როკვა (თ. ბიბ., 33). 40. გაშლიდნენ აფრებს და ღვთის ნებით მიადგებოდნენ იმავ ღვთისგან გაჩენილ ქვეყნებს (მ.ლებ., 484). 41. მასპინძელიც ღიღინებს და მაგარი ხელებით თავეთუხისფერ კრამიტებს ვაზნებივით ალაგებს (პ. იაშვ., 207). 42. ისინი ჩუმად მიდიოდნენ, აქეთ-იქით ისედებოდნენ, საეჭვო ვერაფერი დაინახეს (გ. ფანჯ., 310). 43. ყოველ სართულზე ჩერდებოდა და გვარებს მაინც კითხულობდა (გ. ფანჯ., 602). 44. სანაპიროდან გადავუხვიეთ, ხიდზე გავჩერდით და თაეი მორჩილად დავუ-

კარი მეტეხს (ნ. ონაშ., 11). 45. ცაზედ ელვამა გაიპკრიალა და გაანათა მდინარე ხევში (ილია, 120). 46. ის ან კათედრის გამგეს დაეთანხმებოდა, ან საერთოდ არ ამოიღებდა ხმას (გ. ფანჯ., 413). 47. მიელინების ბარათი ჯიბეში ჩაიდო და ავტობუსების სადგურს მიაშურა (გ. ფანჯ. 9). 48. ოთახში დეკანი შემოვიდა, გასწორებული ნაწერები წამოკრიფა, კუთხეში მიჯდა (ნ. ონაშ., 160). 49. პატარა ხეზე გავედი და იქით-აქეთ ყურება დავიწყე (აკაკი, 131). 50. მოხუცმა გამოართვა წერილი, გახსნა, წაიკითხა და გარდაცემულსავით სახტად დარჩა (ა. ყაზბ., 55). 51. სამოც წელზე მეტს ემსახურებოდა ღვთის ბოძებულ ჩანგით მშობელ ერს და მარადის გმირებს ეძიებდა მისი „დაფი და ნაღარა" (მოგ. აკ., 245). 52. აკაკი წამოდგა, გადმომცა ფულიანი კონვერტი (პრემია), ჩამომართვა ხელი და მომილოცა (მოგ. აკ., 12). 53. ის მაზუთიან ხელით სპარსულ ლავაშს კეცავს და საშინლად ილუკმება (გ. რობაქ., 33). 54. ქალი შედის პუნქტის შენობაში, თითქოს მოკვეთილი ლოგინზე დავარდება, თავსაფარს იგლეჯს და გვერდზე გადაისვრის (გ. რობაქ., 32). 55. აკაკი გაკვრით ყველა ჩამოთვლილ პირთა შემოქმედებას შეეხო და თავისებურად დაიწუნა (მოგ. აკ., 28). 56. ლამარამ თავი გაითავისუფლა, კედელს მიეყუდა, იცინოდა და ხელის ზურგით იცილებდა ჩამოწეწილ თმას (რ. ინან., 63). 57. ვიღაც ჩაივლის მოშვებულ მხრებით, მოვა, მიპოვნის და დაისვენებს (ნ. სამად., 117). 58. მოდიან ქუჩის ჯამბაზები, ჩერდებიან ფარდულთან და იწყებენ თვალთმაქცობას (გ. რობაქ., 57). 59. რაღაცას წერდა გამალებით, დროდადრო კალამს ტუჩებით იჭერდა, სივრცეს დაჟინებით მიაჩერდებოდა (ნ. ონაშ., 166). 60. მწყემსაედა გლეხი, ჩამჯდარიყო შოსე-გზის პირად, იპურჭყებოდა, რიყის ქვაზე ლესავდა ჯაყვას (მ. ლებ., 286). 61. ალექსანდრე თვითონ მონახავდა მართას, ქვას გახეთქავდა და მონახავდა, ქვესკნელში ჩავიდოდა და მონახავდა, ცას შესწვდებოდა და მონახავდა (ო. ჭილ., II, 394). 62. მაშინ კითხული ჩემთან მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა, ხელი მომკიდა და თავისთან მიმიყვანა (თ. ბიბ., 21). 63. გოგო-ბიჭები ისევ გიტარას მისწვდებიან და სიმღერას იწყებენ (თ. ბიბ., 457). 64. ყველას გაეუძელით, ყველას გაეუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი (ილია, 678). 65. ჭაბუკებმა

მოიხედეს, თოფები ჩამოიხსნეს და შეჩერდნენ (თ. ბიბ., 240). 66. გაჩერდები, ვერ მიატოვებ, მთელი ღამე უდარაჯებ, გულში ჩაიკრავ, წყალს კი არა, ცივ ნიავს არ მიაკარებ (ო. იოს., 293). 67. ის წამოხტა, ხელი ავტომატს წამოავლო, მაგრამ ადგილიდან ვერ აიღო (ო. იოს., 165). 68. კითხული დერეფანს გაუყვა, ისევ დარბაზში შევარდა, ტაბლაზე გაბნეულ ხორაგში ჩადგმული ხელადა აიღო და პირზე მიიყუდა (თ. ბიბ., 250). 69. თამაზი გაწითლდა, უცნაურად შეიშმუშნა, სათვალე მოიხსნა და ცხვირსახოცით დაუწყო წმენდა (გ. ფანჯ., 624). 70. ქალი წამოდგა, კარადიდან ორი პატარა საფერფლე გადმოიღო, ერთი ოთარს მიაწოდა მეორე თვითონ დაიდგა დივანზე და ისევ დაჯდა (გ. ფანჯ., 629). 71. მზეს მიფიცხებულმა ქალმა იგრძნო ბიჭის მზერა და ბუჩქებს მოეფარა (თ. ბიბ., 388). 72. არწივი იარაოს არტყამდა, მერე სადღაც შორს, ქედებს იქით, ჩაიკარგებოდა (თ. ბიბ., 397). 73. კაცმა ღვინო დალია, სხვებსაც დაალევინა და დედაკაცთან გადმოჯდა (თ. ბიბ., 454). 74. საუზმის შემდეგ ვაჟამ ისევ აივანს მიაშურა, მოაჯირთან მოთავსდა და კიდევ წერდა, შემდეგ ჩავიდა ეზოში, ცხენი მგზავრობისათვის მოამზადა, დაგვემშვიდობა და თელავისკენ გასწია (კ. ყმა, 78). 75. მე უჭარმაგესს დავუდგები ერთგულ მსახურად, გაშლისთანავე მივურბენინებ მაღალ გვირილებს (ი. ჯოლბ., 69). 76. კარიკარ დადის და ოჯახებში ეძებს ძველ მინიატურებს (ნ. ონაშ., 40). 77. მეორე სართულზე ავედი, დირექტორის კაბინეტის კარი მორიდებით შევაღე, გრძელი მაგიდის ბოლოში გავჩერდი (ნ. ონაშ., 13). 78. ჩვენი ტრედი ბატონის ეზოში მიფრინდა და დაიწყო მარცვლების კრეფა (ვაჟა, 281). 79. ბიჭი გაიქცა, უნაგირის ტახტზე ჩამობმული ლაგამი ახსნა, ცხენს მოევლო, სადავე მოუშვა და ქუსლი ჰკრა (ო. იოს., 29). 80. შტუტე კარებთან ჩაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო, იარალი მოიხსნა და მუხლებზე დაიდო (ო. იოს., 55). 81. თითიას შერცხვა ჯილაურისა, თვალი მოარიდა და ცახცახით ავიდა ურემზე (თ. ბიბ., 375). 82. ჩემი სენაკის კარი გამოვაღე და გარეთ გავედი (თ. ბიბ., 317). 83. მე კი მაგიდას მივუჯდებოდი და ვხატავდი ცეცხლოვან ოჩოფეხებზე შემდგარ გოლიათებს (ნ. ონაშ., 5). 84. ის წელში მოიხარა, სახე მომიახლოვა და იდუმალი ხმით მკითხა (ნ. ონაშ., 31). 85. ოთარმაც ტრაპს მიაშურა, თვითმფრინავში

შეუმჩნევლად შევიდა, ჯერ სალონი მოათვალიერა, მერე თავის ადგილზე დაჯდა და სახეზე გაზეთი აიფარა (გ. ფანჯ., 479). 86. ხიდაშელმა შეშინებულ პატარა ბავშვს თვალი შეავლო და დერეფნიდან გავიდა (გ. ფანჯ., 352). 87. ივანემ აკაკი დაინახა ეზოში გამოსული, მივიდა მასთან, იმერული თავაზიანობით თავი დაბლა დაუკრა და მიესალმა (მოგ. აკ., 266). 88. მგოსანი შედგა, მომიბრუნდა, ოდნავ თავი გადმოხარა, თვალის ქუთუთოები გაახილა, სახის ნაკვთები სანეტაროდ გაუბრწყინდა და თითქმის იდუმალი ხმით მომიგო (მოგ. აკ., 233). 89. ვაჟა უცებ წამოხტა, ქუდს ხელი დასტაცა და კარებისკენ გაქანდა (კ. ყმა, 123). 90. აქ შეწყვიტა სემიონოვმა სიტყვა, თვალცრემლიანი მიუახლოვდა ვაჟას და სამჯერ გადაჰკოცნა (კ. ყმა, 76). 91. ჯარი კი მიდიოდა, მიღრჭიალებდა, მიგრუხუნებდა, მიბრაგუნობდა და ზურგს უკან ერთმანეთზე ნაფეხურებს ტოვებდა (ო. ჭილ., II, 67). 92. ეს კარგად იცოდა უცხო კაცმა, ცხენს უნაგირი მოხადა, იქვე, ყორესძირა ბალახზე, მიუშვა და თვითონ ლოდზე ჩამოჯდა (თ. ბიბ., 339). 93. ბუხარს მივვარდი, ნაკვერცხლები გავღეღე და შეშა მივუკეთე (თ. ბიბ., 201). 94. ირემმა ორღობე აიარა, გასცდა სადალაქოს, საბალახოდან დაბრუნებული ძროხასავით ეზოში შემოვიდა, ეზო დაყნოსა, მერე თავი აიღო და გაირინდა (ო. ჭილ., II, 249). 95. ლამის წამოვხტი და გამოვიქეცი, მაგრამ გადავიფიქრე (ნ. ონაშ., 159). 96. ქუჩის ბოლოს ტელეფონის ჯიხურთან შეჩერდა, ჩემთვის ხელი არ გაუშვია, ჯიბეში მოძებნა ორკაპიკიანი, ნომრები აკრიფა (ნ. ონაშ., 150). 97. ქალმა თითქო რაღაც გაიგო და დადუმდა (გ. რობაქ., 344). 98. ადოლფ უნგარ მიუახლოვდა ერთ ბრმას, გამოართვა ასანთი და მისცა მარკა (გ. რობაქ., 348). 99. ის მივა, გამოართმევს ხმალს, დააგებს წვერით იატაკზე და დაღუნავს ნახევრად (გ. რობაქ., 82). 100. გზაზე დიდი სატვირთო ავტომანქანა გამოჩნდა და უმალ დაარღვია ეს იდილიური მყუდროება (ნ. ონაშ., 216). 101. ვარდის ფურცლებმა ველარ ზიდეს სათის რტოები და ნელ-ნელა დაიხარნენ ყაყაჩოს ველად (ი. ჯოლბ., 171). 102. შენ გადასწვდი აყვავებულ ხეს და მისი ტოტი დაიბნიე გულზე კანკალით (ი. ჯოლბ., 31). 103. ჯიღაურმა ყველაფერი გაიგო, გოგოსთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა (თ. ბიბ., 427). 104. დედაკაცმა სა-

ჩეჩელი ისევ კუთხეში მიაგდო, ფთილები ზანდუკში ჩაყარა და
გარეთ გავიდა (თ. ბიბ., 421). 105. შეშინებული მიწას იდაყვებით
დაეყრდნო და ორმოდან ტანი სანახევროდ ამოათრია (გ
ფანჯ., 549). 106. გვიან ღამით წამოდგა, ქამარი გაისწორა, პი-
ჯაკს მკლავი გაუყარა, საყველაწმინდო დალია და ულვაშები
ხელის ზურგით გადაიპეწა (რ. ინან., 23). 107. თითონ ღრი-
ალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას,
გლეჯავს ხეებს (ვაჟა, 257). 108. ხალხი ხელის გულზე ატარებდა
და ეთაყვანებოდა (მოგ. აკ., 471). 109. ძეწნა ტიროდა და
მკრთალ თითებს მიწისკენ ხრიდა (ი. ჯოლბ., 102). 110. მზემ და-
ინახა, თვალი დახუჭა და გაირინდა (ი. ჯოლბ., 102). 111. ალე-
ქსანდრე იღიმება, გზას აგრძელებს, მაგრამ ახლა უფრო ნელა
მიდის (ო. ჭილ., II, 421). 112. მერე რამდენჯერმე გადაიფშვნიტა
თვალები, დაისრისა შუბლი და წამოდგა (ა. ყაზბ., 214). 113. ქე-
დებმა თავი იდრიკეს, ფიქრით მოიცვნენ მწარითა (ვაჟა, 33).
114. წინ ცოლი მიეგებება, ქმარს ნაბადს უგებს კერაზე, დააძ-
რობს ფეხთით საცმელებს, იქვე გადაჰფენს ძელაზე (ვაჟა, 37).

§ 66. *ერთგვარქვემდებარიანი.* 1. ნაყიდი სათამაშოები და
მუქთად ნაშოვნი ტიკინები ქალაქებში მუქთახორობას აჩვევენ
ყმაწვილებს (აკაკი, 96). 2. კიჟინა, კვნესა, წყევა, მუქარა და
ჩახაჩუხის ხმა გულსაზარი არეულია (აკაკი, 63). 3. სადღაც
ქრებოდა დრო და თარიღი, როგორც სილაში თხუნელას
სორო (ო. ჭილ., II, 478). 4. ნარბენი კაცის გულივით ფეთქავს
საათიც, ქუჩაც, ფოთოლიც, წვეთიც (ო. ჭილ., I, 559). 5. ოთახის
ყოველ თავისუფალ კუთხე-კუნჭულშიც წიგნები, სახატავი და-
ფები, დაზგები და პორტრეტები იყო ახორსლილი (ნ. ონაშ., 24).
6. რწმენით სავსენი წავიდნენ ამ ქვეყნიდან დიდი საქმე-
ბისათვის თავდადებული მამაჩემიც, მისი მამაც და პაპაც (ნ.
ონაშ., 6). 7. ფართო შავი თვალები და ვაჟკაცური ხმა ამ სამო-
ციოდე წლის კაცს ჭაბუკურ იერს აძლევდა (ნ. ონაშ., 60). 8. ტა-
ში, მუსიკა, ერთსულოვანი შეძახილები საამოდ გაისმის (მოგ.
აკ., 67). 9. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ
მომლოცველები და აკაკის ნიჭის თაყვანისმცემლები (მოგ. აკ.,
72). 10. ცემენტის ნაცვლად მოცვივა ციდან ლალი, ზურმუხტი და

ბრილიანტი (ა. კალანდ., 397). 11. მზე, მთვარე, ზეცა, დედამიწა სამიშ გრიალით უგზო-უკვლოდა წანწალებდნენ ტრიალით მალით (ილია, 46). 12. უზარმაზარი ნეკერჩხლები და ცაცხვები თოვლით იყო დახუნძლული (გ. ფანჯ., 82). 13. ნახევარი საათის შემდეგ ნოდარი, თენგიზი და გივი მოვიდნენ (გ. ფანჯ., 63.). 14. გარდაიქმნება დედა ბუნება მშობელი, აღორძინდება წყალი, მიწა და ჰაერი (მ. ლებ., 548). 15. იქ, მთაში, იყო მოცვი, ბორცვი, ბჟოლა და ქოლო (მ. ლებ., 310). 16. ცივმა წყალმა და დილის სიგრილემ გონება დაუბრუნა მომაკვდავს (ო. იოს., 27). 17. ამით ძალიან ხშირად სარგებლობდნენ ათასგვარი მოხეტიალენი და გამვლელ-გამომვლელნი (კ. ყმა, 391). 18. უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემზე ვაჟას მძიმე დავლური და ფეხების ორიგინალური მოსმა (კ. ყმა, 62). 19. აქ იყვნენ მასწავლებლები, ექიმები, რკინიგზელები და მოსწავლე ახალგაზრდობა (კ. ყმა, 60). 20. საგმირო ზღაპრებმა, სავაჟკაცო შაირებმა და ამბებმა გამიტაცეს თანდათან (აკაკი, 131). 21. არც დირექტორი, არც ინსპექტორი, არც სხვა ვინმე არ შემოგვსწრებია (აკაკი, 150). 22. თეთრი გედებივით მიჰქრიან პატარა გემები და ნავები (პ. იაშვ., 250). 23. ვერცხლის სურებში სჩქეფს ღვინო და სხვა სასმელები (პ. იაშვ., 71). 24. იმისი ყოველი თითის მოძრაობაში ისმოდა თვითმყოფი ტალანტი, ნიჭიერება (ა. ყაზბ., 132). 25. და შესევია მონღოლის ბანაკს მტვერი, ყაყანი და ბუზანკალი (ო. ჭილ., II, 428). 26. სუსტია ადამიანი, მალე ერევა შური და ღვარძლი (ო. ჭილ., II, 538). 27. და ქცეული სურათად სიტყვა, ყველა ბგერა, მიწაზე მიცურავდა დამწიფებულ ქერად (პ. იაშვ., 160). 28. შენ დაგიჯაბნეს დღით ეკალმა, ღამით ტურებმა (პ. იაშვ., 180). 29. შენს მწვანე ფოთლებს დილით ეცა სიო, ჩურჩული, ჩიტების ფრთები (პ. იაშვ., 190). 30. მამაჩემის სიცოცხლეში ვაჟა, ბაჩანა, მათი მამა პავლე, მღვდელი ხშირად დადიოდნენ ჩვენთან (კ. ყმა, 85). 31. დაიწყო, მართლაც, ნამდვილი ზეიმი, ქეიფი (კ. ყმა, 92). 32. ხალხის ხორხოცი და ჭურჭლის წკრიალი ახშობდა ქარის სუსტ ხმას (ნ. ონაშ., 103). 33. მერე დაღლილობამ, ღვინომ და ამ სულისშემძვრელმა შთაბეჭდილებებმა თავისი გაიტანა (ნ. ონაშ., 121). 34. უკან დარჩა სვეტიცხოველიც და ძველი ხიდიც, სადგურიც და მოედანიც (ნ. ონაშ., 94). 35. ფრიალებდა გაშლილი თმები,

მოკლე კაბის კალთები და შარვლის განიერი ტოტები (ნ. ონაშ., 108). 36. გაიბანება წვიმითა მთა და მინდორი მტვრიანი (ვაჟა, 17). 37. აქ არ იყო ჩვეულებრივი თავგადადებული ღვინის სმა, ყანწები, დაძალება (მოგ. აკ., 111). 38. მთები და კედლები მოსილან ჯანღითა (ა. კალანდ., 233). 39. ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი (ილია, 120). 40. სუფრაზე ქათამი, მწვადი, თევზი, ყველი, მწნილი და მწვანილი ერთმანეთში იყო არეული (გ. ფანჯ., 58). 41. ოპერატიულ შეკრებას ლევანის ცვლის ოსტატები და მეფოლადეები განსაკუთრებული მღელვარებით მოელოდნენ (გ. ფანჯ., 247). 42. ამ დროს სამუშაო მოედანზე წიდა და ლითონი ილვრება ხოლმე (გ. ფანჯ., 246). 43. მზე და ბალახი მახვევენ თავბრუს (მ. ლებ., 443). 44. იმღამინდელ ნაკვალევსაც კოკისპირული წვიმა და ღვართქაფი ჩარეცხავდა (ო. იოს., 72). 45. ის კაცი მეც და მამაჩემმაც სახლიდან დავითხოვეთ (ა. ყაზბ., 48). 46. ერთხელ მე და ჩემი უმცროსი და მარიამი ბუხართან ვიდექით (კ. ყმა, 229). 47. ისევ მეძახდა ჩვენი ღარიბი ქოხი, მამის სახლი და მამის კერა (კ. ყმა, 303). 48. მსაჯულებმაც და მოპასუხეებმაც, რასაკვირველია, სიცილი ატეხეს (აკაკი, 177). 49. სტუმრებმა და მასპინძლებმა გაოცებით დამიწყეს ყურება (აკაკი, 154). 50. ეს წვიმა მწარე, ეს თქეში, მეხი ვერ შემაჩერებს (პ. იაშვ., 155). 51. ერთხელ მე, ლუკა, ბაჩანა და ლევანი ცხენებით წავედით სათევზაოდ (კ. ყმა, 299). 52. ერთ დილას მანქანის მოტორის გუგუნმა და გარეთ ატეხილმა ყაყანმა გამომაღვიძა (ნ. ონაშ., 169). 53. ქანდაკებების ასლები თუ კედლებზე დაკიდული შესანიშნავი ტილოები უფრო მდიდრული სალონის შთაბეჭდილებას ტოვებდა (ნ. ონაშ., 63). 54. შეიბურება ფოთლით არყი, ვერხვი და თელები (ვაჟა, 70). 55. იმ გრგვინეას ბანს აძლევდა საორკეცოდ მთა და ბარი (აკაკი, 40). 56. მათმა მშვენიერმა და მოხდენილმა სიმღერამ, სიტყვებმა და ლექსების ზეპირად წაკითხვამ აღტაცებაში მოიყვანა აკაკი (მოგ. აკ., 153). 57. ასკილი, მოცხარი, მოცვი... გზადაგზა კუნელი გეხვდება (ა. კალანდ., 230). 58. უცნაურად გამოიყურებოდა მისი პირისახე და თვალები, ტუჩები და ნიკაპი, მხრები და მკლავები (ნ. ონაშ., 73). 59. ზოგ მაგიდაზე ყავის ფინჯანი და ნამცხვრიანი თეფშიც ჩანდა (ნ. ონაშ., 63). 60. წყალი და ცეცხლი, მესი, ქუხ-

ილი ერთმანეთში აირეოდა (ილია, 120). 61. ლაწირაკები, ძუძუმწოვრები მიეჩვივნენ ლუკმის პირში ჩადებას (გ. ფანჯ., 241). 62. იდეალები, მუსიკა, ლიტერატურა, ფერწერა, მთელი ლამაზი სამყარო მაგათ მიღმა რჩება (გ. ფანჯ., 214). 63. ერთ დღესასწაულზე თვით ვაკა-ფშაველა, ბაჩანა და მამაჩემი თედოც იღებდნენ მონაწილეობას საერთო ზეიმში (კ. ყმა, 242). 64. სად ღრმა ფიქრებს ემატება ხან რისხვა და ხან ალერსი (პ. იაშვ., 216). 65. სრულყოფილი ხდება ღუმილიც, სიტყვაც და საქმეც, ცრემლიც და კვნესაც (ო. ჭილ., II, 520). 66. მუდმივმა სიღარიბემ და ხელმოკლეობამ მაინც გასტეხა ეს ამაყი ადამიანი (კ. ყმა, 182). 67. ჩვენკენ თავგამოდებით მოქროდნენ მრგვალი, ჯუჯა ბუჩქები, წერწეტა ალვები და მხრებგაშლილი ვერხვები (ნ. ონაშ., 94). 68. მის წიაღში მხოლოდ ხანდახან გახმიანდებოდა კანტი-კუნტი ნაბიჯი, ან გაურკვეველი ჩქამი (ნ. ონაშ., 130). 69. ბაღის გაღაღმა, ქუჩაზე, იშვიათად თუ გაივლიდა დაგვიანებული მგზავრი ან ავტომანქანა (ნ. ონაშ., 204). 70. თათრები, ჩერქეზები, ჩაჩნები და ყაზახები მოვიდნენ, მაშინვე კარგი ცხენოსნები იყვნენ (აკაკი, 162). 71. ცოლმა და შვილმა ნუგეშით მომმართეს (მოგ. აკ., 157). 72. სხვებიც ასევე დაკოდა შენმა მშვილდმა და ისარმა (ა. კალანდ., 301). 73. გაოცებული ყვიროდნენ ჩაიხანებიდან გამოვარდნილი მეზღვაურები, ქალები და ბავშვები (გ. ფანჯ., 122). 74. უჭკნობი ყვავილებით უცნობი ნაპირები, უგრძნობი ყამირები ჰყვავდება (მ. ლებ., 69). 75. იმის უკანასკნელ სიტყვებში იმდენი მწუხარება, ტკივილი ისმოდა (ა. ყაზბ., 107). 76. მე, მარიამი და გულქანი ჯერ კიდევ ბალღები ვიყავით (კ. ყმა, 300). 77. ელვარებენ გუმბათები და ოქროს ჯვრები (პ. იაშვ., 79). 78. იმავე წუთს ჩისტიკოპიანი ქალიც გაქრა და ლამაზაივნიანი სახლიც (ო. ჭილ., II, 326). 79. ქალის გულგრილობამ და სიმშვიდემ გააცოფა (ო. ჭილ., II, 360). 80. სიგიჟემდე არასოდეს მიუყვანია კარგ სტრიქონს, ტილოსა თუ ქანდაკებას (ნ. ონაშ., 107). 81. მან და იოანემ ერთი წამით შეთქმულებივით შეხედეს ერთმანეთს (ნ. ონაშ., 60). 82. მისმა მოსწრებულმა ლაპარაკმა, პურადობამ, გულგაშლილობამ, დაუსრულებელმა მხიარულებამ აღტაცებაში მოიყვანა აკაკი (მოგ. აკ., 300). 83. ნეტავ, ძაღლი უფრო ჭკვიანია თუ ჯიხეი (გ. ფანჯ., 86). 84. მარილიანი ზიმზიმებს წყალი,

მწიფს იზაბელა, თურინჯი, მსხალი (მ. ლებ., 545). 85. სქელი ნისლით აივსო ხევები და მწვერვალები (ო. იოს., 73). 86. ვერც მორჩილების გამოცხადებამ, ვერც ბოიარების თხოვნამ, ვერც სამღვდელოების ლოცვამ, ვერც დაბალი ხალხის პურმარილმა ვერ მოულბო გული იოანეს (კ. ყმა, 390). 87. ეზოდან ისმოდა ბავშვების ჟრიამული და ქალების ხმამაღალი ლაპარაკი (ნ. ონაშ., 54). 88. კოლხიდის ბაღში არ მიგატოვებს მანდარინები და ნარინჯები (ლ. ასათ., 108). 89. მწერლის ოთახი აბრეშუმის კაბის შრიალმა და ვარდისწყლის მძაფრმა სურნელებამ დაჰფარა (ი. გრიშ., 179). 90. მარტენის საამქროს უფროსს შიში და სიფრთხილე ალაპარაკებდა (გ. ფანჯ., 313). 91. ხალხის სიმრავლეში მოჩანან მოცეკვავეთა მხოლოდ მხრები და თავები (შ. ძიძ., 21). 92. მხედებიან საზანდრები, ქუჩის მგოსნები, ბნელთან მებრძოლი უსინათლო მეთარეები (ლ. ასათ., 66). 93. ხალხი და დედაკაცობა შეგროვილი იყო მტკვრის გადასახედზე (ილია, 397). 94. ძველად ამ გარეთუბანს გარეშემო ბაღები და საიალაღო ველი ერტყა (ი. გრიშ., 6). 95. ძველი ბერძენი და რომაელი მწერლები, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწეები საქართველოს ამ ნაწილს უწოდებდნენ „იბერიას“ (შ. ძიძ., 6). 96. ვერც დედის ხელმა, ვერც სატრფოს ეშხმა ვერ გამიყუჩა ჭაბუკს იარა (ლ. ასათ., 55). 97. შესიზნცბოდა მთებს ქურდებიეით გამოქვაბული და მყუდროება (ნ. სამად., 16). 98. ამის გამო ხშირად იმსხვრეოდა მეზობელი სახლების კარფანჯრები, აივნები, შუშაბანდები (ი. გრიშ., 26). 99. ციტრუსები და კოლხიდა გადაიქცა ბარად (ლ. ასათ., 108). 100. თანამედროვე ქალაქური ხალხური პოეზიის პირველი მერცხლები იყვნენ დურგლები, ზეინკლები, თერძები, მეჩექმენი, მზარეულები, ხელზე მოსამსახურენი (ი. გრიშ., 122). 101. აღარ იყო აღარც სოფელი, აღარც ოჯახი, აღარც ცა და დედამიწა (თ. ბიბ., 175). 102. იქ გიხმობდნენ მთები და მდინარეები, ბილიკები და გზები, სოფლები და ხეობები (თ. ბიბ., 23). 103. დიდი თუ პატარა, ერთი დაქანებული საურმე იყო მტკვრისკენა, იქით მირბოდა (ილია, 397). 104. სიკვდილის წინ რუსთაველის შაირების ძახილით მიწას გულში ჩაიკრავდა ქართლელი თუ კახელი (ლ. ასათ., 34). 105. იასეს მოსწრებულმა ლაპარაკმა, პურადობამ, გულგაშლილობამ, დაუსრულებელმა მხიარულებამ აღტაცებაში

მოიყვანა აკაკი (მოგ. აკ., 300). 106. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ექიმები, მისნები, მარჩელები (ო. ჭილ., I, 32). 107. ბერიკების მერე ჩამოიარეს ოჩოფესებზე შემდგარმა მედაფდაფეებმა და მესალამურეებმა (თ. ბიბ., 147). 108. ამ გზაზე ტაატით მიდიოდნენ აქლემების ქარავნები თუ ცხერის ფარები (თ. ბიბ., 397). 109. ბერძნულ წყაროებში იბერებს მოიხსენიებენ ფილოსოფოსები პლატონი და არისტოტელე (შ. ძიძ., 6). 110. მეც ამიყოლია იმისმა სევდამ და გულის ტკივილმა (ილია, 419). 111. ვაჟას შენიშვნებმა და მკაფიოდ გადმოცემულმა კომენტარებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე (კ. ყმა, 65). 112. დიდი წვალების შემდეგ გრიგოლმა და დაეითმა ადგილები გაცვალეს (გ. ფანჯ., 522). 113. არჩიბალდ და ვამეხ მორკინალთა თვალებით ზომავენ ერთიმეორეს (გ. რობაქ., 74). 114. საეანელები, სხვიტორელები, საჩხერელები სულ იმას გვეკითხებიან, თუ სად დაასაფლავებენ აკაკის (მოგ. აკ., 442). 115. დილიდან საღამომდე ისმოდა ოქრომჭედლების უბნიდან პატარა ჩაქუჩების ტაკატუკი, ჩარხების ღუღუნი და საჭრეტლების წრიპინი (ო. ჭილ., I, 13). 116. ამ უბედურების მეგზურობა სწორედ მისი შვილიშვილებისათვის დაევალებინა ბედსა და განგებას (ო. ჭილ., I, 94.). 117. საგანგებოდ გაპრიალებული ამდენი მუზარადი, ბალთა, საბარკული, ფარი და მახვილი მთელ მზეს თავისკენ იზიდაედა (ო. ჭილ., I, 112). 118. ამ ეზო-გარემომ, ამ კერამ და სახლმა, ჩემმა მიწამ და ჩემმა წილმა ცამ უნდა შეას ჩემი პატრონი (ო. იოს., 590). 119. ახლა საჭირო იყო თუთარი ან ვახო კიდევ ჩაპარულიყვნენ სოფელში (ო. იოს., 154). 120. აქ მერე ირბენენ ბიჭები, გოგოები, ჩვენი შვილები და შვილიშვილები (ი. ჯოლბ., 86). 121. პოეტის პატივსაცემად მოვიდნენ მომღერლები, მოლექსე-მოშაირეები, ილიას ყვარლელი მეგობარ-ამხანაგები (მოგ. აკ., 162). 122. საწერ მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა ხელნაწერები, მუდმივი კალმისტრები, ცარიელი ფურცლები, მელნის ბოთლები, ფანქრები და საშლელები (გ. ფანჯ., 670). 123. ჩამოინგრევა დარბაზი და სრასახლების თაღები (ვაჟა, 64). 124. აქ იკრიბებიან არტისტები და რეჟისორები კინოსი და თეატრის, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, მოქანდაკეები, სტუდენტები (გ. რობაქ., 306). 125. მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი შენის ლხენითა განიხარებენ

(ილია, 114). 126. ღობეებს აწყდებოდნენ ქათმები და ბატები, ღორები და თხები (ო. ჭილ., II, 210). 127. თბილისში ჩვენს ოჯახს დაუახლოვდნენ იმდროინდელი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები (მოგ. აკ., 385). 128. აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუკი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაკი (ილია, 924). 129. სვავენი, ორბნი და კაჭკაჭნი მათრევდნენ, მჭამდნენ ზიარად (ვაჟა, 67). 130. ცრემლი, ცეცხლი და მუქარა დარაჯად გვიდგა კარზედა (ვაჟა, 89).

*§ 67. ერთგვარპირდაპირდამატებიანი.* 1. ვტოვებდით სოფელს, მინდვრებს, კორდებს, რიყეს და ჭალას (მ. ლებ., 310). 2. გალურსული ჩემი სული სიფრთხილით ზომავს გასაფრენ მანძილს და საფრენად უძნელეს სივრცეს (მ. ლებ., 262). 3. მეც ხუსულა სახლებსა და ბეღელ-სასიმინდე-წისქვილებს აუაშენებდი ხოლმე (აკაკი, 96). 4. თათარყანი გუას ბავშვობიდანვე იარაღის ხმარებასა და თოფის სროლას აჩვევდა (ო. იოს., 28). 5. წვიმამ ერთიანად ჩამორეცხა კლდეები და ბილიკები (ო. იოს., 74). 6. ჩაყლაპა დედამიწამ მათი გრძნობა და ძვალები (ვაჟა, 60). 7. მე ვიგონებ ფიროსმანის ქუჩას, პირველ ლექსს და ცაში პირველ ფრენას (მ. ლებ., 324). 8. მე მოგართვით ბიჭვინთის ტყიდან ბზა მარადმწვანე და დაფნის ტოტი (მ. ლებ., 510). 9. ექიმი ყოველდღე ავადმყოფებს, მომაკვდავებს, ჩალურჯებულ და მისუსტებულ ადამიანებს ხედავს (გ. ფანჯ., 226). 10. აგერ დივანზე დაწექი, ბალიშს და ზეწარს ახლავე გამოგიტან (გ. ფანჯ., 239). 11. ჯარისკაცები ახლა მეთაურისადმი სხვანაირ შიშსა და რიდს განიცდიდნენ (ო. იოს., 66). 12. ახლა მხოლოდ მთვარე ავსებდა მოწნულ კალათებს, ყუთებს და კასრებს (ო. ჭილ., II, 463). 13. გადაიტანა ბევრი ანისი, ბევრი ღმანისი, ბევრი კრწანისი, ბევრი ქელეხი და პარაკლისი (ო. ჭილ., II, 528). 14. ჩემი ბრწყინვალება დააბრმავებს ეგვიპტის ფარაონებს, რომაელ პატრიციებს (ნ. ონაშ., 53). 15. თემოს ხსენებამ სულში ერთდროულად ჩამიღვარა სითბო, სირცხვილი, სიხარული (ნ. ონაშ., 122). 16. მთელ დღეს ვზვერავ სათიბებს, მთელ დღეს ვზვერავ ახოებს, სერზე ჭადრებს ნატიფებს, საზვერე-

სამოსახლოებს (მ. ლებ., 522). 17. სურდო, ხველება, ხშირი ზმორება ბედს ჩემთვის ჯილდოდ გადუწყვეტია (პ. იაშვ., 157). 18. ჩვენ ვკრეფდით დამზრალ პანტას, მაჯალოს და წიწიბოს (კ. ყმა, 242). 19. მისი წინადადება ხან ერთ სურათს წარმოიდგენდა, ხან მეორე ნახატს (კ. ყმა, 388). 20. შენ დათვიც გინახავს დაბმული ჯაჭვით, თავის ტყეებსა და ბელობას იგონებდა (მ. ლებ., 542). 21. ჩვენ ვთამაშობდით ქუჩაში შიშით ბურთს და ორიოდ აკრძალულ თამაშს (მ. ლებ., 538). 22. სადმე კორდიდან მოსძებნის უძოს, ან ბეთანიის სავანეს მყუდროს (მ. ლებ., 481). 23. მოიხმო ინსპექტორი, ზედამხედველები, მასწავლებლები და გამოუცხადა ეს ყველას (აკაკი, 136). 24. ამ სიტყვებმა მომიმატეს მე სიმხნე და ერთგულება (აკაკი, 41). 25. ამოიღე ჩანთიდან კონსერვი, შაქარი და ორცხობილა (ო. იოს., 68). 26. კაცი ომსაც აიტანს, ტყვიასაც და სიკვდილსაც (ო. იოს., 13). 27. ერთმანეთში გაყრილი ყბები და წინწამოწეული ნიკაპი მან ჩემსკენ მოაბრუნა (ნ. ონაშ., 32). 28. ჩვენ უნდა შევუნახოთ მომავალს ჩვენი სული და შესაძლებლობა (ნ. ონაშ., 102). 29. ამქვეყნად ყველა მდინარემ იცის თავისი ფასი, სიგრძე და განი (ო. ჭილ., II, 477). 30. არ დააფეთო ირმები და ნისლის მძიმე მტევნები (ო. ჭილ., I, 541). 31. ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას (პ. იაშ., 457). 32. მან უარესად გაანადგურა ჩემი სული, სხეული, პატარა ოჯახი, ცხოვრება (პ. იაშვ., 258). 33. თვალგაბრწყინებით ლაპარაკისას თითქოს ნესტანს, თინათინს, ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს ცხადლივ ჭვრეტსო (მოგ. აკ., 226). 34. ვხედავ ქურთებს, სომხებს, თათრებს, უხვად ვხედავ ქართველობას (მ. ლებ., 466). 35. მე ვაბოლებდი ქართულ თუთუნს და ქართულ ფიქრებს (მ. ლებ., 208). 36. ქართველი კი ბედს სწყევლიდა, ახლანდელ კანონს, სამართალს, ნამუსს და პირისწყალსაო (აკაკი, 157). 37. წუთისოფლის გადაკეთებას და გადატრიალებას არც კოსტა ალავიძე აპირებდა (ო. იოს., 214). 38. მას მათი გვარები და სახელები უნდა დაემახსოვრებინა (გ. ფანჯ., 247). 39. ცხოვრების ქარიშხალს ჯერ კიდევ არ გაუქრია მისი სულის სიცხოველე და სიძლიერე (ილია, 366). 40. ოფიციანტმა კონიაკი, ყავა, შოკოლადი და ატმები მოიტანა (გ. ფანჯ., 35). 41. ჩვენ ვხურავთ წიგნებს, უჯრებს და ფანჯრებს (ო. ჭილ., I, 572). 42. მე მტკვარი მომცემს წყალსა და თევზებს (ო. ჭილ., I,

582). 43. ჯიხვებს კი მაეი შურთხები თივას და ბალახს ესვრიან (პ. იაშვ., 218). 44. მილიონი წელიწადი ზვერავს აწმყოს, ნამყოს, მყობადს (მ. ლებ., 192). 45. მე ვიგონებ ჩემს ქვეყანას, ჩემს გაძარცვულ ჭალა-კორდებს (მ. ლებ., 50). 46. არ გვარიდებდნენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს და არც ავდარს (აკაკი, 126). 47. ის დამიზნებას და სროლას ყოველთვის მოასწრებდა (ო. იოს., 70). 48. ყოველი მოძრაობა ამ ქალისა გაუბედაობას და შიშს ამტკიცებდა (ა. ყაზბ., 59). 49. ქორწილში ჩაის დაგვალევინებენ თუ ღვინოს? (გ. ფანჯ., 70). 50. ის დამილოცავს ზღვას და ხმელეთს შორეულ ცის ქვეშ (ა. კალანდ., 165). 51. კინოში ნათურებს, რიგებსა და სკამებს ვითვლიდით (გ. ფანჯ., 212). 52. ტყე მომცემს ფრინველს და თბილ ბალახებს (ო. ჭილ., I, 582). 53. ყვითელ ნათურას და ყვითელ კედლებს, ყვითელ ქვაფენილს და ყვითელ ძაღლებს შეუბრალებლად არხევდა ქარი (ო. ჭილ., I, 584). 54. მჭიდროდ შემოტმასნილი წითელი სპორტული ბლუზა მკვეთრად უჩენდა მზეში გარუჯულ ღონიერ კისერს და დაკუნთულ მკლავებს (ნ. ონაშ., 7). 55. ბიბლიოთეკარმა წინ ფუნჯი, წებო და ქაღალდის ჯიბეები დაიწყო (ნ. ონაშ., 41). 56. ივანეს რამდენჯერმე მისცა ხან პერანგი, ხან თავისი ნაცვამი ახალოხი (კ. ყმა, 231). 57. ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერება დაევივიწყეთ ჩვენ (პ. იაშვ., 282). 58. შენ დაკარგე მეგობარი ბევრი, შენ დაკარგე საყდარი და მრევლი (მ. ლებ., 317). 59. ვიღაც მახსენებს იმ წყეულ ზამთარს, გზებზე აზელილ თოვლსა და ტალახს (მ. ლებ., 451). 60. ან ხატავ ზეარს, ან ქედებს ლურჯს, ან ბებერ ციხეს, ან მინდვრებს ჭრელს (მ. ლებ., 482). 61. თემომ სიგარეტის კოლოფი და ასანთი გადმომიგდო (ნ. ონაშ., 100). 62. მათრახებიეით იქნევდნენ უსაშველოდ გრძელ მკლავებსა და ჩამოქნილ ფეხებს (ნ. ონაშ., 108). 63. მაღლა აღმართული მთები თავის ბუმბერაზ ფიქრსა და სიტყვას თვითონ იტოვებს (ო. იოს., 159). 64. ის იმ წყეული სახლის აივნიდან გადმოვარდნას თუ გადმოხტომას მოასერხებდა (ო. ჭილ., I, 64). 65. ის საგნებს აძლევს ხმასა და ძალას, როგორც თანხმოვან ბგერებს ხმოვანი (ო. ჭილ., II, 465). 66. იქ გაიჩინა საქონელი, ღორი, ფრინველი, ფუტკარი (კ. ყმა, 173). 67. მე წამართვეს ჯერ სილამაზე, მერე ნიჭიერება, მერე გონება და

ბოლოს თითონ ჭკუაც (ა. ყაზბ., 104). 68. ხატავენ ხის კენწეროებზე მსხლებივით დაკიდულებს ან ბალახზე თავდაყირა დაგორებულებს (ნ. ონაშ., 46). 69. წაკითხულიდან ბანალური გამოთქმები ან ზოგიერთი ფრაზები ზეპირად იცოდა (ნ. ონაშ., 97). 70. შენ მარტო შესვამ საწამლაეებს და ყველა შხამებს (მ. ლებ., 288). 71. თეთრი და შავი ვერ გაურჩევია (თ. სახ., 251). 72. აირჩიოს სხვა კი არა ან კოჯორი, ან კიკეთი (პ. იაშვ., 226). 73. ხატავდა წყალს, ქვას, ხეს, კლდეს, მთას ან სხვა საგანს (კ. ყმა, 85). 74. ბექა უაზროდ ათვალიერებდა ხან ჭერს, ხან კედლებს (ნ. ონაშ., 62). 75. საიდამ გააკეთებდი ბარსაკეეთს, ცულსა, ეჩოსა (ილია, 380). 76. მერე ემართავდით თამაშობასა, ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა (ილია, 138). 77. მე ის მთა, ის ბარი, ის ტყე, ის მინდორ-ველი დავინახე (ილია, 408). 78. არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს და არვის დაზოგავდა (ილია, 409). 79. ბევრი თავადიშვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა (ილია, 410). 80. წყევლიდა თავის დღეს და გაჩენას კოლხიდის მკვიდრი და ბინადარი (ლ. ასათ., 101). 81. ხმლიანმა მტერმა ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა (ილია, 680). 82. ეატარებთ წერაქვს, ცხრილსა და ტომარას (ლ. ასათ., 85). 83. ეს ხალხი ინტენსიურად განიცდის სიხარულსაც და მწუხარებასაც (ი. გრიშ., 4). 84. დალოცა ღმერთმა იმისი გზა და კვალი (ილია, 390). 85. დამარცხებულნი იშველიებდნენ ქვებს, აგურებს, ხის ნაჭრებს (ი. გრიშ., 26). 86. მეგობრებმა გადააქოთეს მთელი ოჯახი, წალო, კარადა (ნ. სამად., 174). 87. რაინდმა დაიდევა თავით ხმალია, ხანჯარი, ფარი, ჩაჩქანი და ისე სული დალია (ვაჟა, 66). 88. შეატკაცუნებს კოცონი ქოჩორს და გაგვინათებს ძელქვეებს და მუხებს (მ. ლებ., 334). 89. დავტოვეთ მთები, საჯიხვეები (ლ. ასათ., 111). 90. ჩემი პოეტური ფანტაზია და ოცნების წმინდა სიხარული მხოლოდ ლექსის ლერწმებში დავაპატიმრე (ი. გრიშ., 5). 91. აქ თქვენ იპოვიდით მოქარგე დედაკაცსა და საკერავების მკერავს, ლეჩაქების მბასრავს და სხვა ხელობის ხალხს (ა. ყაზბ., 203). 92. ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაიღო მისი გონება და გული (ილია, 404). 93. მან იბერიელები და ესპანელები ძმებად მოიხსენია (შ. ძიძ., 12). 94. ისინი

ამზადებდნენ ხის ხმლებს, სანჯლებს და შურდულებს (ი. გრიშ., 20). 95. მაღლა ამართული მთები ამ ბუმბერაზ ფიქრსა და სიტყვასაც თვითონ იტოვებს (ო. იოს., 159). 96. ისინი ბეჭდავდნენ როგორც აღმოსავლეთის ფანტასტიურ ზღაპრულ მოთხრობებს, ისე იმდროინდელი პოეტების სახალხო ლექსებს (ი. გრიშ., 75). 97. დავღვარე ოფლი მრავალი, მით მოერწყე ტყე და ველი (ვაჟა, 71). 98. ამ მოგზაურობის დროს ბევრ რკინის ბოძს ან ორთქლმავალს დაინახავდა (გ. ფანჯ., 303). 99. ახალმა ეპოქამ ახალი მოთხოვნილება და ახალი ხალხი წარმოშვა (ი. გრიშ., 118). 100. ხალხი ინსტიქტით გრძნობდა კარგად დაწერილ წიგნს და ნიჭიერ ავტორს (ი. გრიშ., 81). 101. მზე მშვიდად წვავდა ჯილაურის შიშველ ზურგს, დედაკაცის ჯერ ისევ დაუმჭკნარ ლოყებს, ბიჭის წამოზრდილ ყვრიმალებს და დაბაბულ ღაწვებს (თ. ბიბ., 363). 102. აკაკი ამ ჩანგით აწვეთებდა ყურში ქართველს მამულის სიყვარულს, მტკიცე ერთობას, ერთად შედუღებას (მოგ. აკ., 295). 103. წყალი ტრიალტრიალით მოაქანებდა ხარებშებმულ ურემს თუ უზარმაზარ ძირფესვიანად მოგლეჯილ ხეებს (ო. ჭილ., II, 95). 104. მეფემ არ შეიწყნარა თორნიკეს ეს ძღვენი, თხოვნა, ვედრება (აკაკი, 76). 105. ნაცარში წაეყოფ ცხვირ-პირს და მუხლებს (მ. ლებ., 334). 106. ისინი ასწრებენ ხავერდგადაკრულ რბილ დივნებზე კიტრიალს, ჭამა-სმას, ღვინოს, ქალს, ძღომას, თრობას, ხრჩობას (ო. იოს., 238). 107. ხვალინდელი ლაშქრობა სოფელს მხოლოდ გამარჯვებას, ნაოცნებარ ალაფსა და სიმდიდრეს მოუტანს (თ. ბიბ., 139). 108. ვიღაც ვარდის წყალს თუ ვარდის ზეთს ყიდის (გ. რობაქ., 57). 109. ისინიც დიდი გულისყურით სინჯავდნენ გამორიყულ ჯოხსა და ნიჟარას, ჭრელ კენჭსა თუ კუპრის წვეთიყით დამრგვალებულ ხარაბუზას (ო. ჭილ., I, 227). 110. სოფლის გზაზე წვიმდა და ასველებდა ჯილაურის შუბლს, თვალებს, ლოყებს (თ. ბიბ., 396). 111. ამ სასიმღერო ლექსების ავტორები თავიანთ გვარს თუ ფსევდონიმს შიგ ტექსტშივე რითმავდნენ (ი. გრიშ., 77). 112. ძაღლებმა დიდი ერთგულება და სიყვარული იციან (ო. იოს., 175). 113. ის საშინელი სისწრაფით იცდენს წამოშენილ კეტს თუ ბარს თუ თოხს (გ. რობაქ., 288). 114. იქ ბიჭის მახვილ მზერას მხოლოდ ღრუბლები, მზე და არწივები დაუნახავს (თ. ბიბ., 20). 115. მე თოვლში ვეძებ სისხლისფერ

ვარდებს და მიტოვებულ ნუშებს და ატმებს (ო. ჭილ., II, 444).
116. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა,
თავის მწვრთინელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის
ხატსა და მაგალითს (ილია, აზრ., 29). 117. ამისთვის არც
ხარჯს, არც დროს და არც გზაზედ სიარულის შრომას არა ზო-
გავს (ილია, აზრ., 33). 118. ეს პატარა და ერთი შეხედვით უწყი-
ნარი სიტყვა იმდენ წინააღმდეგობასა და უბედურებას იტევდა
(ო. ჭილ., I, 122). 119. ის აიძულებს აგრეთვე აღმოაჩინოს თავის
არსებაში საჭირო ძალაც, სიმტკიცეცა და სითამამეც (ო. ჭილ.,
I, 125). 120. გადავიდა ჩინეთში და გზაში ნახა ძველი თემები,
ძველი მხეცები, ძველი ღმერთები (გ. რობაქ., 317). 121. გრძნო-
ბდა მხოლოდ ვაჟკაცის მკლავებს, ცხენების თქარათქურს,
მხედრების ყიჟინას, გარბენილ ველებს, გარღვეულ მდი-
ნარეებს (გ. რობაქ., 335). 122. მისტერ ლეიკმა მოიწვია ზოგი
მომღერალი და ზოგი მოცეკვავე (გ. რობაქ., 368). 123. არ
დაივიწყა სამშობლომ შენი მის ბედზე ტირილი, მედგარი სუ-
ლის კვეთება, შავბედობაზედ ჩივილი, დაუშრეტელი ნაღველი,
წყრომა და გულისტკივილი (ვაჟა, 33). 124. სწვავს ტანჯვა-
ვაების ცეცხლი პატრონს და იმის ბინასა (ვაჟა, 63). 125. მო-
მაელის სხივი აქარვებს გმირის ოხვრას და გმინვასა (ვაჟა, 63).
126. იგი წერა-კითხვის უცოდინარ თანატოლებს ხშირად გეი-
კითხავდა საინტერესო მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს (კ.
ყმა, 102). 127. მან არ იცოდა ლაპარაკის დროს წაბორძიკება,
სიტყვების ძებნა, უხერხული გამოთქმა, უცხო სახელების
ჩართვა და ენის აჭრელება (მოგ. აკ., 433). 128. დრო-ჟამმა ვერ
გადაგვავიწყათ დედა და დედის საფლავი, სახლი და ეზო, ვე-
ნახი და კერია (ო. იოს., 569). 129. მე ახლა ვხედავდი სადღაც
კოშკის ბნელეთში კვარივით ანთებულ ბებრის კუშტ სახეს,
უძინარ, ჩაწითლებულ ქუთუთოებს, დაშრეტილ თვალებს (თ.
ბიბ., 318). 130. ამ ვარდს და ამ ყვავილებს მხატვარი ფიროს-
მანი გიძღვნით თქვენ (რ. ინან., 22).

***§ 68. ერთგვარირიბდამატებიანი.*** 1. სამი წლის შემდეგ
თვითეული შენი მტკაველი ყანებს და ბაღებს, მდიდარ ბოსტ-
ნებს დაუთმონ ქვებმა (პ. იაშვ., 180). 2. რამდენი ცრემლი შეუ-

ერთდა მტკვარსა და რიონს, ამ ჭირისუფალს (პ. იაშვ., 274). 3. დიდებულ ტაძარს და ეკლესიას თავს ევლებოდნენ შორნი ხმანი შუქთა მფინარნი (ა. კალანდ., 250). 4. ყმაწვილი ესაუბრება ხოლმე ქვას, ხეს, ყვავილს, ბალახს (აკაკი, 94). 5. დავხედავ პორტრეტს, შუბლს პრინცისას, მოცარტის თითებს (მ. ლებ., 231). 6. შენი ფერების ეშხსა და ალმურს, შენი ოჯახის სინდისს და ნამუსს, ლხინს და სიმღერას, სუფრას, სალამურს ვეთაყვანები (მ. ლებ., 482). 7. ხარებს, ცხენებსაც ტვირთს აკკიდებდით და ასე სამი კილომეტრის მანძილზე აფხუშოდან ვეზიდებოდით თივას (კ. ყმა, 302). 8. ეკვრის ხევ-ხუვსა, შამბსა, შალდაყსა, აღარ წავიდა იალაღზედა (ვაჟა, 53). 9. უცნობს და მოულოდნელს ელოდებოდნენ ყველანი თითქოს (ო. ჭილ., II, 470). 10. და ეკუთვნოდა იგი თანაბრად ცხვარსაც და მგელსაც, კაცსაც და ღმერთსაც (ო. ჭილ., II, 491). 11. ოპერატორებს და მემანქანეებს ბრძანებასაც ხელებით აძლევდნენ (გ. ფანჯ., 243). 12. გერმანელი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ხან რეზოს და ხან მაგდას (გ. ფანჯ., 53). 13. თვალებგაფართოებული ვუცქერდი ამ დაბურულ ტყეებს, ხასხასა მდელოებს, ფუმფულა ყვავილებს (ნ. ონაშ., 28). 14. ეს ტყვია გამოქვაბულში მოქცეულ მტერს და მოყვარეს ერთნაირად ერგო (ო. იოს., 98). 15. მივსდევთ ფერებს, ხმებს და სიტყვას მგელური მადით (პ. იაშვ., 176). 16. ბარის სურნელს, ბარის ხეხილს და მზის გრეხილს დაეხსენი (პ. იაშვ., 227). 17. მე ყურს ვუგდებდი სასოების ოხვრას და ყიჟინს (მ. ლებ., 208). 18. დავუბრუნდები ჩემი ქვეყნის მზესა და ჰაერს (მ. ლებ., 143). 19. თაიგულს იქვე მდგომ ქალს ან ბავშვს მისცემდა (კ. ყმა, 146). 20. ჩვენ გაოცებულები შევყურებდით ხან ბიძაჩემს, ხან ჭიჭახევს (კ. ყმა, 241). 21. გაუათასდეს სინათლე ცაზე მზესა და მთვარესა (ვაჟა, 74). 22. დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას და გავიმაგრე ჭაბუკი მკლავი (ილია, 69). 23. თაკო გოგოა და უკვე იცის, როგორ მიაპყროს ეშმაკი თვალი უბრალო საგნის ბრწყინვას თუ ციმციმს, და შიგ ჩამალულ შაქარს თუ მარილს ( ო. ჭილ., II, 525). 24. იმ უეცარ წვიმებს და ქარებს მეც შეუმჩნევლად მივყვები მაღლა (ო. ჭილ., II, 443). 25. ოთარი დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა, ხან მამას უყურებდა, ხან გიორგის (გ. ფანჯ., 141). 26. მე დავცინოდი ბულუბრყვილობასა და სიკეთეს, ნდობასა და რწმენას (ნ.

ონაშ., 68). 27. დავაკვირდე ღობეს, ფოთლებს, დაგდებულ ნახშირს (პ. იაშვ., 162). 28. მე ვუმზერ ბოსტნებს, ვიწრო შარებს, შეშის ბოგირებს (პ. იაშვ., 103). 29. ლევანი ხან ქალიშვილს მისჩერებოდა, ხან ცარიელ სავარძელს (გ. ფანჯ., 168). 30. დღეგრძელობით თაყვანს სცემდნენ მეფესა და დედოფალსა (აკაკი, 36). 31. დავუბრუნდები ჩემი მთების ფერხულს და ხორუმს (მ. ლებ., 143). 32. და მივაშურეთ დაისის ხანძარს, ხანძარში ჩამდგარ ცაცხვებს და რცხილებს (მ. ლებ., 181). 33. ქაიხოსრო ეგუებოდა ახალ გარემოს, ხალხის ხასიათს, შუკებისა და ბაღვენახების განლაგებას, გზებსა და ბილიკებს, მდინარისა თუ ამინდის ჭირვეულობებს (ო. ჭილ., II, 75). 34. სტუდენტები ხან ლევანს მისჩერებოდნენ, ხან ლექტორს (გ. ფანჯ., 222). 35. ერთხანს დაჟინებით უყურებდა ხან ნიშანს, ხან წითელი ფანქრის კვალს (ნ. ონაშ., 160). 36. თქვენ უცქერით კახეთის ზღვა ვენახებს, გაშლილ ყანებს, ფეხმაგარ საქონელს (მოგ. აკ., 32). 37. არც უფსკრულებს და ჯურღმულებს დარიდებიან (ო. იოს., 72). 38. სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულსა და გონებას ვერაფერი შეჰმატა (ვაჟა, 328). 39. ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯდებოდი, თვალებს ავაყოლებდი ამვლელს და ჩამომვლელს (ილია, 373). 40. უეცრად მოაშორა თვალი გულამომჯდარ პეტრეს და იმის თავჩაღუნულ შვილს (ილია, 301). 41. ახლა გადახედეთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს აწმყოსა და მომავალს (გ. ფანჯ., 57). 42. იგი ხვდებოდა კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებს, ფილოსოფოსებსა და მწიგნობრებს (შ. ძიძ., 12). 43. მინდვრებს, გორაკებს ნისლი სცემდა ფრთებს (ნ. სამად., 330). 44. ახალმა თაობამ სიმღერას, ტრფობას, გართობას, გრძნობას გონებრივი მსჯელობა დაუმორჩილა (ი. გრიშ., 121). 45. მათი გუგუნი, მათი კიჟინი ზე ეფინება ირგვლივ მთასა და ბარს (აკაკი, 55). 46. ნათიას და ლევანს ყველა ყურადღებას აქცევდა (გ. ფანჯ., 330). 47. დასწვედი აზრით სნეულთა ლოცვას, ცრემლებს და ალტყინებას (ი. ჯოლბ., 123). 48. ამ სოფლის თავკაცთა ბჭობას და ყრილობას, სიმღერას, გულისთქმას, საქმეს და პირობას უსმენენ (მ. ლებ., 552). 49. სასიმღერო ლექსებს ან ქალაქურ პოეზიას თბილისის მდაბიო ხალხი ძლიერ ეტანებოდა (ი. გრიშ., 84). 50. ხეიმირებიდან დროჟამს ჩამოუქვავს, გახედავს ოჩხებს, ჯაგნარებს, ჭიუხს (ნ. სამად., 19). 51. რამდენი

ყაყაჩო გაშლილა!... მინდერებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება და ედება (ლ. ასათ., 44). 52. უნდა გაცლოდი, უნდა გაქცეოდი იქაურობას, იმ ადგილს, იმ ქალაქს, იმ ქვეყანას (ო. იოს., 233). 53. ის ემალებოდა ვალტერის თვალებს, განშორების ტკივილს (ო. იოს., 117). 54. სულის კანკალით ვუფრთხილდებოდი იმ კოკასაც და იმ სიხარულსაც (თ. ბიბ., 47). 55. ფარნაოზის წარბებს, უპეებსა და მხრებს ქვის რუხი მტვერი ედებოდა (ო. ჭილ., I, 247). 56. ისინი იქიდან აწედენდნენ ხმას სამშობლოში დაბრუნების სიმღერასა თუ ღრიანცელს (ო. ჭილ., I, 171). 57. მზეს და სინათლეს გამოვექცევი (ლ. ასათ., 77). 58. დუშეთისა და თიანეთის მაზრის მთებში მოსახლკარე ფშაველებს, გუდამაყრელებს, ხევსურებს, მთიულებს და მოხევეებს ვაჟა გაუძლვა შირაქის გულუხვი ველისაკენ (კ. ყმა, 97). 59. ბარემ გაჰყევი ერთი ფერმის გამგეს ან ვინმე ტრაქტორისტს (რ. ინან., 331). 60. სოფელი წიოკობით მოედო კოშკებსა და ბინებს (თ. ბიბ., 331). 61. გუთანი ქვებსა და კლერტა ბალახებს ედებოდა (თ. ბიბ., 363). 62. ის ოჯახში დიასახლისს ან სამსახურში თანამშრომლებს თვალების პაჭუნს დაუწყებდა (ო. იოს., 231). 63. წყურვილს, შიმშილს, შიშსა და შურისძიებას სიძნელეც დაემატა (ო. იოს., 120). 64. ისინი მიეჩვივნენ ერთად ყოფნას, სიარულს, ჭამას თუ ძილს (ო. ჭილ., I, 232). 65. ბურუსი თავს აღწევდა უთავბოლოდ გადაფარჩხულ ბუჩქებსა და ხეებს (ო. ჭილ., I, 100). 66. ოქროს გალიებს ოქროს ზარებით და გალიებში სამოთხის ჩიტებს ვუმზერდი (ლ. ასათ., 22). 67. თაჯი გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მტერს და მოყვარეს (ო. იოს., 136). 68. მე ვეტრფი ძლიერ ტფილისის პაეას, ნიკო ფიროსმანს და საიათნოვას (ლ. ასათ., 60). 69. მტვერი ბოლქვაბოლქვა ეფინებოდა ქლიავსა და ჭერამს (ო. ჭილ., II, 211). 70. იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ კაცსა და დედაკაცს (თ. ბიბ., 441). 71. ლუკა ვერ ურიგდებოდა მეფის მოხელეებს, ბოქაულს, მაზრის უფროსს, მამასახლისს, ნაცვალს, გზირებს (კ. ყმა, 294). 72. სროლა კარგად იცოდა, ნადირსა და ფრინველს იშვიათად თუ ააცდენდა ტყვიას (კ. ყმა, 290). 73. აჰყე პირდაპირ ქედს, მთის ხერხემალს (ნ. სამად., 74). 74. ეხლა ხშირად შეხვდები აქ ოსმალოს ფაშას ან ჰინდუსტანის რაჯას (გ. რობაქ., 359). 75. სპარსელი ბიჭები გადარჩენილ ბოთლებსა და თეფშებს მისცვივდე-

ბიან (გ. რობაქ., 72). 76. ლუკა მის მხლებელ მღვდელსა და ბაჩანას ეუბნებოდა (კ. ყმა, 293). 77. იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ კაცსა და დედაკაცს (თ. ბიბ., 441). 78. გულხელი დაეკრიფათ და მოღუშულნი ჩასცქეროდნენ მათ ფერხთა წინაშე პირდაღებულ საორკესტრო ორმოს თუ საშინელ უფსკრულს (ნ. ონაშ., 203). 79. გოგონა ხან სურათებს მისჩერებოდა, ხან მხედრული ნაბიჯით მიმავალ ჯარისკაცებს (გ. ფანჯ., 678). 80. თამაზი დროდადრო როსტომსა და ამირანს თვალს შეავლებდა (გ. ფანჯ., 676). 81. ვინ იცის, გზაზე რამდენ ლოდს, ბეტონის ღობესა და ღობურას გადაეყრები (ო. იოს., 177). 82. არც შენ გაძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას, ებრძოდა შენს სიცივესა და უგრძნობლობას (ო. იოს., 236). 83. მან ჩვენში ერთსაც და მეორესაც გზა გაუკაფა (ილია, 824). 84. ყოველ ამას გარდა, იმპერატორმა პაველმ გამოუგზავნა კავალენსკის ხელითვე ძვირფასი ნივთები მარიამ დედოფალსა, ბატონიშვილებსა, კარის ეკლესიის მღვდელს, სიძეს მეფისას მუხრან-ბატონს და სიმამრს მეფისას თავად ციციშვილს (ილია, 708). 85. შენ კი, ძე-კაცო ეგუები ღამეს და ზამთარს (ი. ჯოლბ., 58). 86. თურმე უკანასკნელ წუთებში ფანჯრებს და კედლებს ეხლებოდა (კ. ყმა, 389). 87. თამაზი დაძაბული აკვირდებოდა მათ ჩასუქებულ სახეებს, დამსხვილებულ თითებსა და უზარმაზარ მუცლებს (გ. ფანჯ., 463). 88. ის ხან ოთარს აკვირდებოდა, ხან მის თანამეინახეებს (გ. ფანჯ., 464). 89. დღეს აკაკი წერეთელი წარუდგება თავის ერს, მთელ საქართველოს (მოგ. აკ., 307). 90. იგი ყოველწლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს (მოგ. აკ., 308). 91. არც ანეტას უღებდნენ კარს და არც ალათიას (ო. ჭილ., II, 397). 92. ჯერ კიდევ კარგა ხანს არ მოეღება ბოლო ასფალტზე დაყრილი ხალხის წვალებასა და მოლოდინს (ო. ჭილ., II, 402). 93. არ უნდა გამოჰკლებოდნენ ქელეხსა თუ ქორწილს (ო. ჭილ., II, 142). 94. ის პირდაპირ გაეცნო თავის ხალხს, თავის ერს (მოგ. აკ., 295). 95. შეშის ჩესვას და თუნუქის ღუმელში შეყრას ვერავინ აუდიოდა (ო. იოს., 199). 96. ის გამოესარჩლა დასა და დისწულებს (აკაკი, 105). 97. მე თვალს ვაშორებ თახჩაში დაგროვილ ქაღალდებს და ეტრატებს, სქლად აკინძულ ძველისძველ წიგნებს (თ. ბიბ., 75). 98. ამას ნაცნობ-მეგობრებს, მტერსა და მოყვარეს ეხ-

ვეწება (ო. იოს., 279). 99. მირანდა ხან ლევანს მისჩერებოდა, ხან მეგობარს (გ. ფანჯ., 365). 100. მანანა ხარბად მისჩერებოდა ჭაბუკის ღია წაბლისფერ თმას, მძლაერ, მაღალ კისერს (გ. ფანჯ., 511). 101. მდინარე მოადგებოდა ნაპირს, გამოუთხრიდა ძირს ყანას და ვენახს (ო. იოს., 310). 102. იმ ქათმებს და ინდაურებს გაუღე კარი და მინდორში გაუშვი (ო. იოს., 319). 103. ის ქალი მხოლოდ ტყეს ეკუთვნოდა ან იმ სიზმარივით დარჩენილ ჭალისპირს (თ. ბიბ., 391). 104. საბრალო ვერხვი შეჰხაროდა ყვავილების სიცოცხლესა და სილამაზეს (ვაჟა, 291). 105. ნახევარ საუკუნეზე მეტი ვემსახურე ლაშარსა და ქვეყანას (კ. ყმა, 43). 106. დღეში სამჯერ ინდაურის ფრთით გადასწმენდდა ხოლმე მტვერს ბიბლიასა თუ სახარებას, „ვეფხისტყაოსანსა“ თუ „ყარამანიანს“ (ო. ჭილ., II, 150). 107. ადრიანი შემოდგომის თხელი ბურუსი უნაზეს ფარდად აჰკვროდა გაცრიატებულ ლამპიონებსა და მაღალი სახლების თავზე მოციაგე ფერად რეკლამებს (ნ. ონაშ., 200). 108. ის შიმშილსა და დაღუპვის მოლოდინს მაინც გადაურჩებოდა (ო. იოს., 77). 109. ელიზბარმა ყველაფერი ძმას, ქურსიკას, დედას, სეთურს უამბო (ვაჟა, 391). 110. მათ შეაჩვიეს ყური ამისთანა ქარაფშუტობას და ცუღლუტობას (ილია, აზრ., 84). 111. ეკალბარდივით ებღაუჭებოდნენ ყველას და ყველაფერს (ო. ჭილ., I, 25). 112. ის ქვეყნის შუაგულისკენ აუყვებოდა გადაბურდულ ნაპირებს, ტაძრებივით გარინდულ ტყეებს, გადაბრიალებულ ბაღ-ვენახებს, გაყუჩებულ სოფლებს, გოგო-ბიჭებით გადაჭრელებულ შუკებსა და ეზოებს (ო. ჭილ., I, 26). 113. ამ ფიქრით აწყდებოდა დარბაზს და ჭერხოს, ბაკსა და ბოსელს (თ. ბიბ., 468). 114. არც შუადღის სიცხით ჩაყუჩებულ სახლებს აქცევდნენ ყურადღებას და არც წყაროს ღარიდან გულუხვად მოთქრიალე ნაკადს (ო. ჭილ., II, 201). 115. მხოლოდ ეს უთხრა გულგადატრიალებულ ცოლსა და ქალიშვილებს (ო. ჭილ., I, 83). 116. ბერძნები ქალაქსა და მის ადათ-წესებს ეცნობოდნენ (ო. ჭილ., I, 116). 117. ოთარ ნიჟარაძე ხან ერთს აკვირდებოდა, ხან მეორეს და ხან მესამეს (გ. ფანჯ., 598). 118. დამბაჩის ხმამ არა მარტო თათრის გაუთავებელ სტუმრობას, არამედ მაიორისა და გიორგას მეგობრობასაც დაუსვა წერტილი (ო. ჭილ., II, 53). 119. ყაზი-ბეი შორიახლო იდგა, არც ქალს უახლოვდებოდა და არც ამხანაგებს (გ. რო-

ბაქ., 335). 120. სადმე იქნებ ჩხუბსა და აყალმაყალს გადაეყარეთ (ო. იოს., 483). 121. ის ლამაზ ჩარჩოდ შემოხვეოდა მეტად მაღალ შუბლს, ეაკეაცურ და ღვთაებრივ სახეს (მოგ. აკ., 397). 122. პოეტი ამ ომში ქართველების თაედადებას და სიმამაცეს ეხებოდა (მოგ. აკ., 382). 123. ეს მიწა-წყალი ერეკლე მეფემ აჩუქა ფშაველებს და ხევსურებს (კ. ყმა, 85). 124. თინათინი ხან ქმარს მისჩერებოდა, ხან ლევანს (გ. ფანჯ., 377). 125. ხან მედეას შეაშტერებდა თვალებს, ხან კი გამხიარებულ აიეტს (ო. ჭილ., I, 118).

*§ 69. ერთგვარუბრალოდამატებიანი.* 1. დუმილითა და თვალთმაქცობით ერთმანეთში იმ ფიქრის მოსპობას ცდილობდნენ (ო. ჭილ., II, 91). 2. დროშებითა და გალობით შეეგებებოდა ხალხი საგუსაღოდან გამოსულ ნიკოს (ო. ჭილ., II, 216) 3. სისხლით და ცრემლით გაკლენთილ გზაზე შენს წაქცევასაც ეცდება იგი (ო. ჭილ., II, 538). 4. მართლა ფრთიანი დგანან ცხენები, მოჩითულები ლურჯი ხალებით, ლურჯი ფორეჯის იაგუნდებით, დაგეზებული ურჩი თვალებით (მ. ლებ., 64). 5. გატენილია სამხრეთის ტრაქტი ასიათასი ქვემეხის ლულით, ათასი რკინით, ათასი ჯართით, ათასი ბოლმით, ათასი წყლულით, ათასნაირი ჯარების ზეირთით, რისხვით, წარბშეკვრით და გულგრილობით, ამ პირტიტველა ბიჭებით, ჭყინთით, ილაჯგაწყვეტით და უძილობით (მ. ლებ., 64). 6. ამ ჩემი ბრძოლით, ამ ჩხუბით, დავით, ამ ჩემი სოფლით, ამ ჩემი მთებით მე მოვაძულე ქვეყანას თავი (მ. ლებ., 94). 7. ბეელმა მუშამ მარტენის საამქროს უფროსობამდე გზა თავისი გამჭრიახობითა და შრომისმოყვარეობით გაიკვალა (გ. ფანჯ., 240). 8. იგი ასაკით და შესახელაობით ჩვენს შორის გამოირჩეოდა (გ. ფანჯ., 219). 9. შელახული თავმოყვარეობა რისხვად და ცრემლად მომაწვა ყელთან (ნ. ონაშ., 13). 10. შენ მუდამ ფიქრობდი ხალხზე, ფიქრობდი ერზე, მამულზე, საქვეყნო საქმეზე (ნ. ონაშ., 158). 11. მქრქალი კედლები ფერწერული ტილოებითა და ჭედური ნაკეთობებით იყო მოფენილი (ნ. ონაშ., 172). 12. ისინი ამოკვეთილია ქვაზე, ტყვიაზე, ბრინჯაოზე, ვერცხლზე (შ. ძიძ., 7). 13. აქ წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს მხატვრული წარმოსახვის იშვიათი

უნარითა და ვირტუოზული ოსტატობით აღბეჭდილი ქვაში კვეთილობის უბრწყინვალესი ნიმუშები (შ. ძიძ., 20). 14. აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე არც სიძულვილში, არც სიყვარულში (ილია, 69). 15. ეს სკოლა გამართულია ერთი კაცის მხნეობით, ღონითა და ღვაწლითა (ილია, 576). 16. ხან ნაღვლით გაილესოს, ხან ძირტკბილით ენის წვერი (აკაკი, 42). 17. ცოლ-შვილი უნდა გაეოცებინა წნორში გაგებული ტყუილითა თუ მართლით (ო. ჭილ., II, 322). 18. ის განთქმული იყო გარევნული სილამაზით და ცეკვა-თამაშით (კ. ყმა, 248). 19. ეს ამბები უხვად იყო შეზავებული მაღალი პოეზიით და ენამახვილობით (მოგ. აკ., 50). 20. ქაშვეთის ეკლესიაში ეკატერინე გაბაშვილმა კუბო შეამკო დაფნის გვირგვინით, შუაზე გადატეხილი კალმით და წარწერით: „ვაჟა-ფშაველას ქართველი ერისაგან“ (კ. ყმა, 133). 21. ხალხი მღერის შრომაზე და ცხოვრების სიმწვავეზე, ბატონების უღელზე და მბრძანებელთა უგულობაზე, ამავე დროს სიყვარულსა და სიძულვილზე, ვარსკვლავებსა და მთვარეზე, ყვავილებსა და სილამაზეზე, მეგობრობასა და ვაჟკაცობაზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე (მოგ. აკ., 17). 22. ახალი ხმაურობით და ამბოხებით გამოწვეული სიხარული აღარ ნელდება (პ. იაშვ., 175). 23. კავკასიის ცისქვეშ სხედან ერთგულ ძმად და ერთგულ ტომად (პ. იაშვ., 187). 24. იმისი თვალები გადადიოდა ხან მამოზედ, ხან იმის ცოლზედ (ა. ყაზბ., 133). 25. ის შიშითა და უნდობლობით იყო დასნეულებული (ო. ჭილ., I, 63). 26. ხატების წინ დაჩოქილნი ლოცვით და გალობით შეეგებნენ ბრმას (ო. ჭილ., II, 64). 27. თოვლის ქვეშ იმალება ქვეყანა თავისი სოფლებითა და ქალაქებით, ამ სოფლებისა და ქალაქების დამაკავშირებელი გზებით (ო. ჭილ., II, 260). 28. ქვემეხებით, ალალით, ლაფში თხვრით და სრიალით, ჯართით, ბარგი-ბარხანით ეს მთა გადავიარეთ (მ. ლებ., 38). 29. დანაღმულია ეს მინდვრები ხოხბით და კაკბით (მ. ლებ., 113). 30. ლექსი შენდება არცრით, უპირველესად – გრძნობით, ან –მწუხარების მაფრით! ან – სიხარულის ელდით! ან –სიყვარულით მძაფრით! ან – სიძულვილით მკვეთრით! ან – თავგანწირვის რისკით! ან – სინანულის ღვენთით! ბოლმით, ზიზღით და რისხვით, გრძნობით, ერთით და ერთით (მ. ლებ., 107). 31. რაიონებიდან ყველით, კარტოფილით და ცოცხალი

ქათმებით დატვირთული ბრუნდება (გ. ფანჯ., 183). 32. ისინი საუბრობდნენ და კამათობდნენ ლიტერატურაზე, მუსიკაზე, სპორტზე (გ. ფანჯ., 242). 33. მე დავცინოდი ძლივს შეკავებული ცრემლით, ძლივს დაოკებული რისხვით (ნ. ონაშ., 68). 34. შენთვისაც ასე სჯობს, ჩემთვისაც და მისთვისაც (ნ. ონაშ., 81). 35. რა ძვირფასი იყო აკაკი თავისი უბრალოებით, სათნოებითა და თავისი სიდიადით (მოგ. აკ., 57). 36. ბოსტნეულით, მწიფე ხილით და დარჩეული წაბლით სავსეა (პ. იაშვ., 228). 37. დედა ზრდიდეს დიდ ვაჟკაცებს ნანაში და ზღაპრებში (პ. იაშვ., 228). 38. მას შეუმკვია საწოლი წითელი ვარდებით, თეთრი ვარდებით, იაიებით და დაფნის რტოებით (პ. იაშვ., 278). 39. იყვირეთ, მიდით... მავთულხლართებზე ცულით, ნაჯახით, თოხით, ბარებით (ა. კალანდ., 74). 40. ვინც არ უნდა მოატყუო ქამარ-ხანჯლითა და არშიანი ბეჭებით, ბავშვსა და ძაღლს ვერ მოატყუებ (ო. ჭილ., II, 225). 41. და გავუმკლავდე დღეს მოპაექრეს ავსებულს რისხვით, ჯავრით, ბრძანებით (ი. ჯოლბ., 64). 42. მე მას ვზომავდი მხოლოდ იმ თრთოლვით, მხოლოდ იმ შიშით და ალტაცებით (ო. ჭილ., II, 432). 43. და როგორც ტაძრის თაღი გალობით, შენც გაივსები მზით და ჩიტებით (ო. ჭილ., II, 526). 44. ასაკითაც და აღნაგობითაც ძმებად უფრო შეჰფეროდნენ ერთმანეთს (ო. ჭილ., II, 85). 45. ომით, მშვიდობით, ბრძოლით და შრომით პირცეცხლიანი ვიდოდნენ დღენი (მ. ლებ., 41). 46. ფიქრობდა ჯიხვებზე, მთებზე, ბერდენკაზე (გ. ფანჯ., 87). 47. ამქვეყნად ყველაფერი შესაძლებლად და მისაწვდომად მომაჩვენა (ნ. ონაშ., 105). 48. ეს მზერა ტკივილითა და სიბრალულით მავსებდა (ნ. ონაშ., 159). 49. დანიელს ევალებოდა ყოველი ქვისათვის და ყოველი კენჭისათვის მზერა არ მოეცილებინა (ო. იოს., 60). 50. აღმოჩენილია ფერადი კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშები, აღბეჭდილი ცხოველთა სურათებითა და ფიგურებით (შ. ძიძ., 7). 51. ლუის სანგინომ უხვად დაგვესაჩუქრა თავისი ნამუშევრების რეპროდუქციებითა და ალბომებით (შ. ძიძ., 20). 52. აქ მთვარე მზესა — იმ სისხლის ტბას — მიაწყდებოდა და ზარით, გრგვინვით და ქუხილით უკუ ხტებოდა (ილია, 46). 53. გალახავდნენ ხელით, ან მათრახით, ან ჯოხით ისევ პატარა ახალგაზრდა ფარეშებს (აკაკი, 120). 54. ყველასაგან მოითხოვდა მაღალი მიზნისათვის კეთილშობილ

სამსახურს სიტყვითაც და საქმითაც (კ. ყმა, 354). 55. ლევანთან და თამართან ერთად ჩვენთან სხვებიც მოდიოდნენ (კ. ყმა, 248). 56. თეატრი უკვე მორთულია ფოთლებით, ყვავილწნულებით (მოგ. აკ., 67). 57. ახალი ფერით, ნაღდი საღებით დავატრიალო სიტყვა ახალი (პ. იაშვ., 152). 58. მე ჩემი გზებით და იმედებით სულ სხვანაირად ვარ ბედნიერი (ო. ჭილ., I, 556). 59. და უცებ სულში შემოდის ქალი ვარდებით, ელდით და ქრუანტელით (ო. ჭილ., I, 572). 60. შეეძლო მარტო შენს ბავშვურ სიცილს გაევსო სახლი მზით და ჩიტებით (ო. ჭილ., I, 574). 61. ტყე სოფელზე წაბმულა ქვერით, შქერით, პარტახით (მ. ლებ., 160). 62. მიყვარდა იგი, ჩუმი და წრფელი, კაცი, დაღლილი ფიქრით და შრომით (მ. ლებ., 538). 63. მაციევარი სავსეა „ბორჯომით“ და „ლუდით“ (გ. ფანჯ., 240). 64. ჩვენი მეზობლები შეძახილებითა და ხელების ქნევით მოგვესალმენ (ნ. ონაშ., 110). 65. მაშინ შენ ან გიჟად ჩაგთვლიან, ან მოშურნედ (ნ. ონაშ., 20). 66. ხარს ხელს ახებდნენ რქებზე, ყურებზე, წინა მხრებზე და ზურგზე (შ. ძიძ., 23). 67. სან ფერმინი გრანდიოზულობით, იმპროვიზაციით, რიტუალური ფორმების მრავალფეროვნებით და არქაული ეროვნული სანახაობებით უნიკალური სახალხო დღესასწაულია მთელ მსოფლიოში (შ. ძიძ., 20). 68. სოფელში ჩასვლისას ავივსე ლხენითა და სიამით (ილია, 408). 69. მისი დაღლილი თვალები სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა (ილია, 366). 70. და იქ იჩენენ სავანეს სასოებით და ცრემლის ღვრით (აკაკი, 43). 71. ვაჟამ რკინის კეტით დაანგრია ტყის მცველის მიერ ცემენტით და ტყვიის მილით გაკეთებული მჟავე წყალი (კ. ყმა, 296). 72. იგი განთქმული იყო თავისი ნადირობითა და ღონით (კ. ყმა, 16). 73. სიტყვით, საქმით, დარიგება-წაქეზებით ცდილობდა პატარა ნაპერწკალიც კი ნაკვერჩხლად ექცია (მოგ. აკ., 54). 74. ღუმელის ჩატვირთვაში, დნობაში და სხვა ოპერაციებში მეფოლადეებს დნობის ჟურნალში ბალები ეწერებათ (გ. ფანჯ., 265). 75. წყლის ზედაპირი ელვარებს ქონით, მაზუთით (პ. იაშვ., 250). 76. ისინი ჩაუძვრებიან კაცს სულსა და გულში, ჭკუაში, ძვლებში (ა. ყაზბ., 105). 77. ღამე ივსება მოლოდინით, დარდით და შიშით (ო. ჭილ., I, 592). 78. და ვეშვებოდით სახურავებზე, ქვაფენილებზე და გამვლელებზე (ო. ჭილ., II, 435). 79. ვეძგერეთ ერთურთს ხვნეშით, ბურტყუნით და

ძელების მტვრევით (მ. ლებ., 426). 80. გვიან თეთრი გვრიტებით და ჩხართვებით ვბრუნდები (მ. ლებ., 522). 81. ის ლითონის უზარმაზარ ფერებში და კონსტრუქციებში მოექცა (გ. ფანჯ., 250). 82. შრომით თუ ოფლით ვიყიდდი ლუკმა პურსა (ილია, 369). 83. აქ გაიმართა საუბარი ქართველი ხალხის წარსულისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ (შ. ძიძ., 16). 84. სულ ეხმარებოდა სოფლელებს ფულით თუ წიგნებ-რვეულებით (კ. ყმა, 186). 85. მუშები ეზიდებოდნენ წყალს ზურგის კასრებით და თულუხებით (კ. ყმა, 176). 86. ხშირად ლაპარაკობდნენ პოლიტიკაზე, მწერლობაზე, ბანკზე, თეატრზე (მოგ. აკ., 319). 87. უმეტესობა კამათობს ომზე, რევოლუციაზე (პ. იაშვ., 250). 88. ურუქს ვერ გაუტოლდებოდნენ ვერც ადგილმდებარეობით და ვერც სიდიდით (ო. ჭილ., II, 341). 89. არაფრით არ გამოირჩევა სხვა ქალებისაგან არც ჩაცმულობით და არც საფიქრალით (ო. ჭილ., II, 133). 90. თვითონ პოეტი ალყით ძლეულა, გარშემორტყმულა ძმებით და მტრებით (მ. ლებ., 255). 91. და სამ თუმნად დაგიდგები საქართველოს მეტყევედ და მევენახედ (მ. ლებ., 337). 92. სხვა მაღალ მთას მიაშურა გალობით და ღვთის დიდებით (აკაკი, 41). 93. აიშენა სახლ-კარი მშვენიერის ეზოთი და ბაღჩით (კ. ყმა, 183). 94. რამდენჯერმე მოპარეს თაფლით და ფუტკრით სავსე სკები (კ. ყმა, 182). 95. ძალას მტერზე და მოყვარეზე ერთნაირი გავლენა ჰქონდა (ო. იოს., 84). 96. კეირაში ერთხელ ძლივს ამოდიოდა დატვირთული ხორაგით და წამლებით (კ. ყმა, 239). 97. ბატონობის სურვილი ემჩნეოდა სიტყვა-პასუხშიც, სახის მეტყველებაზეც და მიხვრა-მოხვრაზეც (ა. ყაზბ., 59). 98. ის ლაპარაკობს ლექსებზე, სპორტზე (პ. იაშვ., 284). 99. უსტაბაშის დიდხანს დარჩენა თავის თანამდებობაზე დამოკიდებული იყო მის უნარიანობაზე და უფრო მის ავტორიტეტზე (ი. გრიშ., 36). 100. საღამოს ყველანი ერთად თაიგულებით, ანთებული სანთლებით, ჩირაღდნებით და ზურნით ბაღიდან ბრუნდებოდნენ (ი. გრიშ., 31). 101. ჯერ კიდევ ცდილობდა ლადიკო ტულუშის განსაკუთრებულობისა და დამოუკიდებლობის დაცვას (ო. ჭილ., II, 384). 102. ისევ თავისი სიყოჩაღისა და ვაჟკაცობის დასამტკიცებლად იქნევდა ფარანს (ო. ჭილ., II, 383). 103. შენ მეგობრისათვის უარს ამბობდი პირველ და განუმეორებელ სიყვარულზე, ბედნიერებაზე, მომავალზე, სი-

ცოცხლეზე, არსებობაზე (ო. იოს., 248). 104. ქუჩაც სავსეა დენით და ძირთოლვით (ო. ჭილ., I, 583). 105. ის ზღვის ვერაგობაზე ფიქრობდა და იმ საერთო უბედურებაზე (ო. ჭილ., I, 218). 106. ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ დაფდაფითა და ბუკითა (ლ. ასათ., 44). 107. მის გულს ეკონება აჩრდილის ნათქვამი სიტყვა კითხულის ვაჟკაცობაზე, შეუპოვრობაზე, უშიშის გულსა და ბრძენის გონებაზე, კითხულის მოწყალე და რაინდულ სულზე (თ. ბიბ., 164). 108. ის ავსულებთან და დევებთან, მომხვდურთან თუ შორეულ მტერთან მებრძოლი იყო (თ. ბიბ., 105). 109. კრივი იწყებოდა მრავალრიცხოვან დამსწრეთა შეძახილით და ყიჟინით (ი. გრიშ., 27). 110. ვისუნთქოთ მისი პურით, ქუჩაბანდებით, ნანგრევებით (ი. გრიშ., 180). 111. სასახლე მისნებით, მკითხავებითა და მაჯის შემტყობებით გაივსო (ო. ჭილ., I, 32). 112. აღარც მონასტერზე ვფიქრობდი, აღარც ხეჩინაზე, აღარც გაავებულ, გულჩათხრობილ და გაუგებარ სოფელზე (თ. ბიბ., 66). 113. ბაზარში დინჯად შემოდიან ჩალვადარები აბილაურით, ყინულით და თურამაულით (ლ. ასათ., 48). 114. ერთი მწერლის აზრით, ისტორია ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემისდილობასთან (ილია, აზრ., 34). 115. თოვლიც სავსეა თრთოლვით და ქრუანტელით (ო. ჭილ., I, 576). 116. დღიური საკვები უნდა ეშოვნა თავისათვის და თავის საწყალი შვილისათვის (ა. ყაზბ., 240). 117. პორტრეტი იყო საკმაოდ მაღალი გემოვნებითა და ოსტატობით შესრულებული (ნ. ონაშ., 130). 118. მან ილაპარაკა კომპოზიტორზე, მის შემოქმედებაზე, მის ადგილზე და სიმაღლეზე მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურში (გ. ფანჯ., 633). 119. ეს სიტყვები თრთოლვითა და ცახცახით, შიშითა და ძრწოლვით, მუქარითა და მუდარით იფანტებოდა (თ. ბიბ., 323). 120. დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც (ილია, აზრ., 30). 121. ყური უნდა მეგდო იმისათვის, იმის საჭიროებისათვის, მწუხარებისათვის და წადილისათვის (ა. ყაზბ., 149). 122. ტკბილი პაპა ფეხს მოირთხავს ხოლმე თავის წვრილშვილთან, შვილიშვილებთან და ბადიშებთან (თ. ბიბ., 310). 123. ამის სათქმელად თითქოს ეს შუაღამეც გვიხმობდა თავისი გარინდებით, ხვალინდელი გათენების გულჩათხრო-

ბილი მოლოდინით (თ. ბიბ., 315). 124. ბედნიერება აქ იყო თავისი სახლ-კარით, ჯალაბით, ცეცხლით, პურის ნატეხით და ცივი წყლით (თ. ბიბ., 428). 125. მტვერსა და ტალახში ამოგანგლული, ბორბლებმორყეული ეტლი აიეტმა ქალაქში შემოიყვანა (ო. ჭილ., I, 80). 126. ასე პასუხობდა წიგნების თვალიერებით, ხატვითა თუ თოჯინის მორთვა-მოკაზმვით გართული მართა (ო. ჭილ., II, 394). 127. ქუჩები ერთბაშად გაივსო ხალხით, მანქანებით, ავტობუსებით, ტროლეიბუსებით (გ. ფანჯ., 667). 128. ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჭირისუფლისათვის, მეზობლისათვის, ნათესავისათვის, მტრისა და მოყვარისათვის (გ. ფანჯ., 582). 129. ყოველთვის შეგიძლია ქალების დასაჩუქრება, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების, ნაცნობების დაპატიჟება (ნ. ონაშ., 111). 130. აი, ის შენიშნა კათალიკოზმა, წაიყვანა თავისთან, აკურთხა იღუმენად, არქიმანდრიტად და ეპისკოპოზად (დ. ჭონქ., 50).

§ 70. *ერთგვარგანსაზღვრებიანი.* 1. კედელთან დგას თეთრი, ცივი სვეტი (ო. იოს., 90). 2. თვალატირებული სოფელი დაკარგული შვილებისა და სტუმრების გზას გაჰყვა (ო. იოს., 60). 3. იფნების, მუხის, არყის ტოტები, კენწეროები ციდან ჩამოსული კელაპტრებით იყო განათებული (ვაჟა, 157). 4. რუსეთში მყოფი ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქერივს გაუვლიდა (აკაკი, 152). 5. მწიფე ჭერმისფრად ხასხასებდა ალაგ-ალაგ ქანგმოდებული, ხავსგატრუსული კლდე (ნ. ონაშ., 12). 6. პატარა, მწვანე მინდორზე შევჩერდით (ნ. ონაშ., 94). 7. ბილიკის პირზე გაზუზული, მიკუნტული ბიჭები ლოდებს ეფარებოდნენ (ო. იოს., 74). 8. შენი თვალების ზღვაში ჩაეძირე იმედისა და ოცნების გემი (ო. ჭილ., I, 539). 9. ერთ-ორს ცირკის ხუმარასავით ჭრელი, განიერი, ფართხუნა შარვალი ეცვა (ნ. ონაშ., 108). 10. ალვებისა და ნაძვების ტოტები ასეთი ზეიმით არასოდეს წასულან ლურჯი ლაჟვარდისაკენ (ნ. ონაშ., 122). 11. მნიშვნელოვანი ხდებოდა ჩრდილიც კედლის თუ კიბის, ხისა თუ თხრილის (ო. ჭილ., II, 530). 12. შორს ნაპირიდან მიჰქონდა ზეფირს წარმოუდგენლად გადახლართული ეჭვის, სიბნელის, სინათლის გზებით (ა. კალანდ., 343). 13. ზღვისა და მთების

პაერით დამტკბარა ჩვენი მთა-ბარი (პ. იაშვ., 217). 14. ოფიცი-ანტებს მაღალი, მსუქანი ქალი გამოეყო და მათთან მივიდა (გ. ფანჯ., 234). 15. გადატკეპნილ ფერდობზე პატარა, შავი ბორცვი დარჩა (გ. ფანჯ., 82). 16. მოკლე, სწრაფი ნაბიჯით წავიდა კარისაკენ (ნ. ონაშ., 16). 17. სიყვარულს გაუმარჯოს, ნამდვილ, წრფელ და დიდ სიყვარულს (ნ. ონაშ., 106). 18. ირგვლივ ირ-წყვება ტაფობი ვერცხლის და ოქროს წყალითა (ვაჟა, 161). 19. მე-რე ორმა ბიჭმა შემოიტანა გრძელი და ვიწრო ხის სუფრა ოთხფეხიანი (აკაკი, 100). 20. ქალებმა ეს უბედურება ჰანსისა და კლაუსის თვალებში ამოიკითხეს (ო. იოს., 98). 21. ამან კიდევ უფრო დააფრთხო ისედაც ძილგატეხილი და აძიგძიგე-ბული ბიჭები (ო. იოს., 74). 22. შეგირყია დიდ ცხოვრების სამ-კეიდრო ბჭენი შენმა მოძულემ და მოლალემ უცხო მთაეარმა (ილია, 117). 23. ის ძლივს შესამჩნევლად აცმაცუნებდა სველსა და წითელ ტუჩებს (ო. ჭილ., II, 74). 24. ჰაერში თოვლისა და ყვავილის სუნი ტრიალებდა (ო. ჭილ., II, 264). 25. სავალ ბილიკებზე ქვების, ბათქაშისა და რკინის კონსტრუქციების ნამსხვრევები ეყარა (ნ. ონაშ., 73). 26. ეს ჩაქამებული გარემო ცისფერი, მწვანე, იისფერი და თეთრი სალებავებით არის შეს-რულებული (ნ. ონაშ., 12). 27. კაცისა და ცხენის ოხშივარით დამძიმებული ნიავი ნელა აფრიალებდა ფურგონზე გად-აჭიმული ტილოს აშვებულ კალთას (ო. ჭილ., II, 65). 28. სველ გზებზე წაბლის და იფნის და მუხის ფოთლები ყრია (ა. კა-ლანდ., 230). 29. ესმით მაღალ არაბულებს ხმა საამო და სალხინო (პ. იაშვ., 187). 30. სიმონ ყანჩაველს ყოველთვის სიძ-ველისაგან გაქექილი და ხშირი უთოობისაგან აპრიალებული შავი კოსტუმი ეცვა (გ. ფანჯ., 183). 31. მანქანამ ვიწრო, ან-გრეულ და გადათხრილ ქუჩაზე გადაუხვია (გ. ფანჯ., 178). 32. ვა-ჟა კითხულობდა დაბალი, დინჯი ხმით (კ. ყმა, 243). 33. დაუდ-გრომელი, დაუცხრომელი, გაუძლომელი ტალღები გრგვინავს (მ. ლებ., 368). 34. შენი ცისფერი და მზისფერი ორდენის ღირსი კიდევ არიან პოეტები (მ. ლებ., 314). 35. დაჭრილს კისერთან ღილი შეუკრა, ზედ თავისი გახუნებული და გაქექილი ჯუბა გადააფარა (ო. იოს., 32). 36. გიშერივით შავი, დაუვარცხნელი, დაწეწილი თმა სახლის საძირკვლამდე ჩამოეყარა (ო. იოს., 60). 37. კოცონთან ჩამსხდარი, სახედაფორაჯებული, წვერმოშ-

ვებული და მკერდმოღეღილი ჯარისკაცებიც უზარმაზარები ჩანდნენ (ო. ჭილ., II, 65). 38. მონიკელებული თასი წითელი და ლურჯი ფანქრებით იყო სავსე (გ. ფანჯ., 431). 39. უკვე მესამე თუ მეოთხე ჭიქა დავცალე (ნ. ონაშ., 105). 40. დასავლეთით პირდაპირ იმათკენ მოდიოდა გრძელი, შავი ღრუბელი (ა. ყაზბ., 104). 41. აქ ჩამოდიან ევროპის, ამერიკის, აზიის ქვეყნებიდანაც (შ. ძიძ., 21). 42. ადრევე შეიჭრნენ იბერიის ნახევარკუნძულზე კართაგენელების, კელტების და სხვა ხალხების ტალღები (შ. ძიძ., 4). 43. ელიზბარი პატიოსანი, მშრომელი და სამართლიანი კაცი იყო (გ. ფანჯ., 242). 44. მესამე, მეოთხე და მეშეიდე ღუმელებს ტვირთავდნენ (გ. ფანჯ., 245). 45. ამ სიტყვებს ავტორისა და შემსრულებლის სადღეგრძელო მოჰყვა (კ. ყმა., 354). 46. ეშხში შესული დარბაისელი და გამოცდილი ფალავნები უკვე ნამდვილ კრივს იწყებდნენ (ი. გრიშ., 26). 47. ზურნისა და საყვირების გამაყრუებელი ხმა მოეფინა არემარეს (ი. გრიშ., 30). 48. ყელში ხავილით ამოსდის სული სვანურს, რაჭულს და ფშაეურ ხეობას (მ. ლებ., 82). 49. გაავებული, მღვრიე, ვიწრო მდინარის ნაპირს ჭენებით მოსდევდა ორი ცხენოსანი (ო. იოს., 38). 50. მისი ნამუშევრების გამოფენები დიდი წარმატებით სარგებლობს ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებში (შ. ძიძ., 20). 51. ათი თუ თხუთმეტი ბავშვი სულ სხვადასხვა ხმაზე ყეფდა (აკაკი, 131). 52. დაივიწყე ის ყრუ და ვიწრო სოფლის ადათი, მამაპაპური (პ. იაშვ., 198). 53. არის სერობა, არის ზეიმი ადამიანის, მზის და ბუნების (ლ. ასათ., 113). 54. შეკრბა... ჯარები ოვსთა, ყივჩაღთა, კახთა და ჰერთა გულადთა (ლ. ასათ., 94). 55. და გამზირიდან ღრუბლიან ცისკენ გაჩნდნენ ქარის და წვიმის ძაფები (ლ. ასათ., 64). 56. ის შეშინებულ, ამღვრეულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა (გ. ფანჯ., 542). 57. გაწბილებულმა და გაბრაზებულმა ბავშვებმა ძეწნის სველი რტოები ერთიორჯერ წვივებზე მწარედ გადაუჭირეს მგზავრს (ო. ჭილ., I, 355). 58. ის თაფლისა და ცეცხლის სურნელს აფრქევევდა (ო. ჭილ., I, 193). 59. ქუჩაში გაჩქარებით მიმავალი, დევნილი, შეგინებული უცნობი გარბოდა (ო. იოს., 165). 60. აქლოშინებული, თვალანთებული და ნესტოებდაბერილი ჩემი მეგობარი გამარჯვებული ლაშქრის წინამძღოლს ჰგავდა (თ. ბიბ., 29). 61. არავის არ სძინავს ისე აბნეულად,

როგორც რომ ლექსის და ჰადრაკის ოსტატებს (პ. იაშვ., 163). 62. ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას ველარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა (ილია, 118). 63. ტყვეები უნდა დაეცვა ასე გაგულისებული და გაბოროტებული მტრისაგან (ო. იოს., 117). 64. ერთი კვირის შემდეგ აზმუვლებულმა, მტვრისა და ბუზანკლის შარავანდედით თავმობმულმა ნახირმა ჩამოიარა ქალაქში (ო. ჭილ., I, 239). 65. მოგორავდა ღვინისა და ზეთის კასრები (ო. ჭილ., I, 160). 66. ორღობეში კამის, პიტნისა და დაყვავილებული ფშატის გამაბრუებელი სურნელი იდგა (ნ. ონაშ., 207). 67. რთული სიმფონიური ნაწარმოების მოსმენას მას ურჩევნია სალამურის ან კიდევ ჩონგურის უბრალო ხმათა გაგონება (მოგ. აკ., 31). 68. სუფრაზე თეფშების ნაცვლად ვაზის, ლეღვის ან კომბოსტოს ფოთლები ელაგა (ი. გრიშ., 38). 69. ანკარა, ჩუხჩუხა წყალი ამოდის აგერ, მოდის და მოედინება (ო. იოს., 132). 70. იმ დღეებში ისე არავინ გამოვიდოდა შინიდან, ხელში დაფნის ან ტირიფის ტოტი რომ არ დაეჭირა (ო. ჭილ., I, 62). 71. ფრიქსეს და ქარისას ქორწილმა მთელი ქალაქი სასიყვარულოდ განაწყო (ო. ჭილ., I, 30). 72. კედლებზეც ფარფატებდნენ თოკზე გადაფენილი ტყავის, წინდების, პაჭიჭების და გუდის ლანდები (თ. ბიბ., 421). 73. შეუმცდარად იცოდა გზა ჩალისა თუ თივის ზვინებამდე (ო. იოს., 263). 74. გაფრინდება სიყმაწვილე, შფოთიანი, წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება (ლ. ასათ., 4). 75. ცხენთა და კაცთა სიმრავლით იზნიქებოდა მთა-ბარი (ლ. ასათ., 95). 76. ათი წლის მერე, მართლაც, ასრულდა ჩიტისა თუ აფრასიონის წინასწარმეტყველება (ო. ჭილ., I, 30). 77. შხუილით მიქროდნენ უკან გზაზე გადმოფენილი ტოტები, გზისპირა თხრილები ცაცხვის, ალვის, აკაციისა და ათასნაირი ხესილის გამხმარ ფოთოლს ამოევსო (ო. ჭილ., II, 246). 78. ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ ჰაერს მარტო ცხოველის ან ადამიანის პირიდან ამოსული პატარა ტალღა თუ შეარხევდა (გ. ფანჯ., 637). 79. შენ ერთხელ სამზარეულოში კედელზე ხის კოვზების, ჩამჩისა და ქაფქირის საკიდი თაროს მიმაგრება დაგჭირდა (ო. იოს., 237). 80. შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა (ილია, 629). 81. მაგ წელში გადაწყვეტილმა და გადაქანცულმა ხმალმა თავისი ვალი მოიხადა (კ. ყმა, 161). 82. ამ მუშაობის დროს წავაწყდით ერთ ფურცელს,

სადაც აკაკის ხელით გადაწერილია ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, თვით აკაკის და იოსებ გრიშაშვილის ლექსები (მოგ. აკ., 97). 83. ის დიდი სიამოვნებით მოგვითხრობდა ხოლმე დიმიტრის ცხოვრებისა და საზოგადო მოღვაწეობის ამბებს (მოგ. აკ., 146). 84. კონკორდიის მოედანზე აღტაცებით უხდის ქუდს ელზასისა და ლორენის ძეგლებს (პ. იაშვ., 251). 85. ციციანოვის დაღმართზე ქალაქისაკენ მოდიოდა წითელწვერებიანი მალაკანი და მოპქონდა წითელი, მწვანე და ცისფერი ბუშტები (პ. იაშვ., 261). 86. ზანზარებს მძიმე და მკვრივი ხიდი (ო. ჭილ., II, 432). 87. შილდისა და ყვარლის საზღვარზე, „კუს წყაროსთან“, ცოტაოდენი ცდის შემდეგ თელავიდან მომავალი ეტლი გამოჩნდა (მოგ. აკ., 161). 88. საუბარში სიტყვა ჩამოვაგდე ყოჩაღ და ზარმაც ყმა გლეხებზე (მოგ. აკ., 163). 89. მისი ბიძა ალექსანდრე ყველაზე ღონიერი, ყველაზე გამბედავი და ყველაზე კეთილი კაცი იყო (ო. ჭილ., II, 394). 90. აივნის სვეტებს ჭყივილით ეხეეოდნენ გულთეთრა და კუდმაკრატელა მერცხლები (ო. ჭილ., II, 393). 91. ვეფხვის ან ავაზის ტყავი მაინც უნდა გეცვას (ო. იოს., 223). 92. მე საბოლოოდ ჩამოვიხსენი შიშისა და სიმორცხვის ტვირთი (თ. ბიბ., 33). 93. ჩვენ მობეზრებული გვაქვს ეს დაბალი ჯორკოები, მაღალი და რბილი სკამები (ო. იოს., 307). 94. მზადაა შორს, თავის წინაპართა სოფელში წავიდეს ბაბუებისა და ბებიების საფლავზე ქუდის მოსახდელად (ო. იოს., 181). 95. ფანჯრიდან კვლავ შემოდიოდა მანქანებისა და ავტობუსის ხმა (გ. ფანჯ., 562). 96. კედელთან მიდგმულ დაბალ, გრძელ სკამთან ფრთხილად მივიდა (გ. ფანჯ., 564). 97. მართა იყო ამავე დროს სიწმინდის, სინათლისა და სიკეთის ღვთაებასავით მშვიდი და ჭკვიანი (ო. ჭილ., II, 392). 98. ბალახში ალაგ-ალაგ თეთრი, ცისფერი და ყვითელი ყვავილები გარეულიყო (თ. ბიბ., 396). 99. ამ სახრეების, შოლტებისა და ფიწლების ტყეში, ამ მღვრიედ წამოსულ მდინარეში ის ხან გამოჩნდებოდა, ხან დაიმალებოდა (თ. ბიბ., 58). 100. მოხუც ექიმს თავიდანვე თვალში მოუვიდა წარმოსადეგი, ლამაზი ჭაბუკი, მისი თბილი, ჭკვიანი, კეთილი თვალები (გ. ფანჯ., 569). 101. აი, ტანაშოლტილ ვაშლის, მსხლის და ბლის ხეებს რომ ხედავთ, ვაჟას ნახელავია (კ. ყმა, 97). 102. შირაქში ზილიჩის, ბურდოს და ტარიბანის საზამთრო საძოვრები

სადაო გაგვიხდა (კ. ყმა, 98). 103. მამამთილის ამ უადგილო და უსაფუძვლო შენიშენით გამწყრალი ბაბუცა წარბებს მკაცრად შეწკიპავდა ხოლმე (ო. ჭილ., II, 151). 104. მისი სახე მოგვაგონებს დიდი იტალიელების დახატულ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სახეს (მოგ. აკ., 442). 105. ეხლა თქვენ წინ იდგა აზრმოკრეფილი, გონიერი, მოსიყვარულე, მხიარული და მზრუნველი მშობელი (ა. ყაზბ., 62). 106. პირსაბან ჯამიდან თმაგაჩეჩილმა, თვალებშეშუპებულმა და სახეგაცრეცილმა გოგომ ამოხედა (ო. ჭილ., I, 129). 107. ხელისგულზე დაჭმუჭნილი, ფერშეცვლილი და კიდეებდამსკდარი ზეთისხილის ფოთოლი ედო (ო. ჭილ., I, 16). 108. ჯიუტად მიიწევდა წინ, უფრო თხელსა და რბილ ადგილს დაეძებდა კედელში (ო. ჭილ., I, 138). 109. ჩვენი გაჭირვების, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ (ილია, აზრ., 55). 110. იგი ზის მაგიდის გვერდით დაბალსა და რბილ სავარძელში (გ. რობაქ., 315). 111. ჩემს ამაგს რად აფუჭებინებ იმ ტიალს, აბეზარს, დაუდეგარს, მოუსვენარს მდინარეს (ვაჟა, 257). 112. ისევ ისე უკუკუნებდა თვალები, ისევ ისე დასთამაშებდა ღიმილი სველსა და წითელ ტუჩებზე (ო. ჭილ., II, 84). 113. მტრედის ფეხებივით გაეწითლებინა სისხლს ტირიფებისა და ძეწნების ქათქათა ძირები (ო. ჭილ., I, 170). 114. ამოდენა უსახლკარო ხალხი ერთ შენივთულ, ატორტმანებულ, აღნავლებულ, ამღერებულ და აყაყანებულ მასად ქცეულიყო (ო. ჭილ., I, 171). 115. ალვებისა და ნაძვების ტოტები ასეთი ზეიმით არასოდეს წასულან ლურჯი ლაჟვარდისაკენ (ნ. ონაშ., 123). 116. ჩვენს ბოსტანში ლეღვების, კაკლებისა თუ მსხმოიარე მსხლის ხეების მწკრივები ცვლიდა ერთმანეთს (კ. ყმა, 365). 117. დიდი, წითელი მზე უცებ ჩავარდა ჰორიზონტზე გაწოლილ ნისლში (გ. ფანჯ., 550). 118. შენი დაგებული ბარის, თოხის და ნაჯახის ტარი ყოველთვის მარჯვე და მოხერხებულია (ო. იოს., 319). 119. კარადიდან რკინისფოლაქებიანი, სამხრეებიანი ხალათი გადმოიღო (გ. ფანჯ., 575). 120. ოფლჩამოღვრილი, თვალანთებული და აღგზნებული სოფელი მოლოდინად ქცეულიყო (თ. ბიბ., 322). 121. და აირია ერთმანეთში ჭინჭრისა და იის სუნამო (ი. ჯოლბ., 144). 122. რატომ ჩაიდინა ეს ფრთხილმა და გამოცდილმა მტერმა? (ო. იოს., 73). 123. მოედანზე ერთმა მობუ-

ზულმა, გაქუცულმა ძაღლმა გადაიარა (თ. ბიბ., 288). 124. ერთმანეთს გადაბმოდნენ, ერთმანეთში გადახლართულიყვნენ ასკილის, კუნელისა თუ მაყვლის ბუჩქები (ო. ჭილ., II, 168). 125. ირემი გრილი, ხაოიანი, ორთქლიანი ნესტოებით ყნოსავდა მისკენ გამოწვდილ ხელისგულებს (ო. ჭილ., II, 249). 126. პაპირას ტკბილი და მწვავე სიმღერები ძველ ღვინოსავით მსმენელს შეპარვით ეკიდებოდა (ი. გრიშ., 173). 127. მარტო ჭკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება (ილია, 928). 128. თიხასავით აზელილ, გახვითქულ და დაბნეულ სოფელს თვალებში შევცქეროდი (თ. ბიბ., 328). 129. მებრძოლი და ძლიერი, გულადი და შეუპოვარი შიოლა ამასთანავე იყო ამპარტავანი, კაცმიუკარებელი და დაუნდობელი (ა. ყაზბ., 159). 130. მოედანს ეფინებოდა თეთრი, სპეტაკი თოვლი (თ. ბიბ., 228). 131. კოშკში ცოდვათაგან დამძიმებული, შეშინებული და მონანიე, უძლური სიკეთისაკენ მოქცეული ბებერიღა დარჩენილიყო (თ. ბიბ., 313), 132. კუდამოძუებული, აწკავწკავებული ძაღლი ყორეზე გადმომდგარი ლეღვების ჩრდილში შეიმალა (ო. ჭილ., I, 506). 133. იმ ბავშვებს მუცელზე მიხუტებული კალათებით პურის, სიკეთის, სიყვარულის, სიმშვიდისა და სიბრძნის თესლი მიჰქონდათ (ო. ჭილ., I, 474). 134. გაანათა საძოვართა, ცათა, მთათა სანაპირო (მ. ლებ., 526). 135. ქლიავისა და ატმის ტოტებით საგაზაფხულო მიწას შორდება (ა. კალანდ., 351).

*§ 71. ერთგვარადგილისგარემოებიანი.* 1. მოსვენებას არ გვაძლევდნენ ხან აქედამ, ხან იქიდამ მოგვესეოდნენ ხოლმე (ილია, 263). 2. ერწოშიც სახლი ჰქონდა, თიანეთშიც, თბილისშიც (კ. ყმა, 18). 3. თბილისში ჩამოსვლისას დროს ატარებდა ხან ხელაშვილების სარდაფში, ხან „ოსების“ რესტორანში (კ. ყმა, 327). 4. ყავახანებში, დუქნებში, შხამში, კვამლში, რეტიან ქალების წრეში მოხვდა, ჩავარდა პოეტი-ბავშვი (პ. იაშვ., 153). 5. ერთი შეხედვით კაცს თეატრის ფოიეში ან რესტორანში ეგონებოდა თავი (ნ. ონაშ., 62). 6. ეს პროცესები მიმდინარეობს მოწაზე თუ ატმოსფეროში (ნ. ონაშ., 115). 7. ან ვარ ბეთანიაში, ან თუ მცხეთაში (ა. კალანდ., 187). 8. მე მიხმობს იგი თეის წმინდა ჭერქვეშ, მაღალ ღრუბლებთან, მაღალ ქარებთან (ა. კალანდ., 16). 9. ყურადღებას იპყრობდა ორგანიზებული დე-

მონსტრაცია სან ფერმინის ცენტრალურ ქუჩებში და მოედნებზე (შ. ძიძ., 22). 10. მისთვის სულ ერთია, შავ ზღვაზე იცურავებს, თუ აზოვის ტალახიან წუმპეში (გ. ფანჯ., 122). 11. აქედან ლოდებსა და ჩამონაშალ მსხვილ ღორღებში ცსენოსნები ვერაფერს გაარჩევდნენ (ო. იოს., 71). 12. ხან მინდორზე, ხან კი ზღვის ფსკერზე სამარის ბორცვი ჩნდებოდა ხოლმე (ო. ჭილ., II, 497). 13. მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა (ილია, 68). 14. ბევრი სიტყვა ითქვა, როგორც ქაშვეთის გალავანში, ისე სამარესთან (კ. ყმა, 133). 15. სასწავლებელში, კლასში თუ მოსამზადებელ ოთახში ლუკა თავის მოვალეობას რიგიანად ასრულებდა (კ. ყმა, 82). 16. ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება (აკაკი, 62). 17. ჩემს სოფელში წავალ, რედაქციაში ან სკოლაში ვიმუშავებ (ნ. ონაშ., 166). 18. ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთს, აღსავლეთს მიყვარს ქალები (მ. ლებ., 123). 19. ის შენი ყაყაჩო ალამი ბერლინში, პრაღაში ფრიალებს (ა. კალანდ., 71). 20. მსხვილ გაბუებულ თავს ხან მარჯვნივ გადასწევდა, ხან მარცხნივ (ნ. ონაშ., 43). 21. ყველა მას უმზერს ამოძრავებულ ქუჩებიდან თუ აცახცახებულ უფოთლო ხეებიდან, ჩაშავებულ სარკმელებიდან თუ ამოძაძულ აივნებიდან, თავჩაქინდრულ სახურავებიდან თუ ასულდგმულებულ მთის ფერდობებიდან (მოგ. აკ., 91). 22. ისინი ათასგვარ ლაბორატორიებსა და კვლევით ინსტიტუტებში გარბოდნენ (გ. ფანჯ., 241). 23. გადასასვლელზე ან უღელტეხილზე თავს არ დაზოგავდნენ (ო. იოს., 53). 24. მე მათ ნამტვრევებს ვპოულობ მერე მზეში, წვიმაში, თოვლში ან ქარში (ო. ჭილ., II, 431). 25. ისე შევსულვარ ან საფარეშოში, ან სამოახლოში (აკაკი, 127). 26. ვაჟაც ხან იქით მიუბრუნებს კალთებს ნაბადს, ხან აქეთ (კ. ყმა, 325). 27. ფშავში სულ პირველად ვაჟამ შემოიტანა ქართლიდან თუ კახეთიდან ნამყენი ხეხილი (კ. ყმა, 98). 28. ბნელ ოთახში თუ იდუმალებით სავსე უცხო სამყაროში შემოიყვანა (ნ. ონაშ., 152). 29. ყოველ საღამოს კინოში, თეატრში ან რესტორანში დავდიოდით (ნ. ონაშ., 100). 30. ზურგში თუ ფრონტზე გზა საომარი ძლევით გალიე (ა. კალანდ., 54). 31. ამ დღეებში ნავარაში ჩამოდის აურაცხელი ხალხი კასტილიიდან, ანდალუზიიდან, კატალონიიდან, მთელი ბასკონიიდან (შ. ძიძ., 21). 32. კავკასიონის უღელტეხილებსა და ხეობებში ოცდაათიათას-

მა ქართველმა მხედარმა მოიყარა თავი (ო. იოს., 19). 33. ძროხა ამ ხანაში ან კლდეზე გადმოვიდოდა ან ბექზე (კ. ყმა, 233). 34. ბიძაჩემი ამას ხშირად გალექსავდა შინაურ მიმოწერაში ან სადმე, ქეიფის დროს (კ. ყმა, 248). 35. დონეცკიდან ილოვაისკში ჩავედით, იქიდან როსტოვში, როსტოვიდან ტუაფსეში, ტუაფსედან სოხუმში (გ. ფანჯ., 228). 36. ბასკები კომპაქტურად ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ ესპანეთში, საფრანგეთსა და ლათინურ ამერიკაში (შ. ძიძ., 19). 37. მინდვრებიდან და ბაღ-ვენახებიდან მობრუნებული ჩიტები ჟივილ-ხივილით ესროდნენ ხეებს (ო. ჭილ., II, 321). 38. ბექა დასტრიალებდა ჩემს ვაჟას, ხან მარჯვნიდან მოუვლიდა, ხან მარცხნიდან, ხან ახლოს მივიდოდა, ხან შორს გადგებოდა (ნ. ონაშ., 154). 39. ოფლად გატბარული ცხენები გაუვალ ხეობაში ხან მდინარის გაღმა გადიოდნენ, ხან გამოღმა, ხან წყალ-წყალ მიჰყვებოდნენ (ო. იოს., 38). 40. ის შეგირდებს გზავნიდა სამღერლად გზაში, ხან ქუჩებში, ხან ყავახანებში, ხან მეჯლისებში (ი. გრიშ., 163). 41. მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა, ხან ცხენიდამ ხტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა (ილია, 68). 42. ქორი ხან ერთი კუთხიდან, ხან მეორე კუთხიდან მოეარდებოდა ხოლმე (აკაკი, 97). 43. ხან ქაოსებში დამინახოს, ხან მთვარის გასწვრივ, ძაძების წვერით მოიწმინდოს მსხვილი ცრემლები (ნ. სამად., 87). 44. ასეთი წარმოდგენები იმართებოდა მინდორში ან მოედანზე (ი. გრიშ., 70). 45. ანა ვალდებული იყო ეტრიალა ან გომურში, ან ეზოში, რათა გიორგის მოსვლა არ გამოპარვოდა (ო. ჭილ., II, 239). 46. კურდღელს თვალი წაუხდა, ხან იქით ეცემოდა, ხან აქეთ (აკაკი, 137). 47. აქ მოდიოდა თუშეთიდან და ყარაბაღიდან ცხვარი, მატყლი, ერბო (ი. გრიშ., 7). 48. მსახიობებს პარტერიდან და იარუსებიდან ათასი თვალი მისჩერებოდა (გ. ფანჯ., 330). 49. წავიყვან არა მატო ბექას სახელოსნოში, არამედ რესტორანში (ნ. ონაშ., 102). 50. იმ ზარმაც მონასავით კიდობანში ან მიწაში არ უნდა დავმალოთ (ილია, 393). 51. ცხენს მიაჭენებს ხან აქ, თუ ხან იქ (აკაკი, 61). 52. მას ახლა შინაც ჰყავდა მტერი და გარეთაც (ო. იოს., 148). 53. სათევზაოდ დავდიოდი ხოლმე ყვირილაში, ან იზვარაში (აკაკი, 99). 54. ერთხანს იწრიალა, ხან აქეთ მოდგა, ხან იქით (ნ. ონაშ., 191). 55. მთელი ერთი კვირის განმაველობაში დაუს-

რულებელი ქეიფი ჰქონდა ორთაჭალაში, ვერის ბაღებში, დი-დუბეში (ი. გრიშ., 23). 56. ან სიღნაღიდან, ან თელავიდან დილი-ჟანსი უნდა მოვიდეს (ო. ჭილ., II, 402). 57. იმ დროს რუსეთიდან სწავლადამთავრებული თითო-ოროლა ქართველი ჩამოდიოდა თბილისსა თუ ქუთაისში (მოგ. აკ., 395). 58. საზოგადოდ სურათ-მა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, კავკასიის სხვადასხვა ქა-ლაქებიდან, აგრეთვე პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ხარბინი-დან, სტამბოლიდან მიიღეს წერილები (მოგ. აკ., 65). 59. ასეთი ლიტერატურული ჟანრის მოწინააღმდეგენი არამც თუ აქ, საქართველოში, არამედ საქართველოს გარეთაც იყვნენ (ი. გრიშ., 112). 60. ძეძვის გამხმარ ღობეს ხან აქ, ხან იქ ციცი-ნათელების ცეცხლი წაეკიდება (ნ. ონაშ., 233). 61. ბიჭმა ოცი წელიწადი იცხოვრა ბალახებში და ყვავილებში, ნაკადულებში და ბებერ წიფლებში, ნორჩ თელებში და დაყუდებულ მუხებში (თ. ბიბ., 404). 62. დერეფანსა თუ ოთახებში რატომღაც ყველანი ფეხაკრეფით დადიოდნენ (გ. ფანჯ., 533). 63. სპარსეთში თუ დაღესტანში, კრწანისთან თუ შამქორთან, საქართველოს ერთი მუჭა ცხელი მიწა თან ჰქონდათ (ლ. ასათ., 34). 64. საერ-თოდ მგოსანი, როგორც თბილისში, ისე ქუთაისშიც ყოველთვის სასტუმროში ცხოვრებას ამჯობინებდა (მოგ. აკ., 73). 65. ყვე-ლას ახსოვს ალბათ აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, კახეთში და უკანასკნელად მოსკოვსა და პეტერბურგში მისი იუბილეს გადახდის შემდეგ (მოგ. აკ., 32). 66. ხალხი იკრიბე-ბოდა სასაფლაოზე, მოედნებზე, ქუჩებში (ი. გრიშ., 42). 67. ნატ-ოს ხან აქედან ეჯახებოდნენ, ხან იქიდან (ნ. ონაშ., 227). 68. ბიჭ-მა ბუჩქებთან თუ ტრიალ მინდორზე, მყინვარებში თუ რკინიგ-ზის დანგრეულ სადგურთან თავისი სიცოცხლე დატოვა და ალ-ბათ გმირობაც ეს არის (თ. ბიბ., 406). 69. ისინი ზღვაში თუ დაუშრეტელ მდინარეში ყურყუმალობით გაკაჟებულ გოგოს უყურებდნენ (ო. ჭილ., I, 407). 70. დაკრძალვის დღეს ითქვა სიტყვები ეკლესიაში, ეკლესიის გარეთ, ეზოში (კ. ყმა, 31). 71. ვა-ჟა ფშაველა მთელ თავისი პოეზიის სიმდიდრეს პირველყოფილ ფშაურ გარემოდან და თავისი მთიანი სამშობლოს ბუნებიდან იღებდა (კ. ყმა, 147). 72. ხან ტფილისში, ხან ქუთაისში, ხან ერთთან, ხან მეორესთან იყო საყვარელი სტუმარი (მოგ. აკ., 369). 73. ისინი დღეობებში, ყავახანებში სიმღერის საშუალებით

ხალხური პოეზიის ნიმუშებს ავრცელებდნენ (ი. გრიშ., 68). 74. ლუკამ და მღვდელმა უკანა ფშავსა და მაღაროსკარის თემში ხალხი დააფიცეს ერთობის ერთგულებაზე (კ. ყმა, 298). 75. რამდენნაირი თესლი ღვივდებოდა იმ გამსკდარი ბოჭკოდან, პარკუჭიდან თუ კვერცხიდან (ო. ჭილ., I, 394). 76. ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება არ უყვარდა —ხან თბილისში იყო, ხან ქუთაისში (მოგ. აკ., 202). 77. აი, ამ მინდვრებში, ამ ხრიოკ მთებში ჩვენ ხომ ერთმანეთს ეჭამდით მგლებივით (ნ. სამად., 123). 78. ახალგაზრდა გოგო ხან აქეთ შემოტრიალდა, ხან იქით (ილია, 319). 79. ნინევიაში, ფინიკიაში, კართაგენში მონახეს მიკენისგვარი მასკები (გ. რობაქ., 355). 80. იწყო სწავლა საოცარი მუსიკის, რომელიც მოდიოდა ჩიკაგოდან, ბროდვეიდან, ნიუ-იორკიდან (გ. რობაქ., 364). 81. დიახ, თქვენც იცით, რომ ადამიანები დადიან ქუჩებში, სამსახურში (გ. ფანჯ., 582). 82. ძია სერგოს მარჯვნივ და მარცხნივ ფრესკაზე გამოსახული წმინდანებივით ჩამწკრივებულიყვნენ თეთრ წამოსასხამში გახვეული ადამიანები (ნ. ონაშ., 203). 83. მზეს ხალხი გამოსდევდა, ჭიანჭველასავით გაფუფუნდებოდა გზებსა და ეზოებში (ნ. ონაშ., 212). 84. ის ნატასთან ოთახში ან ქუჩაში განმარტოებასაც კი ეკრძალეოდა (ო. იოს., 179). 85. გამზირზე ან მუსიკალურ სკოლაში ის დადის კვირაში ორჯერ (ო. იოს., 184). 86. საერთგულოდ თუ სალალატოდ მოდიან სახლიდან, სამსახურიდან, მაღაზიიდან (ო. იოს., 174). 87. ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში (ილია, 613). 88. ზაფხულობით ლუკასთან მოდიოდნენ ხოლმე სტუმრები თბილისიდან, თელავიდან, გორიდან, თიანეთიდან და სხვა კუთხიდან (კ. ყმა, 294). 89. ჯერ არ ვიცით, როგორ გაივლის წრეულს ეს კრებები ტფილისში ან ქუთაისში (ილია, 848). 90. ქუჩაში, მაღაზიასა თუ ტრანსპორტში ყოველგვარ უკანონობას თვალს არიდებდა (გ. ფანჯ., 453). 91. ვის არ უნახავს თავის სოფელში ან ქალაქში უბრალო, უსწავლელი კაცი ლამაზად, ენაწყლიანად მოლაპარაკე (მოგ. აკ., 323). 92. აღმოსავლეთით ან დასავლეთით უნდა წასულიყავი (ო. იოს., 224). 93. კვირას მიდიან საზღვარს იქით, მერე მოსკოვში და ლენინგრადში (ო. იოს., 304). 94. ახლა თეორიულადაც კი აღარ შეეძლო მატარებელს დასწეოდა ვეღარც

მცხეთაში, ვეღარც გორში და ვეღარც ხაშურში (გ. ფანჯ., 567). 95. ეს სიტყვა სათოფურებიდან და ქონგურებიდან გაბზარული ზარებივით რეკდა (თ. ბიბ., 9). 96. არც ლოგინებში და არც ზანდუკებში ხელში მოსაგდები არავის არაფერი შესვედრია (თ. ბიბ., 173). 97. ბუჩქებში და საბძელში დამალობანას ეთამაშობდით (კ. ყმა, 101). 98. ბაჩანა ერთხანს ვეჯინში იყო, შემდეგ ბარისახოში, მაღაროსკარში, დუშეთში და სიღნაღში მასწავლებლობდა (კ. ყმა, 103). 99. გადასასვლელზე ან უღელტეხილზე რომ ვიყოთ, მაშინ თავს არ დაზოგავდნენ (ო. იოს., 53). 100. ლამქარში თუ მგზაერობაში თავ-თავიანთ ხმლებს ირტყამდნენ წელზე (ვაჟა, 320). 101. ძერა ხან ერთგან ჩაჯდებოდა, ხან სხვაგან (ვაჟა, 280). 102. თავის დღეში, რაც რამ კი ენახა ჩვენს საქართველოში თუ თათრებში, ყველა მოამზადებინა (დ. ჭონქ., 50). 103. ამისთანა საქციელს არ ვერიდებით არც შინა, არც გარეთ, არც საქვეყნოდ, არც საზოგადოებაში (ილია, აზრ., 71). 104. ისინი ხან მარჯვენიდან, ხან მარცხნიდან გადმოიხრებოდნენ მისკენ (მოგ. აკ., 9). 105. რუსთაველის ენა შემონახულია ფშავ-ხევსურეთში, რაჭაში, ხევში, ალბათ სვანეთშიც, ამ ენას უნდა უფრთხილდებოდეთ თვალის ჩინივით! — ჩაურთო ეაკამ (კ. ყმა, 146). 106. გადაყრუებულ ტყე-ღრეებსა და ხევ-ხუევებში დაჰყვებოდა და ათასნაირ ყვავილს, ბალახს აგროვებდა (ო. ჭილ., I, 43). 107. აიეტმა დიდხანს აძებნინა შვილიშვილები, მაგრამ მათ კვალს ვერც ზღვაზე მიაგნეს და ვერც დაუშრეტელ მდინარეზე (ო. ჭილ., I, 89). 108. ქუჩაში ან დერეფანში მხოლოდ მიესალმებოდა ხოლმე (გ. ფანჯ., 505). 109. რამდენჯერ მისულა ამ კოლოფთან ლონდონში, პარიზში, ლოზანაში (გ. რობაქ., 85). 110. ტრამვაიში, რკინის-გზაზე, მეტროში, ომნიბუსში სხედან დაქანცულნი, არაქათ-გამოლეულნი (გ. რობაქ., 346). 111. იქ შეუერთდებოდა გენერალ ბარათოვის რაზმს და ინდოეთისკენ ან ბაგდადისაკენ გაემართებოდა (გ. რობაქ., 316). 112. კრივი უფრო ხშირად იმართებოდა სიონის ქუჩაზე, აბას-აბადის და კოლორთაღის მოედნებზე, აგრეთვე მოღნინის ეკლესიის ახლობელ ქუჩაზე (ი. გრიშ., 25). 113. ის გამოეწყობოდა და შვილს ზოოპარკში ან ცირკში წასვლას შესთავაზებდა (გ. ფანჯ., 449). 114. წყალს მაწვდიდნენ ფოთლებიდამ, ტოტებიდამ, ფესვებიდამ თითო-ოროლა ნამობით (ვაჟა, 258). 115. ჭრაქი აანთო, ბუს-

არში ცეცხლი აასინათა და დაუწყო თოფს წმენდა შიგნით და გარეთ (ვაჟა, 264). 116. მელი ცბიერს, მელურს, გაიძვერა თვალებს აბერენდა კიდეც ჯაგებში და ბალახებში (ვაჟა, 278). 117. და სუნი შემოდგომისა მთასა და ბარში ტრიალებს (ვაჟა, 39). 118. ის ხშირად შეუმჩნევია დერეფანში თუ ქუჩაში ამხანაგებთან მოსაუბრე (გ. ფანჯ., 492). 119. ვაჟას არა თუ თბილისში, არამედ ბათუმსა, ქუთაისსა, ზუგდიდსა, გორსა და თელავში ხშირად იწვევდნენ, ხვდებოდნენ დიდი ალტაცებით (კ. ყმა, 385). 120. ახლა მაგ საქმესაც ჩავუჯდები, ყველაფერს გავარკვევ მუზეუმშიც და ინსტიტუტშიც (ნ. ონაშ., 200). 121. ო, ბრწყინავს რალაც შიგნით და გარეთ, ვიცნობ ამ ქარებს (ა. კალანდ., 334). 122. აკაკი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც (მოგ. აკ., 465). 123. ქარი ხან ზურგიდან დაეძგერება მართას, ხან კი გვერდიდან (ო. ჭილ., II, 419). 124. იყო აგრეთვე ცნობები სამეგრელოდან და სვანეთიდან (მოგ. აკ., 447). 125. შენი წინაპრები სტამბულს, ბაღდადს და ისპაჰანს იელიტებოდნენ (ო. იოს., 595). 126. შენს კრიალა ცას დავთამაშებ ჩუმი ოცნებით, ხან უჯარმას ეარ, ხან მარტვილში, ხან შუამთასა (ი. ჯოლბ., 42). 127. აქეთ და იქით ვასკდებით თავსბრუდახვეულ კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა (ილია, 611). 128. შეღგა ჯგუფი, რომელმაც აკაკი დაატარა ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში (მოგ. აკ., 208). 129. მოდიოდა რალაც ახირებულად, ხან მარჯვნივ გადახტებოდა, ხან მარცხნივ (მოგ. აკ., 434). 130. ვაჟა ასეთი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო თიანეთში და შემდეგ თბილისში (კ. ყმა., 13). 131. მას ხშირად ნახავ კინოატელიებში, თეატრალურ სტუდიებში, მონმარტის კაფეებში (გ. რობაქ., 319). 132. იგი ხომ სისხლია ვოლგაზე, დნეპრსა და ნევაზე დაღვრილი (ა. კალანდ., 71). 133. პირინეიზე, ესპანეთში, მზის ქვეყანაში, ფორთოხლის ბაღში, შადრევნების ვერცხლისფერ მტვერში, არაფრისმცოდნე ბავშვების თვალწინ, სამრეკლოების მდუმარე ჩრდილში — მოკლეს პოეტი და მისი სისხლი გაინაწილეს ციხის კედლებმა როგორც დროშები (ო. ჭილ., II, 493). 134. ის საფრანგეთსა და ესპანეთში აგროვებს მასალებს და აქვეყნებს სპეციალურ შრომებს (შ. ძიძ., 14).

*§ 72. ერთგვარდროისგარემოებიანი.* 1. დანიელი მათ წილდიდებას დღეს თუ ხვალ დაუმსახურებლად გაიყოფდა (ო. იოს., 84). 2. პოეტი კვირაში ორჯერ-სამჯერ შემოდიოდა ხან დღისით, ხან საღამოთი (მოგ. აკ., 51). 3. შემოდგომით და ზამთრობით ვაჟა თბილისის ხშირი სტუმარი იყო (კ. ყმა, 378). 4. არა, უნდა გიითხრა ახლა ან არასოდეს (ნ. ონაშ., 106). 5. ხვალღამ, ან ხვალზეგით დილით შინ ვეახლები მთავარსა (ვაჟა, 178). 6. მუდამ შაბათ დღეს, ან კვირას მოზარე დედაკაცები იყრიდნენ თავს ბათურის ოჯახში (ვაჟა, 320). 7. ადრე თუ გვიან ის შემხვედებოდა (თ. ბიბ., 65). 8. ამაზე ვფიქრობდი დღითა და ღამით მონასტრის ცივ თაღებქვეშ (თ. ბიბ., 330). 9. ის წლობით კი არა, თვეობით იზრდებოდა (ო. ჭილ., I, 243). 10. უკვე მაშინვე სჯეროდა, ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა (ო. ჭილ., I, 400). 11. პოეტს წერა დილით უყვარდა, იშვიათად წერდა დღისით ან საღამოთი (მოგ. აკ., 418). 12. გვიან თუ მალე, დღესა თუ ხვალე, რაც ენას ეცოდეთ, ის გასწორდება (ილია, 85). 13. მათ ანადგურებთ დღისით და ღამით (პ. იაშვ., 200). 14. ჩვენ ერთი ფოთოლთაგანი ვართ ადრე თუ გვიან დასაცვენი (აკაკი, 221). 15. ასე ჩხვლეტდა გუშინ, გუშინწინაც და ორი კვირის წინათაც (რ. ინან., 69). 16. ეს დრო ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგებოდა (ო. ჭილ., I, 376). 17. ადრე თუ გვიან ისინი მაინც უნდა დაბრუნებულიყვნენ (ო. ჭილ., I, 405). 18. დღეს ან ხვალ მაინც უნდა წავსულიყავი (გ. ფანჯ., 639). 19. დღეს ან ხვალ უნდა დამდგარიყო ის შემოდგომა, როცა ის უცხო კაცი გამოჩნდებოდა (თ. ბიბ., 410). 20. მეორე დილითაც წვიმდა და იმ საღამოსაც (თ. ბიბ., 358). 21. ადრე თუ გვიან ისიც აუცილებლად გაიგებდა ყოველივეს და ამოქმედდებოდა (ო. ჭილ., I, 389). 22. ეს ამბავი დღეს ან ხვალ უნდა მომხდარიყო (ო. იოს., 233). 23. დღეს თუ არ ხვალე ვიქნები ბატონი თავის შრომისა (ვაჟა, 81). 24. დილაობით თუ საღამოობით მკითხველთა წრე იკრიბებოდა ან ქალები იყრიდნენ თავს (მოგ. აკ., 356). 25. რა მნიშვნელობა ჰქონდა დღეს აიყვანდნენ ხომალდზე თუ ხვალ (ო. ჭილ., I, 342). 26. უძველეს ხალხთან უძველესი ჭირის და ლხინის გვაქვს მეზობლობა, ხომ გვექნება ხვალაც და ზეგაც (მ. ლებ., 204). 27. ისიც ვიცოდი, რომ იმ ვიღაცას დღეს თუ ხვალ უთუოდ იპოვიდნენ (თ. ბიბ., 220). 28. მან გუშინ და გუშინწინაც გაალო შენი

სახლის კარი და კარის ზღურბლზე გადმოაბიჯა (თ. ბიბ., 276). 29. როგორი არის ის ზამთრობით და შემოდგომით (ა. კალანდ., 176). 30. შენ დღე და ღამე ფხიზლობდი მასთან (ა. კალანდ., 401). 31. მაგრამ როდისმე, ადრე თუ გვიან, მე თვითონ უნდა ჩამეხშო შიში (ო. ჭილ., II, 438). 32. ეზოს კუთხეში მიყრილი ძველმანების ნაგვის გროვა დღეს ან ხვალ უნდა გაიტანონ (ო. იოს., 64). 33. ზეგაც გააცილებენ, გაისადაც და მერმისშიაც (გ. რობაქ., 48). 34. დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ადრე თუ გვიან ყველასათვის გასაგები ხდება (ი. გრიშ., 87). 35. იქნებ ერთი კვირის შემდეგ, ან ხვალ, ან სულაც დღეს ეილაცის მსხვერპლი გახდეს (გ. ფანჯ., 637). 36. ჰე, ცხრა მუზაო, მე უნდა გენდოთ, ენატრულობ ღამით, ვნატრულობ დღისით (ლ. ასათ., 109). 37. აქ უნდა მჯდარიყო დღესაც და ამაღამაც, ხვალაც და ხვალღამაც (თ. ბიბ., 468). 38. ის კვირაობით, თვეობით უნდა მჯდარიყო ჩაიხანაში (ო. ჭილ., II, 222). 39. ასე ფიქრობდა ანა დღისით და ღამით (ო. ჭილ., II, 240). 40. ერთი წუთითაც არ მოიშორებდა თოფს, არც დღისით და არც ღამით, დღისით ხელში ატატებულს ატარებდა, ღამით კი გულში ჩაიხუტებდა (ო. ჭილ., II, 45). 41. ოთარ ნიჟარაძე შეგუებული იყო, ადრე თუ გვიან სტუდიას უნდა გამოსთხოვებოდა (გ. ფანჯ., 631). 42. ამ სკამზე ის საათობით, თვეობით, წლობით ხმის ამოუღებლად იჯდა (ო. ჭილ., I, 32). 43. მე ახლა ცელაში გავედივარ, ხვალ და ზეგ თავისუფალი ვიქნები (გ. ფანჯ., 372). 44. ეს დღესა თუ ხვალ განათლებას უსათუოდ უნდა მოეხდინა (ილია, 832). 45. დღეს იქნებოდა თუ ხვალ კარზე მომდგარ უბედურებას ვერსად გაექცეოდა (გ. ფანჯ., 452). 46. რა პირით წარსდგება დღეს თუ ხვალ უფლის წინაშე (თ. ბიბ., 238). 47. ის კვირაობით და თვეობით დაიკარგებოდა ხოლმე და ყოველთვის მოულოდნელად, გაუფრთხილებლად გამოეცხადებოდა ანას (ო. ჭილ., II, 25). 48. ყოველთვის და დღესაც, დღესაც და ხვალაც აუტანელი, გაუსაძლისი იყო სვედრი ქალისა (ო. იოს., 186). 49. არც დღეს მიდიან, არც ხვალ და მგონი არც ზეგ (ო. იოს., 320). 50. დღეს ან ხვალ შემოცვივდებიან გერმანელები (ო. იოს., 75). 51. ეს დედანი ადრე თუ გვიან უსათუოდ აღმოჩნდება სპარსეთში (ვაჟა, 344). 52. ეს ადრე თუ გვიან მასაც უნდა სცოდნოდა (ო. ჭილ., II, 149). 53. იცოდა, ადრე თუ გვიან მარტ-

ენის საამქროს უფროსი გახდებოდა (გ. ფანჯ., 395). 54. ადრე თუ გვიან ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდებოდა ამ საქმეს (ო. ჭილ., I, 43). 55. იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა დღესა თუ ხვალე შენში გაიღვიძებს (ილია, 361). 56. რაღა მნიშვნელობა ჰქონდა დღეს მოხდებოდა ეს ამბავი თუ დღეის-წორს (ო. ჭილ., I, 63). 57. პირველი რიგის ბილეთები ვიშოვნეთ დილისათვის და საღამოსათვისაც (მოგ. აკ., 66). 58. როდისმე ისიც გაიზრდებოდა, ადრე თუ გვიან, დღეს თუ არა ხვალ (ო. ჭილ., I, 142). 59. ის ადრე თუ გვიან მაინც უნდა გამოჩენილიყო (ო. ჭილ., II, 42). 60. იცოდა, ადრე თუ გვიან ეს მაინც უნდა მომ-ხდარიყო (გ. ფანჯ., 421). 61. ისიც უნდა ეთქვა, დილით თუ შუა-ღამისას ტელეფონით როგორ ურეკავენ (გ. ფანჯ., 591). 62. ვინ იცის, ხვალ ან ზეგ მაგ ორპირმა ხატის ფიციც გატეხოს (ო. იოს., 475). 63. ავაჭიკჭიკო ბულბული საღამოთი და დილითა (ვაჟა, 31). 64. იფრენენ, იჭიკჭიკებენ ლაღად დღესა თუ ხვალეო (ვაჟა, 75). 65. რამდენიმე საათი დღითა და საღამოთი თითქმის ერთფეროვან სიტყვებს და ადრესებს მოუნდა (მოგ. აკ., 439). 66. ადრე და მალე აიგავოს მტვერსავით ეს ობოლი თავი, თუ ადამიანის ღალატი ოდესმე გულში გამტარებოდეს (ილია, 418). 67. დღესა თუ ხვალე ჩემი სულთამხუთავი მოვა და სულს გა-მაფრთხობინებს (ილია, 422). 68. იასონს კი მაშინაც და ახლაც საკუთარი ტყავის გადარჩენა უნდოდა (ო. ჭილ., I, 163). 69. უვარ-სკვლავოდ ვერც ბიჭი გასძლებდა და ადრე თუ გვიან ისევ მოაკითხავდა (ო. ჭილ., I, 441). 70. ადრე თუ გვიან მაინც შეამჩნევდა მის განცალკევებას (ო. ჭილ., I, 457). 71. მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო (გ. ფანჯ., 546). 72. მტკი-ცედ სჯეროდა, ადრე თუ გვიან თამაზი შეურიგდებოდა (გ. ფანჯ., 646). 73. დღესა თუ ხვალე მას სულაც გავშორდები (ილია, 408). 74. ყოველ ღამითა თუ დღისითაც, როცა ოდნავ წავთვლემ, ის მეზმანება (ლ. ასათ., 149). 75. ის რაც იყო, აღარ არის, შეიცვლება დღეს თუ ხვალე (ი. გრიშ., 140). 76. ვის შეუძლია თავდებობა, რომ ხვალ, ზეგ, მაზეგ არ მოვლენ (ა. ყაზბ., 94). 77. დღეს თუ არა, ხვალე, შენთან, შენთან გალაკ-ტიონ, შენთან მოვალ მალე (მ. ლებ., 259). 78. ადრე თუ გვიან კრიზისი დაიწყებოდა (გ. ფანჯ., 655). 79. დღეს, ხვალ, ამ კვი-რაში, იმ თვეში ნუთუ ვერ მოიცალეს (ო. იოს., 312). 80. თეა

წაქცევისას თუ წამოდგომისას მას ხელიდან არ უშვებს (ო. იოს., 531). 81. ადრე თუ გვიან სმენა გაეხსნებოდა (ო. ჭილ., I, 228). 82. დღეს თუ არა ხვალ მაინც უნდა გამოედარა (ო. ჭილ., I, 514). 83. ის დღეს იქნება თუ ხვალე ამ მხრით თაოსნობას იკისრებს (ილია, 875). 84. ის შარშან თუ შარშან წინ იყო აქ გამოგზავნილი (ილია, 589). 85. ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა მას ადრე და მალე არ დაუხლართავს გზას და ზრდას არ დაუშლის (ილია, აზრ., 92). 86. ყრილობის სხდომები მთელი კვირა მიმდინარეობდა დილას და საღამოს (მოგ. აკ., 234). 87. დღეს თუ ხვალ ლეინის ვაჭარი ბახაც უნდა გამგზავრებულიყო იმ ქვეყანაში (ო. ჭილ., I, 259). 88. შავთვალება მალალოს ყველა ასეთი სიყვარული ადრე თუ გვიან მარცხით მთავრდებოდა (ო. ჭილ., I, 362). 89. რა მოვიგონო, ან რა დავწერო, დღე და ღამ ესტირი, გულს მაწევს სევდა (კ. ყმა, 122). 90. ყველასაგან განრიდებულს არც დღე და არც ღამე ხმა არავისთვის გაუცია (თ. ბიბ., 185). 91. ხვალაც, ზეგაც, ყოველთვის მომინდება თქვენისთანა მოსამსახურე (ა. ყაზბ., 205). 92. რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწას, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დამშვენებული და ძლიერი (ილია, აზრ., 92). 93. ადრე თუ გვიან მაინც უნდა გამოეყო თავი (ო. ჭილ., I, 362). 94. ბოლოს და ბოლოს, ადრე თუ გვიან ისინიც გააგებინებდნენ ერთმანეთს, უაზრობა რომ იყო მათი ერთად ყოფნა (ო. ჭილ., I, 452). 95. შენ დღე და ღამე ფხიზლობდი მასთან (ა. კალანდ., 401). 96. დღე და ღამე იმას ფიქრობს, რას დაიხატ-დაიქარგავს (ო. ჭილ., II, 517). 97. ყოველ საღამო და ყოველ დილა ცისკენ მიფრინავს ლოცვად ქცეული (ო. ჭილ., II, 479). 98. მას არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ ქალთან არც ადრე და არც ახლა (ო. ჭილ., II, 332).

*§ 73. ერთგვარვითარებისგარემოებიანი.* 1. სათითაოდ ადღეგრძელეს ყველა ლამაზად, თბილად და სიყვარულით (ნ. ონაშ., 178). 2. „წმინდა სამების“ მწვერვალი დიდებულად და შთამბეჭდავად გამოიყურებოდა (ნ. ონაშ., 62). 3. მათთან შედარებით მეტისმეტად საცოდავად და შესაბრალისად გამოვიყურებოდი (ნ. ონაშ., 64). 4. იმან წარბი შეიკრა და მრისხანედ

და მწყრალად შემომხედა (ილია, 411). 5. კვირაში ერთხელ თუ ორჯერ ჩემს ბედნიერებას შეაფერხებდნენ ხოლმე სასახლიდან ჩემს სანახავად ჩამოსულები (აკაკი, 96). 6. ანა დაუფიქრებლად და გაუაზრებლად იღებს პურს (ო. ჭილ., II, 139). 7. ნამძინარევს დედამ სცემა უმიზეზოდ და უსამართლოდ (ო. ჭილ., II, 289). 8. იგი ბევრისათვის დაფარულად და მიუგნებლად ჩემს ოცნებაში ამართულა ბრწყინვალე ძეგლად (პ. იაშვ., 80). 9. წარბშეკრულად და მკაცრად, ლაჩრად ვერ იტყვი გზარდეს! (მ. ლებ., 148). 10. დანიელი უხმოდ, გაუნძრევლად იჯდა გვირაბის კუნჭულში (ო. იოს., 62). 11. ჩვენ ელექტრონებივით და პროტონებივით შენს ირგვლივ დავბორიალობდით (გ. ფანჯ., 230). 12. ზანტად, უნდილად მოაქანებდა დაკუნთულ მხრებს (ნ. ონაშ., 17). 13. ოდ-ინდ ობიექტურად, მიუკერძოებლად ილაპარაკეთ (ნ. ონაშ., 85). 14. უსახელოდ, უდაფნოდ თოელში ვიწექ დაჭრილი (მ. ლებ., 39). 15. ყველაფერზე უნდა ვიფიქრო კარგად, ვიფიქრო სწორად, დიდხანს და მშვიდად (ო. ჭილ., II, 503). 16. მუნდირში გამოწყობილს ყველგან ადვილად შესამჩნევი პატივისცემით, მორიდებით და შიშით ხვდებოდნენ (ო. ჭილ., II, 75). 17. ორჯერ თუ სამჯერ თვალები მოიფშვნიტა (ილია, 446). 18. ლაპარაკობდა დინჯად და ხმაუმაღლებლად (მოგ. აკ., 10). 19. ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით თქვა მეწინავემ (ო. იოს., 11). 20. ყოველი ფეხის დადგმა ზუსტად და შეუცდომლად გამოეანგარიშებინა (ო. იოს., 131). 21. ისინი ლაპარაკობდნენ ნებივრად, ზანტად და მაღალფარდოვნად (ნ. ონაშ., 64). 22. ეს არის ფეხმოუცელელად, ზეზეულად, ნელინელ კვდომა (მ. ლებ., 154). 23. მოდიოდნენ თანამშრომლები ჯგუფ-ჯგუფად, წყვილ-წყვილად, ცალ-ცალკე (ნ. ონაშ., 38). 24. მიდიხარ? — მკითხა ლბილად და თბილად პატრონმა სახლის (მ. ლებ., 77). 25. მაიორმა გასაღები დინჯად და აუჩქარებლად რამდენჯერმე გადაატრიალა (ო. ჭილ., II, 90). 26. ბექა თავისი მანქანით სამჯერ თუ ოთხჯერ აფრინეს სადღაც (ნ. ონაშ., 79). 27. ბარაქიანად, ლაღად და თავისუფლად ამოეხეთქა მიწიდან შამბნარს (ო. ჭილ., II, 73). 28. ირემი სამუდამოდ ტოვებდა თეთრად, ალისფრად, ცისფრად გადაპენტილ სოფელს (ო. ჭილ., II, 263). 29. მათ ჩუმად და ხმაამოუღებლივ დაიწყეს ყაყის სმა (ა. ყაზბ., 222). 30. ყმაწვილი კაცები დასდევდნენ ყველგან უკან სიცილით, ხარხარით, ურიგო ხუმრო-

ბებით (ა. ყაზბ., 243). 31. სწრაფად, უმალ, უკანმოუხედავად, დაუნანებლად უნდა გაცლოდა იქაურობას (ო. იოს., 165). 32. ის ლაპარაკობდა ქალურად, ვაჟურად, ომახიანად (ი. გრიშ., 74). 33. ჩვენ მივდიოდით აღმართზე ერთად, რატომღაც ჩუმად, რაღაც უიღბლოდ (ნ. სამად., 9). 34. შეხვედრისას ის ნაცნობებს თავშეკავებულად, დინჯად ესალმებოდა (გ. ფანჯ., 330). 35. დაღალული კამეჩები და ხარები წყნარად და ზარმაცად მიიზლაზნებოდნენ (ა. ყაზბ., 238). 36. გულის შემაგრებით და ცრემლების ყლაპით უპასუხა დედამ (ა. ყაზბ., 215). 37. შვიდი წელი გავიდა ხან ისე და ხან ასე (მ. ლებ., 225). 38. ის ჩუმად წერდა, თითქმის მალულად, უყვარდა ნისლით ნალექი გზები (ნ. სამად., 174). 39. ოპერატიული მუშაკები ჩუმად და აუღელვებლად მუშაობდნენ (გ. ფანჯ., 516). 40. ის თუმცა ჩუმად და ფარულად, მაგრამ ხშირად იყურებოდა იქითკენ (ა. ყაზბ., 198). 41. ყმაწვილი კაცი ისევ იმ ადგილას იდგა გაუნძრევლად, ხმაამოუღებლად (ა. ყაზბ., 219). 42. ძველებურად, ჩვენებურად ჩავუაროთ ისანს (ლ. ასათ., 37). 43. გმირულად, მამაპაპურად დავხვდეთ სისხლისმსმელ ნუქარდინს (ლ. ასათ., 93). 44. მიპასუხა იმან თამამად და გულმაგრად (ილია, 443). 45. ცარიელი ქვაბუნები ახრიგინდნენ და აღმა წაჰყვნენ კლდეს რახუნრახუნით, ტრიალით და ხტუნვა-ხტუნვით (ო. იოს., 117). 46. მან წყნარად და ზრდილობიანად თავი დაუკრა გაოცებულ ქალს (ა. ყაზბ., 204). 47. მათ მთქნარებით და ზლაზვნით გასწიეს თავთავიანთ ქოხებში (ა. ყაზბ., 208). 48. დილის სიმღერებს ტკბილად და მგრძნობიარედ უკრავდნენ უსინათლო აშუღები (ი. გრიშ., 163). 49. მას ასე მოულოდნელად ღალატით და ცბიერებით მოუკლეს უახლესი მეგობარი (ო. იოს., 117). 50. ტიმოთეს, როგორც ფრიად განსწავლულსა და საინტერესო პიროვნებას, ყველგან დიდი პატივითა და ყურადღებით იღებდნენ (შ. ძიძ., 12). 51. მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მთვარე ამაყად და მედიდურად მოძრაობდა (ა. ყაზბ., 219). 52. უმიზნოდ და უნაყოფოდ მიქროდა ჩემი ახალგაზრდობა (ლ. ასათ., 33). 53. მას ასე გულითადად, ასე საქმიანად და სასიამოვნოდ არავისთან ესაუბრა (ო. ჭილ., I, 165). 54. ბავშვობიდანვე არჩეულ გზაზე აშკარად თუ დამალულად ბევრი პატარა და დიდი ომი გადაიხადა (ო. ჭილ., I, 402). 55. თამარი

მორჩილად წამოდგებოდა, მხრებს აიჩეჩდა, უხერხულად და მორიდებულად მოიბოდიშებდა (ნ. ლონაშ., 77). 56. ძმებს ერთმანეთი არ ენახათ თურმე და ძმურად, ხალისიანად შეხვდნენ ურთიერთს (კ. ყმა, 219). 57. გარშემო ყველაფერი კუშტად და პირქუშად გამოიყურებოდა (თ. ბიბ., 87). 58. იქ ოდესღაც ცხოვრობდნენ ადამიანები თამამად და თავისუფლად (ო. ჭილ., I, 468). 59. იჯდა და იღიმებოდა ბრაზიანად, ღვარძლიანად, მწარედ, სილანაჭამ კაციევით (ო. ჭილ., I, 308). 60. ბოლოს ორბელიძე მოსწრებულად, გალექსულად, ცალფეხ ზმების საპასუხოდ ეუბნება ორლესულად (აკაკი, 36). 61. ასე გაჩქარებით, გამალებით, უკან მოუხედავად ივლის, ირბენს და გაშორდება ყველაფერს (ო. იოს., 188). 62. ერთი კვირის წინათ დაღამდა სამუდამოდ, სამარადჟამოდ, უიმედოდ, უკვალოდ და სამარცხვინოდ (ო. ჭილ., I, 468). 63. ის მესაუბრებოდა ჩემთვის მისაწვდომ საკითხებზე სადად, გულღიად და ცნობისმოყვარედ (კ. ყმა, 349). 64. გიორგა მაიორთან დამეგობრების შემდეგ უფრო აგდებულად და უფრო გამომწვევად ელაპარაკებოდა თათარს (ო. ჭილ., II, 46). 65. მისი ყოველ წუთას მზარდი არსება ბრმად, ჯიუტად, თავგანწირულადაც სწორედ მეგობარს დაეძებდა (ო. ჭილ., II, 47). 66. სანამ ჯარის ასაკი შეუსრულდებოდა, თეითონ წვრთნიდა მკაცრად, დაუნდობლად და სიყვარულით (ო. ჭილ., II, 67). 67. ოთარი ახლა სავსებით მშვიდად იყო, კვლავ დინჯად, აუღელვებლად ლაპარაკობდა (გ. ფანჯ., 672). 68. მოვსულვართ შორის ქვეყნიდან მოსასმარებლად კეთილად, ძმურად (აკაკი, 56). 69. მისთვის სიკვდილიც კი ისევე უბრალოდ და ულმღამოდ მოვიდოდა (თ. ბიბ., 275). 70. ვიღაც რეკავდა, რეკავდა გედიზედ ორჯერ ან სამჯერ (გ. ფანჯ., 560). 71. ის ისევ მშვიდად და აუღელვებლად იჯდა (გ. ფანჯ., 500). 72. გადავწყვიტეთ, უხმაუროდ და დარბაისლურად გაგვეარა ეს მანძილი (კ. ყმა, 92). 73. ლუკა გულმოდგინედ და დამაჯერებლად ჰყვებოდა სემინარიის ამბებს (კ. ყმა, 104). 74. ბაბუცა მშვიდად, აუჩქარებლად, ხმის რაღაცნაირი სინარნარით კითხულობდა (ო. ჭილ., II, 150). 75. დღეში ორჯერ თუ სამჯერ მოდიოდა ლიდიას სანახავად (ა. ყაზბ., 56). 76. შიგნით რაღაც მტკიოდა მოუთმენლად და აუტანლად (ნ. ლონაშ., 203). 77. თავმოწონებული მაღალფარდოვან სიტყვებს ჰხმარობს უანგარი-

მოდ და განუკითხავად (ილია, აზრ., 89). 78. ორივე შემთხვევაში გულდამჯდარად, აუჩქარებლად, მართებულად, გულმტკივნეულად და გულწრფელად ნათქვამია სიტყვა (ილია, აზრ., 82). 79. ცხენს აბნეულად, გაუაზრებლად გაუხარდა რაღაცა (ო. ჭილ., II, 228). 80. მერე ისევ გზა იწყებოდა და ეტლიც ისევ მსუბუქად, რბილად, უხმაუროდ მისრიალებდა (ო. ჭილ., II, 169). 81. ლაპარაკობდა ყოველთვის მოზომილად და თავდაჭერილად (მოგ. აკ., 10). 82. მის კედლებში თამამად და თავისუფლად მხოლოდ კარადისხელა საათის რკინის გული ფეთქავდა (ო. ჭილ., II, 108). 83. იგი ყველას თავაზიანად და ალერსიანად ექცეოდა (კ. ყმა, 103). 84. გადმოვედით სემინარიაში და მას შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ შემემთხვა ლუკას ნახვა (კ. ყმა, 159). 85. ლაპარაკობდნენ მაღალფარდოვნად, ბრტყელ-ბრტყელად, ტემპერამენტიანად (გ. ფანჯ., 499). 86. ცხენებმა გამოხედეს სევდიანად და გულგრილად (ო. ჭილ., II, 210). 87. წერილს დღესვე მისწერს, მისწერს მოკლედ, ცოტა უხეშად და ცივად (გ. ფანჯ., 574). 88. მშობლიური ჰაერით გაბერილი ერთი ღორის ბუშტი მთელს ჩვენს წამლებს ასჯერ და ათასჯერ გადაამეტებს (ო. ჭილ., I, 36). 89. ის ათრთოლებულ თითებს ფრთხილად და გაუბედავად მოაფათურებდა ხოლმე სარკის ზედაპირზე (ო. ჭილ., I, 13). 90. ზოგი დაუდევრად, ტლანქად, უყოყმანოდ, დაუფიქრებლად, ბრმად, ჯიუტად გადათელავს ყოველივეს (ო. ჭილ., I, 53). 91. ხირჩლას უნდა გაეცა ავად თუ კარგად სოფლისათვის პასუხი (თ. ბიბ., 289). 92. ისე მშვიდად და ისე ჯანსაღად აღარასოდეს უცხოვრია (ო. ჭილ, II, 11). 93. გიორგი ბრმად და თამამად შემოდიოდა ცხოვრებაში (ო. ჭილ., II, 42). 94. ის ვერ წარმოიდგენდა, ყველაფერი თუ ასე სწრაფად და იოლად მოხდებოდა (გ. ფანჯ., 509). 95. რომელიღაც სტუდენტმა თავი შემოყო და მერე ფრთხილად, გაუბედავად შემოაბიჯა (გ. ფანჯ., 490). 96. ნავსადგურის მცველთა უფროსმა მეფეს თავი დაუკრა და მხედრულ ყაიდაზე მოკლედ და სხარტად მოახსენა (ო. ჭილ., I, 82). 97. ხანდახან ჭოტი დაიკივლებდა მოულოდნელად და შემზარავად (ო. ჭილ., I, 107). 98. ყველაფერი თითქოს თვალის დახამხამებაში მოხდა აწყობილად და დალაგებულად (თ. ბიბ., 187). 99. მამალმა ისევ დაიყივლა გაბმულად და ხრინწიანად (ო. ჭილ., I, 129). 100. თვითონვე გაუ-

კვირდა, ისე მშვიდად და თავისუფლად უთხრა ეს უცხოელს (ო. ჭილ., I, 133). 101. ახლა ქარს ველარ მიჰყვება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით, ძველებურად და შეუპოვრად გულ-მკერდს ველარ უპყრობს ქარიშხალს (ვაჟა, 267). 102. შავი ნისლი მთის ქედზე ველეშაპივით მიცურავს უდარდელად და შეუპოვრად (ვაჟა, 290). 103. გაახსენდა ის ერთადერთი კაცი მთელ ქალაქში, რომელმაც დაუფიქრებლად, უყოყმანოდ, უშიშრად და ყველას დასანახად სიკვდილი არჩია მისი მეფობის აღიარებას (ო. ჭილ., I, 524). 104. ამაზე მარგარიტას უბრალოდ და თავაზიანად მოახსენეს (რ. ინან., 22). 105. რაღაც შორეულმა ძალამ უბიძგა თუ თვითონ გააზრებულად და შეგნებულად ისკუპა (გ. ფანჯ., 554). 106. ახლა ორივე იღიმებოდა, ერთი — ჩვეულებრივად, მშვიდად, მეორე — ღვარძლიანად, დაბნეულად, დამცინავად (ო. ჭილ., II, 275). 107. შენ მაინც იდექ, ჭადარო, ამაყად, ურჩად, უენებლად (მოგ. აკ., 457). 108. იმღერე ჩანგო, უდარდელად და უზრუნველად (მ. ლებ., 366). 109. ახლა იბრძვიან ულმერთოდ, უსინდისოდ (ო. იოს., 119). 110. იგი დაკვირვებით და დაჟინებით იხედებოდა წინ (ო. იოს., 131). 111. ეტლი რბილად, მსუბუქად მიუყვებოდა თეთრი, მზეზე გახურებული მტვრით დაფარულ შარას (ო. ჭილ., II, 168). 112. მსუბუქად, მშვიდად, უხმაუროდ მიმავალს თავზე გავარვარებული ჰაერი თვალისმომჭრელად ალიცლიცდებოდა (ო. ჭილ., II, 169). 113. მეც მას შევხვდებოდი უბრალოდ და ბიჭურად (თ. ბიბ., 278). 114. ტამს აყოლებენ მეგობრები მწყობრად, ხმიანად (ი. ჯოლბ., 34). 115. ერთხელ მეფე, ნაწამები ძლიერად და ულმობელად, ბნელში ეგდო ძალმიხდილი, უპატრონოდ, უზრუნველად (ილია, 170). 116. მტკიცედ და მედგრად დგას მაშინდელი ძველი მწერლობა (ილია, 862). 117. ისე თამამად და თავისუფლად მოაბიჯებდნენ, თითქოს ამ ქალაქში დაბადებულან (ო. ჭილ., I, 496). 118. აქამდე უდარდელად და უშიშრად ცხოვრობდა (ო. ჭილ., I, 406). 119. ყველას ცრემლი დუმილისა და მწუხარებისა უხმოდ და უსიტყვოდ ჩამოსდიოდა (ა. ყაზბ., 257). 120. ამ წუთში ხეჩინა უხმოდ და უთქმელად ეუბნებოდა ამას მონასტერს (თ. ბიბ., 51). 121. მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით ჩაჩანაკი და ბებერი (ილია, 161). 122. წარდგა მეფე კრების წინა თამამად და დიდებულად (ილია, 153). 123. დილით დაუფიქრებლად, დაუზარებლად დგე-

ბოდა, რათა ისევ დაეგო ქვაფენილი, გამოეცვალა იატაკი, გამოეთალა აბაზანა (ო. ჭილ., I, 421). 124. წყნარად და მშვიდად მეუწყება ზენართა ნება (ა. კალანდ., 306). 125. მისი არსება უყოყმანოდ და უდრტვინველად იღებდა კუსას ნალაპარაკევს (ო. ჭილ., I, 466). 126. ეს კი წერდა თავაუღებლად, დაუზარებლად, ჯიუტად, თაბახს თაბახზე ავსებდა (ო. ჭილ., II, 371). 127. ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი წითლად და ყვითლად მზისგან პღუვოდა (ილია, 178). 128. საზოგადოებას არა ერთხელ და ორჯერ დაუბრუნებია მისთვის უსასყიდლოდ მისი სახელ-კარი (მოგ. აკ., 41). 129. მაცვია ტანზე ავად თუ კარგად (მ. ლებ., 313). 130. სარდაფიდან ამოდიან დაირები — ვერცხლისფერად, ოქროსფერად იალებენ (ა. კალანდ., 59).

*§ 74. ერთგვარმიზეზისგარემოებიანი.* 1. ჩვენ, პატარებს, ხვალის ლოდინისაგან, თუ მეტისმეტი გართობისაგან ძილი აღარ მოგვეკიდება (ილია, 262). 2. ბებრული ეშმაკობისა თუ ბუნების გულკეთილობის წყალობით განთავისუფლდნენ განელილი ცხოვრების ხსოვნისაგან (ო. ჭილ., I, 509). 3. ის ხედავდა სიღარიბისა და შიმშილისაგან შეწუხებულ მოხევეებს (კ. ყმა, 97). 4. ამის შემდეგ დახუთვილი, ქარებისაგან და რევმატიზმებისაგან დაავადებული ავადმყოფები დაიარებოდნენ ამ წყალზე (კ. ყმა, 233). 5. სპარსეთის მალარიისაგან თუ პარატიფისაგან შაშხივით დამჭნარი და ყვითლად გადაქსუებული ჯარისკაცი ჩანს (გ. რობაქ., 190). 6. დარდისაგან და შიშისაგან დაზაფრულმა მაშინვე ყველაფერი მიატოვა (ო. იოს., 295). 7. სიბნელისა და სიჩქარის გამო საერთოდ შემთხვევით დადეს დენთით სავსე კოლოფი სალონის გვერდით (ო. ჭილ., II, 167). 8. ყაფლან მაკაბელის ბაბუამ არაჩვეულებრივი ღონისა და სიმამაცის წყალობით თავადობა მოიპოვა (ო. ჭილ., II, 68). 9. რანაირი იარაღით არ კლავდა ხალხი ერთმანეთს სიძულვილის, სიყვარულის, სილაჩრისა თუ სიბრიყვის გამო (ო. ჭილ., II, 115). 10. გზა ფეხშიშველი გამოვლო თამარ თავის ხალხის და სამშობლოს გამო (ა. კალანდ., 263). 11. მაღალი სახლებისა და ჭადრების გამო ცა ხეირიანად არც ჩანდა (ო. იოს., 175). 12. ის სიბერისა და სიდამბლის გამო ნახევრად დაბრუციანებული

იყო და ხშირად ხელმწიფეს ჯარისკაცისაგან ვერც კი არჩევდა (მოგ. აკ., 378). 13. ეს კარადა თამაზს ასე ეზიზღებოდა თავისი სიძველისა და სიტლანქის გამო (გ. ფანჯ., 620). 14. ისინი მოწყენილობისა და სიცხისაგან იყვნენ დაოსებულები (გ. ფანჯ., 560). 15. ამ ქალს თავის გამხდარ, მძიმე მუშაობისა და ტვირთისაგან დალეულ, გაცრეცილ თავსაფრიან დედას ადარებდა (გ. ფანჯ., 559). 16. რა შეეძლო ახლა ამ ქალს მიეცა კითხულისათვის გარდა დამცინავი ზიზღისა იმ სიბრმავისა და სიყრუის გამო (თ. ბიბ., 252). 17. ქალს არ უნდა სხვა ვინმემ შეამჩნიოს უძილობისაგან და ცრემლისაგან დაშრეტილი ქალის თვალები (თ. ბიბ., 242). 18. იმ გოგოებს მღელვარებისა და სიმორცხვისაგან გამკვრივებული, გათოშილი ტუჩები ჰქონდათ (ო. ჭილ., II, 384). 19. გადატანილი მღელვარებისა და დაძაბულობისაგან უცახცახებდა სხეული (ო. ჭილ., II, 373). 20. მეფეს ეწყინა ყმის ასეთი ბრიყვული ქცევა, მაგრამ ზრდილობისა და შემთხვევის გამო არაფერი უთხრა (ვაჟა, 286). 21. სიღარიბისა და შიმშილისაგან შეწუხებულ ხალხს ის გაუძლევა (კ. ყმა, 97). 22. დაღლილობისა და სასოწარკვეთისაგან ილაჯგაწყვეტილმა საათს დავხედე (ნ. ონაშ., 201). 23. ერთმა შემთხვევამ სიბრალულისა და ქველობის გამო დაცინვის საგნადაც გახადა მეზობლების თვალში (ვაჟა, 325). 24. ამ შიშისა და მღელვარების გამო ამ გზით ვერ გადადიან (ო. ჭილ., II, 117). 25. მზითა და ქარით დაშაშრული ხელები ჯოხის თავზე კრამიტებიეით შემოეწყო (ო. ჭილ., I, 20). 26. სამაგალითო სისუფთავე და სიმშეიდე სუფევდა შვიდი წყვილი ხელისა და შვიდი წყვილი თვალის წყალობით (ო. ჭილ., I, 12). 27. ეს თამამი ხმები მარადიული ნესტითა და წყედიადით დარბილებულ თაღებში გუგუნებდნენ და ბობოქრობდნენ (ო. ჭილ., I, 20). 28. ბოდიში უნდა მოეხადათ დედისათვის იმ წუხილისა და შიშის გამო (ო. ჭილ., I, 93). 29. გაბმული ზმუილისაგან და სიცხისაგან ფრიქსეს თავი ასტკივდა (ო. ჭილ., I, 139). 30. ის გზა თავის დროზე ბედისა და უბედობის გამო არ გაევლო ქარისას (ო. ჭილ., I, 52). 31. რასაც ერთბაშად თავს დატეხილი შიშისა თუ დაბნეულობის გამო ვერ მიხვდა, ამ წუთში ჩასწვდა (თ. ბიბ., 284). 32. ეს დაულეველის, დაუბოლოვებელის შიშისა და ელდისაგან წარმოსდგება (ვაჟა, 255). 33. თანდათან გამოიკვეთა თმაგაჩეჩილი, შიშისა თუ უჰაერო-

ბისაგან თვალებდაყვლეპილი, მომჩვარული და მორღვეული სახე (ო. ჭილ., I, 503). 34. შიშისა და მღელვარებისაგან ხმა უკანკალებდა (ო. ჭილ., I, 515). 35. ფარნაოზი გრძნობს როგორ ეფაკლება სახე სირცხვილისაგან და სიამოვნებისაგან (ო. ჭილ., I, 523). 36. ტკივილისა და გაოცებისაგან აღარ იცოდა რა ექნა (ო. ჭილ., I, 450). 37. თავის ვაჟკაცობისა და გამბედაობის წყალობით მალე მიაღწევდა დიდს ხარისხამდე (ა. ყაზბ., 70). 38. მათთან ერთად დანარჩენი მთიელების გული შეუწყვეტლივ ღრინავდა გამწარებული იმ შეურყეველი ომის და უსამართლობის გამო (ა. ყაზბ., 157). 39. რა აუცილებელი იყო მისთვის ის, რაც ხასიათად ქცეული ყოყმანის, სიფრთხილისა და ხელმომჭირნეობის წყალობით დაჰკარგოდა (ო. ჭილ., II, 16). 40. ნავლგადაკრული ნაღვერდალივით უღვიოდა სიცხისაგან და ჩქარი სიარულისაგან დაწითლებული სახე (ო. ჭილ., II, 98). 41. ის იღუპებოდა უმწეობისაგან, მონობისაგან, გულში ჩაკლული მრისხანებისაგან (ო. ჭილ., II, 413). 42. ამ დანაშაულისა და სირცხვილისაგან შესანიშნავად გამოცემული წიგნი ნაწილობრივად მაინც დაგვიხსნის (პ. იაშე., 298). 43. ის ამდენი შიშისა და დავიდარაბისაგან გაწყალებული და ობმოკიდებული იყო (ო. ჭილ., II, 257). 44. ფარნაოზს სუნთქვა უგუბდებოდა მღელვარებისა და სირცხვილისაგან (ო. ჭილ., I, 523). 45. მენიჩბეებს შიმშილისა და წყურვილისაგან გონება დაჰკარგოდათ (ო. ჭილ., I, 404). 46. მუდმივი ჯდომისაგან, ჭამა-სმისა და სიმსუქნისაგან მოახლოებული ინფარქტი უკვე იგრძნობოდა (გ. ფანჯ., 469). 47. მაშინ ნიკომ შიშისა და მღელვარებისაგან ასანთიც ვერ აანთო (ო. ჭილ., II, 412).

*§ 75. ერთგვარმიზნისგარემოებიანი.* 1. იმ დღესვე ხატში დაიკლა რამდენიმე საკლავი, როგორც ბათურის სულის მოსახსენებლად, ისე მის ხმლის სადიდებლად და გულის დასაამებლად (ვაჟა, 321). 2. ყველგან თან დავყავარ — სახატავად, სათევზაოდ, სახეტიალოდ (ნ. ონაშ., 4). 3. მას ხშირად პატიჟობდნენ სადილ-ვახშმად და საქეიფოდ (კ. ყმა, 248). 4. სახლი უცნაური ხმებით იყო სავსე, თითქოს ჩრდილებიც ამ ხმებს დასდევდნენ დასაჭერად თუ გასადევნად (ო. ჭილ., I, 175). 5. დე-

დაკაცს ასეც უვლია მრავალჯერ ხან გზააბნეული საქონლის მოსაძებნად, ხან ცხენის ჩამოსაყვანად (თ. ბიბ., 420). 6. კვლავ მეძახიან ბრძოლაზე, საჩხუბრად, სისხლის საღვრელად (ვაჟა, 103). 7. მაიორი უკანასკნელ წუთს თათრის მოსავლელად და შემოსარიგებლად ჩამოსულიყო (ო. ჭილ., II, 33). 8. აქაური სასულიერო წოდება აპირებს სიონთან დააარსოს მუზეუმი შესანახავად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნივთთა (ილია, 613). 9. ტფილისი დიდის ყოფით მოიკაზმა და მოირთო ჯარის დასახვედრად და მისაღებად (ილია, 709). 10. ის მათ დასაფრთხობად კი არ იქნევდა, არამედ შესაკავებლად და დასაბრუნებლად (ო.ჭილ., II, 398). 11. ამ სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანერგად ახლებთან ერთად არა ერთი და ორი უთქვამს თავის მშვენიერის ლექსითა (ილია, 674). 12. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ (ილია, 923). 13. ამ სკოლის ოსტატები ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად (ილია, 923). 14. ქოთნით ფქვილის სასესხებლად მოვედი ან ახალუხის სანათხოვროდ (ო. იოს., 392). 15. მოიწონა თავი მამალმა, აიბურძგნა, აიფხორა და მტრების გასაგულისებლად, გამოსაჯავრებლად სამჯერ ზედიზედ დაიყივლა (ვაჟა, 304). 16. ისინი ხშირად პატიჟობდნენ ლევანს სადილ-ვახშმად და საქეიფოდ (კ. ყმა, 248). 17. სამუშაოდ თუ სანადიროდ ტყეში წასული ხალხი გაოცებული რჩებოდა (ვაჟა, 286). 18. შესცქეროდა მამალს, მთელ ქვეყანას რომ იწვევდა სამიძგილაოდ და საჩხუბრად (ო. ჭილ., II, 130). 19. შეეძლოთ ცოტა ხნით მაინც გამკლავებოდნენ მათ გასათელად და დასაკნინებლად ამოვარდნილ ქარიშხალს (ო. ჭილ., II, 142). 20. მას გაჰქონდეს თავისი პატიოსანი ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუგეშოდ და სასიქადულოდ (ილია, ამრ., 24). 21. ის კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის (ილია, 27). 22. მას რამდენიმე წუთი მაინც უნდა გამოენახა წიგნის საკითხავად ან მუსიკის ძველი სიყვარულის გასახსენებლად (ნ. ონაშ., 225). 23. სოფელს სხვა სიტყვა ჭირდებოდა იმ ერთი საბედისწერო სიტყვის დასათრგუნად და დასავიწყებლად (თ. ბიბ., 314). 24. მას ვაძლევდით გადასაკითხად და გასასწორებლად კორესპონდენციებს

(კ. ყმა, 152). 25. გატრუნულიყო ლოგინში და ისე მოემძინარებინა თავი ამის სანახავად და მოსასმენად (ო. ჭილ., II, 149). 26. ეს უკანასკნელი გაბრძოლება იყო ოცნებისა და რწმენის შესანარჩუნებლად, მაიორის გამოსაფხიზლებლად, ისევ სამართლიანობისა და სიკეთის გზაზე გამოსაყვანად (ო. ჭილ., II, 96). 27. ისე დარიაჩანგის ბაღიც ეყოფოდა კაცს საშზერლად და სანატრელად (ო. ჭილ, I, 12). 28. ეს დიდებული საზეიმო სვლა ერთი ჭურჭლიდან მეორეში კასრიდან თავდაღწეულ ღვინოს სულის მოსათქმელად და ფეხის გასაშლელად სჭირდებოდა (ო. ჭილ., I, 19). 29. გაეგოთ, რომ ირაკლი წერეთლის ოჯახში დიდი წვეულებაა და მიაშურეს საჩხერეს დროს გასატარებლად და თავისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად (მოგ. აკ., 25). 30. ისინი არავითარ საბაბს არ იძლეოდნენ საჩხუბრად და საკინკლაოდ (ო. ჭილ., I, 113). 31. ისინი ირხეოდნენ გამჭვირვალე წყალში, თითქოს მყვინთავების გასაბრაზებლად, გასაქეზებლად და მისაზიდად (ო. ჭილ., I, 138). 32. ვერ მიეცემ მტერსა მამულსა საჯიჯგნად, დასაზიანად (ვაჟა, 62). 33. ეს კაცს ხელს გამოალებინებს ხოლმე სხვის ძარცვა-საგლეჯად, ან თუ ულონოა, სხვის საწყევლად და საქოლვად (ილია, 670). 34. თუ სალაპარაკოდ და საჯიჯგნად ჩაგიგდეს ხელში, ვინ დაგზოგავს (ო. იოს., 314). 35. საყაჩაღოდ და საქურდალად ხომ არ მიყავს? (ო. იოს., 354). 36. არც ძალა ეყოფა და არც სურვილი იმ ათი წლის ამოსაშლელად, ამოსაფხეკად თუ ამოსაძირკვად (ო. ჭილ., I, 148). 37. მანქანას იპარავდნენ არა სასეირნოდ და საქეიფოდ, არამედ გასაძარცვავად (გ. ფანჯ., 589). 38. ის თითქოს ცოცხლად დარჩენილთა დასაფრთხობად და გასამწარებლად დაეტოვებინათ (ო. ჭილ., I, 482). 39. ერთი სული ჰქონდა, როდის მოათავებდა საქმეს, როდის აირბენდა დასახედად, დასარწმუნებლად (ო. ჭილ., I, 477). 40. ლაშქარს სახე უცინოდა, თითქოს სალაშქროდ კი არა, სალხინოდ მიდიოდა (თ. ბიბ., 134). 41. მის გასაფურჩქნად, გასაღვიძებლად ბევრი იძგერა მაგ წრფელმა გულმა (მოგ. აკ., 477). 42. სანადიროდ, საკალმახოდ, ცხენთა სახედნად მპატიჟობდი (მ. ლებ., 411). 43. არცა ცხენის გასახედნად, არცა ვერცხლის დასახვეტად, მიდიოდა თამარ თვისი ხალხის დასახედად (მ. ლებ., 435). 44. ეს თქვა უკვე საკუთარი გაგულისების მისაჩქმალად, ანდა განსამარტავად (ო.

ჭილ., II, 287). 45. სადარდებლად და სანანებლად სხვისთვის უნდა გაეხადა საქმე (ო. ჭილ., II, 222). 46. ეს მისი სიყვარულის დასაკნინებლად, გასათელად გამოეგონათ (ო. ჭილ., II, 279). 47. ელისაბედ მარჯანიშვილის ოჯახში აკაკის ერთი საუკეთესო ოთახი საკუთრადა ჰქონდა დასაწოლად და სამუშაოდ (მოგ. აკ., 396). 48. მოვიდა მცხოვრებთა მოსვრად და თრევად, მოვიდა თვისივე სისხლისა თხევად (ა. კალანდ., 263). 49. ესეც ეყოფოდა მას ჭკუის სასწავლებლად, ენის დასამოკლებლად (ო. ჭილ., II, 228). 50. რას განიცდის ის, როცა საჭმელად ანდა ქაღალდის სათამაშოდ მიუჯდება ხოლმე (ო. ჭილ., II, 207). 51. მამ მამულს თავი შევსწიროთ საშველად, გამოსახსნელად (ილია, 126). 52. ის კავკასიაში გამოგზავნილი იყო აქაური ღვინის კეთების საქმის სასწავლებლად და საცოდნელად (ილია, 589). 53. იმ საღამოსვე უნდა გავმგზავრებულიყავი სხვიტორში რედაქციის სახელით მუხლის მოსადრეკად ახალი მიცვალებულის ცხედრის წინაშე და მონაწილეობის მისაღებად მისი განსვენების თადარიგში (მოგ. აკ., 441). 54. გაშმაგებული აბრახუნებდა მთელი ძალით, თითქოს გასაჭირში ჩავარდნილი, დახმარების სათხოვნელად იყო მოსული და არა მოსაკლავად (ო. ჭილ., II, 227). 55. თვითონაც უნდა გამოეყენებინა დების მოსწრებული თქმები თავის დასაცავად თუ გადასარჩენად (ო. ჭილ., I, 183). 56. ის უნდა მოგროვილ იქმნას ტკბილი ღვინის დასაყენებლად და საკეთებლად (ილია, 591). 57. თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად (ილია, 608). 58. ის ახლა არა მარტო ტახტის ყველაზე სახიფათო მტრის დასამარცხებლად მიდიოდა, არამედ თავის გამოსაჩენადაც (ო. ჭილ., I, 525). 59. არც მომჩივრები აწუხებდნენ და არც მთხოვნელები, დრო თავზე საყრელად ჰქონდათ სათათბიროდაც და სათამაშოდაც (ო. ჭილ., I, 498). 60. ეს მხოლოდ ხალხის გასართობად და გასაცინებლად არის გამიზნული (ო. ჭილ., I, 439). 61. ამას ისტორია შეადუღებს ხოლმე მამაპაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად (ილია, 609). 62. მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად (ილია, 927). 63. ფული ქართველს საზანდარისათვის საჩუქრად ან ეკლესიების

შესაწირავად თუ დასჭირდება, თვარა სხვად რად უნდა? (აკაკი, 156). 64. ბევრი რამ უნდა დავმალო, ბევრი რამ უხერხულია სათქმელად თუ საწერად და ბევრიც უმნიშვნელო (ვაჟა, 325). 65. ისინი ელამუნებოდნენ, ეტმასნებოდნენ და გაურბოდნენ ერთმანეთს, თითქოს სათამაშოდ, გასართობად გამოსულიყვნენ ზღვაში (ო. ჭილ., I, 431). 66. ის დილეგისაკენ გამოსწევდა, ორ დედაკაცს რომ ამოეთხარა თავიანთი ცოდვის დასამალავად, დასამარხად (ო. ჭილ., I, 257). 67. მას ეს სჭირდებოდა სულიერი განწყობილების გასაძლიერებლად, ასამაღლებლად (მოგ. აკ., 30). 68. სანამ დანაწილებული იყო და წვრილ სახელმწიფოებად დაყოფილი, უღონოც იყო როგორც სამოყვროდ, ისე სამტროდ ვისიმე (ილია, 915). 69. მან პირველად ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების ალსახსნელად და აღსადგენად (ილია, 670). 70. ის ძველ ტანსაცმელს საჭიროებისათვის იცვამდა, ახალს კი თავის გამოსაჩენად და სხვების გულის გასახეთქად (ო. ჭილ., I, 465). 71. ისინი სეირის სანახავად და ქალების სათვალთვალოდ ჩამოსულიყვნენ (ა. ყაზბ., 167). 72. ლეიკ ყოველდღე ვარჯიშობდა ხასიათის დაქნისათვის და ნების გაჭედვისათვის (გ. რობაქ., 316). 73. მან გამოაღო კარი განჯინის, შიგ მკლავი შეპყო: საგზლად და სახსრად — ლორის ნაჭერი, პური და წეკო (მ. ლებ., 77). 74. ისინი აქ, ცხადია, უფრო საამიკოდ და სალაღობოდ იკრიბებოდნენ (მოგ. აკ., 109). 75. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ (ილია, 922).

***§ 76. მერეული მერწყმული წინადადება.*** 1. თბილისი კი მოედინებოდა, აბზრიალებდა ჭრელაჭრულა სარეცხს, მზეზე მოლივლივე გუმბათებს, ციხის მოედანზე დაძიძგილავებულ მამლებს, შუბლებით დაჯახებულ ყოჩებს, აქლემების ქარავანს, აღმოსავლური ტკბილეულის გორაკებს, ფარჩისა და აბრეშუმის თოფებში გზააბნეულ ქალებს, მოგუგუნე ზარებს, ურჩხულის ხახასავით ცეცხლისმფრქვეველ სამჭედლოებს, ხიდზე გახირულ ჩარდახიან ურმებს, ეტლებს, ფაეტონებს, დილიჟანსებს (ო. ჭილ., II, 257). 2. ცხოვრებისაგან გაწბილებულ ქალს

თავისუფლად შეეძლო იქ ჩაკარგვა, ყოველგვარი ოცნების დავიწყება და მშვიდად, შეუმჩნევლად ცხოვრება საქარგავითა და წიგნებით (ო. ჭილ., II, 145). 3. წავიდა დიდის დიდებით, მიჰქონდა ოქრო და ვერცხლი, თვლები და მარგალიტები (ლ. ასათ., 94). 4. სოფელი კი სცემდა ბუკსა და ნაღარას, იყოფდა და თელიდა ნადავლს, ადიდებდა გმირებს, გააბოძებდა საჩუქრებს, ბღავილით ერეკებოდა დასაკლავად გამეტებულ საკლავს, ანთებდა ცეცხლს და ანაკვერჩხლებდა, თლიდა შამფურებს, აშიშხინებდა მწვადებს, აცხობდა მჭადს და ლავაშებს (თ. ბიბ., 146). 5. ქალები, დედები ამხედრდებოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, ჯვერავს, წმინდა გიორგის, შეელას შესთხოვდნენ და უგზოუკვლოდ დაკარგულ შვილებსა და სტუმარს ღვთის ანაბარა არ მიატოვებდნენ (ო. იოს., 72). 6. კოდები და ფიცრები ისევ ამოჰყარა, კაკლით სავსე ტომარა უკან ამოიღო, ზურგზე წამოიკიდა, შინ წაიღო (გ. ფანჯ., 76). 7. აიღებდნენ აშუღები რომელიმე სასულიერო ამბავს, ჯერ გალექსავდნენ, შემდეგ შეურჩევდნენ სხვადასხვა ხმებს და კილოებს (ი. გრიშ., 70). 8. შავი ქვის მრეწველობის ხელმძღვანელები, მუშამოსამსახურენი, მასწავლებლობა და სტუდენტობა, სხვა ქალაქებიდან და დაბებიდან ჩამოსული სტუმრებიც ავსებდნენ თეატრებსა და სახალხო საკრებულოებს (კ. ყმა, 170). 9. ერის ჭირს თუ ლხინს უბით დაატარებდა, ხან დასტიროდა, ხან დასცინოდა, ხან კიდევ იმედებით ავსებდა (მოგ. აკ., 375). 10. ჩვენმა წინაპრებმა ამ ტაძრებითა და ციხეებით შემოგვინახეს ჩვენი წილი მზეც, წარსულის სულიც, გამძლეობის ნიჭიც და შემოქმედებითი ენერგიაც (ნ. ონაშ., 102). 11. ვარდისფერ დაისში შავ სილუეტებად იდგნენ წერწეტა ალვები და თავდახრილი, მოწყენილი ტირიფები (ნ. ონაშ., 74). 12. ბევრგან იმისი სიტყვები გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან (ილია, 391). 13. მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები — აზნაურებს და აზნაურები კი გლეხებს (აკაკი, 91). 14. იმსჯელეს და გადაწყვიტეს მეფემ და დიდებულებმა (ლ. ასათ., 94). 15. ლამაზი სული ქარით, ფოთლებით, თვისი სიმშვიდით და შეშფოთებით, ქლიავისა და ატმის ტოტებით საგაზაფხულო მიწას შორდება (ა. კალანდ., 351). 16. ქუჩებში ქარი დგას და არიგებს უჩინარ ექვნებს, ზარებს და

ბუკებს (ო. ჭილ., II, 436). 17. მერე ის და დედაბერი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და პურს ჭამდნენ (ო. ჭილ., I, 359). 18. ურმით, მარილით, ჯორით და ვირით აიზიდა ტყვიაწამალი, საომარი საჭურველი (ო. იოს., 19). 19. ქალები და კაცები ერთმანეთს არ ერიდებოდნენ, მაგრამ ეკრძალეოდნენ თვითონ ღმერთს (ო. იოს., 62). 20. მსმენელებს აოცებდა და ატყვევებდა მოხუცი პროფესორის ნათელი გონება, დახვეწილი ლოგიკა და ფანტაზია (გ. ფანჯ., 226). 21. ქანცგამოლეული დედაკაცები ცხენებს ლასლასით მისდევდნენ და მიჰქონდათ ბარგი-ბარხანა, გაძენძილი ტომრები, ქვაბები და თუნგები (თ. ბიბ., 280). 22. ღამის წყვდიადში გაისმა საზარელი გრუხუნი, გრიალი, წივილი, კივილი, სტვენა, ბუბუნი, მტერევისა და მსხვრევის ხმა (კ. ყმა, 240). 23. ის კრებდა შეგირდებს, ასწავლიდა სიმღერას, დაკვრას, არქმევდა ზედმეტ სახელებს (ი. გრიშ., 163). 24. გამოძვრნენ დუქნებიდან და სახელოსნოებიდან ყასბები და ხარაზები, თერძები და მედუქნეები (რ. ინან., 34). 25. მოაჯირს გადაღმა ჩუმად, უხმაუროდ თრთოდნენ და ტოკავდნენ ბრტყელი ფოთლები (ნ. ონაშ., 103). 26. წინ დაგიდგები, უხმოდ მივაჩერდები, ენას გულში ამოვიდგამ, სულ წვრილად გადმოვუშლი ჩემს საწუხარსაც და სალხინოსაც (ნ. ონაშ., 4). 27. კვლავ ღმერთისადმი რიდით და შიშით იწყება ზურნა, იწყება დოლი (ო. ჭილ., I, 585). 28. მან ვინმეს შეუწყოს ხელი, ან წყალი მისცეს, ან მზე, ან გრილი (ო. ჭილ., II, 464). 29. ქალები ცხენებს ხურჯინებს გადაჰკიდებდნენ და ყველს, ერბოს და ხაჭოს წაიღებდნენ (თ. ბიბ., 368). 30. ადუღებული მდინარე ქვასა და ლოდს ერთმანეთში ურევდა და ხარშავდა (ო. იოს., 15). 31. სიცოცხლით სავსე, ჭკუითა და გონებით, ერთგული სიყვარულით გულდამძიმებული ადამიანი და მეგობარი, მეცნიერი და მშვენიერი ქალი თვალსა და ხელს შუა ილუპებოდა (ო. იოს., 295). 32. ოთარმა დარჩენილი რძე სასწრაფოდ შეხვრიპა, ყველი და მჭადი ხელში დაიჭირა და ეზოში გავიდა (გ. ფანჯ., 136). 33. ენით ვერ გამოითქმება და ვერც აიწერება ის კეთილგანწყობილება, სიყვარული და პატივისცემა (კ. ყმა, 150). 34. და იგივ კითხვა, იგივ აზრი ცხოვრების მათის, ზაზას და ფარნას არ ასვენებს, ჯონდის და რატის (მ. ლებ., 273). 35. თემომ გულისჯიბიდან სიგარეტი და ასანთი ამოიღო, ნელა მოუკიდა და მაღლა გააბოლა (ნ. ონაშ., 55). 36. ის გირჩევს, გზას გასწავ-

ლის, ავისა და ბოროტებისაგან გიხსნის (ნ. ონაშ., 6). 37. და განცდილ თრობას, თრთოლვას და ტკივილს გვინაწილებდა და გვაძალებდა (ო. ჭილ., II, 453). 38. და მისი ჩრდილი, უშნო და დიდი, აწყდება საწოლს, მაგიდას, სკამებს (ო. ჭილ., II, 439). 39. ცხადში თუ სიზმარში სულ იმ ქედზე და იმ გადასახედზე ვფიქრობდით (თ. ბიბ., 25). 40. მწვერვალები კი გაშავდნენ, გაავდნენ და მდინარის გუგუნს და შორეული სროლის კრუსუნს ყური მიუგდეს (ო. იოს., 73). 41. მარინე მინდაძის გემოვნებას, მოთხოვნილებებსა და ფილოსოფიას უცხოური კინოფილმები და ჟურნალები აყალიბებდა (გ. ფანჯ., 196). 42. მთებს და ტყიან გორებს აკვირდებოდა, თვალს ავლებდა (კ. ყმა, 302). 43. ზოგი კი მოკეცილი იჯდა აბანოს ფილაქანზე და გემრიელად შეექცეოდა ცარიელ ყველსა და პურს (ი. გრიშ., 60). 44. ის ადგა, კარადიდან ჭიქა, თეფში და ჩანგალი გამოიღო და მაგიდაზე დააწყო (ნ. ონაშ., 70). 45. ჩაქუჩი და სატეხი გამომტაცა, ორივე მაჯაში ცალი ხელი ჩამავლო და მანქანისაკენ გამაქანა (ნ. ონაშ., 92). 46. საუკეთესო ციხე-სიმაგრეებს ჩვენს ქვეყანაში მეფეები და უმეტესად ფეოდალები აშენებდნენ გარეშე მტრებისაგან და უფრო ხშირად ერთმანეთისაგან თავის დასაცავად (მოგ. აკ., 24). 47. მაშინ ხან აქეთ ახლის თავს, ხან იქით, ხან ერთს წაღმა-უკუღმა გაზეპირებულს წიგნს მივარდება, ხან მეორეს (ილია, აზრ., 53). 48. შემდეგ განაბულ ფოთის ნაპირებს გადალახავდა, შიშით არევდა, დალეწავდა ხიდებს, სატივეს (პ. იაშვ., 209). 49. გაბრუებულმა ცა და ქვეყანა, ზღვა და ხმელეთი საჭადრაკო ფიცრად გავიხადე და ჩემ ნება-სურვილზე ვახტუნებდი მეფესა და ლაზიერს (აკაკი, 152). 50. მე სისხლს მიჩქარებს და თავბრუს მახვევს, ეს დიდებული ჯვარი და მცხეთა (ო. ჭილ., I, 578). 51. მზეში, წვიმაში, თოვლში და ქარში, ვიწვი, ვსველდები, ვთეთრდები, გიცდი (ო. ჭილ., I, 165). 52. ნემსიდან, ქინძისთავიდან დაწყებული ერთბაშად ყველაფერი გასხვისდა, გაუდაბურდა, გავერანდა (ო. იოს., 165). 53. დღისით ვნადირობ, წვრილ ნადირთა ბუნაგებს ვარბევ კეტით და მშვილდით (ა. კალანდ., 206). 54. წყნარი, მაგრამ ცივი ნიავი ჩრდილოეთიდან სცემდა და აყინულებდა იქაურობას (ა. ყაზბ., 159). 55. ამათ ემატება არაბული და ებრაული წიგნები და ხელნაწერები (შ. ძიძ., 18). 56. მან ცეცხლითა და მახვილით დღევანდლამდე შეინარჩუნა საკუთარი ენა და ეროვნული თვითმყოფადობა (შ.

ბიბ., 4). 57. არ დავუჯდები მეგობარ მგოსნებს, ჯერ შენ გაგანდობ ლექსებს და ფიქრებს (მ. ლებ., 452). 58. გადაეირბენდით სათიბებსა და გორებს, გადავლახავდით კორტოხებსა და სერებს (მ. ლებ., 531). 59. შემოდიოდნენ სველი მგზავრები, შემოდიოდნენ და თხოულობდნენ წვენიანს და თუთუნს (ო. ჭილ., II, 470). 60. ნესტისა და მტვრის სუნი დიასახლისის უძლურობასა და სიმარტოვეს გაეთამამებინა (ო. ჭილ., I, 358). 61. ულელტეხილის მხარეს ყოველთვის დაფრინავდნენ ჩვენი თუ მათი თვითმფრინავები და ბომბავდნენ (ო. იოს., 70). 62. ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას სიცოცხლე უნდა შევაყვაროთ, მომავლის იმედი უნდა ჩავუნერგოთ (კ. ყმა, 354). 63. ვისწაელოთ, ვიწვალოთ, ქვას, ხეს, რკინას შუბლი ვახალოთ (მოგ. აკ., 92). 64. იმან გამომფიტა, სული დამიცარიელა, ხალისი და სიხარული წამართვა (ნ. ონაშ., 75). 65. იონა, ცარო და ნოდარ ნოდია მოსულებს თავს დასტრიალებდნენ და თვალებში შესციცინებდნენ (ნ. ონაშ., 79). 66. სააღდგომოდ დაბრუნდა და შინ სურსათი, მარილი და ნავთი ამოიტანა (კ. ყმა, 241). 67. ისინი შეიპარებიან სახლში და მოიპარავენ ტანისამოსს, ფულებს, ნივთებს (ალ. ყაზბ., 105). 68. ის დადიოდა დაბად და სოფლად, ხალხის ჭირს და ლხინს შუა იყოფდა (აკაკი, 52). 69. მერე თანდათან გამიტაცა ქვამ, ჩამითრია, გამაბრუა, დამავიწყა პურიცა და წყალიც, მიწაცა და ზეცაც (ნ. ონაშ., 50). 70. შიშს სჭიროდა გალაშქრება, დარბევა, ცხენზე გაწვრთნილი მხედრობა, ალაფისა და საქონლის გამორეკვა, ლამაზი ქალების მოტაცება (თ. ბიბ., 102). 71. სტუმრად მოსული ფშაველი თუ ხევსური მასპინძელს ძღვნად მიუტანს ღვინოს, ჩურჩხელას, ყურძენს, ლეღვს, სხვადასხვა ხილს (კ. ყმა,33). 72. იმავე საღამოს მოწაფეებმა ბაღის ბოლოს ერთი ცაცხვის წინ ღრმა ორმო ამოთხარეს და საეჭვო წიგნები და ბროშურები ჩაფლეს, ზედ ფიცრები დადეს და მიწა მიაყარეს (კ. ყმა, 57). 73. იმღამინდელი ელდა, ტკივილი და საკუთარი უსუსურობის შეგრძნება გამოუთქმელ ბოღმად, გამოურწყავ ბალღამად ჩაილექა სამუდამოდ ორი პატარა ბიჭის სულში (ო. ჭილ., II, 166). 74. ისინი უფრო მეტად იმხიარულებდნენ, უფრო თამამად და უფრო ბევრს მოჰყვებოდნენ თავიანთ მშობლებზე, ბებიებსა და ბაბუებზე, ძმებსა თუ დებზე, ახალ სათამაშოებსა თუ ახალ კაბებზე (ო. ჭილ., II, 39). 75. როგორც სიცხეში ნაევალი მგზავრი უცხო მდინარეში,

დაუფიქრებლად, დაუდევრად შედიოდა სიყვარულის გრილსა და ხავერდოვან ზვირთებში, გაბავშვებული, განწმენდილი, გაკეთილშობილებული მისი სიანკარით, სიმშვიდით, სიუხვითა და იდუმალი, სასიფათო, მტკივნეულად მიმზიდველი სიღრმეების შეგრძნებით (ო. ჭილ., II, 221). 76. აქამდე იცოდი, იცნობდი და დღეიდან ვერც მას და ვერც მის ნაცნობ ნუცას გაიხსენებ (ო. იოს., 189). 77. იმედი და უიმედო ფიქრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ერთმანეთს ებრძოდნენ და მერე რაღაც უხილავი არხით სადღაც მიჰქროდნენ საშინელი სისწრაფით (გ. ფანჯ., 644). 78. კითხულობდნენ იგივე პოეტები და მხატვრები ლექსებს თუ მოხსენებებს (გ. რობაქ., 339). 79. დილაზევე გამოვიტან ჩაქუჩსა და ლურსმნებს და მე გავაკეთებ ამ ალაყაფს (რ. ინან., 79). 80. ის გასცქეროდა მომავალ შარას, ელოდა მზრუნველს, მეგობარს, ალერსს (ნ. სამად., 46). 81. თუ პატრონმა კარი ან ფანჯარა ღია არ დატოვა და მაგრად დაგმანა, ქარი საიდან შემოიჭრა (ო. იოს., 188). 82. ყოველი საკრაეი, ყოველი ტონი, ყოველი ჩასუნთქვა თუ მოსმა, თუ დარტყმა თავისკენ იწევს, ხტის და უხვევს (გ. რობაქ., 366). 83. ქუჩა კი ერთხელ კიდევ იზნიქებოდა წელში, როგორც ნუკრს წამოდებული ხერხი, ერთხელ კიდევ გვერდს უვლიდა იმ სახლს მოულოდნელად და ისევ მისრიალებდა, მიცოცავდა, მიფარფატებდა ცეცხლით გამურულ კედლებს შორის, გადადიოდა უკაცურ, სახტად დარჩენილ ხიდებზე, წვიმის დანატოვარ გუბისხელა მოედნებზე და არ თავდებოდა (ო. ჭილ., II, 153). 84. ბზრიალ-ბზრიალით ქრებოდნენ გამოცარიელებულ სივრცეში ხელისგულივით მოტვლეპილი, ნაცრისფერი ეზოები, მზეზე გამოხუნებული, ალაგ-ალაგ ხავსმოდებული კრამიტის სახურავები, მიწაში ჩაკარგული და ჯვარჩამოხსნილი საყდრის გუმბათივით გარინდული ზვინები, ფუტკარმისეული ჯაგნებითა და ჯერ კიდევ სველი ჩურჩხელებით მოკაზმული აივნები, პირდაპირ იატაკზე დაყრილი კომშისა და ვაშლის სურნელი (ო. ჭილ., II, 246). 85. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა (ილია, 665). 86. რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო ადგილას ყრია

დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად (ილია, 613). 87. ლადო და ეანო მეღვინეს ამოირჩევდნენ, ერთ ბოთლს ჩამოასხმევინებდნენ, თვითონაც დალევდნენ და იმ მეღვინესაც დაალევინებდნენ (რ. ინან., 31). 88. ჭიქა მოწიწებით და გულმოდგინებით დაცალა, ძირს დადგა, ისევ გაავსო და ბასას მიაწოდა (რ. ინან., 33). 89. ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწვრთნებოდა სამხედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის სალ გონებასა და გამჭვრეტელობას (ი. გრიშ., 28). 90. ამ ხალხურ სიტყვიერებას ჩვეულებრივად მფარველობდა და რედაქტორობდა ჩუმი და დაუვიწყარი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი (ი. გრიშ., 75). 91. შიში დათრგუნა მამაო სტეფანეს დანაოჭებულმა, სუსტმა და კეთილმა ხელებმა, მკერდზე ჩამოფენილმა სპეტაკმა წვერმა, მიმნდობმა თვალებმა (თ. ბიბ., 46). 92. ილია-აკაკისაგან ციდან ჩამოტანილმა მადლმა და ცეცხლმა წყვდიადი ნელ-ნელა გაარღვია, გაიკაფა ეკლიანი გზა (მოგ. აკ., 204). 93. ახლა იგი ყველაფერს ეტყვის, გულს გადაუშლის, სამუდამო სიყვარულსა და ერთგულებას შეჰფიცავს, მის წინ მუხლებზე დაეცემა, ხელებს დაუკოცნის (გ. ფანჯ., 460). 94. ის მასპინძელის საქციელში, ლაპარაკში თუ სადღეგრძელოებში ზედმეტ სითამამეს, უფროსობას თუ თავხედობასაც კი გრძნობდა (გ. ფანჯ., 464). 95. ერთ ღამეში გათოშა და ზეზეურად აახმო ზურმუხტი ველები და მდელოები (ო. იოს., 199). 96. ცეცხლმა და თოელმა თვალები და ტვინი გამოგითეთრა (ო. იოს., 199). 97. მან მალე მიიღო შენი ფორმა, შენი სურვილები გაითავისა, ჩამოიტანა წიგნები, ფერადი ჟურნალები და ალბომები (ო. იოს., 201). 98. მზად არიან აიტანონ ყველანაირი საშინელება, ყველანაირი ტკივილი და დამცირება იმ ყვავილისა და მერცხლის გადასარჩენად (ო. ჭილ., II, 400). 99. ყიდდნენ და აგირავებდნენ წინაპრების ძელებით გაპოხიერებულ მიწებსა და წინაპრების აჩრდილებით გამოტენილ ციხე-კოშკებს, საგვარეულო ხატებსა თუ იარაღს (ო. ჭილ., II, 142). 100. საიდანღაც ყვავი წამოფრინდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს მიფრინავდა ტყის გასწვრივ მდორედ და უხალისოდ (ო. ჭილ., II, 377). 101. ფიწლებითა და კინჭუტებით აჩონჩხლილი დედაკაცები, ქალები და ბალღები ერთმანეთს უსწრებდნენ, გოგოს თავსა და ბოლოში უვლიდნენ, წყევლითა და მუქარით თან ძაღლებს აქეზებდნენ, თან ერთმანეთს (თ. ბიბ., 57). 102. ის კოჭის ძაფით შეკრულ ბეჭდის

ტოლა ქინძისა და ოხრახუშის კონებს დილით სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ეზო-ეზო დაარბენინებდა და კაპიკ-კაპიკ გროშებს აგროვებდა (ო. იოს., 235). 103. შენ დაიღალე, დაიქანცე, გაგიწყალდა ჭკუაც, გონებაც, გულიცა და სულიც, დაიცალე, დაიწრიტე, გამოშრი და გამოხმი (ო. იოს., 250). 104. გავუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ (ილია, 679). 105. ჩავდგებოდით წყალში და ტალახში, ვლობავდით ამ მღვრიე მდინარეში ჯებირს, ავავსებდით რიყით და ქვით (ო. იოს., 310). 106. მღვრიე მდინარე გზად ყველაფერს თხრიდა და თან მოჰქონდა ფიწალი და ნაჯახი, გაბზარული კოკა და შოლტი, ასტამი და კინჭუტი (თ. ბიბ., 59). 107. ყიდდნენ და აგირავებდნენ მათი ნებიერი ბებიების, დედებისა თუ დეიდების ნაქონ ყელსაბამებსა თუ ბეჭედს (ო. ჭილ., II, 142). 108. ვაჟას მიაცილებდნენ ცოლი და შვილები, საყვარელი ძმები, ახლობლები, დელეგაციები თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, იმერეთიდან, გურია-სამეგრელოდან, ქართლ-კახეთიდან (კ. ყმა, 31). 109. შემდეგ მას ვხვდებოდი იშვიათად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში და ვეცნობოდი მის ლექსებს და მოთხრობებს (კ. ყმა, 106). 110. პირქუშად იტანდა უმეგობრობას დედისა და ბუნების ჯიბრზე, დედას და ბუნებას აბრალებდა თავის წუხილსა და ტანჯვას (ო. ჭილ., II, 312). 111. იმათ ჩამოეკიდათ წელსა და გულზე იხვები, გნოლები, წეროები, კურდღლები (ვაჟა, 302). 112. ასე მასლაათით მიდიოდნენ მეგობრები ტყე-ტყე და თანაც არ ივიწყებდნენ იმდღევანდელ ომს ბაყაყიჭამიასა და ბატებთან, სწყევლიდნენ და ჰკრულავდნენ (ვაჟა, 304). 113. მეთევზეების გარუჯულსა და გამკვრივებულ სახეებზე სიხარულისა და სიამაყის ღიმილი უცებ შეიფრთხიალებდა ხოლმე (ო. ჭილ., I, 14). 114. სავსე ტიკებივით ათახთახებული ბიჭიცა და ვერძიც ნავიდან ფრთხილად გადმოიყვანეს, სილაზე დააწვინეს და მოასულიერეს (ო. ჭილ., I, 16). 115. ქვევით აქაფებული ზღვა ღრიალებდა, ყალყზე დგებოდა, მშიერი ნადირივით ეტანებოდა ვერძსაც და ბავშვსაც (ო. ჭილ., I, 24). 116. ამ სიღარიბემ და გაჭირ-

ვებამ ასწაელა მათ მომჭირნეობით, დაზოგვით ცხოვრება (კ. ყმა, 34). 117. ძლიერ დაგვაინტერესა, ღრმად დაგვაფიქრა ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მეგობრობამ, მათ თათბირმა, ქაჯეთის ციხის გატეხამ და დატყვევებული ნესტანის დახსნამ (კ. ყმა, 103). 118. გულგახეთქილი, ლოგინიდან წამოვარდნილი მშობლები ბავშვს აღვიძებდნენ, წყალს ასმევდნენ და უფრო მეტს ზედ ასხამდნენ (ო. ჭილ., I, 24). 119. აჩრდილთან უხმო საუბარში, ფიქრში და განსჯაში ერთმანეთს მიჰყვებოდნენ დღეები და წლები (თ. ბიბ., 275). 120. სამი თვის უკეღლებო, უმეთვალყურეო ცხოვრებას, თხრილში ძილსა და ერთი ხელადიდან დალეულ წყალს ისინი უაღრესად დაეახლოვებინა და დაემსგავსებინა კიდეც ერთმანეთისათვის (ო. ჭილ., I, 42). 121. გვიმრისა და შქიტის მოწინავე რიგებმა ვეღარ გაუძლეს უსაშველოდ გამრავლებულ თანამოძმეთა მოწოლას და გზებსა და ბილიკებზე გადმოცვივიდნენ (ო. ჭილ., I, 513). 122. მშვენიერ პეიზაჟსაც რამდენ ხანს უყურებ ან ჩიტების ჟრიამულს, პეპლებისა და კალმახების სხმარტალს (ო. იოს., 199). 123. სასტუმროებისა და რესტორნების პატრონები მას სთავაზობდნენ კარგ ბინას, მოწყობილობას და საჭმელ-სასმელს და ფულს არ სთხოვდნენ (მოგ. აკ., 208). 124. ახლა ზვავისაგან წამოთელილს თხილებსა და ყურძნებს დავულბობ დამჭკნარს ფესვებსა და მაღლა ავახედინებ (ვაჟა, 257).

*§ 77. განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარ წევრებთან.* 1. ფეხის ქარით წამოშლილი მტვერი სახლებშიც აღწევდა და მდორედ, განუკითხავად ეფინებოდა ყველაფერს: სახატესა თუ პატრონმკედარ, კედელზე დაკიდულ იარაღს, ჭრელაჭრულა ფარდაგებსა თუ აზრიალებულ ჯამ-ჭურჭელს (ო. ჭილ., II, 66). 2. მზე ჩადის, ბინდი ყველაფერს ჩქმალავს — სახლებს, მოედნებს, ოცნებებს, ტკივილს (მ. ლებ., 509). 3. გარშემო თითქოს ერთხმად უკრავდნენ ყველანი — მთებიც, მდინარეც, წყაროებიც, მზეც (თ. ბიბ., 34). 4. მაგრამ ყველაფერი ერთ წამში მოხდა — გაოცებაც, შიშიც და რიდიც (თ. ბიბ., 132). 5. ქალი და კაცი, მოხუცი და ყმა, მაღალი და დაბალი — ყველა ერთხმად ადიდებდნენ ღმერთს და აქებდნენ გმირებს (აკაკი, 218). 6. ყველა მას ატყუებს: ჩარჩიც, ვაჭარიც, გზირ-ნაცვალიც (კ. ყმა, 295). 7. ჭიჭო ახლა ყვე-

ლაფერს სწყევლიდა: ტყესაც, შეშასაც, ორთვალას, სახედარსაც, თოვლსაც და აღმართ-დაღმართსაც (ნ. სამად., 49). 8. იმას ყველაფერი უხდება — ძველიც და ახალიც, ჩვეულებრივიც და უცნაურიც (რ. ინან., 84). 9. ახლა გამოვიარე და შინ იყვნენ ყველანი: ესმა, იმისი ამხანაგი, წითელთმიანი გოგო, მერცია თუ მირცა (რ. ინან., 91). 10. შეგიძლია გაექცე ყველაფერს: მტერს, მხეცს, შავჭირს, ყოველ უბედურებას (გ. რობაქ., 213). 11. ერთხელ კიდევ მოუბოდიშა გუნებაში ფარნაოზს და სამივეს: ტახტსაც, ტახტზე მჯდარ ოყაჯადოსაც და ოყაჯადოს მკლავზე დასკუპებულ ცუცასაც (ო. ჭილ., I, 531). 12. წყალში ყოველიფერი გამოჩნდება: ხარი, ძროხა, ცხენი, დღე (აკაკი, 99). 13. მთვრალი ბიჭის თვალში აქ დიადი იყო ყველაფერი: ქუხილიც, წვიმაც, მზის ამოსვლაც და მზის ჩასვლაც (თ. ბიბ., 398). 14. დაიძახა ყველამ ერთად — გივიამაც, ნუგზარამაც, ეაკამაც და ბახამაც (რ. ინან., 9). 15. სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა ვერაეინ ნახა: ვერცა ოსმალომ, ვერც მონღოლმა და ვერცა სპარსმა (ა. კალანდ., 57). 16. დამარცხებულნი იშველიებდნენ ქვებს, აგურებს, ხის ნაჭრებს — ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ (ი. გრიშ., 26). 17. ორივენი, ინოცა და ფარნაოზიც, ისე დაფრთხნენ, თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინათ (ო. ჭილ., I, 232). 18. ამ თეატრში დასცინოდნენ ყველას და ყველაფერს: მაღალ და დაბალ წოდებას, ძლიერსა და სუსტს, საზოგადოსა და კერძოს (ი. გრიშ., 74). 19. ყველას, შინაურსა თუ გარეულს, მორიდებასთან ერთად შიშიც ჰქონდა მისი (თ. ბიბ., 21). 20. საუკუნოდ მადნებში მუშაობა მიუსაჯეს დიდსა და პატარას — ყველას (აკაკი, 158). 21. უკვე ყველაფერი გაქრა: დაწინაურება, მამული, ჯილდო (ო. იოს., 64). 22. მასთან ხარ თითქოს პირნათელი, მაგრამ ქმართან, შვილთან, დედასთან, მამასთან, ხალხთან, ქვეყანასთან — ყველასთან პირშავი (ო. იოს., 227). 23. ირგვლივ ყველაფერი — მიწაც, ტოტებჩამოტეხილი ხეებიც და ჰაერიც, რაღაც საიდუმლო მოლოდინით გაიქლინთა (გ. ფანჯ., 547). 24. პური, ღვინო, ლხინი — ყველაფერი არის ბლომად (ილია, 405). 25. აქაც ყველაფერი — ორსართულიანი სახლიც, გომურიც, გალავანიც, რკინის ალაყაფიც — ნაცნობი იყო (ო. ჭილ., II, 364). 26. ახლა გაჩნდნენ რჩეულნი — კითხულის მცველნი, კითხულის თანაზიარნი, კითხულის ახლობლები (თ.

ბიბ., 104). 27. ეს ყველაფერი — განმარტოებაც და თავის მოყრაც, დაწყვილებაც და დაცალკევებაც ქმნიდა ამბავს (თ. ბიბ., 126). 28. ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი — ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს (აკაკი, 96). 29. მის კლასში ყველა — დიდი და პატარა — თანასწორად სმენად იყო გადაქცეული (აკაკი, 144). 30. მამაჩემი იგონებდა ხოლმე თავის მშობლებს, ძმებს: გიორგის, ლუკას, ბაჩანას, სანდროს და დას მართას (კ. ყმა, 236). 31. თანახმა ხარ ყველაფერზე იფიქრო: მკრეხელობაზე, განკითხვაზე, წარმოუდგენელზე (ო. იოს., 98). 32. ისინი დიდ ოთახში ისხდნენ ყველა: ქაიხოსრო, პეტრე, ზოსიმე მღვდელი და უცნობი (ო. ჭილ., I, 133). 33. ყველა შიშის ქარმა აიტანა — მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც (აკაკი, 139). 34. არიან ყველანი — თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი (ილია, აზრ., 36). 35. წეღან ქედის თავზე თავზარი დაგვეცა ორივეს — იმასაც და მეც (თ. ბიბ., 87). 36. ყველაფერს: წყალს, გადახრუკულ ბალახს, ფერდობს, გაგვალულ მიწას, მზეს, ცას — განუზომელი ფასი, დანიშნულება ჰქონდა (ო. იოს., 256). 37. სიტყვა, ხვეწნა, მოამბრება — ყოველივე ერთ ძლიერ, ანგარიშმიუცემელ გრძნობად გადაიქცა (ა. ყაზბ., 50). 38. ტანკერზე არიან ორნი — შტურმანი და ბორტმექანიკოსი (გ. ფანჯ., 120). 39. და კვლავ იღებდა პირვანდელ სახეს — მხეციც, კაციც და ღმერთიც — სამივე (ო. ჭილ., II, 532). 40. ყოველი არსი — სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება (აკაკი, 89). 41. დიდი და პატარა — ყველა ყურებში ავლებდა ხელს (აკაკი, 137). 42. ნუთუ სულყველაფერი თავიდან გამომაცალეს — გონებაც, გრძნობაც (ა. ყაზბ., 104). 43. მაშინ წაიყვანეს ყველა: ვახოს უფროსი ძმები, სხვა მობიძაშვილეები, გუას მამა, სიოში (ო. იოს., 30). 44. ყოველივე საჭირო თავის სახლშივე აქვთ: საჭმელი, სასმელი, ტანი, ფეხი, იარაღი, საქონელი, ნივთები (აკაკი, 156). 45. ყველა — ნასწავლი, უსწავლელი, ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა — მას თანასწორობის თვალით უყურებდა (მოგ. აკ., 192). 46. იქ კაცის თვალს არაფერი არ უშლიდა — არც გორაკები, არც ხეები და არც სახლები (ა. ყაზბ., 102). 47. უკვე ყველაფერი გაქრა: დაწინაურება, მამულები, ჯილდო (ო. იოს., 64). 48. არ დაივიწყონ,

რომ ხალხი, დაბალი თუ მაღალი — ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ვუშველოთ (ილია, 537). 49. აქ დასცინოდნენ ყველას და ყველაფერს: მაღალ და დაბალ წოდებას, ძლიერსა და სუსტს, საზოგადოსა და კერძოს (ი. გრიშ., 74). 50. მთელი სოფელი გარეთ იყო და ყოველი — კაცი, დედაკაცი, მოხუცი თუ ბავშვი, რასმე აკეთებდა (ა. ყაზბ., 259). 51. ვიწრო აღმართ-დაღმართები, თოვლი და ყინვა, გაფუჭებული გზები, ზოგან სურსათის ნაკლებლობა — ყოველივე ეს ერთად აბრკოლებდა ჯარს (ილია, 708). 52. იგი ყოველწლივ ეწვეოდა ხოლმე სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს — ქართლს, კახეთს, იმერეთს (მოგ. აკ., 295). 53. ეს ადგილი ეკუთვნის ყველას: მრუდსაც და მართალსაც (ო. იოს., 101). 54. ის ყველას დაიკვეხებდა: ღონეს, სმას, ბიჭობას (კ. ყმა, 159). 55. საუფლო დღეებში, მაგალითად, შობის, აღდგომის და სხვა ამგვარ დღესასწაულების წინა დღეს ძროხას რომ დაკლავდნენ, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა (აკაკი, 133). 56. აკაკის ყველგან შეხვდებოდით: ქუჩაში, თეატრში, სახლში და სხვაგან (მოგ. აკ., 426). 57. აკაკის არა მარტო სახლში ვემსახურებოდი, არამედ დავყვებოდი კიდეც სხვადასხვა ადგილებში: ქუთაისში, თბილისში, ბათუმში, ფოთში (მოგ. აკ., 157). 58. მაგიდას სამნი უსხდნენ — ვაჟა, რეზო, ნოდარი (გ. ფანჯ., 346). 59. მას მხოლოდ ამ ნაბიჯის გადადგმა შეუძლია, სხვა ყველაფერი დავიწყნია — ოჯახიც, სოფელიც, ეკლესიაც (ო. ჭილ., 117). 60. მამაპაპეული ქონებაც ბლომად ჰქონდა: გუთნეული, საქონელი, წისქვილები, კარგი სახლ-კარი და სახნავ-სათესი მიწები (კ. ყმა, 13). 61. იმ დღეს მე დამავიწყდებოდა ყველაფერი — შიშიც, მორიდებაც, ღვთისმოსაობაც (თ. ბიბ., 154). 62. თითქოს ყველაფერი მარადიული ხდება — ეს ალზეეებაც, ეს ზეცისტოლობაც, ეს უძლეველობაც (თ. ბიბ., 156). 63. გაფიცხებულ ცხენს ორივენი — ბიჭიც და გოგოც სადღაც მიჰყავდა (თ. ბიბ., 182). 64. ღამ-ღამობით, მობეზრებული ყველაფერს — ხინკალსაც და თრობასაც, ყბედობასაც და მუქარასაც, თავდავიწყებას ეძლეოდა (თ. ბიბ., 186). 65. ჩვენს მწერლობაშიც შეპხვდებოდით ტიპებს და უფრო კი მეცადინეობას ტიპების შექმნისას, ჰხვდებით, მაგალითად, ვაჭრების ტიპებს, მოსამსახურელაქიებისას, ვაჭრის ცოლებისა (ვაჟა, 368). 66. არიან კიდევ

სხვაგვარი ტიპები საკაცობრიო, როგორც მაგალითად, დონ-კიხოტი, ჰამლეტი (ვაჟა, 369). 67. მუშა და ინტელიგენტი, გლეხი და ვაჭარი, წვრილი ხელოსანი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი — ყველა მოხარული იყო აკაკის ნახვით, ყველა ერთნაირად ამაყობდა მისი ნიჭით (მოგ. აკ., 58). 68. არიან აგრეთვე შორიდამ მოსულნიცა, მაგალითებრ, მთიულეთიდამ, გურიიდამ, კახეთიდამ და ქართლიდამ (ილია, 576). 69. მთელ იმ ადგილებს ქრისტეს წინა ხანებიდან დღევანდლამდე ქართული სახელები შემორჩენია, მაგალითებრ, ჭოროხის ხეობაში: კლარჯეთი, ლიგანისხევი, ტაოს-კარი, შავშეთი, აჭარა და მტკვრის სათავეში: კოლა, არტაანი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი (ილია, 724). 70. მკვლელი და გარეწარი, სენი და შემთხვევა — ყველანი სიკვდილის ამხანაგები იყვნენ (ო. ჭილ., I, 61). 71. გათეთრებული თვალებით, საგნის გულგრილობით ირეკლავდა ყველაფერს: ღვინით აბარბაცებულ მექელეხეებსაც, ჩანავლებულ ცეცხლსაც და სპილენძის ქვაბსაც (ო. ჭილ., I, 65). 72. მართალია, ნელა, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც იცვლებოდა ყველაფერი: ადამიანიცა და ქალაქიც (ო. ჭილ., I, 67). 73. სოფელი მასზე სიმღერებს გამოთქვამდა, რომელშიც ყველაფერი — თვით სოფელიც, დამამცირებელი შიშიც და იმ დედაბრის მუდარაც, ამაღლებული და ლამაზი გამოჩნდებოდა (თ. ბიბ., 287). 74. ამ შიშმა დაავიწყა სხვა ყველაფერი — ცოლი და შვილი, ახლობელი და მეგობარი (თ. ბიბ., 319). 75. ის დაიკვეხებდა ყველას: ღონეს, სმას, ბიჭობას (კ. ყმა, 159). 76. ფეხზე წამოდგნენ ყველანი: შიო ჩიტაძე, ვალოდია ღორთქიფანიძე, გიორგი ლასხიშვილი, ილია აღლაძე... (კ. ყმა, 226). 77. პელემ ერთად გამოიტირა ყველანი: საკუთარი თავიც, ძმაც და მშობლებიც (ო. ჭილ., 141). 78. გამონაკლისს შეადგენდა აკაკი, ეს ყველაფრით ნებიერი ბუნებისა და ბედისა: ნიჭით, არაჩვეულებრივი სილამაზის გარეგნობით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით, დაუშრეტელი მახვილგონიერებით (მოგ. აკ., 395). 79. ეს ოთახი „ცისფერ ოთახად“ იწოდებოდა და შიგ მართლა რომ ცისფერი იყო ყველაფერი: საბანი, ლამპის აბაჟური, მუთაქები (მოგ. აკ., 396). 80. მე მინახავს აზარტიანი მოთამაშე, რომელსაც ყველაფერი წაუგია — ფული, ქუდი, ქურქი, ახალუხი, შარვალი, ჩექმები (ი. გრიშ., 45). 81. ჩვენი წინაპრები თუ ერთი ხელით

იბრძოდნენ, მეორეთი სწერდნენ ისეთი სიტყვიერების წერილებს, როგორიცაა: არჩილიანი, ვარდბულბულიანი, ქაცვიამწყემსი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი... (ი. გრიშ., 76). 82. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის დაბალ ფენებში წარმოიშვნენ ისეთი თვალსაჩინო ფიგურები, როგორებიც იყვნენ: სკანდარნოვა, გივიშვილი და პაზირა (ი. გრიშ., 87). 83. გაქცეულიყო ამ სახლიდან და სამუდამოდ მიეტოვებინა ყველა და ყველაფერი: მამის საფლავიცა და შვილის აკვანიც (ო. ჭილ., I, 451). 84. ეს სახლები, ეს ქუჩები, ეს თეატრები, ეს კინოები, ეს მუსიკ-ხოლლები, ეს რკინის-გზები, ეს ტრამვაები — ყველაფერი ეს თითქო მაკ კოლახია თვითონ (გ. რობაქ., 345). 85. ის ყიდულობდა ყველაფერს და ყიდდა ყველაფერს: ქარხნებს, ბანკებს, თეატრებს, თავლებს, საგამოფენო შენობებს (გ. რობაქ., 329). 86. აესახათ ამ შემთხვევაში ყოელადი; ძაღლი, მგელი, პანტერა, გაზელა, თუ სხვა რამ (გ. რობაქ., 353). 87. შენ შეგიძლია მოაწყო და იშოვნო ეს ყველაფერი: ოთახიც, შემაც, სამსახურიც, ფულიც და სურსათიც (ლ. ასათ., 135). 88. დამჭკნარნი დიყი, შუპყა, შამბი, არყი, ცაცხვი და ურძანი — ყველანი ერთად შეოთაედნენ (ვაჟა, 258). 89. გუცა ახლა იხსენებდა ყველაფერს: სიტყვას, საქმეს (ო. იოს., 124). 90. მაშინ სჯეროდა, რომ ამქვეყნად უკვე ყველაფერს მიეზლო — სისხლსაც და სიკვდილსაც (თ. ბიბ., 354). 91. თითქოს ყველაფერი სიზმარეულ ბინდში იყო — სოფელიც, ხალხიც, კითხულის მოვლინებაც და სოფლის მარცხიც (თ. ბიბ., 301). 92. ყველამ, დიდმა და პატარამ, თაყვანი სცეს ბატონს ყმურად (ილია, 153). 93. თავისიანთ დანახვაზედ მოაგონდა ყველაფერი — სახლი, კარი, თვისი, ტომი, ქვეყანა და თავის ერი (ილია, 172). 94. ყველანაირი ხელსაწყო იყიდა — დანა, ხელეჩო, წალდი, სერხი, ბურღი და შალაშინი (ო. ჭილ., I, 256). 95. ორივენი ერთნაირად ეყვარებოდა — დედაც და მამაც (ო. ჭილ., I, 517). 96. ანდრეევი, სოლოგუბი, მერეჟკოვსკი და სხვანი — ყველანი დოსტოევსკის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებლები არიან (მოგ. აკ., 28). 97. საქმარო მრავალი ჰყოლია: ბიზანტიელნი, რომაელნი, თურქები, სპარსები, ხორეზმელნი... (გ. რობაქ., 219). 98. ჯიმი თამაშობდა ყველგან: ბირჟაზე, დოღზე, კლუბში (გ. რობაქ., 329). 99. ყველაფრის მოთმენა შეეძლო: უგულველყო-

ფისა, დამცირებისა, სიძულვილისა, სიყვარულისა, ღალატისა (ო. ჭილ., I, 404). 100. ყველაფერს ამაღლიდა: ასაკსაც, სიქალწულესაც, ხალსაც კი (ო. ჭილ., I, 264). 101. აბა დააკვირდით, ვინ იძახის მართალიაო: არჩემაშვილი, კობახიძე, სულაძე, ვარაზაშვილი, გვახარია – ყველა მოწინავეა (გ. ფანჯ., 321). 102. ყველა – ცვლის უფროსი, ოსტატი და მეფოლადე – დამეთანხმება, რომ ხშირად ცუდად ჩატვირთული ღუმელები გვხვდება (გ. ფანჯ., 321). 103. სხვა ყველაფერი ავიწყდებოდა – შიშიც და მარცხიც, სოფლის ბრმა სიფიცხეც და განურჩევლობაც (თ. ბიბ., 314). 104. ყველაფერი მას უანდერძა სიკვდილის წინ: გვარიც, მამისეული სახლიცა და სამბოქლომიანი სკივრიც (ო. ჭილ., II, 69).

# განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

*§ 78. დანართი.* 1. მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს, ალაზნის პირას თეთრად ანთებულს, კვლავ მოიხილავს, კვლავ მოიხილავს მის, ქეთევანის, წმინდა ხატება (ა. კალანდ., 266). 2. კითხულობს მთვარე ქვის ძეგლებით უძველეს ქართულს, ნუსხურს და მთავრულს (ა. კალანდ., 184). 3. ჩვენც, მსხვერპლნი ძალმომრეობის, ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა (ვაჟა, 74). 4. მათ, შვიდთა ძმათა, ტაძრად შვიდი სანთელი ანთეს (მ. ლებ., 147). 5. ხოლო ჩვენ, მსმენელნი, თვით აკაკის შოთასთან ვაიგივებდით, საქართველოს მკვდრეთით აღდგენის მოციქულად ვსახავდით (მოგ. აკ., 226). 6. განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები, როგორც ქვეყნის მომავალი, და ქალებიც, როგორც მამულიშვილების აღმზრდელნი (მოგ. აკ., 130). 7. მათ მიემატა სწავლული გიორგი არტემიჩ ხარაზოვ, სპეციალობით მათემატიკოსი (გ. რობაქ., 339). 8. მას, როგორც მოწმეს უკვდავების და დიდებისა, ამკობს გვირგვინი (პ. იაშვ., 81). 9. ბავშვი უნდა მოგანათვლინოთ თქვენ, როგორც ილიას სიყრმის მეგობარს, და ვაჟას, როგორც ჩემს საყვარელ პოეტს (კ. ყმა., 88). 10. ლუკა თავის სწორ-ამხანაგებთან დაუცხრომლად ცელქობდა და თამაშობდა, ხოლო ჩვენთან, მე და გიორგისთან, თავის თავს ბავშვად არ სთვლიდა (კ. ყმა, 158). 11. შესასვლელში ნიკიფორეს შვილი, ვარლამი, იდგა (გ. ფანჯ., 78). 12. კითხულმა კაცმა, მაგია ბალიაურმა, ჩვენი ნახვა არ ინება (თ. ბიბ., 42). 13. ჩვენ კი, დედებმა, ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვაროთ (ილია, 127). 14. მესამე მომენტი ყველასათვის დაუვიწყარი და თან ისტორიული გამოდგა, როდესაც მთის არწივი, ვაჟა ფშაველა, გამოჩნდა (მოგ. აკ., 73). 15. თქვენ, როგორც ახალგაზრდებს, ჯანღონით და ენერგიით სავსეს, მეტი შრომის ატანა შეგიძლიათ (მოგ. აკ., 75). 16. მე, სემინარიის მეოთხე კლასიდან ახლად დათხოვნილი, წვრილ-წვრილ ამბებზე და გასართობებზე ვწერდი (კ. ყმა, 140). 17. ძალიან ბიჭია, ამაზე მეტად აღარავინ მიყვარს ქვეყანაზე, ჩემ ძმასთან, სანდროსთან, ცხოვრობს, ჩემს ძმას, სანდროს, ხომ იცნობ (კ. ყმა, 221). 18. იდგა

თბილისი, როგორც ერეკლე, ხმალშემართული ნარის ციხესთან (ა. კალანდ., 269). 19. იქ, სადაც ჩვენ, უკვდავი ძმები, შევიკრიბეთ ახალი სილამაზის სადიდებლად, ვხედავთ ამას (პ. იაშვ., 281). 20. ჩვენი სახლი ზედ გზის პირად იდგა და განუწყვეტლივ მიდიმოდიოდა მგზავრი, თუ ფშაველი, თუ ხევსური (ვაჟა, 326). 21. შენ, როგორც კავშირის წევრი, მხოლოდ დაკვეთას აიღებ, დანარჩენს კი ბიჭები გააკეთებენ (ნ. ონაშ., 174). 22. ჩვენ ყველანი, პიესაში მონაწილენი, გარს შემოვეხვიეთ, მივულოცეთ პეტერბურგში ჩამოსვლა (მოგ. აკ., 84). 23. ქალებსაც, ბებრებს თუ ახალგაზრდებს, ძალიან უყვარდათ აკაკი (მოგ. აკ., 50). 24. მამაჩემის ძმები, ვაჟა და სანდრო, გვეწვივნენ მოსალოცად (კ. ყმა, 236). 25. მამაჩემმა და მისმა ქვისლმა, შაქრო გაგნიძემ, გადაწყვიტეს გარიდებოდნენ სოფელს (კ. ყმა, 237). 26. მე ვინახულე ტბა სევანის, ანუ ტბა გოგჩის, მე არარატის ხეობისას შემოველას მოვრჩი (მ. ლებ., 206). 27. და იმალება ქვებში ღამურა, სატრფო ღამეთა (ა. კალანდ., 385). 28. ჩვენ, მე და დედა, რომ მოვედით, შენ უკვე შენს ადგილზე იჯექი (რ. ინან., 63). 29. ყარამან, ზაზას ძმობილი, ეზოში ბადეს სწურავდა (პ. იაშვ., 235). 30. ჩვენ, ნაშიერებს მჭედელ ტომების, ცეცხლოვან თვალებს გვითრობს ლითონი (ლ. ასათ., 85). 31. ჩვენ, მე და სოფელს, ერთმანეთი ძილშიც გვახსოვდა (თ. ბიბ., 200). 32. როცა აკაკი ავად გახდა, ჩვენ, გლეხებმა, სუყველამ ვინახულეთ (მოგ. აკ., 257). 33. მან მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტს, ხელი გადამისვა, გამანებივრა, წამახალისა (მოგ. აკ., 99). 34. ჩემი მამამთილი, ბეწუკლიშვილი, შეძლებული ოჯახის პატრონი იყო (კ. ყმა, 303). 35. ჩარგლისკარს ცხოვრობდა ერთი ფშაველი, სახელად ნადირა (კ. ყმა, 295). 36. ჩვენ, პოეტს, ეს საყვედური არ გვეთქმის (პ. იაშვ., 291). 37. ლევანმა, ნიჭიერმა მეცნიერ-მუშაკმა, სიცხეში ჰალსტუხიც კი გაიკეთა (გ. ფანჯ., 231). 38. მოზდოკში არტილერიის მაიორმა, ყაფლან მაკაბელმა, იშვილა, რომელმაც უაღრესად გაუღვივა ჯარისკაცობის სურვილი (ო. ჭილ., II, 67). 39. ის თავის შვილზე, გიორგი ბალიაურზე, ფიქრობდა (თ. ბიბ., 16). 40. ამ დროს ამ ქალის ქმარი, მწყემსი კაცი, გამოჩნდა (თ. ბიბ., 119). 41. ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, მრავალჯერ მოუმართავს (მოგ. აკ., 30). 42. მან ორიოდე ისეთი მოურიდებელი აზრი გამოთქვა, რომ

ჩვენ, ახალგაზრდები, შევწუხდით (მოგ. აკ., 26). 43. მე და ვაჟა, როგორც ნათლიები, ერთად დაგვსვეს (კ. ყმა, 90). 44. ამ ჩარდახის აშენება შეიტყვეს მეფის მოხელეებმა, კერძოდ „აბეშჩიკებმა“ (კ. ყმა, 295). 45. ჰაზირა, გვარად აბრამოვი, სახელოვანი მემკვიდრე იყო საიათნოვასი (ი. გრიშ., 162). 46. კლასის ამხანაგები, განსაკუთრებით უსაქმურები და ჩამორჩენილები, ლევანს პირდაღებულები უყურებდნენ (გ. ფანჯ., 216). 47. ბევრს შევძულდი, ბევრი, ყმა თუ მოჯამაგირე, მოვიმდურე (ილია, 408). 48. ჩვენ, მეც და ეს ქალიც, შეშინებულნი ველოდით, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა (თ. ბიბ., 208). 49. მე, მეცნიერების უფულო და უადგილო კანდიდატი, მივიღებ ეგზომ სანუკვარ სამსახურს (ნ. ონაშ., 47). 50. თბილისელმა მოწაფეებმა, დამწყებმა მწერლებმა, მიემართეთ იმ დროს ერთ მოწინავე ადამიანს (მოგ. აკ., 70). 51. ოთახში შემოდიოდა აკაკი, როგორც დაბინდების ჟამს ანთებული სანთელი (მოგ. აკ., 13). 52. ჩვენ, მოსწავლეები, თავისუფლად ვიძენდით და ვკითხულობდით ქართულ გაზეთებს (კ. ყმა, 83). 53. როგორც აყვავებული იასამნის ტოტები, დაეფინა სალამო ამაღლებულ სახურავს (პ. იაშვ., 206). 54. მე, სოფლის უმადურმა და უძღებმა შვილმა, შიშით მოვავლე თვალი ჩემს ბნელ სადგომს (თ. ბიბ., 145). 55. მე, პანსიონში მომწყვდეულ მოწაფეს, არ მქონდა საშუალება თბილისელ მოწაფეთა არალეგალურ კრებებს სისტემატურად დავსწრებოდი (კ. ყმა, 52). 56. ამ კომისიაზე, როგორც არაობიექტურზე, დღეს უკვე საჩივარი გაგზავნეს (ნ. ონაშ., 104). 57. ჩვენ, მხატვრები, ბედნიერი ხალხი ვართ (ნ. ონაშ., 58). 58. გაგვაცნო ლუდხანის პატრონი, დიდი მწერლის მეგობარი (შ. ძიძ., 25). 59. მაშინ წამოვედექი მე, იმჟამად საზოგადოებისათვის თითქმის სრულიად უცნობი ახალგაზრდა (მოგ. აკ., 113). 60. ჩვენ, კულისებში მყოფი სტუდენტობა, ტაშის ცემით და ვაშას ძახილით სცენაზე გამოვცვივდით (მოგ. აკ., 430). 61. ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს (აკაკი, 216). 62. აქ ბიძინამ, როგორც მთავარსარდალმა, ორად გაჰყო შეერთებული ჯარი (აკაკი, 216). 63. აღმოვჩნდით კაეკასიაში, გურიაში, ე. ი. ჩემს სამშობლოში (შ. ძიძ., 27). 64. ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის (ილია, აზრ., 56). 65. უზარმაზარი

თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ (ილია, აზრ., 17). 66. ამას თავდაპირველად ისინი პლატონის ძმას, აწ გარდაცვლილ პროფესორ გუდევან მინდაძეს, უმადლოდნენ (გ. ფანჯ., 193). 67. ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა ასეთი კაცი (ილია, აზრ., 29). 68. ჩვენ, ქართველ სტუდენტებს, გვინდოდა აკაკის ჩამოსვლა აღგვენიშნა რითიმე (მოგ. აკ., 430). 69. სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფე, მგოსანი ელიოზიშვილი, ვრცელ წერილში განიხილავს დიდი პოეტის ახალ თაობისადმი დამოკიდებულებას (მოგ. აკ., 71). 70. მწუხარეს, ნაღელიანს გესროდნენ მზერას, როგორც სასწაულს, მოვლენილს ცითგან (ა. კალანდ., 232). 71. თქვენ, ძმები, ყველა პოეტები ხართ, დედაც პოეტი გყოლიათ და უმცროსი ძმა, სანდრო, რატომ არის ტელეგრაფისტი? (კ. ყმა, 221). 72. და როგორც შენი უმცროსი დები, ნუშის ხეები ფხიზლობენ გარეთ (ო. ჭილ., II, 456). 73. ჩვენ, ქართველებს, ერთი საკვირველი ხასიათი გვჭირს (ილია, აზრ., 80). 74. მე, ოთარ ნიჟარაძე, მოგიწოდებთ, გიყვარდეთ ერთმანეთი (გ. ფანჯ., 637). 75. იქ სოფლის ბიჭები, ჩემი ამხანაგები, გამომკითხავდნენ ხოლმე ყველაფერს (აკაკი, 97). 76. ჩვენ, საღამოს გამმართველნი, მივხვდით, რომ აკაკი მოჰყავდათ დარბაზში (მოგ. აკ., 430). 77. ყველა იქ დამსწრენი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ფეხზე წამოდგნენ (მოგ. აკ., 49). 78. ახლა თქვენ, ახალგაზრდა ქართველებმა, უნდა გაამართლოთ ჩემი ქმრის იმედები (აკაკი, 153). 79. მე, მის მჭვრეტელს, ნაღელით ამერია სული, გული (ილია, 68). 80. ახლაც ვდგავარ და სოფლის კითხულს ველოდები, მაგრამ მანგია ბალიაურს კი არა, სხვას, მანგია ბალიაურის შვილს, ჩემს მეგობარს, გიორგი ბალიაურს (თ. ბიბ., 90). 81. ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, ვალდებულნი ვართ ვირწმუნოთ მათი (ნ. ონაშ., 114). 82. დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილი მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ქონვას ნელ-ნელა (აკაკი, 89). 83. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისათვის და როგორც მეგობრისათვის, ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება (გ. ფანჯ., 157). 84. ჩვენ, გულუბრყვილო ბავშვებმა, არც კი ვიცოდით, რა იყო სიტყვა „სატრფო“ (მოგ. აკ., 48). 85. ჩვენ, მოწაფეებს, დაკანონებული გვქონდა ეს (მოგ. აკ., 67). 86. ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, ე. ი. ცოტა რასმე ვისაუზმებდით (აკაკი, 126). 87. შენც,

როგორც იმერელი, უეჭველია იმერულ კილოთი უკიდებ (აკაკი, 160). 88. ჩვენ, ყველა, მოვაწერთ ხელს (ნ. ონაშ., 90). 89. ჩვენ, როგორც უცნობებს, დაუფარავი ინტერესით გვაყოლებდნენ თვალს (ნ. ონაშ., 144). 90. მეც ვესალმები მას, ბებერ როდოსს, და კვიპაროსებს (ა. კალანდ., 245). 91. ჩვენ, გოგოებს, როცა ვინმე მოგვწონდა, მოგვწონდა იმის გამო, რომ ის რომელიმე კინომსახიობს ჰგავდა (რ. ინან., 63). 92. კითხულობა, სოფლის ადათით, მხოლოდ ბრძენ, გამკითხავ და ვაჟკაც კაცს ეკისრებოდა (თ. ბიბ., 11). 93. ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე.ი. მოსასვენებელი ადგილი (აკაკი, 92). 94. ხელოვნებას შეუძლია დაიმორჩილოს, ე. ი. დაამახინჯოს ბუნება (აკაკი, 95). 95. ჩვენ, პატარა ბავშვები, გავრბოდით იქვე, ტყეში (მოგ. აკ., 499). 96. აკაკიმ, როგორც დასის რეჟისორმა და ხელმძღვანელმა, წარმოთქვა სიტყვა (მოგ. აკ., 75). 97. მან, ესე იგი ღმერთმა, განგებამ თუ მატერიამ, ისიც კი გაითვალისწინა, ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი სათვალეს გამოიგონებსო (გ. ფანჯ., 608). 98. ჩვენ, ვაჟას თაყვანისმცემლებმა და მომხრეებმა, ვიშიშვლეთ ხანჯლები და ვაჟას ნაჩვენები მაგალითი გავიმეორეთ (კ. ყმა, 45). 99. აკაკის იმდენად კარგად ვიცნობდი, რომ, თუ ჟან ბრუსონს მივბაძავ, რომელიც ანატოლ ფრანსს „დილის ხალათში“ აგვიწერს, ე. ი. შინაურ ცხოვრებაში, თამამად შემიძლია ვთქვა, აკაკისთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა (მოგ. აკ., 165). 100. ჩვენ, ბავშვებმა, მაშინვე გზა ვუტიეთ (მოგ. აკ., 74). 101. ჩვენ სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგვზები, ანუ, როგორც ზოგან უწოდებენ, კაკლის ხეები, საჩრდილებლად თავმომწონედ შლიდნენ შტოებს (აკაკი, 117). 102. რა იცოდნენ, რომ მხოლოდ ჩემი „უსხის კუდი“ მაგონდებოდა, ე. ი. შაქრის კვნიტი (აკაკი, 132). 103. ამ ორ სნაიპერს, ვალტერსა და იოჰანს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მეთაური (ო. იოს., 41). 104. მისმა ერთადერთმა მემკვიდრემ, ყაფლანმა, ვერ გაუძლო მამის საცოდაობის ყურებას (ო. ჭილ., II, 68). 105. ჩვენ, ცისკარიშვილები და რაზიკაშვილები, პეტრეს ქალაქში თითქმის სულ ერთად ვიყავით (კ. ყმა, 48). 106. ერთხელ ის და მისი მეგობარი, გვარად მღებრიშვილი, შევიდნენ საბილიარდოში სათამაშოდ (კ. ყმა, 193). 107. სემინარიის მოწაფენი შედარებით ჩვენთან, გიმნაზიის მოსწავლეებთან,

ლიტერატურულად უფრო განვითარებულნი იყვნენ (კ. ყმა, 70). 108. მალე რედაქცია გადაიტანეს უფრო კარგ ბინაზე გოლოვინის, ეხლა რუსთაველის, პროსპექტზე (მოგ. აკ., 317). 109. უნდა თქვა მხოლოდ შენი როლი, ე. ი. რაც შენ გეხებაო (მოგ. აკ., 392). 110. დადგმაში კი მთელი დაძაბულობა ჭურემა უნდა შემოიტანოს, ე. ი. ყუმბარამ (გ. ფანჯ., 500). 111. რა სამწუხაროა, რომ თბილისის წარსულზე უცხოელმა ორიენტალისტებმა უფრო მეტი იციან, ვიდრე ჩვენ, თბილისის ჰაერით გამოზრდილებმა (ი. გრიშ., 3). 112. ვლაპარაკობდით სხვადასხვა საგნებზე, როგორც საზოგადოდ არის ხოლმე, ე. ი. ზოგი მთისა ესთქვით, ზოგი ბარისა (კ. ყმა, 48). 113. ამიტომაც ხალხი, განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხევსურები, ძლიერ ეწაფებოდნენ მას (კ. ყმა, 125). 114. გზად გავიარეთ ისტორიული სოფელი ნაჭარმაგევი, ახლა კარალეთად წოდებული (მოგ. აკ., 300). 115. მე და ჩემი მეგობარი, სკოლის მოწაფეები, ვიდექით ქართული თეატრის შესავალ კარებთან (მოგ. აკ., 74). 116. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას (ილია, 606). 117. პირველად ყოველივე ისევ იმან მითხრა, ჩემმა მეგობარმა და ნაძმობმა (თ. ბიბ., 22). 118. და ჩვენ, ხეთებმა, ჩვენ, ხეთებმა, თაყვანი გეცით (ა. კალანდ., 213). 119. არ აქვთ სურვილი, ფარული სწრაფვა ურთიერთ ხილვის, მათ, ამ მშვენიერ, ძველ კუნძულებს, როდოსს და ხიოსს? (ა. კალანდ., 244). 120. ყველაზე მეტს მისი ბიძაშვილი, კოლხეთის ყოფილი მეფე, ოყაჯადო ყვიროდა (ო. ჭილ., I, 34).

§ 79. *განკერძოებული ადგილის გარემოება.* 1. აქვე, მონასტერში, მოთავსებულია ესპანეთის მეფეთა საძვალე (შ. ძიძ., 18). 2. აქ, დაბლობში, ერთ პატარა ეკლესიასთან აღმართულია ძველისძველი მუხა (შ. ძიძ., 41). 3. თითქოს ის სადღაც, სხვა სამყაროში, გადასახლდა მუდმივად და დაუბრუნებლად (ნ. ონაშ., 39). 4. მდინარის პირას, პატარა ტყეში, ხეს უხმაუროდ მოწყდა ფოთოლი (ო. ჭილ., I, 547). 5. ბოლოში, ორივე მხარეს, კაცებივით დაღვრემილი ლომები ისხდნენ (ნ. ონაშ., 7). 6. და მოელენილებს შორით, ზეციდან, აქ, პოლონეთის ბებერ

ტაძარში, ძველ ორღანოზე ჩამოეძინათ (ა. კალანდ., 75). 7. იქიდან პირდაპირ უფსკრულის გაღმა, უნაგირა მწვერვალის ქვევით, კლდის მორღვეულ უბეში თოფშეყენებული ბიჭი იჯდა (ო. იოს., 156). 8. ქვემოთ, მტკვრის გაღმა, უთვალავი ლამპიონი ციმციმებდა (გ. ფანჯ., 29). 9. მერე კაცები სამზადისკენ მიდიოდნენ, იქ, თონეში, ცეცხლი გუზგუზებდა (გ. ფანჯ., 78). 10. მინდა სიტყვის თარეში ჩემი ყველამ ნახოს, ხევსურების ფარეხში, ჩანჩქერების ახლოს (პ. იაშვ., 160). 11. შორს, სადღაც, იცინის ჩუმი ხმით წყარო (პ. იაშვ., 122). 12. ხეჩინა მართალი არ იყო არც იქ, ბერის სენაკში, წინამძღვრის წინაშე (თ. ბიბ., 48). 13. ერთხელ ქუთაისში, ბეჟან წერეთლისას, აკაკიმ მოიგონა ძველი დრო და ახსენა ერთი გუბერნატორი (მოგ. აკ., 490). 14. ფარნაოზი გაოცებული შესცქეროდა, გული ბაგაბუგით უცემდა, ძალიან უნდოდა დაჭრილი წოლილიყო აქ, ვამლის ყვავილივით გადაპენტილ სილაზე (ო. ჭილ., I, 229). 15. შორს მათიკან, მარჯვენივ, ქვეითი ჯარით მოფენილია მთლად ტყე და ველი (აკაკი, 61). 16. იქვე, ბუჩქებში, რაღაც ფშუტურებდა, რაღაც ფხაჭნიდა ხმელ ფესვს (ნ. ონაშ., 204). 17. თემომ შეკრული მუშტი დაუდო ცხვირწინ, მაგიდაზე (ნ. ონაშ., 115). 18. ბაღის ერთ კუთხეში, ქარხნისა და საავადმყოფოს შესასვლელებს შუა, ახლადდამთავრებული დიდი სახლი იდგა (ნ. ონაშ., 72). 19. ნინო იქვე იჯდა, დერეფანში, ტყავის დიდ სავარძელში (გ. ფანჯ., 34). 20. ოთარი სახლს უკან, პატარა ფერდობზე, ციგით ცურაობდა (გ. ფანჯ., 11). 21. აქ, ორმოებში, ადუღდება კირი ღვარებად (პ. იაშვ., 219). 22. და მათ ძირში ქვევით, სადღაც, გადახედე ჩამჯდარ სოფელს (პ. იაშვ., 228). 23. აქეთ, მიწურის კედელზე, სხვა სასწაული ინთება (ა. კალანდ., 451). 24. აქაც, როგორც გურიაში, ბაგირისათვის იყენებენ დაგრეხილ ვაზს (მ. ძიძ., 28). 25. გამოვდიოდი გარეთ და სადმე, მონასტრის ეზოს კუნჭულში, მივიყუჟებოდი და მივჩერებოდი ბნელ, დაგმანულ სარკმლებს (თ. ბიბ., 46). 26. აქ სადღაც, ახლოს, შენი სახლია (ო. ჭილ., I, 548) 27. დანარჩენები ქვევით, წყაროდან ამოსასვლელში, იცდიდნენ (ო. იოს., 46). 28. აქ, ამ პატარა, უფანჯრო, საკანივით ვიწრო და უჰაერო ოთახში, ვისხედით ჩვენ (ნ. ონაშ., 54). 29. შიგნით, დარბაზში, პატარა ესტრადაზე მუსიკალურ ინსტრუმენტებს აწყობდნენ (ნ. ონაშ., 104). 30. მერე მო-

პირდაპირე მხარეს, ორი რიგის უკან, ქერათმიანი, ლამაზი ქალიშვილი დაინახა (გ. ფანჯ., 168). 31. იქვე, მოედანთან, სასურსათო მაღაზიის უკან, ხის ცარიელი ყუთები ეყარა (გ. ფანჯ., 65). 32. აქ, სისხლით მორწყულ ველებზე, იგი თრთოლვით შეუხეევს ჭრილობას (პ. იაშვ., 269). 33. და მზე ჩავიდა ლურჯად სადღაც, ბათომის მხარეს (ა. კალანდ., 39). 34. მინდვრის ბოლოში, წყაროს პირას, ორი კაცი იჯდა (თ. ბიბ., 35). 35. მე გავედი მოედანთან და იქვე, ქვაზე, ჩამოვჯექი (თ. ბიბ., 127). 36. აქ, ნარიყალას ხავსიან კართან, დაეცა ჩემი ამაყი სული (ლ. ასათ., 65). 37. სასტუმროში, ჩემს გვერდით, მომესმა აკაკის სიმღერის მსგავსი მეტყველება (მოგ. აკ., 372). 38. მამაჩემი წავიდა თავის ძმებთან ფშავში, მიუვალ ჩარგალში (კ. ყმა, 237). 39. იქვე, თეატრის დერეფანშივე, აუარებელი ნაცნობები და თაყვანისმცემლები აღმოუჩნდნენ (მოგ. აკ., 74). 40. თავისუფალი მარტოკაცი გზას მთვარის შუქზე მიიკვლევს და უკან, თოელზე, თავის ნაკვალევს სტოვებს (თ. ბიბ., 274). 41. მარცხნივ, გულთან, მტკივა მხარი, ვიტან ცოხნას და ხრამუნხრამუნს (მ. ლებ., 372). 42. ის აქვე, ჩემს სახლთან ახლოს, ერთ დიდ ქარხანაში მუშაობს მხატვრად (ნ. ონაშ., 3). 43. ინსტიტუტი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, მუზეუმი კი ქალაქის განაპირას, ახალ საცხოვრებელ მასივში (ნ. ონაშ., 9). 44. მანქანაში მარინე წინ ჩაჯდა, ლევანის გვერდით (გ. ფანჯ., 231). 45. ამ დროს კი გარეთ, შორიდან შორით, ბრძოლისთვის ჯარი ჩადგა ძმურადა (პ. იაშვ., 153). 46. შორს, ბოლოში, ანთია მშობლიური დროშა (პ. იაშვ., 203). 47. აქ, ძველი თბილისის გულის სიღრმეში, გამოჩნდა ანკარა წყარო და დასაწყისი ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა (ი. გრიშ., 180). 48. სწორედ მისი შეილი აქ, ამ საშიშ გალავანთან, დააყენეს (თ. ბიბ., 112). 49. გაღმა, კლდის წაწვეტებულ შვერილზე, პარაშუტი ეკიდა (ო. იოს., 44). 50. მის წინ, ლოდზე, ბაწრის თავი იყო მოხვეული (ო. იოს., 78). 51. ქარო, მიუვალს კლდეზე დადგი ჩემი მიწური, იქ, ახლოს მზესთან, სულ ახლოს მზესთან (ა. კალანდ., 236). 52. ეზოში, თივის ბულულთან, ლონივრად ფშვინავდა ძროხა (ნ. ონაშ., 213). 53. ახლა მეორე კუტკალია აჭრიჭინდა იქვე, მის ფეხებთან (ნ. ონაშ., 208). 54. ერთხელ მთაზე, უფლისციხის ფერდობზე, კროსი ერთად მოაწყეს (გ. ფანჯ., 400). 55. უცბად რაღაც ხმა

გაისმა, სადღაც, ზევით, გადირბინა (პ. იაშვ., 187). 56. რა აყივლებს ამ ხირჩლას თუ ხეჩინას აქ, ჩემს ბუდეში (თ. ბიბ., 107). 57. და სადღაც, სულის სიღრმეში, მალავ ქალაქის მტვერში გაცნობილ სახეს (ო. ჭილ., I, 569). 58. სამხრეთით, გამოქვაბულის წინა შევაკებიდან, ხელისგულივით ჩანდა მაღლა ამომავალი ბილიკი (ო. იოს., 19). 59. ის კი არ იცის, რომ იქვე, სერზედ, სდგას თორნიკ, მისგან დაეიწყებული (აკაკი, 57). 60. ოთარის წინ, ორი მეტრის მოშორებით, კედლიდან ბათქაში ჩამოინგრა (გ. ფანჯ., 520). 61. ახვალ მაღლა, გალავანზე, ხალხის ლხენას გადახედავ (პ. იაშვ., 186). 62. ჯერ კი დამნაშავე აქეეა, სოფლის შუაგულში, ხალხში, ჯერ დამნაშავე მთელი სოფელია (თ. ბიბ., 220). 63. ჩვენი სახლიდან ასი მეტრის მანძილზე, ჭიჭახევის გადაღმა, სასმელი წყაროს თავზე, იდგა და დღესაც განმარტოებით დგას ერთი იფნის ხე (კ. ყმა, 269). 64. აი იქ, ცალკე აუდიტორიაში, ტელევიზორი არ იდგა (ნ. ონაშ., 186). 65. შორს, დევის ხევში, სროლის ხმა არ წყდებოდა (ო. იოს., 27). 66. ლაშა იქვე, გადატრუსულ ბალახებში, ჩაჯდა (ო. იოს., 256). 67. მან შორს, რძისფერ ნისლში, შავი დაკბილული მთები დაინახა (ო. ჭილ., I, 354). 68. ოთახის მეორე კუთხეში, საწერ მაგიდასთან, კაცი იჯდა (ნ. ონაშ., 39). 69. ჰკითხა, რა გავაო სამხრეთისაკენ, ქარისის მიმართულებით (ნ. ონაშ., 126). 70. კალათბურთის მოედნის გადაღმა, ზუსტად ჩვენ მოპირდაპირე ფანჯარაში, ერთ ლამაზ ქალიშვილს ვხედავდი ხოლმე (გ. ფანჯ., 64). 71. ალაყაფის ზემოთ, ბებერ ნეკერჩხალთან, შავი წყვილი იდგა (რ. ინან., 98). 72. სადღაც, შიბკის თუ ბალხერის გზაზე, უნახავს (მ. ლებ., 218). 73. უკანასკნელ ხანს მე ერწოში, სოფელ მარკეთს, ქმრის ოჯახში ვიყავი (კ. ყმა, 304). 74. იქ, ახლომახლო, ასეთი ქოხი საგანგებოდ შეარჩია (ო. იოს., 236). 75. თვითონაც იქვე, სავარძელში, ჩაჯდა (ნ. ონაშ., 60). 76. შორს, ჰორიზონტზე, მოჩანდა უზარმაზარი კრეისერის რუხი სილუეტი (გ. ფანჯ., 130). 77. აქ, ამ კუნძულებზე, მთავრდებოდა მათი წინაპრების ბობოქარი გზა (ო. ჭილ., I, 353). 78. ჩვენ მაშინ დიდუბეში, საგურამოს ქუჩაზე, ვცხოვრობდით (კ. ყმა, 204). 79. ვინ გიჩურჩულა მეცნიერს ყურში: აქ, ალპურ მზეში, აქ, ზღაპრულ მთებში, ღმერთთან ახლოს დაგეკრა ბარი (მ. ლებ., 417). 80. და შორს, ნისლებში, ჩანდა მყინვარი (ო. ჭილ., I, 551). 81. შორს, მთების

შუბლზე, ღვიეის ზამთარი, ძლივს გათიბული ლპება ზვინები (მ. ლებ., 88). 82. შინაურები შემოვიდნენ და იქვე, კართან, გაჩერდნენ (თ. ბიბ., 92). 83. გადავწყვიტე, რომ აქვე, ჯიხურში, ცოტა პური და კონსერვი მეყიდა (ნ. ონაშ., 50). 84. იქნებ აქვე, ჭალებში, დასუნსულებდა მშიერი მგელივით (თ. ბიბ., 370). 85. ეს თავისუფლება ბიჭმა უფრო მტკივნეულად შეიცნო ახლა, როცა იქ, ქვემოთ, მის საკუთარ სახლში უცხო კაცი ამოსულიყო (თ. ბიბ., 396). 86. არწივი ირაოს არტყამდა, მერე სადღაც შორს, ქედებს იქით, ჩაიკარგებოდა (თ. ბიბ., 397). 87. იქ კი, კაკლის ძირას, ისეთი ქრიამული იდგა (ო. ჭილ., II, 39). 88. სადღაც შორს, ამ ყიამეთს იქით, ჯერ ისევ ყეფდნენ მოულოდნელი სროლით დამფრთხალი და გაღიზიანებული ძაღლები (ო. ჭილ., II, 33). 89. ერთ დღეს იმავ პოეტებმა და მხატვრებმა რუსთაველის პროსპექტზე, შიგნით ეზოში, გახსნეს „კაბაჩოკი“ (გ. რობაქ., 339). 90. გზადაგზა, საჩხერედან მოკიდებული ტყვილისამდე, თითქმის ყოველ სადგურზე მატარებელს ხვდებოდა უამრავი ხალხი შავი დროშებითა და ყვავილებით (მოგ. აკ., 20). 91. სველი, ნაბადივით მძიმე ღრუბლები იქვე, გვირაბის თავზე, იდო (ო. იოს., 56). 92. საყდართან, საქალებოს გვერდით, საკურდღლე იყო მიშენებული (აკაკი, 133). 93. იქვე ახლო, იმავ რუსთაველის პროსპექტზე, ქვემოთ, სარდაფში, ამერიკული „ბარ“ იყო გამართული, სახელად „არგონავტების ვარცლი“ (გ. რობაქ., 351). 94. გვერდით, ახლო, მაკ კოლახ იჯდა (გ. რობაქ., 351). 95. მარტო ის იცოდა, რომ შორს, გზის ბოლოში, იმ დედაკაცს უნდა დასწეოდა (თ. ბიბ., 445). 96. ძროხები იქვე, სახლის უკან, პატარა მინდორზე ძოვდნენ (თ. ბიბ., 466). 97. სადილი მოწყობილი იყო ვენახის ბოლოს, ერთ დიდ ხეივნის ქვეშ (კ. ყმა, 75). 98. შორს, ალაზნის ველზე, ნაპურალები იწვის და ცეცხლის ანარეკლი ქვემოდან წითლად შესდგომია ჩამოხუთულ ცას (ო. ჭილ., II, 402). 99. მოგეხსენება, რომ სულ სხვაა აქ, შენს ეზოში, საკუთარ კაკლისქვეშ წოლა (ლ. ასათ., 154). 100. აქ, მსოფლიოში, მზე ჩადიოდა, მე იქ კამარებს თვალს ვაფარებდი (ნ. სამად., 180). 101. დაბლა, ჭალაში, სიყვითლეშეპარული ტყის თავზე თამამმა თვითმფრინავის ჩრდილი დაინახა (გ. ფანჯ., 674). 102. ცხენოსანმა არ იცის, რომ სადღაც, შორიახლოს, ბარისკენ მიფრატუნობს ამ ცხენის პატრონი (თ. ბიბ.,

473). 103. იქ, ქვემოთ, მის საკუთარ სახლში უცხო კაცი ამოსუ-ლიყო (თ. ბიბ., 396). 104. შეჯიბრებებს ვაწყობდით მდინარის პირას, ველზე, ორღობეში (კ. ყმა, 102). 105. იქაც, თავისი დიდე-ბული ღვთაების ტაძარშიც, ველარ ივიწყებდა იმ აღგზნებულსა და მოურიდებელ ხმებს (ო. ჭილ., I, 71). 106. აქაც, დარიაჩანგის ბაღშიც, უკვე თავისუფლად დანავარდობდნენ ქარისას ქვეყნი-დან მოფრენილი ქარები (ო. ჭილ., I, 72). 107. მიასვენებდნენ ქვევით, ხევში, მიუყვებოდნენ ოქროღილებით მოკიაფე ხასხასა ფერდობს (ი. ჯოლბ., 168). 108. აქ, მამის სასახლეში, შეიძლება, მართლაც, გადარჩენოდა იმ მთავარ განსაცდელს (ო. ჭილ., I, 128). 109. იქვე, სანაპიროზე, ბუჩქებში მიმალულ პავილიონთან მივიდნენ (გ. ფანჯ., 566). 110. იქ, საქაღალდეში, იდო ჯერ კიდევ დაუმთავრებელი რომანი, რამდენიმე მოთხრობა (გ. ფანჯ., 573). 111. უეცრივ შორს, დასავლეთით, გამოჩნდა მხე-დართა ჯგუფი (მოგ. აკ., 59). 112. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თით-ქოს მოტყუებით ჩამოეყვანათ აქ, სამშობლოში, მამისეულ სახლ-ში (ო. ჭილ., I, 448). 113. ცხენები გავუშვით საძოვრად, ჩვენ კი დავეწევით მინდორში, თხილიანის პირად (კ. ყმა, 373). 114. იქ, უცხოეთში, ყველაფერი სხვანაირად ჩანდა (ო. ჭილ., I, 449). 115. შორიდან, სიბნელიდან, მოფრინდნენ ქარის ლურჯი მწვერები და ჩვენს კოცონში გადმოისროლეს სიტყვები (პ. იაშვ., 284).

***§ 80. განკერძოებული დროის გარემოება.*** 1. სწორედ იმ ქედის გადაღმიდან მოვიდნენ შარშანწინ, შუაღამისას, ნაბად-მოსხმული, შუბლზე ფაფახჩამოფხატული ცხენოსნები (თ. ბიბ., 23). 2. ახლა, ამ წუთში, ვიღაც ჩერდება სენაკის კართან და რაღაცას ფრთხილად დაიჩურჩულებს (თ. ბიბ., 75). 3. მეორე დღეს, დილის ათ საათზე, აკაკისთან მივედი (მოგ. აკ., 328). 4. ყვე-ლას დაუკავშირდი, ამ საღამოს, შვიდ საათზე, მთაწმინდაზე შევხვდეთ ერთმანეთს (გ. ფანჯ., 192). 5. და აი, ერთ დღეს, გაზაფხულზე, ჩვენთან მოვიდა ვაჟა-ფშაველა (კ. ყმა, 204). 6. სამ-შაბათს, ოცდაათ ოქტომბერს, რუსთაველის თეატრში იგი მარ-თავს ლადო მესხიშვილის მოგონების საღამოს (პ. იაშვ., 297). 7. ყოველ დღესასწაულების წინ, საშობაოდ, საახალწლოდ, სა-აღდგომოდ, დიდ მოსაკითხებს უგზავნიდა ხოლმე მამაჩემი

(აკაკი, 112). 8. მეორე დღეს, ხუთშაბათს, ამგვარადვე გაგრძელდა მუშაობა (მოგ. აკ., 217). 9. ეს იქნება თოვლიან ღამეში კი არა, დილაადრიანად, მზის ამოსვლის მერე (თ. ბიბ., 214). 10. მეორე დღეს, საღამოხანზე, ოთხმა ნაბდით შებურულმა თოფიანმა ჭაბუკმა ბერიკაცი ჩამოატარა (თ. ბიბ., 240). 11. ქართული თეატრის აღორძინებისას, პირველ წლებში, დიდ გაჭირვებაში ვიყავით (მოგ. აკ., 188). 12. ახლა, ამ დღესასწაულის დღეს, აღარ ძალმიძს ჩემი გულისნადები მთელს ქართველ საზოგადოებას არ გავუზიარო (მოგ. აკ., 311). 13. მე დილით, ექვს საათზე, რომ ვინმემ გამაღვიძოს, შეიძლება მოვკლა (გ. ფანჯ., 585). 14. ჩვენ არ ვიცით, ვინ იბრძვის ჩვენთვის და ხვალ, დილით, ალბათ გავიგებთ (ო. იოს., 56). 15. მეორე დღეს, საღამომდე, გზისკენ ექნებოდათ თვალი (ო. იოს., 72). 16. ეს იყო დიდი ხნის წინათ, ჩვენს ბავშვობაში (თ. ბიბ., 43). 17. თვითონ მოვეკითხე, თვითონ დაეძახა ჩემი სახლის კართან, როგორც იძახდა მაშინ, წლების წინათ (თ. ბიბ., 88). 18. იმავე დღეს, საღამოს ხანზე, ილიას ეზო სადღესასწაულოდ მოირთო (მოგ. აკ., 163). 19. მერე, საკმაოდ მოგვიანებით, თავის ნაცრისფერ ქუდსაც მოიხდიდა (გ. ფანჯ., 413). 20. მე დილას, გარიჟრაჟზე, მოვედი (კ. ყმა, 20). 21. ერთხელ, გაზაფხულზე, ნადირყუჩის მამულში თხილის ქვეშ დავსხედით მე და მამა (კ. ყმა, 268). 22. იმ ღამეს, შუაღამისას, როდესაც ყველამ დაიძინა, დედაჩემი ადგა და გამაღვიძა (დ. ჭონქ., 28). 23. მე შემეძლო ახლავე, ამ წუთში, წამოვმდგარიყავი (თ. ბიბ., 77). 24. მეორე დილით, საუზმის შემდეგ, აკაკი მასპინძლების თანხლებით გაემართა რაფიელის საფლავის სანახავად (მოგ. აკ., 291). 25. გაზაფხულზე, ხვნის დროს, მეხრეობა ყოველთვის მე მევალებოდა (კ. ყმა, 234). 26. მე კი ხვალ, ღამით, ჩავუხვევ სარდაფს (ნ. სამად., 19). 27. გათენებისას, ცისკრის დროზე, მოულოდნელად ერთი საოცარი ტირილისა და გოდების ხმა გაისმა შუამთაში (აკაკი, 207). 28. ერთხელ, სახარების კითხვის დროს, მამაჩემმა ჩვეულებრივად წამოიძახა (აკაკი, 115). 29. ხვალ, დილით, მე ამოგიტანთ წყალს! — გაიმეორა გუცამ (ო. იოს., 127). 30. მე შემეძლო ახლავე, ამ წუთში, გზას დავდგომოდი, გადამელახა ქედები და უღელტეხილები (თ. ბიბ., 78). 31. დღესაც, მრავალი წლის შემდეგაც, თვალწინ მიდგას აკაკი ცხოვლად (მოგ. აკ.,

397). 32. ოთხშაბათს, დილით ადრე, ავიყარენით, ბარგიბარხანა ცხენებს ავჰკიდეთ და გავუდექით გზას (კ. ყმა, 373). 33. თემო უნდა მენახა ახლა, ამაღამ, უსათუოდ უნდა მენახა, თუნდაც უკანასკნელად, თუნდაც თავის დამცირების ფასად (ნ. ონაშ., 201). 34. დღისით, მზისით, ბეღელში ჩაკეტა (ნ. ონაშ., 214). 35. გვიან, ბინდბუნდში, შინ ვბრუნდებოდით მერე (მ. ლებ., 532). 36. თვალების ფშენეტით სახლისაკენ გამოეშურა როგორც ოდესღაც, იმ საბედისწერო ღამეს (ო. ჭილ., II, 248). 37. როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ, ახლაც თავის ბედს ემდურის კაცი (თ. ბიბ., 472). 38. იმ დროს, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ქართულ საზოგადოებაში გასული იყო ერთი ჩვენი ამხანაგი, პოეტი იოსებ ბაქრაძე (მოგ. აკ., 296). 39. ხვალ, დილით, ჩემთან მოდი და იაკობ ნიკოლაძის ატელიეში ერთად წავიდეთ (მოგ. აკ., 328). 40. წმინდა მამებსა გამოუქვაბავესთ კლდეში სახლები ოდესმე, ერთ დროს (აკაკი, 75). 41. საღამოს, სამსახურის მერე, ჯამით ლობიოს, მჭადს ან ღომს მაგიდაზე შემოუდგამს (ო. იოს., 216). 42. დილით ადრე, მეორე დღეს, შევუდექით სერებს და ავიწიეთ ზევით (კ. ყმა, 310). 43. არავინ იცოდა წუხელ, იმ ჯოჯოხეთურ ღამეში, მომაკვდავს რა დაემართა (ო. იოს., 60). 44. ერთხელ, ღამით, როცა ხმაური მოესმა, გარეთ გაიხედა (გ. რობაქ., 336). 45. მეორე დღეს, დილის თორმეტ საათზე, ვარშავმოსკოვის გზატკეცილზე ოთხი ჯიშიანი შავი ცხენი კარეტას მიარბენინებდა (ა. ყაზბ., 95). 46. გიორგი ბალიაურზე ვფიქრობდი ისე, როგორც ვფიქრობდი მაშინ, დიდი ხნის წინათ (თ. ბიბ., 54). 47. ბედმა ერთხელ შეახვედრა მაშინ, იმ ცხელ ზაფხულში (თ. ბიბ., 473). 48. მეორე დღესვე, დილით, სემინარიისაკენ გავეშურე (კ. ყმა, 20). 49. მე დილას, გარიჟრაჟზე, მოვედი (კ. ყმა, 20). 50. მეორე დღეს, საღამოს, ისევ მოვიდა ვაჟა და ეს კაცები სადღაც წაიყვანა (კ. ყმა, 23). 51. ერთხელ, მესამე მეოთხედში, შუა გაკვეთილზე სკოლის დირექტორი შემოვიდა (გ. ფანჯ., 455). 52. უნდა ვუთხრა ხვალ, დილითვე, უნდა ვუთხრა (გ. ფანჯ., 458). 53. ჯიღაურს მოუნდა ახლავე, ამ წუთში, გაქცეულიყო და ხელი ეტაცა იმ ურმისათვის (თ. ბიბ., 468). 54. როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ, ახლაც თავის ბედს ემდურის კაცი (თ. ბიბ., 472). 55. მეორე დღეს, დილით, ადრე ამდგარა ვაჟა ცხენის მისახედავად (კ. ყმა, 19). 56. გადაწყვიტეს დილ-

ით, ადრე, დაეწყოთ ზარბაზნების დაშენა (კ. ყმა, 25). 57. დღეს, დილით, თეატრში მოვიდა ჩვენი დასის ერთ-ერთი წევრი (მოგ. აკ., 82). 58. წარმოდგენის დაწყების წინ, რამდენიმე საათით ადრე, აკაკი საქართველოდან პეტერბურგში ჩამოსულიყო სტუმრად (მოგ. აკ., 84). 59. მეორე დღეს, დილაადრიან, პოლოსკო წამოდგა და ჯერ ისევ ხალათი ეცვა, როდესაც ზარი დარეკა (ა. ყაზბ., 90). 60. ხვალ, დილით, ავდგებით და ჩვენ გავიტანთ ამას (ო. იოს., 326). 61. ერთხელ, მარიამობის მარხვაში, დედაჩემი ატყდა, თუ არ ვეზიარე, არ იქნებაო (დ. ჭონქ., 30). 62. მეორე დღეს, დილაადრიან, მასპინძელმა მომცა თავისი ნაწერების ერთი რვეული (მოგ. აკ., 429). 63. სოსიკო მერკვილაძე თავის მეუღლეს ანას ყოველ წელიწადს, სამ თებერვალს, დღეობას უმართავდა (მოგ. აკ., 421). 64. ბიჭებმა ძმადნაფიცებივით პირობა დავდეთ შაბათს, სისხამ დილით, თეატრის სალაროსთან რიგი დაგვეჭირა (მოგ. აკ., 66). 65. მეორე დღეს, დილით, ვაჟას ცხედარი შავადმოსილ სამგლოვიარო ბალდახინზე დაასვენეს (კ. ყმა, 30). 66. შემდეგ, ცოტა გვიან, ვაჟამ თავისი მოთხრობა მოგვიტანა „ივერიაში" დასაბეჭდად (კ. ყმა, 152). 67. ერთხელ, დილით ადრე, ილია რედაქციაში ჩამოვიდა (კ. ყმა, 177). 68. ოთარ ნიჟარაძე ხვალ, დილით, პირველ ფურცელს ჩამოახევს ამ კალენდარს (გ. ფანჯ., 575). 69. ეს მოხდა ერთ ცხელ, მტვრის ბუღში გახვეულ დღეს, სამხრობის ხანს (თ. ბიბ., 56). 70. პარასკევს, დილით, პირველ ივლისს, ვაჟა, რუსი სტუდენტი და მე ავედით ახადში (კ. ყმა, 374). 71. ხვალ, ხელისმოწერის შემდეგ, ჩემს ოჯახში მექნება სადილი (გ. ფანჯ., 379). 72. ხვალ, საღამოს, მზად დამხედი, მე სხვაგან უნდა წაგიყვანო (მოგ. აკ., 390). 73. ხვალ, დილას, სურათის გადასაღებად მივდივარ (მოგ. აკ., 422). 74. კატეგორიულად მოვითხოვ დღესვე, ახლავე, ამწუთას ორივეს ჯვარი გადავწეროთ (ო. იოს., 475). 75. ერთხელ, მზის დახრისას, ქალის ტანმა პირველად იგემა ზღვის მოლურჯო ჩქერები (გ. რობაქ., 342). 76. მაშინ, ორმოცდაათიოდე წლის წინათ, სათავადაზნაურო გიმნაზიიდან სემინარიამდე ტრიალი მინდორი იყო (კ. ყმა, 91). 77. თქვენ ხვალ, დილით, შეგიძლიათ განცხადება უკან გამოიტანოთ (გ. ფანჯ., 445). 78. ამ საქმეს მე ხვალ, დილითვე, გავეცნობი დაწვრილებით (გ. ფანჯ., 606). 79. ერთხელისა, შუაღამისას,

დიდი ნაორღვენი მოიდა, ღელგმა, ავდარი (ვაჟა, 247). 80. საღამოზე, მზის ჩასვლისას, ადგება და დაცანცალებს ველ-ველის პირებზე (ვაჟა, 255). 81. ამ დროს, დღისით, ფრთხილი და წინდახედული, ზურგზე რქებგადაყრილი ირემი მოვარდა (ვაჟა, 258). 82. მაშ წუხელ, განთიადისას, არც საუცხოეო გალობა გსმენია? (ვაჟა, 300). 83. მეორე დღეს, საღამოზედ, დილმის ვიწროებში მივედი და იქ ერთს დუქანში ჩამოვხტი (ილია, 440). 84. ერთხელ, იმ წლის ზაფხულში, შირაქისაკენ მიმავალმა ვაჟამ ქვემო მაჩხაანში გამოიარა (კ. ყმა, 364). 85. თერამეტ ივნისს, სამშაბათს, დილით ადრე გავედით თელავიდან (კ. ყმა, 371). 86. ერთხელ, მცირე ნადირობის დროს, ერთი არასანდომი კაცი შემოგვესწრო (კ. ყმა, 125). 87. გუშინ, საღამოს, დაბრუნდნენ ამ იებით ხელში (ნ. ონაშ., 248). 88. ღამით, ძილის წინ, ღმერთებს ეჩურჩულება, სულ ასე მამყოფეთ, არაფერი შეიცვალოსო (ო. ჭილ., I, 523). 89. ქალუკა შალში გახვეულ ცხელ აგურს ადებდა, როგორც ადრე, ბავშვობისას (ო. ჭილ., I, 472). 90. ხვალ, უთენია, უნდა გასულიყენენ აეროდრომზე (გ. ფანჯ., 671). 91. შუადღისას, ამ პაპანაქება სიცხეში, აქ ჩიტი არ მიფრინდება (გ. ფანჯ., 583). 92. მეორე დილით, ადრიანად, აკაკის სახლში წამიყვანეს (მოგ. აკ., 499). 93. კაცი გაღვიძებისას მხოლოდ სიბრალულს გამოიწვევდა მნახველში, ეხლა, ამ წამს, უშიშარ შემხვედრსაც შეარხევდა (გ. რობაქ., 331). 94. ასე მგონია, ოდესღაც, წინათ, ვისხედით გემში (მ. ლებ., 222). 95. გოგო სწორედ გუშინდელ დროს, ბინდისას, გამოჩნდებოდა (თ. ბიბ., 65). 96. ახლა, ამ სუფთა და ნათელ დილას, ამგვარი თვალები მას ჰქონდა (თ. ბიბ., 137). 97. დღეს, ამ წიგნის დაწერის დროს, ჩემს ბავშვურ შეცდომებსაც სიამოვნებით ვიგონებ (ი. გრიშ., 112). 98. ერთხელ, კვირა დღეს, ალექსანდროვის ბაღის თავზე ძველი წიგნებით მოვაჭრეებში დავეძებდი ამ წიგნს (ი. გრიშ., 120). 99. დილას, უთენია, უნდა წავიდე, შვიდ საათზე (რ. ინან., 120). 100. ხვალ, დღის თორმეტ საათზე, მანანა გავაშელი სასტუმროს ვესტიბიულში გამოვიდოდა (გ. ფანჯ., 556). 101. დამეძინება თუ არა, გამკოჭავს და ხვალ, დილითვე, წამიყვანს ცოცხალს (გ. ფანჯ., 553). 102. დილაადრიან გადავიდოდი ხოლმე აკაკისას და გვიან, ღამით, ვბრუნდებოდი (მოგ. აკ., 499). 103. მეორე დღეს, საღამოს,

ფიცხლად მოიწვიეს გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო (მოგ. აკ., 458). 104. ვაჟას გასძახა დილით, სამსახურში წასვლის წინ (გ. ფანჯ., 577). 105. აქვე დაეღგეთ, დავისვენოთ და ხვალ, საღამოთი, ჭალის პირს მიუახლოვდეთ (ა. ყაზბ., 173). 106. ერთხელ, ზამთრის ღამეში, ჯილაურების ბუხართან ამაზე ჩამოვარდა საუბარი (თ. ბიბ., 410). 107. ასე ფიქრობდა ბიჭზე მაშინ, ომში წასვლისას (თ. ბიბ., 355). 108. ერთ დილას, ადრე, აკაკი შემოვიდა წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (მოგ. აკ., 435). 109. სხვიტორში მივედით ნაშუადღევს, სამშაბათს (მოგ. აკ., 441). 110. ხუთშაბათს, ღამით, შორაპანში შევჩერდებოდით და პარასკევს, დილით, წამოვიდოდით თბილისისაკენ (მოგ. აკ., 443).

*§ 81. განკერძოებული განსაზღვრება.* 1. მიწა, რქებით მონათხარი, ნაკვერცხლებად სცვივა ჰაერს (პ. იაშვ., 91). 2. ჩუმად ვკითხულობ შენს ძველს წერილს, ყვითელს, დახეულს (პ. იაშვ., 120). 3. ჩემს წინ დაეცა ჭადრის ფოთოლი, გამოფიტული და დაქანცული (ო. ჭილ., II, 471). 4. ლოცულობს ანა გუნებაში, შემკრთალი, დაბნეული და ბედნიერი (ო. ჭილ., II, 139). 5. პოეტი ლექსის სტრიქონებს ებრძვის, უხილავს, ფარულს, ჯერ დაუსტამბავს (ლ. ასათ., 21). 6. ვახტანგ მეექვსემ ერთხელ ერთ ხევში სუმბული ნახა, თეთრი და წმინდა (ლ. ასათ., 39). 7. მაგრამ კაცი, ტახტზე ჩამომჯდარი და თავჩარგული, თავისთვის ფიქრობს (თ. ბიბ., 271). 8. ერთი ქალი, თვალმაყვალი, შენზე უფრო ტანმაღალი, ჩემზე უფრო ახალგაზრდა, ვნახე სოფლის ახალ გზასთან (პ. იაშვ., 237). 9. დარჩა პარტახი შენობა, ბნელი და გულდარბეული, ხავსმოდებული, საშიში და გუმბათჩამონგრეული (პ. იაშვ., 215). 10. და მღერის შენი მძიმე საყურე, გაბრუებული დეკემბრის თოვლით (ო. ჭილ., I, 564). 11. მკლავს შევარდენი, ფრენით მოღლილი, მზის ბრწყინვალებით დაფეთებული (ლ. ასათ., 75). 12. ფრიქსეს ვაჟები, თვალგაფაციცებულნი, კისერდაგრძელებულნი, ათვალიერებდნენ უწყვეტ პროცესიას (ო. ჭილ., I, 62). 13. შენზედ ჰყვავიან მედეს ასულნი, მშვენიერებით ქვეყნად განთქმულნი (ლ. ასათ., 110). 14. მისი გაძარცვილი რტო, უყვავილო, ქარს არ მიჰქონდა (ა. კალანდ., 130). 15. ბაბუა ბესლანი, მთის კანონების შეუბღალავი დამ-

ცველი, თავის დროზე კარგი ცხენოსანი იყო (ო. იოს., 30). 16. გასახსენებელია აქტეონიც, აქლემის ტყავში გამოწყობილი, რომელიც ძაღლებმა დაგლიჯეს (გ. რობაქ., 354). 17. არწივს ჰგავს, გაშლილ ფრთებიანს, სერზე გაკრული მხედარი (პ. იაშვ., 235). 18. შენ გახარებდა ქარის თარეში, კავკასიონის მთიდან მოსული (პ. იაშვ., 199). 19. სარკმელში ქარი არხევდა ხეებს, დამძიმებულს ხანგრძლივი წვიმით (ო. ჭილ., II, 427). 20. გაოგნებული კამეჩები, უძრავნი და დიდებულნი, თავიანთი ჩრდილებით იცაედნენ მდინარის ობლებს ცხარე და დაუნდობელი მზისაგან (ო. ჭილ., II, 95). 21. მოკრივენი, მკერდგაღეღილნი, ჩოხის კალთებაკეცილნი, ხშირად ფეხშიშველნიც, იბრძოდნენ (ი. გრიშ., 27). 22. არ მიგატოვებს შლეგი ფაზისი, ბერძნულ მითებით გაბრწყინებული (ლ. ასათ., 108). 23. გმინავდა ხალხი, ხუნდზე დაბმული, იზმორებოდა ლაქაშში ზანტად ველი, ველური და უდაბური (ლ. ასათ., 104). 24. ბებერ ყორესთან სუფრას შლიდა ტურფა ბაია, ჩვენი ნატიფი, ჩვენი სათნო დიასახლისი (მ. ლებ., 463). 25. შენ მოგძახიან ჩემი ბავშვები, ფიჭვის ტევრებში გასიზმნულები (მ. ლებ., 452). 26. ხელმწიფემ ბრძანა, რომ აბაშიძე, ცხენზე მჯდომი, გადახატეთ და სურათი სასახლის გალერიაში ჩამოჰკიდეთ (აკაკი, 161). 27. და მწყემსები, ხმა წკრიალა, გკრიტს ესვრიან ფილთა თოფებს (პ. იაშვ., 192). 28. მუხის ფოთოლს მიაფრენს ქარი, მდინარის პირას გაზრდილი ქარი, მდინარესავით მხნე და კეთილი (ო. ჭილ., II, 521). 29. დაუახლოვდა მას მხოლოდ ერთი ჟურნალისტი, დაბალი, შავთმიანი, წყნართვალებიანი, ჩუმი (გ. რობაქ., 341). 30. ზურგი გზნობდა ბრმა მეგობრის თვალებს, ჩამქრალებს, ჩამშრალებს (გ. რობაქ., 349). 31. ქვეყანა, გაზაფხულისაგან ხელახლად გაცოცხლებული და გაღვიძებული, როგორც აკვნიდან ბავშვი ისე გამოიყურებოდა ტკბილად (ილია, 437). 32. აგერ მხედარმა, შავით მოსილმა, გამოახტუნა მერანი მინდვრად (აკაკი, 63). 33. ვიგონებ მამას, ჩუმს და უთქმელს, მართალს და ამაყს (მ. ლებ., 521). 34. ისინი, თვალზე ცრემლმომდგარნი, წუხან და ვიშვიშებენ სიძვირეზე (ო. იოს., 220). 35. კლდეზე ჩამოდის ყმაწვილი, ჯიხვის სიმძიმით დახრილი (პ. იაშვ., 233). 36. და ქალებს, წითელ თავსაბურიანებს, როგორ უხდებათ მწკრივებში დგომა (პ. იაშვ., 202). 37. და გროვდებოდნენ ნათურის შუქზე ძაღლები,

მთვარეს მონატრულები (ო. ჭილ., I, 584). 38. შენ კი იხსენებ უბრალო ღიმილს, გამქრალს, დაკარგულს (ო. ჭილ., I, 569). 39. ხეები, ფოთოლგაცვრცილნი, მათ ნაცელად თოვლსა მცველობენ (ვაჟა, 84). 40. კარებში ნელის ნაბიჯით შემოვიდა თვალწარმტაცი გარეგნობის მოხუცი, მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი ტანი, დაგვირგვინებული ზევსისებური თავით (მოგ. აკ., 49). 41. ცეცხლის ენები სწვდებოდა ზეცას, უნდოს და მუხთალს (ლ. ასათ., 104). 42. წინ ელჩი იდგა, დაღლილი (ლ. ასათ., 93). 43. ღამეა, დედამიწა, წყვდიადში ჩაძირული, მიფრინავს სამუდამო ფრენისათვის განწირული (მ. ლებ., 27). 44. თავში უდგია რაზმს ორბელიძე, ჯერ ახალგაზრდა, გმირი სარდალი (აკაკი, 60). 45. ჭადარა, გამხდარმა კაცმა, ჩემს გასწვრივ მჯდომარემ, მღელვარება შემატყო (ნ. ონაშ., 160). 46. დილა ვადიდო, ცისფერთვალება, და ამაღლება ადამიანის (პ. იაშვ., 201). 47. დიდი ქვა, გზასთან გდებული, მოკლული ჯიხვი ეგონა (პ. იაშვ., 234). 48. ხაოიანი ლელვის ფოთლები ქარს ამშვიდებენ, ზღვიდან მობერილს (ო. ჭილ., I, 553). 49. ის კი, სხვებისთვის შეუმჩნეველი, ქვის მოაჯირზე იჯდა თავისთვის (ო. ჭილ., I, 567). 50. და ლაქაშებში სრესდა ფრინველებს ტახი, მთებიდან გადმოვარდნილი (ლ. ასათ., 100). 51. კოლმეურნენი, ახალ ბაზრის ბატონ-პატრონნი, იღიმებიან ულვაშებში კმაყოფილებით (ლ. ასათ., 49). 52. მასთან ერთად ოთახში სათადარიგო შემადგენლობის მეკარე ნოდარ მაისურაძე ცხოვრობდა, მაღალი, ტლანქი ახალგაზრდა (გ. ფანჯ., 145). 53. ჰგოდებს მთა, თოვლით მოსილი, კვნესის მდინარე ლაღია (ვაჟა, 639). 54. შევყურებდით ცას, უშორესს, უღრმესს, მწვანე-ცისფრის ნარევს (მ. ლებ., 22). 55. იმისი შავი, დიდი თვალები, მუდამ დაფიქრებულები, ამტკიცებდნენ ჭკუას (ა. ყაზბ., 106). 56. ერთმანეთს სტეხენ ტოტები ამ ტყეში, უღრანიანში (პ. იაშვ., 213). 57. ცხელი ორთქლი, ცრემლისფერი, მდუღარე, ცას ეფინება (პ. იაშვ., 78). 58. იძინებს ბაღი, ქარით ნარწევი (ო. ჭილ., I, 557). 59. დრო, გაფრენილი საოცრად ჩქარა, შენს თმაში ვერცხლად არის ჩამდნარი (ო. ჭილ., I, 557). 60. მე მაშინ ვიყავ ბავშვი, პატარა, გაუფურჩქვნელი და გაურყვნელი (ლ. ასათ., 78). 61. ორბელიანი იდგა, მდუმარი, სხივოსანი და ჩაფიქრებული (ლ. ასათ., 111). 62. მაშინ პოლკოვნიკს, მამაცს, ჯანითა და ღონით სავსე კაცს, ასეთი საზეიმო

განწყობილება დაეუფლა (გ. ფანჯ., 28). 63. ლუკა რაზიკაშვილი, მაღალ მთიებიდან ბარად ჩამოსული, ბუნებით პოეტია, მასში დაგროვილია მთიელ მოძმეთა გონებრივი სალარო (კ. ყმა, 56). 64. მაგრამ ზვავობდა რიონი ავი, ფშანზე გაზრდილი და მზისაგან შავი (მ. ლებ., 180). 65. ქოხი დგას ჩვეულებრივი, რუის ქვით ნამუშევარი (პ. იაშვ., 239). 66. ყველაზე უმცროსი ძმა, ყველაზე უფრო ჩუმი და გაფითრებული, დაეკარგეთ ქუთაისში (პ. იაშვ., 287). 67. სახლი, მოწყენილი, სადღაც იყურება (ო. ჭილ., I, 551). 68. ფოთოლი, წვიმის წვეთებით სავსე, გამომიწოდა ხემ (ო. ჭილ., I, 545). 69. თან მიტაცებდა ეგ შენი ჩრდილი, ჩრდილი, დაწნული ჯვარცმულის თმებით (ნ. სამად., 106). 70. წინ მიუძღოდა სოსლანი, ვაჟკაცი ჰაერუანი (ლ. ასათ., 95). 71. ძაღლი, მცველი ორღობის, ღამეს ათევს ყეფაში (პ. იაშვ., 142). 72. და ტოტებს შორის გამოჩნდა სივრცე, აქამდე თითქოს არარსებული (ო. ჭილ., I, 547). 73. სიცოცხლის ხმაზე შრიალებს მუდამ ხე, რტონათელი, რტოდ თაფლული (ო. ჭილ., I, 542). 74. რიონის პირად შფოთავს ქალაქი, ათას ჭირსა და ლხინში ნაქები (ლ. ასათ., 80). 75. მარტო ერთი პატარა ავტობუსი იდგა, გულაურისკენ მიმავალი (გ. ფანჯ., 9). 76. ხე, ყმაწვილისგან შეყვარებული, სათოფურივით სარკმელში თრთოდი (მ. ლებ., 131). 77. რაჭას, ზემოს და ქვემოს, თქვენ გაგიმარჯოთ, მთებო (მ. ლებ., 98). 78. ამ დიდებული ღრუბლების ფონზე დავინახე იგი, ამაყად მიმავალი, ვიწრო ბილიკზე (ნ. ონაშ., 156). 79. იმ ზამთრინდელ დიდთოვლობას დიასახლისმა, გამოციებულ ქვითკირის იმოდენა სახლში ერთადერთმა ხმის გამცემმა, ზღვისპირეთში გაასწრო დისშვილებთან (ო. იოს., 207). 80. შრიალა ნარმას, წერით დასერილს, დაეცა მართლა ყვითელი მზის ვარდი (პ. იაშვ., 161). 81. ყვითელი რქებით წითელი ხარი, ცხელი და ჩქარი, ვადიდოთ ქებით (პ. იაშვ., 91). 82. ნამდვილად ჯვრის დასაწერად მიჰყავდათ იგი, ყვავილების გვირგვინით თავშემკული (ო. ჭილ., II, 57). 83. გმირი, ბედისაგან განახელები, მარტოობას და ობლობას წუხდა (ლ. ასათ., 104). 84. ტრიალ ტირიფონს, დასიცხულს და მივარდნილს ძილად, დაჰბრიალებდა მზე ბარჩხალა (მ. ლებ., 286). 85. სავარძელზე გადაწვა, ორივე ხელით შეისწორა გრძელი თმა, მხრებზე დაფენილი (ნ. ონაშ., 162). 86. ძველად ყოველი ყარაჩოღელი ჯანსაღი იყო,

ლაქლაქა და სისხლოვანი (ი. გრიშ., 58). 87. მზე ჩადიოდა, მრგვალი და სრული (ო. ჭილ., II, 442). 88. ამას კი ფიქრი სჭირდება, დიდი, ღრმა და ყოვლისმომცველი (ნ. ონაშ., 158). 89. თვითონ მიაგდო ზედ აფრანიკმა მისი მერანი, მკვირცხლი, ფეხმალი (აკაკი, 65). 90. მთებზე დახტიან მუქი ლანდები და ბრწყინავს მთვარე, მარად მდუმარე (ო. ჭილ., II, 448). 91. ცაზე დაბობღავს შავი ღრუბელი, უზარმაზარი, ობობას მსგავსი (ლ. ასათ., 105). 92. და უბედურნი, ტანჯვით შობილნი, დაგვასამარე შეების სიმღერით (ლ. ასათ., 102). 93. როსტომ ავალიანი იყო სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი, ღრმად მოხუცებული, თოვლივით თეთრი წვერ-ულვაშით (კ. ყმა, 14). 94. ხოლო ბიჭუნაც, ნაჩქარევად დაკაცებული, თვალებს ბავშვურად არ აცეცებდა (მ. ლებ., 329). 95. იქ დახვდა არსენ, ტახტზე მჯდომარე, გატაცებული ფიქრით და ხალვით (აკაკი, 49). 96. თითქოს ვიღაცამ, ძლიერმა და უხილავმა, სწორედ ის ოქროსფერი ძაფი გამოარღვია (ო. ჭილ., I, 389). 97. მერე ბიძამისის სახე, სიბერისგან დაჭმუჭნილი, ვაზის ქერქივით დაფუშენილი და გამომშრალი, დაუდგა თვალწინ (ო. ჭილ., I, 109). 98. მაგიდაზე ძევს ლარნაკი, ყვავილებით გაწეწილი (ნ. სამად., 22). 99. მან უსამართლოდ შეურაცხყო ჩვენი დირექტორი, პატივცემული, დამსახურებული, ყველასაგან დაფასებული (ნ. ონაშ., 84). 100. რაღაცით გრძნობდა, რომ ლამაზი ჰქონდა თვალები, დაღლილი, გრძელი წამწამებით დამძიმებული, სადღაც სიღრმიდან გამოშუქებული (რ. ინან., 70). 101. იდგა აუზთან მაღალი კაცი, მზისგან დამწვარი დიდი ხელებით (ლ. ასათ., 41). 102. ესა სთქვა იმ დროს კერპად გადაქცეულმა დიდმა ილიამ, ქართველთა ჭირისუფალმა, ქართველთა ყოველნაირი საქმიანობის მესვეურმა (კ. ყმა, 111). 103. ჩვენც შორიახლოდან ვუმზერდით კაცს, მხარბეჭიანს, დარბაისელს, შავ ჩოხა-ახალუხიანს, პირდაპირ და ჯიქურ მომზირალს (კ. ყმა, 134). 104. გზა, დაწყებული წინაპრის ქოხთან, დღეს შენი გზაა და შენთვის მიდის (ო. ჭილ., II, 526). 105. და უცებ ვამჩნევ, რომ აღარ მართობს კაცი, მცხოვრები ამ წიგნის შიგნით (ო. ჭილ., II, 456). 106. მე კი მარტოკა, ცრემლებდაცლილი, ვუმზერდი ცაცხვის დიდ კენწეროებს (ნ. სამად., 137). 107. ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენამჭევრი, თუმცა კი ხშირად ენამწარეც (აკაკი, 109). 108. უკან და-

ტოვეს ძველი აწყური, ისიც მრავალი ბრძოლის მომლეეი (ა. კალანდ., 274). 109. დაცარიელებულ გზაზე გიორგი ბალიაური მიდიოდა, წელში მოდრეკილი, დაცლილი და ჩაფერფლილი (თ. ბიბ., 329).110. იმ ძარღვიდან მოთქრიალებდა ეს ჯადოსნური სითხე, ღვთაებასავით უსასრულო და მარადიული (ო. ჭილ., I, 19). 111. ქარისა კი ჩვეულებრივი ბავშვი იყო, ცელქი, დაუღალავი, კისკისა (ო. ჭილ., I, 28). 112. ყველანი იცნო, მის მიერ განდევნილი კოლხები იყვნენ, ჯავრნაჭამი, ხელმოცარული, დამარცხებული და ტიტველ მგლებივით საშიშნი და დაუნდობელნი (ო. ჭილ., I, 34). 113. კუნძზე დანა იდო, გრძელპირიანი, თევზისფერი, დაღარული (ო. ჭილ., I, 63). 114. სარკმელში მართლა მოჩანდა გალავნის დაკბილული კედლები, ხვლიკისფერი, მზეზე გამომშრალი და გამკვრივებული (ო. ჭილ., I, 93). 115. ამ უზარმაზარ ჭრელ მასასა და სანატრელ ქალაქს შორის ძმათა ხელჩართული ბრძოლა გრძელდებოდა, დაუნდობელი, სისხლიანი, გაუთავებელი (ო. ჭილ., I, 171). 116. წერონიც გამოჩნდებიან, დამამშვენებნი ცისანი (ვაჟა, 17). 117. ბაღში ისევ ძველებურად გაყიდიან ბუშტებს, წითელს, მწვანეს და ცისფერს (პ. იაშვ., 257). 118. მოეიდნენ, მოდგნენ აჩრდილნი, წინაპართ გმირთა სახენი, ჯაჭვ-მუზარადით მორთულნი (ვაჟა, 59). 119. ერთ მშვენიერ დღეს მათ გულუბრყვილო ქვეყანაშიც შემოაღწია ნამდვილმა ცხოვრებამ, ხმაურიანმა, ცოდვიანმა, ტლანქმა და დაუნდობელმა (ო. ჭილ., I, 231). 120. აქ უკვე ნამდვილი ზღვა იყო, ღონიერი, ძარღვიანი, უძირო (ო. ჭილ., I, 430). 121. გეზლო, ნუქარდინ, ბოროტს და თამამს, ქართველი ხალხი უნდოა მტერთან (ა. კალანდ., 263). 122. ზღვას – ალერსიანს, მობუბუნეს, სიმშვიდეს ვთხოვდი (ა. კალანდ., 339). 123. ირმებმა ჩამიქროლეს, რქაგადაწყობილებმა (მ. ლებ., 422). 124. ბიჭი, ჯან-ღონით სავსე, კეთილი და მშვიდი, დათვის ბელივით ქერა იყო (თ. ბიბ., 359). 125. და აღგაფუნდა წყალში კალმახი, მკვირცხლი და მარად მოუსვენარი (ლ. ასათ., 40). 126. მაგრამ აქ მას მარტოობა უცდიდა, მძაფრი, აუტანელი (გ. რობაქ., 333). 127. მაშინ კბილი ბებერი ცხენის კბილს ჰგავდა, ყვითელს, შეღრღნილს, გადაცვეთილს (გ. რობაქ., 327). 128. შინ მოგვედიოდა მოხუცი ჩვენი, კმაყოფილი და გაღიმებული (მ. ლებ., 538). 129. გამოჩენილი შიოლა, მებრძოლი და ძლიერი, გულადი და შეუპო-

ვარი, ამასთანავე იყო ამპარტავანი, კაცმიუკარებელი და დაუნდობელი (ა. ყაზბ., 159). 130. ჭიშკართან ბინდისას ბიჭი იდგა, დაქანცული, დაღლილი, ნაომარი (თ. ბიბ., 410). 131. ამ უცხო კაცს ახლა სხვა ჯიღაური ელაპარაკებოდა, დამთმობი, ყველაფერზე ხელჩაქნეული და ცარიელი (თ. ბიბ., 393). 132. ბევრი გატირა შენმა სამშობლომ, მთლად დანგრეულმა, დაძინებულმა (მოგ. აკ., 477). 133. გიორგისაც ზღაპრის გმირივით უყვარდა კაცი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ღონიერი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე მოხერხებული და ყველაზე კეთილი (ო. ჭილ., II, 37). 134. ქალაქელ ბავშვებს, გაბაფთულებს, დაკრიალებულთ, დიდედები მედიდურად დაატარებენ (ი. ჯოლბ., 159). 135. გავიდა წლები, მე მესმოდა თქვენი ამბავი, თქვენი სახელი, სანატრელი და მომხიბვლელი (ი. ჯოლბ., 77).

§ 82. *ჩართული.* 1. პირადად მე, რასაკვირველია, ბავშვობიდანვე აკაკის დიდი პატივისმცემელი და მოყვარული ვიყავი (მოგ. აკ., 22). 2. მართლაც, არ გასულა წელიწადი და საჩხერეში მშვენიერი ციხე აუგიათ (მოგ. აკ., 24). 3. ეს აზრი უმალვე უარყო, ჯერ ერთი, მუშებს არ უნდა დაენახათ, რომ ცელის ახალ უფროსს დახმარება სჭირდებოდა, მეორეც, თვითონ ლევანი განაწყენდებოდა (გ. ფანჯ., 246). 4. ჯონდო, ჩვეულებისამებრ, აღარ ამსგავსებდა ღრუბლებს კლდის თავზე გაქვავებულ ხარჯიხვს (გ. ფანჯ., 94). 5. მე, რა თქმა უნდა, არ ვამვიადებ ტკივილს, რომელსაც ვიტან და ვუვლი (ო. ჭილ., II, 506). 6. აფრისხელა ტილო, მართლაც, გაზაფხულის მინდორივით ხასხასებდა (ო. ჭილ., I, 193). 7. სემიონოვს, როგორც წინათ აღვნიშნე, განსაკუთრებით ლუკა უყვარდა (კ. ყმა, 56). 8. ბავშვები კი, როგორც ვთქვი, ბლომად ვიყავით და აურზაურის მეტს აბა რას შევიტანდით ოჯახში (კ. ყმა, 241). 9. მართლაც, მან აღფრთოვანებით მითხრა, რომ სულ ცოტა ხანში იგი წავა საქართველოში (პ. იაშვ., 276). 10. იქ, რასაკვირველია, მომბრუნებია გული და ისევ დამიწყია სიცილი (აკაკი, 91). 11. რაღა თქმა უნდა, ის ვიღაც კაცი მათი სახლისაკენ მოდიოდა (თ. ბიბ., 378). 12. ჩვენდა სამწუხაროდ, წილად მხვდა ყვავილებითა და ცრემლებით გამეცილებინა ჩვენი სასიქადულო მგოსანი (მოგ.

აკ., 57). 13. ყოველთვის სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას და, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ (მოგ. აკ., 57). 14. დილით, ჩვეულებისამებრ, მეზობლის ქალები საქმიანობით იყვნენ გართულნი (გ. ფანჯ., 412). 15. მურაბა მაინც მიირთვი, გენაცვალე, ან ნამცხვარი (რ. ინან., 119). 16. მართლაც, სულ ორი თვის შემდეგ ელდარ სიხარულიძემ ქარხანა მიატოვა (გ. ფანჯ., 189). 17. რასაკვირველია, ზამთარში ეს იაფფასიანი თავშესაფარი უფრო სასიამოვნო ხდება (ი. გრიშ., 58). 18. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ იქამდე არაფერი ეტკინოთ, სანამ ამ პურმარილის მეტი კიდევ რამე დასტყუონ მაკაბელების ოჯახს (ო. ჭილ., II, 217). 19. მართალია, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მან ჩაიფიქრა (ო. ჭილ., II, 217). 20. რა თქმა უნდა, იგი ამ არემარეზე სულ არ ჩანდა (ო. იოს., 258). 21. მართლაც, რად უნდა დამეყარა იარაღი, რად უნდა დამეთმო ადგილი (ნ. ონაშ., 42). 22. კარგად იყავით, მარგო, გენაცვალე, უკაცრავად, ასე შორიდან რომ გკითხულობთ (რ. ინან., 89). 23. მაშინ, ვგონებ, ულვაშები და პატარა წვერიც ჰქონდა ნიკაპზე (რ. ინან., 94). 24. შენთვის რომ მუცელში ნემსი გაეკეთებინათ, ჩემმა მზემ, აღარ გაგეცინებოდა (გ. ფანჯ., 99). 25. მართალია, ძალიან განთქმული იყო და სახელოვანი ვაჟკაცი იყო, მაგრამ სიბერე მორეული ჰქონდა (ილია, 265). 26. ის, სამწუხაროდ, ორი წელიწადია აღარ ჩანს თბილისში (პ. იაშვ., 248). 27. და, მართლაც, ერთ დღეს ძვირფასი ჭურჭლით ის დაასვენეს, ბრბო მოჰყვებოდა (მ. ლებ., 40). 28. როგორც მოგეხსენებათ, ქართული სუფრა უღვინოდ, უსიმღეროდ, განსაკუთრებით უმრავალჟამიეროდ, არ მოხერხდება (მოგ. აკ., 305). 29. ერთი მისი გამოქანდაკებული თავი თაროზე იდგა, რომელსაც, როგორც მაშინ გადმოგვცეს, ცნობილმა მოქანდაკემ ყურადღება მიაქცია (მოგ. აკ., 330). 30. ეს, როგორც ჩანს, იცოდა ჟანდარმერიამ და რედაქციის გარშემო ქუჩის კუთხეებში განუწყვეტლივ იდგნენ (კ. ყმა, 347). 31. იძინე, თამაზ, არ გაგაღვიძებ, ჩუმად ვიტირებ, ჭირიმე შენი (ნ. სამად., 69). 32. მე კი, ჩემდა საუბედუროდ, ისეთი მომცინარი სახე მქონდა, რომ ტირილის დროსაც კი მეღიმებოდა (აკაკი, 147). 33. პირიქით, მისი ახლობლების გადმოცემით, იგი ნივთიერად შევიწროებას განიცდიდა (მოგ. აკ., 40). 34. მართლაც, ძნელია ნახვა ისეთი წარმტაცი სანახაობისა,

როგორიც არის ალაზნის ბუნება (მოგ. აკ., 32). 35. და, რა თქმა უნდა, ეშმაკი იყო, მე რომ უმწეო მოხუცად ვთვლიდი (ო. ჭილ., II, 449). 36. ჯერ ერთი, მეთაურის ჯანმრთელობა უარესდებოდა, მეორეც, არავინ იცოდა, ვის ებრძოდნენ (ო. იოს., 76). 37. მე კი დაედივარ, ღმერთმა უწყის, რას ვეხეთქები (ნ. სამად., 169). 38. მაგის თქმას, ვატყობ, ცხრა ჩემისთანა თავი უნდა (რ. ინან., 67). 39. მარშან ქვაში გავთალე მისი ბიუსტი, რა თქმა უნდა, უკუზოდ (ნ. ონაშ., 28). 40. სამწუხაროდ, ამ გლეხი მგოსნის მატერიალური მდგომარეობა მეტად მძიმეა ამჟამად (კ. ყმა, 63). 41. მე, რა თქმა უნდა, ვიყავი ბავშვი, მამებს გადახდათ ბრძოლები ძნელი (მ. ლებ., 255). 42. მართალია, ეს ჭაღარა სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს (აკაკი, 41). 43. დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისათვის, დამანებე თავი (დ. ჭონქ., 26). 44. სამწუხაროდ, მე მთელი სიზუსტით არ შემიძლია ამ შესანიშნავი სიტყვის აღდგენა (მოგ. აკ., 112). 45. ახლანდელი ახალგაზრდობა, საბედნიეროდ, მოკლებულია ამ გრძნობას (მოგ. აკ., 10). 46. არჩილს, ჩვეულებისამებრ, სახეზე სასიამოვნო ღიმილი არ გამოსახვია (გ. ფანჯ., 631). 47. რასაკვირველია, ის მართალია, მაგრამ მე ეს არ მითხრა (გ. ფანჯ., 159). 48. მართლაც, კეთილი აღმოჩნდა ბოლო და მივაღწიე დანიშნულ ადგილს (ო. ჭილ., II, 487). 49. ეს უკეთესი იყო, ჯერ ერთი, მანძილი ყველაზე მოკლე იყო და, მეორეც, თუ ბაწარს ზუსტად ვერ მოახეედრებდა, ტყვიას ქვეეით ქვა დახვდებოდა (ო. იოს., 97). 50. ის, რა თქმა უნდა, ჩემსავით კარი-კარ არ ივლის სამსახურის საძებრად (ნ. ონაშ., 20). 51. ორივემ, მართლაც, თავგანწირული გახელებით ჩაბღუჯა იგი (თ. ბიბ., 175). 52. მე, როგორც მოგახსენეთ, სიცილით შევხვდი ამ წინადადებას (მოგ. აკ., 206). 53. მართლაც, კახელები დიდის ამბით შეხვდნენ აკაკის (მოგ. აკ., 207). 54. ამ მოჩვენებასაც, რა თქმა უნდა, თავისი ძალა ჰქონდა (ვაჟა, 327). 55. ბიჭი ჩაბარების დროს, ჩვეულებისამებრ, ილეჭებოდა (გ. ფანჯ., 203). 56. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს ცოტა წიგნი მოსწონდა (გ. ფანჯ., 181). 57. რა ამბავია, მითხარი ჩქარა, დედაშვილობას (დ. ჭონქ., 36). 58. როგორც ზემოთ ვთქვი, ვაჟას აქ ყოფნის დროს თითქმის სულ ჩვენთან იყო ხოლმე სანდრო შანშიაშვილი (კ. ყმა, 196). 59. მართალია,

პირადად ერთმანეთი არ გვინახავს, მაგრამ შორიდან, ცხადია, ვიცნობთ ერთმანეთს (კ. ყმა, 348). 60. საზოგადოდ, მთაში უფრო საგმირო ლექსების კითხვა უყვარდათ (კ. ყმა, 320). 61. სამაგიეროდ, ჩვენ თვითონ უკეთესები ვართ (ნ. სამად., 67). 62. მეორე ბიძაშვილი, რომელიც, ეტყობა, უმცროსი უნდა ყოფილიყო, თვითმფრინავში ავიდა (გ. ფანჯ., 675). 63. მართალია, ოყაჯადოს ზურგს უკან ყველაზე დიდი მეფე ედგა (ო. ჭილ., I, 169). 64. ფარნაოზი და კუსა, მართლაც, არასოდეს არ ყოფილან ასე ახლოს ერთმანეთთან (ო. ჭილ., I, 389). 65. რაღა თქმა უნდა, იქ არავინ დახვედრია (ო. იოს., 128). 66. მე, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად ვეცდები ავასრულო ჩემი თქვენდამი მოვალეობა (მოგ. აკ., 76). 67. სხვათა შორის, პირველად აკაკი ბავშვობისას ქართული თეატრის შესასვლელთან ვნახე (მოგ. აკ., 74). 68. მართალია, ეს ბურთი ბევრად განსხვავდებოდა იმ წითელმაისურიანი ფეხბურთელების ბურთისგან (გ. ფანჯ., 137). 69. ამ სილამაზეს კი, სამწუხაროდ, თვითონ მეტალურგებიც ვერ ხედავდნენ (გ. ფანჯ., 226). 70. რა თქმა უნდა, საკენკიანიდან კაცი აქ უსაქმოდ არ წამოვა (ვაჟა, 295). 71. გენაცვალოთ დედა, ისევ ვენახის ბოლოში რომ ბებერი წნორია, ის მოვჭრათ (რ. ინან., 40). 72. საკვირველნი არიან, შენმა გაზრდამ, მაგგვარნი კაცნი (დ. ჭონქ., 32). 73. შენმა მზემ, ვერას ეტყოდი, გიჟივით ტირილს დაიწყებდი იმასთან (დ. ჭონქ., 53). 74. ასეთი ბედნიერი წუთი საბრალო მგოსნის ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათი იყო (კ. ყმა, 68). 75. ავადმყოფობის დადგენა, მართალია, განკურნებას არ ნიშნავს (ო. ჭილ., I, 36). 76. როგორც ეტყობოდა, ეს ადგილი ჩრდილოეთიდან მიუვალი იყო (ო. იოს., 75). 77. რა თქმა უნდა, შეიძლება ბევრ ადამიანს, მართლაც, მზე უდგას გულის მაგიერ (ნ. ონაშ., 29). 78. მართლაც, ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ჩვენს ოჯახში (კ. ყმა, 269). 79. როგორც წინათ შევნიშნე, ვაჟა ამ დროს მთელი თავისი არსებით იყო ლიტერატურით გატაცებული (კ. ყმა, 70). 80. ყოველ დიდ ადამიანს აქვს, რასაკვირველია, თავისი ნაკლი (მოგ. აკ., 26). 81.მაშასადამე, ხალხის გული ზღვასავით ფართოა (მოგ. აკ., 17). 82. თავისი თავისა უსაზღვროდ სჯეროდა და, რაც მთავარია, ქალიშვილებს მოსწონდათ კიდეც მისი ოდნავ თავხედური საქციელი (გ. ფანჯ., 169). 83. ოთარი ავტობუსში

ავიდა და, ჩვეულებისამებრ, მწვერთნელის გვერდით დაჯდა (გ. ფანჯ., 134). 84. უკაცრავად ნუ ვიქნები, ყმაწვილო, შენი ჭირიმე, კითხვისათვის, საიდან მობრძანდებით? (დ. ჭონქ., 23). 85. მათ შეუძლიათ მთები წაშალონ თუ, რა თქმა უნდა, მე დავთანხმდები (ო. ჭილ., II, 450). 86. მართალია, მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა, მაგრამ ისიც მათი სისხლხორცი იყო (ო. იოს., 72). 87. ეტყობა, იცის ბიჭმა თავისი საქმე (ნ. ონაშ., 136). 88. ერთი სიტყვით, მეცნიერ-მუშაკისათვის სავალდებულო ყველა სამუშაოს ვასრულებდი (ნ. ონაშ., 19). 89. კრიეს, ჩვეულებრივად, წარჩინებული პირები მფარველობდნენ (ი. გრიშ., 27). 90. ჩემი შეხედულებით, ის კერძო ცხოვრებაში სუსტი ნებისყოფის პატრონი იყო (მოგ. აკ., 493). 91. სამწუხაროდ, ბევრი საინტერესო რამ გამოგვრჩა ამ დიდი იუბილედან (მოგ. აკ., 73). 92. ომის დროს, მართლაც, დიდი თოელი მოდიოდა ყველგან (გ. ფანჯ., 19). 93. იგი მოვაო... ჭეშმარიტად, იგი მოვიდა (ა. კალანდ., 67). 94. დედაშვილობას, მიშოვე წყალი, სამაგიეროდ გასწავლი რამეს (ო. ჭილ., II, 448). 95. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაინტერესებული ვიყავით ამ ურთიერთობით (პ. იაშვ., 294). 96. ერთი სიტყვით, ის სანამ დაოჯახდებოდა, საკმარისად ხელმოკლე ინტელიგენტი იყო (მოგ. აკ., 40). 97. მეწინავეს აზრით, ეს იყო ყველაზე უკეთესი, რისი გაკეთებაც ახლა მოხერხდებოდა (ო. იოს., 11). 98. ჩვენ, რასაკვირველია, ვიცოდით აკაკის კეთილი გულის ამბავი (მოგ. აკ., 62). 99. არ მინდა, გენაცვალე, ზაურ, წადი, ამხანაგები გიცდიან (რ. ინან., 92). 100. სამწუხაროდ, ამ ორი გამზირის შემაერთებელი გზა მოკლე გამოდგა (ო. იოს., 188). 101. ერთი სიტყვით, პრიმიტიული და ჩამორჩენილი ხარ (ნ. ონაშ., 101). 102. წავიდეთ, შენი ჭირიმე!.. წავიდეთ, რაც შეიძლება ჩქარა (ა. ყაზბ., 94). 103. მართალია, საკუთარი თვალით ველარას ხედავდა, მაინც ყველაფერი ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი (თ. ბიბ., 113). 104. მთელ საქართველოში მობნეული ეს განძი, მგონია, უნდა შეგროვდეს და ცალკე გამოიცეს (მოგ. აკ., 428). 105. მერე რუსთავში ჩამოვედი და აქ, თქვენც კარგად ხედავთ, დღე და ღამეს ვასწორებ (გ. ფანჯ., 360). 106. რასაკვირველია, გივი მაშინვე გუნდის კაპიტნად აირჩიეს (გ. ფანჯ., 137). 107. სტუდიის დერეფანში ხალხი, ჩვეულებისამებრ, აჩქარებული ნაბიჯებით, თითქმის სირ-

ბილით დადიოდა (გ. ფანჯ., 632). 108. არსებობს, საუბედუროდ, ასეთი აზრი თუ უაზრობა (ო. იოს., 201). 109. კაცმა რომ თქვას, ჩვენს შორის აღარც იყო დიდი სხვაობა (ნ. ონაშ., 6). 110. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, უსიამო სიზმარი ნახა (გ. ფანჯ., 453). 111. მამამ, მართლაც, მომიტანა თეთრცისფერ, წვრილყვავილებიანი საკაბე (კ. ყმა, 231). 112. ბავშვებმა, მოგეხსენებათ, მაგარი ძილი იციან (კ. ყმა, 240). 113. თქვენმა მზემ, არ ვიცი, რა ეთქვა, არ მოემზადებულეარ (დ. ჭონქ., 4). 114. ერთი სიტყვით, მზად იყავი! (დ. ჭონქ., 73). 115. ალბათ, ახლა, ჩვეულებისამებრ, რაიმე ჩატკბილებულ ფრაზას ალაგებდა მისი გამომეტყველება (გ. ფანჯ., 632). 116. ამ ვახშამზე ცენტრალური ფიგურა, რასაკვირველია, აკაკი იყო (მოგ. აკ., 26). 117. ფერდობზე შეფენილი კოხტა ოდები, მართლაც, კარგად მოჩანდა ფანჯრიდან (გ. ფანჯ., 14). 118. ერთი სიტყვით, ეს ორი სულ სხვადასხვა ხასიათის ადამიანი შემთხვევას ერთმანეთისათვის შესადარებლად შეუყრია (ა. ყაზბ., 59). 119. ჯერ ერთი, მეთაურის ჯანმრთელობა უარესდებოდა, მეორეც, არავინ იცოდა, ვის ებრძოდნენ (ო. იოს., 76). 120. ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილ კაცისა (ილია, 858). 121. ვასო მეღვინეთუხუცესი, ჩემი აზრით, იყო ბუნებისაგან იშვიათი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული; სამწუხაროდ, მან ვერ მიიღო შესაფერისი განათლება (კ. ყმა, 75).

*§ 83. მიმართვა.* 1. დიდო პოეტო! ივერიის ღვიძლო გენიავ! როგორ გსუსხავდა წარსულ დროთა ყინვა და თოში (ნ. სამად., 138). 2. დიდო მგოსანო, ქალაქს გაჰყურებ, თბილისი შენთვის რომზედ დიდია, ფხიზლობ მეუფევ და გულისყური სულ საქართველოს გულზე გიდევია (ნ. სამად., 143). 3. მე მივიცვლები, იმედო, მალე, და, საყვარელო ბიჭიკო ჩემო, აქვე გორაკზე დამასამარე (ლ. ასათ., 102). 4. ლექსი იმღერე ქებული, ჩემო მზევ, ჩემო მთვარეო (ლ. ასათ., 114). 5. ჩემო მაღალო სიყვარულო, ჩემი ურჩი სულის შთაგონებავ (ი. ჯოლბ., 38). 6. ჩემო კარგებო — ტირიფებო, ხორბლის მძივებო, ბროწეულის ყვავილებო, მარჯნის ზარებო, ფიჭვების ძირას დარწეულო

თეთრო გვირილავ, შეინდეთ თქვენი მოწყალე გული, თავდავიწყებით მჭვრეტელი თქვენი (ი. ჯოლბ., 141). 7. ჩემო ქვეყანავ, მეტად ძნელია, შენი დაკარგვა და დატოვება (პ. იაშვ., 134). 8. გულს აღტაცებულს სურს, მგოსანო, მარად იქროლო (პ. იაშვ., 74). 9. ოჰ, პოეზიავ, მარად ცის კიბეებით მსვლელო! ვისთვის — წკრიალო ქნარად! ვისთვის — კრწანისის ველო! (მ. ლებ., 157). 10. ვაზო, კორტოხო, კრამიტო, ჭადარო, მზეო, ცავ, კაცსავით გადღეგრძელებ, შენ სადღეგრძელოს ვსვამ! (მ. ლებ., 436). 11. თვალნო მბრწყინავნო, მარად ლხენით მოკისკასენო! (ა. კალანდ., 298). 12. ჩემო დაო, ჩემო რძალო, დაზე უტკბესო, ჩვენო ქართველო დედა, შენ და შენისთანები გვირგვინია ჩვენი ქვეყნისა (კ. ყმა, 136). 13. კახეთს წავიდეთ, ძმობილო, მთაში სჭირს კვება ძროხისა (ვაჟა, 39). 14. გულო, არ გასტყდე, გამაგრდი, კლდეო, კლდედ იდეგ სალადა!.. გულო, გაკლდევდი, გამაგრდი, ნისლი ნუ გადაგეფარა (ვაჟა, 67). 15. ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ჭაღარა ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია (პ. იაშვ., 165). 16. იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ (პ. იაშვ., 138). 17. ზედაზნის ნისლო, ნაზო და სუსტო, მდინარის თვალო, ტყევ და ვენახო (ო. ჭილ., II, 443). 18. დიადო ღამევ, ჩვენი სულები შენ შეიფარე, როგორც ჩიტები (ო. ჭილ., I, 579). 19. მშვიდობით ნისლო! მშვიდობით, ჯანღო! მშვიდობით, ძმებო! მშვიდობით, ჩემო ქორბუდა მთებო! (მ. ლებ., 201). 20. აი, თქვენ, ახალგაზრდავ, რას იტყვით ამ საკითხთან დაკავშირებით (ნ. ონაშ., 85). 21. იხარე ჭერო, გასმი მტერო (თ. სახ., 299). 22. უფალო, გალავნის ყორეზე დამნიშნე ბეღურა ჩიტად (პ. იაშვ., 164). 23. მოდით, ჩვენო ხევსურებო, მოდით, შესვით ჩვენთან ღვინო (პ. იაშვ., 187). 24. შენ ხმაურობდი მბორგავ თერგივით, ხალხის სიმღერავ, ცამდე მართალო (ნ. სამად., 132). 25. შვილო, მშობლიურ კერაზე ტკბილო, აქ დარჩი და არ წახვიდე არსად (ლ. ასათ., 102). 26. მანამდე კი ერთი წუთით არ შევჩერდეთ, გიტარებო! არ შეჩერდეთ, საყვარლებო, წკრიალი არ შეაჩეროთ (მ. ლებ., 467). 27. ძირს დამხობილა, თეთრო მთებო, უძველესი თქვენი დიდება (მ. ლებ., 132). 28. ქარო, მოიტა ატმის ყვავილი, ქარო, ფოთლებიც შემომაყარე (ა. კალანდ., 282). 29. ჩემო ლუკა! ბუნებით პოეტო! შენი ტალანტი არ დამარხო, არ დაივიწყო, ჩემო

ძვირფასო, ის სკოლაც, რომელმაც შენ აღგზარდა! (კ. ყმა, 76). 30. ძვირფასო მასწავლებელო, ნიჭიერო პედაგოგო და იშვიათო ადამიანო! თქვენს ღვაწლს სიკვდილამდე არ დავივიწყებთ (კ. ყმა, 76). 31. ვაჟავ, რატომ სდუმხარ, განა შენ არ უნდა მიმართო აკაკის? (მოგ. აკ., 73). 32. ატმის ხეო, შენი დიდხანს კვირტობა მაღირსე (ი. ჯოლბ., 17). 33. შენ დაიფარე, ღმერთო ძლიერო, საკუთარ ფესვებს მომწყდარი კაცი (ო. ჭილ., I, 580). 34. ჭკვიანო, ჭკვიანო! ჩემო ჭკუის კოლოფო, ვინ იქნება შენისთანა მოაზრებული (ა. ყაზბ., 95). 35. ცაო ვარსკვლავიანო, ვაზო ქოჩრიანო, ხალხო სასხლავიანო, ხელებკოჟრიანო (მ. ლებ., 503). 36. მეისტორიევ, ხალხის მ·უშავ, მეღვაწლევ ერის, დიდბუნოვანო მეგობარო ჭაბუკი მგოსნის (მ. ლებ., 503). 37. მწ·უხარო მგზავრო, ღამე ნახე და აქვითინდი (პ. იაშვ., 73). 38. ჩემო ბაღებო, აყვავილდით, იმხიარულეთ (პ. იაშვ., 75). 39. კაცო მართალო, ბუნების შვილო, შენით მაქვს შვება-ნეტარებანი (ლ. ასათ., 116). 40. ჩემო ლიახვო, ალბათ მე და შენ სამშობლოს იქით გადაგვერეკავენ (ნ. სამად., 151). 41. იმრიალე, დიდო ვერხვო, იგ·უგუნე, დედამიწავ! (ა. კალანდ., 58). 42. შვილო, ტანჯულის ქვეყნისავ, სული დაჰლიე ტანჯვითა (ვაჟა, 36). 43. ომია, ომის დროს ბევრს ვერაფერს გაიგებ, პატარა ბიჭო (ო. იოს., 18). 44. თუ ჩააციედები, შე დალოცვილო, მაგ ცისარტყელას, ისე გახ·უნდება, როგორც ნარმა (მოგ. აკ., 18). 45. როდემდის, ცოლო და შვილო?! როდემდის, დაო და ძმაო?! როდემდის, სამშობლოვ ტკბილო და შენც, ჩემო ბებერო თავო?! (მ. ლებ., 384). 46. მიშველეთ, ჩამომეწყრილო, წითელმიწავ და აყალოვ, ჩემო პატარა ხეორო, რიონის ერთო მაყარო (მ. ლებ., 550). 47. შვილო ჩემო, შენ დღეს ფრიად სასიხარულო და მნიშვნელოვანი ამბავი მაუწყე (ნ. ონაშ., 102). 48. იქ, ძმაო, ცნობა საჭირო არ არის (ა. ყაზბ., 79). 49. დაბრმავდი თვალებო, დადექით ყურებო (თ. სახ., 126). 50. დიდო ბ·უნებავ, სიტყვა მომანდე (პ. იაშვ., 155). 51. ჩემო ქვეყანავ, დამსვი პოეტად (პ. იაშვ., 155). 52. ჩემო ქალაქო, ისტორიას მე რას დაგიწერ, ჩემი ცხოვრებაც კი არ ვიცი, როგორ იწყება (ნ. სამად., 128). 53. თქვენც, თქვენც მშვიდობით, ჩემო საწყლებო, თქვენ, აწ და მარად ტურფა ქერიევებო, დაქვრივებულო ჩემო ზრახვებო (მ. ლებ., 201). 54. ვაი, შენ, ჩემო ცისფერო წიგნო, ასაკინ-

ძად დაკეცილო, გულო და ღვიძლო, ტვინო და ფიქრო, ირემა ხარის დაღეჭილო (მ. ლებ., 372). 55. რედაქტორს, შვილო, ყურს ნუ უგდებ, წერე, რაც გულში გაქვს (მოგ. აკ., 96). 56. ვახო! — მიაყვირა თუთარმა, — ფრთხილად, შე გამოთაყვანებულო! (ო. იოს., 29). 57. ფილოსოფოსებო, რომანტიკოსებო, თქვენ რაღაც ჩრდილებზე ლაპარაკობთ (ნ. ონაშ., 113). 58. დაწყნარდი ახლა, შე ქალო, შენს თავსაც გაუფრთხილდი, სამარეში ხომ არ ჩაჰყვები (გ. ფანჯ., 770). 59. oო, მადლიანო, უფალო, მთავარანგელოზო! — თქვა ბიჭმა ნადირობის დროს გაგონილი სიტყვები (ო. იოს., 47). 60. ოჰ, ღმერთო, ღმერთო! მე თვალებს ვხუჭავ, იელვებს შენი ჭაღარის ბღუჯა (მ. ლებ., 11). 61. დიდ გზაზე დგახარ, საქართველოვ, ჩემო ქვეყანა (მ. ლებ., 369). 62. დიდებულო მამულიშვილო, მგოსანო აკაკი! შორიდან დიდი ხანია გიცნობთ (მოგ. აკ., 152). 63. შენ გული არ გაიტეხო, შვილო, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს (ნ. ონაშ., 27). 64. ღამევ, ბნელო და წყვდიადო! ღრუბელნო, ცისა და მზის გამზავებელნო! გრიგალნო თავაწყვეტილნო, ძალნო ბუნებისანო (ა. ყაზბ., 228). 65. მიწავ, ახალი დაღით დაგტორეს, მთებო, მოგასკდნენ რკინის ჯარები (პ. იაშვ., 155). 66. ქორო, ქორო, თავს ნუ დაჰფრენ ხალხებს (მ. ლებ., 304). 67. ვის ებუტებით, მშობლიურო მწვერვალებო თოვლიან მთების (მ. ლებ., 133). 68. ოჰ, უღირსო და შეუბრალებელო შუქო... შუქო, მწუხრთა გულისა თანამგრძნობელო და მოუსვენარი სულის დაყუჩებად მცდელო (ა. ყაზბ., 237). 69. რა გინდა, შე საცოდავო? — თქვა ქალმა (ო. იოს., 68). 70. მთაო, ნუ ჩამოილევი და თავზე შემოგევლები (ო. ჭილ., I, 541). 71. მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, უფალი მიწვევს, გშორდები (ვაჟა, 104). 72. მოწყალედ გვექმენ ქართველთა, ჩვენო ლამაზო დედაო (ვაჟა, 105). 73. ვაი, სირცხვილო, ახლაღა განახეთ თქვენ — ალავერდო, იყალთოვ, გრემო (მ. ლებ., 498). 74. ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო (მ. ლებ., 294). 75. გილოცავთ ახალსა წელსა თქვენ, მიქცეულნო ძილადა, მთებო, ჭალებო, მინდვრებო, ერთად — ვინცა გყავსთ შეილადა (ვაჟა, 84). 76. თქვენც გეხვეწებით, ხეებო, და შენც, მდინარევ, ხმიანო (ვაჟა, 10). 77. დიდებულო ხელმწიფევ! რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის

საუკუნეა ჩვენთვის (აკაკი, 220). 78. ახლა ჩიტებო, თქვენ ერთმანეთს ცივად შეჰწივით (პ. იაშვ., 180). 79. წინ, ესპანეთის გმირული ხალხო და საყვარელო ჩემო ქვეყანა! (პ. იაშვ., 198). 80. ხალისიანი ხარ, იყავი კარგად, შვილო (გ. რობაქ., 170). 81. მაგრამ ხარებო, ღვინიებო და წიქარებო, მე ქვამარილი, საყვარლებო, ვინ მომაქვაეა, გასწით, ხარებო, თქვენი გზა ნახეთ (მ. ლებ., 478). 82. მშვიდობით, ცოლო! მშვიდობით, შვილო! მშვიდობით, სახლო! მშვიდობით, კარო! მშვიდობით, ლხინო! მშვიდობით, ღვინო! მშვიდობით, პურო! მშვიდობით, წყალო! (მ. ლებ., 200). 83. ნუ მეუბნები ამას, ადამიანო, შებრალებას მიჩვეული არა ვარ და ჩემს ცოდვაში ფეხს ნუ ჩადგამ (ო. იოს., 396). 84.შეგვიშვი, მებაღევ, გზას მოვჭრით ბაღითა, აბა, რას დავაკლებთ ვარდს ერთის ნახვითა (ა. კალანდ., 233). 85. შენ მართლა შეკრთი, სულო ჩემო, თუ მომელანდა (ი. ჯოლბ., 22). 86. მზეო, ვისთვის ზეალმართე თითნი ოქროვანნი (ი. ჯოლბ., 41). 87. შენ გაგიმარჯოს, სახლიკაცო, ჩემი ქვეყნის შნოვ და ლაზათო (რ. ინან., 33). 88. მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო, ცხენისწყალის ხეობაო, დაღარულო, დასერილო, ხევაიანო პურის ყანავ, გლეხის ხელით დაწერილო, ხვამლის მთაზე გადასულო, თეთრო ნისლო აფრიანო (ლ. ასათ., 15). 89. მშობლიურო მინდორ-ველო, სიცოცხლეო საამურო, მწვერვალებზე ანამღერო მწყემსი ბიჭის სალამურო (ლ. ასათ., 16). 90. მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო, ქართლისა წყლულთა მოზარე, მშვიდობა, სულო ძლიერო, თავის სამშობლოს მოყვარე (ვაჟა, 33). 91. ხმალი გალესე, ძმობილო, მტერი გადმოდგა მთაზედა (ვაჟა, 35). 92. უნდა შენდობა გთხოვო შენ, საუკუნევ მკაცრო, ჩემო წილსვედრო დროო (მ. ლებ., 112). 93. ერის წიგნში გაშლილო ახალო კაბადონო, გამარჯობა, თვალჭრელო პატარა ქალბატონო (მ. ლებ., 60). 94. შენ დაპყრობილო, დარბეულო და დაქცეულო ციხევ თუ ნაციხარო, ნაცარტუტავ, გთელავენ და შენს გულზე დააბიჯებენ (ო. იოს., 185). 95. პოი, სადა ხართ, აჭრელებულო ჭალებო, შენ, კენწეროებდაწითლებულო ხეხილო, ნეტავი თქვენა, ნეტავი თქვენა, ქალებო, თქვენც, ვაჟკაცებო, ულვაშებგადაგრეხილო (ი. ჯოლბ., 129). 96. ო, გაიზარდე, ოცნებავ ჩემო, მზისა და ვარდის სურნელით სავსევ, ჩემი მომავლის წმინდა სახელო, ენთე მზესავით და ითინათე

(ი. ჯოლბ., 162). 97. ქართვლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო, რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია, ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო (ილია, 117). 98. მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულისშვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო (ილია, 926). 99. აბა, სადა ხართ, გმირებო, ჩემი სამშობლოს შვილებო, რომ არ მაცლიდით მღერასა, გულფიცხნო, დალოცვილებო (ვაჟა, 106). 100. ქალო, ქართველთა სულის დგმავ, ქალო, ქართველთა დედაო! ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს, თამარს ცოცხალსა გხედაო (ვაჟა, 105).

**§ 84. *შორისდებული.*** 1. აჰა, დასრულდა შენი ციმციმი და მწუხარების ბურუსსა შევალ (ა. კალანდ., 20). 2. ო, ამ ციაგი ვარსკვლავის სხივი ისე მამშვიდებს (ა. კალანდ., 77). 3. ოჰ, ბედნიერო სარდლის ცხენებო, ათას კილომეტრს თქვენ არ გაივლით (მ. ლებ., 64). 4. აჰა, ბატონო, რაგვარად წერენ ჩვენი მწყემსები (მ. ლებ., 56). 5. აბა, შენ იცი, ბიჭო, გულქანდები და მძივები არ დაგავიწყდეს (თ. ბიბ., 136). 6. ეჰ, აყვავდები, სამშობლოვ, როდის? (ლ. ასათ., 18). 7. ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა!.. (ლ. ასათ., 44). 8. ვიშ, მაგ შენს ნარნარს გულის-ცემასა (ილია, 50). 9. ვაი, დაგკარგეთ!.. უღმერთო იყო შენი სიკვდილი (ილია, 65). 10. ოჰ, ეს სიცოცხლე ნეტა როდის გამომნელდება (ნ. სამად., 87). 11. ო, როგორ მიყვარს შენი ოღრო-ჩოღრო ქუჩები (ნ. სამად., 128). 12. შენ, ეი, ეს ცხენები ლატარიაში კი არ მომიგია (ო. ჭილ., II, 212). 13. ჰა, დგახარ ჩემს წინ გაბრწყინებული... ო, სხივი შენი მთოვე მარადის (ა. კალანდ., 19). 14. აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო, მტილი კარლია, მაყვალთა ჩერო... (ა. კალანდ., 226). 15. აუჰ, შუადღე წამოსულა, ავდგეთ ჩქარა (რ. ინან., 106). 16. აბა, ფიროსმანი რაღა დღეში ჩავარდებოდა (რ. ინან., 21). 17. ყოჩაღ, ქოსებო! — უთხრა ვაჟამ და გადაჰკრა მოწონებული ღვინოც (კ. ყმა, 178). 18. ვაი, ჩვენს ყოფას... ეს რა დაგმართნიათ! (კ. ყმა, 116). 19. ჰმ, ჰმ, დედაკაცო, გადააბრუნე ე მწვადი, სულ დასწვი! (დ. ჭონქ., 41). 20. ეჰ, დედაკაცო, მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი (დ. ჭონქ., 26). 21. დე, ტიეტივებდეს სული ჩემი ზეცი-

დან ცამდი, დე, უსაზღვრო და უსასრულო იყოს სამყარო (ი. ჯოლბ., 104). 22. ეავლახ, ხელახლა ბაგისჩვილობა, ქალიშვილობა რა დაგშვენდება (ლ. ასათ., 50). 23. ჰეი, შენ, დიდო მომაელის ლანდო, ერთი თხოვნისთვის ნუ დამძრახავდი (ლ. ასათ., 79). 24. ვაი, სად განახო, საით იქნები, ვიცი — გარბიხარ და მემალები (ლ. ასათ., 24). 25. ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა რა დაუდგება? (ილია, 128). 26. უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე (ილია, 304). 27. ო, ო! ჩოშ! ჩოშ! კუდი, ელგუჯა, კუდი ნუ გავიწყდება (რ. ინან., 45). 28. იი, ეს კვერინჩხა! სადაც არა მგონია, იქ ამოჰყოფს თავსა (რ. ინან., 7). 29. ფუჰ! მომბეზრდა ადამიანს კურდღელივით ცხოვრება (მ. ლებ., 135). 30. ოჰ, ღმერთო, ღმერთო! მე თვალებს ვხუჭავ (მ. ლებ., 11). 31. აბა, შენი ნებაა, ღმერთმა მშვიდობით გატაროს (თ. ბიბ., 446). 32. ეჰეი, ეჰეი! — გამოსძახა უცხო ხმამ (თ. ბიბ., 470). 33. ო, რა ბნელია, რა გულცივი კაცის ბუნება (ნ. სამად., 168). 34. დე, ხალხმა მნახოს და მესაუბროს (ლ. ასათ., 115). 35. ჰოი, უგნურო ნუქარდინ, წინ მიძეს შენი ბარათი (ლ. ასათ., 94). 36. უი, მომიკვდეს თავი! აღარ უნდა ჩავარდე ჭკუაში (ო. ჭილ., II, 286). 37. ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა! ფუი, ეშმაკს! (ო. ჭილ., II, 287). 38. აბა, ჩემო თავო, — ფიქრობდა ვარდო, — აბა, ახლა მოვიდა დრო შენი შურისძიებისა... აბა, თუ შეგიძლიან რამე, ახლა შეგეტყობა. ჰოი, წყეული იყავ, დურმიშხან (დ. ჭონქ., 69). 39. ეჰ, შვილო, ნუ მკითხავ, შენი მტერი იყოს, ის რომ არის! (დ. ჭონქ., 36). 40. გაუმარჯოს ქართველ დედებს! ვაშა, ვაშა! მძლეველ ჯარსო (აკაკი, 74). 41. ო, უხილავნო, კვლავ დიდება თქვენს მეუფებას! (ა. კალანდ., 94). 42. აჰა, დავაგდე ესე ყოველი და გარდაეიქეც მე შენდა სმენად (ა. კალანდ., 12). 43. ფუჰ, ყოველგვარ სისაძაგლეს რომ შენ უნდა მოჰკრა ყური (რ. ინან., 114). 44. ყოჩაღ, ბიჭებო, კარგად დაგიდვიათ! (რ. ინან., 52). 45. აბა, აბა, აგაბო, რა ბედნიერი დღე გათენდა დღეს (ო. იოს., 309). 46. ოჰ, რა ცნობისმოყვარე ბალღი ხარ (ო. იოს., 18). 47. ოი, ფაზისო, ტალღების ცემით რამდენი მგოსნის წაიღე მოთქმა (ლ. ასათ., 108). 48. ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე (ლ. ასათ., 42). 49. ვუი, ვუი შენს დედას!... იძახოდნენ მანდილოსნები, — რა ახალგაზრდა ბიჭი ყოფილა! (ილია, 251). 50. აჰა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა (ილია, 63). 51. ოჰ,

ვიცხოეროთ მიწაში ფესვების ჩაჭიდებით (მ. ლებ., 14). 52. ტფუი! საზიზღრობას ჩმახავთ! (მ. ლებ., 16). 53. ო, უკვდავებავ, კარგი ჰქენი, რომ არ მიკისრე (ნ. სამად., 177). 54. ჰო, რა ნუგეშით შემოვცქეროდით ქაოსებს იქით გაშვერილ ხელებს (ნ. სამად., 77). 55. აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა, ვაი, ვის გულმკერდს დაფლეთს ყორანი? (ა. კალანდ., 203). 56. თქვენ მიწის ხმა ხართ, ო, მიწის ხმა ხართ (ა. კალანდ., 51). 57. ჰაა, სარგის! შენ უკვე გამართლებული ხარ ისტორიაში და ყველგან (გ. რობაქ., 84). 58. ოჰო, აჰ! ვაჟას სალამი, ვაჟას ვახლავართ (კ. ყმა, 140). 59. ჰმ, მაშ, რას ვიზამდი? (კ. ყმა, 276). 60. ეჰეი, წარსული ულამაზესი თაედავიწყებას გაუტაცნია! (ი. ჯოლბ., 15). 61. ო, რომ მჯეროდეს, შენ შეგეყრები იმ სოფელს, მიწას უშენოს შევუერთდები ახლავე (ი. ჯოლბ., 67). 62. ფუჰ, გაჩუმდი ახლა (რ. ინან., 106). 63. აბა, რასა შერები! მოიცა გაგახედებ. ეეხ, რა ბავშვი ხარ, რა! აჰა, ესეც გაიხადე (რ. ინან., 16). 64. ფიე! საქართველოს ჰყოლია ვასლები! (მ. ლებ., 294). 65. ოჰ, ის დუქანი გაქრა, სხვები მოშენდა ჭარბად (მ. ლებ., 244). 66. აჰა, გაბულდანიც მოსულა (ო. იოს., 8). 67. ჰეი, ბინადარო! აბა, მოდი, მოეშველე! ოჰ, რა ამოუტეველი დაემართა (ო. იოს., 91). 68. ო, მასაც ვეტყვი ყველაფერს, რა კარგი იყავ და რარიგ ნაზი (ლ. ასათ., 30). 69. ეჰ, ახლა გახდა ნიკალაი დიდი მხატვარი (ლ. ასათ., 67). 70. უი, რატომ თავი არ მომიკვდება, რომ თქვენ ეგრე გაწვალებთ (რ. ინან., 52). 71. რომ გეუბნებოდი, კარგად ვერ უდებ-მეთქი, არ დამიჯერე. ჰაცე, ჰა! ჰაცე! (რ. ინან., 48). 72. ვაჰმე, რა ძნელი იქნება მაშინ სიცოცხლე ჩემთვინა (ვაჟა, 32). 73. ვაი, რომ ცუდი ბევრია, პოვნა ძნელია კარგისა (ვაჟა, 52). 74. აჰა, მოვარდა, ზღუდის პირს დადგა და მწყურვალებით უცქერს მთის წვერსა (ილია, 191). 75. ვაიმე, ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე (ილია, 71). 76. მატყლი და ბაწარი წამომიღე ბიჭო! აბა, შენ იცი (თ. ბიბ., 135). 77. აჰა, ერთიც დალიე (თ. ბიბ., 392). 78. ეჰ, გადის სინათლე და უნდა გაჰყვეს! არიქა, კიდევ, კიდევ! მადლობა ღმერთს!.. უჰ, არ ამოისუნთქა?! (ო. იოს., 91). 79. ეუჰ, რას ამბობ მამა (ო. იოს., 309). 80. ეე, ხათაბალა ხარო, შენთვის ვერაფერი უსწავლებიათ სკოლაში (რ. ინან., 8). 81. ჰი, ჰი, – ჩაიცინა და თან ბალახში იყურებოდა (ო. ჭილ., II, 201). 82. ეი! – დაუძახა ალექსანდრემ

დასლიდარს (ო. ჭილ., II, 210). 83. აჰა, დამდაბლდა ჩემი საყდარი (ა. კალანდ., 98). 84. ო, სული ჩემი შენ გეძებს ყველგან (ა. კალანდ., 84). 85. ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში! ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში (მ. ლებ., 387). 86. ჰოი, რა ტკბილი საღამოა, ამაღამ ეცერის კარად! (მ. ლებ., 403). 87. ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით, წინა წავედით გაბედვით (ილია, 52). 88. ვაიმე, შვილო, შენს წასვლასთან მიქრება ალი (ილია, 129). 89. ო, მე არ მინდა სხვა საჩუქარი (ლ. ასათ., 109). 90. აბა, როგორ არ მიყვარდეს ჩემი თავგადასავალი?! (ლ. ასათ., 83). 91. ჰა, ჰა, ჰა... ჩვენ უკეე შეერიგდით (გ. რობაქ., 85). 92. ერთობის იმედი ჰქონდა, ვაჰ, რო გაუწყდა მავთული (ვაჟა, 81). 93. ახ, მთებო, ამწვანებულო, როდისა გნახოთ თვალითა? (ვაჟა, 77). 94. ო, რა უფლებით, შენ თავი შენი წამართვი, ო, რა უფლებით, სიყვარული წარმილე (ი. ჯოლბ., 67). 95. ღე, თეთრი ყვავილებით იყოს დაფენილი ცისფრად დაფერილი შენი გზა (ი. ჯოლბ., 88). 96. მაგრამ, ვიშ! მე რომ უშენოდ მარტო მოვკვდები (ილია, 128). 97. ოჰ, საქართველოვ! მშურს და მწყურის მუხების ბედი (მ. ლებ., 153). 98. ოჰ, იმ სიგიჟეს ვაშა, გზას რომ უკუნშიც იგნებს (მ. ლებ., 156). 99. აუჰ, კარები ღიად არ დამრჩენია? (ო. იოს., 340). 100. ვაჰმე, სადა და სადაა, კრწანისზე გასწყდნენ ყველანი (ვაჟა, 43). 101. ო, თმებიც შენი ოქროსფერი იით ავსილა (ა. კალანდ., 199). 102. ოი, დუხჭირო ბედო, მზაკვარო, ნორჩი სიცოცხლის არ გამკითხავო, ფეხქვეშ გამგებო (ა. კალანდ., 211). 103. აჰა, ეს კრავი, ჩემი ხელით ნასათუთევი, სხვა ვერაფერი გარგე ჩემო სათაყვანებო (ი. ჯოლბ., 172). 104. ეჰ, მეც მიყვარდა და ფერმიხდილი მეც დავდიოდი რუსთაველზედა (ლ. ასათ., 76). 105. ჰოი, გვედრებ მდინარევ, იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ! (ილია, 45).

## რთული თანწყობილი წინადადება

*§ 85. უკავშირო.* 1. სიო მსუბუქად მიმოარხევს ვაშლის ხეივანს, თეთრი ყვავილი ლურჯ მინდორზე დაჯდება როკვით (ა. კალანდ., 210). 2. დინჯად მისდევს კვალში ძველი გუთანი, ვერ წაიღებს ხორბალს სულთამხუთავი (ა. კალანდ., 25). 3. ანგელოსები ზარებს რეკავენ, კრთიან მათი პატარა ფრთები (ა. კალანდ., 75). 4. თეთრი ბატები კიკნიან ანწლს, ჭრელი გოჭები თოხნიან ვარცლს, გოგო ჭალაში მიდენის თხებს, ჭიშკარში ფრთხილი ნაგაზი ჰყეფს (მ. ლებ., 481). 5. ისვენებს ჩემი მშობელი ხალხი, სერზე ჭადრები ჩამდგარან მწკრივში, დაშიშვლებულან მუხები შავად (მ. ლებ., 502). 6. მთიბავი თიბავს, მთოხნელი თოხნის, მხატვარი ხატავს, პოეტი მღერის, ძველი მხედარი ძველ გზაზე მოჰქრის (მ. ლებ., 301). 7. მთა-ბარს შეენიან ჭრელი ფარჩები, პეპლებს დასდევენ შენი ბავშვები (მ. ლებ., 476). 8. სასაფლაოზე შავი პატარა ბორცვი აღარსად ჩანდა, ერთიანად თოვლს დაეფარა, ირგვლივ ყველაფერი თეთრად ქათქათებდა (გ. ფანჯ., 83). 9. გრილი ნიავი უბერავდა, ხეები სასიამოვნოდ შრიალებდნენ, აქა-იქ უკვე ისმოდა გალობა, ჩიტები შუადღის სიცხის შემდეგ თითქოს ერთბაშად გამოცოცხლდნენ (გ. ფანჯ., 37). 10. იასამანს გული სტკივა, შროშანა პირს ილამაზებს, ბალახს ლხენით ცრემლი სცვივა (პ. იაშვ., 67). 11. ცხენი ვერ აპობს აზელილ ტლაპოს, მდუღარე საპონს ჰგავს ტბორზე ტბორი (პ. იაშვ., 195). 12. ხბოს მოდენიდა პატარა გოგო, მე ახლაც მახსოვს სიმღერა მისი (ო. ჭილ., I, 545). 13. ლაპარაკობდნენ ხეები ძილშიც, ტოტებში ქარი წიოდა მწარედ (ო. ჭილ., II, 530). 14. აყვავედებიან მინდვრები, მწვანე ამოჰხეთქს ხშირადა, ტყე ფოთლით გაიბურება ჭალების, მთების პირადა (ვაჟა, 84). 15. ჩამოდის დაბლა ფოთოლი, ირცვება მთელი ბუნება, ნაღვლით იმსჭვალების და ფიქრით ცხოველ-ფრინველთა გონება (ვაჟა, 69). 16. ახლა მათ გადაუარეს თავზე ტყვიებმა, ცხენები ადგილზე ცემდნენ ტორებს (ო. იოს., 12). 17. ბექა ერთიანად გაწითლდა, კისერზე ძარღვები დაებერა, საჭეზე ჩაჭიდებული დიდი ხელები შეუთრთოლდა (ნ. ონაშ., 125). 18. ზეცის ხასხასა სილურჯე თანდათან მორუხო ნაცრისფერში გადადიოდა, მღვრიე მწუხრში მოლიცლიცე

ნათურები ღრუბლების მეწამულ ფონზე მოცისფრო-მომწვანო მძივებივით ჩანდნენ (ნ. ონაშ., 74). 19. მისჩერებია ცას სველი ტალღა, ჰაერში თრთიან ლანდები ხეთა, ვიღაცა მღერის მდინარის გაღმა (ო. ჭილ., I, 543). 20. დამედევნება წივილით ქარი, გამებლანდება ფეხებში ჩქერი (ო. ჭილ., I, 547). 21. დაჭკნა შროშანი, გახმა ვარდი, დამდაბლდა დაფნა (ა. კალანდ., 120). 22. ო, ეს ლერწამიც როგორ ხმაურობს, როგორ ირხევა ბანანის ჩრდილი (ა. კალანდ., 76). 23. მზე ჩადის, მწუხრი ვრცელდება ჩქარა, ზეცის ნაჭერი შეინდისფრად ღვივის (მ. ლებ., 509). 24. წვიმს, სველია ფიჩხები, გირჩები შიშინებენ, შემოდიან ნისლები, ტანსაცმელს გვიმძიმებენ (მ. ლებ., 14). 25. გზა თანდათან გაუარესდა, ერთ ადგილას მანქანის უკანა თვალი ტალახიან ორმოში ჩავარდა (გ. ფანჯ., 113). 26. მამამ ღამე დამიტოვა, დედამ კაბა შავი მითხოვა, ერთი სასაფლაო მქონდა, ისიც თოვლმა დამითოვა (მ. ლებ., 275). 27. დაყუდებულან კვიპაროსები, ჩაღამებულან სარკმლები შავად, ჩასძინებია მასპინძელს უკვე (მ. ლებ., 498). 28. უცნაურად ცარიელდება სამყარო უშენოდ, მტკიენეული სიმძიმით ივსება ყოველი წამი, გაუძლისი მარტოობა იბუდებს სულში (ნ. ონაშ., 53). 29. დაბურულ ფოთლებში ცა ოდნავ გაბაცდა, ვარსკვლავები მეტი ელვარებით აკაშკაშდნენ, ნათურები კიდევ უფრო გახუნდნენ (ნ. ონაშ., 152). 30. ასი ენა დაილაპარაკებს, ასი პირი დაიჩივლებს (თ. სახ., 29). 31. იწყე ცხოვრება ისევ თავიდან, ლხინზე გეძახის ჩვენი ქვეყანა (პ. იაშვ., 212). 32. სხვისამ იჟღეროს ჩონგურმა, სხვამ ააქუხოს ნაღარა (ვაჟა, 68). 33. ძია სერგო მოიღუშა, დეიდა ელენე გაიბუტა, მე გული დამწყდა, თვალები ცრემლით ამევსო (ნ. ონაშ., 72). 34. ულიმღამო ხდება სიცოცხლე, უსაშველოდ გრძელდება მისი მოსაწყენი გზა, მდორე და ერთფეროვანი მეჩვენება ცხოვრება (ნ. ონაშ., 53). 35. მე გიყიდი წითელყვითელ ჩითებს, თეთრი ტილო მომიქარგე შენ (მ. ლებ., 519). 36. ნისლში შუამთა მოჩანს, სდუმს იყალთო და გრემი (მ. ლებ., 499). 37. ფიქრს დაუღლია ონისე, ბახტრიონს მიდის ლელაი (ა. კალანდ., 28). 38. ქორწილიც მალე იქნება, ცხვრები უკვე სუქდებიან (გ. ფანჯ., 71). 39. თავს დამყეფს შავი ყორანი, მიყაშყაშებენ სვავები (ვაჟა, 60). 40. უცბად ჭრაქი ინთება, თოელს ბუხარი გაბურღავს, შორს ფანჯარა ბრწყინდება (მ. ლებ., 28).

41. ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა, იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა (მ. ლებ., 342). 42. ქარი ქრის, ქარი უბერავს, ცახცახებს ცეცხლის პეპელა (ო. ჭილ., I, 540). 43. რა არის ვაჟი მწყემსობდეს, ქალმა აბუდოს კრუხები (პ. იაშვ., 230). 44. ის ფართო ნაბიჯით მიდიოდა, მე მიწას ფეხს არ ვაკარებდი (ნ. ონაშ., 72). 45. მკლავებზე დაბაბული კუნთები უთრთოდა, გული ძალუმად უცემდა, ღრმად და ხშირად სუნთქავდა (ნ. ონაშ., 415). 46. ლურჯი სუფრები გაშალეს, ტკბილმოუბარობს მყეფარი (ა. კალანდ., 415). 47. ბრწყინავს ომალო თევზის ქერეჭით, ცისფერ ყვავილთა ტბები ბზინავენ (ა. კალანდ., 277). 48. გალაკტიონის თემა მკვიდრდება, ხუროთმოძღვართა ვლინდება დასი (მ. ლებ., 359). 49. აკაკი მოკვდა, მოკვდა ვაჟაც, ილია მოჰკლეს, გალაკტიონმა, ეიცით, თვითონ გაშალა ფრთები (მ. ლებ., 261). 50. მზე გადახრილიყო, ფოთლებმა ოდნავ გაიშრიალეს, ჰაერმა კიდევ უფრო დაარეტიანა ოთარი (გ. ფანჯ., 26). 51. მომხედოს კიდევ უფალმა, იქნებ არ შერცხვეს ჭაღარა (ვაჟა, 68). 52. გზა ციცაბოზე ჰკიდია, ჩიტი ვერ ჩამოფრინდება (ა. კალანდ., 416). 53. აქ დაიბადა „სულიკო“, მზისკენ გაფრინდა „მერანი“ (ა. კალანდ., 29). 54. დამსწრეთა სახეზე სიხარულის გრძნობა იხატებოდა, მარტო ვაჟაფშაველა იჯდა სერიოზულად (კ. ყმა, 60). 55. ნიავი შეწყდა, წამოვიდა ხშირი, მხაპუნა წვიმა, ცა თითქოს გარღვეულიყო (ა. ყაზბ., 49). 56. ამობრიალდება ძველი დისკო, დიადემა მწველი, გამოკრიალდება ზეცა, გამოჭიატდება ველი (მ. ლებ., 188). 57. შეგირდებმა გადაიხარხარეს, მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა (აკაკი, 146). 58. ქალბატონი თამარი შეკრთა, სათვალე ცხვირზე ჩამოუცურდა (ნ. ონაშ., 80). 59. გამიხსნა გული გაზაფხულმა თვალგახელილმა, აღგავა ქარმა სიკვდილისა მწარე გოდება (ა. კალანდ., 210). 60. ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი (ა. კალანდ., 27). 61. ფერხულს დააბამს ბუნება, მღერას იწყებენ მწერები (ვაჟა, 70). 62. კერიის ჯაჭვში მსტვინავი სტვინავს, შუამთის თავზე ვარსკვლავი ბრწყინავს (მ. ლებ., 180). 63. გარინდებულა დედა-ბუნება, მდუმარებს ყანა, მდუმარებს არხი (მ. ლებ., 503). 64. მარტოდმარტო ვიდექი, ყელში ბურთივით მებჯინებოდა მოძალებული ცრემლი (ნ. ონაშ., 65). 65. ცისარტყელები გადმოდგნენ მთაზე, ისევ აყეფდა

მდინარე ხევში (ო. ჭილ., I, 545). 66. დარაბებს იქაც კეტავდნენ დროზე, ძაღლები იქაც დილამდე ყეფდნენ (ო. ჭილ., II, 431). 67. მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში, რტოს არხევდა, ნამს იშრობდა ნაძ-ვი, ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე (ა. კალანდ., 261). 68. ძვე-ლი ზარები გრგვინავდნენ გარეთ, გზას მიიკვლევდა ხალხში მიმოზა (ა. კალანდ., 357). 69. წვრილ ვარსკვლავებს მთვარე მახვშობს, მთებს მარადი თოვლი ადევს (მ. ლებ., 402). 70. წამს შუაცეცხლი დავითმა ჩართო, სახლმუზეუმი გიორგიმ განდო (მ. ლებ., 179). 71. ჩამოუქროლებს თელიანს ძერა, ჩიტები ცაში აირევიან (ო. ჭილ., I, 543). 72. ზეცაში ფრინველი ვერ გადაი-ფრენს, ძირს, მიწაზე, ჭიანჭველა ვერ გაივლის ჩემი შიშით (თ. სახ., 210). 73. ქაშვეთის ტაძარში მივედი, დიდძალი ხალხი ირეოდა, შესვლა არ შეიძლებოდა (კ. ყმა, 304). 74. კლდეები ირღვეოდნენ, ქვა-ღორღი მოცვიოდა (მ. ლებ., 48). 75. მაინც იხატება ქვეყნის კონტურები, მწვანე აბლაბუდა იბლანდება (მ. ლებ., 428). 76. თვითმფრინავი დაბლა ეშვებოდა, რყევამ იმატა, მეზობელი ხმამაღლა კვნესოდა (გ. ფანჯ., 172). 77. მიდიხართ კვლავ მტვრიან შარაზე, ვხედავ თქვენს ოფლიან ზურგებს (ა. კალანდ., 380). 78. სდუმდნენ დიდოსტატები, იდგნენ მხრების კანკალით, დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი (მ. ლებ., 343). 79. ერთმანეთს შეეხვდით, ყვავილებით ხარობდა ველი (პ. იაშვ., 75). 80. მე სხვანაირი ვიყავი ადრე, სულ სხვა-ნაირად ბრწყინავდა მთვარეც (ო. ჭილ., II, 445). 81. მერე საყ-ვარელი ლექსის სეანსი დაიწყო, ყველამ თავისი სათაყვანე-ბელი პოეტი წაიკითხა (ნ. ონაშ., 180). 82. შორს კლდეში ჭოტი გაჰკივის, მდინარე მიდის დუდუნით (ლ. ასათ., 90). 83. სუ-ლიერივით დარბოდნენ ხენი, ფრინველებს ლხენით ვესროდი ისარს (ლ. ასათ., 22). 84. კაცივით ოხრავს ჩარხის წისქვილი, ჭერი სავსეა აბლაბუდებით (ნ. სამად., 20). 85. დაუსუსხია ბზის ბუჩქი ჭინჭარს, ქანდაკება დგას აღთქმული მგზავრის, ტაძრის ფუტურო ქერქში ჭრიჭინებს (ნ. სამად., 11). 86. ფითრდებიან დღეები, მწიფდებიან პანტები, ბოყვას, ბოყო-ტყეებით ჩამო-დიან დათვები (მ. ლებ., 160). 87. ზოგს ის ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაუხუმრებდა (ილია, 378). 88. მზე და სამშო-ბლო გაწვდიან საშველს, შენ კოლოები ველარ დაგღლიან (პ.

იაშვ., 196). 89. უეცრად მოისმა საშინელი ყვირილი, განთქმულ მებრძოლთა სახელი ელვასავით მოეფინა მთელ ხალხს (ი. გრიშ., 30). 90. შარიშურობენ ბაღში რტოები, ვაშლის ხეებმა ველი დათოვეს (ლ. ასათ., 108). 91. ხორბლის სურნელი ასდით კალოებს, მზეც ძველებურად არ იკბინება (ლ. ასათ., 38). 92. ვიღაცა ჭრაქით დახედავს საფქვავს, წნორი ალაზანს შესვამს ფესვებით (ნ. სამად., 19). 93. ლოდების ბღავილს მთების ზათქი ჩააფრინდება, ჩემი ლექსები შენს უბეში იფართხალებენ (ნ. სამად., 141). 94. ჩაბნელდებიან ხევები, გაჩნდება მეხთა ტკრციალი, ათრთოლდებიან ხეები, კლდეებზედ დაიკეცება სვავთა და არწივთ ფრთეები (ვაჟა, 13). 95. ვზივარ ჭვარტლიან ბუხართან, სცრის ნოემბერი მტირალა (მ. ლებ., 341). 96. დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა, სიციეე მკვიდრობს ეხლა ჩემს გულში (ილია, 69). 97. ბერიკაცები ქუდს იხდიდნენ, დედაკაცები შავ მანდილებს აფრიალებდნენ (თ. ბიბ., 134). 98. ჭერი შეინძრა, იატაკმა გაიჰრიალა, თაიგულივით ხელში შერჩა ჭრელი ჭინჭილა (ლ. ასათ., 86). 99. ვდგევარ მარტოკა, ჩემი ნაძვები მიქნევენ ტოტებს და ბრუნდებიან (ნ. სამად., 60). 100. შენ ჩაფიქრდები საყდრის ნანგრევთან, სტვენით გადიელის ქალაქს ღრუბელი (ნ. სამად., 70). 101. ბიჭი-გოგია აჭიკჭიკდება, აბიბინდება მინდორში მოლი (მ. ლებ., 476). 102. აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი, ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა (ილია, 116). 103. გარეთ კი წელიწადის დრონი ერთმანეთს ცვლიდნენ, ხეები ყვაოდნენ, ნაყოფით იხუნძლებოდნენ, ჭკნებოდნენ და შიშველდებოდნენ, ქარი ხმელ ფოთლებს უთავბოლოდ დააქროლებდა (ო. ჭილ., I, 446). 104. მათი ხმალი ცეცხლს აფრქევევდა, მტერი თრთოდა ვერანი (ლ. ასათ., 34). 105. აქა-იქ ცეცხლი ანთია, თოფზე მიკრულან გუშაგნი (ლ. ასათ., 90). 106. სოფლის წისქვილთან რუ ადიდდება, ქუხილი მთებში ჩაისვრის აჩრდილს (ნ. სამად., 64). 107. ფოცხერევს გადმოდგა ვარსკვლავი, ორღობეებში ბინდია (მ. ლებ., 375). 108. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია (ილია, 379). 109. გარშემო ღამე ტრიალებდა, მასპინძლები თავდაყირა დგებოდნენ, მდინარის ხმაური უფრო ყრუდ მოისმოდა (თ. ბიბ., 38). 110. დიდ ქვაბში ცხვარი იხარშებოდა, ირგვლივ სასიამოვნო სუნი იდგა (გ. ფანჯ., 81). 111. ამ

ღამით იძრა კოლხიდის მიწა, გავარდა მეხი, გამოკრთა ელვა (ლ. ასათ., 105). 112. მზე მიცურავდა სხივთა რიალით, ცაზე დაქროდა სამხრეთის ქარი (ლ. ასათ., 111). 113. საღამო ხანი ზარებსა რეკდა, ქრუანტელს ჰკვრიდა ცის ხმის სიამე (ნ. სამად., 33). 114. ჩამხრჩვალი სივრცე ყრუდ იშიშინებს, ხმას გაიკმენდავს ზღვა და გრიგალი (ნ. სამად., 23). 115. ცეცხლი გატკბა, დაფასდა, მყეფრები ფათ·ურობენ, მონადირის ლამპასთან პეპლები მატ·ულობენ (მ. ლებ., 12). 116. წავიდა ის დრო, დაჩლ·უნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა (ილია, 680). 117. ქორწილებიც მაშინ იციან, ყველა მაშინ დაბინავდება (ილია, 405). 118. ძველი დიდება ჩვენი გაფრინდა, ჩრდილი მოადგა ხეობებს რაჭულს (მ. ლებ., 93). 119. სიონში მრევლის ტევა არ იყო, გარეთ გალობდნენ მწირი ბერები (ნ. სამად., 17). 120. მზე გაანათებს მაღალ მწვერვალებს, აჟღ·ურტ·ულდება ფშანში ფრინველი (ლ. ასათ., 103). 121. წარს·ულს შეერია წლები ყვავილობის, მზისხელა ფოთლებმა დაფარა ნაკალი (ი. ჯოლბ., 27). 122. ზღვიდან ამოვიდნენ თეთრი ალუჩები, ცას ფერი დაედო დიდი გათენების, წყალზე თვალს ახელენ ციცინათელები (ი. ჯოლბ., 55). 123. გარშემო სოფელი ხმა·ურობდა, უკრავდა დოლი, ტყაპუნობდა დიპლიპიტო, ზუზუნებდა ჭ·უნირი, ჭყიოდა ზურნა, სცემდა დაფი, ნაღარა, უხმობდა ბუკი (თ. ბიბ., 144). 124. იკარგებოდა ყოველი ფიქრი, ინთქმებოდა ყოველი ს·ურვა, იკეცებოდა ყოველი ნაოჭი ყოველი გაეჭვების, იწ·ურებოდა ყოველი გაორება, რჩებოდა მხოლოდ ლითონსხე·ული (გ. რობაქ., 350). 125. ამწვანებულა ძველი ხესილი, გაცოცხლებ·ულან ძველი ბიჭები (ლ. ასათ., 63). 126. მავთულებში სველი ქარი წივის, გადიქროლა წეროების მწკრივმა, ს·ურნელება დამიტოვა წვიმის (ო. ჭილ., I, 542). 127. წითლდებიან თრიმლები, ყვითლდებიან ნეშონი, დგება წვრილი წვიმების და მოწყენის სეზონი (მ. ლებ., 160). 128. მან გამირღვია მაკრატლით ტოტი მუხლქვემოთ შარვლის, მე ორ-სამ ნამსხვრევს ნაღმისას ვგრძნობდი ძვალრბილში გაელილს (მ. ლებ., 75). 129. მომაგონდება ყეირილას პირას მაღალი ბზისა ნათელი ტოტი, პაწაწკინტელა კარის საყდარზე უუძველესი ვარსკვლავი კრთოდა (ა. კალანდ., 177). 130. ჩვენს ღელეებში ახლა ამოდის ფშალი, გაფურჩქენილა ძეწნა და ტირიფი, ქალები კრეფენ ადრეულ ეკალას, იფრქვევა

ახლად მოხნული მიწის სუნი, მალე დაიჩეკებიან პირველი ბარტყები, ჩეროში სკუპ-სკუპით დახტიან თეთრ-თეთრი თიკნები (ლ. ასათ., 148). 131. მზე გადიოდა ცას ბორანივით, ტყეში შიშეული ქარი კიოდა (ნ. სამად., 15). 132. წვიმს და დედოფლები კდემით ცახცახებენ, წვეთებს ვარდებისკენ მიუხარიათ (ი. ჯოლბ., 40). 133. მიწა იძრწოდეს, ღრუბელნი ფუოდენ, ხტოდენ შავადა, კეკლუცნი წვრილნი ვარსკვლავნი, მთებზე სხდებოდნენ ჯარადა (ვაჟა, 8). 134. თოვლი დამდნარა მთაზედა, ხევებზე მოჰყეფს ღვარია, აქით არაგვი აყვირდა, იქით ბანს აძლევს მტკვარია (ვაჟა, 29).

§ 86. *მაჯგუფებელკავშირიანი.* 1. გარეთ კი მართლა მოვიდა თოვლი და გაფითრებულ კედლების გასწვრივ შეციებული ყეფენ ძაღლები (ო. ჭილ., II, 430). 2. კვლავ მისდევენ ჩრდილებს ჩრდილები და ცხელ რკინაზე იმსხვრევა სხივი (ო. ჭილ., I, 573). 3. ცარიელდება საწოლები და თეთრ კედელზე რჩება სურათი გულუბრყვილოდ მომღიმარი კაცის (ო. ჭილ., I, 592). 4. იცვამს მზექალი მზეასხმულ ქოშებს და ანანაევებს ვარძიის ქარი საქართველოის უძლეველ დროშებს (ა. კალანდ., 263). 5. მგლისფერ ღრუბლებში გმინვა მოისმის და ქარიშხალმაც მოითქვა სული (ა. კალანდ., 203). 6. ძოწისფერად ირიჟრაჟა ცამან და პეპელას ალვიძებს ქარი (ა. კალანდ., 261). 7. მერე მეორე ნაბიჯს გადაედგამთ და ისევ გაჩირაღდნდება მთებში მიყუჟული სოფელი (ნ. ონაშ., 5). 8. ჩვენ მუდამ მეგობრები ვიქნებით და ეს მეგობრობა წვრილმანი უთანხმოებით არ უნდა დაიჩრდილოს (ნ. ონაშ., 163). 9. მის ძლიერ მკლავებში სუსტი, უნუგეშო ახლობელი ტიროდა და ისიც ნუგეშსა და თანაგრძნობას არ იშურებდა (ნ. ონაშ., 56). 10. მაღლიდან ორბის თვალებივით იყურებოდა გამოქვაბულები და კარგა ჩანდა ამ გამოქვაბულთა წინა მოედანი (ო. იოს., 60). 11. ულმერთოდ ციოდა და ჯანდი არ ჩქარობდა ხევების მიტოვებას (ო. იოს., 74). 12. შენი ყვავილნი მაშინ უფრო აყვავდებიან და წყაროებიც უფრო ლაღად იწყებენ რაკრაკს (პ. იაშვ., 274). 13. მე დავშორდები ძვირფას პოეტებს და თან წამყვება ვაჟას კრებული (პ. იაშვ., 134). 14. ეს ლექსიც მწყემსის გულს გარეთაა და

ცხვარი წიწკნის ბულგარულ ბალახს (მ. ლებ., 185). 15. და წამოიწევს პოეტი მაშინ, და ყურს ცქვეტს მაშინ ღვია და ღეკა, და შეჩერდება მზე წუთით ცაში, და მაღლა ცაში ატყდება რეკა (მ. ლებ., 201). 16. შეახტუნებს დეზით, ცხენი სიპზე შეხტება და პანკისის კლდეში მეფეს თუში შეხვდება (მ. ლებ., 432). 17. ორკესტრმა რაღაც მექსიკური მელოდია დაუკრა და სქელმა მომღერალმა ქალმა ესპანურ ენაზე დაიწყო სიმღერა (გ. ფანჯ., 50). 18. გზა კი გრძელდება და უკან მიჰქრის მზესთან ალერსით დაღლილი ყანა (ო. ჭილ., II, 461). 19. ძაღლები ყეფდნენ და მწყემსის სახეს ირიბად ჭრიდა ცახცახა სხივი (ო. ჭილ., II, 429). 20. ქარს შემოდგომის სურნელი მოაქვს და გასცქერიან შარას ბეღლები (ო. ჭილ., I, 542). 21. შენ სადღაც ქრებოდი უცებ და ჩაღდებოდა ირგვლივ კოცონი (ო. ჭილ., II, 440). 22. ჩუმად ციმციმებს თეთრი სადაფი და ბრწყინავს, ბრწყინავს ზღვა და ხმელეთი (ა. კალანდ., 336). 23. მიახლოვდება ცის ლურჯი სული, ლურჯი ნათელი მიახლოვდება, სადღაცა, ზევით იღება კარი და ირწევიან ვერხვის ტოტები (ა. კალანდ., 324). 24. ატირდნენ მთები და ლამის მეც ავტირდე, ნაძვები დაღონდნენ და მეც... მეც ვღონდები (ა. კალანდ., 209). 25. მთელი გულისყური თემოს პორტრეტისაკენ მქონდა მიპყრობილი და ტილოზე ნელა იკვეთებოდა მისი სახის ჯერ ბუნდოვანი სილუეტი (ნ. ონაშ., 98). 26. უპასუხა დაბალმა, ყრუ ბარიტონმა და ყველაფერი ისევ სიცხის ბუღში მიყუჩდა (ნ. ონაშ., 21). 27. ისევ წელანდელივით გადამხვია ხელი და ისევ ელვარე სიმსუბუქეში ატივტივდა მთელი სამყარო (ნ. ონაშ., 11). 28. ქარი ასისინდა და ცა უცბად ღრუბლებით დაიფარა (ო. იოს., 58). 29. მზე მწვერვალების ქიმებს ჯერ კიდევ ანათებდა და შორს თეთრ მყინვარსაც წითელი ღრუბლები ეხვია (ო. იოს., 50). 30. მიწა ზრიალებს, ტყე იბუგება და წამლის კვამლი ცას ეფინება (პ. იაშვ., 191). 31. პირამიდებში გაიფანტა ნისლი სიბნელის და კიდევ ერთხელ მოშვილდაობს მეფის მსახური (პ. იაშვ., 83). 32. არც პასუხი სროლაზე, არც ტყვია წივის, არც ქვემეხი ჰქუხს გახელებით (მ. ლებ., 126). 33. გამოიღიმა ნათლად მთამაცა და მზისა სხივით გაბრწყინებული კვლავ დაეინასე მოხუცებული (ილია, 121). 34. ქალიშვილები წავიდნენ და ნოდარმა ბურთი მომაწოდა (გ. ფანჯ., 66). 35. ჩვენ ფიცხლავ ჩავჩუმდებოდით

ხოლმე და ერთი-ორი საათით მაინც ისვენებდა საბრალო დედაჩვენი (მოგ. აკ., 48). 36. იმათას ვერც არას ცეცხლი დაწ-ვავდა და ვერც არას წყალი წაიღებდა (თ. სახ., 286). 37. ფიქრს ცვლიდა ფიქრი, წამს ცვლიდა წამი და გზებიც ისევ ერთმანეთს ცვლიდნენ (ო. ჭილ., II, 496). 38. გზის პირას იდგა პატარა სახ-ლი და მის გარშემო ტყე კანკალებდა (ო. ჭილ., II, 490). 39. უკა-ცურ ქუჩებს უფრთხოდა მთვარეც და იწყებოდა წვიმა, თა-ვისით (ო. ჭილ., II, 522). 40. დამფრთხალი ჩრდილი კედელზე მიხტის და მაგიდაზე რაღაცა ბზინავს (ო. ჭილ., I, 574). 41. სახ-რჩობელაზე ვიღაც ქანაობს და შემზარავი კივილი ისმის (ა. კალანდ., 74). 42. თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ (ა. კალანდ., 251). 43. დრო თითქოს ტაატით მიდიოდა და მაინც უკვე მიიწურა შუაღლე (ნ. ონაშ., 142). 44. გადავდგამთ ერთ ნაბიჯს და ჩვენს ნაფეხურზე უმალ განათდება წყედიადი (ნ. ონაშ., 5). 45. შორს გრუხუნებდა და თვითმფრინავები ზუზუნებდნენ (ო. იოს., 56). 46. მას უკან დარჩა უკვე ჭოროხი და მოაღწია საზღვრებთან მტერმა (პ. იაშვ., 95). 47. წიგნს წერ, ბუზღუნებს წიგნი და მიიკლაკნება ზე-ცისკენ ფიქრი (მ. ლებ., 310). 48. მე ვფხიზლდებოდი და დიდი ბა-ღი ბრწყინავდა წვიმის ყალბი მძივებით (ო. ჭილ., II, 469). 49. ძვე-ლი, ბებერი ცა იხურება და იკარგება ხეებში კვალი (ო. ჭილ., I, 545). 50. ვეფხვების ცნობილი მწვრთნელიც ეძახის ვეფხვებს და ვეფხვიც ნელა შემოდის, როგორც ჭრელი ღრუბელი (ო. ჭილ., II, 503). 51. ქვებზე კი იწვა სინათლის ზოლი და მე მა-შინვე მითხრა მდინარემ (ო. ჭილ., II, 447). 52. ძველ გვირ-გვინებში ხმაურობს ქარი და ნაღვლიანად დუმან ჩანგები (ა. კალანდ., 353). 53. უცებ გაჩუმდნენ და მეც მაშინვე ავწიე თავი (ნ. ონაშ., 179). 54. დათომ მაინც გააღო კარი და დაირღვა, გაიფანტა, გაქრა ყოველგვარი იდუმალება (ნ. ონაშ., 181). 55. ხეს ფოთლები ჩამოსცვივიდა და შრიალი ისმის (პ. იაშვ., 207). 56. თოვდა ჯიუტად და ნოხებს პფენდა ცა დაქინებით (მ. ლებ., 78). 57. სველ აფიშას კითხულობს ქოლგა და თავისი გზით მიქრის ტრამვაი (ო. ჭილ., I, 555). 58. ბალახი ღელავს და სადღაც მღერის ჭრიჭინობელა (ო. ჭილ., I, 543). 59. ერთ წალ-კოტში მიეძინა და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს (ა. კა-ლანდ., 251). 60. თემომ კენჭი მესროლა და მეც დავბრუნდი ზე-

ციდან (ნ. ონაშ., 96). 61. ავარდა მიწა მზეში და დაეშვა ზეცა ქვევით (მ. ლებ., 466). 62. ალბათ ღრუბელი გახშირდა და ჰაერი დანოტიოვდა (ო. იოს., 86). 63. რიყეში ცხელი ქვა იყო და ზედ ეწვავდით მურწას (მ. ლებ., 531). 64. აი, უკვე იწყება წვიმაც და შენი თეთრი გუმბათი მოჩანს (ო. ჭილ., II, 521). 65. მდინარის პირას ისვენებს სერი და აჩერებენ ბოშები ურმებს (ო. ჭილ., I, 566). 66. გავჩერდეთ, გაჩუმდეთ და ფეხქვეშ შეწყდება ფოთლების ხმაური (ა. კალანდ., 300). 67. მან უხმოდ წაიკითხა და მე ღიმილი გადამეფინა სახეზე (ნ. ონაშ., 62). 68. სიტყვა მართალი გაჩაღდა, ვხედავ და მღერის ჩემში ხმა უტკბილესი (პ. იაშვ., 151). 69. გრიალებს ტაში, მედუდუკეებმა ჩაბერეს და ომახიანი მელოდიები ჰაერს აპობენ (მოგ. აკ., 67). 70. აი, ცაში აფრენილი თითქოს და ბატკანივით დაფრთხნენ ღრუბლები (ო. ჭილ., I, 541). 71. ყვიროდა ვიღაც და სველ თოკებში იხლართებოდა ზღვაც და ხმელეთიც (ო. ჭილ., I, 567). 72. ძაღლი შეუყეფს ვიღაც წინაპარს და თვალს გაახელს ხარი მძინარე (ნ. სამად., 19). 73. სალამს გვაძლევდნენ დიდი ხეები და მოგვყვებოდნენ უკან ჩურჩულით გაუთენარი ჩვენი დღეები (ნ. სამად., 27). 74. ხალხს გაეცინა და მღვდელსაც ღიმილი მოერია (ილია, 379). 75. არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება (ილია, 318). 76. ახლა ორი საათი ამის შეკეთებას მოვუნდებით და შენი გულისათვის მთელი საამქრო გაჩერდება (გ. ფანჯ., 72). 77. ფოთლები ქარში მიფრინავენ მღერით, ცეკვით და ვარდი ჭკნება სასაფლაოზე (ა. კალანდ., 352). 78. კვალდაკარგული მთების ჯოგი იხეტიალებს და მწვანე ტალღა სადმე ქვებთან ყრუდ მომიგონებს (ნ. სამად., 30). 79. ქანდაკებები ნაძვებიდან დაიყვირებენ და კრუხებივით დაფრთხებიან ციდან მზეები (ნ. სამად., 51). 80. მომღერალი მღეროდა და აბანოს გამაგრილებელი თაღები განსაკუთრებულ ბანს აძლევდა (ი. გრიშ., 64). 81. აუზების ნაცვლად კლდე იყო ამოღრმავებული და აბანოში მაშხლები ენთო (ი. გრიშ., 58). 82. გაფრინდა ჩემი ნოეს მტრედი და თვალი ჩემი მიეკრა იმ ღობეს (ილია, 413). 83. კრუანტელმა დამირბინა ტანში და კბილებმა კრაჭუნი დამიწყეს (ილია, 422). 84. დავეშვით ქვევით და ბეთანიამ ზურგი გვაქცია, ტყეს შეეფარა (ნ. სამად., 9). 85. ერეკლემ გაიმარჯვა, ყეენი დამარცხდა და ასე იოლად გადარჩა საქართველო აკლებას (ი. გრიშ., 97).

86. შრიალებს ტყე და ფარფატებს ქარი (ლ. ასათ., 27). 87. იწვოდა გული, ღვიოდა ხნული და იდგა ნახნავ მიწის სურნელი (ლ. ასათ., 28). 88. მზე ჩადიოდა და სრულდებოდა ჩემი ლექსი და ჩემი პოემა (ლ. ასათ., 116). 89. შხუოდა გემი სიერცეების ტრიალო ზღვაზე და ლაქვარდის ველი ვერ იტევდა ნაქარევ ფოთლებს (ნ. სამად., 103). 90. ძაღლებს სხვა დროსაც უჩხუბიათ და სოფელმა ახლაც ჯოხით გააშველა (თ. ბიბ., 282). 91. სპარსეთის ტიტველ ნაპრალებში ხანდახან ლომის გრგვინვა გადაევარდება ხოლმე და გრიალი ცხელი შურდულივით გაიკლაკნება ხახაგახსნილ ღრეში (გ. რობაქ., 128). 92. ცრემლმა გაახმო უვალი ტევრი და ხალხის ცრემლი ჭაობად იქცა (ლ. ასათ., 101). 93. გაევა მკაცრი ზამთარი და გაზაფხული დადგება მალე (ლ. ასათ., 103). 94. დილაც გათენდა და თეთრად კარვებზე დასხდნენ ნისლები (ლ. ასათ., 95). 95. შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა (ნ. სამად., 182). 96. ეხლა აქ იშლებოდა ახალი სუფრა, იმართებოდა ხელახალი ქეიფი და ისმოდა სადღეგრძელოები (ი. გრიშ., 62). 97. მზე მაღალ მთებში ამოდის და მოდის ქარი ზღვებიდან (პ. იაშვ., 143). 98. ყველგან ნახევრად ღიაა კარი და ციმციმებენ ჩიჩილაკები (ლ. ასათ., 81). 99. დაიგრუხუნა თბილისის ირგვლივ და წამოვიდა წვიმა შურდულით (ლ. ასათ., 64). 100. შრიალებს რტო და მიწიდან მესმის მკერდგანიერი პოეტის სუნთქვა (ლ. ასათ., 19). 101. აქ ორ დეკემბერს მუდამ მათი ხსენების დღეა და ცოცხალ ყვავილს დადებს ლამაზი მორავია (ა. კალანდ., 394). 102. მე ვენეციის ქუჩებიც ენახე, საოცრად ვიწრო, ჩუმი და გრილი და წყალში დგომით ფერწასულ სახლებს ხელში ეჭირათ გონდოლის ჩრდილი (ო. ჭილ., II, 462). 103. ბერი მონასტრის ბალახსა სცელავს და დაისები მწკრივად ჩადიან (ნ. სამად., 45). 104. ვიღაც ეპარება მეზობლის ჩურჩხელებს და ყეფენ ძაღლები სათონის გვერდით (ი. ჯოლბ., 140). 105. ქალაქში ბარ-ნიჩბების ხმამ მოაღწია და ვანელებმა მალე დაინახეს კიდეც წელამდე თხრილში ჩამდგარი ფრიქსე და მისი ვაჟები (ო. ჭილ., I, 41). 106. გამოიტყუა მარტმა კვირტები და მერე ქარმა დაიმარტოვა (ი. ჯოლბ., 101). 107. მოადგა მინდორ-ველს აპრილი ცხენდაცხენ და დაცხრნენ ავდრები, ჩამქრალა შანდალი (მ. ლებ., 51). 108. კედელს თრიმლის

ტოტი ამკობს, ზედ ოცნება აბლაბუდობს და გალიის ფრინველივით შინ სამშობლოს ფიქრი ბუდობს (მ. ლებ., 50). 109. ჩამჩერჩულებდა ნაზად წერილი და მომაგონდა ჩემი ბავშვობა, აწ გარდასული და გაფრენილი (ლ. ასათ., 20). 110. ტიროდა ხალხი და ხალხის ცრემლით იბერებოდა კოლხიდის მიწა (ლ. ასათ., 101). 111. ცა აირია, დაბნელდა უცებ და წამოვიდა სეტყვა შხუილით (ილია, 178). 112. ქარის სიცილში ძლიერდებოდა ყაყაჩოს ცეცხლი და შორს მიჰქონდა ქარს მიჯნურთა ფერადი ფერფლი (ი. ჯოლბ., 102). 113. გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე (ა. კალანდ., 19). 114. ესა თქვა და მისი ხმალი ორბელიძეს გაუშეირა და ამგვარმა მისმა სიტყვამ გულში ბევრი აატირა (აკაკი, 42). 115. კენჭებს ვესროდით მზეს დასამხრებულს და სიყვარული ძალას გვმატებდა (ნ. სამად., 27). 116. სადღაც ქარბუქი ლექსებს ამბობდა და ყურს უგდებდნენ სველი მტრედები (ნ. სამად., 180). 117. დღეს გაიღება ჩემი კარი  და შენ შემოხვალ (ი. ჯოლბ., 109). 118. გაათავეს სამზადისი და მოვიდა დღეც წასვლისა (ილია, 159). 119. აქ ჩაიმუხლებს ჩუმი მგზავრიც უდაბნოების, მშვიდი აქლემი და ლამაზი პალმის რტოები ესიტყვებიან ჩუმ ფიქრებს მისას (ა. კალანდ., 63). 120. თავგამოდებით გალობდა შაშვი და სხივთა მთოვარს ეთხოვებოდა მზეს ნაძვის წვერი (ა. კალანდ., 48).

*§ 87. მაპირისპირებელკავშირიანი.* 1. მთის ძირში წყალი აქაფებული მოჰხუოდა, წყლის აქეთ პირას კი გზატკეცილი მიიკლაკნებოდა (ილია., 435). 2. კმაყოფილებით უაღრესით ბუტბუტებს ოცხე, ხოლო სექტემბერი ალეისხეთა ვეება ცაცხვებს აქანებს ფრთხილად (მ. ლებ., 458). 3. კლდეზე შერჩენილი ეული ხმელი ხეები დგანან, ირგვლივ შემოჯარული მთები კი დუმან (ო. იოს., 159). 4. და ერთმანეთით გადაკვეთილებს ვერც ჩვენ სახლებს ვერ ვიხსენებდი, მაგრამ ზამთარი იყო კეთილი და მაფხიზლებდა სველი ხელებით (ო. ჭილ., II, 470). 5. გზაბნეული ფუტკარი თავგანწირვით დასდევდა სინათლის ნაკადს, მაგრამ ყველგან ცივი მინა ელობებოდა (ნ. ონაშ., 49). 6. ყოველი წერითი ნამუშევრის მიღმა ცოცხალი ადამიანი იდგა, ხოლო ამ ადამიანის ბედი ჩვენ ხელთ იყო (ნ. ონაშ., 158). 7. ძმები ხარაიძეები კარგი ოსტატები იყვნენ, მაგრამ ხიდაშელი ფო-

ლადის დნობას ყველა ღუმელში თვითონ ხელმძღვანელობდა (გ. ფანჯ., 249). 8. დღესაც დიდი სიხარულით ელოდნენ, სტუმრებიც საგანგებოდ დაპატიჟეს, მაგრამ ლევანს ახლა მათთვის არ ეცალა (გ. ფანჯ., 197). 9. ებრძვის წყალს მღვდელი, ხალხი კი აქედამ წასახალისებლად ხმას აძლევს (ილია, 399). 10. მე სიტყვა არ მითქვამს, მაგრამ ის გრძნობდა, როგორ მივღევდით (თ. ბიბ., 64). 11. ცაზე ღრუბელი ირეოდა, თორემ ნათელი ღამე უნდა ყოფილიყო (ო. იოს., 77). 12. მეც ღრუბელი ვარ, მაგრამ შენს მხარეს არ წამომიღებს ქარი დღეიდან (ო. ჭილ., II, 503). 13. სასოებით ხელგაწვდილი წავედი ნავისაკენ, მაგრამ ზღვა უცებ აიშალა (ნ. ონაშ., 22). 14. ვინმესგან ხომ უნდა ისწავლო ჭკუა, თორემ მარტო სტუდენტების ამარა ძნელია ცხოვრება (ნ. ონაშ., 165). 15. სტუდენტობის დროს გვარიანად ვთამაშობდი, მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა (გ. ფანჯ., 64). 16. ლევან ხიდაშელი ჯერ თვალითაც არავის ენახა, მისი სახელი და გვარი კი მთელმა კურსმა იცოდა (გ. ფანჯ., 222). 17. მასწავლებელი დაფრთხებოდა, ხოლო მოსწავლეები წამოვარდებოდნენ ზეზე (აკაკი, 148). 18. ხალხი ძირს იყო გაშლილი, მომღერლები კი იდგნენ მაღლობ ადგილას (ი. გრიშ., 70). 19. ბიჭი თხებს უსტვენს, მემშეიდობება და გარბის, მაგრამ მე აღარაფერი მესმის (თ. ბიბ., 75). 20. თვითონაც გადაიპატიჟებდნენ ხოლმე, მაგრამ ვაჟა ერიდებოდა სხვაგან სტუმრად სიარულს (კ. ყმა. 247). 21. ამ დაცინვის კილოთი გამოთქმულმა სიტყვამ მე ამაღელვა, ვაპირებდი პასუხის გაცემას, მაგრამ მოულოდნელად ჩვენ ბაასში ვაჟა ჩაერია (კ. ყმა, 64). 22. ბიჭი გააცდენს, ალბათ, ლექციას, მაგრამ სკოლაში წავლენ ბავშვები (მ. ლებ., 285). 23. ყეფდა და იღრინებოდა უცხო მუსიკა, აივნის ცადაღმა კი ისევ უხმოდ თრთოდნენ და კანკალებდნენ მწვანე, უნაზესი ფოთლები (ნ. ონაშ., 108). 24. პლასტელინმა ოთახის ტემპერატურას ვერ გაუძლო და ჩამოდნა, ხოლო თაბაშირი დაიმტვრა (ნ. ონაშ., 49). 25. რამდენიმეჯერ ისევ მოინდომა თავდამსხმელებს კვლავ სათავეში ჩასდგომოდა და მოწინააღმდეგის კარისათვის ძველებურად შეეტია, მაგრამ პირველსავე ტაიმში ძალამ უმტყუნა (გ. ფანჯ., 132). 26. მალე უზარმაზარ კლდეს შესეული მუშები გამოჩნდნენ, ბულდოზერები კი დინამიტით ჩამონგრეულ ლოდებს რიონში

ყრიდნენ (გ. ფანჯ., 114). 27. ახლა მე უკვე გავრბოდი, მაგრამ ისევ მისი მძიმე ტორი დამაწვა მხარზე და მიწაზე დამცა (თ. ბიბ., 81). 28. მორჩილ გვირაბში მეთაური მშვიდად აძლევდა ტყვეს შეკითხვებს, მაგრამ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იყო (ო. იოს., 62). 29. შავ ცხენზე თაჯი აფორთხდა, მაგრამ ძმამ სადავე არ დაანება (ო. იოს., 158). 30. ქალაქზე წვება სადგურის ბოლი, მაგრამ მინები მაინც ბრწყინავენ (ო. ჭილ., II, 457). 31. ზემოუბნელები შესუსტდნენ, უკუიქცნენ, ხოლო ქვემოუბნელებმა დაიჭირეს მთა (ი. გრიშ., 30). 32. ძალიან ღარიბად ვცხოვრობდით, მაგრამ მასთან სტუმრები გამოულეველი იყო (კ. ყმა, 230). 33. მაღლე მთის მწვერვალზე სიზმრისეულ ჩვენებასავით აღიმართა ჯვარი, ხოლო მტკვრის მოლურჯო ზედაპირზე სვეტიცხოვლის ოქროსფერი ანარეკლი ალიელივდა (ნ. ონაშ., 94). 34. უფანჯრო ოთახში საამოდ გრილოდა, მაგრამ ყველაფერი სევდიანად გამოიყურებოდა (ნ. ონაშ., 24). 35. ლევანმა ფანჯრები გამოაღო, მაგრამ ქუჩიდან კიდევ უფრო გავარვარებული ჰაერი შემოიჭრა (გ. ფანჯ., 192). 36. ანზორი ახალი იერიშისათვის მოემზადა, მარჯვენა ხელი მთელი ძალღონით მოიქნია, მაგრამ გურამმა თავის დაწევა მოასწრო და მუშტი აიცილა (გ. ფანჯ., 118). 37. გადაწყვიტეს ციცაბოს ჩამოჰყოლოდნენ, მაგრამ ხევში ჯერ ისევ ბნელოდა (ო. იოს., 14). 38. მტერს შეეძლო ბნელში ბილიკზე ამოპარულიყო, მაგრამ დარაჯებს მეტი რა საქმე ჰქონდათ, ამ ერთადერთი ამოსასვლელისათვის უნდა ეთვალთვალათ (ო. იოს., 76). 39. მე კიდევ ბევრი მქონდა სათქმელი, მაგრამ დღეები უცებ გადიან (ო. ჭილ., II, 527). 40. შენ გაჯაერებული ხარ, მაგრამ მე გული ძალიან შემტკივა შენთვისა (ილია, 328). 41. მხედრებმა ჩაიარეს ჩემი სახლის წინ, მაგრამ ცხენებს ფეხი არ შეუჩერებიათ (თ. ბიბ., 88). 42. ხმა გამეცით, მითხარით რამე, თორემ ეს საწერი მანქანა ქვის ჩაქუჩივით მირტყამს თავში, თვალებში, საფეთქლებში (ნ. ონაშ., 67). 43. შენს მორთულ-მოკაზმულობას ეს პროზაული გარემო ნამდვილად არ შეეფერება, მაგრამ ნიკოს მაინც აქ უნდა მოვუცადოთ (ნ. ონაშ., 73). 44. ქალებმა ტირილით გული მოიოხეს, მართა კი მაინც გაჰკიოდა (გ. ფანჯ., 77). 45. ისინი საშინაო დავალებასაც არ ასრულებდნენ, თორემ ზედმეტი ამოცანის ამოხსნა მათ ფანტაზიას აღემატებოდა (გ. ფანჯ., 216). 46. ამას

იქით ისინი დილაობით იელიან, შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე (ილია, 390). 47. მერე ჩვენი გზები გაიყარა, მაგრამ ამბის დასასრული ჩემთვის მაინც წინასწარ იყო ცნობილი (თ. ბიბ., 99). 48. ყველამ თვალით იარაღი მოძებნა, მაგრამ ხელი არავის უხლია (ო. იოს., 143). 49. არაფერი არ აკვირვებდა ტყეთა ბინადარს, ხოლო ხანდახან რაღაცა მწვანე აფრებით სწყდებოდა მიწას და მიფრინავდა (ო. ჭილ., II, 492). 50. რამდენიმე სტრიქონი წაშლილი იყო, ხოლო ორი ტაეპი მოთავებული (კ. ყმა, 357). 51. გოგო გავიდა, ლიდიამ კი ოთახში ჩქარი ნაბიჯით სიარული დაიწყო (ა. ყაზბ., 37). 52. არ ხმაურობდა, მაგრამ ზრიალი იმის წიაღში მაინც ისმოდა (პ. იაშვ., 209). 53. მე კი თვალს ვარიდებდი, მაგრამ თვითონ დაჟინებით მიცქერდა (ნ. ონაშ., 23). 54. მან დაბოხებული ხმით დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ რექტორმა მკაცრად ახედა (ნ. ონაშ., 134). 55. ბევრჯერ გაპარვაც დააპირა, მაგრამ ძმა გადაუდგა წინ (გ. ფანჯ., 250). 56. მეკარე წინ გამოვარდა, მაგრამ ოთარმა გვერდი აუარა და ბურთი ბადეში გაახვია (გ. ფანჯ., 138). 57. ბიჭმა ახლა იქით გადაიტანა ნიშანი, მაგრამ უკვე ხეირიანად არაფერი ჩანდა (ო. იოს., 50). 58. მათ ოჯახში ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა, მაგრამ გიორგის უკვე იმედი გასჩენოდა (ო. ჭილ., II, 45). 59. სასტუმროში თავისუფლად გრძნობდა თავს, თორემ რომელი ქართველი ოჯახი არ ინდომებდა საყვარელი პოეტის სტუმრობას (მოგ. აკ., 72). 60. ეს სოფელი პატარა იყო, მაგრამ არც სხვა სოფლები იყო დიდი (თ. ბიბ., 103). 61. ნატაშამ სცადა ხელის მოკიდება, მაგრამ იმან გააშვებინა ხელი (ა. ყაზბ., 105). 62. ყველაფერს თვითონ აკეთებდა, მაგრამ მაინც ღარიბად ვცხოვრობდით (კ. ყმა, 300). 63. ჩემს აჩრდილს არასოდეს შეხედო პირშავად, თორემ საფლავშიც ვერ მოვისვენებ (ნ. ონაშ., 5). 64. ეგ თქვენ თვითონ შეიგნეთ, თორემ ჩვენ უთქვენოდაც კარგად ვიცით (ნ. ონაშ., 159). 65. ხარჯიხვი ახლოს არ მიმიშვებს, მაგრამ მე მას მაინც მივეპარები (გ. ფანჯ., 85). 66. მისთვის ბლვა ცხოვრებაა, ხოლო ცხოვრებას გამარჯვებით იწყებს (გ. ფანჯ., 122). 67. მალე საჭმელიც გაუთავდებათ, მაგრამ შიმშილი არაა ისე საშიში, როგორც წყურვილი (ო. იოს., 78). 68. ეს არ იყო სასწაული, მაგრამ მე სასწაულის გამოცხადებასავით შევკრთი (თ. ბიბ.,

107). 69. სახედრის ზურგზე გადაკიდული, მჭიდროდ ნაქსოვი ხურჯინი ანეტას შიშეულ კანჭებს უსუსხავდა, მაგრამ ქალი ხმას არ იღებდა (ო. ჭილ., II, 159). 70. რედაქტორი გაფითრდა, მე კი შევშინდი (კ. ყმა, 392). 71. ქალმა ყველაფერი მოამზადა, მაგრამ დანიშნულმა დრომ გაიარა და სვიმონი არსად ჩანდა (ა. ყაზბ., 82). 72. ხირჩლა კელავ იცინოდა უხმოდ, თავისთვის, სხვათაგან დაუნახავად, მაგრამ მე დავინახე ეს სიცილი და შემრცხვა (თ. ბიბ., 110). 73. მე მაგინებენ, მაგრამ ქებაც ბევრს სურდა (პ. იაშვ., 99). 74. ასე უბრძანეს, მაგრამ ყველას გაუჭირდა ამის დაჯერება (ნ. ონაშ., 20). 75. ვკითხე მწარე ღიმილით, მაგრამ ბავშვმა ველარ გაიგონა (ნ. ონაშ., 44). 76. ის გააკეთე, თორემ ამ ბოთლს დაგაფშვნი თავზე (გ. ფანჯ., 116). 77. პრიალა, შავმა იარაღმა და მწვანე მ·ენდირების უჩვეულო სუნმა ცხენები დააფრთხო, გაქცევა დააპირეს, მაგრამ წინ გადაუდგათ ჯარისკაცი (ო. იოს., 17). 78. ურუქელები ანას ნათქვამმა შეაშინა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენებდნენ, ცნობისწადილი რომ არ დაეკმაყოფილებინათ (ო. ჭილ., II, 33). 79. მამა მოწადინებული იყო ესწავლებინა ჩვენთვის, მაგრამ საამისო პირობები სად იყო (კ. ყმა, 302). 80. გოგლა გაბრუნდა, თამრო კი მობრუნდა ავადმყოფისაკენ (ა. ყაზბ., 214). 81. ხირჩლამ გადმომხედა და ჩაიცინა, მაგრამ ეს არ იყო ყველაფრის მიტევების ან ჩემზე მაღლა მდგომის დიდსულოვანი სიცილი (თ. ბიბ., 110). 82. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სწორედ იმ დროს ქუჩის მეორე მხრიდან გოგონები ხმამაღლა მოგვესალმენ (ნ. ონაშ., 18). 83. გოგონა გაწვდილი ხელებით მიიწევს მზისკენ, ქვემოდან კი ურჩხ·ულები ებღაუჭებიან, ცდილობენ მიწაზე მიაჯაჭვონ (ნ. ონაშ., 170). 84. მან დააპირა ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა, მაგრამ ძაღლმა ღრენას უმატა (გ. ფანჯ., 98). 85. ნინოს ტირილი წასკდა, მაგრამ ექიმმა მკაცრი თვალებით შეხედა (გ. ფანჯ., 31). 86. ის ერთი ცხენით და კაციანი გუთნით ხნავდა, ჩვენ კი დავდევდით უკან (კ. ყმა, 239). 87. წავიდეთ შინისკენ და ისე ვილაპარაკოთ, თორემ გაავდრებას აპირებს (ა. ყაზბ., 104). 88. გარშემო ხალხი მიდი-მოდიოდა, მაგრამ ქალს ზედაც არავინ უყურებდა (თ. ბიბ., 117). 89. ტყვიას მარჯვნივ გაევლო, თორემ ჯარისკაცი ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებდა (ო. იოს., 39). 90. დიდ შესვენებაზე მთელი სკოლა მაკაბელების

სახედრის გარშემო იყრიდა თავს, ხოლო ახალი მოვალეობით დაბნეული ბავშვების ქივილ-ხივილით უაღრესად გაოგნებული სახედარი დიდი და წყლიანი თვალებით ჩასცქეროდა მიწას (ო. ჭილ., II, 160). 91. მე შენთვის სიკეთე მინდა, თორემ ამ შეკვეთას მხატვრები მკლებივით დაესევიან (ნ. ონაშ., 175). 92. არ გვეგონა თუ ასეთ რამეს იტყოდით, თორემ ნამდვილად ვერ გავბედავდი თქვენთან მოსვლას (გ. ფანჯ., 45). 93. მაგდა ლოგინში ჩაწვა, თითქმის დამშვიდდა, მაგრამ რული არ ეკარებოდა (გ. ფანჯ., 55). 94. მათი რიცხვი ერთი კაცით იზრდებოდა, ხოლო მოსალოდნელი უბედურება მცირდებოდა (ო. იოს., 113). 95. კარგად მოთენდა, მაგრამ სიარული კიდევ უფრო გაჭირდა (ო. იოს., 21). 96. ისევ დაიწყო პეტრემ, მაგრამ ქალმა ისევ შეაწყვეტინა (ო. ჭილ., II, 361). 97. მწყემსიც უცბად მოაჯდა გაუხედნავ ცხენს, მაგრამ ცხენი ყალყზე შედგა, წინ გაიჭრა, წაიბორძიკა (კ. ყმა, 18). 98. მართალია, ზაფხულის საშინელი სიცხეები აქ ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ ვაჟას ბუნება ვერ ეგუებოდა ოთხკედელშუა ყოფნას (კ. ყმა, 29). 99. მე კარს აკრული ვიდექი და ველოდი, მაგრამ აღარაფერი ისმოდა (თ. ბიბ., 155). 100. მერე დაღამდა, მაგრამ ურემი მაინც გზას განაგრძობდა (თ. ბიბ., 146). 101. მღვდელი დალოცვის წინ ხელოსანს ზნეობრივ დარიგებას აძლევდა, ხოლო უსტაბაში კი სამჯერ შემოჰკრავდა სილას (ი. გრიშ., 38). 102. მარჯვენა ხელი სცხრებოდა, ხოლო თითები მარცხენასი იწყებდნენ ცეკვას (გ. რობაქ., 375). 103. შეატრიალა ცაში ფრანგული, მაგრამ მოისმა ყვავილთა ენა (ლ. ასათ., 28). 104. კიდევ კარგი აკაკი თმასა და წვერს იკრეჭდა, თორემ ვერაეითარი კბილგანიერი სავარცხელი თმაში ვერ გაატანდა (მოგ. აკ., 190). 105. დაბლა, მოპირდაპირე ფანჯრისაკენ, იცქირებოდნენ, მაგრამ იმ დღეს რაშიდას თავისი პატარა, ჭრელი ფუთა არ გაუხსნია, საუზმე არ გახსენებია (გ. ფანჯ., 74). 106. გალავნის კარი გაიღო, მაგრამ კითხულის ცხენი ჯერ არ გამოჩენილა (თ. ბიბ., 113). 107. დგას ბიჭი ბანზე და ბებერ თოთიას გასძახის, მაგრამ თოთიას არაფერი ესმის (თ. ბიბ., 457). 108. კიპარისები მისტიროდნენ დაკარგულ პოეტს, დაუცხრომელი სამრეკლო კი რეკდა და რეკდა (ნ. სამად., 134). 109. ყვავი ნელა, უხალისოდ მიფრინავდა გარინდული ტყის გასწვრივ, ხოლო რამდენიმე კილომეტრის იქით

თედო სხირელი და ევგენი მიქაძე მორს ხერხავდნენ (ო. ჭილ., II, 380). 110. წითელი კრამიტით გადახურული თეთრი ეკლესია გაფოფრილ კრუხს ჰგავდა, საფლავის ქვები კი მინდორში გაბნეული პატარა წიწილებივით მოჩანდა (გ. ფანჯ., 674). 111. ფიცხლად შემობრუნება დააპირა, მაგრამ უკვე გვიან იყო (გ. ფანჯ., 405). 112. ლევანმა ყავა დააყოლა, გოჩამ კი სიგარეტი ამოიღო (გ. ფანჯ., 402). 113. ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით, ხოლო მუსიკა, ქარივით ლაღი, ჭალს აწყდებოდა (ო. ჭილ., II, 540). 114. ჩემი ჩრდილი ჰგავდა თევზების დამფრთხალ ქარავანს, ხოლო ვეება გემების მუცლებს ჰგავდნენ ღრუბლები (ო. ჭილ., II, 523). 115. ჩვენები, ძველები გაწყდნენ, ხოლო ახლები მახრჩობელა დახლებში დასხდნენ (მ. ლებ., 238). 116. გრიალებს კოსმიური სიმღერა, რიალებს კოსმიური ეტლი, ხოლო მე ეზივარ და ვფიქრობ (მ. ლებ., 457). 117. ისინი სხვის დასანახად და მოსახიბლად კვდებიან მაინც, ხოლო პოეტის მხურვალე სისხლი სამარადისოდ გადადის ხალხში (ო. ჭილ., II, 496). 118. გურამი საღამომდე ელოდა კანტორაში, მაგრამ უფროსი არსად ჩანდა (გ. ფანჯ., 115). 119. ასე გათავდა ეს დიდი ბრძოლა, აჯანყებულთა ამოწყდა ჯარი, მაგრამ მათ რიცხვში ხუთიათასი გამოერია ქართველიც მკვდარი (აკაკი, 73). 120. იმპერატორთა მაღალი კარით იმპერატორნი იქ აღარ ვლენან, მაგრამ გალობენ კვლავ ანგელოსნი და დღემარადის შეფრფვინვენ ზენას (ა. კალანდ., 258).

*§ 88. მაცალკევებელკავშირიანი.* 1. ან ანანურის წაპოშლის ბანაკს, ან არშის ციხე მთას გადმოდგება (მ. ლებ., 185). 2. ორკესტრში თითქო ხან მხეცი ბღაოდა დაკოდილი, ხან კი პირველი კაცის ხმა ისმოდა (გ. რობაქ., 366). 3. მაშინ თუ გამოცოცხლდებოდნენ, როცა მთავარ პარტიას ან ჩამოსული მომღერალი მღეროდა, ან ორკესტრს ახალი დირიჟორი დირიჟორობდა (გ. ფანჯ., 330). 4. ხან ის შემომხედავდა მე, ხან მე იმას შევხედავდი (ილია, 420). 5. ან მე აღარ ვიქნები, ან ის მოწაფე გააგდეთ (აკაკი, 147). 6. ტყეში ან ქალამანი გამეშლებოდა მე, ან სახვიელა მოეხსნებოდა მას (კ. ყმა, 233). 7. ან აქამდე ვინ დარაჯობდა, ან ახლა ვინ გაგზავნეს (ო. იოს., 66).

8. ხან ძეირფასად მოგვრთავდნენ ხოლმე, ხან უბრალოდ, ხან ბუმბულში ვგორაობდით და ხან ხმელეთზე ვკოტრიალობდით (აკაკი, 129). 9. ან ყველაფერი თავიდან იწყებოდა, ან ძველი გრძელდებოდა (თ. ბიბ., 94). 10. ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენ გიჟმა რა იცოდა (ილია, 68). 11. აღარც ტკბილ-იმერული, აღარც პანვი კახეთით! ან ჩვენ თვითონ ჩამოგრჩით, ან თქვენ გაღმა გახვედით (მ. ლებ., 270). 12. ხე ან მოჭრეს, ან ძალიან გაიზარდა (მოგ. აკ., 87). 13. იმდენჯერ ან რეზომ წაართვა სიტყვა, ან თამადამ წამოიწყო საუბარი (გ. ფანჯ., 24). 14. ან ბომბი მაინც დასცემოდა, ან ავტომატის ჯერით დაეცხრილათ (ო. იოს., 64). 15. ან მე სად ვიყავ, ან ის სად იყო (მ. ლებ., 364). 16. ეტყობა, ან მინერალური რამ ნაკადი იყო იქ, ან მიწისქვეშა გვირაბების შესაყარი და ორჭოლი ქარი ჩნდება (კ. ყმა, 367). 17. ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში უნდა ავარჯიშოს მან თავისი გონიერება, ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა (ილია, 534). 18. როგორც კი მაგიდას მიუჯდებოდა და ჩაფიქრდებოდა, ან დედის საცოდავი ხმა ჩაესმოდა, შვილო, რა მოგივიდაო, ან მამის გაუთავებელი დარიგებანი იწყებოდა (გ. ფანჯ., 455). 19. საღამოებზე ან ჩვენი პოეტები კითხულობდნენ თავის ლექსებს, ან რომელიმე დეკლამატორი ენაწყლიანად წარმოთქვამდა ჩვენი პოეტების ნაწარმოებებს (მოგ. აკ., 302). 20. ან დასასრული სად ექნებოდა ამ გრძელ და ბებრის ხელებივით დამაშრულ გზას, ან თუ მიდიოდა, სად მიდიოდა ურემი (თ. ბიბ., 445). 21. ან ფერმკრთალ ჭადრებს როგორ ამაყად უჭირავთ თავი სუსხიან ქარში, ან როგორ უჭირს ამ ბნელი ღამის ერთადერთ კლავიშს — მთვარეს — დათმობა საყვარელ ქუჩის (ო. ჭილ., II, 464). 22. ხან ელექტრონი არაა, ხან სარტყელია გაწყვეტილი, ხან იმ უშველებელი ღოლაბის მოკოდვა დაეზარათ (ო. იოს., 311). 23. ხან წითელფეხება კალია დაასკუპტებოდა, ხან შეშინებული ჭიანჭველა გადაირბენდა მის გლუვსა და პრიალა ზედაპირზე (ო. ჭილ., II, 47). 24. იქნებ ან მექანიკოსი დაზგების ავტომატიკაში დიდ პარმონიას ხედავს, ან იქნებ ექიმი, რომელმაც სიკვდილს გამოსტაცა ადამიანი, იმ დღეს თავს ყოვლისშემძლე და უბედნიერეს ადამიანად თვლის (გ. ფანჯ., 227). 25. ან რომელი წაყვებოდა იასონს, ან რომელს

გაუშვებდა თვითონ (ო. ჭილ., I, 110). 26. ან დაალპება ეს ლეში სანგარს, ან ჩემი მტრები ძელზე გამსვამენ (მ. ლებ., 199). 27. ხან გაშმაგებული წადილით გაბრძოლებული გული ოხვრას ამოხვეთქდა, ხან შეჭმუხვნილი შუბლი და გამეღვრებული სახე თვით ზეცას მუქარასა სთხოვდა (ა. ყაზბ., 210). 28. პირველად ან თვითონ ესილებოდა თვალი, ან სატრფოს უბნელდებოდა გონება (ო. ჭილ., I, 362). 29. ან იგერებდი შენ მზის ნატეხებს, ან თვით იდა რუბინშტეინი გაბანინებდა დაქანცულ ფეხებს (პ. იაშვ., 95). 30. მაშინ საშველი არ ყოფილა — ან გაგვსვამდ ძელზე, ან თითო სიპი ერთურთს თვითონ შევაბათ ყელზე (მ. ლებ., 253). 31. ხან დაგვდიოდა გარინდებული ნეტარი თოვლი, ხან ნაზ ბურუსში გაგვეახვევდა ფერმკრთალი მთვარე (ი. ჯოლბ., 100).

## რთული ქვეწყობილი წინადადება

*§ 89. უკავშირო.* 1. იმასაც გრძნობდა, ხიდაშელის სიტყვამ ყველაფერი მისი ჩანაფიქრის სასარგებლოდ შეატრიალა (გ. ფანჯ., 324). 2. ყველამ შეატყო, მოხუცი მწერთნელი ღელავდა (გ. ფანჯ., 156). 3. სიმმარმა ისეღაც მხდალი კუსა ისე დააფრთხო, საყასბოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა (ო. ჭილ., I, 245). 4. დაიწყო ციცაბოები და ისე საშინლად დააღო პირი უფსკრულებმა, ქანცგაწყვეტილები წინ ძლივს მილასლასებდნენ (ო. იოს., 21). 5. შუბუ გამოეცხადათ და აუწყა, პოპინას ვაჟი შეეძინაო (ო. ჭილ., I, 236). 6. ვიფიქრე, ბიძაჩემი ტახტზე მოისვენებდა (კ. ყმა, 249). 7. მინდა დღეს მივწერო დედას, უსათუოდ იმღეროს მამასთან ის ნანა ტკბილი (პ. იაშვ., 85). 8. დაახლოებით მაინც იცოდა, დადგებოდა აღსასრული (გ. ფანჯ., 572). 9. და მე ვგრძნობ, როგორ მიცელის ხასიათს ქარი, სიჩუმე და ფოთოლცვენა (ო. ჭილ., I, 581). 10. ხომ გითხრეს, შენზე სამშობლო ფიქრობს (მ. ლებ., 66). 11. იტყვიან, ჩუმად ვიდოდა ხალხში, ზოგჯერ ხალხისგან სალამიც სწყინდა (ნ. სამად., 40). 12. მითხრეს, ვარდებმა კოცნით დაღალეს (ნ. სამად., 55). 13. დათო მიხვდა, მოწინააღმდეგე ცაცია იყო და ყურადღება მარცხენა ხელზე გადაიტანა (გ. ფანჯ., 566). 14. ოთარმა კარგად იცოდა, მანანა გავაშელი შეურაცხყოფისათვის შურს იძიებდა (გ. ფანჯ., 563). 15. ვფიქრობ, ყველა მხარს დამიჭერს (ნ. ონაშ., 138). 16. წუხელ თემომ დამირეკა, მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლის ადგილი გათავისუფლდა (ნ. ონაშ., 6). 17. მალე გავიგე, სასიკვდილოდ დაშავებულიყო, ფეხები დამტვრეოდა (კ. ყმა, 233). 18. მე ვგრძნობ, ტალღები ამ კიდობანს როგორ არყევენ (ა. კალანდ., 185). 19. მიხეილს გუნება გაუფუჭდა, მიხვდა, რამდენიმე წლის შემდეგ მასაც ასეთი დღე დაუდგებოდა (გ. ფანჯ., 393). 20. იგი გრძნობდა, ლევან ხიდაშელი ორივე ფეხით იყო ჩაჭერილი (გ. ფანჯ., 371). 21. ერთი კი სჯეროდა, ხიფათი მანქანასთან იყო დაკავშირებული (გ. ფანჯ., 576). 22. ახლა უკვე აღარ ვიცოდი, ეს გზა საით წამიყვანდა (ნ. ონაშ., 61). 23. ისე გეძინა, ზარბაზანიც ვერ გაგაღვიძებდა (ნ. ონაშ., 122). 24. ისეთი სამარისებული სიჩუმე გამეფდა, ზოგჯერ დანიელის პირჯვერის საწერად წაღებული ხელის მოძრაობაც კი ისმოდა (ო.

იოს., 84). 25. ჯარისკაცებს ახსოვდათ, ამ დაღმართების მერე ისევ ციცაბო იწყებოდა (ო. იოს., 18). 26. კლაუსს დაავალა, ტყვეებისათვის წყალი მიეტანა (ო. იოს., 55). 27. აღარ დამაცდის, მოვითქვა სული (ო. ჭილ., I, 547). 28. იმის სახლს ცეცხლი ეკიდოს, წყალს არავინ დაასხამსო (თ. სახ., 289). 29. პლატონი მიხვდა, თანამშრომლები რაღაცას ულოცავდნენ (გ. ფანჯ., 387). 30. დედაკაცი მაშინვე მიხვდა, ახლა უკვე ყველა ჩაიცვამდა მაგარ ქალამნებს (თ. ბიბ., 419). 31. ის ისე იყო დატვირთული, ხშირად მისი განყოფილების საქმეებსაც მე ვაკეთებდი (ნ. ონაშ., 19). 32. გუცამ იცოდა, ქალები ფრონტზე იბრძოდნენ მამაკაცების გვერდით (ო. იოს., 74). 33. უნდოდა გამოეცნო, თავისი ქვეყნიდან ჩავიდნენ თუ არა ეს ვარსკვლავები (ო. იოს., 55). 34. ვგრძნობდი, როგორ მეძახდა გარეთ ყველა ფოთოლი და ყველა წვეთი (ო. ჭილ., II, 438). 35. ზურაბი გრძნობდა, მარტენის საამქროს უფროსს შიში და სიფრთხილე ალაპარაკებდა (გ. ფანჯ., 313). 36. თუთარმა იცოდა, ამ ერთადერთ გზაზე ბიჭი უკვე ყოველ წუთს შეიძლებოდა შეჩეხებოდა გერმანელებს (ო. იოს., 44). 37. ხეირიანად არავინ იცოდა, თათარყან გაბულდანის ჩერქეზული ხევში გადაჩეხილიყო (ო. იოს., 28). 38. ხშირად უთქვამს, ზოგს ფეხები ყოველდღე აქეიფებენ და ზოგს თავიც კი ვერ აძლებს (კ. ყმა, 248). 39. გადაეწყვიტეთ, ეს საჩუქრად მიერთმიათ აკაკისათვის (მოგ. აკ., 61). 40. ისე შემომხედა, გეგონება ლაფით ვყოფილიყავ მოსვრილი (ნ. ონაშ., 48). 41. კარი ისე გაიჯახუნა, ჭერიდან ნალესი ჩამოცვივდა (ნ. ონაშ., 80). 42. ჯარისკაცმა იცოდა, ბიჭებს ხვალ აქ ცოცხალი არავინ დახვდებოდა (ო. იოს., 10). 43. კუსას შიში მიარბენინებდა და უტყუარი ალღოთი გრძნობდა, ეს ამბავი ასე არ დამთავრდებოდა (ო. ჭილ., I, 302). 44. ვხედავე, ტრაპეზი დასტოვა ზაზამ (მ. ლებ., 446). 45. თავმჯდომარემ ქაღალდები წამოკრიფა და ოთახიდან ისე გავიდა, არავის დაუნახავს (ნ. ონაშ., 91). 46. არავინ იცოდა, რატომ გადმოაგდეს ის კაცი ამ შერჩეულ სადესანტო ათეულში (ო. იოს., 84). 47. ქალუკას იმედი ჰქონდა, მარეხს შეტევა გადაუვლიდა და როგორმე შინამდე მიაღწევდნენ (ო. ჭილ., I, 175). 48. ისინი კარებს კეტავდნენ და გულისფანცქალით ელოდნენ, როდის ჩაიწრიტებოდა ეს უსიამო ჟღრიალი (ო. ჭილ., I, 376). 49. სიმღერა არაფერს ამ-

ბობს იმაზე, როგორ შევიდა ლაშქარი ერთ მწირ, ღარიბ სოფელში (თ. ბიბ., 166). 50. ერთხელ იეთიმმა მითხრა, ჩემს ლექსებს აკვანშიაც მღერიანო (ი. გრიშ., 152). 51. თავი მძიმედ დაღუნა, არ უნდოდა, ვინმეს სახეში შეეხედა (გ. ფანჯ., 38). 52. ისიც იცოდა, ამ ღონისძიებისათვის ყველა ცელა არ იყო სათანადოდ მომზადებული (გ. ფანჯ., 313). 53. ეტყობოდა, ძირითადად ამ სიუჟეტებმა დაიტიეს დაღუპული მეგობრის პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები (გ. ფანჯ., 578). 54. კითხვა დავიწყე და მან ისეთნაირად აცქვიტა ყური, ყველა შეატყობდა სახეზე სიამოვნებას (ი. გრიშ., 95). 55. ჩათვალეთ, არავისი წერილი არ მომიტანია, მოვედი და ვაჟკაცურად გითხარით (ნ. ონაშ., 133). 56. მაშინ ჯილაურმა თავის თავს უთხრა, ადამიანი ამქვეყნად უბრალო ადამიანური ბედნიერებისათვის არის გაჩენილიო (თ. ბიბ., 406). 57. დედამ იფიქრა, ბიჭი შიგნით, გალავნის მიღმა, შეუშვეს და პირდაპირ წინამძღოლის კართან დააყენეს (თ. ბიბ., 113). 58. თედო ამტკიცებდა, ჩვენებური ფუტკარი ტანით უფრო დიდი და ნაყოფიერია ამერიკულ ფუტკარზე და უფრო მეტ თაფლსაც იძლევა (კ. ყმა, 216). 59. მასთან მისვლა მაშინვე გადავიფიქრე, ვიცოდი, ახლა არაფერს დამიჯერებდა (ნ. ონაშ., 82). 60. შინაგანად გრძნობდა, ვაჟა მასზე ნიჭიერი ბიჭი იყო, ისიც კარგად იცოდა, დეალიშვილს თავისი ნიჭის გამომჟღავნება მაინცდამაინც არ ეხერხებოდა (გ. ფანჯ., 202). 61. მოხუცმა შტურმანმა იგრძნო, მეზღვაურს თვალები სიხარულით უბრწყინავდა (გ. ფანჯ., 120). 62. იმათ უფიქრიათ, ეს სწორედ შურისა და სიხარბის საქმეა (აკაკი, 91). 63. მისი შეილიშვილები ჯიუტად გაიძახოდნენ, იმ ხომალდის მეთაური მამაჩემის ნათესავია (ო. ჭილ., I, 94). 64. ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, მისი ხმამაღალი სიტყვაც კი არავის გაუგონია (ო. იოს., 289). 65. ჩვენ გვინდოდა, მას დაწვრილებით შეეკრიბა ეთნოგრაფიული მასალები (კ. ყმა, 106). 66. მე გთხოვ, სისხლი აქ დაღვრილი ჩემი, სხვისთვის შეიწირო (ილია, 112). 67. იცოდა, იქ ისინი მოეფერებოდნენ, მოელაქუცებოდნენ (გ. ფანჯ., 366). 68. ლევანმა ბოთლს საცობი ისე მოხსნა, ხმაც არავის გაუგია (გ. ფანჯ., 367). 69. დარწმუნებული ვარ, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემ ნაწერებსაც ისეთივე ბედი ეწევა, როგორც სხვა მწერლების ნაწერებს (კ. ყმა, 168). 70. ის ხედავს, მეწისქვილეს

ჩვენი ცხენი დაუჭერია და სცემს (კ. ყმა, 21). 71. მას ამ წუთში, მართალაც, ისეთი სევდიანი სახე ჰქონდა, მირანდამ უარი ველარ გაუბედა და ჭიქა ჩამოართვა (გ. ფანჯ., 367). 72. შენიშნა, მარინე მარტო ქალიშვილების პორტრეტებს მისჩერებოდა (გ. ფანჯ., 392). 73. დარწმუნებული იყო, მთელი უბანი უთვალთვალებდა საკუთარ ჭიშკართან გლახასავით ატუზულ კაცს (ო. ჭილ., I, 489). 74. მან იცოდა, მტრისათვის წყლის მიცემა ამ მოლოდინს გააგრძელებდა (ო. იოს., 145). 75. თქვენ უთუოდ კარგად გეცოდინებათ, განსვენებული იაკობ გოგებაშვილი სანამ ცოცხალი იყო, თვითონვე ფხიზლად დარაჯობდა თავის ნაწერების თითოეულ სტრიქონს (კ. ყმა, 168). 76. მამაჩემი და დავითი შეთანხმდნენ, ბიჭები საგურამოს სამეურნეო სასწავლებელში წავიდოდნენ (კ. ყმა, 258). 77. უცებ მეფემ თვალი მოჰკრა, ხალხი გაირღვა შუაზედ (ილია, 161). 78. თამაზი მიხვდა, ახლა ისინი გაცილებით მშვიდად იყვნენ (გ. ფანჯ., 580). 79. იცოდა, ამ დროს ყოველთვის რეფერენტის ნაცნობმეგობრები რეკავდნენ (გ. ფანჯ., 643). 80. ვგრძნობ, დედას ხედავ, ტუჩზე ღიმილის სიო გედება (ნ. სამად., 68). 81. უთხარი, დიდხანს ნულარსად წავა (ნ. სამად., 94). 82. ყოველნაირად ცდილობდა, ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი ყოფილიყო (შ. ძიძ., 16). 83. უნდა ქიცოდეთ, ისინი დახელოვნებული იყვნენ ლითონის დამზადების ტექნოლოგიაში (შ. ძიძ., 35). 84. მადლობელი ვარ, წმინდა აჩრდილთან დამტოვეს მარტო (მ. ლებ., 179). 85. ვთქვი, უღალატო არიან მკვდრები! (მ. ლებ., 181). 86. ძალას ჰკარგავ, ის გაწუსებს, აღარ გიხსნის დანა პირსო (აკაკი, 34). 87. ეიტყვი მხოლოდ, ხმა ისმოდა თქვენგან ჩემის პირველობის (აკაკი, 41). 88. თქვენც ხომ იცით, მე სიკვდილი არ ამცდება (ილია, 153). 89. თქმულა, გმირის კაცისათვის თქმა და ქმნაო ერთი არი (ილია, 158). 90. მოხუცი მიხვდა, თავზიშვილი ახლა მას დაელაპარაკებოდა (გ. ფანჯ., 414). 91. მან იცოდა, ეს კაცი წიგნზე ღამეს ვერ გაათენებდა (რ. ინან., 27). 92. ისიც არ იციან, ვინ იყო იმ ერთი სიტყვის მთქმელი (თ. ბიბ., 281). 93. ხმა გავარდა ქალაქშიაც, მეფე ჩვენთვის სდებს თაესაო (ილია, 159). 94. იგი გამოუცდელი იყო ასეთ საუბრებში და მიხვდა, მათ საქმე სწორად ვერ წარმართეს (გ. ფანჯ., 419). 95. დედაშენს აშკარად ეშინოდა, ისე შემოგყურებდნენ ყველანი (რ. ინან., 62).

96. ვკვირობ, ეგ ცეცხლი სად დაგეტია (ნ. სამად., 29). 97. და მე მეგონა, ეს ქვეყანა იქ თავდებოდა (ნ. სამად., 115). 98. ჩემს სუსტ ხელში მყავს შენი ხელი თბილი ჩიტივით და ვიცი, იგი სადაცაა გამიფრინდება (ი. ჯოლბ., 103). 99. მაგონდება, ტანად მტოზე, სურნელოეან, ფართო ფთილებს სიბრძნის ფერი სიმძარიევით ეპარება (ი. ჯოლბ., 74). 100. მიაგნეს, ნახეს, ბრჭყალებში ჰყავდათ დამონებული მწევარ-მეძებრებს (ლ. ასათ., 100).

*§ 90. მაქვემდებარებელკავშირიანი.* 1. შენ რომ გამშორდი, თხელ ნაფეხურებს დიდხანს უმზერდნენ ხიდან ჩიტები (ნ. სამად., 63). 2. ვფიქრობ, რომ რიგი მოვიდა ჩემი და მეც მეღირსა ენის ამოდგმა (ლ. ასათ., 108). 3. რუსთავში მეტალურგიული ქარხანა რომ ამუშავდა, რუსეთში გაფანტული ქართველი მეტალურგები მოიწვიეს (გ. ფანჯ., 241). 4. საქმე იქამდე მივიდა, რომ სამსახურიდან მოხსნეს და სამუშაოდ ამ მივარდნილ მთებში წამოვიდა (გ. ფანჯ., 79). 5. როგორც კი ბერებს გასცდა, ისინიც, ერთირიგად დაწყობილნი, თან მიჰყვნენ (თ. ბიბ., 62). 6. და შენ ქუჩაში რომ გაიარო, ფოთლები წალმა შემომაყარე (ა. კალანდ., 282). 7. ვიდრე კალამს აიღებდა ხელში ლექსის დასაწერად, ზოგჯერ ცალი თვალით ცად მიბჯენილი, გარინდებული იყო, თითქოს ვიღაცას თვალი შეასწრო (კ. ყმა, 121). 8. ერთი უბნის ყეენი მეორე უბანს არ უნდა შეხვედროდა, თორემ ბრძოლა ჰაერში კეტების ტრიალით იწყებოდა (ი. გრიშ., 22). 9. რაკი ნიკოც გაიგულა, ბექა მაშინვე მომიბრუნდა და ხმადაბლა მითხრა (ნ. ონაშ., 80). 10. ვიდრე ისინი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ, მე გულმოდგინედ ვათვალიერებდი ამ კაცს (ნ. ონაშ., 132). 11. ეს აიძულებდა კიდევ ერთხელ ამოფოფხებულიყო თოვლის ორმოდან, რათა მაშინვე მეორეში ჩავარდნილიყო წელამდე (ო. ჭილ., II, 376). 12. ის არ დარდობდა, რომ დაჭრეს და მალე სიცოცხლეს გამოასალმებდნენ (ო. იოს., 61). 13. ყველა ფიქრობს, რომ მას ეცოდინება ყველაფერი დაწვრილებით აკაკის ბავშვობის შესახებ (პ. იაშვ., 279). 14. მთვარე რომ ამობრწყინდება, გული გაფრენად მზად არი (ა. კალანდ., 27). 15. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, მხრები გაშალა, თავისუფლად ამოისუნთქა (გ. ფანჯ., 27). 16. სოფელში რომ

ჩავა, კრამიტის ქარხანას აუცილებლად ჩაუვლის ხოლმე და ძველ მეგობრებს ინახულებს (გ. ფანჯ., 68). 17. სანამ ანა და აღათია ქათმებს გაპუტავდნენ და ცომს მოზელავდნენ, გიორგიმ თონე ჩაასურა (ო. ჭილ., II, 192). 18. ერთხელ, ხინკალს რომ შეექცეოდნენ, ყველასათვის მოულოდნელად ვაჟა წამოდგა, გარეთ გავიდა და შინ აღარც შემობრუნებულა (კ. ყმა, 41). 19. არის თქმულება, რომ კრივს მეფე ერეკლეც ესწრებოდა (ი. გრიშ., 27). 20. მოჩანდა ფურცელი იმის დასტურად, რომ ეს ნაბდიანი კაცი ნამდვილად მწყემსი იყო და არა მეცხვარე (ნ. ონაშ., 45). 21. ვიდრე მომტანი სუფრას გააწყობდა, ნიკომ მეზობელ სათადარიგო მაგიდაზე დახვავებული ღვინოებიდან ორი „მანავი" აიღო (ნ. ონაშ., 103). 22. კარგად რომ მოსინათლდა, გადაიკარა (ო. იოს., 74). 23. მტერს როგორც კი შენიშნავდა, უკან უნდა დაეხია (ო. იოს., 43). 24. თავმოყვარე ფეხბურთელს ყველაზე უფრო გულს ის უკლავდა, რომ მოწინააღმდეგე მცველები ძველებურად აღარ დასდევდნენ (გ. ფანჯ., 155). 25. სახლს მიუახლოვდებოდნენ თუ არა, ქალები დაწინაურდებოდნენ, თმას იშლიდნენ და გაღებულ ჭიშკარში ცივი კივილით შედიოდნენ (გ. ფანჯ., 78). 26. როგორც კი ინათა, გავიქეცი ჩვენს მახლობელ სოფელში (კ. ყმა, 304). 27. ეს ადგილი გვინდოდა გლეხობას, რადგან მიწის ნაკლებობას განვიცდიდით (მოგ. აკ., 60). 28. ჯიღაური იმგვარი მორიდებით შესცქეროდა ბიჭს, როგორც მორწმუნე შესცქერის ხოლმე ტაძრის კედლიდან იდუმალი თვალით მზირალ ფრესკას (თ. ბიბ., 359). 29. ირანში თურმე იტყვიან ერთსაც, რომ იქ ბალახიც არ ამოვიდა, სადაც მაჰმადის ცრემლი დაეცა (ლ. ასათ., 112). 30. როგორც კი ლოგინში ჩაწვებოდა, ბალიშს მიეყრდნობოდა და ბედნიერი, მეოცნებე თვალებით ცას გასცქეროდა (გ. ფანჯ., 455). 31. ერთბაშად ჩაუქრა ის ნაპერწკლები, წეღან რომ აღგზნებულ იერს აძლევდა მის თაფლისფერ, ლამაზ თვალებს (გ. ფანჯ., 612). 32. მე მოხუცებისაგან მომისმენია, რომ ფშავის არაგვის ხეობაზე წინათ მევენახეობა ყოფილა განვითარებული (კ. ყმა, 108). 33. კრივი იმართებოდა აგრეთვე ნათლიღების მეორე დღეს, რადგან მიცვალებულთა სულის მოხსენების გამო ამ დროს ყველა დუქანი დაკეტილი იყო (ი. გრიშ., 26). 34. ამ ოთახის მკვიდრს ისეთი მყუდრო და პოე-

ტური გარემო შეუქმნია, რომ მაშინვე შეება ვიგრძენი (ნ. ლონაშ., 162). 35. დავჯექი თუ არა, ამაფორიაქა საშინელმა მოუსვენრობამ (ნ. ლონაშ., 136). 36. როგორც კი ხმალს ხელით შეეხება, ხმალი ცივად შეირხევა (თ. ბიბ., 159). 37. ის ერთდროულად ნიშნავდა ჩრდილსაც და იმ საგანსაც, ჩრდილს რომ ისროდა (ო. ჭილ., II, 535). 38. ვახოს მოაგონდა, რომ სიოშს კარაბინი უნდა ჩაევლო ბილიკს ქვევით (ო. იოს., 14). 39. ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიმანტება, საშინელია (პ. იაშ., 165). 40. ყველა მეტალურგისათვის მარტენის საამქროდან ცენტრალურ ლაბორატორიაში გადაყვანა იმას ნიშნავდა, ჯარისკაცი რომ ფრონტიდან ზურგში — სამხედრო სასწავლებელში გააგზავნო (გ. ფანჯ., 393). 41. ლევანი ფანჯარასთან მანამდე იდგა, სანამ ელიმბარის მოხრილი ფიგურა თვალს არ მიეფარა (გ. ფანჯ., 396). 42. ეს ის გემია, აქ რომ იდგა ცოტა ხნის წინათ (ო. ჭილ., I, 556). 43. ვაჟაც შეუდგა ამ მთას თუ არა, ერთბაშად თურმე კოკისპირულმა წვიმამ დაასხა (კ. ყმა, 324). 44. ვიდრე ჭიშკარში გაეიდოდი, იდგა და ღიმილით მიქნევდა ხელს (ნ. ლონაშ., 62). 45. მამაკაცი ჩვენსკენ რომ შემობრუნდა, მაშინღა ვიცანით პროფესორი ვახტანგ ხუციშვილი (ნ. ლონაშ., 74). 46. ახლა ჩემს ბუდეში დავბრუნდი, რადგან ადამიანი, მერცხლისა არ იყოს, ბოლოს მაინც თავის ბუდეში უნდა დაბრუნდეს (თ. ბიბ., 83). 47. ეს წუთით გაშუქება სრულიად საკმარისი იყო, რომ მომავლებს შეენიშნათ სწრაფად ტყისკენ გაელვებული კაცი (ა. ყაზბ., 189). 48. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებოდა ოდნავ, ბებია რომ სპილენძის ტაშტში ჩააყოფინებდა ფეხებს (გ. ფანჯ., 19). 49. მღელვარებამ იმავე წუთს გაუარა, როგორც კი ბურთს ფეხი დაააკარა (გ. ფანჯ., 138). 50. მამამ თხარა მანამდის, სანამ წყალი არ გამოაჩინა (კ. ყმა, 232). 51. შენ ის კაბა ჩაიცვი, მაშინ ბალში რომ გეცვა, კარგი? (ნ. ლონაშ., 102). 52. დახურე წიგნიც, გაშლილი რომ ეგდო საწოლზე (ო. ჭილ., I, 551). 53. ტეერი გვიწალდია, ისე გვიზარდია, რომ გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად (მ. ლებ., 294). 54. შინ რომ მივედი, სტუმრები იყვნენ სახლში (აკაკი, 141). 55. რამდენიმე წლის წინ მთელი დღე შეუსვენებლად რომ ერბინა, თამაშის წყურვილს მაინც ვერ დაიოკებდა (გ. ფანჯ., 131). 56. როგორც კი ახალმოსულების კივილს გაიგონებდნენ, ისინიც იფეთქებდნენ (გ. ფანჯ., 78). 57. მარ-

ტო რომ დავრჩი, გული უცნაურად დამიმძიმდა (ნ. ონაშ., 44). 58. ეს რომ გავიფიქრე, ბედს დავემორჩილე და ცოტა დავმშვიდდი (ნ. ონაშ., 137). 59. ის მეთაური იყო და შემთხვევას არ გაუშვებდა, თავი რომ გამოეჩინა (ო. ჭილ., I, 100). 60. გაახსენდა, რომ ჭაბუკმა საავადმყოფოს წინ გააჩერა (გ. ფანჯ., 35). 61. როგორც კი საქმეს მორჩა, ისევ იმ შიშმა შემოისედა ბნელი კარიდან (თ. ბიბ., 420). 62. გულდასაწყვეტი მხოლოდ ის იყო, რომ გავაშელი ვერასოდეს ვერ გაიგებდა სიმართლეს (გ. ფანჯ., 563). 63. მანამ არ მოისვენებდა, სანამ უკანასკნელ მეგობარსაც შინ არ მიიყვანდა (გ. ფანჯ., 176). 64. მარტო ის მაფიქრებს, ძალიან ახალგაზრდა რომ არის (ნ. ონაშ., 133). 65. სწორედ იმ დროს, ტყეს რომ უნდა შეფარებოდა, ბილიკზე გამოვარდა მისი ტოლი ბიჭი (თ. ბიბ., 405). 66. გზაზედ ვილაცა შეიარაღებული კაცი გადმოვიდა, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, თუმცა სიბნელეში თვალი ძნელად გაარჩევდა რასმე (ა. ყაზბ., 187). 67. გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა არასოდეს არ გადაშენდება (ლ. ასათ., 50). 68. ეს არ იყო ისეთი დარტყმა, კაცს რომ ბრძოლის გაგრძელება ველარ შეძლებოდა (გ. ფანჯ., 566). 69. ლევანმა კიბე ჩაათავა თუ არა, ერთბაშად შემობრუნდა (გ. ფანჯ., 172). 70. თოელს არასოდეს ელოდა სოფელი, რადგან მუდამ იმაზე ადრე მოდიოდა, ვიდრე იმის მოლოდინი ჰქონდათ (თ. ბიბ., 185). 71. მხოლოდ მაშინ აისედა, ბექამ დაუკითხავად რომ შეაღო კაბინეტის კარი (ნ. ონაშ., 132). 72. მთაბერე ყრმასა ძლიერი სული, რათა შეიქმნეს თავის ერისა მოძმე ერთგული და მოყვარული (ილია, 73). 73. ვექსილის აშკარად გამოჩენისა მეშინოდა, რადგანაც მაშინვე მოვალეები ეძგერებოდნენ და ჩემს შვილს უკანასკნელ საზრდოს გაუწყვეტდნენ (ა. ყაზბ., 82). 74. მზე ჩაეშვებოდა თუ არა, მძინარე ხეჩინა ისევ დაიბუბუნებდა და კართან მთვლემარე ბიჭიც მაშინვე ზამბარასავით ახტებოდა (თ. ბიბ., 53). 75. როგორც კი ნაბიჯს გადავდგამდი, გამახსენდებოდა მამაო სტეფანეს კეთილი სახე მკერდზე გადმოფენილი წვერით (თ. ბიბ., 54). 76. სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა, რომ შვილი იმ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად (ილია, 125). 77. ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები, რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი (ილია, 127). 78. ჰაზირამ, რომ კვდებოდა,

მოითხოვა თავისი დაირა, დაუკრა და დაირის დაკვრის დროს განუტევა სული (ი. გრიშ., 179). 79. ვკითხე, რადგან მტანჯველ დუმილს ველარ გავუძელი (ნ. ონაშ., 129). 80. რაკი ამხანაგები ტყეში შევიდნენ, მაშინვე დაქვეითდნენ, ცხენებს უნაგირები მოხადეს და წამოჰყარეს აღვირები (ა. ყაზბ., 172). 81. გოგოს მოწყენილი სახე და უბრალო ტანისამოსი იმას ამტკიცებდა, რომ ის მდიდარ ოჯახს არ ეკუთვნოდა (ა. ყაზბ., 167). 82. რაკი მტრად ის დაიგულა, თითონ გააძლებს მტრობითა (ვაჟა, 174). 83. იქ ნახა ქალი ლამაზი, რომ იღვრებოდა ცრემლადა (ვაჟა, 180). 84. როგორც კი მის ზურგს უკან სენაკის კარი მოიხურებოდა, მორჩილი და ქედმოხრილი ხეჩინა ერთბაშად წელში გაიმართებოდა (თ. ბიბ., 49). 85. რაკი კაცი სახლის გზას დაადგა, ახლა დედაკაცს უფლება ჰქონდა დაწინაურებულიყო (თ. ბიბ., 379). 86. საშინელი უხერხულობა ვიგრძენი და უფრო იმიტომ, რომ დაძაბული დუმილი დამერღვია, ვკითხე (ნ. ონაშ., 48). 87. იმ დრომდე სულსა დანაშთენსა ღონეს მოვუკრებ, ვიდრე საომრად, შვილო ჩემო, შენ გაგისტუმრებ (ილია, 125). 88. მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია (ილია, 928). 89. მათ არც სიკვდილზე ფიქრი შეეძლოთ, რადგან მხოლოდ ორი კვირის წინ იქორწინეს და პირთამდე სავსე იყვნენ ბედნიერებით (ნ. ონაშ., 248). 90. ვიდრე კარს მოხურავდა, ერთხელ კიდევ მოაბრუნა ხშირი ჭაღარით დამშვენებული თავი (ნ. ონაშ., 231). 91. ლიზასა და ნადიას გული მოსდიოდათ, რადგანაც კუსიანი სრულიად არ აქცევდა ყურადღებას მათ (ა. ყაზბ., 68). 92. ეტყობა, მომავალნი დაღალულნი და შეწუხებულნი იყვნენ, რადგანაც ძალიან წყნარა მოიზლაზნებოდნენ (ა. ყაზბ., 189). 93. შენ რომ წახვედი, ასე მგონია, მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე (ნ. სამად., 136). 94. როგორც კი სანთელი ავანთე, ჩემს ბნელ, სენაკისოდენა სადგომში ადამიანის ნაკვალევს წავაწყდი (თ. ბიბ., 152). 95. მე შევატყვე, რომ გუთანი აირია (კ. ყმა, 84). 96. ჭიშკარის დირეს რომ გადააბიჯებდა, ეზოს წვრილფეხობა ქივილ-ხივილით შემოესეოდა (ნ. ონაშ., 244). 97. მისი მოქმედება საკვირველი იყო, რადგანაც სრულიად ბავშვს ემსგავსებოდა (ა. ყაზბ., 187). 98. ყველამ ჩქარა ხვრინვა ამოუშვა, რადგანაც დღევანდელი ბრძოლის შემდეგ მეტად დაღალული-

ყენენ (ა. ყაზბ., 174). 99. ეს რწმენა მაშინვე დაიმსხვრა, როგორც კი ის უცხო კაცი ამოვიდა და ბიჭი მოითხოვა (თ. ბიბ., 407). 100. ალბათ მერანმა ფრთები გაჰკრა მარადისობას, რომ ვარსკვლავები ცაში გაჩნდნენ ნაპერწკლებივით (ნ. სამად., 138).

*§ 91. მიმართებითნაცვალსახელიანი.* 1. ეს იყო ის დრო, რომელიც ადამიანს სულს უსპეტაკებს და ბავშვობის ნათელ სამყაროში აბრუნებს (თ. ბიბ., 309). 2. საით წავიდოდა ბედი იმ კაცისა, ვინც სოფელმა თავის კითხულად, თავის წინამძღოლად აირჩია? (თ. ბიბ., 311). 3. მთვარის შუქი ეალერსება მფრინავის ხელებს, რომლებსაც მაგრად უჭირავთ საჭე (ო. ჭილ., I, 596). 4. ის თავისუფლდებოდა იმ მძიმე და დაუფასებელი მოვალეობისაგან, რაც ღმერთს დაევალებინა მისი მოდგმისათვის (ო. ჭილ., II, 132). 5. ერთი კაკაბთაგანი, უფრო მოზრდილი, რომელიც გუნდს ჩობანივით გვერდზე მისდევდა, მოუბრუნდა და უთხრა (ვაჟა, 304). 6. გოგო მისჩერებოდა ერთ ადგილს და თავდავიწყებით გასცქეროდა მდინარეს, რომელიც მინდვრად გამოსვლის შემდეგ დაწყნარებულიყო (ა. ყაზბ., 168). 7. ის გატრიალდა, ბრეზენტის კუთხე გადასწია, დამფრთხალი ცხოველის გუმანით დაზვერა ის რამდენიმე ნაბიჯი, რაც ორ გამოქვაბულს ერთმანეთისაგან ჰყოფდა (ო. იოს., 92). 8. მუდამ ტკივილით ვარიდებდი თვალს ტელეფონის აპარატს, რომელიც ჯიუტად დუმდა და მარტოობის მტანჯველი გრძნობით მავსებდა (ნ. ონაშ., 169). 9. ნეტავი იმას, ვინც ღია გულით კაცსა კაცური უთხრა სიმღერა (ლ. ასათ., 99). 10. ქედის გადაღმა გადადის ხოლმე მოხუცი ჩალხია და მერე იქიდან ბრუნდება ათასგვარი ახალი ამბებით, რასაც მხოლოდ საფიხვნოში შემოჯარული მობჭენი უსმენენ მდუმარედ (თ. ბიბ., 23). 11. სოფელი უფრო დაპატარავებულა და იმ ქედის ფერი დასდებია, რომელსაც მერცხლის ბუდესავით შეხიზვნია (თ. ბიბ., 83). 12. და იარაღის ხმარებას სწაელობს ხელი, რომელიც ხატავდა გუშინ (ო. ჭილ., I, 592). 13. იმის გაგება მაინც არ შეეძლო, რაც მის სამშობლოში ხდებოდა (ო. ჭილ., II, 63). 14. ახლა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც თამაზ იაშვილისა ესმოდა და სჯეროდა, ოთარი იყო (გ. ფანჯ., 462). 15. იმან დაინახა თავისი შეცდომა,

დასჭყივლა ამხანაგებს, გაამხნევა და სწრაფად შეეფარა ტყიან ჭალას, რომელიც სოფლის ახლო იყო (ა. ყაზბ., 172). 16. ერთი გასროლა, რომელიც მიზანს მოხვდა, შემზარავია (ო. იოს., 98). 17. მრისხანედ გახედა ბექას, რომელსაც მთელემარესავით ჩაექინდრა თავი (ნ. ონაშ., 111). 18. მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა (ლ. ასათ., 61). 19. ღმერთმა მოუვლინა ჯილაურს ბიჭი, რომელიც მალე ვაჟკაცი უნდა გამხდარიყო (თ. ბიბ., 355). 20. ახლა პასუხი მხოლოდ იმ კაცს მოეთხოვებოდა, ვინც კოშკში ჩაკეტილიყო (თ. ბიბ., 292). 21. დღეს კი ხეს გავხარ, რომელსაც უკვე გადაუარეს თავზე ღრუბლებმა (ო. ჭილ., II, 505). 22. ანდა რა უნდა მოსთხოვო ენებებს, რომლებმაც ყველა სასმისი შესვეს (ო. ჭილ., II, 488). 23. იქნებ ეს აღმოჩნდეს ერთადერთი ადამიანი, რომელსაც თავის სულსა და გულს გადაუშლის (გ. ფანჯ., 457). 24. თავადი სვიმონ კუხიანი იყო კარგი დედ-მამის შვილი, კარგი ოჯახის პატრონი, იმ ოჯახისა, რომელმაც წარსულში დესპანობისა და ელჩობის ნიჭი გამოიჩინა (ა. ყაზბ., 69). 25. გალობს, ჩქარობს, ხარობს ბავშვი, გულწრფელს ჩამოაგვირისტებს უცებ, რაც მოუვა თავში (მ. ლებ., 57). 26. მე აქაური კაცი მჭირდება, რომელმაც ხუთი თითივით იცის, რამდენი კენჭია ამ უფსკრულში (ო. იოს., 25). 27. ამ სოფელში შენიშნული და აღმოჩენილი იქნა ორ ადგილას უზარმაზარი სალეინე ქვევრები, რამაც მთელ თემში დიდი ინტერესი გამოიწვია (კ. ყმა, 108). 28 ორი კვირა გავიდა, რაც სამსახური დავიწყე (ნ. ონაშ., 75). 29. ეს არ იყო ის ქალი, ვინც მხოლოდ ბუხრის პირას ზის და მწარედ ტირის (თ. ბიბ., 207). 30. ქალის სახეზე მე ვხედავდი თეთრად გათეული ღამეების ნაკვალევს, ვხედავდი დიდ, შიშჩამდგარ თვალებს, რომლებიც მზერას არ მაშორებდნენ და პასუხს ელოდნენ (თ. ბიბ., 206). 31. მისი თვალებიდან ამოდიოდა სიცივე, რომელიც ახლა ქვალრბილში ჰქონდა გამჯდარი (ო. ჭილ., II, 289). 32. ყველაფრის ნებას აძლევდნენ თვალებს მეზღვაურები, რომლებიც სვამდნენ (ო. ჭილ., II, 441). 33. მას შემდეგ, რაც ოთარმა ორჯერ იგრძნო საშინელი, უჩვეულო დაღლილობა, გადაწყვიტა, სისტემატურად ევარჯიშნა (გ. ფანჯ., 567). 34. მას ვერ უგრძვნია სრული ნექტარი კავკასიის სიტკბოებისა, ვისაც ეს ადგილები არ უნახავს (ა. ყაზბ., 195). 35. კურთხეულ იყოს ყოველი

მგზავრი, რომელმაც უნდა განვლოს უღრანები (მ. ლებ., 326). 36. ის, ვინც ბრეზენტს იქით რჩებოდა, შემოიერთა და დაანახვა ყოველივე (ო. იოს., 81). 37. ვაჟკაცად იმას არ ვაქებ, ვინცა სისხლისა მღვრელია, ვაჟკაცად იგი მიქია, ვინცა უბედურთ მხსნელია (ილია, 89). 38. თბილისში ცხარე მზე ათბობდა მთაწმინდის კალთებს, რომელსაც ქართველი ხალხი აბარებდა თავის დიდებულ პოეტს (მოგ. აკ., 360). 39. ათი გრიალა წელიწადია, რაც ლექსებისთვის გავწირეთ თავი (პ. იაშვ., 150). 40. დედა იმ კაცის საძებნელად წავიდა, ვინც ბიჭი წაიყვანა (თ. ბიბ., 457). 41. სოფელიც, რომელსაც იგი მწყემსავდა, უწყინარი სიმშვიდით ცხოვრობდა (თ. ბიბ., 101). 42. მეც ვუბრუნდები ისევ იმ ქალებს, რომლებიც ძალით შექმნილ ბუხართან ცეცხლს ეჩვეოდნენ ძალიან მალე (ო. ჭილ., II, 505). 43. მთავარი, რამაც ყველაზე ძალიან შეაძრწუნა და დააბნია კიდეც, ეს იყო (ო. ჭილ., II, 354). 44. უდაოდ ადამიანის არსებაში არის რაღაც ძალები, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებლად აღიქვამენ ტრაგედიას სხვადასხვა სიღრმით და სხვადასხვა ზომით (გ. ფანჯ., 587). 45. ახლაც გეტყვი და გაგიმეორებ იმას, რასაც მაშინ გეუბნებოდი (ა. ყაზბ., 194). 46. ამ შიშსა და რიდს მაინც გრძნობდა იმისადმი, რაც მის სხეულში შემოძვრა და თავის ტყავიდან გამოდენას უპირებდა (ო. იოს., 66). 47. ჩვენს ქვეყანას იმდენი მეგობარი ჰყავს, რამდენიც შეიძლება არც ერთ პატარა ეროვნებას არ ჰყავდეს (პ. იაშვ., 275). 48. ვინ გაჭრა, ნეტავ, თოკი, რომელიც ჩვენ გვაერთებდა (ო. ჭილ., II, 502). 49. ის ღვიოდა, როგორც აბედი, რომელსაც ქარი ჩაქრობას უშლის (ო. ჭილ., II, 498). 50. ექიმი, რომელმაც სიკვდილს გამოსტაცა ადამიანი, იმ დღეს თავს ყოვლისშემძლე და უბედნიერეს ადამიანად თვლის (გ. ფანჯ., 227). 51. დროდადრო გამოშვებით ისმოდა მგლების გაგრძელებული ყმუილი, რომელიც შეიცვლებოდა ხოლმე დათვის იშვიათი ბურტყუნით (ა. ყაზბ., 186). 52. ცხენები უფსკრულის პირს მიჰყვებოდნენ, ზოგჯერ მდინარემდე ჩადიოდნენ, რომელიც იმდენი მსხვერპლის მერე თითქოს ცოტათი დაშოშმინდა (ო. იოს., 70). 53. ჩემი დამშვიდება ისევ მხოლოდ უდაბნოში შეიძლება, იმ უდაბნოში, რომელიც ჩვენი სახლი გახდა (თ. ბიბ., 75). 54. ვინც ცუდს არ იზამს და არც არას დააშავებს, იმას არაფერი არ მოეჩვენება (აკაკი, 127). 55. განა

მამაშენი შენთვის იმასვე არ გააკეთებდა, რასაც მამაჩემი აკეთებს ჩემთვის (ნ. ონაშ., 131). 56. მზე ამოვა, რომელსაც ასე ველოდებოდი (ო. ჭილ., II, 506). 57. ლუკა ცდილობდა ის გაეკეთებინა, რასაც ჩვენ ვაკეთებდით (კ. ყმა, 158). 58. იმ წლებში, რაც ომში გაატარა, თავისი სოფლის გახსენება, იმ საცოლის გახსენება იყო (თ. ბიბ., 343). 59. ამხანაგებმა აიხედეს და დაინახეს ქორი, რომელიც მათ წყნარად თავს დასტრიალებდა და იქაურობას ათვალიერებდა (ა. ყაზბ., 176). 60. ჩვენ ვშლით ნაკვალევს, რომელსაც ვტოვებთ (ო. ჭილ., I, 563). 61. უპასუხა იმან, რომელსაც სიცივე უშლიდა სიტყვების გამოთქმას (ა. ყაზბ., 107). 62. სადღაც შორიდან მოდიოდა დიდი შავი მდინარე, რომელსაც აღმა უნდა ავყოლოდი და მე შიშით შევცქეროდი ამ მდინარეს (თ. ბიბ., 24). 63. ბევრია ძუნწი და ხარბი, რომელიც მარტო თავისთვის შფოთავს (ო. ჭილ., II, 464). 64. მამას ახარებდა შვილის სახელი და ყოველთვის სიამაყით შესცქეროდა თავის მემკვიდრეს, რომელსაც ღირსეულ შვილად სთვლიდა (ა. ყაზბ., 166). 65. ის მუდამ იმას გააკეთებდა, რაც თვითონ სურდა და მე არასდროს არაფერს დამეკითხებოდა (თ. ბიბ., 32). 66. წვიმამ მოიტანა ის სიჩუმე, რომელიც სამუდამოდ დაკარგული მეგონა (თ. ბიბ., 151). 67. ამ რაინდს მშვიდი, უმოძრაო სახე მიუპყრია გამძვინვარებული მხეცისათვის, რომელსაც მთელ სხეულზე, ცხვირიდან კუდის უკიდურეს წერტილამდე, არაჩვეულებრივი სიზუსტით დასდევს ყვითელი და შავი ზოლები (ნ. ონაშ., 46). 68. არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია (ილია, 164). 69. რაც გადამხდა, განკითხვის დღეს მადლად მე არ ჩამითვალოთ (ილია, 170). 70. ის პრჩება მხოლოდ ქვეყანას, რაც რომ ჩვენგანმა აკეთა (ვაჟა, 176). 71. შენ მოსაკლავად ის მოდის, ვინც გიცნობს კარგის მყოფლადა (ვაჟა, 174). 72. გადამირჩინე თუგინდ ის მრევლი, ვინც აღავლენდა ჩემს მყუდროებას (ნ. სამად., 33). 73. დიდება იმას, იმ განგებას მრავალქამიერ, ვინც დასაბამის სამრეკლოსთან ძუძუ გაწოვა (ნ. სამად., 129). 74. პაზირას უკანასკნელი დროის ლექსებიც ის დაფდაფი იყო, რომელიც ხალხს აღვიძებდა და უკეთესი მომავლისაკენ მოუწოდებდა (ი. გრიშ., 176). 75. პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა (ილია, 926). 76. ის

შაიბრალეთ, სულები ვისაც აქვს გადახლართული (ვაჟა, 81). 77. წყალი არ მოჰშლის წყლობასა, რაც უნდა ბევრი ჰნაყოთა (ვაჟა, 177). 78. აქ ვეცდები გადმოგცეთ ის, რაც მე თვითონ მსმენია აკაკისაგან (მოგ. აკ., 51). 79. სადღაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი, ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა (ნ. სამად., 130). 80. ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა, მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებია (ილია, 125). 81. ტკბილი ისაა მუდამა, რაც იშოვება ძვირადა (ვაჟა, 84). 82. ბოლოსლა ვიხრით მის წინ ქედს, ვინც ჩვენ მოვკალით ძალადა (ვაჟა, 788). 83. მაგრამ ის, რასაც წერდი, მგოსანო, საუკუნეთა ყამირს გადახნავს (ნ. სამად., 132). 84. როდის-ღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა (ილია, 932). 85. ვისაც რომ ქვეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია (ვაჟა, 38). 86. ეს გამიგონია იმ პირებისაგან, რომელნიც ახლო იდგნენ პოეტთან (მოგ. აკ., 52). 87. ყველაფერი, რაც ხდებოდა, კარგად იცოდა (თ. ბიბ., 358). 88. მისი სახე სამუდამოდ დამამახსოვრდა ისეთი, როგორიც იყო მაშინ, რომელსაც ვერც ერთი მისი სურათი, ვერც ფოტოგრაფიული და ვერც საუკეთესო მხატვრების დახატული, ვერ შეედრება (კ. ყმა, 203). 89. ის მადლობას უძღვნიდა მის მადიდებელთ და იყო ისევ თავდაჭერილი, ყუჩი, განდიდებას აშორებული ვაჟა, რაც მას ამშვენებდა და საყვარელ ადამიანად ხდიდა (კ. ყმა, 137). 90. იმ ორს მეოთხეც მიჰყვა, ვინც აქამდე უაზრო, ცივი ღიმილით იღიმებოდა (თ. ბიბ., 236). 91. ავტორმა ზომით პატარა წერილში მოათავსა ყველაფერი, რაც დღემდე ცნობილია ფიროსმანის ცხოვრების შესახებ (პ. იაშვ., 300). 92. გეტყვი, რაც დამაქვს გულში ფარული (ლ. ასათ., 25). 93. ვერ დაივიწყებ, ვინც გიყვარს, შეყვარებული დარჩები (ლ. ასათ., 46). 94. რაც წასაღებია, წაიღებს (ო. იოს., 90). 95. საკმარისია ეს, რაც ახლა იფიქრა, დაიჯეროს (ო. იოს., 100). 96. ამას მოჰყვა ჩვენებური სმა, რამაც კვალი დააჩნია ვაჟას (კ. ყმა, 129). 97. არიან მწერლები, რომელთაც ადრინდელი სიჭაბუკის ლექსები კარგი აქვთ (კ. ყმა, 199). 98. ნეტავი იმას, ვინაც მოშაქრა ლექსის ჯიქანი და ხალხს აწოვა (ლ. ასათ., 99). 99. საღამოს შემდეგ გაიმართა ვაჟას საპატივცემულო ბანკეტი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო და ყველა ქება-დიდებას ასხამდა ვაჟას

(კ. ყმა, 137). 100. ახლა აღარ მახსოვს სიტყვა-სიტყვით იმათი კამათი, რომელმაც კარგა ხანს გასტანა (კ. ყმა, 219).

*§ 92. მიმართებითზმნიზედიანი.* 1. ის ადგილი, სადაც იზრდებოდა ერის დიდება, დაუვიწყარი დარჩება ქართველებისათვის სამარადისოდ (პ. იაშვ., 279). 2. როდესაც თეიმურაზმა გაათავა გრძელი სიტყვა, სტუმარმა გადაისვა შუბლზე ხელი და თავისთვის ჩუმად წარმოსთქვა (ა. ყაზბ., 29). 3. არ ყოფილა ისეთი სამიკიტნო, სადაც მისი მადლიანი ექსპრომტები ღვინოსთან ერთად არ დაღვრილიყოს (ი. გრიშ., 101). 4. შიშველ მწვერვალებში, სადაც ხავსიც არ ხარობს, დესანტებს ორი გამოქვაბული ეჭირათ (ო. იოს., 19). 5. ყვავილი კარგია, როცა თავის ძირზე ჰყვავის (მოგ. აკ., 146). 6. როდესაც ჩნდება ადამიანი, მიწაზე უნდა ადგილი ჰქონდეს (ო. ჭილ., II, 534). 7. ის გზა, საიდანაც წამოვიდოდა, კარგად იცოდა (თ. ბიბ., 358). 8. სამხრეთით გაჭიმულან მწვანე ხავერდისკალთებიანი მთები, სადაც აქა-იქ მოჩანს რამდენიმე მოსახლე (კ. ყმა, 239). 9. როდესაც ხალხი ამართავს ჩახმახს და გადააქცევს მკერდებს დანებად, მაშინ დაზოგვა არ იცის ხალხმა (პ. იაშვ., 143). 10. ის იყო მხედართ მათრახები გადაუქნიეს თავის ცხენებს და გავლას აპირებდნენ, როდესაც რაღაცამ იელვა (ა. ყაზბ., 192). 11. ფანჩატური, სადაც ისინი ისხდნენ, ბაღის ბოლოში იყო გამართული და წყალს გადაჰყურებდა (ა. ყაზბ., 87). 12. ვეტყვი, რა იყო ის გაზაფხული, როდესაც შეგხედი და შემიყვარდი (ლ. ასათ., 31). 13. შენ ლერწმის ქოხთან ფუსფუსებ, დედა, სადაც რბის განგი დაუდეგარი (ა. კალანდ., 73). 14. მოსაგონებლად ეჯავრებოდა ტყე და იქ ცხოვრება უცხო ტომში, სადაც უსიამოვნების მეტი ვერაფერი ნახა (ვაჟა, 310). 15. მხოლოდ გუნდ-გუნდად მოსული იხვები შესძრავდნენ ტბის გულ-მკერდს, როდესაც შიგ ჩაეშვებოდნენ და ტალღას დააწყებინებდნენ თრთოლას (ვაჟა, 275). 16. როდესაც ამას მორჩა, ისევ პატარა ოთახში გავიდა, ცოცხი აიღო და პალატის დასუფთავება დაიწყო (გ. ფანჯ., 76). 17. ცვლის დამთავრების შემდეგ, როცა საშხაპეში კედელზე აკრულ გატეხილ სარკეში ჩაიხედა, შეშინდა (გ. ფანჯ., 374). 18. ფერდობზე გამოთხრილ მიწურში,

სადაც დაბალი კაციც თავდასრილი შედიოდა, ხელფეხშეკრული მწვანე მუნდირიანი ორი ჯარისკაცი ეგდო (ო. იოს., 7). 19. უკვე ახლოა სახლი, სადაც სინაზით სუნთქავს აგურიც (ო. ჭილ., I, 574). 20. როდესაც თიანეთში ჩავიდოდა, აუცილებლად ჩვენ ძმა გიორგისთან უნდა დამდგარიყო (კ. ყმა, 324). 21. როდესაც ფული ჩაეაბარე, შეფიქრიანდა, დაეჭვდა, ფული ეცოტაევა (პ. იაშვ., 248). 22. დადექით! — ეუბნებოდა ნინიკა ხარებს, როცა კარებზე მიათრევინა გრძელი წიფლის ხე (ვაჟა, 307). 23. როდესაც იმ უცხო კაცმა ცხენით ბილიკი ამოიარა, ცოლ-ქმარმა მაშინვე დაინახა (თ. ბიბ., 378). 24. როდესაც ბავშვი თერთმეტ-თორმეტის წლისა შეიქნა, დედ-მამამ უმჯობესად დაინახა შეილი სამშობლო ქვეყნისათვის მოეშორებინათ და პაჟების კორპუსში გაეგზავნათ (ა. ყაზბ., 69). 25. როდესაც ცეცხლი სწვავედა ტრამალებს, მაშინ შენ შენი ცრემლი დამალე (ა. კალანდ., 73). 26. მე შეშინებული ვიხედები ბუხრისაკენ, სადაც ქალი ზის (თ. ბიბ., 214). 27. ტრედებს ეს ხმა თავის ნაამხანაგარ, დაკოდილ მწყრის ხმა ეგონათ და გასწიეს იქითკენ, საიდანაც ეს ხმა ესმოდათ (ვაჟა, 276). 28. განსაკუთრებით მაშინ უკვდებოდა გული, როცა ზაფხულში პაპანაქება სიცხისას თბილისში დარჩენილ ბავშვებს ნახავდა ეზოში მარტოდ მარტო მოთამაშეთ (გ. ფანჯ., 560). 29. იმ ადგილზე, სადაც დაჭრილი უნაგირზე შესვეს, ხმელი კუნძივით დარჩა რაღაცა (ო. იოს., 159). 30. როდესაც გრიალებს „ბრავო!" ხეც ლამის სირცხვილით გახმეს (მ. ლებ., 384). 31. როდესაც მიადგება რომელიმე რესტორანს, ფრთხილად შეაღებს კარებს, გაიწმენდს სათვალეს, გადაათვალიერებს ხალხს და იკითხავს (პ. იაშვ., 249). 32. სეიმონ ამ გაჭირვებაში იყო, როდესაც ბედმა გაუღიმა (ა. ყაზბ., 73). 33. როცა ძალა ძალას ვერა მორევსა, ნათქვამია „ხერხი სჯობსო ღონესა" (ა. კალანდ., 262). 34. იგი მაინც მიდის ბილიკზე, სადაც ადამიანები ფორთხვით და მკლავებით ადიჩამოდიან (ო. იოს.,131). 35. როცა ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა, ვარჯიში უკვე დამთავრებული იყო (გ. ფანჯ., 566). 36. პკითხა მზარეულმა, როცა არქიფოს თვალზე ცრემლი დაინახა (გ. ფანჯ., 79). 37. მე სწორედ იმ ქედის თავზე ვდგავარ, საიდანაც ოდესღაც გადავხედეთ ჩვენს სოფელს (თ. ბიბ., 83). 38. ის მოვა მხლებლებისა და მცველების გარეშე, როგორც მოდიან ნაცნობ

სახლში, სადაც გუშინაც ყოფილა და იმის წინაც (თ. ბიბ., 214). 39. ერთ დღეს თათარყან ტყიდან მოდიოდა, როდესაც სოფლიდან რაღაცა ხმაურობა შემოესმა (ა. ყაზბ., 170). 40. როდესაც უკუქცეული ისევ მოსძებნის საფარს მტრის ჯარი, მოულოდნელად მაშინ იქ დახვდით (აკაკი, 58). 41. შემდეგ მამამ მიმიყვანა იმ ადგილას, სადაც ბექი ჩამოწოლილიყო (კ. ყმა, 232). 42. ფიქრებში იყო, როდესაც ლიდიასა და ყმაწვილ კაცს თვალი მოჰკრა და გულის ცახცახით ცქერა დაიწყო (ა. ყაზბ., 52). 43. მე ერთხელ ეიყავი ბედნიერი და ისიც უდაბნოს ღამეში, როდესაც ვარსკვლავებიც თვალს მარიდებდნენ და მთვარეც ღრუბლებს ეფარებოდა (თ. ბიბ., 96). 44. ხირჩლა უკვე იმ ადგილზე იდგა, სადაც კითხული უნდა მდგარიყო (თ. ბიბ., 317). 45. ლევანი სააბაზანოდან სამზარეულოში გავიდა, ქვაბებს ჩახედა, მაცივრის კარი გამოაღო და, როცა ვერაფერი იპოვა, ხმადაბლა იკითხა (გ. ფანჯ., 389). 46. თავისი ჩანთა მოძებნა და მიათრია იმ ადგილზე, სადაც ბაუმანმა ქვის იატაკზე უსწორმასწორო ხაზები გააელო (ო. იოს., 82). 47. წყაროს ზევით გამოქვაბულები იყო, სადაც ომამდე მონადირეები ათევდნენ ღამეს (ო. იოს., 43). 48. როცა ჩვენ ხელში გადმოვიდა საქართველოს სვე-ბედი და წესწყობილებაც შეიცვალა, ვაჭრებმა ყველაზე უმალ გამოახილეს თვალი (აკაკი, 157). 49. სინანულით გაიფიქრა ჯონდომ, როცა მოხუცი სახლში შევიდა (გ. ფანჯ., 86). 50. როცა გასახდელში გამოვიდა, იქ აღარავინ დახვდა (გ. ფანჯ., 134). 51. როდესაც სადილს მოვრჩებოდით, ის ცოტას წაიძინებდა (კ. ყმა, 327). 52. სახლის უკან პატარა ადგილი ჰქონდა, სადაც ხორბალს თესავდა (კ. ყმა, 239). 53. შევედით კუთხის დიდ ოთახში, სადაც ვაჟას საწოლის, მცირე მაგიდის, ერთი სავარძლისა და პატარა კარადის მეტი არაფერი იდგა (კ. ყმა, 129). 54. ოთხმოციანი წლების დასასრულს ილია ხშირად ბეჭდავდა „ივერიაში“ ვაჟას ლექსებს და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდა, როცა ხმამაღლა წამიკითხავდა ან მესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე (კ. ყმა, 147). 55. მე ვიდექი და შიშიანი მოლოდინით ახლა იმ სიბნელეს შევცქეროდი, საიდანაც ჩემი მეგობარი უნდა გამოჩენილიყო (თ. ბიბ., 27). 56. ხალხი ჩაჩუმდა და ამაღლებული ადგილი, სადაც ბიჭები იდგნენ, ერთბაშად მოტიტვლდა (თ. ბიბ., 233). 57. დაიხურა ის ალაყაფის

კარები, საიდანაც ქარავნებივით გამოდიოდნენ ჰაზირას მიერ გაწერთნილი აშუღები (ი. გრიშ., 179). 58. ამას მოჰკლავსო ჭოლოკი გაზაფხულს ჭალის პირადა, სადაც ბევრი დგას ჩადუნა, ლერწამი იცის ხშირადა (ვაჟა, 162). 59. სულმოუთქმელად აიარა აღმართი, ავიდა მწვერვალზე, იქ, სადაც მკვდრის მზისფერი ასოებით ეწერა „ორმოცდახუთი“ (ნ. ონაშ., 236). 60. შეიდი-რეა თვის განმაელობაში ერთხელ მოვკარი თვალი, როდესაც გაზეთის ნომერი მოითხოვა (კ. ყმა, 132). 61. ასეთი იყო ვაჟა იმ დეკემბრის თოვლიან დღეს, როდესაც პირველად ვნახე (კ. ყმა, 140). 62. ეს სწორედ ის ქედი იყო, ჩვენი საფიქრალი ქედი, სადაც ჩვენი სამყარო მთაერდებოდა და საიდანაც უსასრულობა იწყებოდა (თ. ბიბ., 29). 63. ვაჟამ იცნო და მოისაზრა ის ადგილი, საიდანაც რამდენიმე წლის წინათ წაუვიდა დიდი ტახი (კ. ყმა, 305). 64. სადაც უნდა აღემართათ სატევარი და გორდა, ვაქკაცურად მიიწევდნენ, ვაქკაცურად გაჰქონდათ (ლ. ასათ., 34). 65. ახალი პატრონი არ ეტევა იქ, სადაც ჩამოსახლდა (ო. იოს., 90). 66. ობერ-ლეიტენანტი სწორედ იქიდან დასჭრეს, საიდანაც ახლა ვალტერი განგმირეს (ო. იოს., 118). 67. ეგ გზა უვალი თვითეულ ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი (ილია, 928). 68. მე მძაგს სასახლე, სადაც ჩემს ჩვილს არ ატირებენ (ი. ჯოლბ., 155). 69. ეს იყო სწორედ იმ დროს, როცა თბილისში ჰყვავის თეთრი მაგნოლიები და ბროწეულის წითელი ყვავილები (კ. ყმა, 146). 70. იქამდე, საიდანაც ვალტერი გადავარდა, ორი ნაბიჯი კიდევ იყო (ო. იოს., 130). 71. ის ადგილი ყველაზე მოხერხებული იყო, საიდანაც აქამდე დარაჯობდნენ ქვაბულებში გამომწყვდეულებს (ო. იოს., 146). 72. იმ ფიცხელ ომში, სადაც ღმერთიც ვერ გაიგებდა ვინ ვის ესროლა, ვინ სად კვდებოდა და ვინ რომელი იხსნა, თვითონ ამოვიდა ეს კაცი (თ. ბიბ., 249). 73. მუდამ სიამოვნებით ვიგონებ წვიმიან შემოდგომის დილას, როდესაც ვაჟა პირველად ვნახე (კ. ყმა, 203). 74. ერთხელ, როდესაც ვაჟა იყო რედაქციაში, თედოც შემოვიდა (კ. ყმა, 216). 75. წყაროს ქვევით მიმავალი ბილიკი, სადაც წაბლისფერი ცხენი გადაჩეხა თუთარის ტყვიამ, ტინის კედელთან მარჯვნივ უხვევს (ო. იოს., 156). 76. ამ მხრით ლიტერატურა ყოველის კაცის პატრონი უნ-

და იყოს და მფარველი, ნამეტნავად იქ, საცა ეგ პატრონობა და მფარველობა სხვა გზით არ არსებობს (ილია, აზრ., 85). 77. აბდუშაპილისთვის ყველგან ბაღდადი იყო, სადაც კი მისი სატრფო იქნებოდა (აკაკი, 221). 78. ერთი მინდორი გამოჩნდა, სადაც დამწკრივებულიყვნენ რუსის დედაკაცები და ცელით ბალახს სთიბაედნენ (აკაკი, 159). 79. როდესაც საათი დარეკავს, იძულებული ვარ ფეხზე წამოვდგე, კარადის თავზე ავძვრე და საათი ისე გავაჩერო (გ. ფანჯ., 240). 80. ღამით, როდესაც ცა კინაღამ ჩამოიქცა, ძილგატეხილებს დილამდე იმედის ძაფი არ გაუწყდებოდათ (ო. იოს., 72). 81. მე მიყვარდა ის დრო, როცა მონასტრის ძმანი მწუხრის ლოცვას მოილოცებდნენ და თავიანთი სენაკებისკენ გასწევდნენ (თ. ბიბ., 45). 82. როდესაც სტუდენტები გაათავებდნენ სიტყვას, მიდიოდნენ მოხუც პოეტთან და ხელზე ჰკოცნიდნენ, ის კი შუბლზე ეამბორებოდა მათ (მოგ. აკ., 404). 83. გული კი ისევე უღელავს ხოლმე ვნებითა, როდესაც მოაგონდება მისი სამშობლო მამული (აკაკი, 44). 84. როცა საქართველო ნახა გმირმა დამშვიდებით, სხვა მაღალ მთას მიაშურა გალობით და ღვთის დიდებით (აკაკი, 41). 85. როცა კოქსის მარცვლები მსხვილი მოეჩვენებოდა, მანქანის ლილვებს სიჩქარეს უმატებდა (გ. ფანჯ., 71). 86. ეს რაღაცა ამ კოშკებს შეარყევდა და იმ გალავნის შიგნითაც შეიჭრებოდა, სადაც სოფლის წინამძღოლი კაცი იჯდა (თ. ბიბ., 208). 87. როდესაც ისევ ინათა და ამბის მომტანი არავინ გამოჩნდა, მაშინვე გაიტენა თოფი, ცხენებს ნალები გაუსინჯეს და მოსართავი გაწყვეტამდე მოუჭირეს (ო. იოს., 72). 88. როდესაც მის ნაწარმოებს კითხულობთ, ხერხემალი უფრო ადრე გრძნობს ყოველივეს, ვიდრე გონება და გული (მოგ. აკ., 26). 89. იქნებ ის კოშკი, სადაც კითხული გვგონია, ცარიელია (თ. ბიბ., 44). 90. როდესაც ის დაინახავს უცხო სტუმარს, ხიდის ქვეშ ჩამოსულს, მივა და ეტყვის (პ. იაშვ., 250). 91. დავდივარ იმ ადგილებში, სადაც ნიკალას დაუდგამს ფეხი (ლ. ასათ., 127). 92. იქცევა თურმე ქვეყანა მაშინ, როდესაც კამეჩს გაქცეულს ვნახავთ (ლ. ასათ., 104). 93. ის ადგილი, სადაც კოპალამ დევს ქვა გააგდებინა, იქცა სალოცავ ხატად (ადგილად) (კ. ყმა, 289). 94. ვგონებ საუკეთესო ხილის სანერგეც ჰქონდა, სადაც ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ხეხილის ნერგის

შესაძენად (კ. ყმა, 184). 95. გაიცინა როსტომმა და თან გრძელი ტყავის ჩანთა შეათვალიერა, სადაც თოფი ეგულებოდა (გ ფანჯ., 677). 96. იმ სახლში ყოფნას, სადაც ერთგულება, სათნოება და სიყვარული არაა, ხომ ხის ძირში ეულად გდება სჯობს, სადაც ხასხასა ბალახი გიგია და თავზე მწვანე, შეურყვნელი ტოტი, ფოთოლი და ცა გახურავს (ო. იოს., 169). 97. მათი ჯგუფი ისეთ უბანზე ჩამოაგდეს, სადაც არც მტერს ჰქონდა საქმე და არც მოყვარეს (ო. იოს., 75). 98. და ვნახე მხარე, სადაც ზანგაც სომხურად ყვირის და არარატი გადმოჰყურებს სომხეთის ზეცანს (მ. ლებ., 204). 99. ლუკას ტახი ძალიან გაეშმაკებული იყო და ისეთ ადგილებში ინახავდა თავს, სადაც მონადირეები ვერ წარმოიდგენდნენ (კ. ყმა, 306). 100. გამომალვიძეთ თივით დაგებულ უკუნ სენაკში, სადაც მზესავით დაენთება დედაშვილობის ნეტარი და უებრო ცეცხლი (ი. ჯოლბ., 155).

## დამოკიდებული წინადადება ადგილის მიხედვით

*§ 93. დამოკიდებული წინადადება წინაა.* 1. როცა შუადღის მზემ დააცხუნა და ქალაქი გრილ ოთახებში შეიკეტა, ბერძნები წყაროსთან შეჩერდნენ (ო. ჭილ., I, 133). 2. მალე სასახლეში ადგილი რომ არ დარჩა, სასახლის ეზოებში დადგეს კარავი (ო. ჭილ., I, 32). 3. როცა ეს წარმოდგენისებური კითხვა-მიგება გათავედებოდა, ყველანი გამარჯვებულ აშუღს ჰიმნს შეუთხზავდნენ (ი. გრიშ., 71). 4. ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ (ლ. ასათ., 4). 5. სანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოდები, ყოველ ახალ წელიწადს მარად მომაგონდები (ლ. ასათ., 80). 6. აკაწკაწებულმა ვახომ თვალი გაახილა თუ არა, ნაბდიდან გამოძვრა (ო. იოს., 96). 7. როცა ტყვიამ ყურთან უწივლა, მოუფიქრებლად იტაცა ხელი იარაღზე (ო. იოს., 16). 8. ეს რომ გაეიფიქრე, ცოტა გულზე მომეშვა (ნ. ონაშ., 40). 9. მატარებელი ქარისის სადგურზე რომ გაჩერდა, ამ აკვიატებულ ფიქრს მაშინვე ეეება წერტილი დაესვა (ნ. ონაშ., 175). 10. ბერა საზანდარს როცა მომართავს, შენ სევდა გიპყრობს გაუგონარი (ა. კალანდ., 203). 11. მზეი როცა დაცხრა, დედოფალი ლოცვად იდგა ტაძრად (ა. კალანდ., 262). 12. როცა ვაჟამ ჩემი ვინაობა გაიგო, უზომოდ გახარებულმა ძმისშვილს უთხრა (კ. ყმა, 155). 13. მივუახლოვდი თუ არა, ოდნავ წამოიწია და ორივე ხელი გამომიწოდა (კ. ყმა, 130). 14. როცა კაცს დიდი რამ გაქვს ჩაფიქრებული, სიყვარული გვერდზე უნდა გადასდო (გ. ფანჯ., 215). 15. თამაში დაიწყო თუ არა, თაეიდანვე ჯიქურ შეუტია მოწინაალმდეგის კარს (გ. ფანჯ., 144). 16. რაც მამამისმა წაართვა თურქებს, ეგეც იმას წაართმევსო (ო. ჭილ., II, 126). 17. ხელმეორედ რომ გამოვიდა ოთახიდან, უკვე ჩაცმული და დაეარცხნილი იყო (ო. ჭილ., II, 260). 18. როცა ქერივის ბავშვები დაიზრდებოდნენ, ვაჟებს სახელოსნოებში მიაბარებდნენ (ი. გრიშ., 7). 19. და თუ ტირილის დაგიდგეს ჟამი, მონახე ჩანგი და სალამური (ლ. ასათ., 43). 20. და როს გამოჩნდა ბრძენი მისანი, წუთით გაიხსნა ბუნების კარი (ლ. ასათ., 27). 21. გზას

რომ დაადგნენ, წინ წასულმა მზვერავმა სნაიპერებმა ბილიკს შემოუარეს (ო. იოს., 42). 22. წყაროსთან რომ ჩაეიდნენ, მზე გადახრილი იყო (ო. იოს., 41). 23. ჩანგლებს რომ ჩაჰყრიდნენ მტკვარში ვადამდე, თავად მწვანეზე წამოგორდებოდნენ და მიეცემოდნენ თანწალებულ წიგნების კითხვას (კ. ყმა, 173). 24. როცა სადმე წავიდოდით, ცხენს მე შემაკაზმინებდა (კ. ყმა, 302). 25. ვიდრე გავიდოდა, მობრუნდა და მეგობრულად შემომთავაზა (ნ. ონაშ., 44). 26. კარი მიეხურე თუ არა, სწრაფად დაიძრა (ნ. ონაშ., 126). 27. და როცა იგი ეფარევის მინდვრებს, იდუმალი ხმით გვაუწყებს გიდი (ა. კალანდ., 395). 28. როცა გასახდელში ჩაეიდნენ, ოთარს მეგობრები შემოეხვივნენ (გ. ფანჯ., 152). 29. ერთ სიგარეტს გაათავებდნენ თუ არა, იმავე წუთში პირში მეორეს იჩრიდნენ (გ. ფანჯ., 221). 30. რაც მე ვიცი რაზმთა წყობა და სამხედრო წესი სრული, მაგათაც აქვსთ ჩემგანავე ახსნილი და განსწაელული (აკაკი, 41). 31. ეს ამბავი რომ შეიტყვეს მტრებმა, დააგდეს მყისვე მათი სიმაგრე (აკაკი, 56). 32. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მე სტუმრებს შემდეგი სიტყვით მივმართე (კ. ყმა, 63). 33. ვახტანგი რომ შინ მიეიდა და შევიდა სახლში, ვაკა იმ დროს თავის ბუხართან იჯდა (კ. ყმა, 326). 34. როცა შეგირდი ხელობას შეისწაელიდა, წლიური ჯამაგირი ენიშნებოდა (ი. გრიშ., 36). 35. და როს ფრანგულის გაისმა ჩქამი, წამს აღრიალდა დევთა ლაშქარი (ლ. ასათ., 26). 36. გათავდა ომი თუ არა, ერთად შეგროვდნენ ჯარები (ლ. ასათ., 97). 37. და რომ ახალმა ნერგმა იყაროს, წინამორბედი შორს სანთელს გინთებს (მ. ლებ., 305).38. სანამ მთის წვერში არ მოექცნენ, არც ერთს სადავე არ მოუწევეია (ო. იოს., 13). 39. ხევში რომ საღამოს თხელი ბინდი ჩაწვა, ბიჭი შეშინდა (ო. იოს., 50). 40. სანამ ის სარკმელი არ მოიშლიდა ასე მოულოდნელად თვალის დაჭყეტას, არც სოფელს ელირსებოდა სიმშვიდე (ო. ჭილ.,II, 9).41. თემო რომ შემოვიდა, ცა გაეხსნათ (ნ. ონაშ., 70). 42. ვიდრე დეიდა ელენე სუფრას აწყობდა, შინ შევბრუნდი (ნ. ონაშ., 50). 43. ფეხზე რომ წამოვდექი, ყველაფერი დატრიალდა (გ. ფანჯ., 217). 44. კარი შეაღო თუ არა, ცხელი, დაგუბებული ჰაერი ეცა (გ. ფანჯ., 179). 45. როცა მორჩა, გალუნა კბილით მამაპაპური ფრანგულის რკინა (ლ. ასათ., 26). 46. სანამდი კი მტერს ჰხედავდა, არ იცოდა მოსვენება (აკაკი, 41. ) 47. კარგა

ხანი რომ გავიდა, ეს კაცი მოსულიერდა (კ. ყმა, 280). 48. როგორც კი ჩაიგდებდა დროს ვაჟა და გაიპარებოდა სემინარიიდან, მაშინვე ქვემოთა უბნელებთან მოექცეოდა (კ. ყმა, 172). 49. როცა ქალაქში კრივი გაიმართებოდა, მაყურებლები სახლის სახურავებზე ადიოდნენ (ი. გრიშ., 28). 50. როცა მომარტყეს, წყალს ვიღებდი ამ ქალებისათვის (ო. იოს., 89). 51. სანამ ჩემთვის დაუთვლი ათამდე, სულში გადნება ათი წლის ყინვა (ო. ჭილ., II, 506). 52. მივდე თუ არა თავი ბალიშზე, მაშინვე მკვდარივით ჩამეძინა (ნ. ონაშ., 153). 53. როცა ეს მწერთნელს ვუთხარი, კინაღამ სიცილით მოკვდა (გ. ფანჯ., 224). 54. სანამ არ დაბერდები, ვერაფერს მიაღწევ (გ. ფანჯ., 214). 55. სანამ პოლიციელი რამეს მოიფიქრებდა, მეორე ოთახში გავედი (კ. ყმა, 236). 56. მიწა რომ მოვთხაროთ, აუცილებლად გოგირდის წყალი აღმოჩნდება (კ. ყმა, 232). 57. და როცა მთვარემ ტყეში გადაიარა, სასმური ასწია ლევან დადიანმა (ლ. ასათ., 52). 58. ომი რომ დაიწყო, მამა ჯარში გაიწვიეს (ო. იოს., 30). 59. როცა ბრძოლა გამწვავდებოდა, ორივე ბანაკიდან გაისმოდა ძახილი (ი. გრიშ., 26). 60. უცნობი ანეტასკენ რომ შემობრუნდა, ანეტა ადამიანის სუნნაკრავი ირემივით მოწყდა (ო. ჭილ., II, 260). 61. როცა კაცს სთხოვ რასმე, ის ამ თხოვნის ღირსი უნდა იყოს (ნ. ონაშ., 53). 62. ოთარი მანქანასთან რომ მივიდა, მაშინ მოიხედა უკან (გ. ფანჯ., 20). 63. როცა კაცი მუსიკას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის სწავლობს, ათწლედი სავსებით საკმარისია (გ. ფანჯ., 215). 64. ბატონი რომ მობრუნდა, მოიწონა ორივე მსახურის მაღლიანი საქციელი (ილია, 393). 65. როცა თავისი საკუთარი ექნებათ და ჩემი აღარ დასჭირდება რა, ჩემსას მადლობით დამიბრუნებენ (აკაკი, 156). 66. გადასულა თუ არა მამულის პირში, ჯეჯილში კურდღელი ამოსჩენია (კ. ყმა, 280). 67. ცხენებზე რომ შესხდნენ, ბაჩანამ ლექსით მომმართა (კ. ყმა, 303). 68. როცა ხელოსანი სრულუფლებიანი ოსტატი გახდებოდა, მაშინ ისიც ისევე ექცეოდა თავის ხელქვეითებს (ი. გრიშ., 37). 69. ბაუმანი უკან რომ დაბრუნდება, დედას ეტყვის ყველაფერს (ო. იოს., 78). 70. როცა მეტოქემ მთვარის გადამაფარა სინათლის კალთა, უეცრად გაქრა ზმანება მკრთალი (ლ. ასათ., 22). 71. მანქანიდან რომ გადმოვდიოდი, თემოს ეს მაშინ ვთხოვე (ნ. ონაშ., 103). 72. როგორც კი პლატონი

გამოჩნდებოდა, თინათინი მხოლოდ ორ სიტყვას იტყოდა (გ. ფანჯ., 193). 73. მატარებელი დაიძვრებოდა თუ არა, უკვე მისი სიჩქარის გამოანგარიშებას ვიწყებდი (გ. ფანჯ., 212). 74. კოშკიდან რომ გამოვედით, ცივი რიქრაქი შემოგვეფეთა (თ. ბიბ., 113). 75. როცა ხალხი მართლა მოაწყდა გალავანს, დედა წინასწარ ტკბებოდა შვილის ხილვით (თ. ბიბ., 113). 76. მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხა, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა (ილია, 375). 77. ტყეს რომ ახსენებს, უცნაურად თვალები უბრწყინდება (მ. ლებ., 332). 78. ტულაში რომ მიეედით, რკინის ქარხანაში წავიდა ლოგინის საყიდლად (აკაკი, 159). 79. ერთხელ ტყაპატყუპი რომ შემომესმა, მივირბინე სახაბაზოს კარებთან (აკაკი, 130). 80. როცა მიზეზი ვკითხე, ვაჟამ ეს მითხრა (კ. ყმა, 327). 81. სვეტიცხოველს რომ ჩავუარეთ, თქვა (ნ. ონაშ., 102). 82. როცა ყაფანზე ბაირაღი იყო ამართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ევაჭრათ (ი. გრიშ., 8). 83. როგორც კი ხელსაყრელ მომენტს იპოვიდა, რამიშვილს მალულად თვალს შეავლებდა (გ. ფანჯ., 244). 84. როცა დედამიწას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკკრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაც (ილია, 379). 85. როცა წამოვიზარდე, მამამ ერწოში გამათხოვა (კ. ყმა, 303). 86. სანამ შენ ჰყევხარ პატრონსა, მგელს არ დავაჭმევ ბატკნებსა (ვაჟა, 11). 87. სირბილით მიმავალ შვილს მოჰკრა თუ არა თვალი, ყველაფერს მიხვდა (გ. ფანჯ., 38). 88. როცა ახალი შემოელეოდა, ძველ ამბებსაც მომიყვებოდა ხოლმე (მოგ. აკ., 147). 89. კარი რომ გამოვალე, გაოცებისაგან გავშეშდი (ნ. ონაშ., 169). 90. დილით რომ გამოვდიოდი, მუდამ ისე ვესალმებოდი, როგორც კეთილ მეზობელს (ნ. ონაშ., 169). 91. როცა ვიგონებ ღამე დაღვრილ გარეჯის ცრემლებს, ძარღვებში სისხლი მეყინება (ნ. სამად., 163). 92. როცა ნიკო მოვიდოდა, სიხარულით ცას ვეწეოდით ხოლმე (კ. ყმა, 300). 93. როდესაც ტყეში სეირნობდა, მივიდა ტყუპებთან (პ. იაშვ., 263). 94. როცა შესვენების დრო მოაწევედა, იქვე საუზმობდნენ (გ. ფანჯ., 70). 95. ერთი გვერდი რომ შემიჭამოს, მეორე უნდა მივუშვირო (თ. სას., 178). 96. მე როცა მტკივა, ვეძებ და ვებრძვი ხოლმე იარას (ო. ჭილ., II, 504). 97. მოღუშული რომ დაგვინახა, უნებურად შედგა (ნ. ონაშ., 69). 98. როცა აკაკი ამ სტრიქონებს წერდა, ოცდახუთი

წლის ჭაბუკი იყო (ი. გრიშ., 170). 99. ლეეანი რომ რუსეთში წავიდა, მაშინ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში ექვსი ღუმელი მუშაობდა (გ. ფანჯ., 172). 100. შენ როცა ამ წიგნს ხელში აიღებ, ცოცხალთა შორის მე არ ვიქნები (ლ. ასათ., 76).

*§ 94. დამოკიდებული წინადადება შუაშია.* 1. ეტლები, რომლებშიაც უეჭველად სამი ცხენი უნდა ყოფილიყო შებმული, საგანგებოდ იყო მორთული მწვანე რტოებით (ი. გრიშ., 69). 2. თეთრ ტილოზე, რომელიც გაჭიმული იყო მთელ სცენაზე, ჩანდნენ რაღაცა ბუნდოვანი ჩრდილები (ი. გრიშ., 74). 3. ღამით, როცა თაჯის ჩაებინებოდა, ტინის კედლისაკენ პირშექცეული გუცა ნაბადზე ლოყას დაადებდა და ცრემლები თავისთავად ჩამოსდიოდა (ო. იოს., 74). 4. აპრილში, როდესაც მტკვარი მოდიდდა, მოსჭრა ორი ფიჭვი (პ. იაშ., 264). 5. შენ, როცა ამ წიგნს ხელში აიღებ, ხელად მიხვდები, ხელად გაიგებ (ლ. ასათ., 77). 6. ერთ საღამოს, როცა მიუსაფარი ბერიკაცი ბინდში აჩრდილივით დადიოდა, ციხის ნაშალთან ჩურჩულმა შეაკრთო (თ. ბიბ., 7). 7. ჩემს ბავშვობაში, როცა სოფელში მშობლებთან ვიზრდებოდი, ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე მესმოდა — ილია, აკაკი ან აკაკი, ილია (მოგ. აკ., 35). 8. მძიმე ტვირთი, რომელიც ლოდივით აწვა ორთავეს, მოეხსნათ (ა. ყაზბ., 48). 9. ხალხი, რომელიც წარამარა იცვლებოდა უსასრულო გზაზე და მაინც ყოველთვის ერთნაირი იყო, სიმართლეს უმალავდა (ო. ჭილ., II, 63). 10. მამობილის მუნდირი, საქართველოში რომ გადმოვიდა, მაშინ ჩაიცვა (ო. ჭილ., II, 75). 11. ახლა, ერთი წლის შემდეგ, როცა აზარაშვილმა მთელ ქალაქში თავი მოსჭრა მარტენის საამქროს, მის გონებაში ისევ აღდგა ძველი გეგმები (გ. ფანჯ., 313). 12. საღამოსაც, როცა თავის კაკლის ქვეშ იჯდა, გონებაში ისევ კლდის თავზე ქანდაკებასავით გაქვავებულ ხარჯიხვს ხედავდა (გ. ფანჯ., 88). 13. დიდ მარხვაში, რომელიც შვიდ კვირას გრძელდება, არ ვჭამდით არც ხორცს, არც ერბოს, არც კვერცხს (კ. ყმა, 234). 14. ორი კაცის გაგზავნა იმ საღამოს, როცა ერთმა ტყვიამ ცხენი ბილიკიდან გადააგდო, კაპრალს სწორად არ მიაჩნდა

(ო. იოს., 76). 15. ასეთი სანახაობა, რომელიც ცისქვეშ უფასოდ იყო მოწყობილი, ხალხისათვის უფრო მისაწვდენი იყო (ი. გრიშ., 72). 16. საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარი, რომელიც გადის პირენეების თხემზე, ბასკთა ტერიტორიას ყოფს ორ, არათანაბარ ნაწილად (შ. ძიძ., 19). 17. გუშინ, როცა კარადის თაროსთან წიგნებს ვეძებდი დილით, უეცრად ვნახე თქვენი ბარათი (ლ. ასათ., 20). 18. ჩემი მსახური, რომელიც გამყვა რუსეთში, ერთხანს მეტად გართული იყო უცხო სანახაობით (აკაკი, 158). 19. მკაცრად თქვა თავმჯდომარემ და, როცა იონა დაჯდა, თანამშრომლებს მიუბრუნდა (ნ. ონაშ., 85). 20. მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს (ილია, აზრ., 66). 21. დილით კი, როცა გადაგვეფინა დიდი ნათელი მაღლის, მივეგდე ტახტზე და ჩამეძინა (მ. ლებ., 518). 22. ბრეზენტის ზევით დარჩენილ გასახედში, რომელშიც მარტო ცის ნაჭერი ჩანდა, ვარსკვლავები აკიაფდა (ო. იოს., 162). 23. იმ ადგილზე, სადაც დაჭრილი უნაგირზე შესვეს, ხმელი კუნძივით დარჩა ჩაჩოქილი გერმანელი (ო. იოს., 159). 24. ამავე დროს ერთი კაცი, რომელიც ამ ფიგურებს ამოძრავებდა, ფარდის უკან იდგა (ი. გრიშ., 74). 25. თავის ცნობილ თხზულებაში, რომელიც თარგმნილია ევროპისა და აზიის ენებზე, შარდენი საინტერესო ამბავს მოგვითხრობს (შ. ძიძ., 11). 26. პოეტი, რომელსაც შემოქმედების მთავარ იარაღად აღებული აქვს მშობლიური სიტყვა, რჩება თავის ხალხის პოეტად (პ. იაშ., 294). 27. იმ დღეს, როცა ჭაბუკი მცველი გაქრა, დედას უფრო მეტი სიხარული მოეძალა (თ. ბიბ., 112). 28. ერთ საღამოს, როცა ყველანი ჩაის შევექცეოდით სასადილოში, კარი ვიღაცამ შემოაღო დერეფანში (მოგ. აკ., 49). 29. იმ ალაგს, სადაც ის ქალი იდგა, ღობე იყო ძალიან დაბალი და გადმოწოლილი (ა. ყაზბ., 102). 30. იგივე ქალები, რომლებიც ადრე თანაუგრძნობდნენ ქერივს, ახლა შურისაგან გულზე სკდებოდნენ (ო. ჭილ., II, 9). 31. ფიცრის ყუთიდან, რომელსაც მსხვილი, მაგრამ გაუგებარი ასოებით რაღაცა ეწერა, აუჩქარებლად ამოალაგა კიტრი და პამიდორი (ო. ჭილ., II, 361). 32. ვახომ, როგორც კი თუთარი თვალს მოეფარა, მტკივანი ფეხი მეორე ფეხზე გადაიდო (ო. იოს., 97). 33. თავის ბედზე, რომელიც ასე დაუნ-

დობლად და შეურიგებლად თან სდევდა, ხშირად დაფიქრებულა (ო. იოს., 64). 34. იმ დღეს, როდესაც ხარობდა მზეზე კოლხიდის მიწა, ქცეული ბაღად, მე დავასრულე ამბავი ესე (ლ. ასათ., 115). 35. მრგვალთავეა ოფიციანტს, ბუდას ქანდაკებასავით რომ დაეჭყიტა თვალები, ყელის აწევით სთხოვა (ნ. ონაშ., 103). 36. ბექას, რომელიც დაბნეული და გაოცებული მომჩერებოდა, მრისხანედ შევუტიე (ნ. ონაშ., 116). 37. უცბათ ავუწევდი ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩავუდებდი ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს (აკაკი, 161). 38. ეს ხალხი, რომელიც ჩხუბს უპირებდა მშვენივრად დაიარაღებულ ცხენოსან ჯარს, სრულიად დაემორჩილა მხოლოდ ერთ „ზასედატელს" და ორ ყაზახ რუსს (აკაკი, 121). 39. იმ დაჩაგრულს, დამფრთხალს, დაღვრემილს სახეს, რომელსაც ასე ხშირად შესვდებით ზოგიერთ სკოლებში, აქ ვერა ჰნახავთ (ილია, 577). 40. დედაკაცი შეკრთა, ჩამოეცალა და, როდესაც ქალმა გაიარა, თავისთვის წაიბუტბუტა (ა. ყაზბ., 38). 41. ამ ბრგე ვაქაცს, რომელსაც სევდა-მწუხარების იერიც გადაკრავდა, მიმზიდველს ხდიდა მისი ჩაცმა-დახურვაც (კ. ყმა, 170). 42. ქალი მიაჩერდა ამ უწიფარ ბიჭს და ახლა, როცა ასე სძაგდა ყველა ჯარისკაცი, მაინც შეებრალა (ო. იოს., 69). 43. ბაუმანმა ჩანთას თავი მოხსნა, ამოალაგა, რაც უთხრეს, და გვირაბის სიღრმეში შეეიდა (ო. იოს., 68). 44. მანძილი, რომელიც მეთაურს მებრძოლებისაგან აშორებდა, საიდუმლოებით ფარავდა ბევრ მის ზრახვასა და უნარს (ო. იოს., 92). 45. და ეხლა, როცა მოხუცდით, ეეღარ მიცნიხართ ამქრებში (ვაჟა, 106). 46. და მერე, როცა ამოხდა მზე გოლიათურ მთებს ზევით, ფაზისის წმინდა ტალღებში ბრწყინავდნენ ოქროს თევზები (ლ. ასათ., 113). 47. სინათლე, რომელიც ჩართული დამრჩენოდა, ჩავაქრე (ნ. ონაშ., 153). 48. ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოდ დიდი არ არის-რა, განზრახ იყო გამოგონებული რაიმე სამნიშენელოდ (აკაკი, 98). 49. მეორე ფაეტონი, რომლითაც მარო და ალექსანდრე მოვიდნენ, ჯერ ისევ ცარიელი იდგა (ო. ჭილ., II, 213). 50. ის საზეიმო დღე, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ახალი და ამაღელვებელი იწყებოდა, მისთვის იყო ჩვეულებრივი სამუშაო დღე (გ. ფანჯ., 221). 51. სქელულვაშებიანმა მეთაურმა, რომელსაც მხოლოდ შუბლზე ჰქონდა ნაოჭები,

თვალებში შეხედა (ო. იოს., 8). 52. იმ დღეს, თუთარმა რომ ტყვია გაისროლა და მტერს ერთი წაფორხილება საბედისწერო გაუხდა, ვახომ და გუამ საგულდაგულოდ დაიარეს ხევის პირები (ო. იოს., 73). 53. ღრმად მოხუცმა კაცმა, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი წონა და გავლენა ჰქონდა, შეაქდარუნა ლაშარის საბრძოლო დროშა (კ. ყმა, 43). 54. მაშინ, როდესაც ყველა ფიცარი სრულებით ახალ შენობას ჰკვანძავს, რა დროს ცეცხლია დასამიწარი (პ. იაშვ., 147). 55. ეს ავტორები, რომლებსაც თითქმის ყველას თავიანთი ნაწერების პატარ-პატარა წიგნაკები აქვთ გამოცემული, გამსჭვალული იყვნენ ახალი მისწრაფებით (ი. გრიშ., 126). 56. ერთხელ, როცა „დრამატიული საზოგადოების“ კანტორაში ვიყავი, იქ დიდებული პოეტი შემოვიდა (მოგ. აკ., 54). 57. მეორე დილით ნოხგადაფარებული ტახტი, რომელზედაც ქაიხოსროს ცხედარი ესვენა, ცარიელი დაუხვდათ (ო. ჭილ., II, 328). 58. ის სისტემა, რომლითაც ახლა ვმუშაობთ, ცოტა მოძველებულად მიგვაჩნია (გ. ფანჯ., 316). 59. ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც ცნობისმოყვარეობით უყურებდა მთელ ამ სცენას, უცებ წამოხტა (კ. ყმა, 392). 60. მტერი მეტს აღარ დააყოვნებდა და, როგორც კი გამოჩნდებოდნენ, თუთარსაც უნდა ესროლა (ო. იოს., 43). 61. ქართველებმა კი, რომ იეარჯიშეს, გაუსწრეს მათ (აკაკი, 162). 62. მეორე ოთახში, რომლის კარი ჩვენს დარბაზზე გამოდიოდა, იკონოგრაფიის განყოფილების გამგე იჯდა (ნ. ონაშ., 78). 63. მასწავლებელი, რომელმაც იცოდა მისი ბეჯითობა, არასოდეს გაკვეთილს არ ჰკითხავდა (მოგ. აკ., 192). 64. ერთადერთი, ვინც გულით განიცადა ეს სიკვდილი, ზოსიმე მღვდელი იყო (ო. ჭილ., II, 328). 65. ყველა გრძნობა და სურვილი, რომელსაც ამ სამ წელიწადში იოკებდა, ერთბაშად შემოაწვა (გ. ფანჯ., 169). 66. ანტონ ფურცელაძემ, რომელიც ნიკო ლომოურთან ერთად ჩვენს ბანკეტს შემთხვევით დაესწრო, მაღალი ხმით წამოიძახა (კ. ყმა, 61). 67. ჯარისკაცები, რაც ობერლეიტენანტი დაჭრეს, ერთმანეთს ხმას აღარ სცემდნენ (ო. იოს., 67). 68. ბიჭებმა ეს, როცა აქ ამოძვრნენ, მაშინაც დაინახეს (ო. იოს., 97). 69. მისი ოთახის ფანჯარაზე, რომელიც ქვაფენილს ამოჰყურებს, გამოკრულია წარწერა ოთხ ენაზე (ი. გრიშ., 148). 70. ახლა, როცა ტკაცუნი აფრის მესმის ზღვიდან,

ასეთი ვაჟკაცური გაქროლება მინდა (პ. იაშ., 160). 71. ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა დილაადრიანად გამოვიღვიძეთ, ქედის წვერზე კვლავ თეთრად აქათქათდებოდა პირველი თოვლი (თ. ბიბ., 22). 72. დღეს, როცა ვიხედები წარსულისაკენ და ცხოვრებას გავეცანი, დავრწმუნდი მის სიდიადეში (მოგ. აკ., 95). 73. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ყოველ ქულას ოქროს ფასი ჰქონდა, დაამტვრიეს გუნდის კაპიტანი (გ. ფანჯ., 153). 74. მერე, როცა გაშლიდით მკლავებს და ნეტარად ჩაილიმებდით, მივუბრუნდებოდი საოცარ ბერძენს (მ. ლებ., 410). 75. ქონის ნაჭრიდან, რომელიც ბიჭმა გოგონას დაუტოვა, დაჭრილმაც მიიღო თავისი წილი (ო. იოს., 155). 76. შაბათ საღამოს, როცა სხვა დუქნების შემოსავალი ერთიორად მატულობდა, ფიროსმანი სულ არ ვაჭრობდა (რ. ინან., 20). 77. ერთადერთმა ტყვიამ, რომელმაც ცხენი ბილიკიდან გადააგდო, ოფიცერი დააფრთხო (ო. იოს., 47). 78. წელან, როდესაც ის აწყენინეს, სხვის სახლში იყო და თავი შეიკავა (ა. ყაზბ., 38). 79. დილით, როცა ჯარი აიშალა, ისიც აედევნა მათ (ო. ჭილ., II, 65). 80. და დღე, რომელიც უშენოდ მოვა, მხოლოდ გარედან იქნება მშვიდი (ო. ჭილ., I, 565). 81. ოციოდე ნაბიჯის შემდეგ, როცა ვერტმფრენს კარგა მანძილით დაშორდა, მან პაპიროსს მოუკიდა (გ. ფანჯ., 111). 82. და გვიან, როცა კორტოხებს ცით მზე დაადგება, წითელ მზით გადაწითლდება ქვეყანა მთლად (მ. ლებ., 482). 83. აქ კურდღლები გამოვლენ და, ხმას რომ გაიგონებენ, დაფრთხებიან (კ. ყმა, 268). 84. ამ უცაბედი შეჯახებისათვის, რომელიც საბედისწერო გამოდგა, პანსი საკადრის პასუხს მიიღებდა (ო. იოს., 63). 85. ერთხელ, სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ (აკაკი, 98). 86. ყველანი, აკაკი რომ რაიმე ამბავს გვიყვებოდა, გარინდებული შევყურებდით და ვუსმენდით მას (მოგ. აკ., 92). 87. მიწა, რომელზეც უნდა იაროთ, დედაა ჩვენი ამაყი ჯიშის (ო. ჭილ., II, 525). 88. ქუდი, რომელიც ბედმა მარგუნა, მე დამიფარავს მტრისაგან ყოველთვის (ო. ჭილ., II, 446). 89. პარიზში უკანასკნელი მატჩის შემდეგ, როცა სასტუმროში დაბრუნდა, ნესტორმა ყური აუწია და დეპეშა წააკითხა (გ. ფანჯ., 154). 90. ფარნაოზი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში თავიც არ აუწევია, მაინც ყველაფერს ადეილად ხვდებოდა (ო. ჭილ., I, 312). 91. იმ ხანებში, როცა

კუსა ყასბობას სწაელობდა, მთელი ქალაქი ხეიბრებით იყო სავსე (ო. ჭილ., I, 245). 92. ღამის თეეის დროს, ძილი რომ არაეის შემოგვპაროდა, მორიგად ზღაპრებს ამბობდნენ (აკაკი, 129). 93. ფშავიდან ჩამოსული ვაჟა, სახლში რომ ცოტას დაისვენებდა, წერა-კითხვის საზოგადოებაში წავიდოდა ხოლმე (კ. ყმა, 327). 94. და მერე, როცა სამშობლოდან გაძევებული, სხვის ქვეყნებში ოც წელს ნათრევი, უცხო ქალაქის სასტუმროში ვაპობდი შეშას, ვთქვი (მ. ლებ., 128). 95. სიმონი, როგორც კი სახლის მილაგებას მორჩებოდა, ძველ როიალს მიუჯდებოდა (გ. ფანჯ., 184). 96. ღამით, როდესაც ამოდის მთვარე, შენი ჩრდილები ჩემს გულზე წვება (ო. ჭილ., II, 443). 97. თვით სამგლოვიარო ლექსებსაც, რომლებსაც ახლად გარდაცვალებულ თვალსაჩინო მოღვაწეებს უძღვნიდნენ, ამგვარი ორმაგი საიდუმლო ჰქონდა (ი. გრიშ., 114). 98. მაშინ, როცა გივიშვილი თემებს არჩევდა და ლექსის ტექნიკას უურთხილდებოდა, სკანდარნოვა ხშირად სულ არ იცავდა ქართული ენის ელემენტარულ კანონებს და ლიტერატურულ ფორმას (ი. გრიშ., 102). 99. ვაჟა ახალგაზრდობაში და შემდეგაც, სანამ ციმბირის ჭირი თვალს გაუფუჭებდა, მშვენიერი შეხედულების ვაჟკაცი იყო (კ. ყმა, 194). 100. სწორედ იმ დროს, როცა სოფელი დუღილს იწყებს და მოთმინების ძაფიც წყდება, მთებიდან ყრუ გუგუნით წამოვიდოდნენ ზვავებიც და სოფელს გაზაფხულის დადგომას ამცნობდნენ (თ. ბიბ., 186).

*§ 95. დამოკიდებული წინადადება მომდევნოა.* 1. ვხეტიალობდი შავი ზღვის პირას, როცა ვტიროდი გულდათუთქული (ლ. ასათ., 33). 2. ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის, ქვეყანას რომ თავზე ევლება (ა. კალანდ., 300). 3. მერე ჩვენ ვძერწავთ საკუთარ სახეს იმ დღისათვის, როცა აღარ ვიქნებით (ო. ჭილ., I, 571). 4. ისეთი სადღეგრძელოების თქმა იცოდა, რომ შეზარხოშებული ბიჭები მზად იყვნენ ცეცხლში გადაცვენილიყვნენ მისი გულისათვის (ო. ჭილ., II, 382). 5. ძველად თბილისის ქუჩებში ხშირად ისმოდა სიმღერა, რომელსაც მოჯადოებული გამვლელები სულგანაბული უსმენდნენ (ი. გრიშ., 69). 6. თბილისის ახლომახლო ბევრი ეკლესიაა, რომელთა

„ხატობაც“ თბილისიდან აუარებელ ხალხს იზიდავდა (ი. გრიშ., 69). 7. მზე ჩასვლას აპირებდა, როცა ისევ ცხენებზე შევჯექით და წასვლა დავაპირეთ (თ. ბიბ., 34). 8. ბიჭს არ გასჭირვებია ამოდენა მანძილზე ეცნო წაბლისფერი ფაშატი, რომელზეც ბაბუამ მასწავლებელი ქალი თავისი ხელით შესვა (ო. იოს., 46). 9. ის კედელს მარცხენა ხელით მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო (გ. ფანჯ., 403). 10. შეშინდა ლევანი, დედის გაფითრებული სახე რომ დაინახა (გ. ფანჯ., 301). 11. არ არის ისეთი ერი, რომელიც როგორც მთლიანი არსება დაინტერესებული არ იყოს ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლით (პ. იაშვ., 275). 12. ზაფხულის ამ თაკარა, ნათელ დღეებშიც გაგახსენდება, რომ ახლოა დუმილი ზამთრის და გამწარდები (ნ. ონაშ., 95). 13. მან ვერაფერი შექმნა კაცობრიობის სულის შემძვრელი მანამდე, ვიდრე ინგლისის კატორღის საშინელება არ იგემა (ნ. ონაშ., 113). 14. სანგინო შესანიშნავი ესპანელი მოქანდაკეა, რომლის სახელი კარგად არის ცნობილი მთელს ესპანეთში (შ. ძიძ., 20). 15. შემომძახა მღვდელმა, როცა შევაღე კარები და შევედი იმის პატარა ოთახში (ილია, 406). 16. ძალიან კარგად მახსოვს, რომ საყმაწვილო ჟურნალის რედაქტორი მთელი თვე ემზადებოდა ვაჟას შესახვედრად (კ. ყმა, 164). 17. ახლო ჩანს დიდი სასახლის კარი, კოლხიდელები რომ აშენებენ (ლ. ასათ., 113). 18. მტვრიან ტოტებზე მაშინ გადირბენს, როცა არ ელი (ო. ჭილ., I, 555). 19. მე კი მარტო ვარ და ბევრი დრო მაქვს, რომ ყველაფერზე ვიფიქრო მშვიდად (ო. ჭილ., II, 502). 20. ნიჭი ძვირფასი ზოდია, რომელიც ხშირად მიწის გულშია დამალული (ი. გრიშ., 87). 21. იეთიმ-გურჯის ხალხური ლექსები ის ღვინით სავსე თასია, რომელიც ხელიდან ხელში გადადის და მაინც არ ილევა (ი. გრიშ., 157). 22. ის მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როცა გალავნის გადალმა გავიდოდა და დიდ ბილიკზე გავარდებოდა (თ. ბიბ., 19). 23. ქამარი შეხსნეს, რომელზეც ტყვიებით სავსე ორი სავაზნე და ხელყუმბარები ეკიდა (ო. იოს., 20). 24. გვსიამოვნებდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდების სიაში ვეწერეთ (გ. ფანჯ., 64). 25. მეკარე მხოლოდ მაშინ გადახტა, როცა ბურთი ბადეში ფართხალებდა (გ. ფანჯ., 134). 26. ავტირდი ჩუმად, როცა რაში ტყეს მიეფარა (პ. იაშვ., 127). 27. იმ ხალხს გაუმარჯოს, ვინც ლამაზი სიცოცხლის ფასი იცის (ნ. ონაშ., 116).

28. ეაჟამ მხოლოდ მაშინ მიაწოდა თამბაქო, როცა ფშაველმა ქართულად გაუმეორა თხოვნა (კ. ყმა, 156). 29. კორიიდიდან წაგვიყვანა ერთ ძველ კაფე-ლუდხანაში, რომლის მუდმივი სტუმარი ჰემინგუეი ყოფილა (შ. ძიძ., 25). 30. შენც გიჭირს სუნთქვა და სხვასაც უშლი, როცა სხეულში იბუდებს ეჭვი (ო. ჭილ., II, 505). 31. და სიბნელიდან გამოდის ბავშვი, რომელმაც უცებ იპოვა ქარში დიდი მსგავსება საკუთარ სულთან (ო. ჭილ., I, 576). 32. სულ პატარა იყო, როცა მამა გარდაეცვალა (ი. გრიშ., 148). 33. მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როცა გალავნის დიდი კარი გაიღებოდა (თ. ბიბ., 113). 34. მასზე იზრუნეს ადამიანებმა, რომლებიც მის გვერდით იყვნენ სიკვდილის წინ (ო. იოს., 125). 35. მაშინ დაწყნარდა, როცა სტუმარმა ხვრინვა ამოუშვა (გ. ფანჯ., 141). 36. გაიფიქრა ჯონდომ, როცა საფქვავიანი ტომარა ზურგზე წამოიკიდა (გ. ფანჯ., 86). 37. ნახატი დაახლოებით იმ დონისა იყო, ბაზრის კუთხეებში რომ ყიდიან ხოლმე ხელზე მოვაჭრენი (ნ. ონაშ., 46). 38. ჩოხის კალთით გასისხლიანებულ ხმალსა სწმენდავდა, როცა მისცვივდნენ ჩვენები და თავისი სირცხვილი უამბეს (ილია, 265). 39. დავათვალიერეთ სასახლის ბიბლიოთეკა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს წიგნთსაცავად ითვლება (შ. ძიძ., 18). 40. კოლხიდა როგორ არ შემიყვარდეს, როცა ვუყურებ მაისის ვარდებს (ლ. ასათ., 112). 41. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა კარში დარტყმაზე გადაეიდნენ (გ. ფანჯ., 143). 42. ამოიძახებდა ხოლმე ქალბატონი თინათინი, როცა ბიჭი ბურთს ძალზე მშვიდად მოათავსებდა ხოლმე კალათში (გ. ფანჯ., 195). 43. გამოვეთხოვე ავადმყოფ მგოსანს, რომლის სიცოცხლის დღეები უკვე დათვლილი იყო (კ. ყმა, 170). 44. იბრძოლოს, ვიდრე ძარღვი ითრთოლებს (ო. ჭილ., II, 534). 45. თქვა ანამ ყალბი, მოგონილი ხმით, როგორითაც პატარა გოგონები ელაპარაკებიან თავიანთ თოჯინებს (ო. ჭილ., II, 133). 46. ჩემმა მშობლებმაც იმიტომ დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავ კნეინასთან (აკაკი, 153). 47. ვიხილავ სანატრელ სახეს, რომ ამდგარიყოს მკვდრეთიითა (ვაჟა, 74). 48. ისეთი ხმით უთხრა თეიმურაზმა, რომ მოხუცს შერცხვა და გაჩუმდა (ა. ყაზბ., 55). 49. ეკოცნე თითები ლბილი და თბილი, ვიდრე შემკრთალი ეძებდა სიტყვას (მ. ლებ., 508). 50. ძალიან მიყვარდა მისი ცქერა, როცა ხატავდა (ნ. ონაშ., 96).

51. რას მეტყვის ბაბუა, ხარჯიხვს რომ ჩამოვიტან (გ. ფანჯ., 91). 52. სკამიდან ვერ წამოდგა, სანამ ჩემოდანი და ქათმები არ მოაცილეს (გ. ფანჯ., 10). 53. მან იცოდა, რომ სადღაც, ცხრა მთას იქით, ორსართულიანი გალავანშემოვლებული სახლი იდგა (ო. ჭილ., II, 393). 54. რამე უნდა ეთქვა ისეთი, რაც მღვდლის ეჭვსაც გაფანტავს (ო. ჭილ., II, 74). 55. ღმერთმა აცოცხლოს ის ხე, რომელიც წყლის პირას დგას და უწყლოდ ხმება (ი. გრიშ., 62). 56. ლაშქარს კი წინამძღოლი ჭირდება, რომლის ბრძანებასაც ყველა უსიტყვოდ ემორჩილება (თ. ბიბ., 27). 57. ის იყო წამოიწია, რომ იწივლა ტყვიამ (ო. იოს., 50). 58. მე ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს (პ. იაშვ., 276). 59. საფლავში ჩაიტანა ის გულისტკივილი, რომელიც განსვენებულს ასე მწვავედ აწუხებდა ჩემთან საუბრის დროს (კ. ყმა, 170). 60. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი (ილია, 378). 61. თუჯი ღუმელში მაშინ უნდა ჩაასხა, როცა ჯართი კარგად გახურდება (გ. ფანჯ., 246). 62. თბილისის „დინამოში“ მაშინ დავიწყე თამაში, როცა ზოგიერთი ჩემი თანაგუნდელი დაბადებულიც კი არ იყო (გ. ფანჯ., 134). 63. ანეტამ მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ დაძაბული, სუნთქვაშეკრული იჯდა (ო. ჭილ., II, 325). 64. თავი შესწირეს, პბრძოდენ გმირულად, სანამ ურცხვმა და უთვალავმა მტერმა არ სძლია ისინი სრულად (აკაკი, 56). 65. დაუბრუნოს ხალისი ჩიტებს, ვიდრე ბუნება დათვლის სამამდე (ო. ჭილ., II, 487). 66. ქართველ ქალს ერთი ათად უფრო ტურფად ეჩვენებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და სახელს გაითქვამდა (ი. გრიშ., 28). 67. აბანოს ტანთგასახდელ დერეფანში უშველებელი სამოვარი იდგა, რომელიც კბილჩაცვივნულ ბებერსავით ჩიფჩიფებდა (ი. გრიშ., 60). 68. უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ის მათ ოჯახში გამოჩნდა (ო. იოს., 32). 69. ყოველი ძარღვი დაჭიმულია, ყოველი კუნთი მომქანცველად მუშაობს, რომ არ გაინძრეს (ო. იოს., 45). 70. უკვე კარგად დაბინდდა, თბილისში რომ შემოვედით (ნ. ონაშ., 146). 71. მოუთმენელი მღელვარება მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რვას ორიოდე წუთი რომ დააკლდა (ნ. ონაშ., 24). 72. დავჯექი და თვალებზე ხელები ავიფარე, რომ მოძალებული ცრემლი შემეკავებინა (ნ. ონაშ., 137). 73. მე მიხ-

აროდა, ჩვენი სოფლიდან რომ ვინმე ჩამოვიდოდა (კ. ყმა, 84). 74. მაშინ ვიყავი ადამის ძე მე, როცა ვარდისფერ აღდგომა ღამით აჩირაღდნებულ ტაძარში შეველ (ლ. ასათ., 74). 75. აკაკის ძალიან უხაროდა, თუ მშობლიური კულტურის ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა (მოგ. აკ., 54). 76. დაიწყო ლევანმა საუბარი, როცა მანქანა თბილისს გასცდა და კომკავშირის ხეივანს შეუყვა (გ. ფანჯ., 200). 77. დამაკმაყოფილებელი სტუდენტს მაშინ უნდა დაუწერო, როცა საგანი კარგად იცის (გ. ფანჯ., 203). 78. ის იმ სისხლის წყალობით გადარჩა, მათ ოჯახში რომ დაიღვარა (ო. ჭილ., II, 63). 79. ამიტომ ყველას დრო უნდა ეყოს, რომ ჩაწვდეს თავის ცხოვრების მიზანს (ო. ჭილ., II, 499). 80. მზე შუბისტარზე იქნებოდა დახრილი, როცა ცხენოსანი ბაჩანას კარებს მიადგა (კ. ყმა, 138). 81. კარგა ხანმა გაიარა, სანამ ქალი შემოვიდოდა (ა. ყაზბ., 90). 82. ჩავაქრე შუქი, მოვხუჭე თვალი, ვიდრე არ ვნახე იგივე მთვარე (მ. ლებ., 518). 83. მათი გასართობი იყო საყდარი და აბანო, სადაც თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთის ნახვა, ჭორიკნობა და მასლაათი (ი. გრიშ., 59). 84. ეტყობოდა, რომ ღრმა მჭმუნვარებით იყო მოცული (კ. ყმა, 86). 85. მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ და მოგაგებებს სიმინდი ლახვარს (ლ. ასათ., 23). 86. ყველა ამქარს თავისი საკუთარი დროშა ჰქონდა, რომელზედაც გამოხატული იყო ფირი (ღერბი) (ი. გრიშ., 35). 87. მე კართან მივდივარ და უკვე მეშინია იმ ქალის, რომელიც ახლახანს აქ იჯდა და მოჩვენებასავით გაქრა (თ. ბიბ., 216). 88. მან დამფრთხალი ცხოველის გუმანით დაზვერა ის რამდენიმე ნაბიჯი, რაც ორ გამოქვაბულს ერთმანეთისაგან ჰყოფდა (ო. იოს., 92). 89. არ დამავიწყდება მისი ორი სტრიქონი, რომელიც ჩემი ბავშვობის დროს მამიჩემის მეიხანაში გამიგონია (ი. გრიშ., 102). 90. იეთიმ გურჯს ერთი ლექსი აქვს, რომელიც შინაარსით მოგვაგონებს ცნობილ ხალხურ სიმღერას (ი. გრიშ., 155). 91. მივაღწიე გოლოვინის პროსპექტზე ვაჟთა პირველი გიმნაზიის მაღალ კედელს, რომელიც ახლანდელი მაღაზიების ადგილას იყო ამოყვანილი (კ. ყმა, 202). 92. მას მაშინვე გაახსენდა, ჩხიკვებს რომ უგებდა ძუის მახეს (გ. ფანჯ., 15). 93. ღედაჩემი ტილოს აფარებდა რაფაზე, რომ სისველე შეეწოვა და საწოლზე არ გადმოსულიყო (ო. იოს., 126). 94. მათ უყვარდათ ის, ვინც

საუკუნოდ შორდებოდა მათ (კ. ყმა, 225). 95. მე დაკარგული მქონდა გონება, როცა ქარებმა გვიან იყივლეს (ნ. სამად., 67). 96. მან ბოლო დროს მიატოვა წვრილი ლექსების სერია და ხელი მოჰკიდა პოემების წერას, რომელთა შინაარსიც მკითხველისათვის მაინც და მაინც უცხო არ იყო (ი. გრიშ., 99). 97. არც ჩემს მეგობარს გაერტყა ჩემთვის იმის გამო, რომ სიკვდილის წინ მოხუცმა კითხულმა მე დამიძახა და არა თავის შვილს (თ. ბიბ., 102). 98. ვინ იფიქრებდა, რომ წიწამური შეიქნებოდა მისი გოლგოთა (ლ. ასათ., 19). 99. ამ ავტორებმა დიდი როლი შეასრულეს იმ ხელოსანთა წრეში, რომელთა შორისაც მათ უხდებოდათ მოღვაწეობა (ი. გრიშ., 121). 100. კითხულმა ისიც იცოდა, რომ სოფლის წინაშე უმწეოდ გამოჩენა არ იქნებოდა (თ. ბიბ., 307).

# დამოკიდებული წინადადება სინტაქსური ფუნქციის მიხედვით

§ 96. *ქვემდებარული.* 1. შემცდარი არის, ვინც ფიქრობს მედიდურ-უეჭველობით (აკაკი, 37). 2. რასაც ფრთები არა აქვს, ვერ გაფრინდება (აკაკი, 140). 3. რაც მიყვარდა და მიკვირდა წინათ, ის უკვე ცაში ვარსკვლავად ბრწყინავს (ო. ჭილ., II, 433). 4. და მათ თვალებშიც სინათლედ შევა, რასაც მე მხოლოდ სინათლედ ვთვლიდი (ო. ჭილ., II, 446). 5. მოვიდეს, რაც მოსასვლელია (ლ. ასათ., 108). 6. თითქოს ის, რასაც იგი ესტრადიდან გვეკითხავდა, მისთვის უკვე მოსაწყენი იყო (პ. იაშვ., 271). 7. გაუგონია ყველას, ვისაც სწამს და უყვარს ხელოვნება და სილამაზე (პ. იაშვ., 269). 8. მოხდა ის, რის გულში გავლებისაც ყველას ეშინოდა (ო. იოს., 98). 9. ვინც გააღწევს, უნდა წავიდეს და თავს უშველოს (ო. იოს., 64). 10. ის, ვინც ამ ომში იბრძოდა, შენსავით არ ფიქრობდა (ნ. ონაშ., 116). 11. ის, რაც წეღან ნამდვილ უბედურებად მეჩვენებოდა და სიცოცხლეს მაძულებდა, ახლა სრულ არარაობად იქცა (ნ. ონაშ., 7). 12. და ვინც მიხმობდა განთიადისთვის, ახლა ბნელ ღამედ მიახლოვდება (ა. კალანდ., 119). 13. და ატირდება, ვინც სოფელი ამოირბინა (ნ. სამად., 130). 14. რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ, ძნელი არის აწ სათქმელად (აკაკი, 40). 15. რაც აქ ჩემზე თქვეს და მომაწერეს, გადაჭარბებული იყო (მოგ. აკ., 152). 16. თუ ღმერთს უნდა, მოხდეს იგი, რაც მიმელის (ილია, 165). 17. და რაც დღეისთვის სათქმელად არ ღირს, ხვალ, შეიძლება სიმღერად იქცეს (ო. ჭილ., II, 478). 18. რაც უნდა მოხდეს დიდი ხნის მერე, ბევრჯერ მომხდარა დიდი ხნის წინათ (ო. ჭილ., II, 476). 19. ვინც იქ შედის, ის ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ამ გლოვის დღეს (პ. იაშვ., 279). 20. ვისაც სურს, მან უმღეროს გაზაფხულის ყვავილებს, მთვარეს და საღამოს მყუდროებას (პ. იაშვ., 282). 21. რაც მოსალოდნელი იყო, ის მომხდარა (ო. იოს., 75). 22. მისთვის საკმარისია ეს, რაც ახლა უეცრად გაიფიქრა (ო. იოს., 100). 23. ღირსეული მხოლოდ ის არის, ვინც თავისი გულის სითბოს დაუნანებლად გაუნაწილებს ყველას (ნ. ონაშ., 30). 24. ხუმრობს ის, ვინც ბოლოს ხუმრობს (ნ. ონაშ., 31). 25. ერთ-

ხელ როგორღაც მოხდა, რომ ვაჟა საახალწლოდ აღარ ჩამოვიდა თბილისში და სამაგიეროდ წერილი მომწერა (კ. ყმა, 328). 26. ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავღნენ (აკაკი, 135). 27. ისინი რომ სულაც არ გაეჩინა ღმერთს ჩვენ შესარცხვენად, უკეთესი იქნებოდა (აკაკი, 158). 28. აიშენა მან, ვისაც მეტი ჰქონდა წუხილი და სიმარტოვე (ო. ჭილ., I, 557). 29. რაც უნდა ძველი იყოს იარა, არ მოშუშდება მაინც მთლიანად (ო. ჭილ., II, 503). 30. მას, ვინც საღამოს ბილიკზე ორი გერმანელი მოკლა, არ სძინავს (ო. იოს., 55). 31. ბიჭებისათვის ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სოფელი სტუმარი ქალისა და სამი მკვიდრის დაკარგვას გულხელდაკრეფილი არ შეხვდებოდა (ო. იოს., 72). 32. ამ დროს კი გარეთ ისმოდა რაღაც, რაც ჰგავდა ახალ ცხოვრების ქორწილს (პ. იაშვ., 153). 33. ვინც ერთგულ მიწას მსახურობს, წიგნს ეცეს თვალგამალებით (პ. იაშვ., 182). 34. ვინც ვერ გაუძლებს, იოლ გზას დაადგება (ნ. ონაშ., 38). 35. ჩემს ყვირილზე უფრო იმან გააცოფა, რომ ბურთი კარს ათი მეტრით მაინც აცილა (გ. ფანჯ., 65). 36. ბიჭი ის არი, ვინც გამწარებულს სიცოცხლეს დაამჯობინებს სიკვდილსა (ვაჟა, 74). 37. მართალი არის, დღეიდან რომ ვტოვებ სამსახურსაო (აკაკი, 39). 38. და რაც უხდება ცირკის არენას, ის სასაცილოდ ხდის ჩვენს ცხოვრებას (ო. ჭილ., II, 503). 39. მოხდა ის, რასაც უკვე არავინ აღარ ელოდა (ო. ჭილ., I, 213). 40. ვინც მოგისმენს, გაიხაროს, ნეტარების ცრემლი ღვაროს (პ. იაშვ., 188). 41. მალე გამოჩნდა, ვინც არ უნდა გამოჩენილიყო (ო. იოს., 156). 42. იმან, რაც დღეს გაღამხდა, თითქოს უცებ დამაბერა (ნ. ონაშ., 75). 43. კაცი ის არის, ვისაც ეს გამოუცდია (მ. ლებ., 302). 44. და ვინც დაარღვევს ამ მყუდროებას, განიგმირება ზაზას მახვილით (ო. ჭილ., II, 526). 45. ლექსად იქცევა, რაც გამიტაცებს (პ. იაშვ., 201). 46. ვისაც სახლში არ სცივა, ქუჩაში სითბოს ძებნას არ დაიწყებს (ო. იოს., 188). 47. ის ხდებოდა, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო (თ. ბიბ., 96). 48. უკვე ყველასათვის აშკარა იყო, რომ ქალების დარაჯობას ორი კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი არ სჭირდებოდა (ო. იოს., 77). 49. ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია (ილია, 406). 50. ყველაფერი, რითაც ძგერს ადამიანის გული დაბადებიდან სიკვდი-

ლამდე, შედის სალხურ პოეზიაში (მოკ. აკ., 17). 51. აქ დაიმალნენ ისინი, ვინც მათ გაექცნენ (ო. იოს., 40). 52. ახლა ქალი შეაშინა იმან, რომ ბიჭი ხელში აკვდებოდა (ო. იოს., 94). 53. ის, რაც ახლა აქ ხდებოდა, მაიიში ერთ ნერვსაც არ ათრთოლებდა (ნ. ონაშ., 192). 54. რაც იმ ზამთარს მოხდა, კითხულისათვის მოულოდნელზე უფრო მოულოდნელი იყო (თ. ბიბ., 184). 55. ფაქტია, რომ ამ ახალმა თაობამ პატარაობიდანვე მათი შემწეობით შეითვისა ქართული წიგნის სიყვარული (ი. გრიშ., 121). 56. იმის კითხვას ის გაიგონებდა, ვისაც ყური უდევნებია (ი. გრიშ., 95). 57. ვისაც ურემი არა ჰქონდა, პირდაპირ წნელით გამოებათ მორები ხარებისთვის და ისე მოათრევინებდნენ (ვაჟა, 307). 58. ვინც აქ შტუტესთან ერთად მოვიდა, ყველამ დაასრულა საფიქრალი და სატკივარი (ო. იოს., 155). 59. სვეტიცხოველთან გაიხსნება მეფის კარები და ატირდება, ვინც სოფელი ამოირბინა (ნ. სამად., 130). 60. ლოცულობს ყველა, ვისაც ჯერ კიდევ შერჩა ხალისი და მდუმარება (ნ. სამად., 151). 61. ეს კაცია, ვინც თავი მოუყარა მთელი ქვეყნის ცოდვა-მადლს (თ. ბიბ., 249). 62. ის იყო ჩემი მეგობარი, ვინც გამიბედა ეს (თ. ბიბ., 357). 63. ასე უბრალოდ ის ილიმება, ვინც გააღო შენი სახლის კარი (თ. ბიბ., 276). 64. ჩემი კვალი რახონ მათ, ვინცა ჩემ უკან ვლიან (ილია, 48). 65. ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვაროდაც დიდია (ილია, 933). 66. თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა (ლ. ასათ., 51). 67. ისინი, ვინც გაექცათ, მამაკაცები იყვნენ (ო. იოს., 35). 68. უეჭველია, რომ კახეთის გმირებს საპირფეროდ პატივით მიიღებს და დიდებით გამოისტუმრებს (აკაკი, 220). 69. ისინი, ვინც გუშინ თათრის ერთგულებასა და ქართველების მტრობას იჩენდნენ, დღეს პირველი თავდადებული ქართველები გახდნენ (აკაკი, 217). 70. ქურდბაცაცაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც ხელს იღებენ თავზე და ცილისწამებით, ხმების დაყრით ჩუმად და იდუმალად უბღალავენ თავის მოპირისპირეს პატიოსნებას და ნამუსსა (ილია, აზრ., 72). 71. ვინც გამიბედა, ის ჩემი მეგობარი იყო (თ. ბიბ., 357). 72. რაც კვდება, განუმეორებელია (ო. ჭილ., II, 60). 73. ვინც კი ხვდებოდათ, ყველა ხანგრძლივი მზერით აცილებდა (რ. ინან., 43). 74. მოვა, ოდესღაც ვისაც უყვარდი (ნ. სამად., 79). 75. ისინი,

ვინც ამ უძველეს კინოფირზე იყვნენ აღბეჭდილნი, აღარ არიან ცოცხალნი (გ. ფანჯ., 573). 76. ვინც ლაქვარდებში მუხლის ჩოქით გადაიპარა, ფრთხილად წამოდგა და გასწია (ნ. სამად., 115). 77. უნდა წავიდეს და თავს უშველოს, ვინც გააღწევს (ო. იოს., 64). 78. ის ხომ განწირულია, ვინც შენ დღეიდან დაკარგე (ო. იოს., 205). 79. არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე (ილია, 552). 80. ვინც ქართველობას არ ივიწყებდა, ის იჩაგრებოდა და წინ ბიჯის წადგას ვერ ახერხებდა (აკაკი, 187). 81. ამა სიმართლეს უარს ვერა ჰყოფს, ვინც ქრისტიანად ნათელღებულია (აკაკი, 52). 82. ვისაც კარგი ხმა ჰქონდა და მოყეფა შეეძლო, ისინი ვითომ მეძებრები იყვნენ ხოლმე (აკაკი, 131). 83. თანამშრომლებისაგან მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვინც დამალვა მოასწრო (კ. ყმა, 347). 84. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში (ილია, 534). 85. დამწიფდა, რაც დათესილი იყო (ილია, 527). 86. ღონიერი და ჭირთამძლევი ის არის, ვისაც ჭკვა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია (ილია, 921). 87. ჩვენ შორის დღეს არ არის ის, ვინც გაოცდება ამ სურათით (პ. იაშვ., 252). 88. საქმით ფასდება ის, ვინც, რა თქმა უნდა, თავისი თავის ფასი იცის (ო. იოს., 196). 89. იმანაც, ვისაც შენ ელოდები, ვინმე იქ იპოვა, სადაც ეგულებოდა (ო. იოს., 221). 90. ის, რაც თვალს ახარებს, ჰგავს კარგად გაფორმებული წიგნის ყდას, თეატრის აფიშას (ო. იოს., 258). 91. არც კაცად ჩაითვლება ის, ვისაც გუნებაში მაინც არ უნდა იმპერიის დანგრევა (ო. ჭილ., II, 384). 92. დამუნჯებულია ყველა, ვინც ამ დილაუთენია გამოსულა შინიდან (ო. ჭილ., II, 402). 93. ვინც არიან ახლა ახალგაზრდა მოლექსენი, ესენი ყველა აკაკის შეგირდები არიან (მოგ. აკ., 322). 94. ძლიერია არა ის, ვინც იძლევა, არამედ ის, ვინც არ იღებს (ო. ჭილ., II, 180). 95. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა (ილია, აზრ., 17). 96. კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს ქვეყნის საკეთილოდ მის მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავდადებით (ილია, აზრ., 25). 97. დიდად სცოდვენ ქვეყანასა და ხალხსაც ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია ეს (ილია, აზრ., 34). 98. მტერს პირისპირ მაინც შეხ-

ვდებოდა ის, ვინც ვერ გააღწევდა (ო. იოს., 76). 99. ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, თუნდა ლექსებს, დრამებს, რომანებს არ სწერდეს, მაინც პოეტია (ვაჟა, 363). 100. იგი ნიჭიერი მწერალია, ვინც რასაც თავად ჰგრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი სხვას აგრძნობინოს და აფიქრებინოს (ვაჟა, 343). 101. კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს (ვაჟა, 367). 102. ყველასაგან და ყველგან ცნობილია, რომ მუშაკაცი ყოველთვის ამის ნატვრაშია (ილია, აგრ., 33). 103. ვინც ეს ამბავი მიამბო, იმან მითხრა (მოგ. აკ., 115). 104. ვინც ღვინის ვაჭარ ბახას ორმოცსაფეხურიან სარდაფში არ იყო ნამყოფი, მან ნამდვილი ღვინის გემო არ იცოდა (ო. ჭილ., I, 10). 105. ყველაზე სწორი გამოსავალი იყო ის, რაც ბედიამ აირჩია (ო. ჭილ., I, 18). 106. ვინც გარეთ დათმო, ბოლოს შინაც დათმობს (ო. იოს., 210). 107. მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა (ო. ჭილ., I, 23). 108. სასწრაფოდ გადასაწყვეტი გახდა ის, რაც თანდათანობით და ლამის თავისთავად უნდა მომხდარიყო (ო. ჭილ., II, 26). 109. ვისაც იგონებ, ის სულ მიიჩრდილება (მოგ. აკ., 110). 110. ის მის ქალიშვილებს ემატებოდა, რაც შავთვალება მალალოს აკლდებოდა (ო. ჭილ., I, 115). 111. ჩემს მწუხარებას იგრძნობს მხოლოდ ის, ვისაც თვითონ გამოუცდია (დ. ჭონქ., 60). 112. ვისაც არ მოგწონთ ტირილი, ის ნუ დასჯდებით ჩემთანა (ვაჟა, 14). 113. ბიჭი ის არი, საომრად ვინაც დაიწყებს ზიდილსა (ვაჟა, 74). 114. ბერ მუხად გულში იფარჩხვის, რაც მიანდერძა დედამა (ვაჟა, 43). 115. სისხლს იძევს, ვინაც ტყვეობის გმირი აწამა ბაჟითა (ვაჟა, 49). 116. მერე კი გასათვალისწინებელია ის, რაც ითქვა (ო. იოს., 356). 117. იმ შენს ძმისშვილებს კი ის მოუვლის, ვინც მათ გაჩენაზე იზრუნა (ო. იოს., 369). 118. ვინც გარბის და ფეხებში არ გვედება, ირბინოს, ეს ტყე და ქვეყანა დაგვეიცალოს (ო. იოს., 465). 119. სულითამც იშვებს და გაიხარებს, ვინც ჩვენ ცხოვრებას დაატყო კვალი (ვაჟა, 90). 120. ხმალს ვინც იქნევდა, კვდებოდა მკლავზე სისხლგადამდინარი (ვაჟა, 99). 121. ის, რაც ადამიანისათვის, კერძო პირისათვის სარკეა, მთელი საზოგადოებისათვის თეატრია (მოგ. აკ., 388). 122. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო (ო. ჭილ., I, 154). 123. ყველა, ვინც ამ საგანს

უზრდელის ხელით შეეხებოდა, თეიმურაზისთვის პირად მტრად გადაიქცეოდა (ა. ყაზბ., 23). 124. ის, რაც გულში მაშინ დამიტრიალდა, არც სიხარულსა ჰგვანდა და არც ნაღველსა (ილია, 408). 125. რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა (მ. ლებ., 386). 126. ის, რაც გადარჩა დაკარგვას ან მოსპობას, გაფანტულია და ჩარჩენილია როგორც ამერეთის, ისე იმერეთის მცხოვრებთა ძველ ოჯახებში (მოგ. აკ., 450). 127. ვინც წყაროზე ჩავა, იარაღი არ წაიღოს (ო. იოს., 110). 128. დამტირის ის, ვინც უნდა იცინოდეს (ო. იოს., 137). 129. მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა (ო. ჭილ., I, 444). 130. დაიძახა ყველამ, ვინც კი ახლდა ვეზირს (დ. ჭონქ., 67). 131. ნადირი ერთბაშად სხვამ, ვინც არც კი ნადირობდა, გაიტაცა (ა. ყაზბ., 233). 132. ცხადი იყო, რომ ჩვენ უნდა გვეზრუნა საგზაო ფულის გაგზავნისათვის (მოგ. აკ., 399). 133. ვინც კი იარაღს ატარებს, გულითადია მეფისა (ლ. ასათ., 94). 134. ბევრი ფოლადი გამოადნო, ვინც ყველაზე კარგად იმუშავა (გ. ფანჯ., 324). 135. ვინც ამას შეეცდება, ის ტყუილუბრალოდ გაიტანჯება (ო. ჭილ., II, 415). 136. ახლა, ვისაც შეეძლო მუხლმაგრად დგომა და ბნელში თვალი უჭრიდა, გააღწევდა (ო. იოს., 76). 137. შეაშინა იმან, რომ ბიჭი ხელში აკვდებოდა (ო. იოს., 94). 138. ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს მე ამ მწარე რჩევისათვის (ილია, 157). 139. დეე იქმნას, რაც ჩემს თავზე განგებულა (ილია, 167). 140. და წლები გადის – ოცის გახდა, ვინც იყო ათის (მ. ლებ., 273).

***§ 97. პირდაპირდამატებითი.*** 1. შენმა იორმა ახლა უნდა დაგიდასტუროს, რომ დაფიტული საძირკველი გამოგეცალა (პ. იაშვ., 180). 2. ამის შემდეგ ის დაგიმტკიცებთ, თუ რა ადვილია უეცრად გამათხოვრება (პ. იაშვ., 251). 3. და მხოლოდ ვგრძნობდი, რომ წვეთებივით ჰგავდნენ ერთმანეთს ჩვენი ფიქრები (ო. ჭილ., II, 427). 4. და ისიც ვიცი, რომ დროზე ადრე არა აქვს ფასი არც ცრემლს, არც სიცილს (ო. ჭილ., II, 446). 5. ქალის ყოველი მოძრაობა ამტკიცებდა, რომ ოდესმე მბრძანებლობას და ნებიერობას დაჩვეული უნდა ყოფილიყო (ა. ყაზბ., 79). 6. უთხარით, რომ ცხენები გამოგზავნონ, ნუ დააგვიანებენ (ა. ყაზბ., 107). 7. მაუწყებს იგი, რომ არსებობს სულთა კავშირი მარადი-

ული და დიდებული (ა. კალანდ., 77). 8. რევაზმ ახლა დაინახა, რომ სუფრას მხარზე გიტარაგადაკიდებული ბიჭი უჯდა (გ. ფანჯ., 58). 9. და რაც ქართველს შეუქმნია, ღმერთმაც ქნას და სხვამაც შექმნას (მ. ლებ., 440). 10. ისინი მახსენებენ, რომ იყვნენ მონადირეები ოდესღაც ცოცხალი ფერებით მდიდრები (მ. ლებ., 361). 11. კაცს აფიქრებინებდა, რომ მას დიდი დრამა ჰქონდა გადატანილი (კ. ყმა, 243). 12. ორივემ იცოდა, რომ ცალ-ცალკე საფიქრალი გაუჩნდათ (ო. იოს., 78). 13. ის კი აღარ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ნაბადში გახვეულთ მამაკაცისაგან ვერავინ გაარჩევდა (ო. იოს., 13). 14. ორივე შესანიშნავად ვგრძნობდით, რომ ეს სიცილი ტკივილის ნიღაბი იყო (ნ. ონაშ., 54). 15. ბექამ ხომ მხოლოდ ის მითხრა ხმამაღლა, რასაც მე ყურს ასე გულმოდგინედ ვუყურებდი (ნ. ონაშ, 83). 16. ახლა კი ვგრძნობთ, რომ საყვარელ ლადოს ჩვენ არავინ მიგვაკარებს (მოგ. აკ., 67). 17. ბიჭმა არ იცოდა, რომ ზღვა და ცა მართლა ჰგავდნენ ერთმანეთს (თ. ბიბ., 396). 18. გადავწყვიტე, რომ ჩემგან ფიცის ღალატი და უკან დახევა შეუძლებელია და სამარცხვინო (ილია, 440). 19. მაინც ვერ უნდა შენიშნონ სხვებმა, რაც მე შევნიშნე შენში და მივხვდი (ო. ჭილ., II, 456). 20. და ბუნებრივად თვლიდნენ ყველაფერს, რაც ქვეყანაზე ხდებოდა მაშინ (ო. ჭილ., II, 496). 21. ვაკვირდებით მქანდაკებელს და ვგრძნობთ, რომ ის განიცდის ამ ტანჯვას (პ. იაშვ., 278). 22. აბურძგნული თმა და უკმაყოფილო პირისახე მოხუცისა აშკარად ამტკიცებდა, რომ წარსულ ღამეს ძილი არ მიჰკარებოდა (ა. ყაზბ., 51). 23. აშენებს, რაც ომით დაინგრა, მარჯვენა კვლავ მოუღალავი (ა. კალანდ., 71). 24. თინათინმა იცოდა, რომ კათედრის გამგემ ასპირანტის ადგილი მხოლოდ მისთვის გამოითხოვა (გ. ფანჯ., 197). 25. ვყვიროდი, რომ ზღვებზე ვარ ნავალი და არანაკლებ სხვებზე ვტიროდი (მ. ლებ., 485). 26. იცის, რომ მათგან უფრო მეტ საინტერესოს გაიგონებს (კ. ყმა, 243). 27. ქალებმა იფიქრეს, რომ მათი ხსნა მოვიდა (ო. იოს., 81). 28. გუშინ ხომ დაადგინა კომისიამ, რომ ასეთი ოქმი არ არსებობდა (ნ. ონაშ., 104). 29. ვხედავ, რომ ჭადრაკის ეშმაკურ ფაცერთან ულონოდ ღანღალობს შავების მხედარი (პ. იაშვ., 163). 30. მე ბალმონტს ვუთხარი, რომ მას ჩვენში იცნობენ და მისი ლექსებიც ითარგმნება ქართულად (პ. იაშვ., 276). 31. რასაც ვიპოვი,

კვლავ ქვაზე დავდებ (ო. ჭილ., II, 445). 32. ღმერთმა ინება, რომ მეც ამქვეყნად ჩემს ყანას ემკიდე (ო. ჭილ., I, 549). 33. მოსვლის უმალ გაიგო, რომ ჯარი იკრიბება (ა. ყაზბ., 170). 34. და იმას ვიმკით კანონად, რაც ძველ დროს დაუთესია (აკაკი, 37). 35. იმავე წუთში გაიხსენა, ომის დროს ძირს ჩამოცვენილი ვაშლის ჭამას რომ უშლიდა (გ. ფანჯ., 11). 36. მოკლეს, ვისაც დღემდე ეწერა სიცოცხლე (ო. იოს., 89). 37. შემახსენებს უცებ პანგი, რომ ახლისაც ვარ მოვალე (მ. ლებ., 441). 38. მისი მშობლები ქვას გახეთქავდნენ და მაინც შეუსრულებდნენ, რასაც მოისურვებდა (გ. ფანჯ., 195). 39. მერე შევიტყვე, რომ აქ დაიწყეთ სამსახური (ნ. ონაშ., 165). 40. დაინახა ის, ვინც ნიადაგ შრომაშია (მოგ. აკ., 59). 41. ვხედავ, რომ ჩალაგდა ყოველი პაიკი შემტეველ რაზმებად (პ. იაშვ., 163). 42. ძაღლივით დავტოვე გარეთ, რაც იყო, რაც უკვე იყო (ო. ჭილ., I, 550). 43. კვლავ იმას ვიცავ, რასაც ვიცავდი (ო. ჭილ., I, 559). 44. ის აშკარად ამჩნევდა, რომ თეიმურაზის სახე გულში მტკიცედ ჩაბეჭდოდა (ა. ყაზბ., 12). 45. ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთანა რამეებს უბრალო მეგიშრეები აკეთებენ იმერეთში (აკაკი, 152). 46. შინ იმავე წუთში შეატყვეს, რომ ნასვამი იყო (გ. ფანჯ., 28). 47. უცებ გავახსენე, რომ საღამოს ამხანაგთან იყო დაპატიჟებული (გ. ფანჯ., 42). 48. მას მხოლოდ ჩემთვის გაუმხელია, რომ ამაოა ყველა ქონება (მ. ლებ., 539). 49. უცებ დავიჯერე, რომ ის და თემო აქ ერთმანეთის შესახვედრად მოვიდნენ (ნ. ონაშ., 11). 50. შიშით ვიცანი, რომ მაისი გაგვითენდება (პ. იაშვ., 129). 51. რაც გვაწამებდა, ყველაფერი მზემ გამოცვალა (პ. იაშვ., 74). 52. უცებ ვამჩნევეთ, რომ წასასვლელი აღარ გვაქვს არსად (ო. ჭილ., I, 572). 53. შენ არ აკეთე მორჩილი სახით ის, რასაც სტვენით და ღრიანცელით მოითხოვს ცირკში მოსული ხალხი (ო. ჭილ., II, 507). 54. თითების მოუსვენარი მოძრაობით ამტკიცებდა, რომ მისი გონება რაღაცაზე მუშაობდა (ა. ყაზბ., 90). 55. გადაუწყვეტია ყველას, რომ თვითონ თავს ვერ იხსნიან (აკაკი, 45). 56. იქნებ იმასაც ნანობდა, რაც ილაპარაკა (გ. ფანჯ., 216). 57. ერთბაშად ვიღაცამ გაახსენა, რომ თვითმფრინავთან მოწევა არ შეიძლებოდა (გ. ფანჯ., 166). 58. მაგრამ მე ვიცი, რომ მზე ცხრათვალა ამ ყრუ ხეობის დადგება თავზე (მ. ლებ., 94). 59. ამ იფნის შესახებ ძველი, ხალხური გადმოცემა მოგვითხ-

რობს, ვითომ ეს იფნი იყო ხატის იფნი (კ. ყმა, 269). 60. რატომღაც დავიჯერე, რომ მისი სულის იდუმალ ხვეულებს ვწედები (ნ. ონაშ., 45). 61. ბოლოს შევნიშნე, რომ მთის მწვერვალზე შემოხვეული ნისლი შუბლზე ხელშემოდებული კაცივით იყო გამოყვანილი (ნ. ონაშ., 45). 62. აშკარად ვიცი, რასაც მე ვწერდი, ლექსი უკეთესს გამოიგონებს (პ. იაშვ., 154). 63. გამოვიტანოთ, რაც სისხლი დარბის და რამაც ძველი რიდე დახია (პ. იაშვ., 154). 64. იმ წუთში ვიფიქრე, რომ ყველაფერი დამთავრდა, მზე სამუდამოდ ჩავიდა და დარჩა მარტო ეს სიბნელე (თ. ბიბ., 76). 65. შენც დაიჯერებ, რომ უნდობლობა თანდაყოლილი გრძნობაა კაცის (ო. ჭილ., II, 505). 66. და შენც გავალებს შენი ქალობა, რომ შენს ქვეყანას გაუთბო ფიქრი (ო. ჭილ., II, 526). 67. გურამმა ერთბაშად იგრძნო, რომ ხალხი მიწყნარდა და თავი ასწია (გ. ფანჯ., 117). 68. იმას ფიქრობ, რასაც მე ვფიქრობ (მ. ლებ., 35). 69. მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ აპოლონი სეიმონისაგან მიიღებდა გზის ხარჯს (ა. ყაზბ., 79). 70. ახლა მარტო ის ვიცი, რომ ბებერი ვარ და კოშკის ღია კარშიც ბებერი კითხულის გამოჩენას ველი (თ. ბიბ., 44). 71. ისინი სადღაც შიგნით მალავენ მას, რაც არ იყო დასამალავი (ო. ჭილ., I, 565). 72. ქარს მიაწერენ, რაც ქარში ითქვა (ო. ჭილ., I, 563). 73. რაშიდამ იცოდა, რომ მაღლა ქალები საუზმობდნენ (გ. ფანჯ., 70). 74. ტაშმა მომღერლებს გაახსენა, რომ ისინი საოპერო თეატრის სცენაზე იყვნენ (გ. ფანჯ., 331). 75. ახლა უცებ დავიჯერე, რომ ჩემი საკუთარი ვაჟა შევქმენი (ნ. ონაშ., 26). 76. მერე მან გაიგო, რომ ოჯახის უფროსმა გაოცებით ახსენა მდგმურის სახელი (ო. იოს., 74). 77. პოეტი ხშირად ორი სიტყვით გაგრძნობინებდათ იმას, რაც შეიძლება სხვას მრავალ სიტყვითაც ვერ გადმოეცა (მოგ. აკ., 32). 78. ბებერმა მეზღვაურმა იცის, რომ მისთვის ყველაფერი დამთავრებულია (გ. ფანჯ., 128). 79. კაკლის ტოტები ახლაც მღერიან, რასაც პოეტის ყელი მღეროდა (ლ. ასათ., 18). 80. თვით სოლომონ ბრძენი, წინასწარმეტყველები, მოციქულები და ყველა წმინდანები ქადაგებდნენ, რომ ადამიანმა მხოლოდ პატიოსანი შრომით უნდა იცხოვროსო (ი. გრიშ., 40). 81. ვგრძნობდი, რომ ჩემის სულმოკლეობის სირცხვილმა სახეზედ ცეცხლი მომიკიდა ამ კაცის თამამ კითხვაზე (ილია, 367). 82. მაშინ გადაწყვიტეს, რომ

გაეგზავნათ კაცი სურამში ვაქასთვის ოთახის დასაჭერად (კ. ყმა, 184). 83. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ამიერიდან ძველმა პოეტებმა ხელიდან კალამი უნდა გავაგდოთ (კ. ყმა, 168). 84. მე ვიცოდი, რომ დევიზიც ჩემი იყო და ლექსის სათაურიც (მოგ. აკ., 12). 85. მაშინ შეიტყო ქალმა, რომ ოთარი მთვრალი იყო (გ. ფანჯ., 26). 86. მე მხოლოდ იმას გეუბნებით, რაც დამაბარეს (ა. ყაზბ., 48). 87. თათარმა იგრძნო, მიჩვეული ბუდე რომ ეშლებოდა (ო. ჭილ., II, 10). 88. თათარმა ის დააშავა, ეჭვიანობა რომ დაიწყო (ო. ჭილ., II, 9). 89. უღრან ბინდებში შეაჩერებს იმას ნამქერი, ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა (ნ. სამად., 30). 90. ისიც კი ვიფიქრე, რომ უიმისოდ ძნელი იქნებოდა ამ ქაღალდებთან დღენიადაგ გაძლება (თ. ბიბ., 200). 91. მუხლის მოკვეთა ახსენებდა, რომ უკურნებელი სენი ძალიან ნელა ღრღნიდა მის ორგანიზმს (გ. ფანჯ., 632). 92. ერთი კვირის შემდეგ გამოიძახეს და იგივე გაამეორებინეს, რაც იმ დღეს ჩაიწერეს (გ. ფანჯ., 560). 93. მეგობრებმა გადასწყვიტეს, რომ აპოლონი სვიმონისაგან მიიღებდა გზის ხარჯს და დაუყოვნებლივ გასწევდა მოსკოვში (ა. ყაზბ., 79). 94. გაგელვიძება დატანჯულ პოეტს, ძლივს გაიხსენებ, ვისაც უყვარდი (ნ. სამად., 133). 95. კითხულმა თვალი გაუსწორა და კვლავ ის გაიფიქრა, რომ ახლა მისთვის ყველაფერი სულერთი იყო (თ. ბიბ., 190). 96. მე ვიცოდი, რომ ეს თვალები იმ სოფელში სრულიად მარტო დარჩებოდნენ (თ. ბიბ., 199). 97. რომელ ერთ მომღვარს შეეძლო ჩაეგონებინა ხალხისათვის ის, რასაც ჩვენ ვაგონებდით ჩვენი ტკბილი დაკვრით და სიმღერით (ი. გრიშ., 171). 98. ქალმა ის თქვა, რაც კაცს თვითონაც მრავალჯერ უფიქრია და უფიქრია ყოველთვის მალულად და ძრწოლვით (თ. ბიბ., 194). 99. ზარმა დარეკა და მაშინღა გაახსენდა, რომ მანქანა შეუმოწმებლად ჩაიბარა (გ. ფანჯ., 71). 100. ის აღავლენდა ლექსს დაჩოქილი და ვერც კი გრძნობდა, რომ ბნელდებოდა (ნ. სამად., 125). 101. მარტო დარჩენილს შეეძლო ის გაეკეთებინა, რასაც გული ეტყოდა (თ. ბიბ., 396). 102. მაშინვე იფიქრა, რომ ბიჭის წასვლით ყველაფერი ილეწებოდა (თ. ბიბ., 407). 103. რაც დღეს გაიგონე და დაინახე, აქამდე არ გაგიგონია და დაგინახავს (ო. იოს., 278). 104. შეგიძლია დაინახო ის, ვინც მოგესურვება (გ. ფანჯ.,

668). 105. დაკარგე ის, რაც შენი არ იყო (ო. იოს., 288). 106. მან დაიჯერა ის, რომ ადამიანი თვითონვეა საკუთარი ბედის განმგებელი (თ. ბიბ., 406). 107. თავის გზაზე ყველაფერს ამსხვრევს, რაც კი წინ გადაუდგება (თ. ბიბ., 297). 108. ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თვითონ ცხოვრებას ამოურიყავს (ილია, აზრ., 69). 109. ჩემს შვილს ორ თვეში ასწავლა ის, რაც მისმა მასწავლებელმა მთელი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა (კ. ყმა, 51). 110. შეიტყვეს ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ (ო. ჭილ., I, 92). 111. შვილიშვილების მიკიბულ-მოკიბული ნაამბობიდან მან უკვე იცოდა, რომ ამ ხომალდს გადაერჩინა ისინი დალუპვისაგან (ო. ჭილ., I, 94). 112. უცხოელს თითქოს უფლებაც ჰქონდა მოეთხოვა ის, რასაც თხოულობდა (ო. ჭილ., I, 116). 113. ეს სურვილი აიძულებს ადამიანს, გააკეთოს მხოლოდ ის, რაც მის აღსასრულებლადაა საჭირო (ო. ჭილ., I, 125). 114. რაც არ მომწონს, იმას ვასწორებ (მოგ. აკ., 388). 115. დაარქვით ამას ის, რაც თქვენ გინდათ (რ. ინან., 117). 116. მაინც კი ვიტყვი, რომ ჩვენ თავადიშვილი მოკეთეობას ვერ გვიზამს (დ. ჭონქ., 49). 117. დაგავიწყდა, რომ ადგილიდან ხტომა ამოღებულია შეჯიბრებებში (ო. იოს., 475). 118. და ჩვენც ხომ ვიცით, დარი სდევს ქარიშხალსა და წვიმასა (ვაჟა, 40). 119. ანგრევს, რაც უშლის მგზავრობას (ვაჟა, 54). 120. სამარის კარამდე ვზიდავ, რაც ზურგზე მკიდავ ბარგია (ვაჟა, 58). 121. ყოველი ჩვენთაგანი ვალდებულია სხვას გადასცეს ის, რაც თვითონ იცის (ი. გრიშ., 39). 122. რასაც ის ამბობდა, სხვები იმეორებდნენ (მოგ. აკ., 391). 123. ვინც კი აიარ-ჩამოიარა, სუფრაზე მიიპატიჟა (რ. ინან., 22). 124. არ შემიძლია მოგცე ის, რაც მე არ გამაჩნია, რაც სხვას ეკუთვნის (ო. იოს., 449). 125. და ბრძანა გმირმა, რომ ჩვენი მტერი ჩვენივე ხელით უნდა მოისრას (ლ. ასათ., 107). 126. ამის მერე ჯილაურმა დაიჯერა ის, რომ არავის შეუძლია გზიდან გადაახვევინოს (თ. ბიბ., 407). 127. უწარმტაცეს წუთისოფელში ვერ ენახე ყველა, ვინც მინატრია (ი. ჯოლბ., 16). 128. ძნელად თუ ვინმე შეამჩნევდა, რომ სადღაც მათში სულ პაწაწინა სიყვარულის ღველფი ქოლავდა (ი. ჯოლბ., 71). 129. ჩამოსული ღმერთს თუ განგებას მარტო იმას შესთხოვდა, რომ მშვიდობიანად გასცლოდა ის კაცი (თ. ბიბ., 358). 130. ახლა ფარნაოზს ის უნდა აერჩია, რაც შავთვა-

ლება მალალოსთვის იქნებოდა უკეთესი (ო. ჭილ., I, 369). 131. თვითონაც ვერ შესძლებდა იმას, რაც მამამისმა შესძლო (ო. ჭილ., I, 452). 132. მას თურმე გადაეწვა ქალაქები და სისხლში ჩაეხრჩო ყველა, ვინც კი გზაზე გადაუდგა (ო. ჭილ., I, 454). 133. დაჯექ, დაწერე, დახატე, რაც ბუნებაში გელექსა (პ. იაშვ., 182). 134. ბერნემ სთქვა: თუ გინდა ორიგინალური, თავისებური მწერალი დაგიძახონ, სწერე ის, რასაც ჰფიქრობ (ვაჟა, 330). 135. დიდებულნო, ხომ ისმინეთ, რაც სთქვა წმინდა მღვდელმთავარმა (ილია, 157). 136. იგი ხედავდა, რომ ბრეზენტის ყურში თავგამოყოფილი თოფის ლულა ახლა ერთნაირად ცივად უყურებდა ბილიკის ამოსასვლელსაც და მეზობელ გვირაბსაც (ო. იოს., 134). 137. იცი ყოველი, რაც კი მომხდარა ძველადა (ვაჟა, 61). 138. პირველ სტრიქონებიდანვე იგრძნო, რომ მოთხრობილი ამბავი მეტად საყურადღებოა (გ. რობაქ., 328). 139. რამოდენიმე თვის შემდეგ მაკ კოლახმა იმავე გაზეთის ფურცლით შეიტყო, თუ როგორი კატასტროფით დამთავრდა ჯიმის თამაში (გ. რობაქ., 330). 140. ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი (ილია, 73).

§ 98. *ორიბდამატებითი.* 1. მე დამნაშავესავით გავჩერდი და ფრთებჩამოყრილი დაველოდე იმას, ვინც ჩემს უმაღლეს ნეტარებას ტყიდან უცქერდა (თ. ბიბ., 84). 2. შევეცადე, რომ თემოს თვალით შემეხედა ჩემი თავისთვის (ნ. ონაშ., 71). 3. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემთან საუბრის გეგმებს აწყობდა (ნ. ონაშ., 43). 4. ეძგერე გულდამწარებით მას, ვინც სხვა ფიქრით გართულა (პ. იაშვ., 182). 5. ლევან ხიდაშელი მიხვდა, რომ მთავარ ინჟინერს რაღაც უსიამოვნო ამბავი შეატყობინეს (გ. ფანჯ., 190). 6. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში თუნუქის ფირფიტას (აკაკი, 135). 7. მივმართავ იმათ, ვინც ახლა მძმობენ (პ. იაშვ., 154). 8. აკაკი, როგორც შეეფერება ყოველ დიდებულ პიროვნებას, ცდილობდა, რომ ცხოველ მზესავით ყველა გაეთბო ირგვლივ, გაეცოცხლებინა (მოგ. აკ., 49). 9. ყველანი მიხვდნენ, რომ რაღაც უნდა გამოეცხადებინა (გ. ფანჯ., 167). 10. რკინის საფარველი შემოკიკარ და ცივი სიმშვიდით დაველოდე, თუ როდის დაცხრებოდა ეს შემზარავი

გამძვინვარება (ნ. ონაშ., 152). 11. დეკანი უცებ მიხვდა, რომ იმ გვარების დასახელებით გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა (ნ. ონაშ., 163). 12. ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება წითელი ცხელი ცახცახით ელის, რომ ქვეყნის ამღერება იქნება მზის ნადიმი (პ. იაშვ., 91). 13. რამდენიმე თვის შემდეგ მე მივხვდი, რომ კვერნაძეს მეტალურგიაზე ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა (გ. ფანჯ., 200). 14. ლევანი მიხვდა, რომ თავისუფალი სავარძელი იმ ახალგაზრდას ეკუთვნოდა (გ. ფანჯ., 168). 15. ვინც გაწესებულ ხარკს არ გადაიხდიდა, იმას ამ სახრჩობელით ემუქრებოდნენ (ი. გრიშ., 22). 16. ვცდილობდი, რომ ისევ ჩავძირულიყავი მის ჯერ კიდევ თბილ, ფაფუკ წიაღში (ნ. ონაშ., 167). 17. მე მივხვდი, რომ მისი ცხენი კვლავ წინ მიჰქროდა და მე მას ჩემი ცხენით ვერასოდეს დავეწეოდი (თ. ბიბ., 31). 18. ეხლა ვკითხოთ იმათ, ვინც ყურები გამოგვიჭედა ძმობისა და ერთობის ქადაგებითა და ლაღადითა (ილია, 683). 19. მთელი სიცოცხლის მანძილზე იმას უნდა ცდილობდე, რომ სამარცხვინო და უკადრისი არაფერი ჩაგყვეს ამ გუდაში (ნ. ონაშ., 245). 20. ამ დროს მივიხედე და მივხვდი, რომ ჩემი მევობარიც ჩემ დღეში იყო და მისი თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდა (თ. ბიბ., 37). 21. ძალა არ ემატება მას, ვისაც არაფერი გაუკეთებია (გ. ფანჯ., 669). 22. მაგრამ ბავშვიც მიხვდებოდა, რომ ჰანსს უყვარდა კლაუსი (ო. იოს., 93). 23. მიხვდა, რომ რაღაც კარგად არ გამოვიდა (ო. იოს., 128). 24. ბევრი ახლა პირისპირ შეხედა მას, ვინც სამნახევარი ათეული წელიწადი ქართველ ხალხს რწმენას, სასოებასა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის უნარს უნერგავდა (კ. ყმა, 129). 25. ყველას თვალწინ ველოდებოდი, როდის გამოჩნდებოდა ისევ ხირჩლა (თ. ბიბ., 109). 26. მათ რიცხვში ჩემი ძიძიშვილიც იდგა, თვალი მიქნია, მივხვდი, რაც უნდოდა (აკაკი, 102). 27. ჯილაური ხედებოდა, რომ მისი სიცოცხლის აზრი მხოლოდ ეს ბიჭი იყო (თ. ბიბ., 359). 28. ნამდვილ სცენას მაყურებელი ეყოლებოდა, მაყურებელი კი მიხვდებოდა, რომ ეს დამშვიდობება საბოლოო იყო (თ. ბიბ., 399). 29. ჯერ კიდევ შორიდან თვალი მოვკარი, რომ ხალხით გაჭედილ ქუჩაში მოდიოდა ეტლი (მოგ. აკ., 263). 30. ახლა, პირიქით, გაურბოდა იმას, ვისაც განწირული უნდა ეხსნა (ო. იოს., 166). 31. მიხვდნენ, რომ ისევ

ცუდად ედოთ შეშა (ნ. სამად., 49). 32. ცხვირპირი დაუნაყე ყველას, ვისაც კი ქალზე ცუდი რამ უთქვამს ოდესმე (რ. ინან., 64). 33. გადაეცი ჩემ მაგიერი მოკითხვა ჩემ რძალ ბაბოდან დაწყებული ყველას, ვინც კი იკითხავს ჩემს ამბავს (კ. ყმა, 329). 34. არც თვალახვეულსა და ბაწარზე გამობმულს ატანდნენ მას, ვინც მშობლებსა და ნათესავებს მოესურეებოდა (ო. იოს., 239). 35. გინდა დაემგვანო მას, ვინც გაგამწარა (ო. იოს., 204). 36. მივიხედ-მოვიხედე და მივხედი, რომ ამ ერთი ციდა, ყრუკედლებიან, ჩაბნელებულ ოთახში ვერ დავეტეოდი (თ. ბიბ., 217). 37. ასე შევჩიოდი ყველას, ვინც მხვდებოდა (კ. ყმა, 12). 38. ისინი ეცდებიან, რომ მთლიანად ხელში ჩაგვეიგდონ (კ. ყმა, 46). 39. მწერალმა ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია (ილია, აზრ., 69). 40. იმას სჯერდება, რაც იცის (ილია, აზრ., 88). 41. ომში პირველი დღიდანვე მიხვდა, რომ ადამიანი მიწის შვილი იყო (თ. ბიბ., 340). 42. ვისაც გნებავთ, იმას დაავალეთ გამოცდა (გ. ფანჯ., 497). 43. ვისაც შენ ერჩი, მოძმენიც იმასვე ედავებიან (ვაჟა, 27). 44. ვინც არ გაექცა იმათა, მაგრა შეუკრეს ხელები (ვაჟა, 62). 45. ვინც გათათრება აღუთქვა, შეანარჩუნეს წვერები (ვაჟა, 62). 46. ჩემი გული იმას ველარ გაუსწორდება, ვინც ერთხელ შეურაცხყოფას მომაყენებს (ა. ყაზბ., 24). 47. ადექი და იმას წაყევი, ვინც გულზე გეხატება (ო. იოს., 452). 48. ვინც ხვალ პირველად მოიდეს, ყველა ეს მიეც იმასა (ვაჟა, 114). 49. წმინდა გიორგის ჯვარი დაჰპირდნენ იმას, ვინც მე ან ცოცხალს დამიჭერდა ან მკვდარს მიმიტანდა (ილია, 442). 50. შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აგრე გამოგზარდა (აკაკი, 108). 51. თხასავით მისდევედი, ვინც მუჭა მწვანე ბალახს დაგანახვებდა (ო. იოს., 272). 52. ყველაფერ იმას, რაც წლიდან წლამდე აკეთე და აშენე, ხომ გვირგვინი არ დაედგმებოდა (ო. იოს., 290). 53. ეს კაცი მიხვდა, რომ დადგა ის ერთი მშვენიერი დღე (თ. ბიბ., 294). 54. ის იმას ეკუთვნოდა, ვინც ზემოდან დასცქეროდა, ვისაც უფრო სჭირდებოდა (ო. ჭილ., II, 224). 55. ალექსანდრე იმასაც მიხვდა, რომ მისი ძმა შეგნებულად მოიქცა (ო. ჭილ., II, 413). 56. ვინც გაბედა არდალევა, გლახ სიცოცხლე ჩაუმწარეს (ი. გრიშ., 138). 57. ახლა მიხვდა, რომ მარტო ის გადარჩა ცოცხალი თავის თანამებრძოლებს შორის (გ. ფანჯ., 548). 58. ეს

კაცი ხვდება, რომ სიჩუმის დრო მორჩა (თ. ბიბ., 294). 59. მან კარგად დაუმიზნოს თოფი იმას, ვინც წყალი მიაწოდა (ო. იოს., 112). 60. ყველა მისვდა, რომ მან თავისი სურვილი გაამხილა ხმამაღლა (ო. იოს., 112). 61. გამოეთხოვა ყველაკას, ვინც კი შინ, სახლში რჩებოდა (ილია, 166). 62. კითხული მიხვდა, რომ დღეის იქით სულის სიმშვიდეს ველარასოდეს დაიბრუნებდა (თ. ბიბ., 15). 63. მივხვდი, რომ მისი ცხენი კვლავ წინ მიპქროდა (თ. ბიბ., 31). 64. ის მიხვდა, რომ თამაზს ძალიან უჭირდა (გ. ფანჯ., 655). 65. დედა მიხვდა, რომ ლევანის თავს რაღაც ამბავი იყო (გ. ფანჯ., 381). 66. ნესტორი მიხვდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა ახალგაზრდა ფეხბურთელის გულში (გ. ფანჯ., 150). 67. იმასაც ხვდებოდა, რომ მისი მშობლები უმწეონი იყვნენ ამ შეგრძნებისაგან გაენთავისუფლებინათ იგი (ო. ჭილ., II, 371). 68. მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ, რაც ფათერაკად მოსავალია (ილია, 184). 69. პირველად ამ ორ სიტყვას ანგარიში არ გაუწია და მერე თითქოს ერთბაშად მიხვდა, რაც მოხდა (გ. ფანჯ., 406). 70. ახლა ვარლამიც მიხვდა, რომ ბიჭს თვითონ არ ასარებდა თავისი ქორწინების ამბავი (გ. ფანჯ., 381).

*§ 99. უბრალო დამატებითი.* 1. ახალგაზრდა ქარგალი იმით განირჩეოდა შეგირდისაგან, რომ ქარგალს უფლება ჰქონდა ხელოსანი ამოერჩია (ი. გრიშ., 37). 2. ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე დიდხანს, რაც სიცოცხლეში არ შეიძლება (ნ. სამად., 119). 3. ამ ვალს იმით გადაგიხდით, რომ ბილიარდში ორ პარტიას მოგაგებინებთ (ნ. ონაშ., 140). 4. მსუბუქი სევდით ვფიქრობდი იმაზე, რომ ამიერიდან შუადღისას ტრამვაის ეღარ გავყვებოდი (ნ. ონაშ., 25). 5. ვარწმუნებდი, რომ ქართველი საზოგადოება მის ღვაწლს და მის ნაწერებს არასოდეს არ დაივიწყებს (კ. ყმა, 170). 6. ვაჟა უკანასკნელ დღეში იყო და მხატერის მოყვანა იმით გაამართლე, რომ შემდეგ მისი სახისათვის შეედარებინათ ეხლანდელი გამხდარი სახე (კ. ყმა, 388). 7. აკაკის გონება შორს იყო იმისგან, რაც მის ირგვლივ ხდებოდა (მოგ. აკ., 129). 8. ის არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ბიჭებმა იცნეს (გ. ფანჯ., 21). 9. სიმწრის ოფლი ასხამდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ ამ წუთში რას განიცდიდნენ მისი

მშობლები და ამხანაგები (გ. ფანჯ., 150). 10. მე კი ნელ-ნელა ვფურცლავდი გაზეთს და ვოცნებობდი, როდის გნახავდი (ო. ჭილ., II, 437). 11. და ვრწმუნდებოდი, რომ ვერასოდეს ვერ მოვნახავდი საჭირო სიტყვას (ო. ჭილ., II, 471). 12. შემდეგ ამაყობდა იმით, რომ კიდეც ვჯობდი (ნ. ონაშ., 30). 13. ის დარწმუნებული იყო, ამისათვის ყველაფერს ჩავიდენდი (ნ. ონაშ., 45). 14. თავს იმით ინუგეშებდა ხოლმე, რომ ქართველ ხალხს თავისებური ფსიქოლოგია აქვს (მოგ. აკ., 148). 15. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სოფლის ჰაერი ჩემ დაავადებულ გულს მალამოდ დაედება (კ. ყმა, 169). 16. გუშინწინ კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ფეხბურთისათვის უკვე მოხუცდა (გ. ფანჯ., 132). 17. ვამაყობ იმით, რომ არა მაქვს ვრცელი წარსული (პ. იაშვ., 87). 18. მე კი დავრწმუნდი, რომ შენი ხელი ჩემს დაღლილ ხელზე შეცდომით იდო (ო. ჭილ., II, 487). 19. ვიღაც სარგებლობდა იმით, რომ ძალიან მიჭირდა სამსახური (ნ. ონაშ., 45). 20. ვარწმუნებდი, რომ საკუთარ კარმიდამოში დაბრუნება მრავლად ხელს შეუწყობდა მისი დასუსტებული სხეულის გაჯანმრთელებას (კ. ყმა, 170). 21. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ამ კაცისა არაფერი მესმოდა (გ. ფანჯ., 216). 22. უნდოდა იმავე წუთში გამოსულიყო მოედანზე და დაერწმუნებინა ხალხი, რომ მას თამაში შეუძლია (გ. ფანჯ., 151). 23. სამინისტროს კოლეგიამ ისარგებლა იმით, რომ ბატონი ვახტანგ ხუციშვილი ერთი თვით საზღვარგარეთ გაემგზავრა (ნ. ონაშ., 78). 24. დამარწმუნეს, რომ თქვენი სავაჭრო სახლის სახელი თავის თავს ლაპარაკის ნებასაც არ მისცემს (ა. ყაზბ., 84). 25. ეს უკვე კმაროდა იმისათვის, რომ მხოლოდ მას ელაპარაკა და სხვებს ეთმინათ (გ. ფანჯ., 221). 26. მაქსი დარწმუნებულია, რასაც კი შეეხება ეს მკვდრის სინათლე, გაჰყინავს (ო. იოს., 90). 27. ბევრი ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, თუ სად დაემალათ ყოველივე ეს (მოგ. აკ., 500). 28. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს ადგილი ლევან ხიდაშელს დარჩებოდა (გ. ფანჯ., 226). 29. ყველაზე დიდ ყურადღებას იმათ მიმართ იჩენდა, ვინც მუზეუმში უფრო ძლიერ და გავლენიან პირად მიაჩნდა (ნ. ონაშ., 76). 30. ახლა ვიჯექით და იმაზე ვიცინოდით, როგორ გადავყლაპეთ ამოდენა ხმიადი (თ. ბიბ., 30). 31. ის კვლავ გრძნობდა გარდაუვალი დასასრულის მოახლოებას და თითქოს

მარტო იმაზე ფიქრობდა, როგორ დარჩენილიყო ბოლომდე ამაყი და თავაღერილი (თ. ბიბ., 236). 32. ძველად ქვრივის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის თვით ირჩევდა საქმროს (ი. გრიშ., 115). 33. იმაზე იფიქრე, რაც თავზე გადაგხდენია (ნ. ონაშ., 245). 34. დაიწყო იმით, რომ პათეტურად განაცხადა, მხოლოდ უნიჭო მხატვრები არიან სასიამოვნო ადამიანები (ნ. ონაშ., 96). 35. მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარ დღესა მხოლოდ-ღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი (ილია, 124). 36. ქალი მაშინვე უყოყმანოდ, თვალის დახამხამებაში მოკვდებოდა იმისათვის, ვინც სულით ხორცამდე უყვარდა (თ. ბიბ., 209). 37. იგი დარწმუნებულია, რომ მისი სტრიქონები „ცხელი შამფურივით" ეტაკება მკითხველს გულში (ი. გრიშ., 177). 38. ეს ურთიერთზეგავლენა უფრო მეტად ძლიერდებოდა იმით, რომ თბილისი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი იყო არამც თუ საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთათვის, არამედ გარეშეთათვისაც (ი. გრიშ., 9). 39. ის სულ ელაპარაკებოდა ძალუას იმაზედ, რომ ეს ყველაფერი თქვენ ჩემთვის გასწავლებინათ (ა. ყაზბ., 132). 40. მე ვწუხვარ მარტო მასზედა, რომე ჩემს სიბერესა სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი (ილია, 124). 41. რად დაინანა ერთი მუჭა მიწა იმისთვის, ვისაც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა (თ. ბიბ., 264). 42. ეს განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ენაში არის ხშირად მთელი ფრაზის ბრუნების შემთხვევებიც (ილია, აზრ., 66). 43. ალბათ, იმაზე დაფიქრდა, მოვეწონეო თუ არა (ლ. ასათ., 44). 44. იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება, რაც არ იცის (ილია, აზრ., 88). 45. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ერისთავების ლაშქარი იმერეთში მიდიოდა (აკაკი, 216). 46. ბიჭი კი იდგა და ახლა იმაზე ფიქრობდა, ყველაფერი ცხადში მოხდა თუ სიზმარშიო (თ. ბიბ., 390). 47. ყველას უჭირდა თავის მოწონება იმით, რაც მას არ ჰქონდა და არც არასოდეს ექნებოდა (ო. ჭილ., II, 39). 48. ვაჟას, სხვათა შორის, ჩამოეგდო ლაპარაკი იმაზე, რომ იმას სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში უნდა წასვლა (კ. ყმა, 348). 49. ძალიან შემაწუხა ამ გარემოებამ, მაგრამ იმით ვნუგეშობ, რომ ვაჟას მიერ სიტყვების განმარტებანი დარჩნენ ჩემს ქრესტომათიებში (კ. ყმა, 80). 50. ჩვენ ჩვენი წინანდელი მეთაური წერ-

ილი იმით გავათავეთ, რომ ვირჩიეთ გამოვარკვიოთ, გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა (ილია, 649). 51. ამის მაგალითს ქრისტე მით გვაძლევს, რომ ორმოცი დღე მან იმარხულა (აკაკი, 52). 52. ორსავე შემთხვევაში ძლიერ მუშაობს მგზავრის ფანტაზია და ეს იმაზე არის დამოკიდებული, რამდენ ციხეს აამენებს მაშინ მგზავრი (დ. ჭონქ., 19). 53. აკაკი დარწმუნებული იყო, რომ მისი ნაწერების მთლიანი გამოცემა არანაკლებ ორმოცი ტომი იქნებოდა (მოგ. აკ., 148). 54. იგი ძალიან ადვილად გადიოდა მეგობრის პოზიციაზე იმათთანაც, ვინც არც თუ ისე დაახლოებული უნდა ყოფილიყო მასთან (მოგ. აკ., 166). 55. თავს ვერ მოიწონებ იმით, რაც შენ არ შეგიქმნია (ო. იოს., 255). 56. ზურგშექცეული იდგა და მარტო იმაზე ფიქრობდა, რომ ბებერი თოთია ბარამდე ვერ ჩააღწევდა (თ. ბიბ., 376). 57. შენ დაიბრუნე შენი იმით, რომ უარი თქვი სხვისაზე (ო. იოს., 288). 58. ბედნიერი ვარ იმით, რომ მის გონებრივ განვითარების პროცესში მეც შევიტანე ჩემი პაწია წვლილი (კ. ყმა, 70). 59. მე, როგორც ყოფილი მასწავლებელი, დაერწმუნდი, რომ ვაჟა, ორიგინალობის გარდა, ღრმა მწერალია ფილოსოფიური განხრით (კ. ყმა, 70). 60. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთანა ჰგრძნობს, ვინც იმას ესაუბრება (ვაჟა, 338). 61. უკეთესი ქვეყნის სამსახური მწერლობისა იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი თავის ქვეყნისა ესმოდეს (ვაჟა, 367). 62. საქმე მაღალ ზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთის-სოფლის სუფრაზედ, რაცა აქვს (ილია, აზრ., 18). 63. მერწმუნეთ იმაში, რომ ყოველთვის მხედველობის არეში მყავდით (გ. ფანჯ., 527). 64. გაბერილი ტიკი და წნორის ფიცარი ხელს გვიწყობდა, რომ წყალში არ ჩავძირულიყავით (კ. ყმა, 102). 65. ეს სამსახური კიდევ იმით არის კარგი, რომ ხალხთან მექნება საქმე (კ. ყმა, 81). 66. ნიჭიერება ეროვნულის მწერლისა იმით განიზომება, თუ რამდენად ესმის თავის ქვეყნისა და ერის საჭიროება, იმით, თუ რამდენად შეგნებული აქვს მისი უმთავრესი ნაკლი და რამდენად მადლიანად ემსახურება ამ ნაკლის შევსებას სიტყვით თუ საქმით (ვაჟა, 368). 67. საკუთარ თავს გამოუტყდა იმაში, რომ უხილავი ძალა ეზიდებოდა მათთან მისასვლელად (გ. ფანჯ., 505). 68. ის თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამ

ნაბიჯისაგან თავს ვერ შეიკავებდა (გ. ფანჯ., 515). 69. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ახალგაზრდა კოლეგაზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა (გ. ფანჯ., 530). 70. გულდაჩაგრულო, დანაღვლიანებულო იმით, რომ შენდა სანატრელად ვერ ხედავდი შენს ძვირფას საგრფოს, შენს ძვირფას სამშობლოს (მოგ. აკ., 264). 71. ადე და წადი იმათთან, ვინც მოგწონს, ვინაც კარგია (ვაჟა, 58). 72. და თან ვჩხუბობთ იმაზედა, ვის რა ნაჭერი გვერგება წასაღებად ბინაზედა (ვაჟა, 83). 73. მეც არ მეძინა და ვფიქრობდი იმაზე, ხვალ როგორ გამეტარებინა დროება (ვაჟა, 264). 74. მე ბედნიერი იმით ვარ, თუ რაღაცას ვაკეთებ და ვიღაცას ვჭირდები (ო. იოს., 386). 75. ვხუმრობდით, ვლაზღანდარობდით იმაზე, რასაც მერე მთელი სიცოცხლე გულიდან ვერ ამოვიღებდით (ო. იოს., 447). 76. ის დარწმუნებული იყო იმაში, რომ ვერასოდეს წამოაცდენინებდა მათ საიდუმლოებას, რაც მათ მიწისგან გაეგოთ და რაც არც ერთ წიგნში არ ეწერა (ო. ჭილ., II, 187). 77. აიეტი უკვე იმაზე ფიქრობდა, ვინ როგორ დაესაჯა (ო. ჭილ., I, 157). 78. ის სულაც არ წუხდა იმაზე, რომ მზესთან ერთად თავადაც ფითრდებოდა, ბინდში ეხვეოდა, უჩინარდებოდა (ნ. ონაშ., 29). 79. ეს სასიამოვნო მოულოდნელი შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ იმ ღამეს ვაჟა მაჩხაანში დარჩა (კ. ყმა, 364). 80. საქმე დადგა იმაზე, ვისთვის უნდა ეკითხვინებინათ (დ. ჭონქ., 67). 81. როგორღაც დარწმუნებული იყო იმაში, რომ ეს უბედურება არ ეკუთვნოდა იმის ზურაბს (დ. ჭონქ., 78). 82. დასალოცად გამზადებულნი იმით განირჩეოდნენ სხვა ამქრის წევრისაგან, რომ ამ სადღესასწაულო კრებულს წინ მიუძღოდნენ, წელზე აბრეშუმის სარტყელშემოკრულნი (ი. გრიშ., 38). 83. მეშვიდე ფიქრი იმაზე ფიქრობს, რომ დიდ-პატარა თავისთვის ციგნობს (მ. ლებ., 330). 84. უკანასკნელ თვეში ჩვენ უკვე დაერწმუნდით, რომ შალვა კარმელი ქუთაისიდან ველარ დაგვიბრუნდებოდა (პ. იაშვ., 285). 85. ასეთი გამოცემის საჭიროებას გამგეობა ასაბუთებდა იმით, რომ გამოცემული ლექსიკონები უკვე გამოილია (მოგ. აკ., 446). 86. ეს ჩემდამი სიყვარული და პატივისცემა იმითაც დაამტკიცა, რომ ჩემთან სურათიც გადაიღო (მოგ. აკ., 377). 87. კაცს მეგობრობასა და თანაგრძნობას იმით დაუმტკიცებთ, რომ ყველაფერს დაუმალავად და სიმართლით

ეტყვით (ა. ყაზბ., 140). 88. ნურც იმაზე ვიფიქრებთ, საით და ვისთან მიედიკართ (ო. იოს., 275). 89. ეს ბრძოლა კი ყველანაირი ბრძოლისაგან განსხვავდება იმითაც, რომ აქ დამარცხებული იმარჯვებს, დათრგუნული და ჩაკლული იძენს სიცოცხლის უფლებას (ო. ჭილ., II, 100). 90. ეს სიძულვილი სწორედ იმისთვის უნდა ეთქვა, ვინც შუაში ჩაუდგა და კაცთა მოდგმას ჩამოაშორა (თ. ბიბ., 321). 91. ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ ძალა ალმართის მხვნელია (ილია, 169). 92. დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია (ილია, 922). 93. ჩემმა ქმარმა იმაზედაც კი გაიფიქრა, რომ შესაძლებელი არის თქვენი გათხოვება (ა. ყაზბ., 141). 94. ბიჭებს ვაკვირდებოდი და ვრწმუნდებოდი იმაში, ჩვენს საუკუნეში ჯერ კიდევ რამოდენა პატივს სცემენ ადამიანის ფიზიკურ ძალას (გ. ფანჯ., 221). 95. ის გიორგაზე ლაპარაკობდა და დარწმუნებული იყო იმაში, რომ ყველაფერი ესმოდათ ჩიტებს (ო. ჭილ., II, 235). 96. მე სულ იმაზე ვოცნებობდი, მომეგროვებინა ეს ჩანაწერები და ჩემ სიცოცხლეშივე გამომეცა (კ. ყმა, 168). 97. ეს სასიამოვნო იქნება იმათთვის, ვინც უცხო ქვეყნების ღვინოს შესჩვევია (ილია, 590). 98. ის სახარბიელო იყო მარტო მით, რომ მხოლოდ ევროპის სამხრეთსა და აფრიკის ჩრდილოს მისაეალი გზა იყო (ილია, 917). 99. ორიოდე სიტყვა იმაზედაც მინდა ვთქვა, თუ როგორ კითხულობდა აკაკი (მოგ. აკ., 220). 100. სიკვდილის შიშიც კი ვერ მოვიდოდა თავაშვებული ბიჭების სიამაყის დასათრგუნად იმასთან, რასაც ერქვა პატივის აყრა, დამცირება და ხაროში ავაზაკივით ჩამწყვდევა (თ. ბიბ., 43). 101. ის დარწმუნებულია, რომ სამართლიანად მოქმედებს (ა. ყაზბ., 28). 102. ჯერ პირველი თქვენ შესცდით იმაში, რომ წამოხვედით ამისთანა სახლში (ა. ყაზბ., 128). 103. მისი არსებობაც კი დამთრგუნველი და აუტანელი იქნებოდა ყველასათვის, ვინც კი რამეთი იყო დაკავშირებული მასთან (ო. ჭილ., I, 456). 104. ფარნაოზი დარწმუნებული იყო, რომ კუსა მას უყურებდა და დამცინავად ილიმებოდა (ო.ჭილ., I, 461). 105. თავს მხოლოდ იმით ვანუგეშებდი, რომ მასწავლებელს ალბათ არ ვეჯავრები-მეთქი (ვაჟა, 329). 106. უგულო, ძალად მწერალი იმით იცნობა, რომ უეჭველად უგულო საგანს აირჩევს სალაპარაკოდ (ვაჟა, 331). 107. მაგრამ ამაყი იმით ვარ მაინც, არ

დამიკარგავს ამაგი მამის (მ. ლებ., 537). 108. ის მალე დარწმუნდა, რომ „ინგლისელობისათვის“ გარდა „სამართებლისა“, „ენისა“ და „ნებისა“, საჭიროა კიდევ ათასწლოვანი ტრადიცია (გ. რობაქ., 317). 109. საქმე იმაშია, რომ დღეს საჭიროება ეკონომიურ ცვლილებისა საკმაოდ გავრცელებულია საფრანგეთში (ილია, 906). 110. ეს გზა მხოლოდ იმისთვისაა განკუთვნილი, ვისაც ბედმა უმუხთლა (ო. ჭილ., II, 411). 111. ხალხი სულ იმისცდაში იყო, თუ როგორ ესიამოვნებინა პოეტისათვის (მოგ. აკ., 41). 112. ლევანმა მარინეს თითქმის დამთავრებული პორტრეტი შეათვალიერა და დარწმუნდა, რომ მისი მეუღლე ამ სახელოსნოს ხშირი სტუმარი იყო (გ. ფანჯ., 379). 113. და რითაც ცხოვრობთ თქვენ, მეც უნდა ვიცხოვრო იმით! (მ. ლებ., 455). 114. იაგორა დარწმუნებული იყო, რომ მამამისი იქ არაფერს დატოვებდა საამისოდ (ო. ჭილ., II, 350) 115. ისინი განირჩევიან მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ (ილია, 529).

*§ 100. განსაზღვრებითი.* 1. ამ სტრიქონების დამწერს უნახავს მოხუცი ერთი-სახენათელი, რომელსაც ბევრჯერ გადაულახავს ჭაობიანი კოლხიდის ველი (ლ. ასათ., 100). 2. მე ვეტრფი ძლიერ თბილისელ ხაბაზს, დილით ადრე რომ ააფრენს ლავაშს (ლ. ასათ., 60). 3. დაყანტულ ფიქრით ქალაქებში ვუმზერ საათებს, რომლებიც სხედან ორბებივით (პ. იაშვ., 118). 4. მწუხარე ფიქრებით გატაცებული კიდევ დიდხანს შევცქეროთ იმ სულმნათს, რომლისთვისაც ტირის დღეს მთელი საქართველო (პ. იაშვ., 278). 5. იგი იმ წუთში მენავეს ჰგავს, რომელსაც ალელვებულ ზღვაში ხუთი ადამიანის ბედი ებარა (გ. ყანჯ., 228). 6. თვალით შორიდანვე სოფელში შეიგულა ისეთი ადგილი, სადაც მთელი დღე კაციშვილი არ გაიჭაჭანებდა (გ. ფანჯ., 35). 7. ყეენობა იყო მასიური გრანდიოზული გასართობი, რომელსაც საერთო დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა (ი. გრიშ., 20). 8. თვალებით უზიარებდნენ ერთმანეთს ერთსა და იმავე ეჭვს, რომელიც ლამის ერთდროულად დაებადათ (ო. ჭილ., II, 325). 9. მას აშინებდა აღა-მაჰმად-ხანიც, რომელსაც ყველგან წყევლიდნენ, და თეთრი ჯარიც, რომელსაც ყველგან მოუთ-

მენლად ელოდებოდნენ (ო. ჭილ., II, 63). 10. იმერეთის დაპყრობის ჟამს ეს იყო უკანასკნელი ციხე, საიდანაც იმერლები იგერიებდნენ მტრის ჯარის შემოტევას (მოგ. აკ., 23). 11. სცენაზე შემოიტანეს მგოსნის აკვანი, რომელსაც თან შემოჰყვა მგოსნის ძიძიშვილი (მოგ. აკ., 73) 12. ერთხელ ჩემმა სახლობამაც წაიყვანა ავლაბარში მკითხავთან, რომელსაც იგივე ეთქვა ვაჟასთვის (კ. ყმა, 327). 13. წინ გაშლილი იყო მინდორი, რომლის ბოლოში მოქუხდა აფხუშურა (კ. ყმა, 242). 14. არის ბუნების ძალი, ხმელსაც რომ შეიქმს ნედლად (მ. ლებ., 186). 15. კურთხეულ იყოს ყოველი მგზავრი, რომელმაც უნდა განვლოს უღრანები (მ. ლებ., 326). 16. ნავი დაუპირდაპირდა სწორედ იმ სახლს, რომელიც ზღვას გადასცქეროდა (ა. ყაზბ., 196). 17. დიდი იმედი ჰქონდა დედაბერს თამასუქისა, რომელსაც კიდობანში საგულდაგულოდ ინახავდა (ო. ჭილ., II, 254). 18. ნეტავ თუ განუცდია ჭეშმარიტი შემოქმედებითი ტკბობა მოქანდაკეს, რომელიც ქვაში არ მუშაობს (ნ. ონაშ., 50). 19. მე უნდა დავშვებულიყავი ამ ბილიკზე და შევსულიყავი ჩემთვის უცნობ იმ სოფელში, სადაც არავინ მელოდა (თ. ბიბ., 85). 20. მოხუცი იმ სახლს ეძებდა, სადაც ოდესღაც ის პირტიტველა ბიჭი და მისი მშობლები ცხოვრობდნენ (თ. ბიბ., 131). 21. ისეთი წიგნი მისწერეთ, რომ მით მოულბოთ გულიო (აკაკი, 46)., 22. სწორედ ის ღმერთი გაგანადგურებს, ვინც ქვესკნელიდან ამოგაშენა (ნ. სამად., 102). 23. ის სტუდენტი დახრიდა თავს, რომელსაც თამაზი მიაჩერდებოდა (გ. ფანჯ., 490). 24. წყალს ის ლოდებიც დაეფარა, რაზეც სულთმობრძავი იწვა (ო. იოს., 61). 25. მისი თვალები საოცარი შეურიგებლობით უცქერდნენ ადამიანებს, რომლებიც თავს ადგნენ (ო. იოს., 62). 26. მან იჯარით აიღო ის ტყე, სადაც ტყუპები იზრდებოდნენ (პ. იაშვ., 263). 27. ეს ახალი სახლებია, რომ ანთებენ შარას (პ. იაშვ., 24). 28. უცებ იმ უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, პირველ დღეს რომ დაეუფლა (გ. ფანჯ., 60). 29. ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა (ილია, 541). 30. ქერჩის პორტის მისადგომთან მოჩანს დაბალი ყავისფერი ტანკერი, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობა ოდესღაც თეთრი წარწერა „იანტარი“ (გ. ფანჯ., 120). 31. ყარაჩოღელი ხშირად თვით იგონებს ათასგვარ გასართობს, რომელიც მერე ადათებში გადადის (ი. გრიშ., 16). 32. ზო-

სიმე მღვდელმა ის ხელი ასწია, რომელშიც იის კონა და ლოცვანი ერთად ეჭირა (ო. ჭილ., II, 270). 33. ჩვენ ვგავდით ფოთლებს, რომლებსაც ქარი დააქროლებდა თავის ნებაზე (ო. ჭილ., II, 434). 34. არასოდეს არ დამავიწყდება ის წრეგარღვეული ბედნიერების გრძნობა, რაც იმ წუთს განვიცადე (მოგ. აკ., 12). 35. არის ერის ცხოვრების ისეთი თარიღები, რომლებიც დავიწყებას არ ეძლევა (მოგ. აკ., 66). 36. ვაჟამ ისეთი სერიოზული ტონით დაიწყო ლაპარაკი, რომ მალე ჩააჩუმა ჩემი ოპონენტი (კ. ყმა, 64). 37. მალე იმ ოთახში დამაწვინეს, სადაც ბიძაჩემს უნდა დაეძინა (კ. ყმა, 249). 38. გაქვს პოეზიის ხნიერი ბაღი, სად ჩიტი ვერ ფრენს რუსთველის შიშით (მ. ლებ., 189). 39. ვერიდები იმ მაცდურ კიბეს, სადაც მზაკვარნი შეჰლიმიან ერთმანეთს ტკბილად (მ. ლებ., 302). 40. ირგვლივ ჩანდა კარგად მოხნული მიწები, რომლებზედაც ალაგ-ალაგ ჯეჯილს თავი ამოეყო (ა. ყაზბ., 102). 41. ოთახში შემოვიდა ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ ყმაწვილის სახე შერჩენოდა (ა. ყაზბ., 59). 42. უცებ შევეგუე იმ აზრს, რომ გუშინდელი რეცენზიის შემდეგ იონა პირქუშად შემხვდებოდა (ნ. ონაშ., 59). 43. თურმე თქვენთან მუშაობს ერთი პიროვნება, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია დავეძებთ (ნ. ონაშ., 88). 44. მე მივსდევ შენს ხმას, ცათაფრენად რომელიც მიხმობს (ა. კალანდ., 85). 45. არ უგრძვნია ის უბედურება, რაც ელოდათ ქალებს (ო. იოს., 13). 46. ისევ ესროლეს იმ ქვას, ხელით რომ ეჭირა (ო. იოს., 13). 47. ის ოჯახი დააქცია ღმერთმა, ქათამი რომ თავისი სიკვდილით მოკვდება (გ. ფანჯ., 24). 48. იგი ერთხანს კიდევ მისჩერებოდა იმ კარს, საიდანაც რამდენიმე წამის წინ მამა გაუჩინარდა (გ. ფანჯ., 29). 49. მივმართავ ისევ აქლერილ ხეხილს, ჩემი ლექსები რომ გამოწვალდეს (პ. იაშვ., 155). 50. მათ წინ მიუძღოდნენ შებორკილი ტუსაღები, რომელთაც გარს შუბიანი ჯარისკაცები მისდევდნენ (ი. გრიშ., 23). 51. ისიც თავის ღვთაებას მოეზიდა და ველარ გაეტანა ათრთოლებული ფეხები იმ ოთახიდან, სადაც კარგი არაფერი ელოდებოდა (ო. ჭილ., I, 312). 52. მაგრამ მეც მთელიან სიცოცხლის ღირსად გზები, რომლებიც ვერ გავიარე (ო. ჭილ., II, 458). 53. აიღეთ ხალხური პოეზია, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია თვით მშრომელ ხალხს (მოგ. აკ., 17). 54. ამ წყლებთან პა-

ტარა მიწის ნაჭერი გვეჭირა, რომელსაც კარგა დიდხანს ვფლობდით (კ. ყმა, 323). 55. მეხუთე ტომი ეჭირა, რომელსაც წლები შესწირა (მ. ლებ., 348). 56. მოეშვი ფიქრებს, რომელსაც შავი გრიგალი გიქრობს (მ. ლებ., 66). 57. ისინი უკან მიდგნენ და გზა მისცეს სტუმრებს, რომლებიც მადლობას ეუბნებოდნენ სახლის პატრონს (ა. ყაზბ., 132). 58. რისხვით მისჩერებოდა უცნაურ სტუმარს, რომელიც ჯოხივით ჩაყუდებულიყო განიერ ტანსაცმელში (ნ. ონაშ., 89). 59. რა პქვია იმ მწერალს, შესახლების წინა ღამეს სახლი რომ დაუწვეს? (ნ.ონაშ., 69). 60. ენაჩავარდნილ სოფელს ჯერ არ გახსენებოდა თავისი წინამძღოლი, თავისი კითხული კაცი, რომელსაც ბოლოს უნდა მისდგომოდა კარზე და შველაც მისგან ეთხოვა (თ. ბიბ., 283). 61. როდის-ღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართეა (ილია, 932). 62. თოფი მეორე ოთახში გავარდა, სადაც დირექტორის რეფერენტი იჯდა (გ. ფანჯ., 540). 63. აღარ არსებობდა ის სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ (თ. ბიბ., 133). 64. ეს ორი ნაფოტიც იმ ცეცხლისთვის უნდა შეეკეთებინა, რომელზეც გათოშილ ხელებს ითბობდა (ო. ჭილ., I, 225). 65. კვირაში ერთხელ „ჯეჯილის“ ირგვლივ მუდამ იმართებოდა საღამოები, რომელსაც ესწრებოდნენ იაკობ გოგებაშვილი და არჩილ ჯორჯაძე (მოგ. აკ., 49). 66. მე ბავშვობიდან ისეთი წარმოდგენა მქონდა, რომ ეს კაცი უნდა ყოფილიყო დევის მაგვარი, გამოქვაბულში მჯდარი ადამიანი, წვერულვაშით შებურძგვნილი (კ. ყმა, 387). 67. არ იყო ჩანგი, არ იყო ჩანგი, ჩანგი, რომელიც მას აოცებდა (მ. ლებ., 181). 68. მივიდა მებატონის სახლთან, რომელიც საკმაოდ დაძველებულიყო (ა. ყაზბ., 107). 69. იყო კიდევ ერთი ნაწილი თანამშრომლებისა, რომელიც ახლა აქ არ ჩანდა (ნ. ონაშ., 64). 70. მე მთელი ღამე სიტყვას ვეძებდი, რომელსაც უნდა გადავერჩინე (ო. ჭილ.,II, 471). 71. ქალაქი სავსეა ხალხით, რომელიც ქალაქს ყველაფერს მისცემს (ო. ჭილ., II, 478). 72. ისეთ ადგილზე წავიდეთ, სადაც ყავას მოგვიხარშავენ (გ. ფანჯ., 231). 73. სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუარად უნდა გვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს (მოგ. აკ., 76). 74. იმის ნაბადში ისეთი ფანჯრებია გამოჭრილი, რომ შიგ თურმე ბუღა კამეჩი გაძვრება (კ. ყმა, 325). 75. ასე გა-

ეანდე პაწია ლილის ლექსი, რომელიც ვატარე დიდხანს (მ. ლებ., 508). 76. ისინი გვანან მარადმწვანე და მაღალ ხეებს, რომლებიც მზეში გვიჩრდილებენ და გვასვენებენ (ო. ჭილ., I, 587). 77. მიფრინავს ქორი, რომელმაც, ალბათ, მაღალ არარატს შეასწრო თვალი (ო. ჭილ.,I, 586), 78. ფრთხილი ნაბიჯით მივიდა იმ ეზოსთან, სადაც მარკიზა ელოდებოდა და ჭიშკრის ღრიჭოდან შეიხედა (გ. ფანჯ., 102). 79. ამავე დროს მეორე მხრიდან ფრიალოს ნაპირზე შეჩერდა ცხენი და მხედარი, რომელიც ცის ტატნობზედ აშკარად გამოიხატა (ა. ყაზბ., 160). 80. ჩემთანაც მოდიან ფიქრები, რომლებიც აიასებთან მისულან (მ. ლებ., 456). 81. ორივეში თითო დიდი ტახტია გაწყობილი, რომლებზედაც შინნაქსოვი ფარდაგებია გადაფარებული (კ. ყმა, 238). 82. აკაკიმ უმაღლესი სწავლა მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, რომელმაც მისი სახელი უკვდავყო ოქროს დაფაზე ჩაწერით (მოგ. აკ., 147). 83. კლაუსი წაიხარა და წვრილი თოკის თავი მოძებნა, რომლითაც ქვაბუნა მოჰყვებოდა გორგოლაჭს (ო. იოს., 78). 84. შვილიშვილისათვის უსწავლებია საუკუნოეანი საიდუმლო იმ ბალახებისა, რომლებიც სვანეთში ჭრილობის უებარ წამლად ითელება (ო. იოს., 28). 85. და ალბათ უკვე ველარც იხარებს ეზო, რომელიც ძილშიდა გვახსოვს (ო. ჭილ., I, 580). 86. ყველას გვაქვს ჩვენი პატარა კუთხე, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი უფროსი (ო. ჭილ., I,564). 87. კითხულიც პირდაპირ იმ საჩეხს მიადგა, სადაც ორ მოლაშქრეს დაჭრილი ჯარისკაცი ტახტზე მიეწვინა და ჭრილობას არყით უბანდა (თ. ბიბ., 174). 88. გვყავდა ერთი ასეთი ძროხა, რომელიც სწორედ იმ დღეს გადმოვარდა ჭიჭახევის ჩრდილში (კ. ყმა, 233). 89. მერე ისეთი ნაბიჯით შემოვიდა, კატა მსხვერპლს რომ მიეპარა (ნ. ონაშ.,15). 90. გული დავუხშე შენს დიდ სიხარულს, რომელიც მხოლოდ მიწაზე სუფევს (ა. კალანდ., 84). 91. ერთხელ პატარა შინდის ხეზე გაკვედი, რომელიც ზღაპრულ ალვის ხედ წარმოვიდგინე (აკაკი, 131). 92. მაქსი მაინც იმ ბილიკით უნდა დაბრუნებულიყო, რომლითაც ამ ორწოხებში შემოვიდა (ო. იოს., 40). 93. სიბნელე ლოდივით იწვა კლდის ვიწრო ხვრელში, რომელსაც დილიდან საღამომდე ისინი დარაჯობდნენ (ო. იოს., 55). 94. და შავად ბზინავს ტრამვაის ხაზი, რომელიც უკვე

არ მიდის არსად (ო. ჭილ., I, 578). 95. გაახსენდა გორი და მასთან სამასწავლებლო სემინარიაც, სადაც ერთად სწავლობდნენ (კ. ყმა, 186). 96. რაღაც უცნაური და უმნიშვნელო წვრილმანები მაგონდებოდა, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ამ ღამესთან (ნ. ონაშ., 152). 97. მას თურმე აგონდებოდა დარეჯან ბატონიშვილი, რომელიც შვილსავით ზრდიდა და ანებივრებდა (აკაკი, 105). 98. ამ ყავახანაში ჩამოკიდებულია ჰაზირას დაირა, რომელსაც ხელს ვერავინ ახლებს (ი. გრიშ., 178). 99. საშველი არ იყო, უკან იმ ბილიკით უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომლითაც ჩამოვიდნენ (ო. იოს., 13). 100. მე კი ვერაფრით ვერ მიპოვნია სიტყვა, რომელიც ახსნის ყველაფერს (ო. ჭილ., II, 488). 101. ჩვენი წინაპრები დიდ ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ, რომლებიც დღესაც უკვდავ ძეგლებად გამოიყურებიან (კ. ყმა, 107). 102. ქალი ჩიოდა და უკვირდა უმადურობა იმ ხალხისა, ვინც ბიჭს არ უშვებდა (თ. ბიბ., 410). 103. იმ კაცის პირისპირ გავჩერდი თამამად, ვინც ამ ამბავში მთავარ მონაწილედ შემოვიდა (თ. ბიბ., 109). 104. მე მხოლოდ თვალი მოეკარი ამ კაცის სახეს, ვინც საჭეს უჯდა (გ. ფანჯ., 592). 105. სიბნელეში ისევ იმ კუთხეს გახედა, სადაც დაჰრილი იწვა (გ. ფანჯ., 553). 106. მხატვარი იური სერგეევიჩ სუდეიკინ რესტორანს ხატავდა, რომელსაც ქართველმა პოეტებმა „ქიმერიონი" დაარქვეს (გ. რობაქ., 337). 107. ისეთი შესანიშნავი საღამო იყო, როგორიც მხოლოდ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში იცის (მოგ. აკ., 470). 108. დამნაშავეა ალალი შუქი, გულს რომ ნაღველით აუვსებს მნახველს (ი. ჯოლბ., 151). 109. ის ძმურად მიუახლოვდა იმ კაცს, ვინც წუთის წინათ კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა (ა. ყაზბ., 156). 110. შენ თვალწინ გიდგას გაწურულ ოფლში ხალიბი, ვინც პირველ ქურას და სამჭედლოს აღუღუნებდა (მ. ლებ., 503). 111. ის ბიჭებიც აქ არიან, ეისაც მშობლად გაუხდა საქართველოს წალკოტი (მ. ლებ., 514). 112. იქნებ ის კოშკი, სადაც კითხული გვგონია, ცარიელია (თ. ბიბ., 8). 113. ამ ქალის შვილი, გალავანთან რომ იდგა, თავალერილი ელოდა მცველების გამოსვლას (თ. ბიბ., 113). 114. ის ყველა ღონეს იხმარდა, ოღონდ ფარნაოზსაც არ გასჩენოდა ისეთივე სურვილი, როგორიც ყველა აქ შემოსულ მამაკაცს (ო. ჭილ., I, 442). 115. მივეპარები თითის წვერებზე მასწავლებელს,

სიცისფრემდე თეთრი თმები რომ გადასდევს სათნო საფეთქლებს (ი. ჯოლბ., 33). 116. რარიგ მსურდა არ შერეოდა ჩემი ცრემლების ნიაღვარი ზღვას, ლურჯს, რომელიც ისე მჩატედ ჩემგან შორს, შორს მიგაქანებდა (ი. ჯოლბ., 72). 117. არ არის ადამიანი, რომელსაც არ უყვარდეს თავისი მამული (ილია, 567). 118. თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს (ილია, 923). 119. შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი, ფესს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს (ა. კალანდ., 55). 120. ჩემი კაბაა, რომ საუბრობს სამხრეთის ქართან (ა. კალანდ., 149). 121. იქნებ სოფლის თვალში კითხული აღარც იყო ის მრისხანე კაცი, ვინც თავზარს სცემდა გადაღმა ხეობათა სოფლებს (თ. ბიბ., 312). 122. იქნებ ხირჩლამ სწორედ ის სიტყვა დაიძახა, რასაც იმ წუთში ყველაზე უფრო ელოდა სოფელი (თ. ბიბ., 313). 123. მან ტირილით ჩაუარა ჯიღაურის სახლს და ტირილით დაადგა ბილიკს, სოფლიდან რომ ბარისკენ მიდიოდა (თ. ბიბ., 351). 124. ამასთანავე დასს ისეთი ადამიანი ჰყავს რეჟისორად, როგორიც არის ჩვენი საყვარელი და სახელგანთქმული პოეტი (მოგ. აკ., 75). 125. პარიზში აკაკის ყოფნასთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ აკაკის გამოუქვეყნებელი ლექსი, მას რომ გამოეგზავნა პარიზიდან საჩხერეში (მოგ. აკ., 399). 126. გასაგებია ვაჟას უსაზღვრო სიხარული, რაც ამ მიწვეეებმა გამოიწვია (კ. ყმა, 355). 127. მატასი გასუდრულია როგორც გარეული მიმინო, რომელსაც უცხო ფრინველმა ფრთა შეახო (გ. რობაქ., 278). 128. მას ადარებდნენ ჟოზეფინა ბეკერს, რომელმაც რამოდენიმე წლის წინად „ელისეს მინდვრების" მუსიკ-ხოლლში მთელი პარიზი ჰკუაზე შეშალა (გ. რობაქ., 371). 129. სადღაც შორიდან მოდიოდა შავი დიდი მდინარე, რომელსაც აღმა უნდა ავყოლოდით (თ. ბიბ., 26). 130. ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს (ილია, აზრ., 34). 131. გვიყვარდა ეს ორი კეთილი მგზავრი, ქუდები რომ თვალებზე ჩამოეფხატათ (თ. ბიბ., 37). 132. ისინი მოკრძალებით, სამხედრო წესით სცემდნენ პატივს თავისი თანატოლი ბიჭების ხსოვნას, რომლებმაც ტყვიას მკერდი შეაგებეს (გ. ფანჯ., 678). 133. მამის მონაყოლი სრულებითაც არ ჰგავდა იმ ზღაპრებს, სამი ქალი

მორიგეობით რომ უყვებოდა (ო. ჭილ., I, 452). 134. იწვიან ცეცხლში ლექსები, შენ რომ მოგწონდა ადრე (ო. ჭილ., I, 554). 135. რად არ იგონებ იმ წმინდა ადგილს, სადაც თორნიკე იმყოფებოდა (აკაკი, 77). 136. ამ წმინდა წუთებში მასთან შესვლას ვერავინ გაბედავდა, ის ბიჭიც კი ვერ გაბედავდა, კართან დარაჯად რომ იჯდა (თ. ბიბ., 51). 137. რა შეედრება ამ სურათს: ტიტველ ნაპრალებში გართხმული ვეფხვი, რომელსაც მზე ხატულა ფერდებს უწვავს და რომლის ტორი მზადაა თავდასაცემად, ან ორბი, რომელიც კამარას ჰკრავს უფსკრულის თავზე და კამკამა ცა მოლურჯო თაღად თავს გადმოჰფენია (გ. რობაქ., 380). 138. და ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის, ქვეყანას რომ თავზე ევლება (ა. კალანდ., 300). 139. წევხარ, ოცნებობ და გენატრება, ოდაში რომ დგას, ის ხის საწოლი (ლ. ასათ., 72). 140. ნეტავ იმ ასულს, ასულს საროტანს, ვისაც ის თაეის გულს გაუღებდა (ლ. ასათ., 88).

*§ 101. ადგილის გარემოებითი.* 1. თაეით კუთხისაკენ ანიშნა, სადაც ნაბადში გახვეული ქალები იყვნენ მიყუჟული (ო. იოს., 95). 2. წინ, საიდანაც წეღან ცეცხლის ენები გადმოეკიდა, ვილაცეები ჩამოფოფხდნენ (ო. იოს., 11). 3. სადაც ფუტკარი არის უთაფლო, ვერ ხარობს წყარო, ვერც ვარდი ვარდობს (პ. იაშვ., 195). 4. და მიჰქრის, მიჰქრის მანქანა შენი, იქით, სად ლურჯად ანთია მთები, იქით, სად ურჩად გაშლილან ფრთები, იქით, სად მხატვარს მამული გელის (მ. ლებ., 482). 5. ბევრი წყარო და ბევრი ხევია ბეთანიამდე, სადაც სანთელი მარადისობის იწვის ნიადაგ (ა. კალანდ., 263). 6. მერე ნელ-ნელა მაგიდისაკენ დაიხია, სადაც მისი წიგნებით გამოტენილი ყავისფერი პორტფელი იდო (გ. ფანჯ., 533). 7. ოთახში, სადაც დალია მგოსანმა სული, ორმოცი დღის განმაელობაში მისი შეგირდები მორიგეობაში ათევდნენ ღამეს (ი. გრიშ., 178). 8. დირექტორი ვინახულე კაბინეტში, სადაც ის სწერდა რაღაც მოხსენებას და ჩვეულებრივი თანაგრძნობით მომესალმა (კ. ყმა, 51). 9. ორი კილომეტრის გავლას რამდენიმე საათი მოვუნდით და მივაღწიეთ სადგურამდე, სადაც იდგა სპეციალური მატარებელი (მოგ. აკ., 500). 10. მივდევ კიბეს, მიეალ, სადაც ვერცხლის კო-

შკი ელავს ზღვაზე (პ. იაშვ., 213). 11. სახლის აივანზე შავი, წარწერიანი ნაჭერი გადმოუკიდიათ, მაგრამ იქიდან, სადაც ბიძა-ძმისშვილი დგას, პირველი პწკარი იკითხება მხოლოდ (ო. ჭილ., II, 408). 12. და შენი სისხლიც იქ ბრწყინავს, სად წინაპართა ნთხეულა (ვაჟა, 78). 13. ამ ლაპარაკით ისინი შედიოდნენ ტყეში, სადაც უშლიდათ ტალახი (ა. ყაზბ., 103). 14. დანიელი ხოხვით წავიდა გვირაბისპირა მოედანზე და იქ, სადაც ბილიკი იწყებოდა, ლოდის ძირში ჩასაფრდა (ო. იოს., 66). 15. მასთან ყოველთვის იმეგობრებს, მთლად იქ გადასახლდება, სადაც ის ცხოვრობს (ო. იოს., 78). 16. სავარძელი ზუსტად ოთახის წინ იდგა, სადაც მამამისი იწვა (გ. ფანჯ., 31). 17. ვაჟა წერდა ყველგან, სადაც კი პირობები ხელს უწყობდა (კ. ყმა, 249). 18. კრივი იმართებოდა ბოტანიკურ ბაღის ზემოთ, ჩანჩქერის თავზე და მამადავითის ყელთან, სადაც წინათ დაცემული ადგილი ყოფილა (ი. გრიშ., 25). 19. ამიერიდან მე შევდიოდი, თუნდაც უმნიშვნელო და უკანასკნელ წევრად, ქართული პოეზიის სამთავროში, სადაც მეფობდა და მბრძანებლობდა იმ დროს აკაკი (მოგ. აკ., 13). 20. ბულბულს არ ძალუძს ეშხით გაერთოს, სადაც ყვავილებს ციება ღუნავს (პ. იაშვ., 195). 21. მათ გასწიეს წყლისაკენ, სადაც ცურვით აყოლას აპირებდნენ (ა. ყაზბ., 173). 22. ჩემი შვილი სწორედ იქ მიდის, სადაც სოფლის ბევრ ჭაბუკს არ ღირსებია მისვლა (თ. ბიბ., 114). 23. მარცხნივ, სადაც შფოთვით, ღრიალით მიექანება ჰალის-მდინარე, სავარსამიძის დამდგარა ჯარი (აკაკი, 61). 24. იქ, სადაც გზა დამთავრდებოდა, უნდა ჩამოქვეითებულიყვნენ (ო. იოს., 13). 25. ერთიანად გაზუზული თუთარი უკვე კლდეში იჯდა, საიდანაც წინა დღით სნაიპერები უშენდნენ ტყვიას (ო. იოს., 60). 26. ეზო კარგად მოათვალიერა და მერე იქ მივიდა, სადაც ახალმიღებული ზესადგრები ელაგა (გ. ფანჯ., 305). 27. ეზოდან მიდიოდა ფურნესაკენ, სადაც პურს აცხობენ (კ. ყმა, 239). 28. თათრის მოედნის შუაგულში გამართული იყო ყაფანი, დიდი სასწორი, საიდანაც საქონელი მცხოვრებლებსა და ვაჭრებს ურიგდებოდა (ი. გრიშ., 7). 29. მე ამ დროს ვცხოვრობდი ოჯახში, სადაც თითქმის ყოველდღე შემოდიოდნენ ხოლმე სხვადასხვა ქართველი საზოგადო მოღვაწენი და მწერლები (მოგ. აკ., 49). 30. პირველი ვარდი იქ ამოვიდა, სადაც მშრომელმა დაადგა ფეხი (ლ. ასათ., 112). 31. და-

იყვირებს, ურდულს გაბრაზებული გადასწევს, გარეთ გავარდება და პირდაპირ იქით მიდის, საიდანაც ღრიანცელი შემოეფეთება (თ. ბიბ., 159). 32. იქ, სადაც სახლი ეგულებოდა, კითხულს მხოლოდ ყორე და ქვების გროვაღა დახვდა (თ. ბიბ., 132). 33. ზევით, საიდანაც პირველად ესროლეს, იყვნენ ჩასაფრებულნი და გზაზე გამოსულებს იცავდნენ (ო. იოს., 50). 34. სადაც მამაო სტეფანეა, იქ ხეჩინაც არის (თ. ბიბ., 48). 35. სამაგიეროდ ყვირილი მოდიოდა მოედნიდან, სადაც ორი ხმა ქვეყნიერებას შესთხოვდა შველას (თ. ბიბ., 130). 36. სიბნელე იყო ციხე-კოშკშიც, სადაც ბიჭი შევიდა (თ. ბიბ., 182). 37. ისინი ჩქარა მივიდნენ ბოლომდე, სადაც ისევ ტრიალი მინდორი იწყებოდა (ა. ყაზბ., 103). 38. სადაც ღლისით ცხოვრობდა მტკვარი, წყვედიადი ფეთქავს ჩემი გულივით (ო. ჭილ., II, 430). 39. მთელი ქალაქი გამოსულია ქუჩებში, სადაც თავისუფლად გავლა შეუძლებელია (შ. ძიძ., 21). 40. დიდი-დიდი ახლა ამოეღწიათ იქამდე, სადაც დაჭრილი დატოვეს (ო. იოს., 45). 41. იქ, სადაც ბილიკი უხვევდა, ის ისევ გულაღმა ესვენა, უფსკრულისაკენ თავგადაკიდებული (ო. იოს., 70). 42. როგორ უნდოდა, ახლა ისინი შორს ყოფილიყვნენ, ძალიან შორს, მარტონი, სადაც მათთან ერთად მხოლოდ ციფრები იქნებოდა (გ. ფანჯ., 457). 43. იქ, სადაც ღვარძლიანი ბალახების ამოსაგდებად ადამიანის ხელი უძლური იყო, ჰაზირა თავისი ლექსების ხანძრით სპობდა ამ დაავადებულ ადგილებს (ი. გრიშ., 173). 44. ნავსადგურში ვბრუნდები ნელა, სადაც პირველად ავსულვარ გემზე (მ. ლებ., 536). 45. დედაკაცი ისევ იჯდა სწორედ იქ, საიდანაც შვილი გაისტუმრა (თ. ბიბ., 290). 46. მომკიდა ხელი, მიმიყვანა და გამაჩერა სარკის წინ, სადაც თავიდან ფეხებამდე ნათლად გამოეჩნდი და სიცილი დავიწყე (აკაკი, 98). 47. მე შეეჩერდი დერეფანში, სადაც რბილ ხალიჩაზე საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული თანამშრომლები მიმოდიოდნენ (ნ. ონაშ., 62). 48. მალე ჰანსმა იქ, სადაც ადრე კლაუსი იჯდა, რაღაც მსუბუქად დადო (ო. იოს., 82). 49. მეორე გამოქვაბულთან აიტუზა, სადაც ორი ჯარისკაცი სპირტის ალზე კონსერვს ათბობდა (ო. იოს., 33). 50. სადაც კი გამოჩნდებოდა, ყველგან გრძნობდა ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს (გ. ფანჯ., 154). 51. იქ, სადაც ბინა უდევს მხოლოდ მამულის სანთელს, შენ მოაბიჯებ წარბშეკ-

რული წარსულზე ფიქრით (მ. ლებ., 503). 52. თვით კითხული კი კარგა ხანია იქ წავიდა, სადაც ბოლოს ყველა მოკვდავი ცოდვილი უნდა წავიდეს (თ. ბიბ., 44). 53. მე ფიქრით გადავედი იქ, სადაც ეს ლაშქარი მიდიოდა (თ. ბიბ., 133). 54. მიყვარდა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც მუშები იმღეროდნენ (აკაკი, 94). 55. იქამდე, საიდანაც ვალტერი გადავარდა, ორი ნაბიჯი კიდევ იყო (ო. იოს., 130). 56. იქ, სადაც ბილიკი ორად იყოფოდა, შეჩერდა (ო. იოს., 33). 57. ჩამოსვლითაც იქ ჩამოეიდა, სადაც უნდა ჩამოსულიყო (რ. ინან., 122). 58. ოთარმა ალიონზე გაიღვიძა და თვალი საწოლისაკენ გააპარა, სადაც თამაზ იაშვილს ეძინა (გ. ფანჯ., 666). 59. თბილისში სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლუკა გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა, სადაც შემდეგში დანარჩენი ძმები ნიკო და თედოც მიიღეს (კ. ყმა, 316). 60. იქ, სადაც ამჟამად აშენებულია „ტაძარი დიდებისა", ბაღში ფართე კიბე ჩამოდიოდა (მოგ. აკ., 297). 61. თითქოს გული მრჩებოდა იქ, სადაც მისი უკანასკნელი წუთები დაიფერფლა (მოგ. აკ., 99). 62. ერთხელ უკანაფშაეის მოსახლეობის ყრილობაზე, სადაც ვაჟაც მონაწილეობდა, იახსრის ოქროს ჯვარზე დაიფიცა ხალხმა (კ. ყმა, 98). 63. კარგად მესმოდა როგორი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა: ვინ უნდა მიმეყვანა იქ, სადაც ამდენი ხალხი ელოდა სულმნათ მგოსანს (მოგ. აკ., 415). 64. აკაკი მიაბრძანეს სავარძელთან, სადაც ის იჯდა სპექტაკლის დამთავრებამდე (მოგ. აკ., 416). 65. საღამოს გათავებისას ვაჟას ორთაჭალის ბაღში კარგი ვახშამი გაუმართეს, სადაც ეს ავადმყოფი კაცი მარტო ჩოხის ამარა წამოეყვანათ (კ. ყმა, 334). 66. ამან უფრო წააქეზა და პირდაპირ იქით წაეიდა, საითაც კლაუსი ეგულებოდა (ო. იოს., 81). 67. იქ გაიქეცი საჯარისკაცოდ, სადაც ქვეყანას უჭირდა (ო. იოს., 283). 68. იმ დღეს მეც გავყევი თან სოფელ თამარაშენისაკენ, სადაც ცხოვრობდა ვანო (მოგ. აკ., 300). 69. დედაკაცი მთაში წავა, სადაც ქმარი ელოდება (თ. ბიბ., 464). 70. დედაკაცი ისევ იჯდა სწორედ იქ, საიდანაც შვილი გაისტუმრა (თ. ბიბ., 290). 71. ჩვენ გავიქეცით იქითკენ, საიდანაც მოისმა ძახილი (კ. ყმა, 49). 72. იქვე გაითხაროს სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა (ილია, 935). 73. ვაჟა-ფშაველა ხშირად ჩადიოდა სოფელ მატანში, სადაც მისი მა-

სპინძელი იყო ამ სოფლის მღვდელი (კ. ყმა, 77). 74. ბაგრატ ზახარიჩის ცოლი, ელენე, შევიდის თითის წვერებზე ოთახში, სადაც ესვენა მისი მეუღლე (ვაჟა, 269). 75. თავის ერთადერთ ქალიშვილიანად თბილისში გადასახლდა, სადაც უკვე საკმაოდ მოეყარა თავი მასავით გუდაფშუტას, იმპერატორის სამსახურისა და იმპერატორის წყალობის მაძიებელს (ო. ჭილ., II, 144). 76. აგერ ეს გაჩერება პირდაპირ უნივერმაღთან ამოგაძვრენს, სადაც მუდამაა ყაყანი, ყიდვა-გაყიდვა, მოტყუება, თვალის ახვევა და გაუტანლობა (ო. იოს., 261). 77. ისვრიან იქიდან, საიდანაც ვერ წარმოიდგენ (ო. იოს., 80). 78. ამ მხრით ლიტერატურა ყოველის კაცის პატრონი უნდა იყოს და მფარველი, ნამეტნავად იქ, საცა ეგ პატრონობა და მფარველობა სხვა გზით არ არსებობს (ილია, აზრ., 85). 79. ამოიგმინა იასონმა და იქითკენ გაიხედა, საითაც ბიჭები ეგულებოდა (ო. ჭილ., I, 110). 80. ის მაინც მიიწევდა მოედნისაკენ, სადაც უნდა აღსრულებულიყო განაჩენი (ო. ჭილ., I, 131). 81. იქ, სადაც ვახომ მასრა იპოვა, ბილიკის პირას ქვის შეერილს მოეჭიდა და ჩაეშვა (ო. იოს., 14). 82. უკან შებრუნდი, საიდანაც მოსულხარ (ო. იოს., 288). 83. მერე იქიდანაც დაეშვა, საიდანაც ქვა დაგორდა (ო. იოს., 45). 84. გადმოასახლეს აქ, სადაც, ალბათ, ბედნიერიც იყო (ო. ჭილ., I, 253). 85. არის იქ, საცა სპარსები მზის ამოსვლას მუსიკით ხვდებიან (გ. რობაქ., 176). 86. სჯობია ასეთი ბრმა სადმე სხვაგან იყოს, საცა ცხოვრება მყუდროა და ნელი (გ. რობაქ., 348). 87. საცა ძვალს ხრავს, ძაღლი იქ ჰყეფს (ვაჟა, 75). 88. სადაც ცქიფათი ხევში საკრეფი წყალია, იქ ჩამაილის თუღუხით თინიბექაის ქალია (ვაჟა, 15). 89. საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა (ვაჟა, 26). 90. პირნათლად მივა სულეთსა, სადაც მის წინაპარნია (ვაჟა, 51). 91. მთლად მაგ კედელს ნუ მიესრისე, მჯდარიყავი იქ, სადაც იჯექი (ო. იოს., 394). 92. მიდით, იქ მიდით, სადაცა ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს (ვაჟა, 85). 93. იქ იდგეს ხმალამოწვდილი, საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს (ვაჟა, 85). 94. ისინი ისევ წყალში ეშვებოდნენ, სადაც მწვანე კაბიანი გოგო იდგა სილაზე და შიშველ ფეხებს არხევდა (ო. ჭილ., I, 138). 95. ასე გაკოჭილი გაეტაცათ ქალაქიდან, სადაც დღეის იქით ფეხი აღარ დაედგმებოდა (ო. ჭილ., I, 169). 96. გადავიკიდე ჩემი ფილთა თოფი და შევუყევი

უცხო მთის აღმართებს იქით, სადაც დათვის ბუნაგი მეგულებოდა (მოგ. აკ., 155). 97. მოხრილი იყო იქ, საცა მხრები კისერთან ერთმანეთს სცილდებიან (მოგ. აკ., 369). 98. ჩქარის ნაბიჯით გავსწიე იქით, სადაც ჩვენები ისხდნენ (მოგ. აკ., 387). 99. ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში, სადაც ჩემი ძმა მეგულებოდა (აკაკი, 151). 100. იქ წავიყვან, სადაც გინდა (რ. ინან., 15). 101. შენ მეტყვი: პოეტის ოცნება ყველგანაა, სადაც გგონია და სადაც არ გგონია (მ. ლებ., 42). 102. სვავები ზლაზვნით დგებოდნენ, ტიტველ კისრებს მისკენ აბრუნებდნენ და ისევ იქ ეშვებოდნენ, საიდანაც ეს წუთია აფრენილიყვნენ (ი. ჭილ., I, 193). 103. თინა იქ იწვა, სადაც უნდა წოლილიყო, სადაც მისი ადგილი იყო (ო. ჭილ., I, 451). 104. კუსა ზურგით აჰფარებია ხვრელს იქ, საიდანაც ისედაც ძლივძლივობით აღწევდა მკრთალი სინათლის ნაკამალი (ო. ჭილ., I, 521). 105. აკაკი ჩამოსული იყო პარიზში, სადაც მე ვსწავლობდი და დამიბარა (მოგ. აკ., 491). 106. გულდაწყვეტილი გვიან დაბრუნდა ბურსაში, სადაც სემინარიელები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს (მოგ. აკ., 400). 107. ჩემი შვილი სწორედ იქ მიდის, სადაც სოფლის ბევრ ჭაბუკს არ ღირსებია მისვლა (თ. ბიბ., 114). 108. მთელი ჩემი ცხოვრება იქ დავდიოდი, სადაც მინდოდა (გ. ფანჯ., 628). 109. ალბათ, წერილს იქ გამოგზავნიდი, სადაც ვიყავი (ლ. ასათ., 153). 110. ამ დროს მასწავლებლად ვიყავი ლეჩხუმის მაზრაში, საიდანაც დელეგატად გამომგზავნეს აკაკის დასაფლავებაზე დასასწრებად (მოგ. აკ., 482). 111. იქამდე, საიდანაც ვალტერი გადავარდა, ორი ნაბიჯი კიდევ იყო (ო. იოს., 130). 112. ღამის გასათევად თამარში („ღელეში") გამოვედი, სადაც ბიძაშვილი დამხვდა (კ. ყმა, 375). 113. ბიჭია იყო ხევსური და მოდიოდა ხევს, სადაც უნდოდა ცხლები გაეყიდა (ა. ყაზბ., 161). 114. სოფელ ნატანების მახლობლად, გურიაში, სადაც ტყე ჯერ კიდევ თითქმის უდაბურად ჩაითვლება, მზე ჩადიოდა და უკანასკნელის სხივებით ამწვანებულს მიდამოს ესალმებოდა (ა. ყაზბ., 186). 115. საცა ორბი და არწივი ვერ მისწვდება, იქ მონასტერი ვერ გამოიქვაბებაო (მოგ. აკ., 168). 116. იქ, სადაც შობილან და სადაც გაზრდილან, ადვილია ენის შესწავლა (მოგ. აკ., 331). 117. მამამისი ვილნოდან გადმოსახლდა, საცა ლეიკის პაპა დიდი ბაალშემის სახ-

ელს ადიდებდა (გ. რობაქ., 315). 118. საცა სიმართლე ჰლადადებს, იქვეა აზრთა ცდომაცა (ვაჟა, 44). 119. ეს არც იქიდან ხერხდება, საიდანაც მაქსი დაჭრეს და არც ზევიდან (ო. იოს., 148). 120. ის რამდენჯერმე დიპლომატიური მისიით წარგზავნილ იქნა სპარსეთში, საიდანაც ჩამოიტანა ეს ხელნაწერი (ი. გრიშ., 80). 121. ორივენი ქართლელი მღვდლის შვილები იყვნენ, სწავლობდნენ სემინარიაში, საიდანაც გამოიყოლეს სემინარიელის დაღი (კ. ყმა, 147). 122. და სითაც ვლიდი, იქითვე წარბშეუხრელად გასწი (მ. ლებ., 210). 123. სადაც ჩაღრმავდები, ყველგან ზოდებია (მ. ლებ., 232). 124. იქ, სადაც ილიას მიერ ვაჟას პოემის ქება-მოწონებაზე იყო ლაპარაკი, დაგვავიწყდა აღგვენიშნა ერთი გარემოება (კ. ყმა, 180). 125. სადაც სილურჯე თვალს უსწორდება, თან ბურუსია ბაეშვივით წრფელი, იქ თავდებოდა უსაზღვროება, იქ კლდეს ეფარა წუთისოფელი (ნ. სამად., 27).

*§ 102. დროის გარემოებითი.* 1. როცა ფიქრით და ოცნებით დავიღლები, სწორედ მაშინ მღერით, ტაშით სარდაფიდან ამოდიან დაირები (ა. კალანდ., 59). 2. როცა სხივი განსასვენად ყვავილების თეთრ გვირგვინებს ეახლება და ყვავილი საალერსოდ რტოებს გაშლის, ყრმაი ერთი მიადგება უცხო სენაკს (ა. კალანდ., 267). 3. ის დამშვიდდა, როდესაც მათ შორის მანძილი ისევ ერთი მეტრით გაიზარდა (გ. ფანჯ., 97). 4. გთხოვთ, ყველამ შემოირტყათ სავარძლის ქამარი და არ შეიხსნათ, სანამ თვითმფრინავი არ აფრინდება (გ. ფანჯ., 167). 5. ბიძაშვილები რომ გაიქცნენ, ქალიშვილიც ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან (ო. იოს., 10). 6. ადამიანი, სანამ უბედურებას თავისი თვალით არ ნახავს, იმედს არ კარგავს (ო. იოს., 72). 7. როდესაც მთელ სახლში სიჩუმე მყარდება, ერთი ჩვენგანი იგონებს აკაკის სხვადასხვა ნაკვესებს (პ. იაშვ., 380). 8. და როცა ბაღში შენ გაივლი დარხეულ ტანით, გაშლილ ვარდებში ჩემი ტრფობა გამოიცანი (პ. იაშვ., 89). 9. დედოფალსაც როგორ გაეცინა, როს პეპელა აუფრინდა წინა ჭრელი, პაწაწინა (ა. კალანდ., 261). 10. და როცა მთვარის ჩუმი სხივები მანგოთა ფოთლებს ნათლით შემოსვენ, შენს წინ თავდახრილ გრძნეულ

ინდოელს ბევრს, ბევრს უამბობ საქართველოზე (ა. კალანდ., 248). 11. როგორც კი შინიდან გამიგულებდნენ, მაშინვე მოგროვდებოდნენ ხოლმე (ნ. ონაშ., 27). 12. დროდადრო, ფარდა რომ აფრიალდებოდა, მემუსიკეთა უტყვი, გახევებული სახეები თვალში მკვეთრად მხვდებოდა (ნ. ონაშ., 104). 13. და ვიდრე პეშვით მოვიკლავ წყურვილს, ამატივტივებს და გამიტაცებს (ო. ჭილ., I, 547). 14. როდესაც ზღვა ხალხით აესილ ქუჩებში და დიდუბის მინდორში დიადი კუბოს გვერდით აკაკის ლომისებური თავი და მხარბეჭი დავინახე ქარით ანიავებული თმით, იგი კუბოდან ამდგარ ბარათაშვილად მომეჩვენა მისი მერანის შავ ფრთებზე შემდგარი და თაყისი განთიადის სხივებით კაშკაშად აბრწყინებული (მოგ. აკ., 342). 15. მე ეხარხარებდი, როდესაც უღრან ტყეში მხეცები ჩემს ხმაზე ძრწოდნენ (ო. ჭილ., I, 561). 16. როცა სტუმარი გამოგვეთხოვა, ვაჟამ დაუფარავი აღტაცებით მითხრა (კ. ყმა, 357). 17. მამა უმეტესად ღამე წერდა, როცა ჩვენ გვეძინა (კ. ყმა, 301). 18. შენ დაიბადე საოცარ დროში, როცა, როგორც თქვა დიდმა პაპამ, გალაკტიონმა, „ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს“ (მ. ლებ., 367). 19. სანამ ნატაშა ამ აზრების გამოკვლევაში იყო, ვაჟმა ისევ გააგრძელა ლაპარაკი (ა. ყაზბ., 104). 20. ჭამას რომ მორჩა, ჯილაური ისევ ბალახზე გადაწვა და თვალი მილულა (თ. ბიბ., 364). 21. როცა აფრები ყოველ დილითა შორს მიდიოდნენ ნორმანდიიდან, სალამს ვუთვლიდი ძველ ვენეციას (ა. კალანდ., 247). 22. როცა გადივლის ქარი, ტყეშიც ამგვარად დგება ზამთარი (ო. ჭილ., I, 557). 23. შუაღამე გადასული იყო, როცა კესარია საქმეს მორჩა (გ. ფანჯ., 141). 24. ჩემი დეკანი და კათედრის გამგე გაოცდნენ, როცა ლევანმა მაგნიტოგორსკში მუშაობის სურვილი გამოთქვა (გ. ფანჯ., 227). 25. ხევში გადამალულ ცხენებთან რომ ჩავიდნენ, მერე გზას ამხედრებულნი გაჰყვნენ (ო. იოს., 72). 26. და როცა დარჩა უნუგეშო, ცოდვილი, კენტი, ხარობდა მხოლოდ ცაზე ობლად დარჩენილ ღრუბლით (პ. იაშვ., 102). 27. ვიდრე საღებავებსა და მოლბერტს წამოვკრეფდით, თემოს ეხვეწებოდა, ნახატი მაჩვენეო (ნ. ონაშ., 102). 28. მხოლოდ მაშინ გამიშვა ხელი, ხეივანში რომ მოვხვდით (ნ. ონაშ., 150). 29. და როცა მთვარე გადმოვა მთებზე, ყველაზე სწორე გზებს დამანახვებს (ო. ჭილ., I, 582). 30. რო-

ცა რაიმე აზრი დაებადებოდა თავში, აკაკის ისედაც ბადრი, ბრწყინვალე სახე მზეებრ გაუბრწყინდებოდა, თვალები დაურბოდა და ხელს მალ-მალ ისვამდა ულვაშებზე, ისწორებდა (მოგ. აკ., 299). 31. მამაჩემი კი ჯერჯერობით იქვე უნდა დარჩენილიყო, სანამ ამბავს არ შევატყობინებდით (კ. ყმა, 244). 32. სულს უკმარობა ზარავს, გული სინანულს აჩლენს, როცა ცხოვრების შარას გააცქერდები ჩავლილს (მ. ლებ., 147). 33. როდესაც თეიმურაზ წავიდა, მირონმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა და წარმოთქვა (ა. ყაზბ., 59). 34. ვიდრე ჩვენი ოთახის კარს მივუახლოვდებოდი, ფანჯარასთან ატუზული შუახნის მამაკაცი შევნიშნე (ნ. ონაშ., 175). 35. თამარი იქამდე იდგა ფეხზე, ვიდრე იონას ნაბიჯების ხმა მთლიანად არ მიწყდებოდა (ნ. ონაშ., 77). 36. როცა ნამიან ველზე გაივლი, ნამი ბალღივით მართობს, მახარებს (ა. კალანდ., 282). 37. ვარდთ რომ დათოვეს მიწა ყამირი, ბალღებრ ტიროდა თურმე ნიზამი (ა. კალანდ., 56). 38. კისრის ძარღვები განსაკუთრებით მაშინ ებერებოდა, როცა მაღალ ნოტას აიღებდა ხოლმე (გ. ფანჯ., 216). 39. პირველი საათი იქნებოდა, როცა ავტობუსმა რიონის ხიდი უკან მოიტოვა (გ. ფანჯ., 10). 40. თვალი მოხუჭა თუ არა, მაშინვე ენგურის გაღმა შეეულ ტინზე დაკიდებული პარაშუტისტი მოაგონდა (ო. იოს., 73). 41. და როცა მოვა სურნელება მზით მოტანილი, ემჩნევა სახეს საკვირველი გაზურმუხტება (პ. იაშვ., 83). 42. და როცა მთებზე ამოდის მთვარე, ყველა კუნჭული ივსება მთვარით (ო. ჭილ., II, 428). 43. მზის სხივები რომ წვიმას ჩაექსოვება, ცისარტყელა იბადება (მოგ. აკ., 18). 44. როდესაც კაცი დერეფანში გამოვიდა და მიიხედ-მოიხედა, ქალი აღარსად იყო (თ. ბიბ., 253). 45. როცა ნამძინარევმა მდივანმა დაბნეული სახით შემოიხედა, რექტორმა ცივად მიუგო (ნ. ონაშ., 133). 46. ჩემი აზრი ამხანაგებს ჯერ კიდევ მაშინ ვუთხარი, როცა ხიდაშელის მოულოდნელ გადაწყვეტილებაზე კამათობდნენ (გ. ფანჯ., 217). 47. მალე პატარა ჩიხში შეუხვია და მაშინ გამოერკვა, როცა უზარმაზარმა შავმა ძაღლმა შეუღრინა (გ. ფანჯ., 97). 48. ეს პათეტიკური ღაღადისი რომ დაამთავრა, ხელები ნერვიულად მოიფშვნიტა (ნ. ონაშ., 59). 49. როდესაც მთვარე ორბელიანთ ციხის გალავანს გადმოსცილდება, დუდუკივით თან გდევ, თანა ვარ (ა. კალანდ., 291). 50. დაჭრილი ჯიხვი მაღლა მწვერვალზე

რომ აეყვანათ, მაშინ დამშვიდებული მოკვდებოდა (ო. იოს., 61). 51. როდესაც კვირტი გავაშლდა, ყვითლად წამოდგა იელი (პ. იაშვ., 230). 52. მას ყველაფერი შეეძლო მაშინ, აღგზნებულს კიდევ ერთი იარით, ვიდრე ისმოდა შენს შეცვლილ ხმაში ცეცხლწაკიდებულ ზვინის ბრიალი (ო. ჭილ., I, 577). 53. ცხრა წლის ვიყავი, როდესაც მარიამ დემურიას სახლში პირველად ვნახე აკაკი (მოგ. აკ., 56). 54. უთანხმოებამ და კამათმა როცა იფეთქა, გალაკტიონმა შემოაღო ანაზდად კარი (მ. ლებ., 350). 55. საცავში მხოლოდ მაშინ შედიოდა, როცა რისიმე განმარტებისათვის დაუძახებდნენ (ნ. ონაშ., 79). 56. გონების რომელიმე საიდუმლო კუნჭული უეცარი შუქით რომ განათდება, ბედნიერებისაგან ადგილს ველარ ვპოულობ (ნ. ონაშ., 58). 57. როდესაც მის აფორიაქებულ თვალებს და აკანკალებულ ყბას შეხედა, თვალები ისევ აევსო მუდარით (გ. ფანჯ., 56). 58. როცა საკეტის ჩხაკუნი გაისმა, რეზო ისევ ნახევრად ჩაბნელებულ ტალანში დარჩა (გ. ფანჯ., 42). 59. მზე ცხელ ბომბეის დატოვებს ოდეს, არაბთა ზღვაზე მზე როცა ჩადის (ა. კალანდ., 248). 60. ხეუში მუქი ფერი გახშირდა, როცა მყინვარს ოქრო მოაკლდა (ო. იოს., 50). 61. როცა შეხვდება საწადელს, მაშინ გრძნობებიც სწრაფია (პ. იაშვ., 236). 62. დამსწრე საზოგადოების სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩვენი ლიტერატურის სამი დიდი წარმომადგენელი ერთად წარდგა საქართველოს ყოველი კუთხიდან წარმოგზავნილთა წინაშე (მოგ. აკ., 466). 63. ვიდრე სვიმონი მოსკოვს მივიდოდა, მისი მეგობარი მკვიდრ და სასარგებლო ნიადაგს მოუმზადებდა (ა. ყაზბ., 79). 64. რად მოდის ის ჩემთან თოვლიან ღამეში, როცა სევდა ამ ღამესავით გრძელი და დაუსაბამი ხდება, ამ ფანტელების ენასავით გაურკვეველი და გაუგებარი? (თ. ბიბ., 205). 65. როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო, კაცთან არ ვილტვი მის განქარვებად (ილია, 70). 66. ვინ მოგიჭიროს ლეკვი, როცა ქვეყანას არყევ (ა. კალანდ., 402). 67. შენ მიხმობ მაშინ, როცა უკვე ზღვად მივიქცევი (ა. კალანდ., 142). 68. როცა ზარი დარეკავდა და ამოდენა ფაბრიკაში გუგუნი ერთბაშად მიწყდებოდა, საუზმეს ფანჯრის რაფაზე გაშლიდა (გ. ფანჯ., 70). 69. როცა კრეისერმა ჩაიარა, „იანტარს“ მის ნაკვალევზე აგორებული ირიბი ტალღა დაეჯახა (გ. ფანჯ., 128). 70. თქვა ვახომ, როცა გუამ ჯა-

რისკაცს გახუნებული მოსაცვამი გადააძრო (ო. იოს., 39). 71. როცა ვერ მომწვდა, ის სიყვარულით მაცილებდა შემოქმედების დიდ გზაზე (ნ. ონაშ., 30). 72. და კიდევ ერთი ვარსკვლავი ჩნდება, როცა ცახცახით გეხვევა მთვარე (ო. ჭილ., II, 456). 73. მას ცრემლები უბრწყინავდა თვალებში, როცა ჩვენს ალტაცებას ხედავდა (კ. ყმა, 241). 74. როდესაც ჩანგით ულვიძებდა თავის ხალხს იმედს, თავჩაქინდრული ეხებოდა მთრთოლვარე სიმებს (მ. ლებ., 257). 75. იმან ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც ნიავსავით ჩუმი, მთრთოლვარე ხმა გაიგონა (ა. ყაზბ., 153). 76. მაინც რა იგრძნო ჩემმა მეგობარმა იმავ წუთიდან, როცა სოფლის კითხული გახდა, ცარიელი სიხარული თუ მძიმე ტვირთი (თ. ბიბ., 100). 77. მე რომ დამინახა, ხმელი, ყბებჩაცვენილი სახე უცებ გაუნათდა (ნ. ონაშ., 88). 78. ასეთი დარი თუ იყო მაშინ, ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა? (ა. კალანდ., 269). 79. სასაფლაოს გაზაფხულიც წარმტაცია, როს ყაყაჩო ძველ ლოდებთან ტანს აიყრის (ა. კალანდ., 350). 80. როცა კაპიტანი შტურმანთან შეეიდა, ზეიგენმა შეათვალიერა მისი სისხლიანი შუბლი (გ. ფანჯ., 127). 81. როცა ხიდაშელი და ოსტატი ღუმელს მოსცილდნენ, ნოდარი ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა (გ. ფანჯ., 245). 82. გამოჩნდი იმ დროს, იჭვები რომ მებადებიან (პ. იაშე., 165). 83. ამ მთების ჩრდილი ჩემს გულზე წვება ყოველთვის, როცა ამოდის მთვარე (ო. ჭილ., II, 450). 84. ხანჯალი რომ დამცენ, წვეთი სისხლი არ გამვარდება (თ. სახ., 902). 85. მამაჩემს ქარაფზე დაუცდა ფეხი, მაღალმთიან სოფელში სინათლე რომ გაჰყავდა (ნ. ონაშ., 116). 86. ინსტიტუტს რომ ჩავუარეთ, მარმარილოს მაღალ სვეტთან განმარტოებით მდგარი წერწეტა, გამხდარი და ფერმკრთალი გოგონა დავინახე (ნ. ონაშ., 144). 87. როცა გიორგიმ ოთარი დილმის სპორტულ ბაზაში მიიყვანა, ვარჯიში ახალი დაწყებული იყო (გ. ფანჯ., 143). 88. როცა მეველემ პლანტაციებში შესული ძროხები დაინახა, პატარა ფეხბურთელებს ჩუმად წამოეპარა (გ. ფანჯ., 138). 89. ეს ერთხელ კიდევ გაიფიქრა ოთარმა, როცა ყანწი გადმოაწოდეს (გ. ფანჯ., 24). 90. ის კი სხვა სკამზე გადაჯდა მაშინ, როცა გასროლილ ქვასავით სწრაფად მიექროდი მისკენ და ხალხიც ტაშით მაჯილდოვებდა (ო. ჭილ., II, 503). 91. პირველად ბიძაჩემი ვაჟა ფშაველა ჩემს ხსოვნაშია აღბეჭდილი

მაშინ, როდესაც გველირსა სახლის დამთავრება (კ. ყმა, 236). 92. როს უსიამო ქღარუნით აკვნესდა ომის ჩანგი, შენ სარეცელზე დაგტოვე სევდით და გულის მანკით (მ. ლებ., 559). 93. რომ მოვმკვდარიყავ თბილისში ადრე, მე დამმარხავდნენ, ალბათ, ჩანგებით (მ. ლებ., 199). 94. გზის არეეა მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როდესაც ლიდიას ხელმა ყმაწვილი კაცის მკლავზე მეტად დაიწყო თრთოლა (ა. ყაზბ., 49). 95. ზამთარი იყო და მოუთმენლად ველოდი გაზაფხულს, როცა ქედიდან ზათქით წამოვიდოდნენ ზვავები (თ. ბიბ., 22). 96. ჩუმი ვარ, როცა ჩემს ლურჯ წყალზე თვლემს მთვარის სხივი (ა. კალანდ., 90). 97. ყველაფერს ადვილად ვიტანთ, როცა სხეული მზითაა სავსე (ო. ჭილ., II, 473). 98. შენთან ყოველთვის იმ დროს მოედივარ, როცა ბინდებში ხალხი ირევა (ნ. სამად., 38). 99. ზურაბის სარჩოს რომ მორჩნენ, ახლა იკითხეს საყდარი (ვაჟა, 62). 100. როცა მან თეთრი, წვრილად დახვეული ქაღალდის ნაგლეჯი დაიჭირა, დანარჩენებს კინაღამ თვალები გადმოუცვივდათ (ო. იოს., 115). 101. მხოლოდ მაშინ იყო ბედნიერი ფლიქსე, როცა მარტო რჩებოდა, როცა სასახლე ჩაწყნარდებოდა (ო. ჭილ., I, 148). 102. სანამ იასონი და ფრიქსეს ვაჟები სასტუმრო აბანოში სიამოვნებისაგან ხვნეშოდნენ და დგაფუნობდნენ, აიეტი ეზოში დადიოდა (ო. ჭილ., I, 103). 103. როცა ლანძღვა-გინებით მიმავალი მეველე თვალს მიეფარა, ყველანი მოედნისაკენ დაიძრნენ (გ. ფანჯ., 138). 104. როცა ომიდან დაბრუნდა, ტაბლას შემოუჯდა ჯიღაური და მოხუცი თოთიას მოწვდილი პირველი ჭიქა ასწია (თ. ბიბ., 354). 105. ჩუმად იტირებს ბეჩაეი, როცა არავინ ჰხედავსა (ვაჟა, 51). 106. გვიან, როცა წამოვიზარდეთ და შევისწავლეთ დიდი პოეტის შემოქმედება, მივხვდი აკაკის სიტყვების აზრს (მოგ. აკ., 471). 107. როგორც კი ქუჩაში თამაზი გამოჩნდებოდა, იმავე წუთში ყველანი გაჩერდებოდნენ (გ. ფანჯ., 412). 108. იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ, ამ სიყვარულზე ვესაუბრები (ლ. ასათ., 30). 109. როცა აიმღვრა, ადიდდა, გავხადე ნამათრახევი ჩემი სასროლი ბადითა (ჰ. იაშვ., 236). 110. ალექსანდრემ ძმას ასანთი გამოსტაცა, ბოთლში ჩარჩენილი ნავთი დენთის კოლოფს მოასხა და, სანამ ნიკო დაყვირებას მოასწრებდა, ანთებული ასანთი ზედ მიაგდო (ო. ჭილ., II, 168). 111. ეს იყო ბავშობის წლებში, როცა მიხდ-

ვრად ვიზრდებოდი და მენახირე-მწყემსებში მიხდებოდა ტრიალი (კ. ყმა, 342). 112. ამას რომ წერდა, ზამთარი იყო, ავდარი იყო სითბორეული (მ. ლებ., 94). 113. გაგახსენდა როგორღაც გუშინ, მატარებლები გააჩერა როდესაც თოვლმა (მ. ლებ., 339). 114. ეს ამბავი რომ შეიტყვეს მტრებმა, დააგდეს მყისვე მათი სიმაგრე (აკაკი, 56). 115. როცა ცხენები, ყინვის მკვესავი, მიჰქროდნენ თოვლზე მკერდებმიშლილი, უეცრად შემხვდა ღამის მზესავით ნამდვილი კოტე მარჯანიშვილი (პ. იაშვ., 178). 116. თუნდ გულსა ჩემსა დაიდოს ბინა, ვიდრე არ მპოვებს კვლავ სიხარული (ა. კალანდ., 108). 117. ეს რომ სთქვა, მლოცავს თვალები აევსო ცხელის ცრემლითა (ვაჟა, 192). 118. შენ ცის სიმძიმე გულზე გეყრდნობა, როცა ღრუბელი ტვირთავს კაბადონს (ი. ჯოლბ., 121). 119. როცა მოსკოვსა და კავკასის შუა გზა გაიხსნა, ლეიკ ამ მესპირტეთა ერთ-ერთ ხელმძღვანელად იქცა (გ. რობაქ., 316). 120. მხოლოდ, როდესაც უკუქცეული ისევ მოსძებნის საფარს მტრის ჯარი, მოულოდნელად მაშინ იქ დახვდით (აკაკი, 58). 121. როცა გრიგოლი უმცროს შვილს ჩვეულებრივ აღმზრდელობით საუბარს უტარებდა, უფროსი კმაყოფილი დააბიჯებდა (გ. ფანჯ., 455). 122. ავიდა თუ არა ფარნაოზი ხომალდზე, პირველ რიგში მისი თავისუფლების დამადასტურებელი თიხის ფირფიტა ჩამოიწყვიტა და ზღვაში გადააგდო (ო. ჭილ., I, 352). 123. ახ! მე ვით ძალმიძს ჩემი სუნთქვა შევურიო ცას მაშინ, როდესაც ჩემი ბავშვის ჩუმი ტირილი შემიძრავს სულსა (ი. ჯოლბ., 164). 124. ამბავს მოიტანთ, როს დაბრუნდებით ცით (ი. ჯოლბ., 99). 125. დილით კი, როცა გადაგვეფინა დიდი ნათელი მაღლის, მივეგდე ტახტზე და ჩამეძინა ესპანეთივით დაღლილს (მ. ლებ., 518). 126. ქვიშით შეღებე ცის მინდვრები და დამიძახე, როცა გარიყო ზღვის სინათლე და სივრცეები (ნ. სამად., 30). 127. მე, როცა კვირტი გამოუვა აპრილში ხეებს, მათთან ვარ ერთობ, მათ ჭერეტაში ვათენ-ვაღამებ (ი. ჯოლბ., 31). 128. რძისა და ვარდის მათრობს სურნელი, როცა შენ გიკრავ გულში „დათუჩა" (ი. ჯოლბ., 162). 129. მაყვლისოდენა ცრემლთა ბნევით ავტირდებოდი, როცა დაგთმობდნენ თბილ ქვეყნებისკენ მიმავალი ჩემი ტოლები (ი. ჯოლბ., 42). 130. როცა გულს ცეცხლი მედება, გონება მსჯელობს საღადა (ვაჟა, 34).

*§ 103. ვითარების გარემოებითი.* 1. ის დალოცვილი მიწა თავის დღეში ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთიორად მაინც არ დაგვიბრუნოს (ილია, 379). 2. მერე იმანაც სიტყვა თითონვე ისე გამიგრძელა, რომ იმედი მომეცა გამომეთქმევინებინა რამე (ილია, 368). 3. ჩვენ ვთხრით და ვცხრილავთ და ისე ფრთხილად, რომ მიწამ შრომა არ გაგვიოხროს (ლ. ასათ., 85). 4. შენი ხასიათის სალი კლდე ისე ისხლეტდა ხოტბის მაცდურ ისრებს, როგორც ფოლადის ზედაპირი წვრილ საფანტს ფანტავს (ნ. ონაშ., 158). 5. ნიკომ ისე წამოსწია ტუჩები, თვალწინ აფარფატებულ ბულბულს რომ შეუბერავენ (ნ. ონაშ., 105). 6. გარეთ კი ქარი ისე მღეროდა, რომ ზრიალებდნენ სარკმლის მინები (ო. ჭილ., II, 497). 7. ბოლოს საქმე ისე გამწვავდა, რომ მეფოლადეები ერთმანეთს ხმას აღარ სცემდნენ (გ. ფანჯ., 313). 8. ის ერთბაშად ისე განიმუხტა, როგორც დამუხტული ბურთულა განიმუხტება ხოლმე მიწასთან შეხებისას (გ. ფანჯ., 563). 9. შემოვა პატარა ტოტით, ისე ხალისით და ისე ტკბილად, როგორც კოლხიდის ბაღებში მოდის მტრედის გუნდივით ცინცხალი დილა (პ. იაშვ., 210). 10. ვალდებული ვარ ისე მოვიქცე, როგორც მათ სურთ (ნ. ონაშ., 46). 11. ამან მეფე ისე შეაშინა, რომ ხელი აიღო თავის განზრახვაზე და უკან გამობრუნდა (კ. ყმა, 390). 12. დილით კლდეები მზეზე ისე ბრჭყვიალებდა, რომ გეგონებოდათ ზედ შუშის ნამსხვრევები დაბნევიათო (ო. იოს., 96). 13. მაშო ისე გაიტაცა ლაკვრამ, რომ თითქმის დაავიწყდა იქ სხვა პირის ყოფნა (ა. ყაზბ., 132). 14. ოთხი თვის შემდეგ გიმნაზიის დამთავრების სიმწიფის მოწმობა მივიღე და მგონია ისე არ გამხარებია, როგორც ყვითელი და წითელი ფერის ქანდარის ორმა ბილეთმა გაახარა ჩემი გული (მოკ. აკ., 60). 15. რამდენჯერმე ისე ამოისუნთქა, ყინვაში თავის ორთქლს რომ დააკვირდება კაცი (ნ. ონაშ., 113). 16. მის ზურგს უკან ისე მოჩანდა მტკვარი, როგორც ჯოკონდას ფონზე მშვიდი, ლურჯად მოლივლივე მდინარე (ნ. ონაშ., 96). 17. იგი ღუმელს ისე უყურებდა, როგორც გარეშე კაცი მისჩერებია დაფასთან მიმსხდარ მოჭადრაკეებს (გ. ფანჯ., 250). 18. ყველაფერს გაიგებ და ისე გადაიტან, როგორც კაცს ეკადრება (გ. ფანჯ., 32). 19. და მწერლის შრომას მოეეკიდები, როგორც ჰკიდია გუთანს გლეხები (პ. იაშვ., 156).

20. ისე მიაბიჯებდა, თითქოს მუხლები ეკეცება და თავს ძლივს იმაგრებს (ნ. ლნაშ., 35). 21. მე ისე შემაშინა იმის დანახვამ, რომ წყალში აღარც ჩავსულვარ (კ. ყმა, 269). 22. პანსმა წამოიჩოქა ისე, რომ დაჭრილი ძირს არ დაუშვია (ო. იოს., 82). 23. ამ სიტყვებმა ისე დააფიქრეს მამაჩემი, რომ ხელახალი განკარგულება მოახდინა (აკაკი, 114). 24. და ისე დაჰკრა კეფაზე ხანჯალი გაუღუნველი, რომ ტვინი მისი ჰაერში ავარდა, როგორც ღრუბელი (ლ. ასათ., 96). 25. ონკანიდან ისე ჩუმად წვეთავდა წყალი, თითქოს ჩაძინებული ეზო ფშვინავსო მშვიდად და თანაბრად (ნ. ლნაშ., 117). 26. ისე იდუმალად, ისე თბილად და გამაბრუებლად ამბობდა ამ სახელს, რომ სული უსაზღვრო ბედნიერებით მევსებოდა (ნ. ლნაშ., 55). 27. იმნაირმა სიხარულმა ისე დამიჭირა გული და გონება, რომ გაშტერებით ყურება დავუწყე (ილია, 420). 28. ეს თეითონვე იგრძნო და ისე სწრაფად წამოდგა, რომ გიორგიმ ხელის შეშველებაც ვერ მოასწრო (ო. ჭილ., II, 133). 29. შაშვი ისე გაგიტყუებს სხვაგან, რომ სულ აგიბნევს გზა-კვალს (გ. ფანჯ., 87). 30. ისე უნდა მიმიხედოთ, როგორც თქვენს საკუთარ შვილს მოუვლით (გ. ფანჯ., 141). 31. ბექა ისე ჩაებლაუჭა საჭეს, რომ თითების სახსრები გასთეთრებოდა (ნ. ლნაშ., 129). 32. და ღიღინებს ისე ტკბილად, თითქოს ნატვრა გაინაღდა (პ. იაშვ., 191). 33. ავდრის დროს კი ჭიჭახევასავით ისე ბობოქრობდა, თითქოს ვიღაცას ემუქრებაო (კ. ყმა, 242). 34. ბარემ ისე მაინც მოხვედროდა ტყვია, რომ მაშინვე ყველაფერი გათავებულიყო (ო. იოს., 64). 35. ისე შესცივნოდა და აკანკალებდა ნატაშას, რომ კბილზე კბილს ვეღარ ახვედრებდა (ა. ყაზბ., 106). 36. ტუჩზე ისე ძლიერად ვიკბინე, რომ სისხლის მოტკბო გემო ვიგრძენი (ნ. ლნაშ., 58). 37. საჭესთან ისე თავისუფლად იჯდა, თითქოს მთელი სიცოცხლე ამის მეტი არაფერი ეკეთებინოს (ნ. ლნაშ., 94). 38. სწორედ კაცს რომ წყალი მოსწყურდება, ისე მომწყურდა იმის სიტყვების გაგება (ილია, 378). 39. როგორც მოვიდა, ისევე წავა (ო. ჭილ., I, 550). 40. ოთხმა წელმა ისე გაიარა, ფეხბურთი აღარავის გახსენებია (გ. ფანჯ., 142). 41. დედა ისე წაიქცა, რომ არც ერთ შვილს არ ატკინა (პ. იაშვ., 263). 42. მხატვარმაც ისე უნდა იცხოვროს, როგორც სხვა ცხოვრობს (ნ. ლნაშ., 40). 43. მთაში ზოგან ისე ვიწროდ მიდის ალაზანი,

რომ კაცს ადვილად შეუძლია ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადახტომა (კ. ყმა, 190). 44. მერე კი ამ მთებში ისე გადმოისროლეს, როგორც არასოდეს დამპალი ვაშლი არ გადაუგდია დანიელს (ო. იოს., 67). 45. კაბა თავზე ისე გადამაძრო, როგორც ბავშვებს გახდიან ხოლმე (ნ. ონაშ., 119). 46. წამით თვალები ისე დახუჭა, თითქოს რაღაც ეტკინაო (ნ. ონაშ., 121). 47. ჭინჭის ბურთს მთელი დღე ისე თავდავიწყებით დასდევდნენ, რომ საქონელი აღარავის ახსენდებოდა (გ. ფანჯ., 130). 48. ისე მოვედი, რომ არავინ არ მომელოდა (პ. იაშვ., 124). 49. ამ სქელ მატყლში ისევე თბილად შეიძლება გამოიძინო, როგორც დედაშენის ლოგინში გამოიძინებ (ო. იოს., 54). 50. ისე დაძაბულად ფიქრობდა, რომ შუბლზე და საფეთქლებთან მსხვილი ძარღვები დააჩნდა (ნ. ონაშ., 52). 51. ბოლოს ისე გავუთამამდი, რომ ჩემი მიმართეა კლანჭებში ჩავუდე (ნ. ონაშ., 7). 52. ლევანმა ღვინო ისე დალია, რომ სადღეგრძელო არ უთქვამს (გ. ფანჯ., 215). 53. წავიდა ისე, რომ მაისი არ გაუთენდა (პ. იაშვ., 81). 54. მაშინდელი ცხოვრების პირობები ისეთნაირად იყო მოწყობილი, რომ ლიტერატურული შრომის გასამრჯელოზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა (კ. ყმა, 164). 55. მაქსის დაცვის ზოლში ისე შემოიპარნენ აქაური ჯარისკაცები, რომ ტყვია არ გაუსვრიათ (ო. იოს., 23). 56. თემოს კი ისე მოექცა სახე, თითქოს მწვავე ტკივილმა მოუარაო (ნ. ონაშ., 104). 57. როგორც განიზრახეს, სწორედ ასეც მოიქცნენ (ა. ყაზბ., 79). 58. ამ სიტყვებმა ისე შემარცხვინეს, რომ მჭადიც დამავიწყდა და ტირილიც (აკაკი, 130). 59. სივრცეს ისე გახედა, თითქოს იქ ხედავდა იმ გარდასულ სურათს (ნ. ონაშ., 16). 60. ისე ხმამაღლა გაიცინა, რომ სალომემ მაშინვე ჩვენკენ მოიხედა (ნ. ონაშ., 11). 61. აუდიტორიას ისე ელაპარაკებოდა, თითქოს რეფერატს მხოლოდ ერთ კაცს უკითხავსო (გ. ფანჯ., 224). 62. თუთარმა ფილთა თოფი ისე ჩაბღუჯა, თითქოს ეს ძველისძველი იარაღი იყო მარტო მათი მხსნელი (ო. იოს., 13). 63. ხალხში ისე უნდა გამოეიდეს, რომ პირველსავე დღიდან ნდობა მოიპოვოს (ა. ყაზბ., 79). 64. ქვას ისე დავაკვირდი, ვითომ პირველად ვხედავდი (ნ. ონაშ., 31). 65. ისე ამოისუნთქა, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოიხსნაო (ნ. ონაშ., 34). 66. მერე სკამი ისე შეაბრუნა, რომ ფანჯრიდან თავისი სოფელი დაენახა (გ. ფანჯ.,

14). 67. ერთი კი მოიხედა უკან და ისე მოჰკურცხლა, რომ მისი ასავალ-დასავალი ველარ გავიგეთ (მოგ. აკ., 62). 68. გვიჯობს მივადგეთ გამოცხადებით ისე, როგორც რომ ვაჟკაცთ წესია (აკაკი, 58). 69. ისე შემეცოდა, რომ ცრემლმორეული შევევედრე ნიკოს (ნ. ონაშ., 107). 70. მანქანა ისე სწრაფად მოსწყდა ადგილს, რომ საბურავებმა ასფალტი მოფხოჭნა (ნ. ონაშ., 126). 71. შვება იგრძნო და კიოსკთან ისე მივიდა, თითქოს მართლა იქ მისვლა ჰქონდა განზრახული (გ. ფანჯ., 12). 72. ისე ამიკანკალდა გული, რომ კინაღამ საბუდარიდან ამომივარდა (მოგ. აკ., 49). 73. წყლის რიკრაკები სივრცის იქით ისე მინამქრე, რომ ღამე ჩუმად ვარსკვლავებშიც ვერ მოდიოდეს (ნ. სამად., 30). 74. გაშლილი ხელი ისე ასწია, მთავარსარდალი პარადს რომ მიიღებს ხოლმე (ნ. ონაშ., 143). 75. მისი გულიდან ეეება ოქროსფერი მზე ანათებდა ისე, როგორც ჩემს ბავშვურ ზმანებებში ეხედავდი ხოლმე (ნ. ონაშ., 203). 76. გზაზე ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ოთარს უნდოდა (გ. ფანჯ., 479). 77. ვარსკვლავნი ისე მოსჩანდნენ ღამე, თითქოს ზეცა ჩრდილს ამოეჭამა (ნ. სამად., 16). 78. განთიადისას გააბა მამალმა ყივილი და ისე დასძახოდა, რომ იმ არემარეს სულ ზანზარი გაჰქონდა (ვაჟა, 297). 79. ამ დროს გამოიარა მამლის გვერდზე კანჭწითელმა ბაყაყიჭამიამ და ისე მაგრა ჩაუკაკუნა თავისი გრძელი ნისკარტი, რომ მამალს თავბრუ დაესხა (ვაჟა, 303). 80. ნათურას მწვანედ შეღებილი თეფშისმაგვარი ქუდი ისე ჰქონდა გადაფარებული, რომ სინათლის ნაკადი მხოლოდ მაგიდაზე გაბნეულ რვეულებს ეცემოდა (გ. ფანჯ., 456). 81. ისეთი ტკბილი მამა-შვილური ბაასი გვქონდა და ისე დავუმეგობრდი ამ ერთი შეხვედრის დროს ვაჟას, რომ სახლშიც კი დავპატიჟე (კ. ყმა, 199). 82. ეს ქალი ისე გაიტაცა ბუნების მშვენიერებამ, რომ თავისი მგზავრობის საგანი სრულებით დაავიწყდა (ა. ყაზბ., 102). 83. რამდენიმე კვირის განმაველობაში ისე გაიწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო (აკაკი, 217). 84. წაგიყვან და დაგამწყვდევ ისე, როგორც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვდეული (აკაკი, 98). 85. ბებრები კერასთან ისევე გაუნძრევლად ისხდნენ, როგორც ოცი წლის წინათ დატოვა (თ. ბიბ., 413). 86. ისე უნდა იცხოვრო, როგორც გინდა (ნ. ონაშ., 100). 87. პეტრეს ის შეეზიზღა და ფრთხილად, ისე რომ

ქალს არ შეემჩნია, თვალი აარიდა (ო. ჭილ., II, 297). 88. ამ საფრთხობელაში კაცი იყო შემძვრალი და ხელებსა და თავს ისე ამოძრავებდა, რომ მაღალ-აწვდილი მოჩვენება სხვა პლანეტიდან ჩამოვარდნილ არსებად ცხადდებოდა (გ. რობაქ., 348). 89. ხშირად ისე გაცხარდებოდა, რომ თამაშობა შუღლში გადაიზრდებოდა (კ. ყმა, 102). 90. ისე დავხელოვნდით მოკლე დროში, რომ ცხრა-ათი წლისებს უკვე შეგვეძლო გადაგვეცურა მცირე სიგანის მდინარე (კ. ყმა, 102). 91. ახლა ეს სურვილი ისე მოეძალა, რომ კინაღამ ადგა და მოშორდა ტაბლას (თ. ბიბ., 393). 92. ამ სიტყვებზე პირველი მოლაპარაკე ისე დაიღრიჯა, თითქოს უჩხელიტა რამეmo (დ. ჭონქ., 41). 93. ვაჟამ ხაოიანი ხელი გამომიწოდა და ისე ენერგიულად ჩამომართვა, რომ მარჯვენა მკლავის კუნთებში ტკივილი ვიგრძენი (კ. ყმა, 349). 94. ოთარმა სიგარეტის კოლოფი და ასანთი ისე გადაუგდო, სავარძლიდან წელი არ წამოუწევეია (გ. ფანჯ., 628). 95. ეს სიტყვა ისე მკვეთრად თუ მკვახედ იყო წარმოთქმული, რომ ყველამ მისკენ მიიხედა (გ. რობაქ., 376). 96. ისე გატაცებულა უკვდავი პოემით, რომ გადაუწყვეტია მისი რუსულად თარგმნა (პ. იაშვ., 275). 97. მთელი გულით ვერ შეიყვარებდა ისე, როგორც შენ უყვარდი და უყვარხარ (ო. იოს., 244). 98. ყველაფერი ისე მოხდა, რომ სოფელმა ამაზე დაფიქრება ვერც კი მოასწრო (თ. ბიბ., 373). 99. ის უფსკრულზე გადებულ ხიდზე ისე გაივლის, რომ ფეხიც არ აუცდება (გ. რობაქ., 332). 100. ასი წელიწადი შემიძლია ვიცოცხლო ისე, რომ შენი არსებობაც არ გამახსენდეს (გ. ფანჯ., 597). 101. კაცმა თავის დაჭერა უნდა იცოდეს და ხალხში ისე უნდა გამოვიდეს, ისე გამოჩნდეს, რომ პირველსავე დღიდან ნდობა მოიპოვოს (ა. ყაზბ., 79). 102. ყოველი ჭეშმარიტად კულტურული პოეტი ისე უნდა წერდეს ლექსს, როგორც ნიკო ფიროსმანი წერს თავის სურათებს (ლ. ასათ., 157). 103. დეე, ეწვალოს ისე, როგორც მე ვეწვალე ამ ოც წელიწადში (დ. ჭონქ., 69). 104. ისე გადაბელილია სიყმაწვილის ტყეები, ისე გადათიბულია შენი მწვანე დღეები, როგორც სათიბები გადათიბონ მთიბელებმა, როგორც დასაბელი ტირიფები იბელება (მ. ლებ., 542). 105. მუშა ქოშინით მიეიდა მაღაზიის კიბესთან, დინჯად შემობრუნდა და ისე ჩაჯდა, რომ ზურგზე შემოდებული ყუთები კიბის პატარა ბაქანზე ჩამოდო

(გ. ფანჯ., 657). 106. უზარმაზარი კლდით გადახურული მოსახვევიდან ასეული ისე გამოდიოდა, როგორც გვირაბიდან მატარებელი გამოდის ხოლმე (გ. ფანჯ., 678). 107. ის ისე მაგრად უჭერდა ღონიერ მკლავებს, რომ ძვლები უჭახჭახებდა (რ. ინან., 99). 108. თავის სოფელს ისე გადახედა, როგორც გამარჯვებული სარდალი გადახედავს დამარცხებულ ქალაქს (თ. ბიბ., 328). 109. გვირაბებს შორის მანძილი ისე გადაირბინა, როგორც ამას საერთოდ აკეთებდნენ (ო. იოს., 112). 110. ისე გაბრაზებული იყო, რომ ჩვენც ხმას აღარ გვცემდა (კ. ყმა, 381). 111. სახეზე ნათელი ადგა, ზეშთაგონების იერი ამშვენებდა მის სპეტაკ სახეს, თვალები უციმციმებდა და წარბები რგვლად გადაშლილიყვნენ შუბლზე ისე, რომ თითქოს მათ არ შეეძლოთ ერთმანეთს გადახლართოდნენ სიმკაცრის და ბრაზის მიმიკის შესაქმნელად (მოგ. აკ., 209). 112. მის გასანთავისუფლებლად მზად ვართ პირველი თქვენი მოწოდებისთანავე თავი მოვუყაროთ ასობით ჩვენს ამხანაგს და ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი ძველი გმირები სამშობლოსათვის (მოგ. აკ., 283). 113. მენიჩბეები ისე ფრთხილად უსვამდნენ ნიჩბებს, თითქოს ნავის კიდეზე ჩამომჯდარი ჩიტის დაფრთხობისა ეშინიათო (ო. ჭილ., I, 353). 114. კაბინეტი ისეა მორთული და მოწყობილი, რომ ქალაქის ხმაური მასში არ შედის (გ. რობაქ., 315). 115. არვის არ შეუძლია დატკბეს მათგან ისე, როგორც მე ვიცი ტკბობა (ი. ჯოლბ., 31). 116. ეს ისე მშვენივრად თქვა ამ კაცმა, რომ აკაკი უცნაურად აღელვა, თვალები ცრემლებით აუვსო (მოგ. აკ., 260). 117. და მინდა ხოლმე ისე დავთვრე, ისე საძაგლად, რომ სიყვარულიც დამავიწყდეს და ჩამეძინოს (ნ. სამად., 168). 118. შემოაცალე ვარდისფერი ფურცლები ისე, რომ კვირტთა გამოც სიმძიმილი ვერ ავაცილე (ი. ჯოლბ., 101). 119. და შენ გეტრფოდეს, როგორც ბესიკი ეტრფოდა თავის ანა დედოფალს! (ლ. ასათ., 43). 120. უცხო კაცი გზიდან ისე ჩამოიშორა ერთადერთი მკლავით, თითქოს მწყურვალი ტბისკენ მიისწრაფოდა და ლერწამი გადასწია, ტბა რომ დაენახა (ო. ჭილ., II, 373).

*§ 104. მიზეზის გარემოებითი.* 1. წყლის ნაპირს ვერ გაეიდოდნენ, რადგანაც გადახლართული წნორები და ბიბილოები ფეხებში ეხლართებოდათ (ა. ყაზბ., 173). 2. მისი საქმე ჩვენი საკუთარი საქმეა, იმიტომ რომ ჩვენი ქვეყნისათვის სახეირო და სასარგებლოა (ილია, 578). 3. კარისაკენ წასასვლელად გაწეულ ბექას წელზე მოხვია ხელი, რადგან მხრებამდე ვერ ასწვდა (ნ. ონაშ., 135). 4. რაკი თემო დუმდა, ჩემს კითხვებზე თვითონვე დავიწყე პასუხის გაცემა (ნ. ონაშ., 112). 5. იმიტომ მიშვებ შენთან, მდუმარე და მწუხრისფერი, რომ შენს მახლობლად მეც ვიგრძნო შიში (ო. ჭილ., I, 557). 6. და კედლებს შორის დაეძებ იმედს, რადგან კედლები არტყია ირგვლივ (ო. ჭილ., II, 430). 7. ჩვენ ადრე დაგვაძინეს, ვინაიდან ყველას ფეხებში ვედებოდით (კ. ყმა, 239). 8. მშობლების სიკვდილის შემდეგ ვაჟა ფშაველას პირველ ხანში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა, რადგან შემომტანი აღარავინ ჰყავდა (კ. ყმა, 323). 9. გავრბოდით იმიტომ, რომ ერთ ადგილზე დგომა აღარ შეგვეძლო (თ. ბიბ., 39). 10. ღმერთმა სიგიჟე გადმომივლინა, რადგანაც ხშირად ვიყავ მშიერი (პ. იაშვ., 98). 11. თვალი მაინც ცისკენ გაეპარებოდა, რაკი მისთვის ყველაფრის სათავე მამაზეციერი იყო (ო. იოს., 66). 12. მე მადლობელი ვარ შენი მარტო იმიტომ, ბოლოსდაბოლოს სამსახური რომ მაღირსე (ნ. ონაშ., 147). 13. ხის გრძელ მერხზე დავჯექი, რადგან მუხლები აღარ მემორჩილებოდა (ნ. სამად., 150). 14. ამას ყველაფერს იმიტომ გეუბნები, რომ მტერ-მოყვარე გაარჩიო და ქუჩაში ტყუილად არავის უკბინო (გ. ფანჯ., 109). 15. მათი თუჯის ზარბაზნების მრისხანე ლულების ცქერას არაფერი მერჩია იმიტომ, რომ ამ დროს ძალას ვგრძნობდი (გ. ფანჯ., 207). 16. შენ არ გესმოდა, რადგან ბუნება მაღლა ახედვას გიშლიდა მაშინ (ო. ჭილ., II, 501). 17. და გოგი თვალებს იმიტომ ხუჭავს, რომ ბნელში უკეთ განსჭვრიტოს გზები (ო. ჭილ., II, 450). 18. აკაკიმ პირდაპირ არ დაასახელა დიმიტრი ყიფიანი იმიტომ, რომ იმ დროს იმისი ხსენება აკრძალული იყო, როგორც პოლიტიკური დამნაშავისა (მოგ. აკ., 146). 19. თემმა ეს არ დაუთმო, მოკვეთა თემიდან, რის გამო ბაჩანა წავიდა მასწავლებლად ბარისახოში (კ. ყმა, 243). 20. ჰკითხა რექტორმა ზურაბს უფრო იმიტომ, რომ ბექას სითამამე გაემართლებინა (ნ. ონაშ., 140). 21. ჭირის დღესავით

სძულდა ბიბლიოთეკაში შესვლა, ამიტომ სამუშაო მაგიდა ჩვენს ოთახში დაადგმევინა (ნ. ონაშ., 76). 22. კაპიტანს ტოპრაკი არ აეიწყდება, რადგან იქ სანოვაგის მარაგის გარდა ინახება მისი პირადობის მოწმობაც (პ. იაშვ., 249). 23. ამ გზით იმიტომ გამისტუმრეს, რომ იქ ვარანცოვის ქვრივი ეგულებოდათ (აკაკი, 152). 24. მოსვლის უმალვე ასტეხეს ბრძოლა, რადგან საგულეს ჰქონდათ მათ გული (აკაკი, 56). 25. ხელი გაუჩერდა, რადგან მთვარიანშიც ერიდებოდნენ წყლის ამოტანას (ო. იოს., 79). 26. რაკი ამ ჯოჯოხეთში ტყვეს წამოყვანა გაჭირდებოდა, სამი ჯარისკაცი გააყოლა (ო. იოს., 20). 27. უცებ საშინლად შემეცოდა იმიტომ, რომ ყბა ყბაში ჰქონდა გაყრილი (ნ. ონაშ., 33). 28. ყველაზე მეტად ამის დაჯერება გამიჭირდა, რადგან წინ უამრავი კითხვის ნიშანი ამესვეტა (ნ. ონაშ., 59). 29. თეიმურაზი თანდათან შეფიქრიანდა, რადგანაც მის სვინდისს ყმაწვილი ქალის სახელი ჰქონდა მინდობილი (ა. ყაზბ., 49). 30. დაღამება იმიტომ მიხარია, რომ საღამოთი უნდა დავლიო (გ. ფანჯ., 107). 31. პეტრემ გაიღიმა, რადგან არ იცოდა მისი მოსვლის მიზეზი (ო. ჭილ., II, 297). 32. ძველი სასახლე იელვებს მთაზე თითქოს იმიტომ, რომ ვინმეს ჰკითხოს (ო. ჭილ., II, 460). 33. ის ყოველთვის ემდურის მეზობლებს, რადგანაც კაპიტანს კუდიანი დაარქვეს (პ. იაშვ., 249). 34. იგი ვერ ისვენებდა, ბიჭს რომ უწყლობა სტანჯავდა (ო. იოს., 95). 35. ვთქვი უნებურად და მაშინვე ვინანე, რადგან ყველამ ჩემსკენ მოიხედა (ნ. ონაშ., 85). 36. მანქანას მაინც ამოწმებდა, რადგან ოსტატმა ასე დაავალა (გ. ფანჯ., 68). 37. ბევრი კი მხოლოდ იმიტომ მოდის, ამდენი ოქრო რომ ნახოს ერთად (ო. ჭილ., II, 484). 38. არ ეშვებოდნენ სოფლელები, რადგან ჯერ კიდევ ჰქონდათ მისი იმედი (ო. ჭილ., II, 269). 39. თურმე პოლიციას ვაჟასი ეშინოდა, ვინაიდან ვაჟა ამბოხების მეთაურად ითვლებოდა (კ. ყმა, 237). 40. ბევრს გწერთ წისქვილზე, რადგან იყო ძველი, პატარა (პ. იაშვ., 113). 41. არწივი იქნებ დაჭრილიც კი იყო, რადგან ცალი მხარი ოდნავ დაბლა მოჰქონდა (ნ. ონაშ., 45). 42. დილით იონა თანამშრომლებს ადგილზე რომ ვერ დაინახავდა, ადრიანად მოსულ ქალბატონ თამარს დააცხრებოდა (ნ. ონაშ., 77). 43. იმას არავინ მოეწონა, რადგანაც ზოგი ვაჭრის ქალი იყო, ზოგის სახელი მის გემოვნებას არ თანხმდებო-

და და ზოგიც მახინჯი უნდა ყოფილიყო (ა. ყაზბ., 83). 44. ჩვენი კლასიდან ერთი ბიჭი სამშენებლო ფაკულტეტზე იმიტომ შევიდა, რომ მამამისი მშენებელი იყო (გ. ფანჯ., 208). 45. ის კი ისევ შორს იყო ჩვენგან, რადგან არავის აღარ გვახსოვდა (ო. ჭილ., II, 501). 46. გული მწყდებოდა, ჩემები რომ მტოვებდნენ (კ. ყმა, 303). 47. ავადმყოფი მათხოვარი გადავარდება წყალში და, რადგანაც მას არავინ შველის, იხრჩობა (პ. იაშვ., 251). 48. მე მათი მობრძანება ბევრად არაფრად მეპიტნავებოდა, რადგანაც გული ტყე-მინდვრისა და სამწყემსურისაკენ მქონდა (აკაკი, 97). 49. ეს ქაღალდი თუ მაინც მომქონდა მარტო იმიტომ, რომ სულში ანთებული ციცქნა იმედი გამწევდომოდა ხვალამდე (ნ. ონაშ., 6). 50. ჩემსკენ გადმონაცვლებულ მზის სხივს თვალი მოვუჭუტე, ქალიშვილი უკეთ რომ დამენახა (ნ. ონაშ., 8). 51. ცოლმა არ უპასუხა იმიტომ, რომ გართული იყო ნოტების გარჩევით და დალაგებით (ა. ყაზბ., 133). 52. მე მუსიკას თავი დავანებე იმიტომ, რომ სიყვარულისა და სიამოვნებისათვის აღარ მეცალა (გ. ფანჯ., 215). 53. დრო კი ბრაზობდა და გადიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვამჩნევედი (ო. ჭილ., II, 438). 54. ბილეთები შედარებით მაღალ ფასებში გაიყიდა, ვინაიდან საღამოს შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებისათვის იყო განკუთვნილი (კ. ყმა, 171). 55. ერთად ტიროდნენ, რადგან ტივში ერთად მოხვდნენ გადაბმული (პ. იაშვ., 282). 56. ახლა უნდა დამეჯერებინა, დილაზე უშფოთველად რომ გამეხილა თვალი (ნ. ონაშ., 121). 57. ვკითხე ჩემს თავს უფრო იმიტომ, რომ მტანჯველი ფიქრი დამეთრგუნა (ნ. ონაშ., 129). 58. იქნებ რუსეთში იმიტომაც წავიდა, რომ ცოდნა პრაქტიკულად გაეღრმავებინა (გ. ფანჯ., 217). 59. მამასახლისს ჯვარ-მედლები აჰყარეს და გამოაგდეს, რადგან აღარ შეიძლებოდა ნაცემი მამასახლისის სამსახურში დაყენება (კ. ყმა, 175). 60. ზოგიერთი სახლის პატრონი ემურებოდა წვიმის წყალს იმიტომ, რომ იოლად გამოსულიყო (კ. ყმა, 176). 61. ისიც იმიტომ მოვიდა მხოლოდ, რომ მოგვეხმაროს ადამიანებს (ო. ჭილ., II, 441). 62. არ შემიძლია მთლიანი შთაბეჭდილება ვიქონიო ყველა ამაზე, რადგან არ ვიცი ენა (პ. იაშვ., 272). 63. წერეთელმა მჭადი იმიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ველარ მოასწრო (აკაკი, 146). 64. მე უცებ საშინლად შემეცოდა იგი იმიტომ, რომ ერთი სერიოზული

ნაბიჯიც არ გადაედგა დამოუკიდებლად (ნ. ონაშ., 107). 65. რა არის ცხოვრება იმიტომ არ იცი, რომ არასოდეს გიცხოვრია ნამდვილი ცხოვრებით (ნ. ონაშ., 116). 66. ზოგს მხოლოდ იმიტომ კითხულობდა, რომ საზოგადოებაში პირი არ დაეღო და უვიცი არ გამოჩენილიყო (გ. ფანჯ., 181). 67. გააგრძელა თვითონვე, რაკი ქაიხოსრო თვალგაშტერებული დასცქეროდა საფლავს (ო. ჭილ., II, 74). 68. აკაკისათვის, მართლაც, ძნელი იყო გრძნობა სიკვდილის მოახლოებისა, რადგან მას გაგიჟებით უყვარდა სიცოცხლე (მოგ. აკ., 29). 69. კინაღამ გული გაუსკდა, რადიომიმღები და გადამცემი აპარატურა ასე უგზოუკვლოდ რომ დაკარგა (ო. იოს., 20). 70. ერთი იმიტომ გაროზგა, რომ თმა წამოგზრდიაო და მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მოგიჭრიაო (აკაკი, 146). 71. ფანქარი დავაგდე იმიტომ, რომ აქამდე ერთი ნორმალური ხაზიც ვერ გავავლე (ნ. ონაშ., 98). 72. თაეი გავაქნიე, მოძალებული უსიამოვნო ფიქრები რომ გამეფანტა (ნ. ონაშ., 21). 73. გული დასწყდა, რომ ბებიას დასაფლავებას ვერ დაესწრო (გ. ფანჯ., 19). 74. ისიც თავქუდმოგლეჯილი გარბოდა კიდევ ერთი თავშესაფრიდან, რადგან აღარ სჯეროდა მისი (ო. ჭილ., II, 62). 75. ჩვენ თურმე მეზობლები გვივლიდნენ და თანაც გვერიდებოდნენ, რადგან ქუნთრუშისა ეშინოდათ (კ. ყმა, 229). 76. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ ყოველივე (აკაკი, 138). 77. ის პურს სჭამს იმიტომ, რომ კაცურკაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი (ილია, აზრ., 7). 78. მე და ნიკო გავჩუმდით და პირზე ხელი ავიფარეთ, რადგან ტუჩებს თავს ვეღარ ვუყრიდით (ნ. ონაშ., 90). 79. ყურმილს გადავწევდი იმიტომ, რომ სული მომეთქვა (ნ. ონაშ., 25). 80. თავის თავზე იყო გამწყრალი, თვითონ იყო უვარგისი და უნდილი, რაკი ვერავის შეაყვარა თავი (ო. ჭილ., II, 128). 81. მე შენი დაკითხვა ახლა არ მჭირდება, რადგან კარგად ვიცი რა ხაფანგშიც ვართ (ო. იოს., 37). 82. ერთხელ შობის წინ დღეს აღარ მიყურებია ძროხის დაკვლისათვის, რადგანაც უფრო სასიხარულო შემთხვევამ გამიტაცა (აკაკი, 133). 83. ეს სახლიც სამახსოვრო უნდა იყოს ყველა ქართველისათვის, რადგან მრავალი თავისი იდუმალებით სავსე სიმღერა აკაკის აქ შეუქმნია (პ. იაშვ., 280). 84. არ მჯერა იმიტომ, რომ კარგად

ვიცნობ (ნ. ონაშ., 151). 85. აქ იმიტომ მოხვედით, რომ ანბანი გვასწავლოთ (ნ. ონაშ., 88). 86. განუწყვეტლივ თვლიდნენ და აღრიცხავდნენ რაღაცას, რადგან ყოველ წუთს რაღაცა ხდებოდა ქვეყანაზე (ო. ჭილ., II, 91). 87. ჩვენ, რასაკვირველია, უარზე დავდექით, რადგანაც მწყემსები არ ვიყავით (აკაკი, 119). 88. თვით ვერ ბედავს მოხსენებას, მოციქულობს ეერცა სხვაო, რადგან უნდათ აიცილონ თქვენი წყრომა და რისხვაო (აკაკი, 37). 89. გუცამ უკან დაიწია, რადგან დაჭრილის ამონასუნთქმა სული შეუხუთა (ო. იოს., 37). 90. გული დამწყდა, მაშინვე რომ ვერ წაგიკითხეთ (ნ. ონაშ., 167). 91. რადგანაც სოფლამდის ჯერ კიდევ შორი გზა ჰქონდათ, ცოტა ხანს შესვენება მოიწადინეს (ა. ყაზბ., 160). 92. გული შიშით ეწურებოდა იმიტომ, რომ დაკაცებული შვილი ყველაფერს სხვა თვალით შეხედავდა (ო. ჭილ., II, 45). 93. სათქმელი ვერ დაამთავრა პეტრემ, რადგან უცებ ცოლის თვალებს წააწყდა (ო. ჭილ., II, 325). 94. მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე (აკაკი, 135). 95. ჩემმა ძმამაც, რადგანაც კანვოებიც წასასვლელები იყვნენ, პეტერბურგს წამიყვანა (აკაკი, 163). 96. ისინი პაექრობდნენ იმიტომ, რომ ეს პაექრობა ხალხს მოსწონდა (ი. გრიშ., 119). 97. ყაზახებს თავიანთი გადარჩენა ცხენებისთვის მიენდოთ, რადგანაც თავისი თავის იმედი აღარ ჰქონდათ (ა. ყაზბ., 172). 98. რაკი საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიანებეს და მიყუჩდენ (ვაჟა, 307). 99. შენ უკვდავებამ ადრე მოგაგნო, რადგან პოეტთა გუთნისდედა ხარ (ნ. სამად., 132). 100. იმდროინდელი მუშა-პოეტები თავიანთ ნაწერებს უმეტეს წილად ცალკე წიგნად ბეჭდავდნენ, რადგანაც რედაქციის კარები არც ისე ხალისიანად ილებოდა მათთვის (ი. გრიშ., 145). 101. შეჯიბრებაში ლუკამ გაიმარჯვა, რადგანაც სამიზნისათვის არც ერთი ისარი არ აუცდენია (კ. ყმა, 104). 102. მე კი მირჩევენ გორიდან წასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ თაობას ჰუმანიურად ვეპყრობი და საზოგადოებას ვემსახურები (კ. ყმა, 71). 103. მზეც ყოვლისა უწინარეს მთას ესტუმრება სადარბაზოდა, რადგან მთა ყველაზე მაღალია, ყველაზე დიდებული (ვაჟა, 363). 104. შექსპირი იმიტომ არის დიდებული ყველა მგოსანთა შორის, რომ ბუნება სავსებით გამოსჭვირს იმის ნაწერებში (ვაჟა, 364). 105. თავს

ბედნიერად ვგრძნობ, რადგანაც საშუალება მქონდა შევხვედროდი დიდ ილიას, ვაჟას, ბაჩანას (კ. ყმა, 100). 106. ძრწოლეით შევცქეროდი იმიტომ, რომ ამაზე ფიქრსა ბედავდა (თ. ბიბ., 23). 107. იმან არ უგდო ყური იმის ამღვრევას იმიტომ, რომ ბევრჯერ შეხვედროდა იმას ნახვა იმისთანა მაგალითისა (დ. ჭონქ., 81). 108. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა (ილია, 929). 109. დღეს გმირთა შესანდობარსა მთებიღა ჰსვამენ მაღლები, რადგან კახეთში კახთათვის დაცარიელდა მარნები (ვაჟა, 99). 110. ორივენი ელოდებოდნენ, რადგან, მათი აზრით, ფარნაოზი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც უფლება ჰქონდა დასჯისაც და მიტევებისაც (ო. ჭილ., I, 366).

*§ 105. მიზნის გარემოებითი.* 1. სოფელს უთუოდ სჭირდებოდა ჭკვიანი და გამოცდილი თავკაცი, რათა სოფლისათვის ცოტა შორიდან ეჭვრიტა (თ. ბიბ., 11). 2. სად დიდებული მეფეთმეფე დგას ხელაპყრობილი, რომ ქართველობას ისევ მაღალი აზრი მოჰფინოს (ა. კალანდ., 264). 3. ვიბრძოდით, რომ დღე ხვალისა არ დაგვმწუხროდა ყვავისფრად (ა. კალანდ., 69). 4. ისინი დგანან, რომ ნახონ სხვებმაც ჯიუტი სახე ტანჯვის და მსხვერპლის (ო. ჭილ., II, 458). 5. მთვარის შუქში ხელები ხელებს ეძებენ თრთოლვით, რათა სიცოცხლე გაგრძელდეს ქვეყნად (ო. ჭილ., I, 596). 6. კვლავ შენ გნატრულობ, რომ მკერდზე სიცოცხლის წყარო მასხურო (ლ. ასათ., 83). 7. ახალი საქსოვიც და ძაფის გორგალიც გამოღებულ უჯრაში ჩააწყო, რათა საჭიროების შემთხვევაში უჯრა სწრაფად მიეხურა (ნ. ონაშ., 41). 8. მწვანე ხის ძირას დამაწვინეთ, რომ ერთი ბალახსა და ფოთლებში გადავეგადმოვეგორდე (კ. ყმა, 130). 9. ილევიძებს ქმარი, რომ ჩამაცვას თეთრი წინდები (პ. იაშ., 129). 10. მან დაფლეთილი ბრეზენტი მაღლა აკეცა, რომ გამოქვაბულში სინათლე შესულიყო (ო. იოს., 149). 11. მთაზე უბელო ცხენს მოვაჭენებ, რომ მოგაწონო თავი, ბებერო (ო. ჭილ., II, 443). 12. შენ მოენატრე და ხალხში გეძებს, რომ ერთხელ კიდევ შეგახოს ხელი (ო. ჭილ., II, 466). 13. მან მთელი თავისი ნებისყოფა დაძაბა, რომ სამუდამოდ დაევიწყებინა ის ქალი (გ. ფანჯ., 510). 14. ამ ქვეყნად მისთვის მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები

ვწერო (ლ. ასათ., 55). 15. კუსა ხანდახან გულისპირს განგებ მოითხვრიდა ხოლმე სისხლით, რათა შინ დაბრუნებულს მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა ქალებზე (ო. ჭილ., I, 245). 16. ასე თავგამოდებით არ იბრძვი იმისათვის, რომ როგორმე ცოლად გაჰყვე (ნ. ონაშ., 98). 17. მე კი მოვრბოდი დედამიწისკენ, რომ შემეწყვიტა ზარების რეკა (ნ. სამად., 67). 18. მე თქვენს ხელებში გადმოვედი მღელვარე სისხლად, რათა ქვეყანა გამხდარიყო უფრო ნათელი (ო. ჭილ., I, 593). 19. და შენც გახსენი შენი ფიქრები, რომ პატიოსნად, დიდხანს და მყუდროდ იცხოვრო (ო. ჭილ., II, 485). 20. ეს სცენა საკმარისი იყო, რომ მათ შორის კვლავ განახლებულიყო წინანდელი ერთმანერთობა (ა. ყაზბ., 48). 21. მაღლა წითელი დროშა ფრიალებს, რომ გაანათოს კოლხიდის შრომა (პ. იაშვ., 202). 22. დოვლათიანი მამა თავის შვილს ყასიდად ღარიბ ხელოსანს მიაბარებდა, რომ შვილს ცხოვრების ყადრი სცოდნოდა (ი. გრიშ., 34). 23. ფერშალი გარეთ იყო ჩასაფრებული, რათა ფრინველის გადაფრენაც მოეხსენებინა (ო. იოს., 63). 24. ქუჩისპირა ხეირიან საკანში ჩამსვამს, რათა დღეყოველ გამაღვიძოს ქვეყნის ხმაურმა (მ. ლებ., 128). 25. ანა მერე შინ შერბის, რათა იმისი ხელშენავლები ჭიქა და თეფში გამოარჩიოს (ო. ჭილ., II, 139). 26. უნდოდა დაექუცმაცებინა გასაცემი თანხა, რათა იგი ნაკლებ შესამჩნევი და მტკივნეული ყოფილიყო მისი ჯიბისათვის (ო. ჭილ., II, 289). 27. ძველი სასახლის კიბეებზე ჩამოდის ვიღაც, რომ შეაღოს ტაძრის კარები (ა. კალანდ., 273). 28. უნდოდა ყოფილიყო უბედური, გამწარებული, სულით ხორცამდე შეძრწუნებული, რომ ბოლომდე ეგრძნო თავისი არსებობის უაზრობა და უმწეობა (გ. ფანჯ., 38). 29. ახლა მასვე სჭირდებოდა მისი მოტანილი წყალი, რომ სიკედილისაგან თავი დაეხსნა (ო. იოს., 83). 30. ჩვენ ამას შევეხეთ ამ წერილში მარტო იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიგვექცია ერთ სამწუხარო ამბავზედ (ილია, 577). 31. ეჩვეოდა იქაურობას, რათა განზრახვის აღსრულებისას აღარაფერი ყოფილიყო გაუგებარი და მოულოდნელი (ო. ჭილ., II, 90). 32. მხოლოდ ერთი წამით შეაჩერა ჩაქუჩი, რათა ხელის ზურგით თვალში ჩავარდნილი ქვის ნამცეცი ამოეწმინდა (ო. ჭილ., I, 247). 33. ფიროსმანიც მოვა, რათა შენს სევდიან, „თბილს სამარეს“ ეამ-

ბოროს (ა. კალანდ., 349). 34. მოთხარა, ფრთხილად აიღო ხელში, რომ საჟარდეში მიეცა ბინა (ლ. ასათ., 39). 35. გამოვემშვიდობეთ, გამოვედით გარეთ, რათა მასთან შესვლის საშუალება მიგვეცა სხვებისთვისაც (კ. ყმა, 97). 36. მადლობელი ვარ, რომ დამაყენე მოწაფესავით წმინდანის ჩრდილში (მ. ლებ., 189). 37. მისი ძმა ყველაზე მიყრუებულ ოთახში გადაემალა ქალუკას, რათა მამის უცაბედ განრისხებას არ შესწირვოდა (ო. ჭილ., I, 179). 38. და უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს, რომ თავი კაცად ვიგრძნოთ სრულიად (ო. ჭილ., II, 498). 39. შენ ილოცებ, რომ ალმაცერი მისი სხივები კვლავ შეეხონ ნაწვიმარ ფოთლებს (ა. კალანდ., 357). 40. ომს დაიწყებდა დაბალ სახლებთან, რომ მოეტაცა მათი მშვიდობა (პ. იაშვ., 209). 41. სვიმონი ორიოდე კვირას კიდევ დარჩებოდა და ყოველ ღონისძიებას იხმარდა, რაც შეიძლება მეტი ფული ეშოვნა (ა. ყაზბ., 79). 42. ის იბადება, რათა ქმნიდეს მშვენიერებას (მ. ლებ., 62). 43. უსასრულო ღელვით გვაღელვებს, რომ დაგვამშვიდოს ზოგჯერ თვითონვე (ო. ჭილ., II, 477). 44. თუმცა მეც მზად ვარ, რომ მოვუმზადო ახალ ტკივილებს სულიც და ხორციც (ო. ჭილ., II, 506). 45. იგი მოვიდა, რომ დაელეწა სისხლიანი ურდო მათი (ა. კალანდ., 67). 46. და ემზადება, რომ გამართოს ცაში ფერხული (პ. იაშვ., 104). 47. ვერ მაჩუქა საქართველომ კალამი, რომ დაეწერო მისთვის გულის სალამი (პ. იაშვ., 139). 48. და შენს ტაბლას ვხევისბერობთ, რათა მოგონების ფარჩით ახალუხი შეგიკეროთ (მ. ლებ., 146). 49. ის გაუდგა გზას, რომ სახლიდან ქერის პური, კარტოფილი და ღორის შაშხი მოეტანა (ო. იოს., 97). 50. ეს ომი იმისთვის გადავიხადე, შეეტყო სუყველას რომ მე ღორის აღარ მეშინოდა (აკაკი, 130). 51. მოვედი, რომ ბარში პეშვებით წამეღო ჩანჩქერი (ო. ჭილ., I, 540). 52. დაფეთებული პეპელა გვერდზე გახტებოდა, რათა იმავე წამს უკან მობრუნებულიყო და გაეგრძელებინა თავბრუდამხვევი ცეკვა (ო. ჭილ., I, 312). 53. დირექტორი წამოდგა და წავიდა კლასში, რომ ეს სხვებისთვისაც გამოეკითხა (აკაკი, 147). 54. ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აქედან გააღწიონ (ო. იოს., 45). 55. და იარე კელაპტრით ხელში, რომ მოგაშურონ და შენკენაც ვიდოდნენ ბნელში (მ. ლებ., 305). 56. თერთმეტი წლის ვაჟიშვილს ცხენი შეუკაზმია, რომ ყორა-

თის სახელით დაამშვენოს მარულა (პ. იაშვ., 205). 57. ღამური გზებით მივდიოდით ჩვენ, რომ დაგვენთო მზეკოცონი მდუმარებით დამშვიდებულ ქვეყნისათვის (პ. იაშვ., 281). 58. ღრიალებდა თათარი ასე საზარლად, რათა მაიორისათვის მიეწვდინა ხმა (ო. ჭილ., II, 10). 59. ქალი ახლავე ან ცოტა ხნის მერე ადგება და ისევ წავა, რათა კარგა ხანს აღარ გამოჩნდეს (თ. ბიბ., 205). 60. თამაზს უნდოდა ქალიშვილის წინაშე მუხლზე დაცემულიყო, რათა სიყვარული აეხსნა, სამუდამო ერთგულება შეეფიცა (გ. ფანჯ., 457). 61. მეც მეზაენი საომრადა, დედისერთასა, რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსენელად (ილია, 125). 62. ისიც მოელის ერის ჩიჩქსა, რომ გაისეელოს პირია (ვაჟა, 37). 63. ორივენი მოუთმენლად ელოდებოდნენ დაღამებას, რათა მის წყვდიადში ერთმანეთსაც დამალვოდნენ და ქვეყანასაც (ო. ჭილ., II, 19). 64. მაშინვე გაქანდნენ აქეთ-იქით მახარობლები, რომ ეუწყებინათ ყველასათვის ამისთანა ბედნიერი ამბავი (ა. ყაზბ., 69). 65. მისი მეხსიერება თითქოს იკრებს ყოველივე სასენსაციო წვრილმან შემთხვევებს, რომ მერე თავის კალმის წვერზე მოათავსოს და ლამაზად გაპკენწლოს (ი. გრიშ., 140). 66. გადაწყდა ასი მანეთი გაგზავნოდა ვაჟას, რომ შეეკერა ახალი ჩოხა-ახალუხი, ეყიდნა ახალი ფეხსაცმელები ამ ფულით და ისე ჩამოსულიყო (კ. ყმა, 137). 67. თავზე ნაბადს იფარებდა, ბნელ კუთხეს ეძებდა, რათა არავის დაენახა და არაფერი გაეგონა (თ. ბიბ., 230). 68. დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს, გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს (ლ. ასათ., 8). 69. ისევ გაისროლა ჰაერში, ნათქვამისათვის რომ მეტი დამაჯერებლობა მიეცა (ო. იოს., 118). 70. კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გაიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად (ილია, აზრ., 56). 71. სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს (ილია, აზრ., 91). 72. სად გაქრება, რათა ერთბაშად ისევ გამოჩნდეს და ერთფეროვან მდუმარებაში გრიგალიეით გადაიაროს (თ. ბიბ., 48). 73. რატომ არ მოიკვეთა ერთხელ და სამუდამოდ, რათა მონასტრის ცივ კედლებში მართლა მონასტრული დუ-

მილი ჩამომდგარიყო (თ. ბიბ., 49). 74. მეორე ნახევარი მრავალ გუნდებად დაჰყო და აქეთ-იქით, სხვადასხვა მხრისაკენ გაისტუმრა, რომ ერთსა და იმავე დანიშნულ დროს ყველგან თავს დასხმოდნენ თათრებს მოულოდნელად (აკაკი, 216). 75. პატარა ბიჭებს პურიც გადაუგდეს და ისინიც სიამოვნებით გაცვივდნენ გარეთ, რომ პირი ჩაეგემრიელებიათ (აკაკი, 103). 76. ამ სიტყვებმა სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაჭკვიანებას, რომ ჩემი ძმებსავით მეც წერა-კითხვის ღირსი გავმხდარიყავი (აკაკი, 129). 77. ახლა მასვე სჭირდებოდა მისი მოტანილი წყალი, რომ სიკვდილისაგან თავი დაეხსნა (ო. იოს., 83). 78. მოვედი, რომ გაგაფრთხილოთ (ო. იოს., 144). 79. მე ვბედავ თქვენს წინაშე ხმის ამოღებას დღევანდელ დღეს არა იმისთვის, რომ თქვენ ჩემს ქება-დიდებას ჰსაჭიროებდეთ (ილია, აზრ., 24). 80. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ოცდაექვსი იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონი დიდებული მეფე, დიდებული კაცი (ილია, აზრ., 30). 81. რამოდენიმე ქართველი და კახელი თავადიშვილი მოსულნი მხოლოდ იმისთვის, რომ ეკითხებინათ ვარდუასათვის, ისხდნენ მეორე ოთახში (დ. ჭონქ., 59). 82. რამდენჯერ გიქივით გადავვარდი გაცხარებულ ომში, რომ ჩქარა გავშორებულიყავ ცხოვრებას (დ. ჭონქ., 39). 83. სოფლის შუაგულში მდგარი მოუთმენლად აგროვებდა ფარას, რათა მალე კომბალი აეღო, ერთი დაეჭყიელა და ფარა იქით გაერეკა (თ. ბიბ., 317). 84. ვინმემ უნდა ჩაიხედოს გულივით დახურულ ვიწრო სენაკში, რათა მეორე დღესვე სოფელ-ქვეყანას მოჰფინოს კიისხულის ოჯახში დატრიალებული ამბავი (თ. ბიბ., 242). 85. იმ გლეხ-მგოსანმა აიღო თავისი კალამი იმ მიზნით, რომ მაღლა აღემართა სწავლისა და განათლების დროშა-ალამი (კ. ყმა, 68). 86. ის ცივი წყალივით მიეშხეფა სახეში და ერთი წამით გამოფხიზლდა, რათა საკუთარი საქციელისაგან უარესად დასცემოდა თავზარი (ო. ჭილ., II, 373). 87. მთელი გზა ქარისაცა და ფრიქსეც აცეცებდნენ თვალებს, კისრებს იგრძელებდნენ, რათა თვითონაც ამოეცნოთ ჩვეულებრივ ჯაგნარში მდინარისაკენ მომავალი ირმების ჯოგი (ო. ჭილ., I, 29). 88. ქალაქში წყლის შემოყვანა ღმერთებმა დამავალეს, რათა ამით მაინც გადაგისა-

დოთ მადლობა (ო. ჭილ., I, 41). 89. მე მოვედი, რომ ეს მოგახსენოთ (გ. ფანჯ., 497). 90. მე ვიბრძოლებ, რომ ერთწლიანი შეებულება მოგცენ, მოსკოვში გაგაგზავნონ (გ. ფანჯ., 531). 91. მაინც დაატანა თავს ძალა, რათა პირობის ყველა სიტყვა გამოკვეთილად ეთქვა (ო. ჭილ., I, 106). 92. თავს არ იშურებდნენ, რათა საკადრისი სამსახური გაეწიათ გადამრჩენლისათვის (ო. ჭილ., I, 117). 93. ესეც შეუგნებელი, ბრმა გაბრძოლება იყო უხილავი, მაგრამ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ, რათა მთლიანად გაეშვებინებინა ხელი ამ შემკრთალი და გაცრეცილი ბიჭისათვის (ო. ჭილ., I, 134). 94. ყველას რჩევასა და დარიგებას ცალკე ფურცელზე იწერდა, რათა ყველაფერი წერილად მოეხსენებინა მაიორისათვის (ო. ჭილ., I, 109). 95. გუა გუშინ ნაშუადღევს გაუდგა იმ გრძელ გზას, რათა ღორის შაშხი მოეპარა (ო. იოს., 95). 96. ნერონმა ბრძანება გასცა, შეეგლისათ სახე მოკლულ ბრიტანიკისა, რათა დაფარულიყო სახის წამოლურჯება (გ. რობაქ., 356). 97. დაგვღალოს, ოფლი გვადინოს, მერე გაგვაძლოს ძილითა, რომ ბოლოს სიტკბო ვიგემოთ გამსჭვალულებმა ჭირითა (ვაჟა, 64). 98. სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ზეგარდმო მადლით გასხივოსნებულ სახეს და მივეცით გზა მატარებელს, რათა მიეტანა ძვირფასი ცხედარი საქართველოს დედაქალაქისათვის (მოგ. აკ., 507). 99. ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აქედან გააღწიონ (ო. იოს., 45). 100. ასე იხედება ბნელ ღამეში უცხო რამ ხმაურით გამოფხიზლებული, დიდი ხნის ძილიდან გამოსული კაცი, რათა ისევ შინ შებრუნდეს და კვლავ ძილს მისცეს თავი (თ. ბიბ., 299). 101. ყველა აქით მოიჩქარის, რომ ელირსოს გაბრწყინვებულ ცხედარის წინ მუხლი მოიდრიკოს (პ. იაშვ., 279). 102. ზევით უნდოდა აეხედა, რომ ბიჭები დაენახა (ო. იოს., 129). 103. ცოტა შევჩერდით, რათა აკაკი სამუდამოდ გამოთხოვებოდა მამაპაპეულ სახლკარს (მოგ. აკ., 443). 104. მე მომედო უსაზომოდ ერცელი სურვილი, რომ ჭეშმარიტი სათნოება მებოძებინა მარტოსულისთვის (ი. ჯოლბ., 106).

# რთული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით

*§ 106. ორი ან მეტი სხვადასხვაგვარი დამოკიდებული წინადადება მთავართან.* 1. როდესაც ბებერ ფიჭვს პირველი ტოტი შეახმა, მან შეამჩნია, რომ მის ახლოს წამოიზარდა ორი მისი შვილი (პ. იაშვ., 262). 2. და როცა მოვკვდე, იმას ვთხოვ ყველას, კოლხურ ვარდებში დამასაფლაონ (ლ. ასათ., 112). 3. როცა კარაბინი ხელში აიღო, გულმა არ მოუთმინა, ბეჭებზე მიიდო და სამიზნეს გახედა ისე, რომ ჩახმახისათვის თითი არ მიუკარებია (ო. იოს., 32). 4. რაწამს ვისმე დაინახავდა, მაშინვე რამდენსამე მანეთს ააგლეჯავდა, რომ თავისი პატივი და ღირსება დაეცვა (ა. ყაზბ., 73). 5. როგორც კი დილა გათენდებოდა, კითხულის კოშკისკენ მიდიოდა, რათა საკუთარი თვალით ერთხელ კიდევ ენახა, როგორ აღმართავდა მოსულის დანახვაზე მისი შვილი ხმალს (თ. ბიბ., 112). 6. ყოველთვის, როცა გუნდას ამოიღებდა და უკვე ცალფად დააწყობდა ვიწრო ფიცარზე, ეჩვენებოდა, რომ ცალად დარჩენილი დაფუკული გუნდები თავიანთ მეორე ნახევრებს უხმობდნენ უჩინარი ხელებით (ნ. ონაშ., 215). 7. ვიდრე ამ დღესასწაულის ცერემონიალს აღვწერდეთ, უნდა ითქვას, რომ ხელოსნის ხარისხის მიღწევისათვის საჭირო იყო ორი წინასწარი საფეხურის გავლა (ი. გრიშ., 37). 8. როცა ქალბატონს ღონემ უღალატა და დასუსტდა, მან ცახცახით გასწია თავის ოთახში, სადაც ძლივს მოასწრო ლოგინში ჩაწოლა (ა. ყაზბ., 185). 9. როცა მაღლა აიხედა, მანქანას ირგვლივ იმდენი ხალხი ერტყა, რომ ენა ჩაუვარდა (გ. ფანჯ., 53). 10. ვიდრე სოფელი გონს მოეგებოდა, იმ ადგილს გადავეემხე, სადაც პატარა გიორგი ბალიაურის ტყვიით განგმირული ხირჩლა მეგულებოდა (თ. ბიბ., 331). 11. ეს რომ გავიფიქრე, ისეთი სიცილი ამიტყდა, რომ სული ძლივს მოვითქვი (ნ. ონაშ., 46). 12. ვინც წაიკითხავს ღარიბულ ნაწერს, იტყვის, უგულოდ დაწერილს არ ჰგავს (მ. ლებ., 538). 13. როცა გავცქერი მტკვრის ტალღების შეწყობილ დენას, ვფიქრობ, რომ ქამს მოაქვს შენი მწველი ხელთნაწერები (ნ. სამად., 138). 14. როცა კოკისპირული წვიმა დაუშვა, მაშინ დაიჯერეს, რომ

ეს მეხისცემა იყო (ო. იოს., 59). 15. ქალების უეცარი კივილი რომ ატყდა, ბიჭი ანგარიშმიუცემლად შეტრიალდა, რათა გასასვლელი ეპოვა (ო. იოს., 62). 16. თათარყანი, რომელიც მათი ბელადი იყო, ამბობდა, რომ ქაოსს იმათთან რაღაცა დამოკიდებულება ჰქონდა (ა. ყაზბ., 176). 17. როდესაც ჩვენი მოგზაურობის მიზანს, სასტუმროს მივაღწიეთ, კარებთან წამოგვეწია ეტლი, საიდანაც გადმოხტა ვიღაცა ყმაწვილი კაცი (ა. ყაზბ., 208). 18. როცა მაგდა დაინახა, ისე გაიღიმა, თითქოს კაი ხნის ნაცნობს მოჰკრა თვალი (გ. ფანჯ., 45). 19. იქ, სადაც ხშირად ვისხედით ორნი, მწამს, რომ ფანჯრებთან იელვებს უცბად ამ ლექსის მაინც ერთი სტრიქონი (ნ. სამად., 157). 20. საითაც წავიდოდა ამხანაგებთან ერთად, ჩვენც იქით მივდევდით, რომ უფრო კარგად გაგვეგონა მისი ლაპარაკი და ფშაური კილო (კ. ყმა, 171). 21. როგორც კი ლოდები გამოილანდა, იქ, სადაც ვახომ მასრა იპოვა, ბილიკის პირას ქვის შეერილს მოეჭიდა და ჩაეშვა (ო. იოს., 14). 22. ცხენზე რომ შეჯდა, დაინახა, რომ გუა გამოქვეაბულის თავზე აღმართულს მწვერვალს ხევიდან მისდგომოდა (ო. იოს., 71). 23. ხელს როცა ეიშვერთ, მკლავი გვისმება, რომ არ შევეხოთ წარმავალობას (ნ. სამად., 169). 24. როდესაც ამ ფიქრსა და მზადებაში იყო, ერთი შუახნის კაცი შემოხვდა, რომელსაც სიმონი სიხარულით გადაეხვია (ა. ყაზბ., 76). 25. როცა ოთარმა ჯამი ხელში დაიჭირა, შეშინებულმა სტუმარმა გაიფიქრა, რომ ლიტრიანი მაინც იქნებაო (გ. ფანჯ., 25). 26. როცა ის ვნახე, მტკიცედ გადავწყვიტე, რომ გზად არასოდეს შევყროდი (თ. ბიბ., 199). 27. ჩემს ზურაბს რომ ორიანი დაუწერეს სკოლაში, ისეთი ჩხუბი ავტეხე, რომ მასწავლებლები შეშინებული წიწილებივით დაიფანტნენ (გ. ფანჯ., 107). 28. რაც უფრო უახლოვდებოდა სამშობლოს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ცოცხალს ველარ ჩაუსწრებდა (ო. ჭილ., I, 353). 29. როცა ქარისამ უცხოელი ისილა, მაშინვე დარწმუნდა, შვილებს რომ ველარ დააკავებდა (ო. ჭილ., I, 121). 30. კარს რომ აღებდა, მეგონა, რომ იქ გაიგებდა ჩემს გულისცემას (ნ. ონაშ., 53). 31. როცა ბაღის კუთხეს მიეფარა, ვიგრძენი, როგორ დაცარიელდა სამყარო (ნ. ონაშ., 153). 32. მიატოვა თუ არა აკაკიმ მშობლიური სახლი, მაშინვე გაეცნო ცხოვრების სინამდვილეს, რამაც მასზე უთუოდ იქონია ზეგავლენა (მოგ.

აკ., 281). 33. ვინც თეატრს გარეთ დარჩა, პროსპექტზე გამოეიდა, რომ პოეტისათვის თვალი შეევლო (მოგ. აკ., 72). 34. თუ მამადავითის მთაზე ახვალთ და გადახედავთ თბილისს, ნარიყალის ციხის კალთების გასწვრივ თქვენი მხედველობის წინაშე გადაიშლება ჩვენი დედაქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ძველი თბილისი ეწოდება (ი. გრიშ., 6). 35. როცა თეიმურაზ და ლიდია შინ მივიდნენ, დაინახეს, რომ აღშფოთებული მამა ქალისა აივანზე იჯდა და ჩაფიქრებულიყო (ა. ყაზბ., 51). 36. როდესაც ოპერატიული შეკრების დრო დადგა, ლევან ხიდაშელმა უკვე კარგად იცოდა, მარტენის საამქროს რვაევე ღუმელში რა ხდებოდა (გ. ფანჯ., 247). 37. ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი (აკაკი, 138). 38. როცა მთაწმინდას ეუმზერ ხოლმე, ასე მგონია, შენი ძეგლია აღმართული საქართველოში (ნ. სამად., 138). 39. მას, ვინც ურჩევდა თავადსა ძმობა ჰქონიყო გლეხთანა, სწამდა, რომ ამით ძალასა შეიმატებდა ქვეყანა (ვაჟა, 88). 40. როდესაც ხალხი სულ გაჩუმდა და გაიწია, ვაჟამ წაიკითხა ეს ლექსი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია (კ. ყმა, 198). 41. ვიდრე ავადმყოფი ვაჟა ჩემს ბინაზე იწვა, შემოვიდა ერთი კაცი ფოსტაში, სადაც მე ემსახურობდი (კ. ყმა, 335). 42. მამას, რომელიც შიოს დიდი მეგობარი იყო, სოფლიდან ჩამოჰქონდა ის, რაც ჩვენ შესანახად საჭირო იყო (კ. ყმა, 134). 43. როცა მოვბრუნდი და ერთი წამით ისევ გავიხედე, იქ, სადაც სოფელი მეგულებოდა, მხოლოდ ქედის წვერი იყო და მზით განათებული ლურჯი ზეცა (თ. ბიბ., 30). 44. ძაღლები რომ გარეკეს, რამდენიმე ბიჭი კარებზე დააყენეს ჯოხით, რომ აღარ შემოსულიყვნენ (აკაკი, 101). 45. როცა საღამოს არაოფიციალური ნაწილი დასრულდა, ქიურის სხდომა გახსნა აკაკიმ, რომელსაც გადასცეს დევიზიანი კონვერტი გასახსნელად (მოგ. აკ., 12). 46. მგოსნის მშობლიური მხრიდან საჩხერელები რომ ესალმებოდნენ, სცენაზე შემოიტანეს მგოსნის აკვანი, რომელსაც თან შემოჰყვა მგოსნის ძიძიშვილი (მოგ. აკ., 73). 47. რა იცოდნენ ვაჟას ახლობლებმა და გულუხვმა მასპინძლებმა, რომლებმაც ვაჟა საპატიო სტუმრად მიიწვიეს ორთაჭალის ბაღში, რომ ეს სტუმარმასპინძლობა უკანასკნელი იქნებოდა (კ. ყმა, 29). 48. როცა დეიდა ნინო ამას

ამბობდა, ელენეს მოეჩვენა, რომ რატომღაც მუშტრის თვალით გადმოხედა რამდენჯერმე (რ. ინან., 119). 49. რაც შენ თქვი, ეგ მე მაშინ უნდა მეთქვა, როდესაც ღვინოს ვყიდულობდით (რ. ინან., 66). 50. როცა გამომეღვიძა, მაშინ მომაგონდა, რომ ჩვენ ერთი ნამცეცი პური არ გვქონდა (ილია, 434). 51. ჩემო ვარდო, სანამ შენ გაგიცნობდი, ერთი კაცი არ მყოლია, რომ შემე-ჩივლა ჩემი გულის დარდები (დ. ჭონქ., 7). 52. სახლი, რომელიც ორსართულიანი იყო და ძირა სართულში ჩვენ ვიწექით, ისე შეინძრა, რომ თითქოს თავზედ უნდა დაგვენგრეოდა (კ. ყმა, 157). 53. როცა ამ ადგილს დავუპირისპირდით, აკაკიმ გაიხსენა გადმოცემა, რომ ვითომ აქ დავით აღმაშენებელს სანადიროდ ეწვივნენ შვიდნი მეფენი (მოგ. აკ., 361). 54. როდესაც იგი დას-ნეულდა, მოვათავსეთ სათავადაზნაურო გიმნაზიის საავად-მყოფოში, შენობაში, სადაც ახლა ჩვენი უნივერსიტეტია (კ. ყმა, 106). 55. რომ მოვკვდები, მერე გაიგებს ჩემ ფასსაც და იმასაც, თუ რასაც ვჯღაბნით (კ. ყმა, 79). 56. დიდი ხნის წინათ, როცა ომიდან დაბრუნდა და ოჯახში მოტრიალდა, ჯიღაურმა თავის თავს უთხრა, რომ ადამიანი ამქვეყნად უბრალო ადამიანური ბედნიერებისათვის არის გაჩენილი (თ. ბიბ., 406). 57. როცა ათას შვიდას გრადუსზე ადუღებულ ფოლადს შესცქერი, გაო-ცებს, თუ რა შეუძლია ადამიანს (გ. ფანჯ., 227). 58. იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებითაც, რაც მაინც ჩაესმოდა ყურში, მიხ-ვდა, რომ არჩილს რაღაცას უკითხავდნენ (გ. ფანჯ., 504). 59. ყვე-ლას, ვისაც კი ბედი თუ განზრახვა ვანისკენ აქნევინებდა პირს, ერთი სული ჰქონდა საკუთარი თვალით ენახა, რაც ამბად გაეგონა (ო. ჭილ., I, 12). 60. როცა ვაჟამ შეიტყო სულხანიშ-ვილის სურვილი, იქვე დაწერა პატარა ლექსი, რომელიც კი-კუშამ იმავე საღამოს შეასწავლა გუნდს (კ. ყმა, 122). 61. იქი-დან თბილისში რომ ვბრუნდებოდი, ლუკა გზაზედ შემხვდა და სოფელში მიმიპატიჟა, სადაც მასწავლებლად იყო (კ. ყმა, 158). 62. რაკი აკაკის ჩამოსვლა გავიგეთ, დარწმუნებული ვიყავით, რომ წარმოდგენას უსათუოდ დაესწრებოდა (მოგ. აკ., 82). 63. ჩარ-გალს რომ ჩამოვსცდით, ვაჟამ მიჩვენა ერთი ადგილი ჩარ-გლის გორზე, რომელიც არაგვს დაჰყურებს (კ. ყმა, 372). 64. რო-ცა მირანდამ მის მშვიდ, ნათელ თვალებს შეხედა, იმ წუთში მიხვდა, რომ ნათიამ ჯერ არაფერი იცოდა (გ. ფანჯ., 385). 65. რო-

ცა ლევანი ღამის ცელაში გადიოდა, მარინე მშობლებს ესტუმრებოდა ხოლმე, რადგან ღამე მარტო ყოფნა ეშინოდა (გ. ფანჯ., 388). 66. სანამ ამ დასკვნას გაგაცნობდე, ჩვენი გრიშა ვადღეგრძელოთ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩემი თეორიის ექსპერიმენტულ ნაწილში (გ. ფანჯ., 652). 67. როდესაც ხელი წავავლე, ვიგრძენ, რომ სიცხე ჰქონდა (კ. ყმა, 388). 68. ღმერთებს რომ არ შეესმინათ ქარისას ლოცვა-ვედრება, მაშინ თვითონ მოკვდებოდა, რადგან ვერ აიტანდა ასეთ ცხოვრებას (ო. ჭილ., I, 86). 69. ეინც ხელის გამოცნობა იცის, დაინახავს, რომ ამერიკელის მჭნარი, მაგრამ მაინც ფუნჩულა ხელი ნაჩვევია ბაჯაღლო ოქროების გადალაგებას (გ. რობაქ., 312). 70. ვეზირი რომ მივიდა სურამს, იმავე დღეს გასცა ბრძანება, რომ იმავე დღეს ძველი საძირკველი ყოფილიყო სულ ამოყრილი და საძირკველი ამოთხრილიყო კიდევ ორ ადლზე (დ. ჭონქ., 72). 71. დურმიშხანმა რომ დაინახა ეს, თავზარი დაეცა, დარწმუნდა, რომ სახლში მომხდარიყო უბედურება რამე (დ. ჭონქ., 77). 72. მამიდა ყამარი რომ მოკვდა, მედეას არც გაჰკვირვებია და არც ძალიან დასწყვეტია გული, რადგან ესეც ყოვლისშემძლე მამიდის სურვილად ჩათვალა (ო. ჭილ., I, 44). 73. როცა არ უნდა მისულიყო ფრიქსე, ცეცხლის კედელი გაიპობოდა და მაშინვე სიტყვის უთქმელად გაატარებდა, რადგან ამ ქვეყნის მეფე-დედოფალი მისი მშობლები იყვნენ (ო. ჭილ., I, 148). 74. როცა ბილიკს მიუახლოვდა, ძირს ჩაიხედა, სადაც ბასყა ეგულებოდა (ო. იოს., 51). 75. როცა თქვენთან ვსაუბრობ, მავიწყდება კიდეც, რომ ავადმყოფს ველაპარაკები (გ. ფანჯ., 641). 76. და დაფანტულმა თავთავებმაც როცა დაგტოვეს, როდესაც მიწყდა წყლის ზედაპირზე მათი ლივლივი, შენ უსათუოდ, უსათუოდ მაშინ იგრძენ, რომ ერთადერთი ნატვრის თვალი შემოგრჩენოდა (ი. ჯოლბ., 72). 77. როცა ბაგრატიონების ტახტი ურემზე დაუდეს და პეტერბურგისკენ გაუყენეს, გაუსარდა კიდეც, რადგან იმ ტახტმა ისიც თან გაიყოლა (ო. ჭილ., II, 68). 78. საღამოს შინაურები წვიმამ ადრიანად რომ მოლალა, ნახეს, როგორ იწვა ტახტზე ნინუცა გასწორებული, გულხელდაკრეფილი, თვალდახუჭული (ნ. ონაშ., 222). 79. ეს შფოთიანი მონოლოგ-დიალოგი რომ დავამთავრე, უცებ ცხოვრება ისე უიმედო და სევდიანი მეჩვენა, რომ ცრემლი ძლივს

შევიკავე (ნ. ონაშ., 113). 80. როცა მე დავბადებულვარ, ისეთი ხმით მიჭექია, რომ ჩემი ხმა მეორე სახლში გაუგონიათ (კ. ყმა, 13). 81. როცა სიმღერა დასრულდა, მიიჭრა სულხანიშვილთან და გადაჰკოცნა იმ მშობლიურ ჰანგებისათვის, რომელთაც ჰქონდათ გამოძახილი ვაჟას გულში (კ. ყმა, 227). 82. ვინც გასცნობია დიდ ადამიანთა ცხოვრებასა და თავგადასავალს, თუნდაც მათი ბიოგრაფიის წაკითხვის საშუალებით, დამერწმუნება, რომ ისინი ნაკლებად ჩამოგავან ჩვეულებრივ მოკვდავთ (მოგ. აკ., 42). 83. როცა კი შემხვდებოდა, ისე სიტყვას არ მეტყოდა, რომ არ წაეექეზებინე (მოგ. აკ., 233). 84. როდესაც კაცი აღტაცებასა და სიამოვნებაშია, მაშინ აგონდება ყოველივე, რაც სიცოცხლეში ტკბილი და სანეტარო უგემნია (ა. ყაზბ., 47). 85. რადგანაც შეყვარებულები კალოზედ იდგნენ, უცნობი კედლის პირიდგან ისე მიეპარა, რომ ტრფიალებით გატაცებულებს უცნობის მოახლოება ვერ შეემჩნიათ (ა. ყაზბ., 154). 86. მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის ან სარწმუნოება მეცნიერებისათვის (ილია, 930). 87. როცა ამ საკითხს მივაწყდებით ხოლმე ძალაუნებურად, მარტო მაშინ ვხედავთ, რომ ხსენებული სიტყვები ჩვენში ცარიელი სახელებია უსაგნო, ნაჭუჭია უგულო, ფრაზაა უსაქმო (ილია, 646). 88. როცა ცენზურისაგან რედაქციაში საცენზურო ფურცლები დაგვიბრუნდა, აღმოჩნდა, რომ ლუკას ამ ლექსში დასაწყისი სიტყვა ამოეშალა (კ. ყმა, 38). 89. ახლა, როცა ვაჟას პირად ნაცნობობასთანაც წლების გრძელი გრეხილი მაშორებს, მაინც არ შემიძლია ვაჟა-ფშაველას გახსენება ისე, რომ ის საღამო მეხსიერებაში არ გადაიშალოს (კ. ყმა, 345). 90. როდესაც უნივერსიტეტი გავათავე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ ხშირად ვხვდებოდი აკაკის კერძო ოჯახებში და ნამეტნავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში, რომელიც იმხანად ერთ მოზრდილ ოჯახს წარმოადგენდა (მოგ. აკ., 201). 91. როცა მივიდოდი, ისე მიმიღებდა, როგორც კარგი საყვარელი მამა მიიღებს შვილს (მოგ. აკ., 222). 92. როცა ფიქრმა უფრო მეტად შეაღონა, ჯიღაურმა ბებერ თოთიას დაუძახა, რადგან თავის საფიქრალს სხვას ვერავის

გაუმხელდა (თ. ბიბ., 372). 93. ინათა თუ არა, მედეამ უკვე იცოდა, უცხოელს რომ უშველიდა (ო. ჭილ., I, 129). 94. როგორც კი შედგა ფეხი მამისეულ სახლში, მაშინვე მიხვდა, რომ უხეირო იქ არ იყო (ო. ჭილ., I, 370). 95. თუმცა დედა ჩემთვის საუზმეს ამზადებდა, ავდეგ და მოვუარე, სადაც რამე საცუცნარი მეგულებოდა (ვაჟა, 261). 96. პაერი დვრიტით რომ გაიქღინთება, უცებ იგრძნობ, რომ ფრთები შეგესხა (ნ. ონაშ., 234). 97. ერთ დღეს ვაჟასთან რომ შევედით მე და სანდრო, იქ დაგვხვდა ჩვენი ახალგაზრდა მგოსანი სანდრო შანშიაშვილი, რომელსაც მოეყვანა მხატვარი (კ. ყმა, 195). 98. როცა ყოფჩაში მოვიდოდა, ისე არ დაბრუნდებოდა, რომ ლეგენდარული სახალხო გმირის, გოგოთურის სახელი არ ეხსენებინა (კ. ყმა, 226). 99. როცა დროს ვიხელთებდი, უნდა გავქცეულიყავ იქ, საცა ჩემი საგრფო მეგულებოდა (ვაჟა, 329). 100. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია (ვაჟა, 338). 101. როგორც კი ძაფი შემოაკლდებოდა, ისეთ ჭექაქუხილს ასტეხდა, რომ მათი სახლის წინ შემთხვევით ჩავლილი მგზავრი ცას ახედავდა ხოლმე (ო. ჭილ., I, 190). 102. როცა ადამიანს სჳრს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, თუ რამდენი მთქმელი ან მწერალი ჰყავსო (ილია, 926). 103. შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა (ილია, 925). 104. ვინც წაიკითხავს ღარიბულ ნაწერს, იტყვის, უგულოდ დაწერილს არ ჰგავს (მ. ლებ., 538).

***§ 107. ორი ან მეტი ერთგვარი დამოკიდებული წინადადება მთავართან.*** 1. როცა კორტოხებზე მზეა ოქროსფერი, როცა შემოდგომა წითელ-ყვითელს გაიხდის ჩითებს, როცა ქორწილების თვეა — ოქტომბერი, ჩვენ თვალს ვაყოლებთ სამხრეთისკენ გაფრენილ ჩიტებს (მ. ლებ., 501). 2. ყველაფერი სწორედ მაშინ მოხდა, როცა კაცს მოსწყინდა ამ ამაღლებულ

ადგილზე დგომა, როცა ყველაფერს მიხედა, როცა ფხიზელი თვალით განჭვრიტა მთელი ცხოვრება (თ. ბიბ., 308). 3. დედაკაცი ახლავე ისევ იქ უნდა წავიდეს, საიდანაც წამოვიდა, სადაც ამდენი ხანი იცხოვრა, სადაც ღვთის განგებით სიკვდილს უნდა შეხვედროდა (თ. ბიბ., 460). 4. ერთი წამითაც არ მოუშორებია ცხოვრებას თვალი ამ ორი ბედნიერი ბავშვისათვის, ციყვებივით რომ დაძვრებოდნენ ხეებზე, ყიჟინით რომ ეგებებოდნენ ზღვის აქოჩრილ ტალღებს (ო. ჭილ., I, 225). 5. გიორგი აშკარად დარწმუნდა, რომ იმისი მეგობარი მეტისმეტად მწარე მდგომარეობაშია, რომ მის გულში ნამდვილი სიყვარულის გრძნობა აღგზნებულა (ა. ყაზბ., 33). 6. როცა დილით ოთახში მზემ კედელზე ფანჯრის ჩარჩო გამოსახა და შიგ ვარდებით სავსე საყვავილე ჩახატა, როცა კაშკაშა შუქმა ქუთუთოებში ფერად რგოლებად გამოკონა, ძალიან გამიჭირდა ცივ სინამდვილეში გადასახლება (ნ. ონაშ., 167). 7. მან თავისებური ღიმილით მითხრა, რომ ლექსი მოეწონა, რომ მე ქართული ენა მემარჯვება, რომ შეიძლება მომავალში მწერალი ქალი გამოვიდე (მოგ. აკ., 318). 8. კოლხიდაში, სადაც მწვანე აფრებივით ელავს დაფნა, სადაც მწიფე ნარინჯები იღვრებიან ყვითელ თაფლად, სადაც ხარობს ევკალიპტი, მედიდურად ჰყვავის ნუში, მის ქალაქში, ნავსადგურში, მთელ კოლხიდის შუა გულში, დგას ტაძარი მაღალ გრძნობის (პ. იაშვ., 216). 9. და როცა სუფრას აღარ შერჩა ერთი კაციცა, როცა ლავაშით დახურული სეფაც დაიქცა, როცა დაიმსხვრა სასმურები და დაილია, მაშინ გულბაათ ჭავჭავაძე გადაირია (ლ. ასათ., 86). 10. შუა მდინარეში თავჩაქინდრული, დარცხვენილი და შეშინებული გოგო მოცურავდა და მალულად აქეთ-იქით იყურებოდა, გასაქცევს ეძებდა, ვიდრე ისევ შოლტს არ გადააწნავდნენ, ვიდრე კინჭუტს არ შეუჩიჩხინებდნენ, ვიდრე თმაში არა სწვდებოდნენ (თ. ბიბ., 59). 11. ახლა მორჩილად ველოდი, როგორ დამსჯიდა ამ ცოდვისათვის კაცისავე ხელი, როგორ წამოვიდოდა ეს ზღვასავით სოფელი, როგორ გადმომიღებდა ყორედან და თვალის ერთ დახამხამებაში გადამქელავდა (თ. ბიბ., 143). 12. და აღიარე, რაც ყველამ იცის, რაც ჩუმად ცხოვრობს შენში (ო. ჭილ., I, 580). 13. სადაც წიგნის წყდება ბედი, სადაც ჩვენთვის მსახურობთ, მობრძანდებით თეთრი ლედი (მ. ლებ., 276). 14. როცა ცივად კიბეზე ვხედებით,

როცა საერთო ჩვენს კიბეზე შეხვედრით ვკრთებით, შენც, შენც ჩემსავით ქვეყნურ ბოღმას ღიმილით იქრობ (მ. ლებ., 253). 15. ყვავილთა ახალი წელი მაშინ იქნება მხოლოდ, როცა ეს ციეი ზამთარი გაქრება საბოლოოდ, როცა დადგება მაისი, ქუჩუნა წვიმა დაუშვებს, როცა პირიდან ვეშაპი მზეს დატყვევებულს გაუშვებს (ვაჟა, 84). 16. ისევ მოვესწარი აქაურობის ნახვას, ისევ მოვედი იმ ადგილზე, სადაც აღმომაცენე, სადაც ინებე ჩემი ძეხორციელად შექმნა, სადაც ჩამიდგი სული (თ. ბიბ., 83). 17. ეს ჯილაურს სჯეროდა მაშინაც, როცა ნაძმობის უკუღმართობა გაიგო, მაშინაც, როცა ქალს ყველაფერი მიუტევა და შინ მიიყვანა, მაშინაც, როცა ანჯიქოს თავადვე გამოუტანა სოფლიდან მოკვეთის განაჩენი და მაშინაც, როცა სოფელი ნელ-ნელა აიყარა და ჯილაური მარტო დარჩა (თ. ბიბ., 407). 18. ეელარავინ დამაჯერებს, რომ იმ სასაფლაოზე არ თხრიდა საფლავს მტრის შემოსევის გამო უკაცოდ დარჩენილ სოფელში მოხუცი სანათა, რომ იქ არ ხდიდნენ ლუდს მტერზე გამარჯვების შემდეგ (კ. ყმა, 242). 19. მას უყვარდა, როცა ყველა ნერვი ემორჩილებოდა, როცა ნერვების სამართავი ღილაკები მხოლოდ მისი თითის დაჭერას ელოდა (გ. ფანჯ., 510). 20. სძინავს, ფიქრებს ალამაზებს და სიზმარში ხედავს, რომ მის ბებერ გალავანზე არწივები სხედან, რომ კვლავ ისმენს ძველთა ველთა ნიავ-ქარის ნანას, რომ მის ბებერ საძირკველთან ქართველები დგანან (ლ. ასათ., 54). 21. ახლა, როცა ყველაფერი ასე შორს დარჩა, როცა ჩემს ცივ სენაკს მკრთალად ანათებს სანთელი, როცა ყველაფერს ამოდენა დრო მაშორებს, იმ ბედნიერი ღამიდან ყველაზე უფრო ცხადად სწორედ ის გრძელი ხანჯლები მახსენდება (თ. ბიბ., 28). 22. ახლა, როცა იმ ამბის მერე დიდძალი დრო გასულა, როცა ჩემს წინ აღარც სოფელია და აღარც კითხულის კოშკი, როცა მარტო სანთელი იღვენთება, მე მაინც იმ წუთზე ვფიქრობ (თ. ბიბ., 10). 23. მაგრამ მე მაინც ღმერთს მივაწერე, რაც ვერ შევძელი, რაც ვეღარ ვზიდე (ო. ჭილ., I, 56). 24. მას მადლობა ვუთხრათ, სულ რომ არ წაგვართვა მისი თავი, სულ რომ არ დაგვიქცია ოჯახი (ო. ჭილ., II, 190). 25. მამა ხედავდა, რომ მისი ერთადერთი შვილი იყო მამაცი, გულადი, რომ მას უყვარდა თავისი მამული და თავისუფლება (ა. ყაზბ., 166). 26. ფიქრის თვალით დავინახე, როგორ ამოალა-

ჯა კიბის ორივე საფეხურზე ერთად, როგორ დაიხარა ამსიგრძე კაცი ძია სერგოს საკოცნელად (ნ. ონაშ., 52). 27. დამთრგუნველი შიში მთელი საშინელებით მაშინ გაცხადდება, როცა უკვე უკან რჩება, როცა აღარ არის, როცა მოგონებაშიღა გაიელვებს (თ. ბიბ., 274). 28. მთელი სამი თვე მოუთმენლად ელოდა, როდის დადნებოდა ხნულზე გადაფარებული თოვლის საბანი, როდის ამოვიდოდა ჯეჯილი (თ. ბიბ., 359). 29. ის თავისი ოცნების ქვეყანას ხედავდა, იმ სამყაროს, სადაც ადამიანს არა ნთქავს ცხოვრების თავბრუდამხვევი რიტმი, სადაც მინდვრის ბალახის სურნელებით თვრები, სადაც სახლობს მყუდროების ღმერთი (ნ. ონაშ., 233). 30. სიხარული ამიტანს რაღაც, რომ ერთი კვირა აჭარისტანში მე არ მივლია უსაქმო აღად, რომ ჩამოვედი საქმის კაცებთან და მათთან ძმური გავწიეთ ჯაფა, რომ ამ დღეებში მე მიტაცებდა მუშაობაში ხარივით ჩაბმა, რომ ვარ ნამდვილი ხალხის პოეტი მდგარი მიწაზე ორივე ფეხით (პ. იაშვ., 149). 31. მაგრამ მაშინვე გრძნობდა სტუმარიც, რომ სახლის კედლებს რაღაც სტკიოდათ, რომ ამ თბილ პურშიც და სასთუმალშიც ცრემლის მარილი გამოსჭვიოდა (ო. ჭილ., II, 450). 32. დაგახსომდება კაცი ვერაგი, ვინც შეწყნარებაც ვერ გაგიბედა, ვინც ამ ხრიოკებს ყნოსავდა მარად, ვით ტყის ნადირი, ვით საყდრის გლახა, ვინც მთებს ზევიდან მოსდევდა ბარად, რომ გზებს შეყროდა და ევაგლახა (ნ. სამად., 91). 33. მე გამოვამზევე ის უცნობი კუთხე, რომელიც ნელინელ დავიწყებას ეძლევა, რომელმაც არაერთი პოეტის შთაგონება აამღელვარა (ი. გრიშ., 180). 34. მე ამ მახვილით შემეძლო დამეთრგუნა ყველა, ვინც გოგოს დაჩაგრავდა, ვინც კვლავ გაბედავდა და ძაღლებს მიუქსევდა (თ. ბიბ., 70). 35. ახლა, როცა ცოლისძმის გამოჩენამ კვლავ დაურღვია სიმშვიდე, როცა ვეღარც სახნავში გადადიოდა და ვეღარც ბიჭის დანახვა ჰგვრიდა ძველებურ ღიმილს, ჯიღაური ხშირად ჯდებოდა ბუხრის ძირას (თ. ბიბ., 355). 36. მადლობელი ვარ, რომ გამამხილე, რომ დამაყენე წმინდანის ჩრდილში (მ. ლებ., 189). 37. მისთვის სულერთი იყო, რაც უნდა მომხდარიყო, რაც უნდა ენახა, რაც უნდა მოსვლოდა (ა. ყაზბ., 64). 38. რაც ვნახე, რაც გავიგონე, გულსვე ეხუროს ქუდადა (ვაჟა, 166). 39. მას გაახსენდა ის დრო, როცა გაიწვიეს და სადგურზე საოცრად მოუსვენარი და

ცქრიალა ალმა აცილებდა, როცა წასვლის ზარი დაჰკრეს და ვალტერი ვაგონისაკენ გაემართა (ო. იოს., 116). 40. აბა, მხოლოდ იმიტომ ხომ არ გააჩენდა შეილს, გამხსენებელი რომ ჰყოლოდა ამ ქვეყანაზე, უკვალოდ რომ არ გამქრალიყო მისი ხსოვნაც (ო. ჭილ., II, 93). 41. სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება, რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი, რაშიაც იყო მის დიდება, პატიოსნება (ილია, 117). 42. ამგვარი იყო კითხ-ული ჩემს ფიქრებში, როცა ლაშქრობიდან დაბრუნდა, როცა ლხინს თავმიცემულმა სოფელმა არა უწყოდა (თ. ბიბ., 165). 43. ასე უბრალოდ ის იღიმება, ვინც გუშინ გააღო შენი სახლის კარი და კარის ზღურბლზე გადმოაბიჯა, ვინც დიდი ხანია გიცნობს (თ. ბიბ., 276). 44. ერთ დღეს კი მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა, რამაც მთელი ქალაქი ერთხელ კიდევ ააფორიაქა, დააბნია (ო. ჭილ., I, 496). 45. აი, სურათი იმდროინდელი, როცა ვეტრფოდი მე ჩემს ზემფირას, როცა ფიქრებით გარემოცული ეხეტიალობდი შავი ზღვის პირას (ლ. ასათ., 33). 46. ფიქრობს, არავის უამბოს, რაც ნახა, რაცა სმენია (ვაჟა, 163). 47. არა თუ ხორცი, ძვალიც ჩემი როცა დამიწდეს, კავკასიონის მწვერვალები როცა ავერცხლდეს, „თენდება, პაპავ" ჩამომძახო, არ დაგავიწყდეს (მ. ლებ., 158). 48. ქალისთვის სიცოცხლე იმ წუთიდან დაიწყო, როცა მისი სენაკის კარი ამ კაცმა შეაღო, როცა სიბნელეში მისი თვალების ელვარება დაინახა (თ. ბიბ., 209). 49. ერთ ღამეს, როცა ძილი არა და არ მიეკარა, როცა არც ცოლს ეძინა და გულის კანკალით ელოდა ქმრის ფეხზე წამოდგომას, ჯილაური უცებ წამოიჭრა სამფეხა სკამიდან (თ. ბიბ., 356). 50. რაც უფრო ხანში შედიოდა აკაკი, რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას, მით უფრო მეტი სილამაზით იმოსებოდა მისი გარეგნობა (მოგ. აკ., 491). 51. მას სჭირდებოდა უფროსი ქალი, რომლისთვისაც უნდა მიებაძა, რომლისგანაც უნდა ესწავლა ყოველივე აუცილებელი (ო. ჭილ., I, 178). 52. სხვათა შორის თეიმურაზმა უამბო, როგორ დაეცა ერთხელ ჯარი ქისტების ერთ სოფელს, როგორ გამოუცვივდნენ მტერს დედაკაცები ცელებით, როგორ დასდეს ყველამ თავი სოფლისათვის (ა. ყაზბ., 48). 53. ყარაულში გადიოდნენ ისინი, ვისაც ეს სჭირდებოდა, ვისაც რაღაცის დაკარგვა არ უნდოდა (ო. იოს., 66). 54. ჩვენ ხმაამოუღებლად

გავიდოდით სოფლიდან, როცა ციხე-კოშკები თავს ძილს მის-ცემდნენ, როცა მთელი სამყარო სიჩუმეში გაეხვეოდა (თ. ბიბ., 25). 55. ერთ ზამთრის ღამეს, როცა გარშემო თოვლი იდო, როცა სოფელში არავინ იცოდა დრო რითი მოეკლა, კითხულის რისხვამ გრგვინვასავით დაუარა სოფელს (თ. ბიბ., 21). 56. ვი-ცოდი, რომ სისხლი დაიღვრებოდა, რომ უსისხლოდ არ დამ-თავრდებოდა ჩვენი შეხვედრა (ო. ჭილ., II, 360). 57. და გროვ-დებოდა წიგნში ხვალისთვის, რაც უხილავი იყო თვალისთვის, რაც მიჰქონდა და მოჰქონდა მთვარეს, ანდა უეცარ წვიმებს და ქარებს, რასაც ხეები ამბობდნენ ძილში (ო. ჭილ., II, 531). 58. რა შეედრება, როცა სვანეთში მატარებელი ატორტმანდება, როცა კახეთის დაზვირთულ ზვარებს ველარ აუვა ჭურჭელით გლეხი, როცა გასედავ ლიახვის მხარეს ნაღდი ნაყოფით დატვირთულ ხეხილს (პ. იაშ., 151). 59. ეს ის წლები იყო, როცა კრიტიკა ვა-ჟასკენ შემობრუნდა, როცა ჩვენმა საზოგადოებამ გაიზიარა დიდი ილიას დებულება ვაჟას მაღალი ტალანტის შესახებ, როცა დაიწყო მისი ხოტბა, მასზე ლექციების კითხვა, მისი მი-წვევა საღამოებზე (კ. ყმა, 355). 60. ვაჟკაც იგია, ვინც მართალს ეტყვის ქვეყანას მცდომსაო, ვინც არ შეუდრკა მრავალსა ხშირად მართლისთვის მწყრომსაო, ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის და პირში უდგას ლომსაო (ილია, 90). 61. ასეც უან-დერძნიათ ჩვენ მამა-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვიათ, რომელთ ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვ-ლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა (ილია, 860). 62. ამგვარ შიშზე ფიქრობდა გიორგი ბალიაური მაშინაც, როცა ჯერ არ იყო ის კაცი აქ, როცა მანგია ბალიაურს ჯერ ისევ სული ედგა (თ. ბიბ., 102). 63. გოგო გამოჩნდა, როცა ყველა იმედი გადამეწურა, როცა მზე ჩავიდა და ბინდმა დაი-წყო შემოსვლა (თ. ბიბ., 64). 64. როდესაც მაღალ ქარხნის მილიდან იფეთქებს გუნდი შავი შაშვების, როდესაც გახვალ ხალხში დილიდან და დაგხვდებიან გზაში ბავშვები, მდინარეე-ბის ყოველი წვეთი გადაიქცევა წკრიალა შუქად (პ. იაშვ., 150). 65. აგერ სიოშის ტყეიები წაიღოს და სადღაც ხევში გადაგდე-ბული კარაბინი მოძებნოს, სანამ დროა, სანამ შეიძლება მტრის კვალს კიდევ მიაგნოს (ო. იოს., 32). 66. ვისაც შეეძლო წიგნის კითხვა, ვისაც შეეძლო ლექსის დასწაელა, თავის თავს

მოვალეღ სთვლიდა (ი. გრიშ., 109). 67. მეც მათრთოლებდა წინაპართა ძეგლების სუნთქვა, მუდამ მინდოდა, რომ იმათი ხვედრი მეწვენია, რომ ეს სიცოცხლე ოშკის ხატში მზეარათ შემეთქვა და ჩემი სისხლი სვეტიცხოველს ამოერწყია, რომ თვალხუჭუნას თან წამეღო მწყემსის სტვენა, ბნელ ორღობეში ეფარფატათ ციცინათელებს (ნ. სამად., 148). 68. ეს იქამდე გახვევს თავზე თავის ძალაუფლებას, სანამ თვალი აგეხილება, სანამ გონება გაგეხსნება, სანამ არჩევანის უნარი მოგეცემა (ო. ჭილ., II, 415). 69. მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა, ვისაც სახელი შორს გაუვარდა, ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა (ლ. ასათ., 61). 70. ვინც კი იარაღს ატარებს, გულითადია მეფისა, ვინც დროშას გორგასლიანსა დაუჩოქა და შეჰფიცა (ლ. ასათ., 94). 71. რაც უფრო დაშორდებით ბავშვობას, რაც უფრო შორს წავალთ, საკუთარ თავსაც ვუღალატებთ (თ. ბიბ., 97). 72. ასე გარბის ხოლმე გაუხედნავი კვიცი, ვიდრე თავიდან და ბოლოდან არ დაუყვებიან, ვიდრე სირბილში ქანცს არ გამოაცლიან, ვიდრე ბოლოს ხელს არ სტაცებენ (თ. ბიბ., 25). 73. მზე რომ ცაზე გაივაკებს, თორმეტი რომ შესრულდება, სათითაოდ, წყვილად, გუნდად გამოდიან სალაყბოზე (მ. ლებ., 466). 74. გვღუპავს ის, რომ არ გვცალია, რომ ამაზე არ ვფიქრობთ (ო. იოს., 250). 75. აქედან ვნახე ჩვენი ადგილი სოლჭა, სადაც ბუდე მაქვს გაკეთებული, სადაც შენ გაგზარდე (ვაჟა, 273). 76. დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს (ლ. ასათ., 8). 77. ეჰ, რა იქნება, ხელახლა დაიწყებოდეს თავიდან, რაც დროის დენამ შელახა, რაც დროსთან ერთად წავიდა (ლ. ასათ., 47). 78. ვიდრე გონს მოვიდოდით, ვიდრე ფიქრში წასული, დაყურსული სოფელი რამეს გვეტყოდა, ჩემი მეგობარი კვლავ მოახტა ცხენს (თ. ბიბ., 30). 79. როცა იფეთქებს ჩემი ნალმი, როცა გაგრიყავს ჩემი ნაპირით ყელმოღერებულ გვირილების მსუბუქი ტალღა, ნუ დაუწყებ ჩემს სიტყვებს თრევას (ი. ჯოლბ., 97). 80. ნამდვილად მომხდარს და საკუთარი თვალით ნანახს ისიც დაემატა, რაც არ მომხდარა, რაც სოფელს თვითონვე მოეჩვენა, რაც ყოველ ამბავს საფანელივით ჭირდება (თ. ბიბ., 280). 81. ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ

დუღილში მიუგდია ზედაპირზედა (ილია, აზრ., 69). 82. სად გაქრა ის, ვინც ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, ვინც იმ სოფელში წაეიდა და ბანი-ბან იარა (თ. ბიბ., 282). 83. როცა ვაჟა სცენაზე გამოიყვანეს, როცა მან თავისებურად წაიკითხა „არწივი", როცა მას დაფნის გვირგვინი მიართვეს, ხალხის აღფრთოვანებამ და აღტკინებამ, მქუხარე ტაშმა და ვაშას ძახილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (კ. ყმა, 28). 84. აგური მყარად, საფუძვლიანად იდო იქ, სადაც ანა დებდა, სადაც ანამ მიუჩინა, უფრო სწორად, სადაც თვითონ დაიმკვიდრა ადგილი (ო. ჭილ., II, 237). 85. ნიკო და ალექსანდრე უკვე თაკილობდნენ ბავშვობას და ძაღლებივით დასტრიალებდნენ დას, აივნის რიკულებში რომ არ გამძვრალიყო, ძირნაყარი თუთა რომ არ ეჭამა, ეკალზე რომ არ გამოეგლიჯა კაბა, გუბეში რომ არ ეჭყუმპალავა (ო. ჭილ., II, 159). 86. ისინი სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ ყველაფერს, რასაც უფროსები ავალებდნენ, რასაც უფროსები მოითხოვდნენ მათგან (ო. ჭილ., II, 165). 87. ნიაღვარი უკვე გადმომსკდარიყო და ახლა სოფლის შველა აღარავის შეეძლო, ვიდრე ლაშქრობა არ მოხდებოდა, ვიდრე ალაფს არ მოიძეეღნენ, ვიდრე ეს პერანგჩამოლლეტილი მჭედელი თოფ-იარაღს არ ჩაიგდებდა ხელში (თ. ბიბ., 137). 88. გადაუტყდეს თოხი ტარში და მოისრას კოხითა, ვინც მოვიდეს კოლხიდაში, ვინც წაგვართვას კოლხიდა (ლ. ასათ., 106). 89. ხან დიდხნობამდე გადაკარგულხარ, ნეტავი რაზე, ნეტავი რისთვის, როცა დიდებას უმზერდი მტრულად, როცა არ სწუხდი უკედავებისთვის (ნ. სამად., 105). 90. დაგახსომდება კაცი ვერაგი, ვინც შეწყნარებაც ვერ გაგიბედა, ვინც ამ ხრიოკებს ყნოსავდა მარად, ვით ტყის ნადირი, ვით საყდრის გლახა, ვინც მთებს ზევიდან მოსდევდა ბარად, რომ გზებს შეყროდა და ევაგლახა (ნ. სამად., 93). 91. კითხული მისვდა, რომ კითხული აღარ იყო, რომ ცხოვრება უკვე მოეთავებინა (თ. ბიბ., 15). 92. როგორც კი ეს მოხდება, დედაკაცი მთაში წავა, სადაც ქმარი ელოდება, სადაც ოდესმე ბიჭს უნდა შეხვდეს (თ. ბიბ., 464). 93. მე ვხედავდი, როგორ დაგიბერა ქარმა, როგორ აგიფრიალა პალტოს კალთები, როგორ გამოიხედე დაბლიდან და როგორ გაიღიმე (რ. ინან., 66). 94. აი, მოწყდა ერთი წელიწადი კიდევ აწმყოსა და მიერთო იმ ვეშაპს, რომელსაც წარსულს

ეძახიან, რომელსაც ამოდენა დრო და ჟამი გადაუკლაპავს (ილია, 820). 95. დაერჩები, სულ შენთან დავრჩები, სულ არ მიგატოვებ, სულ არა, როცა დაეჭბნევა ბაფთები, როცა წვიმა მოვა ხუმარა (ი. ჯოლბ., 132). 96. ყველაფერი შესაძლებელია იქ, საცა დავთრები დაკარგულია, საცა თავი და ბოლო ველარავის მიუგნია (ილია, 559). 97. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს (ილია, 711). 98. ქალი კარს გამოიკეტავს, აქაურობას მიატოვებს და გაიფიქრებს, რომ მთელი დედამიწა ცოდვითაა დამძიმებული, რომ დედამიწაზე დასამალი ადგილი აღარსად დარჩენილა (თ. ბიბ., 342). 99. იმას სურდა მხოლოდ ჩქარა გასულიყო ტფილისიდამ, იმიტომ რომ ტფილისი და თავის თავის ყმობა იყვნენ მისთვის ერთი, იმიტომ რომ ტფილისი აგონებდა იმას იმ მწარე დროებას, რომელიც გაატარა აქამდის, იმიტომ რომ უკანასკნელს უნდოდა ჩქარა გამოეცადა ის ცხოვრება, რომელზედაც კაცი არ აძლევს ანგარიშს სხვა თავისთანას (დ. ჭონქ., 18). 100. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებას, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის, ის იქნება უფრო საჭირო ჩვენი ჟურნალისათვის (ილია, 534). 101. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის, რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის, რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარების გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება (ილია, 536). 102. ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ – იშვიათი (ილია, 542). 103. ის ეცხადება ყველას, ვინც შედის ამ თეატრში, ვინც ფიქრობს ქართულ თეატრზე, ვისაც იგი უყვარს (პ. იაშვ., 297). 104. ბედნიერები არიან, რადგან სიყვარულმა აამაღლათ, რადგან სიყვარულს ანაცვალეს ყველაფერი (ო. ჭილ., II, 387). 105. ალექსანდრე დიდხანს გრძნობდა ამას, დიდხანს სტანჯავდა და აწვალებდა

ამის შეგრძნება, სანამ აზრად არ გამოიკვეთა, სანამ საბოლოოდ არ დაიბადა და შევების ნაკადად არ ჩაიღვარა ალექსანდრეს გათოშილ არსებაში (ო. ჭილ., II, 377). 106. დამაბრუნე, როცა აღარაფერს ველოდი, როცა აქაურობაში ჩამოვლილი ჩემი ბავშეობა შორეული ზმანებების ბანდში იძირებოდა (თ. ბიბ., 275). 107. ახლა თითქოს იჯდა და ელოდა, როდის მოვიდოდა მასთან სოფელი, როდის შესჩივლებდა თავის საფიქრალს, ეჭვსა და შიშს (თ. ბიბ., 291). 108. მას ლიდია გაგიჟებით უყვარდა იმ წუთშივე, როდესაც პირველად ნახა, როდესაც პირველად იმის ხმა გაიგონა (ა. ყაზბ., 15). 109. გზადაგზა, სოფელ-სოფელ დაარიგონ თავიანთ სახლებში ისინი, ვინც მგზავრობას მორჩა, ვინც დილის მატარებელს ჩამოყვა (ო. ჭილ., II, 402). 110. ის ნებისმიერი ცხოველივით საშიშია, სანამ არ დაინახავ, სანამ სახეში არ შეხედავ (ო. ჭილ., II, 403). 111. ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება, ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს (ილია, აზრ., 17). 112. იგი სოფელი, საცა მის მამა-პაპას უცხოვრია, საცა მამა-პაპის ძვლები უმარხია, საცა მამა-პაპის სალოცავია, ჩვენის გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის (ილია, აზრ., 33). 113. ის წეღან შეშინდა, როცა მეგობარი მოუკლეს, როცა მის ზურგს უკან ქალები იყვნენ (ო. იოს., 80). 114. ეს იმდროინდელი ამბავია, როცა ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო, როცა კოლხეთის მიწაზე პირველმა ბერძენმა დაადგა ფეხი (ო. ჭილ., I, 9). 115. მარტო ის მიმაქვს, რაც ჩემი შრომით შემიძენია, რაც აუცილებელია ამხელა გზისათვის (ო. ჭილ., I, 38). 116. იგი კვლავ თავის საყვარელ ჩარგალს მიაშურებდა, ჩარგალს, რომლის ნახვასაც ასე ესწრაფოდა, რომლის ფიქრსა და ნატვრაშიც დალია სული (კ. ყმა, 30). 117. მგოსანი იმასა სწერს, რაც თავის თვალით უნახავს, რაც მას ცხოვრებაში გამოუცდია (კ. ყმა, 68). 118. როცა შემდეგში ვაჟას სოფელი ჩარგალი ვინახულე და მისი ძველი სახლი დავათვალიერე, როცა „საყორნეს“ კალთაზე ომახით ჩამომავალ მდინარე ჩარგლულას დავაკვირდი, ვაჟას მაშინდელი შედარება გასაგები გახდა (კ. ყმა, 366). 119. უნდოდა სამუდამოდ გამომშვიდობებოდა ერთადერთ მეგობარს, რომელსაც იგი ნამდვილად უყვარდა, რომელსაც მისი ყველაფერი ესმოდა და აფასებდა (გ. ფანჯ.,

656). 120. სწორედ ეს განგური ელემენტია, რომელიც ჰქმნის პუშკინის ფენომენს, რომელიც ასხვავებს მას ყველა სხვა პოეტებისაგან (გ. რობაქ., 372). 121. ისინი მაშინ მოდიოდნენ, როცა უნდა მოსულიყვნენ, როცა მათთვის ეცალათ (ო. ჭილ., I, 185). 122. ზღაპრულად უცნაური და მომხიბვლელი ხდებოდა ყველაფერი, რაც აქამდე მარტო მან იცოდა, რაც სხვა უამრავ მოგონებებთან ერთად სამუდამოდ ჩალექილიყო მისი გულის ფსკერზე (ო. ჭილ., I, 511). 123. მტრად თელი შენ იმათ, ვინც შენსავით დღედაღამეს არ ასწორებს, ვინც სინდის-ნამუსს სასწორზე მისხლობით არ სწონის, ვინც შვილზე და მომავალზე ფიქრობს, ვინც ადამიანურად ცხოვრობს (ო. იოს., 492). 124. ისინი ცოცხლებია, სანამ ამ მიწაზე სიცოცხლეა, სანამ ვენახი ხარობს, სანამ ვაშლი და მსხალი, ალვის ხე და მუხა შრიალებს, სანამ ფუტკარი სანთელს ამზადებს და მათი სულისათვის ანთებს (ო. იოს., 591). 125. მიდიოდა ჩუმად, ქვეყნიერებისაგან გამოთიშული, ვიდრე ყაყანმა არ იმატა, ვიდრე გარშემო არ შემოეხვივნენ, ვიდრე ვიღაცა არ მივარდა და ხელი არ სტაცა (თ. ბიბ., 437). 126. რაკი ამ ერთი სიტყვის თქმა ერთბაშად გაადვილდა, რაკი დიდხანს გულში ჩახვეულ, დახშულ ფიქრს სარქველი მოეხადა, ახლა ყველამ ხმამაღლა დაიწყო ყაყანი (თ. ბიბ., 7). 127. ეს ერთი წამი მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდება ხოლმე თავისი სიგრძე-სიგანით, როცა უბედურება უკვე მოხდება, როცა ადამიანი დაიღუპება (გ. ფანჯ., 578). 128. რატომღაც ცდილობდა წარმოედგინა მაგდას პატარა ბიჭუნას სახე, რომელსაც ამ ორი წლის წინ ყველაზე დიდი შეურაცხყოფა მიაყენა, რომელსაც ალბათ ვერასოდეს ვერ ნახავდა (გ. ფანჯ., 61). 129. თვალწინ დამიდგა ის ერთი ბეწო, ხეობაში მიყუჟული სოფელი, გუშინ რომ ქედიდან მუჭისოდენა ჩანდა, გუშინ რომ თვალში გვეცოტავა (თ. ბიბ., 41). 130. სანამ სოფელი კითხულს სახეში შესცქეროდა, სანამ კვლავ ხედავდა მის ბებრულ, მშვიდ, მაგრამ ყველაფრის განმსჯელ თვალებს, ქვის სროლას ვერ გაბედავდა (თ. ბიბ., 327). 131. შორს, მთის ძირს, სადაც მზეა, სადაც ვაზია, სად ჩაის ჰკრეფენ, ცხვრის სამწყემსად სადაც მდელოა, მცირე დეფისად ჩასდგომია დიდ ევრაზიას – ერთი პატარა, პაწაწინა საქართველოა (მ. ლებ., 143). 132. ბავშვობა მხოლოდ მაშინ აჩენს სინანულის გრძნობას,

როცა კარგა ხნის დამთავრებულია იგი, როცა წესიერად აღარც გვახსოვს, როცა ამ სათუთი და ვარდისფერი ჭურჭლის მხოლოდ რამდენიმე ნამტვრევიღა ბრჭყვიალებს დაბერებული სულის კუნჭულში (ო. ჭილ., II, 152). 133. ის ნებიერად ანჩხლი და ნებიერად მიზეზიანი კატასავით იზმორებოდა, სანამ ყველა სახსარი არ გაუტკაცუნდებოდა, სანამ ყველა კუნთი არ დაეჭიმებოდა, სანამ ერთიანად არ აღიქვამდა საკუთარ არსებას (ო. ჭილ., II, 253). 134. როცა მეაეე ნაყოფს მოისხამ, როცა დაგცვივდება ფოთლები, დაერჩები, ჩემს სამოსელს მოგასხამ, შენს დამჭკნარ ფოთლებთან მოვკვდები (ი. ჯოლბ., 132).

## § 108. *დამოკიდებული წინადადება დამოკიდებულით.*

1. დიდხანს უყოყმანია ამ ნაბიჯის გადასადგმელად და ბოლოს მაინც გაუბედავს, რადგან დარწმუნებული ყოფილა, რომ ასე აჯობებდა ყველასათვის (ო. ჭილ., II, 128). 2. მზე მწვერვალებზე ავიდა, როცა ბიჭები ალღოთი მიხვდნენ, რომ გამოქვაბულებს გაუსწორდნენ (ო. იოს., 70). 3. სამშობლოს მოწყურებული ლტოლვილი თავისას არ იშლის, მაგრამ ხალხი ეჭვს გამოთქვამს, რადგან სწამთ, რომ ამ მთების განმგებელი ქალღმერთი მოწყალე არაა (ო. იოს., 160). 4. ბოლოს ამობრუნდა გულაღმა, ხელი თავქვეშ შეიყარა და თვალები დახუჭა, რომ ცეცხლის სხივი, რომელიც უშლიდა, აღარ დაენახა (ა. ყაზბ., 174). 5. გულმა მომეტებულად დაუწყო ფართხალი და სისხლმა მეტის სიმხურვალით და სისწრაფით შექმნა მოძრაობა, როცა მან აშკარად იგრძნო, რომ თავიდან ფეხებამდე რაღაცა ძალამ დაურბინა (ა. ყაზბ., 47). 6. და ამ ბუნების მე მანამდე ვარ გადამკიდე, სანამ იმედი დამპირდება, რომ გნახავ კიდევ (პ. იაშვ., 75). 7. გახსოვდეთ, რომ თქვენი ნათქვამით მსჯავრი გამოგაქვთ ადამიანისათვის, რომელიც ათი წელია თქვენს გვერდით მუშაობს და რომელსაც მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავს სარჩენი (ნ. ონაშ., 103). 8. მაშინვე გამოყვეს კომისია, რომელმაც ბევრი ძიებისა და განსჯის შედეგად დაადგინა, რომ ნიკო მართალი იყო (ნ. ონაშ., 78). 9. დადგა ის წუთიც, როცა გადაწყვიტა თავი დაანებოს თავის საყვარელ საქმეს, რომელსაც სიჭაბუკე და ენერგია შეალია (გ. ფანჯ., 155). 10. რას

განიცდიდა ახლა ოთარი, როცა ჩვიდმეტი წლის შემდეგ ისევ ხედავდა იმ სოფელს, სადაც ბავშვობა გაატარა (გ. ფანჯ., 14). 11. მომაგონდა, რომ ერთხელ ტფილისის მთავარ ქუჩაზე შევხვდი ამ „პირწმინდად დათოვლილ კაცს“, რომელიც „თაეალმართულად“ ზეცისაკენ იხედებოდა და გზას „თავმოხრილ“ ჯოხით მიიკვლევდა (მოგ. აკ., 88). 12. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველა იყო იმ დროს ერთადერთი მწერალი, რომელსაც შეეძლო ამის გაკეთება (კ. ყმა, 164). 13. მას არ ეგონა, თუ ასე გულის შემძვრელი სიყვარულით უყვარდა ბიჭი, რომელიც მისი არც ახლობელი იყო და არც თანატოლი (ო. იოს., 86). 14. ვახოს მამისეული ყამის მეტი თან არაფერი ჰქონდა, რომელიც ამ საღამოს, სანამ ქალებისათვის ცხენებს კაზმავდნენ, საგანგებოდ ალესა (ო. იოს., 14). 15. ქალმა თაეისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როდესაც ცარიელი ოთახი მოათვალიერა და დარწმუნდა, რომ მართლა არავინ იყო (ა. ყაზბ., 94). 16. ეს ხალხია, რომელიც ეშურება იმ სახლისაკენ, სადაც ასვენია თვით ხალხის მომღერალი და მესაიდუმლე (პ. იაშვ., 279). 17. და სულ შემთხვევით გავხდი პატრონიც ჯადოსნურ ქუდის, რომელსაც ვმალავ და ისევ ვნატრობ, რასაც ვნატრობდი (ო. ჭილ., II, 454). 18. მე ვიცოდი, რომ აქაურობაში უჩემოდაც თავისი გზით წავიდოდა ცხოვრება, რადგან აქ არავის ვჭირდებოდი და სხვებისგანაც არაფერი მჭირდებოდა (თ. ბიბ., 97). 19. ამ წუთას მეც გულწრფელად დავიჯერე, რომ შავი ფერი ისევე არ არსებობდა, როგორც არ არსებობდა სევდა, ტკივილი და სიკვდილი (ნ. ონაშ., 12). 20. თქვენ დაეთანხმეთ დაწესებულების დირექტორს, რომ მოეხსნა თანამშრომელი, რომელიც უკვე ათი წელია ემსახურება ამ საქმეს (ნ. ონაშ., 83). 21. დადგა ის დღეც, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ფეხბურთისათვის უკვე მოხუცდა (გ. ფანჯ., 154). 22. ვაჟას ის ახარებდა, რომ მგოსანი, რომელიც „სკოლაში მისდღეში“ არ ყოფილა, ახალ აზრებს ღრმად ითვისებდა და ამავე დროს სერიოზულად აკვირდებოდა ცხოვრებას (კ. ყმა, 63). 23. ეს ბილიკები კიდევ იმით იყო საზარალო, რომ პურისათვის წასულებს ცხენები უცვივდებოდათ კლდეზე, რომელთაც ხშირად ადამიანებიც მიჰყვებოდნენ ხოლმე (კ. ყმა, 108). 24. იცოდნენ, რომ არც ერთი ჩამოსული, რომელსაც პირში

სული ედგა, გამოქვაბულის გარეთ არ დარჩენილა (ო. იოს., 72). 25. მერე ეს საჭიროდ არ ჩათვალეს, რადგან იქიდან, საიდანაც მტერი უშენდა, ბნელში კაცის გარჩევა არ შეიძლებოდა (ო. იოს., 77). 26. ამ საერთო მყუდროებაში მოისმოდა მხოლოდ ორი გულის დაგადუგი, რომლებიც თითქოს მკერდიდგან ამოფრენას აპირებდნენ, რომ ერთმანეთს შეჰყროდნენ (ა. ყაზბ., 149). 27. მაშინვე მიხვდა, რომ ეს ის ჯარი იყო, რომლის მოლოდინშიც ხალხს თვალი უწყალდებოდა (ო. ჭილ., II, 64). 28. სხვას დავუთმობ აწ სამსახურს, სხვას დავაცლი იმიტომ, რომ აღარა ვარ, რაც ვიყავი (აკაკი, 41). 29. როცა გაიგეს, რომ ტვისტს არ ვცეკვავდი, ფასი დავკარგე იმათ თვალში (კ. ფანჯ., 50). 30. უნდა ეჩქარა, რომ დროზე მისულიყო იქამდე, სადაც ცხენი ჰყავდა გაშვებული (ო. იოს., 159). 31. ქვევით ბაწრებით თუ ჩავალთ, მაგრამ იქ შეიძლება უარეს ღლეში ჩავვარდეთ, რადგან ხევი იმ ბილიკიდან, საიდანაც ისვრიან, კარგად ჩანს (ო. იოს., 52). 32. უპასუხა მან, როდესაც დაინახა, რომ ამ მხრივ მაინც პასუხისგება თავიდან სცილდება (ა. ყაზბ., 190). 33. არც მან იცოდა, რომ იმ საბედისწერო დღეს, როცა აივნიდან გადმომხტარი თუ გადმოვარდნილი ქვაფენილზე დაენარცხა, მისი სამშობლოც დაცემულიყო (ო. ჭილ., II, 63). 34. იმ წუთში მე მივხვდი, რომ ამიერიდან საკუთარ სულში უნდა ჩავკეტილიყავი, რადგან სოფელს აღარ ვეკუთვნოდი (თ. ბიბ., 95). 35. ვკითხე და ყელზე ძლიერად მივიჭირე ხელი, რადგან მომეჩვენა, რომ შიგნიდან უშველებელი ბურთი გამეჩხირა (ნ. ონაშ., 151). 36. ოთარმა ცალი თვალი მოჭუტა, როცა მისი სერიოზული გამომეტყველება დაინახა და მიხვდა, რომ მსუქანი კაცი მართალს ეუბნებოდა (გ. ფანჯ., 140). 37. როცა გაიგებდა, რომ ჩვენ მივალაგმოვალაგეთ, ძალიან გაჯავრდებოდა (კ. ყმა, 300). 38. ახლა წყალი უნდოდა ჰანსს, რომ ჭრილობები მოებანა ბიჭისათვის, რომელიც ხელში აკვდებოდა (ო. იოს., 82). 39. კაპრალი ხედავდა, რომ მათი ჯგუფი ისეთ უბანზე ჩამოაგდეს, სადაც არც მტერს ჰქონდა საქმე და არც მოყვარეს (ო. იოს., 75). 40. სვიმონმა კიდევ გადაშალა რვეული და ერთბაშად წამოიძახა, როდესაც იმ ადგილამდე მივიდა, სადაც თუმნიანი ჩასდო (ა. ყაზბ., 72). 41. მას კი უნდოდა, რომ მომხდარიყო ის, რაც ზღაპარში მომხდარა მხოლოდ (ო. ჭილ., II, 479). 42. ეს პირველი

ჯილდოა, რომელმაც გამახარა და მაგრძნობინა, რომ მეც რაღაცის გაკეთება შემძლებია (მოგ. აკ., 393). 43. თემო ჩემთან აღარ მოვიდოდა, რადგან მის თვალში სწორედ ის შარავანდი გამიხუნდა, რომლითაც სხვებისაგან მანსხვავებდა (ნ. ონაშ., 152). 44. ის შეკრთა, რადგან მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო (გ. ფანჯ., 158). 45. მან იცის, რომ ტყვეა, რომელსაც ინახავენ რაღაც მოსაზრებით (ო. იოს., 75). 46. მიმოდიოდნენ თავისუფლად, რადგან იქიდან, საიდანაც მეთაურს ესროლეს, ღამით ყოვლად შეუძლებელი იყო მათი შემჩნევა (ო. იოს., 76). 47. სვიმონმა დაინახა, რომ ცხოვრების ჩარხი უკან დაბრუნდა, რადგანაც შემოსავალი აღარ ჰყოფნიდა (ა. ყაზბ., 73). 48. ლევანს ბევრჯერ შეუმჩნევია, ბიჭს სახე როგორ გაებადრებოდა, რაიმე რთულ ამოცანას რომ ამოხსნიდა (გ. ფანჯ., 204). 49. ჯერ კიდევ შორიდან თვალი მოეკარი, რომ ხალხით გაჭედილ ქუჩაში მოდიოდა ეტლი, რომელშიაც თეთრი ცხენები იყო შებმული (მოგ. აკ., 263). 50. როცა დაიჯერა, რომ მისი ნასროლი მიზანს ვეღარ მიაღწევდა, ქვევით ჩასვლა დააპირა (ო. იოს., 50). 51. ბოლოს და ბოლოს მაინც წინ უნდა წასულიყვნენ, რაკი უკან ერთი გაუვალი ბილიკის მეტი გზა არაა, რომელიც საჯიხვეებზე მიდის (ო. იოს., 43). 52. ქალმა ოდნავ გაახილა თვალები, მაგრამ მაშინვე ისევ დახუჭა, რადგანაც მთვარის ნაზი შუქი, რომელიც ოთახში შემოდიოდა, საკმაოდ აწუხებდა (ა. ყაზბ., 37). 53. დეკანმა ირონიულად ჩაიცინა, როცა დარწმუნდა, რომ ხიდაშელი არ ხუმრობდა (გ. ფანჯ., 228). 54. ადგილიდან არ იძროდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ფეხის დასადგმელი ადგილი სანდო იყო (ო. იოს., 157). 55. წამოფრენილი ბეღურები ელოდებიან, თუ როდის ჩავივლით, რათა ისევ მიუბრუნდნენ ღობეს (ო. ჭილ., II, 417). 56. გაკვირვებულმა ქმარმა ყურება დაუწყო, რადგან კარგად იცოდა ცოლის ხასიათი, რომელიც წუთში ათასჯერ გამოიცვლიდა აზრს და სურვილს (ა. ყაზბ., 182). 57. ერთ დღეს იქნებოდა თერთმეტი საათი, როდესაც ვანო სწორედ იმ ქუჩაზე დასეირნობდა, სადაც დარო იდგა (ა. ყაზბ., 205). 58. ცხენზე კაცი იჯდა, რომელიც თვალებითლა ჰგავდა იმ გიორგი ბალიაურს, მე რომ მახსოვდა (თ. ბიბ., 84). 59. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აკაკის მითითებით ილია ბახტაძემ შემიყვანა თეატრში და

დამსვა ლოჟაში, რომელიც გამოყოფილი იყო აკაკისა და მისი სტუმრებისათვის (მოგ. აკ., 43). 60. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიარეთ ქუჩებში, რომლებსაც, ალბათ, იმიტომ ვერ ვცნობდი, რომ თავი საშინლად მიბრუოდა (ნ. ონაშ., 152). 61. სიზმარივით ახსოვდა, რომ ღამით ცხენოსანი მოვიდა იმ ოჯახში, სადაც ის ცხოვრობდა (ო. იოს., 74). 62. ვაჟა დაასაფლავეს უხმოდ, ზედმეტი ზეიმის გაუმართავად, დაასაფლავეს ისე, როგორც შეეფერებოდა რაინდს, რომელმაც დღენი სიცოცხლისა შრომასა და ბრძოლაში დალია (კ. ყმა, 136). 63. მე ყველაზე ადრე მიველი, რადგან მიყვარს ბუნება დილით, როცა ჯერ კიდევ გრილია ჰაერი და სიჩუმეც არ დარღვეულა (კ. ყმა, 146). 64. ეს არ იყო დამფრთხალი კაცის თვალები, ეს ჩასაფრებული კაცის თვალები იყო, რომლებიც ნთქავდნენ ყველაფერს, რაც წინ ედოთ (თ. ბიბ., 247). 65. რისხვას უფრო იოლად მოერეოდნენ, როცა ეცოდინებოდათ, რომ აქამდე უნდა შეეკავებინათ თავი (ო. იოს., 113). 66. ის მაღლა აფორთხდა და უნდა ეჩქარა, რომ დროზე მისულიყო იქამდე, სადაც კარავი ჰქონდა გაშლილი (ო. იოს., 169). 67. დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება (ილია, 929). 68. თქვენ მთხოედით, რომ თქვენს სტუმარს შევრიგებოდი მაშინ, როდესაც მან შეურაცხყო, რაც წმინდა წმინდათა გამაჩნდა (ა. ყაზბ., 48). 69. არ არის არცერთი ჩვენი შეურიგებელი მტერი, რომელმაც არ დაადასტუროს, რომ ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში სინდისიერად ვსწავლობდით და ვამუშავებდით ყველა იმ პრობლემას, რომელიც დღეს არსებობს მსოფლიოს პოეზიაში (პ. იაშვ., 294). 70. ვიცი, რატომ უნდა მიყვარდეს ჩემი მტანჯველი და ძნელი გზები, რომლებიც ალბათ იქ მიმიყვანენ, სადაც ჩემამდე მისულან სხვებიც (ო. ჭილ., II, 519). 71. დიდებული მოძღვარი მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენგან დაფასებული და პატივნაცემი, როდესაც ყველანი დავდებთ ფიცს მის წინაშე, რომ პირნათლად შევასრულებთ ყველაფერს, რასაც იგი გვაკისრებს (მოგ. აკ., 71). 72. შეკრთომა გაძლიერდა, როცა მაგიდაზე დავინახე ჩემი რვეული, რომელსაც ლეიბის ქვეშ ვინახავდი ხოლმე (კ.

ყმა, 135). 73. მთელი ღამის გადაუღებელი წვიმით ჩარეცხილი და ჩაქცეული ბილიკებიდან გუამ რომ მდინარემდე ჩააღწია, სადაც წყლის პირას, კლდის შეღრმავებაში, ნაბადში შეხვეული ჯარისკაცი დატოვეს, იქ არც ნაბადი დახვედრია და აღარც დაჭრილი (ო. იოს., 61). 74. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, რომ თუ კაცი თავისას გადუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს (ილია, აზრ., 60). 75. ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარე არის (ილია, აზრ., 71). 76. ახლა დაშლა ემარებოდათ და არც დაიშლებოდნენ, სანამ არ გაარკვევდნენ, რითი დამთავრდებოდა ქვრივის სახლში ატეხილი წიოკობა (ო. ჭილ., II, 10). 77. ბაში-აჩუკს კი მაინცდამაინც მაგდენად არაფრად ეპიტნავებოდა იმერეთი, რადგანაც გაიგო, რომ მისი კახეთისაკენ გადავარდნის მიზეზი რაჭის ერისთავისთვის მი-უთხოვებიათო (აკაკი, 221). 78. ამ ხანში ლიდია ავიდა სულ ზევით სართულში, სადაც შეატყობინეს, რომ თეიმურაზი ისე მაღლა არ იდგა, როგორც ბებერმა ქვევით აუხსნა (ა. ყაზბ., 39). 79. ის უკვე გრძნობდა, რომ სისულელე ჩაიდინა, რადგან ნიკოს დასწამა ყოველივე (ო. ჭილ., II, 213). 80. მარტო ალათი-ასთან ჰქონდა დიდი გული, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ალათიას უყვარდა (ო. ჭილ., II, 317). 81. რად უნდა შეშინებოდა ანჯიქოს იმ კაცისა, რომელიც თავიდანვე გრძნობდა, რომ ახალგაზრდობა ხელიდან გამოცლოდა, სიჭარმაგე სწვეოდა და ახლა თანდათანობით თავისი ბიჭის იმედი უფრო მეტად ჰქონდა (თ. ბიბ., 371). 82. ქალიშვილი ბურანში იყო და მხო-ლოდ ხმით გაიგო, რომ ის მხედარი, რომელიც მას გავარდ-ნილ ცხენით მიაქანებდა, იყო ყაზი-ბეი (გ. რობაქ., 334). 83. ვი-ცოდი აგრეთვე, რომ ლუკა მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმ ღარიბ მგოსნის ბედში, რომელსაც მე ვეხმარებოდი (კ. ყმა, 52). 84. ეს ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია (ილია, 825). 85. ყოველის ეჭვის გარეთ იყო ყველასათვის, რომ ამ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ქართველებისთვის არის დანიშნული, ჯერო-ვანი გზა მიეცემოდა ქართულ ენას (ილია, 554). 86. ვაი მას, ვინც ისე გაქრა, რომ მცირე კვალიც კი ვერ დატოვა (ლ. ასათ., 99). 87. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენს

სახლს დასცემოდა მეხი, რომელიც ჩამოვარდნილიყო ბუხარსა და იმ საწოლს შუა, სადაც ლუკა იწვა და მთელი კედელი შუაზე გარღვეულიყო (კ. ყმა, 158). 88. გაზეთის პირველ ნომერშივე გამოქვეყნდა დიდი განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა ჩემს სახელზე გამოგზავნილიყო (კ. ყმა, 347). 89. მალე ორწყალში აეედით, სადაც ფშავის არაგვს, რომელიც ბორბალას ძირს გამოდის, უერთდება ხევსურეთის არაგვი (კ. ყმა, 373). 90. იყვნენ, რასაკვირველია, გამონაკლისებიც, რომელნიც „შავი დღისათვის“ აგროვებდნენ გროშებს, რომ მერე სამაღლოდ არ გამხდარიყო მათი დამარხვა (ი. გრიშ., 45). 91. სიხარულით დავანებებდი თაეს ჩემს ყოველსავე ეხლანდელს სიკეთეს, რომ შეიძლებოდეს მობრუნება უწინდელი ჩემი დროის, როდესაც ვიყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს (დ. ჭონქ., 25). 92. ჩვენ საბედნიეროდ, არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ, ვინც შენიშნავს მართლად სხეის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი (ილია, 535). 93. სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ ლექსში „მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრისასა“, „მტრის ურჩი რაინდი“ არის დიმიტრი ყიფიანი, რომლის ნეშტიც დაკრძალულია მთაწმინდაზე (მოგ. აკ., 146). 94. წელიწადნახევარი ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით მარიამ საფაროვ-აბაშიძის სახლში, სადაც, როდესაც აკაკი შინ იყო ხოლმე, სადილ-ჩაიზე ერთად ვიყავით (მოგ. აკ., 167). 95. ხინიკაძე დუმს, რაკი იცის, რომ მთაში შენი მომტაცებელი არავინაა (ო. იოს., 199). 96. მე გამიგონია, რომ არ არის ცოდვა, რომელიც არ მიეტევოს, თუ წმინდა გულით მოინანიებსო (დ. ჭონქ., 39). 97. დამაბრუნე მაშინ, როცა ვიცოდი, რომ სიკვდილიც მოვიდოდა (თ. ბიბ., 275). 98. ისე ვქრები, როგორც ცეცხლი ქრება, როცა გარედამ ჰაერი არა შველის (ილია, 403). 99. წარმოსთქვა მამალმა გულამოსკვნით, რადგანაც მამალი გრძნობდა, რომ მასთან მეგობრობას ყველა სხვა ფრინველები მორიდებულნი იყვნენ (ვაჟა, 305). 100. პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტიპებსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბაძავს, ისეთს ტიპებს, რომლის მსგავსნიც უნდა იყვნენ პოეტის ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოღე-

ბული ნაკლი (ვაჟა, 367). 101. კლაუსი მერე მიხვდა, რომ დედას არ სიამოვნებდა, როცა ბიჭი გოგოებზე სიტყვას ჩამოაგდებდა (ო. იოს., 78). 102. ის არ მოითხოვს წყალს, რადგან იცის, რომ არ მისცემენ (ო. იოს., 99). 103. დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თითონ კაცი ჩასძახებს (ილია, აზრ., 82). 104. გამარჯვებულია, ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს (ილია, აზრ., 12). 105. შვილმა უნდა იცოდეს, თუ სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა (ილია, აზრ., 27). 106. ნიკო ჯერ კიდევ აივანზე ტრიალებდა, როცა ალექსანდრე დუქნისაკენ მიაბიჯებდა, რათა ვენახის გასამართი მავთული დროულად მიეწოდებინა აგრონომისათვის (ო. ჭილ., II, 183). 107. საბოლოოდ გადარჩენილად მაინც არ თვლიდა თავს, რადგან გიორგის სიკვდილი სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ თათარი ამით დაკმაყოფილდებოდა (ო. ჭილ., II, 234). 108. ისე უბრალოდ ეჭირა ყველგან თავი, რომ უცნობი ვერც კი წარმოიდგენდა მისი პირველი ნახვით, რომ იგი უმზერდა სამშობლოს სიამაყეს (კ. ყმა, 159). 109. საქართველოში დატრიალებულმა მაშინდელმა დიდმა ამბებმა იმოდენად გაგვიტაცა ყველანი, რომ ბევრი რამ დაგვავიწყა, რაც არ უნდა დაგვვიწყებოდა (კ. ყმა, 160). 110. მაშინ ვანელებმა გადაწყვიტეს, რომ საერთოდ აღარ შემოეშვათ ქალაქში ცხვარი, სანამ ბავშვები დაიზრდებოდნენ (ო. ჭილ., I, 25). 111. ამას ამბობდა იმიტომ, რომ წინასწარ შეეძლო ყველაფრის განჭვრეტა, რაც მომავალში უნდა გადახდომოდა თავს (ო. ჭილ., I, 27). 112. ასე უნდა გასულიყო წლები მაშინ, როცა თვით სტუდენტობის დროსაც გრძნობდი, რომ გორდელაძეზე მაღლა იდექი (გ. ფანჯ., 359). 113. კითხულს არ ეშინოდა ამ დასასრულისა, რადგან, თავის ძალაში უფრო და უფრო მტკიცედ დარწმუნებულს, სჯეროდა, რომ საითაც სურდა იქით წაიყვანდა სახედაკარგულ სოფელს (თ. ბიბ., 167). 114. არასოდეს არ დაივიწყებს არც იმ ერთ ჭიქა ღვინოს და არც ბებერ თოთიას, რომელმაც სწორედ ის მოუტანა, რაც თურმე იმ წუთში ჯილაურს სწყუროდა (თ. ბიბ., 341). 115. ათიათასი ავი ნიშანი იცოდა ქარისამ ზეპირად და ფეხები ჩამოწყვეტაზე ჰქონდა, რადგან ყოველდღე ამდენჯერვე უნდა მიერბინა ავადმყოფის

სარეცელთან, რათა მის სახეზე შეემოწმებინა მისნების ნაბუტ-ბუტარი (ო. ჭილ., I, 33). 116. ამით მისი სატკივარი მხოლოდ გაიზრდებოდა, რადგან ახლა ორს ეცოდინებოდა ის, რაც აქამდე მარტო მან იცოდა (ო. ჭილ., I, 49). 117. მთავარი ისაა, რომ მას დიდად აფასებენ ადამიანები, რომელთა გემოვნებასაც ვენდობი და ვუჯერებ (კ. ყმა, 203). 118. მე დიდად არც დავუინტერესებივარ იმ მუქ შინდისფერჩოხიან კაცს, რადგან აგრადაც არ მომსვლია, რომ ის ვაჟა-ფშაველა იყო (კ. ყმა, 346). 119. გაიფიქრა აიეტმა ბრაზიანად, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს საქალებო საქმე იყო (ო. ჭილ., I, 89). 120. ის უკვე გრძნობდა, დიდი შეცდომა რომ ჩაედინა, როცა მშობლებისაგან განწირული ფრიქსე შინაური კაცივით მიიღო სასახლეში და მერე დაინათესავა კიდეც (ო. ჭილ., I, 116). 121. პერეცს არ გაუმხელია, რომ ახლადშემოსული სწორედ ის ქალი იყო, რომელიც ადოლფ უნგარს ფალესტრად, ამორძალთა დედოფლად, წარმოესახა (გ. რობაქ., 353). 122. ამ გადაწყვეტილების შემდეგ დურმიშხანი დარჩა მართლა სტამბოლში რვა თვე და ისე გაერთო ვაჭრობაში, რომ არც ერთხელ არ მოაგონდა ცოლი და არ შეატყობინა, რომ კიდევ იყო ცოცხალი (დ. ჭონქ., 48). 123. ყველა გრძნობდა, რომ ამ წუთიდან უკანასკნელად ემშვიდობებოდა ცხედარს, რომლის სიცოცხლემ წამებული ერის განცდები ზიდა, ზარდა, გამოამჟღავნა და საშვილიშვილო ანდერძად ერის აღდგენა დაგვიტოვა (მოგ. აკ., 243). 124. ეს პირველი ჯილდოა, რომელმაც გამახარა და მაგრძნობინა, რომ მეც რაღაცის გაკეთება შემძლებია (მოგ. აკ., 393). 125. ახლა ტახტი უნდა გამოეჩოჩებინა, რადგან ტახტი ზუსტად იმ ფარდაგჩამოფარებულ განჯინაზე იყო მიდგმული, რომელშიც ვერძის ტყავი ეკიდა (ო. ჭილ., I, 153). 126. ვერც იმ სიამოვნების განცდას მოახერხებდა ქაიხოსრო, რომელსაც თურმე მისი მამობილი განიცდიდა ბავშვობაში, როცა დედის უჩუმრა ფეხშიშველი დარბოდა გრილსა და კრიალა ფილაქანზე (ო. ჭილ., II, 72). 127. იმ დროს დურმიშხანმა დაიწყო ფიქრი, რომ ხვალვე უნდა წასულიყო იმ მკითხავის მოსაძებნად, რომელსაც მიეცა ის საშინელი დარიგება ვეზირისათვის, რომლისაც მსხვერპლი გახდა მისი ზურაბი (დ. ჭონქ., 79). 128. გიორგი ერისთავი, როგორც პოეტი, იმითია შესანიშნავი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუ-

მატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან (ილია, 668). 129. მას არავინ ხვდება გარდა ქვად ქცეული ჭაბუკი მცველებისა და ხირჩლასი, რომელიც აჩრდილივით დასდევს, რათა კითხულის მარტოობაც არ იყოს ჭეშმარიტი მარტოობა (თ. ბიბ., 163). 130. დიდხანს მეჩურჩულე ტკბილი ხმითა, რათა ვრცელი გამყვეს მოგონება, როცა მიეიცვლები ამ ქვეყნითა (ი. ჯოლბ., 38).

*§ 109. მერთული წინადადება.* 1. როცა ქალმა იმ სიბნელეში ბუხრის ნაღვერდლისკენ ხელი წაიღო, რათა ჭრაქისათვის ცეცხლი მოეკიდა, ჭრაქის მკრთალ შუქზე ქალმა სხვა კაცი დაინახა, რომელსაც ყველაფერი ძველებური ჰქონდა, ძველებური სახე, ძველებური თვალები, ძველებური ნიჩაბივით ღონიერი ხელები, რასაც ქალი გულგრილად ვერასოდეს უყურებდა, მაგრამ ამ შუაღამისას ქალის სენაკში მაინც სხვა კაცი იდგა, ამიტომ ქალს შეეშინდა, ფრთხილად მოიხურა შალი, ცახცახით აეკრა კედელს, რომელსაც გაჰყვა ლასლასით, რათა მოეძებნა კარი (თ. ბიბ., 253). 2. სიმღერითაც ფარნაოზისათვის მღეროდა, აწკრიალებდა ხმას, რათა ფარნაოზისათვის მისი არსებობა გაეხსენებინა, გაეფრთხილებინა, რომ აქ, ლელვზე ჩამალულს, სადაც ფართე, ხაოიანი ფოთლები მთელს ტანზე ღუღუდოებს აყრიდა, მაინც ითმენდა, რადგან აქედან უკეთესად უთვალთვალებდა მის ყოველ ნაბიჯს (ო. ჭილ., I, 400). 3. დავით აღმაშენებლის შესახებ აკაკიმ მიამბო, რომ, როცა დავითს გელათის ტაძრის აშენება დაუპირებია, გადაწყვიტა ისეთი ადგილი გამოეძებნა, რომელიც ყოვლის მხრით შემოზღუდული იქნებოდა მთით და დაფარული ტყით (მოგ. აკ., 284). 4. იმ დროს თვითონ ჩვენს სოფელშიაც იყო სკოლა, მაგრამ, რადგან იმ სკოლაში რუსი მასწავლებელი გამოგზავნეს, რომელმაც ქართულის ერთი სიტყვა არ იცოდა, ხალხმა მამაჩემის მეთაურობით მას ბოიკოტი გამოუცხადა და სკოლაში შვილები აღარ გაგზავნეს, რის გამოც სკოლა მთავრობამ დაკეტა, თედო კი, რაკი იმ დროს ამ სკოლაში სწავლობდა, სკოლის გარეთ დარჩა და იძულებული იყო ვაჟასთან წასულიყო მოსამზადებლად (კ. ყმა, 317). 5. წუხანდელი სამარცხვი-

ნო გამოქცევის შემდეგ, როცა ქალები მტერს მიუტოვეს, თუთარისათვის სოფელი ისე შორეული გახდა, რომ თავისიანებზე ფიქრის ნებაც კი არ ჰქონდა და ვერაფრით ვერ მოისაზრა, რომ იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხელს გამოუწვედიდნენ (ო. იოს., 28). 6. მაიორისა და გიორგას ერთად ხილვას უკვე შეჩვეული იყო სოფელი, მაგრამ, როცა მაიორი და ქვრივი დაინახეს ერთად, არ ესიამოვნათ, თუმცა არ უნდა გაკვირვებოდათ, რადგან ამის მოლოდინში იყვნენ მას შემდეგ, რაც მაიორისა და გიორგას უეცარი დამეგობრების მიზანი ამოიცნეს და არა მარტო გაახარათ ამ მიზანმა, არამედ დაუფიქრებლად მხარში ამოუდგნენ კიდეც (ო. ჭილ., II, 35). 7. რუსეთში ვიყავი, აკაკი რომ გარდაიცვალა და იმ ყაზანის ტაძარში გადავიხადეთ მისი ხსოვნის პანაშვიდი, რომლის კოლონადასთან აინთებოდა ხოლმე რუსეთის სტუდენტობის ყოველი ბრძოლა, რომელიც დაიწყო თითქმის იმ დღიდანვე, რაც აკაკი პირველად ეწვია ნევის ნაპირებს (მოგ. აკ., 360). 8. რაც უფრო შორს რჩებოდა მონასტერი, რაც უფრო ძალუმად მცემდა სახეში უდაბნოს ქარი, მით უფრო ერწმუნდებოდი, რომ იქ, საითაც ჩემი სხეული გარბოდა, არავინ მელოდა და ამ დედამიწის ზურგზე ჩემს მეტი არავინ იყო (თ. ბიბ., 56). 9. როდესაც მან დაინახა მისკენ მიმავალი შუახნის დედაკაცი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ცხოვრებაში ბევრს უსიამოვნებას შეხვედროდა და ბევრჯერ ყოფილა მისგან გულდამწვარი, მელოტი დაიღრიჯა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამით სახემ ღიმილი გამოსთქვა (ა. ყაზბ., 200). 10. თოფის ქუხილმა, რომელიც კიდევ ერთხელ გაისმა მათ თავზე, გვირაბში გამომწყვდეულები შეაშფოთა, რადგან მიახვედრა, რომ, მართალია, ტყვია არ მოხვედრიათ, მაგრამ ყველა, ვინც იქ იყო, თითქოს სასიკვდილოდ დაჭრა (ო. იოს., 98). 11. ძალიან შემცდარან თუ ჰგონიათ, რომ ალექსანდრე იმიტომ გადარჩა, მთელი სიცოცხლე პირჯვარი იწეროს, და, მართალია, მქლავი დაკარგა, მაგრამ არც სხვებზე ნაკლები მადა აქვს და არც უნარი, სხვებზე მეტიც ეკუთვნის, რადგან მათ ოჯახში მარტო ისაა პირნათელიცა და თავისუფალიც, რადგან დასაშავებელი უკვე დაამავა და სასჯელიც უკვე მოიხადა, დასაკარგი დაკარგა და რაც დარჩა, იმითაც კმაყოფილია, ისინი კი ისხდნენ და იყ-

ბედონ, სანამ არ მოსწყინდებათ (ო. ჭილ., II, 179). 12. ასე ფიქრობდა ჭაბუკი ბალიაური, მაგრამ არ იცოდა, რომ ოდესმე თაეადაც შიში შეაკრთობდა, რომელიც მაშინვე იგრძნო, როგორც კი მიხვდა, რომ მამა მოუკვდა და ის ადგილი, სადაც სოფლის კითხული და მამა იჯდა, ერთბაშად დაცარიელდა (თ. ბიბ., 102). 13. როდესაც ამას ლაპარაკობდა მტუტე, იცოდა, რომ იმ კლდეს, რომელზედაც ახლა იწვა და იმ ვარსკვლავებს, რომლებიც ზეცაში კიაფობდა, გერმანიაში თუ წაეიდოდა, თან ვერ წაიღებდა (ო. იოს., 56). 14. სწორედ იმ დღეს, როცა მედეამ სიზმარი ნახა, აფრასიონმა, დაგვილსა და წყალმოპკურებულ ეზოში მარტო რომ დასეირნობდა, ისე უცნაურად გაუღიმა ჯორებშებმულ ეტლზე შემდგარ დას, რომ მედეა უნებურად შეკრთა, რადგან იმდენი სითბო, სიყვარული და სინანული გამოსჭვიოდა აფრასიონის ღიმილიდან (ო. ჭილ., I, 76). 15. ამის შემდეგ ბაბუცას ისღა დარჩენოდა, რომ მაჭანკლისათვის დაეჯერებინა, თბილისიდან მისთვის კიდევ უფრო შორეულსა და უცხო ურუქში გადასახლებულიყო, მაკაბელების რძალი გამხდარიყო და სამუდამოდ აეღო ხელი გულუბრყვილო ოცნებაზე, რომლისაც მარტო თვითონ და სულელ აღათიას სჯეროდა და რომელიც მზეჭაბუკის მოულოდნელ გამოცხადებას ჰპირდებოდა, იმ ოქროს კულულებიანი მზეჭაბუკისას, ზღვის პირას ამართულ ბროლის კოშკში რომ წაიყვანდა, სადაც, ვარდის სურნელით ჩაძინებულს, იადონების ხმაზე გამოეღვიძებოდა (ო. ჭილ., II, 145). 16. ერთხანს შეყოყმანდა, მაგრამ იგრძნო, რომ, რადგან უკან გაბრუნება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ დუქანში უნდა შესულიყო, სადაც თავისუფალ მაგიდას მიუჯდებოდა (გ. ფანჯ., 116). 17. საზოგადოდ, მწერლის ბედი ორნაირია, რადგან არის მწერალი, რომელიც თავისთვის სწერს და თავის ნაწერებს თვითონვე კითხულობს, მაგრამ არის ისეთი მწერალიც, რომელიც სწერს და ხალხი მის სიტყვას იტაცებს, ხალხი მის აზრებს ისრუტავს (ი. გრიშ., 102). 18. არ მახსოვს, დაიბეჭდა თუ არა ეს მოხსენება სადმე, სადაც ჩვენში ზეპირსიტყვაობის გასაოცარ სიმდიდრეს აკაკი ხსნიდა ჩვენებური ბატონყმობის განსაკუთრებული ხასიათით, იმით, რომ იყვნენ ისეთი გლეხებიც, რომელთაც ბეგარად ზღაპარი ემართათ (მოგ. აკ., 15). 19. მე არ ვიცოდი, რა მეთქვა, რადგან არ

ვიცოდი, რად მოვიდა ეს ქალი ჩემთან ამ ღამით, როცა თოვდა და მოყაყანე სოფელი კარგა ხანია კოშკებს შეხიზნებოდა (თ. ბიბ., 201). 20. შუაღამისას მოვიდნენ ისე, რომ ერთი თოფიც არ გასროლილა, საქონელი გაირეკეს, რაც ხელთ მოხვდათ, წაიღეს და, ვიდრე სოფელი გამოფხიზლდებოდა, სამშვიდობოზეც გავიდნენ (თ. ბიბ., 188). 21. როცა განადგურებული გამოვედი თეატრიდან, ვერ შეანელა ჩემი სასოწარკვეთილება ვერც ამხანაგების ნუგეშიანმა მოწონებამ, ვერც მეორე დღეს გაზეთში გამოქვეყნებულმა რეცენზიამ, სადაც გულუხვი სტუმართმოყვარეობით მაქებდნენ სწორედ იმ ლექსისათვის, რომელსაც ასე ულმობელად წაჭრა თავი აკაკიმ (მოგ. აკ., 14). 22. მისმა კაცთათვის თავდადებულ მსახურებამ, მისმა საქმეებმა უქმად არ ჩაიარა, მისი წრთვნა, მისი ზნე-მაღალი მოძღერება არ დარჩა ხმად მღაღადებლად უდაბნოში და ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოჰხვევია ძვირფას კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა ბაგეთა, რომლითაც იგი გვლოცავდა და გვწურთნიდა, იმ მადლიან მარჯვენას, რომლითაც იგი გვაკურთხებდა და რომელიც მუდამ გაწვდილი იყო დავრდომილთა შემწეობისათვის და დაცემულის აღდგენისათვის (ილია, 932). 23. ჩვენთვის მაშინვე გახდა ცნობილი, რომ ამ მეთოდით მხოლოდ იმ ავადმყოფებს ჰკურნავენ, რომლებსაც გარეშე მიზეზებით, მაგალითად, რადიაციული გამოსხივების შედეგად, დაემართათ ლეიკემია, მაგრამ, თუ სხეულს თავიდანვე აქვს მიდრეკილება სისხლის გათეთრებისადმი, მაშინ მასთან ბრძოლაში მედიცინა ჯერ კიდევ უძლურია (გ. ფანჯ., 641). 24. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის (ილია, 711). 25. ეს ჩვენი აზრი ბარათაშვილის შესახებ იქნება მეტისმეტი ეჩვენოს ვისმე, ხოლო ამაზედ-კი ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს, ჩვენდა საუბედუროდ უდროოდ ჩვენთვის დაკარგული პოეტი, ერთადერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათ-

ლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუს-რულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყო-ველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა (ილია, 666). 26. ვასრულებ ჩემი მეგობრების თხოვნას, ვიწყებ ავტო-ბიოგრაფიას, თუმცა კი ამ თავითვე საჭიროდ ვრაცხ გამოუ-ტყდე მკითხველებს, რომ ყველაფერს, რაც მახსოვს ჩემის ცხოვრებიდამ, ვერ გაუზიარებ, ბევრი რამ უნდა დავმალო, ბევრი რამ უხერხულია სათქმელად თუ საწერად და ბევრიც უმნიშვნელო, ხოლო რასაც ვწერ, რაც კი შემიძლიან ვეცდები სიმართლე დავიცვა, ვსთქვა ისე, როგორც იყო, უფერადოდ, გადაუჭარბებლად (ვაჟა, 325). 27. ამ ერთი წელიწადის შემდეგ მოკვდა მოხუცებული მკითხავი და უმცროსი დარწმუნდა, რომ გულისვარდის დათხოვა ამის შემდგომ აღარ შეიძლებოდა და ამისთვის, რაც კი რამ საიდუმლოება იცოდა მკითხაობისა, სულ ყველა ასწავლა და მიაჩემა კითხვა ყოველთათვის, ვინც კი მოვიდოდა საკითხავად (დ. ჭონქ., 59). 28. იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულ-გაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიან (ილია, 930). 29. ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვალით დაგანახოთ, რომ მართლა „ხერხი სჯობნებია ღონესა“, მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვი-მოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრ-ჩენია, რომ „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“ (ილია, 923). 30. ბევრი ცხვირპირსისხლიანიც გამორ-ბოდა, მხოლოდ არავის არასოდეს მასზედ არ უჩივლია ინსპე-ქტორთან, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ ლუკა მას სჩადიოდა ბოროტებითა და ჩხუბის ჟინით კი არა, არამედ ავარჯიშებდა თავის ძალ-ღონეს (კ. ყმა, 157). 31. ამ წმინდა ტექნიკურ შენიშვნების შემდეგ, სადაც აღნიშნულია რამოდენიმე ნაკლი,

რომელთა გამოსწორება შეიძლება ფიროსმანის მეორე გამოცემის დროს, სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ მოგვცა წიგნი, რომელიც საქართველოს სინამდვილეში საორიენტაციოდ დარჩება ყველა მხატვრული გამოცემისათვის (პ. იაშვ., 300). 32. ბნელოდა, მაგრამ ეს პატარა ადგილი, რომლის იქით ამ დღეებში ფეხი არ გადაუდგამთ, უკვე ისე ჰქონდა შესული ცნობიერებაში, რომ გრძნობდა, ბიჭი ზუსტად იქ მიიყვანა, სადაც სადარაჯოზე გასვლამდე იჯდა (ო. იოს., 81). 33. ჩემი და გაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს, ჩვენც დავდიოდით სომხის საყდარში, მაგრამ არც მე, არც დედაჩემი არა ვზიარებულვართ იმ ხუთ წელიწადში, იმიტომ, რომ სომხის საყდარში არ გვაზიარებდნენ, როცა შეიტყობდნენ, ქართველები ვიყავით, ქართულ ეკლესიაში კი ვერ ვბედავდით ზიარებას, იმიტომ, რომ გამოჩენისა გვეშინოდა (დ. ჭონქ., 30). 34. საკმაოა გავიხსენოთ ამ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი პოეზია და მისნი წარჩინებულნი წარმომადგენელნი, თ. ალ. ჭავჭავაძედამ დაწყებული დღევანდელ მწერლებამდე, და მაშინ აშკარად დავინახავთ, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას კი არ უნდა დაპბრალდეს, არამედ ჩვენს ქონდრის-კაცობას, რომელიც იმოდენად უძლურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლიტერატურის სიღრმისათვის გონების თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენის პოეზიის სიმაღლისთვის თვალი გაუსწორებია (ილია, აზრ., 61). 35. ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა (ილია, აზრ., 91). 36. გიორგი ბალიაურს მისი სახელიც არ ახსოვს, რადგან ხირჩლა თავად უწოდა და უწოდა ისევ იმ შიშის გამო, საიდანღაც რომ მოდიოდა, მაგრამ ვერ გაიგებდი, სად ილებდა სათავეს, რადგან შიშს ამ უცხოდ მოსული კაცის ხორცი კი არა, სული ბადებდა (თ. ბიბ., 246). 37. ავლაბარში, სუფ-კარაპეტის ეკლესიის აღმოსავლეთის მხრით, ზედ გორაზე, იმ დროს, როდესაც ხდებოდა

ეს საქმეები, რომელთა ახლა მე მოგახსენებთ, — თქვა მორიგემ, — იდგა მხოლოდ ერთოთახიანი იაქათილის სახლი, რომელსაც ჰქონდა ორი ფანჯარა დასავლეთისაკენ, მაგრამ იქიდან არა მოჩანდა რა, იმიტომ რომ ის ფანჯრები იყვნენ გაკრულნი ზეთწასმული ქაღალდით (დ. ჭონქ., 51). 38. გშიოდათ და არა სჭამდით, გწყუროდათ და არა სვამდით, გციოდათ და არა თბებოდით იმისათვის კი არა, რომ ვითარცა ანგარმა და ძუნწმა ვერცხლი და ოქრო მოიხვეჭოს, არამედ იმისთვის, რომ, რაც საკუთრად თქვენის თავისთვის არ გემეტებოდათ, რასაც თქვენს თავს აკლებდით, ის სხვას შეჰმატოთ, სამადლოდ, საქვეყნოდ გასცეთ, თქვენს სამშობლოს მოახმაროთ (ილია, აზრ., 25). 39. გიორგამ იცოდა, მაიორს რომ ეჯავრებოდა, მაგრამ არ ამტყუნებდა ამისთვის, რადგან მაიორს საამისო მიზეზიც ჰქონდა, გიორგა ყველაზე კარგად იცნობდა მას, მარტო მან იცოდა, ლაჩარი რომ იყო იგი, მოღალატე და მოძალადე, გიორგა იყო პირველი, ვინც შეამჩნია და ვისაც თავზარი დასცა მაიორის სილაჩრემ, რადგან თურმე ამ სილაჩრეზე ჰქონდა აგებული ოცნების ციხე-კოშკები, იმ ღამეს, დამბაჩის გავარდნისთანავე სილის ბორცვივით რომ ჩამოიშალა (ო. ჭილ., II, 96). 40. ჯერ ერთი, საიმედოდ იყო შენიღბული თავის მსგავსთა შორის, რომელთა გამორჩევა, ალბათ, მშობლებსაც გაუჭირდებოდათ, მეორეც ერთი, მაშინ სხვები ფიქრობდნენ მის მაგივრად და ყოველთვის უშეცდომოდ იცოდა, როდის როგორ მოქცეულიყო, ვისთვის რა ეთქვა, ხოლო, როგორც კი მარტო დარჩა, როგორც კი თავის ნებაზე მიუშვეს, ისიც ვერ მოახერხა, ერთი დედაკაცი თავის ჭკუაზე რომ ეტარებინა (ო. ჭილ., II, 11). 41. კიოხულის ჭაბუკი მცველებიც სადღაც გამქრალიყვნენ, აღარც დასტურები და მობჭენი ჩანდნენ, სოფელი ცხვრის ფარად ქცეულიყო, რომლის შუაგულშიც მხოლოდ ერთი მწყემსიღა იდგა თავისი მოღერებული კომბლით და იმასაც ჯერ საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, საით გაერეკა ფარა, საით ჯობდა გეზის აღება (თ. ბიბ., 317). 42. მაგრამ ეს იქნება დიდი ხნის მერე, როცა ცხოვრება თითქმის დასრულდება და უკვე აზრი აღარაფერს ექნება, როცა ჯიღაურს ყველაფრის იმედს წაართმევენ, როცა ჯიღაურის შეუპოვარი ცოლიც კარს გამოიკეტავს, აქაურობას მიატოვებს და

სადღაც წავა, როცა დედაკაცი გაიფიქრებს, რომ მთელი დედამიწა ცოდვითაა დამძიმებული, რომ დედამიწაზე დასამალი ადგილი აღარსად დარჩენილა და ყვირილს დაიწყებს (თ. ბიბ., 342). 43. სხეათა შორის, მე გავაკეთე მოხსენება სახალხო თეატრის შესახებ, რომელშიაც ის აზრი გავატარე, რომ, თუ ჩვენი ხალხის ამაღლება და მით ჩვენი ქვეყნის დაწინაურება გვსურს, სახალხო თეატრის საქმე უნდა ავამაღლოთ-მეთქი (მოგ. აკ., 235). 44. ცხადია, მისი ცხონებული მამობილი მისთვის არ ინახავდა ამ სევდის აღმძვრელ ქონებას, ან საიდან უნდა სცოდნოდა, ლამის უკანასკნელ წუთას რომ გამოუჩნდებოდა მემკვიდრე, და რაკი ეს არ იცოდა, რატომ დაჰფოფინებდა, რატომ უფრთხილდებოდა თვალისჩინივით ამ დაობებულ შანდალსა თუ მონოგრამაგადაშლილ კოვზს, როცა შეეძლო სიცოცხლეშივე გაეყიდა, თვითონვე მოეხმარა და ვილაც ოხრისთვის, თუნდაც ქაიხოსროსათვის, არ დაეტოვებინა (ო. ჭილ., II, 70). 45. ამ უცნაური სურნელის ბრალი იყო, თუ საერთოდ ფრიქსეს სამწუხარო თავგადასავალისა, აიეტს ნახვისთანავე შეუყვარდა იგი, მაშინვე გული მიუვიდა, შეეცოდა და თავიც გამოიდო, მეფის შვილი მეფურად მიიღო და, რა თქმა უნდა, მეორე მეფის, ფრიქსეს ნამდვილი მამის ჯიბრზეც მოიქცა ასე, რადგან ყველაზე უფრო ამ ნამდვილი მამის არსებობამ გააბრაზა, იმ უხილავმა მეტოქემ, რომელსაც უფლება ჰქონდა სასიკვდილოდ გაემეტებინა შვილი (ო. ჭილ., I, 134). 46. ქვისმთლელმა ქვა უნდა კოდოს, რადგან თავიდანვე ქვის კოდვა უსწავლია, სხვა არაფერი იცის, ან თუ იცის, უნდა დაივიწყოს, რადგან ზედმეტი ცოდნა ხელს შეუშლის მხოლოდ, მკლავს დაუძაბუნებს, თვალს გაუშტერებს, ათას რამეს დაჰპირდება, არაფერს კი არ მისცემს, რადგან ის ზედმეტი ცოდნაა, ზედმეტი კი ცოდნაც მაენებელია (ო. ჭილ., I, 488). 47. მართალია, ვაჟა სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ ის ამას არ შეუშინდა და ჩამოვიდა თბილისში იმ იმედით, რომ ქართველი საზოგადოება დაეხმარებოდა და მოახერხებდა რუსეთში წასვლას სწავლის გასაგრძელებლად, რადგან ის სწავლა, რაც იმას ჰქონდა მიღებული, არ აკმაყოფილებდა (კ. ყმა, 317). 48. აბა, როგორი სულიერი განწყობილება უნდა მქონდეს, როცა ამ ოთხ კედელშუა ვარ გამომწყვდეული, არც ერთი ნაცნობი ჩემს

კარებს არ შემოაღებს, ძველებურად არ მომესალმება, როცა დახშული ოთახის ჰაერი სულს მიხუთავს, როცა ჩემი საყვარელი მთების საიდუმლო ბუტბუტი ყურში არ მეწვეთება, როცა ბუმბერაზ მთების გრეხილებიდან მოხეთქილი ნიავი გულს არ მიგრილებს და საამურად არ მეალერსება (კ. ყმა, 169). 49. ეს იქიდან ვიცი, რომ, როცა აკაკის ფული ჰქონდა ხოლმე, ეტლს მოუყვანდნენ და იმით წაეიდოდა, რადგან ფეხები სუსტი ჰქონდა და ფეხით სიარულს ძალიან ერიდებოდა (მოგ. აკ., 420). 50. თინასაც უნდოდა, მალე რომ მორჩენილიყო, რათა ისევ გაეგრძელებინა ბრძოლა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, რადგან გუმანითა გრძნობდა, რაც ხდებოდა, იმიტომ ხდებოდა, მის უძველეს მიზანსა და განზრახვას აზრი რომ მისცემოდა, სახელი დარქმეოდა და არა მარტო მისთვის, ყველასათვის ნათელი და გასაგები გამხდარიყო (ო. ჭილ., I, 407). 51. ასეთივე ძნელი წარმოსადგენი იყო პატარა უხეიროსთვის, რომ ზღვის პირას ვაშლის დიდი ბაღი ხარობდა და ყველას, ვისაც კი მოესურვებოდა, შეეძლო იმ ბაღში პირის ჩატკბარუნება, ოღონდ წკნელიც არ უნდა შეეტეხა არავის, თორემ დარიაჩანგი მოკვდებოდა და ბაღიც გაქრებოდა, როგორც მომხდარიყო კიდეც, რადგან ვიღაცას დაევიწყებინა დარიაჩანგის დანაბარები, შთამომავლობით რომ გადმოდიოდა თაობიდან თაობაში, როგორც უკვდავების წამლის საიდუმლო (ო. ჭილ., I, 492). 52. ბავშვობიდან იცოდა, ყველა ადამიანი თავის ჯვარს რომ ზიდავს და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ გოლგოთაზე ადის ბოლოს, რათა იქ სამუდამოდ გაქრეს ანდა მეორე სიცოცხლე დაიწყოს, პირველით დამსახურებული, მაგრამ უკვე სხვათა საკუთრება (ო. ჭილ., II, 370). 53. კარგა ლაპარაკის შემდეგ იმათ გადასწყვიტეს, რომ ირემა არ წასულიყო შიოლას სახლში, ჯახანა წავიდოდა თავის დობილის მამის სახლში და როდესაც ღუდუშაური ჩამოვიდოდა, მამას შეატყობინებდა, რომ, იმ თემის ჩვეულებისამებრ, ძმად ნაფიცმა დობილი გაათხოვა და შემდეგ სასიძოს შემოღებულის სამზადისით მიიყვანდა (ა. ყაზბ., 156). 54. როდესაც მეომარნი გაიბნენ და უკუქცეულნი თავის საშველად გარბოდნენ, მათ ასცდათ ერთი კაცი და სრულიად მოპირდაპირე გზაზედ გაიქცა, გაჩქარებული, აღშფოთებული, უკან აღარ

იხედებოდა და შიშისაგან ისიც კი ეღარ გაეგო, რომ უკან ვიღაცა მისდევდა და თითქმის მისწდომოდა კიდეც (ა. ყაზბ., 193). 55. ვკითხულობდი, რაც შემხედებოდა, განურჩევლად, რადგან ხელმძღვანელი არა მყავანდა და ამის გამო ასტრონომიულს, რისაც არაფერი გამეგებოდა, უფრო ბევრსა ვკითხულობდი, ვიდრე სხვა საბუნებისმეტყველო ან საისტორიო წიგნებს, ცაზე დავფრინავდი, როცა დედამიწისა არაფერი გამეგებოდა (ვაჟა, 328). 56. ფარნაოზს მშრომელი კაცის ხელები ჰქონდა, ლოდის ნამტვრევებს უგავდა, მძიმე და წახნაგოვან ნამტვრევებს, გაჭირვების ჟამს იარაღის მაგივრობის გაწევაც რომ შეუძლიათ, ძალას რომ ასხივებენ, თუმცა ეს ძალა კი არ აფრთხობს მნახველს, არამედ რაღაცნაირი სევდანარევი სიმშვიდით ავსებს და აბრუებს, როგორც ცეცხლი ანდა წვიმა, რადგან საშრომლად არის გამიზნული და არა ვინმეს მოსაკლავად (ო. ჭილ., I, 309). 57. ტირილითა და ხვევნა-კოცნით ინომ გული რომ იჯერა, ტილო, რომელშიაც საჩუქარი იყო გახვეული, ბაგირიევით დაგრაგნა და ქვის თავს გამეტებით გადაჰკრა, ისე მაგრად მოიქნია ხელი, შიშისაგან თვითონვე დახუჭა თვალები, თითქოს ქვა მის დარტყმას ვერ გაუძლებდა, დაიჭექებდა, გასკდებოდა, დაიმსხვრეოდა და მისი ნამტვრევები ინოსაც ქვეშ მოიყოლებდა (ო. ჭილ., I, 283). 58. მინოსმა იცოდა, ხალხს მახვილი კი არა, ტყუილი რომ იპყრობდა, ტყუილი და უმოქმედობა, და მარყუჟი, რომელსაც ფარნაოზი გაჩენის დღიდანვე გრძნობდა, იმ თოკის მეორე ბოლო იყო, რომლითაც აიეტი გაკოჭეს მისმა ერთგულმა მცველებმა, რათა სამუდამოდ გაეთრიათ მშობლიური ქალაქიდან (ო. ჭილ., I, 457). 59. ხოლერისა და შავი ჭირის დროს, როცა თბილისის მცხოვრებნი ქალაქიდან თავგზადაბნეულები გარბოდნენ და თავიანთ მკვდრებს თუ ავადმყოფებს ბედის ანაბარა სტოვებდნენ, ამქრის წევრები თავიანთ წმინდა მოვალეობად სთვლიდნენ, რომ ქალაქში დარჩენილიყვნენ და მიცვალებულთათვის პატრონობა გაეწიათ (ი. გრიშ., 46). 60. დაღამებულში ამხედრდა და, სანამ ბილიკის გასაყართან მივიდოდა, სოფელში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ გადასახვევთან მიხვდა, რომ ეს შეუძლებელია, იგი ასე პირშავად ქორა მახვშთან და ქვეყანასთან ვერ გამოჩნდებოდა (ო. იოს., 128). 61. რომ შეშინებულიყო ზვია-

დაური, ამ სიტყვებს ვეღარ იტყოდა და მაშინ შეწირული იქნებოდა, გახდებოდა ქისტის მონა საიქიოს, მაგრამ, რადგან იგი უკანასკნელ ამოქშენამდე არ შედრკა, არ გატყდა, არ მოიხარა ქედი წინაშე მტრებისა და სიკვდილისა, იგი დარჩა თავისუფალ ხევსურად, ვაჟკაცად, ხოლო დარლა გაწბილებული, დაუკმაყოფილებელი (ვაჟა, 356). 62. თინა უკვე მრავალგზის დარწმუნებულიყო, ქმარი რომ არ დააცლიდა გონზე მოსვლას, როგორც ავაზაკთა მცირერიცხოვანი რაზმი გზისპირას დაბანაკებულსა და ჩაძინებულ ქარავანს, რადგან ავაზაკთა რაზმმა არ იცის, როგორ წინააღმდეგობას გაუწევს ქარავანი, ღირს თუ არა, საერთოდ, გასაძარცვად, მაგრამ მაინც ესხმის თავს, რადგან სხვა გზა არა აქვს, მათი გამოქვაბული გამოხრული ძვლებითღაა სავსე, ხოლო მეთაურის უმოქმედობამ და გაუბედაობამ შეიძლება სულმთლად დაშალოს ეს ისედაც მცირე რაზმი, გაანიაოს, დაუკარგოს საკუთარი თავისა და გამარჯვების რწმენა (ო. ჭილ., I, 456). 63. ერთ ცხენზე ამხედრებული, ერთი თოფით შეიარაღებული ბიჭისა და მაიორის დანახვა სოფელს გარდაუვალი ჩხუბის წინათგრძნობას ულვიძებდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაეგო, რა საერთო უნდა ჰქონოდა ამ ჭალარაგარეულ კაცს თითისტოლა ღლაპთან, ხოლო როცა მიხვდა, შვებით ამოისუნთქა, მაშინვე რატომღაც მაიორის მხარეზე დადგა, თითქოს მაიორი მხოლოდ იმიტომ ჩამოსულიყო ურუქში, ბოლო რომ მოეღო ქერივისა და თათრის ჩუმჩუმელა სიყვარულისათვის, აგერ ამდენი ხანი ძილსა და მოსვენებას რომ უკარგავდა სოფელს (ო. ჭილ., II, 8). 64. ჩვენ ხომ ბრმად და გულუბრყვილოდ ვიწყებთ ცხოვრებას და მერე, როცა გონებაში ვვარდებით, როცა საბოლოოდ გვეხილება თვალი, აღარ მოგვწონს იგი, გვეშინია მისი და მხოლოდ მაშინ გვახსენდება სამშობლო, მაგრამ უკან დაბრუნება შეუძლებელია, რადგან აღარ გვახსოვს, სად დაიწყო ჩვენი ცხოვრება, რომელიც საერთო ცხოვრებაში ათქვეფილა და აღარც დასაწყისი აქვს და აღარც დასასრული (ო. ჭილ., I, 337).

## გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა და შემოკლებანი


1. ასათიანი ლ., რჩეული, თბ., 1986 (ლ. ასათ.)
2. ბიბილური თ., ქამი კითხულისა. ჩივილი. თბ., 1978 (თ. ბიბ.)
3. გრიშაშვილი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. თბ., 1986 (ი. გრიშ.)
4. ვაჟა-ფშაველა, რჩეული, თბ., 1953 (ვაჟა)
5. იაშვილი პ., პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები. თბ., 1975 (პ. იაშვ.)
6. ინანიშვილი რ., მოთხრობები. თბ., 1968 (რ. ინან.)
7. იოსელიანი ო., რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტ.II. თბ., 1991 (ო. იოს.)
8. კაი ყმა (მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე). თბ., 1986 (კ. ყმა)
9. კალანდაძე ა., რჩეული. თბ., 1975 (ა. კალანდ.)
10. ლებანიძე მ., რჩეული ლირიკა. თბ., 1977 (მ. ლებ.)
11. მოგონებები აკაკიზე. თბ., 1990 (მოგ. აკ.)
12. ონაშვილი ნ., მანძილი მიწამდე. თბ., 1985 (ნ. ონაშ.)
13. რაზიკაშვილი ე., მამაჩემი ვაჟა-ფშაველა. თბ., 1977 (ე. რაზიკ.)
14. რობაქიძე გრ., გველის პერანგი. ფალესტრა. თბ., 1989 (გ. რობაქ.)
15. სამადაშვილი ნ., წუთისოფლიდან უკვდავებამდე. თბ., 1989 (ნ. სამად.)
16. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ., 1979 (თ. სახ.)
17. ფანჯიკიძე გ., რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. მოთხრობები, რომანები. თბ., 1986 (გ.ფანჯ.)
18. ყაზბეგი ალ., თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. IV.თბ., 1950 (ა. ყაზბ.).
19. ძიძიგური შ., მოგზაურობა ბასკეთში. თბ., 1977 (შ. ძიძ.)
20. წერეთელი აკ., ლექსები, პოემები, მოთხრობები. თბ., 1959 (აკაკი)
21. ჭავჭავაძე ი., აზრები. თბ., 1989 (ილია, აზრ.)

22. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი. თბ., 1984 (ილია)
23. ჭილაძე ო., რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, II. თბ., 1986 (ო. ჭილ., I, II)
24. ჭონქაძე დ., სურამის ციხე. თბ., 1974 (დ. ჭონქ.)
25. ჯოლბორდი ი., ბიბინა ფერდობს შემოაცვდა იების ქობა. თბ., 2001 (ი. ჯოლბ).

# სარჩევი


წინათქმა 3

წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით 4

*§ 1. მარტივი* 4

*§ 2. შერწყმული* 8

*§ 3. რთული* 15

მარტივი წინადადება. წინადადების მთავარი წევრები. შემასმენელი. 21

მარტივი შემასმენელი 21

*§ 4. ერთპირიანი ზმნა შემასმენლად* 21

*§ 5. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა შემასმენლად* 24

*§ 6. ორპირიანი გარდამავალი ზმნა შემასმენლად* 27

*§ 7. სამპირიანი ზმნა შემასმენლად* 30

შედგენილი შემასმენელი 34

*§ 8. შედგენილი შემასმენელი* 34

ქვემდებარე 38

*§ 9. არსებითი სახელი ქვემდებარედ* 38

*§ 10. ზედსართავი სახელი ქვემდებარედ* 41

*§ 11. რიცხვითი სახელი ქვემდებარედ* 44

*§ 12. ნაცვალსახელი ქვემდებარედ* 48

*§ 13. საწყისი ქვემდებარედ* 51

*§ 14. მიმღეობა ქვემდებარედ* 55

ქვემდებარის ბრუნვები 60

*§ 15. ქვემდებარე სახელობითში* 60

*§ 16. ქვემდებარე მოთხრობითში* 63

*§ 17. ქვემდებარე მიცემითში* 67

დამატებანი. პირდაპირი დამატება 71

*§ 18. პირდაპირი დამატება მიცემითში* 71

*§ 19. პირდაპირი დამატება სახელობითში* 74

ირიბი დამატება 77

*§ 20. ირიბი დამატება* 77

წინადადების არამთავარი წევრები. უბრალო დამატება. 82

უბრალო დამატება თანდებულიან მიცემითში 82

*§ 21. „ზე" დართული* 82

*§ 22. „ში" დართული* 86

*§ 23. „თან" დართული* 90

უბრალო დამატება თანდებულიან ნათესაობითში 94

§ 24. „თვის“ დართული 94
§ 25. „ვან“ დართული 98
§ 26. „შესახებ“ დართული 102
§ 27. „ნაცვლად“ დართული 106
§ 28. „მიმართ“ ან „მიერ“ დართული 109
§ 29. „მაგიერად“ ან „მაგიერ“ დართული 114
უბრალო დამატება მოქმედებითში 117
§ 30. უბრალო დამატება მოქმედებითში 117
უბრალო დამატება ვითარებითში 120
§ 31. უბრალო დამატება ვითარებითში 120
გარემოება 125
ადგილის გარემოება 125
§ 32. ზმნიზედა ადგილის გარემოებად 125
§ 33. სახელი ადგილის გარემოებად მიცემითში 128
§ 34. სახელი ადგილის გარემოებად ნათესაობითში 132
§ 35. სახელი ადგილის გარემოებად მოქმედებითში 137
§ 36. სახელი ადგილის გარემოებად ვითარებითში 140
დროის გარემოება 145
§ 37. ზმნიზედა დროის გარემოებად 145
§ 38. სახელი დროის გარემოებად მიცემითში 148
§ 39. სახელი დროის გარემოებად ნათესაობიითში 152
§ 40. სახელი დროის გარემოებად მოქმედებითში 156
§ 41. სახელი დროის გარემოებად ვითარებითში 161
ვითარების გარემოება 165
§ 42. ზმნიზედა ვითარების გარემოებად 165
§ 43. სახელი ვითარების გარემოებად 168
მიზნის გარემოება 173
§ 44. მიზნის გარემოება 173
მიზეზის გარემოება 178
§ 45. მიზეზის გარემოება 178
განსაზღვრება 184
§ 46. შეთანხმებული განსაზღვრება 184
§ 47. მართული განსაზღვრება 187
§ 48. ზედსართავი სახელი განსაზღვრებად 191
§ 49. რიცხვითი სახელი განსაზღვრებად 195
§ 50. ნაცვალსახელი განსაზღვრებად 199

§ 51. მიმღეობა განსაზღვრებად 202
§ 52. განსაზღვრება და უბრალო დამატება ნათესაობითში 206
მარტივი წინადადების ტიპები 211
§ 53. სრული 211
§ 54. უსრული 215
§ 55. გაუვრცობელი 219
§ 56. გავრცობილი 221
§ 57. სახელდებითი წინადადება 226
§ 58. უქვემდებარო 233
შერწყმული წინადადება 235
§ 59. უკავშირო 235
§ 60. მაჯგუფებელკავშირიანი 239
§ 61. მაცალკევებელკავშირიანი 244
§ 62. მაპირისპირებელკავშირიანი 249
§ 63. ერთგვარშემასმენლიანი (გარდაუვალი ზმნით) 254
§ 64. ერთგვარშემასმენლიანი (გარდამავალი ზმნით) 259
§ 65. ერთგვარშემასმენლიანი (გარდამავალი და გარდაუვალი ზმნით) 264
§ 66. ერთგვარქვემდებარიანი 270
§ 67. ერთგვარპირდაპირდამატებიანი 276
§ 68. ერთგვარირიბდამატებიანი 281
§ 69. ერთგვარუბრალოდამატებიანი 287
§ 70. ერთგვარგანსაზღვრებიანი 293
§ 71. ერთგვარადგილისგარემოებიანი 299
§ 72. ერთგვარდროისგარემოებიანი 306
§ 73. ერთგვარვითარებისგარემოებიანი 309
§ 74. ერთგვარმიზეზისგარემოებიანი 315
§ 75. ერთგვარმიზნისგარემოებიანი 317
§ 76. შერეული შერწყმული წინადადება 321
§ 77. განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარ წევრებთან 329
განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები 336
§ 78. დანართი 336
§ 79. განკერძოებული ადგილის გარემოება 341
§ 80. განკერძოებული დროის გარემოება 346
§ 81. განკერძოებული განსაზღვრება 351

§ 82. ჩართული 357
§ 83. მიმართვა 362
§ 84. შორისდებული 367
რთული თანწყობილი წინადადება 371
§ 85. უკავშირო 371
§ 86. მაჯგუფებელკავშირიანი 377
§ 87. მაპირისპირებელკავშირიანი 382
§ 88. მაცალკევებელკავშირიანი 388
რთული ქვეწყობილი წინადადება 391
§ 89. უკავშირო 391
§ 90. მაქვემდებარებელკავშირიანი 395
§ 91. მიმართებითნაცვალსახელიანი 400
§ 92. მიმართებითზმნიზედიანი 405
დამოკიდებული წინადადება ადგილის მიხედვით 411
§ 93. დამოკიდებული წინადადება წინაა 411
§ 94. დამოკიდებული წინადადება შუაშია 415
§ 95. დამოკიდებული წინადადება მომდევნოა 420
დამოკიდებული წინადადება სინტაქსური ფუნქციის მიხედვით 426
§ 96. ქვემდებარული 426
§ 97. პირდაპირდამატებითი 431
§ 98. ირიბდამატებითი 437
§ 99. უბრალო დამატებითი 440
§ 100. განსაზღვრებითი 446
§ 101. ადგილის გარემოებითი 453
§ 102. დროის გარემოებითი 459
§ 103. ვითარების გარემოებითი 466
§ 104. მიზეზის გარემოებითი 472
§ 105. მიზნის გარემოებითი 477
რთული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით 483
§ 106. ორი ან მეტი სხვადასხვაგვარი დამოკიდებული წინადადება მთავართან 483
§ 107. ორი ან მეტი ერთგვარი დამოკიდებული წინადადება მთავართან 489
§ 108. დამოკიდებული წინადადება დამოკიდებულით 500
§ 109. ზერთული წინადადება 509
გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა და შემოკლებანი 520

გამომცემლობის რედაქტორი ნატო გორჯელაძე

კორექტორი: ნ. მაჭავარიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ხათუნა ბადრიძე
მარიკა ურუშაძე
ეკა ენუქიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.06.03
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 33
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 25,27

შეკვეთა № 110 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნიეერსიტეტის
სარედაქციო-სადუბლიკაციო კომპიუტერული სამსახური

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1